სარედაქციო კოლეგია:

გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე,
მურმან ლებანიძე, მუხრან მაჭავარიანი,
შოთა ნიშნიანიძე, ოთარ ჭელიძე,
სერგი ჭილაია.

ჭეშმარიტ

საგანგებო

პოეზიის

ანთოლოგია



„მეცნიერება“ — თბილისი

გამომცემლობისაგან

საბჭოთა საქართველო თავისი ცხოვრების ორმოცდაათ წელს ზეიმობს... ორმოცდაათი გაზაფხულიც კი საკმაო ყოფილა ეროვნული ენერგიის კვლავაც გაღვივებისათვის; ჩვენს მთა-ბარს მშრომელი კაცის ხელი დაეტყო: ხარობს ბაღ-ვენახი, ქალაქები სართულ-სართულ ასცილდნენ ხარაჩოებს და საქართველოს მდინარეთა მედგარი ღელვაც ელვად იქცა... ხალხს, რომელსაც მძიმე ომი თავს გადახდა, არ შეიძლება ასეთი გამარჯვება დღესასწაულად არ მიაჩნდეს—ეს ხომ ჩვენი დიდი წარსულის გადარჩენაცაა და ჩვენი დიდი მომავლის საძირკველიც ერთსა და იმავე დროს!..

ორმოცდაათი წელიწადი ჩვენი გამოუთვლელი სიცოცხლისათვის, იქნებ ერთ ამოსუნთქვადაც ჩაითვალოს ოდესმე, მაგრამ ახლა იგი მთელ ეპოქად გვევლინება თანამედროვეებს, ამ სიმაღლიდან თვალნათლივ ვხედავთ და ვგრძნობთ ჩვენი ცხოვრების სიახლეს, სიმართლეს, აღორძინებას!

ერთ მთლიან გულის ძგერად ისმის ლენინური გზით მიმავალი ხალხის ნაბიჯი. ცას ფრენოსნების გუგუნი არღვევს და კვლავაც იმედით ვეგებებით ახალ გაზაფხულს.

ქართული პოეზია თავისი ხალხის იდეალებს გვამცნობდა მუდამ... ქართულ სიტყვას სისხლი და ხორცი არ აკლია, იგი თვით ხალხის სულიერი ვითარებაა. ქართული სიტყვა შუბთან ერთად ხვდებოდა მტერს მტრულად, სტუმარს კი მასპინძლის კეთილი ღიმილით იმეგობრებდა... ამიტომაც უყვართ იგი თანამოძმეებს და საყოველთაო აღიარებას ამიტომაც მიაღწია! ყოველი პოეტური ნაწარმოები სწორედ ამ წუთისა და ამ საუკუნის მღელვარე სვლას უნდა გვიხატავდეს, ამაღლებულსა და მრავალფეროვანს.

ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია, ვფიქრობთ, რომ გაამართლებს ამ იმედს. 1921 წლიდან 1971 წლამდე ჩვენს რესპუბლიკაში, ჩვენს ენაზე მრავალი მხატვრული წიგნი შეიქმნა, რომელმაც ძველ კლასიკურ მემკვიდრეობას სიახლე შეჰმატა და საქართველოს „პოეზიის ქვეყნის" სახელი განუმტკიცა.

ანთოლოგიისათვის მხოლოდ ის მასალა შეირჩა, რაც ქვეყნდებოდა 1921 წლიდან 1971 წლამდე. ავტორები დალაგდა ქრონოლოგიურად.

თუმცა ზოგი ლექსი საქვეყნოდ უკვე მოწონებული და აღიარებული იყო, ამით წიგნის შემდგენლებს და რედაქტორებს სამუშაო არ გაადვილებიათ. მათ მრავალი ათასი ნაწარმოების ხელახლა გადაკითხვა მოუხდათ, რათა უკეთესი უკეთესის გვერდით უკლებლივ წარმოედგინათ. როგორც საქართველოს მთა-გორების ერთი მთლიანი პანორამა — ანთოლოგიაც ეცდება, გვაჩვენოს ქართული პოეზიის სიმაღლეები, მაგრამ რაც არ უნდა მკაცრი იყოს რედაქცია, მას არ ძალუძს ეს „მთა-გორები" გაათანაბროს.

ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიას არა ერთი და ორი თაობა ავსებდა თავისი წვლილით. თუ ზოგნი საბჭოთა წყობილებას დავაუკაცებულნი დახვდნენ, ზოგნი თვით არიან პირმშო შვილები ამ ახალი ვითარებისა. აქვეა სამამულო ომის დროს და ომის შემდგომ გამოსული ახალთაობა და თუ მაღალი პოეტური შემოქმედება—ახალგაზრდობის მომასწავებელია თავისთავად—ანთოლოგია ჩვენი ახალი საქართველოს ახალგაზრდობაა მთლიანად... შოთას ენით მეტყველი.

სამარადისო დიდება მას, ვინც თავისი სიმღერა უკვე თქვა, და თუმცა ცოცხალი აღარ არის, კვლავაც ცოცხალი მონაწილეა ამ ზეიმის. ჩვენ მომავალი თაობების გუგუნიც გვესმის და დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანთოლოგიას კიდევ მრავალი თავფურცელი შეემატება. დრომ იქნებ ზოგი რამ, ჩვენს მიერ სასოებით წარმოდგენილი, სასიცოცხლოდ აღარ მიიჩნიოს, წიგნში იქნებ თავისი შესწორება შეიტანოს. ვფიქრობთ, რომ ამით ანთოლოგიას არა დაუშავდება რა... იგი მუდამ დარჩება ქართველი მკითხველის მაგიდაზე.

1971 წ.

ქართული
სალექსიკონო
პოეტიკის
ანთოლოგია

ალექსანდრე აბაშელი

ახალ საქართველოს

მყინვარწვერის თოვლის თეთრო თაველო,
ლურჯო ნისლო, მტკვრიდან ცაზე ასულო,
ვეფხის ტყავად დაფენილო მთა-ველო,
ორბის ფრთების ჩრდილით გადახაზულო,
გაზაფხულის ოქროვანო წვიმებო,
მზის ყვავილო, ციდან ძირს გადმორგულო,
შოთას ქნარის მოგუგუნე სიმებო
და აკაკის ხმაწკრიალა ჩონგურო,
ძველო ფუძევ, მრავალ ჭირის მნახველო,
ოფლდაღვრილო, ბევრჯერ სისხლით ნაბანო,
წინაპართა ღირსეულო სახელო
და გმირების მუდამ თბილო აკვანო,
ნედლო მიწავ, ერთი ხელის დადებავ,
გამძლეობით უმტკიცესო რვალისა,
ელვის ღვარო და მსოფლიოს ნათებავ
ამ მიწიდან ამოვარდნილ ალისა,
განთიადის ცეცხლის შემოკიდებავ
და საღამოს მთვარევ, ჯიხვის რქიანო,
აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებავ, —
შენ ახალი საქართველო გქვიანო!

1941

ლენინის ხსოვნას

ეს მეთოთხმეტე წელი გავიდა, —
ნეტავ ამ დღემდე შენ მოგვყოლოდი!
ჩვენ შენს სიყვარულს ვიწყებთ თავიდან
და შენს სახელთან ვრჩებით ბოლომდი.

ცრემლი დაიმსხვრა ნათელ შხეფებად
და მწუხარება სხივებს თან აჰყვა,
ჩვენ ვგრძნობთ ყოველ წამს შენს თბილ შეხებას, —
სულ ჩვენთანა ხარ! სულ ჩვენთანა ხარ!

დილის სინათლის თვალის გამხელი
და ღამის ჩრდილთა დამამხობელი,
ჩვენ შორის ბრწყინავს შენი სახელი,
გამარჯვებისკენ მუდამ მხმობელი.

და, როგორც ღრუბელს, ღამეგანათევს,
მზე ააყვავებს ცეცხლის ზვინებად,
ჩვენ შენი სიბრძნე ისე გვანათებს
და ჩვენ წინ შუქად მიეფინება.

და შენი სახე, მშრომელთა ლაშქრის
გულისძგერასთან განუყოფელი,
სულ ჩვენთან არის, მუდამ აქ არის,
ასე ძვირფასი და ახლობელი.

თოთხმეტი წელი გავიდა ისე,
როგორც თოთხმეტი გემის ხმაური,
წაიღო ტვირთად წარსულის ზღვისკენ
ზღაპრულ ბრძოლათა აურზაური.

ისე გაგვშორდა და გაგვეყარა,
ცრემლის შეშრობა ვერ მოვასწარით.
ელვით და გრგვინვით მიჰქრის ქვეყანა,
შენ რომ ოქტომბრის ღამეს დასძარი.

შენი საზომით წინსვლას ვზომავდით,
მტერს მოზღვავებულს ბევრჯერ შევებით
და ეს თოთხმეტი ოქროს ხომალდი
დავტვირთეთ შრომით და მიღწევებით.

მტერი უფსკრულში ღამეს გადაჰყვა,
ჩვენ მზიანი დღის სერზე ავედით.
ვდგავართ მაღლობზე და ქედს გადაღმა
აყვავებული ჩანს ვარსკვლავეთი.

კაცობრიობის დიად ბრძოლების
ჩანხარ იმედად და ყავარჯენად.
გზას კვლავ გვინათებს ცეცხლის ზოლივით
მზისკენ გაწვდილი შენი მარჯვენა.

1988

უცნაური ამბავი

თბილისის ღამეს შიში სწვევია:
ამბავი მოაქვს მტკვარს უცნაური, —
ავჭალას ცეცხლი შემოხვევია,
ანთებულ რკინის ისმის ხმაური.

დაირღვა ძილი და მყუდროება,
მიეცა ღამე ჟრიამულს უჩვევს;
ნაძვის სვეტები თეთრ ურდოებად
შემოესია თბილისის ქუჩებს.

და დაირაზმა შიშველ სვეტების
რკინის ფეხებზე შემდგარი ჯარი,
დატყვევებული ცეცხლის წვეთები
რომ დაარიგოს მეტის სიჩქარით.

ის ავჭალიდან სინათლეს ელის
და მთელი ღამე არ დაიძინებს;
შუშის კბილებით უჭირავს ქსელი,
სადაც მორჩილი ელვა იდინებს.

როცა სვეტები გადაიქცევა
ათასი მთვარის ეშაფოტებად,
სნეული ჩრდილი ცად აიწევა,
იმატებს ღამის გაბოროტება,

ვერას გახდება — ბევრიც იბრძოლოს,
და, რომ ინათებს დილა სისხამი,
წავა და სადმე ქალაქის ბოლოს
თავს ჩამოიხრჩობს თბილისის ღამე.

1926

ჩემს კალამს

ჩემო კალამო! ყოველ გარიჟრაჟს
შენ შეჰხაროდი დილის ჩიტივით;
უმღერდი მიწას, ელვას, ქარიშხალს
და მოვლილი გაქვს ზეცა შვიდივე.

დღეს ამ მიწა-წყალს, ამ ცის განთიადს
მუხანათურად დაესხა მტერი,
და შენს ნისკარტზე ცეცხლი ანთია,
შენ ამ უდიდეს ბრძოლაზე მღერი.

დასთმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,

გარდა ერთისა: მხოლოდ მედგარი
დაგრჩეს ყივილი, ხმალივით ბასრი.

რომ ყველაფერი, რაც შენში ფეთქავს, —
გმირული, მძაფრი და პირუთვნელი,
მგზნებარე სიტყვა, რაც უნდა გეთქვა,
მაგრამ ამ დღისთვის დაგრჩა უთქმელი,

იმ ერთ ყივილში მოზღვავდეს ერთად,
როგორც მომსკდარი მთიდან ლანქერი...
კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა! —
გადაივიწყე სხვა ყველაფერი.

1941

არ მოუშვა, დაჰკარი!

საქართველოს გუშაგო, გვესმის შენი ძახილი,
ვნახეთ, შენმა მარჯვენამ მტერი როგორ დადაღა.
ნახა შენმა ქვეყანამ, რომ მოიმკე სახელი,
უფრო მეტი დიდების მოსახვეჭად მზადა ხარ.

ხედავ, მტერი რას სჩადის, როგორ მოგიახლოვდა?
შენს მიწაზეც დაეცა ჩრდილი შავი ფრთებისა.
შენი კერა აქ არი, პაპაც აქვე სახლობდა,
დღეს შენა ხარ დარაჯი ამ დალოცვილ მთებისა.

შენი თავისუფლების დედაბოძი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

თუ მოვიდა, ჩაგვიქრობს კერას მამაპაპეულს,
პირში ჩაგვეშრიტება სიტყვა რუსთაველური.
მონურ უღლის ტაბიკზე შემოგვიჭერს აპეურს
და ნესტანს ტყვედ წაიყვანს ქაჯი უფრო ველური.

ნუმც გვენახოს, მყინვარქედს მტრის მახვილი სწვდებოდეს,
მტერი ხანძარს უნთებდეს საქართველოს ცის კიდეს,
ამირანის ნადგომზე ქონდრისკაცი დგებოდეს
და არწივთა საბუდარს ყვავ-ყორანი სძიძგნიდეს.

შენ, ქართველო ვაჟკაცო, სამშობლოსთვის შობილო,
ხალხი მისთვის გადიდებს და თავს მისთვის გევლება,
რომ რუსთველის სიმღერა მტერს არ ჩაახშობინო,
რომ ნესტან და თინათინ მტერს არ მისცე მხევლებად.

შენი მიწის ორთქლი და კერის კვამლი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მტერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟკაცურად დაუხვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

1942

მამის სიკვდილი

მამა წისქვილში გამხდარა ავად,
ალბათ გაღალეს ავმა თვალებმა.
წისქვილმა იცის უჟმური ჰავა
და უეცარი აკანკალება.

ორი დღე-ღამე ბრუნავს წისქვილი
და სიმინდს ღეჭავს ოთხი ყბა ქვისა.
ბაიასფერი სიმინდის ფქვილი
უხდება ტომრებს, ვით ოქრო—ქისას.

შეაბამს ურემს ქედმორჩილ ხარებს,
დაუდებს ტომრებს, თვითონ ზედ წვება.
იქნებ ავადმყოფს, სათბურით ღარიბს,
ოფლი მოჰგვარონ ნაბდის ბეწვებმა.

არ გაწყდებიან აპეურები,
ტაბიკი მარჯვედ თუ გადარაზეს,
და ჭკვიან ხარებს მოჰყავთ ურემი
გადაუხვევლად ნაცნობ შარაზე...

სახლში დიდმარხვის ორშაბათია
და მამას დედა ელოდა გუშინ.
ეზოში, ჭასთან, ცეცხლი ანთია,
ცეცხლი უნთია დედასაც გულში;

— რათ არ მოვიდა, ნეტავ, წუხელი? —
ფიქრობს და ხეხავს ჯამ-ჭურჭელს ქვიშით.
თანდათან მძიმე და გაუმხელი
იპყრობს დედის გულს მგესლავი შიში.

შავჩოხიანი, თეთრწვეროსანი
ბაბუ ზის ჯირკზე და თუთუნს აშრობს.
ჭა ამართული დგას წეროსავით
და იქვე ძაღლი ხბოსთან თამაშობს.

ძაღლი უეცრად მოჰყვება წკმუტუნს,
ბაბუ მურიას გაუჯავრდება,
მაგრამ მაშინვე გადაჰყრის თუთუნს,
დედასაც თეფში გაუვარდება...

უსაპნო ღერძის ახმაურებით,
მომგვრელი შიშის და მწუხარების,
მოდის უმამოდ მამის ურემი
და მობღავიან გზაზე ხარები.

ტომრებზე მოჩანს შავი ნაბადი.
გაფითრებული იკივლებს დედა:
„შავად გათენდა დღეს ორშაბათი,
კარის გამღები უფრო შავ დღეთა!..“

ჩამოიყვანენ ურმიდან მამას
და დააწვენენ კარღია სახლში.
მიჰგვრიან მკითხავს ქოჩორა მამალს
და მოიტანენ შენალოც ნახშირს.

ნაკურთხი წყალი გაჩნდება დოქით,
ვერცხლის ორ შაურს წყალი ჩასძირავს
და ხატს წაუღებს ბაბუა ჩოქვით
აბრეშუმს, თაფლს და სხვა შესაწირავს.

ხარშავენ დიდხანს ბალახის ძირებს,
ამხობენ გობზე თავდაღმა ქოთანს,
მაგრამ სნეული ვეღარ იძინებს,
თანდათან უფრო იბრძვის და შფოთავს.

დაბოლოს, როცა მძლავრობს ანთება,
დაიბარებენ ურია ფერშალს,
მაგრამ წამალი დაგვიანდება
და ვერაფერი უშველის ბედშავს...

იგლოვებს დედა მწვავე წუხილით,
მას შემდგომ ჭმუნვას ვერ მოიცილებს...
და ბრჭყალმაგარი ბებერ კრუხივით
თავს დასტრიალებს ობოლ წიწილებს.

1928

ებრძოდი სიკვდილს შენ გახელებით,
ვერ დაამსხვრიე მახე მზაკვრული:
მოკვდი გოლგოთის საშინელებით,
რკინის საწოლის ჯვარზე გაკრული.
იყავ პოეტი მირონცხებული,
გახდი ჯვარცმულის მონათესავე,
ასე მგონია, ხარ ქრისტესავით
მეშვიდე ცაზე ამაღლებული.
გულზე გაჩნია ნაიარევი,
გარს გახვევია შუქის მორევი,
თეთრ ვარსკვლავებში დაიარები
ტყეს შეფარებულ ნიამორივით.
მაგრამ არ არის ზეცაში ღამე
და ნაღვლიანმა თავი ჩაჰკიდე;
გაწუხებს ლექსის ნათელი შხამი,
რაც შეუსმელი აქ დაგრჩა კიდევ.
ბავშვების ბედიც გაფიქრებს ალბათ,
აქ რომ დატოვე ორი პატარა,
ამ დარდმა აქაც დრო გაგიყალბა
და ბევრ ეკალზე გადაგატარა.
ნეტავი ერთი გადმოგახედა,
გაგეღოს კარნი მაღალ ცისანი,
რომ შენმა სახლმა გიცნოს აქედან
და სიხარულის მოგცეს ნიშანი.
ნახავდი მდუმარ მთაწმინდის ზღუდეს,
პოეტთა სადგურს და ბინას მოგვთა.
ჰგავს შენი სახლი არწივის ბუდეს, —
ბუდე აქ არის, არწივი მოკვდა...
რას იფიქრებდი, რომ ამ ბილიკზე
ბინის საძებრად წერას აჰყავდი,
რომ ცივდებოდა შენთვის თბილი მზე
და ბინას მუდმივს სხვაგან ნახავდი...
ნეტავი ახლა გადმოგახედა,
გაგეღოს კარნი მაღალ ცისანი, —
შენმა ბავშვებმა გნახონ აქედან,
სასიხარულო მოგცენ ნიშანი.

ალბათ, არ არის ზეცაში ღამე
და შენც მოწყენით თავი ჩაჰკიდე:
გაწვალებს ლექსის ნათელი შხამი,
რაც შეუსმელი აქ დაგრჩა კიდევ.
ქვესკნელს დასთხრიდნენ შენი ფესვები,
მიწას პოეტად რომ არ ეშობე.
საქართველოში შენი ლექსები
მშიერ მგლებივით დათარეშობენ.
და ნაომარი პოეტთა გროვა,
სადღაც დაღლილი დაიბანაკებს.
ციდან ყივილი შენი იქ მოვა
და გულს აუნთებს შენს ამხანაგებს.
და გრგვინვა, მწველი და ალდართული,
კვლავ ცივ მყინვარზე დაიგუგუნებს,
რომ ანთებული სიტყვა ქართული
გადაანარცხოს ბნელ საუკუნეს.
როცა ეჭვებით დამქრალ ოცნებას
ლექსების ალი წაეკიდება,
რა მისცემს ჩვენს სულს მეტ გაოცებას,
რა უნდა იყოს მეტი დიდება!
არ გვაწევს ტვირთი სხვა იმედების,
შენ უკეთ იცი, პოეტო ძმაო, —
ჩვენთვის გარეშე შემოქმედების
რომ ყველაფერი არის ამაო.
მაგრამ დღეს სხვაა ჩვენი ჰაერი, —
დაეცა ლოცვა და პოეზია.
მოკვდა ბრწყინვალე ძველი შაირი
და ახალს ჩრდილი შემოესია.
გაგიკვირდება, ლექსს რათ არ ჰშველის, —
რომ კვლავ ამაღლდეს რჩეულ ხარისხად, —
ციდან ქუხილი ბარათაშვილის,
მთიდან ყვირილი ვაჟას ხარისა!
ახლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ჰყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დაახრჩო წვრილმა ამბებმა,
ამონაწერმა გაზეთებიდან.

1926

ღვინოგისთვეში

თბილისს ლაჟვარდი შემოეღობა
და მზემ ულევი ოქრო დაყარა.
ასადუღებლად მყინვარს ეყოფა,
რაც ოქტომბერმა აქ მზე დაღვარა.

ალი სწვავს ქუჩებს შუშაბანდიანს
და მზე ბანაობს ყოველ მინაში,
და ეჯიბრება მწუხრი განთიადს
ფერთა უცნაურ დოღის წინაშე.

და ყოველ ხის ქვეშ დღითა და ღამით
ყვითელ ფოთლების გროვდება ზვინი.
აივსო ხილი თაფლიან ნამით,
დაითრო სული მზითა და ღვინით.

1926

აპრილი

გამთბარ გულიდან სხივს ამოვიტან,
რომ გავანათო ჩემი ჭაღარა,
რადგან აპრილის სითბო მოვიდა
და ყვავილები გადმომაყარა.

სხივებმა მიწას თოვლი გახადეს,
წყალი წკრიალით იწყებს გალობას,
გახარებული გული ღაღადებს
ამ სიხარულის გარდუვალობას.

ატმის ყვავილი გუნდივით მღერის
ზამთრის ლეშისთვის გათხრილ ხაროზე.
დამისახელეთ თუნდ ერთი მწერი,
რომ გაზაფხული არ უხაროდეს!

და ჩემს გულშიაც მღერით შემოდის
წყაროს ჩხრიალი დაუცხრომელი,
ვინ დაიჩემებს წყურვილს ჩემოდენს:
კაცი, ფრინველი ან ხე რომელი?

ზაფხულის პირზე მუდამ ასეა:
მზემ ერთხელ ფრთები თუ შეარხია, —
მიწის სურნელით სივრცე სავსეა
და ვარსკვლავებიც თითქოს ბაღია.

ნუშის კვირტები თვალებს ახელენ,
მზე არ ენახოთ თითქოს აროდეს.
თუნდ ერთი ჩიტი დამისახელეთ,
აპრილის მოსვლა არ უხაროდეს.

მეც ხომ ამ ბაღის ერთი მწერი ვარ,
ყვავილთა მტვერით ფრთაშეგლესილი,
მეც ჩემი ქვეყნის ცაზე ვწერივარ
შვიდსტრიქონიან ფერად ლექსივით.

მუდამ შრიალა მწვანის მძებნელი,
მეც ხომ ამ ბაღის ერთი ჩიტი ვარ?
ვგალობ სინათლის მაუწყებელი,
რადგან წყვდიადთან შენაჭიდი ვარ.

და დღეს ჩემს გულსაც ეს უხარია,
რომ ეს სინათლე ასე დიდია,
რომ არც თოვლია, რომ არც ქარია,
და მზეც სამშობლოს ცაზე ჰკიდია!

1939

* * *

ბებიაჩემი მოკვდა სწორედ ოთხმოცი წლისა
და მთელი ეს დრო მოანდომა წვრილმან საქმეებს;
დასდევდა მუდამ ჩალის ჯოხით ქათმის წიწილსა
და ყოველ შაბათს ნაკვერცხალზე ჰყრიდა საკმეველს.

უვლიდა ბოსტანს და ეზოში რგავდა ხეხილებს,
ეჯავრებოდა მწვანე შტოზე ფითრი და ხავსი.
ახალუხისთვის საუცხოოდ სკვნიდა გრეხილებს,
ამბობდა ზღაპრებს მაღალ კოშკის მზეთუნახავზე.

ერიდებოდა მეზობლის ქალს, ანჩხლს და კაპასსა,
თავის ეზო-კარს იშვიათად მოშორდებოდა;
კაკლის ზანდუკში ინახავდა ფარჩის კაბასა,
რომ თეთრ კუბოში ჯვარისწერა მოჰგონებოდა...

ერთხელ გაჰყიდა ასი კვერცხი ცამეტ შაურად
და ექვსი წყვილი სეფისკვერი მღვდელს ჩააბარა.
დაბრუნდა სახლში, წიწილებთან გაიხმაურა,
დაწვა და ტკბილად დაიძინა... და არ ამდგარა.

ალბათ, ყოველთვის სანატრელად მემახსოვრება
მიწის ის კუთხე, სად ბავშვობა ჩემი დავყავი,
სადაც ჰყვაოდა უდარდელი ჩემი ცხოვრება,
შემდგომთა დროთა სიბრძნის ჟანგით დაუჟანგავი...

და ვფიქრობ ახლა, არ დავეძებ დიდრონ საქმეებს,
იქნება ჯობდეს, ჩამოვწიო ქუდი ყურებზე!
ხანდახან ჩუმად ნაკვერცხალზე დავყრი საკმეველს,
რომ ვიოცნებო ზღაპრულ კოშკის საფეხურებზე.

რა საჭიროა, გადავაკვდე ურჩ მოკამათეს,
მჭამოს ათასმა თეორიამ და დებულებამ,
როცა მზე ჩემთვის მხოლოდ ერთი წუთით ანათებს
და სხვა სიცოცხლე მიწის გარეთ არ მეგულება!

რად ჩავიმწარო დარჩენილი წელი ორიოდ,
ვიდრე მიხმობდეს ცხონებული ჩემი ბებია?
ოთხმოცი წელი გაატარა უთეორიოდ,
და მისი ბედი, ვიტყვი, ბევრჯერ შემხარბებია!..

1929

გიორგი ქუჩიშვილი

საქართველო

საქართველო აღსდგა მკვდრეთით!
გზა მიეცით!
ჩამოდექით!
გმირთა გმირი
ამირანი
მოიმღერის გრგვინვა-ჭექით!

სანეტარო დახსნის ხმები
ეფინება ზურმუხტ მდელოს...
გაუმარჯოს ბორკილაყრილ,
თავისუფალ საქართველოს!

1921

ვინ არის იგი?!

ვინ არის იგი:
ახოვანი, კუშტი, ზვიადი,
მკერდგანიერი, მკლავძლიერი, შუბლდაღარული, —
ვინ არის იგი,
ზღაპრული და ლეგენდარული?
ვინ არის იგი?
ვინ ააზავთა გული მისი ქარიშხლიანი,
რისთვის მოგრგვინავს,
როგორც ვეფხვი რისხვის ხმიანი;
ვინ არის იგი, ლომგული და შიშველხმლიანი?

ვინ არის იგი?
რისთვის დაანთო ეს ხანძრები, ეს კოცონები,
რად ააბორგა საბრძოლველად ურჩი მონები?
ვინ არის იგი?
ვინ ააფეთქა სული მისი ტიტანიური,
ან ვინ ჩაჰბერა მის კლდე მკერდში ცეცხლი ციური?
ვინ არის იგი?
ბოროტი სული თუ კეთილი, გიჟი თუ ბრძენი,
დაძონძილი, ჩამოფლეთილი?
ვინ არის იგი? ზღვის წარღვნაა თუ ქარტეხილი;
თუ ცის მეხია, ჭექა-ელვით ძირს დატეხილი?
ვინ არის იგი?
რისთვის მოუძღვის ფეხებდამსკდარ მღელვარე მასებს,
ან რას უყივის ბელადივით დაჩაგრულ რასებს?
ვინ არის იგი?
ვისზეა ასე შერისხული, დამუქრებული,
რისთვის მოგრგვინავს ეს მთა კაცი,
მთით დაშვებული?
ვინ არის იგი?
ამ ძეხორციელს ვინ შთაჰბერა გრიგალის სული,
სიკეთისთვის თუ სიავისთვის არის მოსული?
ვინ არის იგი?
რისთვის აღძრულა სიძულვილით, რისხვით და ბრაზით?
რა, რა სწადია,
ზეცის დამხობა თუ წალეკვა დედამიწისა?
ვინ არის იგი? ყორნებისგან დაფლეთილ მკერდზე
სისხლი წვეთ-წვეთად შეჰხმობია, შეჰხორცებია!
ის დიდხანს იყო მიჯაჭვული მიუვალ კლდეზე,
ღმერთებისაგან დასჯილი და მივიწყებული!
მხოლოდ ყორნები ეწვეოდნენ
დასაკორტნავად!
დაბლა კი, დაბლა, დარიალის ღრმა ხეობაში,
თერგი მრისხანე, უზარმაზარ მომსკდარ ლოდებით
მოღვართქაფებდა გულხეთქებით, ზათქით, გოდებით!
ამბობენ, თერგი ცრემლიაო იმ გოლიათის!
საუკუნენი დალეწილან იმისი კვნესით;
მთანი და კლდენი დახეთქილან მისი ცრემლებით.
მაგრამ აღსრულდა!
ბოლო მოეღო გოლიათის ასკეც ვაებას!
უკანასკნელად მოიკრიბა ძარღვთა ძალ-ღონე,
აწყვიტა ჯაჭვი და აეშვა კლდიდან კლდეკაცი!

მორჩა! გათავდა!
განთავისუფლდა, გოლიათი!
მილეწ-მოლეწა დაჟანგული მან ბორკილები
და წყევლა-კრულვით ესროლა ზეცას!
ღმერთებს მუქარა შეუთვალა და ხმალს მივარდა!
ძრწოდეთ, კერპებო, ბიწიერნო, ძალნო ციურნო,
ყოვლად ძლიერნო მოციქულნო კაცთა მონობის!
თქვენ არ იცოდით არც დანდობა, არც შებრალება!
ნურც მისგან ელით პატიებას და შეწყნარებას!
ის სასტიკია! და სასტიკი იქნება მსჯავრიც!
ვინ არის იგი?
ხვითქიან ტაიჭს მოჰფრენია რაინდი იგი
და რიხიანად მოიმღერის ბრძოლის სიმღერას!
მის სიმღერაში ისმის ხოტბა თავისუფლების
და მტერთა მისთა გასრესა და გაცამტვერება.
ვინ არის იგი? მიპასუხეთ: ვინ არის იგი,
ვინც ძირს დაამხო კაცთა მონობა და ტირანია?
ამირანია! — გოლიათი ამირანია! —
გუგუნებს ხალხი, გუგუნებენ მთიდან მთანია!

— ამირანი აწყვეტილა,
გადუხდია ომი,
წითელ ჩოხით შემოსილა,
მოდის, როგორც ლომი!
მოდის, მძლავრად მოიმღერის,
შეუმუსრავს მტრები!
ყვავ-ყორნებით აუვსია
უფსკრულ-ხეობები!

1921

საუკუნეზე საუკუნური

1

„აფსუს!
ჩხეიძეს ამჯობინე ქუჩიშვილობა
და სხვებსაც ურჩევ, დაეწაფონ ცხოვრებას უჩვევს;
კეთილშობილ გვარს
მიაყენე ტლანქი ჭრილობა,

დაჰგძე ზრდილობა
            და გაჰყევი მასებს და ქუჩებს.
გრცხვენოდეს, ბიჭო,
            რომ უღირს ხალხს შესწირე ჩანგი,
რომ რჩეულთ ნაცვლად
            თავს ევლები ცხოვრების მძოვრებს,
ნუთუ ჩვენს შორის
            ვერც ძმა ჰპოვე, ვერც ამხანაგი,
რომ სამარცხვინოდ
            ტოლმეგობრობ
                მშივრებს,
                მათხოვრებს?

რამ შეგაყვარა
            ეგ ქუჩები, აღსავსე ნაგვით,
რისთვის შერყვენი
            პოეზიის სათუთი ჰანგი?“.

2

რას მიხვდებიან
            თავსავსენი წარსულის ნაგვით,
რომ ქუჩებია
            სარბიელი მუშათა კლასის;
რომ აქ გაისმა
            აკრძალული თქმა: „ამხანაგი“
აქ აფრიალდა
            აჯანყების დროშები ცაში!

და ამის შემდეგ
            ვისაც კიდევ ეთაკილება
ქუჩიშვილობა
            და გაურბის მის ნაცნობობას, —
გზა მშვიდობისა!
            ჰანგი ჩემი მას ეტკბილება,
ვინც ქუჩებს ეძმო,
            ქუჩიშვილად ვინც წარმომშობა!

1922

მთათა დაპყრობა

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან“,
გახა წიკლაურს ვხედავდი მდგარსა,
გახას, გულმაგარს და კლდემხრებიანს!
ეს რა გრიალი გააქვს მთა-ბარსა, —
ნუთუ ღრიალა შმაგი თერგია?!
არა, ნაღმებით უტევენ არშას,
ფლატეს მკერდს უნგრევს მძლე ენერგია.

იერიშის მიტანით
მთას შეება ხეობა
და ქედს უხრის ტიტანი
მოხევეთა მხნეობას!
აქ არც ხევისბერია,
აღარც ხატის ღრეობა;
დამკვრელები მღერიან
შრომის მძლეთამძლეობას!
მთაო, მუხლმოკეცილო,
ანდეზიტის ლოდებად,
ნაღმებით დახლეჩილო,
ქარხანა გელოდება!

მოდის ხალხი ახალი,
იპყრობს სადარიალოს;
ირმის ჯოგი დამფრთხალი,
უგზო-უკვლოდ ყიალობს!
ნაღმებით მიარღვევენ
ამაყ კლდეთა ფრიალოს;
მყინვარზე მიარხევენ
დროშას ინდუსტრიალურს!
ნგრევის გრგვინვა-გრიალით,
ხრეშით ცა იღრუბლება
და ზავთიან ღრიალით
თერგი ბანს ეუბნება!

1922

ყორნის ჩხავილი

1

ყორანი ყორნებს იწვევდა
ყრანტალით, ფრთათა დარხევით:
„მოფრინდით, მოინახულეთ,
რა მინდორია, რა ხევი;
სისხლით და ლეშით გაგაძღებთ,
ნაომარ-ნაპარტახევით!“

2

დაეჭყივლე: — ჰაუ, წყეულო!
რას ჩხავი, რას იჩმახები!
შხამად შეგარგებთ მაგ ნადიმს
რისხვით აშლილი ხალხები;
შეგმუსრავთ, გაგატიალებთ,
კლდე-ღრეში დაიმარხებით
და თქვენთან ერთად გაქრება
ფაშისტთა შავი სახელიც!

1942

*

— დაბერებულა! —
ვიცი,
ვინც მიცნობს,
ჩამივლის გვერდს
და წაიდუდუნებს...
სცდებიან!
ასი წლისაც რომ ვიყო,
რა მომახუცებს,
რა მომადუნებს,
გული —
ჩანგივით სიმთა მჟღერია,
ისევ ჭაბუკურ
რიხით გუგუნებს!

*

ისე არასდროს არ მიგრძვნია
მე სიჭაბუკე,
როგორადაც დღეს,
ჩემს ნახევარ საუკუნეზე,
მეუბნებიან:
— გემატება შენ სიყმაწვილე!
მოდი,
ეგ შენი სიჭაბუკე
გაგვინაწილე!
რა ვუპასუხო? —
მათ უწინაც
ვცნობდი მოხუცად...
და თუმცა თავზე
თმა არ შემრჩა არც ერთი ღერი,
ჩემს ახლად შობას
ვზეიმობ და ხმამაღლა ვმღერი,
ვიწვევ ნადიმზე
ახალგაზრდა
ძვირფას პოეტებს!

*

თავს დამყივიან
ორბები,
მივალ და
მივეჩქარები.
უფსკრულში
ჩადგნენ ქარები.

მზით დაფერილი ღრუბლები
დგანან,
ვით ოქროს ვერძები.
მხარეო თავისუფლების,
გიმზერ,
და ცქერით ვერ ვძღები!

*

ჩვენი ცხოვრების
ბნელი გზა,
სავსე ნარით და ეკლითა,
გავჭერ,
გავკაფე,
თუმც ბევრჯერ
ზედ გულიც ჩამომეფლითა...

*

რაც მეტი მწუხრით ვართ დაბურვილი.
ქვეყნად სინათლე
რაც უფრო არ ჩანს,
მით უფრო გვიპყრობს
ბრძოლის წყურვილი,
გმირად გვქმნის ყოველ
სუსტსა და ლაჩარს!

1935

ჩემი სოფლიდან

*

მკერდში ჩაიკრა, დაჰკოცნა,
გზა დაულოცა მან დილით;
„მშვიდობით დამბრუნებოდე,
არ დამთალხოდეს მანდილი!
შვილო! სამშობლოს ზიარად
გშობე, გაგზარდე, გიარე!
გაჰყე მის ძახილს! იჩქარე!
რაც სჭირდეს, დაეზიარე!
გასწი! არ სჭამო სირცხვილი,
სულ გამარჯვებით იარე!“

*

ასეთი სიმხნით დალოცა
შვილი ქართველმა დედამ
და გააცილა ღიმილით,
არ გაუმხილა სევდა მან.

*

მოსწყდა,
წავიდა ვაჟკაცი,
ფეხმარდი, ტანად-თვალადი,
სოფლის მშვენება
და მშობლის
ნუგეშის სხივი მარადი,
მახვილი
მტერთა გულისა,
მოყვასთა ფარ-მუზარადი!

*

იგი ლომივით იბრძოდა,
იწვოდა გულცეცხლოვანი,
ბერლინისაკენ მიჰქროდა,
მიჰქონდა დროშა ფრთოვანი!

1944

მაინც მარადჟამს...

ჩემი ცხოვრების
    უმძიმეს გზაზე
თუმც ხშირი იყო
    ძეძვი თუ ნარი, —
მაინც მარადჟამს,
    მაშვრალთა ხსნაზე,
ჟღერდა ეს ჩემი
    სახალხო ქნარი!

1945



სანდრო შანშიაშვილი

ჩემი ბილიკი უნაყოფოდ არ მითელია...

თქვენკენ მაქვს ხელი გამოწვდილი როგორც მაცხოვარს —
მეწვიეთ სტუმრად, ნადიმს ვიხდი გამოსათხოვარს!
სუფრაც დამშვენდა შადრევანის ფერად შხეფებით...
აბა, ვიმღეროთ! ხვალ ერთმანეთს ვეღარ შევხვდებით!

ბუნებრივია, ხანდაზმული გემშვიდობებით!
თქვენ მყავდეთ კარგად შვილებით და ყველა ობლებით!
არაფერია დასანანი, თუ წავიქცევი...
სულ გეხსომებით, თიხადაც რო გარდავიქცევი...

მაშ, ვთქვათ სიმღერა მაღალი ხმით! მაშ, ვთქვათ „ჩაკრულო“!
აჟღერდი ჩემთან შენც, ბედკრულო და გულჩაკლულო!

ჩემი ბილიკი უნაყოფოდ არ მითელია!
არ გაბზარულა ჩემი გული, ისევ მთელია!
თუმცა სიკვდილი ჩემს წინაშე დავლურს ცეკვავდა,
და ყიჟინაში სადღაც გლოვის ზარიც რეკავდა,
მაგრამ მე მაინც ვთამადობდი შეუპოვარი,
ხმას შემიწყობდა ჩემი სატრფო სწორუპოვარი!

ახლაც ვიმღეროთ, განთიადზე რაც გვიმღერია...
გაფანტე დარდი, ბაიყუში გულის მტერია!

რასაც ვნატრობდით, აგვისრულდა მსხვერპლის გაღებით!
ახალ ცხოვრებას შეამკობენ ოქროს თაღებით!
გულში სიამით თაიგულებს ჩაიკონებენ...
ვინ გაიწირა და ვინ დარჩა — მოიგონებენ!

გავტეხოთ ჭიქა! ვეღარ დავლევ მით სადღეგრძელოს!
მრავალჟამიერ უნათებდეს მზე საქართველოს!
გაფანტე დარდი, ბაიყუში გულის მტერია!
დაჰკარ დაირას და ვიმღეროთ, რაც გვიმღერია!

1960

მოდი, ვუმღეროთ!

გრიგალი ღმუის თუ ცის თაღი ჩამონგრეულა?
— ეს ჩემი ხმაა! გრძნობა გულში ჯერ არ ძლეულა!
ჩემს ძმებს ვუყივი! წასულან და ომშიც გასულან...
მტერს მათი ზურგი არ უნახავს... ყველგან ქებულან!
ვაგლახ! ვაჟკაცნი უკან აღარ დაბრუნებულან!
სახსოვრად დამრჩა მონაწერი სისხლით ბარათი!
მოდი, ვუმღეროთ! მათ დიდება! ხსოვნა მარადი!

კიდევ დიდება მათ აღმზრდელებს, დიდ შემოქმედებს;
ღვთიშობლის მსგავსებს ლამაზ ქალებს, გულითად დედებს!
მაგრამ სულდგმული ერთნაირად იზრდება ყველგან...
ვინ იყო იგი, ვინც ჩაგვძირა ახალ ცნებაში?
ვინც გადავიდა კაცთაგანი უკვდავებაში?
ჩვენც ხომ მისგან ვართ და ვსაზრდოობთ მისი მარაგით!
მოდი, ვუმღეროთ! მათ დიდება! ხსოვნა მარადი!

კიდევ დიდება საბჭოეთში მრავალზე მრავალს,
დაზგაზე მშრომელს, მკურნალს, მთესველს და ცაში მავალს,
ვინც გაჭირვებას და სიძნელეს არ ერიდება...
ვინც აკვანშია და აკვნიდან წამოფრინდება...
ვინც იყო უწინ, დღესაც არის, მუდამ იქნება!
მოდი, ვუმღეროთ! გამარჯვება და ხალხს დიდება!

1958

მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში

ტყე ჭიაურის ჯიქურ ჯიღად უდგას ალაზანს, —
გველეშაპს, მზეზე გაზმორებულს და უცხვირპიროს.
კაბალს და აფენს * შეიტბორებს — მდორე თანამგზავრთ,
რომ მათთან ერთად დაღესტანის ცრემლით იტიროს.
ხამი მუხნარი! ხორკლი ბოყვიც გამოერევა!
ჯმუხი დევები დაღარულან ათასი წლებით,
გრიგალი ჰგრაგნის მაგარ ტოტებს, ვერ კი ერევა,
მათ შეჰყურებენ ნორჩი ხენი ღრმა მოწიწებით.
ანოყიერებს მიწის ქონი კუზიან ძირკვებს,
ასუყდა მუხა, გაიბოტა და სიზმრებს ირკვევს!

ულრანში ღველფავს დიდ მუხასთან ციხის ნანგრევი,
აქ ერთხელ ჰერეთს რაინდობა ჰქონდა ნაგემი,
დამშრალი არხი დახეთქილა ქვითკირნაგები,
ჩამოწოლილა მდუმარება გრძნობის ამრევი.
ენა რომ ჰქონდეს, მუხა ამბავს გადმოაფენდა,
თუ მეომარი მასთან ღამეს როგორ ათევდა.
თითქო დაღლილან ჩაქინდრული ხეები ფიქრით,
ხავსმოდებულ ტევრს დარევია მსუნაგი ფითრი,
წურბელის ჭანგით ჩარჭობია, ჭამს, ძღება ღალით,
შემაშფოთებლად ბუ ღავღავებს შებოღმილ ღამით...

იქნებ დასრულდა დრო დიდების — ამხობენ მუხას?
იქნებ შეუნთონ დაშაშრული დამშეულ ბუხარს?
თქვეს: „უნდა მოვჭრათ! აქ რას გვარგებს“? — ნაჯახი დაჰკრეს...
დაკვალთულ ხელში ბირდაბირი ღერღავდა მაყრულს,
დაჭრილი მუხა აჯანყებდა ტოტების აფრებს,
სისხლი გადმოსკდა, როგორც ბუღას, ყელგამოღადრულს.
მუხას წაქცევა არ უნდოდა, თავს იმაგრებდა,
იძრა, შეირყა, აჭახჭახდა...
გავარდა მეხი...
გადაიზნიქა,
დაძლეული სხვებსაც ამტვრევდა,
დაეცა მუხა,
ქონდრისკაცმა დაადგა ფეხი!

1925

---

* პატარა მდინარეები კახეთში.

დედისერთა ლენინთან

„შვილო, ეგების გამიგო ჩემი ვაჟიკას ამბავი. შენ ყველა გიცნობს, ხმა მიაწვდინე. ომიდან შინ აღარ დაბრუნებულა. ცხრა წლის წინათ კიდევ მივიღე წერილი, რაღაც სამოქალაქო ომში ვიბრძვიო. შემდეგ აღარაფერი ვიცი. მკვდარია თუ ცოცხალი? მე კი სულ შვილის მოლოდინში ვარ. დამწყდა თვალები. გამიგე, აგრემც შერჩები ქვეყანას!“

დედის წერილიდან

გარეთ ცივა, ჰქრის ქარი!
მთვარე ვახშმობს მუხებში.
დახშულია ჭიშკარი,
აძევს კლიტე უხეში:
დედაბერი მიმჯდარა
ბუხრის ახლო, კუთხეში,
თვალში ცრემლი დამშრალა...
მოხუცს ვინ სცეს ნუგეში?

ჩასთვლემს, ისევ იღვიძებს,
ღამეს თეთრად ათენებს.
გულისყური ერთზე აქვს,
მის გულს ერთი ამრთელებს.
მუხლი მაინც უჭრიდეს,
ხალხს შესძრავდა ომით ის.
აღარ ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის.
ლოდინი და იმედი!
ხვალეც ღამე ლოდინის!

მას ბურანში მოესმის:
— დედი, გახსენ ჭიშკარი!
მე ვარ, ნუთუ არ გესმის?
გარეთ ცივა, ჰქრის ქარი!
შენი შვილი დაბრუნდა,
დედისერთა ვაჟიკა,
უვნებელი, მაგარი,
როგორც სალი კაჟი ქვა!

გახსენ კარი, დედა, უ!
შენს შვილს გარეთ რა უნდა?
ეს ხომ მე ვარ! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!

დედა ენას ვერ აგებს,
სწრაფად დგება მძინარი,
სიხარულით ცახცახებს:
— შვილო, დედა შინ არი! —
კარებს აღებს ღელვილი.
იქ არვინ ჩანს მღიმარი!
ცრემლით წყვდიადს შესცქერის,
ტკბილი იყო სიზმარი!

როს მოხუცი ბუხრის წინ
შვილს სიზმარში ხედავდა,
ამ დროს მისი ვაჟიკა
მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა.
ის იბრძოდა წითლებთან,
წითელ დროშას იცავდა.
ჯარისკაცი რუსეთში
ლენინს გაჰყვა მტკიცედა!
პირველ რიგში დაეცა...
ტყვიამ აღარ იცადა!
მისი კვნესა: „ოჰ, დედა!“
ზარბაზანმა დაჰფარა.
თავი დასდო ხალხისთვის,
სისხლი ნორჩმა დაღვარა.
ნახა საძმო საფლავი,
ვეღარ — დედის ჭაღარა!

და იმ დღიდან მოელის...
გარეთ ცივა... ჰქრის ქარი!

ზის და უცდის გულმკვდარი
დედისერთას მთის ქალი.
მუდამ ფხიზლობს, მზად არის,
შვილს გაუღოს ჭიშკარი!
თავზე დასთენებია,
ამოსულა ცისკარი.
აღარ ძალუძს საბრალოს,
შავ ძაძებში დრო მიდის.
„დედა მას ენაცვალოს“!
ხვალეც ღამე ლოდინის!

1927

ახალ საქართველოში

წინაპრების ჩანგურო,
შენ, უხსოვარ დროისა,
აჟღერილხარ ზეიმზე,
ზარიც გითქვამს გლოვისა.

შენ იცოდი ერთგულთან
საიდუმლოს განდობა,
შენზე მუდამ მღეროდნენ
ჟამთა ცვალებადობას.

შენზე შოთა აენთო,
ლახტი სტყორცნა ტარიელს,
ავთანდილმა, ფრიდონმა
გზა ბრძოლებით გალიეს.

ილიამ და აკაკიმ
ცრემლით გილბეს ლარები,
მაინც მღერდნენ: „აყვავდი,
გვეყუდნოდეს ძალები!“

მთის არწივმა, დაჭრილმა
ვაჟამ, გულში გიკონა,
მიგდებული, მტვრიანი
ისევ ხალხმა გიპოვნა.

საყვარელო ჩანგურო,
შენ, უხსოვარ დროისა,
ჩემს ხელში ხარ, ვიმღეროთ,
დრო წავიდა გლოვისა.

1935

გაზაფხულის სიმღერა

გამარჯვების დღე, 9 მაისი

იამ მახარა გაზაფხულზედა,
ვარდი მეყარა უხვად გულზედა,
მზემ დაანათა იალბუზზედა,
ხმა აგუგუნდა მინდვრად ხნულზედა,
გაუმარჯვიათ ომში წასულებს!

ცხრა მაისია! რა ხალისია!
რა საზეიმო სამზადისია!
თვალში ცრემლი მაქვს სიხარულისა,
გადამეხვიე, შენი გულისა!..
გაუმარჯვიათ ომში წასულებს!

გულზე მეფინა ვარდის მშვენება,
გავალ ქუჩაში, არ მესვენება.
იამ მახარა გაზაფხულზედა,
ხმამ გაიელვა მინდვრად, ხნულზედა...
გაუმარჯვიათ ომში წასულებს!

1945, 9 მაისი.

ომგადახდილო ვაჟკაცო!

ომგადახდილო ვაჟკაცო,
რამაზ, იმედო მარადის!
რამდენი ჭირი გინახავს
ბერლინის ციხის კარამდის!

გამარჯვებული მომიხველ,
შუბლზე სიამე გადამდის!

დღეს ჩემს სიხარულს თან ერთვის
სიმღერა მტკვრის და არაგვის!

მე რაღა დარდი მომტეხავს,
ჩემი სიკვდილის კარამდის?
ომგადახდილო ვაჟკაცო,
რამაზ, იმედო მარადის!

1946

ჩემი სახლი ჯუგაანში

დგას ჩემი სახლი ჯუგაანში განმარტოებით;
გარეშემკულა ვაზებით და ხეთა რტოებით.

კედლის წარწერა, გეგონება, ირმის რქებია
და ეს გვანიშნებს — პაპიჩემის ანაგებია.

წარწერა გვამცნობს „ალექსანდრე მოძღვრისა ვარო“,
ისევ მკვიდრია: ჩარჩო, წალო და ბუხრის თარო.

ეს მყუდრო სახლი არ ყოფილა ჩემთვის საკანი!
აქ დავიბადე, იქ დაირწა ჩემი აკვანი!

მათამაშებდნენ და მართობდნენ ხელში აყვანით.
ყველა წავიდა... ვინღა დარჩა, რომ ვცე თაყვანი!

პაპას ვუყვარდი, ყოველ დილით იყო მნახველი,
თვითონ მომნათლა და დამარქვა თავის სახელი.

მიმიხარია, ვნახო სახლი პაპისეული,
აქ ძალას ვიკრებ, თუნდ სიბერით ვიყო სნეული!

დგას ჩემი სახლი ჯუგაანში განმარტოებით;
გარეშემკული ვაზებით და ხეთა რტოებით;
მის აივანზე კვლავ მოვსულვარ, მხოლოდ დროებით...

სახლო, რამდენ ხანს გასძლებ კიდევ ეგრე მდუმარი?
შენ დღეგრძელი ხარ, მხოლოდ მე ვარ შენი სტუმარი!

1967

ზღაპარი იყო

მარიოს

როგორც მძერწავი სილამაზეს ჩააქსოვს ქვაში
და ვერ წაშლიან, თუ იგი ქვა არ დაამსხვრიეს,
ისე ეგ სახე აღიბეჭდა ჩემს არსებაში
და სულ იქნება, სანამ ვუმზერ ნათელ მზის სხივებს.
დამტოვე, მაგრამ ჩემთან მაინც ხარ განუყრელი,
როგორც მშვენება ამოჭრილი ქანდაკებაში;
ისევ შენგან ვარ ამაყი და ქედმოუხრელი,
შენ მეხმარები საზეიმო ამღერებაში.
თუმცა ჩემს გულში ერთი სიმი მაინც ქვითინებს,
რადგან სიზმარში მხოლოდ ლანდი იმედს მომაფენს...
ეხ, სანატრელო, შენი ყოფნა ზღაპარი იყო
და მოგონება იმ ზღაპრისა აღმაფრთოვანებს!

1966

როცა თქვენთან აღარ ვიყო, ვაჟებო!

როცა თქვენთან აღარ ვიყო, ვაჟებო,
წამოიღეთ ის ჩანგური გლეხური, —
მოდით ახლოს, ჩემი ნიშის გარშემო,
დაამღერეთ, თან ჩააბით ფერხული!
მე მიყვარდა თქვენი ჟივილ-ხივილი,
აღტაცება ნეტა ჩემი გენახათ!
თქვენ გიცქერდით, გამივლიდა ტკივილი,
დღესაც გულზე ჩემი ძეგლი თქვენა ხართ!
ხმას გავიგებ, მიწა ვერას დამიშლის,
თქვენს სიხარულს, როგორც სუფრას გამიშლის.
სიყმაწვილე ისევ მომეჩვენება...
მოდით ჩემთან თქვენი წმინდა ფიქრებით,
საქართველო თქვენით იდღეგრძელება,
მე თქვენს გულში სულ ცოცხალი ვიქნები.

1947

იოსებ გრიშაშვილი

სამშობლოსადმი

„ეს მთა ჩემია! ეს ხე ჩემია!“ —
მე ვიმეორებ ყოველ ცისმარე.
სხვის მიწის ხვეჭა არა გვჩვევია,
ჩვენ საკუთარი ჩვენიც ვიკმარეთ.

„ეს მთა ჩვენია! ეს ხე ჩვენია!“ —
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს.
თუკი რამ კარგი გადამრჩენია,
ისიც სამშობლოს დროშად ანთია.

სამშობლოს დროშა, როგორც ფოლადი,
ერთი მიზნისკენ ჩვენს გულებს იკრებს...
გულო! მებრძოლებს გაუტოლადდი,
თოფის ლულაზე აწყობდე ფიქრებს!

ჩემს სიცოცხლეში ზამბახზე მძიმე
არ წარმომითქვამს სიტყვა და ლექსი,
პეპელას ფრთებზე გამოვიძინე,
მინანავებდა სიოს ალერსი.

როგორც მებრძოლი, ეს მართალია,
მე არ ვყოფილვარ, ძვირფასო, წინათ;

ჩემში რითმამ და თოფის ფალიამ
თანამოსაგრედ ვერ იქორწინა.

მაგრამ თუ ატყდა ომი ფიცხელი,
შემოანგრიეს მზა ჯებირები,
კალმის მაგივრად ხმალს ვტაცებ ხელსა...
პოეტებს აქაც გავეჯიბრები.

„ეს მთა ჩემია! ეს ხე ჩემია!“ —
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს,
და თუ რამ კარგი გადამრჩენია, —
ისიც სამშობლოს დროშად ანთია.

1988

გამოთხოვება ძველ თბილისთან

ანუ

დუდუკის საარი ქარს ალარ მოაქვს

1

შენ აგიხსნია ბევრი ქარაგმა,
ქორონიკონის კენტი და ლუწი, —
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უწინ.

თუ ჩაგივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირებიხარ ამ ქუჩებს კარგად —
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ჩარგა.

სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
თუ შენში მაინც ოდნავ ელვარებს —
მიხვდები, ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.

მიხვდები, რატომ არ დაერიდა
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას
და რატომ ვცდილობ ამიერიდან
ასე თამამად წარსულის ხილვას.

აი სეირი ჯერ არნახული!
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ ჩანს ურმები მოჩარდახული
ღამისმთევლებით ბოლნისის გზაზე.

ღვინოს საფლავზე არვინ მიგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, —
ეს, სადღა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით!

კრივი, ამქარი, ცეკვა, ათურმა, —
ეს ადათები ძველთაგან ძველი
გადაივიწყა სიტყვამ ქართულმა
და დამრჩა... სევდა წაუბაძველი.

აი, პარმაღზე ვწევარ გულაღმა.
ჩემი ოცნება ფრენას ვერ ითმენს.
აი, აფეთქდა აისი ნაღმად,
აი, ლექსისთვის ვეწვიე რითმებს.

ძველებურ განცდით ვდარაჯობ ნიავს,
რომ შორეული ჰანგი მომფინოს —
მაგრამ ზურნის ხმა ვიღაცას მიაქვს,
ვერ აღწევს ჩემი სახლის ლორფინოს.

დუდუკის ნაცვლად — ქარხნის საყვირი.
დუმბო და ზილი დაახშო რკინამ.
ბულბულს—ყაფაზა. გრძნობას—აღვირი.
აღარც დუდუკი... აღარც ყიჟინა...

და მე არ ვიცი ვიღას ვემონო,
ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი...
ვრჩები ოტელო უდეზდემონოდ
მე სხვა ცხოვრების წინამორბედი.

ძველო თბილისო! დღეს ისე მკვეთრად
ვეღარ შეგაქებ... არ მაქვს უნარი...
მაგრამ ვამაყობ, რომ ჩემთან ერთად
დარჩები მუდამ გაუხუნარი.

ძველო თბილისო! ჩემი მიზნები
აღარ მაქვს, გულში რომ ვინახავდი...
გადაწყდა, უნდა შევცვალო გზები...
ძველო თბილისო... გტოვებ... ნახვამდის...

1926

ლენინის მოედანი

წამო, მითხარ, სადაური კაცი ხარ,
რას დაფრინავ ცაში კამარ-კამარა!
შეხე — ადგილს ნაომარს და ნაცხარს
რა ატლასი შემოუკრავს ქაშარად.

რომ ახაროს ახალ ნერგებს მაისურს —
„არ არისო ძველებური ქარვასლა“. —
აქ მერცხალსაც უჭიკჭიკოდ არა სურს
მთიდან მთაზე გადაფრენა, გადასვლა.

მხარბეჭიან ისნის აღმართს ემხრობა
ეს ფოლორცი — სიხარულის მთოვარი,
აქ ფიცს იღებს ჯუღაშვილის მხედრობა,
რომ დაიცვას ქვეყნის მონაპოვარი.

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო
და თბილისი — შიგ ჩასმული ბადახში.

გავცქერ არეს უხინჯოს და უნაღვლოს,
წერეთელის დინჯ შუბლივით გადაშლილს.

ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს!
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!
ეს ჩუქურთმა ჩამოთლილი ინახად
თავისუფალ საქართველოს ხვედრია.

გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ!
ჩაეზარდე მშობელ მიწას ფესვებით.
ახალ თბილისს — ახალ კოკორს ნაღვიძარს —
უგალობე ნამუსიან ლექსებით.

1941

გრიგოლ ორგელიანი კომკავშირის ხეივანში

1

ეს რა ხეა აქ დარგული,
ეს რა ქვები ალაგია,
ეს თბილისი — ქართლის გული —
გორგასლანის ქალაქია?
სად წავიდა ვიწრო ქუჩა,
დაგრეხილი, როგორც ვაზი?
ფატმას პირი რატომ უჩანს,
სად ჰყავს თავის ასლამაზი?
არც მურვანყრუ, არც შაჰბაზ
აღარ მოსჩანს განჯისკართან
და ყაფლანის ქართულ კაბას
გასცვეთია ყოშის კალთა.
ბაღჩა-ბაღებს, ნერგებს, ლერწებს
აუვსიათ ორთაჭალა,
ახალ თბილისს უალერსებს
საქართველოს ნორჩი ძალა.
— ამოძრავდი, დედამიწავ,
გულო, ჩადექ საგულესა!
დრომ მოყვარეს თაფლი მისცა,
მტერს ნაღველი გაულესა.

2

რომ არ ვიგრძნო, განა ხე ვარ?
ყაბახიდან აბანომდის
გამარჯვებულ დროშის რხევა
სათარ-აღას ჰანგად მომდის.
აღარ მოსთქვამს ნიკოს მტკვარი,
არ აწუხებს ძველი ელდა,
ჩანს, სამშობლოს სატკივარი
მოუშუშდა, გაუმთელდა.
უშფოთველად, არხეინად
იღიმება ნარიყალა;
კოჯრის სიომ ამ ხეივანს
ეს თაფშურმაც მიაყარა:
„ვიზრდებით და ცეცხლად ვღვივით,
აღარ გვყოფნის სიგრძე, განი,
რუსთაველის ბეჭებივით
დგას თბილისის გალავანი“.
— ამოძრავდი, დედამიწავ,
გულო, ჩადექ საგულესა!
დრომ მოყვარეს თაფლი მისცა,
მტერს ნაღველი გაულესა.

1089

კათალიკოსმა ცეცხლში გასწმინდა:
„ამაოდ დაშვრა, საწუხ არს ესე!“
ეს შვიდასი წლის წმიდათა წმიდა,
ეს შვიდასი წლის ნორჩი მელექსე.
მე მესმის, როცა ადნობენ ოქროს,
ცეცხლში აგდებენ დასახვეწელად,
რომ უფრო მტკიცედ გაიბობოქროს
და ელვარებდეს ნაზად და მწველად...
მაგრამ დაიწვას აზრი და ტვინი?
პოეტის სიტყვა? შემოქმედება?
ო, ეს შერცხვენის მძიმე გვირგვინი
ძველ საუკუნეს ლაქად ედება.
ცეცხლში ჩაჰყარეს, დასწვეს, დასდაგეს,
მაგრამ ვერ მოსპეს შოთას ჯიშები.
არ შორდებოდა ქართველის ბაგეს
ეს ჩუქურთმები, ეს ზარნიშები!
სადაც კი იყო: ქალაქს თუ მთა-ველს,
სიმშვიდის ჟამს თუ ბრძოლის გუგუნში —
არ ივიწყებდნენ დამწვარ რუსთაველს,
ფერფლს ავგაროზად მალავდნენ გულში.
ვინ შეაგროვა ნამწვი ძვირფასი,
ვინ გააჩაღა ფერფლი ჭაღარა,
ვინ დასწვდა ამ ფერფლს და ოქროს თასით
პოეტებს თავზე გადმოგვაყარა?
— ორი მდინარე ჩაუდის ხერთვისს,
ერთმანეთს ეკვრის, დუდუნებს, შფოთავს;
ორი სახელი ერთმანეთს ერთვის:
დიდი ბელადი და დიდი შოთა.

1937

ჩემი აღმართი

(რ ო მ ა ნ ს ი)

ეხლა შენ ჩემთან აღარ დადიხარ!
ამბობ: „შორს ცხოვრობ, აღმართი მღალავს!“
შენ რიოში ხარ, როგორც სადიხა!
და ჩვენს სიყვარულს არ უხდი ღალას!
როცა გიყვარდი, ვგავდი ია-ვარდს,
მე არ ვიცოდი, რა იყო დარდი!
ლექსად ვფანტავდი ფერთა ნიაღვარს,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...
როცა გიყვარდი, ჩემი ხარფუხი
შენს შესახვედრად ფეხზე დგებოდა
და სუბსარქისის მკაცრი ქარბუქი
უნაზეს სიოდ გეჩვენებოდა.
როცა გიყვარდი, ბევრჯერ შევაქეთ
ჩვენი ტუჩების შირაზის ვარდი;
ჩემი აღმართი მიგაჩნდა ვაკედ,
როცა გიყვარდი... როცა გიყვარდი...

1928

აპრილი თბილისში

მუნასიბი არქივიდან ამოსვლის შემდეგ, როცა ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებდა.

რად ავიხირე არქივი
სულის და გულის მდაღველი,
ან რადა ვშრომობ ამდენსა,
განა ცოტა მაქვს ნაღველი?

მინდა, ავცელქდე, ვით უწინ,
მაგრამ რომ არა მცალია?
სოსო, რა კარგი დღე არის!
სოსო, რამდენი ქალია!

რად ვეჭიდები ამ გუჯრებს, —
ამ ცხრა თავიან მდევებსა, —
ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი
მე ამდენ გამოკვლევებსა!

ჰაერში ოქრო ლივლივებს,
მთებზე — ზურმუხტი, ლალია...
აფსუს, რა კარგი დღე არის!
აფსუს, რამდენი ქალია!

სადა ხართ, ლამაზმანებო,
მოდით, დამათვრეთ ბუნებით.
ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით.

თორემ ვბერდებით... და გულმაც
ლოდინის შხამი დალია.
ჰაუ, რა კარგი დღე არის!
ჰაუ, რამდენი ქალია!

1920

დავბერდი? არა!

ცხოვრებისაგან წყალწაღებული
მე შენს სიყვარულს ჩამოვეკიდე.
გამარჯვებული, გალაღებული
მიყვარხარ კიდევ!

დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზე უტკბესო!

ვინ დააწყნარებს მეტეხის მორევს?
ვინ შეაჩერებს ლექსს ნიავქარულს?
მტკვარში ცოცხალ თევზს ვერვინ გამოლევს,
გულში — სიყვარულს.

და თუ ხანდახან ფშატის ხესავით
ვერცხლის ჭაღარას მეც შევერევი, —
გწამდეს, შენს თვალებს დაუკვნესავი
ვერ შეველევი.

დავბერდი? არა! ლექსების ფერებს
დაჰკრავს სურნელი საუკეთესო,
ნამდვილ სიყვარულს რა დააბერებს,
სულზე უტკბესო!

1940

გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე

ქვევით, ბაზარზე, კვირადღით, ვანქთან,
მტვრიან ქუჩებში, დამპალ ჰავაზე,
წონით ვიყიდე ექვსი გირვანქა:
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე.

„მე თეკლასი ვარ!“ — ასე ეწერა
ერთ წიგნს, დაბეჭდილს ვახტანგის თეგზე;
და მეორეზე — ყრუდ, ალმაცერად:
„ნუღარ ვიფიქრებთ ილიას თერგზე!“

სხვაში — კვნესოდა ქართულ რომეოს
და ჯულიეტას წმინდა წარსული;
ერთშიც — თუთუნი იდო, რომელსაც
ჰქონდა მუშკამბრის ქალწული სუნი.

და გავიფიქრე: ვინ არის ნეტა
ამის პატრონი ან გამყიდველი,
რომ პარკებისთვის გამოიმეტა
დავით რექტორის ნაწერი ძველი?!.

იქნებ მის ბედი ბეწვზე ჰკიდია?
ან დამათხოვრობს, ან ავად არის —
და გროშის ფასად გაუყიდია
წიგნი სათუთი, ნათავადარი.

აი სად ჰყრია ჩვენი დიდება!
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!
აი ქართლის ხმა სად იყიდება, —
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!..

და მე არ მჯერა ის მწარე აზრი,
ის ბედისწერა დაუდგრომელი,
რომ ჩემს წიგნებსაც ვანქის ბაზარზე
ეს სამწუხარო ბედი მოელის!

მე ვილეოდი, ვით მწუხრის სხივი,
მერმისის ფიქრი კვალდაკვალ მსდევდა —
და იზრდებოდა გულში შხამივით
ბესიკის ბაღში გაზრდილი სევდა.

1927

ერთი დღე სოფელში

1

მგალობლიშვილი დიად ილიას
„ხალხში არ-გასვლას“ უკიჟინებდა.
რა ვქნა, სოფელი არ დამივლია,
სოფელი თავის ყისმათს მინებდა.

გინახავთ კოჭლი ქალის ქევქევი
და სიარული სულ სხვანაირი? —
ასეთი იყო იმ სოფლის ხევი
ჩემი ემბაზი და ჯაზაირი.

. . . . . .

მე ვინახულე სოფელი ბებდა,
მაგრამ ვერ ვნახე მე იქ თანხმობა:
ახალგაზრდობა ამ დროს აქებდა,
მოხუცებს სურდათ მათი დამხობა.

მე ვნახე კაცი ჭაღარა, ქოსა,
გაოგნებული სადღაც წნორებთან,
ლეღვის ფოთოლი ტანზე ემოსა
და შეშმიშივით თვალს მისწორებდა.

მკერდზე ილესდა პატარა ჯაყვას,
მაღლა ჰგოდებდა, ვით ბაგრატდიდი:
„მებორნეს ხალხი აღარ გადაჰყავს,
„წყალზე ააგეს ახალი ხიდი.

„ვერ ავიტანე მე ეს სხვაობა,
„გულში შემიჩნდა გუმანის ჭია,
„მოსულა ვიღაც ახალთაობა
„და ძველი მუხა გადაუჭრია! —

და როცა ვკითხე ყოფილ მარჩიელს:
„რაღა ხარ ასე ეულად მყოფი?“

სთქვა: „არაფერი არ შემარჩინეს,
„გამწმინდეს როგორც ყირიმის თოფი!

„ახალი სიტყვა ველარ დავხაზე
„სხვა ნააზრევით გაუცვეთელი;
„აი იხილე სახის ჩარდახზე
„ჩამომდინარე სისხლის წვეთები!“

2

და მათ როდესაც გამოიტირეს
თვისი წარსული უსაყვარლესი,
მე თვალი მოვკარ ჭაბუკ მესტვირეს,
რომელმაც ტკბილად დამღერა ლექსი.

იგი მღეროდა მდუმარე ხევზე,
როცა მიდამოს ღვარი ახრჩობდა;
როცა ფიროსმანს თავის მეთევზე
გადმოეყვანა მხატვრის ჩარჩოდან;

როცა წარსულში თავადი ბარამ
ამათრახებდა თავის ყმას წკეპლით;
როცა საწოლში მან დაიბარა
პირველი ღამის ლამაზი მსხვერპლი;

როცა სინათლე სოფელს არ ახლდა,
სიბნელეს ეპყრა ჯარჯები შვინდის;

როცა ნაღველი ისე ამაღლდა,
ვით სახრჩობელა ჯორჯიაშვილის...

სად იყო ყამარ, სად იყო ნესტან,
ვინ ატირდება ძველის ლოდინში?
თვით ჩემი ლექსიც იმ მწყემსის ლექსთან
იმზირებოდა როგორც ბოდიში.

რა დამავიწყებს იმ ნეტარ სურათს,
იმ გრძნობის კოცონს, იმ მზის სიალეს, —
მე მივესალმე მწყემსებს მწყემსურად
და მათი შუბლი გავიზიარე.

ჩაჩქანს, მუზარადს, ერეკლეს თაფას
მწყემსი ლექსებში აღარ ახსენებს,
იგი უგალობს მკლავსა და ჯაფას
და მოუწოდებს ახალ არსენებს.

1084

მეისტორიევ, წიგნი დახურე!

მეისტორიევ, წიგნი დახურე!
კმარა წარსულზე თქმა ამაყური!
თავი აიღე, მზეს გადაჰყურე
და ახალ გმირებს მიაპყარ ყური!

მიმოიხედე, რა ხდება ირგვლივ,
რა გვამწუხარებს, რა გვანეტარებს, —

ყოველი ხე და ყოველი ჩირგვი
უამრავ გმირის სახელს ატარებს.

ძველმა გმირებმა დაგვზარდეს კაცად,
გვწამს მათი მზერა და მითითება,
იმათ მარჯვენას და იმათ ნაცად
ბილიკს მივყევართ, ვაშა! დიდება!

მაგრამ რამდენი გმირია ეხლა
ჯავარიანი ხალხის გენია!
მათი საქმენი, მათი სახელი
დაგიწერია? დაგიდგენია?

დასთმე დროებით ძველის ძიება
ფოლიანტებში ჯაფით და ქშენით!
შეამჭიდროვე მცირე სიებად,
მეისტორიევ, გმირები შენი.

ჩამოისვენე, წიგნი დახურე,
კმარა წარსულზე, თქმა ამაყური,
თავი აიღე მოჭირნახულე
და ახალ გმირებს მიაპყარ ყური!

1941

კიროვის ბაღში

..გუშინ ერთ-ერთ ასეთ საღამოს გავსწიე
„მოსკოვის კარისაკენ" და უცბად სასა-
ფლაოზე კი გავჩნდი"

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

გუშინ საღამოს გავისეირნე
და გავჩნდი უცბად „მოსკოვის კართან".
ალბათ აქ იყო ტევრი საირმე...
ალბათ აქ იყო სავანე მკვდართა...

თვალშეუდგამი ეს არემარე,
ხევი, ყორღანი ესოდენ ვრცელი,
დღეს აღარ არის მშვიდად მთვლემარე,
გაუმარგლავი, ნირშეუცვლელი.

აქ ვარსკვლავები ოქროს ლურსმნებით
მიჭედილიყვნენ ცაში ოდიდან.
დამშეულ ყურით ხარბად ვუსმენდი
მტკვარს, მოელვარე კალაპოტიდან.

ბარათაშვილო! დღეს ამ ალაგას,
შენ რომ გიყვარდა ოცნებით ფრენა,
მზემ სუმბულები ამოალაგა
და ქარაფებმაც აიდგეს ენა.

წავიდა ის დრო, როცა ულვაშის
ღერი ფასობდა ერთ თამასუქად;
დროს ატარებდნენ წყევლა-კრულვაში
და თითბრის ღილი მიაჩნდათ შუქად.

ჭავჭავაძიანთ ქალის ჰანგებში
ჰგოდებდა ჩვენი სული ვნებული,
და როგორც მტრედი ქორის ჭანგებში —
ისე ვიყავით მინაბებული.

ახსენი ბაგე!.. ყველას უთხარი,
რომ ეს მიდამო იქცა ბაღებად,
რომ დავაჩოქეთ ბედი მუხთალი,
ავმართეთ სიტყვა ბაირაღებად.

დაიცა-მეთქი! შევხედოთ ყვავილს,
ქართულის ეშხით ქსოვილ ბუნებას,
ვუმღეროთ შარას, ლექსად გაყვანილს,
და გაზაფხულის შემობრუნებას.

და როცა სიმებს ჩამოვკრავთ თრთოლვით,
მივალთ ბავშვებთან ლაღად მჩინარი:
მე — შემოსილი ჭაღარა თოვლით,
შენ — ახალგაზრდა ნერგი ჩინარის.

1930

ნამცვრევი

ჩამოვიბერტყე წლები ქეჩოდან,
ისევ მონა ვარ ძველი კოცნისა,
გიხილე და ვთქვი: „ო, რას მერჩოდა?“
და ხელმეორედ გავხდი ოცისა.

მთვარე ხარ — გიყვარს ცად მოვანება,
თავთუხის ძნა ხარ გაულეწელი,
გნახე და მყისვე ჩემს წლოვანებას
ჩამოეწერა ორმოცი წელი.

რად მომივლინა ზეცამ სასჯელი?
ახალი ეშხი რად მაგრძნობინა?
რად დამიშაქრდა ფიქრი მტანჯველი
და ყვავილებით ამევსო ბინა?

ასეთიაო მგოსნების ბედი,
მათი ეკალიც ჰყვავის ვარდებად.
მაშ ნუღარ ამბობთ: „სოსო, დაბერდი!“
და აღარავინ შემიყვარდება!..

მე ჩემს იღბალთან კიდევ მსურს შეხლა,
აკაკის ლექსი წინ მიდგას მცველად:
„თითქოს ჭაბუკი ვიყო მე ეხლა
და ვყოფილიყავ მოხუცი ძველად!“

1948

სადღეგრძელო

შენს სადღეგრძელოს, ახალო წელო,
ვსვამ მამიჩემის შევერცხლილ კულით.
მადლად მიიღე ეს სადღეგრძელო —
ამონათქვამი ანკარა გულით.

სადაც წახვიდე — ქვაც აგიმწვანდეს,
ყლორტები გექცეს მებრძოლ ბიჭებად.
იარო — დევის ნამუხლარს ჰგვანდეს
შენი ყოველი გადაბიჯება.

გულში ჩაინთე ერების ძმობა,
იდიდებოდე დიდის დიდობით,
იყავ მდიდარი, ვით „გამარჯობა!“
ღარიბი — როგორც სიტყვა „მშვიდობით!“

მტერი ვერ ამჩნევს შენს თვალს ახელილს,
გიტევს თამამად! იყავი ფრთხილი!
კენჭებს ესვრიან ხშირად იმ ხეხილს,
რომელსაც ბლომად ასხია ხილი.

აავსე თასი! შესვი! გაამოს!
აგევსოს დღენი, ახალო წელო,
რომ ქვეყნის დუშმანს, ბნელს, უღიმღამოს.
ეს გამარჯვებაც დაუსახელო.

იდიდოს შენი ნორჩი სახელი,
შენს სადღეგრძელოს ყოველ წელს ვსვამდე,
ერთად ვიაროთ, — ჩამკიდე ხელი, —
გამარჯვებიდან გამარჯვებამდე.

1939



ვალერიან გაფრინდაშვილი

ისეთი ლექსი

ვიყავი მხოლოდ ლექსით მდიდარი,
არ მიძებნია მეტი ქონება
და ლექსის გარდა არავითარი
მე არ მხიბლავდა სხვა შთაგონება.

ისეთი ლექსი დავწერო მინდა,
რომ არ დამჭირდეს კვლავ ლექსის წერა,
მსურს, დავიფერფლო, ვით ცეცხლი წმინდა
და ეს იქნება გედის სიმღერა.

ჩემი სიცოცხლე არის ლოდინი
ამ აგონიის და ამ სიმღერის.
რამდენი წელი, დღე რაოდენი
ვიყავ მძებნელი იდუმალ ფერის

მე აღარ მინდა მეტი წვალება,
სულის და ხორცის ყოფაზე ზრუნვა,
დღეთა კოშმარი ცეცხლისთვალება,
რითმების ძებნა, სიტყვების ბრუნვა.

კმარა, გათავდეს მწველი ამბავი,
უკანასკნელად ვიმღერო, მინდა,

ლექსი, ჩემს შემდეგ დასასტამბავი —
ჩემი ანდერძი და სიტყვა წმინდა.

და მაშინ ვიტყვი გულგაპობილი:
— ბედო, შავპირო, გამიშვი ახლა,
გულში ჩამიკრავს მიწა მშობელი,
დამიტირებენ ვარსკვლავნი მაღლა... —

ისეთი ლექსი დავწერო, მინდა,
რომ არ დამჭირდეს კიდევ ცხოვრება,
და მჯერა, ჩემი სიმღერა წმინდა
სამშობლო მხარეს ემახსოვრება.

1987

ROMBS

ხარ ფალავანი და ბედაური,
შენი ტალღების მიყვარს თარეში,
შენი ნანინა, შენი ხმაური
ჩამწვეთებოდეს თვით სამარეში!

სუსხიან სევდით დაუბურავი,
მუდამ დამტკბარი იისფერ მთებით,
აღტაცებული ვიყავ მცურავი,
ვუერთდებოდი შენს ტალღებს ვნებით!

თავზე ტირიფის გვირგვინი მედგა
და გავდიოდი გაღმა მხარულით.
მე შევუტევდი შენს ტალღას მედგარს
ახალგაზრდობით და სიხარულით.

ზევიდან ჩქერებს გამოვყვებოდი
და მივცურავდი ხიდქვეშ სიმღერით.
როგორც ისარი, წყალზე ვდგებოდი,
მთვრალი, ანთებულ ძარღვების ძგერით.

როგორ მიყვარდა შენი ტივები,
მათი შეხვედრა და მათი დევნა,
ბრინჯაოს ტანზე წყალის მძივები,
ღრმად ყვინთაობა და შენთან ხვევნა!

*

მახსოვს ბორანი ლაჟვარდისფერი,
ზედ გაშლილ ქოლგით უცნობი ქალი.
შემომეშხეფა სოველი მტვერი,
სული სავსეა ტრფობით და წყალით.

პირველი გრძნობის, პირველი ფიქრის
მესაიდუმლე მუდამ იყავი.
ჩემი ოცნება ზღვისაკენ მიჰქრის
ვით შენი ტალღა შორს გამრიყავი!

მე ვსარგებლობდი შენი არევით,
თევზებს ვიჭერდი ჭიან ანკესით,
შენ ყურს მიგდებდი მეგობარივით,
როცა გითხარი პირველი ლექსი.

დაუშრეტელი მწვანე ველებით
მხიბლავდნენ შენი სანაპირონი;
მოგქონდა დიდი საწნახელებით
მღვრიე მაჭარი, ცის საფირონი.

მე იორდანე შენი მიყვარდა
თეთრ ოლარებით, ბნელი ბრბოებით.
და, შენს მშვენიერ ტალღების გარდა,
ყველაფერს ვუცქერ ამაოებით.

როგორც დედასთან, მე შენთან მოვალ,
პატარა ბავშვის ტირილით გეტყვი:
მომიალერსე, დამიტკბე გლოვა,
კმარა სიცოცხლე სიცივით, სეტყვით!

ო, საყვარელო, კიდევ მწადია
შენი ტალღები, შენი ფაფარი.

ჩემო ემბაზო, ჩემო გადია,
მომეცი შენთან თავშესაფარი!

დაუდგრომელო! მე ისევ მინდა,
ვნახო უკვდავი შენი თარეში,
ვიგემო შენი ძახილი წმინდა,
რომ გამოვფხიზლდე თვით სამარეში!

1926

საოპერო თეატრის ქანდარიდან

მე ქანდარიდან დავყურებ სცენას,
ვით თუთიყუში, რგოლზე მთვლემარე.
ცეცხლი ედება ჩემს დამწვარ სმენას,
უვერტიურის ამოდის მთვარე.

მე არ მაოცებს პარტერი შავი,
რომ იკლაკნება ქვევით, სიღრმეში,
სწეწავს ოცნებას ერთი საკრავი
ავარდნილ ხმების სუსხიან ტყეში.

და ეს საკრავი წეროა ნაზი,
ისვრის ნისკარტით ბგერებს გარეულს,
რომ გააგიჟოს მთელი დარბაზი
და მისცეს იგი გზას სიზმარეულს.

თავისი კრება თითქოს სპირიტებს
აქ გაემართოს ორკესტრის ფსკერზე
და პაგანინი გაიჯირითებს
მიზრაფიანი და მოალერსე.

თავის არიას გრგვინავს ფაუსტი,
მას ოქროსფერი უსმენს ქალწული.
მე ვალპურგიის ღამეს დავუცდი —
ამღერებული და ფერწასული.

რაღაც სურნელი მატირებს ლურჯად,
ვით მოგონება გამქრალ წეროზე,
და ორკესტრიდან ამოდის ურჩად
მაღალი ია მაღალ ღეროზე.

ვეხები ყვავილს სველ წამწამებით,
მე რომ მეწვეთა ბნელ ქანდარაზე.
ჩემი ოცნებით, ჩემი წამებით
ვარ ნოვალისის მოასპარეზე.

1926

აუქციონი

სოველი, როგორც ხე ნატივარი,
მივესალმები ვარსკვლავთა საბელს,
მე დაკარგული ვარ სტრადივარი,
თუ მეძებს ვინმე, როგორც მაჩაბელს?

დავეხეტები თითქოს ვიონი,
რომ სადმე ვნახო შესაფარავი.
გაღებულია აუქციონი,
განათებული, როგორც ფარანი.

მელანქოლიის კმარა სირცხვილი,
მე ახლა ვდგავარ ანთებულ ბრბოში.
თვლემენ საგნები აურიცხველი:
ნარდი, მარაო, თამარის ქოში.

ჰყიდიან ნივთებს, როგორც ყრმა ქალებს...
ცარიელდება ეს არამხანა.
მე არჩევანი კიდევ მაწვალებს,
ამაოდ ვეძებ სათუთ ამხანაგს.

სარკესთან ერთად გაიყიდება
ჩემ „დაისების“ ძველი კრებული,
სადაც დაიფრქვა ლალთა დიდება
მეწამულ ცაზე აყვავებული.

უცნობი იძენს ცისფერ გასაღებს,
ზეცაში თუ აქვს მაღალი ბინა.
და ოფელია აქ გაასაღეს,
როგორც პატარა, ჩუმი ტიკინა.

კვლავ გაიძახის ყალბი ქადაგი:
ვის უნდა ბასრი სამართებელი?
მაგრამ მწყურია სხვა ნიადაგი
და ავირჩიე კარგი მხლებელი.

მე შევიძინე მცირე კოლიბრი —
იგი ხვითოა ფრთააღჭურვილი —
რომ ამისრულდეს დაუბრკოლებლივ
ყოველნაირი ჩემი სურვილი.

1980

ძველი პალტო

საზამთრო პალტო შავ ფოლაქებით
დეზერტირკაზე ვიყიდე ერთხელ,
მას მოვაცილე დიდი ლაქები
და ნაფტალინი მთლად გამოვფერთხე.

მე ახლა პალტო მაცვია სხვისი.
ამეკვიატა კითხვა გვიანი:
წინათ ვინ იყო პატრონი მისი —
მოხელე, მკვლელი თუ ავზნიანი?

თითქოს ვატარებ სხვის ცოდვებს ტანზე
და უცხო გრძნობებს დღეს ვიზიარებ:
მე ვიხედები ქუჩაში განზე
და ველოდები ქურდულ იარებს.

აღშფოთებული მუდამ ვრწმუნდები —
პალტო ჩემს ბედზე ახდენს გავლენას,
სახლში ღამითაც აღარ ვბრუნდები
და ბოროტ ღამეს მივაპყრობ სმენას.

დამებადება სურვილი ხშირად,
რომ გავათიო ხიდის ქვეშ ღამე,

ვიხეტიალო ველურ ნადირად
და ყაჩაღობის ვნახო სიამე.

თუ ეკუთვნოდა ეს პალტო პოეტს
ანდა კლეპტომანს შეშლილ თვალებით?
მე ახლა ვეტრფი ზღაპრულ ინდოეთს,
ჩემგან მოგონილ მტერს ვემალები.

მხოლოდ ეს არის ჩემი ოცნება:
მივყიდო ვისმე პალტო ცბიერი,
რომ არ დავკარგო პატიოსნება
და ვიყო სულით კვლავ ბედნიერი.

1911

სოფლისაკენ

მესმის ძახილი წინაპარ გლეხთა,
განვიცდი სევდას დაგვიანებულს.
რკინის ქალაქი ვის არ გატეხდა
და ახლა ვეტრფი სოფელს ზმანებულს.

ფოთლების პირით მითვლის ბუნება:
— რად დაივიწყე სიმინდის ყანა?
დაგმე სიყალბე და ფუფუნება,
მოდი, უმღერე მიწას ოსანა! —

წყეული იყოს დიდი ქალაქი,
ჩემგან ვით ციხე უარყოფილი.
მე მირჩევნია ქუჩას ჭალაკი —
ჩემი სამშობლო არის სოფელი.

და ცისარტყელა სჯობია კინოს,
ჩრდილს სახლებისას — ჭადარის ჩრდილი.
ავტომობილის მჭექავ სირინოზს
სჯობს უსათუოდ ურმული ტკბილი.

მომენატრება კერა და სხვენი,
აქედან ვუსმენ მოზარდ ბალახებს
და ვეტრფი, როგორც დაბმული ცხენი,
ზამთარის შემდეგ შორ იალაღებს.

ტყე მელოდება როგორც საყდარი,
საზიარებლად — სპეტაკი წყარო
და ღრუბლებიან ცის ნატახტარი —
მთა უმაღლესი და სანეტარო.

ხშირად ვოცნებობ დაკარგულ ქოხზე,
შარაგზას ვეტყვი ჩემს გულისნადებს
და, თუ გავცვალე კალამი თოხზე,
მშობელი მიწა არ მიღალატებს.
1926

თ—ს

მე მომაგონდა „ფიქრი“ როდენის,
როცა თქვენ გნახეთ, თიკო, პირველად.
ო, თქვენს თვალებში მარად ლოდინის
ჩანს მწუხარება გასაკვირველად.

როგორც ტირიფი, თქვენ იცრემლებით
მარმარის მსგავსად პირმომცინარე.
თავზე გასხიათ თეთრი ტყემლები
და მიგაქანებთ ჩქარი მდინარე.

თქვენი წარბები და წამწამები
ტანალეწილი მეძებრებია.
თქვენი ზრახვები განაწამები
გამოუთქმელნი ობლად კვდებიან.

არის თქვენს ხმაში კვნესა გედური,
მარადი ლტოლვა ვის არ დაღლიდა!
როგორც მიმოზა, სდუმს საყვედური
და იცქირებით მეტ სიმაღლიდან.

იქნება, იცით თქვენ სულ სხვა რამე
და ჩვენზე უფრო ხართ ბედნიერი?
და თუ გადმოგცათ ფაუსტის ღამემ
თავისი ჯადო, თავის იერი?

ასწია ქარმა თქვენი სხეული,
რომ ვარსკვლავებზე დაიჭრათ ხელი.
უკან ბრუნდებით ცრემლმორეული
და გადატყდება ქვითინში ყელი.
1926

გოლნისის სიონი

უხნიერესო! დროთა დროებამ
ეკლით შემოსა შენი თავანი.
დღეს აირჩიე განმარტოება
ისე, ვით პოზა ამპარტავანი.

შენ გეზმანება ძველი დღეები
და ძილში უსმენ ბრწყინვალე არაკს,
როს დედოფლები და მეფეები,
წარჩინებულო! გწირავდნენ ზვარაკს...

შენ გეზმანება სულ სხვა წირვები,
აბჯარასხმული ჯარების შეხლა.
და სარკინოზნი გასაკვირვები —
დადუმებულნი მიწაში ეხლა.

შენ გეზმანება თვითონ თამარი
და მშვენიერი მისი ამალა.
ო, ვინ გათხარა ჩვენი სამარე
და შენი სახე ვინ გადამალა?

შენთან მოვედი, ვით მოციქული,
გამოგზავნილი ხმაურ ფაზისით
მცირე მსახურად მაინც მიგულე —
ვცნო შენი სახე უძვირფასესი!

მე ცისფერ ყვავილს არ შეგადარებ,
უსპეტაკესი ხარ საფირონი.
დროთა იარებს მუდამ ატარებ,
მაგრამ ტკბილია შენი მირონი.

ცრუ მსოფლიოში ბევრი ვიარე
და ვერსად ვპოვე მე დამშვიდება.
შეუდრეკელო! მეც მაზიარე
შენს მარადიულ ციურ დიდებას!

1925

ზ ღ ვ ა

ზღვას ენატრება იყოს პატარა,
ვით უნაზესი ჩიტი კოლიბრი.
თავისი თავი ვარსკვლავს ადარა,
ცაზე რომ ბრწყინავს დაუბრკოლებლივ.

ზღვას მოეწყინა თავის სიმძიმე,
ბუმბერაზობა, გრიგალი, მეხი.
ნახა სიზმარში ტბა მოციმციმე
და ჩინელ ქალის მტკივანი ფეხი.

ზღვას აღარ უნდა თავის სისრულე,
თითქოს წურბელა გულზე მოება:
უღონო ტრფობით აწ დაისრულა —
სურს ბეჭდის თვალში განმარტოება.

რომ ქინძისთავის იგრძნოს სინაზე
და თავის სმენით გაჰყვეს ნაკადულს,
რომ საქანელას მსუბუქ რკინაზე
ჩამოეკიდოს, როგორც კაკადუ.

მაგრამ მოვიდა ამალით ქალი,
თავის სახელი წყალზე დაწერა.
ნიღაბიანი, როგორც გრიგალი,
იღიმებოდა ის ალმაცერად.

ტალღა ავარდა მჩქეფარე სვეტად,
ტალღა-აფთარი და ეიფელი:
თავისი თავი ზღვამ გაიმეტა,
გაჰყვა დედოფალს, როგორც შლეიფი.

1934



ნოე ზომლეთელი

საქართველო

(მოზაიკური სურათი)

ბრინჯაო. კრამიტი. ვაზი და სურო.
შავი ქვა. ნახშირი. კუპრი და ნავთი.
მარხილი. ურემი. ცული და ურო.
ნავი და ბორანი. ტივი და კავთი.

მარნები. ქვევრები. ტიკი და ყანწი.
სირაჯი. კურტანი. ცხენი და საპალნე.
გოდორი. გიდელი. გვიმრა და ანწლი.
ჭილობი. ნაბადი და ქეჩა საფალნე.

ფეტვი და ხორბალი. დიკა და შვრია.
სიმინდი. ლობიო. ღომი და ჭვავი.
ვაშლი და კუნელი. მსხალი და ბია.
ყურძენი. მაყვალი. მოცვი და წყავი.

ქედები. კლდეები. სერები. მთები.
მტკვარი და რიონი. ალაზან-ენგური.
მინდვრები. ველები. ძროხები. ცხვრები.
ზურნა. სალამური; დაფი და ჩანგური.

მთვარიან ღამეში შარაზე ურმული.
გუთნური გუთანზე, სიმღერა კალოზე.
გარუჯულ სახეზე კაეშნის ჯურღმული.
კაეშნით სიმღერა სევდიან კილოზე...

ორპირი ლაშქრული. ორპირი მაყრული.
ქორწილი სეფაში. გაშლილი ქეიფი.
სიცოცხლე ნატვრული. ცხოვრება მხატვრული.
სიმდიდრე ლალისა და თიხის სეიფი.

მეჯლიშის სიუხვე, სიცხადის სირუხე.
ბროლის და ზურმუხტის იატაკ-ბანები.
ფირუზის ჭერები. ბაზალტის სერები.
საპფიროს კოშკები. ლაჟვარდის გლდანები.

ტყეები. ჩირგვები. შამბი და ბალახი.
ფშანები. ყანები. მწვანები. მოლები.
სახლები. ძაღლები. ორღობე. ტალახი.
და გველებრ კლაკნილი მდინარის ზოლები...

მთიები. მთიები. მთიები. მთიები.
მინდვრები. მინდვრები. მინდვრები ულევი...
ბარდები. ვარდები. ასკილი. იები.
შავი ზღვა. მალთაყვა. ფოთი და ყულევი.

1921

სამჯედლოში

რერა, რერა!
გრდემლს ჩაქუჩი დაეძგერა
და. გაისმა ეგ სიმღერა:
რერა, რერა!
საბერველი ბღვერს და ქშინავს,
გიზ-გიზ ცეცხლში შანთი ბრწყინავს,
სჭედს მჭედელი, ურტყამს უროს,
ჟანგით ასე გაიმუროს —
და იმავ დროს არ გასჭედოს?
შანთს არ გასჭვრეტ — არ გაჰხედოს?
კვერი ისე არ დაარტყას,
რომ ნაჭედი ჰგავდეს ალყას?
სწორად არ ჩნდეს, ვით ისარი,
საიმედო, საფიცარი? —
მაშინ შერცხვეს მჭედლის მკლავი!
ეგ სამჭედლო მისი შავი,
ეს გრდემლი, ეს ურო, რკინა,
ყველა ღმერთმაც შეარცხვინა!
მაგრამ, ვერა!
რერა, რერა!
კვლავ გაისმა ეგ სიმღერა,
გრდემლს ჩაქუჩი კვლავ ეძგერა!

და მჭედელიც სჭედავს... სჭედავს.
ხან ასწევს შანთს და გაჰხედავს,
ხან გაჰღუნავს, ხან გამართავს
და ცხელ რკინას გამოჰკვართავს!
ასეთია მუშის ბედი,
ბედი, მისგან გასაჭედი:
ის შანთსა ჰგავს, შანთს, რომ ბრწყინავს,
ის ვარსკვლავს ჰგავს, როცა ჰყინავს,
ის მთვარეს ჰგავს უკუნ ბნელში,
.ის რკინას ჰგავს მჭედლის ხელში,
ბრძოლის ხმალად გასაჭედელს.
სხვა კი ჰკითხეთ თვითონ მჭედელს!
დაუბერა:
რერა, რერა!
კვლავ გაისმა მძლე სიმღერა
და გრდემლ-ურუოს ჩანგებრ ჟღერა.
საბერველი ბღვერს და ქშინავს,
შანთი ელავს, შანთი ბრწყინავს!

1923

ᲒᲣᲠᲘᲐ

„აი ჩვენი გურია,
ო. რა ჩახლართულია!"..

ხ ა ლ ხ უ რ ი.

ჯუმათის წვერი და საყორნია,
გადმოსაყარა და განდრეკილი,
სომლიას თხემი ცად უტყორცნია
და დგას გრძელგორი გადაზნექილი.

სუფსას შეერთვის გუბაზეული
და გუბაზეულს — ცელქი კალაშა,
იქ ბახვის წყალიც, ანაზდეული
მოშხუის სწრაფად ზვირთმოთამაშე.

ქვევით ნატანებს გზა დაუქნია,
მას ეტმასნება ანკარა ჟუჟი,
ამათთან ბრძოლა ერთობ უქმია:
ვერ უძლებს გზაში რკინა და თუჯი!

სიცოცხლე სწრაფი, სიკვდილი ხშირი,
ხალხი მოძრავი და გაბედული,
წაბლის ფიცარი, როკის ნახშირი,
ოზურგეთი და მელიქედური...

ტურფა ზაფხული და გაზაფხული,
შემოდგომა კი — მუდამ მტირალი,
ზამთარი თეთრქუდჩამოფაფხული
და სახიფათო ნასაკირალი.

1927



სანდრო ეული

სიცოცხლე შემინახოსა...

მე ჩემი სიტყვის მძერწავად
გული მყავს ნაღველნადენი,
სიბნელის დასალეწავად
მეც ამინთია სანთელი.
რა ვუყოთ, თუ ვერ ჩავტიე
მე ლექსში ძალა მეხისა,
ღამე ხომ ბევრი ვათიე
დარაჯად ჩვენი ქვეყნისა.
„ციურ მომღერალს“ არ ვგევარ,
არც დამიწყია ქადილი,
ლექსში ძველ ქვეყნის სანგრევად
ჭექდა ჩემი ხმა, ძახილი.
ჩემს ლექსებს ნიშნად მშვენების
სხვა მოსდევს გასხივოსნება,
ახალი ქვეყნის შენების
ჩაუქრობელი ოცნება.
თუმც თავზე მათოვს სიბერე,
განვლილ გზის შუქი თან მახლავს,
ჭაღარა არ შევიფერე,
დროც ვერ მიბედავს დალახვრას.
კვლავ ვიგონებდე „ცეცხლის რაშს“,
დავქროდე „ცეცხლის ფრთებითა“,

მასთან ვერავინ გამთიშავს,
თუნდ არ მახსენონ ქებითა.
განვლილსა გზასა გავხედავ, —
საუკუნისა ნახევარს,
იმ დღიდან ცეცხლში ლექსს ვჭედავ,
მტრისაგან ბევრჯერ ნაწყევარს.
ვმღერი სიცოცხლის ჰიმნს ისევ...
თუ ბოლო მიდგას ახლოსა,
ჩემს ლექსს მივანდობ, ვაკისრებ
სიცოცხლე შემინახოსა...
1935

ახალგაზრდობავ, მედგრად, წინ, მაღლა!

შენი გზა ბრძოლის ეტაპებია
და მატიანე გმირულ ამბების,
შენს მკერდს მტრის ტყვია შეტაკებია,
გამოგივლია ბრძოლა საქები.

ბეწვზე ეკიდა სამშობლოს ბედი,
მოწოდების ხმას შეხვდი ქუხილით,
ახალ ცხოვრებას იცავდი მკერდით,
შენ არ იცოდი სევდა, წუხილი.

შენი გზა შრომის ეტაპებია,
ჩვენი ცხოვრების სიამის წყარო,
დიდ ოკეანეს შემატებიხარ,
რომ გადალეკო ძველი სამყარო.

სამშობლოს გმირის სახელი დაგაქვს,
საგმირო საქმე ვინ დაითვალოს,
ქვეყანას აძლევ სიცოცხლის მარაგს,
შრომის დიდებით ანთებულ კალოს.

ახალგაზრდობავ! მედგრად, წინ, მაღლა!
ფლობდე ზღვას, ხმელეთს,—უსაზღვრო სივრცეს,
შენ არ გჩვევია არასდროს დაღლა,
სიახლით ღელავ და გული გიცემს.
მიჰქროდე წინ და სულ მაღლა, მაღლა!..
1958

მრავალჟამიერ!

ავავსოთ ბროლის ჭიქები
ლალისფერ ღვინით —
ბრძოლის დროს ბრძოლა გვჩვევია,
ლხინის დროს — ლხინი.
გული აგვინთოს სიამემ
ტანჯვის მაგიერ,
მაშ, ჩვენებურად დავსჭექოთ
მრავალჟამიერ!
ეს სადღეგრძელო, ძმებო, შევსვათ
ქართველი ხალხის,
ვინც ხალხთა ძმობის და ერთობის
დროშას არ დახრის.
ვისაც მოსისხლე მტერთა რისხვა
არ დაკლებია
და ვისაც იგი არაერთხელ
გამკლავებია.
დღეს საქართველოს ზეიმი აქვს
ტანჯვის მაგიერ,
იყოს დღეგრძელი იგი მარად,
მრავალჟამიერ!..
ავავსოთ ბროლის ჭიქები
ლალისფერ ღვინით —
ბრძოლის დროს ბრძოლა გვჩვევია,
ლხინის დროს — ლხინი.
გული აგვინთოს სიამემ
ტანჯვის მაგიერ —
მაშ, ვჭექოთ ყველამ მაღალ ხმით
მრავალჟამიერ!..

1950

ჩვენი კოშკი

ამ ადგილას,
    ულრან ტყიანს,
        კლდიანს,
            მთიანს,
                ბნელ ღამიანს,
გზაეკლიანს,
    გზაბარდიანს,
        საშიშარს და ხიფათიანს,
მივკაფავდით,
    ეკლნარს ვწვავდით
        და წინაპრებს ბრძოლით ვგავდით.
ჩავიქოლეთ გულში დარდი,
    დიად რწმენას წინ მივყავდით...
ამ ადგილას,
    მაღალმთიანს,
ტყეს გაკაფულს,
    ბაღნარიანს,
კოშკს ვაშენებთ
    მაღალს, —
        დიადს,
რკინიანს და ფოლადიანს...

1940

მარიჯან

ბედნიერი ვარ!

ბედნიერი ვარ, მტკვრისა ტალღები
რომ არ უსმენენ ქალების კივილს,
რომ საქართველოს ცელქი ბალღები
არ განიცდიან ჭრილობის ტკივილს!
ბედნიერი ვარ! რადგან ვერ ვნახე
ჩემი მშობელი მიწის აკლება,
რომ მწიფე ხეხილს, სავსე ვენახებს
არ შესევია მტერი საკრეფად.
ბედნიერი ვარ! სასტიკ ვერაგებს
რომ არ ეღირსათ ჩვენი ღვინის სმა,
არ გვიხამებდნენ სისხლით პერანგებს,
არ შეიცვალა ფერი თბილისმა.
მაგრამ გმირული ჩვენი ცხოვრება
მრავალთა მსხვერპლზე არის ნაგები
და სამუდამოდ გვემახსოვრება,
რომ მიწა დალბა სისხლის ღვარებით.
მაშ, დღეგრძელობა და გამარჯვება,
ვინც აგვაცდინა დარბევის ხვედრი
და დაილოცოს მათი მარჯვენა,
ვინც ჩვენ დაგვიცვა საკუთარ მკერდით.

1944

* * *

ბუხრის პირად დღიურების წყება
ავფურცლე და გადვიკითხე ხელად.
ზოგში შემხვდა უვნებელი ვნება,
ზოგი რამეც მომეჩვენა ძველად.

რისთვის? ვისთვის? ან რად მინდა, ნეტავ,
რვეულებში შეხიზნული ბოდვა?
რაც მიმაჩნდა მე სინათლის სვეტად,
თურმე იყო მშვენიერი ცოდვა.

რაც მეგონა ღირსებად და განძად,
თურმე იყო ლურჯ ღრუბლებში ცურვა,
არ იწვევდა ახლა გულში ხანძარს,
არ იწვევდა ცრემლებსა და ურვას.

„მე ვიქნები თქვენი გულის მცველად“, —
ეპისტოლეს ვინმე ასე იწყებს.
გამეცინა და ცეცხლს მივეც ყველა, —
ალმოდებულს დავცინოდი სიტყვებს.

ნერონივით მახარებდა ალი,
თვალს ვავლებდი გადატრუსულ ფურცლებს
და ნაწერზე სამუდამოდ მწყრალი
მე დავმშვიდდი, მე დავმშვიდდი უცებ.

1961

ჩვენც დავშორდებით

ჩვენც დავშორდებით და სხვა ბილიკით
წახვალ, გაცვდები, დაიხარჯები.
მე არ ვიდარდებ... შენ კი პირიქით,
მოგაგონდება: „ჩემი ხარ, ჩემი“.
ახ, მოგონება რა გულჩვილია,
მახსოვს, ამბობდი ეშხით დამთვრალი:
„შენი ტუჩები ისე ტკბილია,
როგორც ჩიტების ნაკენკი ბალი!“
რა არ ვიყავით: ტარიელ! ნესტან!
ნუთუ ეს გრძნობა ლექსად დარჩება,
დღეს ერთთანა ხარ, ხვალ მეორესთან,
თითქოს არ იყოს ჩვენში გარჩევა.
მე არ დაგიშლი, გინდა, აენთო?
აენთე, დასწვი ფიცი ფლიდური,
მაგრამ ჩემს შემდეგ ვის უნდა ენდო
მშრალი, უგულო, გამოფიტული!
ჩვენ დავშორდებით, სხვა გიპოვის და...
კვლავ ის ითქმება, რაც ბევრჯერ ითქვა...
და წაიშლები ჩემი ხსოვნიდან,
როგორც ლექსიდან ზედმეტი სიტყვა!

1927

გრიშაშვილი

მუდამ ამაყი, ცელქი, ცბიერი
უცნაურ რხევით გაივლის ქუჩებს,
შეხვდება ქალებს და ნებიერი
სალამისათვის ისველებს ტუჩებს.
რომ ხელთათმანზე ცრემლი დაჰყაროს,
ანთებს სიტყვების ჭიაკოკონას,
ფიცულობს ლექსის თექვსმეტ სამყაროს
და დაუბეჭდავ რითმების კონას.

მაგრამ, თუ ტრფობა გაიასკეცა,
ცაში ირაოდ ხედნის გავაზებს,
მარგალიტებად დაამტვრევს ზეცას
და სამაჯურად ქალს შესთავაზებს...
მუდამ ამაყი, ცელქი, ცბიერი
უცნაურ რხევით გაივლის ქუჩებს,
შეხვდება ქალებს და ნებიერი
სალამისათვის ისველებს ტუჩებს.

1921

მოდის სიბერე

დროს და სიბერეს ვერ გადვურჩებით!
ვერ გვიხსნის გრძნობა ნაამაგარი —
მოდის სიბერე რბილ ფაჩუჩებით,
მოაქვს სიმშვიდე ვერცხლის ლანგარით.

ცარიელდება გული დაგული,
თითქოს მონგოლთა ურდოს აეკლოს,
დახავსულია და გაბზარული,
როგორც ვარძიის ძველი სამრეკლო.

დროს და სიბერეს ვერ გადვურჩებით!
ვერ გვიხსნის გრძნობა ნაამაგარი —
მოდის სიბერე რბილ ფაჩუჩებით,
მოაქვს სიმშვიდე ვერცხლის ლანგარით.

1946

კონსტანტინე ჭიჭინაძე

საქართველოში ციხეა ორი

საქართველოში ციხეა ორი:
ერთი მათგანი — თმოგვი ხნიერი,
ხოლო მეორე — უბადლო გორი,
გულმაგარი და მკერდგანიერი.
გორი, დადგმული საოცრად ბორცვი,
ძუძუ რძიანი დედა-ქართლისა,
ჩვენი ოცნება, სისხლი და ხორცი,
ფუძე სიმტკიცის და სიმართლისა.
ითვლის უთვალავ დღეებს მღელვარეს
მისი მაღლობის ნაბრძოლი ზღუდე
და ცას შეჰყურებს მზით მოელვარეს,
როგორც არწივის დაცლილი ბუდე.

1938

კავკასიონი

შეჰყუდებია ცას ტიტანივით,
და გლეტჩერების გასარკულ ფარებს
უზარმაზარი მკერდის განივი
მედგრად ახვედრებს მზესა და ქარებს.
გაჯიუტებულ ჯმუხ სახეებათ
იკლაკნებიან ღრუბლები ტანზე;
წვერწაგრეხილი ნაძვის ხეები
გადატეხილი გაწვდილან განზე.
მთების დაყრილა ძირს მაყრიონი,
და ნაპრალების გახსნილი კარით
გადმოღუნულა რუხი რიონი,
როგორც ვეება ჩიბუხის ტარი.

ამპარტავანი და მედიდური,
წარბმონუსხული მრისხანე მზერით,
შემოგარსულა ის ცის კიდურით —
შორს გაზიდული ფირუზის ფერით.
ნისლი, მიჯრილი სუნთქვით ძლიერით,
ოკეანეზე მოხდილი ბრკეა.
გაფითრებულა კორდილიერი
და გასუნგულა მაუნა-კეა.
აჰა, პამირი და ვოგეზები,
კოტოპახი და ვეზუვი ცხელი.
მიაქვს იმათკენ ორბებს გეზები,
როგორც ლიქტორებს, ასვეტილ ყელით.

მოჩანს ნიგერი, ცრემლით ნამული,
და მისისიპის გაწვდილი სირმა.
ამოატბორა ყრუ ჟრიამული
რისხვით გახსნილმა ურიცხვმა პირმა.
მილიონების თვალთა ბრიალი
მწვერვალს აწყდება ლაჟვარდის რღვევით,
და ბედისწერის ფრთების შრიალი
აბრეშუმივით იშლება ზევით.
ის კი პიტალო კლდეს აკალოებს,
ამოზიდულან ძარღვები კისრის,
და ზეაწყვეტილ რკინის პალოებს
ზღვების გადაღმა შხუილით ისვრის.

1935

ახალგაზრდა დიასახლისი მთაში

მგზავრი მუდმივი, მოხეტე მარად
მე, უჩვეულო ამბების ცდაში
რომ მომბეზრდება ცხოვრება ბარად,
ასე უბრალოდ მოვდივარ მთაში.
ხელი თუ არის ბედის მსახავი,
რომ დამატარებს კიდემდე კიდით.
მიკვირს, არ დამრჩი შენ უნახავი,
ქვეყანა ასე რომ არის დიდი.
ვინ წარმოიდგენს: მთელი არმია,
რამდენი სახე, რამდენი თვალი!
მაგრამ შემთხვევით ვისთან არ მივა
მრავალფერადი ცხოვრების კვალი.
აი, ეს ეზო, მზით გაალული,
რტოებდახრილი ხეხილის ზღუდე
და შენი სახლი, შიგ დამალული,
როგორც მწყერჩიტას პატარა ბუდე.
თუმცა ოცნება ფრთით დაგატარებს
და შენი ბედიც ალბათ წინ არი, —
მაინც დედის წილ უვლი პატარებს,
მუდამ მოსაქმე და მოცინარი.
დღეს რომ მთებს უკვე თავს აფარებდა
ცხელი მნათობი სხივდარაზმული,
შენ წინ შემომხვდი ბოსტნის კარებთან
შეოცებული და მოკაზმული.

შემოეფინა მაღალ ახოებს
ნიამორივით აწვდილი ჩრდილი.
ჯერ ღამის ბინდში რომ გაახვიოს
და შემდეგ ისევ მოეხსნას დილით.
და შენ გობისკენ თავი დაჰხარე,
შინ რომ დაღლილი მოვიდა მამა,
ხელის თამაშით გადააყარე
მწვანე ლობიოს ქინძი და კამა.
თითქოს გამიწყდა ხელში სადავე,
და მე, დაღვრემილს, უხმოდ მერევა
შენი ცხოვრების ეს სისადავე,
შენი მარტივი ბედნიერება!
აჰა, ორწოხში მთვარემ შეხუთა
ღამის სიბნელე და კაეშანი
და უღელტეხილს გადმოეყუდა,
ვით ნაომარი გარდანქეშანი.
შენ დას ამშვიდებ ბავშვურ ტიკტიკით,
მე კი ნაცნობი ცეცხლით ვენთები, —
გაოცებული მზის ეკლიპტიკით
და ზოდიაქოს ორნამენტებით.
ცა ათამაშებს ვერცხლის მანეთებს,
ცამ გადმოჰყარა ცეცხლის ღილები,
და ელვასავით თვალში მანათებს
შენი მაგარი თეთრი კბილები!

1928

აკვარელი

ეზო და ცაცხვები. იჯექი. ცხელოდა.
წინ გედგა ბინული მაღალი სურით.
ფიქრებმა წაგიღეს. ამაოდ ელოდა
შენს ღიმილს ფინია აცქვეტილ ყურით.
როდესაც მოგწყინდა სამხრეთის ცაზე
თვალების ისართა უმიზნო სირბილი,
სკამიდან ვარდები გადიწყვე მკლავზე
და შუბლით გასინჯე იმათი სირბილე.

დაშვენდნენ ერთმანეთს ყვავილი და თმები,
უნაზეს სურნელში კულულებს ჰბანდი.
ბაოზე გაცურდა მიმინოს ლანდი
და შენთან მოგროვდნენ შემკრთალი ქათმები.
უეცრად შეირხა მატინე ჭრელი
და უბე აგევსო ზეფირის ნავებით.
ოცნება — დაღლილმა ლურჯ სანახავებით,
რაღაცა იგრძენი ღიმილის მგვრელი...

1921

ყანჩის ფიტული

აღარ ხმაურობს ფრთების მოკეცა,
გვერდით მეუღლეც აღარ დაგიდის.
შენ საბოლოო ბინად მოგეცა
მცირეოდენი კუთხე მაგიდის.
დასცქერი წიგნებს მაღალი მზერით,
და, თითქოს თევზებს ჰგულობდე წინა,

წამოზიდულა ნისკარტის წვერი
და გაყინულა თვალების მინა.
ალბათ იგონებ ლაჟვარდ განივებს
და ყელმოღერილ სიარულს ფშანში.
გინდა, გაფრინდე და არ განებებს
შენ მომნუსხველი მავთული ტანში.

1938

ბარაკონი

ჩემს ქვეშ ისევე მშობლიური ჰყვავიან მთები,
და კვლავ ნაცნობი ეუფლება სულს მღელვარება.
აღმოსავლეთით წამოშლილი საღამოს ფრთები
დასავლეთისკენ მიირხევა ოქროს ღვარებად.
თითქოს წამდგარა საჭიდაოდ ქედის წინ ქედი.
ჩრდილში მიძვრება ძირს რიონი, როგორც დრაკონი.
კლდეზე სხივები კანკალებენ, — და ბარაკონი
თეთრად ქათქათებს, ვით ჯეჯილში ჩამჯდარი გედი.
უკვე წუთხარო წარბშეკრული ყაბალახს იხვევს,
თრთიან უღონოდ შორეული ელვის რკალები.
გუნდი გაფრინდა მტრედებისა და ნამგალები
დაფეთებული გარს უვლიან შხუილით ციხეს.

1986

ეზოებში

ჩხართვი

მთელი მიდამო ჩამავალი მზით გაალულა.
ჰყვავიან ბლები, შიგადაშიგ ატმების ჩართვით.
მსხალზე მოპარვით შემოფრინდა ჭრელგულა ჩხართვი
და ფითრის ლამაზ მარგალიტებს ჰკორტნის მალულად.
ბიჭმა ფესწადგმით გადაგრიხა ტირიფის წნელი,
ხელი მოხვია ხმელ წალამს და მაგრად შეკონა.
ჩხართვი გაფრინდა. კრუხს პირველად ქორი ეგონა,
მერე დაიწყო სამშვიდობო კაკანი ნელი...

სიცხე

თითქოს მთა და ბარს ცეცხლებს აკვესებს
ნაშუადღევის ზეცა მზიანი;
გააფთრებულა, მაგრამ ნათესებს
ვერ მიაყენა ჯერაც ზიანი.
არ განძრეულა ფოთოლი, სანამ
გრძელი ჩრდილები მთებს არ მოება,
მერე კი იგრძნო სიმინდის ყანამ
ნელი საღამოს მოახლოება.

შვებით შეირხნენ ეზოში ხენი,
ბროლს დაედარა წყაროს წვეთები...
საბალახოში დამფრთხალი ცხენი
ორღობეებში მორბის ფეთებით.
ტყისკენ ფარფატით გაფრინდა ქორი,
მიჭრიალებენ გზაზე ურმები.
ზვარსა სწამლობენ ფირუზის თქორით,
ამღერებული კოლმეურნენი.

ქარვის დღეები

როგორც სარდალი, დაჭრილი ომში,
სდგას დასისხლული შინდი ბებერი,
და, ჯერაც კიდევ ხელუხლებელი,
სურნელს აგროვებს ყვითელი კომში.

რამდენ ხანს წვიმა აღარ ყოფილა,
გამწკრივებულან ქარვის დღეები...
ჩამობერტყილი კაკლის ხეები
თავებს აქნევენ უკმაყოფილოდ.

ჩასავალი

ხელი ესვრება აყალოს აცლით,
სარქველს აშორებს ნელა თავიდან...
დათვალეს ძველად სიმინდის მარცვლით,
რომ შიგ ასოცი ჩაფი ჩავიდა.
წვენი ყურძნისა არ დაწურულა
დიდი ხანია სამისო წილი.

ჩაბნელებულა და ჩაბურულა
იგი, მოცული იდუმალ ძილით.
ბევრი ქორწილი და აღაპები
წამოუშლია ბარბაცით იმას!
ახლა ისევე სავსე ხაპები
შეჰპირებიან შარბათის წვიმას.

თავად გარეცხა მან, მეთაურმა,
ეს ჩასავალი — ვეება ჭური.
თიხას თავდახრით ჩაეხმაურა
და გამოძახილს დაუგდო ყური...

თითქოს ამღერდა მთელი კრებული, —
ჭურის მუცელში ხმა დატრიალდა,
დასწვდა ფსკერსა და გაბოხებული
ისე პირაღმა ამოგრიალდა.

მამალი

დადუმებულან სახლის კედლები,
სრული სიჩუმე და სიწყნარეა.
დავლენ ეზოში ჭრელი დედლები
და რამდენიმე თეთრი ვარია.
უმზერს ყოყმანით ძველი მამალი
ასე ერთბაშად გაზრდილ ყვინჩილებს.

ბოღმა აწუხებს ღრმად დასამალი,
რადგან შერცხვენას ვერსად იჩივლებს.
მაინც ამაყად უჭირავს მკერდი
და მედიდურად ფრთებს ათქრიალებს.
წალდს რომ ჩაუვლის უეცრად გვერდით,
ცივად კისერში გააჟრჟიალებს...

ყურშა

„არიქა, ყურშავ“! — უხმობს ფარულად
ძაღლს ჩაძინებულს პატარა ბავშვი.
აღმოაჩინა, რომ ეზოს თავში
მეზობლის ღორი შემოპარულა.
სახით უჩვენა რისხვა და წყენა,
უშვერს ზემოთკენ თითს დავალებით.

გამოახილა ყურშამ თვალები
და ვარდისფერი გამოყო ენა.
ჰქონდა ყმაწვილთან კავშირი ძმური,
მაგრამ პატრონად ეპატარავა, —
მისი ბრძანებით ზევით არ ავა,
ისე აცქვიტა ყასიდად ყური.

ქამგადასული

როგორც ზამთარში ყურძნის მტევანი,
ისე დამჭკნარა სახე ბაბუის,
აღარსადა ჰყავს მას ქეთევანი,
მისი წიქარაც აღარ დაბუვის.
აგერ სახლის წინ დამჯდარა ქვაზე.
ძარღვებს ახარებს ნათელის დარით
და, ვით განაბულს შორეულ ხმაზე,
ძირს დაუღია ჩიბუხის ტარი.
ელავს ბოსტანი მზესუმზირითა,
მიწას უქადის ღრუბელი წვიმას...

მოულოდნელად ჯოხის ჯირითით
წინ შვილიშვილი წარუდგა იმას.
უცებ შეტოკდა, ვით კოჭლი ყვავი,
მოკუტულ ტანზე ჩოხა გადიცვა.
ჩიფჩიფით ამბობს: „ბავშვი ვიყავი,
საიაშვილო ტყე რომ გადიწვა...“
და აღველფილი სასტიკ ღადარად
მას აგონდება ფიჭვნარის ფერდი...
იდგა ის მაშინ, ბიჭი პატარა,
თავის მოკუტულ ბაბუის გვერდით.

1938

რიონის აპოლოგია

„ალკეოსმა სთქვა სიტყვა ასეთი: „ამ-
გვარად ჩვენ მივადექით კოლხეთის ნა-
პირს და ფაზისის დენას“.

ა პ ო ლ ო ნ რ ო დ ო ს ე ლ ი.

შენი სათავე ვინახულე 'დღეს მეორეჯერ.
აქ შენ სახელად უსათუოდ გშვენის ფაზისი.
მესვრი თვალებში კალმახების წითელ ფორეჯებს,
ბავშვის ცრემლებზე უწმინდესი და უნაზესი.
პეშვით დავლიე შენი წყალი, რძესავით ჩვილი
და შენი ფსკერი, ნაცრისფერი ქვით მოოჭვილი,
მეალერსება დაბინდული აკამკამებით.
აქ შენი დენა ქაფიანი და ნაჩქარები,
ხან ანთებული ოქროსფერი შუქის ღვარებით,
ხან ფერწასული ყრუ ხევების მუქ ჩაღამებით,
ამწვანებული დაღმართებით მიექანება...
მაგრამ მინახავს სხვა სეირიც... მაშინ, როცა მე
შენი მქუხარე ამბოხების გავხდი მოწამე
და სტრიქონებიც დაგიმზადე სხვადასხვაგვარი:
ხან ულბილესად მოხაზული, ხან წელმაგარი,
ვით აბრეშუმი და ველური ტახის ჯაგარი.
ეს მოხდა შარშან. შემოდგომის ცბიერი სენი
გულს უხიბლავდა არემარეს ყვითელ ქარვებით.
ნელი სიამით და ნაღველის ჩუმ მოქარვებით
დობილებივით მიჰყვებოდნენ ერთმანეთს დღენი.
უკანასკნელი გაღიმებით სუნთქავდა ველი
და დასუსტებულ ტყეს ეძინა მკვდარ მოსვენებით.
შენს მოგონებას იტაცებდა ამბავი ძველი:
ძვირფასი ვერძი, მედეა და არგოსელები.
და ამ ოცნებას წარსულზე და ოქროს სილაზე,
ფრთხილი ნაბიჯით დაგირღვევდნენ სისხამ დილაზე
შენთან სასმელად ჩამოსული ჯიხვთა ფურები.
ხოლო როდესაც დანაკვთულნი შავ კონტურებით
შემოღამებულ ცის გუმბათზე წვებოდნენ მთანი,
თავისი ჩქარი მეძებრებით და მშვილდიანა
იალაღებზე ადიოდა თეთრი დიანა,
რომ ნადირობით დაექანცა უვნებო ტანი.

მაგრამ ერთბაშად ცამ ფარჩების ლურჯი მარმაში
თითქოს გასცვალა მუქ ნაბდებში და ძველ ნარმაში

და დედამიწას ზედ დაემხო, როგორც როდინი.
სადღაც ყორანი გადაფრინდა მოკლე ხროტინით.
შავ კარნავალად გაიშალა რისხვა ფარული
და საშინელი დამძიმებით გავარდა მეხი;
გლოლის ნაძვნარმა დაიგმინა მეტ სიხარულით,
როდესაც ელვამ გაანათა ნერვიულ გრეხით.
დაბლა მოიწევს ცა მუქარით და დაფეთებით;
მძლავრი გუგუნით ახმაურდნენ ტოტები მუხის;
ძირს დაცემის დროს ფრთებსა შლიან წვიმის წვეთები,
როგორც ურიცხვი წიწილები გიგანტურ კრუხის.
ფაფარაყრილი ღელეები ჩადგნენ კვალებში,
მაგრამ ასცილდნენ კალაპოტებს და, ვით ლომები,
საბედისწერო გაქანებით და ნახტომებით,
თავბრუდასხმული გადაეშვნენ ბნელ ნაპრალებში.
ტორტმანობს ნისლის ოკეანე ურიცხვ ჯარებად
და მთების კალთებს ეფინება ნელ შეჩერებით;
ღრმა შუროები გადაიქცნენ ისეთ ღარებად,
თითქოს ჩამოდნენ დაუშრეტელ ნიაღვარებად
კავკასიონის თეთრი თოვლი და გლეტჩერები.

გაივსე წყლებით. და სხეულის მრუში ზმორებით
მაღლა ასწიე ჩამოშლილი ღრუბლის შტორები,
სასტიკ შუბებად დაილაგე მკერდზე მორები
და მთებს გასძახე, რომ საჩქაროდ გაგიღონ კარი!
წინ შეგეგება საკაურა ზათქით და ზარით.
მოჰქუხს ღარულა ნახნავებზე ფართო გადავლით,
მას წისქვილების რახარუხი აღარ აწუხებს
და, მეტისმეტად გულზვიადი თავის ნადავლით,
მოთვლით გაბარებს ფიცრებსა და სისხლის მარწუხებს.
აწ კი უთუოდ შენ ულმობელ ომს ეპირები.
შემოგიერთდნენ მჟავე წყლები ყვითელის ჟანგით;
ჯერ გადალეკე ზღუდეები და ჯებირები,
შემდეგ ონის ხიდს შეუტიე მარჯვენა ფლანგით
და შენ უეცრად გამარჯვება გეწვია დიდი:
გამოეთხოვენ გამოღმელებს გაღმაურები,
როდესაც გულის შემზარავი ახმაურებით
მოგლეჯილ ნაპირს დალეწილი მოშორდა ხიდი.
იქავე ხოტბით მოგესალმა ჯეჯორი ფლიდი:
გიქო ზვირთების გაქანება, ხერხემლის ღონე,
ძლევით შემოსილს მოგილოცა ბრძოლის ზეიმი
და მოგახსენა: „ემზადება ქვერდულა ვგონებ,
ერთის მოხეთქით რომ გაგვივსოს ღრმა ბასეინი!“

და სორის ჭალებს დამღუპველი მოედო ფარცხი;
მკერდდაკოჟრილი, ამართული ორ დიდ გოდორად,
ომის გამართვას ეპირება შენთან სკოდორა,
მაგრამ აქაც მტრის გაბრძოლება დამთავრდა მარცხით,
არ მოგეწონა წესის მთიდან აფრენა ორბის,
მაღლიდან შენი ნაპირები რომ გადმოზვერა;
აჰა, შორეულ საჯოგედან დამფრთხალ მოზვერად
შენი ძვირფასი ქვეშევრდომი ლუხუნი მორბის!
ო, არ ეკუთვნის არასოდეს მას სამდურავი,
ხოლო ახლა კი საგანგებო ჯილდო ერგება:
დაუქცევია ქორეთულა, მოაქვს ურავი,
თელის ბოძები, საძირკვლები და სახურავი
ლოდებთან ერთად მოგაყარა მძიმე ხერგებად.
დაბურულ ღამეს გულს უგმირავს თქვენი გრიალი
და ბარაკონის თაღებიდან მოცვივის კირი.
მოულოდნელად დიდ აკლდამას გაეხსნა პირი
და გაშიშვლებულ ლეკურების სწრაფი კრიალით
მაღლა ამოჰყავთ თვალდათხრილი როსტომი ვაჟებს.
ალბათ მოუხტათ ბარაკონზე მეფე ვერაგი,
საჩქაროდ მამას გადააცვეს ჯაჭვის პერანგი
და დამბაჩების ჩახმახებზე სინჯავენ კაჟებს.
ვაი, სოლომონ! არ უმტყუნებს არც ერთს ფალია...
ეხ, ამ ეზოში ბევრი გახსოვს, სახე და ფერი, —
აქ დაგინახავს შენ თამარი და კახაბერი,
მაგრამ ამჟამად საამისოდ როდი გცალია.

უკვე ჩაგელის ხიდიკარი რისხვით და მტრობით!
შენც მიაშურე და სწორედ იქ, სადაც ზამთრობით
უცხო ზმანებით დატვირთული, როგორც ფიორდი,
ნელა იშლება აბრეშუმის ლურჯ კაეშნებად,
შენი ტალღები კვლავ ღრიალით კლდეებს შეება,
მაგრამ ზევიდან პირდაღებულ ვეშაპს ვეებას
შუბით დაგატყდა ველიეთის წმინდა გიორგი.
და შენ, დაჭრილი საზარელი რუხი ნადირი,
ხიდის ბურჯებში ძლივს გაძვერი ჩაზნექილ წელით,
ზედ შეგრჩა ხიდი, ვით გავარდნილ ცხენს უნაგირი,
და შემოგსალტა დაკირული სიმტკიცით ძველით.

უხმობს კრიხულა ღვართქაფებით გამაძღარ ხევებს,
რომ დააქციონ ყველა გზები, ყველა საფარი

და მისი გრგვინვა, ვით სიმღერა ანდუყაფარის,
შიშის ზარსა სცემს ჩაშავებულ ქვაბთკარის დევებს.
მთიდან მოფრინავს რიცეული, როგორც გავაზი,
დაჭრილ ვეფხვივით ჩაგეხვია მძვინვარე ასკი,
შავი ლეკნარი მოგესალმა გერმანულ კასკით
და თხემებიდან დახმარება შემოგთავაზა.
შენკენ შაორი გზას მოარღვევს ქვესკნელში დენით,
რომ ძღვნად მოგართვას ნაქერალას უხვი წვენები;
და შენ, გავსილმა სიმტკიცით და მკაცრი მშვენებით,
მედგარ ქუხილით ჩაიარე საირმის კლდენი!
შემდეგ მექვენა, ქუთაისი... ურტყამ ჩაქუჩებს,
ყალყზე ამდგარმა თეთრი ხიდი გალოკე ღრენით,
და ზარდაცემულ ბალახვანის სახლებს და ქუჩებს
თავზე განგაშით გადასცილდნენ ზვირთების წრენი.

ო, ვერ გაუძლებ შენ უთუოდ განიერ ვაკეს,
თუ დაბნეული ნაწყვეტები ვეღარ შეკარი,
მაგრამ ამზადებს ახალ წარღვნას შენთვის ზეკარი
და ნიგოითიც შენ გიწველის ღრუბლების ბაკებს.
მოიკლაკნება წყალწითელა, მორბის ყვირილა,
გაფითრებული იმერეთი დაჯდა ტირილად
შავი მადანის ბატონმა რომ გაუსვა მური.
აჰა, გეღირსა საარაკო შეხვედრა ძმური:
აზვირთებული ცხენისწყალი ტლანქი გორავით
გადმოჰფენია მინდვრებსა და დაცემულ ყანებს,
მოაქვს ხეები გაუთლელი, დაუმორავი
და ბურთებივით მოაქანებს გუდიან სვანებს!
და სამეგრელო ფერწასული აცურდა წყალში!
სულ ზედმეტია აბაშა და ტეხურის შფოთი.
შენს დანახვაზე შიშისაგან გაქვავდა ფოთი...
მაგრამ სასურველ ნავსადგურის მოღუნულ რკალში
შენ შეიჭერი სხვა იერით და სხვა გუნებით.
როცა გაჰფანტე ბარჟები და ჩქარი შხუნები
გამოყვანილი რეისების გაშლილ ქსელიდან,
სთხოვე დიდ გემებს პალერმოდან და მარსელიდან,
რომ მოგიკითხონ ბრგე ტალღების ატლაშუნებით
შენ შორეული მდინარენი და ზღვები ვრცელი,
და მოახსენონ ზვიად რონას, ლამაზ ლუარას,
შენი ცოლობა რომ არც ერთმა არ იუაროს,
რადგან რაინდი ქედმაღალი ყოფილხარ ძველი!

გალაკტიონ ტაბიძე

ჩვენ, პოეტები საქართველოსი

გულში იმავე გრძნობით ბრუნდება
და მოლოდინი დარეკავს ჩუმი,
რომ არა ერთხელ აგუგუნდება
დედამიწაზე კიდევ სამუმი.

აჰ, ქიმიური ომების წყება
სოფელში, მინდვრად, ქალაქში, ტყეში,
ახალი ლპობა ჰოსპიტალების,
ახალი ცრემლის ღვარი და თქეში.

იქ, ტრანშეების ლაბირინტებში,
ნუ გაგიტაცებს ძველი წუხილი...
ხევიდან ხევზე იკივლებს მეხი,
ხევიდან ხევზე წავა ქუხილი.

და გიგანტური მუხლუხო — ტანკი,
შეუწყვეტელი ტყვიის ფანტელი,
პროჟექტორებმა ჰაერში იგრძნეს
აეროების კორიანტელი.

წამოვა მღვრიე ცეცხლის ნიაღვრად
ასსანტიმეტრის მკაცრი სახელი,

ხევიდან ხევზე გადიგრიალებს,
ხევიდან ხევის გამოძახილი.

გააფთრებული ომის გენია,
ძველი ჟანგივით ყვითელი ფერის,
გადეფარება მეწამულ ზეცას,
რომ მოიტანოს დღე მწარე წერის.

იქნებ მოსწყინდეს ერთსახეობა
აღმოსავლეთის დღეების თბილის,
გადმოანგრიოს მტკვარის ხეობა
და ასაკლებად მოადგეს თბილისს.

ვართ პოეტები საქართველოსი,
რომელთაც გვახსოვს დღე უარესი.
ჩვენ ეხლავ ვიცით, სად დადგებიან
კლოდელი, ჟამმი, სიუარესი...

დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია
და სისხლიანი დგას ანგელოსი,
ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს
ჩვენ, პოეტები საქართველოსი!..

1924

პროლოგი 100 ლექსის

რა საოცარი დასრულდა წლები!
მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი,
მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,
ნიკოლოოზი და ფერდინანდი.

მაგრამ, მწუხარედ, მათზე კი არა,
სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი:
იმ მრისხანე წელს პოეტი-მეფე —
გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი,

ჰანგების მეფე — დიდი სენ-სანსი
და დირიჟორი ნიკიში მძლავრი...
ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი,
მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,

რომ გამომევლო ჯერ არსმენილი
ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა
და მომეტანა საქართველოში
სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!

1925

რევოლუციურ საქართველოს

რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
უდიდესს თავის ნებისყოფით, გმირულს უაღრესს,
თვალწინ გადაშლილ გარდატეხად უდიადეს აზრს,
მრავალი ათას მტკიცე ძაფით დაკავშირებულს;
აღფრთოვანებას მასებისას, მილიარდიან
ძლიერ ტალღებად რომ მიღელავს ახალის ძალით,
უსასტიკესი დაჟინებით რომ ანგრევს კარებს
მილიონების უფართოეს ჰორიზონტებად,
ნგრევას, ო, ნგრევას, დაუნდობელ ნგრევას ძველისას,
კარჩაკეტილი ცხოვრებიდან — გავიდეთ მზეზე.
ულმობელ ტრიალს ისტორიის მედგარი ბორბლის.
რევოლუციურ საქართველოს,
ნახტომს უდიდესს, უზარმაზარს, განსაცვიფრებელს,—
რევოლუციურს, ჯერ არნახულს, ჯერ არგაგონილს,
ვაშა, ამ ახალ საქართველოს, ვაშა, შენებას!

1930

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი

ზოგს ოქრომკედით მონაქსოვარი,
სურათი, რამე კარგზე მგლოვარი,
ზოგს ვარდი, წიგნში ჩანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
ბარათი, სისხლის ცრემლ-ნატბოვარი,
ბეჭედი, ძვირფას ალთა მთოვარი,
საყურე, ტკბილის ჩრდილის მთხოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
თმა, როგორც განძი ძნელ საშოვარი,
წიგნი რამ ომით მონაპოვარი,
საფერფლე, მამის დანატოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.
სამშობლოვ, მარად მსასოოვარი,
ჰა, ჩემი ჩანგი სწორუპოვარი,
ჰა, ჩემი გულიც, თანამგზოვარი —
ყველას რაიმე აქვს სახსოვარი.

1934

სამშობლოს

სამშობლოს წინსვლა გასაკვირველი,
მზის მხურვალება გარს რომ ავლია,
აი, პირველი, აი, პირველი —
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
შენს გამარჯვებას, ჩანგო, მოველი!
ოჰ, შენთან დღენი ჩემნი წარვლიან,
მედგარი ბრძოლა! აი, ყოველი,
რის სიყვარულიც მე მისწავლია.
გავშლი ძვირფასი ლექსების კონებს:
რა სიუხვეა! რა სიმრავლეა!
გადამასწავლოს — ნურავინ ჰგონებს —
რის სიყვარულიც მე მისწავლია!

1938

ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ

არათუ წლები გადეშვა ტყდომად,
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ...
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ —
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!
ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს,
ბევრის ნაბიჯი არის ტაატი...
დრო, დრო აღნიშნე! მოაწერე ლექსს —
ეს წელიწადი, დღე და საათი.
არათუ წლები გადიქცა ტყდომად,
ყოველი ლექსის ყოველი პწკარი
არის გაჭრილი კლასობრივ ომად,
არის ეპოქის დროშის ქვეშ მდგარი.
ეპოქა არის ნამგლის, ქურების,
ეპოქა, რამაც ძველი შეთოკა,
ეპოქა ძველის განადგურების,
ინდუსტრიული დროის ეპოქა.
არათუ წლები გადეშვა ტყდომად,
წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ...
ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ —
დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ!

1931

ეფემერა

ცხენთა შეჯიბრებაზე ჩემი ლურჯა ცხენები
ჰქროდნენ ეფემერული და ფერადი ქარებით,
იყვნენ საუკუნენი, მაგრამ მე ვიხსენები,
გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით.
ვწუხვარ: ერთადერთი ვარ და ზეცაზე სწერია
ჩემი გზა და ახალი ლალის კართაგენები,
ბედი — ქროლვის გარეშე — ჩემთვის არაფერია,
ჩემთვის ყველაფერია ისევ ლურჯა ცხენები.
ჰე, ქაოსში დაკარგულს ქარი დამედევნება
ძახილით: გალაკტიონ! და ძნელია მიგნება.
სადაც ახლა ჯვარია და გვიანი მტევნები,
იქ უკვდავი მაგიის მარმარილო იქნება.
რამდენი ქარავანი, მთებზე გადამართული,
გაიშლება — გამრღვევი მღვრიე უდაბნოეთის,
წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული,
ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის.

ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები,
რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით,
ლექსთა შეჯიბრებაზე — მხოლოდ ინტეგრალები,
ცხენთა შეჯიბრებაზე — ისევ ლურჯა ცხენები!
აჰა! შორით მოისმის ქვეყნიური გუგუნი.
ელვა ელვას გაეკრა, დაელეკა ცას ღვარი,
გაჰქრა, როგორც ღუმელი, ცოდვით გადაბუგული,
უკანასკნელ ძებნათა სევდიანი საზღვარი.
კიდეები შეშლილი, ღამეები ველური
დაიტვირთონ წამებით, ღამე მთვარეს მოებას.
სულს სწყურია საზღვარი ისევ ეფემერული,
სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას.
სთქვი, რას ნიშნავს ზენიტზე მდგარი შორი პალმები?
წინ! იმ უსაზღვრობაში მწუხარებას აიტან.
ჩემებრ დიდ საიდუმლოს მე იქ მივესალმები,
ყოველ მხრივ სივრცე იყოს, შველა კი — არსაიდან.

ო, უბრალო ხმებისთვის არასდროს არ მეცალა,
დაისერა მსოფლიო გამოუცნობ წყლულებით.
კოშკებს სიზმარეთისას ნისლი გადაეცალა
და იქ მიექანება სული განწირულებით.

ნეტავ ჯოჯოხეთისა დარდმა გამიყოლიოს,
სადაც ვარდებს ბაღისას მაისობა უქრება.
მძიმე ქვების ქუსლებით დავეყრდნობი პოლიუსს,
როცა ქარი მოსკდება და ცას შეემუქრება.
როგორც უხვი მემკვიდრე, ვისვრი სავსე პეშვებით
ფანტასტიკურ მკვლელობებს და ოცნებას მკათათვის,
წარსულში, მომავალში წყევლით გადავეშვები,
რომ ძეგლები ავმართო მღვრიე მშვენებათათვის.
თქვენ შეხედეთ... პირველი ჩნდება მერიდიანი,
ვეძებ ისევ დაღუპვას და დავცინი სიბერეს,
წარსულს წყდება ფოთლების წყება იმედიანი,
შემოდგომის ქარვებმა გზები გადამიფერეს.
დე, თამაშის თუ ბრძოლის ვიყო ცქერით გართული,
იყოს მზეთა ორგია და მაგია მთვარისა,
ვიყო ამ ღრიანცელში მარად ხელაღმართული,
ლანდი — არაქვეყნიურ დარდით გადამწვარისა.
დამრჩეს ეს საიდუმლო, როგორც წმინდა ემბაზი,
ეფემერა მომექცეს, როგორც ღამეს ენებოს.
ცხენთა შეჯიბრებაზე! ცხენთა შეჯიბრებაზე!
ცხენთა შეჯიბრებაზე გასწით, ლურჯა ცხენებო!

1922

შინდისის ჭადრებს

ორო ჭადარო, წყვილო ჭადარო,
შემოხვეულნი შუქთა ბადრებით, —
ო, მე არ ვიცი, რას შეგადაროთ,
ან უცხოეთში რად მენატრებით?

კვლავ გახვევიათ ოქროს ზეწარი
და შემოდგომის მკრთალი ბლონდები?
მე, უთვისტომო და გარეწარი,
თქვენ გაგიხსენებთ და დავღონდები.

თქვენთან რბიოდნენ ნათელნი დღენი,
ლოცვა ბავშვური, ფერი გედური,
ეხლა რად მესმის შრიალი თქვენი,
როგორც ტირილი და საყვედური?

1926

ეს მშობლიური ქარია

I

შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
აიმართნენ კოშკები
ცისა და ნესტანისა.
გახსოვს? ტოტი ქარისა
აქანებდა მთვარესა...
„ნეტა ეხლა სადა ხარ
და რომელსა მხარესა?“
მგლოვიარე ბინდებით
იბურება ყვარელი,
ვაზით და სიმინდებით
მიდის გზა საყვარელი:
ჩანს შორეულ ჩრდილების
კიდეებზე მონთება
და ომგადახდილების
ოხვრა მომაგონდება.
შავმა ნისლმა დანისლა
მთები დაღესტანისა,
ეცემიან კოშკები
ცისა და ნესტანისა.

II

ეს მშობლიური ქარია,
ეს სოფელია მძინარე,
არ ვიცი, რად მიხარია:
ვაზი, ყანები, მდინარე,
დღემ ნისლი შემოიხვია,
გზაც სიარულმა დალია,
ის — ძველისძველი ციხეა,
იქ კიდევ წინანდალია.
წინანდალს ვაზი ამშვენებს,
ახმეტას — ვაშლი წითელი.
როგორ რთავს, როგორ აშენებს
აკიდოების მკიდელი.
იქ ტყეა მთვარით ქსოვილი,
ვით ლოენგრენის სიზმარი,
ლაჟვარდით გადათოვილი
და ვერცხლით ნათილისმარი.

III

შუქი გაიშალა,
წყალი დაიფერა,
სიო დაიბერა,
ჩალა გაიჩალა.
სიზმარს აბარია
ველი შენაფერი...
ეხლა ყველაფერი
ოქროს ზღაპარია.
არც ხმა, არც ჩურჩული,
ბინა — მინაგნები,
თვალებდალურჯული
თრთიან იალქნები.
ძილი მეგონება:
უცებ ქაოსიდან
მთვარემ ამოზიდა
ლურჯი მოგონება.

IV

წინანდალელი ნათელა
ულამაზესი ქალია.
ო, ჩემო ციცინათელა,
ჩემო ციხე და გალია.
მთელი საღამო შევჯერდი:
რა არის ქალის სინაზე,
მაგრამ უეცრად შევჩერდი
მშვენიერ თინათინაზე.
ბრწყინავდა საარაკო ცა, —
მთვარე დაბრუნდა ბინაზე,
როს შუქმა ღრუბელს აკოცა
ყველა ქალების ჯინაზე.

1922

ქარი ჰქრის...

ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის,
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ...
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს... ვერასდროს!
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!..
შორი ცა ნისლიან ფიქრებს სცრის...
ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის!..

1924

გახედე: კახეთი!

გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი.
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი.
გარეულ ჭალებში ტრიალებს ქათამი,
ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი.
პირველ სექტემბრიდან სასარაკ, სავათა,
იქ თმაზე მეტია გნოლი და კაკაბი.
თხუთმეტი: ახალი იმედის სათავე.
სადაც კი ნისლია და ტყეა საკაფი,
თოფის ხმა, კივილი სისწრაფით მტევარი.
„დაეწი, ალზორა“, და მიჰქრის მწევარი.
ალაზნის ველი სჩანს. დილაა მზიანი.
გარშემო ბურია ღამენათევარი.

1922

ქარი ქანაობს ქნარად

ჭკნება ვარდები რგული,
ქარი ქანაობს ქნარად,
არ გამრთელდება გული?
წყნარად, წარსულო, წყნარად.

ცაზე ნელდება რული
ფერად ძოწ-აბრეშუმად —
არ გამრთელდება გული?
ჩუმად, წარსულო, ჩუმად.

1937

ბორკილის მეტს ის არაფერს ჰკარგავს

საქართველო მსოფლიოში შესვლით
ბორკილების მეტს არაფერს ჰკარგავს!
შეიცვალა ახალგაზრდულ იერით
და წინანდელ საქართველოს არ ჰგავს;
გადიფანტა ფიქრებიდან ნისლი,
დაიხსომე კიდევ უფრო კარგად —
აზვირთებულ მსოფლიოსთან მისვლით
ბორკილის მეტს ის არაფერს ჰკარგავს.

1928

არიან დღენი

არიან დღენი, ხანჯალივით ბასრი და მჭევრი,
ოდეს სისხლივით აღელდება ოცნება შენი.
შენ გენატრება მოკლულებით ფენილი ტევრი,
შენ გინდა იყო უსულგულო ცხოვრების მტერი,
ელვარე ცეცხლით გადაბუგო მთანი და ტყენი,
არიან დღენი, საუკუნოდ უფრორე მძლენი.
ტყვია-წამლით და დინამიტით მსუნთქავი ქვევრი,
აფეთქებანი, შეკივლება, ძახილი, ბევრნი
არიან დღენი.
არიან დღენი... ცეცხლისა და მახვილის კევრი,
ათასწლოვანი ადგილიდან სხლტებიან კლდენი;
იმ გულს ეკუთვნის თვითეული თემა, შედევრი,
არიან დღენი.

1927

იშლეგიან ყანები

მოფენილი ქალებით,
სავსე იდუმალებით,
ქარვად მონაზმანები,
სივრცით დანათავები,
იშლეგიან ყანები,
როგორც ვეფხვის ტყავები.

სამხრეთივით ვნებიან
მხარეს ეშურებიან
ჭაობების იხვები.
სიმაღლეებს მიჰყვება
ფიქრი ოქრის ნავებით.

1927

რა დროს რომანსეროა!

გაცრეცილ და მტვერიან
ცას სინათლე კლებია.
ყვავილებზე მღერიან...
რა დროს ყვავილებია?
ცაზე ვხედავ წეროებს,
თითქო მწკრივი ღეროა.

მღერენ რომანსეროებს,
რა დროს რომანსეროა?
წყარო ხევში ვალალებს:
გაჰქრა გიჟი ოცნება,
ვკოცნი მე შენს დალალებს,
მაგრამ რა მეკოცნება?

1928

რა ამოძრავებს კიპარისის ტანს

რა ამოძრავებს კიპარისის ტანს,
ჩუმი შრიალი საიდან არი?
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს...
მაინც მწვერვალებს ედება ქარი.
დუმილი გახდა ვიწრო გალია,
დაუძინარი და უჩინარი,
მხოლოდ იმიტომ, რომ მაღალია,
მარად და მარად ტყდება ჩინარი.
როგორც ჩინარი — ისე პოეტი,
მისთვის სიმაღლე არის წამება,
არა ღიმილით და ალოეთი
დაფარავს მტერთა ცილისწამება.
ის — მაღალია, დიდია მაინც!
მისთვის მოისმის ზარების ზარი:
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს,
მაინც მწვერვალებს ედება ქარი,
პოეტს მაისის სიზმრების ხილვით
ესარკებოდა პარიზის რკალი.
მაგრამ უეცრად ქარტეხილივით
მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი.
დემონიური არევ-დარევით
ყოველი მხრიდან ავარდა ალი.
სულში დაჰქროდა ქალი ქარივით
და შეშლილივით კიოდა ქალი.
ჰო, ლილიანი მაშინ დაქანდა,
ვით მწვერვალიდან მერანი მალი.

კუბო მიჰქონდათ, არვინ არ სჩანდა
და არ ტიროდა არც ერთი ქალი.
ოჰ, სიყვარული ზღვების ქაფია!
მიეცით წარსულს ელვა ან ხმალი,
რომ ამოკვეთოს ეპიტაფია:
„მის ცხოვრებაში შეიჭრა ქალი“.
და პაგანინიც... ორგიის ბადეს...
მაესტრო თასით გადაკრავს ღვინოს,
ესტრადა ნათელ იმედათ ბადებს
აშლილ ვოლტორნებს და პიანინოს.
ის დანდობილი იღებს ჭიანურს
და სასახლეებს ჰაერში მოდებს,
რომ მხარეები შეაჭიანოს
და ლეგენდები შორით ისმოდეს.
არა! არაა იმედი სიმათ,
ქალნი ლანდობენ თლილი თითებით,
სიმებთან ერთად ატირებს იმათ
თვალების ნაზი ქრიზოლიტებით,
მათ მეოცნებეს რომ ვარდი არგეს,
ის ნებას აძლევს სულს ითარეშოს,
არ ხედავს ახლო გაბზარულ სარკეს
და უიმედო საპირფარეშოს.
როცა ქარხნები ისვრიან დორბლებს,
ვერჰარნი, დროის ახალი დანტე,
თუჯის ხელებით სძრავს მძიმე ბორბლებს,
გიგანტი ცეცხლით მოანდამატე.

და ტრიალებენ ბორბლები ჩქარა,
და ინთქებიან ორთქლში გვერდებით.
ვერჰარნ! გაისმის მათი ხარხარი,
ნუთუ არასდროს არ შევჩერდებით?
დადგა დრო, რკინამ აიდგა ენა!
ის ითხოვს პასუხს, როგორც მკვლელობა,
და სასტიკია, როგორც გეენა,
მისი სისწრაფის ულმობელობა.
და ახრჩობს თავის ცხელი თითებით
მასვე, ვინც იმას სული შთაბერა,
მოკლეს ვერჰარნი! მაგრამ დიდებით
მას მოიგონებს ბედის სხვა წერა.
და დოსტოევსკიც... მას თითქო ასჯერ
ნისლიან ღამით, ნისლიან ღამით,
მათ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა
და ის ელოდა წამითი-წამით
ჯალათს, შემოსულს ციხეში წყნარად.
რაღაც ამაზე ღრმა, უფრო მეტი
გაუშუქებლად დარჩება მარად —
ასეთი არის მისი პორტრეტი.
იგი არ სინჯავს გამომხსნელ საჭეს,
ეფინებოდა რა სახეს ჩრდილი,
სიკვდილით დასჯა მას მიუსაჯეს,
ვინ იგლოვოს ის! რაა სიკვდილი!
ეშაფოტიდან უყურებს შორს პანს
დღემდე თვალების გამხდარი რეტი.
ასეთი არის მისი პორტრეტი...
ქარი არა სჩანს, ქარი არა სჩანს...

1922

ყანები

გამოჩნდა რხევა მაღალი ტანის,
ნამგალით მკლავზე მავალი ობლად,
მისი სიმღერა ხმა არის ყანის,
სადგურის ახლო მივარდნილ სოფლად.
სიმღერა სულით ემშვიდობება
გადამწკრივებულს ზღვისკენ წეროებს,
მზე ეხუჭება, როგორც ობობა,
ნაზად დაქსელილ ხის კენწეროებს.
სულმა არ იცის, რა არის მონა,
გზებზე ნახირი ისევ ბრუნდება.
კრავებს მირეკავს სოფლის მადონა.
მადონა ქოხებს დაუბრუნდება.

1925

მატარებელი

მთები აჭრელდა, როგორც ჟირაფი,
მატარებელი მიჰქრის ბინდებათ,
ეხლა იწყება წიფის გვირაბი,
თქვენ ხომ არაფრის შეგეშინდებათ?

1925

დამწველი თავის სიმშვენიერით

დამწველი თავის სიმშვენიერით,
დამშვენებული უხვი გინგებით —
ფეხთან პერანგი იწვა ცბიერი,
როგორც ელვარე ფარშავანგები.

შიშველი, წმინდა, როგორც ნაკადი!
დიდხანს საჭირო არ იყო ხვეწნა,
უცხო სახეზე შემონახატი,
წარბები — მშვილდი და თმები — ძეწნა.

მე სხვა ქალებს ვერ დავემალები,
მათში ბევრია პროზა, ქრონიკა,
მაგრამ სხვა იყო შენი თვალები
და შენი კოცნა... ო, ვერონიკა!

1927

მშობლიური ეფემერა

ვეღარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს —
ზამთარს ბილიკი დაუტანია...
„დიდი ხანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დიდი ხანია!..

შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..

ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს,
ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?“ — მივმართავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: დაკარგულია!..

გუგუნებს თერგი, ხმაურობს თერგი,
მზე ჩავა, ჯერ კი შორსაა ბინდი...

ფერები მჭევრი ირევა ბევრი,
ლალების ტევრი — ლილა და შინდი...

ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით,
და ცა ალუბლით სავსეა... კმარა.
ყვავილთა ციდან კალათებს ცლიდნენ,
დარიალიდან ზარავდა ზარა...

სულ ერთი წამით განსაცდელ ჟამად
შეხვედრა ჩუმი მე შენად მერგო.
მოგონებებით, რაც ჩემს გულს ანთებს,
იმ ძვირფას ლანდებს გადაეც, თერგო!..

შეხავსებია კლდეები კლდეებს,
იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.
„ამირანია?“ — კვლავ ვკითხავ ტყეებს,
და ტყე გუგუნებს: ამირანია!..

1923

მივალ, გადავკოცნი

მივალ, გადავკოცნი
ჩემსა მთვარესა,
სიტყვებს გადავტყორცნი
მწარე-მწარესა.

გიშრის კაკანათებს
ნუ ჰფენს ქარებსა,
ასე ნუ ანათებს
ჩემს ბნელ ღამესა.

მივალ, გადავკოცნი
ჩემსა მთვარესა,
უარესს გადავტყორცნი
სიტყვებს მწარესა.

1927

შენ რაღას იტყვი, ყანა?

თვალით ვეღარას ვხედავ,
გული მოელის დანას,
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას?

გადაქცეული ახოთ —
გრძნობაც ისეა, განა?
ჭალის ყანები ვნახოთ:
შენ რაღას იტყვი, ყანა?

თვალი წაიღო სევდამ,
როგორ აჟრჟოლებს ყანას...
რისთვის გამზარდა დედამ,
რისთვის მეტყოდა ნანას?

1927

ი დ ე ა

რწმენით იარ, იარ, იარ!
მტკიცე გქონდეს ბიჯი!
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი!
ასე იყო და ასეა
ბრძოლა ჩვენი მიწის,
რწმენა ბევრად ძვირფასია:
მან გატანა იცის.
ურყეველი რწმენის მტერი
გზას ვერა-რით აგნებს,
როს სხვადასხვა გზით უცქერის
ათასნაირ საგნებს.
საგანიც ფერს მისთვის ხშირად
იცვლის იმის გვარად —
როგორ ხედავ, რანაირად,
რომელ მხრიდან და რად.
განა ვისმე ვიყავ მონა,
როცა მდევდა ზრახვა
და მრავალი დღეთა კონა
ძლიერ ღელვას გაჰყვა?!
არა მონა! ო, პირიქით,
თავისუფალ ამბით
ოქროსა ვსჭრი, როგორც ვსჭრიდი,
საკუთარი შტამპით.
მაგრამ, გრძნობათ სიმაისევ,
ფიქრო ნათელ ფრენის,
თუ მონა ხარ, მონა ისევ —
საკუთარი რწმენის.

რწმენით იარ, იარ, იარ!
მტკიცე გქონდეს ბიჯი!
ყოველ ნიჭზე ძლიერია
ქვეყნის დაცვის ნიჭი!
ერთხელ, ღამით, ცეცხლის ალზე
მივდიოდით ტოლნი.
მივდიოდით და, ჰა, თვალწინ
აღიმართა სმოლნი!
სმოლნი, სმოლნი! იქ — იმ დროის
მახვილი და ბრძმედი —
ქუხდა რწმენით მსოფლიოის
ერთი მეექვსედი,
ის, ტიტანი, ვინ სთქვა სახლად,
მრავალ ღამენათევს
სწევს იდეა მაღლა-მაღლა,
ზრუნვა ტვირთად ადევს...
და როდესაც თვალს აცეცებს
ლულა ტყვიამფრქვევის,
გუშაგის ხმას: — თქვენ ვის ეძებთ?
ვუპასუხე: — ლენინს!

1932

ბავშვები კაფეში

მე არა ერთი მინახავს ბავშვი,
პატარა, როგორც ოქროს წიწილი,
ეტლში, სალონში, აკვანში, ბაღში
გაისმის მათი ზარის სიცილი.

მაგრამ კონტრასტი არის ამ ბედის,
გულცივი, მკაცრი და გამყიდველი.
მშიერი სახით კაფეში შედის
ბავშვების გუნდი შიშველ-ტიტველი.

მათი თვალები აღარ იცინის,
ხედვაში ხანჯლის არის ციება,
არ ეპატიოს — კვნესენ ისინი —
ქვეყანას ჩვენზე შურისძიება.

მათ ნატყვიარი აკრავთ წარბებზე,
გული სავსე აქვთ შხამის წვეთებით,
ამ დროს მოლხენით არის დარბაზი,
ორკესტრი გრგვინავს თავგამეტებით.

1925

* * *

რისთვის მაგონებ, ვაზზე
მიმობნეულო ნამო,
ცრემლებს, დადენილს მძაფრი
ახალგაზრდობის გამო?

მზემ ამოაშრო ნამი
და შლის საღამო ამო —
ცთომებს, ჩადენილთ როსმე
ახალგაზრდობის გამო!

მეტყვით: ეს იყო სრული
და მშვენიერი რამო,
რაც თავს გადაგვხდა მხოლოდ
ახალგაზრდობის გამო.

ის გაზაფხული გაქრა,
მეგი, იარე, წამო!
აქ ხმაურობდა ტალღა
ახალგაზრდობის გამო...

1950

მშობლიურო ჩემო მიწავ!

სამი დიდი ოკეანე გარე უვლის ნათელ მხარეს,
მთვარიანი და მზიანი ზეცა აფრქვევს სიანკარეს,
ორ ზღვას შუა ძველისძველად საომარი იყო ლელო —
ის გადარჩა და სახელად ეწოდება საქართველო.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს დიდებას, წინაპართა ძვლებს დავიცავ!

ასწით კავკასიის ფარდა! — ეს ამერი და იმერი,
მისი „ხელი ხმალს იკარ“ და მისი „მრავალჟამიერი“.
მიყვარს მარად მხნე და ძმური ის გურია და სვანეთი,
თუში, ფშავი და ხევსური, აჭარა და თრიალეთი.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს უფლებას, შენს უფლებას სისხლით ვიცავ!

აღმოსავლეთ — დასავლეთის გზა მიხვეულ-მოხვეული,
იავნანა მეგრელ დედის, აფხაზური, მოხევური,
ლაზთა რბევა, სისხლის ტბორით შეღებილი ქართლ-კახეთი!
რაჭა-ლეჩხუმია შორით, ახლო — მესხეთ-ჯავახეთი...
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ტკბილ ენას, შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ!

და ვიგონებ იმერეთის ომს ვეფხვებრივს, შინ — ზრდილობას,
მის ჩონგურებს და წერეთლის უდარებელ წერეთლობას.
„გამაგონე ეგ ხმა ტკბილი, დაჰკარ გრძნობით დაირასა“, —
განა გული ძველის ჩრდილით სამუდამოდ დაირაზა.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ფაზისის ცას, საირმეთა ეშხს დავიცავ!

აგერ წინამძღვრიანთკარის ქარი არხევს ზვარის სამოსს,
და ხავერდი სავსე მთვარის მოჰფენია საგურამოს.
მეცხრამეტე! განთიადით გეგებება ოხვრა კაკლის...
ახალგაზრდა გოლიათი ახლა ავსებს ამ დანაკლისს.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს, შენს მგზნებარე ჩანგს დავიცავ!

დიდი გზებით მიდის ძველთა დიდება თუ დამარცხება,
ეთვისება ზაჰესს მცხეთა და არაგვიც არა ცხრება.
უსივრცოა დროთა სივრცე და მდიდარი — ფეროვნება,

მისი შრომა, მისი სიბრძნე, მისი დიდი ხელოვნება.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმართლეს, სისხლით ნაპოვნ გზებს დავიცავ!

მტკვარს დაჰყურებს მაღლით ჯვარის მონასტერის სიამაყე,
მოვიარე მთა და ბარი, მაგრამ მსგავსი ვერსად ვნახე.
ხუროთმოძღვარს აქ ჰყავს მცველი მეომარი და მგოსანი,
და ჩუქურთმა უფრო ძველი, ვიდრე ვეფხისტყაოსანი.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ იმ ლექსთა ხმას, იმ ჩუქურთმის შუქს დავიცავ!

მიწა, სადაც ვხნავთ და ვთესავთ, მოკირწყლული იყო ძვლებით,
მოღაღადე, უკეთესად, ვინემ უსახელო წლები.
იმ წარსულთან რა ძლიერი ანათებს აქ დროის თვალი —
რარიგად სჩანს მშვენიერი საქართველოს მომავალი!
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ იმ მომავალს, იმ მომავალ მზეს დავიცავ!..

და ხმალივით ბასრი გრძნობა არის ფუძე ახალ ხანის,
ჰგავდეს რკინის ნებისყოფა თვითეული ჩვენთაგანის.
გამარჯვების გზებით მიდის თვითეული დღე ფრთამალი,
რომ არ სჩანდეს კვლავ იმ დიდი სიდუხჭირის ნატამალი.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს, შენი დროშის ფერს დავიცავ!

ოცდაექვსი საუკუნის წინათ ქმნიდნენ ქართულ ანბანს,
ხელნაწერნი განვლილ დროის მოგვითხრობენ გმირთა ამბავს —
სუნთქვა ძველი წიგნებისა, მშვენიერი ძველი ენა,
სული ქართლის ცხოვრებისა, რუსთაველის აღმაფრენა!
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ უძველეს განძს, იმ უძველეს წიგნს დავიცავ!

შლა წიგნების მიყვარს ძველის, მშვენიერი ძველი ენა,
კიდევ — რაც ამ ოცი წელის გადიშალა აღმაფრენა,
რაც ამბავი მოგუგუნე ამ ანბანით აწყობილა...
სხვა მეოცე საუკუნე არასოდეს არ ყოფილა!
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს ახალ გზებს, შენს უახლეს წიგნს დავიცავ!

ახლა ვეღარ გეტყვის ბედი, საქართველო ნაწამებო:
ქართლს განუდგა იმერეთი, საკუთარი სურს სამეფო.

თემურ-ლენგის ვერ წამოვა ველურობის ხმა და ზახი.
თბილისს რომ არბევდა ხროვა ჯალალ-ედინ-ხორეზმ-შაჰის.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მშვიდობას, შენს მთასა და ზღვას დავიცავ!

ქარმა მიანგრ-მოანგრია ძველი ქვეყნის საბუდარი,
აწ სხვაგვარნი ქარნი ჰქრიან, ჩვენ მხარე გვაქვს საკუთარი.
ის ვერ ითვლის გმირთა მხარ-მკლავს, ვერც უხვობას გენიისას,
და ბრწყინვალეს ანთებს ვარსკვლავს, ვარსკვლავს აკადემიისას.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ ერთა ძმობას, მეგობრობის ფიცს დავიცავ!

თუ მრავალგზის დანგრეული, კვლავ ბრწყინვალე გახდა მხარე,
თუ მოედო მეყვსეული მშენებლობის ნიაღვარი,
თუ ძალების არდაზოგვა ამეტყველებს თვით ქვა-ლოდებს —
ეგ მისთვის, რომ ჩვენ ეპოქა ახალ გზისკენ მოგვიწოდებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს მიღწევებს, შენი დროშის ფერს დავიცავ!

თუ ბუნების მოკვდავ კაცებს გვიერთდება აღტაცება,
თუ გვამხნევებს და გვიტაცებს განახლების დიდი მცნება,
თუ ყოველ დღის მძაფრი ჟინი ახალ სიმაგრეებს აგებს —
ეს მისთვის, რომ ჩვენ ლენინი მუდამ წინსვლას გვიქადაგებს.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიმაღლეს, შენს მშვენიერ ჩანგს დავიცავ!

ქვეყნის მეტის მზით ავსება საგანია ჩვენი ზრუნვის,
ჩვენ შევსძელით დაფასება ჩვენი მძლავრი საუკუნის.
გავიარეთ სევდისმგვრელი გზათა სივრცე და საზღვარი,
გადავლახეთ ღამე ბნელი და ბურუსი ყოველგვარი.
მშობლიურო ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
გიცავდი და გიცავ მარად, გიცავდი და კვლავ დაგიცავ!

1040

* * *

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო,

უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,
არ კი უთხრა — ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

1088

წამყე ბეთანიისაკენ!

წამყე ბეთანიისაკენ! იქ, სადღაცა, ახლომახლო
იყო ორბელიანების
და ირაკლის სამოსახლო.
გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს
ადგილები უკეთესი!
ადგილები ასე მშვენი ვარდისაგან, იისაგან...
სანადირო ადგილები...
წამყე ბეთანიისაკენ!
მოდი, სადმე უდაბური ვპოვოთ კუთხე ქედმომაღლო,
გადმოვხედოთ მაღლით თბილისს —
მე აქ უნდა დავესახლო!
წამყე ბეთანიისაკენ! იქ, სადღაცა, ახლომახლო
იყო ორბელიანების
და ირაკლის სამოსახლო.

1947

მე კავკასიის ქედები მთხოვენ

მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა — თერგის ხმაურის!
ვუსმინო ყაზბეგს — ხევის ბეთჰოვენს
აგუგუნება კაიშაურის.
მე მშობლიური არაგვი მირჩევს,
წინასწარ ვიგრძნო, ვიცოდე მარად,
ქართველის გული თუ რისთვის ირჩევს,
ომში სიცოცხლე ჩასთვალოს არად.
იმ დღეებს ძეგლი უნდა ავუგო,
უნდა აღვმართო წყებათა წყება,
ვით აღიმართა შენთან, ძაუგო,
გამარჯვებათა ჩვენთა დაწყება!

1948

სტანსები

აქ დაიდგმება პოეტის ძეგლი,
ბავშვები მოვლენ შენი წიგნებით,
იქნება, ბევრი რამე იქნება —
მხოლოდ ამქვეყნად ჩვენ არ ვიქნებით.
ცხოვრებისაგან დაჭრილი ლომი,
ეხლა რომ ოხვრით შამბში ვარდება.
სხვა ისტორიის წინაშე მდგომი
აქ სხვანაირად აღიმართება.
ეხლა კი ხელი მივცეთ ერთმანეთს,
ხომ მოგვივლია ხმელეთი, ზღვები...
ოჰ, მომავალო, შენ ერთი მაინც
არ იტყვი, როგორც იტყვიან სხვები!

1948

ქალავ!

გულო, ოცნებას მალავ,
ცაო, ლურჯდება ზოლი,
ვაჟი: — დაიცა, ქალავ!
ქალი: — დაგიბრმა თოლი!
შორით ბრუნდება წყალი,
ნისლი იცრება მთაში.

— არა! — ჩურჩულებს ქალი.
— კარგი! — ამშვიდებს ვაჟი! —
თუნდა წაიყვა ჯოგი,
კიდენ დამრჩება მრავალ,
ბროლ-ღიკილასაც მოგი,
როცა ქალაქში ჩავალ.

1924

ვწერ ვინმე მესხი მელექსე

ვწერ ვინმე მესხი მელექსე,
რაც კი მივლია მე გზები,
ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,
ჯერ მზე და მერე ლექსები.

იყოს ნაკვეთი შაირი,
როგორც ნასროლი ისარი,
ხან ბრძოლა ქუხილნაირი,
ხან რხევა სამაისარი,

ხან საკვნესარი დაირი,
ხან ჩანგი მოდაისარი;
ის არი სუნთქვა, ჰაერი,
მთელი სიცოცხლეც ის არი.

შმაგი, ვით ვეფხვი დაჭრილი,
მშობლიურ მთა და ველებზე,
ვარ ოცნებისთვის გაჭრილი
მე, ვინმე მესხი მელექსე.

1936

ჩანგო, ბევრი კარგი დრო...

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ქვეყნად გვიტარებია,
უსულგულო ცხოვრება
ჩალას გვიდარებია.

საქართველო — პარიზი
სხვადასხვა ქნარებია,
ჩანგო! დამიმტკიცე, რომ
სიმართლე გყვარებია.

ჩანგო! ჩვენ ხომ ხალხისთვის
ბრძოლა არ გვზარებია.
მოღრუბლულხარ, ეშხითაც
გამოგიდარებია.

ასი, ასი და კიდევ
ას სიმღერის ხმებია,
რაც კი თვალს დაუნახავს
და გულს გაჰკარებია.

ჩანგო! ბევრი კარგი დრო
ერთად გვიტარებია!

1935

ქებათა ქება ნიკორწმინდას

შაქვს მკერდს მიდებული
ქნარი, როგორც მინდა.
ჩემთვის დიდებული
სხივი გამობრწყინდა.
მკვიდრად ააშენა,
ვინაც ააშენა
და ცით დაამშვენა
დიდი ნიკორწმინდა.

გზნებით დამკარგავი
გრძნეულ ჩუქურთმებით,
ქარგით დამქარგავი
ნაზი შუქურთმებით,
ნეტა ვინ აზიდა,
ან როგორ აზიდა,
რა ხელმა აზიდა
მაღლა ნიკორწმინდა!

რა განძი გვქონია,
რა მხნე, რა მდიდარი,
ეღერს ქვის ჰარმონია —
დარობს რამდი დარი.
კარგად გამოჰკვეთა,
ვინაც გამოჰკვეთა,
სიბრძნით გამოჰკვეთა
მძლავრი ნიკორწმინდა.

აქ რომ თაღებია,
სვეტთა შეკონება,
ისე ნაგებია,
სიზმრის გეგონება.
ნეტა ვინ ააგო,
რა ნიჭმა ააგო,
რა მადლმა ააგო
სვეტი — ნიკორწმინდა!

ხვეულთ დიადება
ვხედავ — რა უხვია,
დრომ მას დიადემა
კრძალვით შეუხვია.
ნეტა ვინ მოჰქარგა,
და როცა მოჰქარგა,
შიგ მიჰკარგ-მოჰკარგა
გზნება — ნიკორწმინდა!

მკვეთრი და მოქნილი
ხაზთა დასრულება,
არის ამოდქმნილი
ნატვრის ასრულება.
ეს ის სიმკვეთრეა,
ეს ის სიმდიდრეა,
რაითაც მკვიდრია
ძეგლი — ნიკორწმინდა.

შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი:
ყელი გუმბათისა
მაღალღეროვანი,
ცამდის აღერილი,
ნებით აღერილი,
სათნოდ აღერილი
გშვენის — ნიკორწმინდა.

მზერა ქართულია
სივრცის დაუნჯებით,
თვალი გართულია
ფრთიან ფასკუნჯებით:
ფრთები, ფრთები გინდა,
კიდევ ფრთები გვინდა,
გინდა, დაეუფლო
სივრცეს, ნიკორწმინდა!

გრძნობ, ვით დიადია
თორმეტი სარკმელი,
ხაზებში ანთია
ცეცხლი მისარქმელი:
ნეტა ვინ აანთო,
რომ გრძნობით აანთო
და წლებს გადაანთო
ნათლად ნიკორწმინდა!

შენ, ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
გიცავს, უახლესი:
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება —
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

1947

* * *

შარშან ჩვენი სახლის წინ იდგა ოთხი აფთარი,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

საშინელი რამ იყო კარზე მათი მოდგომა,
გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, შემოდგომა!

ო, ეს წელი გულს გლეჯდა, როგორც მიწას აფთარი,
გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი.

მათ გზა ჰქონდათ ლხენისა და მე კი — დაზაფრული,
ზამთარი, შემოდგომა, ზაფხული, გაზაფხული.

1951

* * *

მიდიხარ... ისე
მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის კარად
თივას თიბავდე,
ვინა თქვა შენი
გარდაცვალება?
არა, სწორედ დღეს
შენ დაიბადე.

მიდიხარ... აღარ
დაგემდურება
არც მიწიერი,
არც ზეციერი,
ვინა თქვა შენი
უბედურება?
არა, სწორედ დღეს
ხარ ბედნიერი.

მიდიხარ... ტკბილი
გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა
მარად იყო ზღაპარი.
ვინა თქვა შენი
მიუსაფრობა?
არა, შენ ჰპოვე
თავშესაფარი.

მიდიხარ... შენს ბედს
ბევრი ინატრებს,
მშვენიერს, ბედი
სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა
დაგაბინადრეს —
შენ უკვდავების
ხარ ბინადარი.

1956

საფო მგელაძე

თერგს

რას ბობოქრობ? მე ყურს ვუგდებ შენს გრგვინვას და ქუხილს:
ნეტავ ვიყო შენი ტალღა, მომცა შენი მუხლი,

რომ ბრძოლებში გამარჯვების სიხარული მერგოს...
შენ დაცხრები ზღვის ტალღებში, ჩემო შმაგო თერგო,

ხოლო განცდას პოეტისას, შენსავით რომ შფოთავს,
ვერ გააქრობს, ვერ დააცხრობს ვერც თამაში დროთა,

ვერც გაშლილი ოკეანე, ვერც უსაზღვრო სივრცე —
ერთ პატარა აღმაფრენას მთელ სიცოცხლეს მისცემს.

ხან ეშვება უფსკრულებში, ხან ისწრაფვის მაღლა,
ის არ ეძებს მოსვენებას, ის არ იცნობს დაღლას.

მუდამ დაჰქრის, მუდამ ზვერავს ცის და მიწის კიდეს,
რა მისწვდება თვის სანუკვარს, ახალს ეძებს კიდევ.

სურს შეიცნოს ეს სამყარო სიტყვას სწონის მისხლით,
იგი მღერის და სტრიქონებს წერს საკუთარ სისხლით.

არ დაეძებს ის დიდებას და არც მოსდის ძღვენი
და მეტყველებს მისი პირით ხან — გიჟი, ხან — ბრძენი.

ბრუნავს ჩარხი ცხოვრებისა, ბრუნავს მისი ღერძი,
ყოველ ფლიდს და არამზადას ის გზადაგზა ებრძვის.

ყოველ ფლიდს და არამზადას იგი გესლით ავსებს,
ყოველ გმირს და საქმით მართალს ლექსის შარბათს ასმევს.

ბრუნავს ჩარხი ცხოვრებისა, ერთ დღეს ხორცი ცვდება,
სიმი წყდება, მოკვდავია და პოეტიც კვდება.

კვდება... ჰქრება მასთან ერთად: ღელვა, სწრაფვა, იჭვი,
კვდება გარსი გარეგანი, მაგრამ — არა ნიჭი!

იგი უძლებს საუკუნეს, კიცხვას, მითქმა-მოთქმას,
ახალ სიტყვით დაუხვდება ყოველ ახალ მოდგმას.

მაშ, გვისურვე გამარჯვება სხვებთან ერთად გვერგოს —
ალბათ, ერთ დღეს ჩვენც დავცხრებით, ჩემო შმაგო თერგო.

1935

თუშები

ისევ მაღალ მთას ვეიმედები,
ჩვენს მოდგმას ისევ ის გააკაჟებს...
და როცა ვხედავ ნაბდის ქუდებით
სადმე ახოვან, შავგვრემან ვაჟებს,

ვარჩევ ყმაწვილებს, ლაღად აღზრდილებს,
თოვლში და ბუღში გამონაშუშებს,
ჩვენში ვეფხვივით გადმოვარდნილებს,
მთიდან ჩამოსულ წვივმაგარ თუშებს.

უხდება მთიელს თამამი მზერა,
შვენის მზის ფერფლი გარუჯულ კუნთებს,
თან ბოკვერივით ლამაზებს ზვერავს
და მძაფრი ვნება ცეცხლს სულში უნთებს.

მუდამ ფხიზლად დგას, მუდამ თავს იცავს
და თვალხილული ღამეებს ათევს,
ებრძვის ბუნებას, ებრძვის შავ მიწას,
ებრძვის ქარიშხალს, სეტყვას და დათვებს.

შევყურებ, ოქრო გადაუფერავს
ძვირფასი მადნის დაღორღილ ქვიშას,
არ იცის წერა და მაინც სჯერა,
იოლად წავა და არა უშავს.

თუში — ეს სიტყვა მუდამ მომწონდა,
თუში — ეს სიტყვა ღიმილს მავალებს.
ბევრ თუშს გმირული წარსული ჰქონდა
და დღეს სწვავს მიწა მათ ჩამქრალ თვალებს.

ვაჟებო! გასწით თუშეთის მთებში,
სცადეთ მთის ქალის გულის გაღება,
ნუ გინდათ ქვაბი, ნუ გინდათ თეფში,
ნუ გინდათ მზითვი წამოსაღებად.

ქალებო! წადით, მთა დაიპყარით,
ცრუ ადათების ნუ არის შიში,
თუგინდ მწყემსებში ეძიეთ ქმარი,
ოღონდ გამრავლდეს ძლიერი ჯიში.

მთა ძუნწობს, ჩვენთვის შვილს არ იმეტებს,
ქალებს ინახავს, ვაჟებს არ უშვებს
და მეც ის აზრი დამაიმედებს,
რომ ჩემს ორ ასულს მივათხოვ თუშებს.

1926

იებს ამბორიც გამოჰყვა თანა

იებს ამბორიც გამოჰყვა თანა —
ამაზე მეტი პოეტ ქალს რა მაქვს:
ხელზე მაკოცე და იმ დღის შემდეგ,
მგონია ცეცხლი თითებით დამაქვს.
მგონია ცეცხლი ჩაიქცა ჩემში
და ცხელ ნიაღვრად მოედო ძარღვებს,
მოდის იზრდება გრძნობათა თქეში
და ყველა საზღვარს გზადაგზა არღვევს.

მე დღეს ეს გრძნობა ნაღველსაც მომბერს,
ედება შხამი გულსა და კალამს.
ო, ჰკითხე ღმერთებს — რად აჩენს გრძნობებს,
ჰკითხე დემონებს — რადა აქვთ ძალა.
იებს ამბორიც გამოჰყვა თანა —
ამაზე მეტი პოეტ ქალს რა მაქვს:
ხელზე მაკოცე და იმ დღის შემდეგ,
მგონია ცეცხლი თითებით დამაქვს.

1985

ნესტორ მალაზონია

ბარათი

შეიშრეთ ცრემლი, შეწყვიტეთ გლოვა,
რაც არის, არის: შინ ვეღარ მოვალ...

მე არც საფლავის ცივი ქვა მაძევს,
არც წარწერა მაქვს საფლავის ქვაზე.

ვიბრძოდი. ცამ რომ დაუშვა ბური,
დავრჩი მებრძოლი შინმოუსვლელი
და, სიცოცხლეზე შეყვარებული,
ისევ ისე ვარ, ნირშეუცვლელი.

ჩემივე სისხლით შეღებილ მიწას
მიმტაცებელი მტრისაგან ვიცავ,

და არაფერი მიმყვება დარდად,
ერთი უიღბლო ბარათის გარდა:

მიყვარდა ცქერა ზეცის სარკეში
და ერთი გოგოს ცისფერი თვალი,
გულის ჯიბეში ოთხად ნაკეცი
ჩამრჩა იმისი შემონათვალი.

შიგ იაც იდო ლურჯი და მჭკნარი,
გულში ჩავიკარ გულის ფანცქალით,
მაგრამ იელვა... ცეცხლი... ხანძარი...
და მე წაკითხვაც ვერ მოვასწარი.
1968

ს ა რ ძ ლ ო

და კარს მოადგა ერთი გოგონა,
თვალი — მაყვალი, ყელი — ყარყარა.
გაიცინა და ასე მეგონა,
ცისკრის ვარდები შემომაყარა.

შევცბი და მკერდში გახურდა თონე,
შვილი?
უმისოდ რა გულმა გაძლოს!
ვაჟი აღარ მყავს...
აღარ მყავს, თორემ
სად ვიშოვიდი უკეთეს სარძლოს!
1968

მ ო მ ა ვ ლ ი ს ხ მ ა

ბავშვი იღიმის — მზეა მგონია,
ისე თბილი და გულჩამწვდომია.

ბავშვი ცელქობს და დაუმცხრალია —
მისი ანცობა გულს უხარია.

ბავშვი ტირის — და მეც მიტირია,
ტიტინებს — და მეც მიტიტინია.

სიცილიც იყოს, თუნდა სხვაც იყოს,
ოღონდ მომავლის — ბავშვის ხმა იყოს...

მე შიში მომკლავს მდუმარ ღამეში,
თუკი მომავლის ხმა არ ჩამესმის!
1967

დ ი ლ ა

დილაა. იწვის ცისკიდე,
ხანძრად ჩაეშვა მთაში.
მდელოზე ჩიტი ჭიკჭიკებს,
ხევში ჭახჭახებს შაშვი.

დილაა, დილა ხასხასა,
დილა შენი და ჩემი,
ამღერებს ხეს და ბალახსაც
შვების მადლი და ცრემლი!

შეხედე ქვეყნის არჩევანს,
სოფელს, ქალაქს და ჭალას,
უტეხ გულსა და მარჯვენას.
ულევ სულსა და ძალას!

რამდენ ჭირს გადაუვლია
ამ მიწაზე და ცაზე,
ახლა რა სასწაულია,
რა სინათლე და რა მზე!

მზის და ფერების დილაა,
მთის და სერების დილა,
მძლე სიმღერების დილა და
ბედნიერების დილა!

1967

ქ ვ ი შ ხ ე თ ი

ძველქართული სახლ-კარი,
ძველი კერა ჩამქრალი.
ცხელი გულის ფანცქალი, —
ცხელი ტყვიით დამცხრალი,
წყაროს წყალთა წანწკარი
და
მოჩურჩულე ცაცხვნარი.

კაცი ამასოფლელი,
უკუნ დროში მყოფელი,
ბნელის უარმყოფელი...
და
მწარე ფიქრის მომფენი
იფნიანი სოფელი,
ყიფიანის სოფელი!

1965

* * *

ეს ცხოვრება
სიხარულის მგვრელი —
ლხინი არის,
მაგრამ არის ჭირიც:
შენ რომ ტირი,
მაშინ ვიღაც მღერის,
შენ რომ მღერი,
მაშინ ვიღაც ტირის.

1968

პაოლო იაშვილი

პოეზია

გაგიჟება სჯობს, თუ გათავდა სიტყვის მადანი,
და თვალთა დათხრა, თუ მზეს ქებით ვეღარ დახვდები,
ლექსო, გულიდან ხორცად რომ ხარ გამონატანი,
თუ უნაპიროდ, სამუდამოდ არ გაჩაღდები.

არი მკვლელობა, არი ომი, არი ხანძარი,
მიწისძვრა, ჭირი, ტყეში ყოფნა მარად თულებად,
მაგრამ არ არის ტანჯვა უფრო უზარმაზარი,
როგორც პოეტის შთაგონებით დასნეულება.

დადის ქალაქში ბევრის მსგავსი ჩემი სხეული
და ხალხი ამბობს: „ეს კაცია ლექსის მწერალი“,
მაგრამ ვინ იცის, რა ცეცხლშია გამოხვეული
ეს ჩემი ტვინი, დასაქცევი, ტვინი ვერანი.

რამდენი თვალი უნდა მქონდეს, რომ ყველა ვნახო,
რამდენი გული უნდა მედგას, რომ ვიგრძნო ყველა,
რამდენი სახე მე თვით უნდა გავაპარტახო,
რომ ერთი ლექსი დამრჩეს წმინდა, როგორც პეპელა.

შემომახურებს სიკვდილივით სიტყვა კვიატი,
და სისხლი, აზრი, სული იქცნენ იმის მონებად,

გავიდა ღამე, მოასკდება კარს განთიადი,
აღარ ხარ კაცი, აღარც ჩონჩხი, ხარ მოგონება.

რამდენი ლექსი დაიწერა, იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას ვით ადამიანს,
და თუ ეს ლექსი უნდა იყოს უკანასკნელი,
მაშინ ეს ძორი ყვავებისთვის გასატანია.

1926

ლენინს

დგას პოეზია საპატიო ერთგულ დარაჯად
მეექვსე ღამე! ჩანს თბილისი ვით სასაფლაო.
უნდა სიჩუმე გამოცხადდეს ერთი საათით
მთელ ქვეყანაზე, — მაშინ, როცა კლარა ცეტკინი
მოსკოვის წითელ მოედანზე, სტალინთან ერთად,
მავზოლეუმში დაასვენებს ლენინის ცხედარს.

რჩეული ჩემგან ყველა ბრძოლის ბარიკადებზე
იყო ლიბკნეხტი ნაღმით სავსე დინამიტებად,
მესმოდა მისი ხმა, ყვირილი, მისი ზრიალი,
როდესაც ერთი უცხადებდა ომს გერმანიას.
მაგრამ ლიბკნეხტის არჩევანი იყო ლენინი,
ლენინი იყო არჩევანი ქვეყნიერების.

ვიცი შორეთში მებადური ჩამოხეული,
რომლის ცოლ-შვილი დამშეული ქუჩაში ჰყრია,
ახლა აკეთებს თავის ბადეს და სტირის ლენინს!
ესპანეთშიც კი, მჯერა, ამ წუთს აღარ მღერიან,
და აჩერებენ თავის გემებს მეზღვაურები.
ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი,
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში გლოვისა,

მინდა, ნიკიშის ძალა მქონდეს, რომ შევადგინო
ქორო ათასი და მილიონ ატირებულთა.
ო, მეგობრებო, გახსოვთ, როცა თბილისში ჩვენთან
ჩამოიტანეთ აკივლება მეცხრამეტე წლის,
როცა მოედო დიდ პეტერბურგს ტიფი და ცინგა,
როცა ბავშვები სთხოვდნენ ლენინს მხოლოდ ნატეხ პურს,

როცა ლენინი დასტიროდა დამშეულ ბავშვებს
და თავს უყრიდა როგორც გამხდარ, ყვითელ წიწილებს!
ლენინის კუბოს მინდა, ახლა შემოესიონ
ჩემი სიტყვები, ვით მტირალა ჩუმი ბავშვები,
ამხანაგებო, ჩადგა წუთით ოქტომბრის ქარი,
ვიმღეროთ ერთად, პოეტებო, მარში გლოვისა.
1924

ევროპა

1915, იანვარში
პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია,
დიდ ნიაღვარში
მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის გემზე „კაბადოკია“.
ეს იყო მაშინ,
როცა სენაში
ჰყრიდნენ პარიზის მოქალაქენი გერმანელ ტყვეებს...
ვიგონებ დღეებს,
როცა ვერდენს მოადგა შანთი,
როცა დასცალეს ტროკადერო,
და ლუვრს მოსტაცეს ლაურა-დე-დიანტი,
გახდა პარიზი უსიცოცხლო და უსიმღერო.
ლუქსემბურგში:
იდგა ვერლენი ცრემლიანი და თოვლის ქურქში,
ღამის ქალები, პოეტები მოშორდნენ „დარკურს“
და კაფე „ლილლას“
და მათხოვრები სენის ხიდებქვეშ
მარსელიეზით ხვდებოდნენ დილას.
პარიზელები ყვავილებით, პატარა ჯვრებით
გზავნიდნენ ბავშვებს პერლაშეზის სასაფლაოზე,
გამოვექეცი ევროპის ქაოსს,
სისხლს,
დანგრეულ რეიმსის ტაძარს,
უზარმაზარ ტანკების ქშენას,
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას.
ვიგონებ მართლა ჟრუანტელით
ლამანშის სრუტეს,
იქ ჩალაგებულ ატლანტიკის ანთებულ გემებს.

შოტლანდიაში
ვნახე თეთრი ძროხების ჯოგი
და გავიღიმე ვით ნახევრად გაგიჟებულმა,
გამოვექეცი ევროპის წარღვნას...

პარიზში დამრჩა ერთი საფლავი,
ლეგიონის ორდენის წევრი,
აღმოსავლეთში განთქმული გმირი,
და ქუთაისში გადამტანი რევოლუციის,
მკვდარი მარნასთან,
პერლაშეზე განსვენებული
ბუჭუტა აბაშიძე.

1922

თ ბ ი ლ ი ს ი

მინდა, ავვარდე მამადავითზე,
იქ აირჩიე, სულო, ბინა შენ;
მინდა, უეცრად მუხლზე დავეცე
ჩემი თბილისის და მზის წინაშე.
ჩემო ქალაქო! არ დამაკელი
შენ სიხარული მზისგან ფერილი,
თავზე გადგია, როგორც კანკელი,
ცა მოელვარე და აჟღერილი.
ვხედავ, ურმები ლორთქა თივებით
გზას ახარებენ აჭრიალებით;
მტკვარს მოჰყვებიან ფიჭვის ტივები,
ვით მოცურავე თეთრი ქალები.
სდუღან ოქროს და წითელ ღვარებად
კვირა დღეებით შენი ქუჩები,
და იცლებიან ოხშივარებად
შენს გარეშემო მთები თუჯების.
შენს ალაყაფთან მსურს, დავალაგო
ლექსები, როგორც სისხლის წვეთები...
მილიონ ხმებით სავსე ქალაქო,
დიდი სატახტო ხარ პოეტების.

1924

ელენე დარიანის წერილი ანა ახმატოვას

მე მინდა, გითხრა სამძიმარი,
რომ ბლოკი მოკვდა!
ხანდახან ჩუმი და მძინარი
მეცა ვარ ბლოკთან.

ჩამოდი ჩემთან, მე მგონია,
ვიქნებით დები:
თუ პეტერბურგის აგონია
გიყვარს... და ვცდები.

თბილისის მადლი და მშვენება
გიშველის, ვიცი.
ორივეს ერთად გვეჩვენება
წასული პრინცი.

შენ დაღალული გიბანია
სხეული ნისლში...
ჩვენი ქვეყანა ისპანია
არი ივლისში.

მე ცოტა მიცნობს: სხვანაირი
მეწვია ბედი,
შენთვის საჩუქრად მაქვს დაირი
და ოქროს გედი.

ჩვენი მზე, ჩვენი მხარე ლურჯი
ლოყებს აგინთებს;
აკოცე შენი ცივი ტუჩით
თამარის თითებს.

1929

ლილი მეუნარგიას

პატარა ბალიშს დაეცა ცრემლი,
პატარა ფილტვებს მიეპარა ჭლექი და ხველა,
ჩამოწყდი როგორც ყვავილი ტყემლის,
შენ რომ იყავი იდუმალი და ჭიანჭველა.

სამარადისო ნისლს დაუბრუნდი,
მაგრამ მგზავრობას შენსას ჰქვია ბავშვის სიკვდილი.
ასე მგონია, ფუტკარის გუნდი
დაესეოდა შენს სუსტ სხეულს, ტკბილ სხეულს, ლილი.

შენ ბავშვობიდან გელოდნენ ცაში,
ჩვენც მოგელოდით, განშორება უფრო ძნელია,
მაგრამ მე მჯერა, თავის საბანში
შენ მიგიღებენ ბეატრიჩე და ოფელია.

1929

როგორც აფრის ტკაცუნი

მაინც რად მინდა მეტი დასტური,
გარდა იმისა, რომ დილა მეხნა,
ვარ როგორც ღვინო ალადასტური,
და მიხარია ფათური ქვეყნად.

მორთმეულია სამყარო გობით,
მხოლოდ აკლია ოქროდ დადნობა,
და ყოველ ყვავილს, ვარსკვლავს და კოპიტს
ჩემი ლექსისთვის მართებს მადლობა.

ამართულია სოველ ქვიშიდან
ცამდე კრიალა შუშის კედელი;
და მე არ ვიცი, რაღა მიშლიდა,
მეთქვა, სიმღერა განუწყვეტელი:

როგორც აფრის ტკაცუნი
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

როგორც ფართო ჭადართან
ჩეროების ჯერი,
ისე ჩუმად ჩატარდა
ჩემი ლექსი ბევრი.

და ქცეული სურათად
სიტყვა, ყველა ბგერა,
მიწაზე მიცურავდა
დამწიფებულ ქერად.

ბოსტნების დასანაგვად,
მოუთიბავ მოლად,
ბალახის ამხანაგად
და ომბალოს ტოლად.

ახლა, როცა ტკაცუნი
აფრის მესმის ზღვიდან,
ასეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

მინდა, სიტყვის თარეში
ჩემი ყველამ ნახოს,
ხევსურების ფარეხში,
ჩანჩქერების ახლოს.

მინდა, მიწას მარჩენალს,
ჰქონდეს მშვიდი ძილი;
ჰგავდეს ვაჟის გაჩენას,
მზის ამოსვლას დილით.

როგორც აფრის ტკაცუნი,
მოვარდნილი ზღვიდან,
ისეთი ვაჟკაცური
გაქროლება მინდა.

1932

ა ფ თ ი ა ჭ ა რ ი

როცა ჩამოდის მამა,
ჩამოაქვს სურნელი ძვირფასი ერთი,
ჩამოაქვს ვაჟკაცს ლამაზს
უბრალო სუნი პიტნის წვეთის.

აზიურ ზამთრის კალოშს
ასდის წამლების სუნი
და ჩემს ოთახში გალობს
წამლის კეთების წკარაწკური.

სოკრატის თავი
და თეთრი ბინტი
აცურდებიან უეცრად
და ჩემი ფიქრი იქითკენ მიდის,
როდესაც ჩემთვის
პირველად
ყვავილი უნდა აეცრათ.

და თითქოს მამა
ჩემს ოთახში უნდა ეძებდეს
რამე შენაძენს, რომ მხნეობა
შვილის შეაქოს,
მაგრამ მოითხოვს
უეჭველად ჩემგან რეცეპტებს
და გააჩაღებს ლათინურ სააფთიაქოს.

რა ტკბილი არის
ჩემთვის მისი
„ქვანტუმ სატისი“.
დაისვამს მუხლზე
შვილიშვილს და დაუწყებს ბოხად:
„ეს რად გჭიროდა,
გაცივება ხშირად რად იცი!“
და ბავშვიც ყნოსავს
მის იოდით გაჟღენთილ ჩოხას.

სიტყვას არ იტყვის,
რომ აკლია ჩითი, შაქარი,
სწუხს, რომ წამლების
შოვნა უჭირდა,
დასტირის წამლებს
ლირიკული აფთიაქარი,
გამოკვეთილი გარეგნობით
თითქოს თუჯიდან.

1938

სოფელში

როგორ გაძლებდა ჭკუადმყოფელი
ამ თოვლის მტვერში;
ჯერ არ მინახავს ჩემი სოფელი
მე დეკემბერში.

სიცივე როდი გაკარებია
ჩემს ბავშვურ სხეულს;
რა ამბავია, რა ქარებია
სოფელში წლეულს!

კრამიტიანი შენი სახლები
მე ვეღარ ვიცან,
ორი თვით ასე თეთრად გახმები,
მშობელო მიწა.

რა ლურჯია და რა საწყალია
მეზობლის ბავშვი...
ასე შიშველი — დიდი მსხალია
ვენახის თავში.

რა წამებია! რა დღეებია!
რამ გამარინდა?
მე ეს არასდროს მომნატრებია,
არც ახლა მინდა.

როგორ განდაგან მოჰქრის ჭილყვავი;
რა რუხად ბზინავს;
აქ არ დავრბოდი, აქ არ ვიყავი
ათი წლის წინათ?

აქ არ ჰყვაოდა ყვითლად ზაფრანა
მწვანე მორევში?
ვნახე პირველად გნოლის გაფრენა
მთიან ქორეთში!..

უხილავ ხელმა მთაზე ნოხები
დილით გაჰკიდა;
აქ არ გავიგე, რომ ჩამოხველი
შენც ქალაქიდან?!

1983

ზემოური რთველი

ჯერ სოფელში კიდევ თბილა,
თუმცა მთები დაითრთვილა
და ცაც უფრო მუქი გახდა,
გზაზე მოდის ჩემი კბილა
და ღიღინებს ისე ტკბილად,
თითქოს ნატვრა გაინაღდა.

მიდის, ჩადის სავსე ზვარში,
მეზობლებთან მხარი-მხარში
მიაშურებს ფერად მტევნებს;
სამალაბა მკლავებს გაშლის,
გადააგდებს მტევანს ძარში
და სიმღერას დაადევნებს.

დიდი ძარი წარამარა
შეანათებს სოფლის მარანს;
საწნახელიც აკრიალდა;

უკვე დილის იჯრად კმარა,
რაც სიმდიდრით დაიფარა
მისი ღრმა და უხვი კალთა.

ბავშვმა წყალი მოიტანა
და გაჩაღდა ფეხის ბანა;
მხიარული ყურძნის სრესვა,
აღუღუნდა წვენი თანაც...
ყავრის ჭერში ოქროს დანა
გაურჭვია დილის მზესა.

მზეა, ქარიც... ფიცხი ჩალა
ნაფუზარში აიშალა,
მიეხვეტა ყანის ღობეს;
ავსებულა ჯოგით ჭალა
და მწყემსები ხმაწკრიალა
გვრიტს ესვრიან ფილთა თოფებს.

განგაშშია რთველის ალო,
ტაროებით ბრწყინავს კალო
და ქალები სხედან განად...
„აბა ერთი, ჩორთას ქალო,
შენი სულის სამოწყალოდ
წამოიწყე იავნანა“...

და გაისმის სოფლის ველად
ნანინა და ოროველა,
ჩანგურული კილოს ხმაზე...
უკვე რაჭის მთებში ბნელა,
მთვარე — ძროხის ერთი წველა
დევს პერანგას[1] ქიმის ჯამზე.

1934

* * *

წმინდაა ზეცა, მიწა გრილია,
პატარა ჩერო ადგია ეზოს,
ხეები ჩუმად თავდახრილია,
ვარ ბედნიერი და უმიზეზო.

მე თითქოს თვალით ბავშვობას ვხედავ,
მე თითქოს ვუსმენ ბავშვობის წუთებს,
ასე მგონია, მოვა ეს ხე და
მკერდში ძმასავით მე ჩამიხუტებს.

მგონია, თითქოს ქვეყანა მთელი
არის პატარა მესკიას ფუძე,
ასე მგონია, ნიავი ნელი
როგორც ბულბული შეფრინდა ქუდზე.

წმინდაა ზეცა, მიწა გრილია,
პატარა ჩერო ადგია ეზოს,
ხეები ჩუმად თავდახრილია,
ვარ ბედნიერი და უმიზეზო.

1933

ლირიკული მისამართიდან

ჯერ სიყვარული ასე ფართო და ასე მთელი
მე არ მიგრძვნია — და ეს სიბრძნე დამბუდებია,
მოშვერილი ვარ შენზე გულით და როგორ გელი —
თვალები ამის უტყუარი საბუთებია.

ჩემი დაბნევა, ელდა, ყოველ წამით ცეტობა,
როცა არ მესმის, რას ამბობენ, რად მეძახიან,
უხერხულობა, ყველა დარდი, ყველა შეცდომა —
ეგ ყველაფერი, სანატრელო, შენი დაღია.

მოუსვენრობა ვერაფერმა ველარ გახარა,
გამოჩნდი იმ დროს, იჭვები რომ მებადებიან.

---

1 პერანგა — მთაა.

ნუ გეშინია, ჩემო კარგო, თმაში ჭაღარა —
ეს სინათლეა, სიყვარულს რომ შემატებია!

ოცდაჩვიდმეტი წელიწადი ისე გაცურდა,
როგორც მხატვარის მეგობრობა საყვარელ ფერთან.
იყავი ჩემთან, გამტანელთან და ვაჟკაცურთან,
ამ დიდ დღეებში ყოველ წამში ვიაროთ ერთად.

ნუ ჩაგაფიქრა ჭირვეული ჭორის ხროებმა,
ჩემთვის სიჩუმე ღამეში რომ მოიზანტება,
საშინელია, როგორც ომის მოახლოება,
საშინელია, როგორც ჩემთვის ტყვიის მზადება.

1938

რიონი იცვლის კალაპოტს

თუ მოდიოდა შავსილიანი,
მან ნაპირები აღარ იცოდა,
არ ხმაურობდა, მაგრამ ზრიალი
იმის წიაღში მაინც ისმოდა.

იყო რიონი თავზარდამცემი,
მღვრიე, მდორე და ხმაგაკმენდილი...
როგორც ავდარში ყანა ნაცელი,
იყო ნაპირებგადახვეტილი...

ჩამოივლიდა მრისხანე რუხად,
ხეებს, ტივებს და ხალხს იტაცებდა;
შეუდგებოდა ფესვებში მუხას
და როგორც ასკილს ისე დასცემდა.

შემდეგ განაბულ ფოთის ნაპირებს
გადალახავდა, შიშით არევდა,
დაულეწავდა ხიდებს, სატივეს
და ბორანს დროშად წაიმძღვარებდა.

ომს დაიწყებდა დაბალ სახლებთან,
რომ მოეტაცა მათი მშვიდობა;
ჩითის ჩვარივით კედელს გახევდა
და იატაკზე გადავიდოდა.

იდგა ქალაქი სილიან ტბორში,
მისჩერებოდა ზეცას ავდრიანს.
კოლხიდის გულო, გეყოფა, მორჩი,
უკანასკნელი წელიწადია,

რაც გემუქრება შავი რიონი,
შენს გადალექვას რომ აპირებდა,
უკვე რიონის ერთი ფიორი
წყალიც არ მოვა შენს ნაპირებთან.

უკუქცეული და შეზღუდული
მიდის და მიაქვს თავის საბანი,
წელზე დაადეს მძიმე ურდული —
გაუტეხელი რკინის ქამარი;

უკვე მზადა აქვს სხვა კალაპოტი,
ის შორი გზიდან გადავა ზღვაში,
რა დიდი წვიმაც მოვიდეს მთაში,
ახალგაზრდობავ, მაინც გამოდი.

იქ, სადაც დარჩა ვით ნაკვალევი
ყოფილ რიონის გამშრალი ბუდე,
აქ თქვენ იხილავთ თქვენი თვალებით
და თქვენ მოუხდით ზეიმით ქუდებს

ზღვას, რომ შემოვა პატარა ტოტით,
ისე ხალისით და ისე ტკბილად,
როგორც კოლხიდის ბაღებში მოდის
მტრედის გუნდივით ცინცხალი დილა.

1937

დეგედაჩაის ღამე

სავსე მნათობმა, როგორც გართობა,
ისე გასტოპა ვარსკვლავთ ჩქერები,
და შუაღამის მყუდრო მხატვრობა
გაახალისა ვერცხლის ფერებით.

ნელი შერხევა იწყეს ვერხვებმა,
შუქს ეხერხება მათთან თამაში,
დიდი სიჩუმე უხმო მეხებად
ჩაბუდებულა კლდის აკლდამაში.

სივრცე მედგარი გახდა ნეტარი,
მესამედ არის ჰყივის მამალი,
და სილამაზის სულით შემთბარი
ჯერ გართულია ძილში ტრამალი.

დილამ ზეციდან სხივი შეგვძინა
და ჩაეცინა თითქოს ქვეყანას,
რომ ჩემ მაგიერ ტკბილად ეძინა
მონადირეთა დაღალულ ბანაკს.

ფიქრში წასული, შემოგარსული
მოვწყდი სასთუმალს სხივივით ჩქარი.
ვხედავ, მასპინძელ თურქის ასულმა
უკვე განთიადს გაუღო კარი.

შემომაცქერდა, გული აძგერდა,
როგორც ასკერთა ბრძოლაში მიწა,
შებრუნდა, როგორც თევზი ფაცერთან,
და მოშრიალე ჭილოფზე მიწვა.

რა მექნა განა? მთელი ქვეყანა
ულხინეს ნანას წარმოადგენდა...
და გადავძახე მძინარე ბანაკს:
ამხანაგებო! უკვე გათენდა!

1934

კარგი დარი, ბავშვები, ზორეული ზამთარი

შავი ზღვის ქარმა ახვეტა
დაბალი ღრუბლის ზვირთები.
მოწმენდილ ზეცას ახედავ,
თუ ნაპირს დააკვირდები,

ყველგან სიჩუმე გამეფდა,
შენელდა ტალღის ტაშები,
და სანაპიროს სკამებთან
მწკრივად მიდიან ბავშვები.

ლამაზად ჩამოსხდებიან...
ჰაერიც ელავს გამთბარი.
შორს უკვე თეთრი მთებია,
მთებში მოსულა ზამთარი.

ზღვისა და მთების ჰაერით
დამტკბარა ჩვენი მთა-ბარი,
და ბავშვებს მრავალნაირი
მოაგონდებათ ზღაპარი.

არ კაკანებენ კაკბები,
ფელაც თვლემს დიდი ხანია,
უკანასკნელი საკვები
სოროში შეუტანია.

ზის და დუმს რუხი კურდღელი,
როგორც უძლურის წესია;
ჯიხვებს კი შავი შურთხები
თივას და ბალახს ესვრიან.

რა დიდი მანძილებია,
რა უნაპირო ველები;
მთაში დათვს დაძინებია
თავის პატარა ბელებით.

1937

საკუთარ თავს

დაჯექ, დაწერე, დახატე,
რითაც ცხოვრება ივსება,
მიეც დამშეულ ქაღალდებს
საშვილიშვილო თვისება.

გარეშე საქმეს გადარჩი,
მან ხალხი გააგულისა,
გასინჯე ცეცხლის ღადარში
სიმაგრე ლექსად თქმულისა.

ვერ ნახო სიტყვის გარეშე
სხვა მოწოდება მაღალი.
ჰანგებით იანგარიშე
ცხოვრების აყალმაყალი.

სიტყვა ტოლია ისართა,
მიზანში მოეკიდება,
დაწერე, როგორ იზარდა
ჩვენი თაობის დიდება.

როგორ უშენდა სიმარდით
ლიახვს გამართულ ანკესებს,
როგორ აივსო სიმართლით
ღარიბ ოჯახის ჰანგებზე.

დაწერე მტერთა ბანაკზე
და სიხარულზე მიწისა,
ანდა პოემა განაგრძე
დახვრეტილ ჯაფარიძისა.

უნდა თქვა ხმა საკახეთო,
მისი ველები გელიან,
ან ახალ თვალით გახედო
მურზაყან დადეშქელიანს.

რად იყო დასატანჯავი
დიდი წოდების პატრონი,
რისთვის გააპო ხანჯალით
რუსეთის გუბერნატორი.

დაჯექ, დაწერე, დახატე
შენთვის ულუფად ნაწესი,
ახალ თქმულებად გახადე
ამბავი სააკაძესი.

ეძგერე გულგამწარებით
მას, ვინც სხვა ფიქრით გართულა,
ბადალ, თანატოლ პწკარებით
კვითხარ პუშკინი ქართულად.

ხალხი გელის და ფარულად
გაძლევს გაკვეთილს ვადიანს,
მას შენი სიტყვის მარულა
თვალგატაცებით სწადია.

დახედე, როგორ იხაროს
დამწყვდეულ სიტყვის აშვებით,
ვარდებად გადმოგიყაროს
დამზადებული ტაშები.

დაჯექ, დაწერე, დახატე,
რაც ბუნებაში გელექსა,
მიეცი სარჩო არხვატელ
ფანდურზე კარგა მთქმელებსა.

ბუნებამ რომ დაარწიოს
შენი უბადლო ხელობა
და რომ სიმღერამ გასწიოს
დროშების მაგიერობა.

რომ ლამაზ თქმაში გაშოლტო,
რაც დარჩა გულის შიგნითა,
რომ ამაყობდეს სამშობლო
შენი მდიდარი წიგნითა.

ვინც ერთგულ მიწას მსახურობს,
წიგნს ეცეს თვალგამალებით,
რომ შემდეგ ტკბილად დახუროს,
როგორც ძილისთვის თვალები.

და როცა წადილს ერგები,
წრე გაიშლება განდაგან,
შენ ხალხში დაინერგები
დაუმარცხებელ ქანდაკად.

მტერს კი დარჩება სახადად
ძახილი დაუცხრომელი:
დაჯდა, დაწერა, დახატა
და მოკვდა, როგორც მშრომელი.

1934

ტიციან ტაბიძე

ლექსი მეწყერი

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

მე დავიბადე აპრილის თვეში,
ვაშლების გაშლილ ყვავილებიდან,
მაწვიმს სითეთრე და წვიმის თქეში
მოდის ცრემლებად ჩემს თვალებიდან.

აქედან ვიცი, მე რომ მოვკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება,
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

იტყვიან ასე: იყო საწყალი,
ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი.
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.

და აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართველი მზე და ქართული მიწა,

ბედნიერებას მას უმალავდნენ,
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.

მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან ახლავს.
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს.

1927

ამოდის, ნათდება!..

ამომავალ მზის ოქროს ნათელი
თავზე ადგება საქართველოს მთებს,
და ნამქერებში ღამენათევი
მთვარე ანათებს და არც ანათებს.
ზევით ღრიალით მიგორავს თერგი,
ქვევით გრიალი გაუდის არაგვს,
მზეს გაუდვნია ყინულის ქერქი,
მთა დაუფშვნია უხილავ წერაქვს.

ქარს მიაქვს თოვლი და მიიხვეტავს,
გადააფარებს ყაზბეგს შინდებად,
შერცხვეს ვაჟკაცი, თუ ამ მზეს ხედავს
და სიკვდილს კიდევ შეუშინდება.
მივჩერებივარ ცას გაკვირვებით
და აღმიტაცებს სიცოცხლის ფეთქვა,
ვაჟა ფშაველას ვსუნთქავ ფილტვებით,
ხიმიკაურის გული ჩამედგა.

1927

ა ნ ა ნ უ რ თ ა ნ

თამუნია წერეთელს

შენ აქ რა გინდა, მაგრამ ყოველთვის
მომაგონდები ამ ანანურთან.
შავი არაგვი თეთრ არაგვს ერთვის,
ჩვენი გათიშვა კი ყველას სურდა.

არც კი გიცნობდი, არც კი მენახე,
ისე გხატავდა თამარს ვრუბელი.
ხარ დანგრეული შენ „მოდი-ნახე“,
ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი.

ისე ნაზია ეს მოგონება,
როგორც დემონის ფრთების შეხება,
სჯობს გაიხარონ სხვა გოგონებმა,
მოიბან შენი ირმის ფეხები.

დე! გაიხარონ იმათ მგოსნებმაც,
მათი ცხოვრება ხვალე იწყება,
ჩვენს მგლოვიარე, მწუხარ ოცნებას
დაფარავს მიწა და დავიწყება.

გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.

ასე კვდებოდა ალბათ ათასი
და მოწმედ ჰყავდათ ეს ანანური,
ეს არის ჩემი მგოსნობის ფასი
და თვითმკვლელობის იავნანური.

1927

მაშ, გამარჯვება!..

თუ ჩემი ძმა ხარ, ერთიც მიმღერე
და დავუჩოქებ მიწას მუხლებით.
— მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი.

ვინ მისცა ფერი მუხრანის ღვინოს,
ვინ მისცა ფერი არაგვის ველებს,
სანამდე უნდა, რომ მზედ ედინოს
გავარვარებულ ოქროს თაველებს!

სხვა რომ მოკვდება, მისთვის რა არი:
წავა, გაქრება, როგორც სიზმარი,
მე კი რა ვუყო ამ გოლიათ მთებს,
რომ ქონდრის კაცსაც დევად აგანთებს.

ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

— სხვა საქართველო მაინც სად არი?
რომელი კუთხე რომელ ქვეყნისა?
ვის თუთქავს ასე ცეცხლის ღადარი,
ქვეყნად სამოთხე სხვას ვის ეღირსა?

დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა
და საქართველოს მედგას უღელი;
— მაშ, გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ,
დავრჩებით ერთად ჩვენ განუყრელი!..

1928

მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე

ჩამომრჩა უკან მე ჩერქეზეთი,
ვუახლოვდები ჩვენსკენ დარიალს,
დამშრალი თერგი ერთი წვეთია,
მაგრამ ზღვასავით გულზე გადიარს.

წამექცა თავზე ცა გარღვეული,
და ცაზე კიდევ — სხვა მყინვარის ცა,
და დარიალით გადარეული
ოვალებს ცრემლების თერგი მირეცხავს.

და გადავყურებ ალმას უფსკრულებს,
კვალდაკვალ ჩემი დემონი მომდევს,
ვხედავ გიგანტის შოლტის მუსკულებს
და რკინის ბაწარს, ყელზე რომ მომდებს.

ვიცი, მომელის მაინც ეს ბედი,
და ისიც ვიცი, ჩემზე ახია,
ძვირფასო, არ ვარ, იცოდე, ყბედი,
ან თავის მოკვლა რა ტრაბახია.

მაგრამ მიტაცებს ქარიშხალივით
ამ თვალუწვდენი ხრამების ფსკერი,
ვიცი, ქალი ხარ ყველა ქალივით,
ვიცი, ამასაც ეჭვით უცქერი.

მინდა, რომ ვიყო მწირი გულადი,
საშინელ ღამეს ვეფხვი რომ დაბდღვნა,
ვარ ავსებული შენით გულამდე
და მოვარდნილი ცრემლების წარღვნა.

მინდა მოვიფრთხნა ამ შარაგზაზე,
მინდა გავიხსნა გული ალალი,
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს ბრალი,

1926

მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი

ყური უყრია მუხრანზე ბალახს,
დაბრუნებია მერცხალი ბუდეს.
გაუწყვეტია ფაცერი კალმახს,
შავი არაგვი თეთრ არაგვს უტევს.

მთა მიყვება მთას — მთა მთას აწყდება,
დგას ლანქერების კორიანტელი.
თვალებს ცრემლებად ვეღარ გაწვდება,
რომ იყოს თერგი ორი ამდენი.

ვარ მოპარული ლამისყანიდან,
ვარ ლეკების ტყვე — გურამიშვილი.
თუ რამე მიმაქვს ამ ქვეყანიდან —
ბედნიერება ეს უსაშველო.

რა საჭიროა მელნად გიშრის ტბა
და კალმად კიდევ მინა რხეული,
თუ ამ მღვრიე მზით გული გაგითბა,
თუ ამ ჟრუანტელს იგრძნობს სხეული.

უყელეს, ყელი გამოაღადრეს
და აუბნიეს ლექსის გზა-კვალი,
მაგრამ გათელავს ამ კლდესა და ღრეს
ბარათაშვილის მერანის ნალი.

ცა ცას ადნება, — მყინვარი — მყინვარს,
ბედნიერებას თოკავს ალერსი,
და დაეწევა ორბების შურდულს
მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი.

1932

ალავერდობა

ჩარდახიანი დგანან ურმები,
კამეჩი კამეჩს ლანდით აშინებს.
გამოუცლიათ ღვინის რუმბები
ხატობას მოსულ ვაჟას აფშინებს.

კავკასიონსაც შეცვლია გვერდი
და სიყვარულის დასხმია რეტი.
სურს მოიტაცოს ეს ალავერდი —
ბარში დაბმული ტაძარი-მტრედი.

დღემ მოატანა ალაზანამდე,
ნისლის შავი ზღვა რომ გადათელა;
დღეო, ნეტავი აღარ დაღამდე,
თუ დაღამდები, არ გაგათენა.

მეორე მხრიდან ალაზანს უწევს
მთვრალი ფარეხი ღამენათევი,
თითქო მინდიას სუფრა გაუწყვეს,
გველის მჭამელი დევს აწევს დევი.

მავთულზე ცეკვით ქანცმილეული
ცეცხლს მიჯდომია ქისტი ჯამბაზი,
ხალხიც ისეა აქ არეული,
როგორც არღანი და მუხამბაზი.

მაგრამ ამ კახეთს სხვა ხმაც ევალა
თეთრი ტახისა და თეთრი ბატის;
მღერის ახალი დედას ლევანა,
ხმა ალავერდის საძირკველს ჩადის.

ზედ რომ მიუშვა, ამოთხრის ძელქვას,
ახლა კი სეირს უნდა უყურო;
დაუთოკია სიკვდილის წელკავს
სვეტზე მიბმული კურატი კურო.

ნეტავ რამ წვიმა, ანდა რამ თოვა
ამდენი ხალხი და ჯამაათი.
შესმენ ალაზანს, ღვინოდ თუ მოვა,
და ახლა კიდევ ჭამა თქვი მათი.

ტკბილო კახეთო, მადლი შენს გამჩენს,
შენს ბარაქიან და რძიან ცურებს,
ღრუბელი ცაზე მიაგავს კამეჩს
და კამეჩივით ღამე მისცურავს.

დგას ოხშივარი და ორთქლი მწვადის,
კაცი ამ ბოლში თვალს ვერ გაახელს.
ირემი ირემს ბალახს მიაწვდის,
სავსე ღვინის ჯამს — კახელი კახელს.

დგას ფიროსმანი, ხატავს დღეობას
და ჩარდახიან ურმების მორევს.
ვაჟა ფშაველა უქებს ხელობას,
ჯიხვის შაირით შეცვლის მეორეს.

შეიბნენ ერთად შაშვი, კაკაბი,
ბესიკის გაფი და საათნოვა,
კიდევ ბევრია ლხინის საბაბი,
ახლა კახეთში რთველი შემოვა.

ტკბილო კახეთო, მადლი შენს გამჩენს,
ქვეყნად რომ არვის დავეჯაბნებით,
ალავერდიდან მოვალთ ალავერდს
სავსე ცხოვრების დიდი ჯამებით.

1980

ი ლ ა ი ა ლ ი

სკიფიაში ვარ... ქიმერიის მწუხრით დამწვარი,
ალი, ძვირფასო, მე შენი ხმით ვკითხულობ პუშკინს.
ბახჩისარაის შადრევანის მასველებს ღვარი,
ძველ შადრევანებს ატირებას არავინ უშლის...

და ვეკითხები ამ დაბურულ სკვითების ღამეს:
რა იქნა ჩვენი ჭაბუკობა და გატაცება?
ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბალღამით
და არ გვაცალა შთაგონების დავაჟკაცება...

მალე თბილისში, როგორც წინათ ვაჟა ფშაველა,
მე ხურჯინებით ჩამოვიტან დაწერილ ლექსებს,
მაგრამ ლექსებზე მეტი მომაქვს მაინც ნაღველი,
ასე უჩემოდ სასიკვდილოდ რომ გამილესეს.

და გეფიცები მეც ოვიდის დამწუხრებულ ლანდს,
რომ ძველებურზე კიდევ უფრო შენთან ვარ ახლო,
ვოცნებობ შენთან რუსთაველზე ტირილით გავლას,
დავიწყებული სტრიქონები რომ განვიახლოთ.

ვიგონებ იმ დროს, როცა შეგხვდით მართლა ლოენგრინს,
თეთრი ვაშლის ხე თეთრ ხიდეზე მოცურდი გედით;

გიგონებ რაინდს, სამუდამოდ ლექსით დაბეგრილს,
რომ გათენებას ქუთაისშიც ვეღარ ვიგებდით.

ვიგონებ თბილისს... რძიან დილას და ვარდისუბანს,
აბნეულ სიტყვას, ლექსების ორთქლს, ილაიალის
და საიათნოვას სიმღერებით აყვანილ დუქანს.
ალი, ძვირფასო, დაგრჩა რამე იმ ცეცხლის ალის?..

თვრამეტი წელი... დასაწვავი თვრამეტი წელი.
ჩვენ ჰუსარები... გაფრენილი ჰოლანდიელი.
მომტირის გული, სასიკვდილო, გული ალალი!
ციცინათელად გადამდნარი ილაიალი...

ბუენოს აირეს... ალეხანდრო და კასტილია!
თეთრი საბნებით თავწაკრული მალაელები.
იმ ტანჯულ დღეთა პანაშვიდი გადახდილია,
საბანეევას უნაზეს ხმით ნამტირალევი.

თითქო გუგუნებს ამაღამაც დავითის ზარი
და ეს სკიფია სიზმარია, მხოლოდ სიზმარი.

1925

გომბორის მთაზე

დაიფშვნა, მაგრამ მაინც აქამდე
თავის ნანგრევებს უძლებს უჯარმა,
გასტანოს, ძმებო, ჩვენს სიკვდილამდე
ამ სიყვარულის ლექსის გუჯარმა.

ასეთი იყო ის ღამე მაშინ,
ვახტანგს რომ ციდან მოესმა რეკა.
დღესაც ქვითინით სტირიან ცაში
ვაჟა ფშაველას ღვია და დეკა.

და სართიჭალის მეთარე საქო
ჩვენთვის აკაკის მღერის — „სულიკოს“.
ჩვენც ხომ იმისთვის გვყოლია სატრფო,
რომ ისიც ასე დაკარგულიყო.

აშუღმა თავის სთქვა აშუღური,
სხვა სათქმელი აქვს ამ ჩვენს სამებას,
მაგრამ გაგვიხდა სიტყვა უძლური
და სათითაოდ ენა დაგვება.

მელიტა, ნინო, რძალი ზენარი —
მშვენიერებით შეემოსა კალთები კახეთს,
დაქალებული ვეფხვიც ეგ არი,
ბეწვის ხიდიდან სამოთხე ვნახეთ.

დედის რძესავით ტკბილია ღამე,
იორი ჩქეფით ოცნებას არწევს.
გამოვა წამით გომბორზე მთვარე
და გორგასალი ხმალით გადაწევს.

1928

იმათი იყოს ეს სადღეგრძელო

ნიკო ფიროსმანი

რომ დავჯდებოდეთ დღეს პურის ჭამად,
მოვიგონებდეთ, ძმებო, ფიროსმანს.
მისი გული გვაქვს ჩვენ ღვინის ჯამად
და აქამდისინ ქართულ მირონს გვბანს.

გვიკურთხებს სუფრას აღდგომის კრავი,
მისი რუმბები და ნატურ-მორტი.
არ დაილევა კრავის საკლავი
და ასაბიით სუფრა მოირთო.

გაიარს კიდევ ათიოდ წელი
და ჩვენს ცხოვრებას უფრო მიქელავს.
ჩვენიც იქნება შესანდობელი,
შეგვაბრალებენ საწყალ ნიკალას.

და ატირდება წყვილი სანთელით
სამიკიტნოში სუფრა პატარა.
განვლო მან ცეცხლის კორიანტელი,
ბედმა უბედოდ ბევრი ატარა.

იყო საწყალი ერთი ოსტატი —
ასეთ ოსტატებს ზრდის საქართველო,
იკურთხოს მადლით მარჯვენა მათი,
იმათი იყოს ეს სადღეგრძელო.

1927

სერგეი ესენინს

გაუხედნავი კვიცი იყავი
და სისხლიანი, როგორც ჩაღატარ.
დარჩები ლექსში გაურიყავი,
ცოდვაა, ამ ლექსს საფლავში გატან.

მოგდევდა სევდა დიდ ტრამალების
და მოატანე დარიალამდე.
სული სულს როგორ დაემალება?!
ჩვენი თვალებიც ცრემლით დალამდენ.

განა შენ დარჩი მარტო ცოცხალი,
რომ გადარჩენა არ გხარებია?..
ვინ დაითვალოს ცრემლის კურცხალი,
სირცხვილი, რაც გულს გაჰკარებია!

გდიოდა ლექსი შენ, როგორც სისხლი, —
მოურჩენელი გულის იარა.
თავის სიკვდილით თავს ვერ დაიხსნი
და სისხლი მხოლოდ სისხლს ეზიარა.

გამთენიისას ხაშის დიდ ქვაბში
ხარშავდა კეპკას მთვრალი პაოლო.
ყინვას გაჰქონდა გარეთ კაშკაში,
სიკვდილმა ხელი მაგრად ჩაგავლო.

არ გამოცვლილა ხომ პოეზია —
მუზები ცისკრის კარებს აღებენ,
მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
ჩვენც ალბათ სადმე ჩაგვაძაღლებენ.

და გულში ტირის შენი ანდერძი:
სადღეგრძელოში გვახსოვდე მარად.
წითელ ღვინოში — შენ პურის კერძი
წამოიზრდები სისხლის ტომარად.

ღმერთი და რჯული... არა ვართ შორი,
მონღოლის სისხლი გვიდუღს ორთავეს,
სული დააპეს და მერე მძორი...
მძორიც ძერებმა გამოათავეს...

ასე უჭირდა ალბათ ამირანს,
რომ დაულეწეს ჩვენსავით მკერდი...
შევსვამთ საწამლავს... ჩვენ როგორც მირონს —
პირველად შენ თქვი ეს ალავერდი.

ჩოფურაშვილთან ვიყავით წუხელ,
შენზე ღრიალით გასკდა არღანი.
საკუთარ ძმასაც ვეღარ გაუმხელ,
რაც ჩაკირულა გულში ბალღამი...

სამწუხაროა ყველა ესენი
და უფრო მწარე კიდევ ის არი,
ლამაზო ბიჭო! სერგეი ესენინ!
ცოცხალს არ გესმის ეს საფიცარი!..

ამხანაგებო, თუ ღრმა ღელეში
ჩვენი თავებიც სადმე დაგორდეს,
ყველამ იცოდეს — სხვა პოეტებში
ესენინ ჰყავდა ძმად ცისფერ ორდენს!..

1926

ოქროყანა

პატარა ძაღლები უყეფენ მთვარეს.
მთვარე თანდათან ჩამოდის დაბლა;
თითქოს ვარსკვლავებს წილი უყარეს,
ცვივა ვარსკვლავი ელვების საბნად.

პატარა ძაღლები უყეფენ მთვარეს,
თვალებზე ძილი არ მეკარება.
მეტი რა მქონდა მოსაპარავი
და ამ ძაღლებმა ძილიც მომპარეს.

მთვარე თანდათან დაბლა ეშვება,
ჩამოეფარა ქოროღლის ციხეს,
დაადგნენ თბილისს მთები ეშვებად
და სადარაჯო ფარი აიღეს.

ჩემო ძვირფასო და ტკბილო დედა,
ჩემო თბილისო, გულის ლახვარო!..
ძაღლი ძაღლური ქებას გიბედავ,
რომ მზის ამოსვლა ყეფით გახარო.

ოქროყანიდან დავყურებ შენს ბჭეს
და სიხარული ძვალ-რბილში მივლის,
ასეთი ბედი რომ მომანიჭეს, —
პატარა ძაღლი გიცავდე თბილისს.

1928

შეხვედრა კონსტანტინ ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში

მახსოვს რუსული ყანა და ქერი,
მოგყვები ბავშვი, როგორც ჯადოქარს.
შენ კი მისცურავ, როგორც ნამქერი,
შენ, როგორც ქრისტე, მიყვები ამ ქარს.

Я был в России. Грачи кричали.
Весна смеялась в мое лицо...

და ნიავს მიაქვს ყვითელი ჩალა,
იშლება შენი თმა თაფლისფერი.
და ტირის ყვავი, ყვავი ყვანჩალა.
ლექსებით ასე რომ მოეფერე:

Я был в России. Грачи кричали.
Грачи кричали: зачем? зачем?

შენთან ვიყავი, ყვავი ტიროდა,
რაზე ტიროდა, ვიცი მე განა?
მეც ხომ მდუღარე ცრემლი მდიოდა,
მაგონდებოდა ჩემი ქვეყანა.

და დამთუთქავი ეს ათი წელი
ვერ დამავიწყებს მაშინდელ ზაფხულს,
ამდენ ხანს ასე თუ გავუძელი
ამდენ სიყვარულს, ამდენ სიხარულს.

იმ ზაფხულს მოკვდა ვაჟა-ფშაველა,
მახსოვს, ცრემლებით შენ ეს გითხარი,
ის სიკვდილის წინ ითხოვდა ბალახს,
გახელებული წყურვილით ხარი.

მას შემდეგ დამრჩა გრძნობა ასეთი,
რომ ერთად ორ მზეს თვალი შევასწრე,
მოხიბლული ვარ ამ სინაზეთი
და სიკვდილამდე დავრჩები ასე.

გავიარ ისევ „ძაღლის მოედანს“
და მივადგები მიკოლას საყდარს,
კარზე დარეკვას ხელი ვერ ბედავს,
ამ სახლს ვუყურებ, როგორც ნატახტარს.

აქ ცხოვრობს გრუშკა — ჩვენი დეკანი,
აქ სკრიაბინი ებრძოდა სიკვდილს,
მე რუსთაველის მომაქვს დედანი
და შუბლზე ცივი ოფლი გადამდის.

გვიკითხავ მთვარის, თაფლის, მზის ლექსებს
და თეთრი თოვლით სავსეა ქუჩა.
მშობელი მიწის ვიყნოსავ ფესვებს,
ჩემ ზამთრის სულში ჰყვავის ალუჩა.

თითქო ჩასთვლიმა ბალტრუშაიტისს,
ვოლოშინს შვენის ლომის ფაფარი.
და რუსთაველის მგზნებარე შაირს
ზამთრის სინაზე გადაეფარა.

გელის თბილისი: „ვეფხისტყაოსანს“
მეორედ ელის დღეს საქართველო.
ცისფერ ყანწებით დიდებულ მგოსანს
მოაგებებენ შენს სადღეგრძელოს.

ფუტურისტები მაშინაც ისე
ლაზღანდარობდნენ ყვითელ კოფტებით,
ჩვენ ძველი დაგვრჩა მაინც სინდისი
და სიყვარულით გულში მოვკვდებით.

1927

კ ა ხ ე თ შ ი

I.

ასე გვეძახის კახეთის ველი

ასე გვეძახის ალაზნის ველი:
მოდით, სტუმრები ხართ სასურველი,
მოდით და ნახეთ ყვარელის ღვინო,
მოდით, კახურად რომ მოვილხინოთ.

ნეტა სხვა ხალხიც წამოგეყვანათ,
გელით პოეტებს სუფრა გაშლილი,
შილდაში მღერის დედას ლევანა
და ართანაში ყარალაშვილი.

სოფლიდან სოფლად მეხად გადადის,
მრავალჟამიერ ჩვენი თამადის,
თითქო წინანდალს სეტყვა ურტყამდეს,
რა გული იტევს სიმღერას ამდენს.

ბაიათებით სუფრა იხრჩობა,
გვაჩვენე, სიძევ, ახლაც ბიჭობა!
დალიე ყანწი და არ გეძნელოს,
ტკბილი კახეთის სვამ სადღეგრძელოს!

II.

ბუშინ შვიდნი გურჯანელნი

ვიცი, ესროლეთ შვიდთა... მაგრამა,
რომ დააცილეთ, ვიცი ესეცა.
ერთხელ ესროლა ბერმა პაპამა
და ჯიხვი კლდეზე ჩამოეკეცა.

შვიდჯერ რომ გითხრათ ლექსები ყველამ,
ყველა შვიდივე აცდენილია.
თავს დაგვიარა ვაჟა-ფშაველამ,
თავზე გვაწვება ზვავად ილია.

ან ვინ დაითვლის კახელ ვაჟკაცებს,
ან შედავებას ვინ გაუბედავს,
ძმებო, ასწიეთ სავსე ყანწები
და ვუდღეგრძელოთ მშობელი დედა.

ამაზე რომ ვთქვათ სიტყვა თამამად,
ამიტომ გვირჩევს სუფრა თამადად.

1927

რ ი ა-რ ი ა

მივალ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.

ათასი გული ერთად რომ მქონდეს,
ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი,
ოღონდ, ლამაზო, არ დამიღონდე,
მახსენე კაცად, როცა დაგჭირდე.

ათას სალამურს გააქვს გუგუნი,
ერთად ამღერდნენ გურიის მთები,
თუ ამ სიმღერით სიკვდილს მარგუნებ,
არც სიკვდილისთვის დაგემდურები.

ერთ საწყალ პოეტს ამაზე მეტი
სინდისით აღარ მოეთხოვება,
დამადეთ გულზე ტყვია ცამეტი,
მაგ თქვენი მამის სულის ცხონებას.

1927

კონსტანტინე გამსახურდია

ისლის სახლი

ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!
შენ მაჩვენე მზის სიახლე
და ზღაპრების მხარე.

მე
ზღვის ნისლებს გადავყევი და მთებს მივეფარე,
ვეღარ ვნახე შენი სახე, ვეღარ მოგისწარი.
ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!

ჩემი სისხლი შენსკენ იწევს, ჩემი სისხლი ჩქარი.
ისლის სახლი, ისლის სახლი!
ქარი!
ქარი!
ქარი!

1920

* * *

მეც მყავდა დედა, ის წავიდა, მარტო დამტოვა,
ვის მივაკითხო? აღარ არის ამ სააქაოს.
მახსოვს აქ იყო, ისიც ვიცი, რომ აღარ მოვა,
ვის მივაკითხო? ამ ბნელ ღამეს, თუ მრუმე ქაოსს?
ჰოი, დავსილო სიხარულო ბავშვობის დღეთა,
როცა მყოფნიდა მე ხალისი და სითამამე,
ამსოფლიური მომიწამლა ბედმა სიამე...
ოჰ, ბნელო ღამევ, ხომ არ იცი, რა იქნა დედა?
ოჰ, ცისნათელო, ეგებ შენ თუ მაუწყო რამე?
მე სიხარულის საუნჯენი გადამეკეტა,
ვარამის გესლით გავითანგე და მოვიშხამე,
ეგებ ზეცაში მან კარავი თუ გაიკეთა,
ან წილნაყარი იყოს ეგებ გარდასულ მზეთა,
და დაეუფლა მის უკვდავ სულს უკუნი ღამე.

1928

* * *

ზღვისფერი გაქვს თვალები და, თავათ ჰგავხარ ზღვას,
თუ არ შეგებრალები და, მისთხოვდები სხვას,
მივატოვებ გაზაფხულზე თესვასა და ხვნას,
გადავლახავ ადიდებულ ჭოროხსა და მტკვარს,
ცეცხლს გავატან შენს სამყოფელს, შენს სიყვარულს ქარს,
და მოგიკლავ, მოღალატევ, მაგ ნაფერებ ქმარს...
ზღვისფერი გაქვს თვალები და თავათ ჰგავხარ ზღვას.

1940

ფ ა რ ვ ი ზ ი ს ა დ მ ი

პირმშვენიერი და უცნაური,
ხარ აზნაური ნათელი მზისა,
ატყდა ჩემს გულში აურზაური,
ვის შეგადარო, რამინს თუ ვისსა?

1924

ძ ა გ უ ლ ი

მე სათუთი ვარ,
როგორც ქორფა ყვავილი ვაშლის,
ჩუმი და სათნო,
ვით ქურციკი ორიოდ კვირის,
ჩემს ნაზ ოცნებას
ერიდება ფრთებისა გაშლის.
და ჩემს ნაზ სულში
ცეცხლი ღვივის და ცეცხლი სტირის.

1988

დაუკარ სანჯი

ცხენს დეზი ვკარი, გავკვეთე ქარი
და გადავლახე უდაბნო ვრცელი,
ჩემი მიჯნური, გვრიტი მწყაზარი,
უკვე მიმელის...
დაუკარ სანჯი...

თუნდ იყოს მრუმე ეგ ღამე გიშრის,
ჩავიდეს ბნელში თითბერის მთვარე,
მე შენს სიყვარულს ვერვინ დამიშლის,
ტკბილო მოყვარე,
დაუკარ სანჯი...

ჩავიდეს ბნელში თითბერის მთვარე,
ათასი მთვარე ისევ ამოვა,
ცრემლმა ღაწვებზე გადამათოვა,
ტკბილო მოყვარე,
დაუკარ სანჯი...

ვერც ქრისტე გაგვყრის, ვერც იეჰოვა,
ვერც ნათესავთა მშიერი ხროვა,
ვერც მოენეთა ბოროტი ხვანჯი,
დაუკარ სანჯი.

1940

გრიგოლ ცეცხლაძე

როგორ არ ვეტრფოდე გურიის მთა-გორებს

როგორ არ ვეტრფოდე გურიის მთა-გორებს,
მწვანე გაზაფხულის ჰაერს დავეწაფე,
ბახმარო უბიდან მზეს ამოაგორებს
და ჩიტი იძახის:
— კაფე-კაფე-კაფე...

წკნელები გავჭოკრე, დავასვე სარები,
მამას უხარია — შვილი მოვესწარი.
ლურთქა წიფლის ფოთლებს ხარბობენ ხარები,
რქებით ირემია ჩვენი ჭოქა ხარი.

— გამარჯობა შენი!
— ჰაი, გადღეგრძელოს... —
ეს გასათხოვარი მეზობლის ქალია,
დარცხვენით ჩამივლის, ისწორებს საყელოს, —
ნეტა ბროლის ყელი რა დასამალია...

მომკლავს ვერცხლის მკერდი, შეკრული ღილებით.
ქალო, შენი ტრფობით ვინ არ დაიწოდა...
ბაღი მოვაშენე ძვირფას ხეხილებით,
მაღალ ბოკონებზე შევაყენე ოდა.

სხვები თუა, მეც ვარ ერთი სოფლის ბიჭი,
თვალო მარგალიტო, შენ ლერწამის ტანო.
მკლავში ძალა მაქვს და გულში ტრფობის ნიჭი,
მოვკვდე, შენი თავი თუ სხვას გავატანო.

— კაფე-კაფე-კაფე...
მე მამხნევებს ჩიტი,
გულში სიხარულის ვიგრძენ მოზღვავება...
ქალო, დაგშვენდება ჯვარსაწერი ჩითი,
როგორც ატმის რტოებს შვენის აყვავება.

როცა განთიადი მზეს ამოაგორებს,
ჩიტი სამუშაოდ მიწვევს:
    კაფე-კაფე...
მეც ვკაფავ საყანეს და ვაპობ ნამორებს,
შენი ტრფობით შრომას უფრო დავეწაფე.

სადაც არის ჩიტი მეტყვის:
    — თესე-თესე!
მეც სიმინდის მარცვლებს დავფანტავ ნახნავში,
ქალო, შენი ეშხით გამაუკეთესე,
ქალო, შემახვიე გიშერის ნაწნავში.

მოდი ჩემს ბაღჩაში დათესე სალათა,
კიტრი და ნესვები ნამწვავზე ახარე,
მჭადით, ყველით, ღვინით დატვირთე კალათა
და ჩამომიტანე ყანაში სამხარი.

სხვას ნუ გაუნათებ, ჩემი იყავ მთვარე,
შენც უნდა გიყვარდეს ვაჟკაცის მშობელი,
რომ შემოგვნატროდეს ყანის მოზიარე,
ჩვენს ქებას ერთპირად ამბობდეს სოფელი.

— კიდევ გამარჯობა.
— კიდევ გადღეგრძელოს.
— ჩემს მისვლა-მოსვლაში ბევრი გიშრომია...
ახლა მე ვისწორებ გაღეღილ საყელოს,
აქ თითქოს ჩვენს შორის ფარული ომია.

— თქვენებმა, მგონია, კაფვა გაათავეს!
— არა, ჯერ სადაა...

კაფვენ ჭინჭარველში...
ვგრძნობ, სხვა საუბარი გვიტაცებს ორთავეს,
მაგრამ სიტყვა თითქოს გამიჩერდა ყელში.

წავიდა... მე დავრჩი,
როგორ ვიმუშაო,
წავიდა ლერწამი,
წავიდა მშვენება.
ის რომ სხვამ მომტაცოს,
მოკვდი, ჩემო თავო,
რად მინდა სიცოცხლე
ან დღის გათენება.

— კაფე-კაფე-კაფე! —
მე მამხნევებს ჩიტი.
გულში სიხარულის ვიგრძენ მოზღვავება...
ქალო, დაგშვენდება ჯვარსაწერი ჩითი,
როგორც ატმის რტოებს შვენის აყვავება.

1927

წიფინელა ჭრელო

ტკბილად მაგონდება ჩემი სიყრმის წლები.
სოფლის ცივი წყარო, ველ-მინდვრები, მთები.

ფეხშიშველა გავლა სისხამ დილის ცვარში,
როცა ალმასები კრთიან კოინდარში.

ნაცრიანი კვერის მაგონდება გემო
და ბებიას ლექსი: „წიფინელა ჩემო,
წიფინელა ჭრელო,
ჩემო საყვარელო!..“

ალერსი და სითბო, სიხარული ჭარბი,
ღარიბული ყოფა,
მდიდრის შესახარბი.

1954

მე სიჭაბუკის მინდა ისევ განმეორება

სანამ ცოცხალ ვარ
გიჟურ ტრფობას
რა დამავიწყებს.
ჭაბუკურ ღელვის
დღენი მუდამ
მემახსოვრება.
მეტეორივით
ჩაიქროლა
ჩემმა ცხოვრებამ...
მაინც მგონია,
რომ სიცოცხლეს
მე ახლა ვიწყებ.

მაინც სიცოცხლის
სიყვარულით
გული ვერ ძღება.
გზა ასი წლისკენ
მიმავალი
არ მეშორება.
მე სიჭაბუკის
მინდა ისევ
განმეორება
და მიხარია,
რომ ღიმილი
შენი არ ჭკნება.

სამოცი წელი
მინდა, სადღაც
თავისთვის იყოს.
შენც ჩამოგცილდეს
მინდა ტვირთი
ორმოცდაათის,
მზიურ ქვეყანას
ეტრფიალოს
გული მარადის,
არ დაიღალოს,
არ ჩამორჩეს,
არ გაირიყოს.

გზა ასი წლისკენ
მიმავალი
არ მეშორება.
მე სიჭაბუკის
მინდა ისევ
განმეორება.

1968

ჩემი ხნის კაცი როს კვდება...

როს თმას ჭაღარა დაერთო,
დავხარბდი დღეებს მზიანებს.
ვიგრძენ — გვაქვს ბედი საერთო
ერთი ხნის ადამიანებს.

მეგობარია თუ მტერი,
ვინც ქვეყნად ჩემთან იარა,
იდუმალ ღელვით ვუცქერი,
სიხარულს გრძნობს თუ იარას.

ჩემი ხნის კაცი როს კვდება,
მტერიც რომ იყოს, მაღონებს,
თითქოს მეც ჯანი მაკლდება,
თითქოს მეც ვკარგავ ძალ-ღონეს.

1960



შალვა აფხაიძე

* * *

არც ნაღველია და არც ცრემლები,
თუ ხარ მოყვარე და გული გერჩის,
თუ დაგჩხრიალებს სხივები დილის
და მოქალაქის გული სცემს მკერდში...

თუ შთაგონება იწვის და არის,
თუ ვაჟკაცური ოცნება ფრინავს,
ცრემლშიაც ნახავ ეპოქის ხალისს,
ღამეც ვარდივით ჰყვავის და ფშვინავს.

1934

ია-ია

ია-ია, თვალებ ღია,
მისი სუნთქვა, სურნელება
მინდვრებიდან მოაქვს ნიავს.
გაიხაროს: მისი ფერით
გაზაფხული შემიტყვია.
ცას შევხედე, ვთქვი ხალისით:
რა ვეება ლაჟვარდია,

ღელეები, ტოროლები
აქ სიცოცხლეს ზღაპრად ხდიან.

რა ლივლივა ჰაერია,
რა მაღალი თაღებია.
ყაყაჩოებს, ბროწეულებს
ცეცხლი გაუჩაღებიათ.

მოღუღუნე ჯეჯილები
და რამდენი ბაღებია.
ცისარტყელებს, მქროლავ ქარებს
ოცნება და გული მიაქვთ.

სულ პატარა ბუჩქის ძირში
თვალებს იფშვნეტს ია-ია,
ნამი ნახა ალბათ ძილში —
ის ხომ მიწის ვარსკვლავია!

ყვავილებით იმკობს ტოტებს
ნუში, ბალი, შქერი, ღვია,
გაზაფხულის პატარძლები
ღიმილსა და თაფლსა ღვრიან.

იისფერი აქვს სიცოცხლეს,
მინდა ლაჟვარდს სულ ვუყურო,
ჩემი ქვეყნის სიყვარული
გარს მეხვევა როგორც სურო,
მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს —
მას სიმართლით ვემსახურო,
მასზე ფიქრით და ოცნებით
გულის ძარღვი გავიხურო.

1954

ვარდობა იყო...

ვარდობა იყო, როცა წახვედი,
ზედაზნის ღრუბლებს რომ მიეფარე
და შორს ამღერდი თბილისის მტრედი.
ვარდობა იყო, როცა წახვედი,
მშობლიურ ქართლის გაჰყევი ქარებს...

ახლა მანდ გალხენს ველი ხმოვანი,
და ის ყაყაჩო — შენ რომ ჰკრავ ძნებად,
კაკლების ჩრდილი ათასწლოვანი.
ახლა მანდ გალხენს ველი ხმოვანი,
ის მზეც, შენს მკერდზე რომ დადუღდება.

როგორ შევნატრი, ნეტავ იცოდე
ყვავილს, რომელსაც შენ ახებ ხელსა.
ბულბულს მომლხენსაც კი შეიცოდებ.
როგორ შევნატრი, ნეტავ იცოდე,
სადაც შენა ხარ — იმ სამოთხესა.

ნუთუ იმიტომ ვარ გაჩენილი,
რომ შენზე ტკბილი ოცნება მეყოს,
შენგან შორს ვიყო მარად შთენილი?
ნუთუ იმიტომ ვარ გაჩენილი,
რომ შენი ლანდიც კი არ შემეხოს?

1946

* * *

ნ თ-ძეს, ჩემი ცხოვრების თანამგზავრს

ეს იყო წინათ, სიჭაბუკეში,
როცა ოცნებად გამომეცხადე,
დიდი სიცოცხლის მარგუნე ეშხი
და ამამაღლე შუქსავსე ცამდე.
გამომეცხადე... უმალ ვიგრძენი,
ჩემთვის ვარსკვლავიც დაპატარავდა.
ვხარობდი ჩემი ქვეყნით და შენით.
შენს გვერდით სუნთქვა,
შენს გვერდით ბრძოლა
გაუთავებელ ერთ ზღაპარს ჰგავდა.
ჩვენ ერთად განვვლეთ აღმართ-დაღმართი,
ყველა ყვავილში გამოსარჩევო.
ახლაც, ვით წინათ, როგორც წარმართი,
შენზე ვლოცულობ, ძვირფასო ჩემო.
ვამაყობ კიდეც, დროის ერთგულნი,
ასე ერთმანეთს რომ შევაბერდით.
ავად თუ კარგად ჭექა-ქუხილში
ჩვენც ხომ გავუთბეთ მომავალს მკერდი.
მახსოვს ღიმილი დამდგარი დილის
თვალებში კრთოდა ვით ვარდის ალი.
შენი გულისხმა ხან იყო თბილი,
ხან კი მშფოთვარე, ვით ქარიშხალი.
დიდმა დრომ განვლო... და ახლაც შენთან
და მხოლოდ შენთან ვარ ბედნიერი.
იმ დღეს მადლობა — რომ შეგვაერთა,
დაგვტოვა ბედით ჩვენ მადლიერი.
ჩემთვის შენ მზე ხარ და არა მთვარე,
ნასესხებ შუქით რომ ბრწყინავს ღამით,
მე ისევ შევტრფი შენს დიდრონ თვალებს
და შენი გულის გამოღვიძებას
მე ყოველ დილით ვხვდები სალამით.
ჩემთან თუ არ ხარ: სივრცეა ბნელი,
თითქოსდა ციდან ვარსკვლავნიც ცვივა,
რაღაც სხვა სევდით მევსება გული
და ფოთლებგაცლილ ხესავით მცივა.
ჩემთვის შენა ხარ სინათლის ზღუდე,
შენს სინათლეში კიდეც დავბერდი
და სიჭაბუკე რომც დამიბრუნდეს,
მჯერა, მაინც შენ შეგიყვარებდი.

1980

* * *

დღე გაიზარდა... მზემ გრილ ოთახში
დიდი ნაბიჯით შემოალაჯა.
აპრილის სუნთქვამ, აპრილის შუქმა
ჯანით, ხალისით ამივსო მაჯა.

გაზაფხულია... მზე ყველას ყოფნის...
ჩემი ალვის ხის წვერზე მოექცა
და მისმა ცხელმა დაღვრილმა ტალღამ
ზამთრის ნაღველი ცას ჩამორეცხა.

ამოებერა მიწას გულ-მკერდი,
ძილით გამაძღარს გამოეღვიძა.
და რძით გატენილ ჯიქნებით კვებავს.
ჯეჯილებს, როგორც კეთილი ძიძა.

მზის მონატრულმა ძლივს ამოხეთქა
მიწა ენძელას უმანკო ღერომ...
მზე გაიზარდა... დღე გაიზარდა,
ხმის ჩახლეჩამდე მინდა ვიმღერო.

1951

სიკო ფაშალიშვილი

ჩემს ახალ, მზიურ საქართველოში

სიტყვა საამოდ გასაგონარი,
აზრი მგზნებარე და გაგებული,
ვით ჰიმნი ინტერნაციონალი,
ჩემგან ქართულად დალაგებული.

ლექსში ბუნების აელფერება,
შუქით დათრობა თანისთანური,
ტრფობის უჭკნობი მშვენიერება —
ტარიელური და ნესტანური,

ვაზის შრიალი, ფოლადის რეკვა,
ოროველაში დადნობა სრული, —
ხალხის დროშის წინ მუხლის მოდრეკა
და ხალხის ბედით ანთება სულის,

ქვეყნად გმირობით სახელგაფენა, —
უკვდავებაში გადახედებით,
ბარათაშვილის მერნის გაფრენა —
თავგანწირული სულისკვეთებით,

ილიას სიტყვა, აკაკის სიტყვა,
ვაჟა-ფშაველას მღერა სამისნო,

პატარა კახის ამბების კითხვა,
რომ წინაპართა კაცობა იცნო!

წარსულისათვის პატივისცემა,
რაც კარგი არის და მიმზიდველი,
მით გატაცება და აღტაცება,
რომ კარგი ახლით იცვლება ძველი,

მზისთვის შეხედვა მშობელ მიწიდან,
ბურთის გატანა კაცურ ლელოში —
აი, რა მიყვარს და რა მიზიდავს
ჩემს ახალ, მზიურ საქართველოში!

1985

მოდი, მოდი, გაზაფხულო!

მოდი, მოდი, გაზაფხულო,
ყველა დროთა ლხენავ, —
სიხარულის კრიმანჭულო,
ბულბულების ენავ,
ტყის შრიალო, ხმას რომ ურთავ
ჩანჩქერების გუგუნს, —
მფეთქავ გულთა, მღერავ გულთა
„გუგუ, გუგუ, გუგუ!“

შენი შუქის თინათინი
ლექსად ასტრიქონდა, —
შენი მოსვლის მოლოდინი
მე ზამთარში მქონდა,

ვიცან, ვიცან ეგ ნათელი
სულში აგინთია, —
გამარჯობა, მომე ხელი,
„ტია, ტია, ტია!“

ვიცან, ვიცან — ათას ვარდის
ფერთა სიხალისე,
პირველ დღეს რომ შემიყვარდი,
კვლავ მიყვარხარ ისე!
ლხენად მოდი მწუხარეთა, —
შუქს რომ შუქზე გვისევ, —
მზე შინა და მზე გარეთა, —
მომე ხელი ისევ!..

1950

მ ღ ე რ ო დ ე

მღეროდე, გულის ყველა უჯრედი
იქცეს ნაწილად მშობელ მხარისა,
რომ სულში ჩადგეს შუქი უშრეტი
ჩვენი მზისა და ჩვენი მთვარისა.

უმღერდე ხალხის დიდებით მმოსავს,
აღმზრდელ, აღმდგენელ შრომას, შენებას,
ჩვენი დამხსნელი გენიის მოსვლას
და სამუდამო დღის გათენებას.

უმღერდე მტერზე გალესილ მახვილს,
რომ ფოლადს ჟანგი ვერ მოერიოს,
რომ გამარჯვების ვაჟკაცურ ძახილს
შენი სიმღერის კილოც ერიოს.

მღეროდე ასე, დე წელთა დენა,
გულს განახლების ცეცხლად მოედოს, —
ამაზე დიდი ნატვრის ახდენა
ვის მოსწრებია, ჩემო პოეტო!

1936

* * *

კავკასიონო, რიონო,
ალაზანო და იორო,
ქართლო, კახეთო, გურიავ,
მე თქვენზე ლოცვა მწყურია!

სამეგრელოვ და აჭარავ,
ფიქრმა თქვენი მზით მატარა,
ხევსურეთ-თუშეთ, სვანეთო,
გულმა თქვა „გენაცვალეთო“!

სამშობლოს ყველა კუთხეო,
სანატრელ მთის და ბარისა, —
ყველგან მაცილებს კურთხევა
თქვენი მზისა და მთვარისა!

მშობლიურობა ეგ თქვენი,
მუდმივ სინათლედ მნთებია,
რა დღეს ეგ სუნთქვა ვერ ვიგრძნო,
ის დღე ნუმც გამთენებია!

1930



კოლაუ ნადირაძე

მე მიყვარს დილა

მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა,
როცა მახარებს სიცოცხლის გრძნობა და თვით სიკვდილის გარდუვალობა,—
მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა!

მე მიყვარს დილა, როცა მარჯანი გადაეფრქვევა მეტეხის კარებს,
ნარიყალაზე კრწანისის გმირნი თითქოს ასწევენ სისხლიან ფარებს, —
მე მიყვარს დილა, როცა მარჯანი გადაეფრქვევა მეტეხის კარებს!

მე მიყვარს დილა, როდესაც სიონს მტრედების გუნდი დააფრინდება.
როდესაც მტკვარი გახდება ლურჯი და როგორც ცრემლი დაიწმინდება, —
მე მიყვარს დილა, როდესაც სიონს მტრედების გუნდი დააფრინდება!

და კიდევ მეტად მე მიყვარს მიწა, რომელსაც ჰქვია მიწა ქართული!
მიყვარს ქართველი დინჯი ვაჟკაცი, ქედმოუხრელი და ამართული, —
და კიდევ მეტად მე მიყვარს მიწა, რომელსაც ჰქვია მიწა ქართული!

და კიდევ მეტად მე მიყვარს მისი დაუძლეველი, უკვდავი სული!
მისი გმირული დიადი აწმყო, მისი დიდება, მისი წარსული, —
და კიდევ მეტად მე მიყვარს მისი დაუძლეველი, უკვდავი სული!

ასე ძლიერ და საბედისწეროდ რად შემიყვარდი, მშობელო მხარე?!
რისთვის ჩამიდგი პოეტის გული და შენი ზეცით რად გამახარე?
ასე ძლიერ და საბედისწეროდ რად შემიყვარდი, მშობელო მხარე?!

განა ოდესმე შენთვის სულისთქმა ანდა სიცოცხლე დამშურებია?
განა ოდესმე ბედს ვუჩიოდი, განა ოდესმე დაგმდურებივარ?
განა ოდესმე შენთვის სულისთქმა ანდა სიცოცხლე დამშურებია?!

განა არ ვიცი, რომ მოვა ჟამი და ვერ ვიხილავ შენს მთებს და ჭალებს?!.
მინდვრის ყვავილში ან ხის ფოთოლში ოდესმე მაინც გავახელ თვალებს!..
განა არ ვიცი, რომ მოვა ჟამი და ვერ ვიხილავ შენს მთებს და ჭალებს?

ქვეყანავ ჩემო, ყველაზე ტკბილად შენ მომასვენებ და დამაძინებ!
თვით შენი მიწა იქნება თბილი, — მე ის არასდროს არ დამამძიმებს.
ქვეყანავ ჩემო, ყველაზე ტკბილად შენ მომასვენებ და დამაძინებ!

მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა,
როცა მახარებს სიცოცხლის გრძნობა და თვით სიკვდილის გარდუვალობა,
მე მიყვარს დილა, როცა ფანჯრებში შემოვა მზე და მერცხლის გალობა.

1945

თბილისში

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ
და სულში ლექსი რუსთველის მღერის.
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

კარგია თუ ხარ კაცი კაცური
მშობელი ხალხის პატივსაცემი,
გულით სპეტაკი, სინდისდაცული,
არც მოღალატე და არც გამცემი!

კარგია დილით მტკვრის სანაპირო,
ვერხვები, სივრცე ფირუზის ფერის.
მტკვარი ჩრდილებით გადაფენილი...
ჩუმად გაჰყურებ ზეცის საფირონს
და გრძნობ, რომ გულში შემოფრენილი,
თითქოს ათასი ბულბული მღერის...

კარგია ჩვენი დედაქალაქის
გამოღვიძებაც ზაფხულის დილით.
ფოთლებზე გარბის ნიავი ფრთხილი,
ვით ჯადოსნური ჩურჩული მისნის...
ვიღაც უჩინო საყელოს გიხსნის
და ყელს ეხვევა ჰაერი გრილი.

კარგია, როცა გახვალ და გხვდება
ქუჩაში ხალხი ნაამაგარი,
ჩვენი დიდების საგანი ხდება
მისი შრომა და მკლავი მაგარი.

სოფლის გოგონა მოდის წარმტაცი
შრომის გმირობის ვარსკვლავით გულზე,
ომგადახდილი გვხვდება ვაჟკაცი
ჭრილობის დაღით დაღარულ შუბლზე.

კარგია, რადგან მშობლიურ მხარეს
ამტკიცებს, ამკობს გარჯა გმირული,
მტრისთვის შეუვალ მამულის კარებს
უდგას ეს ხალხი თავგანწირული.

უდგას ეს ხალხი მშვიდობის მცველი
და მოდარაჯე თავისუფლების.
ამშენებელი საკუთარ ხელით
საკაცობრიო ბედნიერების.

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ
და სულში ლექსი რუსთველის მღერის,
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

კარგია, როცა გახედავ სივრცეს,
ჩვენს ტურფა ქალაქს მიაპყრობ თვალებს,
ეტყვი: „თბილისო, შენც გული გიცემს,
მე ვენაცვალე შენს მთებს და ჭალებს!

მე ვენაცვალე შენს გმირულ აწმყოს,
შრომას და ბრძოლას—მას, რასაც ვხედავ,
რა მხნედ შენ აგურს აგურზე აწყობ,
როგორი რწმენით მომავალს სჭედავ!“

მე მიმაჩნია ძმად და მეგობრად,
ვინც კი სამშობლოს ჯილდოს ღებულობს,
მე მიმაჩნია ნამდვილ მეომრად
ისიც, ვინც ჩუმი შრომით ერთგულობს.

კარგია! კაციც უბრალო, სადმე,
როგორც ხრახნილი რთულ ერთეულში,
ასრულებს დიდს და საჭირო საქმეს,
ისიც ძალას ქმნის ცოცხალ სხეულში.

აი, ამიტომ გული მიხარის,
რომ მეც მომავალს სანატრელს ველი,
რომ ვარ გუშაგი მშობელი მხარის —
კაცი უბრალო, კარგის მთესველი...

კარგია, რადგან სიცოცხლე მთელი
არ ღირს არაფრად, თუ არ გრძნობს გული,
რომ ამ დიდ ბაღში მზრუნველი ხელით
თუნდაც ერთი ხე შენც გაქვს დარგული.

კარგია! ჩვენი შთამომავალი
ალბათ, მის ჩრდილში ჰპოვებს სიამეს
და ფოთოლთ შორის სიო მავალი
მას ჩვენს ბრძოლებზე უამბობს რამეს.

უამბობს, რათა მანაც იცოდეს,
თუ როგორ უნდა ზრუნვა ხალხისთვის,
დაე, ჩვენსავით იგიც იწვოდეს,
მანაც იბრძოლოს მომავლისთვის!..

კარგია, როცა ქუჩაში გახვალ
და სულში ლექსი რუსთველის მღერის,
კარგია ძველი მეგობრის ნახვა
და მისი ძმურად მოხვევა ხელის.

1950

დილის სიმღერა

ასე მგონია, მთვარეა ნედლი
და თითქოს განგებ დააპატარეს,
ასე მგონია, საბავშვო ეტლით
მოჭედილ ცაზე გადამატარეს.

სადღაც ცხოვრება დარჩა ნამდვილი,
თითქოს პირველად ვხედავ ვარსკვლავებს,
გაფრენა არის ისე ადვილი,
თუკი გაბედავ და გაშლი მკლავებს!

ისეთი იყო ჩქარი და მწველი
ახალგაზრდობის ბედნიერება,
როგორც დილაზე დაცვარულ ველის
უბელო ცხენით გადაჭენება!

1927

წიწამურიდან საგურამომდე

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა,
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე აშრიალებულ ფოთლების ზღვაა.

ისევ დუდუნი ისმის არაგვის, ისევ ბიბინებს არაგვის ველი.
ღამით ამოსულ და აყვავებულ ვარსკვლავებს დილა მოთიბავს ცელით,
ღამით ამოსულ და აყვავებულ ნიავს არაგვი დილამდე ელის.

ჰეი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
შენს სამას შვილზე ხომ არა დარდობ? — გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები, — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!

ჰეი, არაგვო, მიამბე მაინც შენს სამას რაინდს თუ რას უმღერდი,
როგორ აღზარდე ქართულ ქოხებში და ქართულ აკვანს როგორ ურწევდი!
ჰოი, არაგვო, მაშინაც, ალბათ, ამავე სევდას მოაქუხებდი!

არავინ იყო ამბის მომტანი, არ გინათებდა გულს ალიონი,
აღარ გესმოდა „ვისაც მოუკლავს“, არ გუგუნებდა ზარი სიონის,
შენ დაგტიროდა მხოლოდ მოხუცი, დამარცხებული ბაგრატიონი!

გზა ეკლიანი და უდაბური გმირებს და მგოსნებს გაუკაფიათ!
საით ისწრაფი მაინც, არაგვო, და მიაშფოთებ ტალღებს ქაფიანს?
მცხეთის კარამდე დიდი ჩრდილებით მთებს შენი ტანი დაუდაფნიათ!

მცხეთის კარამდე გაისმის ძვლების და მუზარადის მსხვრევის ხმაური!
მცხეთის კარამდე წარსულ ბრძოლების ისევ ამტყდარა აურზაური,
მცხეთის კარამდე რეკავს ჯავშანზე დაჯახებული ხმალი ფშაური!

წიწამურიდან გულის კარამდე ერთი გზა მოდის — გზა სისხლიანი!
ისევ ჰყივიან ცაში არწივნი და შრიალებენ მთანი ტყიანი;
მთებში ირმების ისმის ყვირილი გულის მზარავი და სევდიანი.

ეგების მკერდში დასჭრეს ირემი და არ ურჩება ბეჩავს იარა?
განგმირულ შუბლით ეკლიან გზაზე ისევ მგოსანმა თუ გაიარა?
ეგების ამცნო მთებს საიდუმლო და დიდი ფიქრი გაუზიარა?

ჰოი, არაგვო, არაგვიანო, გულში ეგ სევდა რად ჩაგწოლია?!
მოკლულ პოეტზე ხომ არა დარდობ? — გყავდა და თითქოს არა გყოლია!
შენი ჩქერების თეთრი შხეფები, — ეგ ხომ ცრემლების წმინდა ბროლია!

ჰოი, არაგვო, მიამბე მაინც, როგორ დაეცა ეს გოლიათი?
ეგების შეწყდა ვარსკვლავთ კაშკაში, გადაეფარა მიწას წყვდიადი
და დამწუხრებულს, კაეშნით მოცულს, მზესაც ამოსვლა დაუგვიანდა?

შთაგონებული სიმღერა მისი აღარ მოესმის მიდამოს შენსას.
ალბათ, მისთვის ხარ გულჩათხრობილი და აღარ ცხრება ტალღების კვნესა!
ნატყვიარ შუბლის სისხლის წვეთები ახლაც აცხია მიწას და ქვებსა!..

წიწამურიდან საგურამომდე ეკლიანი და პატარა გზაა.
წიწამურიდან საგურამომდე სიცოცხლის გავლა ნეტავი რაა?
წიწამურიდან საგურამომდე დიდი მთები და უძირო ცაა.

1986

პ ო ე ტ ს

ადამიანის და ბუნების წინაშე მდგომმა
ამ ორ სასწაულს უდიადესს უცქირე ხარბად.
ყოველი ლექსი — ლითონია გამოსადნობი,
გრძნობა და ფიქრი როს ემთხვევა ერთმანეთს ჭარბად!
მოდექ პირისპირ და გაშალე მაღალი შუბლი,
მიეცი თვალებს არწივების შორსმჭვრეტი ძალა,
რომ შენი სიტყვა — კაცთა გულის მგმირავი შუბი —
გარდიქცეს სიბრძნის და სიმტკიცის ხერხემლის ძვალად!
წინასწარმეტყველს, ადამიანს, ჭეშმარიტ მგოსანს
უნდა გხიბლავდეს ბრძოლის ცეცხლი, ხალხთან ერთობა.
შენ სიყვარულის უძლეველი აბჯარი გმოსავს
და შენი ერის უანგარო გული გენდობა!
და როცა ცეცხლით შთაგონება გაივლის შენში,
როდესაც თვალებს აღმაფრენის ცრემლი ასველებს —
გააღე გული და აიღე კალამი ხელში —
შეასხი ხორცი, რაც შენ გტანჯავს და არ გასვენებს!
ტრფობა და ზეცა, ამ სამყაროს იდუმალება,
მშვენიერების უკვდავება, ეპოქის სუნთქვა —
უნდა გარდიქცეს შენი სულის მოძრავ ძალებად,
რომ თქვა სიმღერა, ჯერ რომელიც არავის უთქვამს,
იყავ სპეტაკი, როგორც ბავშვის ღიმილი ნაზი,
როგორც ლაჟვარდი უწმინდესი და სხივოსანი,
რომ შენს სამშობლოს უგალობო ჯადოსნურ ხმაზე
და გახდე მისი სიამაყე, მისი მგოსანი!

1937

შენ ჩემში ცოცხლობ

შენ ჩემში ცოცხლობ, ო, ერთადერთო, ჩემი სიცოცხლის უშრეტო წყაროვ,
შენ ჩემში ცოცხლობ, ჩემში არსებობ და იარსებებ, დაუვიწყარო.
მე მისთვის დავრჩი, რომ ხსოვნას შენსას სიკვდილის ხელი არ მივაკარო!

შენ ეს სამყარო დატოვე ჩუმად და მდუმარების ეწვიე ბაღებს...
მაგრამ ეს შენ ხარ, ნაზი ღიმილით სინათლის კარებს ჩემში რომ აღებ!
ო, ეს შენა ხარ, სულის სიღრმეში უწმინდეს ფიქრთა ტაძარს რომ აგებ!

მუდამ გაისმის შენი ხმა ჩემში, — უჭკნობ ყვავილად გულში ჩარგულო!
ვიდრე ვარსებობ, შენ არ მომკვდარხარ და... არაფერი არ დაკარგულა!
მე მასულდგმულებს ეს დიდი ტანჯვა და სიყვარულით ვარ გათანგული.

აღარ ვაჩქარებ შეხვედრას შენთან: ჟამი ამისთვის არ დაკარგულა!..
მე მინდა, სიკვდილს ჯერ გავუმკლავდე და გულში მიზნად მაქვს დასახული:
ცოტა ხანს დავრჩე, როგორც ჭურჭელი, სადაც შენ კიდევ ხარ შენახული!

1945

ზ ღ ვ ა ს თ ა ნ

პატარა ბავშვი თამაშობს ზღვასთან,
ზვირთების სუნთქვა შორიდან ისმის.
ალვის ხე ჩრდილით ისვენებს გზასთან
და მოშრიალე სიგრილეს ისვრის.

ვზივარ ზღვის პირას, დრო უხმოდ მიდის,
მზე დარჩა ქვებზე და ბავშვის თმებში...
საღამოვდება. სიჩუმე დიდი,
როგორც ნათელი, შემოდის ჩემში!

1989

შემოდგომის სტუმრობა

მოვიდა ჩუმად, თვალებდახრილი,
ვაზის ფურცლებით აბურდულ თმებში,
მთვარე სურნელად იყო დაღვრილი,
ირმის ყვირილი ისმოდა მთებში.

მე დავინახე, როგორ სიფრთხილით
ჩამოუარა ვენახის ზვარებს,
როგორ აავსო ყვითლად ხეხილი,
როგორ რაზავდა ზაფხულის კარებს.

განთიადისას, როდესაც ზეცა
აბნევდა პეშვით მაღლიდან ქარვებს,
ოქროს კალთები ისევ მოკეცა
და დააბერტყა ტყეების კარვებს!

შემდეგ ის სადღაც ბუჩქებში გაჰქრა
და თვალთმაქცურად დაჰკარგა კვალი,
ბროწეულები რომ დაეშაქრა
და მოებნია ტყეში მაყვალი.

შუადღით ისევ ყანებში ნახეს:
გლეხებთან ერთად ტეხავდა ტაროს,
ბავშვებს მწყერისთვის უწყობდა მახეს
და ჰპირდებოდა ელვიან ტაროსს.

და როცა მინდვრებს წვიმა დაესო,
როცა ბაჯაღლოდ გადიქცა მუხა, —
სტუმრად ეწვია გლეხების ეზოს
და გამოავსო ბეღლები უხვად.

არ ვიცი, რა დროს მოვიდა ჩემთან,
როგორ ამინთო ბუხარში ცეცხლი,
ან როგორ გაჩნდა შორეულ მთებთან
და მწვერვალები მოჭედა ვერცხლით.

როს ზეცა ისევ გადაისარკა
და ქარი ხეებს უმტვრევდა კუნთებს, —
ვით მწყემსი გოგო, სამხრეთისაკენ
ის მიდენიდა მერცხლების გუნდებს.

1935

ზღვის პირას

პატარა ბავშვის ტერფების კვალი
ნამიან სილას ზღვის პირას აჩნდა...
მე თითქოს წამით ამეხსნა თვალი
და ის დღე ვიგრძენ იდუმალ ძალით,
როცა სიცოცხლე პირველად გაჩნდა!

ვიდექი მარტოდ, შორიდან ფრთხილად
მოდგა სიჩუმე და გულში ჩაჯდა.
ვხედავდი პირველ გაჩენის დილას...
და მხოლოდ სილას, ნამიან სილას
პატარა ბავშვის ტერფები აჩნდა...

1944

ორი ქოჩორა

ორი ვარია, ორი ქოჩორა,
ერთი ნაცარა, მეორე ჭრელი
ვიყიდე ერთხელ, ცოლმა მოჭორა,
რომ იყვნენ ერთობ ძვირი და ხმელი.
შავთვალა გოგოს, სოფლიდან მოსულს
აღარ ვევაჭრე, — ფული არ მშურდა!
და ვუთხარ ჩემს ცოლს, ჩემზე გულმოსულს,
რომ არა ჰქონდა გამყიდველს ხურდა.
ორი ვარია ფეხებშეკრული
სხვებმაც გასინჯეს მუშტარის თვალით,
მე უჩვეულოდ მიცემდა გული
და ვთქვი: „აიღეთ, ერთად დაჰკალით!"

პატარა სევდა, პატარა დარდი
დიდხანს ქუჩებში დამატარებდა
და არაფერი, იმ გოგოს გარდა,
მე იმ დღეებში არ მახარებდა!
მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა,
ორი ქოჩორა დღეს ვიღას ახსოვს?!
მაგრამ ჩემს გულში ჩარჩა იარა
და მოგონება მოწყენას მაქსოვს.
და ყოველ კვირას გულის ცახცახით
მე ნაცნობ ადგილს ვუახლოვდები,
მაგრამ ვერ ვხედავ სანატრელ სახეს
და უიმედოდ ისევ ვღონდები.

1926

თოვს

თოვს. ეს სიჩუმე და სისუფთავე
მე ძველებურად აღარ მახარებს!..
მე ჩემ სიმღერას უკვე ვათავებ
და ჩუმად ვრაზავ გაღებულ კარებს.

ეს სისპეტაკე, ფიქრებს რომ აჰყვა,
მე ხომ გაჩენის დღიდანვე მკლავდა!
როცა მუზები მირწევდნენ აკვანს
და ცისფერ ყვავილს ჩემს გულში რგავდნენ.

ცივი და ჩუმი თოვლის შრიალი
ეგ ხომ ხმა არის მიმავალ ჟამის
და მალე ჩემი გულის ფრთხიალიც
შეუერთდება თოვლსა და ღამეს...

მე ისევ მესმის წარსულის კვნესა;
კაეშანს ჩემსას სიჩუმე ათრობს.
დაკარგულ საფლავს ვიგონებ შენსას,
სადაც, ძვირფასო, გძინავს და გათოვს!..

ეგ ხომ ჩემს პირველ სიყვარულს ათოვს,
ეგ ხომ შენი ხმის შრიალი არის!
შენი უკვდავი ღიმილი მაკრთობს —
გამოშუქება ციური მხარის!

თოვს. ეს სითეთრე და სისუფთავე
მე ძველებურად აღარ მახარებს!..
მე ჩემს სიმღერას უკვე ვათავებ
და ჩუმად ვრაზავ გაღებულ კარებს.

1925

ბევრი არ მითქვამს, მამულო, შენთვის!

ბევრი არ მითქვამს, მამულო, შენთვის
სიტყვა კაზმული და საალერსო,
მაგრამ გულს შენი ტრფიალი ერთვის,
უნეტარესო!
ეგებ ეს იყო ჩემი სიურჩე —
დუმილი ძუნწად დამირღვევია,
მხოლოდ რაც სულში მქონდა საუნჯე,
შენს წინ ცრემლებად დამიფრქვევია.

ცოტა რამ მითქვამს! ვაგლახ, წამისად,
სიზმრად ქცეული სიცოცხლე ქრება...
დავკარგე ზღვარი დღის და ღამისა,
ტრფობა კი შენი არ მეკარგება.
მე ეგ დუმილი მიღირდა ძვირად...
ან ახლა სიტყვას როგორღა ვბედავ?
ნეტავ სიყვარულს ვინ უხსნის ხშირად
საკუთარ დედას?

1960

კოლმეურნე ქალს

გაგივლი გვერდით მორიდებით და მოკრძალებით,
ქალო ქართველო, მოამაგევ კეთილშობილო.
დიდი შრომისთვის დღეს უბრალოდ გამოწყობილო,
სულში ჩამწვდენო მაგ ღიმილით და მაგ თვალებით!

ო, რარიგ მიყვარს შენი სახის იერი თბილი,
შენი ქართული მეტყველება, წამწამთა ჩრდილი,
სიდარბაისლე და სიდინჯე, ნაბიჯი ნელი
და წმინდა შრომით დაღარული ოდნავად ხელი!
ო, ვიცი, ვიცი ყოველივე! კიდევ მენახოს
შენი ოჯახი საყვარელი, თავს რომ ევლები,
ახალი ოდა, გამართული ვენახის ახლოს,
ჭადარი ჭასთან და ღობესთან თეთრი ტყემლები.
არ დაუნახავს შენს თვალებზე არვის ცრემლები,
რაც ომს ემსხვერპლა — აღიბეჭდა ნაოჭად შუბლზე!
მხოლოდ თვალებში, როგორც ცეცხლის ციმციმი შუბზე,
შურისძიების გაიელვებს ზოგჯერ სურვილი...
და როცა ჩუმად გესალმები შრომით გაალულს,
როს შენი სახე, ხილაბანდით შემობურვილი,
თითქოს ბურუსში გამოაჩენს სინაზეს ქალურს, —
მე მჯერა მაშინ, რომ ქართველი ქალის სიტურფეს
ამშვენებს შრომა, ადიადებს, ფიანდაზს უფენს;
რომ ახლაც უცემთ ვაჟკაცურად ჩვენს დედებს მაჯა
და სისპეტაკე, სილამაზე მხოლოდ იქ სუფევს,
სადაც არსებობს სამშობლოსთვის შრომა და გარჯა.

1954

ი მ ე რ ე თ ი

შენ ვეღარ გიმზერ, ჩემი სიმღერა
აღარ მოესმის შენს ცისფერ ველებს!
მე მშობლიური დავკარგე კერაც
და მაინც გიწვდი ალერსით ხელებს.

რად მაგონდება ასე უღმერთოდ
შენი თხემები ჩამოქცეული?
რად მინდა, მოვკვდე და შეგიერთო
შენ ჩემი სისხლი, ჩემი სხეული?

რად შემიყვარდა დღეს ისევ ისე
თოვლი, წვიმები და ღელეები?
ზღვად მოვარდნილი შენი მაისი,
ქაჯებით სავსე შენი ტყეები?

ვიცოდე მაინც, რად არ მასვენებს
ქოხში სმენილი სიმღერა ტკბილი!
ზაფხულის წვიმა ისევ მასველებს,
ისევ მომკვეთა ალუჩამ კბილი.

ისევ ხარები მიდიან ნელა
ვიწროდ ამოჭრილ სოფლის შარაზე
და მზის ჩასვლამდე თოხები ელავს
აბიბინებულ გლეხის ყანაზე.

მე თითქოს ახლა ცქერა ამეცრა
და გამოვფხიზლდი მძინარ გონებით...
თითქოს ამღერდნენ ჩემში უეცრად
სერაფიმების ლეგიონები!

მე მინდა, დავთვრე ჩუმად და ტკბილად
ამ ულაჟვარდეს, უძირო ზეცით.
მოვზილო მჭადი და, როგორც წინათ,
კვლავ ავაფიცხო ბუხართან კეცით.

არა, არასდროს არ მეღირსება
გადავიწყება შენი სიმწვანის!
ვხედავ, მარნები მაჭრით ივსება
და ოქროდ ღელავს სიმწიფე ყანის.

ხელახლა სოფლის ვიწრო ბოგირზე
გააქვს ჭრიალი ღამეში ურემს
და გლეხსაც სძინავს ყანის ნაპირზე,
როცა შუადღით მზე დაახურებს.

ქვეყანავ ჩემო, ზეცით ნაკურთხო,
უხვად მორწყულო მზითა და მთვარით!
მე შენს კალთებზე დავეძებ კუთხეს,
მომეცი შენთან თავშესაფარი!

ისევ შემიშვი მოწნილ ფაცხაში,
სადაც ქართულად აკვანს არწევენ,
მანახე შენი ზეცის კაშკაში,
მასმინე ხმები — გულს რომ ანგრევენ.

რომ კიდევ ერთხელ, ქცეულმა შველად,
გადავირბინო შენი ნოხები,
რომ ფეხშიშველამ ვიარო ველად,
ვიყნოსო კვამლი შენი ქოხების!

რომ ხელმეორედ ვიგრძნო სინაზე
ჭალადიდის და ორპირის კუთხის,
სადაც ნიავის ფრთებით დილაზე
მოჰქრის შავი ზღვის სურნელი მწუთხე.

სადაც ტყეები, ჩარგული წყალში,
გარშემორტყმულან მაღალ ისლებით
და ზეცის კიდეს, გახვეულს ალში,
მძიმედ არხევენ ლურჯი ნისლები.

მოვსულვარ შენთან შერიგებული,
რომ გითხრა მაინც — სურვილი ახდა, —
მე ვარ ბულბული ამღერებული,
ატირებული საყვარელ ბაღთან!..

რომ გითხრა მაინც — კიდევ ეს გული
სალამურივით მკერდში მიმღერის,
რომ ვარ ქართველი, ქართული რჯულის
და მიყვარს შენი ქვიშა და მტვერიც!

და თუ მე დღემდე ბედს ვეჭიდები —
ჩანს მშობელ ზეცის კურთხევა მიცავს!..
მოვედი შენთან, რომ მორიდებით
კიდევ ვემთხვიო შენს წმინდა მიწას!

1926



ხარიტონ ვარდოშვილი

ქვის ვარსკვლავები

ასე ლამაზად ვინ აშენებდა
ნეტავ ჩვენს ტაძრებს, აღმართულს ცამდე?
ნაზ ჩუქურთმებით დაამშვენებდა,
შთაგონების შუქს აქსოვდა ამდენს?

ეს არის ხელი დიდ წინაპრების,
მადლით ბრწყინვალე და დალოცვილი!
რომ დაიფერფლნენ, ვით კელაპტრები,
უკვდავი შუქით ნათელმოსილნი.

მათ გვაზიარეს მზეს უკვდავების
და დაგვიტოვეს დიდებად ერის —
ეგ ჩუქურთმები, ქვის ვარსკვლავები,
თვალთა მხიბვლელნი ქართულ იერით.

არ დაუზოგავთ ღონე და ძალი,
იშრომეს გზნებით, თავდავიწყებით,
მათ ღვაწლს ვერ წაშლის ჟამი მუხთალი
და ვერც ბურუსი გადავიწყების!

დგანან ამაყად ქედაღმართულნი,
თვალს უსწორებენ დღეთა ცვალებას,

ოსტატთა ხელით გამოხატული
ქართულ გენიის მზის ბრწყინვალება!

მარადისია და დიდებული,
განათებული ცის უკვდავებით,
ქართული სულით აჟღერებული
ეგ ჩუქურთმები, ქვის ვარსკვლავები!

1938

გურიისადმი

შენს მიწას გმირთა სპეტაკ სისხლის აჩნია ზოლი.
შენი ცა ღრმაა, მოჭედილი ფირუზის თვალით.
უშრეტი ცეცხლით, იმედებით ხარ ანათრთოლი,
შენს გულისთქმაში სიმტკიცეა ნაწრთობი რვალის.

მთის ნაპრალებში ჩხრიალებენ ჩანჩქერნი სწრაფნი
და მიაქვთ მკვირცხლი გაქანებით სილაღე ბარად.
მტერთან სასტიკი შეჯახების ყიჟინი მძაფრი
შენგან გაისმა მოგუგუნე ქუხილის დარად.

სისხლის წვიმებით აზვირთებულ გრიგალის ქროლას
შენ მიაგებე სალი მკერდი, ქცეული ცეცხლად,
სასტიკ ბრძოლებში არ გჩვევია შიში და ძრწოლა
და იცი მტერთან თავგანწირვით მედგარი შეხლა.

მამაცი გული ვაჟკაცობით უსაზღვროც არის,
და მოძმის დიდი სიყვარულით მარად გიმღერის,
ამ სიმღერაში ტოკავს სული გასაოცარი,
ლაღო გურიავ, თაიგულო მშობელი ერის!

1931

სიმღერა

გულს ვარამი ჰკლავდეს თუნდა,
სულსაც ცეცხლის ალი ფლობდეს,
შენ მიყვარხარ მარად, მუდამ,
არ გიმუხთლებ არასოდეს.

საქართველოვ, ჩემო დედავ,
შთაგონების დიდო წყაროვ,
შენს დიდებას როცა ვხედავ,
დარდი როგორ მომეკაროს!

კვლავ აყვავდი, გაიხარე,
ფრთა გაშალე ქარიშხლისა,
ჭირნახულო, გმირთა მხარევ,
შენი მტერი გაისრისა!

გულს ვარამი ჰკლავდეს თუნდა,
სულსაც ცეცხლის ალი ფლობდეს,
შენ მიყვარხარ, მარად, მუდამ,
არ გიმუხთლებ არასოდეს.

1960

ᲘᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ

მშვენიერებით სავსე,
ვით მარგალიტის თვალი,
ლურჯი ზამბახის მსგავსი —
ხარ იისფერი ქალი.

როს ქალაქს შუქი ათოვს,
დგება საღამო ნელი,
ჩნდები პროსპექტზე მარტო,
როგორც დამფრთხალი შველი.

ტანი — ახრილი ალვად,
წარმტაცი, სანუკვარი.
გშვენის ქართული გავლა,
სიდარბაისლე გვარის.

თეთრ ყვავილებად მაშინ
გეფრქვევა სამოსელი
და ფერხთა შერხევაში
თრთის სინატიფე მწველი.

გამხვიე ელდის ცეცხლში,
თავს დამატეხე ალი,
გშვენის ქართული ეშხი,
ხარ იისფერი ქალი.

თან დამდევს შენი სახე,
გული ტრფიალით იწვის,
სხივივით მოცახცახევ,
სიტურფევ ცის და მიწის.

ამბობენ, თითქოს, ივნისს
დაწვა სურს შენი თვალის,
გული გაქვს თურმე ყინვის
და ხარ საცოლე მთვარის!

1922

* * *

ზეცამ ჩამოთოვა
ყომრალი ბინდები.
მალე ღამე მოვა, —
შენ ნუ შეშინდები.
დე, მკვდრის ფერი ედოს
შემოდგომის ზეცას,
თვალში არ ჩახედო
წყვდიადს — სევდის მთესავს.

ქარი არხევს რტოებს,
ტოკავენ ზვირთები.
მე მივდივარ, გტოვებ,
შენ ნუ ატირდები.
არ ემონო გლოვას,
შორს — შავი ფიქრები.
მერწმუნე, კვლავ მოვალ
და შენთან ვიქნები!

1930

ვასო გორგაძე

ოღონდ სამშობლოს ნერგმა იხაროს!

მდგარი ცხოვრების მძიმე აღმართთან —
ყოველ ცისმარე დღეს კითხვით ვხვდები:
ნუთუ ზღაპარი ყრმობის დამთავრდა,
ასე უეცრად გაცურდნენ წლები?

თუმც განვლილ შარას სულაც არ ვდარდობ,
ცრემლი დავღვარო — განა ვარ მხდალი!
იქნებ, შენც, მალე, სიცოცხლის ვარდო,
დაგაჭკნობს ცხელი უდაბნოს ქარი.

მე მხოლოდ ერთი ფიქრი, მზებნელი,
გულს დამწოლია, ვით შავი ნისლი:
ისე მივდივარ, რომ ვერ შევძელი
მეთქვა სიმღერა მამულის ღირსი!

რამდენი გზა მაქვს კიდევ — არ ვიცი,
მაგრამ, ვით ძველი გმირი იკაროს —
მეც სიყვარულის ცეცხლში დავიწვი,
ოღონდ სამშობლოს ნერგმა იხაროს!

1965

ᲨᲘᲚᲘᲨᲘᲚᲡ

მოდგები კართან — სიხარულით ბრწყინავენ ბჭენი,
შემოხვალ — ნათლით იმოსება ჩემი ჭაღარა,
და შუადღემდის უცოდველი, ბავშვური ენით,
შემომღუღუნებ, როგორც მტრედის ხუნდი პატარა.

ხან დედოფალას მიუჯდები, დაუწყებ ალერსს,
ხანაც ტოლებში სათამაშოდ იჩქარი ანცი...
ხელში აგიყვან, დაგიკოცნი ჟუჟუნა თვალებს,
ნეტავ, რა ძალამ მომანიჭა ასეთი განძი?

1958

ᲜᲘᲐᲕᲝ, ᲩᲣᲛᲐᲓ!

ნიავო, ჩუმად! ქარო! უმძაფრესს
ფრთას ნუ შეახებ ფანჯრების მინას:
იქ, შუშაბანდში, ვარდზე უნაზესს,
ცისფერთვალება გოგონას სძინავს.

მთვარევ, ზღაპრებით გამირთე ციდან,
მზეო, გამითბე სხივების გზნებით:
რომ, უსპეტაკეს თოვლივით წმინდა,
ვიდოდეს ქვეყნად სიმართლის გზებით.

თქვენ კი, მერცხლებო, ჭიკჭიკ-გალობით
დილა-საღამოს დაუტკბეთ რული...
დე, გაიზარდოს, კარგი ქალობით
ახაროს ჩვენი სამშობლოს გული!

1958

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ჩვენი ქვეყანა, ჯერ კიდევ ძველად,
მრავალი მგოსნის ჩანგს იზიდავდა,
მაგრამ, თბილისო, ყველაზე მეტად
მათ სილამაზე შენი ხიბლავდა.

ხიბლავდა შენი ცის ლურჯი ფერი,
თვალისმომჭრელი ბუნება ლაღი,
სულით მდიდარი და გულით წრფელი,
თავისუფლებისმოყვარე ხალხი.

შენი ქედები — ხშირი ტყიანი,
ბარი — ბაღებით გადახატული,
ხოდაბუნები — ბარაქიანი,
მუდამ გულუხვი სუფრა ქართული.

მათ აოცებდათ შენი ტაძრები,
სასახლეების ჩუქურთმა ძველი,
„ვეფხისტყაოსნის“ ბრძნული აზრები,
და სიმღერები — სიამის მგვრელი.

ეს იყო ძველად... ახლა რომ ნახონ
ეს პროსპექტები — შენი მშვენება,
თვალი რომ მოჰკრან ამ უცხო წალკოტს
ღღეს, ალბათ, ზღაპრად მოეჩვენებათ.

წინათ სად იყო ამდენი ვარდი?
მზეს როდის ჰქონდა სითბო ამგვარი?
მინდვრებს ფარავდა ეკლების ბარდი,
შავად ბოლავდა მიწა დამწვარი.

აწ კი ისნიდან, მცხეთის კარამდე,
გადაგიშლია ამაყად მხრები
და მწველ სხივისგან ჩრდილით გფარავენ
მწვანე ჭადრები — ფოთლები ფრთებით.

რა შეედრება შენს ცათამბჯენებს —
მყინვარწვერივით ატყორცნილს ცაში,
ბაღებში მჩქეფარ ალმას შადრევნებს,
მტკვარს—მოლივლივეს გრანიტის ყდაში!

ყოველ ქუჩაზე ყვავილებია:
ხარობს ნარგიზი, ჰყვავის სუმბული,
ხარდანს შვილივით ჩაჰხუტებია
ვაზი — მტევნებით გადახუნძული.

ვის არ მოხიბლავს შენთა ასულთა
მაყვლის წამწამი, წერწეტი წელი!
რომელ მიჯნურის გულს არ დათუთქავს
მათი თვალები — ცეცხლივით მწველი!

როგორც ბერმუხა ბეჭგანიერი —
გადარჩენილი სისხლიან კალოს —
დგახარ კლდესავით ფესვებძლიერი
და ბედნიერი აწმყოთი ხარობ.

მინდა, ჩაგეკრა მშობლიურ მკერდში,
შენს წმინდა მიწას ვემთხვიო კრძალვით,
სად წინაპრები დაიწვნენ ცეცხლში,
მაგრამ არ დაგთმეს ცოცხალი თავით.

ჭაღარა ქართლის გულო ხალასო,
დე, დავიფერფლო შენზე ოცნებით!..
ხარ პოეზიის დიდი პარნასი
და შენ გადიდებს ჩანგი მგოსნების!

1958

ილო მოსაშვილი

ცხოვრების გზაზე

გული ნაღვლიან ბურანს შეება
და სათითაოდ ითვლის იარებს,
ახალგაზრდობის ტკბილმა დღეებმა,
როგორც მერცხლებმა, გადაიარეს.

ტყე დაიფურცლა და ტყის ნაცვალი
დარჩა ფოთოლი, ხეზე შემხმარი,
და, ვით ნაღვერდალს, ნაგდებს ნაცარში,
ჩემი ლექსების მღერას შევხარი.

მარტო სტრიქონი — ერთი ხალისი,
ვით მოქნეული ელვა ხმალისა...
მარტო მოვარდნა ტყეზე ქარისა
და სიხარული უმწვერვალესი.

მაშინ დღეები გაზაფხულს მიჰგავს
და გული ათას ლერწმის ღერებით,
ჩემი დროების ატეხილ გრიგალს,
ხვდება ძახილით და სიმღერებით.

და მივიმღერი, რაღას მიქვიან
შემოღამება, შიში, ეჭვები.

ვხედავ, აბჟანდებს გლეჯავს სტიქია,
და მეც მღელვარე ზღვაში ვეშვები.

თან მიმაქვს გული რკინანარევი
და სიტყვა, ცეცხლთან ნაალერსები,
დეე, გრიგალში ოქროს ზარივით
რეკდნენ, კიოდნენ ჩემი ლექსები.

1927

ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲖᲔ

მე ჯერ პატარა ვიყავი მაშინ...
ახლა სიზმარში მომეჩვენება.
მიყვარდა
მარწყვის დაკრეფა მთაში
და მინდვრიანზე
ჯოხის ჭენება.

ვიკარგებოდით ტყეში უგეშოდ
მე და თოლია,
მე და ხბორები.
ზოგჯერ კი
დედის გამთბარ უბეში
მქონდა ლოყები ნაამბორები.

როს შუაღამე მხრებზე მეხურა
და ქოხს გრიგალი კვნესით ზარავდა,
დედას ვეკვროდი, როგორც ბეღურა,
მეგონა, ვინმე მომიპარავდა.

მაგრამ დღეები ლხენანარევი
გაჰქრა, —
მცხუნვარე მზე რომ უვლიდა,
და სიჭაბუკე დილის ზარივით
აღარა რეკავს
ახლა გულიდან.

აღარც ბიჭები ფეხშიშველები,
აღარც ხბორები,
აღარც თოლია.
მოვიდა გმირის რკინის ხელებით
და თავის გზაზე
გამიყოლია.

მხრებზე დამეცა წლების სიმძიმე
და ძვალმაგარი ვიგრძენ ვაჟობა,
ბავშვობის დღეებს შუქმოციმციმეს
დაღარულ სახის ჟამმა აჯობა...

უიმედობის ჯვარზე გაკრული,
გაუვალ გზებზე
ბევრჯერ დავეცი,
ბევრჯერ
მქონია გული ნაკლული
და ბევრჯერ
განცდა უუკვდავესი.

მაგრამ რა არის ისე ცხოვრება,
არ ჰქონდეს ჟინი
მოუსვენარი!
გადვიქცეოდით მაშინ მძორებად
და გამოგვხრავდა
მიწა ვერანი.

ეშხი იქ არის,
სადაც ქარია,
ქარი, რომ მკერდი მკერდზე გვიგალოს,

სიცოცხლეც,
გულიც,
ლექსიც მკვდარია, —
უქარიშხალო და უგრიგალო.

წარსულს
უბედო პირი უგავდა,
ეს საუკუნე
ჩვენი ღვიძლია —
და ჩემი ქვეყნის მზე არ მბუგავდეს —
მე ისე მღერა არ შემიძლია.

ნანატრი დიდხანს ვერ შევისრულე,
თავქვე დავქანდი,
ბედი მწირავდა,
ბევრი წაგება,
ბევრი კისრული
და მიწის ღერძი გადაყირავდა.

ელვის ღრუბლები
აენთო ქარზე,
ცეცხლმა დაიწყო
ცაში გაჩენა
და საუკუნის შენგრეულ კარზე
წითელი რაში
შემოაჭენა.

გადასულ წარღვნას
ძლივს გადავურჩი,
ახლაც გუგუნებს მთებში გრიგალი;
იმდენ გრგვინვაში,
იმდენ ხმაურში,
მე გულში სევდა
ძლივს ჩავიკალი.

გულო, დარდები აღარ გდევნიან,
შენს გზას, შენს მიზნებს
ვინღა ურევდეს!
მე ჩემი ქვეყნის
მზე მირჩევნია,
მწვავდეს,
მანთებდეს,
მანადგურებდეს.

რა ოხრად მინდა,
ლექსის მადნებად
ვზიდო გრძნობები,
როგორც მირონი,
თუკი კვლავ მხრებზე არ დამადნება
მთაწმინდის ღამე
და საფირონი.

რა ვქნა,
არ დამრჩე უკმაყოფილო,
ჩემო ქვეყანავ,
ვიყავ გულღია.
თურმე ჩემი გზა ასე ყოფილა
და ის ნაღველიც ქარს წაუღია.

აღარც ბიჭები ფეხშიშველები,
აღარც ხბორები,
აღარც თოლია...
მოვიდა გმირი რკინის ხელებით
და თავის გზაზე გამიყოლია.

1928

მოგონება

ა—ნამგალს ჰგავდა, ბ—ვერცხლის სურას,
თაროზე მაღლა აწვდილი ყელით,
წიგნში პირველად ვეძებდი სურათს
და მაწვალებდა სტრიქონი გრძელი.

ხშირად გავყვები ცთუნების ბურანს,
თითქო მეორე ბავშვობას ველი.

აი, იქა ვარ, არაგვის პირას,
ვაჟას ეზოში შევდივარ ჩანთით.
ვინ იცის, მე იმ შორეულ დილას,
თათებზე შემდგარ ბელივით ვჩანდი,
შევაღე კარი და თოფის რკინას
დუმით პოხავდა ცალთვალა ლანდი.

ძირს — ირმის ტყავი, კედელზე — ხმალი,
რქებზე ელვარე ფშავური შიბნი,
სამფეხა სკამზე ძველი და მკრთალი
იწვა ზონარზე გახსნილი წიგნი;
უეცრად სურათს შევასწარ თვალი:
ვეფხვი და ლომი კვდებოდნენ შიგნით.

იწვნენ და რაღაც უნდოდათ ეთქვათ,
გმინვით მიწვდიდნენ დაცვეთილ ბწკალებს;
წაკითხვა ვცადე და გულის ფეთქვა
გაჰყვა ისრებად გასროლილ ბწკარებს,
პირველი ასო ქაჯივით მედგა
და არ მიღებდა სტრიქონის კარებს.

მობრუნდა ვაჟა და გმირის მტკავლით
გამითბო მხრები, თოვლში ნატარი.
ბუხარში წითლად ღუოდა ნავლი
და ცეცხლს ეფარა ლომის ფაფარი,
გაფენილ ტყავზე ვისხედით სამნი:
ვაჟა ფშაველა, მე და ზღაპარი.

დიდხანს ვუსმენდი შუბების ლესვას,
დიდხანს დნებოდა ბუხარში ძელი,
შვიდასი წლის წინ გახსნილი — დღესაც
გმირის ჭრილობა არ იყო ძველი.
ტარიელის და ნესტანის კვნესას
ბავშვის გულშიაც ხატავდა ბრძენი.

ვფურცლავდით წიგნს და თვითეულ სტრიქონს
შუქის კანკალით მისდევდა კვარი,

შიშით ვუცქერდი — მეგონა თვითონ
ვაჟას მიჰყავდა ქაჯეთზე ჯარი.
ხმალი შემოჰკრა სტრიქონის ლითონს
და უცებ შეხსნა ნესტანის კარი.

რა დაემართა... დააგდო წიგნი,
ერთად დახუჭა ორივე თვალი...
რქებზე წკარუნით ჩამოწყდნენ შიბნი
და ბუხრის თავზე შეირხა ხმალი.
გვიან წამოდგა და მკერდზე — შიგნით
თუნგით ისხურა არაგვის წყალი.

1937

მყინვარეგში შეხვედრა

შარშან მთაში შეეფეთა აფთარს,
ცხრა თვეს დარდი ღრუბელივით ზიდა —
და სწყევლიდა იმ უბედურ ზამთარს,
ნადირი რომ წაუვიდა გზიდან.

ახლაც მთაში არ ეშვება საფარს,
ყინულში სხამს წრიაპების ფოცხებს.
ელის: სადმე თვალს შეასწრებს ფაფარს,
მთვარეზე რომ გაეშლება ფოცხვერს.

და უეცრად თვალი მოჰკრა ხრამში,
თოფის ქუხილს ზარი მისცეს მთებმა,
ფოცხვერს, ტყვიამოკიდებულს მხარში,
არ აშინებს მონადირის შებმა.

მთვარისა და თოვლის შუქი ყოფნის
მყინვარებში ორი ვაჟის ბრძოლას...
და ნადირის ჭრილობაში თოფის
გაგლეჯილი ნაძონძარი ბოლავს.

1988

წყევლა ჯიხვისა

ჯიხვს მონადირემ აუღო გეში
და გზა მოუჭრა უვალ ბექიდან,
ჯიხვი შეფრთხა და შევარდა კლდეში,
მაგრამ იჭექა
და ვაცის ლეში
გალესილ კლდეზე გადმოეკიდა.

ძირს ჭიუხები იყო ლიხისა,
ლიხში ტიროდა დედა ჯიხვისა:

— „შენს მონადირეს წინ ზვავი ეწვეს,
უკან ზრიალი მოსდევდეს ლოდის,
მუხლში სცემდეს და წრიაპებს ლეწდეს,
ძირს უფსკრულები უშლიდნენ ლოგინს“.

1988

ღამე ტყეში

დაღამდა და ცაში უკუღმა
მისცურავს ღრუბელი დამწვარი,
ცალთვალა დევივით მოზიდა უკუნმა
და ტყეში ჩაყარა ნისლი და ნაცარი.

მოზიდა ჩრდილები და შავი ფესვები,
დახატულ აქლემებს შეუდგა ფეხებად,
ჩვენ გველის ბილიკზე ვეშვებით
და ღამის ბეწვები გვეხება.

ხეები დგანან და ტიტველი მუხლებით
პირღია კლდეებზე ჰკიდიან,
დგანან და მიდიან მოხუცი მუხები,
ბებერი მგლებივით მიდიან.
ტყეს იქით ღამეა, ტყეს იქით ტყე არი
და ღამე უტყვი და მშვიდია.

გავშალოთ ნაბდები, ქვეყანა დიდია,
დიდება მტრედისფერ განთიადს.

დიდება ზეცაში რამდენიც ჩიტია,
რამდენი ვარსკვლავიც ანთია.

დიდება რამდენიც უყივის არწივი
ბუნების გულსა და სიკეთეს,
დადგება ბეღურა პატარა კაცივით
და ტოტზე ბუმბულის სასახლეს იკეთებს.

დადგება ტოროლა და, როგორც მეკარე,
ყოველდღე შეაღებს ალიონს,
რომ ბალახს შეახოს ნისკარტის ეკალი
და ცვარი პირველმა დალიოს.

მოვიდეს მნათობი, ცას ღამის ნახშირი,
ცას შავი სარქველი ახადოს
და როგორც მხატვარმა
სურათი წაშლილი,
ქვეყანა მეორედ დახატოს.

1937

ოქტომბრის თაობას

აჰა, ეს ჩემი ცხოვრების წიგნი
და შემოსული ბაღში ზაფხული,
ჩავხედავ სარკეს და თვალებს შიგნით
ძველი სევდაა გამოსახული.

მივაშტერდები როგორც არწივი,
მაგრამ უმალვე შევუშინდები.
დგას და შორიდან უცნობ კაცივით
მიცქერს და მსინჯავს დღე გუშინდელი.

როგორ წასულა, რამდენი უთქვამს
და ვთვლი საათებს, წამებს, ნაწილებს...
რამდენი ოხვრა ამოაქვს სუნთქვას,
როცა ვიგონებ ჩემს სიყმაწვილეს!

სად არ მივლია, რა ცეცხლი მწვავდა,
მოხეტიალე ლამანჩელ რაინდს,
მაგრამ ჭიდილში საკუთარ თავთან —
ქარის წისქვილებს ვაჯობე მაინც.

ამოვიდაღე მკერდიდან ხორცი
და შევინახე წმიდა რაც არი.
ორმოცი წლიდან — პირველი ოცი
ქარს წაუღია როგორც ნაცარი...

და შენს თაობას როდესაც ვხედავ,
ფარული სევდა გულს აღარ ჩრდილავს,
გიცქერ და ვფიქრობ: შენსავით ნეტავ
მეც ვშობილიყავ ოქტომბრის დილას.

შენებრ მახსოვდეს შენგრეულ ჭერში
კვნესით შებმული ტყვია და ქარი
და დედის ჩრდილი შაშხანით ხელში
ჩემს ატირებულ აკვანთან მდგარი.

გარეთ ნამქერის გაშლილი კალთა,
თეთრი და ცივი შრიალი შინაც
და მკერდდაჭრილი რაზმელი კართან,
შეფარებული შემთხვეულ ბინას...

შენ იმ დღიდანვე ცრემლები დედის
სადღაც წაიღე პატარა კაცმა,
შეახე ხელი და აკვნის ღვედი
გასინჯე, როგორც შაშხანის თასმა.

ის ცრემლი იყო — ჩააგდე ზღვაში,
ზღვამ ვეღარ ზიდა ცვარი პაწია:
ადგა ტალღები კლდეების ყდაში
და ნაპირები განზე გასწია.

ის ცრემლი იყო — ქვეყნის თავიდან
როგორც შუქურა, ცაში რომ მოჩანს, —
იქნა ვარსკვლავად, კრემლზე ავიდა
და დაეკიდა ოქტომბრის დროშას.

შენ ამ დროშასთან როგორც კედელი,
დგახარ ბავშვობის დღიდან მისული,
ხან სიმღერების ოქრომჭედელი,
ხან მეომარი თავშეფიცული.

დგახარ და, სადაც მარჯვენას დარგავ,
მზე თავის მადანს ამოალაგებს
და ხელმეორედ მიწაზე ქარგავ
უდაბნოებში წაშლილ ქალაქებს.

აღებ ქვესკნელებს, ამოგაქვს ზღვები,
მდინარეები აჰყარე ქვიშას
და შეგცქერიან ბებერი მთები,
თითქოს ელიან დამხობის ნიშანს.

თითქოს მინდვრებზე მწყობრი ნადურით
ხნულებს კი არა — აწყობ სტრიქონებს
და წერ კედლებით, რკინით, აგურით
ახალი ქვეყნის ქორონიკონებს.

და მოაბიჯებ ოცი წლისთავზე
რკინაჩასხმული მუხლით და მკერდით,
შემხედავ გზაში ღიმილით სავსე —
და მეც ძმასავით გიდგავარ გვერდით.

ორმოცი წლის ვარ, ვერ მნახავ მოხრილს,
თუნდა ორმოცი დაბრუნდეს ორჯერ,
ის ოცი წელი — უგულო ოხვრის,
ფოთლებჩამოყრილ ტოტივით მოვჭერ.

ნე მისი ჯავრი არ გამყოლია,
არც შემპარვია ჭაღარა თმაში,
ზოგჯერ მგონია, შენი ტოლი ვარ,
ზოგჯერ — მეორედ მოსული ბავშვი.

მგონია ერთად ასი ზღვა შფოთავს
და მკერდს ხმაურით მხდიან ლექსები,
როდესაც კრემლზე აღმართულ დროშას
ბედნიერ თვალით ვეალერსები.

და შენი სახეც მზით იმოსება —
მიგაქვს საქვეყნო შესაფიცარი:
რომ ჩვენი გული, ნატვრა, ოცნება,
ჩვენი სიცოცხლე მხოლოდ ის არის.

1937

ანდრია სინაური

მოდი, ჩიტუნავ...

შემოფრთქიალდი შენი ამალით,
ხედავ? ღია მაქვს სახლის კარები.
რამ დაგაშინა, იყავ თამამი,
კიბეზე საკენკს ნუ ეპარები.
ეგებ გაოცებს, დღისით რად ვწევარ,
შენსავით ცის ქვეშ ფრთას რატომ არ ვშლი,
რა გითხრა, ჩემო, დრო იყო, მწევარს
მუხლის გამართვით ვუსწრებდი ქარშიც...
თუმცა ამაზე ბაასი არ ღირს,
გაფრენილს, კარგო, ვერ დავეწევი...
მაღლა აიწევს ამ სახლის თაღი,
თუ დღეს სასურველ სტუმრად მეწვევი.
მოდი, ჩიტუნავ, იყავ გამგონე,
მე არას გავნებ, გულით ვარ შენი.
შემოფრთქიალდი, ნუღა აყოვნებ,
მიამბე რამე ჭიკჭიკა ენით.
მიამბე, თუ სად დაიდგი ფაცხა,
შვილები თუ გყავს და როგორ უვლი.
ამჯერად მინდა, წიგნების ნაცვლად
მესიტყვებოდეს ცოცხალი გული.

1958

საუვედური

სადა ხარ, შვილო? აბა როგორ არ გიდარდო,
მამის გულმა აბა როგორ დაისვენოს,
შენი აკვნის გადამრწევი კარ-მიდამო
აღარ გინდა გაიხსენო?

დედა მაინც რად არ გახსოვს? ლამის ჩაქრეს,
ცეცხლში დგომის სატანჯველი რად არგუნე?!
დღეში ასჯერ თვალთ დაიდენს იმდენ ჩანჩქერს,
წისქვილის ქვას ააბრუნებს.

დაცოლშვილდნენ შენი კბილა ვაჟები და
დაქმარშვილდნენ შენი დროის გოგონებიც
შენ რას ფიქრობ? ჩვენ კი მუდამ ვიზაფრებით
ამ ამბავის მოგონებით.

ჩვენც გვინდოდა შვილიშვილთა შორის მღერა,
ზღაპრების თქმა... მოვესწრებით? არვინ იცის!..
ამ ტიალ გულს ზღვა არ ჰქვია, მაინც ღელავს,
ზღვა თუ არის, რატომ იწვის?!

სად ხარ, შვილო? მოთმინება გამიფრინდა,
ზღვა სურვილი მახრჩობს, ყელზე მოგეხვიო,
ხატი არ მწამს და როგორც ხატს მაინც მინდა,
ნათელ შუბლზე რომ გემთხვიო.

1951



ნიკოლო მიწიშვილი

ათი წელი

1

ამხანაგებო, ორივე მხრიდან
ამ წლების ტალღა მისრესდა გვერდებს:
მარჯვნივ — წარსული ნაცარს მაყრიდა,
მარცხნივ — ახალი მინგრევდა ღმერთებს.

ორ ბანაკს შუა შევიქენ მდგომი —
სიმართლე ჩანდა იქაც და აქაც.
განცალკავებულს მჯიჯგნიდა ომი,
მზე, გამარჯვება და შავი ლაქაც.

სჭირდა ძველისთვის უარი მეთქვა
და გამეგუდა წარსულის ჰანგი,
მომეკლა გულის ჩვეული ფეთქვა
და გულში მწველი ჩამესხა ჟანგი.

დროება კი ცდას არ აპირებდა
და საუკუნის ახალი ძალა
სრესდა შუაკაცს, ანაპირებდა,
რომ ბრძოლისათვის გზა დაეცალა.

ვხედავდი: ნისლად ცას ეკვრებოდა
ძველი ოცნებით შექმნილი არე:
„ერი“, „სამშობლო“, „სახელმწიფო“
სადღაც ქრებოდა, —
მიმკვიდრდებოდა სიცოცხლე-მწარე.

ასე ვფიქრობდი და ეს ტკივილი
ვერ ამოვდენე გულიდან ყელში,
დავბარბაცებდი თავმოჭრილივით
მერყეობაში და განსაცდელში.

ამ განცხადების მე არ მრცხვენია,
(თუმც საამაყო აქ ცოტა არი),
მაგრამ წუთიც არ დამისვენია,
რაც შემოვაღე საბჭოთა კარი.

2.

ძველი ოცნება დუღილში დაშრა
და მესამე გზის გაქრა იმედი,
ბრძოლა ბრძოლითვე მებრძოლმა გასჭრა,
საუკუნემდის გასჩეხა ბედი —
და დაამტკიცა, რომ ქვეყნისათვის
არ არსებულა ორი გზის მეტი.

3

მე ავირჩიე ერთი გზა — თქვენთან,
მშრომელის გეზი — მშრომელმა კაცმა,
ვერ დამაყვედრით — „ეს მოიღვენთა,
მან მოინდომა სხვა ქურქის ჩაცმა“.

მე თქვენთანა ვარ ამ დიდ შარაზე,
როგორც პოეტი და მოქალაქე,
როგორც მესტამბე, როგორც ხარაზი,
როგორც მუშა და როგორც დალაქი —

რომ დედამიწა შებრუნდეს მზისკენ,
და არ შესჭამოს პატარა დიდმა,
სოციალიზმის მეწამულ გზისკენ
გადაგვატაროს ლენინის ხიდმა.

1931

გემი „აფხაზეთი“

შორი ნაპირი ზღვას ეფარება
და ნელა ქრება მთვლემარე ნისლში.
თითქო მსროლელი იხვს ეპარება
პალიასტომის ქოჩორა ისლში.
გაქრა ბათუმის დამტკბარი უბე
და თეძოები ფეხმძიმე გემთა,
მზემაც დახუჭა დაღლილი უპე
მოვარაყებულ აჭარის თხემთან.
და ზღვაზე მხოლოდ გემი — ლითონი
ჰორიზონტების ასუსტებს ალყას,
ალყას, რომელსაც პოსეიდონი
ულვაშის გრეხით აშველებს ტალღას.
რომ უფსკრულებთან კაცის კამათი
და რკინის კვნესა ჩატარდეს უქმად,
რადგან ხომალდი ზღვების თავადმა
სცნო — მარილწყალში ჩადებულ ლუკმად.
უკანასკნელად შეჰკივლა ქარმა
და სამშვიდობო გზები დაჰკეტა...
„ნუ სწუხთო, — მუშამ ანძასთან მდგარმა
თქვა ლენინგრადში, — ჩვენ ავაგეთო“.

1939

* * *

არის სიტყვები, ადგილები, არის ჰანგები,
ერთი ხილვით რომ ბავშვობითვე გულში რჩებიან,
ერთხელ პოვნილი — ეგ სიმდიდრე არ იფლანგება.
ეგ ხმები სიკვდილს ყოველ წუთში ეურჩებიან,
აღინთებიან, არ სჭკნებიან, არ დასცხრებიან
და, როცა ვკვდებით, მხოლოდ მაშინ ერთხელ კვდებიან.

ასეა — როცა ბავშვობაში გაგლახავს უცხო;
ასეა — ცოტნე დადიანის ლეგენდა ძველი;
ასე მასსოვხარ, ჩემი ქვეყნის დამწველო სუსხო,
როცა სამშობლოს მკერდჩანგრეულს არ ჰყავდა მცველი.

და ეს შენობაც ამ ქალაქის გულში ჩადგმული,
ეს — ქილებივით ჩაწყობილი თეთრი სვეტები,
შურისძიების ნატვრად იყო გულში ჩათქმული —
ამპირის სტილზე ნაშენები სისხლის წვეთები.

მთავარი შტაბი... ბასტილია კავკასის ერთა...
რკინის კლანჭებით დაკაწრული სახე ქართული,
გლადიატორის შებღავლება, ყიჟინი მტერთა
და საქართველო, ცეზარების წინ გაშხლართული.

მაგრამ იცოდი: არ მოკვდები, ცოცხალს მიგელის
უკვდავი გული ამბოხებულ ულენშპიგელის.
გაქრა ის დროცა... ჩამოინგრა ყორანთა ბუდე,
გაიღო კარი, როგორც გული ალალმართალი,
და გადმოადგა აღდგენილი ქალაქის ზღუდეს
წითელდროშოვან არწივების მთავარსარდალი.

ამაღლდი, ხმაო, აჟღარუნდი, ლექსო ფოლადის,
ხანჯლის პირივით გაიელვე ლექსთა წყებაში
და, თუ ვერ გახდი იმ ბრწყინვალე სიტყვის ტოლადი, —
შენს რაინდს ძმურად უპატრონე დამარცხებაში.

რომ ეს სიმღერა საუკუნემ გადასცეს ჯილდოდ
გიგანტთა გზაზე ჩამწკრივებულ ვაჟკაცთა მოდგმას,
რომ კაჟის გული ოქტომბერის ბედნიერ შვხლთა
შეიბრალებდეს ჩაკირული ზურაბის მოთქმას.

1934

ლადო კეცხოველი

ის ლექსი, რომლის მხოლოდ ჩრდილი აქ ისახება,
უნდა ბრწყინავდეს, როგორც ბროლი შოთას შაირის.
შიგ უნდა ჟღერდეს ბერძნულ ჰიმნთა შემოძახება
და იღვრებოდეს სურნელება ჩვენი ჰაერის.

მაგრამ თუ მაინც ღამეებში ვთვლიდი სტრიქონებს,
კრემლის ვარსკვლავზე მოელვარე სუფთა ქვებივით,
ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტი მგლის ლეკვებივით
გამოზრდის რითმას და პოეტი კვლავ მოგიგონებს.

მოგიგონებს და სიყვარულის უშრეტელ ღაღადს
ხალხში გადიტანს შენი გულის სასიმღეროთი.
და იგი ჰანგი გრანიტზედაც დარჩება დაღად,
თუმც, შეიძლება, დაიწეროს ისლის ღეროთი.

ასე აღსდგება კალენდარში მთვლემარე დილა,
ერთხელ მეტეხს რომ გადმოსძახა — მეც მოველიო,
როცა გავარდა, როცა თოფმა გამართა ჩრდილი
და მიწას მოხვდა: მოჰკლეს ლადო კეცხოველიო.

ასე გათავდა. გატენილი ციხის გოდორი
გადაგეფარა და მოგთხარეს ნორჩი ნერგივით,
დაუცხრომელი, „ბელგიელი დე-ტეოდორი“
პირველი „ბრძოლა“ რომ დასტამბე გუტენბერგივით.

მაგრამ, როდესაც კეცხოველის ვიწრო ქუჩიდან
დღეს მოედანზე რესპუბლიკა შესდგა ვეება,
მე ვნახე გული, იმ დილით რომ ტყვიას შეება —
შენი ქვეყანა, შენი ხალხი, ვისაც უჭირდა,
ვისთვისაც იქცა შენი სისხლი შრომადღეებად.

და მეც, პოეტმა, დღეს უბრალოდ გამოგელექსე
მართალი სიტყვა და ბრძოლაში წამოგაშველე:
ძველი ამბავი იმ საფლავად ქცეულ დილეგზე,
სადაც გეჭირა „ლექსნი, თქმულნი ბარათაშვილის“.

და ლექსი მღერის: დედასავით საფლავზე მდგარმა
შენ უკვდავება ჩაგატირა სამშობლოს კარმა,
და შენი სისხლით შეღებილი უბრალო ნარმა
დროშად წაიღო გამარჯვებულ სამშობლოს ჯარმა.

1965

ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი

შემახის გზაზე ვიღაც შავმა, შავნაბდიანმა,
შუაღამისას დასძრა შავი ყარაბახული;
და თბილისამდე ბედაურმა ორბის ფრთიანმა
გასცვითა ნალი ამ დღისათვის შემონახული.

არც ღამე იყო, მაგრამ თითქოს არც თენდებოდა,
როცა მხედარმა სასახლეზე მოაგდო ცხენი
და უმალ, თუმცა ფეხზე დგომა უძნელდებოდა,
კნიაზ ნამესტნიკს წარუდგინა ხურჯინით ძღვენი.

გადასცა წიგნი, შეისწორა ხანჯალი ბასრი,
დასწვდა ამანათს — მოარიდა ლაპარაკს ყური,
მან ამოიღო გაფერილი სპილენძის კასრი.
შემდეგ წამოდგა და ასეთი ახსნა სურათი:
„მოჭრილი თავი მოგართვითო, ჰაჯი მურატის“.

ღია ფანჯრიდან ქარმა შუქი დააბარბაცა,
ბაღში აპრილის გაისუდრა ტკბილი ტაროსი.
და მოკლე ფრაზამ, ინგლისურმა, გასჭრა დარბაზი:
„ჭკუამ დაღუპა ეგ ბარბაროსი“.

შემდეგ წაიღეს პრისტავებით, მარშით, ურათი,
ვითომ დღე იყო მიღწევების ამომწურავი,
და მოედანზე დადგეს თავი ჰაჯი მურატის —
სისხლში, სპირტში და ლეკერტიან ცრემლში მცურავი.

მაგრამ ჯიუტი ნასროლ ტყვიას აქაც ითვლიდა,
იქ, ნუხის ტყეში, ხმალს იქნევდა მკვდარი სხეული.
პეტერბურგისკენ ფელდეგერი ცხენებს იცვლიდა,
მიჰქროდა სისხლი, დაღესტნიდან გადმონთხეული.

ამ სისხლისათვის ცრემლს შამილი არ იმეტებდა:
გამყიდველმაო ღირსეული ჰპოვა ნათესი,
და ვორონცოვიც, სხვას რომ წინათ აიმედებდა,
ასე ფიქრობდა: სისხლიაო მოღალატესი.

მაშ ვინ იყავი?.. რა იყავი? მაშ, რაღა გქვიან,
აქაც და იქაც დაღუპულო, მოჭრილო თავო,
ხუნძახელ ჰამლეტს რად გინდოდა, რომ გაჩნდი გვიან
გაორებული, უფსკრულებში ჩაშლილო მთაო.

აქედან ვხედავ, ამბობს იგი. ბრძოდე, იწვოდე,
გაგსრისოს, დეე, ჭრილობებმა სისხლიან ფარცხით,
მაგრამ, თუ იბრძვი — სამუდამოდ უნდა იცოდე:
გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით.

1985

რაჟდენ გვეტაძე

ბავშვობა

ღამემ ფიქრები მოკრიბა,
დამჭკნარ ვარდებად ნაფენი.
ჩემი სოფელი ოკრიბა,
ბავშვობა, მზეში ნარბენი.

ღრუბლებში მთვარე ახალი,
ვერცხლის ნალივით პატარა,
ძღვენით მოვიდა მძახალი
და ცხენით დიდხანს მატარა.

კვირას ქორწილით მთელ სოფელს
ახარებს ჩვენი კერია.
და ქალამანი მეზობელს
რა კარგად შეუკერია...

რძალს მოჰყვა ბევრი ამალა,
ლებები დაულამბავი...
შემდეგ ცრემლებმა დამალა
ჩემი ბავშვობის ამბავი.

1922

ია მოსულა!

ვაი, შვილებო, ია მოსულა!
მოფრინდებიან მალე მერცხლებიც
და ცა ყოველღამ მოივერცხლება,
ისევ დაცვივა მზეს ნაკვერცხლები.

ვაი, შვილებო, ია მოსულა!
მაგრამ ეს გული რამ გაახაროს;
ჰგავს ჩვენი ბინა ახლა მაღაროს.
ნეტავი მიწა მეც დამაყარონ.

ვაი, შვილებო, ია მოსულა!
გამოუღიათ ხეებს კვირტები...
რომ მნახოს, მტერსაც გაუკვირდება,
როცა თქვენს ნაქონ ნივთს ვაკვირდები.

ვაი, შვილებო, ია მოსულა!
მაგრამ უთქვენოდ უნდა გახუნდეს!
ვერც მოეხვევით ფეხზე ხუნდებად
აწი ქვიშხეთში სიმონ ხუნდაძეს.

ვაიმე, ზაზა, ია მოსულა! —
შენ ვერ ჩაიცვამ წელს ახალ ჩითებს,
ვერც დაუხატავ ასმათს ჭრელ ჩიტებს,
ვეღარც სიმონი ხბოს დაგაჭიდებს.

ვაი, შვილებო, ია მოსულა!
თქვენი ტოლები ყველა აქ არი
და ირგვლივ ისმის ნაამაგარი
პიონერების ხმები მაგარი.

ვაი, შვილებო, ია მოსულა!
ია უთქვენოდ უნდა გახუნდეს!
ვერც მოეხვევით ფეხზე ხუნდებად
აწი ქვიშხეთში სიმონ ხუნდაძეს.

1934

ჩოჩორი

პარასკევს ყაფანზე გაყიდეს ჩოჩორი,
ატირდა საბრალო თაფლისფერ თვალებით.
ახალმა პატრონმა მოპარსა ქოჩორი
და თოთო ტერფებზე დააკრა ნალები.
ბავშვებმა ბეღელქვეშ ანახეს საწოლი,
კოცნიან, ახრჩობენ რძიანი ბალახით.
ორშაბათს ხურჯინით აჰკიდეს მაწონი:
პატარა ფეხები ეტკინა ტალახით.

ქალაქში უცინის ძველების მკერავი,
ნაცნობებს შეხვდება, უეცრად ქრებიან.
სურს დედის ალერსი, ვერ ხედავს ვერავის,
მხოლოდ ხარს უცქერის საყანწე რქებიანს.
სოფლისკენ გაბრუნდნენ დაღლილი ვირები,
ჩოჩორიც მიჰყვება ბედს გადანაბირებს.
ამბობენ: ბაზარში არ იყო სიძვირე,
ღამდება და ქარი ამოსვლას აპირებს.

1922

წვიმიან დღეს

ისე წვიმს, თითქოს გურამი ტირის...
რა ტკბილი არის დღეს ყალიონი!
„გვეტაძის ბინა!“ — ვიღაცა ჰყვირის, —
კარებს მოადგა ფოსტალიონი.
ტყვესავით ვფიქრობ: ვის გავახსენდი,
ვიღაცა არის, მოცლია, ალბათ.
მაგრამ წერილი როცა გავხსენი,
ცრემლების თქეშით ქაღალდი დალბა.
სახლიდან მწერენ: რად დაგვივიწყე,
შენს მოლოდინში დაგვწყდა გულები...
და ჩაქოლილი სინანულს ვიწყებ:
ამხმარა ჩემი ვაშლის რგულები.

ძლივს ვარჩევ სიტყვებს ნაღველში ნაბანს:
თურმე დედაჩემს წამლობს მკითხავი;
შარშან ბავშვივით სწავლობდა ანბანს,
ჩემი ლექსები რომ წაეკითხა.
ახლა თვალებზე ბინდი აკვრია
და მამაჩემი მწერს დანანებით:
„წელს ციებამაც ხელი დაგვრია,
მოუწეველი გვრჩება ყანები.
მოგვხედე, ბიჭო, რას გვემართლები,
ჩვენს მეტმა ყველამ სახლი აიგო...
მეტი რა გითხრა, ჰო, შვილო, მართლა,
ნათლიამ შენი ჭირი წაიღო.

ხალხმა მოთავედ ამომირჩია,
მაგრამ შინ ვზივარ, ძროხა გვყავს მაკეთ...
თუ დედაშენიც მალე მომირჩა,
იქნება მაშინ გეწვიო მაქეთ.
მაგრამ სანამდე ვნახავთ ერთმანეთს,
ნუ გეწყინება — თუკი წერ ვირზე —
ჩვენც გვიპასუხე, თორემ, ღმერთმანი,
სხვას მივცემ მამულს ან ავჭრი ძირზე“...
ისევ წვიმს, ელვა ბზარავს ცის კიდეს,
წერილმა გული გამინადგურა,
ასე მგონია, დავბერდი კიდეც
და უკვე აღარ ვახსოვარ გურამს...

1936

სიმღერა შალამბერიძეზე

არ მინახავხარ, ვაჟკაცო,
ეგაა ჩემი წუხილი,
მაგრამ მომესმა, ვიცანი
მაგ შენი თოფის ქუხილი.

მომესმა შენი გულის ხმა,
დაბადებულო მამაცად;
გიგონებ როგორც ახლობელს,
თითქოს ვარ შენი მამაცა.

მანდ ჩემი შვილიც ომშია,
იქნება, შენთან იარა,
იქნება, მძიმედ დაკოდილს
მან შეგიხვია იარა.

როცა უეცრად დაეცი
ფიცხელ ბრძოლაში გართული,
ალბათ, მალამოდ მოგეცხო
მისგან ნათქვამი ქართული.

გინდოდა, ისევ გჭეროდა
სტალინის დროშა გაშლილი,
გინდოდა, თვითონ გენახა
მტრები მახვილით წაშლილი.

მაგრამ სიკვდილმა დაგძლია,
მჩქეფარე სისხლით ნამული...
გჯეროდეს, რომ გაიმარჯვებს
ბრძოლაში ჩვენი მამული.

და მზე ვიდრემდის ანათებს,
მანამდე შენი სახელი
მარად, ყოველთვის იქნება
გმირობის გამომსახველი.

1942

მერკვილაძის დეგი

ამოვიდა კვარით
მთვარე ზემო მხრიდან,
მოიქარგა მტკვარი...
ქარი კვლავ ხეს ხრიდა, —
ქუჩა ჰგავდა მტარვალს...
მომენატრა კერა,
როცა ხამის შარვალს
დედა მიკერავდა,
როცა თბილ ბუმბულში
ჩამაწვენდა კოცნით,
ვინახავდი გულში
სიზმრად ნახულ კოცონს,

და მეგონა მაშინ
მთვარე ვერცხლის თეფში.
შორით მაშინებდნენ
დათოვლილი მთები,
როგორც თეთრ ნაბდებში
მერკვილაძის დები.

*

ბახარებდა ადრე
ბავშვს ხალათი ჩითის.
მზეში მობინადრეს
გული მქონდა ჩიტის,
და მერჩია შაქარს
ცივი მჭადი პრასით.
თმა მიგავდა ჯაგარს, —
ახლად მონაპარსი.
ვკითხულობდი კიდეც
არსენაზე წიგნებს
და ვენახის კიდეს
ვაძოვებდი თიკნებს.
მაგრამ, როს ჩაფრენებმა
მკლავი ბევრს გაუხმეს,
ფშანში კვლავ ჩაფრენილს
ქვებს ვესროდი ყანჩას
და ვნატრობდი უხმოდ —
ულვაშებს და ხანჯალს.

*

ცალი ხარი გვყავდა,
სულ ლოკავდა მარილს.
ნამდვილ აქლემს ჰგავდა
ჩრდილი ძველი მარნის.
ჩრდილში იწვა ძაღლი,
კუდმიჭრილი, რუხი.
გვერდით ეჯდა, დაღლილს,
წიწილებით კრუხი.
სადღაც, მაღალ მთებთან,
ქორი ჩიტს მისდევდა...
სტუმრად მოსულ დებთან
ხის ქვეშ იდგა დედა;
საუბრობდნენ ნელა,
წვავდათ მზის თაკარა.
ნაზ დებს საკოცნელად
ვერვინ მიმაკარა.
ვუცქეროდი შორით
მათ ღიმილს და იერს,
როგორც მტრედი ორი
უსხდნენ დედას ხნიერს.
ტანი ჰქონდათ ალვის,
ხორბლისფერი სახე.
იგონებდნენ კრძალვით
ლექსებს მათ შესახებ
და მღეროდნენ მერე
ამ შაირებს სოფლად,
ბევრმა მოსიმღერემ
ბოლოს დაუნდობლად
მათი ტრფობით გული
გრიგალს გაატანა,
ბევრს კი კვლავ ჩონგური
ჰქონდა დების ტანად.

*

ასე მიდიოდა
დღეები და წელი,
იდგა ჩვენი ოდა —
უყავრო და ძველი,
და ეკიდა ბურჯად
ცხენის თავი მარგილს,
ბიბინებდა ლურჯად
ყანა განამარგლი.
იღვრებოდა ოფლი
სოფლად, მთის არეზე,
როგორც ცრემლი ობლის
დედის სამარეზე.
სხვები ფლობდნენ ურმებს,
სავსეს ბარაქათი,

მაგრამ, როცა თურმე
გაწყდა არაქათი
და ხალხს, ჯვარზე ნაცვამს,
შოერია ცოფი,
დებმა ბავშვის ნაცვლად
დაიკავეს თოფი.
გაჰყვნენ ძმის კვალს ურჩად
და ბილიკებს ტყიანს.
ვერვინ გადაურჩა
მათ გასროლილ ტყვიას.
ყინავს. შორს ვარსკვლავი
ცას ვაშლივით წყდება.
ვერაგ მტრის მკლავებით
ქარი მთებს აწყდება.
მოჩანს ცა უნდობლად
მოგებული ჭიქით.
ძაღლი ყმუის ობლად
სადღაც, ხევის იქით.
და მიჰყვება ცალფად
კვამლი ღობეს, ეზოს,
ვინმე დაღვრის, ალბათ,
ცრემლებს უმიზეზოს.

*

ოდნავ ჩადგა ქარი,
ისევ ძინავს სოფელს,
უცებ ჩვენს მეზობელს
შეუმტვრიეს კარი
და გავარდა ტყვია,
გაჩნდა მეხის ალი:
ჩაფრებს შეუტყვიათ
მერკვილაძის კვალი,
ებრძვის მუხანათებს
რაზმი მხნე და მალი.
მთვარე ძლივს ანათებს,
ღრუბლით დანამალი,
მარტო დები ქოხში
ჩაესაფრნენ ჩაფრებს
და ტყვიების კოხში
ქსოვენ ცეცხლის აფრებს.
მაგრამ მტრების ურდოს
გზები სურს დაბურდოს,
რომ შებოჭოს რაზმი,
უცხოდ მონაკაზმი...

*

ჩადგა შიში გულში, —
და დაესო დანა
მძაფრად აფრასიონს.
(თითქოს მოხდა გუშინ, —
ასე დანათოდა
მთვარე კავკასიონს):
მოჰკლეს ზვარაკივით.
ხმები საარაკო
გაცდა სოფლის კიდეს
და როს წაუკიდეს
ცეცხლი მტერ-მოყვარეს,
დებმა გადმოღვარეს
ცრემლი, ვით სპეკალი...
ვინ აჯობა რაინდს?! —
ბავშვს ვერ გამერკვია,
მაგრამ მსურდა მაინც:
ვინმეს მოვეკალი,
როგორც მერკვილაძე.

1926

ტერენტი გრანელი

სულის ცეცხლი

შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი,
ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი.
ბნელ შუაღამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე,
ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი.
სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა,
დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი.
ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა,
კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი.
ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები,
და შორეული რაინდების უმწეო შფოთი...
სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების
და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი.

1921

სიცოცხლის გრადაცია

წითელი მზე აელვარდა მინებთან,
მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე,
უიმედო გულის ძგერა მინელდა,
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!

გამიარა ჟრუანტელის ალმა,
სადღაც ქარი გადაფრინდა ნაპირზე,
გული მიდის, არ ვიქნები ალბათ,
მწუხარეა ჩემი მკრთალი ნაბიჯი.

ჩაესვენა სურვილების გროვა,
როგორც შორი მირაჟების სერია.
ახლა უფრო დაფიქრების დროა,
ჩადენილი შეცდომები ბევრია.

ჩემი სახე რომ ყვითლდება ვხედავ,
შორეული ყვავილებიც ხმებიან.
სამარისკენ აცილებენ ცხედარს
და მუსიკის მგლოვიარე ხმებია.

ო, ეს გული, ისევ გული მტკივა.
სიჩუმეა უსიცოცხლო ველების;
რანაირი ნაწამები მივალ,
მიმაქვს ჩემი დაკრეფილი ხელები.

წითელი მზე აელვარდა მინებთან,
მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე,
უიმედო გულის ძგერა მინელდა,
შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!..

1922

* * *

მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
ღამე მომიახლოვდა შავი და საშინელი.
სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან
და მოვა მწუხარება — ჩემი ლურჯი ფრინველი.

ეს გუგუნი მუსიკის, როცა მე მიხარია,
თან ტირილი მინდება და მკლავებზე ტრაური.
ჩემი მოპირდაპირე უხილავი ქარია,
და თავლებში გაისმის ღამეების ხმაური.

მე ყოველთვის ასე ვარ და არავინ არ იცის,
ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი.
მე ისევ მენატრება სურნელება მაისის
და ზაფხულის დღეები ტკბილი მოსაგონარი.

ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები,
(ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე).
დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები,
სადმე ახლო თბილისთან თუ სამარე ვიშოვე.

სულის მკრთალი ლანდები შენს გარშემო ივლიან,
წვიმიანი წამოვა რიცხვი აუტანელი.
ბედის კარი, ძვირფასო, ისევ დაკეტილია;
საოცრება მოგელის შენ ტერენტი გრანელი.

მე მგონია, გათავდა ჩემი გლოვა ამდენი,
თუმცა ახლაც გარშემო ღალატი და შურია.

ბრუნავს ჩემი ცხოვრება, როგორც კორიანტელი,
დავიღალე და ისევ მოსვენება მწყურია.

მიდის ფერწასული დღე, ღამე მომიახლოვდა,
ღამე მომიახლოვდა, შავი და საშინელი.
სინანული გაივლის მოგონების მაღლობთან,
და მოვა მწუხარება — ჩემი ლურჯი ფრინველი.

1922

სიჩუმე და სიმარტოვე

ჩემი სული სიზმარია,
ბედზე დარდი მივატოვე.
და მე ასე მიხარია
სიჩუმე და სიმარტოვე.
დღესაც ბაღში ვიმალები,
როგორც თეთრი მდუმარება.
და მიზიდავს გრიგალივით
სიჩუმე და მწუხარება.
მაღლა თეთრი თავანია,
გლოვა ისევ აინთება.
ახლა ჩემი სავანეა
სიჩუმე და გარინდება.

გული შენთან მეგონება:
ეს ვარდია დაფენილი.
ასე ჩნდება მოგონება,
ზარის ხმაზე გაფრენილი.
სადღაც მკრთალი მიდამოა
და ცისფერი მოჩვენება.
და მწყურია სამუდამო
სიჩუმე და მოსვენება.
ღამის მიერ შენაფერი,
მე ვედრებაც მივატოვე
და მგონია ყველაფერი
სიჩუმე და სიმარტოვე.

1923

ქალის აგონია

დაღონებული და მარად სუსტი,
სარკესთან ფიქრობ როგორც დიანა.
დღესაც შორეულ მეგობარს უცდი,
მაგრამ მან მოსვლა დაიგვიანა.
მახსოვს ცრემლები შენ თვალს უვლიდა,
ალბათ ფიქრებმა ასე დაგღალა,
და უცხო ბინის ყრუ სართულიდან
შენ ფრინველივით დაჰყურებ ქალაქს.
მიხვალ როიალთან და როგორც გიჟი
იწყებ კლავიშზე ხელების თამაშს.

შენ ძლიერ გინდა და რაღაც გიშლის,
რომ გყავდეს ბავშვი, რომ იყო დამა.
სარკესთან ზიხარ და ფიქრობ სხვაზე,
ხან როგორც მტრედი თვალებს დანაბავ.
მიყვები ბედის უცნაურ ხაზებს
და ნატრობ ვიღაც არა თანაბარს.
შენი ლოდინი სანამდი გასტანს,
ანდა სანამდი იქნები წმინდა.
რის მიზეზია, ჯერ ახალგაზრდას
რომ შენ ცხოვრება ასე მოგწყინდა.

ოთახში ზიხარ შენ ავადმყოფი,
ხან როგორც ბავშვი ძილს მიეცემი.
შენ ეს ჰაერი თითქოს არ გყოფნის
და გინდა გლოვა და გინდა ცრემლი.

დაღონებული და მარად სუსტი,
სარკესთან ფიქრობ როგორც დიანა.
ახლაც შორეულ მეგობარს უცდი,
რომელმაც ასე დაიგვიანა...

1924

უმიზნო ხეტიალი

ეს შემოდგომა და ეს მინდორი
მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის.
მაღლა გაფრენა მე მოვიხდომე,
რადგან მიწაზე სული არ იცდის.
შრება სისხლისგან გული აუზი
და მიპყრობს ქუჩა, ვით თაფლი ფუტკარს.
თითქმის ყოველ დღე სასაფლაოზე
ვხვდები მათხოვარს და პროსტიტუტკას.
ახლაც გარშემო მძიმე წამია,
ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ ვუშველე,
და ვესალმები იმ ადამიანს,
ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს.
და მაგონდება ისევ ის ღამე,
როცა მეძინა სანაგვე ყუთში.

ახლა ქარია, ტირის არღანი,
და მოწყენილი ზის თუთიყუში.
შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ,
როცა ოცნებით ზეცას მოვიარ;
წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე,
მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია?!
ისევ მიწაზე ვარ მიჯაჭული,
(სადღაც შიშია, ვიღაც ფითრდება).
მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული
და ჩემ საფლავთან ის დაფიქრდება.
და ასე ფიქრი უფრო ძნელია,
როცა თვალები ნათელს უცდიან.
ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა,
ღმერთო! ჩემს ირგვლივ რა ბურუსია?!

1924

ვანო სარაჯიშვილს

დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
შეწყდა შრიალი და მისტერია.
ვანო! აღსრულდა შენი სიმღერა:
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“.
და ახლა ირგვლივ გლოვის წამია,
წამია გლოვის, ცრემლების გარდა.
ქართულ სცენაზე მძიმე ღამეა,
ქართული სცენა დამგლოვიარდა.
შენ გადაფრინდი სინათლის იქით,
რომ მხოლოდ ნისლი იყოს კარავი,

და გვირგვინების მწუხარე რიგი
ახლა შენს მაღალ კუბოს ფარავენ.
დღეს აღარა ხარ, ძვირფასო, მაგრამ
ჩვენთან ელვარებს შენი ნათელი.
სამწუხაროა, რომ ასე გაქრა
შენი ხმა, ცეცხლი და ჟრუანტელი.
დაეშვა ფარდა, დაბნელდა სცენა,
თვალები მაინც შენ გიცქერიან.
ვანო! აღსრულდა შენი სიმღერა:
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია“...

1924

ახლა არ ვდარდობ...

ახლა არ ვდარდობ და ვიღიმები,
დგება ცისფერი წამი ზმანების.
ქრიან საღამოს ნელი წვიმები
და მოდის მთვარე დაგვიანებით.

სადღაც აწყვია ცივი თოფები
და იარაღი მეც ხომ ვიწამე.
მგონია, სადღაც შორს ვიმყოფები
და ახლა თითქოს არ ვარ მიწაზე.

დღისით მზე არის, წვიმს საღამოთი,
გული წაიღეს ზამთრის ქარებმა.
როიალიდან ქალი ამოდის,
როიალიდან ქრის მწუხარება.

ახლა არ ვდარდობ და ვიღიმები,
დგება ცისფერი წამი ზმანების.
ქრიან საღამოს ნელი წვიმები
და მოდის მთვარე დაგვიანებით...

1924

* * *

ახლა ეს გრძნობა უფრო ნელია,
გული წაიღეს ცისკენ მტრედებმა.
სადაც მე ვდგავარ — იქ სიბნელეა,
იქით არავინ არ იხედება.
და პოეზია ჩემთვის გულია
და ქარის შემდეგ ახლა თენდება.

სადაც მე ვდგავარ — იქ უფსკრულია,
იქით არავინ არ იხედება.
ჩემთვის სიცოცხლე ისევ ძნელია
და გრძნობის ცეცხლი სხეულს ედება.
სადაც მე ვდგავარ — იქ სიბნელეა,
იქით არავინ არ იხედება...

1925

* * *

სადღაც სდუმს მთები, სადღაც ნისლია,
ვერ გადურჩები სულის წვალებას.
მე რომ გაფრენა არ შემიძლია,
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.
სადღაც სდუმს დილა, სადღაც ძილია,
გზა გაიარეს სადღაც ქალებმა.

ჩემი სხეული რომ დაღლილია —
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.
და სადღაც ბაღთან ვიღაც იცდიდა
და უცებ ზეცა ნახეს თვალებმა.
რომ ვერ შევძელი გასვლა მიწიდან —
ეს უკვე ნიშნავს გარდაცვალებას.

1925

* * *

დადგა სეზონი ყვავილის
და უფრო სევდა გამეფდა.
ალბათ ოდესმე გაივლის
ჩემი ასეთი წამება.
ვაცილებ ქარების წუხილს
და გულში სევდის ქარია,

რანაირად წვიმდა წუხელ,
ახლა რა კარგი დარია.
და ისევ მეხვევა ირგვლივ
ფიქრები ათასნაირი.
შორეულ ოცნების რიგი
და უმძიმესი ჰაერი...

1926

გაზაფხულის საღამო

გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.
სული საზღვარს გადასცილდა ფრენით,
ახლაც მახსოვს მისამართი შენი.
ცამდე წვდება ღამეების სიგრძე,
რაღაც დიდი სიხარული ვიგრძენ.
წინ მეშლება სხვა ოცნების არე,
მიწის ცქერით დაიღალა მთვარე.
გაზაფხულის საღამოა მშვიდი,
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

1926

დამწვა საკუთარ ალმა...

დამწვა საკუთარ ალმა,
ვატყობ თანდათან ვქრები.
სადღაც ხარობენ ალბათ
ჩემი პატარა მტრები.
რა ვქნა, ღამეა, ვშფოთავ,
ცისკენ მივყავარ სურვილს
და ემსგავსება ფოთოლს
ჩემი მწუხარე სული.

მოდის შაბათი, კვირა,
საშინელ სურათს ვხედავ
და მესიზმრება ხშირად
მიცვალებული დედა.
ღუნავს ქარები ალვას,
ელავს მუსიკის ხმები,
დამწვა საკუთარ ალმა,
ვატყობ, თანდათან ვქრები...

1926

შენს მოლოდინში

მე შენზე ვფიქრობ და თითქოს გხედავ,
ვფიქრობ და ისევ დღეა მზიანი.
ძვირფასო! მოსვლა რად გაგიძნელდა?!
ძვირფასო! რისთვის დაიგვიანე?!
ახლა ეს გრძნობა უფრო მეტია,
ახლა ქარები არხევენ ტირიფს.
მე შენ გიამბობ ჩემს ტრაგედიას
და როგორც ბავშვი დაიწყებ ტირილს.

ასე გაივლის წამება, ოხვრა,
შენ მოხვალ ჩემთან თეთრი ხელებით.
მოხვალ დაღლილი, მეტყვი, როგორ ხარ?
მოხვალ და ვიცი მომეფერები!
თუმცა იქნება ღამე წვალების,
ღამე სასტიკი და ულმობელი.
და ეს თვალები, ლურჯი თვალები,
ჩემი თვალები ისევ მოგელის...

1926



გიორგი ლეონიძე

ვუმღერ სამშობლოს

სულ ჩემი გულის მონაწურია,
რაც დაეპწკარა ქაღალდს ლექსები,
ვუმღერ სამშობლოს, კიდევ მწყურია,
და მის სიყვარულს დავემწყემსები.
მშობელ მიწაში მიდგას ფესვები,
როგორც წყალში დგას წნორის ძირები.
სიცოცხლეს ვერვის დავესესხები,
თუ სამშობლოსგან გავიწირები!
მარადი შუქით ბრწყინვალებს იგი,
მისი ნათელი დამთოვებია,
სიცოცხლე—მისი მშვენების იქით—
ერთ ნაბიჯზედაც არ მდომებია!..
დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი, —
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე!
გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი:
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

1980

თუკი ვცოცხლობთ—სიმღერების იმედით

თუკი ვცოცხლობთ — სიმღერების იმედით!
იანვარშიც აღარ გავიყინებით...
საათნავას ანაფორის უბეში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები.

გაუმარჯოს, ვისი გულიც გულია!
ვისაც თოვლში ოცნებით გაუვლია!
ვინც გესროლა თოვლი და გაგიღიმა,
სიყვარულით ვინც კი გათანგულია!

ვისაც გულში სიმღერა ჩაგრჩენიათ
და სიმებზე არ დაგღლიათ ხელები,
დაიბუგეთ და იყავით იავარ!
მიანარცხეთ ჩანგზე საფეთქელები!

მე მაჟრჟოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება,
დავინახე, მეხმა როგორ დააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება!

ლეონიძე! ამ დღეებს უდარაჯე,
შენ თუ გასძლებ,—შენივ სიტყვის იმედით...
საათნავას გაყინულ სუდარაში
ჩარჩენოდა ჭიანურის სიმები...

1920

სიმღერა პირველი თოვლისა

ეს თოვლია თუ მიმინომ
დააფეთა მტრედები?
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ,
ეხურათ ხავერდები...

ჩქარა,
მინდა, ვუყელო,
მესმის მათი თქერანი...
სავსე თოფი მომეცით
და ცხენი ნაქერალი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა!

წასულა და წასულა,
ნეტავ საით წასულან
ის პატარა სიზმრები?
სიჭაბუკის დღეები
შორიდან მომბღავიან,
როგორც მთიდან ირმები...

*

ვაჲ, შენ ჩემო თეთრო მტრედო,
გულო ჩემო კრიალა!
საკალმახე წყალივით
ლექსი ვერ ვაწკრიალე,
და როგორც
ციცნათელა
აბედს არ ეკიდება,

სიჭაბუკის გარეშე
ლექსს ვინ მისცა დიდება?!

*

— ეს ცრემლია თუ გულმა
დასძრა ლექსის მტრედები? —
ვარსკვლავთა ოთახებში
ჩათვლემილებს ეძინათ
და ჰქონდათ იმედები...

— ეს ლექსია თუ მღერის
გავლილ დღეთა კრებული?
გულია თუ მინდორი,
დილას მოფუტკრებული?

— არა! ეს თოვლი არის
ვარსკვლავების ქაფითა;
არა, ეს მტრედებია,
მიმინომ დააფეთა!

ჩქარა!
მინდა, ვუყელო,
თოფი ვტყორცნო ხმიანი,
ჩქარა! ზარით მარხილი
ოქროს ჩარდახიანი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა.

1926

ივრის პირად

ისევ წისქვილის ისმის რაკუნი,
ძველი სიმღერა გულს ეყურება,
მთვარეა გულის გამაპობელი,
ვარსკვლავი ვარსკვლავს მიეტკბურება.

ისევ ნაცნობი, წყნარი ბუნება,
ციმციმა ზვირთი, სევდით მოცული,
ისევ ბავშვობის ძველი ცთუნება, —
მწვანე წნორები თმაგამოწნული.

არც დაშორება,
არც დაბრუნება...
ნუთუ აქ დარჩა გული დარგული?.
ცისფერ ჩქერებში ეხახუნება
ქონიან მკერდით ქვას ორაგული.

აქ გავისინჯე ძალა ყელისა,
პირველი ლექსი, პირველი დარდი!
და ჩანაჭერა ცისარტყელისა —
მეცვა ხალათი ნუშით და ვარდით...

შენთან მოველი, რომ გავიხარო,
შენი ზვირთები გულზე მებუროს,
ქალამნის წყალო, წნორების ღვარო,
მდინარევ, ჩემო შეყვარებულო!

ჩალურჯებული შენი ფშანებით
შენი ნაწოვით მე ვარ ჯანმრთელი,
შენი ცისფერი ბადახშანების
დამშენებია გულზე ნათელი!

აღსდექ, გაჰკარი ტალღა შხაპური,
დღეიდან ვეღარ დაიგვიანო,
არა გჭირდება მკლავში ქაფური,
დევო კახურო შვიდძარღვიანო!

და მეც გამიძეხ, სიტყვას შავება,
სამშობლოს შუქით გამოვანათო,
როგორც დამლოცა ვაჟა ფშაველამ,
დამსკდარი ხელი თავზე დამადო!

1930

* * *

დავხარჯე გულის ზოდები,
ვწვი ოცნებათა ზვინები...
ლექსო, მიდექ და მოდექი,
სამშობლოს შეეძინები!..

ჩემს სიტყვას ზრდიდა ნაჟური
რძეგავსილ კვირტის ძალების;
ყამირის ღონე ვაჟური
და დედის ბოსტნის კვალები...

დამიწრთო სიტყვა მედგარი
ქართლის ნიავის ჩურჩულმა
და გულის შუქი მფეთქავი
მშობელ ცამ გადალურჯულმა...

გული გაზაფხულს მიკრულა
და ვგრძნობ, არასდროს მოვკვდები...
გულში მინთია ცისკრულად
აპრილის თეთრი ტოტები...

ოცნების ვხარჯე ზოდები,
გულის გადავწვი ზვინები,
ლექსო, მიდექ და მოდექი,
სამშობლოს შეეძინები!

1950

მ ყ ვ ი რ ა ლ ო ბ ა

ჩამაჭრდა კახეთს ჰაერი,
ტყეები გადიყირმიზა,
ენკენისთვეში მთებიდან
ისმის ყვირილი ირმისა.

— რასა ჰყვირიან ირმები
ყორან-მთას, ყარაიასა?
სახუნდარიდან მარეკი
გულში გაარტყამს ტყვიასა...

ხარი ირემი ფურს ეძებს,
მთაში ნასუქი ღიჭითა;
ქაფსა ჰყრის გადაკაწრული
ეკლებითა და ხიჭვითა.

თავი ანება ცალისთვის
იალაღების მწვანესა,
მოამტვრევს რქების ლაწანით
ჩალას, ტყეს, ლერწმოვანებსა.

დაშტერებული ჯოგები
მორბიან თავდაყირანი...
ხარი ფურს ეძებს ღრიალით,
მე — სიყვარულსა მყვირალი!

გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,
მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ზედ მივაფშხვნა რქაზედა!

სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა...
შევყვირებ,
როგორც ირმები
ჰყვირიან ყარაიასა!

1928

ნინოწმინდის ღამე

ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში — ჯამი აქაფებული,
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ — ვეფხვი დაქალებული.

საზანდარმა ღამე ააცახცახა,
ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა,
ცა—ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა.

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ო, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია!
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...

წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა,
დურაჯი ხარ, მაყვალს შეფარებული!

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, იმ პატარა იარამ!

1926

უჯარმის ნანგრევები

ქვაკუთხედი ლოდები...
ნამტვრევი ნანგრევები...
აქ ცხოვრობდნენ ოდესღაც
მორკინალი დევები.
ქვად ხმარობდნენ ზურგის ძვალს,
სისხლს — საძირკვლის წებოდა;
მათი ხმალის ნაკრავით
რაზმი ილეწებოდა.
თუმცა სვამდნენ ჩარებით,
ჰქონდათ რკინის წვივები, —
აწუხებდათ მოწყენა,
ტალახი და წვიმები...
დარჩათ ტყე და სიჩუმე,
ხეზე მღერის შროშანი...
ხის ქვეშ დამიწებულან
ლაშქარნი და დროშანი...

1925

ღამე ივერიისა

ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა, შენზე დავწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.

დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,
მეტივეები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...

სთვლემენ ბეღლებში ლურჯი ყანები,
ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი.
ჩალაგდნენ ყველა ჩინგისხანები...
სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი.

სთქვი, ნაღვლიანი ძველი ქართლივით,
ან ლამაზ ქალზე ერთად ვიმღეროთ...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო...

1925

ყივჩალის პაემანი

... ერთი მეც გადავუქნიე,
წვერიმც ვუწვდინე მიწასა...

მუხრანული

ყურღანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ აღვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხობას გნახე, მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,

მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჭრილობას,
ვეღარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...

მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდის ფურცლობის ნიშანი არი
და დრო ახალი პაემანისა!..

1928

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“

მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას“
წუხელის დიდხანს, გათენებამდი,
როგორ გლეწავდნენ, ჩემო ქალაქო,
სისხლით მოედნებს როგორ ღებავდი!

გამოვვარდები, ხარ თუ აღარა,
კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?
ვხედავ შენს სახლებს, ვხედავ შენს აბრებს
და მიხარია, რომ ისევ დგეხარ!

შევხარი დილის ორთქლიან პურებს,
ახალ სართულთა წითელ აგურებს,
ვარდის საპალნეს ტაბახმელიდან
და მას — ამ ვარდებს ვისაც არგუნებ!

1929

„დედა ენა“

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული,
ვარდნაბამი ფურცელი, ჩვენს ყრმობაში ჩართული!

დედის ძუძუ მეორე, სიყვარული პირველი,
ჩვენს აკვანს შემომჯდარი მგალობელი ფრინველი.

იავნანის ნიავში ჩვენს ყურთან რომ გაისმა,
ყრმობა რომ გვისურნელა, როგორც ბაღი მაისმა.

ტკბილად რომ გაგვიხარა, ჩვენ ბავშვობა ბეჩავი —
შავი კაბით გაზრდილებს, გახუნებულ ლეჩაქით.

ჩვენი წიგნი, ჩვენი დედა, ჩვენი ენა ქართული,
ოქროსხმიან სიმებად გულში ამოხლართული!

ამ წიგნიდან გაბრწყინდა ქართლის დიდი მთიები,
პირველ ფურცელს გაშლიდა, გამოხატულს იებით.

ის ამ წიგნში უსმენდა ნაკადულს და ტოროლებს,
საწყალ ხარის ტირილსა, ხმასევდიან ოროველს.

ხმას გაყინულ კაცისას, სიცივით რომ კვდებოდა,
მზე საწყალი კაცისა გორას მიჰფარებოდა.

მას უყვარდა ეს წიგნი, ჭრელი აბგის მშვენება,
მოიგონებს და შუქი გულზე დაეშენება.

ვიგონებთ და გვახარებს, რომ აქვს გულში ჩართული,
ჩვენი წიგნი ლამაზი, „დედა ენა“ ქართული!

1940

„ვეფხისტყაოსანს“

ხელში აგიღებ... გაკოცებ,
კიდევ ჩაგკოცნი... ჩაგცქერი;
წიგნი კი არა, — ჟრჟოლა ხარ
ჩამოქაფული ჩანჩქერის.

წიგნი კი არა, — ბაღი ხარ,
ოქროს ცვარჩამოწვეთილი;
გაშლილი ბაირაღი ხარ,
ლექსის ფრთა გაუცვეთელი!

წიგნი კი არა, — დილა ხარ,
ქართველი ხალხის ნათელი.
გულის ფესვებში გინახავ,
გულში ხარ გამონათალი.

ქაღალდზე გწერენ... სიტყვების
ნაცვლად ლალები სხდებიან;
გბეჭდვენ — ნიშნები სტამბური
ვარდებად აყვავდებიან.

გკითხულობენ და გმღერიან
ლხინით გულ-დამერცხლებული;
შენგან ჰყავს ხალხის სიცოცხლეს
სიკვდილი დამარცხებული!

უთენებელი ბნელეთის
შენ ერთი გვყავდი მთეველი;
სიმდიდრე ბევრი წაგვართვეს,
შენ დაგვრჩი წაურთმეველი!

შენ არ გჭიროდა სახიზნად
გამოქვაბულთა წყვდიადი.
არწივის ფრთაში ჩასაფრდი,
ქოხის ნაცარში ბრწყინავდი.

გწვავდნენ და არ იწვებოდი,
ცეცხლში დიდების მხვეჭელი.
ვერც ქარიშხალი გფანტავდა,
ხეების ამომგლეჯელი.

შენ ხმალის ღარზედ ეწერე,
ანდერძი ოქროხმოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა,
სიკვდილი სახელოვანი!“

გაქანდი, ოქროსფრთიანო,
გასცდები ქვეყნის ნაპირსა, —
შენ, დედაჩემის მზითევო,
ფარ-ხმალო მამა-პაპისა!

1937

ნინო ჭავჭავაძეს

თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
ახლაც მინათებს შენი მშვენება...
შენგან შევიტყვე, რომ სილამაზეს
არ უწერია გადაშენება.

შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
და გაჟრჟოლება მათი გულისა,
თავშესაფარი რამდენ ოცნების,
იყავ ბანაკი გაზაფხულისა!

შენს სილამაზის იქით ბნელდება,
დაიხურება ცისკრის კარედი:
შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
მკერდზე რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი.

ასი წლის შემდეგ მე შენ გიგალობ,
ათას წელს გასძლებს შენი მშვენება:
შენ — სილამაზის ნაზო გრიგალო,
შენგან აროდეს მომესვენება.

1939

მეტივეები

სულ ოთხნი იყვნენ... სახედინჯები,
ქაფიან ჩქერში ზვირთის მჩეხელი...
სულ იყვნენ ოთხნი... იაფინჯები,
ნიგვზის ფოთლები, სველი ფეხები...

მოჰყავდათ ტივი ტურფად შეკრული,
ვით კიდობანი ნესტანჯარისა;
ნაცხარები ჩანდა ბედკრული,
ლურჯი ყანები... ტყე ფიჭვნარისა...

წინ ეგდო მტკვარი და კლდე შვეული,
ცხვრის ფარასავით რიყე ეყარა;
მოჰყავდათ ტივი, მთას აშვებული,
თითქოს მოჰყავდათ ბრძნულად ქვეყანა.

გამოიარეს ვიწრო ალაგი
და ფაფასავით სქელი მორევი,
შორს დაინახეს დიდი ქალაქი,
აშენებული ნაძვის მორებით.

და გაუღიმეს ერთიმეორეს...
და როცა ტალღამ დაჰკრა ყვირილით, —
მეტივეები ჰგვანდნენ მეომრებს,
ტალღას აპობდნენ ორთაყვირებით.

მოსაღამოვდა,
ხვადი მგლები დასხდნენ შავადა,
ლუკმას ხლეჩავენ დამკლავებითა;
ღვინიან ჯამში
ნარგიზივით მთვარე ჩავარდა,
ივსება მტკვარი ვარსკვლავებითა...
1927

მაშ, რა ვუყოთ, პოეტებო!

გადეყარა ნარიყალას ნაცრიანი ბური...
ხაში,
ხილი
და თონიდან ამოყრილი პური, —
თაბახი და საზანდარი, მზე შინა და გარეთ —
ეგებება მზეს თბილისი თავის ექვსი კარით.

მიეგებეთ, ვინც დამწვარა, როგორც საათნავა!
განა გიცდის სიყვარული, ადგება და წავა!
მაგრამ ისევ ილაპლაპებს მტკვარის ლურჯი გავა,
ქაშუეთის ჩუქურთმები ფასკუნჯების თავად!

განა გასძლებს სიჭაბუკე, ვაი, შენი ბრალი!
ხელებშუა გაქანდება, ვით ნიაღვრის წყალი,
ისევ ისე დამწიფდება ვერის ბაღში ბალი,
აბანოდან ამაივლის თვალციმციმა ქალი.

განა ლექსი ლექსი არი, თუ დარჩება მუნჯი?
პოეტებო, გულსაც უნდა ბერტყვა, როგორც ხურჯინს!..
ჰკივის თათრულ სიმღერებით მწველი ეთიმ-გურჯი,
სწვეთს ღვინოში ჩაწობილი ფიროსმანის ფუნჯი.

დგას ქალაქი... არადანი მან არ იცის ორში;
თანშობილი ბაბილონთან და ნებროთის დროში
დღევანდელ დღეს ეგებება ჯუღაშვილის დროშით!

თუ ბოლავენ ძველ ხანძრებით ყვითლად მისი ქვები, —
ცას მილები ქარხნებისა, როგორც ჯიხვის რქები,
აპობენ და შემღერიან დიდ მარჯვენის ქებით.

მიეგებეთ ოქროს მტვერში, სიტყვა უნდა განდაგანა,
ბესიკსა და საათნავას სიყვარული სწამდათ განა?
ხმაში უნდა ვეფხის ძალი, — სამაია სამთაგანა!

მაგრამ ლექსი გადურჩება იმ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს და ჭიანურს მტირალს.
მეტივეს და თივის ურემს, წყნეთურ მაწვნის ქილას?
მაშ რა ვუყოთ, პოეტებო,
ამ თბილისის დილას?

1930

ვაჟა ფშაველას

წარმოთქმული ვაჟა ფშაველას საფლავზე მთაწმინდაზე, დიდუბიდან ნეშტის გადმოტანისას, 1934 წლის 18 ოქტომბერს.

მთა იყავი, მთასთან მოხველ,
შეგრჩენია მუხლში ღონე,
თვალდათხრილო მეამბოხევ,
ხუნდებით რომ შეგაღონეს...
კვლავ შეჰხედე სამშობლოს ცას,
მოუხადე კიდევ ქუდი;
შენი კუბო რომ ავხადეთ,
ამოვარდა არწივთ გუნდი!..
გადაჰხედე, შენი მთები —
თითქოს ვეფხვნი დაყრილანო,
ნავარდს არტყავს ორბის ფრთებით
შენი სიტყვა სამყვირალო!

ზვავის ღვართქაფს დაუბერტყავს,
ნაბუდია ჯიხვის რქაში,
შენი სიტყვა, როგორც სეტყვა,
დროშის ზარი, წყლის კაშკაში! —
იგი გვზრდიდა, როგორც წვიმა,
და მან მოგვცა მძვლიანობა,
ხის ფოთლებში გაგვაწვინა,
აკვნის თავზე გვიგალობა.
ხმას ჭექავდი მოკივლებით,
სამშობლო რომ გქონდა ციხედ, —
შენ დაგმარხეს ბორკილებით,
ჩვენ დროშებით ამოგიღეთ!

1934

გაზაფხული

რომელ მერანზე მოფრინდი,
რომელ მჭროლავი რაშითა?
„ლილეოს“ ქუხილთა ხმებში,
ნიაღვარების ტაშითა!

ვინა თქვა, სინაზით მოხვალ,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიტან!

სალამი, ასჯერ სალამი!
შენ, გაზაფხულის დგრიალო!
ყინულს დალეწავ, ხმატკბილად
წყარომ რომ დაიწკრიალოს...

მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხარხარები:
მოდი, სულ ერთად ვიაროთ!

1950

არ დაიდარდო, დედაო...

1943 წლის ნოემბერში ტამანის ნახევარკუნძულზე ვინახულე უცნობი ქართველი მეომრის საფლავი, ლევანი რქმეოდა.

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!

ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...

ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე:
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე.

ნე გაგიხუნე ლეჩაქი,
ნაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.

მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...

მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ იტყვით,
დამალეთ ჩემი სამარი,
თუ მტერმა გკითხოს, უთხარით,
კრემლშია, სტალინთან არი!

და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,
იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-პაპანი!

ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

1944

ოლე

1

შენ ლიახვის კლდეზე დგეხარ ძველი მოსასხამით, —
ოლე,
ოლე,
მარტოხეო,
დღისითა და ღამით;
შიგნიდანვე გამომწვარო მარტოობის შხამით,
შიგნიდანვე გაბზარულო, დახეთქილო კეცად;
ხე ბრუნდევ და ხე მართალო, ხეო ერთო ბეწვა.

დგეხარ, როგორც სახრჩობელა, — თვით გახრჩობენ მთები;
დაკიდებულ არწივს ჰგევხარ მომსხვრეული ფრთებით.
რაშო, მიწას მიჭედილო, ვეღარ აიქროლე;
პარტახო და ნამეხარო, მარტოხეო ოლე!

2

გელანდება ნაჯახები
და გრიგალი დამჯახები მწარედ აგათრთოლებს.
ცას ჯანღების აჯანყებით, სეტყვას, მბრწყინავ თოვლებს,
დამდნარ ძვლებით ეგებები, მარტოხეო ოლე!
ზღვიდან ქარი წამოვიდა და ღრუბელი ბუნდრად,
ცაში ელვა შეიკლაკნა, შენკენ შემობრუნდა.
ქარის ეშვებს,
მეხის ბრეშას
შენი მოთხრა უნდათ!

ყინვის კარჩხი თვალს გიკაწრავს, ლაჟვარდს ვეღარ უმზერ
წვიმის შუბი გალესილი გიკაკუნებს გულზე;
მზე შემწველი, ცოფიანი, ხრჩოლად აგაბოლებს,
ტყავდამსკდარო,
ნაოხარო,
მარტოხეო
ოლე!

3

მარტო ხარ და მარტო დგეხარ, ძმა არა გყავს, დედა,
მარტი ჩოხას შეგიკერავს ზანზალებით ზედა,

წვიმით ქოჩორს დაივარცხნი, ღამით წვეთს სვამ რძედა...
მხიარული საკრავებით გაზაფხულის ვარსკვლავები
შენს ტოტებზე სხედან;
ოქროსხმიან სიმღერაში თვალს ჰხურავ და ჰხედავ, —
შენზედ მარტო არვინ არი, შენზე უფრო მეტად;
ბალღამის და ცრემლის სვეტო, შენ, ქცეულო ხედა!

4

ვის გასცქერი, ვის მოელი, გული ვისთვის გტკივა?
ვის მიაღწევს შენი ხმები, ვის კერამდე მივა?

ვაᲲ, თუ გზაში დაიღალა, ვერ იარა სწრაფად;
ვაᲲ, თუ კვირას ვერ მოვიდეს, ვერც გამოჩნდეს შაბათს!

თუ მოწამლეს საყვარელი შავი დარიშხანით
და მის პერანგს აფრიალებს გზაზედ ქარიშხალი!

წადი, ძებნე მეგობარი, ვინმე წაიყოლე;
სხვა რომელი დაგიძახებს მცირე სახელს —
ოლე!

ტყე გეძახის მწვანე მხრიდან, თავქოჩორა ღელე;
ტყეს უნდიხარ დიდი ხნიდან, გიქნევს ათას ხელებს.

ტყე გეძახის ახვეტილი ფალავნების ჯარით,
როგორც ვაჟი არხვატელი, შავს რკინაში მჯდარი!

— გეყო, მარტო ერხეოდე, გამიღია კარი!
გეყო, მხრებზე გეხვეოდეს ეხოების ქარი!

მოდი ჩემთან, დაგაპურო, არ გინახავს ხემსი,
მე აგიყვან ხელში, როგორც
ნაპოვნ ბატკანს მწყემსი!

მოდი, მოგცე, გაგახარო, ცოლი — მესაწოლე;
ოხერო და ნამეხარო, მარტოხეო ოლე!

5

მაგრამ ცისკენ იყურება შენი ოქროს თავი,
კოშკებად და ჯიხურებად მოჰქრის ღრუბლის შვავი.

მოჰქრის ცაში წასაყვანად აკიბული კიბე,
დაგაყრიან ტოროლები ატლასებს და დიბებს.

მზე, მარჯანზე უწითლესი, მოგეგება წინა,
დაგიკოცნა ყველა ფესვი, გულზე მიგიწვინა.

დაგესივნენ ვარსკვლავები, დაირით და დოლით,
გაკვრევინეს სალამური, გათამაშეს გოლი,

სთქვეს: ნურც გტკივა, ნურცა გცივა, ნუღარც აგათრთოლებს, —
ტოტზე ტოტით გადამხვეო, მარტოხეო ოლე!

6

ოლე, ოლე, მე ლიახვზე დაგინახე წამით;
შიგნიდანვე გამომწვარი მარტოობის შხამით,
შიგნი-შიგან დახლეჩილი შრეებად და კეცად;
ყორანისგან ჩაყეფილო, ხეო, ერთო ბეწვა!

მაღლა ზეცა პრიალებდა, ძირს კავკასის მთები,
დაკიდებულ არწივს ჰგავდი გაწყვეტილი ფრთებით...

რაშო, მიწას მიჭედილო, გასჭერ, აიქროლე,
მარტოობის არტახები გადახიე, ოლე!
რომ სთქვა: გული თუ მტკიოდა, ახლა აღარ მტკივა,
რომ ლიახვის რძიან ქაფში შემოცურდე ტივად,
რომ გაგჩარხო და გაგთალო, როგორც წმინდა ბროლი,
რომ შენ იყო ჩემს დარბაზში შუაბოძის ტოლი,
რომ გრძელ ტივებს მოუძღოდე ხეთა წინამძღოლი!

7

მოდი ჩემთან,
ვიდრე მეხი
დაგკრავს აგაბოლებს,
ტყავდამსკდარო,
ნაოხარო,
მარტოხეო ოლე!

1931



ალექსანდრე ქუთათელი

***

ცის, მნათობების მცნობელი
გული ჩავიდა საგულეს,
როცა ვიხილე მშობელი
მამული მოჭირნახულე.
ქართლო, მიმიღე მეგობრად,
საწუთრომ სად არ მატარა.

შენი ერთი ხეც მეყოფა
და მისი ჩრდილი პატარა.
პატარა ჩრდილი მეყოფა,
მცირე ხის სამი ფიცარი.
ქართლო, მიმიღე მეგობრად,
შენი ვარ, შენად მიცანი.

1932

გაზაფხულის მოგზრძანება

1

თუ ჭეშმარიტად დღეს ვართ ქართველი,
გულში გვინთია ერის სანთელი,
თუ დედა ენით მუდამ წინა ვართ, —
უნდა ვუმადლოთ უკვდავ წინაპართ.

ზოგ წინაპართა მე ვარ მნახველი,
ზოგის მომესმის მხოლოდ სახელი,
დედა ენაზე მის გამო ვმღერი,
რომ ღვიძლად მთვლიდეს მშობელი ერი,

მაჯადოებდეს მარად ქებული,
დაუვიწყარი მამულ-დედული.

2

დედულში რბოდა ბავშვობა ჩემი,
ვით საირმეზე შვლის ნუკრის რემა

და ავდიოდით სარკოიაზე
სოკოს საკრეფად მე და იამზე.

მახსოვს კრახუნა ყურძნის მტევანი,
საწნახლის ჩქეფი და შადრევანი,
ტალავრის ჩრდილში — ვეება ქვევრი,
ბევრი აკიდო და ტკბილის კვერი,

პაპა, დიდედა — საამო ქალი,
წელგამართული ოჯახის თვალი,
მხნე, გონიერი, გამრჯე, ჯანმრთელი,
მრავალი შვილის დედა ქართველი.

დედას, დიდედას ვიგონებ მარად,
ისინი მყვანდნენ სიკეთის ფარად,
ხოლო მამისა და პაპის ჭკუამ
ცოდნის წყურვილით შორს გამიტყუა.

3

დედა ენაზე მის გამო ვმღერი,
ყურს რომ მიგდებდეს მშობელი ერი,
მაჯადოებდეს თვისი თილისმით
მკვდრეთით აღმდგარი დედა-თბილისი,
მთაწმინდა, მტკვარი, მეტეხი ძველი,
ნარიყალა და კრწანისის ველი,
სანაპირონი, ქარხნები, მეტრო,
და ხოტბას რომ არ გადავამეტო, —

მომყვნენ რუსთავის მეფოლადენი,
ვნახოთ არმაზი, მცხეთა, ატენი.
გელათის ვალიც გადავიხადოთ,
ვაქოთ ბაგრატი, გრემი, იყალთო.

მესხთა რუსთავი, თმოგვი, ვარძია,
შოთას აკვანი რომ დაარწია,
ჯავახეთი და შავი ზღვის მხარე,
რათა ვაღებდეთ ედემის კარებს.

ის გახდეს ქართლის კარიბჭის მცველი,
გვაჯადოებდეს ნარინჯის ველი,
ვიყოთ აწმყოდან წინგახედული,
გვიყვარდეს ნამყო, მამულ-დედული.

რუსთველის ცოდნით ნასხივოსნები
ისევ ჰგალობენ მანდილოსნები.

4

თუ ჭეშმარიტად დღეს ვართ ქართველი,
გულში გვინთია ერის სანთელი,
თუ დედა ენით მუდამ წინა ვარ,
ვეთაყვანებით უკვდავ წინაპართ, —
მაშინ ჩვენს გულში მუდამ დარია,
რაც გაზაფხულის საწინდარია,
და ადრე მოვა ჯერ არნახული
შვება, სიამე და გაზაფხული.

1948

ატენი

ხელისგულზე დასატევი
ჩანს ხეობა მშვენიერი,
ნათალ კლდეზე დგას ატენის
ძეგლი მრავალჟამიერი.
მის ჩუქურთმებს — მოსხმულ ვაზებს
მზის სხივები ალამაზებს.

ქარვისფერი ალვის ხენი
ანთებულან კელაპტრებად.
ბაღს ედება ალისფერი,
ბაღში შესვლა მენატრება.
მივედი და ახლა ვნახე
ეს მდინარე საკალმახე.

ყველგან მზეა და ბაღნარი,
აღტაცებით მიძგერს გული.
მოხვევია ხეს მაღლარი,
ტკბილი მტევნით დაყურსული.
რა მხარეა, რა სოფელი,
ტურფა, მყუდრო სამყოფელი!

ატენურ ვაზს, იმ ძველ დროში,
ვინ ჩაუგდო საფუძველი?
ხევ ატმისა, მწიფე კომშის, —
ნაყოფის ხვავს გაუძელი.
რა მხარეა გასაოცი,
მიწა მართლა დასაკოცნი!

ზვარში ჩამდგარ გოგო-ბიჭებს
ქართლის ეშხი მოჰფენიათ.
პაპა მტევანს ხელში იჭერს
და რთველს აქებს იმედიანს.
დიდ მარანში დაყრილ ყურძენს
საწნახლებმა ვერ გაუძლეს.

ჭირნახულით არის სავსე
წელს ატენში შემოდგომა.
ეზიდება ყურძენს გზაზე
წიქარა და ხარი ლომა.
დგას ქარხანა შამპანურის,
ტკბილი ჩქეფით გაღვარული.

უხვად ცხვება „მთვარე-პური“,
ლატანს ზნექენ აკიდონი.
წელს მოსავალს არ ემდურის
კოლექტივის ბაღ-მინდორი.
კოლმეურნეს უყვარს გარჯა,
დაილოცა მისი მაჯა!

შემოვიდა მასპინძელის
დედა, ლეჩაქდახურული.
მან იცოცხლოს ასი წელი,
დიდხანს ძგერდეს მისი გული.
მის ჭაღარა თმის დალალებს,
ქართლის ლეჩაქს ვენაცვალე!

სახლი უდგას ქვა-აგურის,
კოხტად მოხარატებული.
აივანი — ელსადგურის
შუქით გაჩახჩახებული.
ჩამოუდის შარა ფართო,
მანქანების სანავარდო.

დინჯ თამადას ვუგდებ ყურსა.
არის ომში ნატარები.
მასპინძელსა მხიარულსა,
ჰყავს სტუმრები საყვარლები
ბეჯითი და მუყაითი,
შრომადღეებს უხვად ითვლის.

მტერს ებრძოდა, ჟლეტდა ურჩსა,
არ დაუთმო ტურფა მხარე.
ახლა სოფელს უდგას ბურჯად
კოლექტივის თავმჯდომარე.
ადღეგრძელა ტკბილის ენით
ჩვენი ხალხი ბრძენთა-ბრძენი.

ჩვენი დროშა ალისფერი
მთელ მსოფლიოს ენატრება.
მზე გადმოდგა. ალვის ხენი
მყის აღენთნენ კელაპტრებად.
გავედი და ისევ ვნახე
ეს მდინარე საკალმახე.

გადმოჰყურებს ხევს და სოფელს
ეკლესია კლდეზე მდგარი
და ვერა სცნობს ძველ სამყოფელს,
რადგან ძველი არსად არი.
ჰგავს ატენი ახალ ქალაქს,
საბჭოთა ხალხს ბარაქალა!

რა მხარეა, რა ბაღნარი!
აღტაცებით მიძგერს გული.
მოჰხვევია ხეს მაღლარი,
ტკბილი მტევნით დაყურსული.
მსურს, დავხატო აკვარელით
ეს ხეობა საყვარელი.

1960

მერცხლები

ჩემი სარკმლიდან ზეცა მოჩანს მუდამ გულგრილი,
ხან მოწმენდილი და ხან კიდევ ჩამობურვილი.
იგი მიჩვენებს დრო და ჟამის მარად დინებას,
ზამთარ-ზაფხულის გარდაუვალ ცვლას დანდობილი.
ხუთი მავთული, გაჭიმული სვეტზე სიმებად,
ქუჩაში მღერის ჩონგურივით ხმაშეწყობილი.
ზედ ხარება დღეს დათქმულივით ჯდება მერცხალი,
როგორც ნიშანი აღდგომისა, ტანჯვის მგმობელი,
როგორც ზამთარის ცივი ზაფრის გადამრეცხავი
და ხელახალი გაზაფხულის მახარობელი.
გამოიარა ქარიშხალი ფრენით მოღლილმა,
მხრებაწურულმა ჩოხოსანმა ვაით და ვიშით
და მოიტანა შორეთიდან გზაგამოვლილმა
მარილიანი სურნელება ზღვისა და ქვიშის.
გარინდებულა, მისი ფიქრის გაგება მიჭირს;
თუ აგონდება პალესტინის წყალზე სრიალი,
ათასი წლების ნაშიერი, თანაზიარი —
ის ქვასროლია, სირიელი პატარა ბიჭი!
მერცხლის ჭიკჭიკში მეზმანება უცხო სურათი:
პალმის ქოლგები, ბანანები — მზისგან დამცველი,
ფირუზისფერი მიზგითების კოშკი, გუმბათი
და არაბეთის დაისების სევდა დამწველი...
ისევ შარშანდელს დაეძებენ ბუდეს მერცხლები,
რომ გააცოცხლონ ჭორფლიანი ციცქნა კვერცხები.
უცვლელი დარჩა დრო და ჟამის გზაზე გაბმული
კუდმაკრატელა მერცხლის სახის განმეორება
და კაცს აოცებს ცხელ ბუდეში სულგანაბული,
უხსოვარ დღიდან არსებული ჩიტის ცხოვრება.
მთელი ზაფხული მახარებდა მერცხლის ნავარდი,
ბუდიდან ახლად დაფრენილის და მოჩიტულის;
მისი ჟივილით ზეიმობდა ცისა ლაჟვარდი
და დედამიწა გვალვისაგან გამოფიტული.
მაგრამ გათავდა უწვიმარი დღეები ცხელი,
ახლა მერცხლები ჩემს სარკმელთან კრებას მართავენ,
ალბათ, შეიგრძნეს დაზამთრების ავი სათავე
და განშორების განახლებას კაეშნით ველი.
ვხედავ ჯარ-ჯარად მავთულებზე ჩამწკრივებულან,
ვით როიალის კლავიშები თეთრი და შავი.

თავაღერილნი მეგზურებთან განრიგებულან,
გადმომაყარეს ნაღვლიანი ჟღურტულის ხვავი.
უკვე მოსულა გადაფრენის ვადა დათქმული
და ენანებათ მიატოვონ მიწა ქართული.
მაინც გასწევენ, წაიშლება ხმა საამური,
მზიან ზაფხულის ცის ლაჟვარდი, ლურჯი, მარადი
და ჩემს მუნჯ სარკმელს მოეხლება ფრთები ღამურის,
როგორც შავ ღამის და სიკვდილის ავი ფარფატი.
ნოემბრის თვიდან მავთულები იწყებენ ზუზუნს,
ჭინკის და მავნე სულის მაგვარ კივილს და კვნესას.
ზამთარში თოვლი შემოახვევს უნაზეს ბუმბულს
და გულს ისევე გაზაფხულის იმედით ვლესავ.
მოვლენ მერცხლები, რომ დაატკბონ დედაქალაქი,
სამშობლო, ჩვენი, საყვარელი ტურფა ალაგი,
ხალხი ავ წლების სისხლის წვიმით შენაძრწოლები
და გადახნული დედამიწა ზღაპრულ ბრძოლებით.
ვთქვი და მავთულზე შემოფრინდა ისევ მერცხალი,
როგორც ნიშანი აღდგომისა, ტანჯვის მგმობელი,
როგორც ზამთარის შავი ზაფრის გადამრეცხავი
და ხელახალი გაზაფხულის მახარობელი.

1958

პოლიო აბრამია

გულს

მოგქანცე ფიქრით, მაგრამ, გულო, აბა რა მექნა?
ჯერ არ მიმტყუნო, შენს იმედით დავდივარ ქვეყნად,
ყოველდღე ახალ შვებასა და სიხარულს ველი!

ო, ნუ ბორძიკობ! არ დამტოვო აქ მარტოდმარტო,
აქ მე უშენოდ ზრახვას ჩემსას ვერავის ვანდობ,
უკანასკნელი აღმართი მაქვს გადასასვლელი.

ნელინელ მივყვეთ, ტაატით და სვენებ-სვენებით!
მინდა ბოლომდე დავტკბე ჩემი ქვეყნის მშვენებით!

1963

შესანდოგარი

ბერიკაცები შეყრილან და დამსხდარან ბურად,
ამბავს ჰყვებიან, ჯიხვებს ცლიან მამაპაპურად,
თითქოსდა ოჯახს მართლა რაღაც უხარიაო!

მოხუცი პაპა ფეხზე დგება და ყრუდ ახველებს,
„შაიწყალოსო“, — ამბობს, ღვინით პურს დაასველებს
და მერე გმინვით წამოიწყებს „ზამთარიაო“!

შინმოუსვლელის შესანდობრად გუგუნებს ბოღმა,
სულშიაც თოვს და თოვს ალაზნის გაღმა-გამოღმა!

1947

ნასაკირალი

ყოველთვის, როცა მოვიგონებ ლამაზ გურიას,
მეც მისი ნახვა გურულივით გულით მწყურია,
განიბრწყინდება უძილობით მოღლილი თვალი!

გამახსენდება ერთობის და ძმობის მცველები,
რაზმელთ ყიჟინა, ჭახაჭუხი მაჭახელების,
ტახტს რომ უტევდა დასათრგუნად ნასაკირალი!

უცებ იელვებს სიხარული, გული მშვიდდება,
საქვეყნოდ ვამბობ: სალამი ხალხს, იმას დიდება!

1947

კაკლის ხეები

ჩამწკრივებულან, გასცქერიან ასფალტის ტილოს,
ასე მოსდევენ კახეთისკენ მთელ საინგილოს,
ხშირი ფოთლებით დაბურულან, გააქვთ შრიალი!

მშობლიურ მიწის წიაღში აქვთ ფესვი გამდგარი
და რას დააკლებს ტრამალიდან მომსკდარი ქარი.
მაშ, რად დასჩემდათ უცნაური გულის ფრიალი?

რას ჩურჩულებენ, რა ატოკებთ მთელი დღეები,
რას მაბარებენ შინ მიმავალს — კაკლის ხეები?

1948

ხიდზე ვდგავარ

მიყვარდა გავლა საღამო ჟამს ამ ხიდზე მარტო,
სადაც სალ კლდეებს მიანგრევდა რიონი ფართო,
ტალღები ტალღებს ასკდებოდნენ აურზაურით!

მაშინ მის დგაფუნს სასოებით გადავცქეროდი,
სიყმაწვილეში მეც მისი ხმით გულში ვმღეროდი,
დიდი ხნის შემდეგ კვლავ აქა ვარ, ვით მოგზაური!

თეთრ ხიდზე ვდგავარ, თუმც არ ვიცი, ვის ველოდები,
წყალნი წასულან, ფსკერზე წვანან თეთრი ლოდები!

1986



იოანა ვაკელი

სამშობლო

ჩუმად ყოველდღე ბედს ვევედრები,
იყო შენ ჩვენთვის ნუგეშისმცემი,
წმინდა გულით და არა ყვედრებით
აღმივლენია ეს ლოცვა ჩემი.

არ მოგკლებოდეს განსჯის სიმართლე
და არც გონება დაგღლოდეს თვლემით,
ამას გთხოვ, ჩემო თვალის სინათლევ,
ლოცვად მიიღე ვედრება ჩემი.

არა მჩვევია მე გულგრილობა
და თუ მცირეა შენდამი ძღვენი,
მაინც ნუ მიწყენ, დედაშვილობას, —
ეს წმინდა ფიქრი ლოცვაა ჩემი.

თუ მძიმე მქონდა მე ჩემი ყრმობა
და გინახივარ ცრემლების მდენი,
ნუ დააბრალებ ჩემს ცუდკაცობას,
მუდამ მწყუროდა სიკეთე შენი!

ეჰე, რამდენმა შენმა ერთგულმა
შენთვის წამებით დალია დღენი,

მტერს შეაგება მახვილი უმალ, —
სისხლით დაიცვა სიცოცხლე შენი.

აბობოქრებულ ცხოვრების გზაზე
იქნებ არ შეგხვდა ნაპირთან გემი,
მაინც მხნედ იყავ, იმედით სავსე,
შენ გენაცვალოს სიცოცხლე ჩემი.

არ შეგხვედროდეს აწ და მარადის
ისეთი ურვა, ისეთი ცრემლი —
ცრემლი კრწანისის, ცრემლი მარაბდის...
დაე, აღსრულდეს ეს ლოცვა ჩემი!

1968

ხელები

რა ბედნიერი წუთები არის,
ნათელ ფიქრს თითქოს თავზე ევლები,
როცა ქვეყნისთვის ზრუნავენ კრძალვით
დაუცხრომელი ჩვენი ხელები!

მისით შავდება მინდვრად ხნულები,
ჰყვავიან შორით მწვანე ველებიც,
ჯეელების თუ ხანდაზმულების —
ყველგან გამრჯეა ჩვენი ხელები.

წერს იგი ლექსს, თუ უკრავს სალამურს,
ჟღერენ ჰანგები სასურველები,
ვინ გააჩენდა ამ ხმებს საამურს —
ქვეყნად არ იყოს ჩვენი ხელები.

მაღაროს გულშიც იბრძვიან წყვილად
გვირაბის კლდეში, ოფლის მღვრელები,
საღამოა თუ სისხამი დილა —
არ ისვენებენ ჩვენი ხელები.

გულიც ვერ დაძლევს უიმედობას
ვერც მუდარით და ვერც გახელებით,

გამარჯვებას რომ ვეტყვით მეგობარს —
წინ ისწრაფვიან ჩვენი ხელები.

არც დიდ ბრძოლებში არიან მხდალნი
სამშობლო მიწის მტკიცე მცველები,
ყველაზე სანდო და შეუვალნი —
ეს დალოცვილი ჩვენი ხელები!

1960

* * *

მზე ამოვიდა, დღე არის წყნარი,
დგანან ქოჩორა ხეები მშვიდად,
ისე ჩურჩულებს ფოთლებში ქარი,
თითქოსდა დედა საუბრობს შვილთან.

და ერთი მოწყდა შტოს უცაბედად,
ქარმა ის გზაზე დიდხანს ატარა,
ამაოების ფარული სევდა
თითქოს არც ისე იყო პატარა.

წავიდა, გაქრა... ბედთან ბრძოლაში
კვლავ შრიალებენ ამაყად ხენი,
და ამ უსაზღვრო ფოთოლცვენაში
მაინც ტკბილია ცსოვრება ჩვენი!

1967



არნო ონელი

რაჭა

1

მთები. ტყეები.
მიწა სათნო და სხივოსანი.
იისფერ ნისლში მონებივრე მახსოვს დღეები,
როცა ბუნებამ ბავშვობა და დრო შეიერთა.
დილა, ღრუბელი, ჩემი შოდა გვირგვინოსანი
ერთნაირი მზით გამშვენიერდა
და მთამ შეამკო ყვავილებით თავის მგოსანი.

2

რიონის ნანა. უწერა. შოვი.
მღერის გლოველი, მღერის ღებელი;
შორით მოსულმა ქალაქელმა აქაც იშოვა
ადგილი, ჯერ ფეხშეუხებელი
და მოკრძალებულ ხელით მოსწყვიტა მარწყვის ყვავილი.

3

მე როცა აქ ვარ, გული ხდება სამი მტკაველი.

4

შენი ცა ბრწყინავს ნაირფერი მუზარადებით,
იმსხვრევა შუქზე ირგვლივ მთები შაქრის თავებად,
წინ! გაისროლე ნაბიჯები, ნუ დაზარდები,
თავზე გადგია განთიადი და უკვდავება.

1926

ნიავი

გამოიქროლა, მოჰყვა ნელი ხმა,
ხეზე ფურცელი
ცელქობს რომელი?
ბუნებავ, ო, რა საყვარელი ხარ —
დაუცხრომელი,
დაუდგრომელი!

და უფრო გატკბა შენი ხმის ძალა,
შენს ახოებში ღამის თევანი,
სიმინდის ტეხვა,
ვენახში გავლა,
ბეგითაური ყურძნის მტევანი.

1928

ხარები

ვუმზერ ნახნავებს და შორიდან მესმის ნადური,
მზე მთის ფერდობებს რანაირი ფერით არ ფერავს,
ხევს გაზაფხულის სიმღერებში დავეც დასტური
და ფიქრი მისდევს შურდულივით გაფრენილ მზერას.

მამაჩემია, ამ ახოებს თავს რომ ევლება,
ასე გულდაგულ რომ შებმია სახნავს ციცაბოს;
ჩემო ყანაო, მითხარ, სოფელს რა ეშველება,
მანაც შვება და სიხარული რომ განიცადოს?

მამილო, მამი, გადაბრუნდა ბედი ბელტებად,
სულ სხვა დრო მოდის და თან მოაქვს სულ სხვა ნადური,
რა ვქნათ, როდესაც ეს ხარები დაგვიბერდება,
შენც დაბერდები და ეგ კავიც მამაპაპური?

ხედავ? ჩვენშიაც ინდუსტრიის იღება კარი,
მაზუთის ბოლი ეუფლება ნისლიან სერებს;

გადააშენებს ველურობას ქალაქის ქარი,
ქალაქის ქარი მთასაც რკინის ხმით აამღერებს.

მე მაინც ნიშას და ნიკორას ვუკოცნი თვალებს
და ნახნავებში გადავდივარ ბავშვურ მალაყებს;
მთაო ლამაზო! ჩემი სული შენში ტრიალებს,
ვარ ირემივით: იალაღი მალხენს, მალაღებს.

1924

გვახარებს შენში მეგობრის ცნობა!

ტყეს შევღაღადე, ველს ვემუდარე,
შოდას მრავალგზის მივმართე ხვეწნით,
მთის მწვერვალებსაც ბევრი ვუთხარი,
ღრუბლებსაც, სადღაც შორს გადახვეწილთ:
— გთხოვთ შერიგებას... მაღირსეთ თქვენი
შინაკაცობა, შვილობა, ძმობა,
თქვენს მკვიდრს მსურს თქვენთან დავლიო დღენი
და განაცვალოთ ფიქრი და გრძნობა...

უცბად სუყველამ თქვა ერთი ენით:
— გვახარებს შენში მეგობრის ცნობა!

1922

ღრუბლის ხომალდებს სანამ ლურჯი აფრები შვენით...

წარმავალია ყველაფერი თავის ბუნებით,
ფრთაშეუხები სიკვდილისგან რჩება არავინ,
მიდი-მოდიან უთვალავი საუკუნენი
და ძველ ადათებს დავიწყების ხავსით ფარავენ.

მაგრამ მუსიკა — პოეზია, ყოვლად ძლიერი,
სულ მუდამ იყო და იქნება სულისდგმა ჩვენი,
სანამ მზისა და დედამიწის ვართ მადლიერი,
ღრუბლის ხომალდებს სანამ ლურჯი აფრები შვენის.

1925

ნიკოლოზ ჩაჩავა

გული

გული რატომ ძგერს მძიმედ და ჩქარა.
გულს ასე ნაზად რატომ უვლიან?!
გადაულახავს უშბა და შხარა,
ახლა მინდორიც ვერ გადუვლია.
ვერ გადუვლია პატარა ბორცვიც,
მობერებულა, მოდუნებულა,
თითქოსდა იყოს უსულო ხორცი,
მოძრაობს დუნედ და უნებურად.
რა პატარა ხარ, გულო, ზვიადო,
უფრო პატარა, ვიდრე გელოდნენ;
სიკვდილის ჭიშკარს გეძახდნენ წინათ,
შენზე დაობდნენ, შენზე მღეროდნენ.
ახლაც სადავო ისევ შენა ხარ,
ისევ სიკვდილის გქვია ჭიშკარი;
გულო, მინდოდა, ისევ მენახა
შენი ბალღობა, შენი ცისკარი.
დანაშაული მიმიძღვის შენთან
და ხედავ, როგორ დამიჯდა ძვირად —
გრძნობები მისთვის შემომეთენთა,
რომ უშენოდაც ვცხოვრობდი ხშირად.

1952

ეს გაზაფხულიც უცებ მოვიდა

ისე მოაწყდა ფოთლები ეზოს,
ვერც კი გავიგე, რა დროს და როდის...
ერთ დღეს სულ ჩუმად და უმიზეზოდ
გაზაფხულის ხმა ჩემთანაც მოდის.
გამჭვირვალე და სუფთა დღეები
მოადგნენ სარკმელს და ლაჟვარდს გასცდნენ.
მოკრძალებული გუშინ ხეები
უცებ დაქალდნენ და დავაჟკაცდნენ.

1946

ჩემი პასუხი მკურნალ ექიმებს

რომ მეუბნებით — ნუ აღელდები,
გულთან ნურაფერს მიიტან ახლოს,
არც სიხარული და არც ელდები
პატარა გულმა არ უნდა ნახოს;
რომ დაინახო, ცეცხლი მოედოს
ულამაზეს სახლს, ხელთუქმნელს, ძვირფასს,
არ გაეკარო ახლოს მოედანს,
იქაურობას მოშორდი იმ წამს, —
მე მაშინ უნდა სხვა კაცი მერქვას,
მე მაშინ უნდა სხვა კაცი ვიყო.
რკინა არა ვარ, არა ვარ ძელქვა,
ასე დავდუმდე და გავირიყო.
ღელვაც, ქუხილიც მე ვნახო უნდა,
რომ საუკუნეს შევერწყო წამად
და ამ ჭიდილში დავეცე თუნდაც,
ცხოვრება თვითონ მომაწვდის წამალს.

1961

მუსიკის ხმაში

შენც უკრავ, შვილო, შენი თითები
ირგვლივ ფანტავენ ბგერებს და ფერებს...
კვლავ ახალგაზრდა კაცად ვითვლები,
მე შენს შემყურეს რა დამაბერებს!
რა დამაბერებს მუსიკის ხმაში,
ახალგაზრდული ბრწყინავს იერი...
არ გამერევა ჭაღარა თმაში,
არ გათეთრდება თმა უსიერი.
როცა პირველად წვერს გაიპარსავ,
მამაკაცობას იგრძნობ პირველად,
იდუმალების შეაღებ კარსაც,
მოგეჩვენება გასაკვირველად
ეს მშვენიერი ქვეყანა ჩვენი
და თვალუწვდენი ცხოვრების ჩქამიც
და ეს მუსიკა, ეს მამაშენიც
და ეს წარმტაცი სიცოცხლის წამიც.

1955

არწივზე მაღლა

მეხარბებოდა ბავშვობიდან
არწივის ფრთები,
მეხარბებოდა ფრთაგაშლილი
არწივის ფრენა,
ახლა კი უცბად ცადაწვდილი
დადაბლდნენ მთები,
გამიწიურდა დაბურული
კაცისთვის ზენა.

მცირეა თურმე უსასრულო
ჩვენი ხმელეთი,
ვიწროა მისი სარკმელები
და მისი ბჭენი,
ჩვენს დედამიწას შემოაჭდო
კაცმა ხელები
და თვითონ გახდა მაღალი და
თვალმიუწვდენი.

გასცდა არწივს და მიუწვდომელ
ოცნებას გასცდა,
ადამიანის გაფრენილი
გუმანიც, ფიქრიც
და სიხარულიც, აღტაცებაც,
სურვილიც, განცდაც
ამ უსასრულო თვალმიუწვდენ
სივრცეში მიჰქრის.

მიჰქრის და კაცი არასოდეს
არა გრძნობს დაღლას,
მისი გონება მოქმედია
და მუდამ მჭრელი.
ადამიანმა დე, იფრინოს
სულ მაღლა, მაღლა,
მის ოცნებას და აღმაფრენას
არ ჰქონდეს ჭერი.

1963

დავით გაჩეჩილაძე

ძახილი უკვდავეგბისა

განა მომკლეს... გუზგუზებდა ცეცხლი ცათამდი
და მინდორში ყვავ-ყორნების თვალწინ გავთავდი...
არა, ისევ ცოცხალი ვარ, ბედო თავხედო...
ისევ მინდა, ჩემს მშობლიურ ზეცას გავხედო;
სად სველ მიწას სისხლის ჭორფლი გადაწმენდია,
მწვანე ბორცვი ჯერ მსუნთქავი ჩემი მკერდია.

მე აქა ვარ, სად მინდორი დაუსაბამო,
ცის ნაპირთან ცისფერია, როგორც საღამო...
სად ნიავი შეაქანებს ბალახის ჩრდილებს,
შეირხევა, ბორცვი მშვიდად ამოიფშვინებს
და ფარფატით აფრინდება თეთრი პეპელა,
სიცოცხლის და გაზაფხულის მაუწყებელად.

მე აქა ვარ, სად ღრუბელი მარტოდმარტოა,
წუხელ ქარმა ცის ნაპირთან რომ მიატოვა.
თვლემს ღრუბელი და სიჩუმის ისმის ჩურჩული...
აქ დავლეწე მე ფოლადის შავი ურჩხული
და ეს ნისლი, კენწეროზე ხეს რომ ავლია,
ჩემი ხელით გასროლილი თოფის კვამლია.

ჰეი, მგზავრო! — შესდექ, შარას საით გაჰყევი...
ხედავ, ჩემსკენ ბილიკია გადმოსახვევი...
დიდ ბრძოლაში გამარჯვება ვისაც მეღირსა,
ახლა მებრძვის სულ პატარა გვიმრა ველისა.
ყურს ნუ უგდებ, დაჯექ, წყნარად ვიმასლაათოთ...
განა ველზე ვერ მიპოვნე უმისამართოდ?..

განთიადო! განა მიწით გადაიგლისა,
მე ბრძოლის დროს რომ დავკარგე სარკე ჯიბისა...
იქნებ სადმე მისი ბრწყინვა დაგნახვებია...
ალბათ ახლა შიგ ბინდი და ბალახებია...
თუ როდესმე შენ იელვებ თოვლის მთებიდან,
იმ სარკეში პირს ვიპარსავ სამართებლითა.

არა, თურმე საფლავში ვარ, ჩაქრა სანთელი...
მე მიწისძვრა ტანში მივლის, ვით ჟრუანტელი...
და ჩემს თავქვეშ სასთუმალიც უგრილესია, —
თოვლისფერი მკლავის ნაცვლად მუხის ფესვია.

მაგრამ ვიცი, ვერ დამფაროს ბალახ-ბულახმა;
მახსოვს, როცა სამარესთან ვიწექ გულაღმა,
როცა ერთხმად, უკანასკნელ დამშვიდობებით,
დარდიანად აგრიალდნენ ირგვლივ თოფები,
უცებ თვალი გავახილე და, უძრახველი,
შორს შუქივით მიდიოდა ჩემი სახელი.

მაშინ მივხვდი, მეძახოდა მე უკვდავება...
ვცან, თუ ვინ ვარ და ეს გვიმრა რას მედავება.
მე ავდგები, მე ტანი მაქვს გაზაფხულისა,
წინ ფუტკარი წამიძღვება ხმად ჩონგურისა
და იელვებს ჩემს მღიმარე თვალთა კამკამში
საქართველოს მოწმენდილი ზეცის კაშკაში.

1967

სიტყვა გენერალ ლესელიძის გარდაცვალებაზე

ნეტავ სად არის... დღეს სარდალმა დაიგვიანა...
მზე კავკასიდან, ვით სპილენძის ელვარე ბუკი,
ეძახის, უხმობს... შორ ნისლებში ბარბაცებს შუქი...
ნეტავ სად არის... დღეს სარდალმა დაიგვიანა...

წევს ლესელიძე, დაჰფენია შუბლზე ნათელი...
ბათქით ფარაჯაშეკვამლული, ბრძოლის ველიდან,
მარადი ხსოვნის სინათლეში იგი შევიდა.
წევს ლესელიძე, დაჰფენია შუბლზე ნათელი...

აი, იებიც, ვით ლაჟვარდის ლურჯი ცრემლები,
ამ ვარსკვლავებქვეშ ეს მთა-ბარი რომ ჰყვარებია,
მისთვის სამშობლოს ბელტებიც ხომ ყვავილებია...
აი, იებიც, ვით ლაჟვარდის ლურჯი ცრემლები.

დე, რტო ვაზისა მის საფლავზე აინთოს მწვანედ!
კავკასიონზე როს სიკვდილთან ფარიკაობდა,
მის მიმოქნეულ ხმლის ნიავში ქართლი ჰყვაოდა...
დე, რტო ვაზისა მის საფლავზე აინთოს მწვანედ!

წევს ლესელიძე, დროშებს არხევს მუსიკის ქარი
და კუბოს ფიჭვში აფრთხიალდნენ თითქოს ჩიტები,
შეკრთნენ, აჟივლდნენ ნაღვლიანი აჭიკჭიკებით...
წევს ლესელიძე, დროშებს არხევს მუსიკის ქარი.

დიდი თორნიკეს შთამომავალ სარდალს დიდება!
ჩვენთვის იბრძოდა უშიშარი „ვითარ უხორცო“,
ასწიეთ ჭიქა, გულდაწყვეტით გზა დავულოცოთ...
დიდი თორნიკეს შთამომავალ სარდალს დიდება!

1967

კრწანისი

ეს კრწანისის მინდორ-ველი როგორ დაინისლა.
თელეთიდან ნიავს მოაქვს ხმები დაირისა,
თითქოს სადღაც ფშავ-ხევსურთა შორი დაფი ისმის,
სოღანლუღზე ეჩვენებათ დროშა საჭურისის;
რუხ ბალახში გაიელვებს წამს სინათლე მკრთალი,
იქნებ, ისევ იკლაკნება ყიზილბაშის ხმალი...

არა, სცურავს თეთრი გველი სადმე შამბის ძირას;
სძინავს სიკვდილს... მტრის დაჟანგულ ხმლის ნატეხში სძინავს.

ქართლის ცაშიც სძინავს ელვას, არა ჰქუხს საავდარო.
შენ კი სად ხარ, კრწანისელთა დიდო ალამდარო?

სად ხართ, სადა, სევსურებო, ფშავნო, არაგველნო!
ხელში ხმლებით მოქლოშინდით, მთები გადმოგევლოთ;

მოხვედით და არ გაბრუნდით უკან აღარავინ,
იბრძოდით და არ გეწვოდათ ხმალთა ნაღარავი.
მაგრამ, გმირნო, ბუკ-ნაღარა თქვენ რომ დაუკარით,
ვინ აკრიფა... ვინ გაუღო მტერს თბილისის კარი?

განა საფლავს ჩაგაყოლეს მოჩეხილი მხარი!
ვუცქერ... ველზე ჩოხის ნაფლეთს აფრიალებს ქარი,
თუ კრწანისის მღვრიე ცაში რომ დაფრინავს ძერა,
მისი ჩრდილი დაფარფატებს მინდორს ნაცრისფერად;

ჩრდილიც გაჰქრა...
სთვლემს კრწანისი და მიშხუის მტკვარი,
სდუმს მიწაში ჩაწყობილი კახთ-ბატონის ჯარი.
და მეც ვდუმვარ...
თეთრი ნისლი რად ჰგავს დედის მანდილს...
ო, ეს დედა, ქართვლის დედა, თქვენს საფლავზე დადის.

ნაღვლიანი თქვენი მამა ჰაერს აცახცახებს...
ბალახებქვეშ, როგორც წყალში, ხედავს შვილთა სახეს.
თქვენ სიყვარულს მღერის იგი, გმირნო კრწანისელნო,
რომ სამშობლოს ცხელ მიწაში წყნარად განისვენოთ;
და როს ზეცას მზე ანათებს, წითლად გადმომდგარი,
თითქოს თქვენი ფარი ელავს, სისხლიანი ფარი.

1967

ს ა ლ ა მ უ რ ი

მცხეთაში, ერთ სამარხში, ნახეს მწყემსი
ბიჭის თავისქალა და სალამური.

ჰეი, ფრთხილად! ფერფლს ფეხი არ დააბიჯოთ...
გამარჯობა, შენ მცხეთელო მწყემსის ბიჭო!
ქვის კუბოში მზე ჩადგა და აღარ ბნელა,
სიჩუმეა, თავს დაგნათის ზეცა ლურჯი
და ვგრძნობ, თითქოს დაფუსფუსებს სალამურში
შენი სევდა, ჩუმად, როგორც ჭიანჭველა.

განა მართლა მწყემსი იყავ თმახუჭუჭა...
ახმიანდი ქართლის მიწა ერთი მუჭა,
დასძარ სიო და შთაჰბერე სალამურსა
და კომბალით კვლავ გაივლის ლანდი შენი
და კვლავ შრიალს დაიწყებენ ხევში ხენი,
სად შენს ფარას მტკვრის ელვარე წყალი უსვამს.

შთაჰბერე და, შემოსილი ვეფხვის ქურქით,
ხელმოჩრდილვით ცას გახედავს ასპარუგი,
აღსდგებიან ძველ ციხეთა ნანგრევები;
შორს დარეკავს ზანზალაკი ქარავანთა
და დაისით შეწითლებულ გალავანთან
ღრუბლებივით თავს ასწევენ აქლემები...

ამთქნარებენ, აქ თავდება მიწა იქნებ...
მთის მაღლობზე ელვასავით ხმალს რომ იქნევს,
არმაზია, წმიდა კვამლით შენისლული.
აი, მცხეთა, ქართლის ფუძე, ქართლის დედა...
რას მოსთქვამდა მის ხავსიან მკლავზე ნეტავ
ჩქერი მტკვრისა თუ მშფოთვარე ქართლის სული?

ან შენ, ბიჭო, სად ვიდოდი ჩუმ ოცნებით,
სად შემოგხვდნენ მტრის მრისხანე შუბოსნები?
აქ ხომ ყველგან მებრძოლ გმირთა ნაღმუვლია...
ცა მცხეთისა რამდენ ისარს გაუბზარავს,
იმ ღრეებზე მიხეთქებულ რამდენ ფარას
ზღვის ქაფიან ზვირთებივით გადუვლია?

ხომ იბრძოდი? ხომ გიყვარდა ჩვენი ზეცა?
აბჯრის ნაცვლად შენ სინათლე ტანზე გეცვა,
მზის სხივები, გადმოსული მაღალ ციდან.
შენ კვდებოდი, და წყვდიადში ლოცვის ხმებით
გულცივ არმაზს მოქანცული ქურუმები
გარს უვლიდნენ ჩირაღდნების ბარბაცითა.

შენ კვდებოდი, და ბალახში დანამული,
იქნებ, ძაღლმა მოგიტანა სალამური,
თვალწინ დაჯდა მოწყენილი ღამის ბინდად;
რომ შთაბერე, კვლავ აინთო ზეცა ლურჯი
და ტკივილით ათრთოლებულ სალამურში
უცოდველი შენი სული ამოფრინდა.

ამოფრინდა და ბუჩქნარში ჩიტის ხმებთან
ვარდისფერმა განთიადმა შეიერთა;
ჰო, ეს მოხდა უთვალავი წლების წინათ.
მაგრამ, ბიჭო, შენს სიწმინდეს, შეუბღალავს,
იმ შენს გრძნობებს, ვით თოვლის ქვეშ მინდვრის ბალახს,
აქ მახლობლად უსათუოდ სადმე სძინავთ.

1967

საწუთროს გზაზე

საწუთროს გზაზე, სად მარტოდენ ჭმუნვა მეღირსა,
საწუთროს გზაზე, ლურჯ ნათელში შეღამებისა,
ისევ ციმციმებს ჩემი ყრმობის ციცინათელა...
ისევ გამოველ სევდიანი ფიქრთ გასართველად.
საწუთროს გზაზე, თავდახრილი და ხელგაშლილი,
ცის მნათობებთან ვლაპარაკობ ბარათაშვილი.
საწუთროს გზაზე, ყარიბ მგოსნის ნისლიან გზაზე,
ფირუზის ქოლგით სეირნობდა ცის სილამაზე,
იყო ყაბახი, იყო ქვეყნად ქალი კეკელა...
ჰა, მიწის ორთქლში ამოფრინდა ოქროს პეპელა,
ფრინავს პეპელა, თეთრ შროშანას მოსამსახურე,
იგი საყურე დედოფლისა, უცხო საყურე...
მითხარ, პეპელავ, ალმასის თვალს აქ რისთვის ახელ?
რად მიატოვე შენ უმშვენეს ასულის სახე?
სად არის ახლა ჩემი სატრფო, კარგო პეპელავ?
ყველას ვახსოვდე, ის მეყოფა დამვიწყებელად...
იქნებ აქვეა უხილავად გამოსახული
და ნიშანს მაძლევს პეპელასებრ უცხო საყურით.
ფრინავს პეპელა, თავს ევლება მინდორში ეკალს,
ისეთი რხევით, თითქოს ტურფა კვლავ ჩვენთან ცეკვავს.
უცებ შემკრთალი ელვარებით ოქროფრთიანობს...
იქნებ დამღერის ახლა წყნარად ფორტეპიანოს
და რად არ მესმის, ტურფამ ყელი თუ მოიღერა?
თუ ეს დუმილი თვით სიკვდილის არის სიმღერა...
ვაჰმე! სატრფოო, შენ მიწა გაქვს თურმე ლოგინად
და საფლავის ქვას ვერცხლის სირმით სწერს ლოკოკინა,
მშვენება შენი ბნელ წყვდიადში ქცეულა ნაცრად
და ყრუდ შრიალებს ტყე ანწლისა შლეიფის ნაცვლად.
არც შენი სახე, არც ჭიკჭიკი შენი მერცხლური...

ძველ აკლდამასთან ბოლავს მთვარე, ვით საცეცხლური.
და თუმც დამდნარან თოვლად ნაკვთნი მარმარისანი,
მე სიყვარულის უკვდავებით მაინც გიცანი.
ო, არ გეგონოს, ბურუსია ცისკენ აშლილი —
ეს ხელაპყრობით შეგღაღადებ ბარათაშვილი
და როს გაელავს ცას ცთომილი მიუსაფარი —
ეს შენ დამეძებ სიყვარულის წმინდა ლამპარით.
ასე მგონია, ეს ცის ნამიც შენი ცრემლია
და ვარდ-ყვავილნი შენს ცრემლებში იფურცლებიან.
ჩემი ლექსებით, ჩემი სულის მშფოთვარ ღრუბლებით,
შორი მიწიდან ცაში მავალს გესაუბრები...
ნუთუ შეხვედრა ჩვენს ლანდებსაც აღარ ეღირსათ,
საწუთროს გზაზე, ლურჯ ნათელში მწუხარებისა?

1959

ძველ სიმღერას როცა ვუსმენ

ძველ სიმღერას როცა ვუსმენ, ძველ სიმღერას,
შემაჟრჟოლებს, თითქოს ვიყო სიზმარში...
წარსულიდან წამსვე ქარი დაუბერავს
და უკუნეთს გამოარღვევს რიჟრაჟი...
იმ წარსულის მიმქრალ შუქით ვილამპრები,
ჟღერს ჰაერი ჩონგურების დაკვრითა...
წინაპრები, ქართლის დიდი წინაპრები,
ჩანან როგორც დაბინდული სარკმლიდან...

— მანდ ვინ ხართო! — ჩვენკენ გამოსცქერიან
და სამშობლოს სადიდებელს მღერიან.

ძველ სიმღერას როცა ვუსმენ, ძველ სიმღერას,
სადღაც ხევში ძველისძველი ციხე დგას...
ჩამტვრეული ხმლის პირივით წყალი ელავს,
კოშკის ბანზე ქალი გამოიხედავს...
ფერმიხდილი ცას გაჰყურებს მწველ ოცნებით,
ხან ლოცვის ხმა, ხან ზვირთების ჩქამია...
ცხენოსნები, თოროსანი ცხენოსნები
სამცხის გზაზე მტრისკენ მიიჩქარიან...

შავ ღრუბლებში შუქად შუბის წვერია
და მხედრები ლაშქრულს გაიმღერიან.

ძველ სიმღერას როცა ვუსმენ, ძველ სიმღერას,
ო, ეს გმინვა უხმოდ როგორ ვატარო?!
ბანი ღმუის, მოძახილი სწუხს და ღელავს,
რას ერჩიო ე მაგ ბიჭსა, თათარო...
ჰკლავენ კაცსა, იქ, სიმღერის მიღმა ჰკლავენ,
არც ქომაგი, არც იმედი აღარსად...
სად ჩაგლისა იგი მუნჯმა მესაფლავემ,
ფეხს ვის ვადგამთ, მის სახეს თუ ბალახსა?

ოხრავს მტკვარი, მთვარე სისხლისფერია
და ვარსკვლავნი სულთათანას მღერიან.

მაგრამ, როცა ამთავრებენ ძველ სიმღერას
და წარსული უბრუნდება უკუნეთს,
მეჩვენება, კვლავ წინაპრის თვალი მზვერავს,
ძველი ჰანგიც დიდხანს, დიდხანს გუგუნებს...
შორს ნელინელ ინავლება გარიჟრაჟი,
მოიმწუხრებს ზეცა გაფერმკრთალებით
და მოფანტულ სანთლებს შორის, გარეჯაში,
პირს აღებენ ჩაჩეხილი თავები...

თვალში ნისლი, თმაზე ტალახ-მტვერია
და მღერიან, „ქრისტე აღსდგას“ მღერიან.

1967

...და გამოვიდა მთესვარი თესვად

და გამოვიდა თესვად მთესვარი.
აჰა დრო იგი წმიდა ჩასახვის, —
რომ განიხდიდა მიწა ცახცახით
ნისლებს საღამურ სამოსელსავით...
და გამოვიდა თესვად მთესვარი.

დილა კი ჰგავდა რტოს ატმისფერსა,
ხნულიც — განფენილ ჩეროს ღრუბელთა...
და სადაც იგი ხნულს გადურბენდა,
წვიმის ჩურჩულად ისმოდა თესვა...
დილა კი ჰგავდა რტოს ატმისფერსა.

ო, რარიგ სათნო და მოალერსე,
იგი მთესვარი მარცვლებს ჰფანტავდა
და, თითქოს რხევა ოქროს თავთავთა,
კრთოდა ღიმილი იმის სახეზე...
ო, რარიგ სათნო და მოალერსე.

და რით არ იყო წმიდანი იგი,
ზე რომ ასწევდა ხელს მოიმედე...
ხოლო ჩიტები ფეხით მისდევდნენ,
ხან კი ჟივჟივით უფრენდნენ ირგვლივ...
თქვით, რით არ იყო წმიდანი იგი...

ან რით არ იყო ეს ჯადოქრობა,
ჯვალოს ტომრიდან თონის ალმური,
ცეკვა, სიმღერა და სალამური
ქვეყნის სალხენად რომ ამოჰქონდა...
თქვით, რით არ იყო ეს ჯადოქრობა?

მეც გაოცებით შევცქერდი ბავშვი
და თუმც კეთილი იგი მთესვარი
გაჰქრა იმ დილის სინათლესავით,
ერთად ცხოვრობენ ჩემს ოცნებაში
მთესვარი, ჩიტი და გარიჟრაჟი.

1967

რარიგ სხვა იყო

რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
განცდა თოფდაკრულ ხარ-ირემივით
გამექცა, ქაღალდს გადარბენილი,
სისხლიღა დარჩა ჩამონაწვეთი...

რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
მე მზის ამოსვლა მსურდა სიტყვაში,
მაგრამ კალმის ქვეშ ჩაქრა რიჟრაჟი,
ვერ გამოვხატე მეათასედი...

რარიგ სხვა იყო, სანამ დავწერდი...
აპრილის რტოთა უმანკოებით
სულში ჰყვაოდნენ ეს სტრიქონები,
ოცნების შუქზე მიმონარწევი...

და რომ დავწერე... და რომ მივენდე
ქაღალდს თუ თოვლსა ახალმოთოვილს,
არც ცვარი შერჩათ და არც ფოთოლი...
ვერ შევუნახე ლექსებს სინედლე...

ეჰ, სულ სხვა იყო, სანამ დავწერდი...

1967



ვიქტორ გაბესკირია

გახსენება ნათესავების, მეზობლებისა

როცა გიგონებთ, თქვენს გარშემო რა სიწყნარეა!
რა სინათლეა! მხოლოდ ხეთა თუ ვისმენ შრიალს...
თქვენ აღარა ხართ, ის ხეებიც აღარ არიან,
წვიმიან დღეში ჩემთვის ასვლა რომ დაგიშლიათ.
მე მახსოვს ზოგს რა ადარდებდა, რად იყო მწყრალი,
ზოგს საით ჰქონდა ყანა, ზოგი სად მსახურობდა...
ო, რა ძლიერი მეგონა მე ის წვიმის წყალი,
თქვენ ეზოების უკან, თხრილში, რომ ხმაურობდა.
თქვენს შორის ბავშვი ხშირად ვმჯდარვარ ძალით თუ ნებით,
თქვენი მრავალი კარგი ქცევის ვიყავ მნახველი...
სად ხართ? ერთმანეთს რად არ უწვდით სათუთუნეებს,
რომ ახლა მაინც მქონდეს ნება, შევახო ხელი.
ხშირად გიგონებთ, ხშირად ვხედავ ჩრდილს მაღალ ხეთა
თქვენს ეზოებში, ვხედავ ლეღვებს დამწიფებულებს...
ზოგჯერ ფიქრებში ისე შორს ხართ და ისე გხედავთ,
როგორც ნისლიან დღით ბორანზე შეჯგუფებულებს.
ხან კიდევ, როცა მიხარია, როს სუფრას გავშლი,
როცა ვღებულობ ჩემს მეგობრებს ტკბილად, გულღიად,
ვფიქრობ — იმგვარი რომელია სუფრაზე ვაშლი,
თქვენ ახალუხის ჯიბიდან რომ ამოგიღიათ.

1956

ზღვისადმი

მე მხოლოდ მაშინ, მაშინა მსურს, გიხილო შენა,
როცა იწყება დრო ქარიშხლის, დრო დაზამთრების,
როცა მოგვესმის შორს გადამფრენ ფრინველთა სტვენა,
მე, ზღვაო, მაშინ, მხოლოდ მაშინ მომენატრები.
ამ დროს შენს სივრცეს მხოლოდ შავი ღრუბლები რთავენ.
უმეგობრდები, ზღვაო, მაშინ დღეებს წვიმიანს,
მიყვარს მე შენი ცქერა, როცა ზვირთნი შფოთავენ,
თეთრი ფრინველნი, შავო ზღვაო, როს დაგწივიან.
ამ დროს ხომალდებს უჭირთ ზღვაზე გაკვლევა გზისა,
მაგრამ მინახავს ბევრჯერ იმათ რომ მიანათა
ამგვარ ავდარში, ისე როგორც სხივებმა მზისა,
თანაგრძნობამ თუ სიყვარულმა ადამიანთა.

1955

გზაზე გაფიქრებული

მე მიხარია, მიხარია, ვგრძნობ, რომ მამხნევებს,
როცა ვუცქერი ნაწვიმარ და უმანკო ხეებს.

როცა გურია მომაგონებს მუდამ საკვირველს
ახალ შრომის თემს, ახალ სოფელს, ძველ ნასაკირალს.

ვეტრფი ყველაფერს, რაც მახარებს, რასაც შევზრდილვარ,
თოვს და თოვაში, ვით დარბაზში, ისე შევდივარ!

1949

შენ ხომ ამ ომში პირველი წახველ!

ჩვენს უბანს, ძმაო, დღეს მზე ამშვენებს,
თუმც ზამთარია და აღარ თბილა,
მეც არა მიშავს, მაგრამ უშენოდ
ყოფნა რარიგად ძნელი ყოფილა.

ბევრი ჩამოდის, უკვე ჩნდებიან,
შენ კი რად გვიხშობ, რად გვიკლავ იმედს?
შენ იმ მხარეში რა დაგრჩენია?
მოდი, ძმაო, და შენც იზეიმე!

რას გვემართლები? რა დაგიშავეთ?
მეც შევძლებ ლხენას, ღვინო ჩვენც შევსვათ!
ნუ გინდა, ძმაო, რომ ეცვათ შავი
შენს დედას, შენს დას, საცოლეს შენსას.

სად ხარ? რა წერას, ბედს დამორჩილდი?!
უბრალოდ ვიტყვი: გასაკვირია!
ყველაზე ცუდი ბედის აღმოჩნდი
ყველაზე კარგი გაბესკირია.

დავალ მზრუნველი ქარში, გრიგალში,
თუ სახლში ვზივარ და ცეცხლს ვუკეთებ,
შენზე ვბუტბუტებ... ჩვენს მცირე გვარში
შენ მოგიგონებ — სხვებზე უკეთესს.

ხშირად ვიგონებ შენს წმინდა სახელს,
შენზე მე ვამბობ, მე ვამბობ მხოლოდ...
შენ ხომ ამ ომში პირველი წახველ,
არ დაბრუნდები ყველაზე ბოლოს?

1945

ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები

ხსოვნაში ზოგის სახე წაშლილა,
ვით ძველი ტაძრის ძველი მხატვრობა,
დამაშორებდა მათ ღიმილს ხშირად
მე სიყვარულისმაგვარი მტრობა.

ოდეს ზღვასთან მზე აენთებოდა,
აიშლებოდა მათი ნავები,
წყალში ფარულად იხატებოდა
მათი ღიმილი და ნაწნავები.

შემიმჩნევია მე სევდა ზოგში,
როს მდუმარებდნენ როგორც ჩრდილები.
სად გადასულან, რომელ ეზოში,
ჩემი ბავშვობის ქალიშვილები?!

ახლა თქვენ გხვდებით, ვისთვისაც ახალ
ქვეყანამ შექმნა საქმე ულევი
და საქართველოს მზეში რომ დახვალთ
ვარდით და გიშრით დახატულები!

როცა რიჟრაჟი თეთრ ღრუბლებიდან
ისრებით დასჭრის ნაბდიან მხედარს,
თქვენ, ლამაზ ქვეყნის ფრინველებივით,
ზღვასთან ნარინჯის ბაღებში გხედავთ!

დაშორებულხართ წარსულს სრულიად, —
დე, ფიქრი, დარდი წარსულში დარჩეს, —
თქვენი კისკისი ნაკადულია,
თქვენი ღიმილი ნაპერწკლებს აჩენს!

1934

* * *

კარგი კაცი კარგ ოჯახში
მოდის სტუმრად...
ყველას ტკბილი სიტყვა უთხრა,
ყველას ტკბილად გაეხუმრა.
ლამაზებო, ლამაზებო,
თქვენ კარებში ხშირად ჩნდებით...

და ჭიქები ბროლის, თიხის
მოფრინავენ ვით ჩიტები.
გაუხარდა სახლში ბუხარს
და მოედო ო, როგორი აღტაცება!..
სურათებში გაიღიმეს
ომში წასულ ვაჟკაცებმაც.

1960

* * *

მე მიხაროდა, მდინარესთან როს ჩაივლიდი,
როს შეგნიშნავდი შენ წიგნებით თუ თაიგულით,
გეტრფოდი, მაგრამ, მომხიბვლელო, შენ არად მთვლიდი
და მწარე სიტყვით მაშინ ბევრჯერ მომიკალ გული!
ახლა, როდესაც ჩემზე ვინმე კარგ ამბავს ჰყვება,
როს შემაქებენ, კმაყოფილნი ჩემით არიან,
შენ გსიამოვნებს, თავმომწონედ გაგეღიმება
და მაშინ, კარგო, შენგან მოკლულ გულს უხარია.

1954

ს ა მ ძ ი მ ა რ ზ ე

ისმის მათ წრეში: „ცუდი დღეა!“, „რა ამინდია!“,
მართლა, რარიგად მოწყენილან შემოგარენი...
სოფლის დიდ გზაზე, შეწყობილად, ერთად მიდიან
ქალები, შავად შემოსილნი, მგლოვიარენი.
დაჰბერავს ქარი გზაზე ცივად, მოურიდებლად,
წვიმაში ზოგჯერ გაერევა ფიფქები თოვლის;
დაჰბერავს ქარი — ზოგის ხელი მიაფრინდება
კაბას, ვით ხიდან მოწყვეტილი ხმელი ფოთოლი.
შავად მოჩანს ტყე, გზაზე ქარი ნავარდობს, უსტვენს,
ზოგჯერ ხეებსაც უძნელდებათ გრიგალთან შებმა...
მოდიან ქალნი, სახით ნაზნი და ტანად სუსტნი,
ერთი მწუხარე ოჯახისა სანუგეშებლად.

1955

* * *

აქ ეწერია, იქით ბაღი!.. იქ ბახვა სახლობს!
გული რად ტოკავს? — მიხარია, აქ ზღვაა ახლოს!
ნესტიანია, მძიმეაო, ნეტავ, ვის უთქვამს?!
მე ხომ ამ ჰაერს სიყვარულით და ხარბად ვსუნთქავ!
მივდივარ გზაზე, მზე კაშკაშებს და მაინც გრილა...
გული რად ტოკავს? — ჩემი კარგი სამეგრელოა!

1988

სიმონა დოლიძე

შენზე მღერიან — ხან თოვს, ხან მაწვიმს,
მაინც შენს ახლოს მოვედი, გიმზერ...
ექვსი წელია, ოცი წლის ყმაწვილს
არ გიძინია, მართლა, ლოგინზე?!

რად მოინდომეს შენი ღალატი?
გვიმრებში ზიხარ, გითრთის სხეული,
ვხედავ, გაცვია ჩითის ხალათი
და ისიც მხართან გაქვს გახეული.

მინდორი ჰყვავის, მთებში თოვლი ძევს,
ო, რომ შეგეძლოს, როგორ გაშლი მხარს...
რად უნდა მოგკლან? — შენ ხარ დოლიძე,
სხვაგან ხომ არა, მერიაში ხარ.

მგონია, რომ გსურს შეასხა ხოტბა
ამ მთებს, ამ მინდორს, ნალიას, ყანას...
შენ ხომ ყაჩაღად არა ბოროტმა,
ალალმა გულმა გამოგიყვანა!

შენ ხომ მართალ კაცს არ აწუხებდი,
და მაინც ყმაწვილს თვალებგიშრიანს,
სადმე ბუხართან სველი წუღები
კალანდა-დღესაც ვერ გაგიშვრია.

ლხინში გიტარის სიმები ჟღერენ
ჰანგებს მჩქეფარეს, ხან კიდევ წყნარსა...
გურიაში ვარ, შენზე სიმღერას
შემოვსხდომივართ, ვით ბჟუჟის წყალსა.

1962

ის იღიმეგა...

მიუახლოვდა მგლოვიარე წრეს
მეგობარ ქალთა თეთრი კრებული,
დახედეს, შეკრთნენ: — ის ვარდებში წევს
გაფითრებული.
ვეღარ ახერხებს სიტყვას ვერავინ,
ისიც ტოლებთან უსიტყვოდ დარჩა,
იქვე დევს თეთრი, შეუკერავი,
საკაბე ფარჩა.
დადუმებული არ ითხოვს შველას,
გოგონების წრე ცრემლად იღვრება,
ის სურათიდან დასცქერის ყველას
და იღიმება.

1987

ზამთრის დილა ჩემს სოფელში

ცეცხლი დაანთეს მოკრძალებით, ზანდუკზე დადეს
ჭრელი საბნები, აბრეშუმის ძაფით ნაკერი.
სიჩუმე არის ოთახში და დევს მაგიდაზე
სანთლის არაყი და ტკბილისკვერი.

ტკრციალებს ცეცხლი და თოვაში მოჩანს ფანჯრიდან
განაბული ტყე, ზამთარს შიშით რომ ეგებება.
წნელის ღობესთან, ბუჩქებს შორის, შაშვი დაფრინდა
და იკენკება.

ოთახში არვინ არ შემოდის, ვერ მოიცალეს
ალბათ ჯერ კიდევ მასპინძლებმა, დავცქერი ბუხარს:
მივიწყებული, ასე ტკბილი ცეცხლი ტკრციალებს
და მეუბნება — „ჩვენებური ხარ!“.

1988

ცხრა ძმა ხერხეულიძე

ყანაში, მინდვრად ძმები მუდამ ყოფილან ერთად,
ერთად შეუკრავთ ბულულები და პურის ძნები;
და ახლაც ველზე მარაბდისა,მრისხანე მტერთან
შესაბრძოლებლად ისევ ერთად მოსულან ძმები.
აი, გამოკრთა ცის ტატნობზე სხივები დილის,
ინათა ველზე და გაბრწყინდა დროშები, ჯვარი;
დაჰკრეს ნაღარა და უეცრად ხმალამოწვდილი
დაეშვა ველზე საბრძოლველად ქართველი ჯარი.
ისმის ყიჟინა: „ჰკა მაგას!“ და „ქართლზე მშვიდობა!“
იბრძვიან ძმებიც ურიცხვ მტერთან, აღარ კრთებიან.
არ ჩამოგვრჩესო და ბრძოლაში არ შეშინდესო,
ყველაზე უმცროსს, გამოუცდელს აკვირდებიან.
გადასძახებენ, ამხნევებენ, ისიც აღარ ჰგავს
შემკრთალ მეომარს, მტრის მრისხანე იერიშს უძლებს,
წინ მიიწევენ მეომრები მტრის ჯარში, მაგრამ
ოთხი მოაკლდათ ომში ცხრა ძმა ხერხეულიძეთ.
შეირყა, გატყდა ურიცხვ მტერთან რაზმები რკინის,
დროშა ბრძოლისა მიაქვს მთებში ფერმიხდილ მხედარს:
უკანასკნელი ძმათაგანი მტრის ჯარში ჰკივის,
მოუხმობს ძმებს და მეომრებში მათ ვეღარ ხედავს.
ისიც დაეცა, მწუხრში მკრთალი მზე ანთებს ლამპარს,
მტერი კი სთელავს ველს დაღუპულ მეომრის ნათესს,
მდუმარე ველზე წამომდგარა დაჭრილი პაპა
და ამბობს: „ძმებო, ზეცას თქვენი სული განათდეს!“

1984

ფიქრი

ჩადრით, ღიმილით ლოდთან იდექი,
გრძნობ შენი ტყეა, შენი კუთხეა,
წყაროსთან ისე მიხველი დოქით,
როგორც წიგნებში წამიკითხია.

შემომხედე და ვიგრძენ სიშორე,
დამრჩა უთქმელი და ჩუმი დარდი,
ამ დუმილსა და ამ ლოდებს შორის
მიიმალე და გაუჩინარდი.

რომ ავყვე ფიქრებს — ლექსის ამ ავდარს,
უნდა დავდევდე გარეულ მტრედებს,
ან სადმე დარდის დასაღადრავად
ლექსს ბებუთივით დავატარებდე.

უნდა მადარდოს შენმა ამბავმა
და მთვრალს მეძინოს შენ სახლის ახლოს,
რომ გარიჟრაჟზე იქ მთიბავებმა
მე მზის ისრებით მოკლული მნახონ.

1985

მანეკენი

დაღლა ეტყობა მის გაწვდილ ხელებს,
მაგრამ მას მაინც სურს გაინაზოს,
და ჟრიამულში მოსულ მყიდველებს
ის საკოსტუმე ნაჭერს თავაზობს.

ხელოვნურია, კარგად იციან,
ის ცოცხლებს შორის არვის უნახავს,
მაგრამ მას მაინც სუფთად აცვია,
მაინც ქალური მორცხვობა ახლავს.

სახეზე დარდი აღარ ემჩნევა,
იგი არავის არ აკვირდება,
მაგრამ, მგონია, როს მარტო რჩება,
ღამით თავს დახრის და ატირდება.

1980

ახალგაზრდა ქვრივი

მისი საკვები არის თაფლი და ჭირნახული,
მისთვის ერთია ველ-მინდორი ჰყვავის თუ ჭკნება.
თუ უხარია, მხოლოდ მაშინ, როს გაზაფხული
მოვა და ხეზე ღვთის ჩიტი კვლავ აჭიკჭიკდება.

ყურს უგდებს მერცხალს დილით, როცა მზე სხივებს აკმევს,
რადგან ჰგონია, გარდაცვლილ ქმრის ამბავი ესმის,
ხშირად კი ასე გაიფიქრებს, რომ მის თეთრ სარკმელს
ის სიყვარულის ნიშნად ციდან მზის სხივებს ესვრის.

დადის ეზოში, იგი ხშირად მოაგონდება,
როცა დახედავს ქამარ-ხანჯალს ქმრისას — ცრემლი სდის,
ყველაზე მეტად კი საბრალო მაშინ ღონდება,
რომ გაიფიქრებს: „ასე როდემდის?!“

1937

ისევ ზღვისადმი

მე ხშირად ვხატავ ლექსში ქარხნებს, ველს თუ ნიბლიას
და გატაცება შენით, ზღვაო, მინდა, ვიკმარო,
მაგრამ ვერ გაღწევ თავს და, ხშირად, ჩემს უნებლიეთ,
ფიქრებში ლურჯად გაანათებ, ჩემო ცისკარო!

ჩნდებიან ფიქრში შენი ზვირთნი და ხომალდები,
ხშირად ყურს ვუგდებ განაბული შენს შფოთვას მართალს.
შენგან შორსა ვარ, მაგრამ ისე მიახლოვდები,
რომ ზოგჯერ ტალღებს ალივლივებ ჩემს სასთუმალთან.

1956

ალიო მირცხულავა

სამშობლო

1

აი, ქვეყანა, სად უნაყოფოდ
უბრალო ხეც კი არ დარხეულა,
მთა ჩახვეულად მთას ეფარება,
შიგ ელვასავით გზა დახვეულა.
გინდა მთელი დღე უსმენდე ნიავს,
რომ სიხარული იგრძნოს სხეულმა,
მიდამო პურის ნამქერებს მიაქვს,
მზის შადრევნებით ცა გარღვეულა.

მთას გადაივლი, ისევ მთებია,
ტყის ფარჩეულით შემოსილები,
ისევ ფრიალო დაღმართებია,
ირგვლივ ჟღერაა სხივთა სიმების,
ველზე გაშლილა მდელოს ხავერდი,
ამოქსოვილი ოქროს სირმებით,
ტანად მაღალი და რქანაყარი
ხეები დგანან, როგორც ირმები.

მიწა ერთია, მხოლოდ ფერებით
დაშორებულან უბნებს უბნები,
ხშირად ფოთლების ლაჟვარდებიდან
ბრწყინავს ატმები და ალუბლები.
მარჯვნივ ზღვა ღელავს თავთუხიანი,
წაშლილან ცის და მიწის ზღურბლები,
მარცხნივ გახედავ: მთის ფერდობები
დაფარულია ცხვრების ღრუბლებით.

2

შეერთებია სოფელი ქალაქს
გზებით, ნარებით, წალამურებით,
აყვავებულან ბაღში დროშებიც
ფერწითლები და საამურები.
მცენარეებში ყვინთავს ქალაქი,
გაყვითლებულა ცა ალმურებით,
ძლევამოსილი შრომის დიდებას
მღერიან ქარხნის სალამურები.

უხვი ნაყოფის და ჭირნახულის
ხვავად ქცეულა სოფლის ამაგი,
ვეღარ ეტევა ქვევრში, ბეღლებში
ხორბლეულის და ღვინის მარაგი.
გამდიდრებულა მთელი მიდამო
დაუშრეტელი შრომის ბარაქით,
ღვივის სოფელი: გლეხის ეზოში
დგას სურნელება რძის და კარაქის.

შეხვალ ბაღში და — ყრუ ჟრიამულით
ცა დაგადგება მწვანე ტევრების,
ზოგან ქლიავით დაბინდულია,
ზოგან — ნარინჯთა სხივთ შადრევნებით.
ხენი ზემოდან ხელებს გიშვერენ,
რომ მოგაწოდონ მწიფე მტევნები,
დაგავიწყდება შენი ასაკი,
ვაზებს ბავშვივით აედევნები.

3

ჩემი ქვეყანა, ეგრე ლამაზი,
შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან ღრუბლებიც დაფანტულია.

ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ,
ხან ვენახებით დახლართულია,
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი,
ცა — ფიროსმანის დახატულია.

1936

ლ ე ნ ი ნ ი

შენ ჩამოგვშორდი, ბელადო ლენინ,
და ქვეყანაზე ობლად დაგვტოვე,
გადაეფარა ტრაური ბნელი
კაცობრიობის სხვადასხვა ტომებს!

გლოვობს თბილისი, მოსკოვი კრემლით,
დროშებმაც თავი დახარეს დაბლა,
სიკვდილი ნათელ სიცოცხლის ნგრევით
ჩვენს აღმაფრენას დაეცა დამბლად!

მაგრამ, ო, არა! არ გვინდა ცრემლი,
შენ ჩვენთვის ეს არ გიკარნახია,
ვჯავრობთ საჯაროდ და სიკვდილს ვწყევლით,
რომ თავზე გვახვევს ფიქრებს ნაღვლიანს.

რისხვა ამოდის მკვეთრი, ძლიერი,
მტრებს დავიმონებთ თოფით, ელვითა,

შენებრ მებრძოლი და შენმიერი
ჩვენს წითელ ლაშქარს თუ მოევლინა.

გფიცავთ: შენს დროშას ვატარებთ მაღლა,
დავეხმარებით შრომისგან დაღლილთ,
ლენინ! შენს თვალებს ჩვენ არ დავმარხავთ,
ლენინ! შენს შუბლზე მიწას არ დავყრით!

შენ თვალებიდან ცეცხლი გცვიოდა,
შიგ ახლაც შფოთი და სამუმია,
დე, შეინახოს კაცობრიობამ
შენი სახელი, როგორც მუმია!

გაივლის ჟამი მტვრევით, ხმაურით,
სულ სხვანაირი მოვა ცხოვრება,
მოვა სხვა ხალხი და სიყვარულით
შენს უკვდავ სახეს ეამბორება!

1924

ხორგა

I

დიდი ხანია, რაც დავტოვე მშობელი ხორგა,
ხმაარეული სიმღერები ბაყაყ-გორდების, —
დედავ, ამბობენ: სინანულით ხატებთან ბორგავ,
ჩემს დაკარგვაზე ალბათ ფიქრობ და გაგონდები!

მომდის ბარათით საყვედური განუზომელი,
უნახაობა შენი შვილის ძლიერ გაწუხებს, —
დედავ, ნუ მელი! მძულს ჭაობის გუბე — სოფელი,
თითქოს უჟმური დასახრჩობად მიჭერს მარწუხებს!

შენ კი პატივს გცემ, როგორც დედას, კარგო მამული,
შენს ალერსშივე მიმრთელდება გული დახშული.
შენში ვიგონებ მარტის მთვარეს და იმ ალიონს.

როცა მოვშორდი სოფლის დარდით გამურულ სახლებს
და, როგორც თვალი, შევეზარდე ქალაქის სახეს,
დედათა შორის ძვირფას დედას გარქმევს ალიო!

II

ათი წელია, რაც ერთმანეთს დავშორებივართ,
გნახე, ვერ გიცან, შენი ენა თითქოს არ ვიცი,
ათი წელია ჟამს ვებრძოლე აჟრჟოლებულად
და ტანში მაინც კოღოების კვნესას განვიცდი.

აი, გავცქერი მშობლიურ სახლს ყავარგათელილს,
ეზოც გაცვეთილ ხალიჩებით არის გაშლილი,
კვლავ დაბაჩუნობს დედაჩემი სახენათელი,
დასდევს ხბოსა და... ხბოც კუნტრუშობს ბაღში ბავშვივით.

შორს კი — ნაღმების აფეთქებით კრთიან ველები,
უჟმურს ებრძვიან ჟანგისფერი კოლხიდელები.
წყალნი წასულან და წასულა სადღაც რიონი.

კოლხიდის მიწა ტანს იშუშებს სველს და მანკიერს, —
და ჩემს ეზოშიც, ლაქაშების ნესტის მაგიერ,
მანდარინების, ნარინჯების დგას ალიონი.

1924 — 31

დამკვრელი ბრიგადები

თქვენ დამკვრელი ხართ, დაზგებს ამღერებთ,
ტემპიც მატულობს ყოველდღიურად,
დასცხეთ, დაჰკარით მარცხებს, გარღვევებს,
დასცხეთ, დაჰკარით კოლექტიურად!

ჰა, გრაგანებენ კვლავ მანქანები,
ყალყზე დგებიან, გრიგალდებიან,
ტემპს რომ ხვდებიან მძლავრ გაქანებით,
კომკავშირული ბრიგადებია.

თითქოს მანქანა დაზგებს დაჰხარის,
ყალყზე დამდგარი ბორგავს გმირულად,
დასცხეთ, დაჰკარით, დასცხეთ, დაჰკარით,
დასცხეთ, დაჰკარით კომკავშირულად!

აზვირთებულა ტალღა შეჯიბრის,
ბორგავს, ბობოქრობს შრომა ზვიადი;
დიად ხუთწლედის გამარჯვებისთვის
იბრძვის მუშათა ენთუზიაზმი.

მაშ, როგორ გინდათ, როგორ გავასწროთ
ომის ქარცეცხლით მძვინვარ ევროპას?
დასცხეთ, დაჰკარით, როგორც არასდროს,
რბევას, გარღვევას, დაუდევრობას!

აღფრთოვანებულ მკერდით მოვდივართ,
რომ დამკვრელობის გავყვეთ მაგალითს,
თურმე ჩვენ შორის ტემპი ყოფილა
შრომის პირველი დამკვრელთაგანი!

ის ქარხანაა შავი, მტვრიანი,
კვამლის კრიალით მთებს რომ ედება,
ჰქმნის მანქანათა ჩქარი ტრიალით
ინდუსტრიალურ შემოქმედებას.

ფორდს ეჯიბრება პუტილოველი,
(გახლავთ საბჭოთა მტკიცე ხელობის),
უნდა გაკეთდეს ნივთი ყოველი
ბოლშევიკური მსოფლმხედველობის.

ვხედავთ — მტრის მიერ განვლილ ნაბიჯებს.
ჩვენკენ სისხლიან ომს რომ აჩაღებს,
რისხვა, პროტესტი რამზინს, ლარიჩევს,
ინტერვენციის მომწყობ ყაჩაღებს!

განა ოდესმე დასანდობია,
ვინც რესპუბლიკის ნგრევას გვიმზადებს?!
კლასთა ბრძოლის და ომის ფრონტია
თვით ძლევამოსილ კომუნიზმამდე.

მაშ, როგორ გინდათ, როგორ დავაცხრობთ
სისხლის წყურვილით მძვინვარ ევროპას?
დასცხეთ, დაჰკარით, როგორც არასდროს,
მტრობას, ომსა და დაუდევრობას!

აი, მანქანაც ბორგავს ჩქარ-ჩქარი,
თითქოს ტემპები დასძგერებია,
დაზგის გულდაგულ რომ დგას ლაშქარი, —
კომკავშირული დამკვრელებია.

მეც დამკვრელი ვარ, საქმეს ვამზადებ,
ტემპს გრიგალივით ცეცხლი მოვტაცე
და ვეჯიბრები საწერ დაზგაზე
ინდუსტრიალურ ლექსის ოსტატებს.

მეც გეგმაში მაქვს — კალმით გავღარო
მთების კლდე-გული და წყაროები,
ფიქრთა გვირაბი არის მაღარო,
ლექსი — ფოლადის ნაწარმოები.

აგრიგალებულ შრომის დაზგაზე
დამკვრელ სტრიქონებს ვაწყობ რკინებად,
რომ სხვა იარაღთ შორის დამზადდეს
ბოლშევიკური განწყობილება.

ჩვენ კომუნიზმის ვაგებთ ნიადაგს,
მიწა დროშების ალს დაუფარავს,
წიგნი შრომის დროს აგურია და
ბრძოლის დროს—ტყვიით სავსე ყუმბარა.

ასე მანქანა იბრძვის, ტრიალებს,
არის შეჯიბრი წარმოებების,
ჰქმნიან საბჭოთა ინდუსტრიალიზმს
ჩვენი ლექსებიც და პოემებიც.

თუ გვიბრძოლია თოფით, სხეულით,
დღესაც მედგარი ბრძოლა გვჭირია, —
შრომის ფრონტიდან გამოქცეული
იგივე ბრძოლის დეზერტირია.

მაშ, იგრაგანეთ კვლავ, მანქანებო,
გრიგალივით რომ დაზგებს დაჰხარით,
დასცხეთ, დაჰკარით, ამხანაგებო,
დასცხეთ, დაჰკარით! დასცხეთ, დაჰკარით!

1931

ჰიმნი სამშობლოს

როგორ ვიმარჯვეთ! ეს გამარჯვება
ახლა მტრისთვისაც უკვე ცხადია,
როგორ ავმაღლდით! წარსულისაკენ
რა შორი გზაა, რა დაღმართია.
თავისუფალი შრომის გარეშე
მხოლოდ მონობა და ღალატია,
ამას უამბობს კაცობრიობას
განახლებული ქვეყნის ქარტია.

როგორ ვიმარჯვეთ! ეს გამარჯვება
ახლა მტრისთვისაც უკვე ცხადია,
ყველგან საგმირო და საამური
შრომის დიდება და ღაღადია.
ყოველ საქმეში ბრწყინავს იმედი,
ყველგან ლენინის სიბრძნე ჰხატია,
ამას უამბობს კაცობრიობას
გამარჯვებული ხალხის ქარტია.

თავისუფლებას უფრო სხივმოსილს
ვინ დაიჩემებს, ქვეყნად რომელი,
ქარხნის სალამურს უსმენს ქალაქი,
დამკვიდრებულა სოფლად მშრომელი.
ჩემო სამშობლოვ, შენ გიხაროდეს,
აზრთა სიმართლის რომ ხარ მშობელი,
ამიერიდან შენ გენიჭება
ხალხთა მადლობა დაუშრობელი.

დღეს საბჭოეთის დიად სამყაროს
ერთვიან ძმური ქვეყნის ერები,
ლენინის აზრით გაჩაღებულან
ცრემლით ჩამქრალი მათი კერები.
მათ შორის შენც ხარ, ჩემო სამშობლოვ,
შენი მთებით და შენი სერებით,
შენი ბაღებით და ვენახებით,
შენი სიუხვით და სიმღერებით.

ბედნიერი ხარ: „ქართლის ბედისთვის“
დღეს აღარ ჰგოდებ, აღარც მუნჯდები,
ჰქუხარ სიცოცხლით, შენში მდინარის
ძარღვიც არ არის უხმო, უჩქეფი.
განათებულან ხილთა სინათლით
შენი ხეები, შენი ბუჩქები,
ბედნიერი ხარ... დილის მზესავით
მაღლა იზრდები და იფურჩქნები.

ბედნიერი ხარ შენი აწმყოთი
და, თუ ოდესმე მტერმა ინება,
სცადოს, წამითაც რომ შეაჩეროს
შენი აღდგენა, აღორძინება,
სცადოს საბჭოთა ხალხებისაგან
შენი მოწყვეტა და მოცილება, —
შენ გაიმარჯვებ ისევ გმირულად,
გაქვს ვაჟკაცური გამოცდილება.

როგორ იქნება შედრკეს ქვეყანა,
აკვანი ცეცხლის გამომხსნელისა,
რომელმაც ჰშობა გმირი მებრძოლი,
დამამხობელი ქვეყნად ბნელისა.

როგორ დაჭკნება მთების მშვენება
ან სურნელება მინდორ-ველისა,
როგორ იქნება ჩაუქრობელი
ჩაქრეს ნათელი რუსთაველისა?!

ჩემო სამშობლოვ, დღეს შენი ერი
განახლებული ქართლის ერია,
ასე ხმიერად და ბედნიერად
შენ არასოდეს არ გიმღერია.

ალისფერია შენი მიდამო,
ეგ შენი დროშაც ალისფერია,
შენი სიცოცხლე არის უკვდავი,
შენ დამარცხება არ გიწერია!

1986

გაზაფხული

გაზაფხულია! მოდის მაისი,
სურნელს მოაფრქვევს ბაღში, ყანაში,
მოდის ქართული სიდარბაისლით,
გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში!

ათქვირებულან ნორჩი ხეები —
ვარდ-ყვავილების ფიფქით მოცულან,
ადუღებულან მდინარეები,
ნაპირებიდან რძე გადმოსულა.

მწვანე მოუსხამს მთებს კოჟრიანებს, —
ამოქარგული სხივთა სირმებით,
დაბლა ბუბუნით ტყე მოშრიალებს,
თითქოს დაძრულა ჯელგა ირმების.

აყვავილებულ ბაღში, ვარდებში,
სითბო, სიცოცხლე დგას გაზაფხულად,
ცის ფირუზოვან სილაჟვარდეში
ქვეყნის ღიმილი გამოსახულა.

მთიდან ჩამოდის ბარად ნიავი,
მოაქვს ღუღუნით ხმა სალამურის,
მინდვრად შრომაა ბარაქიანი
სამხიარულო და საამური.

მოჰქრის მერცხალი, როგორც შურდული,
მიწას ესობა თავქვე თამაშით,
ბაღში ფოთლებმა მორთეს ჟღურტული,
გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში!

დიდება იმ მზეს, რომლის გამთბარი
სხივი სიცოცხლედ გვაქვს ჩასახული,
რომელმაც ქვეყნად სძლია ზამთარი
და გაუთენა ხალხს გაზაფხული!

1988

დგას ორი ქალაქი ორი ძმადნაფიცი

ჩრდილოეთს ნაგები სუსხსა და წვიმაში,
სამხრეთის მგზნებარე მზის შუქით ნალაქი, —
დგას ორი ქალაქი, დგას მტრების წინაშე
ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

ხან შრომით დაღლილი, ხან მშიერ-მწყურვალი
იბრძვის და იარებს იმრთელებს დაჭრილი,
მას იცავს ლენინის ჯავშანი მხურვალე,
წინ დროშად მიუძღვის უკვდავი აჩრდილი.

ტყვიებით დაცხრილეს, მაინც არ გამტყდარა,
სურთ დედას მოსწყვიტონ და მაინც მხნედ არის,
ქარი არ ჩამდგარა, ხალხი ზღვად ამდგარა
და ყალყზე დამდგარა ბრინჯაოს მხედარიც.

არ შედრკე! არ შედრკე! — უმცროს ძმას უკივის,
წვიმა და ქარია, ელვა და ზანზარი,
წითელი დროშაა, რომ დაჰქრის შუქივით,
ტყვია ვერ განგმირავს, ვერ დასწვავს ხანძარი.

აქ, ახლო წარსულშიც, მტრებს უნავარდიათ,
აქ, ომის დამხობის მრისხანე ზარის წინ, —
ბრძოლებში ნაწრთობი დიადი გვარდია
ათასგვარ მტრისაგან იცავდა ცარიცინს.

ერთმანეთს შეჰფიცეს: დაიცვან ბოლომდი
ქვეყანა ძლიერი და შეურიგალი,
ოცდახუთ წელიწადს რომ სჭედეს ფოლადით,
ქვეყანა დაძრული ოქტომბრის გრიგალით.

ჰგავს მწვავე ჭრილობას, მტარვალთა ნაბიჯით,
ნევიღან ვოლგამდე გზა სისხლით ნალაქი, —
დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი,
ლენინის ქალაქი, სტალინის ქალაქი.

1942

სიმღერა გამარჯვებისა

შხამად შეერგოს დედის რძე, ცოფს ჰყრიდეს პირზიზღიანი,
დაეცეს, ხსნას არ ელოდეს, ვერ მოირჩინოს ზიანი,
დაძრწოდეს, გზას ვერ იკვლევდეს გახელებული, ზნიანი,
მეწყერი წამოეწიოს, დღე დაუბნელდეს მზიანი!

პურს ჭამდეს,—მიწა ეგონოს, ყვავ-ყორნის ლეშად ქცეული,
წყალს სვამდეს, — სისხლი ეგონოს, შხამ-გესლად ჩამოქცეული,

იწვოდეს, იტანჯებოდეს, როგორც იუდა წყეული,
მშიერ-მწყურვალი კვდებოდეს მეზობლებს გამოქცეული! —

ვინც უღალატოს სამშობლოს, დიად საბჭოთა მხარესა,
მთა-გორებს, ვეფხისტყაოსნებს, მორთულ-მოფარჩულ არესა,
ჩვენს მამულს, — შრომით აღდგენილს, მშობლიურ მზეს და მთვარესა,
ჭერმაღალ ცას და ვარსკვლავებს, მოკაშკაშ-მოელვარესა!

წითელი დროშა გავშალოთ, ორბისფრთა ნაპერწკლოვანი,
დავძახოთ ბრძოლის ყიჟინა მრისხანე, ხმაცეცხლოვანი,
მტრებს დავცხოთ! ქარბუქს მიჰქონდეს მათი ოხვრა და გლოვანი,
კვლავ ვასახელოთ გმირობით სამშობლო სახელოვანი!

1941

ძმები

ისინი ნახეს თოვლის ფლატეში,
ერთად ჩაკრული მშობლიურ გრძნებით
და მოათავსეს ერთ პალატაში
მტერთან ბრძოლაში დაჭრილი ძმები.

ერთად იბრძოდნენ, ერთ მიზნისათვის,
ცეცხლის ალში თუ კვამლში გართული:
სამშობლოსათვის! სტალინისათვის!
მტერს მიჰკიოდნენ ხმალაღმართული.

მაგრამ დაეცნენ მკერდზე მახვილით,
თვალთ ყორნისფერი ნისლი ებურათ
და „ვაი-ნანას“ ამოძახილით
სიკვდილს ებრძოდნენ ვეფხისებურად.

კვლავ წამოდგომა ეწადათ, მაგრამ
ვეღარ დგებოდნენ, ხმალს ვერ წვდებოდნენ,
ხელი ჩასჭიდეს ერთმანეთს მაგრად,
ჩოქვით ერთმანეთს ეზიდებოდნენ.

იმ დღეს კვლავ ჩვენი გახდა ტიხვინი,
უკან იხევდა მტერი ვერანი,
და სადღაც ტყეში ველურ ჭიხვინით
მხედრებს ეძახდა ორი მერანი.

ძლივს მიაწვდინეს მეგობრებს ხმები,
პირაღმა იწვნენ თოვლის ფლატეში
და სასიკვდილოდ დაჭრილი ძმები
მოთავსებულან ერთ პალატაში.

დილით, როდესაც მზე მწუხრის მერდინს
გაფანტავს... და ჭერს გაამზეურებს:
— ძმა როგორ არის? — კითხულობს ერთი,
— ძმა როგორ არის? — დარდობს მეორე.

ძილში, როდესაც პალატის გვერდით
ხმა გაიშხუვლებს, ვით მეტეორი:
— ძმა ცოცხალია? — ბუტბუტებს ერთი,
— ძმა ცოცხალია? — გმინავს მეორე.

სიზმრების ზღვა კი, როგორც ხომალდებს,
ტახტებს არწევს და... ღელვა ჰგონიათ,
და ასე, სულის ამოხდომამდე,
ძმას აწამებდა ძმის აგონია.

ერთ მრისხანე დღეს, როცა ავდარი
სძრავდა მიდამოს, ცა რისხვით ჰქუხდა, —
პალატა სდუმდა, ვით ნასაყდარი,
ძმა ძმის შესახებ აღარა სწუხდა.

1942

1945

•

გათენდა! კარებს ვაღებ თამამად,
მსურს, მოგილოცოთ წელი მრავალი,
კიბეზე ვხვდებით შვილი და მამა,
ის — მომავალი, მე — მიმავალი.

მას თექვსმეტი წლის ხალისი მოაქვს,
თვალში სიცოცხლის მზე უციმციმებს,
მე — ორმოცი წლის მაწევს სიმძიმე,
მიშველოს?! განა სიბერის დროა?

მე ამ ცხოვრების ვცან სიავკარგე,
წინ სულ გზებია, ირგვლივ — მთებია,
ხანი დამაკლდა — კი არ დავკარგე,
იგი ჩემს მოდგომას შემატებია.

1945

ჩანგი და მშვილდი

იყო მებრძოლი და მონადირე,
ტყეში ნაკვალევს სდევდა წყურვილით,
ხარბად ზვერავდა წყალთა ნაპირებს
შინდის მშვილდ-ისრით მხნედ აღჭურვილი.

მსხვერპლს დარაჯობდა, მტრებთან იბრძოდა
ყოველ დღეს, ყოველ დილა საღამოს
და ლარი, ისარს რომ გაისროდა,
ხმას გამოსცემდა ტკბილს და საამოს.

•

უსმინა ჰანგს და... ღრმად ჩაიკონა
სიმზე ნანინით ხმა დარწეული,
ლარი გასჭიმა სამფა სტრიქონად,
მშვილდიც აჟღერდა ჩანგად ქცეული.

იყო მებრძოლი... თან საკვირველად
ჩასწვდა სიმღერის სულს და რაობას...
აი, საიდან გაჩნდა პირველად
ჩანგის და მშვილდის ნათესაობა?

1954

არ გამაგონო!

არ გამაგონო დაფა-ზურნის ჰანგი ველური,
ჩემს თბილისში ვარ, დაუკარი ტკბილქართველური!

განა დაგვძლია დამპყრობლების ძალამ ურიცხვმა,
კმარა ზურნის ხმა, გამაგონე სალამურის ხმა!

დაფდაფს დაირა მირჩევნია, ჩვენი დაირა,
თეთრი დაირა, რომ ღუღუნებს მტრედისნაირად.

არღანს არა სჯობს ტანწერწეტა ჩვენი ჩონგური?
თამარ დედოფლის გვირგვინივით ჰშვენის ქონგური.

ზურნა არ მიყვარს, დაფდაფის ხმაც, არღნის ჩხავილიც,
ქართლის ქუჩებში მომწყვდეულან ქარიშხალივით.

მაგ დაფა-ზურნით მოდიოდა ურდო უცხოთა,
იგი მძვინვარე შაჰ-აბასის ჯარს მიუძღოდა.

და ისევ ის ხმა, შორეული ჩვენი კი არა,
ტკბილი კი არა, მწველზე მწველი, როგორც იარა,

არ გამაგონო! თორემ გული, გული ღონდება,
ჩემი სამშობლოს აოხრება მომაგონდება!

1951

ვ ე რ ხ ვ ი

კლდეზე ვდგავარ თეთრი ვერხვი, მხრები ამიტოტებია,
ვინმე ხრამში თუ გადასცდა, — ხელი გამიწოდებია,
მეხს ვარიდებ მოზარდ ვერხვებს, — ტანი აუშოლტებიათ,
ფრთებს ისხამენ მტრედები და... საბუდარებს შორდებიან,
ახლაც ვებრძვი ქარს და წვიმას გული აუშფოთებია,
თუ სიტყვები მცვივა, განა — შემოდგომის ფოთლებია?

მცვივა, განა მცილდებიან, თრთიან, განა ხუნდებიან,
ადრე აბიბინდებიან, უფრო ადრე ბრუნდებიან,
განა მწუხრის ბინდებია, — ეს მტრედების გუნდებია,
მხრებზე დამაფრინდებიან, ტკბილად აღუღუნდებიან.

ჰე, მამულო! შენს თეთრ გუშაგს განა რული მორევია,
ფესვი მიდგას შენს მიწაში, ირგვლივ ქარის მორევია,
გაჰქრა ღამე, — აღარც ბრძოლა, აღარც ომის ტბორევია,
ეს ჭრილობაც, ეს ღიმილიც ტყვიის ნაამბორევია.

მეც ვშფოთავდი! საგულეში ცეცხლის ალი ფრიალებდა,
წკრიალებდა გულის კარი, თუ ცისკარი ჭრიალებდა,
მეც ვშფოთავდი და ფიქრებში ტევრი მწარედ შრიალებდა,
ჩრდილზე ფეხს რომ დამადგამდნენ — ტანში გამაჟრიალებდა.

შენ გიცავდი, შენთვის დამჭრეს, შეწყდა სისხლი და იარა,
შემიხორცდა ნატყვიარი და ტკივილმაც გაიარა.

1949

სამიჯნურო

ხემ იხარა, იხარა! ჯერ ყლორტები იყარა,
მერე ყვავილთ პეპლები თავზე გადაიყარა.
ვაშლის თეთრმა ასულმა, კვლავ იხარა, იხარა,
აილეწა, ათქვირდა, ყელი გადაიხარა.
მომაგონდა მიჯნური! სხვაგან არის, იქ არა,
ჩვენი ბაღის ბილიკი იქცა ნაბილიკარად.
ვეძიე და მოვნახე, ახლოს არ გამიკარა,
როგორც ელვის მახვილი, გესლი გულს გამიყარა.
ცეცხლი არ გამინელა, დარდი არ გამიქარა,
მიჯნურს ვეძებ მეჯნუნი, დავდივარ კარიკარა.

1938

აკვანი

წმინდა არს დედის ხსოვნა და სახე,
რა უცნაური სიზმარი ვნახე!
მოზარნიშული და მოცახცახე —
სიზმარში ჩემი აკვანი ვნახე.

ის ოქროს ჩანგად მეჩვენა მაშინ,
მიველ და გულში ღრმად ჩავიკონე,
თითქოსდა აკვნის ანკარა ხმაში
ჩემი ბავშვობის ხმა გავიგონე.

1946

ხობის პირად

I

მოსდევს ტირიფის ტყეს და შამბნარებს,
თითქოს ტალღებიც მოიმღერიან,
მთვარე კოლხური ეშხით ნარნარებს,
წყალში ჩასულა, როგორც ფერია.
ჩამოუქროლებს ნაპირს ნიავი
და მიმოფანტავს ნისლის ნამქერებს,
დაეწაფება წყალს და სიამით
დაუბერავს და ლერწამს ამღერებს.
ტალღებს დუმილი ერთვის მღელვარე
და შიგ ვარსკვლავიც ელავს, ენთება,
მარად მღელვარე და მოელვარე
ჩემი წარსული გამახსენდება.

გამახსენდება წყარო ცინცხალი,
ჩემი ენგურიც, ჩემი რიონი,
არ სძინავს ხორგას... და ხობისწყალიც
ზღვას მიჰყიჟინებს, ვით მაყრიონი.
გასძახის გურფულს და ქარიატას,
მის ხმაზე ალბათ ფხიზლობს ყულევიც,
ზვირთები — თითქოს ლაშქარია და
წყალთა ძლევის ხმა გამოულევი.
ჰოი, მდინარევ! რა დიდებული
მახსოვს ეს ღელვა, ეს თამაშობა,
ამ ტალღასავით აზვირთებული
სად წარიტაცე ჩემი ბავშვობა?!

იქნებ შავი ზღვის ტალღებს ჩაკრული,
ითხოვდა ხსნას და... შენ იქ არ იყავ,
იქნებ დასძლია ყრმა დაჩაგრული
და კლდის ნაპირზე ღელვამ გარიყა?!
არა! ფრთებგაშლით გაღმა გასტოპა
და გამოვიდა გზაზე პირველი,
გზაში ფრთებს ისხამს ახალგაზრდობა,
გაფრენას განა სწავლობს ფრინველი?!
დღეთა ნათელთა შორი ტრფიალით
რამდენი ღამე მხნედ გაათია?
შემდეგ — ოქტომბრის დროშის ფრიალით
შეხვდა თებერვლის წითელ განთიადს.

გულს უხარებდა მზე გამჭვირვალე,
წყალთა ელვა და ღელვა მთებისა,
მარად ბრწყინვალე მოვლო მწვერვალი,
სჭექა სიმღერა გამარჯვებისა.
ახლა დაგყურებს თავზე მდუმარი
და განა გული ეწვის იარით?!
შენი მკვიდრია, განა სტუმარი,
შენი მიწა-წყლის თანაზიარი.
მას ახსოვს ზამთრის ჭმუნვა, ვალალი,
ხალხს გაზაფხულის მოსვლაც ახარა,
შერჩა ბავშვივით გული ალალი,
მხოლოდ მას ახლა მოსავს ჭაღარა!

1969

მე და ზაფხული

რა წვალებაა, რა ძნელი საქმე,
რა შრომას ითხოვს ოცნების ბაღი?
რომ შთაგონების ნერგი არ გახმეს,
ჰყვაოდეს მარად ნორჩი და საღი?!

კალმის მახვილით, სათუთად, დინჯად
ვძერწავ ასოებს და ნაწყვეტებით
სულჩადგმულ სიტყვებს ათასჯერ ვსინჯავ
და წიგნში ვამყნობ სისხლის წვეთებით.

ასე, ჩემსავით შრომობს ზაფხულიც,
მზის ფერებს არჩევს მცხუნვარე ფუნჯით,
მასაც იგივე აქვს განზრახული, —
აამეტყველებს ბუნება მუნჯი.

რომ გულში ჩაწვდეს, ჩახედოს შიგნით, —
წყაროს თვალებიც ამოეყვანა,
გადაეშალა ცხოვრების წიგნი
და ყვავილებით ხატავს ქვეყანას.

ირგვლივ მძვინვარებს სიცხის მორევი,
ქარში ლივლივებს ტალღები ვერცხლის,
ცა — საკირეა, ვიწვით ორივე
შემოქმედების უშრეტი ცეცხლით.

ბინდდება — მოდის ფერისცვალება,
ბაღშიც თანდათან ეშვება ნისლი,
ბოლო მოეღო ჩემს გაწვალებას
და სამელნეშიც გამშრალა სისხლი.

1945

სიმონ ჩიქოვანი

ვინა სთქვა

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

აბა, შეადგით ერთმანეთს მთები,
მთები შემკული სხივების სირმით,
ააშრიალეთ არწივის ფრთები,
კლდით გაიგონეთ ყვირილი ირმის.

ყოველ მაღლობზე ციხე და კოშკი
ნახეთ, აზომეთ ოსტატის მზერით
ან მოაგროვეთ უხსოვარ დროში
ჩვენში დაღვრილი ბუნების ფერი.

გაზომეთ ქარი თუ ქარიშხალი,
ჩამწყვდეული რომ ღმუოდა ხევით,
წყალი მქუხარი და საშიშარი
და ავარდნილი გუმბათი ზევით,

წინაპრის მიერ განვლილი სივრცე,
ჟამი ძლეული გაფრენილ ცხენით,
და გორგასალის ნაბიჯი მტკიცე,
მთად აღბეჭდილი ქართველის რწმენით.

შეახეთ ბრძოლით გაწვრფნილი ხელი
დარუბანდიდან მოტანილ კარებს
და გაიხსნება სამშობლო ჩემი,
უსასრულობის შემცველი მხარე.

ვინა სთქვა, თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე.
ვინ მოიგონა სიმცირე მისი?!

1913

ირმები კალოზე

კოლმეურნის კალო ირმებს ვალეწვიე,
რქებს მივაკარ ყვავილები ჭრელი.
კევრს შევახტი, ჩამავალ მზეს დავეწიე,
ბარჩხალა მზეს თითქოს ვტაცე ხელი.

მზე ირმებზე დავკიდე და დავსრიალებ,
ხოხბისფერი პატარძალი მშველის,
შენ შრომის ხვავს, პატარძალო, მაზიარე,
რძე შემასვი ჯეირნის და შველის.

შინაური ვინ გახადა ეს ირმები,
რა ლამაზად განტოტილან რქები!

შენ კალოზე ფეხშიშველი მესიზმრები,
ცხადში ხარ და სიზმარივით ქრები.

შრომაში და ჟრიამულში ჩამობინდდა,
ატენის მთებს შეღამება ქუფრავს,
ქვევრი გახსნეს, თონით მთვარე ამოფრინდა
და ნისლივით ორთქლი ასდის სუფრას.

მეც პატარძლის სავსე სუფრას დავეწვიე,
ირმები კი მთაზე ბალახს ძოვენ.
კოლმეურნის კალო ირმებს ვალეწვიე
და ატენშიც მომავლის გზა ვპოვე.

1948

პ ა პ ა

დილით ქვევრში ჩასულიყო პაპა,
ქვევრს რეცხდა და მზეს ქვევრიდან უყურებდა.
წელს ვენახში დაეხარჯა ჯაფა,
ახლაც მისთვის შრომობდა და ღუღუნებდა.
სიბნელეში რას გალობდა ასეთს
კოლმეურნე და ატენის ქვაკუთხედი,
მე ვიდექი ღია ქვევრის თავზე
და, როგორც ტბას, ღვინის ჭურჭელს ჩავყურებდი.
პაპა ხშირად თავს ასწევდა მაღლა,
მოწმენდილ ცას ღია თვალებს მიაფენდა.
ქვევრს ორჩხუშით აღვიძებდა ლაღად
და სიღრმეში ღრუბლის დარად კიაფებდა.
სიბნელეში ჩამდგარიყო დღისით,
წყლის ჩხრიალით მიარღვევდა მცირე წყვდიადს.
მოხუცს სურდა, ჭირნახული თვისი,
ქვევრში ღვინო სულდგმულივით ჩაემწყვდია.
ღუღუნებდა თუ ბაძავდა ფუტკარს,
მე ვფიქრობდი, ეს მოხუცი რა ფერია.
ცალი ფეხი სამარეში უდგას
და ხელები ორჩხუშის ტარს ჩაფრენია.

მე ვფიქრობდი, სად ჩამდგარა პაპა,
ქვევრში შრომობს თუ ფუსფუსებს საფლავშიაც,
სიცოცხლე ხომ მუდამ ახლავს ჯაფას
და მოხუციც ხის ფესვივით ჯაფაშია,
ფუსფუსებს და რთველის ნადავლს ელის...
წლები აწევს, გული მაინც არ ბერდება.
ქვევრში ჩავა მალე ყურძნის წვენი
და სიღრმეში პაპასავით ამღერდება.

1948

დედაჩემი

მშობელი ჩემი მომკვდარა ადრე.
თურმე ყოფილა მწუხრივით ჩუმი.
მშრომელი, ტურფა, შემკული აგრე,
ოქროსთმიანი და აბრეშუმი.

აკვნის მახლობლად ჩამქრალა დედა,
არ მოღწეულა ხატება მისი,
როგორ შევიძლო, ვიხილო ნეტავ,
შევიქმნე მხოლოდ შეხვედრის ღირსი!

დედავ, ხატება არ დაგრჩა არსად,
ჭაში ვიცქირო, დამჩემდა სენი.
შენ ხომ იდექი გვიმიან ჭასთან,
ეგებ შიგ ჩარჩა სახება შენი.

ან იქნებ შენი ოქროს თმა არი
კოლხურ კერაზე ამდგარი ალი!
ეგებ ვაზია შენი ქამარი,
ხეს რომ ეხვევა ცოცხალი კვამლი!

როგორ შეგიცნო, თუ გნახე სადმე!
მოდი, გვალვაში მიგრილე რტოთი,
მე უკუღმართი განგება დავგმე,
რტო დამირხიე, ჩამიქრე შფოთი.

როგორც სკაშია ზუზუნი ფუტკრის —
შენი ხმები მყავს გულის ბუდეში.
არ დამეკარგოს — სათუთად ვუვლი,
არ გამიფრინდეს ჩემი ნუგეში!

1940

ძველი მცხეთა

ძველი მცხეთა, საქართველოს ფუძე,
მე ვარ მისი გაზაფხულის როშარი,
შევეთვისე, გულით დავიფურცლე,
შრიალებენ ვარდები და დროშანი.

პირველ ქართველს აქ დაუკრავს ბარი,
მოხვევია ვენახი და ასული.

აქვე მზრდიდა გამრჯე წინაპარი,
ჟანგიანი, ხავსიანი წარსული.

მეც ავანთე მომღერალი ცეცხლი,
პაპამ პეშვით მომიტანა ღადარი,
სად გამქრალა კერა დანაკვერცხლი,
პირველქმნილი ჩემი კვამლი სად არი?

მოიძებნეთ, არ გახრწნილა ნეშტი,
გამოცოცხლდა სვეტიცხოვლის მირონით,
ტერფი დაგვრჩა ქვებზე ანაბეჭდი,
არმაზიდან ირმებივით ვყვიროდით.

კერა გვენთო დაბლობში და მთაში,
გრძელი ჟამი გამოვცურეთ მხარულით.
სამარეში სუნთქავს პიტიახში,
მიწით მესმის იარაღის ჟღარუნი.

ქარიშხალში მეც გადავრჩი ერთი,
როგორც ქვაზე გამოთლილი ყურძენი.
მცხეთა არის ჩემი დედულეთი,
არ დამჭკნარა მისი ვაზის ფურცელი.

არ დამშრალა მოჩხუბარი მტკვარი,
საქართველოს მთების ცრემლი მცირედი,
მე ვარ მისი ძველი მეგობარი,
არმაზიდან მოყვირალი ირემი.

1941

ბროწეული პიტიახშის სამარეზე

ბროწეულმა ფესვით კუბო გაარღვია,
საფლავს ჩასწვდა და იპოვა სამაჯური,
სერაფიტის ფერფლი თითქოს დაარხია,
სამაჯურში ფესვი გაჰყო დამანჭული.
როგორ გასჭრა ან გაბურღა ლოდის სიღრმე,
დაფერფლილ და სანუკვარ ტანს ჩაეხლართა,
სამარეში თუ იპოვა ქვეყნის სიყრმე,
თუ ამ ფერფლის მოფერება გაეხარდა.
აიშოლტა და ნაყოფი გამოფინა,
ფერფლში ჰპოვა სამაჯური დანისლული,
მოწეული ბროწეული რა ყოფილა,
ჩამავალ მზით დაჭრილი და დაისრული!
არ სწვევია შებინდება კაეშანად,
ქალწულის ფერფლს,
როგორც ყვავილს, გაუფრთხილდა,
დაისივით გაწითლდა და გაიშალა
და რტოებზე სილამაზე აუფრინდა.
ქისის მსგავსი ცხარე ხილი გამოკვეთა,
ამოწუწნა ნესტით სავსე საფლავები,
მოგონებით თბილი ფესვი გამოკვება
და ნაყოფში ჩაილაგა ვარსკვლავები.
შენს ქისაში ვარსკვლავები მიჯრილია
თუ ცრემლები გამოგიკრავს, სანატრელო,
შენი ჩრდილი, მითხარ მაინც, რა ჩრდილია,
შენს რტოებში გალობს ძველი საქართველო.
შენ მოჰყევ თუ შენ გამოგყვა სერაფიტი,
მისი ფერფლი იპოვე და ჩაგვაბარე,
მოწეულო ბროწეულო, გადმოფრინდი,
შენი რტო და შენი ჩრდილი დამაფარე.

1941

მეცრხლის ბუდე

მკვირცხლი მერცხალი, სწრაფი მერცხალი
ჩემს ლავგარდანზე აშენებს ბუდეს
და მცირე კვერცხი, ვით ნაკვერცხალი,
პეშვივით შეკრულ ბუდეში უდევს.

მერცხალს ნისკარტით მოაქვს ბუმბული,
მშრალი თივა და აერთებს კოხტად.
ის უფრო მხიბლავს, ვიდრე ბულბული,
და მსურს, ვუშველო პატარა ოსტატს.

მსურს, გადავუგდო ჩემი ნაწერიც,
შავი, რომელიც გუშინღამ დამრჩა.
ეგებ აიღოს ნისკარტის წვერით
და ჩაიფინოს ბუდეში ფარჩად.

ეგებ აიღოს გრძნობა, რომელიც
ვერ შეუთავსდა დახვეწილ ნაწერს.
აგრე ცქრიალა მერცხალს მოველი,
მშენებლის ჩრდილი სტრიქონზე მაწევს.

ეგებ ქაღალდზე დანაცრულ ლხენამ
სითბო შემატოს ბუდეში ბარტყებს,
ან გრძნობამ ბარტყთან ისწავლოს ფრენა,
კვერცხის ნაჭუჭი ბუდეში ჩატყდეს.

მერცხალმა ფეხი მოირთხას ლექსში,
შინ დამიკენკოს ოცნება ჩვილი,
კვერცხის ცეცხლით და ჩემი ნუგეშით
ბუდით აფრინდეს მერცხალი წყვილი.

მერცხლებო, ფრთებით მიმშვენებთ მამულს
ნუ გაფრინდებით, ცქვიტებო, შორეთს,
ჩემს სამშობლოში ზამთარ და ზაფხულ
სითბო არის და საზრდოსაც ჰპოვებთ.

ვარსკვლავებს ვწყვეტთ და ვამშვენებთ მიწას,
მრავალი წელი წალკოტი ტოკავს,
ქართლი მაისის სიცოცხლეს იცავს
და დაზამთრებაც გაზაფხულს მოჰგავს.

მერცხლები სწრაფი, მერცხლები მკვირცხლი
ჰაერში გაშლილ მაკრატლებს ჰგვანან.
მერცხლების ფრთები, მკვირცხლი და ფიცხი,
ქართლის ბაღებში ისმენენ ნანას.

მინდა ხალისით მერცხლის ბუდეში
მე ჩავაფინო გრძნობა მართალი,
ანდა ჩავისვა ბარტყი უბეში
და შევაყვარო ჩვენი ზამთარი.

1940

ძამულს ვუთხრათ გამარჯვება

ხანდაზმული თუ ჭაბუკი
ქართლის გზაზე რომ შეგხვდება,
მგზავრს აგზომავს თვალის შუქით,
მკვირცხლად გეტყვის „გამარჯვება!“

ჭირში, ლხინში გვასწავლიდა
ეს მიმართვა გაკაჟებას,
რადგან ქართველს მარად სწამდა
მშობელ კუთხის გამარჯვება.

წინაპრები ჭექდნენ ოდით:
„საზღვრად ვიდგეთ დარაჯებად!“
და როცა მტერს მოველოდით,
ხმალზე ვწერდით გამარჯვებას.

გუთნისდედის ხმაც ისმოდა,
ქედს არ ხრიდნენ ხარაჯებით.
ქართველების წინ მიჰქროდა
მჭექარე ხმა გამარჯვების.

ამ ძახილით ცეცხლი გვერგო,
მისალმების აღმნიშვნელი,
გამარჯვებით რომ შეგვემკო
ჩვენი მთა და ჩვენი ველი.

დღეს ორკეცად ღვივის რწმენა,
ქუდზე კაცი ფეხზე დგება.
ჩვენს მახვილს და ჩვენს მარჯვენას
სიმტკიცე და გამარჯვება!

მტერი ბევრი დაინისლა,
მაგრამ იგი ჯერ არ ცხრება,
გულში რეკავს ხალხის მიერ
მედგრად თქმული გამარჯვება!

ბრძოლის ცეცხლი გზას გვინათებს,
ხალხის ძალა არ დაშრება.
ჩვენს მხედრებს და ჩვენს შევარდნებს
მტრის ურდოზე გამარჯვება!

მტერი მტრულად დაისაჯოს,
ერთიც ვეღარ გადარჩება.
მამულის გულს გაუმარჯოს,
წითელ ლაშქარს გამარჯვება!

სისხლი სისხლის წილ დავღვაროთ,
მტერზე რისხვა გაგვიძღვება.
მტერი მოვსპოთ სამუდამოდ,
მამულს ვუთხრათ გამარჯვება!

1945

გამოთხოვება და ომში წასვლა

უეცარად ომში მიხმეს,
ტყეში იყავ, სოკოს კრეფდი, ვინანე.
მსხმოიარე ვენახი ხარ სიყრმის,
ვერ გიპოვე, სიმძიმილი ვინამე!
ამხედრების შემხვდა ჯერი,
დაიფერე თაფლისფერი ბაია.
დამიქროლე დარაია ჭრელი
ბაღისფერი, როგორც ჭიამაია.
მე დავრახტე ჰუნე მალი,
დამეფუშა ჩრდილოვანი კარავი,
გადმომხედე, შეიფუთნე შალით,
განშორების ჟამია და ვარამი!
თუ დავიჭრე, მწვავდეს წყლული,
ვაი დედა, მეწილადოს ვაგლახი,
მომიტანე თვალით გაზაფხული,
შემირჩიე სამკურნალო ბალახი.

მეამება სამაია,
ივერიის ღვთისმშობელის ბაია.
შენი თვალი ღია სამარეა,
შენი კაბა — ჭრელი ჭიამაია.
სად მოვკვდები სადაური!
ვერ დავკრიფე დაშაქრული ყურძენი,
მე ვარ წიგნის მხოლოდ სათაური,
ჩემი ჟამი — დასაწერი ფურცელი.
გამაყოლე ტურფა ლანდი,
ყივჩაღივით თუ მეტოქემ ამკაფა,
გამონახე ჩემი მუზარადი,
ჩააწვეთე შენი ცრემლი კამკამა.
მოძმეს მიეც სასოებით,
მუზარადით შესვას ჩემი ვარამი.
გამაგონე მოთქმა განშორების,
დამაფარე ივერიის ალამი!

1946

* * *

არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების თუ სიმორცხვის ჟამი.
ფრთამოტეხილი შეგრჩება ქორი,
ჯამში დარჩება სპეტაკი შხამი.

ეს ჟამი დადგა, დავეჭვდი, ძმანო!
გამხდარ თითებში მიქრება ალი.
პირველი ცეცხლის დახარჯვას ვნანობ,
როგორ ავანთო ფურცელზე პწკარი!

სულის თვისება, ჭმუნვა და ცრემლი,
როგორ ვამგვანო აპრილის კოკორს!
ანუ ოსტატის მაცდური ხელი
აღსარებისთვის აღვმართო როგორ!

ფრთები მოტყდა და მიკვდება ქორი,
გულს სიჭაბუკე აშოროს ლამის.
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
სინანულის თუ სიმორცხვის ჟამი!

ეს ჟამი განვლე, დავკარგე ფერი,
ველი დაჭკნა და ბაღშიაც მოთოვს.
მინდა, მიწაზე ცხოვრება ჩემი
ჰგავდეს ქარიშხალს და არა ფოთოლს.

ჩემო მამულო, მაჩუქე ნამი,
გამივარჯიშე მარჯვენა მალე!
მტირალი მოველ მიწაზე ღამით,
უკან სიმღერით მიმიღოს ღამემ.

შემომაშველე ზაფხულის თქორი,
გუმანის ეჭვით ამოვშრე ლამის.
არის სიყრმის და სიმწიფის შორის
შესვენების და სიმორცხვის ჟამი!

1950

მგზავრის სიმღერა

მომგონებიხარ, მომგონებია
ლერწმად რხეული შენი სხეული.
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და სად მივყავარ შენი რჩეული.
შენ დარჩენილხარ მთების გადაღმა,
მიკვირს, რომ გული კიდევ მთელია,
გზამ დაგვაშორა, ტურფავ, ამაღამ
და ეს მანძილიც ჩვენი მტერია.
ვარსკვლავი თითქოს ცრემლის შხეფია,
ამგვარ ვარსკვლავით რვეულს ვჟონავდი,
გულზე ხელები დამიკრეფია
და მიფიქრია ალიონამდი.
რით ავათრთოლებ გზაში ჭიანურს,
მინდორს დაჰკვრია გაცრილი ნისლი.
შენს სათნო სახეს, სახეს ჭკვიანურს,
ვინ შეურია მონგოლის სისხლი.
მომდომებიხარ, მომგონებია
ლერწმად რხეული შენი სხეული.
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და სად მივყავარ შენი რჩეული.
სად მიმაქროლებს გზა ანთებული,
მთები განვვლე და განვვლე ჭალები.
საით გავრბივარ შეშფოთებული,
მთით მომაშველე ფართო თვალები.
სადგურში მივალთ დანიშნულ დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა.
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?
გამხადე ღირსი ყურადღებისა.
აგერ მივყვები უცხო ვაგონებს
შენზე მღერალი, ღამის მთევარი.
ახლა მთის იქით ირემს მაგონებ
და მე სად მივქრი შენი მდევარი.
ალბათ ვიქნები სადგურში დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა.
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?
გამხადე ღირსი ყურადღებისა.

1957

შოპენის საფლავისაკენ

მე პოლონეთის შარაზე მივქრი,
ჩანგზე თქმულებას ვუამბობ შოფერს,
თოვლმა მინდორი დაფარა თითქმის
და თოვლში ვეძებთ შოპენის სოფელს.
მანქანის შუშას აჩნია ბზარი,
გზაზე მაღალი ცაცხვია ბევრი,
შენ, შორეულო, დარეკე ზარი
და გუშინდელი დააშვრე ცრემლი.

თოვლი დადნება, გაქრება ფიფქი,
მინდვრად მთესველი მარცვლეულს მოჰფენს.
ახლა მშვიდობის შარაზე მივქრი,
ვუახლოვდები შოპენის სოფელს.

რტოზე ყინული მაგონებს მტევანს,
ჰაერს ზარივით ჰკიდია ჰანგი.
მე პოლონეთის დიდ გზაზე ვდგევარ
და გულში რეკავს ქართული ჩანგი.

ვწუხვარ, მე სმენა არა მაქვს წმინდა,
ვერ დავემგვანე მომღერალ მშობელს.
მე, ჩამოსული შორეულ მთიდან,
ვუახლოვდები შოპენის სოფელს.

გული მიაგავს ადრინდელ საკვებს,
ეგებ აფრინდეს პატარა ლექსი.
მინდა, სიმღერა ხალხის ხმას აჰყვეს
და შოპენივით გაიდგას ფესვი.

მაგრამ მე სმენა არა მაქვს კარგი,
როგორ დავუდგე შეგირდად შოპენს.
მოველ და თოვლზე დაფრინავს ჰანგი
და ვერ ვშორდები შოპენის სოფელს.

1958

დაბრუნება თბილისში

ვჯდები საბარგო ავტომობილში,
ვიწრო ჯიხურში ვჯდები ამაყად.
მძღოლმა ღიმილით მითხრა ბოდიში
და ჩვენ თბილისში მივქრით ამაღამ.

მწუხრში არხევენ ჩრდილებს წიფლები,
მთვარემ დაყარა ხიდზე იები.
გზაზე მწიფდება ჩემი ფიქრები,
მთაზე თუთა და ცაზე მთიები.

არ დამაძინებს გრძელი მანძილი,
მძღოლმა ჩასჭიდა საჭეს მკლავები.
მეც ვარ მთვლემარე მთების ნაწილი
და მთის სიზმრებში, მგონი, გავები.

მძღოლს ვაქეზებ და ამბავს ვუყვები,
წვიმის ღრუბელი ეჭვით ავწონე.
გასწი, მიხმობენ, მგონი, ღრუბლები
და მთის ავსილი ძუძუ მაწოვე.

მინდა, გაუვალ გზებზე მარწიო,
არ დავუყოვნო მოძმეს სალამი.
მეც მხრებით ტვირთი უნდა ავწიო
და მთის წყალივით ვიყო თამამი.

ჩვენი მანქანა არის საბარგო,
როგორც ფუტკარი მამულს არგია.
მძღოლო, მოსწიე ჩემი თამბაქო,
შენს თამბაქოზე უფრო კარგია.

გამრჯე საბარგოც მსუბუქს ჯობია,
ხევებს აფხიზლებს მისი თარეში
და ძმაო, შენი სუფთა ოფლია
გზებზე დაღვრილი მშობელ მხარეში.

მთის ღრუბელია შენი ლოგინი,
რტოებს გირხევენ ქარში წიფლები,
ხევში არ ჩატყდეს სადმე ბოგირი,
არ ჩამიყარო წყალში ფიქრები.

არ გამიქარვო მცირე ნაღველიც,
უზმოდ გაკაფე ნისლები დილის
და, როგორც ბარგი, წრფელი ზრახვები
ჩვენ მივუტანოთ საყვარელ თბილისს.

1958

* * *

მე მომხვდა შენი ნასროლი თოვლი,
წეღან მომხვდა თუ დიდი ხნით ადრე:
ვხუცდები, არ ვარ მე შენი ტოლი,
როგორ გაბედე, ხუმრობა მკადრე.

მე მომხვდა შენი ნასროლი გუნდა,
დამასველა და მუხლები მითრთის.
თუ სიყმაწვილის მოყვანა გსურდა,
უნდა გესროლა იები მინდვრის.

თოვლი ყრია თუ ჟამთასვლის ფერფლი,
მგონი ყინულზე წკრიალებს ქოში,
დამეპნა წვრილი ფიქრების ფეტვი
და ვერ ავკრიფე მარცვლები თოვლში.

შენ მომახვედრე შეკრული გუნდა,
გაგიხარდა და შემოჰკარ ტაში.
ასეთ სიცელქეს სიყრმის დრო უნდა,
შენ კი ფანტელებს მიმატებ თმაში!

მომხვდა გუნდა თუ ტრფიალის ტყვია,
კეფაში მწვდა და ვაშეშებ კისერს,
ვერ გამიგია: თუ არ გაქვს ია,
თოვლში აპრილი საიდან მიმზერს?

ცივი ზამთარი ბევრჯერ მერკინა,
თოვლში შაშვებმა აკენკეს ფეტვი,
გუნდა მომხვდა და გული მეტკინა,
და სიჭაბუკეს რა უნდა მეტი.

რა უნდა მეტი გაწვართულ თითებს,
სიცელქით სძლია ყინვა და თოში.
ჩემი ოცნებაც ჭაღარას ითმენს
და ჭაბუკივით გუნდაობს თოვლში.

1955

მამელუკები

ტალღას ავლია ფირუზის ქაფი,
ხმელთაშუა ზღვაზე ბაცი ბინდია,
ცაზე ჰკიდია კოლხური ჭრაქი
თუ მე ეს ჭრაქი სულში მინთია.
შორს მეჩვენება ჭრელი ჭადრები,
კაკლის ჩრდილი და ვიწრო შუკები,
ზღვის მიწურულში თრთიან ლანდები
თუ მე მელიან მამელუკები.
ნაპერწკლებს ყრიან ცხენთა ნალები,
კლდიან ნაპირზე დაჰკრეს ბუკები,
სამშობლოს ვერსად დაემალები
და მე მიხმობენ მამელუკები.
ტყვირში შეზრდილებს ურა ჭაკებზე,
როგორ შეცვლიათ თვალთა გუგები
და მზით მორუჯულ უცხო ვაკეზე
ფუძეს ეძებენ მამელუკები.
დედებზე ფიქრი მათი ხვედრია,
ადრე მორეკეს როგორც ნუკრები,
ახლა არაბულ კვიცებს ხედნიან,
ჩელას მღერიან მამელუკები.
თუ აგონდებათ სოფლის ჭიშკრები,
ღომის ყანა და წნელის ფაცხები,
მეც ჩემი ქვეყნის ბედში ვიჭრები
და ფიქრით ნაპირს მივენარცხები.
ნუთუ სამარით ადგნენ ლანდები,
მთვარის შუქზე სჩანს სოფლის შუკები,
მე მეჩვენება შავი ნაბდები
და შავ ცხენებზე მამელუკები.

1955

ხმელი წიფელი

უღრანში ხმება თურმე წიფელი,
გარს ეხვევიან წიფელს მწერები,
ტყე გალურსულა
თუ დალურსმულა?
წავალ და წიფელს მოვეფერები.

ნუთუ წიფელი გადიფერდება,
ნუთუ ნებდება ტყეში სიბერეს,
ხრიოკს ედრება,
ვიწყე ვედრება,
ვერ მოვშორდები მოხუც წიფელებს.

უღრანში ხმება თურმე წიფელი,
გამოფიტულან ფესვთან ნიყვები,
ტყე ცას იფერებს,
როგორც სიწრფელეს
და მე წიფლისკენ ბილიკს მივყვები.

მეც წიფელი ვარ, ამ ტყის მკვიდრი ვარ,
მხრებზე დავისვი ჭრელი ჩიტები,
ტყეში მივდივარ,
თითქოს ბინდი ვარ,
და წიფელს ფესვზე მოვეჭიდები.

1959

* * *

არ მშორდება ჭირვეული მარტი,
ჩამიქროლებს ქარით ეტლიანი.
გამომტაცა ყველა მისამართი
და ვერ შევძელ გზებზე ხეტიალი.

აფრებივით ფარფატებენ დღენი,
ჯერ მთებია, მერე მკრთალი ხევი.
ჩემს ხელნაწერს ვერსად მივაგენი,
ვერ ვიპოვე მოძმის ნაკვალევი.

სად მივდივარ ან მოვდივარ სიდან,
ნუთუ მართლა დამელია ჯადო
და სიცოცხლე, მხოლოდ ერთი ციდა,
ყველა გამვლელს როგორ ვუწილადო.

იანვარი, თებერვალი, მარტი,
სამი თვეა მეტად უღიმღამო.
გულის ჯამში დამიგროვდა ჭვარტლი
მოგიზგიზე სიყვარულის გამო.

1960

კალე ბობოხიძე

სამშობლოს

ქარს გაზაფხულის მოაქვს სურნელი,
მიწას დაეტყო გამოფხიზლება;
მე შენ გიმღერი, შენი მსურველი,
ვუმღერი წინსვლას, გამოღვიძებას.

ისევ მიტაცებს ლხენის დამტევი
შენი რიჟრაჟი გაზაფხულისა,
განათებული ბაღში ატმები
და ყვავილები — ტრფობა გულისა.

ისევ მიტაცებს შენი მშვენება,
შენი ხეხილი, შენი ზვარები;
ნარინჯის ბაღში ღამის თენება
და ფორთოხლებზე ოქროს ცვარები.

ისევ მიტაცებს შენი ყანები,
შენი ჯეჯილის ღელვა, ზღვაური;
შენი ქალები ლამაზმანები,
შენი მხედრები ფოლადაური.

შენი სიმღერა დაუცხრომელი,
იმედიანი და ნეტარული;
ხალხი პურადი, მარად მშრომელი,
ბრძენი, ბრძოლაშიც ლეგენდარული.

ისევ მიტაცებს შენი სერები,
შენი ლაჟვარდი მფრინავ გმირებით;
წყალვარდნილები, ბროლის ჩქერები,
მთის უღრანები მრავალ ირმებით.

მე შენ გიმღერი და ეგ სიმღერა
შენგან შობილის გულისთქმა არის,
სადაც დროშები ქარში ირხევა,
მებრძოლთ ვასმინოთ ტკბილი საარი.

ასე წარმტაცი, ასე დიადი,
შენ არასოდეს არა ყოფილხარ:
საუკუნეთა განვლე წყვდიადი
და ბრძოლის ცეცხლში ახლად შობილხარ!

შენ ტყვე იყავი მტერზე მძვინვარი,
დღეს თავისუფალს გმირი გიწოდეს;
შენ გვასულდგმულებ ნათლად მზირალი,
მსურს, შენი ტრფობის ცეცხლით ვიწვოდე!

რომ კვლავ გიმღერო, განახლებულო,
გალაღებულო, მხარევ მზიანო,
რუსთველის სიბრძნით განათებულო,
დიად ეპოქის თანაზიარო!..

დე, ჩემი ქვეყნის გმირთა გვარები
ვარსკვლავებივით მარად ნათობდეს
და განთიადის ღია კარები
მზის ელვარებას თავზე მათოვდეს!

ქარს გაზაფხულის მოაქვს სურნელი,
მიწას დაეტყო გამოფხიზლება,
მე შენ გიმღერი შენი მსურველი,
ვუმღერი წინსვლას, გამოღვიძებას!

1040

ᲧᲝᲠᲐᲜᲘ

შემოდგომის ხეს კიდევ შემორჩა
ერთი ფოთოლი, როგორც წერტილი;
მამაის ბორცვზე ვხედავ შემოჯდა
შავი ყორანი გულდაწყვეტილი.

ბედი ამწარებს, ბედი აღონებს,
მას ხომ ოდესღაც ჰქონდა ღრეობა:
თავის სამდურავს ვერვის აგონებს,
ქვებს უშენს მთელი მოსახლეობა.

გლოვობს ყორანი ავი და უნდო —
შავი სიკვდილის ბნელი მხლებელი;
ხედავს, დღეს ყველგან სიცოცხლე ბუდობს —
მზის და სინათლის მაუწყებელი.

ყორანი — ომის ბნელი აჩრდილი,
რაღამ აცოცხლოს ან რამ გაართოს?!
ჰა, გაისწორა ფრთები გაშლილი,
გაფრინდა, გაჰქრა უმისამართოდ...

1052

* * *

ვინ დაინახავს პატარა გორაკს
მაღალ მწვერვალთა ზვიად მხარეში;
ან ვინ შეამჩნევს პატარა ბორანს
ზღვათა ბობოქარ სიაფთარეში?!

ან მეხი იყავ, ან სალამური,
ან ცეცხლი — კაცთა გულის მდაღველი;
ან გაგვაგონე ხმა საამური
და დაგვიამე სევდა-ნაღველი!

მუხის მაგვარად გაიდგი ფესვი,
მედგრად შეები ქარს და ქარიშხალს,

ვის რაღად უნდა სიმღერა, ლექსი,
თუ ხმა ძლიერი ყელში გაგიშრა?!

ედარე მეხს და ასცილდი მწვერვალს,
შეები მღელვარ ზღვას უსასრულოს;
არ შეუშინდე ავ ბედისწერას,
შმაგი მორევი უნდა გასცურო!

ვინ დაინახავს პატარა გორაკს
მაღალ მწვერვალთა ზვიად მხარეში?!
ვინღა შეამჩნევს პატარა ბორანს
ზღვათა ბობოქარ სიაფთარეში?!

1057

ბახმაროდან—ბახვისწყალზე

გზა ხვეული
ოკრობოკრო,
მთის დამრეცი,
სახლი მთაზე...
ჩადიოდა
ოქრო-გოგო
ბახმაროდან
ბახვისწყალზე.

ნისლი გაჰქრა,
უცებ დაცხა,
ვიდექ
გრძნობამორეული
და მეჩვენა
თითქოს ცხადად —
ჩემი სიყრმე
შორეული...

გზა ხვეული,
ოკრობოკრო,
მთის დამრეცი,
სახლი მთაზე...
ჩადიოდა
ოქრო-გოგო
ბახმაროდან
ბახვისწყალზე.

1911

ჩემი ქვეყანა

ზეცა ფირუზი, მთები ჭაღარა,
ტბები ანკარა, ზღვები ცისდარი:
გადაშლილია ზურმუხტ ბაღნარად
ჩემი ქვეყანა — მხარე მდიდარი.

გოგო-ბიჭები დახატულები,
ოქროპირები, ტკბილხმიანები:
ჩანჩქერები და ნაკადულები —
დაუცხრომელი და ფხიანები.

მტრისთვის ციხე და რკინის კედელი —
მარად ზურმუხტი ჩვენი მთა-ბარი:
რკინა-ფოლადის გამომჭედელი,
გმირ წინაპართა ხსოვნით გამთბარი.

ამღერებული მხარე — ბაღნარი,
ხალხი ბრძენი და თავაზიანი;
კავკასიონი — მტრისთვის ლახვარი
და მეგობრისთვის მარად მზიანი...

ხალხი მართალი — ძმათა ერთგული,
დღეს ინდუსტრიით გრგვინავს ყველგანა;
მთათა გრეხილი მძლავრად შეკრული —
გზაბედნიერი ჩემი ქვეყანა...

1962

მითხრა გოგონამ

მითხრა გოგონამ ვარდად გაშლილმა:
— მსურს, შენი ლექსი ასე გავიგო,
ლაღი ოცნებით ცამდე აჭრილა,
რომ სიყვარულის კოშკი ავიგო,

შემოგხედავ და სუსხი გწვევია,
ლექსში კი ღვივის ტრფობის ღადარი;
ნუთუ გულს ყინვა დაუძლევია
და ვერას აკლებს მკაცრი ზამთარი?

მე ვუპასუხე: — კარგო, ლამაზო,
ლექსში რომ ფეთქავს, სიყრმის გულია;
რაც განმიცდია, იმას გთავაზობ,
გიცქერი, გულში გაზაფხულია!

რა ვუყოთ, თმებში იყოს ჭაღარა,
თეთრი თმა განა სულის ობია?
რადგან ქცეულა გული ბაღნარად,
ჩანს, სიყვარულიც არ დამჭკნობია!

1958

ოთხი დრო

მსუსხავი ქარი, გრიგალი, ყინვა, ქარბუქი, ქარ-წვიმა...
ხან ბედთან შეურიგალი კაცის სიცოცხლის განწირვა...

აყვავება და ვარდობა, გაზაფხულის ცა კრიალა:
მგზნებარე ახალგაზრდობა, ბებერი გული კი არა!

ზაფხულის პაპანაქება, სახე — ალმურით დამწვარი;
ხეხილის ზრდა და დაკრეფა, დაისი, როგორც ხანძარი...

და შემოდგომის ბარაქა, ამბოხებული მაჭარი;
ქორწილი სოფლად, ქალაქად, ყურძნის აკიდო დამჭკნარი...

ოთხი დრო განა გვაწბილებს? დრო არსებობას იფერებს;
ხან ყრმობა, ხან სიყმაწვილე, მოწიფულობა, სიბერე.

ცხოვრების სუსხი, გრიგალი, ნათელი გზების შებოჭვა;
სიცოცხლის შუქი მიმქრალი და სულში ზამთრის შემოჭრა...

1958

* * *

ამ ცას,
ამ ზღვას,
ამ ხმელეთს,
ამ ზვარს,
ამ გზას,
ამ ღელეს,
ამ ტბას,
ამ მთას,
ამ ხევებს —
სიყვარული
ამღერებს...

1962

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ერთი მათგანი

როგორ ამიხდა ნატვრა პირველი,
საწყალო ბიჭო, ეს რა გეღირსა!
მომცეს ბილეთი კომკავშირელის
ბილეთი ჩემი გადარჩენისა...

ჩემო ხარაზო, გაყინულ ბინდში
გახსოვს ფურნესთან გრძელი კუდები,
გამაღვიძებდი და პურის რიგში
ჩუმად, ჯოხივით მიმაყუდებდი.

დავწანწალებდი კარიდან კარად,
ხშირად სადგურში ვათევდი ღამეს.
რა დამავიწყებს გულკეთილ დარაჯს
და ქუთაისის გაყინულ სკამებს.

ახლა ოთახის მფლობელი გავხდი,
ვხარობ, მაჩუქეს თითქოს ვერსალი.
მთვარის შუქი და ჭრიჭინა ტახტი —
ჩემი ავეჯი მხოლოდ ეს არის!

მეტი არც მინდა! აღარ წყდებიან
ჩემი დღეები დამპალ ძაფივით,
ძველო გვარდიავ; ცოტა მრცხვენია
ჩემი ღარიბი ბიოგრაფიის.

მე მხოლოდ ტირში მისვრია თოფი,
გამიხვრეტია მუყაოს მახნო.
მე არ მინახავს ჯალათის თოკი
ჩემი გამხდარი კისერის ახლო.

მეტეხის ციხე მე არ მძიძგნიდა
და არც ციმბირის საშინელება.
გამიგონია, მხოლოდ წიგნიდან,
თქვენი ფილტვების მშრალი ხველება.

თქვენ, არწივებო, თავი გასწირეთ,
არ შეუშინდით სისხლიან ავდარს,
როცა სდევნიდნენ ყველა არწივებს
ორთავიანი არწივის გარდა.

მაშ, მომიცია, ჰა ჩაიბარე
ჩემი ძალ-ღონე დაუხარჯავი.
შინა და გარეთ; შინა და გარეთ
ის მტერს დახვდება როგორც ხანჯალი.

კვლავ მეძახიან შენი ფესვები,
ნასახლარების შავი ნაცარი...
მეც შემიძლია ვიყო მთესველი,
ორად ვაქციო ერთი მარცვალი.

მეც შემიძლია რიონის წყალი
გარდავაქციო მზედ და სინათლედ,
ვიწამო შენი სიტყვა და ხმალი
როგორც ყველაზე დიდი სიმართლე.

გზას მინათებდეს შენი მიზანი,
შენი ჭირი და დარდი ვიდარდო —
მეც შემიძლია „ლეკვნი მგლისანი“ —
ხუთი გიორგი გამოგიზარდო.

მაშ, მომიცია, ახლა წაიღე
ჩემი ძალ-ღონე დაუხარჯავი,
უკან არასდროს ის არ დაიხევს,
როდის იხევდა უკან ხანჯალი!

1928—09

მ ე რ ი ს

წუთისოფელი რასაც მოგვცემდა,
ჩვენ გავიყოფდით თანაბრად მუდამ:
სიხარულს, ნაღველს, ლამაზ ოცნებას,
შვილის სიყვარულს და თოვლის გუნდას,

სადმე ჭალაში გაგონილ „აუ“-ს,
მთვარეს, თხილის გულს, მოწამლულ ისრებს,
და როცა ჩემზე გეტყოდნენ აუგს,
მოიღერებდი ამაყად კისერს.

ახლა მასწავლე, როგორ გავიყო
შენი ტკივილი და სნეულება!
როგორ გავიყო!
შენი თვალები
რატომ არაფერს არ მეუბნება.

შენ არ გივლია არასდროს კენტად
და თუ გოლგოთა საწოლზე დაგცემს —
იმ ყაჩაღივით ვიქნები შენთან,
იესოს გვერდით ჯვარზე რომ აცვეს.

1960

დ ე დ ა ს

გზა მიეცით, აგერ მოდის ჭალადიდის დედოფალი,
ჩიხტიკოპის მაგივრად შუბლზე ადევს თეთრი მხალი.
ღარიბ ქოხში მოგიყვანეს, ღარიბული გელის ლხინი,
სეფას ყანწი არ დაუვლის ულვაშივით დაგრეხილი.
შენს ქორწილში არ გასცვეთენ ნიავივით მსუბუქ მესტეებს,
არ დაგახლის ტოლუმბაში ქარაგმებით სავსე ლექსებს.
არ ატყდება თოფის სროლა, არ გატყდება ერთი თეფშიც,
არ შეხვდები მზის ამოსვლას მაყრიონის სიმღერებში.

რიონის პირს მოსდგომია შენი ქოხი წაფერდილი,
იქ რა დადის ნალიასთან, კამეჩი თუ ღრუბლის ჩრდილი?

მკვდრის მზეა და გვალვის მთვარე, ვერ იხარებს შენი ყანა,
ყური უგდე, როგორ უჭირს ხეებს კვირტის გამოტანა.
ან აკვანში როგორ ბორგავს დახაშმული შენი ბავშვი,
ასე ბორგავს აქ მარცვალი უნაყოფო ნიადაგში.

არა თაფლი და შარბათი, აქ ნაყოფში შხამი დგება,
ვარდი ფუტკარს არ იზიდავს, ხეს ცეცხლი არ ეკიდება...
წყალში ხნავდი, წყალში თესდი, წყალს მიჰქონდა შენი რთველი,
სანამ ოდას გადახურავ, უკვე ლპება საძირკველი.
და ჭაობში ჩაკარგული ნახევარი შენი ტანის,
თითქოს ქრისტეს ეჭიდება მოქანცული ამირანი.

ხან მთელი დღე დაზაფრული ეზო-ეზო დასდევს ბავშვებს,
რა სიზმარი ნახა წუხელ, ცალი წარბი უთამაშებს!
თავსაფრის ყურს მოიჩრდილებს და ჭიშკართან ჩუმად ოხრავს!
„წითელწვერამ ჩაგვიარა, არ გათვალოს მაკე ძროხა!“
ამღერდება გობ-საცერი და ხელახლა მესმის თითქოს,
შუაკარში ნუ დაჯდები, მევალემ არ მოგვაკითხოს!
ჭალადიდის დედოფალო, ღარიბ ქოხში მოგიყვანეს,
რად სჭიროდა ქალის ცრემლი, განა წყალი აკლდა ყანებს...

1960

ზამთრის პირას

როცა მეგონა, რომ გზა დასრულდა
და მხოლოდ დამრჩა ერთი დაღმართი,
როცა დამარქვი ლანდი წარსულთა
და ყველაფერი უკვე წამართვი,

როცა ჩემი ხმა აღარ გშიოდა
და არ გაჰქონდა სიტყვას კაშკაში.
მტერს უკვე ჩემი არ ეშინოდა
ვით ცარიელი ძველი ქარქაშის.

სიყვარულს უკვე არ ვუმღეროდი
როგორც ოდესმე გელათის კართან.
უკვე არავის აღარ ველოდი
იმ ცელიანი უცნობის გარდა.

როცა მეგონა, გზა რომ დასრულდა
და ვერაფერმა ველარ დამსეტყვოს...
როცა არ მსურდა, მართლა არ მსურდა,
რამ შემახვედრა შენთან ასეთ დროს!

ახლა დავრბივარ სულელ ხბოსავით
და ჩუმად ვლოცავ ბედნიერ წამებს,
კიდევ შორს არის, კიდევ შორს არის
არგათენების ის ერთი ღამე.

რამ შემახვედრა! სიტყვა მერევა
და ვატყობ, რითმას ველარ ვიპოვნი,
ვკვდები უშენოდ — დიდი საქმეა
ურითმოდ მოკვდეს ერთი სტრიქონი!

შენ დამიბრუნე საუნჯე ბევრი,
ცაცხვების ქუჩა, ჩქარი რიონი...
ბაგრატის მთაზე მეორე მერი
(პირველს უმღერდა გალაკტიონი).

შენ დამიბრუნე ძირი და ფესვი
და ჩემი ლექსი მუდამ გიწამებს,
ამოვა მთვარე და ისევ მესმის
ევამ რა უთხრა ადამს იმ ღამეს...

იქნებ ეს შენთვის მძიმე ტვირთია
და არაფერი დაგრჩა სათქმელი...
მაშინ ჩააქრე წინ რომ გინთია
უკანასკნელი ჩემი სანთელი.

1969

გამოთხოვება

ვერ მომერევა შენი ლახვარი,
თუმცა სიმწარე ბევრი მარგუნე.
მე თვითონ ვიცი ჩემი საზღვარი,
ნუ დამიძახებ, ვერ დამაბრუნებ...

შენ ახლა ჩემი წარსული გქვია,
ვერ დამაბრუნებ — სულიც მხდებოდეს!
უნახავს ვინმეს ნასროლი ტყვია
კვლავ თოფის ლულას დაბრუნებოდეს?

ყველაზე წმინდა დასაფიცარი
შენ გაატანე ქარსა და ნიავს,
მე არ მეყოფა სამი ფიცარი
სიტყვა უთქმელი იმდენი მიმაქვს.

1969

ვარლამ ყურული

* * *

უტევს გრიგალი ჯმუხა ბერმუხებს,
მხრებზე რომ აწევთ საუკუნენი.
ხეს შეჰგრიალებს, რტოებს შეურხევს
და ზედ ასკდება აბუბუნებით.

იმ მუხას მოჰგავს ჩემი მამული,
წინათ ნასეტყვი და ნამეხარი.
იყო ომებით გულმოშხამული,
ახლა ფოფინა ვარდებს შევხარით.

შორიდან უხმობს გომბორს ყვარელი,
ბორჯომს — დმანისი და თამარისი:
ისევ ამწვანდა ტყე საყვარელი,
ეფირუზება ცა მარადისი.

ზვიადად დგანან მთანი ტყიანი,
მწვანე ნაძვებით მკერდდახატული.
აყვავდა მიწა ზურმუხტიანი,
თამარის მიწა, მიწა ქართული.

1986

გაწყვეტილი სიმი

სარდაფში ვარ... კვლავ დავცალე ჭიქა
საქართველოს ყურძნის წვენით სავსე.
ზღვის ტალღებშიც რომ შევვარდე, იქაც
შენი ლანდი დამადგება თავზე.

აქ ფიროსმანს დაუხატავს კრავი,
აქ დარდების გასაქრობად სვამენ...
მაშ დამისხით კარდანახი შავი,
ეგებ თეთრად გავათენო ღამე.

გარეთ ხმაა ტრამვაის და წვიმის,
გარეთ წვიმა დაშხაპუნობს ახლა.
ვინ გაიგებს, გაწყვეტილი სიმის
აჟღერებას ამ სარდაფის მაღლა!

ვინ გაიგებს, აქ მოვედი მარტო,
აქ მეძახის სიყვარული ღამით!..
ხან მაღონებ, ხან ოცნებით მართობ,
ხან კი მწამლავ განშორების შხამით.

სარდაფში ვარ... კახურის სმის დროსაც
შენით მათრობს მოგონება ტკბილი.
კარგი იყო ის ბავშვობა, როცა
მქონდა ტყემლით მოკვეთილი კბილი.

1984

ვაზის მამა

ვკითხე წინანდლის ძველ მევენახეს:
— რამ შეგაყვარა ვაზი ქართული? —
მითხრა: — ბადალი ვერსად ვერ ვნახე,
მისი მადლით ვარ წელგამართული.

ზვარს მივაშურებ ცისმარე დილით,
მივხედავ, ვიდრე ძალ-ღონე შემწევს,
მთელი სიცოცხლე თელიანს ვივლი,
ვეხარებ ჩემი რქაწითლის ლერწებს.

მზე დამიშაქრებს ქარვისფერ ყურძენს,
წითლად რომ იწყებს ღუილს მტევანი,
ამ სილამაზეს თვალი ვერ უძლებს,
ტკბილია რთველში ღამის თევანი.

დავაბინავებ ჭირნახულს ადრე,
ქვევრებს ავავსებ ახალი ღვინით
და თამადობას მოხუცს თუ მკადრებთ,
გავწევ როგორმე, გაამებთ ლხინით.

ვერ დამიწუნოთ სუფრა გაშლილი,
ვერ დაივიწყოთ წინანდლის გემო,
ვიდრე ჭაღარა ვეფხიაშვილი
ჯერ კიდევ ვეფხობს, მამულო ჩემო!

1959

ჩემი მერცხალი

ღამეებს ფიქრით ბევრჯერ გავთელავ,
ლექსს თუ სიცოცხლე შეემატება.
სტრიქონში მიზის ციცინათელა,
კარგია, ვინმეს თუ ენათება!
ლექსია ჩემი გულის მერცხალი,
ბუდე აქვს, სადაც სილამაზეა,
არ ჩაუქრება პწკარს ნაპერწკალი,
რადგან სამშობლოს ტრფობით სავსეა.
პწკარში ფოთლების შარიშურია,
ხან კი — ხოხობის უცებ აფრენა;
მაინც ისეთი ლექსი მწყურია,
ვარდმაც ინატროს მის წინ დაფენა!

1945

დაკარგული ლექსი

დღემდე არ არის აღმოჩენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ასტრა“.

საით გაიჭერ, ლექსო კეთილო,
სად წარიტანე ამდენი ნატვრა,
ვარდის ცრემლის წინ ატირებულო
და უგზო-უკვლოდ გამქრალო „ასტრავ“!
სად გაფანტულან წმინდა პწკარები
შენი თბილისის ცისფეროვანი,
წრფელ სიყვარულით ნაელვარები,
სულით სპეტაკი, ჰაეროვანი!
სად აგინთია ტრფობის ლამპარი,
სად გინდა მწარე ნაღველი ლესო,
ბარათაშვილის დიდი გულიდან
ამოფრენილო პატარა ლექსო!

*

ეგებ შენც იყავ ციცინათელა,
გხიბლავდა შორით წვა და ნათება,
მთაწმინდის კალთებს შესციცინებდი —
უბრწყინვალესი მგოსნის ხატება!
ღამით ვარსკვლავი გიკაშკაშებდა,
გესალმებოდა დილით სუმბული,
ხან კი კაეშნით აკვნესებული
შტოდან გისტვენდა ნაზი ბულბული:
რამ დაგაობლა, რამ გაგარინდა,
სამშობლოს ძახილს რად არ გებულობ,
უმისამართოდ ლტოლვილო ლექსო,
პეპელას სუნთქვით შთაგონებულო?

რად დაივიწყე ვარდი მწუხარი,
რად მიატოვე ტატოს კრებული,
რად არ აჟღერდი უკვდავების ხმით
ლამაზ ასულზე შეყვარებული!
იქნებ საფლავში ჩაჰყევი მგოსანს,
განჯის მიწაში ჩაეშვით ორნი,
ან იქნებ სადმე, არქივის მტვერში,
დარდობ მარტო და გეძებენ დრონი!
დროა გამოჩნდე, გაიზაფხულო,
ნახო ცა-ფირუზ ქვეყნის დარობა!
ვინ გაიგონა საქართველოში
ლექსის ობლობა, უსახლკარობა!

*

მაინც სადა ხარ გადახვეწილი,
ლექსო, უბედო და უჩინარო,
გვითხარი, მიწავ, ეგ საიდუმლო,
გვითხარ, ყვავილო, მტკვარო, ჩინარო!
ხომ უპოვნიათ ტურფა ნესტანი
დატყვევებული, გადაკარგული,
როგორ გახმება შთაგონების ხე,
საკაცობრიო ბაღში დარგული!
შენც აგვიმღერდი, ამოხმატკბილდი,
ამოანათე, ოცნების მწყემსო,
ბარათაშვილის დიდი გულიდან
ამოფრენილო პატარა ლექსო!

1915

კარლო კალაძე

შავი ზღვის პირად სახლი ავაგე...

ჩემი სიცოცხლე და სიამაყე
ჩემი კერაა, ჩემი მამული!
შავი ზღვის პირად სახლი ავაგე,
ხეების ჩრდილქვეშ ჭერმიმალული.

შავი ზღვის პირად, იქ, სადაც ტალღას
შეეპარება თმაში ჭაღარა,
ქვიშა მოხვეჭა ზღვამ საიდანღაც
და გამჭვირვალე ფსკერზე დაჰყარა.

ფსკერზე დაჰყარა პატარ-პატარა
ქუთუთოების მსგავსი ნიჟარა,
ფსკერზე დაჰყარა, მაგრამ თითებით
მოვფერებოდი, არ დამიშალა!

მიყვარს მე თვალი ამ ჭროღა კენჭის,
გადავიწყებულ ფიქრის ამწეწი!
მიყვარს, მოვარდნილ ტალღას რომ ერჩის
ძველი ქვიტკირის ერთი ნამცეცი.

მას, შემიძლია, ზღვის გულში ჩავყვე,
მისი მიწა და წყალი მწყურია,

იქ არის ჩემი ქალაქი წყალქვეშ,
იქ არის ჩემი დიოსკურია!

ისე ვით მისი თანამედროვე,
ისიც დალექილ ფსკერზე დავიდა...
მაგრამ წარღვნათა შემდეგ მე მოველ
და წელთაღრიცხვას ვიწყებ თავიდან!

შავი ზღვის პირად, იქ, სადაც ერთ დროს
წყალმა წარსულის კვალი წაშალა,
ბედს უნდა ჩემი დღე შემახვედროს,
ჩემი გზა გასჭრა, ჩემი გზა-შარა!

ახალ ნერგების შრიალ-შრიალი
ხელგაშლით ახლა მეც აქ მამღერებს,
ჩემი დღე ამ დიდ შრიალში არი,
ჩემი დღე მაღლა მიაქვს ამ ხელებს!

ჩაძირულ თვალთა შუქს კი ვინ მოჰკრებს,
ზღვის გულში ღელვას რომ ჩაჰყოლია...
ხანდახან ზღვა რომ ამოიოხრებს,
მე წინაპრების სუნთქვა მგონია!

და წამით გულიც შეკრთება, მაგრამ
წარღვნით წართმეულ წუთს არ მივტირი, —
მიმავალ დღისა და ღამის გაყრამ
ვერ უნდა შესძრას ჩემი ქვიტკირი.

მე სხვა იმედით თვალს ვერ გავახელ
და მომთაბარედ ვერსად ვერ წავალ...
შავი ზღვის პირად სახლი ავაგე,
კოლხეთის ერთი მკვიდრი მეცა ვარ!

1958

* * *

ზღვაში რომ გავალ, მეც გამექცევა
სამხრეთისაკენ თვალი ყოველთვის...
მეც იმ გაბედულ ტალღის ფრთებზე ვარ —
ღელვით ჭოროხის ღელვა რომ ერთვის!

ნეტავ სარფს იქით ზღვა როგორია,
ზღვაა ოცნება — ჩემი წილხვედრი! —
გემს, რომ თვალს მოვკრავ, ასე მგონია
მოცურავს ოშკის ტაძარი თეთრი...

1960

ენგური

ენგური რუხის ციხესთან ვნახე,
აქ მოჩანს მისი ტალღების ლეწვა.
და ერთი სიტყვა მეც გადავძახე,
ენგურის ერთი ერთგული მეც ვარ!

— გაგირღვევია კლდეების სისქე,
როგორღა გინდა მთებს უერთგულო,
სამურზაყანოს მიწიდან — ზღვისკენ
თავდავიწყებით გარბი, ენგურო!

იმღერე, სანამ არაა გვიან,
სანამ მთებიდან გასული არ ხარ,
იმღერე, სანამ ენგური გქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!..

ენგური რუხის ციხესთან ვნახე,
აქ მოჩანს მისი ჩქარი ფერხული.
ჩამოღარვია მურზაყანს სახე
და ღვართქაფებად მოჰქუხს ენგური!

მთა შეფოთლილი ახლაც მაგონებს,
რომ ტანზე ჯაჭვის პერანგი ეცვა,
ენგურმა ხელი ჰკრა, და მთა-გორებს
ესმით ამ ჯავშნის აშკარა ლეწვა...

ვიმღეროთ, სანამ არაა გვიან,
სანამ აქ ფეხზე დგას მთების ალყა,
სანამ თვით ენგურს ენგური ჰქვიან
და არა უკვე შავი ზღვის ტალღა!

1958

ქვევრები

ვეება ქვევრი ხეების ქვეშ
გდია უაზროდ, გდია გულაღმა,
გაბზარულია, და როგორც თქვეს,
ჯავრით გატრუნა სული მსუნაგმა.

ჯანიც გავარდეს, თუ აგრე სურს! —
მე სამეგობროდ სხვებს ვეგულები —
ცხრანივ აქ, სადღაც ითქვამენ სულს
ვაჟკაცებივით მხრებშეკრულები.

თუმცა ჩაჰკირეს მიწაში, მწამს —
რომ უიმედოდ არ ბერდებიან,
ელიან ლხინს და ელიან წამს,
როცა ერთბაშად ამღერდებიან!

როცა გულდაგულ მოსთხოვენ მათ
დოინჯით მდგარი დოქები ღვინოს,
ცხრა ტოლუმბაში რომ დასხდნენ სმად —
ვერ ამოცლიან სასმელ-სალხინოს!..

და ხალხსაც უყვარს მხოლოდ ცხრა ძმა,
ჩალად არ უღირს მეათე ქვევრი,
ყრუა და როსტომ-ბრძენივით ღრმა,
წევს მხარ-თეძოზე ცრუ ენამჭევრი!

ამ ზანტ-ბარბაცას ხელი ვინ ჰკრა,
ვინ შეურყია უგულო მკერდი?!
აქ სავსე გულით ამაყობს ცხრა,
სიცარიელით — მხოლოდ ეგ ერთი.

ჩრდილქვეშ ჯაშუშის ყურივით ჩანს,
გვისმენს და გვიქმნის იგავ-არაკებს, —
ხეთა შრიალსაც კი მოსდებს შარს,
მათი ხმით ბნელში ილაპარაკებს!

და ბზარიც ისე აჩნია კრულს,
როგორც უაზრო ღიმილი სახის...
ჩავძახებ ხოლმე: — რა დაკარ გულს?
და „დ ა კ ა რ გ უ ლ ს“ — ყრუდ ამომძახის!

1962

სიმღერა

ნუთუ არ განმეორდება გუშინდელი დილა! —
შენი ეზო მაგონდება, შენი დელი-დელა!
სიცილივით მიმალული ნაკადულის დენა
და იმ ტალღის სიყვარულით რტოდახრილი თელა —
ახლაც მოსალოდნელია, შრიალებდეს ნელა:
აბა, დელი ოდელია, აბა, დელი-დელა!

ამ სიმღერით ომში წავალ და ვით მებრძოლს ძველად,
იგი, როგორც ფიქრი მწვავე, მახლდა ბრძოლის ველად,
როცა დამჭრეს, დაფლეთილი გულიც გამიმრთელა,
ამ სიმღერით ამოვიდგი წართმეული ენა...
ჩამოველ და, აი, თითქმის, ღამეც გამითენა...
ოდელიას ვინ არ იტყვის, აბა, დელი-დელა!

1946

ტოროლა

ამომავალ მზეს ფრენა-გალობით ხვდება ტოროლა ..

ნათელი მთელს ჩემ სიცოცხლეს ამ ერთმა წუთმა მოჰფინა!
რაც თვალით ვნახე, უბრალოდ ნეტავი მაამბობინა:

მზე იფრქვეოდა მკათათვის, კვლავ იდგა დარი მზიანი,
ის იყო სწორედ, მიჩუმდა პურის მკა ხალისიანი.

სერზე შემდგარი იფნის ხეც არ ირწეოდა სიოთი, —
დიდი სამხრობის დრო იყო, ნაპურალს გადავდიოდი.

და არც კი ვიცი, რატომღაც, უცებ, სად იყო, სად არა —
მოულოდნელად შევჩერდი, ძირს ეგდო ჩიტი პატარა!

ხელთ ავიტაცე, ვიფიქრე: — ვინ მოჰკლა-მეთქი ტოროლა?
სოფლის ბიჭები მხვდებოდნენ გზადაგზა თითო-ოროლა, —

იმათაც ებრალებოდათ, თქვეს:—აუხსნელი რამ არი —
..ტოროლას მაინც არ მოვკლავთ, ბევრიც რომ გვქონდეს წამალი

მუხრანის ველზე გავედი ბოლოს, გზაც მქონდა იქითკენ.
— ვინ მოჰკლა-მეთქი, — მუხრანელ მოხუცებშიაც ვიკითხე.

და აჰა, ერთმა მოხუცმა სიმართლე შემატყობინა:
(სიჭაბუკეში მემინდვრე და ღამის მეხრე ყოფილა)

„სიჭაბუკეში გავიგე, ამბავი გახლავთ ცნობილი,
ეგ არაერთხელ მინახავს მეც აგრე სულგაფრთხობილი!

როცა ჯერ კიდევ ცისკართან ბრუნავს მზე ნაპერწკლიანი. —
მისი გალობა გაისმის და მისი ჩანგის წკრიალი!

მაღლა, სულ მაღლა მიიწევს, ხიბლავს სილაღე დილისა,
ვიდრე არ შეიკუმშება გული ცას მოწყვეტილისა! —

მაშინღა შეწყვეტს გალობას და ფრთები მოეკვეცება.
მზისკენ თუ მიისწრაფოდა — დედამიწაზე ეცემა!..“

შენ, ჩემო სწრაფო სიცოცხლევ, მინდა, მეც შენებრ ვიჩქარო,
ღრუბლებგადაყრილ ღამეთა თმაშევერცხლილო ცისკარო,

შენ, ჩემო დიდო მტკვრისპირო, გაშლილო ქედით ქედამდი...
მზე წითლად ამომავალი როგორ მიყვარდა, ხედავდი!

მეც მხიბლავს ჩემი ცისკარი, მეც არ ვარ კაცი უგულო,
ყანა კი არა — ზღვა არი ვერ შესძლებ ჩუმად უყურო, —

გულო, აფრინდი, აფრინდი, განთიადები გელიან,
პურის მღელვარე ყანები სიმღერით მოსამკელია!

მზეს დახვდი ფრენა-გალობით, უკეთეს ბედს ნუ დაეძებ —
და შემდეგ თუნდაც ჩიტივით ცასმოწყვეტილი დაეცე.

არა, ეგ წყენად არა ღირს, მკვდარი იმ ლაღ გულს არ ჰქვია,
ცაში, რომელმაც სიცოცხლე გალობით მიმოაფრქვია!

1955

არაკი ბუხრის წინ

მათი ამბავი ყოველთვის განგებ
გიორგობისთვის ღამეში ხდება,
მოვალ, კუნძებით ცეცხლს გავაჩაღებ
და გულიც განგებ გამიჩაღდება.

ვით ორი ჭინკა, ბნელ კუნჭულიდან
მომძებნის ორი პატარა გუდა.
ერთი ძლივს ითქვამს სულს ჩურჩულითა,
მეორე ღვინით სავსეა მუდამ.

მათი არაკი არ მიღირს არად,
მაგრამ, რით ავხსნა, ვერ მიმიგნია, —
ჩემს მუხლზე ჯდომა რამ შეაყვარათ,
რამ შეაყვარათ ჩემი იღლია?!

ჯამს როცა ღვინით ამივსებს ერთი
და მეტყვის ღმერთმა ნუ დაგვაბეროს!
მეორეს ლხინით ევსება მკერდი,
რომ სტვირს უკვდავი სული შთაბეროს.

სტვირის ქარახსა პირმოვერცხლილი,
როცა ღიღინით მარჯვენას მიქებს, —
ის ტიკიც ღიპზე დაკრული ღილით
დახედავს ჯამს და... ტკბილად ტიკტიკებს!

და ორი გუდა — ორი ტიკჭორა
ჭორით, სიმღერით, სიმწუხარეთი
ბუხრის გუგუნმაც ვერ მოიშორა,
ისე საამოდ სურთ ერთმანეთი!

მაგრამ როდესაც ინათებს დილა,
ნდომით ერთმანეთს როცა დასცლიან, —
ვხედავ, ბუხარიც ამაოდ ცდილა,
დრო სულ ნაპერწკლებს გაუტაცნია!

ვხედავ, რომ გუდა ძალ-ღონეს ილევს,
და სტვირსაც აღარ ვესახელები, —
ბუხრის წინ სძინავთ კინწმოტეხილებს,
მძიმედ ჰკიდიათ მოკლე ხელები.

ორთავეს უნდა გაუქრო რული,
დილა თუ გინდა გათენდეს ლხინით, —
შთაბერე პირველს ხელახლა სული,
მეორე ისევ აავსე ღვინით!

თუ აქ ცოცხლობდი — აქ იხალისე,
მათი მოყვარე კაცი იყავი...
და მათი სიტკბოც იგემე ისე,
არ გამოიცნო მათი იგავი.

1945

მ ე დ ო ქ ე ე ბ ი

ზემო სოფლიდან ურმებით მოვიდნენ მედოქეები, —
აყალო მიწით მძერწავნი, წარმართთა მეტოქეები.

ფუჩეჩით შეუფუთნიათ, სურა, ხალამი, ჭინჭილა...
შავი ნაგაზიც მოჰყვებათ, ჯაჭვი აბია ჯინჯილად.

დაბალ გოგორა ურმებზე გადაწოლილი ჭურები
იცქირებიან პირღიად დევივით გაბაწრულები.

იმათი უღლის გამწევი ისევ წიქარა ხარია,
კაცის ფერგამომწრთობელიც მზეა და ზენა ქარია.

მედოქეებიც გამხდარან გამომწვარ თიხის ფერისა,
მეტადრე ერთი ვაჟკაცი — სეხნია კახაბერისა!

შეჩერდნენ სოფლის წყაროსთან, ბაწრები ახსნეს ძარისა,
გამოეგებათ ჭიშკრიდან ღიმილი პატარძალისა!

მედოქემ სურა მიართვა წვეთშეუსვამი, ახალი:
ოდნავ ფერმკრთალი ქალივით, ქალივით გულმკერდმაღალი.

ხელთ ჩამოართვა ლამაზმა, მიდის ყელმაღალ სურათი...
წელს რომ დოინჯი მოიდგას — სურაა მისი სურათი!

გული შეუკრთა კახაბერს, ადგილზე დარჩა უძრავად, —
თვალები თითქოს წაცვივდა წასულის შესამუსრავად!

უცქერის, კაბის შრიალით კიბეებს როგორ აივლის...
მუხლივით მოჩანს რიკული ახლად აწყობილ აივნის.

დამშვენებულა მიდამო ახალი ოდის შენებით,
ჯერ კიდევ ჰყრია ეზოში ჩუქურთმის ბურბუშელები!

ვენახში თოხის ხმა ისმის, თვითონ ვაჟკაცი არა ჩანს —
მესერზე გადუკიდია ჯარისკაცური ფარაჯა!..

„დიახაც უნდა ქვეყნები მოევლო სასახელოდა, —
შინ თუ გვირგვინის სასკვნელად ასეთი ბედი ელოდა!“

იფიქრებს ბიჭი წითური, იფიქრებს... მაგრამ ანაზდად
ბრგე მედოქეებს ხორხოცით, გრძნობს, მხრები აუთამაშდათ,

გრძნობს, რომ სიცილით ურმებზე გადაწოლილან ჭურებიც
და ძველ არაკად მოისმის წყაროთა ნაჩურჩულევიც!

დგას კვლავ თავდახრით, წყაროსკენ გახედვა დაეზარება, —
გული რომ რკინა ეგონა, დოქივით გაებზარება!..

1944

ეტლი გზაზე

მხოლოდ შალვა დადიანს შვენის ეტლით იაროს,
ბერთემიდან მივდივართ, ვტოვებთ სადადიანოს!

მირბის, მირბის შარაგზა, მიაქვს თავქვე მთა-ბარი,
მირბის შმაგი ტეხურიც — გაუშლია ფაფარი!

თვალს ვადევნებ ზვირთების აჩქარებულ თქარათქურს,
გზის, ამ თამაშ-თამაშით გაელვებას დარახტულს! —

ტეხური და შარაგზა ორივ ურა ცხენია,
როგორ? — როგორ გაიგებს, ვისაც არ უცქერია!..

მხოლოდ შალვა დადიანს შვენის ეტლით იაროს,
ბერთემიდან მივდივართ ვტოვებთ სადადიანოს...

როგორც დრონი მეფობდნენ — ისე დრომ ვერ იმეფა,
და ვით შალვა დადიანს, აქ, მეც გამეღიმება...

ხან შევუტევ შარაგზას და ხან ტეხურს შევძახებ, —
მიჰქრის გრიალ-გრიალით ჩვენი ეტლი ხევდახევ!

გვეგებება მაღლობი და სიმწვანე ხშირი ტყის,
დათოვლილიც რომ იყოს, დაბერდაო ვინ იტყვის!?

ფერი ჩვენმა დღეებმა უფრო გაიცისფერეს, —
სიჭაბუკედ ვუზივარ გვერდით ჩემსავ სიბერეს.

გატყობ: ციხე კოშკია კვლავ ამ დილის მშვენება,
გზა აწყდება მთიდან მთას — ძლივს მოასწრო ჩვენება!

ვატყობ, სადღაც აქვეა დასასრულიც ამ ხევის...
წინ აღგვიდგა დუმილი ქვათა ნაქალაქევის!

და ის ლანდიც შარაგზას წამით რომ დაჰფენია
ჩვენი მისწრაფებაა და სხვა არაფერია!..

მაგრამ შალვა დადიანს შვენის ეტლით იაროს...
გულ-მკერდს უხსნის ნიავი — ართმევს სადარდიანოს!

1959

ქვა

მე ქვა მერქვა... ციხის ბურჯებს მეც ერთ ბურჯად შევუშენდი,
რომ დანგრევას გადაურჩეს ჩემი შავშეთ-ერუშეთი!
კახაბერის ველსაც ისე როგორც კახს და საინგილოს
ქვიტკირივით უნდათ ისე გული გულთან ჩაიკიროს!
მე ქვა მერქვა, მერქვა ხრეში, ქვა-შლილი და ქვა-უტეხი,
მეც რუსთავის საძირკველში ჩემს მომავალს ჩავუდექი!

კედელ-კედელ ქვა ქვას აჰყვა, ქვა ჩუქურთმად გაითალა,
მაგრამ იმ ქვას რა დავარქვა — ფუძემ ქვეშ რომ დაიტანა?!
მე ქვა მერქვა, წამკითხველო, ქვა-თეთრი და ქვა-ჭაღარა...
ჩემთვის გასჭრა დრომ აქ მდელო, ჩემი ძვლები აქ ჩაჰყარა.
აქ ხომ ქვეყნის ამაღლების საძირკველი არის დიდი.
და სასწაულს ძვალთა ჩემთა გაქვავებით განვიცდიდი...
წამკითხველო, ქვაზე კვალიც ჩანს იმ წაშლილ განაჩენთა, —
რომ უჩემოდ მომავალიც სართულ-სართულ არ აშენდა!

1961

მ ა მ ა

„ჩემი დღისა და ღამის წიგნი"

ეს არაა მხოლოდ მოლანდება წამის,
არა, მოხუც მამის სიტყვა ამისრულდა, —
გაოცება თქვენი განა ამით მსურდა,
სასწაული თვითონ დავიჯერო ლამის...

ჯერ იყო და, დღისით, თითქოს თავი დავდე:
ვუტრიალე ქალაქს, ღამის თორმეტამდე.

ვისაც ერთხელ მაინც ვუნახივარ — იტყვის —
რომ უბრალო დარდიც არ მაწუხებს იმ დღის.

შინ ღიმილი მომყვა... მაგრამ რაღაც იჭვით
მე და ჩემი ღამე, ვგრძნობ, უცეცხლოდ ვიწვით!
ვგრძნობ, როგორც კი დავრჩი ყრუ ოთახში უბრად —
ძილგამფრთხალი ფიქრიც იქცა ჭირისუფლად.

უცებ გაწყდა წამი... და შემაკრთო წამმა —
სიბნელეში მშვიდად შემოვიდა მამა.

შემოვიდა ისევ — ისე, შუბლგაშლილი,
გაზაფხულით თეთრად გაბარდნილი თითქოს,
მოიკითხა სახლი, შვილი, შვილიშვილი,
გულს მომხვდება, ვიცი, რაც არ უნდა მკითხოს!..

ოცდაშვიდი წელი, მდუმარე და ბნელი
იყო სადღაც მთრთოლვარ ხელით საძებნელი.

რამ აცოცხლა, ვფიქრობ, ვფიქრობ გულდამწვარი,
დასცემოდა მაინც ცრემლის ერთი ცვარი!

სათნო სახით ახლაც გამამხნევა, თორემ,
თუნდ სიზმარიც იყოს — თვალს ვერ გავუსწორებ!

რა ვიღონო, რა ვთქვა, მჯერა თუ არ მჯერა —
დამიჯაბნა მზერა დაბლა თავის დახრამ,
ჩემი მკვდარიც ვეღარ დავიტირე, მაგრამ
დავიტირო იქნებ ჩემი ბედისწერა!

ვინ დაუდო სიკვდილს და სიცოცხლეს ზღვარი,
ვინ დაუთმო მიწის მტვერს ხორცი და ძვალი?!

ქვა და ღორღი შესძრა, ალბათ, გულის ხმამაც,
მიმოსწია მხრებით კიდე-განი ვიწრო,
რომ აწ მიწამიყრილ ამოსუნთქვით ვიცნო
წიაღიდან მძიმედ წამომდგარი მამაც.

*

„რაო, ჩემო კარგო, რაო, ჩემო ყველავ!“
მეფერება მამა, ისე, როგორც ერთ დროს,
არაფერი არ სურს მე რომ დამაყვედროს,
გავუყუჩდი. ვუსმენ. და მით უფრო ვღელავ.

„კვლავაც შენ ხარ ჩემი მოშრიალე ტოტი,
ნამეხარი მუხა არ გეგონოს გახმა,
მიწაშიაც მე ამ მოლოდინით ვთრთოდი,
ამ სიხარულს, ვფიქრობ, აიტაცებ აღმა!

არ გეგონოს, დაღლილ გულს აღმოხდეს გმინვა,
ავკაცივით, მძვინვარ დრო-ჟამს დავსდო ბრალი, —
ან ისეთი რა მძულს, ან ისეთი ვინ ვარ —
რომ დავტოვო ქვეყნად მძულვარების კვალი!

მეჯავრება მწუხრი გაავებულ გმირთა,
სიყვარული არის ჩემი წმიდათწმიდა!
ბრძოლის ველზე ჩემებრ ვინც დაეცა — იცის:
რომ სიმართლეს ბელტი ვერ დაჰფარავს მიწის!

მკვდრეთით აღმდგარ სახელს რად შევმოსავ ძაძით?!
რწმენა—რწმენით ცოცხლობს, როგორც კაცი—კაცით!

მაშ, ავწიოთ წარბი, და ავიდგათ ენა!
მოერია ტკივილს ხალისი და ლხენა,

აკვამლებას — ისევ სჯობს ჩემსავით ენთო,
სიტყვის კაცი თუ ხარ, უნდა სიტყვას ენდო!

იმ იუღბლო დღიდან დღემდე პასუხს ველი:
რას შესწირე, შვილო, ოცდაშვიდი წელი?!“

*

ალის ფერი ცაზე წარუშლელი რჩება,
ის დასტოვა ბრძოლამ და სიცოცხლემ ჩემმა!
ჯერ არც ერთი ღმერთის და ხელმწიფის კაცი
არ ყოფილა ჩემზე მედგარი და მკაცრი!

რამდენჯერაც სცადეს და ჟანდარმის მჯიღით
გადამაგდეს უცხო მთა-გორების იქით —
იმდენჯერვე ბორკილს გამოვსტაცე ძვალი
და ციმბირის ქარბუქს ავურიე კვალი.

ვერ ჩამიხშეს ხმა და როგორც ვაჟამ ბრძანა:
კაცის ხმაშიც არის მთა-გორების ძალა!

მაგრამ განა მარტო ნაპერწკლები წამთა —
მე სიჩუმის ცივი მეტყველებაც მწამდა! —
თუ სიჩუმით იბრძვი — ერთი სიტყვა კმარა,
საიდუმლოს უკეთ იცავს ერთი „არა“.

ციხის ჯურღმულს, დაე, საამბობად დარჩეს —
სამი ღამე წყალში მდგარი როგორ მტანჯეს,
ძლივსღა შერჩათ ძარღვებს თბილი სისხლის ფეთქვა,
კბილს ვიმტვრევდი კბილით—სიტყვა რომ არ მეთქვა!

ვიდექ მტკიცედ, მქონდა მისწრაფება წრფელი,
განთიადი იყო ჩემი დროშის ფერი!
და ვინც ფერხთით დასცა ხელმწიფე და ღმერთი —
იცი კარგად, მეც ვარ იმ ათასში ერთი!

მეც იმ დილის მზე ვარ, არ ვეკუთვნი წარსულს,
ნაფლეთ-ნაფლეთ ღრუბლებს მივეფარო არ მსურს!

თავისუფლად გაშლილ შვილიშვილის ფრთაში,
ჩემს ძალ-ღონეს ფარულს თუ შეამჩნევ ახლა —
დარწმუნდები, როგორ ვისწრაფოდი მაშინ
მოვქცეოდი უკვე საუკუნეს მაღლა!

ნურც ქადილად ჩათვლი, ნურც მოხუცის კვეხნად,
თუ მგონია: ხელთ მაქვს ძველი ნატვრისთვალი,
თუ იმედით ვცოცხლობ სანამ თქვენ ხართ ქვეყნად,
სანამ წვდება მერმისს იმ დროშების ალი...

მე ჩემი ვთქვი... ახალს ახალ ამბად ველი,
და ვკითხულობ ის დღე სადღა არი, სადღა, —
სადაც მოსჩანს ერთად ახალი და ძველი,
მოსავალი ჩვენი, თქვი, როგორი დადგა?!"

*

— ზეიმია დილის, სიმღერაა თუ მზე,
მეც ამ სურათს ვხატავ, მეც ამ სურათს ვუმზერ!
ყველა საოცრება და ოცნება ყველა
ხეთა ფოთოლთშლა თუ ხეთა ფოთოლთცვენა,

თესვაა თუ კაფვა, თიბვაა თუ რთველი,
ფერად-ფერად მთების კალთა, მინდორ-ველი,
სულ ამ სურათზეა, სულ ამ ცისქვეშ, მამავ,
წარსული და აწმყო, ახალი და ძველი!

თუმც ბოლნისის ქვათა ფილებს მე არ ვთლიდი,
ახალ ჩუქურთმათა თაღებს ჩემად ვთვლიდი.
არც ყმა ვიყავ მეფის, არც ჯავშანი მეცვა,
მაგრამ ციხე-კოშკის გადამრჩენი მეც ვარ!

მუჭა-მუჭა მიყრილ ვარსკვლავების ციმციმს
გადახედე ხევ-ხევ, აჰა, თუ არ გიმძიმს,
გადახედე ღამეს: ფერწერაა ჩვენი! —
სიამაყით ვამბობ, ვაღებ სარკმელს, ვშველი,

და ენგურის ტალღა შუქივით რომ მოჰქუხს,
ჩემს სურათში თუა, ვეკითხები მოხუცს.
და მოხუცი მამაც მიპასუხებს: — არის,
ისე როგორც ტალღა რიონის და მტკვარის!..

*

— ვინ დაუდო სიკვდილს და სიცოცხლეს ზღვარი,
ვინ დაუთმო მიწის მტვერს ხორცი და ძვალი?!
მეც გულს მერჩის, ვღელავ, სხვებზე არა ნაკლებ,
და ჩვენს შორის ამტყდარ კამათს განვაახლებ:

ლექსს თუ ვწერდი მაშინ, როცა გვსპობდა ომი, —
სხვა რა იყო მფეთქავ გულთან მისაწვდომი?!
არ მღეროდა განა იმ ლექსს ყველა წყვილი? —
ჯარისკაცის დედა, ჯარისკაცის შვილი...

ვარსკვლავეთში, ახლაც კაცი გზას რომ იგნებ,
ვინ რა იცის, ლექსი იქვე იცდის იქნებ!
ხომ არსებობს სხივი თავისუფალ ფიქრის,
ლაინერზე უკეთ ლაღი სიტყვა მიჰქრის!

რომ ეფრინათ ცაში იმ იმედით ვწერდი
და ერთიღა თუა, იმ ათასში, ერთი,
ცად ასულა მაშინ ხმაც მთისა და ბარის,
და მოხუცი მამაც მიპასუხებს: — არის!

მოსავალი მკითხე?.. დავუცადოთ, მოვა.
და თვალნათლივ ვნახავთ თუ როგორი დადგა.
შვილიშვილიც მკაცრი გამოცდაა, რადგან —
ის იმარჯვებს მხოლოდ, ვინც მერმისი ჰპოვა.

ქვის ხანაა, ნეტავ, თუ ბრინჯაოს ხანა? —
ჩვენს დარბაზში ახლა ქვისკაცები დგანან,
სადაცაა მოვა ამ ოჯახის ბურჯი,
აქ ბატონობს მისი საჭრისი და ფუნჯი!

სადაცაა კიდეც დროა შეთამაშდნენ
ეგ წარბები შუბლის ზღურბლზე განაბული,
მასაც უყვარს ბრძოლა, ვით მე და შენ, რაჟდენ,
და სიმართლეც უყვარს თვალჩაკრულად თქმული.

და მას უცდის, უცდის საქანდაკო დაზგა,
დრომ ყოველი წუთი მეთვალყურედ დასხა.

*

— ცაა თვალწინ, მიწა, ზღვა თუ გზა და ხიდი,
ქვეყანაა, სადაც ჩემს ბედ-იღბალს ვცდიდი.

ქვეყანაა, სადაც ხევ-ხევ, სოფელ-სოფელ
ხეებიც კი ტოტებ-გაშლით ბაასობენ!

ქვეყანაა, სადაც ქალაქების გრგვინვა
ვეღარ იცლის უკვე დაიხსომოს ვინ ვარ...
მაგრამ ეს ხომ ახლა გასამხელად არ ღირს,
მიხარია, მიყვარს ამღერება ხალხის.

და სიმღერის პირველ სიტყვად რომ არ მწამდე,
მამავ, ხელი როგორ მიმიწვდება ცამდე!?

დრო და ჟამი ნაკლულ გულს ვით ამივსებდა,
მხარს არ მიდგეს მამა, მხარს არ მიდგეს შვილი...
ღიმილივით სადღაც ღვივის ჩემი წვლილიც,
თუმც ღიმილთან ერთად მეც მაქვს ჩემი სევდა.

როგორც მკერდის ძვალში გაჭედილი ტყვია,
ძვალს ახლა მტკენს, მაშინ არც კი შემიტყვია!
როგორ მოხდა, როგორ არ ჩამოწვა ჭერი,
ჩემს ოთახში როცა იდგა ქვეყნის მტერი.

რა თავზარი დამცა ვიღაც ქონდრისკაცმა,
რომ უსიტყვოდ მხოლოდ შევიფარე და-ძმა,
შევიფარე შვილი, შევიფარე დედა,
მან კი უცებ ოჯახს მხარი ჩამოჰკვეთა!

მაპატიე, მამავ, რომ არ მეყო ძალა,
მტაცებელმა სულის თქმაც არ დამაცალა!..

აი, ახლაც მესმის, მესმის და არ მჯერა:
სიჩუმეში თითქოს კვლავ ამ კართან, აქვე,
ბნელ კიბეებს ბნელში თან მიჰყვება თავქვე
ნაბიჯის და ჯოხის მძიმე-მძიმე ბჯენა...

ო, ეს შენ ხარ, შენ ხარ... ფეხის ხმაა შენი!
უკუნეთში, სადღაც დარჩა წარუშლელი.

მე არ მინდა ნაბიჯს თვალი გავაყოლო, —
„როგორ მოხდა, როგორ“—ვიმეორებ მხოლოდ.
დროა თვითონ ქვეყნის მოსამართლე დიდი,
მე შენს ამბავს განა ცრემლის ფასად ვყიდი!

სიმართლეა სიკვდილ-სიცოცხლეზე მძლავრი,
და მან დასდო შენს მკვლელს საბოლოო მსჯავრი!
მე კი მინდა, მივსწვდე კვლავ იმ ღიმილს, იმ ხელს —
გამართლების შემდეგ სიყვარულს რომ მიმხელს.

რა კარგი ხარ, მამავ, შენსას რომ არ იშლი,
ვკოცნი მე შენს თვალებს, რა მეტყველად სდუმან!
რომ გაბედოს ვინმემ და მოგვიგოს ნიშნი,
შეთქმულივით ვიცი, შეაჩვენებ უმალ!

*

შემოსწრება სწორედ ასეთ მოსვლას ჰქვიან:
შინ როგორც კი შვილმა შემოაღო კარი —
ფიქრს მიმიხვდა ლექსიც, (თუმცა ოდნავ გვიან)
მივეგებე უმალ ხელაპყრობით მდგარი.

და დარბაზიც ისე გაანათა ჭაღმა
განიერი სარკის გამოღმა და გაღმა —
რომ ერთბაშად მოვხვდით ერთ ჩარჩოში ახლა,
ერთ ჩარჩოში, ბუხრის და კარადის მაღლა!

ცალკე მე ვარ, ვხედავ, ცალკე ის და ცალკე:
მოხუც მამის სურათს იმეორებს სარკე.

შემთხვევაა, თორემ, სარკის ცივი მინა
არც იხსომებს, თვალწინ თუ ვინ ჩაურბინა! —
ნაბიჯი და... კმარა, რომ უკვალოდ გაჰქრე:
თუმც ციმციმით ჩანხარ ამ ჩარჩოში, აგრე.

ამ მრგვალ სუფრას, სკამებს, ისევ აქ რომ დგანან,
სამივენი ერთად არ ვუსხედით განა, —
ჩემებრ აჩნდა პაპას მაშინ ლილო-ჭრილო,
მე კი შენი ტოლა ძლივს ვიყავი, შვილო.

ჩამავლებდი ხოლმე თითებს ხუჭუჭ თმაში...
დიდი, დიდი — ხუთის იქნებოდი მაშინ.
ახლა? აჰა, ცდაში კიდეც მოგიხუცდი,
ვუცდი მე შენს მოსვლას, ძილგამფრთხალი ვუცდი.

შენს ფიქრებთან მიყვარს ხელჩართული შებმა,
დამაბეროს მინდა სიჭაბუკემ შენმა! —

ოცდაშვიდი წლის და განშორების შემდეგ
მეც ხომ მოხუც მამის შეძახილზე შევდექ.
ჩემს საყვარელ მოხუცს ჩემი გული ვანდე
და იქაა, სადაც მე თვით ავიმართე.

მზე სამთავეს ერთად გვანათებდეს მინდა!
ისე როგორც გრგვინვა ცხრაასიან წლების,
სართულ-სართულ ქართულ ჭერის ამაღლების
სილამაზეც არის სიმამაცე შვილთა!

ყველა, ყველა, ყველა! პატარა თუ დიდი,
პირველი დღის სწრაფვა, მეორე დღის ხიდი,
ყველა წამი იწვის ერთ განუყრელ წამად,
საუკუნე ჩვენი არ იყოფა სამად!

ის რაც იყო, არის, და ის რასაც ველი —
ჩვენი იყო, არის და იქნება ჩვენი!
მწამს მერმისი ერთი ისე როგორც მწამდა.
ისე როგორც დიდი ერთგულება სამთა!

წამკითხველო, ცოდვად ნუ ჩამითვლი დამწერს,
თუ იმედით ვცოცხლობთ ჩვენ ამა და ამ წელს,
თუ საკუთარ კერის სულ პატარა ალი —
საუკუნეს წვდება ვით ვარსკვლავებს თვალი!

ვის არ უნდა ქვეყნად რომ სიმღერა სჭექოს, —
წლიდან წლამდე მთებში გუგუნებდეს თქმული,
რომ ჩვენს მკერდში ერთხელ მომწყვდეული სული
საუკუნის ერთხელ ამოსუნთქვას ეყოს!..

1961

გიორგი კაჭახიძე

მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ

ჩემი დღეების სიტყვის ჭაპანი
არ გამიმართავს გაუბედავად.
გუთანს მართავდნენ მამა-პაპანი, —
მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ.

მაქვს ჩემებური შრომის ხალისი,
გასაკაფადაც ჩემი ტყე-ველი.
სულ პატარაა ჩემი სახნისი
და რა საძნელო სატარებელი.

გრძნობა, სიცოცხლის ტალღად შეკრული,
ამედევნეო, თავს დაჰღაღადებს.
მაინც კალამი, აზრის ერთგული,
მიდის ნელ-ნელა გაშლილ ქაღალდზე.

გულში სიკეთის მადლის ჩამთესავს
ჩრდილიც არ მოსდევს კაცთა სიავის,
მიდის, სიტყვაზე სიტყვას დაკვესავს,
გაუბრწყინდება წვერი სიამით.

ჩემი დღეების სიტყვის ჭაპანი
არ გამიმართავს გაუბედავად,

გუთანს მართავდნენ მამა-პაპანი, —
მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ.

დროზე გავუღო ყველა ჭიშკარი
მსურს, მოსახვნელი მოვხნა, ვიჩქარი,
სანამ მომისწრებს სადმე სიბერე, —
ხალხში მიმავალ მართალ სიმღერებს.

1956

მიწის სურნელი

სოფელი იყო ჩემი აკვანი,
წიგნი სიახლის, წიგნი სიძველის,
ყანას აქ თოხი ბავშვმა დავკარი
და მიწა ქვეყნად ასე ვიგრძენი;

ვიგრძენ ყვავილზე ფუტკრის ფუსფუსი,
ია მოხრილი ნამის სიმძიმით,
ჩვილი ატმების მწვანე ბუსუსი,
ზედ გაზაფხულის თვალის ციმციმი.

მეც მაფიქრებდა მწყრალი ამინდი,
მოუსავლობა, — ყანის ღალატი...
ფეხი პატარამ სოფლად ავიდგი,
მაგრამ თბილისში გავჭაღარავდი.

მაინც შემომრჩა მიწის სურნელი,
არ შემშრობია ცვარი ბალახის;
მაინც მახსენებს გემოს კუნელი,
ხბორებს — ტყის პირი და იალაღი.

შევჭიდებივარ სიტყვებს ამაყებს,
ბრძოლის სინათლე გულს ახალისებს, —
მაინც მგონია, კარს რომ გავაღებ,
თითქოს გზა მიდევს ისევ ყანისკენ.

წლების თვალივით ბევრის მხილველი,
ხშირად თავს ღელვით ვებუბუნები:
დიდი ყოფილა გრძნობა პირველი,
ძალა მიწის და ძალა ბუნების.

1959

ეზოში

დახტის ნუკრივით ხეხილიან ეზოში ბავშვი,
ხუჭუჭთმიანი, შავთვალწარბა და მიმზიდველი.
ხელში ბურთივით ჩაუბღუჯავს ბიჭუნას ვაშლი,
ირგვლივ ცუღლუტად დაკბეჩილი, ლოყაწითელი.

ჯერ პატარაა, არ აფიქრებს წიგნის გადაშლა,
დახტის, შეჰხარის არემარეს თვალმოცქრიალე.
აგერ თამამად ხბო შემოხვდა, შეეთამაშა
ამ დაუცხრომელს, ამ თავისი რძის მოზიარეს.

დედა ხილსა ჰკრეფს, დასტრიალებს დახუნძლულ ხეხილს,
დაკრეფილ ნაყოფს აივანზე არჩევს ბებია.
მაღლა კი ტკბილი ჩურჩხელები და ჩირი ლეღვის
სვეტებზე გაკრულ ჭოკზე შრებიან.

ოქროს დღეების ღა ფოთლების დაცვენის დროა,
ბოსტანში მაინც ღობის ძირას ყვავილი ჰყვავის.
აგერ, ოჯახის მამას ურმით სიმინდი მოაქვს —
თავისი შრომის მადლიანი ჯილდო და ხვავი.

ბავშვმა შეჰღიმა და მამისკენ გაფრინდა იგი,
დედაც ღიმილით აედევნა ჩიტივით მარდი.
დავარდნილ ტაროს ღორმა გაჰკრა უგულოდ დინგი,
ურემს გაშორდა და ეზოში ღრუტუნით დადის.

არ მომწყინდება ამ ათასჯერ ნახულის ხილვა,
ნაბიჯს ვანელებ ორღობეში უღვინოდ მთვრალი.
სიო მიმიხვდა, მარნის კარი შეაღო ფრთხილად
და საწნახელმა ჩამიკრა თვალი.

1965

ლურჯას სიკვდილი

თოკით დააბეს საღამოს ჩვენსას
ჯარისკაცებმა ტყემლებთან იგიც.
ეძოვა კარგად და წყალიც ესვა
საბრალოს იმ დღეს ყანების იქით.

დაძინებამდე ლოგინში ტკბილად
დიდხანს მესმოდა ფრუტუნი მისი...
ფიქრსა და ძილში გათენდა დილა
და იდგა სოფლად ზაფხულის ნისლი.

ფერდელა ძროხა ბღაოდა ქოხთან
და გაჰყურებდა მინდვრისკენ ქუჩას.
კუდებს აქნევდნენ ცხენები კოხტად,
მაგრამ მათ გვერდით არ იდგა ლურჯა.

შეშინებული უღონოდ იწვა,
დროდადრო მძიმედ ასწევდა კისერს,
გაჰკრავდა ფლოქვს და კაწრავდა მიწას,
გაყუჩდებოდა და კრთოდა ისევ.

ბრტყელი კბილებით იგლეჯდა გულ-მკერდს,
სტანჯავდა რაღაც ბუნების რისხვა...
რომ შემომხედა, ავჩვილდი უკვე, —
დამწვა ხვედრმა და თვალებმა მისმა.

ნაიარევი გახსნოდა მუხლთან,
შუბლზე დავადე დავრდომილს ხელი;
მებრალებოდა, რომ ასე სწუხდა
ფრონტიდან ფრონტზე ნაბრძოლი ცხენი.

ვანუგეშე და ვეფერე ბევრი,
რომ შეეწყვიტა მომაკვდავს კვნესა...
ერთი თვის წინათ, დაღლილი რბენით,
ის მოიყვანეს მხედრებმა ჩვენსას.

თოკით მიაბეს ტყემლებთან ღობეს,
ნაიარევი აქა-იქ აჩნდა...
იმ წელს ერობა გაშორდა სოფელს
და მის ადგილზე რევკომი დაჯდა.

*

ლურჯას ენახა დღეები ნგრევის,
კაცი ქცეული ზარბაზნის ლუკმად;
ენახა თოვლში ჩაფლული მკვდრები
და მტრის ჯარების გაქცევა უკან;

ენახა ბრძოლა ველზე და მთებში,
ძილი თუ ბორგვა დღედაღამ ცის ქვეშ,
მტრის ორთქლმავლები, გამთბარი შეშით,
როგორ გარბოდნენ ქაქანით ზღვისკენ.

ღამით მოვიდა ჟუჟუნა წვიმა,
ეზოში ხეებს დაბანა პირი;
ტოტებს წყდებოდნენ წვეთები წმინდა
და იმშვენებდნენ ფოთლები ტირილს.

კვდებოდა ლურჯა, ცრემლებით სველი,
გვიან, ნავახშმევს შეწყვიტა სუნთქვა...
ცაში გაირღვა ღრუბელი სქელი
და ღამე გაჭრა ვარსკვლავთა შუქმა.

დავხედე ლურჯას, ლოდივით სდუმდა
სადმე გმირულად დაღუპვის ღირსი...
ჩემი ბავშვობის დღეებთან მუდამ
მომაგონდება ხვიხვინი მისი.

დილით მხედრებმა წაიღეს ლურჯა,
გადააატარეს მინდორი ვრცელი
და ღელის პირად დამარხეს ყუჩად
ფრონტიდან ფრონტზე ნაბრძოლი ცხენი.

*

რამ დამავიწყოს ამბები იმ წლის,
ტკივილი, ჯანღი, დღეები თბილი!
რამ დამავიწყოს ღიმილი მიწის,
ბაბუს ეზო და ტყემლების ჩრდილი!

დრო განუწყვეტლად მიდის და მიდის,
ჯანით ივსება ქვეყანა ჩემი.
სიცოცხლის სხივში ვივიწყებთ სიკვდილს
და გაზაფხულის მომღერლად ვრჩები.

სვნა-თესვის დროა და ციურ ისრებს
ვერ უძლებს ველზე დაყრილი ჭირხლი.
სოფელი დგება ფეხზე და ვისმენ
ტრაქტორის ხმასა და ცხენის ჭიხვინს.

ლურჯას საფლავთან ჯაგნარი იწვის...
შენ რას ჩურჩულებ, ნიავო ჩემო! —
ნიავსაც ახსოვს ამბები იმ წლის,
ბაბუს ეზო და ტყემლების ჩერო.

1986

* * *

ეს ცელქი ბიჭი, ამ პატარა კოშკის ამგები,
ჩემი ცინცხალი სიყვარული და სისხლ-ხორცია.
მოდიან ხშირად მოკეთენი, გულით კარგები,
შვილს შემიქებენ და ალერსით ჩამიკოცნიან.

ამბობენ: თვალში უცინისო მამის ოცნება,
რა კაცთმოყვარე იქნებაო, რა თავანკარა!

ყურს ვუგდებ ყველას...
არ მაკვირვებს მათი მოქცევა,
სიყვარულია ქვეყანაზე ყველა პატარა.

მაგრამ ეს ნორჩი, ამოზრდილი გულის კვირტიდან,
რომ დაკაცდება, მაშინ მინდა თქვან ამ ქართულით:
აი კაციო, ხალხის ტვირთი წამოიკიდა
და მიაბიჯებს დიდ გზაზეო წელგამართული.
1959

ღამით სოფელში

ოდის სარკმლიდან ხეხილიან ეზოს აბრწყინებს
ელექტროშუქი, უმახვილოდ ღამის გამკვეთი.
შუქზე წიგნები გაუშლიათ სახლში ყმაწვილებს
და მუყაითად კითხულობენ ხვალის გაკვეთილს.

დედა ხელსაქმეს შეტკბობია ხელმარჯვე, სწრაფი,
შვილებზე ზრუნვით ამ ღამითაც ქალი არ მოსცდა.
კვლავ გაატარა ნემსის ყუნწში იოლად ძაფი
და გულში ისევ ელნათურის შუქი დალოცა.

ეალერსება სხივთა ბრწყინვას ოცნება მისი,
დროდადრო შუქით მოხიბლული მიმოიხედავს...
გარეთ ფხიზელი ელსადგურის გუგუნი ისმის
თავისი ჭერის ამმაღლებელ სოფლის იმედად.

შუაღამისას აფათქუნდა მამალი ფრთხილი,
ყივილზე შეკრთა ხელსაქმეზე დახრილი ქალი.
ყმაწვილებს სძინავთ... მოერია დედასაც ძილი,
ჩააქრო შუქი და ოდამაც დახუჭა თვალი.

ჭიშკართან ერთი ელნათურა რჩება და ბრწყინავს,
თითქოს სახლ-კარის გუშაგობა მის შუქს მიანდეს.
ძლიერმა ქარმაც რომ დაჰქროლოს, მოვიდეს წვიმაც,
თვალს არ მოხუჭავს და იბრწყინებს იგი დილამდე.

ბრწყინავს ნათურა, კარ-მიდამოს დღის ფერი ადევს,
მშვიდად ისვენებს მკვრივ ბურჯებზე შედგმული სახლი,
მხოლოდ ღობესთან ხის ტოტების მიმალულ ლანდებს
დასდევს და უყეფს ძილდამფრთხალი პატარა ძაღლი.
1947

შემოდგომაა, იმერეთია!

ქართლი გადმოვჭერ სვენებ-სვენებით
ნერგად სიცოცხლეს შეტოტებულმა.
შეჭრელებულან აქაც სერები,
ზემოთ ქედები შეთეთრებულან.

დღეს თავს იწონებს აქაც სიმდიდრით,
დროა მაჭრობის, ხილის შენახვის.
აღებულია მინდვრად სიმინდი,
დაკრეფილია ბევრგან ვენახი.

ტყეს თავს აფარებს ნისლი დაღლილი,
ცრემლად მიჟონავს ხევში მეწყერი,
გზა-გზა ტოკავენ მიწის ძარღვივით
ნაყოფგაცლილი კვახის ლერწები.

ჩვენში რა დალევს ცისფერ ჩანჩქერებს,
აქაც მაბრმავებს მათი ციმციმი.

სოფლის შეღმარეთან წყარო მაჩერებს
გლეხის გულღია ბიჭის სიცილით.

დრო გამახსენა ტკბილად განცდილი, —
დავემშვიდობე როგორც ჩემიანს,
ერთიც მოვხედე მუშაკაცივით,
მასთან ნამგალი რომ დარჩენია.

რაა აქ შუქის ასე მომფენი,
ვერ მიპოვნია მისი სახელი.
ყელყელაობენ სერზე სოფლები,
ცერზე დგებიან ოდა-სახლები.

ზვინი ჩალისა, ქვეყნის საცქერად
ხეზე გასული, ლაჟვარდს შერთვია...
გულო, რა მოგდის, რამ აგაძგერა,
შემოდგომაა, იმერეთია!

1954

სამშობლოს ნათელი

დამსხდარან ერთად აყვავებულ ქალაქის ბაღში
ომგადახდილი ჭაბუკი და ჭაღარა დედა.
იწვევს ყვავილებს სათამაშოდ ფოთლების ტაში,
დღე არის კარგი, მაგრამ ვაჟი ვერაფერს ხედავს.
ბრწყინავენ ნამის წვეთებივით თვალები შუშის,
ლაჟვარდის შუქი მაინც ღამედ მათ ირგვლივ ცურავს,
და რომ გარემოს სილამაზე ვაჟს ენთოს გულში,
დედას სიტყვებით ახატვინებს გარემოს სურათს.
ასე განიცდის ის ყელმაღალ ყვავილთა ღიმილს,
ტოტიდან ტოტზე მოხდენილად ჩიტების ფრენას,
ბაღის სიცოცხლე როგორ ლაღად სუნთქავს და ღვივის
და როგორ ესმით აკაციებს ჭადრების ენა.
გრძნობამორეულს სურს მივიდეს ხეებთან ახლოს,
ახედოს ტოტებს, როგორც ბევრჯერ იცოდა წინათ...
არ შეუძლია, ადრინდულად მიდამო ნახოს,
გონების თვალით მაინც მისთვის ქვეყანა ბრწყინავს.

საწუთროს ხილვა-არც ექნება ოროდეს მკრთალი,
სიკვდილთან ხალხის სიცოცხლისთვის მრავალჯერ მდგარა:
დაჰკარგა ომის ქარიშხალში სინათლე თვალის,
რომ მას სამშობლო თვალნათელი ჰყოლოდა მარად.
1944

გასწი, გაიდგი ყველგან ფესვები!

გულს არ ჩვეოდა ადრე ტკივილი,
სადარდებელიც ბევრი რა მქონდა!
ჩამომიქროლა სიტყვამ ღიმილით
და სიყვარულის ცეცხლით დამკოდა.
დადევნებულმა შორს არ გავუშვი,
ღონეც დამჭირდა, თვალის სიმარდეც...
და იმ ჭიდილში, იმ სიყვარულში,
ლექსო, იმედად შენ დაიბადე.
ნუ შემომწყრები მშობელს სიფიცხით,
ჩქროლვავ სულისა, სხივო ცინცხალო,
წინ ბუკ-ნაღარით თუ ვერ მიგიძღვი,
რომ შემოგხედონ, გზა დაგიცალონ.
გქონდეს მოთმენა, შენი ფიქრები,
იდექ მიწაზე, ვით მხვნელ-მთესველი,
იყავ კლდე-ღრეშიც განძის მიმგნები,
გულის ამგზნები,
ჯანის შემვსები...
მუდამ ამქვეყნად ხომ არ ვიქნები,
გასწი, გაიდგი ყველგან ფესვები!
1960

თქვენ რომ არ იყოთ...

როდის დაქალდით ასე ერთად, როდის აყვავდით,
როდის აინთეთ ამ ნათელი ქვეყნის მშვენებად!
ხართ სიყვარულის დაუღლელი სულის ღაღადი,
თქვენ რომ არ იყოთ, ჩვენს სიმღერებს რა ეშველებათ!

ვინ ეჯადოქროს, ვინ უწამლოს გულის იარებს!
ვინ გაგვაგონოს იანვარშიც ჟღურტული მერცხლის!
ფრთხილად იყავით, გოგონებო, ფრთხილად იარეთ,
არ წაუკიდოთ მაგ ჭაბუკებს უეცრად ცეცხლი!

ასე ჰყვაოდნენ ლამაზები ჩემი ტოლები,
ასე, თქვენსავით კისკისებდნენ ქვეყნად ისინიც...
იმ წლების თვალით,
დამორცხვებით და ათრთოლებით
მიტომ გიყურებთ, ცქრიალებო, როცა იცინით.

ვის დაყოლია სულ მაისის დღეები ბედად,
დრო ერთხელ ალბათ თქვენს თავზედაც გაიქარბუქებს...
ო, გაიცინეთ, მაგ სიცილში მე იმათ ვხედავ,
ვხედავ ჩემს ჩამქრალ გატაცებებს და სიჭაბუკეს.

რად მომანატრეთ ყრმობის ცეცხლი და სილამაზე!
რად მომასურვეთ ბედის ზღვებზე აფრის აშვება!
სიცოცხლის მზიურ წყაროსავით ამქვეყანაზე,
ჩანს, სილამაზის წყაროც არ შრება!

1965

სიმღერა ჭაღარაზე

თმა შემევერცხლა, გავჭაღარავდი,
იანვრის ფიფქიც ასე თეთრია.
რა დროს ეს არის! — ჯერ ხომ ხალათი
ყმაწვილკაცობის არ გამცვეთია...

ჯერ ხომ ბავშვობაც ლანდად დამყვება,
მოსახვნელი მაქვს დიდი ყამირი.
ჯერ რა ვიცხოვრე! — ჩემმა ნამყენმა
ტოტი ახლახან მორთო ყვავილით.

ნერგი მამულმა ლაღად ახარა,
მაგრამ სამყნობი კიდევ ბევრია.
რა დროს ჭირხლია, რა დროს ჭაღარა, —
ჯერ რაც მინდოდა, არ მიმღერია! —

ახალ ბაღისთვის ვგეგმავ ნაკვეთებს,
სულ რომ დღე იყოს, მინდა ძალიან.
ჯერ რა ვიცხოვრე, რა გავაკეთე! —
მე სიბერისთვის ჯერ არ მცალია!

1958

ალექსანდრე შანიძე

ვგავარ რიჟრაჟზე აფრენილ მერცხალს

ვგავარ რიჟრაჟზე აფრენილ მერცხალს,
მოჭიკჭიკეს და მკერდზე ხალიანს.
თქვენ შორის ერთი მებრძოლი მეც ვარ
და ჩემი ქვეყნის მზე მიხარია.

როცა მოვკვდები, თქვით, რომ ჩემს გულსაც
შეუცდომელი ჰქონდა გუმანი,
რომ მე მშვენებით მხიბლავდა უშბა
და თბილ კოლხეთის მწვანე უბანი.

თქვით, მაცოცხლებდა ალაზნის ჩქერი,
მოდინახე თუ ნასაკირალი...
მე საქართველოს დიდებას ვმღერი,
ამაში რაა გასაკვირალი!

ვგავარ რიჟრაჟზე აფრენილ მერცხალს,
მოჭიკჭიკეს და მკერდზე ხალიანს.
თქვენ შორის ერთი მებრძოლი მეც ვარ
და საქართველოს მზე მიხარია.

1958

მგზავრს მთებში შემომაღამდა

ვეღარ გადმოველ, მთებს შუბლზე
ელვის შუბები ესობა,
შემომაღამდა, მწვავს შენი
სიშორე, უალერსობა.

გამოჩნდი, ჩემო ვარსკვლავო,
შუქი მომფინე საჩინოვ,
მსურს მგზავრი, მდგომი უფსკრულთან,
დაღუპვას გადამარჩინო...

ცხრა მთას, ცხრა მწვერვალს გადასცდა
ნაზი ოცნება ფრთოვანი.

დელგმა დაეცა ჭიუხებს,
არა ჩანს ტყე ფოთლოვანი,

და მინდა, ცაო, მისმინო, —
ლოდინში სული მელევა.
ღვართქაფი წამომეწია,
ნეტავ ვინ მომეშველება?

ვეღარ გადმოველ ქარაფებს,
მთებს ელვის ფრთები ესობა.
მწვავს, კარგო, შენი სიშორე
და შენი უალერსობა.

1960

დალოცე, მამულო!

დალოცე, მამულო, გულსავსე ქართველი,
ამ მიწის ბარაქა, პურ-ღვინო და რთველი!

დალოცე ქვევრები, ჭინჭილა, ხელადა,
დალოცე, ვინც ქართულ მიწისთვის ღელავდა!

დალოცე ქართული ენა და სალამი,
ვინც იგი შელახოს, — რისხვა და წკვარამი!

დალოცე, მტრის ურდო ვინც მოსპო, მოლეწა,
რომ ჩვენთვის ამქვეყნად მშვიდობა მიეცა!

დალოცე, ვინც ჩვენთვის იწვოდა, ღელავდა,
კვდებოდა და მაინც სამშობლოს ხედავდა!

1961

მარიკა ბარათაშვილი

შენ ოციოდე გაზაფხული იკმარე მხოლოდ...

გმირულად დაღუპულ შოთა გამცემლიძეს

შენ ოციოდე გაზაფხული გინახავს მხოლოდ,
მათი ქალაქში საზეიმოდ შემობრძანება.
ალუბლის ხენი, მორთულები, ლამაზმანებად
ოციოდეჯერ თუ გინახავს, ძვირფასო, მხოლოდ.

სად არ ყოფილხარ, ტოლ-მებრძოლთა მწკრივში ჩამდგარი,
მტრის სასახლეზე გსურდა დროშის აფრიალება
და ეს მაისი, სიხარულის ცრემლად დამდნარი,
ნუთუ, ძვირფასო, ვერ იხილონ შენმა თვალებმა?

დიდება მშობელს, გაუზრდიხარ მებრძოლ არწივად,
უსწავლებია სამშობლოსთვის თავის განწირვა.
იმ დიად წუთშიც თუ გესმოდა სიტყვა დედისა,
როცა ბრძოლაში გზას ეძებდი უკვდავებისას?

შენი სახელი ვაჟკაცობის იქცა სიმბოლოდ,
შენი გმირობა დიადია, გასაკვირია.
შენ ოციოდე გაზაფხული იკმარე მხოლოდ —
დანარჩენები სამშობლოსთვის შეგიწირია.

1945

საპოვნელა

ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს გაგივლია,
შეამჩნევდი მიმობნეულს მინდორ-ველად.
პაწაწინა, მარჯნისფერი ყვავილია,
იმერეთში ეძახიან „საპოვნელას“.

შევხედე და მიმიზიდა იმთავითვე.
თურმე ყველა სასოებით ანდობს იმედს,
ბედს დაეძებს თუ დანაკარგს — რამე ნივთებს,
ეუბნება: „საპოვნელა, მაპოვნინე!“

მეც სათუთად მივიბნიე იგი მკერდზე,
ჩემს გულშიაც მივუჩნიე მყუდრო ბინა.
ვენაცვალე! სხვა საუნჯეს აღარ ვეძებ,
რადგან, ჩემო, შენი გული მაპოვნინა.

1948

მომიხვალ, მჯერა!

მომიხვალ, მჯერა, რასაც კი ვკითხე —
ნიავს, მზესა თუ ღამეს მთვარიანს,
თოვლის ფიფქებმაც შრიალით მითხრეს:
გჯეროდეს, მოვა, ის ცოცხალია.
მომიხვალ, მჯერა! ოცნებით ტკბილით
გზას გასცქერიან ჩემი თვალები.
იცი? სიომაც გადმომცა დილით
ალერსი, შენი დანაბარები.
შენთან მიგულე ქარშიც, ყინვაშიც,
შენსკენ მოვყვები ფიქრთა ქარავნებს,
გჯეროდეს, ჩემო, ცეცხლის წვიმაშიც
ჩემი გრძნობები დაგიფარავენ.
შენთან იგულე ამ გულის ფეთქვა
და გრძნობის სითბო დაუშრეტელი,
გჯეროდეს, ჩემო, მეც შენთან ერთად
მივდივარ მტერზე ცხარე შეტევით.
მოლოდინს ეს რა ძალა ჰქონია!
შენზე ოცნებით ისე ვითვრები,
შენ მოგელიან, ასე მგონია,
ჩვენი ოჯახის უტყვი ნივთებიც.
სიყვარულს ეს რა ძალა ჰქონია!
რა არის, თურმე, გრძნობა ნათელი!
შენზე საუბრობს, ასე მგონია,
ბალახიც, ხეც და თოვლის ფანტელიც.
შენ ხომ სიცილი გიყვარდა ჩემი,
გინდ მდუღარებით გული ამევსოს,
ნატყვიარებსაც არ მოგბან ცრემლით,
როცა მომიხვალ, უძვირფასესო.
ბრძოლიდან მოსულს რად უნდა ცრემლი,
ან მანდ დაცემულს — შესანდობარი?
მხოლოდ ღიმილით მოგელოდები
შენი მეუღლე და მეგობარი.
მოგელოდები. გრძნობა-ნაგუბი,
თუგინდ შეხვედრა იყოს გვიანიც,
მოგელოდები, მხოლოდ დაბრუნდი
ვაჟკაცი ნათელსახელიანი.

1948

მხოლოდ ია და ქრიზანთემები

მკრთალი ღიმილი, ასე კეთილი,
მაზარა კალთებშემოფლეთილი,
წელზე მათარა, ხელში შაშხანა...
დრო ვერ შეგეხო, დრომ ვერ წაგშალა,
და მოსაგონრად შემოგვინახა.
ნეტავ, ვინა ხარ, ძმაო, ვინა ხარ?
... ეს იყო გუშინ, ეს იყო გუშინ...
დილა დგებოდა სანგრების ხნულში,
ჩამოწვებოდა შემდეგ საღამო...
შეუსვენებლივ ჰქუხდა სამყარო...
რას არ გაუძელ! — სიცივეს, შიმშილს,
დასძლიე შენში კაცური შიში
და შენ, უბრალო კაცმა ინებე,
საბედნიეროდ შვილთაშვილების,
ნაჯაფი მკლავით, კოჟრიან ხელით
მიწად განგერთხო სამყარო ძველი.
მკერდთან თუ გიძევს ცოლის ბარათი —
შენი მახვილი, ფარ-მუზარადი
და პაწაწინა შვილის სურათი, —
ვისთვის იბრძოდი, ვის გზა უნათე?
ნეტავ სად ჩარჩი რომელ სამანთან,
რომელ სანგარში შემოგაღამდა,
სად დაგვიტოვე მიწა მწითური,
სისხლით გამთბარი და მოჩითული?
... მკრთალი ღიმილი, ასე კეთილი,
მაზარა კალთებშემოფლეთილი,
წელზე მათარა, ხელში შაშხანა...
დრო ვერ შეგეხო, დრომ ვერ წაგშალა.
ჩვენზე ფიქრებში რომ აღამებდი,
ჩვენზე ფიქრებში რომ ათენებდი,
შენს ნატერფალზე უნდა ჰყვაოდეს
მხოლოდ ია და ქრიზანთემები.

1968

ბონდო კეშელავა

გუთნისდედაო, ქართველო კაცო!

— გუთნისდედაო, ქართველო კაცო,
შენით ვართ, სული შენით გვიდგია,
წინ გვქონდა მუდამ გზა სამამაცო
და დღესაც შენი წვლილი დიდია.
მარად შველოდა ჩვენს გადარჩენას,
ხელს რომ ვკიდებდით საქმეს პირწმინდად,
დალოცვილია შენი მარჯვენა,
კვლავ დაილოცოს ასჯერ, ის მინდა.
გაზაფხულია! შენსკენ გვაქვს თვალი,
გადი, გამართე ლაღად გუთანი,
ღირღიტას ის მხნე, გრძნობით გამთბარი
სულში ჩამწვდომი ბანი უთხარი.
გარეკე, როგორც გჩვევია ისე,
გასძახე, გასწი მძიმე ჭაპანი.
მოძმე, მოკეთე გაახალისე
და ასახელე მამა-პაპანი.
მე მიყვარს, როცა შრომით დაღლილი
შედგები ხნულში მტკიცე, მთებური.
ყელთან პერანგის პატარა ღილი
გამშვენებს ოფლით შეყვითლებული.

1960

ცაო მაღალო!

გუშინ ვხარობდი... დღეს მოწყენილი —
ვარ და არავის მსურს გაკარება.
ისე დამსუსხა მისი წერილის,
ბოლო წერილის მღვრიე ბწკარებმა.

ეს დღე წამართვა, იქნებ საღამოც
ისე მიმწუხრდეს, ვერ გავიხარო.

შენ მომეშველე, ცაო მაღალო...
იქნებ დღეის დღის წყენა მაკმარო.

ამოაგორე გოლიათური
მზე, გამითენე დილა უქარო.
არ ვაბორძიკო სიტყვა ქართული,
ვიდგე ტოლებში და ვიმქუხარო.

1967

მ ო მ ღ ე რ ა ლ ს

არ ვიცი შენი სახელი, გვარი,
არც სახით გიცნობ, მხოლოდ ხმით მხიბლავ,
წინ მეხატები თვალმოცინარი,
გისმენ, გისმენ და ვნატრობ შენს ხილვას.

გამიზიარე სული კეთილი,
წყდება გალობა და მწყდება გული,
თვალებს ვაცეცებ კარჩაკეტილი,
ფაქიზი განცდით შეცბუნებული.

გიხილო მინდა, ო, როგორ მინდა,
თუნდაც ახლა რომ კარი გაიღოს,
გნახო უეცრად ისეთი წმინდა,
სათუთი, როგორც შენი ხმა იყო.

1956

ლ ო დ ი ნ ი

შემოჭდობია სოფელს
ჩამოჭირხლული მთები,
ჩაფიქრებული ვზივარ,
ბუხრის ღუღუნით ვთვრები.

ბურანში ვარ და ვნატრობ:
ნეტავ გაიღოს კარი,
შინ შემოიჭრეს ღიმით
ერთ-ერთი მეგობარი.

— მოსულა, გავიხალისოთ,
ოცნებავ, ნაყოფნაყარო!

ჩქარა მარანში შევიდე,
ჭურს ავაშორო აყალო!

წავიჩურჩულე ესა და,
მგონი, იღება კარი,
მიმოვიხედე,
მარტო ვარ,
მიმქრალ ბუხართან მჯდარი,
შევუჩინჩხილე მუგუზალს,
გარეთ ზუზუნებს ქარი.

1960

შემოდგომა მთაში

გაოქროსფერდა ხეები მთაში,
ფოთლები ტოტებს შრიალით ცვივა,
მოწყენას იგრძნობ ჩიტების ხმაში
და ნაბოლარა მართვეს კი სცივა.

ნისლი მთას თითქოს საკმეველს უკმევს,
ჟრიამულია წაბლის ხის ძირას.
მხოლოდ ღობე ჩანს, აიღეს უკვე
პატარა ყანა მთის განაპირას.

ტოტები ტოტებს ენანავება,
ნეშომ დაფარა ტყეში ღრეები.

უცვლელად შერჩა მთას, ვით მშვენება,
მარად მხიბლავი ნაძვის ხეები.

მზე ჩადის, უცებ გავარდისფერდა
მთასთან მიდგმული სახლთა კრებული,
მიახლოვდება მათი ფანჯრები,
ბრდღვიალა შუქით განათებული.

ღამემ მინდვრადაც ფრთა ვერ გაშალა,
მთვარე ქათქათებს მოწმენდილ ციდან.
შხუის მდინარე, ხმაურობს ჭალა
და მწყემსის ცეცხლი გამოჩნდა მთიდან.

1948

მე და წისქვილი

მე ბავშვობიდან მიყვარს წისქვილი,
მიყვარს დოლაბის გურგური მალი,
მიყვარს მეჩხერი და ჩაჩეჩქვილი,
იატაკქვეშ რომ ჩუხჩუხებს წყალი.

მიყვარს, წისქვილში რომ დგანან ხორბლით
სავსე ტომრები მოსკვნილ-მისკვნილი,
წყალს რომ მაშხეფებს ტრიალი ბორბლის
და ცისკარს ფხიზლად ხვდება წისქვილი.

მახარებს, როცა ოთხი თუ ხუთი
დოლაბი ერთად ბრუნავს და ბრუნავს.
რომ სარეკელა არ ცდება წუთით
და მეწისქვილე არ აკლებს ზრუნვას.

ჩახედავს ხან ამ, ხან იმ ხვიმირას.
ხან შეამოწმებს ის ფქვილს თითებით,
მერე დადგება უხმოდ წყლისპირას
და ღუღუნებენ ღარში ზვირთები...

1962

გაგიგონიათ ყივილი გედის?!

გაგიგონიათ ყივილი გედის?!
მე მხოლოდ ერთხელ გამიგონია.
ვინ არის იგი წინამორბედი, —
მღერა უწოდა ამ აგონიას —
როცა სიკვდილის საშინელება
უახლოვდება და ყივილს იწყებს,

იქნებ გვეძახის, გვთხოვს მიშველებას,
ან ბედისწერას ზარით ივიწყებს...
მის უკანასკნელ სულისთქმას, კვნესას
არქმევთ სიმღერას, — მითხარით რატომ...
იმ ხმამ დაგატკბოთ?.. ან გეალერსათ
როს განწირული ყიოდა მარტო?!

1970

მოხუცის ფიქრი

დაბერდა ჩემი ვენახი,
ავჩეხო — არ მემეტება,
გული თუ მწყდება, რად გიკვირთ,
რად არის გადამეტება!

ორივე ერთად მოვხუცდით,
ჩავუვლი ხველებ-ხველებით...
ხანდახან შავ კანს შევაცლი
ჩემი დამჭკნარი ხელებით.

შვილებო, შვილიშვილებო!
ნუ, ნუ იმეტებთ, ვსტირი მე.
ნუ დამანახვებთ მათ ფესვებს
მოთხრილებს, თქვენი ჭირიმე.

საცაა აწ დაგშორდებით,
თქვენთან სიცოცხლის მდომელი.
მაცალეთ, მისი ნაყოფით
დალიეთ შესანდობელი.

1962

სიხარულის დღეები

ასცილდა ქვიტკირს თეთრად თლილი მუხის კედელი,
ახალი ოდა კაკლის ახლოს სწრაფად შენდება.
ირგვლივ ფიცრების კრთის სინათლე და მშენებელი
ხშირი კაკუნით სახლის ქონგურს უახლოვდება.

ზაფხულის დღეა, ქრის ნიავი მშვიდი და წყნარი,
დიასახლისმა ცაცხვის ძირას გაშალა სუფრა,
ამოიტანა ცისფერ დოქით წყაროდან წყალი,
თავზე წაიკრა თავსაფარი თოვლივით სუფთა.

ყურებთან თმები შეისწორა და ძველი სახლის
აივნის ბოძთან ჩამომჯდარა ჯაფით დაღლილი.
ყელზე ნიავი ეფერება და იქვე ახლოს
ირხევა მოლზე ტანმორჩილი ალუბლის ჩრდილი.

დამშვიდებული ზის, ოცნებით ტკბება და ხარობს,
დავაჟკაცებას რომ მოესწრო ვაჟიშვილისას.
ხანში შესული გული მისი ამ დღით ნეტარებს,
რომ მოსულია დრო მშობლების სიხარულისა.

ხელისშემშლელი არ ეგულვის მას სოფლად არვინ,
რომ შეაჩეროს ამ მაღალი სახლის შენება.
მალე, სულ მალე დამთავრდება, გადიხდის ქორწილს,
შემოვა ფრთხილად პატარძალი — ეზოს მშვენება.

წამწამდახრილი იმ დღეს უცდის სულგანაბული,
სახეს უნათებს ის წუთები, ვით შუქი მზისა —
როცა გულ-მკერდში სიყვარულით ჩახუტებული
ჩვილ შვილიშვილით ინახულებს მეზობელს მისას.

ამ წმინდა ფიქრით გაუბრწყინდა სათნო თვალები,
მოესმა გზიდან საუბარი მამა და შვილის,
კაბაზე ხელი ჩამოისვა და მოკრძალებით
ყანიდან მოსულთ შეაგება ღიმილი ტკბილი.

*

დასრულდა სახლის მშენებლობა, უკანასკნელად
ბურბუშელები აივნიდან ჩაფრინდებიან
და ლეჩხუმელი ოსტატები შინ წასასვლელად
ჩვეულებრივი თადარიგით ემზადებიან.

ჭრელ ხურჯინებში ჩაალაგეს დურგლებმა უკვე
თარაზო, ეჩო, შალაშინი და ნაჯახები;
ნაბდები მაგრად შეახვიეს, თასმებით შეკრეს,
სახეზე ოფლი შეიმშრალეს, გაშალეს მხრები,

დასხდნენ, თუთუნი გააბოლეს, თვითვე სტკბებიან
სერზე ამაყად ამართული ლამაზი სახლით.
იქვე მახლობლად დაცუცქულა, შესჩერებია
დურგლებს თვალებში ყურფართხუნა პატარა ძაღლი.

სახლის უფროსმა მეზობლები გადმოიწვია,
სახელდახელოდ რომ დალოცონ ოდა ახალი.
ერთ მათგანს თავი ცისკენ ცერად აუწევია
და მარტო მოდის ხანდაზმული, ტანად მაღალი.

მიმოიხედავს, დაკვირვებით ათვალიერებს
კიბეს, აივანს და კედლების სინჯვაც ინება,
როს ცალი ხელით იგი ბოძის სცდის სიძლიერეს,
მშენებლებს ჩუმად ულვაშებში ჩაეცინება.

სტუმარმა სტუმარს გადაჰხედა, ჩაუკრა თვალი,
ოსტატებს იპყრობს აღტაცება, ლხენა, ხალისი,
ბუხრის მილიდან იკლაკნება ცისფერი კვამლი,
ჯამ-ჭურჭლით შედის დიდ დარბაზში დიასახლისი.

იწყება კრძალვით წინაპართა წესი ჩვეული,
სიტყვას აიღებს ბრგე მოხუცი მხრებამართული.
ამეტყველდება კაცი სოფლად გამორჩეული,
საამო ენით მან დალოცა სახლი ქართული.

1950

* * *

რასაც შენ ეტრფი, რაც შენ მოგწონს შენი თუ სხვისი,
თუ შორს არა ხარ მისგან, კაცი ბედნიერია
და მე საოცრად მახარებდა, ღამით თუ მზისით,
ყრმას ნაადრევი თეთრი თმა რომ გამომერია.

დრო მიდიოდა, ხშირდებოდა იგი დღითიდღე,
არად ვაგდებდი მის სიუხვეს და, როს დამფარა,
შემრცხვა, თამამად ლექსში იგი ვეღარ გავრითმე
და სანანებლად გარდამექცა ჩემი ჭაღარა.

რა გავაკეთე, რა შევქმენი მე ამის ფასი,
ო, ეს ფიქრები, წუთი რაა, აღარ მშორდება.
მაგრამ ნუგეშად ძველთა ძველი დღესაც ლამაზი,
სულში ჩამწვდომი ჩონგურის ხმა მომაგონდება:

შემომეჩვია
მწარე ფიქრები
და სიჭაბუკემ
თავი დახარა,
აწ თუ გამიწევ
შენ მეგობრობას,
აბა, შენ იცი,
ჩემო ჭაღარავ.

1900



ირაკლი აბაშიძე

* * *

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე,
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა, წამეღო ყველა სიამე,
ყველა სიმწიფის მენახა გემო...
სიგრძე და განი... ზემო და ქვემო...

ვერ შეველიე აპრილის დილებს,
ლურჯ კოინდარზე ტყემლების ფთილებს, —
მეძახდა ჩემი ლიხთიმერეთი,
ჩემი პირველი ზღვა და ხმელეთი,
ჩემი ბავშვობის გამშრალი ნამი, —
მეც ბაღდადისკენ მივქროდი ღამით.

მიბმული ვიყავ მეგობრის სულთან,
ყველა ვაჟკაცი მეგობრად მსურდა,
სამ ადლზე მქონდა გაშლილი მკლავი,
მე ვიყავ ძმობის გული და თავი, —
ხან წინაველი, ხან ბაღი დიღმის...
ვერ შეველიე ტოლებთან ღიღინს.

ვერ შეველიე ალაზნის ნაპირს,
საინგილოში ავარდნილ ნადირს,

— ჭახ! — გუგუნებდა გაღმიდან გაღმიო,
და რომ მეგონა, გათავდა ეხო, —
ერთს კიდევ სადღაც დაჰკვნესდა ნაღვლით.
ალბათ სიცოცხლე არც იმ ხმას ეყო.

ვერ შეველიე ლამაზის ალერსს,
წადილით ავსილ ნამიან თვალებს
ვეძებდი, როგორც ფრინველი ბაღნარს.
მივდევდი, როგორც მდინარე დაღმართს,
და მხოლოდ ცისკრის იგებდა ჟამი,
სად, რომელ ჭერქვეშ მეძინა ღამით.

ვერ შეველიე თბილისის კარებს,
თბილ შემოდგომის ქარვისფერ დარებს.
კრწანისში ძველთა ტკბილ გახსენებას,
ვერაზე ახალ ბაღთა შენებას
და როგორც ზეცას მზე ჰკრავდა ისრებს,
მივდევდი ქუჩებს ისევ და ისევ.

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყოველ ზვირთში ვერიე,
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა, წამეღო ყველა სიამე...
წაგყვება რამე?!

1952

მცხეთა

თუ ყველაფერი არის სიზმარი,
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ დგას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი?

რატომ ელვარებს უძველეს ქვაში
სამთავროს სვეტი მცირე და დიდი
ან ზედ ქალაქთან შეგუბულ მტკვარში
რატომ ჩანს ისევ პომპეის ხიდი?

მე დაგანახვებ არმაზის მხარეს —
კედლებს, ნანგრევებს, მკვდარ ნაქალაქევს,
სადაც არაგვის უძლეველ მთავრებს
სძინავთ—ჩვენს ძველთა ძვალშესალაგებს.

და გაგახსენებ იმ დღეებს, როცა
მცხეთას ზღაპრული გახსნეს თაღები,
და ჩვენს წინ, როგორც მეორედ მოსვლა,
აღსდგნენ არმაზის სარკოფაგები.

ჩვენ აღტაცებით დავცქერით განძებს,
აკლდამის ქვებში მარჯვედ ჩასმულებს:
საოცარ თვლებით მოჭედილ თასებს,
საოცარ თვლებით ნაჭედ სასმურებს.

სურებს, გვირგვინებს, ლარნაკებს, ხონჩებს,
კვლავ ცოცხლებს, რაღაც უცნობ წამალით...
(თუმცა ამაოდ ვეძებდით ჩონჩხებს —
ქვებში არ ჩანდა ძვლის ნატამალიც).

და მე ვფიცავდი თავსა და სინდისს.
ამ უცხოდ ნაჭედ განძის მპოვნელი,
რომ ყველაფერი არ არის ბინდი,
რომ არც სიზმარი არის ყოველი.

რომ, იქნებ, მათაც, მიწიდან ახლა
ამ ძვირფას თვლებით რომ შემოგვხედეს,
სიზმრად მიაჩნდათ ყოველი ქვეყნად,
ამ უკვდავ განძის ძველ შემოქმედებს.

ჩვენ კი დღეს სწორედ, ჩვენ კი დღეს სწორედ,
ათას წელს ქვებში მოწმედ დებულებს,
ათას წლის შემდეგ მაღლა ვწევთ სურებს,
სასმურებს, მათგან მოწოდებულებს.

არა, არ წაგყვეს, არ წაგყვეს ჯავრი, —
თუ ბინდის ფერი არის ყოველი,
რატომ დგას, რატომ დღეს მცხეთის ჯვარი.
რატომ დგას ისევ სვეტიცხოველი!

1957

ჭ ო მ ა

ახლაც მოგესმის, ახლაც მოგესმის,
თითქოს ეს წუხელ გქონდეს ნახული:
პირველ სინათლეს რთავს რიონჰესი,
არის ზეიმი მართლაც ხალხური.

სუფრულს მაყრული მისდევს ჰაერში,
მაყრულს — რანუნი, რანუნს — ოდელი,
ჩასტუმრებული ვართ ქუთაისში,
შუაღამემდე ჰქუხს „გრანდ-ოტელი".

ნაშუაღამევს ატყდა ჯიქია:
— არ მინატრიხართ ფიცხელ შრომაში.
ახლა ვილხინოთ, როგორც რიგია, —
ერთიც ქართულად დავსხდეთ ჭომაში.

და ლურჯ ფილაქანს ასწყდა კარეტა: —
ჭომას ფხიზელი გვყავს მამობილი...
და ალავიძის დუქნის კარებთან
მიწას დააკვდა ავტომობილი.

გამოგვეგებენ ნათელ ღიმილით,
თითქოს ჯერ ძილი არ უთმენიათ:
ხმელ ლაფაროში დაკლეს ფრინველი.
მწვადი დაუდეს ამ უთენია.

მოლეულიყო უკვე ეკალა,
ვარცლზე ვერცხლისფრად ეწყო ჭანარი,
მზეს ჯერ დღე-ღამე არ გაეყარა —
მარგილზე ენთო შუშის ფარანი.

ჯერ ფრთას ბინდბუნდად, გაუღვიძებლად,
შლიდა გუმათი, შლიდა სორმოში...
და ბრმა მეარღნემ ჩვენს სადიდებლად
დახლთან დაგუდა „740".

და რომ რიონჰესს უხვად აფენდა
ვარდს იაშვილის სიტყვა ფერადი,
წითლად გათენდა, წითლად გათენდა,
თეთრად დაგვადგა თავზე გელათი.

წამოვიშალეთ და ამ ნათელში
ლხინზე კელაპტრად რომ დაგვენათა,
ერთხმად დავლოცეთ ჯვართან — ზაჰესი
და რიონჰესი — ბებერ გელათთან.

ჩამოგვიქროლეს ძველმა ლანდებმა.
წინ ჩაგვიგორეს ბედის ბორბალი
და რიონჰესის ფუძის დამდებმა
თქვა ძველ ოსტატთა შესანდობარი.

რა ხნის,
რა ხნის ხარ,
რა წლის, რამდენის?
ეს კვლავ შენა ხარ?
ეს კვლავ შენა ხარ?
ისევ ჯანმრთელი, ისევ ტანმრთელი,
შენ კვლავ ჭომასთან დგახარ ხელახლა.

ისევ რიონის ზეცა წარმტაცი,
ისევ იმ მთების მწვანე ლახვარი,
კვლავ გაზაფხულის ფერი ათასი.
ბგერა ათასი ახალ-ახალი.

და უსმენ...
მაგრამ დანატრებული
ხმები, ის ხმები არსით მოგესმის...
მხოლოდ იმ ღამით
განათებული
ბებერ გელათთან დგას რიონჰესი.

1959

მ ა მ ა

ოუ იმერეთში სინათლით სავსე
გინახავთ ჩვენი პატარა თემი
და უსინათლო ვაჟკაცი გახსოვთ, —
მშობელი მამა ის იყო ჩემი.
მას ერთხელ გაჰკრა სიკვდილმა გვერდი
და თვალში მოხვდა რჯულძაღლის ცელი,
და მერე ჩამქრალ თვალების სევდით
ოდაში იჯდა თხუთმეტი წელი.
ხან თემშარაზეც ფრთხილად და ჩუმად
გამოჩნდებოდა ჩალისფერ ჩოხით
და სიცოცხლის და სიკვდილის შუა
გზას მიიკვლევდა ბამბუკის ჯოხით.
და მოკვდა ისე, რომ მას სიკვდილი
არ დაუნახავს — გამხმარი ძვალი.
და მოკვდა ისე, რომ ტკბილზე ტკბილიც
არ დაუნახავს ქვეყანა თვალით;
არ ჩარჩენია ჯავრად მშვენება
ლურჯი ველების, ლურჯი ქედების...
მე კი, მე იმ დროს რა მეშველება,
ორივე თვალში რომ ვიხედები.

1986

კაპიტანი ბუხაიძე

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.
ვინც დამხედოთ, გადაეცით
საქართველოს მთებს და ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვჟლეტდი სისხლის მსმელებს:
არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ, —
აქ დარაჯად დამაყენეს.
და ვუბარებ ყოველ ქართველს:
მისი წმინდა ვალი არი —
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეჰკრას
დერბენტი და დარიალი.

1942

სამი ციხე

მურის ძველ ხიდთან, სადაც გორმახებს
თითქოს მდინარემ დანა დაუსვა,
სამი ციხე დგას: ციხე — „დაუხვდი“,
ციხე — „დაჰკარი“ და „არ გაუშვა“.

თავს რომ იწყვეტდა ომის ქარბუქი
და მთებს დაყეფდა შავი ფრინველი,
ციხე — „დაუხვდი“ — ფიცხი ჭაბუკი
მკერდით ხვდებოდა მომხდურს პირველი.

როცა ტყდებოდა მტრების ალყაში
ციხე „დაუხვდის“ ზღუდე მაგარი,
ომის ქარ-ცეცხლში — დინჯი ვაჟკაცი
გადეშვებოდა — ციხე — „დაჰკარი“.

როცა მძლავრობდა მტერი გულშავი
ციხე — „დაჰკარის“ მხრების დრეკაში,
„არ გაუშვაო“, „არ გაუშვაო“ —
მტრის წინ დგებოდა ციხე ბერკაცი.

და ნანგრევების მტვრიან ჰაერში
წითლად ელავდა ხმალი ქართული:
„დაჰკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“ —
იდგა გუგუნი გოლიათური.

ციხე მისდევდა ციხის მაგალითს,
მოყმეს გვერდს ედგა მოძმე ხნიერი
და ციხეც ციხით იყო მაგარი,
ვით კაცი კაცით იყო ძლიერი.

შენ, მოგზაურო! ვისაც გეღირსა
ქვეყნად მშვიდობის დღესასწაული,
შესდექ! შეჩერდი მურის ძველ ხიდთან,
ამ სამ გოლიათს როცა ჩაუვლი, —

ყური მიუგდე ქედებს, მთა-გორებს,
ჩუმად მთვლემარებს კიდით კიდეში,
„დაჰკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“, —
იქნებ, მოგესმას ამ სიმშვიდეში.

იქნებ, მოგესმას მამებს, წინაპრებს,
ქვეყნად მშვიდობა რად არ ჰქონიათ,
შესდექ ლომგმირთა ხსოვნის წინაშე,
ყური მიუგდე ამ სამ გოლიათს.

ყური მიუგდე: როგორ გადურჩა,
მტრის ხმალს ქვეყანა ცრემლდანამული...
„დაჰკარ“, „დაუხვდი“ და „არ გაუშვა“, —
აი, რა არის ჩვენი მამული.

1947

პოეტის გული

პოეტის გული — ხან შმაგი ლომი,
ხან ბეწვის ხიდზე ეტლის ტარება;
პოეტის გული — ქალაქი რომი.
ყველა გზას მისკენ რომ ეჩქარება.

რა უწვავ მადნით, რა ბროლ-ალმასით,
რით ქსოვეს მისი კედლის ძარღვები?
რომ არ დანაცრდა, როგორც არმაზი,
როგორც ხორეზმის თეთრი თაღები.

რომ კვლავ ამაღლდა, რომ კვლავ გადარჩა
კედლები მისი, ოქროთ ნაგები,
რომ არ დაინგრა, როგორც ვარახშა,
როგორც მესხეთის ვანის ქვაბები.

არ იყო ღმერთი, ის რომ დაეცვა,
საყდარი — ერთხელ მისთვის ელოცოს:
არ იყო ცეცხლი, ის არ დაეწვას,
მიწისძვრა, რასაც ის არ ელეწოს:

რით კვებეს იგი, რა დიდ სისხლითა,
მჩქეფარით, როგორც ფშავის არაგვი?
რომ არ გამოშრა, არ დაიშრიტა
როგორც აქბარის მკვდარი ქალაქი.

პოეტის გული — ქალაქი რომი,
ყველა გზას მისკენ რომ ეჩქარება;
პოეტის გული — მსოფლიო ომი:
ხანძარი, ჟლეტა და მქუხარება.

1970

* * *

სტრიქონში სიტყვა სულ არ დასწურო,
გულს არ აჰხადო ყველა სარქველი;
ლექსი ბოლომდე არ დაასრულო,
არ დაამთავრო ყველა სათქმელი.

ხომ სულ ერთია, შენს ღაღადებას
გასცრის, გაცხრილავს იმ ღვთის საცერი:
ღმერთი იქ იწყებს, სადაც თავდება
სტრიქონი, მგოსნის ხელით ნაწერი.

სულ ნუ ამოთქვამ შენს დიდ ზღვის ღელვას,
მშვიდად ითმინე მგოსნის სათმენი,
რომ თავის სულშიც შენმა მკითხველმა
ეძებოს სანთლით შენი სათქმელი.

1970

მონადირის ღამე

შემოგვაღამდა, ალი-აბადთან
ულრან ტყის პირად გავკვესეთ ტალი,
წიფლის ტოტები წითლად განათდა,
ცაში ბუბუნით ავარდა ალი.
გავეხმაურეთ ერთმანეთს სროლით,
მოვუხმეთ ცეცხლთან დაქანცულ ძაღლებს,
სველ ნაბდის კალთებს ავარდათ ბოლი
და ოხშივარი — წინდებს და წაღებს.
სველი ხე მოჰყვა გადაბმულ შიშინს,
ვით ტყის ნადირთა უცნაურ ამბებს
და მეძებრებიც უყეფდნენ შიშით
კოცონის ირგვლივ გაწოლილ ლანდებს.
ტყეში კი ისევ ტკაცუნით სჭამდა
ნადირი ნადირს, რკოსა და ხეხილს;
ბერმუხის უკან მგლის თვალი სჩანდა,
მურყანის უკან — ფოცხვერის ფეხი.
და მეძებრებიც უყეფდნენ ავსულთ:
მდინარის დუდუნს, ფოთლების ცვენას
და ცეცხლის ენებს, ზეცისკენ წასულთ,
ვით ბუჩქში დამფრთხალ ხოხბების ფრენას.
გვეწადა დაღლილთ კოცონთან ძილი,
რა სჯობდა წიფლის უშხიან ღადარს,
მაგრამ ამ ცეცხლის გიზგიზი ტკბილი
ჯერ უფრო სწეწდა ვახშმობის მადას.
და ჩვენც რა გვსურდა სურვილის მეტი,
ხორცი და ცეცხლი არ გვქონდა განა?
მოკლულ ტახს მყისვე გავუპეთ მკერდი
და ფიცხლად დავცხეთ შამფურებს დანა.
და დაემგვანა ის ღამე ქორწილს,
ბრუნავდა ცეცხლზე მწვადების ჯარა.
შამფურებს სტეხდა ნადირის ხორცი
და ჩინჩხლებს ჰყრიდა მაშხალის გვარად.
ქარვისფრად აცმულ ქონიან მწვადებს
ლოკავდა ცეცხლი ნდომით და ზრუნვით
და ნაკვერჩხლებზე დაცემულ წვეთებს
სდიოდათ ნამდვილ საკმევლის სუნი.

გვქონდა, სულ გვქონდა, რაც გულით გვსურდა,
და მადაც გვქონდა დაღლილებს მგლური,
გავხსენით ცეცხლთან თხის ტყავის გუდა,
ნამჯაზე დავდეთ ყანწი და პური.
ჩამოვდგით დინჯად, გავსილი გზისთვის,
ხელადა. როგორც ძვირფასი განძი
და საქართველოს მიწის და მზისთვის
ინგილომ შესვა პირველი ყანწი.
ღამით, მთელ ღამით, შფოთიან ძილში
დაგვდევდა სიზმრად ყუმი და კახი
და თასმანლუსთან ბერმუხის ძირში
ხმელ ფესვებს გლეჯდა დაჭრილი ტახი.

1946

აქ დავსახლდები

ამიერიდან აქ დავსახლდები,
ჩემი ქვეყანა არის გურია;
სტუმარს, მოყვარეს აქვე დავხვდები,
მე სხვა სამშობლო აღარ მწყურია.

ვივლი ბაშლიყით თავდახურული,
ვითომც წინაპარს უსახსოვრია;
ვიცხოვრებ, როგორც გლეხი გურული,
როგორც ჯუმათელ კაცს უცხოვრია.

მაგრამ რა ვუყო ჩემს ტკბილ იმერეთს,
გეგუთს, ვარციხეს, ალისუბანსა;
ოქროს ბავშვობას, სიზმრებს, სიმღერებს,
ყრმობას, ოცნებას თავისუფალსა.

ოდიშს რა ვუყო, ზღვისფერ ჭალაკებს...
ისაც მკვიდრია, ისაც ჩემია...
ზუგდიდს, სალხინოს, რუხს, ნოქალაქევს
გავცლივარ — სული იქ დამრჩენია.

წინ გამფენია, ვით აბრეშუმი,
ტყეთა შრიალში, მთების ალერსში,
ტკბილი ქვეყანა — რაჭა-ლეჩხუმი,
შქმერი, ორბელი, ნაკურალეში.

იმ მთებს რა ვუთხრა, ცას შეჭიდებულს,
გაუთავებელ ზვრებს და მაღლარებს...
კახეთს რა ვუყო, კახეთს დიდებულს,
დიდი ალაზნის ცვრიან ბაღნარებს;

ახალ აფხაზეთს, მზიურს, ზღვისეულს,
ძველი მესხეთის ცის დამშვიდებას;
ქართლს—საქართველოს დედას ღირსეულს,
აწმყოს, წარსულის, ხვალის დიდებას.

რომელ ერთს ვუთხრა: შენ მემეტები,
ყველა დედაა, ყველა მკვიდრია,
ყველა ტრამალი, მთები, ქედები
ერთი სიცოცხლე და სიმდიდრეა.

ყველა ღვიძლია მიწით ზეცამდე,
ჩვენი ხორცია, ჩვენი გულია,
და ნუ გაოცებს — თვისკენ გეძახდეს
იქით კახეთი, აქეთ გურია.

1960

ხმა კატამონთან

წიგნიდან: „პალესტინა, პალესტინა"

„ — ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი.
მორჩა,
ყველა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ — ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.

თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ გამხედავო.

ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო,
ხან — ფუნჯო ჩემო, ხან — საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს, იქნებ, სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,
დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ, უჭკნობს,
შენ, ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ.
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო.

შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან".

1961

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

ღრუბლებმა ზეცა გადააჭრელეს
ზაფხულის მზეში ნაკრიალები;
უთუოდ ახლა ომში დაჭრილებს
ყრუ ტეხვით ტეხენ ნატყვიარები.

ისინი მგოსნებს, დიდ მგოსნებს ძმობენ, —
მათ ჩვენი ხოტბაც, ჩვენი მადლობაც,
მგოსნებიც მათებრ ტკივილით გრძნობენ
ამინდის ყოველ ცვალებადობას.

1963

ᲰᲘᲛᲜᲘ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ

მაშ, მორჩა...
შეწყდა. —
არვინ დაეძებს,
სიცოცხლის კვალიც არ ჩანს მთვარეზე:
უდაბნოს ქვა და ქვიშა სამარის,
დუმილი უფსკრულ ზეცის კამარის;
დუმილი ჩამქრალ ოქროს თვალებზე;
სიცოცხლის კვალიც არ ჩანს მთვარეზე:
არ ჩანს, არ არის
არ ჩანს, არ არის.

მარსიც, ვენერაც,
მარსიც, ვენერაც
ელავს და ბრწყინავს, მაგრამ მერე რა,
სიცოცხლის არ ჩანს მათზეც ნასახი. —
თითქოს ოდესღაც, თითქოს ნამდვილად
უცნობ სატევრით, უცნობ ნაჯახით
ერთად მოესპოს ათას ატილას,
ათას ტამერლანს, ათას კანარისს:
სიცოცხლის არ ჩანს მათზეც ნასახი,
არ ჩანს, არ არის.
არ ჩანს, არ არის.

მაშ, იამაყე,
მაშ, განიცადე!
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე,
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე;
ყველა სინათლე, ყველა სისავსე.
ყველა სხვაობა, ყველა მსგავსება,
ყველა დაშრობა, ყველა გავსება,
ყველა ატყორცნა, ყველა დაშვება,
მხოლოდ მას ერგო ეს დაფასება.
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე,
მხოლოდ მის გაშლილ გულის ფიცარზე;
სიცოცხლე არის
მხოლოდ მიწაზე.

სიცოცხლე ლაღად დადის ხმელეთზე;
სიცოცხლე მარჯვედ წყლებში დაცურავს,
სიცოცხლეს ზეცა ადგას ხელებზე,
სიცოცხლე ჭირშიც ძლებს ვაჟკაცურად;
სიცოცხლეს ყინვის ხმლით ვერ გაჰყინავ,
სიცოცხლე დუღს, გინდ წარღვნად იავდროს,
სიცოცხლე ლაჟვარდ ცაში დაფრინავს,
სიცოცხლე მხურვალ ქვებში ბინადრობს,

სიცოცხლე ფესვზე მწვანედ შრიალებს
სიცოცხლეს ზეცა ჰქარგავს მზრუნველი.
სიცოცხლე ასფრად ჟღერს და ციალებს,
სიცოცხლის ფერებს ასდის სურნელი.
სიცოცხლე სმენად დგას დაძაბულად,
სიცოცხლეს ელვად უკრთის თვალები:
სიცოცხლე მზის ქვეშ სუნთქავს გაბმულად,
სიცოცხლე მკერდქვეშ ძგერს გამალებით:
სიცოცხლე მიწის ზურგზე ჩახჩახებს,
სიცოცხლეს ქვეყნად უდგას ზეიმი:
მიწაზე აწმყოს დგას სრა-სასახლე,
მიწაზე ნამყოს დგას მუზეუმი.
სიცოცხლე დადის როგორც მოძღვარი: —
სიყვარულს, აზრს და მიზნებს ამაღლებს,
შენ ხარ ცოცხალი, შენ ხარ ცოცხალი,
მაშ, გაიხარე.
მაშ, იამაყე!

ქვეყნად სიმღერა არის უთვლელი,
არის ჰომეროს, არის რუსთველი,
მაგრამ მიწაზე ბუდობს ხანძარიც,
ბუდობს სიკვდილიც უზარმაზარი,
მაგრამ მიწაზე ბუდობს ხანძარიც,
რომ მიწა ცაში ფერფლად ასწიოს,
რომ თვალდათხრილი, რომ მკერდდამწვარი
ჩვენი პლანეტაც მთვარედ აქციოს.
მაშ, აღიმართე,
მაშ, განიცადე!
მაშ, სულ აერთე, მაშ, სულ დარაზმე!
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე,
მაშ, მიეშველე, მაშ, უდარაჯე,
მაშ, აღიმართე, მაშ განიცადე,
დადექ მის გაშლილ გულის ფიცარზე...
სიცოცხლე არის მხოლოდ მიწაზე:
სიცოცხლე არის
მხოლოდ მიწაზე...

1969

* * *

პოეტს არ წყალობს ღრმად მოხუცება...
ზევსურ ხანდაზმის, ზევსურ ასაკის
ბედი წილად ხვდა მხოლოდ აკაკის:
ბედი წილად ხვდა მხოლოდ გოეთეს, —
მაღალ ვაჟკაცებს, მაღალ პოეტებს,
მწვერვალებს,
მხრები ცას რომ უწვდებათ.

წაშლილ, დაკარგულ კვალის წინაშე
როცა მე ვიდექ პალესტინაში,
როცა ღმერთს ვთხოვდი ცისკრის გაღებას
და ჰა, გამოჩნდა შოთას სახებაც,
შოთა დევნილი,
შოთა ლტოლვილი,

ღრმად გარდასული
ღრმად დათოვლილი —
მე ვნახე მგოსნის ზეცით დანდობა,
მე გამჩენს გულში ვუთხარ მადლობა.
მგოსნებო, შოთას შთამომავლობავ!
მგოსნებო, ტატოს შთამომავლობავ!
ჩვენც ჩვენი ვუთხრათ გამჩენს მადლობა,
თუ ვისმე გველის მისგან წყალობა,
თუ ჩვენგანს ვისმე ის არ უწყრება,
თუ ვისმე გვერგოს ღრმად მოხუცება, —
მხოლოდ ეს აზრი გვქონდეს ოცნებად:
მოვხუცდეთ,
მაგრამ მოვკვდეთ მგოსნებად.

1969

მაყვალა მრევლიშვილი

* * *

გარმონით, დროშით, მჭიდრო რიგებით
ახალწვეულნი წავიდნენ ჯარში...
მტერ-მოყვარესთან სიტყვის მიმგებნი
შინ მოხუცი და ქალები დარჩნენ...

დაჭრილნი ახლო ჰოსპიტალიდან
ხილის საყიდლად მოადგნენ ეზოს;
ერთ მათგანს, უცხოს მოჰკრეს თვალი და
შორსმყოფი შვილის იერი ეცნოთ.

ხე დაარხიეს, ნაყოფით მშვენი, —
მთრთოლვარე ხელში სავსე ჯამია:
— აიღე, ფული არ მინდა შენი,
ვითომ იმ ჩვენს ბიჭს შეუჭამია!

1944

მეუღლენი

ახალოჯახი, ერთ უღელში ახლად შებმულნი,
აგერ, ახლახან შემოასახლეს,
ერთმანეთისთვის მეოცნებედ დაბადებულნი
რით აავსებენ ასეთ სასახლეს?!

როგორც ოცნება ან ყრმობისას ზღაპრად ნათხრობი,
მხოლოდ სიტკბო და არსაით მტრობა;
დატრიალდება პატარძალი, დროა სამხრობის,
სამუშაოდან ქმრის მოსვლის დროა.
— შენ გენაცვალოს ჩემი თავი, — მიმართავს დაღლილს, —
(დედისგან ასე გაუგონია!)
ალერსს უღიმის ვრცელ ბინაში ახალი სახლი,
თურმე კედელსაც ყური ჰქონია...
სუთ! მერმის ამ დროს ძეობაში თოფმა იჭექოს!..
და ცხრა აკვანიც დაერწეოდეთ!
ასე ვუსურვოთ მომავლისთვის... თორემ ორნი ხომ
ცულის ტარზედაც დაეტეოდნენ.

1950

პირმშო

ერთი დედას და მამას რაღაო?
ერთიც მამას და პაპას — საკუთრად?!
ბებოს მკლავებში ჩვილი ნანაობს, —
პირველი
ყველამ ბებოს აკუთვნა.

ბიძა აიყვანს ძმისწულს და თვალწინ
იმის მომდევნოს ხედავს ბუთხუზებს,
— ეს ჩემი იყოს, და ამას აწი
და-ძმა სჭირია! — ჩაიბუტბუტებს.

ქვეყნის ფასია ეს მოლეული,
ხელიდან ხელში გადამავალი
და მშობლებს ვინმე თეთრმორეული
ეტყვის:
ეს ერთი და სხვა მრავალი!

1954

* * *

ქორფა იებმა მცხეთის გამოღმა
ველის მოფენა ამოდ იციან:
მიწის ნამცეცი ქოჩორს ამოჰყვა,
ისეთი ძალით ამოიწია.

ერთმა მათგანმა თან შეიფერა
თავზე ცა ქუდად, ქალმნად — მიწანი,
თვალი დაბინდა, მკითხავს დაბლიდან:
— რად გამიცინე, განა მიცანი?

— თურმე რა ღონით მოილტვით შეღმა,
მჯობნის მჯობნი ხართ თურმე იანი,
სიცოცხლის ცეცხლმა მომხიბლა შენმა,
პატარა ხარ და ქუდბედიანი.

1947

* * *

შეგრძნება რაღაც მყუდროს და თბილის,
სახლები თეთრად მინაბულები...
მაღლიდან დასცქერ დათოვლილ თბილისს
ფეხზე მორგებულ თხილამურებით.

გინდა ტრამპლინად იქცეს მთაწმინდა
და გადაეშვა ასე ხელგაშლით,
რომ შემოგნატროს დაბლით არწივმა
უსაზღვრო სივრცის გადახედვაში.

გსურს, კოცნით ფრთხილად გადააშორო
თოვლი ხეხილებს, ჩამთბარებს, ნორჩებს,
გულში ჩაიკრა მთელი სამშობლო
და გულში კიდევ ადგილი მოგრჩეს!

ამ უჩვეულოს შეიგრძნობ ძალას...
ფიფქი მოცვივა ციდან ულევი,
და გადაჰყურებ დათოვლილ ქალაქს
მხარზე გაწყობილ თხილამურებით.

1938

* * *

ტოტებზე ვერცხლი.
ლოყებზე — ცეცხლი.
ვარ წაქცევაზე.
მაინც ვსწორდები.

სრბოლავ ფრთამალო,
ზამთრის ზღაპარო,
კიდევ მრავალჯერ
განმეორდები!

1950

ერთი ყუნწმოკლე წითელი ვარდი

ერთი ყუნწმოკლე წითელი ვარდი,
კარგო გოგონავ, შენ რომ მოგვართვი,
მანდ დამრჩა, კლუბის გრძელ მაგიდაზე,
სურა რომ გვედგა წყაროს წყლით სავსე,
იმ მაგიდაზე.

წყალი შევსვი და დავყნოსე ვარდი,
თვალში რატომღაც შენ ჩამივარდი,
შენი მორცხვობა, შენი სინაზე.

ვიცი, ის ვარდი აღარ დაჭკნება,
დრო გაივლის და მანდვე დაგხვდება,
მანდვე დაგხვდება კლუბის სცენაზე.

ჩემო ლურჯთვალავ,
შენც მოგაწვდიან ვარდებს უთვალავს,
სურა რომ გვედგა წყაროს წყლით სავსე,
იმ მაგიდაზე:

ვინმე პატარაც, ახლა რომ ხარ, მთლად შენოდენა,
ერთ ცალს, ყუნწმოკლეს, საკუთარი ხელით მოწყვეტილს,
შენც წინ დაგიდებს
აგრე ნაზად და დამორცხვებით.

1952

მ ა მ ა

1

გაცრეცილ ცაზე მკვდარი ფოთლების
გარდა, არა ჩანს აღარაფერი.

ქარმა აკრიფა გაბოროტებით
ხეების ირგვლივ მრავლად ნაფენი
ხმელი ფოთლები...

ხმელი ფოთლების ლალი და ქარვა
წაიღო ქარმა...

სპილენძისფერი ერთი ფოთოლი
ტოტზე შემორჩა, ქარს არ ნებდება.
თამბაქოს სიმწრით შეყვითლებული
შენი თითები გამახსენდება.

2

ჩუმი იყო
და უთქმელი სევდა —
ყოველგან სდევდა.
უცბად მობერდა...
სულ ზურგით მახსოვს,
კედელთან ახლოს
მდგარი მოლბერტთან.
უხმოდ,
მუნჯივით...
ხელში ფუნჯებით
წერდა და წერდა.
იყო მომთმენი:
სულ ერთი ციდა
მჭადის ნატეხი მიგვაჩნდა დიდად,
არ გაიტეხდა მაინც იხტიბარს.
პარიზმოვლილი
გლეხის ტყაპუჭს აღარ იხდიდა
და ქალამნებში
შვილებსა გვზრდიდა.
წლები გავიდა,
გავიხსენებ ყრმობას თავიდან:
წმინდა ქართული,
სახატავებში მამა გართული:
აღზრდა — სპარტული...
დრო გავიდა და ამიერიდან
იმგვარი ყრმობის მადლიერი ვარ.

1956

ᲥᲕᲘᲨᲮᲣᲠᲘ ᲔᲪᲘᲣᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ

1. ᲓᲘᲚᲐ

მარიამობის ნამცვრევი ნამი,
ღამით ნასხური შეფერილ ყურძენს,
სუფთა ჭურჭელი წაკრული ნარმით
სუფრააკეცილ მაგიდის ყურზე.

ფიჭვის რიკულზე ზაფრანის კონა,
ცოტა წიწაკაც... და იმის იქით
შორით, სერებზე შემართულ გორაკს
ცა დაუკბილავს პატარა ციხით.

ჯერ სძინავთ სახლში: ქორფა ლერწები
სარს დაეძებენ დილაადრიან...
დერეფანს მოდგა ჩვენი მერძევე,
ნეტავ რა სალხენს გაუბადრია.

ცალუღლის მწევი, შვილთ მოამაგე,
ღაწვი — ნაზავი რძით და ღვინითა,
და სიხარულით ნახლეჩი ბაგე:
— ომიდან კაცი ჩამომივიდა!

2. ᲛᲝᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ

ღობის გადაღმით გაბადრულ გოგრებს
ყლორტი გადმოღმა გამოუწვდიათ.
ჩემკენ გამორბის მორბედი გოგო,
ეზოს კარებთან ტოლნი უცდიან.

მაყვლის თვალ-წარბი, ტუჩები მარწყვის,
დილის მერცხლები დაჰფრენენ გარსა,
თავის სიგრძე კვახს ჩურჩულით მაწვდის,
მორცხვობს: — დედამა, ვიცი გიყვარსო.

გაიქცა, შემრჩა წითელ-ყვითელი,
ბავშვის ხელებში გამთბარი ყუნწით...
ჩვენი ხალხია მცირე სიკეთეს
არ შეირჩენს და მიაგებს ხუთწილს.

აივნის თავზე წკნელის გიდელი
ნელა ქანაობს, ყურძნობას უცდის.

1946

* * *

არ შეირჩინო, გულო, მცირედიც
იმ სიკეთისა, მამულს რომ ართმევ,
სულ ეძიებდე
მალულ სიმების
ნაკრძალს ეგება მიაგნო სადმე:

არ ჩაიფერხო ბოლომდე არსად,
ქვეყნის ამაგი თვალწინ გეხატოს
და თავანკარი სიმღერის ფასად
სესხი და ვალი გადაგეხადოს.

1950

ილია ხოშტარია

იქ გუგუნებს

იქ გუგუნებს ხალხისათვის
შემოქმედის ძლევის ზარი,
სადაც
    დიდი აღტაცება,
სადაც
    დიდი სევდაც არი!

ლექსმა უნდა გაცოცხლოს და
ლექსმა უნდა აგამღეროს,
ჰქუხდეს სიტყვა ისე მძლავრად,
რომ ვერასდროს დაგაბეროს.

იქ გუგუნებს ქვეყნისათვის
შემოქმედის მძლავრი ზარი,
სადაც
    დიდი აღტაცება
სადაც
    დიდი სევდაც არი!

1956

* * *

შფოთავდნენ მტკვარი, თერგი, რიონი,
იჭექა და შორს დაეცა მეხი, —
უღელტეხილზე კავკასიონის
მრისხანე მტერმა შემოდგა ფეხი.
სამშობლოს განა შესაგინებლად
დათმობს ვაჟკაცი ძალგულოვანი?
მოსულ ურდოსთან შესარკინებლად
მთებიც წამოდგნენ ყინულოვანი.

დიდი წვიმები მოვიდა მთაში,
შფოთავდა თერგი აქაფებული,
იქ დარიალის ხეობაც მაშინ
იყო ბრძოლისთვის გამზადებული.
ქალნი და კაცნი მტრების საჩეხად.
აღსდგნენ და დადგა მტრის აღსასრული.
მშობლიურ მიწის გადასარჩენად
ელავდა ხმალი პირგაბასრული.

1943

ᲘᲮᲐᲠᲝᲜ ᲕᲐᲖᲛᲐ!

თვალებს ბოროტს და თვალებს შურიანს
ვაზის ხარება არ დაენახვის:
განა ამაოდ მღერის ქართველი
ლამაზ სიმღერას:
„შენ ხარ ვენახი...“

მშრომელი კაცის სასიხარულოდ
კვლავ საოცნებოდ შრიალებს ზვარი
და ჩაშაქრებულ ყურძნის მტევანზე
ელავს, კიაფობს ციური ცვარი.

თვალებს ბოროტს და თვალებს შურიანს
ვაზის ყვავილი არ დაენახოს.
განა ამაოდ მღერის ქართველი
ხმატკბილ სიმღერას:
„შენ ხარ ვენახი“...

1963

* * *

უკვე სამოცი გასულა წელი,
მიმოვიხედე და უცებ შევკრთი:
გულზე მომედო ცეცხლი დამწველი,
რომ შემიქმნია ასე მცირედი.

არ გათავდება კაცობის ყავლი,
არ ვუსურვებდი ტანჯვას არავის:
მუდამ ვფიქრობდი, ვყოფილიყავი
გამქარვებელი სხვისი ვარამის.

ასე თუ ისე, ღმერთმა იცოდეს,
არ ვიშურებდი ძალას, ვმხნეობდი,
ვიბრძოდი ძვირფას სამშობლოსათვის,
სპეტაკი გულით ხალხს ვუმღეროდი.

რა გავაკეთე, წვეთია ზღვაში
და ჩემს თავს ახლა ასე ვეტყოდი:
— ცოტათი მაინც ხომ შეგისრულდა,
ცხოვრების გზაზე რასაც ეტრფოდი?!

1969

* * *

ᲡᲣᲚ ᲬᲘᲜ ᲛᲘᲰᲥᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲗ ᲩᲔᲛᲘ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ,
ᲕᲐᲭᲙᲐᲪᲣᲠᲘ ᲧᲘᲭᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲫᲐᲮᲘᲚᲘ.

ᲨᲝᲠᲡ ᲒᲐᲕᲮᲔᲓᲔ, ᲕᲘᲮᲘᲚᲔ: ᲛᲗᲔᲑᲘᲡ ᲘᲥᲘᲗ ᲛᲗᲔᲑᲘᲐ,
ᲒᲖᲔᲑᲘ, ᲒᲖᲔᲑᲘ! ᲛᲖᲘᲣᲠᲘ ᲒᲖᲔᲑᲘ ᲬᲘᲜ ᲛᲔᲨᲚᲔᲑᲘᲐᲜ.

ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲐᲠ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲡ ᲤᲐᲤᲐᲠᲐᲧᲠᲘᲚ ᲩᲐᲜᲩᲭᲔᲠᲔᲑᲡ,
ᲐᲜᲓᲐ ᲪᲐᲨᲘ ᲐᲤᲠᲔᲜᲘᲚ ᲐᲠᲬᲘᲕᲡ ᲕᲘᲜ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲔᲑᲡ!

ᲬᲘᲜ, ᲬᲘᲜ, ᲩᲔᲛᲝ ᲛᲐᲛᲣᲚᲝ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲘᲜᲐᲢᲠᲔ,
ᲐᲠ ᲩᲐᲛᲘᲭᲠᲔᲡ ᲐᲠᲐᲡᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔ!

1962

გიორგი სამხარაძე

არის წუთები გასაოცარი

ისევ ლამაზად ჰყვავის მოცხარი,
ვხედავ ვენახებს თხმელებზე გასულს...
არის წუთები გასაოცარი,
როცა თვითონაც არ იცი, რა გსურს.
არის წუთები... არის წამები
ვიღაცას ეძებ, უხმობ და ბორგავ.
როგორც უხედნელ კვიცს თავაწყვეტილს
გულს აღშფოთებულს ვერარა ბორკავს.
ვინ არის იგი, რომ მეფიცება,
ორეულივით ჩრდილად რომ დამდევს,
შორს გამინათებს, როგორც ოცნება,
ფაქიზ სიყვარულს მპირდება ამდენს!

1956

ს ა ღ ა მ ო

ახლა არ ისმის ქოთქოთი მამლის,
ბინდის პერანგი აცვია ბაღჩას,
ბუხრიდან ადის ცისფერი კვამლი,
დიასახლისი ამზადებს ვახშამს.

გულს უხარია, რომ მოილხინოს —
მიწასთან ჰქონდათ ვაჟკაცებს ომი,
მარნიდან მოაქვთ წითელი ღვინო
და მოზრდილ თუჯში შიშინებს ღომი.

ცეცხლი მინავლდა, წელან რომ ენთო,
ნისლი დაადნა მწვანე მდელოებს,
წყნარი სიმღერა უხდება ერთობ
ტკბილად წარმოთქმულ სადღეგრძელოებს.

ისრიმ-მაყვალში სძინავთ წიწილებს,
რომ არ გენახოს, მაინც მიხვდები;
წითელ მელანში მასპინძლის შვილებს
ამოუსვრიათ თითქოს თითები.

1950

სავსეა ჭურები, ბელლები...

თხმელები მდინარის ნაპირას,
ალვები — მაღლები, სწორები...
ოქტომბრის ქარებმა დაჰბერა,
გაძარცვა ხეები, გორები.

ვაზებში თავსაფრის ფრიალი,
ყურძენი, ურმები, გოდრები,
ძარებზე ფუტკრების წრიალი,
ფარფატი გაფრენილ ფოთლების.

ეზოში შემკრთალი ბალახი,
ცახცახი შერთვილულ სამყურის,
ოდაში სინათლის ჩახჩახი,
ქორწილი,
ნადიმი,
მაყრული...

მზის სხივი თვალებში მეღვრება
და თუმცა სოფლიდან შორსა ვარ,
მე ვხედავ: ჭურები, ბეღლები
სავსეა...
დიდება მოსავალს!

1955

ძველი ჭადარი

არავის ახსოვს: ვინ დარგო, როდის,
მას შემდეგ რამდენ წყალს ჩაუვლია!
იქვე ელვარებს რიონის ლოდი,
იქვე ყვავილთა ბუჩქებს უვლიან.

დროს თავისთავად გადაუბელავს,
ახსოვს დღეები მძიმე, საზარი...
მგონია, როცა ქარი უბერავს,
გრგვინავს ჭადარი უზარმაზარი.

მას ერთი კვნესაც არ აღმოხდება,
სცადე და თუნდაც ცული დაჰკარი...
ამბობენ: თურმე აქ ფიცს იღებდა
საიმერეთოს გმირი ლაშქარი.

1954



გიორგი შატბერაშვილი

ყვავილის მიწა

ყვავილის მიწა!
ყვავილის მიწა!
ისევ აგრგვინდა ზეცაში მეხი,
და რუსთაველზე გაუბედავად
პირველმა იამ შემოდგა ფეხი.

ყვავილის მიწა!
ყვავილის მიწა!
ჰა, იყიდება, როგორც მწვანილი,
ოქროყანის და სამადლოს მიწა
ძველი ხურჯინით ჩამოტანილი.

ეს იყო წინათ...
ჩვენს ფანჯარაზე
რუხი ქოთნები მწკრივად ერიგა,
და ყოველ მაისს ყვავილის მიწა
ჩვენთან მოჰქონდა წყნეთელ ბერიკაცს.

დედას სარკმელში ქოთნები ედგა,
დაბალ სარკმელში, სულ ქუჩის პირას.
მესმოდა მწვანე კვირტების ფეთქვა,
თან ვჩურჩულებდი ლექსებს ზეპირად...

ეს იყო ჩემი
არაგვის ქუჩა...
მაშინ არაგვი არც კი მენახა,
თუმც ვოცნებობდი მე მაინც ურჩად,
თვით ოკეანე გადამელახა!

ყოველ გაზაფხულს
სიფრთხილით დედა
მიწას უცვლიდა ყვავილის ფესვებს,
მერე სარკმელზე გაამზევებდა...
ყვავილის მიწა მოშივდათ ლექსებს!

ყვავილის მიწა ოცნებად იქცა,
ლექსებს მოშივდათ სურნელი მიწის,
ოქროყანის და სამადლოს მიწამ,
ყვავილიანი ლექსები იცის!

1949

დიდ ხელებს

ჩემთვის ნაზთა მშვენიერთა...

დიდ ხელებს,
ჩემი ცხოვრების მგზავრებს,
განა ქალურთა, მათ, თითქოს ძმურთა,
ოდეს ცახცახით მიიტან გულთან,
ან იფიცები, ან იწყებ სიცილს —
ხან განსაცდელის ჟამს გამომიწვდი
დიდ ხელებს,

ჩემი ცხოვრების მგზავრებს,
ვუმზერ, ვადარებ...
მაგრამ არ ვიცი,
ხან ცად აწვდილნი, ვით კიპარისნი,
ხან შენს გულმკერდზე მხატველნი ჯვრისა,
მსასოებელნი არიან რისა!

იქნებ ფარული კაეშნით სავსე
სიტურფის გამჩენს შესთხოვ სინაზეს?

მაგ ხელებს იცი რას დავავალებ?
— სხვათა სინაზე ნუ ავალალებთ!
იქნებ არ გრძნობენ, რაოდენ ნაზი
გულის მფარველნი არიან, ოდეს
აცახცახებულთ და მოალერსეთ
ფიცის დროს წრფელად დაიწყობ მკერდზე!

1948

ქ ა რ თ ლ ი

მე მიყვარს შენი გოროზად გამომზირალი ქედები,
უბერებელი ჭალები — იბერიელთა ედემი...
მინდვრები, მარად ღუღუნში დაბერებული ქედნები
და ტოროლები, წკრიალით ცად ასვლის მოიმედენი.
შენი მარტი და აპრილი, შინდების ფერიცვალება,
ბლებზე გასული ქალები, ვაჟები ძერისთვალება,
ჩამობერტყილი კაკლები, ჩაბარუხების შხეფები,
ორღობეებში მამლები და ხარითვალა მყეფრები...
ურმულით, შენი ურმულით გზად მიმავალი ურმები,
მათი კოფო და ზეწრები, ჭრელ-ჭრელი აპეურები,
ალამპრებული დარბაზი, გარეთ ჭრიალი ჭიშკარის,
გალავანშიგნით ხარები რქებზე დანთებულ ცისკარით.
მარანში მაჭრის ბუტბუტი, რთვლობის ჟინი და ყიჟინი,
დაცლილი ქაშანურები, ქვევრისთავებზე მიჯრილი...
განთიადისას ლაჟვარდი იისფრად ნარიჟრაჟევი,
დედის ფუსფუსი, სიცილი ომგადახდილი ვაჟების.

1945

წარწერა მეგობარ პოეტის წიგნზე

ამის დამწერი თუ მოკვდა, ცხონდეს...
მაგრამ სიკვდილით არ დაგვიღონდეს,
ალამაზებდეს მკვდართა ქვეყანას,
როგორც ყაყაჩო ამშვენებს ყანას.
ცისკენ ეჭირა მას ცალი თვალი,
ძმებო, დავლოცოთ ცად მიმავალი!
დე, ცალი ფეხი მიწაზე ედგას,
ცოცხლობდეს,
ვგრძნობდეთ მის გულის ფეთქვას!
აქაც და იქაც, სადაც არ იყოს,
გარიყოს ბედმა თუ არ გარიყოს,
მოკვდეს, სამარის ქვას დაეწეროს:
„აღსდექ, იცოცხლე...
ვსვამთ სადღეგრძელოს!“

წალეკოს ბედმა თუ არ წალეკოს,
სალექსო გული ჰქონდეს სალექსოს,
სალხინო გულიც ჰქონდეს სალხინოს,
ჯიშიან ლექსებს აპკუროს ღვინო...
იდგეს ქვევრის წინ ის მუხლის ჩოქით,
ილოცებოდეს და სვამდეს დოქით.
მაგრამ, ვაჰ, ერთხელ თუ მოკვდა, ცხონდეს,
იქ ქვეყანაში არ დაგვიღონდეს,
აქაც და იქაც ამის დამწერი
გულებს იჭერდეს ლექსის ფაცერით...
მოკვდეს, სამარის ქვას დაეწეროს:
„ტკბილი სიცოცხლის ვარ სადღეგრძელო!“

1942

სამაია

მყავდა ერთი სიყრმის სწორი,
არჩეული სწორთაგანა,
სცადეს და ვერ გაგვარჩიეს,
ერთი ძუძუსმწოვთაგანა.
სცადეს მტრობის ჩამოგდება,
ერთმანეთის შეძულება,
უფრო მეტად შევიყვარეთ
ძმობის ეშხში შესულებმა.
ერთი ვინმე აგვემგზავრა,
უმჯობესი ქალთაგანა,
მიდიოდა, ღიღინებდა
სამაია სამთაგანას:
„სამაია სამთაგანა,
არ იქნება ორთაგანა,
დამიტირონ თვალთა შენთა,
დავიმარხო სწორთაგანა“.
მოგვხედავდა, ცეცხლს გვიჩენდა,
გვიღიმოდა ხანდახანა...
ოჰ, იმ ქალმა დაგვავიწყა
ძმობის ფიცი თანდათანა;

ერთმანეთი შევიჯავრეთ,
დავდიოდით განდაგანა.
სად ხარ ჩემო სიყრმის სწორო,
არჩეულო სწორთაგანა,
გახსოვს, რომ ვერ გაგვარჩიეს
ერთი ძუძუსმწოვთაგანა...
გაიხსენე ის წამები
უკეთესი წამთაგანა,
ნეტავ შენც თუ გახსენდება
ის გოგონა ხანდახანა,
ვის დაეცეს გულზე ცრემლი
მის მშვენიერ თვალთაგანა?
ან შენ სად ხარ, ერთო ქალო,
უმჯობესო ქალთაგანა,
რად გაგვყარე სიყრმის სწორნი,
რად გვატარე განდაგანა?

. . .

სიყვარულის სამაია
არ იქნება სამთაგანა...

1954

ა იმ მთაზე, თოვლიანზე

გაზაფხულდა, დაიქუხა...
უკვე დროა ავღიღინდე,
ჩემმა გულმაც დაიძახოს,
ბალახივით აბიბინდეს.

ხან შხაპუნა, ხან ჟუჟუნა
წვიმა მცემდეს,
მაოცებდეს,
ლექსის ხეში წყალი ჩადგეს,
სიყვარული აღმოცენდეს!

ჭხარი გამკრას,
თავს დამკივლოს:
ბიჭო, ხომ არ მოიქანცე?

ერთხელ კიდევ აგვერბინოს
ა იმ მთაზე, თოვლიანზე...

ვერ გაგესწროს,
წინ დაგიხვდე,
თოვლზე იად დაგებნიო,
თუ გაგესწროს, ვარდად ვიქცე,
თოვლში ვარდი გაკრეფინო.

გამექცე და ვერ გამექცე,
გზა მოგიჭრა, გაგეფინო,
ჩემი ლექსის ფიანდაზზე
ირემივით გაგერბინოს!

1956

ა დ რ ე ა...

შენ პატარა ხარ, ისე პატარა,
ისე საოცრად ნამლევა გოგო,
ისეთი მორცხვი და კაფანდარა,
ვით ნაწვიმარზე მოსული სოკო...

მე ქუჩის თავში თუ გამოვჩნდები,
შენ ქუჩის ბოლოს შეუხვევ უცებ.
თუ ერთი გზა გვაქვს —
ჩვენ დამორცხვებით
და უხერხულად ავყვებით ქუჩებს.

ვდუმვართ, ნაბიჯი ვერ აგვიწყვია...
უსიტყვოდ უნდა ვუმზიროთ დღესაც —
მე: ქვევით:
შენი თვალების წყვდიადს
შენ: ზევით:
ჩემი თვალების ზეცას.

საით წავიდეთ, რა ვთქვათ ისეთი...
რომ გაგაცილო, სად გაგაცილო?
ქუჩაში როგორ გამოგყვე გვერდით
აგრე პატარას და სასაცილოს?!

სანამ სხვა ვინმე ამას გეტყოდეს —
გეტყვი, ნათქვამი ნუ გაგაოცებს,
ნეტავ მინდოდე, ნეტავ გეტრფოდე,
ხელში აგიყვან, ისე გაკოცებ!

მაგრამ ეს გული, მართალი ცამდი, —
შენი ოცნების ვარსკვლავი კენტი —
ამბობს:

პატარავ, შენი გზით წადი,
ჯერ სიყვარული ადრეა შენთვის!

1956

ტიციან ტაბიძის გახსენება

მას რუსთაველზე სცნობენ ჩიტებიც,
თვალს აყოლებენ ღიმილით გავლილს...
მიდის, ისწორებს გრძელი თითებით
ამ დილით გულზე დაბნეულ ყვავილს.

საოცარი აქვს ამ ყვავილს ფერი,
დღესაც არ ვიცი მისი სახელი.
(პოეტმა მისცა ყვავილს სახელი,
ყვავილმა მისცა პოეტს სახელი!)

და, ის ყვავილი იყოს დღეგრძელი,
თავს იწონებდა პოეტის მკერდით!
... მიდის რუსთველზე ლექსის მეწყერი,
მე, მოხიბლული, მივყვები გვერდით.

გვერდით მივყვები ბიჭი ტანწვრილი,
ახლად ულვაშებამომდინარი.
რა კარგი იყო დრო სიყმაწვილის,
ლექსით, ოცნებით, გულით მდიდარი!

მაგრამ ნაღველიც მაქვს პაწაწინა:
დღეს დავინახე პირველად იგი —
ტკბილი ბარათით სამი თვის წინათ
ვინც დამიწუნა ლექსის ჭაშნიკი!

მიდის რუსთველზე დაძრული ზვავი,
ნედლი ლექსებით, კოჭლი რითმებით,
ვარსკვლავებისკენ აწეულ თავით,
ჭროღა თვალებზე მეჩხერი თმებით...

ვინც შეეჯიბრა თბილისის მგოსნებს,
ვისაც სამშობლო ლექსებს უქებდა,
ვინც ჩაბნელებულ რუსთველის პროსპექტს
ერთი ყვავილით მიაშუქებდა.

იმ ნაზ ყვავილქვეშ, გულის ჯიბეში,
ახალი ლექსი ყოველთვის ედო.
სიყვარულის და სამშობლოს ეშხით,
ტკბილი სიცოცხლის საალავერდოდ!

1956

ტივის ხე

მას შემდეგ, რაც ჩვენ დავშორდით,
წყალს მივდევ დაუდგრომელსა,
ორთაყვირები დამემსხვრა,
გულზე მდინარე მომეცა...

დროც მიდის, როგორც მდინარე...
თურმე შენ გადამივიწყე,
დაშლილა, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე.

არ ვიცი, ბედი ავბედი
წამიღებს რომელ მხარესა,
მიმატივტივებს მდინარე
გულაღმა მწოლიარესა.

ტივი დაშლილა, წყალს მიაქვს
ორთაყვირების ნამტვრევი,
ვიხსენებ შენსა ღიმილსა,
ხანდახან მომენატრები...

ხანდახან... გესმის? ხანდახან...
თურმე მეც გადავივიწყე.
მზე ჩადის, ტივი დაშლილა,
მივცურავ ერთი ტივის ხე...

1956

ᲨᲣᲐᲓᲦᲔ

რატომ დადუმდა ყოველი ირგვლივ,
რად შეწყდა კაცთა მღერა-სიცილი?
ტყის პირას მჯდარი პატარა ჩირგვიც
თითქოს იძინებს მარადი ძილით.

დილით ვედრებით ამართულ რტოებს
ხეები
    დაბლა,
        მიწისკენ ხრიან,
ერთად არიან და სიმარტოვეს
ამ იდუმალ წუთს მაინც უფრთხიან...

ასწლოვან ფესვზე მიცოცავს ხავსი,
კვირტებს ედება ბინდი ყვითელი,
რაღაც, სიკვდილის თუ ძილის მსგავსი,
ამ დიად შუქში დგას დამშვიდებით.

მხოლოდ ხის წვერზე მჯდარი ჭრიჭინა
მოთქვამს,
    არ აკრთობს დუმილი სხვისი,
გაოგნებული ქცეულა ჟინად,
წყარო კი...
    წყარო იკავებს სიცილს!

მზე, წამომდგარი მთებიდან დილით,
ბარბაცით აღწევს სამზეო წერტილს,
ვეღარ პოულობს თავის თავს ჩრდილი,
გაურბის მიწას და საგნებს ერთვის...

ეს წამით...
    უცებ ძახილი სირთა
შეარხევს, დასძრავს ბუნების ენას.
სამალავიდან იწყება ჩრდილთა
გამოსვლა წყნარი და ქვეყნად ფენა.

1944

„ᲫᲐᲛᲘ ᲔᲡᲔᲪᲐ ᲬᲐᲠᲕᲚᲘᲡ...“

ᲘᲔᲡᲔ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲑᲔᲭᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐ

ყველას დრო წასულა,
ჩემი დროც წავა,
ყველას მზე ჩასულა,
ჩემი მზეც ჩავა...

აქეთ ნატბეური,
იქით ნამარნალი,
ხმალი — წართმეული,
იყო... აღარ არი.

მოდი და, ეს იყოს
მაინც საცნაური:
მომავალს ვესიტყვოთ
სიტყვით აზნაურით,

თორემ დრო წასულა,
სიცოცხლეც წავა,
ჩემი მზე ჩასულა,
შენი მზეც ჩავა!

1955

ალექსანდრე გომიაშვილი

წუთისოფელი

დასაბამიდან სიცოცხლით სავსე
წამი წამწამთა არის მსწრობელი
და ედავება ერთმანეთს ასე
ორი ცხოვრება — ორი სოფელი.
ერთი სოფელი — ამ ქვეყანაზე
სიყრმე-სილაღე, სიბერე მწველი,
ხოლო მეორე — გრძელი სოფელი,
მარადიული სამკვიდრო ბნელი!

მაინც რა არის წუთისოფელი,
სიცოცხლე წუთით ვის მოსწყინდება?!
შენი მზე — სული მანათობელი,
როდესაც ქვეყნად გამობრწყინდება, —
მაშინ გაჩნდება სიბერე მწველი,
თვალთა გუგებში შუქი ბინდდება
და ჭაბუკს, ქვეყნად არც გიცხოვრია,
სული ჩიტივით გაგიფრინდება.

დავბადებულვართ ვინც კი ტირილით,
ღიმილით ვკვდებით სიჭაბუკეში,
ჩამდგარი არი ორბის ყივილი,
ჩამქრალა სხივი თვალთა გუგებში.

და გვეთხოვება მძიმე ტკივილით
შთამომავლობა, ჩვენი ნუგეში...
და თან გადააქვს აწმყოს კივილი
საუკუნიდან საუკუნეში.

ასე ყოფილა დღე ცისმარადი,
გუთნიდედურშიც რეკდა ნაღარა...
ბევრმა გაცვითა ფარ-მუზარადი,
სისხლი და ოფლი მიწას აღვარა, —
მეც, ჩემს მამულში ყამირს ვბარავდი,
მეხატებოდა სივრცე ბაღნარად
და უცბად ისე გავჭაღარავდი,
რომ ჭირნახული არვინ მახარა.

წუთი რა არი ამ საწუთროში,
რა უნდა იყოს წუთისოფელი?!
მაგრამ, რადგანაც დღისით და ღამით
წამი წამწამთა არის მსწრობელი,
უნდა მზესავით გაანაწილო
აწმყო, დრო — სული მანათობელი,
რომ შეედავოს საუკუნეებს
შენგან განვლილი წუთისოფელი.

1956

ადგილის დედა

იქ, სადაც ჩემი ადგილის დედა
მამა-პაპათა კერაზე სახლობს, —
სტეფანწმინდაში, მყინვარის ახლო,
მომაგონდები შენ, ჩემო სახლო.

შენ, ჩემო სახლო, ღრუბლების მაღლა,
ჩემი ბავშვობის გსახავ ბაღნარად, —
დავხუჭავ თვალებს და მესმის ახლაც
დედის ნანა და მამის ნაღარა.

აი, მე ისევ ძველ სახლში ვწევარ,
თავზე მადგია შუქი მზიური
და მესმის აკვნის საამო რწევა
და იავნანა ტკბილმშობლიური.

ისევ თბილია კალთა დედისა,
თბილია კერა ნაპერწკლიანი
და მეზმანება აკვნის რწევაში
ცხენის ნალების შორი წკრიალი.

ვხედავ, რომ ძმები ცელავენ სათიბს
და მამაჩემიც ისევ მხნედ არი, —
დედის ნანაში სამშობლოსათვის
კიდევ იზრდება ერთი მხედარი.

მყინვარის ქიმზე ანათებს მთვარე,
ნამგალა მთვარე — თეთრი საყურე —
და მყინვარწვერიც დარიალის მთებს
პატარძალივით ზედ გადაჰყურებს.

ამ ხეობაში ჰყვაოდა მაშინ
ჩემი ბავშვობა სიმღერით სავსე
და მტკივა გული, რომ ორბის ფრთაში
სიმღერა იგი ვერ მოვათავსე.

ახლა სად არის ის სიყმაწვილე,
შენ რომ გებარა, ადგილის დედავ?!
დაუკეცნიათ ფრთები არწივებს
და ძველი სახლის ერდოზე სხედან.

გაჰქრა ზმანება. დავხურე კარი.
ძველი სახლიდან წასულა ყველა...
მხოლოდ ჭერხოში გრიალებს ქარი
და აკვანს არწევს ვით საქანელას.

აქ აღარ დადის მოხუცი მამა,
დედაც აკვანთან მხვდება აღარა,
აღარ გაისმის ტკბილმშობლიური
დედის ნანა და მამის ნაღარა.

დგას სიჩუმეში მყინვარის ახლო
ის ძველი სახლი ახლების ბედად
და ღადარივით კერაზე სახლობს
ჩემი ბავშვობის ადგილის დედა.

1956

უკანასკნელი დღე კეცხოველისა

ღამის წყვდიადში ზრიალებს
მეტეხის რკინის კარი.
ხან სანთლის შუქი იალებს,
ხანაც ტრიალებს ქარი,
მხოლოდ თბილისის მდინარე —
ნელად მოღელავს მტკვარი.

მტკვრის პირას ერთი ციხე დგას,
ერთი მწუხარე რამე —
საკანში შემოიხედავს
ვარსკვლავიანი ღამე
და რუხ მეტეხის ფერდიდან
დაეფარება ხრამებს.

თავზე დაჰბრუნავს კეცხოველს
მეტეხის ციხის გმინვა...
სულისკვეთება — ესოდენ
წარსული წლების წვიდან
ფანდურზე ამოკვნესოდა
რვა საუკუნის წინაც. —

ჰკლავდნენ და არა კვდებოდა,
იცვამდა გრილსა რკინას,
ხან გლეხის ქოხში წვებოდა,
ხან ველად ჰქონდა ბინა;
ღამე ვარსკვლავთან ქრებოდა,
მზესთან დგებოდა დილას.

მოღელავს მტკვარი ანკარა,
ცა — ვარსკვლავების კვარით;
წყალში ვარსკვლავი ჩამკვდარა,
დაწინწკლულია მტკვარი
და ისმის ვეფხვისდაგვარად
ღრიალი ნიაღვარის.

ასეთი იყო ის ღამე,
უკანასკნელი ღამე —
იმ ბნელ ღამეში აშარი
შემოჰყიოდა ხრამებს;
ციხეზე იჯდა ფრთაშავი,
აბრიალებდა თვალებს.

მტკვარზე განათდა ბორანი,
სხივი ჰფენია მზისა, —
აფრინდა შავი ყორანი,
გადაუარა ისანს
და დარჩა გაუგონარი
დუმილი სიკვდილისა!

არა და არა! დუმილშიც
ისმის ხმა ხანდისხანა;
ასევე მთის და ველისა
სამგლოვიარო ზარად —
ძახილი კეცხოველისა
შეაზრილებს ქალაქს...

აღარც მეტეხი მდუმარებს —
ტყვია, ვაჟკაცის მკვლელი!
ჩაქრა ძახილი მქუხარე,
დადუმდა მთა და ველი...
ქალაქს გაისმა მწუხარედ:
— მოჰკლესო კეცხოველი!

ლადო ციხეში კვდებოდა,
გულში ეკიდა ალი;
ცა ბინდდებოდა, ცხრებოდა,
ეხუჭებოდა თვალი...
და მკერდზე გადაჰფენოდა
ლენინის „ნაპერწკალი“.

1938

ბაზალეთის ტბა

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას

ქართვლის ძილშია გახვეული სამშობლო მთელი,
მთვარეც ჩასულა, ვარსკვლავები აღარა ბრწყინავს.
მხოლოდ მიწურვილ შანდლის თავზე ერთი სანთელი
თავსა ანარცხებს... წამოდგება და ისევ ბზინავს...
ძინავს დიდებულ ჭაღაროსანს ნათელის ძილით,
მგოსნის ბინაშიც დადუმებულ ჩონგურებს ძინავთ.

მას ესიზმრება: უეცარი მკრთალი ნათელი
როგორ მოადგა ფანჯრებიდან მგოსანის ბინას.

მოადგა შუქი — სიხარულის ცრემლი წამწამებს.
გაჩაღებული ბაზალეთის ზეცა ღვიოდა
და ტბადქცეული ივერიის ცრემლები მწარე
შამბნართა შორის გულდამწვარად ამოხვიოდა.
ხვიოდა ტალღა და ვარსკვლავებს ვეფხვების ბწკალებს
ღამის წყვდიადში ნაპერწკლები დაბლა სცვიოდათ;
გადახსნილიყო ბაზალეთის წალკოტი მწვანე, —
ოქროს აკვნიდან მზეჭაბუკი ამოდიოდა.

ამოდიოდა... და თან ცეცხლი ამოიყოლა,
იმ ცეცხლის ნათლით პრიალებდა ჭაბუკის ფარი.
ხელში ეჭირა ნაპერწკალი და ცაზე რგოლად
ცეცხლის ნაპერწკალს ავრცელებდა სასტიკი ქარი...
იყო სიზმარი — განახლების გრიგალის ქროლვა,
ქვეყნიერების გადარჩენის ენთო ცისკარი.
გამოეღვიძა, და გარშემო არა იყო რა —
თბილისის გულში მოშხუოდა მდინარე მტკვარი.

ინათებს ისევ ღვინისფერი თბილისის დილა,
ქუჩა წყნარია. თოვლზე მიჰქრის ერთი მარხილი.
ღასჭყივის ცხენებს მოგზაური იმ მარხილიდან
და ისმის ცხენთა თქარათქურის გამოძახილი.
მიჰფარდა იგიც... წინ ნამქერი ქარმა არია
და ახლა მინებს ეხეთქება, როგორც მახვილი...
„ნუთუ ოცნება მხოლოდ თოვლი და სიზმარია“, —
ფიქრობს მოყმეზე ნაღვლიანი და თავდახრილი.

უცებ... კედლიდან ივერიის ზარი წკრიალებს...
ქრება ბურანი. კიბეებზე ჯუღაშვილია,
ისმის მსუბუქი ნაბიჯები... კიბე ჭრიალებს...
უახლოვდება... და შეხვედრა უფრო ტკბილია.
ასეა ხოლმე, როცა ელი ნაპერწკლიანებს
ღილის მნათობებს, და მუხებიც მხარგაშლილია.
მოვიდა, ლაღი შემოაღებს ოთახის კარებს
და მზესთან ერთად წამოდგება ფეხზე ილია!

1989

გუდამაყარი

გადაუქროლა მაყრიონმა არაგვის ჭალებს,
მისწყდა სიმღერა, გზაზე მხოლოდ ნამქერი წივის...

და მაგონდება ამ ჭალების ქარბუქში მწარედ
გუდამაყარი... შემოდგომა... შენი ქორწილი...

ჩემო ლამაზო, ნეტავ ახლა მაინც სადა ხარ?
ვისი ერდოდან ამოაფრენ ამაყ არწივებს? —
ასი წლის შემდეგ დამიბრუნებს შენი დანახვა
ჩემი ბავშვობის სიყვარულსა და სიყმაწვილეს...

მე ისევ გსახავ გაზაფხულის პირიმზესავით,
არ მავიწყდება მაყრიონის ცხენთა ჭენება —
ზათქით, ზრიალით მოვარდება მთებიდან ზვავი
და ბურსაჭირის ვიწროებში ჩაიჭედება.

შენ კი სადა ხარ? შენზე ფიქრობს შენი მაყარი,
შენმა მაყარმაც შეიყვარა გუდამაყარი.

1955

ხევის პატარძალი

გინახავს ხევის პატარძალი განთიადისას? —
ისეთი იყო მზის ამოსვლა იმდღევანდელი,
ოქროს სხივებით გაანათა ლამაზმა დილამ
ცა მოწმენდილი, მყინვარწვერის მაღალი ყელი.

„ფარშევანგია?“ — კითხულობენ. ვპასუხობ — „არა!“
ეს მყინვარებში მზის სხივები იმტვრევა ახლა
და სპეტაკ თოვლის ქათიბიდან ყვავილთა ღვარად
ცისარტყელების შვიდი ფერი მიიწევს მაღლა.

დგება მყინვარი ცის და ქვეყნის შუა დაკიდულ,
მთების ცისკარი — დიდებული, ნათელი, მშვიდი.
და ეფინება მაღალ კლდეთა გერგეტის კიდურს
სილამაზის და სიყვარულის მშვენება დიდი.

და მღერის მთაში მზის ამოსვლას პოეტის გულიც,
იმ მყინვარწვერის ცისკარივით განათებული.

1955

მწყემსის სიმღერა

მთების ლერწამი არა ვარ,
არც ტალღა ალაზანისა —
ნწყემს ვიყავ ნაიალაღარ
ჯიღაურისა გვარისა.
მაშინ, მზე-მოსაწონებო,
მთას იქით გავიმღეროდი,
სადაც დავლეწენ, სწორებო,
ფანდურ და ლერწამ-ღეროი.
იალაღს მაინც ციოდა,
ბურსაჭირს — შენაფიცარი,
ხან ნისლი შემოსჩიოდა,
ხან კი დაჭრილი ციცარი.
მეც დაჭრილ ვიყავ ტიალად
(კლდეებს შეზუის ქარი—სად!)
გულს მესო,
გულსა ტყვიადა
სიყორულ ლეკის ქალისა.

მაგრამ რა არის ალმასი
მთები ღვია და დეკისა, —
ქალი არ მამცეს ლამაზი
სისხლი მემართა ლეკისა.
დამჭერ და თითქოს, ქალაო,
სისხლი აიღე უწყალომ...
ნისლო, მთას გადმომავალო,
შენ მაინც რამე უთხარო.
მომხედე, სადაც დეკემბრის
მთაზე ნამქერი ქანაობს,
სადაც კლდეა და ლეკები,
მთას იქითელო ქალაო.
მთას იქითელო ქალაო,
ვაჟკაცი მოვსდევ ლატანებს...
ფოსტა არ არი?
წერილი
არწივებს გამოატანე.

1982

შავი კლდე

თითქოს მთებიდან დაეშვა შვავი,
ბნელ უფსკრულებში ნისლი მიღელავს, —
კლდეზე გადიფრენს ფრინველი შავი
და ისმის მწყემსის ნელი სიმღერა:

„შავ კლდესა შავი ყორანი
ჩავა და ჩაექანება,
ჩავა და ლეშით გაძღება,
ამოსვლა დაეზარება“.

ნაცნობი არი სიმღერა იგი, —
ჩემს ბავშვობაში, დიდი ხნის წინათ
ასე ვიმღერდი მეც, კლდეზე მდგარი,
მწყემსი ბაბღია და პაწაწინა.
მას შემდეგ ოცი წელიწადია,
და სტრიქონებად სისხლიც მიღელავს...
და ჩემს ლექსებში ისევ მწადია
ისმოდეს მწყემსის ლაღი სიმღერა.

ახლა შავ კლდეზე დამდგარა ბავშვი,
ეს მე ვარ, მე ვარ მოხევე მწყემსი!
და იმ ყმაწვილის გრძელ სიმღერაში
ჩემი ბავშვობის ტკივილი მესმის.
მწყემსს არ აშინებს შავი კლდის ზღუდე
და ასხლეტილი ზვავის ხროტინი, —
იმის წინ გდია ყორანის ბუდე
და თვით ყორანი თავგახვრეტილი.
შტერად დამდგარა მხოლოდ შავი კლდე,
ბნელ უფსკრულებში ნისლი მიღელავს...
და არაგვს მისდევს დაბლა, ფშანისკენ,
ცხვრების ფარა და მწყემსის სიმღერა.
და მეც, ამ მთების სიმღერით სავსე,
შავ კლდეზე ვდგავარ მარტო ორბივით
და საქართველოს სამხედრო გზაზე
მლეთისკენ მიჰქრის ავტომობილი.

1960

რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა

როცა მეფდება ჩვეულებრივ ღამის ტაროსი
და ჩემს ბინაში ერთადერთი სანთელი ბზინავს,
მე ვიღებ ხელში რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“
გამარჯვებული შთაგონების გრიგალის ბინად.
გადავშლი ფურცლებს, ალვისაგან ქარი-ყორანი
ამოიჭრება, თან წაიღებს მგოსანის ბურანს...
წაიღებს ბურანს, სადაც ვეფხვი შეუპოვარი
თავის მძლავრ ტოტზე სიკვდილიჟამს დადუმებულა.
სანთელი კრთება, იღველფება და მოწანწკარებს
მკრთალი სხივები ჩემს ბინაში ყვავილთა ღვარად...
განთიადამდე მე ვუზივარ გრიგალის პწკარებს,
განთიადამდე ჩემს გულს მისი ღვარები ღარავს. —

შენ მოგერია სიკვდილი, თუ — მეფე რომელი?
დარჩი წყალსა და ცეცხლს განვლილი, დაუდგრომელი.

გაჰქრენ მეფენი... მხოლოდ ლექსი ისევ წკრიალებს,
ვისმენ ქაჯეთის ციხისა და ნესტანის ამბავს...
გადავშლი ფურცლებს — და უდაბნოს შამბნარიანებს
ველად გაჭრილი ტარიელის ცრემლები ნამავს.
ველად გაჭრილი ტარიელის მერანის ქროლვას
თანა სდევს ჩემი სიხარული... ოცნება ჩემი
მოივლის ველებს, ის ქაჯეთის ციხესთან მოვა
და მთების გულში გაჩნდებიან ქალაქის ბჭენი!
ქაჯეთის ციხეს თავს დაჰბრუნავს ღრუბელი შავი,
ჩაჟანგებული ირგვლივ სალი კლდე და ხევია —
და მაგონდება ის ვარძია და ის რუსთავი,
სად დათოვლილი ჩვენებური ჭიუხებია.

აი, ქაჯეთის გალავანი, სადაც მარადის
არის ზრიალი ბექთარების და მუზარადის.

ღამის წყვდიადში დგას ქაჯეთის ციხე შაველა,
შემართულია ჭიუხები ცამდე შუბებად, —
მოდის მთებიდან ახალგაზრდა ვაჟა-ფშაველა
და შვიდასი წლის შოთა რუსთველს ესაუბრება:
— ქაჯეთის ციხეს დიდხანს სწვავდა ცრემლი ნესტანის,
დიდხანს სტიროდა ნესტან-ქალი ლერწმის ღეროდან
და ნესტანივით ხახმატელი ხევსურის ტანიც
იმავ ქაჯების ტყვეობაში იტანჯებოდა.

იმასაც თავზე დაჰბრუნავდა ღრუბელი შავი,
მაგრამ მინდია არ ელოდა არავის შველას,
გადაწყდა: უნდა ჯაბანივით მოეკლა თავი
და ბოლოს მაინც... გადაიქცა „გველის მჭამელად“.

გაქრა ტყვეობა. აღარც ციხე, აღარც ბინდია,
ესაუბრება ლაღ ბუნებას ბრძენი მინდია.

თენდება, ქრება ჩვეულებრივ ღამის ტაროსი,
ჩემს ფანჯარაში შინდისფერი შემოდის დილა, —
დავხურავ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“
და საღამომდის წიგნის ყდაში გრიგალებს ძინავს.
ახდა ოცნება: დიდებული სხივები დილის
ჩემს სამშობლოში შემოსულა ყვავილის კონად
და ვხედავ ცაში გამარჯვებულ ავთანდილივით
დღისით და ღამით — ვხედავ მზისა ელვათა კრთომას!
დიდება იმას, ვინც ქაჯეთის ციხეს კარები
შემოალეწა და მშვიდობა მისცა ქვეყანას.
დიდება იმას, ვინც აანთო ცა ვარსკვლავებით
და რუსთაველი ტყვეობიდან გამოიყვანა.

1937

ჯიხვი

ჯერ არ ეძინა ახალ სოფლის მოსახლეობას,
იდგა ღამეში ელსადგური და იალაღი.
გავარდა თოფი. გადუარა კვამლმა ხეობას,
ასხლტა ჯოგს მაღალ იალაღზე ერთი ხარ-ლაღი.
ტყვიას გაექცა, გადუფრინა ტიალ ქარაფებს
და შედგა ქიმზე ქანდაკივით გარინდებული.
ხედავს: ხეობას ვარსკვლავების გუნდი ანათებს,
ცის ვარსკვლავებზე უფრო მნათი და დიდებული.
იალაღიდან სადგურამდე არ არის შორი,
შორს არის ზეცა და ზეცაში მხოლოდ ნისლია, —
რამ შეაბრუნა ნეტავ ზეცა! ღელეთა შორის
ჩამოვარდნილი ლაჟვარდები ცეცხლებს ისვრიან.
ლაჟვარდი ხევში! ცეცხლია თუ წყალთა ჩხრიალი,
ვეფხვის ნახტომებს ხაზავენო კავკასის მთები! —
არა! ეს ნისლში მიცურავენ რქაცეცხლიანი
ლაღი ირმები — ელნათურის თეთრი სვეტები.

და ვით ნიშანი ახალ სოფლის კოლექტივისა,
ვარსკვლავთა შორის, სოფლის გზაზე მიდის ურემი,
შედის სოფელში სურნელება ახალ თივისა
და ფერმის თავზე ციმციმებენ ელნათურები.
მსოლოდ ხანდისხან ღრუბლებიდან გამოანათებს
ბერი მყინვარი, დადუმებულ და დიდებული. —
და დიდხანს, დიდხანს გადასცქერის ჯიხვი ქარაფებს
მაღალ კლდის ქიმზე ქანდაკივით გარინდებული!

1950

ისევ ეძახიან გერმანიას

«მკვდრები ეძახიან ცოცხლებს" — ასე უწოდა თავისი ლექსების წიგნს 1848 წლის გერმანიის რევოლუციის პოეტმა და კომუნისტმა ფერდინანდ ფრეილიგრათმა.

„გერმანია, — წერს ფრეილიგრათი, — არის პრინცი ჰამლეტი, რომელსაც ღამის წყვდიადში ევლინება თავისუფლება და მის გუშაგებს ნიშანს აძლევს... მოდის ეს იარაღასხმული თავისუფლების აჩრდილი და მისი იმქვეყნიური ხმა ყრუდ გაისმის: „აიღე ხმალი! იძიე შური, საწამლავი ჩამასხეს ყურში!"

მაგრამ ხმალი უკვე ამოღებულია! ხმალი, რომელიც თითქოს დაჟანგებულიყო ჰაიგითის ქვის დახავსებასთან ერთად, რომლის ქვეშაც განისვენებს „სოციალიზმის პაპა" და „ახალი რეინის გაზეთის" რედაქტორი კარლ მარქსი.

ის რევოლუციური სული, რომელიც მოპქრის დაღუპულ ძმათა საფლავებიდან „ცივი ციმბირის მაღაროებიდან მოყოლებული ვიდრე ევროპამდე. ევროპიდან ვიდრე ამერიკასა და კალიფორნიამდე" და რომელიც მოუწოდებს გერმანიას, რომ მათ საფლავებზე კვლავ არ აღიმართოს სახრჩობელები თავისუფლებისა, — არის საუკეთესო გამოძახილი.

დაე. ამ გამოძახილის ნიშნად ჩემი ლექსიც იყოს გამოძახილი ფერდინანდ ფრეილიგრათის წიგნისა, რადგანაც მკვდრები ისევ ეძახიან ცოცხლებს, ისევ ეძახიან გერმანიას.

1

დაიგრიალა ქარიშხალმა და ჩადგა ისევ...
მხოლოდ რეინის ნიაგარა წყლების ნახველი
ხვივის... და ხმების ღრიანცელში თითქოს მოისმის
„კომუნისტური მანიფესტის" მქუხარე ხმები:

ახ, გერმანია! ნუღარა სტირ, კარგო ფლეიტა!
თავისუფლება აჩრდილივით დადის ქალაქად, —
თავისუფლება მოუწოდებს ბრძოლას რეინთან
დამარცხებული რესპუბლიკის მებრძოლ ბარაბანს!

შიში, შიმშილი, ბონაპარტის ყორნის ჩხავილი.
რეინის პირას, ახალგაზრდა რესპუბლიკაში,
ქარიშხალის დროს შემოიჭრა ქარიშხალივით
კაპიტალიზმის „ქარიშხალი ერთ ჭიქა წყალში".

მშვიდობით, მაღალ იდეების მქუხარე ბრძოლავ!
„ახალ რეინის გაზეთივით“ განდევნეს ლომი...
ემიგრაციის ტყვეობაში მან გაიყოლა,
ო, გაიყოლა ერთადერთი სიტყვა: „მშვიდობით!“

მშვიდობით, ჩემო ქალაქებო, ველებო, მთებო!
მშვიდობით, მაგრამ... ჯავრი მიმაქვს დამარცხებულ გზის.
ასწიეთ მკლავი! განუყრელო ამხანაგებო,
ლონდონში დადის ნაბიჯები ამხანაგ მარქსის.

მშვიდობით დაე, ამ ქარიშხალს ვუთხრათ მშვიდობა!
ჩვენ კვლავ გვეძახის ბრძოლისაკენ „მანიფესტის“ ხმა.
და შენაც, მაღალ იდეების მქუხარე ბრძოლავ,
მშვიდობით... ელის გერმანია ახალ ქარიშხალს.

2

შორს ჩრდილოეთში, დათოვლილი შრიალებს ნაძვი,
შრიალებს ნაძვი და ნაძვივით შენც დაბერდები.
„გზის სურათებით“ ერთხელ მაინც გაივლი მანძილს
და პოეტის შუბლს დაღვრემილი შეაჩერდები.

და გერმანია — (ეს ნიადაგ პრინცი ჰამლეტი —
„ყოფნა-არყოფნა“, — იჭვნეული ქრიან დღეები),
ვით მარადისი მზე ამოდის აღმოსავლეთით —
სულია შენი სიმღერები და იდეები.

ჰენრიხ ჰაინე, ვინც ფლეიტის ხმები შესცვალა
რევოლუციის ბარაბანის მქუხარე ხმებით —
მოუწოდებდა გერმანიის მძინარე ძალას
ბრძოლით, შეტევით, ქარიშხალით და ამბოხებით!..

აი, სიმღერა — და სიმღერა იყოს ალალი,
ვისაც ნიადაგ ნატყვიარი გულზე ატყვია. —
სიმღერა რაა, თუ მახვილზე მჭრელი არ არი,
თუ არა მალი, ვიდრე მალი ყირიმის ტყვია!

ბევრი სიმღერა არწივივით კლდეებზე წივის,
ბევრი სიმღერა იშმუშნება ხევში ლეშივით,
ბევრი სიმღერა, ისტორიის ტყვიით დაჭრილი,
ნიბელუნგივით სიკვდილს ებრძვის ნაპრალებშივე.

ასეა, როცა იჭვნეული ქრიან დღეები,
ქრიან დღეები და დაჭრილი ქარის ხმებია. —
ნაპრალებიდან სიმღერები და იდეები
ნაპრალებშივე უგზო-უკვლოდ იღუპებიან.

მხოლოდ ის ერთი, როგორც მაღალ მთების არწივი,
როგორც ხმალი და „მანიფესტის“ ყოველი პწკარი —
სამოქალაქო ომებიდან ველზე გაჭრილი,
ახალი დროის ქარიშხალის ნაპერწკალია.

რეინო ჩემო, ჭირხლი ფარავს სამხრეთის მთვარეს,
ჩრდილოეთშიაც ჭირხლიანი ქრიან დღეები.
მოვა დრო, ახალ ქარიშხალში შეხვალ მქუხარე
ისევ ბრძოლებით, სიმღერებით და იდეებით.

დაიგრიალა ქარიშხალმა და ჩადგა ისევ...
მხოლოდ რეინის ნიაგარა წყლების ნახველი
ხვივის... და ხმების ღრიანცელში თითქოს მოისმის
„კომუნისტური მანიფესტის“ მქუხარე ხმები!..

3

აი, ლონდონიც, სასახლეებს და მაღალ დოკებს
მდინარე ტემზა აბარბაცებს ზანტი ზრიალით,
სად მოქალაქის შუბლის ძარღვებს ვერ შეატოკებს,
ვერ შეატოკებს სიყვარული ადამიანის.

ყველგან შფოთვა და გულგრილობის მძაფრი პაროლი
დაუდგრომელი ორგიების ცეცხლის ენები.
ხმა მეღამურის, რეჯენ-სტრიტის ეტლები მქროლი...
ომნიბუსები, ხომალდები და ტრამვაები.

ტრიალებს დისკო, თითქოს მოსკდა მთიდან ქვიშანი,
თითქოს ირყევა გიგანტიურ დოკების ბჭენი. —
არ არის ირგვლივ ამ ხმაურში ერთი ნიშანიც,
ნიშანი — სოფლის სიახლოვეს რომ გიჩვენებდეს!

მხოლოდ ჩიხებით როს გაივლი „ყვავების ბუდეს“,
ფრეილიგრათივით, ამხანაგო, შენც დაღონდები, —
ხედავ ტალახში მშიერ-მწყურვალ მუშათა უბნებს
და დამხობილი რესპუბლიკა მოგაგონდების...

ახლა სადა ხარ? ალბათ გახსოვს ივლისის ღამე.
როცა ლონდონში ამზადებდი ახალ ქარიშხალს.
ქუხდა ქალაქი და ქალაქზე უფრო მქუხარე
შინაგან ცეცხლით გამოცვლილი ქუხდა შენი ხმა:

„ნახეთ! წარსული მოწმე იყო ორთქლის ზეიმის,
მან მოახდინა ტექნიკური რევოლუცია;
მაგრამ მაღალი ისტორიის სცენიდან „მისი
დიდებულება“ ვერ შეხვდება დღეებს გულცივად.

ის (როცა სადღაც ვიტრინაში, როგორც მოდელი,
წივის, ტრიალებს ელმავალი ბორბლის წკრიალით) —
ადგილს დაუთმობს უფრო მებრძოლს, რევოლუციონერს —
და ეს მებრძოლი ელექტრონის ნაპერწკალია“...

4

ახლა ის კაცი, როგორც მაღალ მთების არწივი,
როგორც ხმალი და „მანიფესტის“ ამბოხარი ხმა,
ჰაიგეითის ყორღანიდან ველზე გაჭრილი
ისევ ამზადებს გერმანიის ახალ ქარიშხალს.

ნახა ვიტრინა, სად პატარა ელმავალს მართავს
პატარა რკინის ლიანდაგი თავის გარშემო. —
ღამე კამათში გაათენა ორ მეგობართან
და ჩარჩა ის დღე მის ხსოვნაში სამარადჟამოდ.

ეჭვის ლაშქარი გააყოლა ივლისის ღამეს
(ივლისის ღამეს მომაგონებს სიტყვები მარქსის)
შეხედე კლდეებს, მდინარენი სადაც ოხრავენ...
სადაც გუგუნებს ვოლგა-დონი... მტკვარი... არაქსი...

სადაც მთა-ველებს საბჭოეთის ჰქვია სახელი,
სადაც გზებია, ენერგიის ხვავის დამტევი, —
შეხედე ველებს! გადახსნილან ელვის ნახველით
დნეპრომშენიდან ელექტრონის კილოვატები.

არის ტემპი და შეტევების შეხლა-გრიალი,
ლაღუმის ხმაში დამხობილა მთა კრისტალივით, —
ელექტრო იბრძვის, ვით ცოცხალი ადამიანი
და ელექტრონის გიგანტებში დგება სტალინი!

დე, კლასობრივი შეჯახების ქროდნენ დღეები —
კაპიტალიზმის იჭვნეული ქარის ხმებია.
„ყოფნა-არ ყოფნის“ სიმღერები და იდეები
ნაპრალებიდან ნაპრალებში იღუპებიან.

მხოლოდ — ის ერთი, როგორც მაღალ მთების არწივი,
როგორც ხმალი და „მანიფესტის“ ყოველი პწკარი —
სამოქალაქო ომებიდან ველზე გაჭრილი
ახალი დროის ქარიშხალის ნაპერწკალია!

ნაპერწკალია ქარიშხალის ტემზა, ნილოსიც...
რეინო ჩემო, ნიაგარა წყლების ნახველი
ხვივის... და ხმების ღრიანცელში ისევ მოისმის —
„კომუნისტური მანიფესტის“ მქუხარე ხმები!..

5

შენც, ჩემო ლექსო, გრიგალივით ნისლი გასჭერი,
გასჭერი მხარე ელექტრონის ბორბლის წკრიალით.
დე, ზრიალებდეს სიმბოლური ქალაქის ბჭენი,
ქალაქის შიგნით გადაიფრენს ორბი ბწკლიანი.

რისთვის ვიბრძოდით! დამარცხებულ ქარიშხალის დროს
„ახალ რეინის გაზეთივით“ განდევნეს ლომი?
კაპიტალიზმიც დაემხობა, დაემხო როგორც
ვანდომის სვეტის სიმაღლიდან ნაპოლეონი!

ახ, გერმანია! ნუღარა სტირ, კარგო ფლეიტა!
თავისუფლება აჩრდილივით დადის ქალაქად.
თავისუფლება მოუწოდებს ბრძოლას რეინთან
დამარცხებული რესპუბლიკის მებრძოლ ბარაბანს!

ხმა ბარაბანის ამ ღამეში ისე გაისმის,
თითქოს შხამივით ქარიშხალი მიწას გაეკრა, —
მსოფლიო იბრძვის და ბრძოლაში კაპიტალიზმის
ისევ პირველი დამხვრეტავი შენ იქნები, კარლ!

აჰა, დაჰბერა ქარიშხალმაც, ჩაქრა ვარსკვლავი,
ღამის წყვდიადის ნაპრალები ნაპრალებს ხრავენ...
— ჰიტლერ, ჩაძაღლდი! დგება ღამე უკანასკნელი,
უკანასკნელი რეაქციის ვალპურგის ღამე!..



ანდრო თევზაძე

ადამიანმა დაიპყრო ზეცა

სამშობლოს ესმის, სამშობლომ იცის
გზების გაგნება სივრცეში იმ ცის,
ზე გადმომდგარი რომ იყო გუშინ
ვარსკვლავებიან გუმბათად მიწის.

ახლა ოცნება სიმღერად იწვის,
ლექსიც მზისაკენ ოქროს ფრთას იწვდის,
კოსმოსში მიჰქრის პირველი მგზავრი,
შემსრულებელი სამშობლოს ფიცის.

ვაშა!.. გმირული კაცთა გონება
გულთ აღიტაცეს მილიონებმა,
სამყაროს გზებზე მშვიდობის ქროლვა
არარა ძალას არ ემონება!..

წინ სწრაფვა, დროთა არ დაყოვნება!
ვარსკვლავთა ხმების გვწადს გაგონება!
დედამიწაზე სხვა რამ ქონება
ამ სიდიადეს არ ეწონება!..

უკვდავო ლენინ, შენ დიდ გენიას
რაც გამარჯვება დაუდგენია,
ყველა აღსრულდა და ამ დიადი
დღის განთიადი მხოლოდ ჩვენია.

შენმა აზრებმა შეისხა ფრთები,
ადამიანმა ზეცა დაიპყრო,
რომ ვარსკვლავებთან არა ოცნებით,
არამედ მართლა ვიმუსაიფოთ.

რომ კვლავ ამაღლდეს შენი მიზნები,
ეფინოს შუქი ცას შენი დროშის,
რომ მიდიოდეს ხალხი იმ გზებით,
შენ რომ გასჭერი ბნელ სამყაროში.

დაე, ყოველი ასრულდეს ასე,
ჩემს დიდ სამშობლოს რაც დაუსახავს,
რომ ხალხთა გული, სიკეთით სავსე,
სწვდებოდეს, ქმნიდეს გმირობას ახალს!

1961

ს ა რ ფ შ ი

მე ამ მგზავრობით მეტად ვლაღობდი,
მანქანის უმალ სურვილი გარბის:
უკანასკნელი ერთი მაღლობიც
და... გაიშალა ჩვენს თვალწინ სარფი.

სურათი მცირე, ფერები მძაფრი,
მთის ორი კალთა, ხეობა ვიწრო:
ნუთუ ეს არის სოფელი სარფი,
რომელსაც მთელი მსოფლიო იცნობს?!

ერთგან ბილიკზე უმალ შევჩერდი,
გაკვირვებული სივრცეს გავცქერი:
ხევს იქით მოჩანს თეთრი მეჩეთი
და ბოძთან მდგარი შავი ასკერი.

კვამლიც არ იძვრის არსად ქოხებში,
იქ არც სიმწვანე გამოკრთის ხეთა
და ამ პატარა ლაზურ სოფელში
ორად გაყოფილ სამყაროს ვხედავ.

ერთია ბნელი, სიცოცხლის მკვლელი,
ჩაღამებული მოჩანს აჩრდილად,
გამოღმა ხეზე რადიო მღერის,
ელექტროშუქით ღამე დაჭრილა.

იქ მინარეთზე გაღმუის მოლა,
აქ სკოლის ზარი უხმობს ყმაწვილებს,
იქ ბევრი ნაღვლობს შვილების ყოლას
და მათ თვალთაგან ცრემლი აწვიმებს.

აქ ისევ ისმის ქართული ნანა,
შრომის ფერხულში ჩაბმულა ყველა,
როგორც ეს მთები, ლაზებიც დგანან
თავისუფლების, სამშობლოს მცველად.

აქ სხვადასხვაა სუნთქვა მთებისა,
აქ სხვადასხვაა დღეს გაზაფხული,
აქ — დასასრული მათი ქვეყნისა
და დასაწყისი ჩემი მამულის!

1958

ლიხის მთიდან

ლიხის მთიდან როცა დასცქერ
შორს, შავ ზღვამდე გაშლილ ბაღებს,
საქართველოს სიყვარული
თვით ზეცამდე აგამაღლებს.
აინთება შუქი ველთა,
მთათა რიგი აზავთდება;
ხე ჰყრის ყვავილს, თუ მართლა თოვს,
გულში მაინც არ ზამთრდება.
ვხედავ ნათელ კავკასიონს —
საქართველოს ფხიზელ გუშაგს;
ვით აკაკი თმაჭაღარა,
გადმომდგარა თეთრი უშბა.
ნაქერალას მთაგრეხილი
მკერდზე ნისლებდაფენილი
და გელათის მონასტერი —
ოითქოს გედი გაფრენილი;
ალვის ხეთა თეთრი რიგი
შემართული ცაში ხმლებად,
ფასის მთიდან გადმოვარდნილ
ტალღის კლდეზე დაჯახება;
ხანისწყალის კალმახები,
ტანზე ვარსკვლავ ასხმულები,
წყაროები, ჩანჩქერები,
კლდეებს გადანასკვულები;
ჭიათურის შავი ოქრო
და რიონის ელვის ძალა
იმერეთის ფართო ცაზე
ნათელ შუქად გაიშალა.
ღუმელებში თუჯი დნება,
ფოლადდება, ცეცხლად ღვივის;
ხევში მიჰქრის ელმავალი
ტოლს მონატრულ ირემივით.
წყალტუბო და ქუთაისო
ჩემო ტკბილო იმერეთო,
მინდა ლიქსის ჩუქურთმები
შენს მშვენებას შევუერთო.
მინდა მკერდში ჩაგეხვიო,
თეთრ ნისლივით ფრთა გავშალო,
დაგილოცო ტკბილი კერა,
ჩემო ხალხო, გულმართალო.
ვნახო თქვენი შემოდგომა,
ღარზე მაჭრის წყაროები,
სიმინდების ამხედრება,
ხანჯლებივით ტაროები.
ჭადრის ჩრდილში სუფრა გვიცდის,
ვილხინოთ და გავიხაროთ,
ერთად ვიყოთ, ერთმანეთის
სიყვარულში დავიღალოთ.
ცას ვაწვდინოთ სიმღერის ხმა,
შორს რომ მტერი შიშით ძრწოდეს;
სიცოცხლეს და სიძლიერეს
ჩვენ სამშობლო მოგვიწოდებს.
ყველა კაცი ჭიშკარს გიღებს,
როს აივლი ვიწრო შუკებს,
ბაღჩიდანაც ლერწამტანა
თვალთა ელვას მოგაშუქებს.
მოგაგებებს ბროლის ღიმილს,
როგორც სატრფო დანიშნული,
ბაგე-ვარდი, თვალ-ლაჟვარდი,
დალალებით დანისლული.
დასტრიალებს სუფრას ისე,
თითქოს ესხას მერცხლის ფრთები,
ჭინჭილას რომ ღვინით გივსებს,
მარტო ცქერით დაითვრები.
ვინ დააშრობს ამდენ თასებს? —
თვალი სვამს და გული ტკბება;
ბრძოლაც ვიცით, შრომაც ვიცით,
და არც ლხინი გვავიწყდება.
ლიხის მთიდან როცა დასცქერ
შორს, შავ ზღვამდე გაშლილ ბაღებს,
საქართველოს სიყვარული
თვით ზეცამდე აგამაღლებს!

1949



გიორგი კალანდაძე

თერგდალეული

„თერგის ხიდი ისე გადმოვიარე, რომ არამცთუ მისი წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია: მეშინოდა, რომ თერგდალეულობა არ დამწამონ-მეთქი“.

ილია ჭავჭავაძე

თუმცა სიმართლის შენ დარგე ნერგი,
ვერ გერწმუნები ერთში გენიოსს:
შენ გადმოგევლოს მგრგვინავი თერგი
და თერგის წყალი არ დაგელიოს.

მითხარ, მაშ მისი ამბოხი სული,
ლაგამის გლეჯა და ხმა მქუხარი,
განახლებისას ვით შერთე სურვილს
და შენს ქვეყანას როგორ უთხარი?!

ან ვით მოგრიხე და მოიყოლე
ორბელიანის კალმით ქებული,
ვით ჩაუყენე ძარღვში სტრიქონებს
ვეფხვი, დარიალს დაჯახებული, —

რომ ხალხში გასულს ხალხის იმედად
გეთხზა ჰიმნები გულს დანერგული,
გემცნო დაცემა ძველთა მღვიმეთა
და ამბოხება გემცნო თერგული.

შემდეგ ხუმრობით გეთქვა უარი,
როს საყვედურით ძველმა აგავსო:
თერგის ხიდს ისე გადმოუარე,
რომ თერგის გემოც არ მინახავსო.

მე ამ სიმართლეს ვერ დაგიჯერებ,
ვერ გერწმუნები ბრძენს და გენიოსს:
გადმოსცდენოდე თერგის კიდეებს
და თერგის წყალი არ დაგელიოს.

1987

შადრევანი პუშკინის ბაღში

ბაღს აუხილა მებაღემ თვალი,
აჭყვა შხუილი ნიავის ნათქვამს,
აუზის შუა ავარდა წყალი
და მარმარილოს ხესავით დადგა.

აუზის შუა ავარდა წყალი,
იმსხვრევა, შხუის შხეფების მტვერი,
ონკანში დუმდა ტუსაღი მცხრალი,
გახსნეს, — იქუხა, იცვალა ფერი.

და შრიალია! ჩიტებმა შურით
შხეფების ჩურჩულს დაუგდეს ყური.

დგანან ჭადრები და ჭადრებს იქით,
სადაც მავთული გაუბამთ ეკლის,
ზვიადი მზერით, ამაყი ფიქრით
გასცქერის ქალაქს პოეტის ძეგლი.

დგანან ჭადრები, ნანამი თქორით,
პუშკინის ძეგლი ჩვენს ქუჩებს ზვერავს,
დგანან ჭადრები და ჭადრებს შორის
ხე — მარმარილო იტაცებს მზერას.

შემოტრიალდი, ქუჩებს რომ ზვერავ,
ერთი, ამ ხესაც მიაპყარ მზერა!

ბახჩისარაის შადრევნის სურნელს
შენ ეზიარე მთვარიან ღამით,
წყლის გაგიჟება გიყვარდა, თურმე,
და სასახლენი გირეი ხანის.

აქ არც გირეის სასახლენია,
არც მუჰამედის ნახევარმთვარე,
ეს შადრევანი აქაც შენია,
შენგან ნაქები შეგხარის მხარე.

უცებ რომ ქარი გაჩნდეს ამ ხეზე,
ალმასის შხეფებს დაგაყრის მხრებზე.

აუზის შუა იმსხვრევა წყალი,
აბოლდა ბაღში შხეფების მტვერი,
ონკანში დუმდა ტუსაღი მცხრალი,
გახსნეს, — იქუხა, იცვალა ფერი.

გულს გარინდება მოკლავს თუ მოკლავს,
ლექსს მოედება დუმილის ხავსი,
ნუ გადაკეტავ, მებაღევ, ონკანს,
პოეტს შადრევნის შხეფები ასვი.

პოეტს შადრევნის შხეფები ასვი,
მისი ლექსები შხეფების მსგავსი.

1987

დე, დაილოცოს!

მე თვალუწვდენი ცისქვეშეთი შემოვიარე,
ვნახე ქვეყნები უთვალავი ნაირ-ნაირი,
სულ სხვაა ჩემი მშობლიური ბაღის შრიალი,
სულ სხვაა სუნთქვა ჩემი ქვეყნის სუფთა ჰაერით.

სადაც ბუნების იდუმალმა მადლმა დაგვბადა,
გულში იმ კუთხის სიყვარული ფეთქავს, ღვივდება.
დე, დაილოცოს ჩემი სოფლის სუფთა ჟანგბადი,
შეისუნთქავ და, ვგრძნობ, სიცოცხლე მიხანგრძლივდება.

ნუ ფიქრობ, თითქოს აქ რაიმე სასწაულია,
ამას გრძნობს გული უფრო მძაფრად და უნებურად, —
თუ კაცს შორეულ და ძნელსავალ გზებზე უვლია
და მერე გვიან შინ მშვიდობით დაბრუნებულა.

1959

საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში

ბინდმა მოაბნია სარკმლებზე იები,
დარბაზში ახლა სრული სიწყნარეა.
დუმან მკითხველები — რუხი მუმიები
და მთელი დარბაზი მაინც მღელვარეა.

შრიალებს შთაგონება — ვერხვი ზღვის კიდეზე, —
სარკმლიდან საღამო ხელს მიქნევს ბავშვივით,
მწკრივად ჩალაგებულ მომცრო მაგიდებზე
მსოფლიო ფიქრი და გზნებაა გაშლილი.

უგრძნობ მდუმარებას — ჩვენი ანათემა! —
აქ ნათელ გონების ალამი ფრიალებს:
მღელვარე დუმილში არის განათება —
აზრის და ოცნების ღელავს ოკეანე...

... კოლოფონს მოვიდა მუზების მსახური,
ბრმა ვინმე მოხუცი, ლირაზე დამკვრელი, —
განათდა ელადა შუქით არნახულით,
მუზების დარბაზის გაიხსნა სარკმლები.

ბრწყინავს ფირდოუსი, ბრწყინავს რუსთაველი,
დანტე და შექსპირი, ტოლსტოი, თაგორე!..
ელავს მშობლიური ყანა და მთა-ველი,
ფშავი მხარს უსწორებს მსოფლიო მთა-გორებს.

დგას ხე ზეთისხილის და წვეთავს მირონი,
ფაუსტს წინ მოუძღვის მოხუცი გოეთე,
დარდანელს გასცურავს ლორდი ბაირონი,
პუშკინი ხელს უწვდის მომავლის პოეტებს.

გადიფრენს არწივი, ლაჟვარდის მფლობელი,
გემბანზე დგებიან ნაცნობი ლანდები:
ეს არტურ რემბოა, ის — გუსტავ ფლობერი...
და მიტორტმანებენ მთვრალი ხომალდები.

თითქოსდა, უეცრად, სიზმრიდან ერკვევი,
თითქოს ყველაფერი ახლად დაიბადა,
ტალღებს მოაპობენ ზღვის ტაძრის კერპები:
ულისი,
    კოლუმბი,
        დე გამა,
            სინდბადი.

ზღვა ღელავს, აღმუვლდა ზღვის მგელი ლარსენი,
ზღვის ღმერთს — პოსეიდონს — ასტკივდა მუცელი,
ჩრდილოეთს გასცქერის ფრიტიოფ ნანსენი,
ამინდს ელოდება როალდ ამუნდსენი.

ნისლში იძირება ნანგრევი ნინევის,
აზრი ჭეშმარიტი მრუდი გზით არ ივლის,
ჭოგრიტით სამყაროს ზვერავს გალილეი,
კოსმოსში შეიჭრა გემი გაგარინის...

შრიალებს შთაგონება — ვერხვი ზღვის კიდეზე, —
სარკმლიდან საღამო ხელს მიქნევს ბავშვივით,
მწკრივად ჩალაგებულ მომცრო მაგიდებზე
მსოფლიო ფიქრი და გზნებაა გაშლილი.

1965

სამუელ მოძღვრიშვილი

ო, ისრაელო!

რომის მონობას
შეალეწე გულის ფიცარი,
თხილის გულივით
უცხო ტომთა დაგინაწილეს.
როცა ეგონათ,
გადაგეწვა ბედის ცისკარი,
ხელში სანთლებით
ეძახოდი შენს სიყმაწვილეს.

ო, ისრაელო,
იეღოვას ნორჩო ყვავილო,
ორი ათას წლის
შემდეგ ცხადად მკვდრეთით აღმდგარო,
შენი დაჭკნობა
გულმა ისე როგორ გაივლოს,
ნამუსის ცეცხლმა
სიხალისე რომ არ წამგვაროს.

ომის ქარცეცხლში
ტრიალებენ შენი შვილები,
ომის ხანძარმა
პალესტინის ზეცა შებურა.

ო, ისრაელო!
ვით გრიგალით ღრუბლის ფთილები,
ებრაელები
არ დაფანტო კვლავინდებურად.

თვალისჩინივით
გაუფრთხილდი ძმობას არაბთა,
ეს ამჯობინე
მკვდარ ზღვასა და დამწვარ უდაბნოს,
ო, ისრაელო!
ბედისწერის დგახარ ქარაფთან.
თავად არ დარჩე
დამსხვრეული,
მწირი, უდაფნო.

ნუ ესწრაფები
აღზევებას სხვათა დამხობით.
რად გინდა ცეცხლი
ნდობის მტერი და შემმუსრავი?
არა ბომბებით,
მეზობლებთან ბრძნული თანხმობით
უძველეს წყლულებს
მოუშუშებ იერუსალიმს.

ო, ისრაელო!
შეგავედრებ ჯვარის მონასტერს,
ცეცხლის ენები
არ შეეხოს რუსთველის სურათს,
რომ საქართველოს
ცხარე ცრემლი თვალთ არ მოასკდეს.
მყინვარის ეშხი
გეფრქვეოდეს მარადის ძმურად.

ო, ისრაელო!
ომს გრძნობები აუმღვრევია,
მრისხანე ხმები
პალესტინის ცაზე გროვდება.
არ გავერანდე
და, ვით ძველად იერემიას,
მეც არ აღმომხდეს
უცაბედად მწარე გოდება.

1967

შენს გულთან ახლოს...

მადლობელი ვარ, ქართველო ხალხო,
ვარ მადლობელი, ხალხო ქართველო,
შენს გულთან ახლოს, შენს სულთან ახლოს,
მჯერა გრიგალმაც კი ვერ გამთელოს.
სავსე ვარ შენი ენით და სიბრძნით,
მიწით და ეშხით, მზით და მდელოთი.
მე სიმღერისთვის დღედაღამ ვიბრძვი,
თვალგაცისკრული საქართველოთი.
შენი ლაჟვარდი თავზე მახურავს
და მაფოფინებს შენი ტყე-ველი,
ქართველო ხალხო, შენდა მსახურად
მზად ვარ დავიწვა, ვით საკმეველი.
შენ შემიფარე, ვით მწყემსმა კრავი,
რომელიც ღამემ მოსხლიტა დედას,
მე შენთან მშვიდად ვიგრძენი თავი
და ავიტანე სიონზე სევდა.

მე პალესტინას ვინახავ გულში
და შევტრფი დიად რუსთველის სურათს.
სულს ამღერებულს არარა უშლის
ლხენით დაცალოს სიცოცხლის სურა.
მზის ქვეშ დაემხო ბნელეთის ტახტი,
დარჩა, რიონი, დარჩა არაგვი,
ჩემო მფარველო, მე განა წავხდი,
რომ მივივიწყო შენი ამაგი?
მე შენს მიწაში დავმარხე მამა,
ახლა ძვლებია, ალბათ, მარტოდენ.
ეგების ავმა დამქროლოს ჟამმა,
მე მამის საფლავს განა დავტოვებ?
მადლობელი ვარ, ქართველო ხალხო,
ვარ მადლობელი, ხალხო ქართველო.
შენს გულთან ახლოს, შენს სულთან ახლოს,
მჯერა გრიგალმაც კი ვერ გამთელოს.

1905

ფუტკარი

მზე აყვავებულ ცაცხვებს დახარის,
სულს სურნელება საამოდ ნამავს.
ფუტკარი, როგორც აფთიაქარი,
ყვავილებისგან მიმზადებს წამალს.

მე ფუტკრის ზუზუნს გულს ვუთმობ ბინად,
სული ჰანგების შუქით გამთბარა.
ჩემს და მზეს შორის ფუტკარი ფრინავს,
როგორც სიცოცხლის ელჩი პატარა.

1906

* * *

ღირდა თუ არა ამქვეყნად მოსვლა?
ღირდა?
არ ღირდა?
მითხარი:
— ღირდა!
რადგან მე შენზე ოცნება მმოსავს
და უსასრულო სიმღერა მინდა.
ქვეყნად გაჩენა მართლაც რომ ღირდა,
მკერდს ვაგებებდი მოხეთქილ ქარებს.

მე სამშობლოზე ოცნება მღლიდა
და მზე მიღებდა ლაჟვარდის კარებს.
ამქვეყნად მოსვლა ღირდა თუ არა?
ღირდა?
არ ღირდა?
მითხარი:
— ღირდა!
კავკასს გრიგალმა გადაუარა
და ლექსი მინდა ცასავით წმინდა.

1946



სევერიან ისიანი

ნახვამდის!

მჯერა მამულის მზე არ გამრიყავს,
გულში სათუთად რომ ვინახავდი.
დედის ჭაღარავ, ჩემო მარიკა,
ნახვამდის!..

ცაში ცეცხლია ლაჟვარდის ნაცვლად
და ყუმბარებით მთები იძვრიან.
ო, არა, კალმის და წიგნის კაცად
მე დღეს დარჩენა არ შემიძლია.

ჩემი აკვანი აქ გადაირწა,
მუხების ჩრდილში სტრიქონს ვჩარხავდი.
ჩემი თამაზის საფლავის მიწავ,
ნახვამდის!..

გფიცავ, შავ სიკვდილს თვალში ჩავხედავ,
საზიზღარ მეტრზე ხიშტშემართული,
მე ასე მზრდიდა სამშობლო — დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული.

მე თქვენს სიმწვანეს, მშობელო მთებო,
შემეძლოს, — მკერდში დავიმარხავდი,
ჩემო ჭაღარა გოლიათებო,
ნახვამდის!

თუ მტერმა დამცეს ხმალგაბასრულმა,
დარდს ნუ მოიხვევთ ღრუბლის გუნდებად.
რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...

არა, სამშობლო მზე არ გამრიყავს
გულში სათუთად რომ ვინახავდი.
დედის ჭაღარავ, ჩემო მარიკა,
ნახვამდის!..

1942

გაანადგურე

სისხლით და ოფლით მთები დავძარით,
ქვეყნად ჩაგრულებს შვება ვარგუნეთ,
მტერმა დაანთო ომის ხანძარი, —
გაანადგურე!

გახედე, როგორ იწვის ტყე-ველი,
ლაჟვარდი ზეცა კვამლით დაბურეს.
აყვავებული ქვეყნის მნგრეველი, —
გაანადგურე!

ბევრი სისხლია ჩაბნელებული,
სისხლი ჩამოსწვეთს დამსკდარ აგურებს.
ხმალამართული ყაჩაღის გული, —
გაანადგურე!

თუ არ შემუსრე მტერი — მტარვალი,
ქვეყნად წყვდიადი დაისადგურებს.
გაანადგურე ქვეწარმავალი, —
გაანადგურე!..

1942, მოქმედი არმია.

ჩემს ლურჯას

გადარუჯული ცეცხლით ველები
და მწვანე მთების მხარგაშლილობა...
შენ დამცქეროდი გულგახელებით,
თითქოს გტკიოდა ჩემი ჭრილობა.
ქაფიან ნაპირს მოადგა ნავი
და ჩვენ დავშორდით ერთმანეთს მალე,
შენი ჭიხვინი გულშემზარავი
მომაგონდება და მაჟრიალებს.
მე განშორებას ბევრს მოვესწარი, —
ასე წავიდა ჩემი ცხოვრება,
მაგრამ ისეთი ძნელი და მწარე
მაინც არ მახსოვს მე განშორება.
ეს მეგობრობა რას შევადარო, —
საყვარელ მიწას ერთად ვიცავდით.
ჩემო ლურჯაო, ცეცხლში ნატარო,
ხსოვნას შერჩები კუბოს ფიცრამდი.

შენი მხედარი ისე მხნედ არი,
შენთან იყო და შენთან დარჩება.
ბრძოლები გველის უფრო მედგარი
მშობელი ქვეყნის გადასარჩენად.
ბავშვების მკვლელებს მივსდევდით მაშინ,
ზეცა რომ იქცა ცეცხლის ენებად.
აქ, ჰოსპიტალის მყუდროებაში,
მე არასოდეს მომესვენება.
ფანჯრებს შორდება მზე ჩამავალი,
შორი ღრუბლების ზღვაში ვარდება.
ვფიცავ, არ მინდა მე სხვა წამალი, —
მომარჩენს ერთი განავარდება.
ჩვენ კვლავ შევხვდებით ერთმანეთს მალე,
ტყვიის წვიმაში გამოვლილები.
კვლავ დაგიკოცნი ჭკვიანურ თვალებს
და დუშმანს რისხვად მოვევლინებით!

1939

შაქრო სამადაშვილი

ნატვრა

ვნატრობ: ომნახულ ქვეყნებს, მეომრებს,
რაც განუცდიათ, არ განმეორდეს.
მშრომელი — აი, რა ვარ და ვინ ვარ,
ცხოვრების ბურჯი ვიყავ ყოველ დროს,
ჩემი სურვილი გავრცელდეს გრგვინვად,
წავიდეს, კიდით კიდეს მოედოს.
ხალხის სანუკვარ ფიქრებს ვხმიანობ,
ომის მსურველებს კვლავაც შერისხვა.
ყოვლისმძლეველო ადამიანო,
გვიხსენ საზარელ განსაცდელისგან!

1948

მამულიშვილს

თვალები — ბნელის ამომწველი, ამომშანთავი,
გული — კეთილი, მოყვარული, ალალ-მართალი,
ხმა, ვით გალობა — იმედის და ძალის მომცემი,
შენი სიცოცხლე — ჩემი რწმენა და სალოცველი —
ქვეყნის სიკეთედ, ჩემდა ლხენად თუ დასახულან,
მზადა ვარ, მზადა, გედგე მცველად, გედგე მსახურად!..
ო, მიმსახურე, მიმსახურე, მიყავ წყალობა!

1958

***

რით, როგორ, როდის მოვკვდები,
არ ვიცი... არც მსურს, ვიცოდე;
კვლავ მხნედ ვარ, განა მოვბერდი!
კიდევაც მინდა სიცოცხლე!

სხვებისთვის კარგი მეც მინდა,
არა, ღალატი არ ვიცი.
შენს ზრდას, ხალხის ზრდას, ქვეყნის ზრდას —
მე ჩემს ზრდასავით განვიცდი.

დამეჯახება სიკვდილი,
გამიტანს, როგორც ენგური...
როდის? არ ვიცი — ის ვიცი —
მოვკვდები ქვეყნის ერთგული!

1964

ცხრა მაისი

მებრძოლი მეგობრის ხსოვნას

ჩემში ხარ, სულში ცოცხლად დარჩები,
რა ადრე გერგო მარადი ძალი!
მახსოვს იყავი: ტკბილი, დამჯერი,
კეთილი, სათნო, ალალი, ზრდილი...
ნეტავ გეხარა ამ გამარჯვებით,
რაშიც, ძვირფასო, შენცა გაქვს წილი!

1945

გრიგოლ აბაშიძე

ოქროს ვენახი

უქრობი შუქით შემოსილს გხედავ,
შენი მზის ჩასვლა ნუმც დამენახოს,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო.

მზეც მიყვარს,
ჩრდილიც ამ მთა-გორების,
მდინარეების ჩქარი დინებაც,
ჩემი სიმღერის და შთაგონების
შენ ხარ ფესვიც და დაგვირგვინებაც.

შენ ჩემთვის მზე ხარ ამომავალი,
სულის სიმაღლევ, გულის ნათელო,
არის ლამაზი მხარე მრავალი,
მაგრამ არ არის სხვა საქართველო.

და როცა კრძალვით შენს ქებას ვბედავ,
გულის ძაფებს მსურს, ხელი შევახო,
ჩემი ოცნების სატრფოვ და დედავ,
ჩემი ცხოვრების ოქროს ვენახო!

1905

გაზაფხული

ხე მწვანეს იცვამს, კვირტები ღვივის,
გაზაფხულს ბევრი საქმე ჰქონია!
თეთრ ყვავილს ჰფანტავს ხეების მწკრივი
და გეგონება — მტკვარზე თქორია.

ფერი მოსვლიათ უკვე ჯეჯილთაც,
თითქოს ბუნება მართლა ბავშვია —
შეხედე, როგორ შრომობს ბეჯითად,
როგორ ფუსფუსებს, რა ამბავშია!

დათბა და ლაჟვარდს გააქვს კაშკაში,
ცაზე გაუბამთ მერცხლებს პწკარები,
ასე მგონია, ამ გარდაქმნაში
მზეს და გაზაფხულს მეც ვეხმარები.

ჩავცქერი მიწას, ვუსმენ ბალახებს
და არაფერი მეუცხოება, —
ჩვენც ხომ ვაშენებთ, ჩვენც ხომ ვანახლებთ,
გაზაფხულია ჩვენი ცხოვრებაც.

რტოებზე კვირტი იღვიძებს თვლემით,
უთვალავ აკვანს არწევს ბუნება...
რად მინდა თავი, ცხოვრება ჩემი
თუ ამ ფერხულში არ მეგულება.

1954

ლენინი სამგორში

დღემდის ხსოვნაში მაქვს ჩარჩენილი:
ქვისგან ნაკვეთი ნაცნობი სახე,
მაშინ პირველად ვნახე ლენინი,
მაშინ თბილისიც პირველად ვნახე.
პირველად ვნახე სინათლით სავსე
ჩემი სამშობლოს გული ნამდვილი,
იდგა ლენინი კაშხალის თავზე
და გაჰყურებდა მტკვარს ხელგაწვდილი.
ზაჰესის შუქი ცად აფრენილი,
ეწერებოდა ჩემს გულის ფიცარს:
სინათლე ჩემთვის გახდა ლენინი
და თვით ლენინი სინათლედ იქცა.
იმ დღიდან შუქის გამომსახველად,
ბავშვის ოცნებას, როგორც აჩრდილი,
ყველგან თან გაჰყვა, ვით ცისარტყელა,
ლენინის ხელი მტკვარზე გაწვდილი.
და ყველგან, სადაც ძლიერი დენით
სინათლემ თავზე გადამიარა,
ხრამზეც, რიონზეც ვხედავდი ლენინს —
სინათლეს ქცეულს ადამიანად.

დღესაც, სამგორის დათხრილი მიწის
როცა ცოცხლდება გოჯი ყოველი,
წინ ისევ მისი აჩრდილი მიძღვის,
ვით ჩირაღდანი გაუქრობელი.
ვგრძნობ ოცნების ფრთებს ჩუმად რომ მასხამს,
მდინარის პირს რომ გადამატარებს;
იორზე ვხედავ უთვალავ კაშხალს,
წისქვილებივით პატარ-პატარებს.
ოცნებით ვხედავ: უდაბნო ველი
როგორ შეჰხარის თვალის ახელას,
მტკვარზე გაწვდილი ლენინის ხელი
იორზეც მოჩანს, ვით ცისარტყელა.
მას აქაც ვხედავ, დგას ამართული,
მის ფეხქვეშ ტყდება ივრის ფაფარი,
ტალღას ძლიერი ტალღა გადუვლის
და კაშკაშს იწყებს ირგვლივ მთა-ბარი.
და თრთოლვით მისდევს მავთულებს დენი,
ბნელი რომ შუქით გაამზიანა...
ოცნებით ვხედავ იორზეც ლენინს —
სინათლეს, ქცეულს ადამიანად.

1960

სანაპიროზე სამი ფანჯარა

სანაპიროზე სამი ფანჯარა,
სანაპიროზე ჰყვავის ბაღები...
კიბესთან მხვდება ორი პატარა
კისკისით ჩემი კარის გამღები.

მე კართან ვტოვებ მტვერსა და ტალახს
და როცა ვრჩები მარტო მათ ახლოს,
მგონია, წუთით ვშორდები ქალაქს
და სადღაც მყუდრო კუნძულზე ვსახლობ.

მგონია, ზრუნვა წუთით მშორდება,
ლაჟვარდში ვსხედვართ შეყუჟულები
და მათ პირველქმნილ უბიწოებას
მეც ჩიტის ენით ვეჟღურტულები.

თავს დამავიწყებს მათი მიყოლა,
ჯოხსაც ვაჭენებ, ბურთსაც გავიტან
და მეც ცხოვრებას ამ თითისტოლა
რობინზონებთან ვიწყებ თავიდან.

მეც მათებრ მესმის ხმათა და ფერთა,
მეც თამაშად ვთვლი ცხოვრების უღელს
და მათ ბედნიერ ყრმობასთან ერთად
მე ჩემს აუმხდარ სიზმრებსაც ვუმღერ.

მათსავით მართობს სახლი პატარა,
მათი პატარა ბაირაღები...
სანაპიროზე სამი ფანჯარა,
სანაპიროზე ჰყვავის ბაღები...

1954

ყვავილი სანაპიროსი

შენს ნაბიჯს ვუსმენ სულგანაბული —
ყვავილებს შორის მოდის მთის წყარო...
შენ ფეხადგმული ხარ გაზაფხული,
გაუქრობელო ჩემო ცისკარო!
მზესაც შეხედავს ღვარძლი უღირსად,
ჩრდილს მოუძებნის კაშკაშა მნათობს...
ნათელი ჩემი სიყვარულისა
შენს ირგვლივ ყველა ჩრდილის კვალს აქრობს.

ხედავ? შურსაც სურს შენს შუქს უცქიროს,
მიტომ ედევს შენთან გავლის მნატვრელი
და ჩემი სულის სიღრმე უძირო
შენდამი ტრფობით არის ნათელი.
მოდიხარ, თითქმის ღამეში, გვიან
ყვავილებს შორის მოდის მთის წყარო,
შენ სანაპიროს ყვავილი გქვია,
გაუქრობელო ჩემო ცისკარო!

1954

შვიდასი წელი

კოხტისთავის შეთქმულებს

მე ჯერ ქაოსი მერტყა წყვდიადად,
თქვენ რომ გეხვიათ მზეზე ფუტკარი,
მე შვიდასი წლით დამაგვიანდა,
თქვენს შეთქმულებას ვერ მოვუსწარი.

მე მაინც ვიყავ თქვენთან შეთქმული,
თქვენსკენ უხილავ ცეცხლად დაძრული.
მე გაჩენამდე თქვენი ერთგული,
თქვენსკენ მოვქროდი ხელგაბაწრული.

თქვენ კი იტანდით ტანჯვას ზვიადად,
თუმცა გერჩიათ გულში ისარი...
მე შვიდასი წლით დამაგვიანდა,
იმ წამების დროს ვერ მოგისწარით.

მაგრამ არ არის დრო გამთიშველი
მათთვის ვინც იყო ქვეყნის ერთგული,
მე თქვენს ლანდებთან მოვალ შიშველი,
არყოფნის ჟამსაც თქვენთან შეთქმული.

რომ თქვენებრ მწვავდეს მზე თქვენი მწველი,
თქვენებრ მეხვიოს მზეზე ფუტკარი,
რომ ვთქვა: წამს ჰგავდა შვიდასი წელი,
მოველ, წამებას მეც მოვუსწარი!

1959

ერთი მუდარა

მე ყვავილების გიჟი დამარქვან,
ეს ამისრულონ, ერთი მუდარა:
მე მინდა, ტყემლის ჩრდილში დამარხვა,
ტყემლის ყვავილის თეთრი სუდარა.

მე დავეცემი, მოვიღებ ლაწანს,
თუ ცეცხლზე დამწვან განმარტოებით —
ატმის ყვავილის კოცონზე დამწვან,
ან გამიჩაღონ ყაყაჩოები.

მაშინ შავ ცხენზე შავი ნაბადით
ამხედრებული, როგორც იბერი,
მე ზამბახების ფრთების ფარფატით
ცისკენ კვამლივით წავალ ცისფერი.

მე ყვავილების გიჟი დამარქვან,
ეს ამისრულონ, ერთი მუდარა:
მე მინდა, ტყემლის ჩრდილში დამარხვა,
ტყემლის ყვავილის თეთრი სუდარა.

1944

ჯაჭვგაუხდელი

თავმოძულებულს თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით
ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი,
სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი.

უკანასკნელი თურქთა ასკერის
ასჯერ ხომ მაინც მოხვდა მახვილი,
წყლულს იშუშებდა შუბლდანასერი,
დარბაზებს დგამდა ომგადახდილი!

ცხარე ბრძოლიდან მობრუნებული,
გაგრილებული რკინის პერანგით,
თვალს აგელებდა, რომ უნებური
არ დასცემოდა მზირი ვერაგი.

ხნავდა თუ ვენახს ხარდანს უცვლიდა,
გარჯა თუ ლხინი ჰქონდა ახალი, —
თანდაყოლილი დედის მუცლიდან
ყველგან თან ჰქონდა ქართველს ფარ-ხმალი.

რწმენა და ენა ბევრმა იცვალა,
მხოლოდ ის დარჩა მარად უცვლელი,
ტაძარს აგებდა, — ეცვა წვრილთვალა,
ვეფხის წიგნს სწერდა ჯაჭვგაუხდელი.

თავმოძულებულს თათრის ბეგარით,
გაალმასებულს სპარსთა უღელით
ძილშიაც ეცვა ქართველს ბეგთარი,
სუფრაზეც იჯდა ჯაჭვგაუხდელი.

1945

ოცნება უფლისწულისა

საქართველოს მთა-გორების ხორუმი,
ვაზი ვაზზე ლერწებგადალასტული,
ალაგ თითა, ალაგ ალადასტური.
ჩენს მეფობას უნდა შენი დასტური,
შენ კი შორს ხარ, როგორც ყარაყორუმი.

არას ვაქნევ პირველობას, მეფობას,
ქვეყნად მხოლოდ უგულოთა მოსახმარს,
მე შენს ჩრდილად თავად მზემ გამომსახა.
უწყალო ხარ, უდაბნო ხარ, შორსა ხარ,
მაგრამ მაინც გული შენგან მეპობა.

მაგრამ მაინც შველას შენგან მოველი,
თუმც თხოვნას და შველას არ ვარ ჩვეული,
დამიგდია სტავრა და ფარჩეული,
მე ხელმწიფედ საქართველოს რჩეული,
მხოლოდ შენი მონობის ვარ მთხოვნელი.

1944

ჯიგთახათუნი

... და შედგა ჩემი ბედის ბორბალი,
შეჩერდა შენი თმით დახლართული,
შენ ერთადერთი ხარ დედოფალი,
ჩემი ოცნების ჯიგთახათუნი.

მე ერთადერთი მხიბლავს ოცნება,
წვრილი წარბები, წყვილად გართხმული,
რაღაც გულწრფელი, ვით გაოცება
და რაღაც კიდევ უფრო ქართული.

სად წავალ, შენსკენ მომაფრენს ქარი,
ფრთად მექცა შენი ყმობის უღელი.
ყველგან თანა გდევ ფიქრივით ჩქარი,
ჩრდილივით ჩუმი და განუყრელი.

დე, ჩემს ეტლს ქარმა ქროლვა უცვალოს,
შეჩერდეს შენი თმით დახლართული,
ვეფხვზე უწყალოვ, ჯიქზე უწყალოვ,
შენა ხარ ჩემი ჯიგთახათუნი.

1944

***

საწუთრო
    იგავმიუწვდომელი
ძლივს არის
    თვალის ერთი მოსწრება.
არ შეყოვნდება წუთისოფელი,
არც აჩქარება უყვარს ოცნებას.
და სულ ერთია,
    დრო მაინც გარბის,
მიაქვს პასუხი ათასი კითხვის,
ნუ შეგშურდება დიდება ყალბი,
შენს სათქმელს ქვეყნად
    ვერავინ იტყვის,
ნელ-ნელა გახსენ შენი ცისკარი,
წუთი გაგრძელდეს,
    თითქოს წლებია...
გულდასაწყვეტი
    მხოლოდ ის არი,
ამქვეყნად,
    რაც არ გვიოცნებია.

1965

თბილისი

ნუ დაუჯერებ ზღაპრად მოთხობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

მე ისე ლექსს რა გამაბედვინებს,
გულში თუ ტრფობის ქარი არა ქრის.
მიწა სჭამს ყველა ჯალალედინებს,
მიწა კვლავ ბრწყინავს თბილის-ქალაქის.

და დილით, მზე რომ გააღებს ცისკარს,
ერთ სხივს ჩემკენაც გამოაგზავნის,
მე მზის სხივის და თბილისის ხნის ვარ,
მეც გაჩენილი ვარ გორგასალის.

მეც არ ვუჯერებ ზღაპრად მოთხრობილს,
მაგრამ ეს ლექსი არის ნამდვილი:
მე დაჭრილი ვარ, როგორც ხოხობი,
და თბილისში ვარ ჩამოვარდნილი.

სვენწკის ჩვენება

ჩემო იარალი,
ცაში მუქარით
ქარი დაბრუნდა ყაზარმობიდან,
გარეთ ყინვაა და შინ უგარი
და ისევ თბილისში გავლა მომინდა.
და ისევ სცივათ სვენწკის გუმბათებს,
ისევ ანთია სადღაც ბუხარი...
მეფე ვახტანგი ცეცხლს შეუმატებს
და იგავს ამბობს საბა-სულხანი.
გაიხსენებენ:
მორთხმით ნოხებზე
ისხდნენ, ეძახდნენ მეფეს დიდ დღიანს...
გულს მოგონებით მოიოხებენ
და ავთანდილის ლექსებს იტყვიან.
არის ზმობა და გადაძახილი
და მაჯამები ძმურად მიჯრილი,
თვალებმწუხარე და თავდახრილი
კარზე მოდგება გურამიშვილი.
და იტყვის მეფე:
„ხედავ ქოჩორას,
თითქოს ილოცავს, თვალს ვით ინაბავს.
მთელი ბიბლია ლექსად მოჭორა
და შეეჯიბრა დავით წინაპარს“.
წადგება.
ხელებს გულზე დაიკრეფს,
დაბლა მიართმევს სალამს უფროსებს,
ღარიბი მეფე უქებს შაირებს
და გასამრჯელოდ ხალათს უბოძებს.
მერე მომხედავს წუთით საწყალი,
რომ გამოაღოს ჩემსკენ კარები.
შევალ თრთოლვით და გულის ფანცქალით
და პოეტის ჩრდილს შევეფარები.
გაუბრწყინდება თვალები საბას,
მეფეს ფრანგების დესპანს ულოცავს,
მეფე მოელის ფრანგების ამბავს
და აკვირდება ჩემს ჩაცმულობას.
ადგება საბა,
თითქოს სანუკვარს
ღებულობს ელჩს და დარბაზის სტუმრებს,
კრძალვით იკითხავს პაპს და გრანდუკას
და ლათინურსაც არ დაიშურებს.
— საბავ, რა უგავს პაპის მოგზავნილს, —
მშველის დავითი, —
ცხოვრობს თქვენს ახლოს,
საქართველოდან არის მგოსანი,
სვენწკაში უნდა რომ დაესახლოს.

— მგოსანი! — შეკრთნენ და გაიოცეს, —
გამოქცევია, ალბათ, სარკინოზს.
იქნებ, ხელობა მაინც იცოდეს,
მოსკოვში სტამბა გაგვამართვინოს.
— სტამბა!
— შეირხა, მშვიდად ტახტს უკან
ანგელოსივით გამოხატული,
გაღიმებული იდგა მამუკა
თუ ეჭაშნიკა მეფის ქართული.
— სტამბა!
— შეირხა მეფის ამალა...
— მესტამბეების ჯარს მოვესწარი,
უსტამბო ვარ და ლექსის ამარა,
ჩემი ხელობა მარტო ეს არი!
ვაგლახ! რად მინდა მგოსნები ახლა,
დაზგაც აღარ მაქვს ბეჭდვის შემომტანს.
მთელი ამალა მგოსნების მახლავს,
კიდევ მგოსანი მეჭირვებოდა?!
მე, იცის ღმერთმა, რაკი მომაგენ,
არ მემეტები, მაგრამ რად გინდა?
გირჩევ, გაბრუნდე სამშობლოსაკენ,
გადაიკარგო ამ ალაგიდან.
ჩვენ კი...
აქ ვრჩებით, აქაც ვეძებეთ
ბედნიერება და სიმარტოვე,
სხვას რაღას ვეტოვებთ საანდერძებელს,
ანდერძად ლექსი მაინც დავტოვეთ...
ჩვენ ვინღა გვკითხავს დროს და არჩევანს,
საფლავის სიღრმეს და სიფართოვეს,
ჩვენი საფლავიც ხომ არ დარჩება,
ეპიტაფია მაინც დავტოვეთ...
სთქვა და ატირდა,
სტიროდა საბაც
ბედნიერ სიყრმეს და სულხანობას.
სწყევლიდნენ ბედს და თვითონ დასაბამს,
სოფლის სიმუხთლეს და უხანობას!
სწყევლიდნენ ღმერთს და ყველა წმინდანებს,
საწუთროს,
გულზე ცეცხლის მომდებარს.
წუხილი მათი ვერ ავიტანე
და გავეცალე ცრემლს და გოდებას.
დავდექი კართან, გადმომეხურა
გაბრწყინებული ცა ჩრდილოეთის,
ვიდექ მარტოკა და უხერხულად
და მომძახოდა ლანდი პოეტის:
— როგორ შორსა ვარ, ბნელში დავეცი;
შენ მზეში დგახარ, ცამდის მისულო,
სვენწკაში გაწყდა ჩვენი ანდერძი,
ეცადე, იქნებ შენ გაგვისრულო... —
ჩამომძახოდა ხმა დიდებული,
წლებს მისტიროდა დაუდაფნავებს,
ვიდექ მარტოკა გარინდებული
და დავყურებდი ქართულ საფლავებს.
ქვებს შერჩენოდათ გერბები ქართლის,
საფლავებს — ბელტი მიწის მხურვალის.
ბნელს ჩავყურებდი ლექსების სანთლით
გვიან მოსული ჭირისუფალი.

1938

ძევახ პიტიახშს

შენ აქ ახლო ხარ, არ ხარ ზღაპარი,
გეძებ, გეძახი, სად ხარ ძევახო!
ჩვენ სიკვდილისთვის ვართ თანაბარნი,
შენს აჩრდილს მინდა, ხელი შევახო.

ნეტავი მოგწვდეს ჩემი ქართული,
ქარივით ახლო გამომირბინო,
გშვენოდეს რაში მკერდმოხატული,
წელზე ხმალი და ცერზე მიმინო!

მაგრამ შენ ცხენზე ვეღარ შეჯდები,
ვაგლახ, ვერ ვნახო ქროლვა გიჟური!
თითებდამდნარი ჰყრია ბეჭდები
და აღარ ისმის ოხვრა მიჯნურის!

სამაჯურთ სცივათ, უნაზეს ხელთა
მაჯების ფეთქვა თუ აგონდებათ
და ყელსაბამი მტვრად ქცეულ ყელთან
მიმობნეულა იაგუნდებად.

მაგრამ ამ ქამარს, ამ ოქროს ბეჭდებს
იქნებ პატრონის შერჩათ ნაკვთები,
ნაკვალევს ეგებ, ამაოდ ეძებ,
რომ ნახო, ალბათ, ზედ დააკვდები.

იქნებ ძვირფასის გესმის ძახილი,
ღონეც აღარ გაქვს, რომ დაიგმინო...
ჟანგს დარჩენია შენი მახვილი,
სხვას შეჩვევია შენი მიმინო!

და არც გულია, არც სიმაგრეა,
წლებს რომ არ წაჰყვეს მტვრად და ნაჟურად,
შენც, ვიდრე მიწამ მტვერში გაგრია,
ჯერ იქნებ ტრფობამ გაგანადგურა.

შენც დაგიწეწა ქარმა აფრები...
მარადისობის შავბნელ წიაღში,
ჩვენ სიყვარულით ვართ თანაბრები
მეფე, პოეტი და პიტიახში.

1944

ნერგები

გუშინ ამ ხეხილს მე თვითონ ვრგავდი,
ახლა რომ მოჩანს ტოტებშემხმარი,
გუშინ მე თვითონ მწვანე ნერგს ვგავდი,
ცად ატყორცნილი მზეს რომ შეჰხარის.

ფეხქვეშ შრიალით ნეშო მეგება,
თუ ეს ჟამთა სვლის შორი ხმებია?..
დაბერებულან ჩემი ნერგები
და სასიკვდილო თრთოლვით ხმებიან.

შემოპარვიათ სიცივე ბინდის,
სიოს ქროლვაზეც აღარ იძვრიან...
ვაი, რომ თურმე ჩემი დროც მიდის
და შეჩერება არ შემიძლია...

1966

შემოდგომა

მშვიდად თვლემს მზე და სიოც არ იძვრის,
შეუწყვეტია ფოთლებს შრიალი.
იდუმალება ცისა და მიწის
სულს ეფინება კაეშნიანი.

არ ჰგავს ზაფხულში მეხის მოლოდინს
ეს გარინდება თრობის,
სიმწიფის...
თვალწინ ჩამოდის, თითქმის ბოლომდის,
დაგორებული ლოდი სიზიფის.

იკვრება წრე და
თავდება თავქვეც...
მაგრამ სიცოცხლე ისევ მზად არი,
რომ ახალ აღმართს შეუდგეს, აქვე,
და შემოდგომას
მოჰყვეს ზამთარი.

იმ ახალ აღმართს შეხედავ შიშით
და გულში მწარედ გაგეცინება:

როდემდის ნახავ
ცხადსა თუ ძილში
სამყაროს ამგვარ სახეცვლილებას!
როდემდის!..
ბოლოს წყდება ყოველი,
რაგინდ ოცნებით გრძელ გზას ხატავდე,
ეგ შენი წილი წუთისოფელიც
ერთ შემოდგომას უნდა გათავდეს.

შენც ამ წესრიგის რგოლი ხარ მხოლოდ
და ქვეყნის ბრუნვა ქების ღირსია, —
თუ განახლებას არა აქვს ბოლო
და დასასრულიც დასაწყისია!..

1965

გ ა ნ მ ე ო რ დ ე ბ ა

ისევ ეს ფიქრი გდევს წლიდან წლამდე,
საითაც უნდა მიაპყრო მზერა,
სულ გინდა,
რაღაც გულით რომ გწამდეს,
და სადღაც კიდევ
რაღაცის გჯერა.
გჯერა,
რომ ფესვებს წლები არ უშლის,
ისევ იფეთქონ მწვანე ყლორტებად...
ლექსში,
შვილებში
და სიყვარულში
ჩვენი სიცოცხლე განმეორდება.

განმეორდება,
ურწმუნო ნუ ხარ,
(რწმენის დაკარგვა შესაზარია!)
ბედნიერია,
ბრმად ვისაც უყვარს
და მორწმუნენი ნეტარ არიან.
განმეორდება,
რაც გიმგზავრია,
რაც გიპოვნია,
რაც გაგფრენია!
მაგრამ ცხოვრება თუ სიზმარია,
გულდასაწყვეტიც არაფერია!..

1965

დ ე დ ა ს თ ა ნ

გამოიცვალა ეზომ იერი,
ლალ'ა და ზურმუხტს ქარვამ აჯობა...
გაღიმებული და ბედნიერი
კაკლის ქვეშ დადის ჩემი ბავშვობა.
მას უნდა ახლო ჩემთან მოვიდეს,
ვერ ვხედავ. მიდის და თავს მანებებს,
დედა კი თურმე გვხედავს ორივეს
და გვეფერება. როგორც ზმანებებს.

მზეა და ნათლით სავსე ამინდი,
მარტო ვართ მე და ოქროსთმიანი,
იგი — კეთილი და მიამიტი,
მე — სიჭაბუკის ორომტრიალი.
დარეკავს სადღაც დილის საარი,
ჩვენ რომ ღამეებს ერთად ვუთევდით...
ახლა ჩვენს შორის დიდი გზა არი
და საუკუნის დგას მეხუთედი.

1934

* * *

(თურმან თორელის ლექსებიდან)

ვდგავარ, ვიგონებ განვლილს და განცდილს —
ზღვად რომ ვსახავდი — ერთი პეშვია...
რაც გული გატყდა, რაც ორმოცს გავცდი,
სიკვდილზე ფიქრი შემომეჩვია.

ვერა ვთქვი დიდი სიცოცხლის ქება,
და უთქმელ ლექსებს გაჰყვა ვარდობა...
როგორ თვალსა და ხელს შუა ქრება,
რა ჩუმად მიდის ახალგაზრდობა...

მაგრამ თუ ადრე დრო ვერ ვიხელთე,
ჯერ კიდევ თავს სწევს ჩემი სანთელი,
ვდგავარ, ვიხსენებ მადლს და სიკეთეს,
რა ცოტა მრჩება ჩამოსათვლელი.

ჩემო ქვეყანავ, მოველ ამ დრომდის,
მე შენ ნამუსის ქუდი დამხურე,
როგორც შეგფერის, როგორც ვნატრობდი,
ვერ მოვახერხე, ვერ გემსახურე.

და თუ ღირსი ვარ მაინც მუნათის,
იქნებ ეს ჩემი ბრალი არც არი —
მე დიდი ხანძრის ალში ვბრუნავდი,
მან დამაყარა თავზე ნაცარი.

მე დაფერფლილი დავრჩი ნახევრად,
სარწმუნოების შენი მხედარი,
და თუ სიცოცხლით ვერა გარგე რა,
სიკვდილი კიდევ ჯერ ჩემს ხელთ არი.

1959

მინაწერი აკლდამაზე

ბინდი, ნესტი და აბლაბუდები,
წახვალ და უკან არ დაბრუნდები.

ხავსი, მტვერი და გროვა ლოდების,
წახვალ, არავის მოაგონდები.

წახვალ წუხილით და სულ ერთია —
არცა შავეთი, არც სულეთია...

1959

ალიო ადამია

სიყვარულის და სიკვდილის ბალადა

პროლოგი

გიორგობა დღეს შეახვედრეს მშობლებმა ჯვარში
და პირველ ნახვით შეუყვარდათ მათ ერთმანეთი;
ქალს წარბი ჰქონდა აშვილდული,
შველს გვერდით ედგა,
ქალის თვალებში —
კიაფობდა შუქი სვანეთის,
ვაჟის თვალებში —
სიყვარულის პირველი ელდა

ქალს მამა ახლდა,
ვაჟს კი დედა...

I

მირზა ხერგიანმა ბრძანა დასტური —
სუფრაზე შემოაწყვეს ჯიხვის ყანწები
და ანწლის არაყი;
ჯვარიდან ამოვა ბეგლარ ჭანტურია
და გუნდი მაყრების.

ჩონგურის ტარზე რქანაყარი ირემია,
ჩუმად გალობს ხერგიანის ასული ეთერი:

ჯვარელი ვაჟკაცები ისეთი გმირებია —
სვანეთის ეშხიან ქალებს რომ შეჰფერით.

ილხენენ, ცერებზე დგებიან,
ჩიტივით უფართქალებს ეთერ ქალს გული;
სადაცაა მაყრები ამოჯირითდებიან
ცხენების თქარათქურით.

ღელავს ეთერ ქალი დანიშნული,
უშბასაც უკვე დაეფინა ღამე;
მაგრამ გზებზე არ ისმის ჩამიჩუმიც
და ძილი შეჰპარვია ხრამებს.

„ავს ნიშნავს!“ იტყვის ხერგიანი
და შუბლს დაიღარავს იჭვებით;
ენგური მორებითაა გახერგილი —
შეშინდნენ ჯვარელი ბიჭები. —

და ვაი სირცხვილო! სიძეა?
ტალღებს ვერ გააპობს ძგერებით?
რომ გული მომეგო ქალისა,
უშბაზე ავსულვარ ცერებით,
ჩოქდაჩოქ ავსულვარ შხარაზე...
ეს კიდევ — ენგურმა შეაკრთო
და ჯიქად დამდგარა შარაზე.

ეჰეი, ბიჭებო, ცხენებზე,
ადათის ვინცა ხართ ერთგული!
... ჭენებით დაეშვნენ დაღმართზე
და ღამის წყვდიადში მოესმათ
ზათქი და ღმუილი ენგურის.

II

ჯვარელმა რჩეულმა მხედრებმა
დილითვე დარახტეს ცხენები,
იოლი როდია გასცურო ენგური,
მულახში ეწვიო ხერგიანს;
აპრილში ენგური — ათასი თერგია.

დაეწყვნენ, წინ უძღვის მაყრიონს
თეთრ ცხენზე შემჯდარი ბეგლარი, —
მსუბუქად აგელვებს უტანდარს
ჯვარელთა პირველი მხედარი, —
მერე — კი გულს ვეღარ იოკებს —
მულახში უფრინავს თვალები...
მიწაზე გააკრეს ცხენები,
ნაპერწკლებს კვესავენ ნალები.

და ენგურს მიადგნენ ჭენებით,
ზღვას ჰგავდა მძვინვარეს ენგური.
შიშისგან გაქვავდნენ ცხენები,
ჩანელდა სიმღერა მეგრული...
შეცურვა ვერავინ შებედა.

და მერე დაღმა დაუყვნენ ნაპირს
(ფონი უპოვონ ენგურს ეგება)...
გაუგიჟებია მდინარე აპრილს
და მღვრიე ტალღებს სახლისოდენას
ენგური ზღვაში მიერეკება.
ცხენს ათამაშებს მღვრიე ენგურთან,
თვალში ეთერის უელავს სახე.
ენგურის გაღმა ბილიკი თეთრი
მიდის, მულახის ბილიკებს ერთვის
და ხერგიანის კოშკთან თავდება...

... სიმღერა, ცეკვა, ჩონგური გალობს.
მულახი ხვდება სიძეკაცს ტაშით...
„აჰა, მე მოვედ, პატარა ქალო,
ენგურის ჩქერი გავაპე მკერდით
და ჯირით-ჯირით ამოველ მთაში.
აჰა, მე მოვედ!“

კოშკიდან თეთრი ჩამოდის ნისლი,
(ღამით ეს ნისლი უშბაზე იწვა). —
ჩონგურის ჩუმი გალობა ისმის,
ამოიმღერა მულახის მიწამ —
და ტანის რხევით მოდის ეთერი.
მოდის და ორი ასული ახლავს,
სიძისთვის მოაქვთ გვირგვინი თეთრი.

და ხერგიანის ჩახჩახა სახლთან
ზეცა და მიწა ერთმანეთს ერთვის —
ნეფე-დედოფალს ლოცავს მულახი.

„აჰა, მე მოვედ, პატარა ქალო!“
და გვერდით უდგას პატარა ქალი
და ქალთა გუნდი ხმადაბლა გალობს,
და ვაჟთა გუნდის გუგუნებს ლილე —
ხერგიანების ელავენ ხმლები!
... და მერე ნელა აუყვნენ კიბეს
მგალობელთა და მლოცველთა ხლებით.

... ცხენს ათამაშებს მღვრიე ენგურთან,
თვალში ეთერის უელავს სახე.
მაყრიონისკენ წუთით შებრუნდა,
მერე მათრახი დაჰკრა უტანდარს —
ტალღების ღვარში შეაგდო ლაღად...

ამოტრიალდა ცხენკაცი აღმა,
და რუხ ტალღაზე გაწვა მორივით...
ეს იყო წუთით... და წუთის მერე
დაუოკებელ ენგურის ჩქერებს
ზღვისკენ მიჰქონდა კაციც და ცხენიც...
მდინარის მსხვერპლი ზღვამ არ მიიღო

და ანაკლიის მყუდრო უბეში
ნაპირს მიუგდო მულახის სიძე.

III

დაბრუნდა, კოშკში მალვით ავიდა,
დუმილმა გათქვა ამბავი ავი
და ხერგიანის ჟღალი თვალიდან
იმზირებოდა სიკვდილი შავი
და ყოველივეს მიხვდა ეთერი.

ღამე არ ეთქმის მულახის ღამეს,
ნათელი ადგას ქედებს მისნური, —
და მთებს აღმართულთ მეშვიდე ცამდე
ძილიც სჩვევიათ დარბაისლური
და თავშალივით ახურავთ ნისლი.

ქარი ააფრენს ღრუბლებს შხელდიდან
და გაიტაცებს მერე წყვილ-წყვილად, —
თითქოს და ურა ცხენებს ხედნიან,
რომ ქარაფებზე შესძლონ სირბილი —
და ურა ცხენზე ჯდება ეთერი.

... შორს დარჩა სვანთა ლურჯი მთა-ველი,
და მოეკვეთა ცხენსაც მუხლები;
ეთერს ეტკინა ძუძუსთავები
ქათქათა, მკვრივი და ხელუხლები
და გვემულივით დაემხო ლოდზე.

და ასე დიდხანს იწვა გულაღმა,
ცრემლი სდიოდა წყვილ-წყვილ წვეთებად:
მერე, ქედებს რომ შემოუღამდათ
და აღიმართნენ ცაში სვეტებად,
კვლავ ენგურისკენ დაეშვა ეთერ.

დაღმა დაუყვა მდინარის ნაპირს
(ფონი უპოვოს ენგურს ეგება), —
გაუგიჟებია მდინარე აპრილს
და მღვრიე ტალღებს სახლისოდენას
ენგური ზღვაში მიერეკება.

IV

გაცრეცილიყო ენგურის თქორი,
და ირხეოდნენ ტოტები ხეთა;
და ლოცვა ორი, და ლტოლვა ორი —
სვანეთის მთების ამაყი სული,
კოლხეთის ველის ვეება სევდა —
ანაკლიასთან ერთმანეთს შეხვდა.

და მშვიდად იწვნენ მდინარის პირად,
(ტალღებზე თეთრი მტრედები ისხდნენ), —
ლეიბად სველი ეფინათ გვიმრა
და მიედრიკათ სხეული მზისკენ
იანვარივით გაყინულ ცხედრებს.

და ჩურჩულებდა ბაგე ვაჟისა:
„ჩამოფრენილი მთიდან ციცარი,
აუხდენელი ჩემი ოცნება;
ჯერ გამითენდი როგორც ცისკარი
და მერე გაჰქრი, ვით საოცრება!

ვერა, ვერ გავჭერ ენგურის ტალღა,
ველარ ამოვჰყევ მულახის გზაწვრილს,
შენ ცალად დარჩი ენგურის გაღმა,
მე კი — კოლხეთის ლაქაშში მაწვიმს,
და ჰა, ვიშლები ნაწილ-ნაწილად“.

და ლოცულობდნენ ტოტები ხეთა
და ჩურჩულებდა ბაგე ქალისა:
„მე მოვედ შენთან,
მე მოვედ შენთან,
მოვედ და გულის ყინული გალხვა,
რადგან სულები შეერთდნენ ჩვენი...
მე საქორწინო გვირგვინი მადგას,
შენც სიძეკაცის გვირგვინი გშვენის —
ხერგიანების ჯიღა გვირგვინი“.

V

მერე მულახი დატოვა მირზამ —
ხერგიანების დადუმდა კოშკი.

ხევდახევ დადის, სერავს იალაღს,
ხან წაადგება უფსკრულს მთასავით:
და დადის მირზა ოხერტიალად
სვანეთის ღამის ჭრილობასავით —

და შორეული ესმის გალობა:
„შეიშრე ცრემლი, შინ წადი, მამი,
ქედებზე თოვს და უკვე აცივდა.
დაპატარავდა ენგურის ტალღა...
ჩვენ მაღლა-მაღლა ამოვალთ ცურვით
და შეგისრულებს ეთერი სურვილს —
მულახში მოვა სიძეკაცითა“.

და ელის მირზა ეთერს და ბეგლარს.

ეპილოგი

და ლოცვა ორი, ლტოლვა ორი, გალობა ორი,
ლაქაშში წევს და
იცრიცება ენგურის თქორი.
ეთერი გალობს, მსუბუქდება შავი ზღვის ნისლი
სვანეთის კოშკებს აგალობებს გალობა მისი. —

ტალღების შხუილს
შავი ზღვისკენ მიჰყავს მდინარე,
კოლხეთის ველი ნისლიანში თავს იმძინარებს;
ვეება სევდა ურჩხულივით აწევს ლაქაშებს,
ენგური ტალღებს მაინც ზათქით მიათამაშებს —

და შავი ზღვის პირს
შინდისფერი ამოჰყავს დილა.

1960



ვლადიმერ უბილავა

უტუ მიქავა

უტუს საფლავზე აბიბინდა ისევ ბალახი,
ამბოხი-ძვლები ისვენებენ მშვიდად მწვანეში;
თქვენ, მეგობრებო, ყოველნაირ რიდის გარეშე
თუ ჩაუაროთ, მოიხადეთ აქ ჩაბალახი.

ეცით პატივი... ვერ გაართობს შაშვის ჭახჭახი,
ვერც ხის ტოტიდან მოშრიალე ეს ოჯალეში;
იგი არ იყო, რომ შეგვყარა ერთხელ ჭალებში,
მტრის საკაფად რომ აგვემართა ყველას ნაჯახი.

ხსოვნაში ჩაგვრჩა სიტყვა მჭრელი და უებარი,
რომელსაც ერთად ღაღადებდა მთელი ურდუმი:
„ჩვენ მოგვყავს მჭადი და ვშიმშილობთ, ვართ გაქურდული.
თქვენ კი თვლემთ ლხინში, — აი რაა გაუგებარი.

თქვით! თუ სადმეა ჯოჯოხეთი, ჩვენც ხომ იქა ვართ.
არ გვსურს მთავარი, კეისრად ვსვამთ მჭედელ მიქავას!“

1939

ნანა

სისა! ტურა მოდის, ნანა,
მობაჯბაჯებს დათვის ბელი,
მელიებიც გზაზე ჩანან,
ააჩხავლეს მინდორ-ველი,
სისა! ტურა მოდის, ნანა.

დაიძინე, მახარია,
რა ხანია რომ შებინდდა,
გარეთ ქარის ჯახანია,
შინ სანთელი აციმციმდა
სისა! ტურა მოდის, ნანა.

აბარჩხალდი დილით ისევ,
გაახილე ქორფა თვალი,
მზეც იფეთქებს მოგიზგიზე,
დაგეფრქვევა მხარზე ლალი
აბარჩხალდი დილით, ნანა!

გამეზარდე დიდი ვაჟი,
აგვამღერე, გაგვახარე,
იყვავილე ჩვენს დიდ ბაღში,
ჩვენც ვარდები დაგვაყარე,
გამეზარდე, ვაჟი, ნანა!

ახლა დატკბი, მახარია,
რა ხანია რომ შებინდდა,
გარეთ ქარის ჯახანია,
დაიძინე, თორემ მინდვრად,
სისა! ტურა მოდის, ნანა!

1940

გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა

ტანზე მოისხამს რუსულ ფარაჯას
და ფრონტზე ვაჟკაცს მისდევს ვაჟკაცი,
ძმებო, ჩვენ მამულს ვყავდეთ დარაჯად
ხიშტებისა და ხმლების კაშკაშში.
რა ვარ, ბრძოლაში თუ დავვარდები,
მტერს შემოსეულს თუ არ დავხვდები;
ვერ გამითელონ ბაღში ვარდები,
ვერ დამიჩრდილონ მთების კალთები!
ვინ მოინდომა აკლება მისი!
ვინ მოგვისია ურდო მკვლელების!
ჩვენივე სისხლით, ჩვენივე სისხლით
ვიხსნათ ეს მთები და ეს ველები!
გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა,
ტყვიას ტყვიაში აჯენს ვაჟკაცი,
იბრძვის და მამულს უდგას დარაჯად
თოფის, ხიშტის და ხმლების კაშკაშში.

1941



ალეკო შენგელია

ანდერძი

იმ პატარა სიყვარულის ცრემლებს ვფიცავ.
იმ თეთრ აკვანს, დედაჩემის ცისფერ თვალებს,
ვფიცავ მიწას, ვაჟას გულზე დაყრილ მიწას,
რიჟრაჟს ვფიცავ, ნისლებში რომ იფერმკრთალებს;

თუ ჩემს ზეცას, ჩემს მწვერვალებს ცადასროლილს
წაეპარა ყორნისფერი ღამე მძიმედ, —
ამოვწვადო ხმალი ელვით ანაჟრჟოლი,
ვარსკვლავებით მოხატული, მოციმციმე.

თუ დავეცე, — ნუ მიტირებთ დანანებით,
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი,
საქართველოს ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ თქვენი ფერის ყვავილები.

გული დამაქვს სიყვარულის განახელი,
მყვარებია... ჰო, ცრემლებიც მყვარებია;
ჩემი ქვეყნის ძველი დარდი და ნაღველი
ხანჯალივით გულში გამიტარებია.

გაღიმებაც შემიძლია აპრილისა,
ხარირემის ვაჟკაცური დაძახილიც...
— შენი ლექსი ქედმაღლურად გაპყვირისო, —
მეტყვის ვინმე, სტრიქონებზე თავდახრილი.

— თაობა ვარ ავთანდილის გაწაფული,
სიყვარული უბით დამიტარებია,
ჩემი თეთრი ცისარტყელა, გაზაფხული,
თებერვალში აპრილს დამიდარებია...

დავიღუპო!.. ნუ მიტირებთ დანანებით...
ნაღველს გულში არასოდეს გავივლებდი...
ჩემი ქვეყნის ლამაზებო, მანანებო,
დამაყარეთ გაზაფხულის ყვავილები.

1939

მეოცნებე

ჯეჯილის ლურჯი მოღელავს ტალღა.
ქარს გაზაფხულის სურნელი მოაქვს.
მშვიდობით, მივალ ღრუბლების მაღლა,
სიმღერების და ოცნების დროა.

ტანში მიჩქროლავს მზე და აპრილი,
ეს ლექსი მაინც უფრო მეტია.
იქნებ თქვენც მისცეთ მცირე ადგილი —
არ იქნა,
გულში არ ჩამეტია...

ყვავილი მინდა დამათრობელი,
მაგრამ რომელი?

მაგრამ რამდენი?
იქნებ სანატრელს ვისმეს მოველი,
რამ დასძრა ტანში ეს ჟრუანტელი!..

გაზაფხულს, ნათელს და იმედიანს,
ჩემთან მარადის მოაქვს ახალი, —
რაც სიყვარულზე უფრო მეტია
და სიყვარულის ჰქვია სახელი...

ჯეჯილის ლურჯი მოღელავს ტალღა,
ქარს გაზაფხულის სურნელი მოაქვს,
მშვიდობით, მივალ ღრუბლების მაღლა,
სიმღერების და ოცნების დროა.

1939

შველი

ჩაპკრა ელვამ და ხანძარი ავარდა,
აშიშინდა მუხის ნედლი რტოები,
სადღაც ყეფა მოისმა,
სადღაც თოფი გავარდა...
ვიდექ განმარტოებით.

ჩემი ქოხი, ჩემი წნელის ხუხულა,
მეცხვარეთა გათელილი ველი,
ისევ ელვა, სადღაც დაიგრუხუნა,
ჩემს წინ გაჩნდა მკერდდაჭრილი შველი.

წამს შეჩერდა, მომანათა თვალები,
ცრემლიანი, ცრემლიანი თვალი!...
ავიტაცე, შემოვხვიე მკლავები,
გამოვუღე გულის თეთრი კარი...

ცამ გვიცინა, განიფანტნენ ნისლები,
აჟღურტულდნენ ბალახები სველი.
მე და შველი ცეცხლის პირას ვისხედით,
მე ვტიროდი, მამშვიდებდა შველი.

1940

თამარის ციხე

გზა მთას აჰყვება და მაღლა მიდის
და მთა ზვიადი შავ ღრუბლებს იხვევს.
აქ გამოჩნდება თამარის ხიდი,
იქ გაბრწყინდება თამარის ციხე.

ავყვები ბილიკს და მთათა ზევით,
ისევ მთის კალთებს მისდევს ბილიკი.
პირაქეთ ხიდი ჩანს ძველისძველი
და კვლავ მრისხანე ციხე — პირიქით.

ვკითხავ მოხუცებს კრძალვით და რიდით:
— რა ნანგრევია იმ მთების ზემოთ?
— ზემოთ ციხეა, ქვემოთ კი ხიდი
თამარ მეფისა, ბატონო ჩემო!

უბრწყინავთ თვალი და წინაპართა
წამოდგებიან წმინდა ლანდები.
მე ვგვიანდები ძველ ციხის კართან
და მიხარია, რომ ვგვიანდები.

1949

მოველ სავანეთს

მოველ სავანეთს, სვანეთში მოველ,
და თოვლს და ყვავილს, კლდესა და მიწას,
მთასა და ენგურს, და კუნტულს ყოველს,
აქ, საქართველოს გულივით ვფიცავ!

არა საფლავი, არა მუმია,
სვანეთს იმ დროთა გაუქრა ცრემლი,
დღეს აქ სიცოცხლის მუზეუმია
და ისტორიის დარბაზიც ვრცელი.

გადიდებ, გლოცავ ჩემს ოცნებაში
შენ, საქართველოს ბუნების დედავ,
მე შენთა ფერთა საოცრებაში
ცისარტყელების ბუდეებს ვხედავ.

და ხმამაღალო, და მთა მაღალო,
წუთით ენგურის მომმადლე ძალა,
ხევს ჩავახალო, მთას დავახალო,
ლექსი შენსავით უკვდავი მარად!

1965

ნუკრია

ღამე არის და ძილი არ არის,
არ ვიცი, რატომ არ მეძინება,
რად მეზმანება შენი დალალი,
ყოველღამ გულზე რად მეფინება.

წუხელ სიზმარში მე გნახე ჩუმად,
და დიდხანს, დიდხანს გივარცხნე თმები...
ჩამოწვა ბინდი და ფიქრის უმალ
გაუჩინარდი შრიალა ფრთებით.

მე ბევრი ვიცი ზღაპარი ძველი,
მწველი დარდით და მწველი ფიქრებით.
ახლაც ბავშვობის ოცნებას ველი, —
და ერთი ტკბილი დარდი იქნება.

ო, მე ყველაფერს ისევ ვიგონებ,
ისევ ბავშვი ვარ, თვალდაცრემლილი,
ბინდში დავყურებ ირიბ სტრიქონებს
და მელანდება დედის წერილი.

როცა შენს ღიმილს, შენს თვალებს ვნატრობ,
როცა დამიპყრობს ოცნება წმინდა,
არ ვიცი, რატომ, არ ვიცი რატომ,
დედის კალთაში ქვითინი მინდა...

ერთი ბეღურა მიყვარდა წინათ,
ჩემი ბავშვობის ერთი ბეღურა, —
ნისლის აკვანში რომ ჩამეწვინა,
რომ ყვავილები გადამეხურა...

როცა მოთოვდა ზეცის ნაპირებს,
ჩემს ფანჯარასთან ჩუმად კვდებოდა,
გაიშლებოდა ხეზე აპრილი
და კვლავ გაზაფხულს შემოჰყვებოდა.

იქნებ ისა ხარ, — ბეღურა მშვიდი,
გაგახსენდი და კვლავ მინახულე,
გულში ჩიტივით რომ შემოფრინდი
და უცნაურად გამიზაფხულე.

1940

წამოდი ჩემთან

წამოდი, ჩემთან არ არის ცუდი,
ლექსები გითხრა — რას დაგადარო!..
დაგიწნა თეთრი ზამბახის ქუდი,
ჩემო დიდგულა, პატარა ქალო.

შორს აგიშენო თეთრი კარავი,
სიყვარულივით ჩუმი, მდუმარი.
არ შეგვაშფოთებს მეტი არავინ,
ისევ ჩვენ ვიყოთ ჩვენი სტუმარი.

ო, შენ არასდროს არ მოგწყინდება,
ჩემთან სიზმრებში ჩაგეძინება
და ცისკარივით გამიბრწყინდები,
ძილში რომ ჩუმად ჩაგეცინება.

ხან უზრუნველი მინდორთა შორის
თეთრ ყვავილებში დამემალები,
მინდორს აანთებს ვარსკვლავი ორი
და შემაჟრჟოლებს შენი თვალები...

წამოდი, ჩემთან არ არის ცუდი,
ლექსები გითხრა — რას დაგადარო!..
დაგხურო თეთრი ზამბახის ქუდი,
ჩემო დიდგულა, პატარა ქალო.

1940

კოლხური შემოდგომა

შვლის ნუკრებს თასი მოჰქონდათ,
თასი ძირგამოუცლელი,
მღეროდნენ გამარჯვებისას
ნარინჯოვანთა ფურცლები.

— მოდით, მიირთვით, კარგებო,
ჩიტის რძით სავსე თასები,
ლამაზი ბაგე ამღერეთ,
იაგუნდისა ფასები.

ფორთოხლის ხეებს მოსწყვიტეთ
ვარსკვლავიანი თვალები,
გაამოთ, ჩაიტკბარუნეთ
ბადახშანისა ლალები,
გვერდით მოისვით ქალები,
თურაშაულის ქალები...

ზეიმი ჰქონდათ რაინდებს,
ზეიმი ჯერ არნახული,

ხარობდა მიწა რძიანი,
ფორთოხლით მოჩარდახული.
გამოეჩინა ბარაქა,
აქამდე გადანახული.

ვარსკვლავებს ფერი წასვლოდათ.
ბრაზობდნენ გულმოკლულები:
ვინ გადმოჰყარა მიწაზე
ეს ვარსკვლავები ულევი?

მღეროდა თეთრი ასული,
გამარჯვებისას მღეროდა,
ნიავს გაჰქონდა სიმღერა
ასი ლერწამის ღეროდან.

მღეროდნენ რაინდებიცა
და შრიალებდნენ ხეები,
შვლის ნუკრებს თასი მოჰქონდათ
პატარა თეთრი ხელებით...

ზეიმი ჰქონდათ რაინდებს,
ზეიმი ჯერ არნახული,
ხარობდა მიწა რძიანი,
ოქროსფრად მოჩარდახული.

მღეროდა თეთრი ასული,
გამარჯვებისას მღეროდა,
ნიავს გაჰქონდა სიმღერა
ასი ლერწამის ღეროდან.

1941

ჩემს სამ ძმას, სამამულო ომის მონაწილეთ

აჰა, ეს ლექსი და გახსენება,
მთრთოლვარე გულის ნაჩუქურთმევი,
ვფიქრობ... და სიტყვა რომ მეძნელება,
სიყვარულს ბევრი რჩება უთქმელი.
ზეცას აჟრჟოლებს გმირთა ძახილი,
ძმებო, დასძახეთ თქვენც თქვენებური.
ლექსი გამქონდეს თქვენი სახელით,
გულიდან გულში ამღერებული...

ჩვენ სიყვარულში ვართ ქებულები,
ბრძოლაშიც გასჭრის ჩვენი მარჯვენა.
მე ყველა ფრონტზე თქვენ მეგულებით,
სადაც სჭექს ვაშა და გამარჯვება.
გმირები უყვარს ჩვენს დიდ მამულსა,
ჩვენს დედებს, მამებს, ჩვენს კარგ გოგონებს,
მაშ, გაუმარჯოს მტრის შესამუსრად
გულში ანთებულ ჭიაკოკონებს.

1942

ამწეები

დგანან მინდვრებში, გზებზე, გზის
გასწვრივ:
ხელაწვდილები ნიშანსვეტივით:
— გზა გახსნილია, იარე, გასწი! —
გადაშლილია ყველა წერტილი.

გადახნულია ძველი ნაცარი...
წინ გაიხედე და იგულისხმე, —
ერთი გზა არის ქვეყნად რაც არი,
გზა უკეთესი სიყვარულისკენ!

დგანან და, როგორც მომავლის ბუდეს,
აგურს აწვდიან მაღალ სართულებს,
აგურს თუ მტრედებს, თუ მტრედის
ხუნდებს,
მზის ყველა ფერით ფრთამოხატულებს.

დგას კოსმოდრომზე მაღალი ამწე,
სადღაც რთული და სადღაც მარტივი,
ხელებს შემოგხვევს და ცისკენ გასწევ,
რომ მზის ბუდეში ჩაჯდე ბარტყივით.

დგას მძლავრი ამწე, — ეს მთელმა ხალხმა
ერთ მუშტად შეკრა ათასი ხელი
და ნიშანსვეტად აანთო მაღლა,
სადაც მომავლის გზა მოჩანს გრძელი.

მე ეს დღე ავად არ მემეტება,
ამ დღის ლექსი ვარ, ამ დღის ქართული.
მაგრამ, გთხოვთ, ხვალის ნიშანსვეტებმა
სადმე დამითქვათ ჩემი სართულიც...

დგანან მინდვრებში, გზებზე, გზის
გასწვრივ,
— გზა გახსნილია, იარე, გასწი!..

1960

დილის შემოსვლა

თეთრი ნაბადით ამ შავ ღამეში
ალბათ ვარსკვლავი მოიპარება,
მოედო შარებს ცხენის თარეში,
შექმნეს ჭრიალი ღამის კარებმა.

შექმნეს ჭრიალი და გათენება
მამლებმა თქვეს და, არცთუ ადრეა,
დაიჭიხვინეს თეთრმა მერნებმა
და ღამე ხევში გადაამტვრიეს...

ამოიმართა მზე სხივნაყარი
ცეცხლის ფარით და ალის ენებით,
თეთრმა მერნებმა მკერდი ახალეს
და გადაჩეხეს შავი მერნები.

1940

ჯარისკაცი ბრუნდებოდა...

ჯარისკაცი ბრუნდებოდა,
და გზა აღარ სრულდებოდა...

— მთებო, მთებო მშობლიურნო,
გადიყარეთ ნისლები,
ვარსკვლავებო, ნუ ჩაქრებით,
ცაზე მყუდროდ ისხედით.

მწვერვალებზე თეთრი შუქი ელვარებს:
— შუქია თუ ღიმილია?
არწივების ხივილია:
— ღიმილია! ღიმილია!
— გამარჯობათ, მწვერვალნო!

— შემხვდი, ქალო, აჰ, ნეტავი,
შენს სურვილში დამახრჩო!
აგერ, როგორც შენი ლოყა,
მინდვრად იწვის ყაყაჩო!
— გამარჯობა, ყაყაჩოვ!

ჯარისკაცი ბრუნდებოდა...

ველი ღელავს, ლურჯად ღელავს,
ცას გაეკრა ცისარტყელა,
ქათიბები — სათიბები, —
დიდი წიგნის საყდე ლურჯი მუყაო.
სერზე მუხა აღმართულა

საქართველოს ამაყ გულად:
— გამარჯობა, მუხაო!

ჯარისკაცი ბრუნდებოდა,
გზა მაინც არ სრულდებოდა...

წყლისპირ ტირის ტირიფი,
ქალი დადნა შენს ლოდინში,
ახლა რაღად ტირისო!

— მე მოვდივარ, მე მოვდივარ,
— გამარჯობა, ტირიფო!

— ჩამეხვიე, მშობლიურო მიწა-წყალო,
მუხლს ვიდრეკ და შენზე ლოცვას ვბედავო!
— გამარჯობა ჩემო მიწავ,
გამარჯობა, დედაო!

ჯარისკაცი ბრუნდებოდა...

1958

გაზაფხული და ქალიშვილები

მე რუსთაველზე პირველად ვნახე
ეს გაზაფხულის უცხო სტუმრები,
რომ მარიდებენ რატომღაც სახეს,
დადიან თითქოს გულმოსულები!

გუშინდელ ცელქებს, ცქრიალა ბავშვებს,
ნეტავ სად დარჩათ ბავშვური ქურქი,
როგორ დაქალდნენ ზამთარში ასე,
როგორ შემოყვნენ აპრილის ქუხილს.

როგორც იტყვიან დასწვეს, დაღუპეს
ბიჭები, ენადალესილები, —
სულ ვერ ამჩნევენ ფერმკრთალ ჭაბუკებს
ეს ღმერთგამწყრალი ქალიშვილები.

მეც დავიღუპე! — წყვილი წყვილს მოსდევს
და დასვენებას არავინ მაცლის...
თითქოს შუქს ჰფენენ, ხატავენ პროსპექტს,
სულ უმიზეზოდ მორცხვნი და მკაცრნი.

ჩემ წინ სიმღერა ჟღერს დიდებული
და მეც აფეთქილ ბაღებს მოვყვები.
ბაღში ვარდები შეწითლებულან,
როგორც ქალწულთა წმინდა ლოყები...

დღეს რუსთაველზე პირველად ვნახე
ეს გაზაფხულის უცხო სტუმრები.
არ მარიდებდნენ ოღონდაც სახეს
და იყვნენ თუნდაც გულმოსულები.

1946

საპატარძლო

გაამზეურებს ფერად ბალიშებს,
შემდეგ ერთ მათგანს აიღებს მორცხვად,
თან გაარინდებს ფიქრი ხვალისა
და გრძნობს ლოყაზე იდუმალ კოცნას.

თანაც ყველაზე ელვარე მძივებს
ერთადერთ ბალიშს მზრუნველად აქსოვს,
მუშაობს ასე, წყნარად და მძიმედ
და ერთადერთი ბალიში ახსოვს.

თან გაარინდებს ფიქრი ხვალისა,
ვიღაც კარს აღებს, თუმც არვის ელის,
კუთხეში მოჩანს ძველი ხალიჩა, —
ამოქარგული დაჭრილი შველით.

1940

ზამთრის ღამე

სურათი

ჩამოწვა ბინდი ისე მწუხარე,
ამაღამ თოვა იქნება ალბათ,
კედლებზე ლანდებს ხატავს ბუხარი
და ჰყვება რაღაც უცნაურ ამბავს.

თვალებს მოუნდათ სიზმარში ძილი;
ჩუმად დამთვრალან სიმხურვალეში,
კუთხეში ბრწყინავს ათასი მძივით
ნაჩუქურთმევი ერთი ბალიში.

კარების იქით აბრუებს თავლას
სურნელოვანი ჩალა და ნამჯა...
ცეცხლი აზიზად ივარცხნის დალალს
და გამომწვევად ანათებს ხანჯალს.

1988

თეთრი წისქვილი

თეთრი წისქვილის იდუმალ მხარეს,
ფერად სიზმრების ლამაზ მხარეში,
სულ სხვანაირად ელვარებს მთვარე
თეთრი წისქვილის ნათელ ღამეში.

თეთრი წისქვილის ლამაზი ღამე,
კარგი ღამე და კარგი სიზმარი...
ჩასთვლემ — გაგიხელს მძინარე თვალებს
ოცნება — ღამის ნათილისმარი.

თეთრი წისქვილის ლამაზი ღამე,
წარბშეფიფქული ქალიშვილები,
ურმებთან ახლო, მთვარიან გარეთ,
ტომრები ფქვილით გალეშილები.

თეთრი წისქვილის იდუმალ მხარეს,
ფერად სიზმრების ლამაზ მხარეში,
სულ სხვანაირად ელვარებს მთვარე
თეთრი წისქვილის ნათელ ღამეში.

1988

ზარები

ბევრჯერ ავკრიფე შენი ნომერი,
ზარის ხმას ვუსმენ სულგანაბული.
ნუთუ დღეიდან აღარ მომელი
და გაწყდა სიმი გულთან გაბმული.

სად გამეპარე, მე ვრეკავ ისევ,
ვგრძნობ, დახშულ სახლში იბნევა ხმები.
ნაცნობ გზას შენსკენ ფიქრივით მივსდევ,
შენ კი არ მხვდები.

სად გამეპარე, მწვერვალებს მაღლა,
მზეზე გარუჯულს გახსოვარ იქნებ,
ან თუ ეხვევი შავი ზღვის ტალღას
და ჩემს ზღვას სხვაზე გაანდობ ფიქრებს...

გავა ზაფხული, სექტემბრის დილით,
სახტად დარჩები გაღებულ კართან;
არ გიწერია იმ ღამით ძილი,
ხმა შეგძრავს შენგან დამწყვდეულ ზართა.

1984

მოგონება

ათი წელია, რაც მიმატოვე
და გამიფრინდი თეთრი თოლია,
სიცოცხლე გსურდა და სიმარტოვემ, —
სიკვდილმა როგორ დაგიყოლია.

ვწუხვარ, გზის გასწვრივ, ვიწრო ბილიკზე
არ მესმის შენი ფეხის ბაკუნი,
შენი სიცილი, შვილო, პირიმზევ,
გულში სიმივით დამრჩა გაბმული.

ვწუხვარ და ვნანობ, დღეს შემხვდა ბაღში
ცისფერთვალება ქალწული თეთრი,
შევხედე, შევკრთი, შენ გიცან მასში
და სიმწრისაგან მეტკინა მკერდი.

აქ გაზაფხული ღუღუნებს ირგვლივ,
შენი სიცოცხლის მოსაგონარი.
რად დამორჩილდი საძულველ სიკვდილს,
სიცოცხლე ასე კარგი რომ არი!

ვფიქრობ და ვზივარ ბაღში, მახლობლად
თეთრი ქალწულის ჩავყურებ სახეს.
თან მიხარია მე შეუცნობლად,
რომ შენი მსგავსი სიცოცხლე ვნახე.

1955

ზღვასთან

აქ მაგონდები და ვკითხავ ტალღებს.
რა დავუშავე და შენი კვალი რად წამიშალეს.
შორს მზე ჩადის და ზღვის დარბაზს აღებს,
(გაწითლებულა ზღვა დამნაშავე!..)

აქ მაგონდები, ამ საღამოსაც
გელი და ვიცი, არა ხარ ახლო!
თუკი ოდესმე იფიქრებ მოსვლას...
მე აქ დაგიცდი,
მიბრძანე, ზღვასთან რომ დავესახლო...

და ვკითხავ ტალღებს.
და ვეძებ კენჭებს,
შენ რომ დაადგი ფეხი პირველად,
თეთრი თოლია მე თუ დამეძებს,
იქნებ კეთილმა გნახა ფრინველმა...

1948

შვილიშვილი

შენი შვილიშვილი იცინის ბაღში,
თუ სხვისი შვილიშვილი იცინის,
მკერდში ჩაიხუტე, მოხუცო, ბავშვი
და ნუ შეგეშინდება სიცივის...

როგორც ზამთარს მოსდევს ჭიკჭიკი მერცხლის,
ანუ, ვით ტალღას — ტალღა ფრთიანი.

შუქი შუქს მოსდევს და ცეცხლს მოსდევს ცეცხლი, —
შენს კვალზე მოდის ადამიანი.

დღეს რომ შვილიშვილი გიცინის ბაღში,
შენც ხომ ასეთი იყავი ბავშვი.
მაშ, ბებერი გული ნუღარ გიტირის,
ნუღარ შეგეშინდება სიკვდილის.

1961

იური გაგარინს

ბევრი მაქვს, ბევრი ,შენზე სათქმელი,
ჩემს მიწიერ ლექსს რა დავაბარო,
როცა ცის ყველა ლურჯი სარკმელი
შენთვის ღიაა, კაცო, ზღაპარო!

ის სიტყვა ქვეყნად არ მეგულება,
დღეს დედამიწის ზეიმს რაც უნდა,
ყველა ზღაპარი, ყველა თქმულება,
ყველა ლეგენდა თითქოს დასრულდა!

მახსოვს, ცა როგორ შეტოკდა მაშინ,
როცა სხვა შუქი შეენთო კოსმოსს,
და შენს დიდ ხმაში, ვაჟკაცურ ხმაში
კაცობრიობა უსმენდა მოსკოვს!

არა, არასდროს დაგვავიწყდება
შენზე ოცნება და ჟრუანტელი,
ამ სიყვარულში თავდავიწყებამ
ყველას შეგვმატა გულში ნათელი.

შენ გაგიმარჯოს, კაცო, რა კაცო,
ადამიანთა გონების ნებავ!
შენ, მიწის შუქო, ცად ანატაცო,
მიწის სიცოცხლევ და ძლიერებავ!

1961

გაბრიელ ჯაბუშანური

ვეფხვი

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაარალსა ვეფხვი პირგამეხებული...“

შ ო თ ა

ვით ჯოჯოხეთის ჩაკუპრული ბნელი ძაბრიდან,
შავი ხევიდან ამოვიდა ზანტი ზმორებით.
შემოდგა ქედზე. ქარაფიდან ჭოტი აფრინდა.
ვარსკვლავებს ძოვდნენ ღრუბლის თეთრი ნიამორები.

მთვარეს ევახშმა და ვეფხვის ტანს მკვრივს და ზოლიანს
ვერცხლის სხივებით ეხეოდა უცხო ზარნიშად.
თვლემდა ხეობა და დაკბილულ კლდეებს გოლიათს
ღამის სიმღერას შებღაოდა სადღაც ზარნაშო.

დაოკებული, გამაძღარი, თვინიერ სახით
დგას ქედზე ვეფხვი, როგორც სფინქსი დაურვებული,
წეღან ღრანტეში ხეტებისას დატორა ტახი
და თბილ სისხლს ხარბად დაეწაფა აღმუვლებული.

ღნაოდა ღორიც აღსასრულის ღველფით ნადაღი,
ხანაც ხრიალით ასხურებდა შავ სისხლს ყელიდან,
მსხვერპლის ხროტინით თავად ვეფხვიც სისხლანადუღი
ღმუოდა შვებით, შენაჟრჟოლი სისხლის ხველითა...

ახლა კი მშვიდი, გამაძღარი, თვინიერ სახით
დგას ქედზე ვეფხვი და გასცქერის ფერდებს ჩრდილიანს.
ორწოხებიდან ზანტი ზლაზვნით ამოდის ჯანღი
და შრუმე ხევში ჩანჩქერები ბედზე ჩივიან.

დგას ქედზე ვეფხვი. უცებ მის წინ გაირბენს არჩვი,
მყის ახალ ცეცხლით იცხრილება მხეცის სხეული
და ფსიტს, უმწეოს, დაეწევა ნახტომი მარჯვე,
ხეს ენარცხება მსხვერპლი უხვად სისხლდანთხეული...

კვლავ ხარბი ხვნეშით ეწაფება მეწამულ სითხეს
ვეფხვი და ალხენს შეხუთული არჩვის ხრიალი...
მზექალ, შენც ჩემთვის ძუ ვეფხვი ხარ, გინდ ამ გულს ჰკითხე,
თუ ვით თრთის იგი — შენი მსხვერპლი, მთლად სისხლიანი...

1960

მშვიდობით

მშვიდობით, მივალ, დე, არხვატს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი,
მწამს: თავს გაიტანს და გაიმარჯვებს
ფხა ვაჟკაცური, მიზანი სწორი!
დაიქცნენ ძველი ადათის ბჭენი,
ბინდი არ ბოჭავს გულს მარწუხივით,
გამყვება ქალაქს სურვილი შენი
და დედაჩემის ჩემზე წუხილი!
შევხვდები ბარში ვაჟკაცებს ნარჩევს,
მოვალ და ნათელს მოვიტან შორით,
მშვიდობით, ქალავ, დე, არხვატს დარჩეს
ჩემი ლურჯაის დაკრული ტორი!

1987

მიმწუხრის სიმღერა

მხრებზე შეისვეს ღამე სერებმა,
ამ გულშიც ღამის შავობს შენობა,
მოვკვდები — ბეჭზე დამეწერება
შენზე წუხილი და უშენობა...
აი, ვბერდები, დამიღარია
შუბლი ნაოჭთა მდაღავ ბანდულით,
ვბერდები... მაგრამ თან მიხარია,
რომ მრჩება გული ახალგაზრდული!
რომ ჩემს ხსოვნაში შანთით ამოვწვი
ეგ შენი სახე, ღიმილის მჩენი,
რომ, როგორც მარტვილს შავი სამოსი,
ისე მაცვია სიშორე შენი...
ო, მიხარია: როგორც მინდია,
რომ მე წმინდა ვარ, ოცნებით მქროლი,
რომ ჩემი გრძნობაც ისე წმინდაა,
როგორც ქარაფში ჩანჩქერის თქორი!
მხრებზე შეისვეს ღამე სერებმა,
ჩემშიც კაეშნის შავობს შენობა,
მოვკვდები — ბეჭზე დამეწერება
შენთვის წუხილი და უშენობა...

1956

ღილღური კატა

1

დაბერდა ჩემი ღილღური კატა,
დაზანტდა,
თვალსაც დააკლდა ციცას,
და აღარ ესმის მჯდომარეს კართან,
როგორ ხრავს თაგვი განჯინის ფიცარს.

წინათ მცირედი ჩქამიც კმაროდა,
კატა უმალვე იწყებდა კანკალს,
ის — დიდოსტატი მსხვერპლს ეპარვოდა
და ბასრი ბრჭყალის ასობდა ჩანგალს.

ახლა ყრუა და ზანტი. ერთთავად
დალიბრულ თვალებს მნათობს უწკურავს,
ვერ გრძნობს, ვერ ამჩნევს —
გაუბედავად
გვერდს რომ გაუვლის ბრიყვი წრუწუნა...

2

ო, ნუთუ, ძმანო, მეც შემდგომ წლების
ჟნდა დავჩლუნგდე,
წამერთვას სმენა
და შეღონებულს სიბერის სნებით
დამტოვებს ცეცხლი და აღმაფრენა?

დღეს რომ მაღვიძებს თვით ლექსის ლანდი
და მუზის ფრთხილი შეხება თითის,
ნუთუ ვერ ვიგრძნობ — ბებერი, ზანტი,
გვერდს რომ გამივლის სიმღერა დიდი.

1960

* * *

მე პოეტობა სანუკვარი მადლი მეგონა
და ახლა მივხვდი: ის უღელი თურმე ყოფილა,
მარჯვე სტრიქონი ყოვლისმზომი ადლი მეგონა,
მაგრამ სამყარო მეტად ვრცელი, თურმე ყოფილა.

პირველი ლექსი ამაღლება ჩემი მეგონა,
მცირე გორაკი მე მწვერვალის თხემი მეგონა,
უწვერულ ჭაბუკს, ვაჟა ჩემზე მრწემი მეგონა,
ყრმობის ოცნება თვალუხელი თურმე ყოფილა...

მე პოეზია მოუმკელი ყანა მეგონა,
წვერი კალმისა მეტად მჭრელი დანა მეგონა,
მოძმისთვის მღერა ასე ძნელი განა მეგონა,
ტანჯვა მგოსნისგან განუყრელი თურმე ყოფილა!

1961

მოყვასთან შესიტყვება

შენს სამსჯავროზე — ადგილზე თხემის —
ეს წიგნი — გულის ჩემის ნაწური —
წამოდგა წყნარად მწირი და მსხემი,
ესე უწურთნი ნაღვაწი ჩემი —
ჩემივე სისხლით არის ნაწერი.

აქ მქისედ გარქვი: ფიქრი, ქველობა,
რადგან სიჩქარემ ლეკსი დანასა,
ვერ ვპეედე — მჭირდა მოუცლელობა:
ვთიბდი თივას და ვთესდი ყანასა.

მარქვი აშკარად, არსად დამინდო,
დე, შენი სიტყვა ლომისბრჭყალება
მსჯიდეს, — ცრუ ხოტბა მაინც არ მინდა,
არც შენდობა მსურს, არც მოწყალება!

1957

იცით მე ვინ ვარ?

იცით, მე ვინ ვარ? — რომ არ ვთქვა ბევრი, —
მცირე მტვერი ვარ შოთას კალმისა,
გურამიშვილის ვარ ცოტა ცრემლი
და ერთი თასმა ვაჟას ქალმნისა...
მე ჭავჭავაძის ვარ სისხლის წვეთი,
ბარათაშვილის ვარ ერთი ოხვრა: —
ამიტომ მქვიან, ალბათ, პოეტი
და მათ მუხლებთან მიხდება მოხრა...

1960

ყალბი თავმოწონება

შორიდან მიცნო.
მხრებზე თავშალი
გადიგდო მყის და ნაბიჯს უმატა.
სწადს: გზა მიყელოს, დამწვას, აჩშალოს
და იზეიმოს მერე ჩუმადა.

ვხვდებით.
ჩერდება ცბიერი, ანცი,
ყალბად მიღიმის წყნარს და ფიქრიანს...
ყოჩაღ, გაბრიელ! გულცივად გასცდი
და ერთხელ წარბიც არ შეგიხრია!

1948

ღილღოს მთებს მწვანე ცეცხლი ეკიდა,
მაისის მზისგან შემოგზნებული.
მე დაგცქეროდი მწყემს ქალს ბექიდან —
შენი სურვილით გაოგნებული.

ახლა ღილღოს მთებს თეთრი აცვიათ,
შენს საფლავს დავცქერ კაცი ვნებული;
ქარი კითხულობს:
— მართლა კაცია?
მზე ამბობს:
— ქვაა გაცივებული...

1948

* * *

ცას რომ შეეძლოს მწუხარების ჩემის გაგება,
მზემ რომ იცოდეს: რარიგად მწვავს შენზე ნაღველი,
ან მე ძალმიძდეს, სიტყვით გრძნობის გადმოლაგება,
ან მომაგონა ჰანგი — მისი გამომსახველი, —

მაშინ მრუმე თალხს მოისხამდა ცა და ხმელეთი,
შეაჩერებდა ჩვენსკენ სრბოლას დროი მყობადი,
უკუნს გაჰკვეთდა მძლავრი მეხი ელვის ხმალითა
და შენ ქვითინით ჩემს ფეხებთან დაემხობოდი...

1951

არჩილ გურჯიძე

ნეტავ სადა ხარ?..

შუბლშეხვეული და შებოლილი
მტერს მივკიოდი ცეცხლში ხმალდახმალ...
ახლა შენ გეძებ, ომგამოვლილი,
ნეტავ სადა ხარ?..

სადა ხარ, შენით დავდივარ ქვეყნად.
შენ შემიხვიე მაშინ იარა.
შენებრ ქალობა ვინ დაიკვეხნა,
ომის გრიგალში ვინ გაიარა!

ვინ დააფარა ფრთები მტრედული
ბერლინის ბჭესთან დაჭრილ გოლიათს!
ვინ მიჰყვებოდა გმირებს მხნე გულით,
კრემლის შუქი რომ გაიყოლია!..

ეს გაზაფხული არ ჰგავს მაშინდელს,
აღარ იძვრიან მთები ზანზარით,
დიდი სამშობლო გადავარჩინეთ,
გზებზე ჩავაქრეთ ყველა ხანძარი.

ეს გაზაფხული, მზით ავსებული,
შემოშრიალდა ფრთებით მწვანეთი;
მაგრამ სად არის ის სავსე გული,
ნუთუ ვერ ვნახოთ ჩვენ ერთმანეთი...

სადა ხარ... ახლა მიწა ქართული
ირთვება, ჰყვავის დედა ბუნება...
აფეთქებული, ტანგამართული
ბაღში ატმის ხე მეჩურჩულება...

შუბლშეხვეული და შებოლილი
მტერს მივკიოდი ცეცხლში ხმალდახმალ.
ახლა შენ გეძებ, ომგამოვლილი,
ნეტავ სადა ხარ?

1950

ერთი წუთით!

ერთი წუთით, ერთი წუთით ჩადექ, ქარიშხალო,
შეაჩერე ეგ ქურანი, შმაგო, დაუმცხრალო.
შენც, მნათობო, გადაშლილო ცაზე დროშის დარად,
ო, შეჩერდით ერთი წუთით გმირთა სახსოვარად...
ჩემი ქვეყნის დიდო ხალხო, მოისადე ქუდი,
მედროშენო, ეგ დროშები თქვენც დახარეთ წუთით!
ო, დახარეთ ერთი წუთით იმ გმირების ხსოვნად,
ვინც სამშობლოს შეეწირა და არასდროს მოვა...
მტერს მისდევდნენ, მიჰკიოდნენ ზათქითა და ზარით,
ფრანგულების იყო ელვა, სისხლის ნიაღვარი.
ჯავშან-რვალის ჯახით, მსხვრევით ზანზარებდნენ მთები,
ზღვაც ღელავდა, ცაც გრგვინავდა ბრძოლით ანანთები.
და... რამდენი გმირის გულმა შეაჩერა ფეთქვა...
ვეღარ შეძლო გამარჯვების სიმღერები ეთქვა.
ვეღარ ნახა ჩაქარვული ბაღები და ზვრები,
ლაჟვარდებით დაყურსული უნაპირო ზღვები.
ფირუზ ცისქვეშ გადაშლილი ლურჯი მთა და მდელო,
ვეღარ ნახა უკრაინა, ვეღარც საქართველო...
ერთი წუთით, ერთი წუთით ჩადექ, ქარიშხალო!
შეაჩერე ეგ ქურანი, შმაგო, დაუმცხრალო.
ჩემი ქვეყნის დიდო ხალხო, მოიხადე ქუდი,
მედროშენო, ეგ დროშები თქვენც დახარეთ წუთით.
ო, დახარეთ ერთი წუთით, იმ გმირების ხსოვნად,
ვინც სამშობლოს შეეწირა და არასდროს მოვა!..

1954

შალვა ამისულაშვილი

ორი ობელისკი

კიდევ შევხვდით, რა სჯობს სიყრმის გახსენებას,
მაგრამ ფიქრი, ძმაზე ფიქრი არ მამშვიდებს;
მე დავბრუნდი, დიდ-პატარა თავს მევლება,
ის კი, ძმებო, უცხო ქვეყნის საფლავში წევს.

მახსოვს, როცა სამშობლოში ვბრუნდებოდი,
გზად შევჩერდი, აღარ ეცხოთ ლოდებს სისხლი;
ბუდაპეშტში, მშობლიური მზრუნველობით,
აღემართათ მარმარილოს ობელისკი.

ზედ ეწერა ოქროსფერი ასოებით:
„აქ უმუხთლა ბედმა მზვერავ ჯარისკაცებს“,
სადარაჯოდ შემორტყმოდნენ გარს ლომები
და ხეივნებს გაჰყურებდნენ, ჯანღით სავსეს.

სახელგანთქმულ ციმბირელთა გვარებშორის
გულმართალი ქართვლის გვარიც ანათებდა:
ძმა ვიპოვე ვალმოხდილთა სამეფოში,
თვით სიკვდილშიც ამაყობდა ამაყებთან...

ახლა აქ ვარ, უნდა უძმოდ გადავტეხო
თეთრი შოთი — დედის ხელით გამომცხვარი;
უნდა უძმოდ შევუმღერო მაღალ ჭერხოს,
ვადღეგრძელო ცივ-გომბორი საოცარი.

ნათქვამია — კარგი მოყმე ლაშქარს კვდება, —
და ისიც ხომ ლაშქრობაში დაიღუპა;
სადღეგრძელო გამაგონეთ ვაჟკაცებმა,
ჟრუანტელმა დაგვიაროს რაინდულმა.

ხედავთ ჭადარს — მარტოხელას, მოშრიალეს,
გზის პირას რომ შადრევნულად ატყორცნილა;
ფოთლებიდან ისე ასდის ოხშივარი,
თითქოს ყრმობა გაიხსენა დალოცვილმა.

როცა ჯარში, წითელ ჯარში გაგვისტუმრეს,
რა პატარა, რა ფერმკრთალი იყო მაშინ;
ძმამ სახელი ამოჭკვეთა დანით გულზე,
თუ მოვკვდეო, მომიგონოს დიდობაშიც...

ახლა აქ ვარ, ვხედავ ჭადარს — ძმის სახელი
სიყვარულით ცამდე აუმაღლებია;
მზეში დგანან ჭერმაღალი ქვის სახლები
და მწვანე ზღვა წამოსულა ბაღებიდან.

დაილოცოს საქართველოს ცა და მიწა,
მისი მტერი სადაც იყოს, თრთოდეს რისხვით,
თუ ძმას ბედმა აქ დამარხვა არ აღირსა,
ეს ჭადარი იყოს მისი ობელისკი!..

1946

წიწამურის გზაზე

გადმოვიარე მღვრიე არაგვი,
გადმომყვა მისი მრისხანე ღელვა;
ლექსმა აწყვიტა რკინის ლაგამი,
ბგერებში ჩაჯდა გაბმული ელვა.
შევხვდი წიწამურს, ფიქრები ჰქრიან...
მიწას, ნასისხლარს, მუხლი დავკარი;
ნუთუ აქ დასცა დუშმანის ტყვიამ
ქართული სიტყვის ბაირახტარი?!
ნუთუ ამ გაშლილ ქართლის კარებთან
გამოეცალა ცხოვრების გზანი,
ვის ძარღვებშიაც დამქუხარებდა
თერგი, არაგვი და ალაზანი?!

წასულან წლები, ქვეყანამ იცნო
ბუმბერაზ მგოსნის ელვა და მეხი;
სიტყვამ დალეწა ხეობა ვიწრო, —
გაიჭრა ველზე ზვიადი ვეფხვი.
დაჰხედავ ფურცლებს: აიშლებიან
ქაფმოგდებული თერგის ტალღები,
ბეჭებში ჟრჟოლა გაიშრიალებს —
და ოცნებაში ჩაიკარგები.
წახვალ, გადივლი ნაფუტკრალ ზეგნებს,
ცა იაგუნდის ფარდებს ჩამოშლის
და ვიდრე ახვალ მოლურჯო მთებზე,
მზეც გაიშლება საგურამოში!..

1987

თალარი

ისევ ისე თავმომწონედ დგას თალარი,
თუმც ოდნავი სიჭარმაგე შეჰპარვია,
ჩემი ფიქრი მასთან იყო, მასთან არი,
ვერ დაუსხლტა მის მომხიბლავ ფერთა
ბრიალს.

აქა მდგარა ჩემი ტკბილი აკვანი და...
აქ მიხილავს მზის და მთვარის დაბადება,
ცეროდენას თურმე ფეხიც აქ ამიდგამს,
ეს თალარი ჩრდილს მაფენდა დალალებად.

ბალახები, ცვარდაყრილი ბალახები
ომგადახდილს მიკოცნიან ჩექმის ყელებს,
ძველებურად მიხმაურობს დაბლა ხევი
და ატმის ხეც ძველებურად ყელს იღერებს...

მოგონებამ ძველი ცეცხლი შემომინთო,
სიხარულში ცოტა გულიც დამემწუხრა...
— ბიჭო, ჩვენ ხომ უკვდავებას
ვჩემობდითო! —
დევკაცივით აბუბუნდა გზაზე მუხა.

და ფარაჯა, ტყვიისაგან დაცხრილული,
მე თალარის ხარიხაზე გადავკიდე!
ოცნებაში გაჰქრა ნისლის ნაწიბურიც,
სიჭაბუკის მზემ დაჰხედა ხალათს კიდევ.

ჰე, ვაზებო, ჩემო სიყრმის კელაპტრებო,
თუ ჩემს გულში კიდევ სუნთქავს თქვენი
მადლი,
თუ მე თქვენგან ამღერება ბედად მერგო,
ნურასოდეს ნუ გექნებათ ჩემი დარდი...

მართალია, ომმა ომის ხმა მარგუნა,
მაგრამ ხმაში თქვენი სიტკბოც არ გამქრალა,
ჩემი ლექსი თქვენი ეშხით გაბადრულა,
თან დამყვებით მუდამ სიტყვის ყალამქარად.

განა გავძლებ, არ დავემხო თქვენს მუხლებთან
არ დავლოცო ძალა თქვენი ფესვებისა,
განა გავძლებ, ვიდგე ასე ხელუხლებლად,
როცა ქვეყნად თქვენი ნახვა მეც მეღირსა.

განა გავძლებ, მაგ ფოთლების არალუღში
არ გავხედო კავკასიის მაღალ ბურჯებს,
ან ცივ-გომბორს, ნიავი რომ ფაფარს უშლის
ერთხელ მაინც არ ვემთხვიო ამაყ გულზე.

მადლი მადლობს, ვაზზე ტევა აღარ არის,
თვალს ახარებს მთაზე ირმის შემოდგომა,
დღეს ჩემ სულშიც დგას თალარი —
ვაზმრავალი,
ოქროს ეტლით მოდი, ოქროს შემოდგომავ!

1947

გახტრიოლნთან

პირველად ვხედავ ეჟვნიან გარმონს
და ისიც ასეთ პატარა გარმონს.
დაუკარ, კარგო, დაუკარ, კარგო,
ღრეობას ეშხი არ დაუკარგო.
პირველად ვხედავ ეჟვნიან გარმონს.

პირველად ვისმენ ეჟვნების ჟღრიალს,
ამათრთოლებელ ეჟვნების ჟღრიალს,
ვფიცავ თქვენებურ დეკას და ღვიას,
ამ წუთებს მართლა სიცოცხლე ჰქვია.
პირველად ვისმენ ეჟვნების ჟღრიალს.

პირველად ვხედავ ბრიალა მთვარეს,
ზეზვას ფარივით ბრიალა მთვარეს.
გარმონს ბოლომდე გადასწი ბარემ,
დე, ცისარტყელა ეგონოთ მთვრალებს.
პირველად ვხედავ ბრიალა მთვარეს.
პირველად ვისმენ სიმღერას თუშურს,
გულის დამბუგველ სიმღერას თუშურს.
ლელას ეშხისავ, ღიმილი ნუ გშურს,
ნუ, ნუ აჰყვები ქალების ჩურჩულს.
პირველად ვისმენ სიმღერას თუშურს.
პირველად ვხედავ ამაყ ბახტრიონს,
გაფრინდაულის დახსნილ ბახტრიონს...
რომ სიხარული გადმოგაფრქვიოს,
შენსკენ აჩქარებს მთების მაყრიონს,
პირველად ვხედავ ამაყ ბახტრიონს...

ატმის ფანტელებს მოარხევს ქარი,
ბახტრიონიდან ამდგარი ქარი.
ეს იქნებ მათი ფიქრები არი,
მტერს რომ ეკვეთნენ ზათქით და ზარით.
ატმის ფანტელებს მოარხევს ქარი.
მე თუ მალაღებს ღიმილი შენი,
ლელასებური ღიმილი შენი,
მგონია, ზეზვას წარსულში შთენილს,
ამით მკვდრეთიდან აღდგომას ვშველი.
ლელას მაგონებს ღიმილი შენი.
პირველად ვხედავ დღეს თუშურ გარმონს,
პატარა გარმონს, ეჟვნიან გარმონს.
იმღერე, კარგო, დაუკარ, კარგო,
ღრეობას ეშხი არ დაუკარგო,
პირველად ვხედავ ეჟვნიან გარმონს!..

1960

შემოგძახებენ

რუხი მაგიდა, შავი სამელნე,
ვაჟა-ფშაველას ბასრი ფრანგული;
ფანჯრების მიღმა—იასამნებზე
ამღერებული წვიმის ფანდური...
მოულოდნელად შემოვარდნილი
მკვირცხლი მერცხალი ხმაშეუცვლელი;
ფიქრი, ამდგარი გმირის ლანდივით,
თეთრი კედლები, თეთრი ფურცლები...
აღეთქებული ატმის რტოები,
გაუგონარი ტრფობა, გმირობა;
ყანები, ლურჯად ტან-ნატბორები,
მთაგრეხილების მხარგაშლილობა...
სამშობლოს ზეცა, მზეში გაცრილი,
ბარათაშვილის შმაგი მერანი, —
და მუხებივით მკლავებგაწვდილი
შენი ბალღობის შთაგონებანი...
შემოგძახებენ: — გამართე მაჯა,
შენ ძარ კალამი შემონახული;
ნუ შეგაღონებს მხედრული ბარჯა,
უძილობა და ძვლების ჭახუნი.

დაუდეგარი გახსენი გული,
გადადე ხალხში საწნახლის ღარი;
დიოდეს მარად ამღერებული
ლექსის გრიგალი და ნიაღვარი...
როგორც მზის შუქი დაუცხრომელი,
ანთე მშობელი მიწის ტრფიალი;
ხარ ღვიძლი შვილი ახალ ცხოვრების,
იყავი მუდამ იმედიანი!..
უბადლო რჩევა თაფლივით დნება
და საოცნებო შარაზე რჩები;
ცისარტყელებად აბრიალდება
შენი ოთახის მაღალი ჭერი...
დაგივლის გრძნობა გამოუთქმელი,
განთიადივით შეჟრიალდები;
აიშლებიან არწივის ფრთებით
სიტყვები — ოქროს ეჟვნიანები...
დროა, თამამად გაშალო ფიქრი,
ჩაიდგა სულში სამშობლოს ღონე;
ბავშვობის ხანა გცილდება, მიჰქრის,
გასწი, გმირობის ხმა გამაგონე!..

1938

ჟიდილი სიტყვასთან

ხელს ვერ ჩაავლებ, მოიქნიო, დასცე ბეჭებზე,
ავარდეს ბუქი, გამარჯვების ძახილი გტყორცნონ;
მოიქანცები, ლამის ზოგჯერ სუნთქვაც შეჩერდეს,
და მაინც მუდამ რაინდობის წყურვილით ცოცხლობ.

მოვა და ისევ კალმახივით წავა, გაქრება,
ძნელია ძებნა საუკუნის უძირო ზღვაში,
ამოსწევ ბადეს, მხოლოდ წყალი დაისარტყლება,
მოივლის დარდი დამშვიდებულ ტალღების ტაშირს.

ქარი ქარია, თუ კაცი ხარ, ამოსდებ ლაგამს,
რაც უზამ სიტყვას, რომ არ წახდეს შენი ვაჟობა;
დადიხარ სადმე, თან ფიქრების ღრუბლები დაგაქვს,
გტანჯავს ეჭვები, მდუმარებამ ხომ არ გაჯობა.

იგი ხან ზღვების, ხან წყვდიადის ჩქერებში ბუდობს,
ხან უღრან ტყეში შეიჭრება დაჭრილ ტახივით;
აედევნები, მოგშრიალებს ხეების ურდო
და ისმის ბნელში მარეკების გადაძახილი.

გავლენ დღეები, ძლივს იპოვნი უბრალო სიტყვას,
აიმართები, მისი პოვნით ცას დაეწევი;
მდუმარე სტრიქონს ბულბულივით უგალობს რითმა,
პატარა გულში ნავარდობენ ლაღი მერცხლები.

იპოვნი, მაგრამ თუკი ოდნავ აკლია ფერი,
საკუთარ სისხლით დაამშვენებ თვითეულ მარცვალს,
მოაცლი ჟანგსაც და მოქნეულ ფოლადის ჟღერით
დაბინავდება სტრიქონებში დიდი ხნის განცდა.

1980

რევაზ მარგიანი

მირანგულა

ძველი სვანური ბალადა

— ვაი, ჩემო მირანგულა,
ძაძიანი დედა გელის,
შვილო, როგორ გაყინულა
საყვარელი კერა შენი!

... სად ხარ ნეტავ, მირანგულა?
დედა კვნესის ანათრთოლი;
მთებზე თოვლი გათანგულა
დღევანდელი დანათოვი!

ბიჭო... დედას რად ივიწყებ,
ნისლმოხვეულ კოშკში კერას? —
საახალწლოდ ჟღალისფერი
ჩოხა შენთვის შემიკერავს.

ღამეა და ველოდები
ცრემლიანი ისევ რიჟრაჟს,
აზვინულან თეთრი მთები,
თეთნულდისკენ თოვლი ჟინჟღლავს.

ქარი კვნესის და ზუზუნებს,
ცივი ბუქი ხევში ბრუნავს
და კერიაც დაგღუღუნებს:
— ნეტავ სად ხარ, მირანგულა?

ჭიანური გამჭვარტლული
მიკიდია საკარცხულთან. —
შვილო, შენს ხმას დანატრული
არ ვიკარებ ახლოს გულთან.

გარეთ ცივა... დარჩენილი
ძაღლი სადღაც მიწკმუტუნებს
და ცა, საკინძდაგლეჯილი,
ყრის ვერცხლისფერ უზალთუნებს!

... იქნებ, შვილო, გზას გადასცდი,
წაჰყევ შვავებს და ნამქერებს,
სად ხეობა ყრუ და მკაცრი
შესაზარად ჩაახველებს!

სიბნელეში სადღაც ისმის
კლდეებიდან წყლის ჩახჩახი,
ქარს გადმოაქვს კავკასიის
ნისლიანი ჩაბალახი.

შვილო ჩემო, იმერეთით
მოიტანდი პურს და მარილს,
პურს ბარაქა ექნებოდა,
მარილს — სიტკბო ლამაზ ქალის...

მიმატოვე კოშკში ობლად,
უბედობას გული ჩივის:
გზა არ არის, უგზოობამ
გადაკარგა ჩემი შვილი!

შვილი — გიჟი ენგურივით,
მხნე, ზვიადი, როგორც უშბა,
რომ დგას მუდამ შებურვილი
და ღრუბლებში შუბლი უჩანს!

გარეთ მივალ... გაყინული
ვარსკვლავები აღარ ჩანან,
მხოლოდ მთები ჩაჭიდულნი
დათოვლილი მხრებით დგანან!

გარეთ ცივა... ნისლი გაქრა,
თოვლს ვკვეთავ და შენთან მოვალ,
ხევში შვავი გადიხაფრა
და დაიწყო ისევ თოვა...

მირანგულა, შენ გეძახი,
ვერ მოვნახე შენი კვალი;
კვარი ბჟუტავს, ალბათ სახლის
დამრჩენია ღია კარი.

ღამეა და წივის ქარი,
მთები თოვლით გათანგულა;
ქარს ქვითინი მოაქვს ქალის:
— ვაი, სად ხარ, მირანგულა?

1934

მეწყერი

ძველი ამბავი

პატივისცემით იმერულით ყელამდე სავსე,
ლეჩხუმისაკენ ბრუნდებიან მძიმედ სვანები,
გზა ძველისძველი იგრიხება ღვირიშის თავზე,
გზა საცოდავი, გათელილი და ნაწვალები.

ლეჩხუმში თურმე ჩვეულებრივ ამინდს სჩვევია
იმერელივით გაფიცხება და გადარევა:
მაინც რა გახდა ეს ოხერი გამოდარება,
წვიმიანი დღე მგზავრებს გზაში დაჰბედებიათ.

მოდიან, მთელი სიმდიდრე და ავლადიდება —
მარილით სავსე თითო გუდა ზურგზე ჰკიდიათ;
წვიმს და გუდაში სანუგეშო მარილი დნება
და დამნაშავე, დამნაშავე კვლავ ამინდია!

... სოფელში ოხვრით შემოვიდნენ დაღლილ მუხლებით,
ვერ შეამჩნიეს ლეჩხუმლებმა უცხო მგზავრები,

ჩოჩქოლი იდგა უღმერთო და უზიარები,
დატრიალებდნენ დაფლეთილი ახალუხებით.

— რა ამბავია? — გაკვირვებით ჰკითხეს სვანებმა,
მიიღეს დინჯი, უკარები სახე მსაჯულის;
დაბლიდან ვიღაც მოიწევდა გადაქაჩული:
— აღარც სინდისი, არც მირონი, არც დანანება!

სვანებს უამბეს, რომ მეწყერი ყოფილა ღამით,
ცოდვილი მიწა „ნამეტნავად" გამწარებულა, —
ვინმე ოტია ჩიქოვანი მთელი სახლ-კარით
ახვლედიანის ეზო-კარში ჩაბრძანებულა!

ჩაბრძანებულა, წაუღია მამულ-დედული
და ნათლიმამის მამულ-დედულს ეპატრონება,
ვინ გაარჩიოს, რომელია გამწარებული,
ან ვისი არის ვენახი და მთელი ქონება?

...სამართალს ბჭობდნენ, გარს უვლიდნენ ბაღს და ვენახებს,
სვანებმა მიწა აღარავის აღარ არგუნეს,
თუმცა ვახტანგის კანონებიც გადააბრუნეს,
ვერც რუსი მეფის კანონების წიგნში ვერ ნახეს.

და ვერაფერი მოიფიქრეს გასაშველებლად,
რა ეთქვათ, სიტყვამ აღარ გასჭრა ზრდილობიანმა,
რა დააშავა მელოია ახვლედიანმა,
მის მამულ-დედულს, ძირს მოქცეულს, რა ეშველება?

... ვერ მიუყენეს ვერც კანონი, ვერც სამართალი,
მეწყერს სწყევლიან, საშინელი შფოთის მოთავეს,
ახვლედიანიც ეცოდებათ საწყალ სახლ-კარით
და ვერც ოტია ჩიქოვანის აყრას ბედავენ.

1936

მე უბით ვატარებ პატარა ბარათს

მე უბით ვატარებ პატარა ბარათს —
შენგან რომ მივიღე წუხელ,
ისე, ვით საუნჯე, ფარულად დამაქვს,
რატომღაც ვერავის ვუმხელ...

წუხელი ბიჭებმა გადმომცეს ქაღალდი,
იმ წამს ვავსენი თრთოლვით;
თოვდა და ჩემს მხრებზე დაფრინდნენ ფარფატით
ფიფქები პირველი თოვლის.

არ მახსოვს, რამდენჯერ გავშალე ღიმილით,
ჭაბუკი ოცნებად ვიქეც,
უცხო რაბ, ასე ვთქვათ, ვით გულისტკივილი,
დავხედე ბარათს და ვიგრძენ.

შენ როცა ამ ბარათს საჩემოდ წერდი,
მალავდი შენს წუხილს, ქალო:
დაწერილ ბარათის ორივე გვერდი
მეტყოდა, რომ კარგად ვარო!

არა ხარ მართალი! ბავშვურმა ცრემლებმა
ხომ გაგთქვეს, რას იტყვი ახლა?
ცრემლების წვეთები აქა-იქ ემჩნევა
საჩემოდ დაწერილ ქაღალდს.

არ ვიცი, რას სწუხდი, უჩემოდ ყოფნა
ვიცი, რომ ძნელია შენთვის.

არ ვარგა: გულით სხვას ფიქრობდი თურმე,
ხელით კი სიხარულს წერდი.

ნუ სწუხარ, გაივლის ომი და ქარი,
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდად,
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის,
დიადი სამშობლო წმინდა!

... მე უბით ვატარებ პატარა ბარათს,
გაჩვენებ, როცა შინ მოვალ,
და გულში, იცოდე, ვარამისგვარად
ჩამრჩება ბარათის ხსოვნა.

მოსვლამდე, ვინ იცის... უბეში მექნება
და ხშირად დავხედავ ხვნეშით:
„საველე ფოსტა, 72,
მარგიანს საკუთარ ხელში“.

1942

ჩემი კერა

ჩემი კერა ძველებური, პაპაჩემის საკარცხული,
შუაღამე, შუაცეცხლის ნაპერწკლებით გაკაწრული!

ეს თაღი და ჯიხვის რქები — ლურჯი კვამლით შებოლილი,
ეს პატარა სარკმელი და მთვარე ჩემი დედობილი!

ჩემი კერა, ჩემი კოშკი, პიტალო კლდით აგებული,
თვალებღია სათოფური, ოდნავ ამოღამებული!

ჩემი მომლოდინე დედა, ჩემი მამა მხიარული,
ჩემი დედოფალის სევდა, შემოხედვა ჭკვიანური!

ჩემი გოგო თაფლისთვალა — ჩემი ოქრო და ხათუნი,
ჩემი ტკბილი საქართველოს მზის სხივებით დახატული!

ეს აკვანი ძველისძველი, ბევრის მთქმელი და გამზრდელი,
სახსოვარი წინაპართა, გაცვეთილი არტახები!

პაპაჩემის ჩანგის ჟღერა, მოღუღუნე ჭიანური,
შორი სევდა და ვარამი, გული მუდამ მხიარული!

ეს ტაბაკი ძველისძველი, სიფრიფანა ლავაშები,
ლეჩხუმიდან მოტანილი კომშის ჩირი და ვაშლები!

ეს არაყი ნათავედი, საგანგებოდ შენახული,
ცოტაც ლეჩხუმური ღვინო, გზაში ოდნავ შელახული...

ისევ ისე თბილად დამხვდა ჩემთვის მარად სანუკვარი,
მტრისთვის მუდამ დაკეტილი, მოყვრისათვის ღია კარი.

ჩემო ზეცავ, დახატულო, მოჭედილო იაგუნდით,
საქართველოს მთებს ვიცავდი, მეც მეხურა თავზე ქუდი.

კავკასიის კართან ვიდექ, მაშინ უფრო ყრმა ვიყავი,
შემდეგ ბერლინს მივადექი, ჩემი დედა დავიცავი!

შენ ბრძოლაში მინათებდი, ჩვენო დროშავ, სხივნათელო,
ხელგაშლილი, გულგაშლილი დამხვდი, ჩემო საქართველოვ!

ახლა, როცა ჩვენს ზეცაზე ბრწყინავს მხოლოდ იაგუნდი,
მე, თქვენი ძე, ქართველებო, გამარჯვებით დაგიბრუნდით.

1946

დერეფანზე ხორბალი მაქვს...

დერეფანზე ხორბალი მაქვს ფარდაგივით გაფენილი,
ოქროსფერად დახატული, სუფრასავით გადაშლილი.
ნეტავ ბევრი ჩიტი ვნახო ასაკენკად დაფრენილი!

ჰკენკონ, ჰკენკონ, ბევრი ჰკენკონ, ასაკენკი სხვებსაც ჰქონდეს,
ნეტავ ჩემი ხორბლისათვის ერთი ვინმე გაჩნდებოდეს
და ჩემს მყუდრო დერეფანზე სამუდამო ბინა ჰქონდეს!

— მოდით, ჩემო ჩიტუნებო! მოუთმენლად გელოდებით,
დერეფანზე ხორბალი მაქვს — გადმოლახეთ ლურჯი მთები,
ხელგაშლილი მასპინძელი გულგახსნილი დაგიხვდებით...

... საყვარელო ჩემო ჩიტო, შენ როდისღა მოფრინდები?

1946

მთის კალთაზე სახლი მედგას...

მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს;

ბუხრის პირას მუხლმორთხმული,
ვით ზღაპარში, ვიჯდე მწყრალი, —
ჩემზე იყოს გულმოსული
ჩემი თეთრი დედოფალი;

ბუხარივით გუზგუზებდეს —
მხიარული მქონდეს გული,
ჩემს ბავშვობას მაგონებდეს
ცოლის ტკბილი ჩონგურული;

გასაზრდელი ბიჭი მყავდეს,
გოგო მყავდეს თაფლისთვალი,
შავგვრემანი — მამას ჰგავდეს,
დედას — მისი თეთრი ქალი;

დამეზარდონ სანაქებოდ
და მათ დაჰყვეთ დედის გული,
მამასავით იოცნებონ
საქართველოს სიყვარული.

მთის კალთაზე სახლი მედგას,
ხეც ხარობდეს ათიოდე,
იისფერად, განუწყვეტლად
ცაში კვამლი ადიოდეს.

1946

შენ გინახავს სვანეთი?

შენ გინახავს სვანეთი — შემოსილი მწვანეთი,
ჩემი ეზო პატარა, ჩემი კოშკი მაღალი,
მუხა დაბერებული, ტოტებმოღერებული,
ძველებური სიმღერა — ჩემთვის მუდამ ახალი?

შენ გინახავს სვანეთი — მთები დათოვლილები,
ჩემი კალო პატარა — ყურშას ერთი ნახტომი;
შენ გსმენია ჰანგები — ჩანგზე აწყობილები,
მონადირის გულიდან გრგვინვად ამონახდომი?

შენ გინახავს ყანები — გაფენილი ხალიჩა,
ანდა მოგისმენია სიმღერები მთიბლური?
შენ გინახავს თავშალი ერთი ლამაზ ქალისა, —
როგორც დალის დალალი კლდეზე ჩამოკიდული?

შენ გინახავს შუაღამით ვარსკვლავების ციმციმი,
მობიბინე ჯეჯილები — შემოსილი მწვანეთი?
მე, მთიელი, ქალაქში ვარ; მხოლოდ მაშინ ვიცინი,
როცა შენთან მაგონდება ჩემი ტკბილი სვანეთი.

1946

ა რ წ ი ვ ე ბ ი

შორი გზიდან მომავალი, ფრთარუხი და ფრთამალი,
ვორუდილა,
მოჭედილი იაგუნდით, არწივების მთელი გუნდი
მოფრენილა.
ჩემს ყანაზე, ჩემს სამკალზე, ჩემი მიწის დასავალზე,
ვორუდილა,
ერთმა, ჩემდა სასიკეთოდ, ხეზე ბუდე გაიკეთა
მოხდენილად.
შიგ ცხრა კვერცხი, როგორც ვერცხლი,
ვორუდილა,
სულ არავის გაუგია, ისე ფრთხილად ჩაუდვია,
მოხდენილად.
ჩემო ზეცავ, დამიფარე, სიკეთე არ დავიზარე,
ვორუდილა,
ჩემი ლურჯი ყანის თავზე, თვალწარმტაცი სილამაზე
გამოზრდილა.
ჩემს გვარს, ქვეყნის ნატვრისთვალო, სიკეთე არ მოუშალო,
ვორუდილა,
არწივები გამიმრავლე, ბოროტისგან დამიფარე,
ვორუდილა,
ცხრა არწივი ფრთაგაშლილი, ყველა გულმკერდგადახსნილი
აფრენილა. —
ერთი ჩემთვის გამიზარდე, რვა სხვისათვის გამიზარდე,
ვორუდილა,
ჩემი მიწა, ჩემი კერა, ჩემი გულის ეს სიმღერა
შეიყვარე,
ვორუდილა,
მტრის თვალისგან დამიფარე, ჩემი გული გაახარე,
ვორუდილა,
არწივების მთელი გუნდი, მოჭედილი იაგუნდით,
მოფრენილა.
ერთმა, ჩემდა სასიკეთოდ, ხეზე ბუდე გაიკეთა,
ვორუდილა,
ცხრა კვერცხიდან, ნაპერწკლიდან რა მართვენი დაჩეკილან,
ვორუდილა,
ჩემს ყანაზე, ჩემს სამკალზე, ჩემი მიწის დასავალზე,
ვორუდილა,
ერთი თვალებმობრიალე დათოვლილი მთების თავზე
აფრენილა,
ვორუდილა.

1946

მარილი

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი
და სვანეთივით სხვას ვესესხები,
ალბათ ამიტომ ქარიშხალივით
არ მქუხარებენ ჩემი ლექსები!

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი,
არ არის მყარი და ძვალმაგარი,
თუმც წინ მინთია კელაპტარივით
ჩემი სამშობლოს ლურჯი მთა-ბარი.

იქნებ! — არ ვიცი, მკლავენ ეჭვები,
სიტყვა არ მიჭრის ბასრი ხმალივით;
ვერ დავიჯერებ, ვერ შევეჩვევი,
რომ მართლა ჩემს ლექსს აკლდეს მარილი.

მაგრამ ვაითუ აქაც მიწია
ჩემმა ჯილაგმა, ჩემმა სვანობამ? —
ვერ დავიჯერებ, არ შემიძლია...
უმარილობა თუ მიწყალობა.

წავალ აღზევანს, ცხრა მთას, ცხრა წყაროს,
ძველ ურმულივით გზებს გადავივლი,
რომ საქართველოს შემდეგ ვახარო,
როგორ ვიშოვე სვანმა მარილი.

1960

როცა დავმშვიდდე...

როცა დავმშვიდდე, მაშინ მითხარი ,
რომ ჩემი სისხლი ნახე დამცხრალი;
შეუბრალებლად, განუკითხავად
შემომაყარე თვალში ნაცარი.

როცა ვიქნები თვითკმაყოფილი,
ურცხვად მოვითხოვ ვარდს და გვირილას,—
გახდი ძვირფასის უარმყოფელი,
გადაიქეცი გლოვა-ტირილად!

როცა თავს სიბრძნით მოვიმძინარებ,
საკუთარ თავში არ დავეჭვდები,
სჯობს გაატანო მაშინ მდინარეს
ჩემგან მოძღვნილი ოქროს ბეჭდები.

როცა მედიდურს მნახავ სხვასავით,
შემოფრინდება სულში დიდება,
სთქვი: — ჩაესვენა ჩემი ვარსკვლავი
და არასოდეს ამობრწყინდება!

1964

ჩემს ძველ ბინაში

ჩემს ძველ ბინაში რაღაც დავტოვე,
ფიქრი, ალერსი, დარდი, ზმანება,
ხშირად ამიტომ ვგრძნობ სიმარტოვეს
და განშორებაც დამენანება.
რაც სულს გააჩნდა მცირე ქონება,
დედას გადურჩა შეუფუთავი,
ბევრი ოცნება და მოგონება
დღეს იქ ზუზუნებს, როგორც ფუტკარი.
ვნანობ: იქ დამრჩა განძი ნამდვილი,
ღამის თევა და ბევრი ღვიძილი,
და ვერ შეფუთა ცოლმა ბარგივით
მინებს მიმსკდარი ჩემი სიცილი.

ვერც გალიაში ჩასვა ჩიტივით
ჩუმი, გულთბილი დედის ალერსი,
გახარებული ბალღის ტიტინი
და მისი კოცნა უმსურვალესი.
და ვერ აკრიფა გამწყდარ მძივივით
მიმოფანტული ჩუმი ცრემლები,
ვერ შეახვია დედის ღიმილის,
მამის ღიმილის ცისარტყელები.
ვერ წამოიღო ჭერზე მიხლილი
სტუმრის ლილეო ომახიანი,
ვერც ახლობელის ტკბილი ღიღინი
და ვერც მთაწმინდის გრილი ნიავი.

ვერ წამოიღო ჩემი ქუხილი,
ბგერები ჩემზე გაბუტულები,
ხან სიხარული და ხან წუხილი,
ბარტყივით სადღაც მიყუჟულები.
იქ დამრჩა სევდით და აღტაცებით
სიზმრად შეთხზული ბევრი შაირი,
ამოლამბული სიტყვის ძაფებით
და პოეზიით სავსე ჰაერი.
იქ, ძველ ბინაში, რაღაც დავტოვე,
ფიქრი, ოცნება, დარდი, ზმანება.
ხშირად ამიტომ ვგრძნობ სიმარტოვეს,
„დავდივარ... ვწუხვარ და მენანება!“

1960

ნინო ჟღენტს

რა დრო გასულა! გახსოვს მტვრიანი
ორმოცდაერთის ცხელი ივნისი?
იდგა ზაფხულის ორომტრიალი,
მზეში იწოდა დედა-თბილისი.

არ შეიძლება, რომ არ გახსოვდეს:
ცაზე არ იყო ერთი ღრუბელიც;
ერთად ვთქვით: — ახლა ან არასოდეს...
ერთად დავიდგით ქედზე უღელი.

შენს ხელში თრთოდა კონა ყვავილის,
აფეთქებული, როგორც მაშხალა,
მე ვბრიალებდი ცეცხლის ალივით,
წინ კი... სავალი გვედო გზა შარა...

შემდეგ ცხოვრებამ სად არ გვატარა,
ბევრი ოცნებაც სიმწრით განაბა
ყინვამ, გრიგალმა, ქარმა, თაკარამ,
ათასნაირმა დავიდარაბამ.

და არც შიმშილი იყო ადვილი, —
ვიკვებებოდით ხშირად ნუგეშით,
პურის წიგნაკი — ოქრო ნამდვილი
ავგაროზივით გვედო უბეში.

რა ვუყოთ... მაინც გაჩნდა იმედი,
ოჯახში გაჩნდა შუქი სხვაგვარი,
უსინათლობას ვის ვუჩივლებდი, —
თოვლი ეგონა ჩვენს შვილს შაქარი.

ხელმოკლემ მამას ვერ ვუმკურნალე, —
ეს დარდი დამრჩა განუკურნელი.
გვციოდა. ცეცხლში ვყრიდით ჟურნალებს
და წუთით ცხელი იყო ღუმელი.

შენ ჩუმი იყავ, ვით გულთმისანი,
ჩვენ ყველაფერი გვძაგდა მდიდრული,
ბედის წინ, როგორც კითხვის ნიშანი,
უხმოდ ვიდექით თავჩაქინდრული.

ხან სიხარულის გვწვავდა ალმური, —
ხანდახან ისიც გვყავდა გადიად;
გვიან გავიგეთ, ეს სიხარულიც
რომ ყველა ტვირთზე უფრო მჩატეა.

ჩვენ კი არ გავხდით მაინც პურძვირი,
ვებრძოდით ავდარს და უსახსრობას,
პატარა ლუკმა ნემსის ყუნწივით
ჩემს გონებაში ჩარჩა სახსოვრად.

ძვირფასო, შემრჩა ბევრი ნაჭდევი,
მითხარი, ხომ არ გეხამუშება?
სადაც არ ვიყო, ჩემთან გაჩნდები,
ჩემი ჭრილობის მოსაშუშებლად.

და მაინც, ხედავ, ვსუნთქავ წარსულით,
სიჭაბუკის წლებს ვეძებ ბურანში:
შენ — თეთრი კაბით, თეთრი ასული,
მე — აკოკრებულ შავი ულვაშით.

1961

ჯიხვი

შენ აქ რა გინდა! თვალს მექუფრება,
თოვაში დაღლილს არ მესვენება, —
როდის დაჰკარგე თავისუფლება,
კავკასიონის ლაღო მშვენებავ?

მე კარგად მახსოვს: იყავ ამაყი,
ფეხმარდი, სწრაფი, მხნე და დიდგული;
მხოლოდ რძე იყო შენი ბალახი,
ყინვარის სუსხით გადაფიფქული.

შენ ტყვე ხარ ახლა... გტანჯავს ტყვეობა
და დამონებას ვით ურიგდები?
გადაივიწყე თერგის ხეობა,
თუ იქით ჰქრიან შენი ფიქრები?

თოვს უცხოეთში. თოვლი ფუსფუსებს,
მოუძებნიათ ბინა ბეღურებს.
თითქოს ვერ ამჩნევ თოვლის ბუსუსებს
და ცას ნაღვლიან თვალით შეჰყურებ.

იქნებ წყურვილი გკლავს მთა-გორების,
თავს გეხვევიან უცხო ბავშვები...
შენ ხომ მზეს რქებით მიაგორებდი
და ღამით მთვარეს ათამაშებდი!

ნუთუ მართლა ხარ ბედის მორჩილი,
ოდესღაც ჩქარი, დაუდეგარი;
არ გენატრება ტყე აქოჩრილი,
მჟავეწყლიანი ჩვენი კლდეკარი?

რა იქნა შენი მუხლი მაგარი,
რომ კლდიდან კლდეზე გადაიგრგვინო,
მზის შესახვედრად ცაზე დამდგარო,
კავკასიონის ოქროს გვირგვინო!

გული რას ამბობს, გული ბედკრული,
შორს დაგრჩა შენი ძვალშასალაგი.
არ გენატრება შენი ენგური,
არ გენატრება შენი არაგვი?

შენ რქები მზეში გქონდა დამწვარი,
ცას შესცქეროდი ლოცვა-კურთხევით,
ყელზე გეხვია ელვის ბაწარი,
ფერხთით თბებოდნენ შენი შურთხები.

გამოიგლოვე თავისუფლება
და ნუთუ მართლა არ გენატრება?
იქნებ მზადა ხარ შავ-შავ ღრუბლებზე,
კავკასიონზე გადასაფრენად!

შენ დალის მიერ ხარ მონათლული, —
შენს დამონებას როგორ ვუმღერო,
სამშობლოსაგან გადაკარგულო,
ცას მოწყვეტილო ციცქნა ღრუბელო!

ბევრი კლდე დაგრჩა, ბევრი ნაპრალი
უშბის კალთაზე გაუხლეჩავი.
ვაი რომ ჩემს წინ დგახარ საპყარი
გარინდებული, სუსტი, ბეჩავი.

იქნებ ეს თოვა შენს გულს ახარებს, —
თოვაში ხარობს ხშირად ოცნება,
იქნებ მისთვისაც თავი დახარე
მოგონებათა გასაცოცხლებლად.

საქართველოში მივალ ხვალ დილით,
გადავიღალე ამ ორ კვირაში,
ცხრაჯერ მეჩვენა დედის მანდილი,
ცხრაჯერ მეჩვენა უშბის მირაჟი.

ობლობას გული ვერ მიეჩვია?
რამ შეგიცვალა მაინც გუნება!
შენ მონადირის ტყვია გერჩია
ასეთ სიცოცხლეს, დაუძლურებას.

შენ რომ სხვაგვარი ბედი გწვეოდა,
დაგიტირებდა ჩვენი ჩანჩქერი
და შენს თვალებში ჩაიმსხვრეოდა
ჩვენი კამკამა ზეცის ნაჭერი...

თოვს უცხოეთში... უფრო თოვდება.
ვნაღვლიანდები ასეთ თოვაში.
უნდა დაგტოვო, — შინ მელოდება
ჩემი შხელდა და ჩემი გორვაში.

შენ ალბათ სიზმარს ნახავ ამ ღამით,
გულჩათხრობილი დაინისლები.
თანდათანობით მწარე ბალღამით
აივსებიან შენი სიზმრები.

ჩემი თვალები მოგაგონდება
ნაპერწკლიანი ფიჭვის კვარივით...
როგორ დამებნა მოულოდნელად
შენთვის გაწვდილი პეშვი მარილი.

ეს რანაირი სევდა შემყარე
და სული ქარებს გააწეწინე;
თვალებზე ცრემლი რად გაქვთ შემკრთალი
სამშობლოსაგან გადახვეწილებს?

სიცოცხლე არ ღირს, თუკი უღელი
ქედზე არ გადგას შენი კლდეკარის,
თუ შენი ქვეყნის მზეს არ უცქერი,
თავისუფლებას თუ არ შეჰხარი!

1965

ოია ოიალე

ოია ოიალე,
გული მხიარული, ვაზი მსხმოიარე,
ყანა თავდახრილი მიიარ-მოიარე.
ოია ოიალე.
ოია ოიალე,
შუქი იმ მთვარისა
მხოლოდ ნამცეცია ძველი სიზმარისა,
ახლა ფოთლებზე რომ თრთის და შარიშურობს.
ძველი წამებისა, ძველი სიმწარისა,
გახსოვთ კიდევ რამე, მაღლა, ზეცის წიგნში,
ძველო სტრიქონებო, ჩემო ჩანიშნულო.
ოია ოიალე.
ოია ოიალე,
ცხრა მთა მოვიარე და გზა დიდებამდე
კიდევ შორი არი.
ოია ოიალე.

შენი ქებათქება ისევ მენატრება,
ისევ მომინდება შენი შემართება,
თვალთა შენათება,
ოია ოიალე.
ოია ოიალე,
ისევ სიხარული, ისევ მორიდება,
სადღაც მიმალული შუქი მომინდება,
ზეცა მოციმციმე ვარსკვლავმსხმოიარე,
ოია ოიალე.

1962

ბ ი ბ ა

მთიბლური

ბიბა, ბიბა, ეს სათიბი მსურდა, გამეთიბა,
მაგრამ ყვავილს გაიმეტებ გასათიბად, ბიბა?!

ბიბა, მქონდა ბასრი ცელი, ავი, სავსე ბრაზით,
ელვასავით მოუღლელი, ელვასავით ბასრი.

ყვავილი ვერ გავიმეტე და ვერ გადავცელე;
ბიბა, რაზე ჩურჩულებდა დაუღლელი ღელე?

ბიბა, ეს კლდე დაკბილული ვინღა გადაქლიბა?
ბიბა, სათიბს ვინ ჩააცვა ასე ჭრელი დიბა?

ან ეს მთები ვინ შეჰყარა, ან ვინ შემოკრიბა,
ან მათ მხრებზე მზე—ცხრათვალა ვინღა დაამწიფა?!

ბიბა, ამ მზემ ადრიანად დაამწიფა ჟოლო,
წითელ თვალებს აბრიალებს სათიბების ბოლოს.

ბიბა, მსურდა, მომეთიბა, მაგრამ ვერ გავბედე, —
მერე როგორ შევხვედროდი ყვავილების დედებს?!

ბიბა, ვეღარ გავიმეტე, გული დამეთუთქა,
უყვავილოდ დავტოვებდი განა მუშა-ფუტკარს?!

ბიბა, ბიბა, ეს სათიბი მსურდა, გამეთიბა,
მაგრამ ყვავილს გაიმეტებ გასათიბად, ბიბა?!

1969



ალექსანდრე საჯაია

წყარო

შევდივარ მწვანით დაბინდულ ტყეში,
წყარო კისკისებს, ტყე კი წყნარია...
კრიალა წყალით ავივსე პეშვი
და ვთქვი: ესეც ხომ ჩვენი წყალია!
ჩვენია! მკერდზე გადამასხურეთ,
რომ უკვდავების ვიგრძნო გენია...
ჩემთვის ენძელებს, ქერა ასულებს,
ბილიკზე მწვანე გაუფენიათ.

ჩვენია! ვარდებს ფერად-ფერადებს
წყარო და ჩერო აურჩევიათ,
ჩვენი ქვეყანა მთიდან ველამდე
და გაზაფხულიც ისევ ჩვენია.
დავხუჭავ თვალებს: ტრფობით დამთვრალი
მე ჩემს სამშობლოს მივიკრავ გულთან...
ძმებო, გული მაქვს ცამდე მართალი
და მთის წყაროზე ათასჯერ სუფთა.

1936

სამშობლო ჩვენია!

დაეცი, შენი ცა დაგნათის...
ნამიც ხომ იარებს გისველებს;
სისხლიან მაჯაზე საათი
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.
განა ჩვენ გაქცევა გვჩვევია, —
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ,
კაპიტან, სიცოცხლე ჩვენია!
ჩვენია სამშობლო, კაპიტან!

ასეთი სიცოცხლე სად თქმულა,
ბრძოლაში ენთო და იწვოდა,
სიჩუმე ვით შესძლო ამ გულმა,
იმგვარი ხმაური იცოდა.
დაღამდა. ძნელია ატანა;
იტირო — ვარსკვლავნი გისმენენ,
დაღამდა. ისარი პატარა
ჩურჩულებს, ჩურჩულებს ისევე.

რა იყო, დღეს წამმა თითომა
იფეთქა და ხანძარს ვინ მოსთვლის...
დღეს იგრძნო პაწია ლითონმაც
გენია სამშობლოს სიცოცხლის,
რომ ჟამი გმირობის დღისთანა
არ არის სხვა, ენით უთქმელი...
რომ ბევრი წუთები ითვალა
და არსად ასეთი წუთები;

რომ მარად, დღეა თუ ღამეა,
წამი წამს გაბმული არ იცდის,
რომ ერთი ძვირფასი წამია
სიკვდილი სამშობლო მხარისთვის.
ჩვენ განა გაქცევა გვჩვევია,
გავარღვევთ, გავშლით და გავიტანთ.
კაპიტან, სამშობლო ჩვენია!
ჩვენია სიცოცხლე, კაპიტან!

1938-42

ოლეგ კოშევოი

წამებისაგან ჰაღარავდებოდა თექვსმეტი წლის
ოლეგ კოშევოი, სიკვდილის წინ იგი მღეროდა.

მხრებზე უკვდავების ნათელი გენთება,
შავ სახრჩობელასთან ამაყად დგები.
ერთი ნაბიჯი და უფრო გათეთრდება
ქარში ღრუბელივით გაშლილი თმები.
საყვარელ სიმღერას მღერი უშიშარი,
ხმების ჟრუანტელი ირხევა ველად.
და მთებზე, კორდებზე წუხილის ნიშანი,
მძიმედ დაძენძილი ნისლები ღელავს.
შენ ტკივილს და კვნესას არა ხარ ჩვეული,
მონობას სიმღერით სიკვდილი გიჯობს,
დასჭექე, დასჭექე ჰანგები რჩეული,
ოლეგ კოშევოი, პატარა ბიჭო!

შენ ხომ სიმღერისთვის იყავი გაჩენილი,
ახლაც ლექსის შხეფებს ვარსკვლავებს ესვრი
და სახრჩობელაზე ფეთქავს ჩანჩქერივით
თვით შენი სიცოცხლე — მგზნებარე ლექსი.
წამში გაიარე ასი წლის სავალი,
ამაყი ფიქრებით გათეთრდი ბავშვი;
დაკოდილ გულიდან სიმები მრავალი
დაშლილ-დაწყვეტილი წკრიალებს ქარში.
ჩვენს გულში ჩავმარხეთ შენი ხმის იერი,
ჩვენ კვნესას კაცური სიკვდილი გვიჯობს,
იმღერე სიმღერა ყველაზე ძლიერი,
ოლეგ კოშევოი, პატარა ბიჭო!

1948

ცისარტყელა

განა იმისთვის ვეწამე ამდენს,
რომ განშორება მეგლოვა ბოლოს.
შენი ბაგენი ალუბლებს ჰგავდნენ,
მეც ალუბლები მიყვარდა მხოლოდ.
მჯერა: ნიავიც ამაოდ ქროდა,
არ მსურს, ამაოდ, ვარსკვლავი ვთვალო...
შენ ღვინისფერი თვალები გქონდა,
მეც შავი ღვინო მიყვარდა, ქალო.

ჩვენ თვითონ ვნახეთ ბავშვი მოცარტი,
ფერად ყვავილებს ფანტავდა ქარში,
იღიმებოდა და საოცარი
მე ცისარტყელა მიყვარდა მაშინ.
ვინ იცის, მოვა კიდევ შხაპუნა?
ვიცი, ერთხელაც იქნება გვიან...
მე შენმა ზეცამ ცვარი მაპკურა.
მე უშენოდაც მიჯნური მქვია.

1988

სოფლელი ბიჭი

სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ჭილოფის ქუდი მეხურა.
მდელოზე წამოვწვებოდი
და ვოცნებობდი გლეხურად:
— ნეტავ მე მომცა ის ზეცა,
ვარსკვლავი დამაკრეფინა,
იფნებთან ქარის ჩურჩული
მარტო მე გამაგებინა;
თეთრად კაშკაშა მწვერვალზე
კოშკები ამაგებინა.
— ნეტავ ჩემი ქნა ის ქალი, —
გულში ვამბობდი გლეხურად;
კომკავშირელი ვიყავი,
გულს დარდი აღარ მებურა,
სოფლელი ბიჭი ვიყავი,
ჭილოფის ქუდი მეხურა.

1939

ძველი ჩონგური

ნიავს ვუსმენდი: ჩუმი და ტკბილი
ხმა შორეული ჩამწვდა გულამდე;
ჩავიმღერე და ჩავყევი ბილიკს
და ისევ ნიავს მივაყურადე.
წინ იყო მარტო სიბნელის ფარდა,
ტყე-ველი, მუქად გადანაფერი!
სხვა არაფერი, სიმღერის გარდა,
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი.
ვთქვი თუ: ვინ არის, ხმა სადაური?
(ვერხვებსაც სურდათ, იქნებ, გაგება),
ხევ-ხევ გაჰყვება, მთას გადაუვლის,
და ვარსკვლავებში გადიკარგება?
მღერის, მზე ტრფობით როგორ იწვოდა,
როგორ იბრძოდა გმირი ლომგული,
ჩონგურმა ძველად ცრემლი იცოდა,
ნახეთ, რას მღერის ძველი ჩონგური:
ღამე ლამაზი ბევრი მინახავს,
მთვარეც, მთა-ველიც გადანაფერი...
ეხ, არაფერი არ მინდა ახლა,
მხოლოდ სიმღერა, სხვა არაფერი!

1939

ასეთი ტაში

აჭარა, ჩემი პატარა ნავი...
მე მუდამ ზღვისკენ მიყვარდა მზერა,
აქ საღამოთი ტალღები ჰყვავის
მეწამულის და მაისის ფერად.
გვიან წითელი ღრუბელი მოჩანს,
ტალღა წითელ შუქს მოათამაშებს...
მე მინატრია: იგი ცა დროშად,
ოქტომბრისათვის წაგვეღო ბავშვებს.
აჭარა, ჩემი პატარა ნავი...
პატარა ქალი ზღვის პირად მიდის.
ზღვა და ზვირთების კრიალა ხვავი,
ტალღა მღელვარე და ტალღა მშვიდი.
მიდის, იფეთქებს და იწვის ცაში
ფერები ვერცხლის, ფერები შვინდის.
მეც მინატრია ასეთი ტაში,
ტალღა მღელვარე და ტალღა მშვიდი.

1940

ზამთარი

ვიყავ კახეთში, თოვაში ვიყავ,
ვამაყობ ხალხით, გზით და ნახულით.
მე ოდიშური ზამთარი მიყვარს,
მაგრამ მაოცებს უფრო კახური.
ღამე არ ტირის ქარი ობოლი,
ბაკურციხეში ღამე არც ცივა.
გვიან დაჰბერს და დიდი გომბორი
დაიგუგუნებს: „ბერიკაცი ვარ...“

გვიან დუდუნებს სახლი ყოველი,
წამი — და კახეთს სიფიცხე დაჰკრავს.
იდარა, გული რიჟრაჟს მოელის,
ინათა, ახლა ფანდურმა რა ჰქნას?!
ღვინო აცოცხლებს ვარსკვლავებს ჩამქრალთ.
ახალი მთვარე კახეთს უყურებს.
ასეთ ღამეში ფანდურმა რა ჰქნას,
როცა ბუხარიც ასე ღუღუნებს?!

1940

ბორის ძნელაძის ძეგლთან

ათოვს ღამეს და თეთრდება,
ტანდაყურსულ ნაძვებს სცივათ;
ფოთლებიდან ნაფლეთებად
გაცრეცილი ბინდი სცვივა.
ჭირხლიანი ღამე ურჩობს,
შლეგი ქარი კვნესის მწარედ,
კვიპაროსის უცხო ჩურჩულს
ქარიშხალი ასამარებს...
ის კი, მარად მხრებგაშლილი,
ეგებება ქარს და ყინვას,
მთვარეც, დაშნის ქარქაშივით,
დავერცხლილი თეთრად ბზინავს.

ის მუნჯ ქვისგან გამოჭრილი
გადაჰყურებს ტანთეთრ მხარეს.
მისი შუბლის ნაოჭივით
შეჭმუხნულა ზამთრის ღამე.
მხრებს ფანტელი ეფანტება
და ქვის სახეს სუსხავს თითქოს,
ქვა, ქვევიდან მონამტვრევი,
თითქოს ფრონტზე დგას და ფიქრობს.
აგონდება ცეცხლის ენა,
ჰორიზონტზე წამლის ბური,
შორეული ტყვიის სტვენა
თუ ცხენების თქარათქური...

1935

თოვლის ქალი

ჩემი და თეთრი თოვლის ქალია
და უყვარს მარტო თოვლი და თოვა.
იგი ლაჟვარდის ერთი თვალია
და გაზაფხულზე ენძელად მოვა,
ჩემი და თეთრი თოვლის ქალია.

მან იცის ჩემთვის სიმღერა ერთი
და რომ მიმღეროს, თურმე, რცხვენია,
მან შეინახა ცრემლები ჩემთვის,
მაგრამ არასდროს არ უცრემლია.

ჩვენი ამბავი ულამაზესი
ერთხელ ნიავმა თურმე გალექსა,
დას ნიავივით, სურდა ალერსი,
მაგრამ შედრკა და არ მიალერსა.

და განა მისთვის ვწუხდი ძალიან,
და განა მუდამ იქნება თოვა?
ჩემი და თეთრი თოვლის ქალია
და გაზაფხულზე ენძელად მოვა.

1938

სვანური მოტივებიდან

საღამოთი შველი გადამეღობა,
ას წელიწადს მაძებნინა კვალი;
მთვარედ მექცა, ვარსკვლავებში შეტოპა,
მივდევ ელვის მოგიზგიზე ხმალით.

სალოცავად ქართველობა მეყოფა,
საფიცავად შენი თაფლის თვალი.

უშენობით გული დამიმიწდება,
დევის მკლავებს წაერთმევა ძალა;
კვალდაკარგულს ფეხი გადამიცდება,
გავტყდები და მომაშველებ დალალს;

მთის კაცი ვარ, ხელი ცამდე მიწვდება,
ქარის მუხლით მოგეწევი, ქალავ.

დავიწვი და ენგურსა ვთხოვ მეგობარს,
მომასხუროს მკერდზე წმინდა წყალი.
შენი შუქი ბნელში გადამეღობა,
ღრუბლებზედაც ვრახე შენი კვალი.

საამაყოდ ქართველობა მეყოფა,
საფიცავად შენი თაფლის თვალი..

1944

თოვლი თოვს

თოვლი თოვს. თეთრი ქარია,
თეთრ სამოსელით ვირთვები.
ჩიტებო, რა გიხარიათ,
რისთვის მღერიხართ ჩიტები.
დიდი ზამთარი იქნება?
ნეტამაც ასე ინებოს!
თქვენ მაინც რა გეფიქრებათ,
რა გენანებათ, ჩიტებო?

გადივლის, დაიფარება
ფიქრებით, თოვლის ქულებით...
თქვენ მაინც ვინ გეყვარებათ
ამ პაწაწინა გულებით?
თოვლი თოვს, უფრო თოვდება,
თეთრ სამოსელით ვირთვები,
მივდივარ, აღარ მშორდება
მკერდგაღეღილი ჩიტები.

1936

მამია ვარშანიძე

* * *

სელიმ ხიმშიაშვილს, ვინც დედასაქართველოსთან
აჭარის შესაერთებლად იბრძოდა.

ვინც მოსჭრა თავი დიდებულ ქართველს,
ვინც მოსჭრა თავი ნაჯახით სელიმს,
მძაგს, მეზიზღება სახელი მათი,
დავალ მრისხანე თვალებით სველით.
ერთია ჩემი ფიქრი და სუნთქვა,
გინდაც, ჯვარს მაცვან, ვერ შევიყვარებ,
ვერ შევიყვარებ შაჰსა და სულთანს,
ვერ შევიყვარებ მე მონგოლ ყაენს.
ვირწმუნე ესე პატარა ბიჭმაც
და ვთქვი ხმამაღლა და არა კრძალვით,
მძულს, შამქორს მაჯა ვინც გადამიჭრა,
ვინც გადამიჭრა ძარღვები კრწანისს.
გმადლობ, ქართული სისხლი დუღს ჩემში,
სისხლი შავშური, სისხლი ლაზური...
სულო, აღზევდი, სულო, აეშვი,
მძულს ცა ნისლებით გადარაზული.
მამულის მერმისს ღმერთს ვეაჯები,
მაწამებს ყველა ჯვარცმულის ბედი.
დავლეწოთ ყველა ციხე ქაჯეთის
და მზით გავავსოთ თვალგასახედი.

სოფელი პირიმზე

ჩემო სოფელო, იყავ პირიმზე
და შურდათ შენი აღაღანება;
დაგკლეს ხარივით, შენი ჭირიმე,
მე ახლაც ვტირი იმ დაღამებას.

ძნელია ყოფნა თურქის ქარაფთან,
სისხლი, წამება, გესლი კაენის...
მაინც ჯეჯილი მუდამ გფარავდა,
და ეზო-ეზო სძოვდნენ კრავები.

მაინც გეყარა პირზე ყვავილი
და მტრის ჯინაზე მაინც სუნთქავდი.
შენ ცოცხალი ხარ, ჩემო პირიმზევ,
გადაშენდა კი ბევრი სულთანი...

შენ ხომ აღზევდი, შენი ჭირიმე,
ვარდებში ელავს შენი გუთანი.

1961

პატარა ღელე ჩვენს შორის ტირის...

—გუბაზ!—უჩურჩულებ გულისტკივილით,
მწყურია გაღმა გადმოძახება.
მე შენთან მინდა სიცოცხლე ტკბილი
და ლაჟვარდებში თვალის გახელა.

ვინ გაგარიდა შენს დედა ენას,
რად გინდა, ძმაო, უცხოთ სესხება.
სხვა არ გვყოლია არასდროს მწვრთნელად
ჩვენ აღვაშენეთ ოშკი მესხებმა.

ძმა მიმიხვდები ხვაშიადს გულის,
შენც გელანდება ლაჟვარდი დილის.
ახლოს ხარ, მაინც ხარ დაკარგული,
პატარა ღელე ჩვენ შორის ტირის.

1964

ლადო ასათიანი

სალაღობო

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, —
ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, —
ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა.

„კაცის გული ისეთია,
ვით მორევი შავი ზღვისა:
რაგინდ კარგი ცოლი ჰყავდეს,
მაინც ენატრება სხვისა!“

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლაში დაიხარჯოს!
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

დაუკარით! ჯერ ხომ სისხლი გვიდგას ძარღვში,
ჯერ ხომ საროს ფოთლები არ გასცვენია,
ჯერ ხომ მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში
საქართველოს ცხელი გული ასვენია!

დაუკარით! და იმღერეთ ისე მაგრად,
რომ ფილტვები გვეტკინოს და დაგვებეროს!
დაუკარით, რომ ჭაბუკნი ვიყოთ მარად,
რომ ცხოვრებამ ვერასდროს ვერ დაგვაბეროს!

დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი,
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში,
მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებ,
დავიღლები საქართველოს სიყვარულში,
სასთუმალზე ერთხელაც არ დავიძინებ!

დაუკარით! მოასწარით, თორემ ჰერი...
და სიბერეც ძუ მგელივით მოგვიხტება.
დაუკარით ძველებური მოსალხენი:
— შავგვრემანებს შავი ჩოხა მოგვიხდება!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
საათნოვა რომ მღეროდა შაითანთან,
დაუკარით! განა ყველა ლოთი არი?!
განა ყველა სიყვარულით დაიშანთა?!

დაუკარით ძველებური ლოთიანი,
თორემ დარდი ღრუბელივით გასივდება,
გაფრინდება სიყმაწვილე შფოთიანი,
წრფელი გული, ცხელი გული გაცივდება!

„ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი უნდა ხისანი,
თვალნი ქორებულ მხედველი,
ზედ მუხლნი შავარდნისანი“.

ხომ ლამაზია ეს ჩემი ცოლი, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა —
ატმის ხესავით აფეთქებული და მოქნეული გავაზივითა.
ხომ ლამაზია ეს საქართველო, მაგრამ მე უფრო ლამაზი მინდა, —
ფართოდ გაშლილი და მოხატული თამარ დედოფლის დარბაზივითა!

1940

კრწანისის ყაყაჩოები

სამასი არაგველის ხსოვნას

ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.
შავჩოხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია!
ეს სისხლი არის თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია?
შავჩოხიანო ვაჟებო, ასე რამ გაგახალისათ,
ჟრიალი ხომ არ მოგესმათ ოჟა ჯურხაის ფარისა?
სიმღერა ხომ არ მოგესმათ პატარა კახის ხმალისა?
იქნებ მე თვალი მატყუებს, ზეცა მაბრმავებს კრიალა,
მაშინ თქვენ თვითონ აღსდექით და მარქვით ომახიანად.
თუ არც ყაყაჩოს ცეცხლია და არც ახალი იარა,
მაშ ეს ბებერი კრწანისი რა ძალამ ააბდღვრიალა?
ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა,
თქვენ საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა!

1940

არ ვიცი ასე რამ შემაყვარა

ყველა ხევსური და ყველა სვანი,
ქართველი ქალი თვალებმაყვალა,
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!
მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა,
ცოცხალი არვინ არ მიიკარა,
მე ფიროსმანის ქუჩაზე ვცხოვრობ
და ყოველ დილით ვხვდები ნიკალას.

ძილგატეხილი და არეული
ჭიქა არაყით გაიხსნის მადას,
მერე შეკრთება, ვით მთვარეული,
და ორთაჭალის ლამაზებს ხატავს.
ქართული ზეცა, ქართული ზვარი,
მტკვარი მღვრიე და მტკვარი ანკარა...
ჩემი თბილისი და ფიროსმანი,
არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა!

1989

საქართველოში

საქართველოში იბადებოდნენ
და შემდეგ მუდამ წუხდნენ ამაზე;
„ეხ... წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

თავს არ მოიკლავს ქართველი, არა,
ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს,
ერთი იმედით: სიცოცხლე მარად
გაგრძელდეს ქვეყნად და განმეორდეს.

საქართველოში როცა კვდებოდნენ,
უფრო და უფრო წუხდნენ ამაზე:
„ეს, წუთით მაინც დაბრუნდებოდეს
ჩვენი ბავშვობა და სილამაზე!“

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს,
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!

ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვტოვებთ სიცოცხლეს!

რადგან სიცოცხლე ასე ნავარდობს,
სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ.
და იმ ბედნიერ დღეს გაუმარჯოს,
როცა ჩვენ გავჩნდით ამ ქვეყანაზე!

1980

ქართული ენა

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!

მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა —
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა,

მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,

გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება —
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!

უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,

სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,

ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში.

როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა სთვლემენ სასთუმალთან...

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

1948

მანანა ორბელიანის სურათზე

შენ, შაოსანო, შავთვალავ, შავ სამარეში გძინავს,
ჯერ კარგად არც კი გამთბარა ჩემი პატარა ცირა.

შენი სახელი დავარქვი, მინდა შენ ბგავდეს მარტო,
ერისთვის ქალო, ფიქალო, ადრე დამჭკნარო ვარდო!

მინდა, რომ შენებრ ელავდეს და იყოს შენისთანა,
სამშობლოსათვის ღელავდეს, სანამ ხედავდეს — მანამ,
მინდა, რომ შენებრ კერავდეს ის საქართველოს ალამს.

პირმოქარგული ბალიშით, ძვლის ყაისნაღით ხელში...
შენი მარილი გამოჰყვეს, შენი წარბების ეშხი!

შენსავით გაიშრიალოს, ხმელეთი გადალახოს,
ქალობა დაიმკვეხაროს, ცა და ქვეყანამ ნახოს.
მე კი თუნდ მიწა მეყაროს სადმე, თბილისის ახლოს...

შენ, შაოსანო, შავთვალავ, შავი სამარე გფარავს,
ჩემი მანანა აკვანში ხან გაიცინებს, ხან არ,
ია და ვარდი ეტრფიან, ეტყვიან იავნანას.

1941

ბ ა რ დ ნ ა ლ ა

რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი,
ჩემი ხორგო და მარანი,
ჩემი ცეცხლი და ღადარი,
სახლის წინ ნაგრიგალარი,
გაფითრებული ჭადარი,
ჩემი კავი და სახნისი,
ჩემი თონე და ბეღელი
და დედა, დიასახლისი,
ჯან-ღონე გაუტეხელი.

ჩემი პაწია ქოთანი,
დუღილით ნაქოთქოთარი!
რა კარგი იყო ბარდნალა,
როგორი სათაყვანები!
ვარდებიანი ბარდნარი
და გუმარეშის ყანები!
თოხი პირგამოპირული,
გაციებული ბინული...
გახსოვს, ტყეები? ირიბად
ხეზე დაკრული თარჯები...
ვერ დაივიწყებ, ვინც გიყვარს,
შეყვარებული დარჩები...

გახსოვს, ცხენისწყლის ნაპირი,
თევზაობა და აპრილი?
გახსოვს, მაჭრით რომ გავბრუვდით
და ძლივს რომ მივაბიჯებდით,
სახლში რომ ვეღარ დავბრუნდით
მისგან დამთვრალი ბიჭები?
გახსოვს, ღვინიან შემოდეგს
აივანზე რომ შემოვდექ?
გახსოვს, აფთარი ზამთარი
ან გაზაფხული — პირიქით?
გახსოვს, ამტყდარი ავდარი
და სარეწკელას ბილიკი?
გახსოვს, სოფელი ლარჩვალი
და მეწისქვილე დამღრჩვალი?
გახსოვს, ჩვენ ორნი მარტონი
და ვარდიგორას ხანძარი
და დიდი გუჯუ ბატონი
თავისი ქამარ-ხანჯალით?
ხან ისე იყო, ხან ასე,
გახსოვს ცაგერის ჭალაზე?
ეჰ, რა იქნება ხელახლა
დაიწყებოდეს თავიდან,
რაც დროის დენამ შელახა,
რაც დროსთან ერთად წავიდა!
რა კარგი იყო ბარდნალა,
როგორი სათაყვანები!
შენ, მამაჩემო, რად დარდობ,
რამ დაგისველა თვალები?
ან შენ სადა ხარ, დედილო,
რომ ლექსი გამაბედვინო?!
რად არ ჭიხვინებს ვეება
ლაფშა, ლაგამის მკვნეტავი,
ჰეი, ბავშვობის დღეებო,
დაბრუნდებოდეთ ნეტავი!
რა კარგი იყო ბარდნალა,
ბარდნალელების ბორანი,
ვარდებიანი ბარდნარი,
ბულბულთა ნაამბორალი!

1940

ნამკაშურის წისქვილები

მე მიყვარს თქვენი ხის სასთუმალი,
თქვენი ბორბლების მძლავრი გრიალი,
თქვენი ჭალების ხშირი სტუმარი —
ლურჯა აფხაზურუნაგრიანი;
თქვენი ქაჯები და ალქაჯები
იაიების თვალთა ბრიალით,
მთვარიანში რომ დაალაჯებენ
ბროწეულისფერ თავსაფრიანნი.
თქვენი სიზმრები, თქვენი ზღაპრები,
ღარის წყალივით გადაგდებული
და საკალმახე ფიჭვის ლამპრები,
სიყვარულივით განათებული!
თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ, გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული.

ვერ დამაოკებს დიდი მანძილი,
ლექსო, სადავე მომეც ქარების!
თქვენს გაურანდავ ტახტზე გაზრდილი,
თქვენს სანახავად მოვეჩქარები!
მკლავს ნამკაშური — მინდვრის იმედი,
ფოთლების ნამით ადიდებული
და ცეცხლაპირას ნედლი სიმინდი
გლეხის ბიჭივით ატირებული;
მკლავს თქვენს გამჭვარტლულ
ჭერქვეშ შეკრებილ
სახლიკაცების გრგვინვა-ბუხუნი,
რომ გადმოლახეს შიშველ ფეხებით,
ყანა ცვრიანი და გამუხლული.
მკლავს შევარდენი ფრენით მოღლილი,
მზის ბრწყინვალებით დაფეთებული
და მეწისქვილე წელში მოხრილი,
სულ ერთიანად გათეთრებული.
მკლავს, მაგრამ დღემდე ვერ მოვუკლავარ;
სიყვარული მჭირს განუკურნელი,
მკლავს ჩემი ტკბილი ლეჩხუმის ჰავა,
ახლადდაფქული ხორბლის სურნელი.
თქვენ, წისქვილებო, უნეტარესი
შთაგონებების რომ ხართ სადგური,
თქვენ გუმარეშის მწვანე ჭალებში
ოცნებებივით რომ ხართ ჩადგმული...

1941

ფიროსმანის დუქანი

მე მიყვარს შენი გრილი დუქანი,
შენი სიფათი და მარიფათი,
თვალები ცეცხლით განაშუქარი
და წელზე ვერცხლის ქამარი ფართე.
შუა ბაზარში დუქანი გქონდა,
ბევრი რამ გქონდა ღვთის მოცემული,
ჭრელი კალმახი — არაგვის მკვიდრი,
ბოლოკი წითლად ალმოდებული,
ქორფა მწვანილი და შუშა კიტრი,

პატარძალმა რომ დაკრიფა დილით,
ყარაჩოღელის ცრემლით რომ ტირის...
შუა ბაზარში დუქანი გქონდა,
ბევრი რამ გქონდა ღვთის ბოძებული:
დილაადრიან გადასაკრავი,
ატამი წითლად ალმოდებული,
ხუჭუჭთმიანი პატარა კრავი
და კახურ ღვინით სავსე ტიკჭორა,
გასიებული, ვით ქვეყნის ჭორი...
შუა ბაზარში დუქანი გქონდა,
ელეთმელეთის ქარი რომ ქროდა,
მაგრამ ილაღე იბედოვლათე,
„გადაგიბრუნდა ჭკვა და გონება“,
გაანიავე მთელი დოვლათი,
ქარს გაატანე მთელი ქონება...
ვერ გამოდექი და ვერ ივაჭრე,
საქვეყნოდ სჭამე კაცმა სირცხვილი,
გაკოტრდი, როგორც ნოე ჩხიკვაძე,
დადექი, როგორც ნოეს წისქვილი.
არ მომანათო მაგ საღადარე
თვალები ცეცხლით განაშუქარი,
არ შემეკითხო, რად შევადარე
ნოეს ხუხულას შენი დუქანი!

* *

ამწვანებულა ძველი ხეხილი,
გაცოცხლებულან ძველი ბიჭები, —
ხელგაშლილი და გულგაღეღილი
დგახარ და მუშტარს ეპატიჟები...
ეხ, რამდენი რამ დაგიხატია,
გამდიდრებულხარ ფერის დოვლათით,
ახლა ყველასთვის ცხადზე ცხადია:
არც ვაჭარი ხარ, არც ბედოვლათი!
მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო,
სხვა მეგობარი ქვეყნად ნუ გინდა,
მოვდივარ შენთან, ჩემო ძმაკაცო
და ხარბად მიმაქვს შენი დუქნიდან:
შუშა კიტრი და ქორფა მწვანილი,
პატარძლის ხელით გამოყვანილი...

1940

ეს გაფრენილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია?
საით წავიდნენ ვაჟები, რად მიატოვეს რაშები,
რაშები თამაშ-თამაშა, ომებში ნათამაშები?!
მაინც ეს ერთი თეთრონი რა გულსაკლავად ჭიხვინებს,
ბედშავო, ვისაც ეძახი, ვაი რომ ვეღარ იხილე!
იმისი სული მტრედივით ცაში გაფრინდა ლაღადა,
აღარ გყავს შენი პატრონი, ხერხეულიძე აღათანგ!
ეს მშობლიური ქარია ჩვენი ალგეთის ველების,
თუ სუნთქვა ქარბუქიანი ფაფარაყრილი მერნების?
მერნებო, ველურ ფლოქვებით მიწა ამაოდ დატორეთ,
ამაოდ გაფიცხებულხართ, ამაოდ უხმობთ პატრონებს,
ფოლადის ბეგთარიანებს ბნელში ამაოდ დაეძებთ:
ისინი მამულისათვის მარაბდის ველზე დაეცნენ!
ერთი მათგანი დაჭრილი უბეში დროშას მალავდა,
იწვა სისხლისგან დაცლილი... კურთხეულ იყოს მარაბდა!
ეს აწეწილი ფაფარი თუ მშობლიური ნისლია?
ვისია ცხრა ბედაური, ცხრა დარახტული ვისია? —
დაწრიალებენ, დაძრწიან ქაფმორეული ლაშებით...
მხედრებო, ასე უღმერთოდ რად მიატოვეთ რაშები?!

1942

ჭართლის გზაზე

ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა:
მინდვრებს, გორაკებს, ფერდობებს ეფინება და ედება,
გზაში ყაყაჩოს შეხვედრა სიკეთედ დაგვებედება:
სულ ახალგაზრდა ვიქნებით, გული არ დაგვიბერდება!
ჰეი, ძმობილო, შეხედე, რამდენი ყაყაჩო გაშლილა,
რაც უფლისციხეს გამოვცდით, უფრო და უფრო გახშირდა;
მოდი, ჩვენ ესეც ვიკმაროთ და სხვა დიდება ნუ გვინდა,
ყაყაჩომ თუ მოგვანათოს ლამაზი ქალის შუქითა!

1940

* * *

რუსთველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშალოს ღმერთმა,
ვიყო მუდამ ასე მხიარული,
ქართველი პოეტი მერქვას.

პურის ნატეხი და ერთი ლიტრა ღვინო
სიმდიდრედ ჩამითვალეთ,
თუ მეტი ვინატრო ან ეს ვითაკილო, —
ვერ ვნახო სამოთხის მთვარე...

მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს
ქაშვეთის შემოხედვამ, —
რუსთველის პროსპექტზე ხეტიალი
ნუ მომიშალოს ღმერთმა!

1941

* * *

როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,
ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო!
როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს
დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები!
ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,
პირს მარიდებენ ქალიშვილები!

შენ შეგრჩა ვაჟას ფილტვების დაღრღნა
და ჩემს წინააღმდეგ აღსდექი ახლა.
შენ ბოროტების გარეშე ვერ სძლებ,
შენ შეერკინე ანტიურ ბერძნებს,
შენ ჰიპოკრატემ ჭლექი გიწოდა
და მხოლოდ მაშინ შეშინდი ცოტა.
შენ გადუქროლე რომის ქარვასლებს
და შეაშფოთე რომაელები,
მაგრამ ახალი დროის ქალ-ვაჟებს
ამაოდ ცდილობ, რომ მოერევი!

შენ შეგრჩეს ვაჟას ფილტვების დაღრღნა
და ჩემს დაცემას ნუ ლამობ ახლა.
ო, განვედ ჩემგან, ძლიერო სენო,
ჩემს შემდეგ ნურვინ ნუ მოგიხსენოს.

1941

ციხის სიზმარი

როცა მთვარე შეწყვეტს კაშკაშს და ბნელს შემოიხვევს,
ისე, როგორც დაღლილ ვაჟკაცს, მძიმედ სძინავს ციხეს.
სძინავს ციხეს, ნატამალი ხმაც არ აკრთობს სმენას,
სძინავს ციხეს და თამარის საოცნებო სენაკს.
სძინავს, ფიქრებს ალამაზებს და სიზმარში ხედავს,
რომ მის ბებერ გალავანზე არწივები სხედან.

რომ კვლავ ისმენს ძველთა ველთა ნიავქარის ნანას,
რომ მის ბებერ საძირკველთან ქართველები დგანან,
რომ დილისკენ, როცა დნება მუქი შუქი მთვარის,
გალავანზე გადმოდგება საქართველოს თვალი.
იხურება ჯიხურებად დაღრუბლული სივრცე,
დედოფალი იყურება არტანუჯის მხრისკენ.
სძინავს ციხეს, ჯანიანი თრთის და სიზმრად ხედავს:
ეს ქართველთა ჯარი არის თუ უღრანი ხეთა,
ეს ნისლია ჩვენებური, მზესავით რომ მოჩანს,
თუ ქართველთა ძველებური ჩალისფერი დროშა?
ვისკენ მოაქვთ ეს ალმები, ვის უხდიან ჩაჩქანს;
ეს თამარი ესალმება საქართველოს ლაშქარს,
იხურება ჯიხურებად დაღრუბლული სივრცე,
ეს თამარი იყურება არტანუჯის მხრისკენ!
სძინავს ციხეს, მაგრამ დილით, მზე რომ იწყებს კაშკაშს,
ეღვიძება, როგორც ძილით დასვენებულ ვაჟკაცს.
ეღვიძება, როგორც სისხლით გაგიჟებულ მხედარს,
ეღვიძება, მაგრამ ძილში ნახულს ვეღარ ხედავს;
ვეღარ ხედავს, გაავდება აშლის ხავსის ბალანს
და გრუხუნებს ნაადრევი გაზაფხულის გვარად.
მერე ისევ ალამაზებს სიზმრით თავის სვე-ბედს
და ხავსიან გალავანზე არწივები სთვლემენ.

1940

აბასთუმანი

აბასთუმანი — ხაბაზთუბანი...
მზემ ფანჯრებიდან შემოანათა,
ჩემი საწოლი და სასთუმალი,
ჩემი პალატა, თეთრი პალატა.
ჩემი სიმღერის ეშხით მიმქრალი
ქერათმიანი ექიმი ქალი,
კელაპტარივით ჩემთვის დამწვარი
და სანუკვარი სიკვდილის დღემდე...
კვირაში ერთხელ თეთრი საცვალი,
მოხეტიალე ცხოვრების შემდეგ...
სანთლით შუაღამის აკელაპტრება
და გატეხილი სიცხის საზომი...
წევხარ, ოცნებობ და გენატრება,
ოდაში რომ. დგას, ის ხის საწოლი.
განა ოდესმე დამავიწყდება
აბასთუმანში თავდავიწყება?
თეთრ მაგიდაზე წიგნების გროვა,
ცისფერ ვაზაში ნაძვის რტო მწვანე,
ოცნება: თბილისს წასვლის დროც მოვა,
მიიწურება აგვისტო მალე!
აბასთუმანი — ხაბაზთუბანი...
მზე ფანჯრებიდან მოიპარება,
ჩემი საწოლი და სასთუმალი,
თავდავიწყება და ნეტარება.

1941

უკვე ჩათავდა სოფლად რთველი და ყურძნის კრეფა,
აზვავებული შემოდგომა ბეღლებს ჩაბარდა.
სტუმრებისათვის ლავაშებით დახურეს სეფა
და ჭავჭავაძე გულბაათი დასვეს თამადად.

დასვეს თამადად გოლიათი მსმელი კახელთა,
დასვეს და დაჯდა, დაიმშვენა, სუფრას გახედა:
ჩანდნენ ორ მწკრივად ჟღალ ჩოხებში ძველი მსმელები,
ღვინო სწყუროდათ, ღვინის ეშხით ვერ ისვენებდნენ.

მან ჯერ ულვაში გადიგრიხა ყურებზე, უკან,
მერე პირველმა წესისამებრ გატეხა ლუკმა,
თასი ასწია, მიულოცა ლხინი თავადთა
და აზარფეშამ ფრინველივით გაინავარდა.

სვეს უმოწყალოდ ღვინოები ცეცხლისმფრქვევლები,
მერიქიფეებს აღარ შერჩათ ხელში ქვევრები.
მოფარდაგულზე გაიშხვართნენ მსმელი კაცები,
ლეკურებივით მოიქნიეს სველი ყანწები.

და როცა სუფრას აღარ შერჩა ერთი კაციცა,
როცა ლავაშით დახურული სეფაც დაიქცა,
როცა დაიმსხვრა სასმურები და დაილია, —
მაშინ გულბაათ ჭავჭავაძე გადაირია,
გადაირია, როგორც ერთ დროს შედან ჭილაძე,
და იერიში მიიტანა წვრილ ჭინჭილაზე:

— კაცი ვშობილვარ, ეს ცხოვრება დამილევია
და გაბმულ სმაში ჭინჭილით არ დამილევია.
— ბატონიშვილო, ეს ჭინჭილა გადაგრჩათ მარტო,
ღვინით შეუვსეთ და მოართვით ჭინჭილა ბატონს.

შეტორტმანებულს ნახევარიც არ დაეცალა,
წყენით წამოცდა: „ეს ოხერი რომ არ გათავდა!“
სანთელს გახედა, მოეჩვენა ერთი ათადა,
თვალთ დაუბნელდა, დაეკარგა მუხლებში ძალა,
წაიბორძიკა, წაიფორხილ-წაიბანცალა
და ნაცოხნარით გაბერილი, როგორც კამეჩი,
აზრდაკარგული გაიშხვართა შუაღამეში.

ჭერი შეინძრა, იატაკმა გაიჭრიჭინა,
თაიგულივით ხელში შერჩა ჭრელი ჭინჭილა.

გაჩაღებოდა მაღვალაკი თვალი კახურში,
და სუფრის ბოლოს ხითხითებდა მთვრალი ბახუსი.
თითქოს იტყოდა: „მასპინძელო, ეს რა კაცია,
ქვევრებსა ნთქავდა და ჭინჭილამ ვით წააქცია!“
1942

ნადირობის შემდეგ

გარეული კამეჩების დევნით დაიღალნენ,
დახოცეს უშტი და უშქარი ნადირი.
და მერე, როცა დღე-ღამე გაიყარა,
ღამის გასათევი შემოხვდათ ადგილი.
თეთრონებს მოხადეს ავაზას ტყავები
და მასზე დააწყვეს ლამაზად თავები:
ირმების,
არჩვების,
დათვების —
სიკვდილს რომ ებრძოდნენ სისხლიან თათებით,
და რა წამს მთვარემ ტყეზე გადიარა,
სასმური ასწია ლევან დადიანმა:
— კურთხეულ იყოს ეს წმინდა ადგილი,
გაისად უმეტესი მოგვეკლას ნადირი!
— კურთხეულ იყოს, — აღმოხდათ თავადებს, —
ნადირთა ღვთაების სახელი გფარავდეს!
და უცებ ქუხილმა ტყეზე გადიარა:
— ვინ მოჰკლა, ვინ სტყორცნა ჩვენზე ადრიანად,
ვინ დალოცვილმა ჩვენზე მადლიანად?
— მანუჩარის შვილმა ლევან დადიანმა!..
ღამეში თვალების გადაბრიალებით
ნადავლთან მოგროვდნენ შავნაბდიანები.
ულვაშზე სალოკი გადისვა ერთ-ერთმა
(მის მიერ დაკოდილ ირემზე ამბობდა):
— ლამის გამალენჩოს ამ თვალთა შეხედვამ,
ო, როგორ უნდოდა სიცოცხლე საცოდავს!
— გულჩვილი ყოფილხართ, ლეჩხუმის თავადი,
ჩვენ კიდევ პირდაპირ საფრთხეში ჩავვარდით,

ჯიქურ დაგვეჯახა და ლაჯში დაგვხია,
მაგ ირმის გვერდით რომ ქისონი ტახია! —
თქვა ეს და ბაღდადით შეიკრა იარა
თავადმა მაღალმა, ჟღალულვაშიანმა.
ნაკვერჩხალებივით ელავდნენ ღამეში
თვალები ვეება გარეულ კამეჩის.
და თეთრი ეშვებით წყვდიადის დამხევნი
წყვდიადში ეყარნენ ველური ტახები.
წყვდიადში თვალების გადაბრიალებით
რიგ-რიგად ყვებოდნენ შავნაბდიანები:
— პირველად შემომხვდა ჩვენს ტყეში კანჯარი,
პირველად გამიტყდა ჩემს დღეში ხანჯალი!
სვამდნენ და თვრებოდნენ და ასე ყვებოდნენ,
რომელმა მათგანმა რა მოჰკლა, რა ბედზე.
ახარხარდებოდნენ, აყაყანდებოდნენ
და ღვინოს ასხამდნენ სისხლიან თავებზე.
— ჩვენი სიხარული და ჩვენი ჯავარი
ცოცხლობდეს,
შრომობდეს,
ომობდეს მთავარი!
ტყე არ შრიალებდა. დაწვნენ და დაოსდნენ
ხეები, სიბნელის სამსალით მთვრალები,
და ეწყო თავები, ვით სასაკლაოზე,
ლაჟვარდში გაფრენილ გაყინულ თვალებით...
თეთრჩაბალახიანი და თეთრნაბდიანი
ნადირობას ზეიმობდა ლევან დადიანი.

1940

* * *

ამ ხეივანში ის ძალზე ხშირად
დასეირნობდა ჩვენს სასახელოდ,
ხელში ცისფერი წიგნი ეჭირა
და აწეული ჰქონდა საყელო.
ერთი შეხედვით — უზომოდ მკაცრი —
ახლოს არავის არ იკარებდა
და იდგა, როგორც სხვა დროის კაცი,
ფოთლებდაცვენილ ბაღის კარებთან.
ნეტავ იმ ასულს, ასულს საროსტანს —
ვისაც ის თავის გულს გაუღებდა...
არვინ იცოდა, რა უხაროდა
ან ასე ძლიერ რა აწუხებდა.
ბინდი რამ დაჰყვა სიჭაბუკიდან
მისი თვალების გაცისკროვნებას...
უმზერდა ხალხი და ხალხს უკვირდა
ამ სულ უბრალო კაცის ცხოვრება.
ერთ დღეს ის გაქრა და გულის შიგნით
ჩაგვიდგა რაღაც ნაღველის მსგავსი...
ნეტავ ჭაბუკი ცისფერი წიგნით
კვლავ თუ გაივლის ამ ხეივანში?!

1942

სარწყული

თავაწეული, ზვიადი, განა ჩია და საწყლური?
თვალნათლივ მახსოვს ჩვენს სახლში ერთი ცისფერი სარწყული.
გარშემო ლაჟვარდისფერი სინათლის მიმომფინველი,
იჯდა პატარა სუფრაზე ისე, ვით ლურჯი ფრინველი.
ისე, ვით ლურჯი ფრინველი, ვეება თეთრი ნისკარტით...
ჩვენ სადილს შევექცეოდით, უკვდავების წყალს ვისხამდით,
გვესმოდა შხეფთა შხუილი, ზღაპრულ წყაროთა დგაფუნი
და გვახარებდა სილურჯით სარწყული მამაპაპური.
სარწყული მამაპაპური, ამპარტავანი, ყურჭრელი, —
აბა, როგორ არ მიყვარდეს სიცოცხლით სავსე ჭურჭელი!
მან გამინათა ბილიკი ლაჟვარდებისკენ სავალი...
აბა, როგორ არ მიყვარდეს ჩემი თავგადასავალი?!
მისმა უზომო სილურჯემ გამიღო ზეცის კარები
და ქვეყანაზე სიცოცხლე მომიზღო ლექსის პწკარებით.
და ახლა, როცა უმწეო ვდგავარ უფსკრულის ნაპირთან,
როცა ცხოვრებამ გამთელა და სიმჭლის სენმა დამფლითა,
როცა ცხელების ალმურში გაგიჟებამდე მაბოდებს,
რასაც ტივებზე მღეროდნენ, რასაც წისქვილში ამბობდნენ, —
კვლავ შენ განატრულობ, რომ მკერდზე სიცოცხლის წყარო მასხურო!
ბავშვობასავით ცისფერო, მამაპაპურო სარწყულო!

1941

მირზა გელოვანი

***

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ!
ამ მწვანე ხეს, ძვლებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და ნაჟურს,
კავკასიონს, ცამდე აწვდილს,
შავნაბადას გულდაჟანგულს,
ამ ბუჩქებს და იმ ქერა ნისლს,
დილაობით შენ რომ იცვამ,
დაცემულთა დაქცეულ სისხლს,
დაღუპულთა ხსოვნას ვფიცავ,
ქარსა ვფიცავ, ხეს რომ არხევს,
სანამ ნისლებს შემოახვევს,
სააკაძის ხმალის ნატეხს
უკვდავებით ნათილისმარს,
ნარიყალას წარსულ სახეს,
აწ დარჩენილ ლიბოს ვფიცავ!
ვფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინევს! —
თუ ოდესმე, როგორც ძველად,
ამ ცას ვინმე შეგვეცილოს...
წმინდა ვალის მოსახდელად
უყოყმანოდ შეგეწირო.
მოვკვდე ისე ღიმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველად,
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ.
ჩემო მიწავ! ლაჟვარდებში
ვინც ქარს შეხვდა გამკლავებით,
ვინც გაღეღილ საგულეში
ჩაიბნია ვარსკვლავები,
ვინც შებორკა მტრების ზრახვა,
ვინც ქმნის მუდამ, — იგი მე ვარ.
მე ჩემს თბილისს მალე ვნახავ,
მე ნაომარ არწივს ვგევარ.
შორს სახელი გამივარდა,
შორს წასულან ჩემი ხმები.
მე ოცი წლის გმირი ვარ და
საუკუნე მიმაქვს მხრებით.

1988

განშორება

ყველა მოკლე და ქერა თმის ნასვით
გამახსენდება თმები შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივდივარ, მაინც გშორდები.

ასე თიშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარდში დამთენებია.

მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.

1939

მელოდე

მე დაბრუნებით ტკივილებს წავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი გული მელოდეს.

შევყრი მეგობრებს, მაღალ მაყრიონს,
ორღობეებში გასროლას დოღის,
ზეცის ჩამოხსნას, მთების შერყევას
ჯილდოდ მოვუტან ბრწყინვალე ლოდინს.

და შენს ეზოში დაუკრავს ზურნა,
დაბალი ხმებით დუდუნი დოლის,
აგიცხადდება სიზმარი შორი,
გაგახსენდება დობილთა ზრუნვა.

გეტყვიან... ოი, ჰკარგავ ბავშვობას,
ოი, დობილებს გვტოვებ ბავშვებად,
მშვიდობა ყრმობას და თამაშობას,
მშვიდობის შუქი ნურც მოგეშვება.

.... და ქორწილს ზეცის სუფრაზე გავშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც გაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი თრთოლვა მელოდეს.

1942

გმირობას მისას...

თოვლით დაფარულ ნაძვების ახლოს
ის იწვა ერთი,
და უცქეროდა ღრუბლების მაღლობს
თვალებით თეთრით...
არც ხმლის ნატეხი, არც ბუდე ისრის
არ ეგდო სადმე,
მხოლოდ შემხმარი მოშაო სისხლი
შვენოდა წარბებს.
ამ სისხლს ხსოვნისთვის გულზე წაიცხებს,
მკერდით დაიცავს,
გმირობას მისას არ დაივიწყებს
რუსეთის მიწა.

1942

იქნებ იმისთვის, რომ საკუთარი
იყავი გულით და გარეგნულად,
იქნებ იმისთვის, რომ მე სხვაგვარი,
შენ სხვაგვარი გზა ბედმა გარგუნა.

რომ შენი მწარე, ქილიკი ენა
მე არ შემეძლო ახლოს მეთმინა,
იქნებ იმისთვის, რომ შენ ერთხელაც
არ მომიგონებ ასე კეთილად, —

მე შენ გეძახი... სადა ხარ ეხლა,
სად იქნევ მკლავებს, ბრძოლას უჩვევი...
ამაღამ მტერთან მომიწევს შეხლა,
და იქნებ ტყვიას ვერც გადვურჩები.

ამაღამ ჩემი სვანური მუხლი
მე შემახვედრებს მტერთა ბლინდაჟებს,
დღეს ჩემი იყო საღამოს მწუხრი,
ხვალ იქნებ ჩემთვის არც ირიჟრაჟებს.

... და ვისაც ყოფნის მტკიცე იმედი
არ შორდებოდა ძალ-ღონე მიხდილს,
ვინც იწვა თოვლში სიკვდილის გვერდით
და მტრის საფარში გზავნიდა სიკვდილს,

ვინც მომაკვდავ ძმას განშორდა ქარში,
სახეს უსისხლოს და განაოცებს,
ვინც იარაღთან მივიდა ბავშვი,
და ახლა შუბლზე ითვლის ნაოჭებს, —

მას შეუძლია ბავშვობის ზიარს
გისაყვედუროს, გაგკიცხოს შორით,
თუ სიტყვა შენი არა ჰგავს ტყვიას,
ამ სასტიკ ომში ჩემგან გასროლილს.

1942

ნუ მწერ

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე მზე დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს,
რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.
... წუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან
აელვებული იდგა თბილისი.
ორთაჭალაში ჰყვაოდა ნუში,
მთაწმინდის მხრებზე მზე იწვა თითქოს,
და შენ, ძვირფასო, ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, მოჰგავდი ხვითოს.
ნუ მომწერ... ისეც ვიცი, რაგვარი
ფერებით ჰყვავის თბილისი ახლა,
რომ ვიღაც დადის მინდვრებში ღამით
და დილისათვის ამწვანებს ნახნავს.
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვს გულების საამო ფეთქვა,
და თუ ბოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ გაზაფხულებს შევხვდებით ერთად, —
გეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახული
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე გაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.

1948

ოი, ბავშვობის დღეები

ოცნებას დავემონები
მუდამ ლაღი და იოლი,
რატომ არ ჩემი წნორები,
რატომ არ ჩემი იორი.
ჩემი ძვირფასი გორები,
ძნები — კაცები ყვითლები,
თიანეთი და სწორები,
თიანეთი და ფიქრები.
მეზობლის ბიჭის ქორწილი,
ღვინო, ეჯიბი, მაყარი...
ურჩი ვაჟკაცის ბორკილი —
თმა მხრებზე გადანაყარი.

ოი, რანაირ გეძებდი,
ქალშავავ, შავი თმებითა,
ვინც მკლავდი, ვინც მახარებდი
გაყრით და შერიგებითა.
ოი, დღეებო ბავშვობის,
არასდროს დამიბრუნდებით,
დ-მტოვეთ, ჩუმად დამშორდით
და როგორც მტრედთა გუნდები
ცას გადავუვლით ბრძოლებით
და დამაღონებთ იოლად,
... რატომ არ ჩემი სწორები,
რატომ არ ჩემი იორი.

1948

ა ო ნ ი*

(ბ ა ლ ა დ ა)

„აონ: პირქუშ ღვთის მონაწილევ: ბარისა და მთის მფარველო: ეს ზარი შემოგწირე მე: იოანე ბექაურმა: ჩ... წელსა: მიშველე, აონ“.
(წარწერა ზარზე, რომელსაც „ზარების მთავარს“ ეძახიან).

ხევსურის ბიჭმა ზარს დაჰკრა თოფი,
ამბობენ: ტყვია ზარს ვერა სჭრისო.
გამოძვრა ბერი, საყდარში მყოფი,
და გაეშურა თემისკენ ხვთისო.
— რა ამბავია? ნარბენალი ხარ!.. —
იყო შეკითხვა წამოშლილ სოფლის,
ის იდგა ჩუმი, ოხრავდა დიდხანს
და იწმენდავდა სახეს გაოფლილს.
— ალუდას ვოჟმა ზარი დათოფა!
ხალხმ უნდ გასაჯოს სასჯელი მისი.
სადაღას თემი ან ადათობა?
წაიბილწაო საყუდარ ხვთისი.
მერე ელოდა გულატკეცილი
ხალხის ნათქვამს და თავი დახარა,

მაგრამ ბიჭებში ჩადგა სიცილი,
ზოგმა ხმამაღლა გადიხარხარა.
მაშინ დასწყევლა ჭაღარამ ხალხი,
ციცაბო ბილიკს შეუდგა ხვნეშით.
... დაბინდდა. ხევში ჩაფინეს თალხი
და მზე კრუხივით ჩაეშვა მთებში.
ხეებს ხეები ეტმასნებიან,
ხევში ლოდები კაცურად სხედან,
ჩაჰყვები ბილიკს, ყველგან ქვებია,
და თავშლისგაშლა ცის ნაჭერს ხედავ.
ნაზარდა იფნი სიმაღლეს აქებს,
თურმე ბუტბუტი სცოდნია ხესაც.
ბილიკს ჩაუდის ციცაბო თავქვე,
ჩადის ბილიკი და ჩასდევს ხევსა,

* აონი — ხატია ივრის ხეობაში.

დაბლა მდინარე კლდის ლოყას ალბობს,
მთაც უხილავ ხელს დაუტორია.
ამის შესახებ არაფერს ამბობს,
დუმს ისტორია.
ღამით, აონის მთა როცა
ღრუბლის ნაბადს მოიხვევს
და იორი თავის ზეცას
ნარმასავით მოიხვევს.
ცა ფითრდება ნელა-ნელა,
სადღაც ქარი ავდება.
მთვარე ისე დაილევა,
ისე პატარავდება!
იძენძება ნისლი ცაში,
შუქი ჩნდება აისის.
იქ, აონის სალოცავში,
ბუს კივილი გაისმის.

ხესთან ნიშია: ნაწყობი ქვანი,
ლუდის ქვაბი და ირემთა რქანი,
ზარები (ქარი აქანებს თოკებს)
ჩამომხრჩვლებივით ჰკიდიან ტოტებს.
ის აქ მოვიდა, ჩამოჯდა ქოხთან,
იღებდა მიწას, მკერდს იხუტებდა.
მერე ისმოდა მოხუცის ოხვრა
და ბაგის ჩუმი აბუტბუტება.
— ვინ დაანგრია დიდხანს ნაშენი?
თუკი გაძარცვეს, ვინღა შემოსავს?!
აონ, დიდება რა იქნა შენი,
აონ, ნათელი რატომ არ მოჩანს?
მე მიჭირს სუნთქვა...
გატეხილია შავი კარები.
ძლიერი იყავ და აწი ნუ გქნა,
მიყვარდი, მაგრამ არ მეყვარები.
გამხმარხარ, ჩემო ცხოვრების ხეო,
შენი სიმწვანე ყინვამ მოლია.
ძაღლიც შეღმუის ცას:
მიშველეო,
მაგრამ საშველი მაინც შორია.
მოსწია თოკებს პატარა ზართა,
გაისმა რეკვა: გვიშველე, ცაო!
გაცურდა ეხო და გაიზარდა
— აონ! აონ! აონ!

გრიგალი სწეწდა ღრუბელთა ხვეულს,
ქუხდა და ელვა ანთებდა ხანძარს,
ხახ შოლტსა ჰგავდა, ხან ლახტს მოქნეულს,
ხან გასაგმირად ამართულ ხანჯალს.
მთების მახლობლად ჩამოკრეს კვესი,
დაეცა მუხას მეხი ტიალი,
ხეობას გაჰყვა წივილით, კვნესით
ზარის რეკვა და კაცის ღრიალი.
—რად არ მიუზღავ მტერს, თუ გაქვს სული?
შელანძღა ნიში, ხატიც ჩაწიხლა.
გამოიტანა ქოხიდან ცული
და ნაჯახის ხმა ისმოდა დიდხანს.
დაეცა ცაცხვი... მერე ხევებში
გაბმით ისმოდა ზართა ჟრიალი,
ვიღაც გარბოდა მოსახვევებში,
ვიღაც გიჟი და თვალჟინჟღლიანი.
გარბოდა იგი: ჩქარი, საზარი...
გარბოდა იგი, გული სტკიოდა,
თითქოს მისდევდა დაჭრილი ზარი,
მისდევდა ზარი და მიჰკიოდა.

წინ გადაუდგა მორბენალს ხევი
და კლდეებს შერჩათ ჩოხის ნახევი.

გადმოსულიყო წყალი პატარა,
ღამეც გაფრინდა, როგორც ქედანი,
მერე იორმა ჩამოატარა
თავგაჩეხილი კაცის ცხედარი.

... ამბობენ: როცა სინათლის მძივი
მოაზარნიშებს წყლის ნაპირებსო,
მოხუცის ლანდი, ტანდაძონძილი,
მიდის ნიშთან და ღმერთს აგინებსო.
ღმერთს აგინებს და ბაგენი თრთიან,
დგას კედელივით ნესტიან ქარში.
მერე იკიდებს ზარებს ერთიან
და სამჭედლოსკენ გამოსწევს ბარში.

1987

ცხრაკარა

ჩემს ბავშვობაში ცხრა მთათა კალთას
ციხე რამ იდგა მთაზე მაღალი,
ცხრაკარა ერქვა და თითო კართან
ცხრა ლოდი იწვა, ცხრა ძმისმაგვარი.
ციხეს მდუმარე დარბაზი ჰქონდა,
დამხობილი და უენო ზარი,
და ღამღამობით ცხრაპირად ქროდა
ცხრა კარებიდან ამდგარი ქარი.
მე ყოველ დილა ავდევდი აღმართს
მოწყენილი და უმიზნოდ ჩუმი,
ჩამოვჯდებოდი დანგრეულ თაღთან
და ყურს ვუგდებდი წარსულის დუმილს.
მეგონა, ქარი უშორეს ზღაპრად
მომახარებდა რამეს საოცარს,
მიმასწავლიდა თამარის საფლავს
და დაუწერელ „ვეფხისტყაოსანს“...
მაგრამ ნელ-ნელა შევიგენ თითქოს,
ძნელია უხმო აჩრდილებს მიჰყვე,
ყოველდღე ლოდი ცვიოდა თითო
და მტკივნეულად ოხრავდა ციხე.
ასე დაინგრენ ცხრაკარას ბჭენი.
მაგრამ ნანგრევთან როცა გავივლი,
დამხვდება თაღთან ბავშვობა ჩემი, —
როგორც ლამაზი, თეთრი ყვავილი.
დამხვდება ქარიც და, როგორც ღრუბელს,
გამაქანებს და წარსულში მიხვევს.
კედლები დგება და ჩემს ვრცელ უბეს
შეეფარება მდუმარე ციხე.

1988



გიორგი ნაფეტვარიძე

ნახვამდის!

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
ნახვამდის, ლამაზო ჩემო,
ხშირ-ხშირად მომწერეთ ქაღალდი,
ნუ ტირით, პატარა დებო!
მამები გიცავდნენ აქამდი,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ, ნახვამდის
ნახვამდის, ლამაზო ჩემო!

ვინ იცის, გნახავთ თუ აღარა,
წინ გზაა შორი და მკაცრი,
ალვის ხემ თავი ძირს დახარა,
ცრემლებს ღვრის მოხუცი ნაძვი.
მშობლების ძვირფასი ჭაღარა
ღამეს მინათებენ თვალწინ!..
ვინ იცის, მოვალ თუ აღარა, —
წინ გზაა უნდო და მკაცრი.

ნახვამდის, დედილო, ნახვამდის,
ნახვამდის, ლამაზო ჩემო,
დედა, შენ მომწერე ქაღალდი,
ნუ ტირით, ძვირფასო დებო!

მამები გიცავდნენ აქამდი,
კავკასის მაღალო მთებო!
ახლა ჩვენ მივდივართ, ნახვამდის,
ნახვამდის, ლამაზო ჩემო!

გზის პირად პატარა ნაკადი,
ნაკადთან პატარა ჩერო,
იქ გითხარ პირველად „ნახვამდის“,
ახლა კი... მშვიდობით, ჩემო...

1941

უსათაურო ლექსი ფრონტიდან

ჩავიდა მზე და ღამემ გარემოს
მოჰხვია ნისლი, როგორც წარსული,
ხე მომძახოდა — შემიყვარეო, —
ხე რტოდახრილი და გაძარცული.
ჩავიდა მზე და ქართლის მიდამოს
დაადგა მხრებზე მთის იდილია,
ქარი მეძახდა: — რა მოგიტანო,
სატრფოს წერილი თუ სიკვდილიო.
და ღამით, ცეცხლთან, ფარაჯიანებს
გვქონდა სიზმარი, უძილოდ, ფხიზლივ.

მიწას ვახვევდით გულის იარებს
მიწის ნაშობნი და მიწის ღვიძლნი!
ვინ გაიგონებს, კიდევაც რომ ვთქვა
დაჭრილმა, ხესთან, სახელი შენი,
გაივლის ღამე, გაივლის ბოდვა,
და გავა ასე მრავალი წელი.
ჩვენ ველით, ჟამი დარეკავს მალე,
მრისხანე რისხვად ფეხზე დავდგებით
და თოფისწამლით გარუჯულ თვალებს
მხოლოდ ისევ შენ მოელანდები.

1941

კერასთან ჩემი პატარა დები...

მე შევხვდი რიონს — მისი ნებართვით
ისრად ავარდნილ ჩინარებს შორის,
გზა ერთი გვქონდა გათენებამდი
და მივდიოდით უსიტყვოდ ორნი.
ჩვენ მივდიოდით, მე და მდინარე, —
წინ გვედო ახლად დახნული ჭალა, —
თეთრი ალვები სხვათ უწინარეს
ოავაზიანად გვაძლევდნენ სალამს.
გვერეკებოდა საერთო ლტოლვა,
ვეგებებოდით ველებს ქარიანს,

ტალღა ამბობდა: — დედისგან შორს ვარ,
მომენატრა და მივიჩქარიო.
— შენ სად მიდიხარ, უცნობო, ამ ღამ, —
ჩამჩურჩულებდა ყურში მდინარე.
—შენ თუ ზღვა გელის, ძვირფასო ტალღავ,
მეც მელის დედა დაუძინარი.
... შორს იისფერი გურიის მთები
ბინდში თანდათან უფრო დნებოდნენ...
კერასთან ჩემი პატარა დები
ალბათ ისხდნენ და მელოდებოდნენ.

1980

იოსებ ნონეშვილი

* * *

სატევარი, მამა-პაპის სატევარი,
სატევარი — მტერთა გულის გამპობი,
ქართლის ღამე—შუბთა შუქით ნათევარი,
გრემისხევი თუ კრწანისის დაბლობი.

ბებრისციხე, ძვალბებერი გალავანი,
სვეტიცხოვლის სვეტმაღალი სიონი,
შორს რომ მიდის აქლემების ქარავანი —
დარახტული მთები კავკასიონის;

ქართლის ზეგანს ჩახვეული რუხი მტკვარი,
ტკბილ ფიქრებში ტკბილად მოსაგონარი,
შორს ლამაზი ნესტან ქალის კიდობანი —
შხეფდაყრილი ერთადერთი ბორანი;

მთვარის შუქზე რომ მოუვა ზღვასაც რული,
იალაღი ჯეირნებით ნალახი,
რომ გახვალ და მარგალიტით დაცვარული
დაგინამავს მუხლებს მწვანე ბალახი;

ჩემი ქვეყნის ძველთაძველი მიწა-წყალი,
მზედაკრული ვენახები რქახშირი;

თეთრ ღრუბლებში ანთებული ოქროს კვარი,
ვარსკვლავები — ნაპერწკლებად გაშლილი —

ვინ წაგვართვას, ვინ გაბედოს დაგვიჩრდილოს,
ვინ დასწყევლოს ქვეყნად ჩვენი გაჩენა?!
წამოდექით, ვინც წინაპრით გვარიშვილობთ,
ვისაც გერჩით გულიცა და მარჯვენაც!..

1941

არის ასეთი ქვეყანა!

ვაზის ძირში დარწეული აკვანი,
სალამურის საამური კვნესა,
გმირობის და უკვდავების ზღაპარი,
ხალხში თქმული რუსთაველის ლექსად.

მამა-პაპის წმინდა სისხლით ნაბანი,
მზის სხივებით ანთებული მარად,
უფსკრულებში ჩანჩქერების ჩქაფანი,
მთებზე თოვლი, ბულბულები — ბარად.

ზოგან ირმების ჯოგია,
ზოგან არწივნი ჰქრიან.
არის ასეთი ქვეყანა —
მას საქართველო ჰქვია!

თვალტანადი ქალ-ვაჟების ნათქვამი
იავნანა, ურმული და რერო,
სიცოცხლით და სიყვარულით გამთბარი
ვენახები, ყანები და მდელო.

ერთ თხილის გულს ცხრა ძმას ძმურად
გაუყოფს,
მას თავისთვის განა მეტი უნდა?..
სურს შოყვარეს გულის კარი გაუღოს,
სახლის კარი ღია არის მუდამ.

„ერი პურადი, გულადი“,
სტუმარს ღვთის კაცად სთვლიან...
არის ასეთი ქვეყანა —
მას საქართველო ჰქვია!

ურმის ჭალებს შესეული ბავშვები,
ივრის ჭალებს — კაკაბი და გნოლი.
ჩვენს იმედად, მტერთა რისხვად ნაშენი,
ძველთაძველი თბილისი და გორი.

დეკემბერში ვარდის გამოშუქება,
ნოემბერში — ნარინჯების ეშხი.
წყალვარდნილებს ელსადგური უხდებათ
და ქარხნების გუგუნია მთებში.

მისი დიდების ამბავი
საუკუნეებს მიაქვთ.
არის ასეთი ქვეყანა —
მას საქართველო ჰქვია!

აბა, ვინ თქვას: თავის მთით და ბარითა
პატარაა საქართველოს მიწა...
მზეს ეხება, ისე მაღლა ავიდა,
იალბუზით მეშვიდე ცას მისწვდა.

აუვსია, რომ დაუხვდეს გაზაფხულს,
ღვინით თასი, ყვავილებით კალთა.
სხვა ოცნება, სხვა დიდება არა სურს,
მშობელ ხალხის დღეგრძელობის გარდა.

ღამით ვარსკვლავებს უღიმის,
დღისით — მზეს, ცეცხლის ფრთიანს.
არის ასეთი ქვეყანა —
მას საქართველო ჰქვია!

1950

აი, კახეთი!

აი, კახეთი... მუხლებმაგარი
გომბორი, მხრებით ცას რომ ეხება.
ივრის პირებზე ფრთხილი ვერხვები
და შეთოვლილი მთების ფაფარი.

ვაზები, დილის ნამნასხურები,
ცა — ყვავილებით სავსე კალათა,
დაოქროვილი ხოდაბუნები
და ნამუხლარი მამა-პაპათა.

აი, კახეთი... ზავთით, ზრიალით
უნავარდია მტერს ამ ტრამალზე,
ხარირემ მოკლულ ფურებს ლამაზებს
ცრემლი სდენიათ ალაზნიანი.

აქ ირხეოდა ხმები ლაშქრულის
და ქუდზე კაცი ფეხზე დგებოდა,
ვაჟკაცთა სისხლით იჟანგებოდა
მიწა, წყურვილით გულდაშაშრული.

აი, კახეთი... მთებზე, ველებზე,
რომ არ ცხრებოდა ხმლების თარეში,
თვალმოციმციმე ქალიშვილები
ყვავილებივით სჩანან ყანებში.

ნაციხარებიც ჰყვავის ამიერ
ათასი ბრძოლით გადაბუგული
და დარბაისელ „მრავალჟამიერს“
გულიდან გულზე გააქვს გუგუნი.

ზოგან ალაზნის ტალღა ჩაიმღერს,
ზოგან ქაფქაფებს ზვირთი იორის
და აქლემების ქარავანივით
მიიზლაზნება კავკასიონი.

ხან მუხლს ჩაიხრის ქარი ველური
და ღამე დნება სხივთა ქარვაში.
შორს ორი ალვა, როგორც ქალ-ვაჟი,
დგას ყელით ყელზე გადახვეული.

წმინდაა, როგორც დედის მანდილი,
ჩემი ლამაზი ქვეყნის მიდამო,
მინდა, სიმღერამ ამოვარდნილმა
გულის ფესვები ამოიტანოს.

მსურს, ამ მიწაზე ძირჩანერგილი,
მეც ვშრიალებდე, როგორც ჩინარი,
რომ სიკვდილამდე გზას მიჩაღებდეს
ეს სილამაზე დაუჩრდილავი.

1980

შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა...

შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა და რარიგად დაგშვენდებოდა.
შენს ერთ სიტყვაზე ქალაქები აშენდებოდა
და დაიწყებდა უდაბნოში შრიალს წალკოტი.
ერთის შეხედვით ვაჟკაცების გულებს დაჰკოდდი
და მზის თინათინს დაჩრდილავდი თვალთა ციალით.

დალოცდი ლაშქარს და იმ ღვთიურ ლოცვის გამგონებს,
არ ექნებოდათ სპათა შენთა
მტერთან ზიანი.

შენ ხატაური აბრეშუმი დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა... ეჰ, რარიგად დაგშვენდებოდა.
შენს ნატიფ სახეს ნიავიც რომ არ შეჰხებოდა,
სპილოს ძვლისაგან ულამაზეს კოშკს აგიგებდნენ.
ცისკარზე, როცა ქაშუეთის ზარებს დარეკდნენ,
აღიგზნებოდა შენის ლოცვით წმინდა ტაძარი
და შენს გვირგვინთან მორჩილებით ქედს მოიდრეკდნენ
ორბელიანი და ამაყი ამილახვარი.

შენ რუსთაველის სიყვარული დაგშვენდებოდა...
დაგშვენდებოდა... ო, რარიგად დაგშვენდებოდა...
ბევრი თაობა გაივლიდა ჟამთა შარაგზას,
შენ კი ლექსებში იცოცხლებდი, კარგო, მარადჟამს...
დიდი პოეტი მიგიყვანდა ხალხის გულებთან.
ვარსკვლავებივით დაგვხედავდნენ შენი თვალები...
... და ვით დიდებას აწ გარდასულ საუკუნეთა,
სულ ერთი არის, მე შენ მაინც შეგიყვარებდი.

... შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა!..

1942

* * *

შენ არა გაქვს მეფის გვარი,
ფრთაფარფატა თოლია,
მაშ, თვალები თამარქალის
როგორ გამოგყოლია?

არ მომეკრა შენთვის თვალი,
სიზმრად მაინც გნახავდი.
ხარ ყინწვისის ანგელოზი,
თეთრ ღრუბლებში ნახატი.

შენ სიყვარულს დავიფიცებ,
დაიჯერო იქნება,
ცისფერ კაბას ნუ ჩაიცმევ,
თეთრი უფრო გიხდება.

შენს სიყვარულს დავიფიცებ,
დაიჯერო იქნება,
წარბს ნუ შეჰკრავ, გენაცვალე,
გაღიმება გიხდება.

შენ არ გაქვს მეფის გვარი,
ფრთაფარფატა თოლია,
მაშ, თვალები თამარქალის
როგორ გამოგყოლია?!

1948

შემოდგომა თბილისში

შემოდგომას სულ პირველად რუსთაველზე გაიგებ,
ქარი ფოთლებს, ჭადრის ფოთლებს გაშლის, ფეხქვეშ გაიგებს.

მოვარდება კახეთიდან, ვით ფეხმარდი მოამბე.
ღვინისა და ხილის სურნელს თბილისშიაც მოაფენს.

შეჩერდება მოქალაქე, მოსდის ელეთმელეთი.
იტყვის: ალბათ ღვინის სუნით სუნთქავს მთელი ხმელეთი.

და მახლობელ ბაზრის კარებს შეხსნის, ფიქრით გართული,
რომ იხილოს თავის თვალით შემოდგომა ქართული.

არიგებულ, ჩარიგებულ დახლებსა და ყაფანზე
ყველა თავის შრომის ნაყოფს და მოსავალს აფასებს.

შემოსულა შემოდგომის დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს მთელმა თბილის-ქალაქმა.

ღვინის ზღვა და ხილის რიყე, ხილთაქება ნამდვილი,
ქარში უცხო ფრინველივით მოფრიალე მანდილი.

ყაფანებთან ანათებენ, ვით ვარსკვლავნი დარისა,
ქერა გოგო — პირიმზისა, თეთრი — პირიმთვარისა.

მარცხნივ ბზინავს ფორთოხალი, მარჯვნივ ვაშლის მთებია
და ტიკები ლოთებივით ბოძებს მიჰყუდებიან.

იქ კი, სადაც ყვითელ კომშებს და ჩურჩხელებს ჰყიდიან,
ალაზნის პირს დახოცილი დურაჯები ჰკიდია.

— ჩემი ღვინო სხვას არ სჯობდეს, მაშ, შემირცხვეს სახელი! —
კარდენახულ ღვინოს აქებს ბიჭი კარდენახელი.

იმერელი ცდილობს შენს გულს ტკბილად დაეპატრონოს:
— ნუ იყიდი, მარტო გემო ნახე, ჩემო ბატონო!

ყურძენს აქებს ხიდისთავი, წითელ ატამს — ატენი,
ირგვლივ ხილი, შეძახილი, ქების კორიანტელი.

შემოსულა შემოდგომის დოვლათი და ბარაქა,
მოილხინოს, გაიხაროს მთელმა თბილის-ქალაქმა.

შემოსულა შემოდგომა, ქუჩებსა და მოედნებს
მოშრიალე ხის ფოთლები ფრთოსნებივით მოედვნენ.

შემოდგომის ქარი ჰქრის, თუ გაზაფხულის დარია?
ლამაზები სეირნობენ, განა მართლა ქარია?..

მარჯნისფერი, ქარვისფერი ქარმა ერთად არია.
ეს კაბების შრიალია, განა მართლა ქარია?..

მზეც ღრუბლების გალავანზე ლაღად გადმომდგარია.
სიყვარულის სიმღერაა, განა მართლა ქარია?

შემოსულა შემოდგომა დოვლათით და ბარაქით
და მასპინძლობს ხელგაშლილი მთელი თბილის-ქალაქი.

1950

უკუღმა სონეტი შაჰ-აბასს

აავსე ჯამი, მალე ქვეყნად აღარ იქნება
აღარც ეგ ღვინო, აღარც მსმელი, პეი, მერიქიფევ...
შ ა ჰ-ა ბ ა ს ი.

შენს ბოროტებას სტრიქონები როგორ გადაშლის...
წინაპართ ღვარძლი ჩემს ძარღვებში ისევ მოღელავს...
სწვავდი ქვეყანას, გამოგქონდა დიბა-ატლასი.

ჰარამხანაში ხათუნების შესამკობელად.
გრძნობდი, შაჰობაც განგებისგან რომ ვერ გიხსნიდა.
მაშ რატომ გედგა ღვინის ჯამთან ჯამი სისხლისა?!

როცა დაეცი მეფე მგოსანს მახვილთა ელვით,
რად არ იგრძენი პოეზიის წმინდა ნათელი...
რად არ იგრძენი... ხალხის სისხლით ისე დათვერი,
თვით ფერეიდანს დააფრქვიე ქართველთა ცრემლი.

მილიონების ბედ-იღბალს რომ ხმლით იმონებდი,
ბნელ სამარეში საგანძურად რა ჩაგყოლია?!
სისხლიან პოეტს უკუღმართი გული გქონია,
მიტომ უკუღმა დაგიწერე მეც ეს სონეტი!

1940

გამიგონია, მთვარიან ღამეს

გამიგონია, მთვარიან ღამეს
ტბასთან მივიდა ერთი ირემი.
ტბა იყო მშვიდი და მოკამკამე,
შემოხატული ლერწმის ჩრდილებით.

თავისი ლანდი შენიშნა მორევს
და რომ სინჯავდა შნოსა და იერს,
არ მოეწონა ფეხები, თორემ
ქორბუდა რქებმა მოხიბლეს ძლიერ.

სწორედ იმხანად — უცნაურ ძალით
გამოაფხიზლა ლომის ღრიალმა
და დაწუნებულ ფეხებმა წამით
გადააქროლეს გაშლილ იალაღს.

დროზე უშველეს... ტყეს შეეფარა,
ტყე დაებურა გაუვალ ბუჩქებს
და როცა ბილიკს ეძებდა ჩქარა,
იმ ლამაზ რქებით გაება უცებ...

ო, დაუკვირდი, კარგო, ამ ამბავს,
ბრძნულია იგი და ძველისძველი:
იმ ირემივით შენც ფიქრობ, ალბათ...
დე, ესე იყოს სურვილი შენი.

მხოლოდ იცოდე, იცოდე მხოლოდ,
თუ ქებით უფრო გადაირევი,
ეგ სილამაზე დაგღუპავს ბოლოს,
როგორც დაღუპა რქებმა ირემი.

1938

* * *

ნუ ხატავ ნათელმოსილ წინაპრებს,
ვარდებს ოცნების ცისფერ ბაღიდან.
შენ გულით ერთი რამე ინატრე
და სხვა დიდება მეტი არ გინდა...
ნუ გხიბლავს ასე ყვავილთა ფერი,
ნუ ეტრფი ფუნჯით ლამაზ მიმოზებს,
თამარ დედოფლის ლერწამის ყელი
ნუ გსურს დახატო ძვირფას ტილოზე...

ნუ, ოდნავადაც ნუ აგაღელვებს,
როდესაც ნაზი მზერით დატკბები,
გვიმრის ფოთლებში ჩუხჩუხა ღელე
და ნატურმორტი მწიფე ატმების...
მხოლოდ განგების იდუმალ ძალას
ლამაზ ტუჩებით შესთხოვე ეგზომ —
ისეთი ძალა შთაბეროს ყალამს,
რომ შენი სახის დახატვა შესძლო.

1941

* * *

რას გიყურებ?..
სურთ ამ თვალებს, უმეცართ,
შეგამჩნიონ ნაკლიცა და მშვენებაც...
თორემ, თუკი შემიყვარდი, უეცრად
ყველაფერი კარგად მომეჩვენება.

1948

ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია

მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი,
ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას.
გაშლილი მქონდა ვარსკვლავთა წიგნი,
ლოდებს არ ედო ხავსი, ვით ფიქრი
და გული თითქოს ჩემებრ უხურდათ.
მე ქაშუეთის ჩუქურთმას ვჭრიდი,
ჩემი მღელვარე სულის ჩუქურთმას.

გვიმრის ფოთოლი თუ რტო ვაზისა,
ძელქვაზე ფრთხილად ასული სვია
ისე დავხატე ქვაზე ფაქიზად,
რომ ჩემს სუნთქვაზე იწყებდნენ შრიალს.

და როს დაადგა ღვთის თვალი ტაძარს,
ანგელოზებმაც მარჯვენა მიქეს,
მე ღმერთი ვიყავ და ვიქეც კაცად,
მე კაცი ვიყავ და ღმერთად ვიქეც.

მაგრამ, უცნობო, როს სანთლის შუქი
აგიჩირაღდნებს მწუხარე სახეს,
მე მადლობელი ვიქნები, თუკი
შენდობას ეტყვი ჩემს ცოდვილ სახელს.

რადგან მე უღირსს ცოდვა რამ მაძევს,
ო, ცოდვა მაძევს მე მეტად დიდი...
როცა ბოლნისის ვარდისფერ ქვაზე
ღვთისმშობლის წმინდა ხატებას ვჭრიდი,—

მე თვით არ ვიცი, საიდან გაჩნდა
ჩემი მიჯნური შემართულ ისრით
და ღვთისმშობელის თვალების ნაცვლად
როგორ დავხატე თვალები მისი.

მე თვით არ ვიცი, რად დავამგვანე
ეს ჩუქურთმები მის დალალ-კავებს.

და, ჰე... უცნობო, როს სანთლის შუქი
აგიჩირაღდნებს მწუხარე სახეს,
მე მადლობელი ვიქნები, თუკი
შენდობას ეტყვი ჩემს ცოდვილ სახელს...

1946

ორი გასაღები

მე ვნახე ერთი სურათი ძველი,
ხსოვნაში ჩამრჩა იგი მას აქეთ,
ჯოჯოხეთის და სამოთხის მცველი
ცივად დაჰყურებს ორ დიდ გასაღებს.

ერთით მას ძალუძს გაღირსოს ბედი —
დაგაძმობილოს სამოთხის კართან,
ხოლო მეორით — შავ ჯოჯოხეთის
გადაგაფაროს შავბნელი კალთა.

შენც უხილავად გიპყრია ხელში
და წყვილ გასაღებს დაჰყურებ დინჯად.
შეარხევ, ძილშიც მათი ხმა მესმის,
შენი თილისმის ძალას თუ სინჯავ.

ერთი წკრიალებს ტკბილად, ვით ზარი,
მაგრამ მეორე გველივით წივის,
ერთს ჯოჯოხეთის დაჰნათის ალი,
ხოლო მეორეს — სამოთხის სხივი.

ღვთაებავ ჩემო, ფიქრსაც ვერ ვბედავ,
განკუთვნილია ჩემთვის რომელი:
სამოთხის შვებას მიმზადებ ნეტავ,
თუ ჯოჯოხეთის ტანჯვა მომელის?..

1946

უსახელო ყვავილი

დაილოცა საქართველო
ზღვიდან სერით სერამდი.
ყვავილები, ყვავილები
თეთრი, ათასფერადი...
ვკრიფე, მაგრამ რა დაჰკრეფავს,
რა თითები ეყოფა...
ყოფილიყავ, წყება-წყება
გულზე დაგეყრებოდა.
კეკლუცებმა თითქმის მთელი
ველი შემომატარეს,
ვკრიფე, ბევრი შენს ბაგეებს,
შენს თვალებსაც ვადარე...
მხოლოდ ერთი პაწაწინა,
ოქროსფერი ყვავილი,
ვით ჩუქურთმა, ოპიზარის
ხელით გამოყვანილი,
სულ შენ გგავდა, ნაირფერად
ველად ჰფენდა სინათლეს,
მოვინდომე მისი ცნობა
და სახელიც ვინატრე.
ვინ მეტყოდა?.. საბაც ვსინჯე,
ქართულ სიტყვის თილისმა,
ვერც მან მითხრა, ვერც ყვავილმა,
ვერც ნიავმა დილისამ.
ვდუმდი... ჩემს წინ გაზაფხულის
შუქად ამოყვანილი
ირხეოდა, ციმციმებდა
უსახელო ყვავილი.
... ბოლოს, ასე პაწაწინას,
ბოლოს, ასე უცოდველს
დავაკონე ბაგე ფრთხილად
და ლეილა ვუწოდე.

1940

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა

ბევრი იარა, თუ ცოტა იარა,
ლამის დედამიწა შემოიარა.
რამდენი ბილიკი, რამდენი გზაშარა,
რომი და ბერლინი, პრაღა და ვარშავა.
ხან მუსონს გაასწრო, ქარიშხლად მობერილს,
ვენა და ტირანა, დელი და ბომბეი...
ხან ცხელი სამუმი გასჭრა და გაფლითა, —
ჩაფრინდა ბეირუთს, დამასკოს ჩაფრინდა.
როცა მიდიოდა მშობლიურ მთებიდან,
როგორც ავგაროზი, ზედ გულზე ეკიდა:
მიწა თბილისისა თბილი და გრძნეული,
დედის თავმანდილში ფრთხილად გახვეული.
და სძულდა ანდაზა: რომ სადაც მიხვიდე,
ქუდიც იქაური იყიდე...
ქართულ ქუდს არასდროს იხდიდა თავიდან,
პარიზს და ვაშინგტონს ამ ქუდით ჩავიდა.

და სადაც მივიდა, და სადაც შეჩერდა,
ქართლთან თუ კახეთთან მსგავსებას ეძებდა.
და სადაც ოცნების აფრები გაშალა,
ეგონა, უჭვრეტდა რაჭას თუ აჭარას.
მზე სწვავდა გაგანა, თუ ცივად აწვიმდა,
სულ თვალწინ სახატედ ეხატა მთაწმინდა.
როდესაც გაუდგა კვალს ჰომეროსისას
და აპოლონიის ნანგრევიც მოსინჯა,
ელინის მიწაზე, ერთ დროს რომ ლაღობდა,
რუსთველის გუგუნი ჩაესმა რატომღაც.
და ტიურინგიის ატეხილ ტყის პირას,
როდესც გოეთეს სასახლე იხილა,
ყვარელს და ვაიმარს თუმც ერთად რა უნდა
და მაინც თვალდათვალ ილია დაუდგა.
ბევრი იარა, თუ ცოტა იარა,
თითქმის დედამიწა შემოიარა...
და თუ იქ, სხვა ცის ქვეშ, შორეულ მხარეში,
უცხო რამ ჩაენთო გულშიც და თვალებშიც,
უცხო რამ, რაც მგოსნის ხსოვნაში დარჩება,
უცხო რამ, რაც წლებით არ დაიჩაგრება,
უცხო რამ უთქმელად გულს რომ არ ეთმობა, —
ამ წიგნში შეკინძა, ამ წიგნში შეკონა,
ამ წიგნში აასხა — ლექსების ჯაგნებად...
და, სულზე უტკბესო ქვეყანავ მშობელო,
ქართულო ქალაქო, ქართულო სოფელო,
მთა-ბარო, ყვავილთა ჩანჩქერით ნაბანო,
სამყაროს გვირგვინში ჩასმულო ალმასად,
ეს გული, ეს წიგნი, ეს ლექსთა ჯაგანი,
მიიღე — მუხლმოყრით შენ შემოგთავაზა!

1960

საუბარი ნაძვებთან

ამ მთაზე ამოსვლა როგორღა გაბედა,
არა ვარ ასეთი გოგონას მნახველი!..
მოსულა თქვენთანაც და შეუბრალებლად
დანით დაუხაზავს თავისი სახელი.
თქვენ, ალბათ, ტკივილებს გულშივე იქრობდით,
ზეცას ვერ შესძრავდით ზარით და კივილით.

როდესაც გსერავდათ, ნეტავ რას ფიქრობდა,
ნეტავ თუ ესმოდა ეგ თქვენი ტკივილი,
თქვენ, ვიცი, დასწყევლით, თქვენ, ვიცი, დასძრახავთ...
რა ვუყოთ, შლეგია და გადარეული...
აი, მე პატარა პოეტი გახლავართ,
მარად ჟამს სუსტი და ფერგადალეული...
და განა დამინდო?! არაფერს ჩამორჩა,
იხმარა ათასი ხერხი და მახენი,
ამხადა მკერდი და ზედ გულზე ამომჭრა,
ზედ გულზე ამომჭრა თავისი სახელი.
მაგრამ მე თქვენსავით არ ვკიცხავ ამაზე.
გავა დრო, ბავშვური ვნებებიც გაუვლის...
ისეთი კარგია, ისეთი ლამაზი,
შევუნდოთ, შევუნდოთ ეს დანაშაული.

1940

* * *

ადამიანი მთვარეზე დადის,
მთვარეულივით თითქოსდა ფრენით,
ადამიანი მთვარეზე დადის,
სიზმარეულად დადის, ვით ლანდი,
სკაფანდრიანი და მთვარის ფერი.

ადამიანი მთვარეზე დადის,
მთვარეულივით უხმოდ და ფრთხილად,
ადამიანი მთვარეზე დადის,
მთვარის შუქია თუ თოვლი ბარდნის?..
რა დროა ნეტავ, ღამე თუ დილა?..

კაცობრიობის სიზმარი ცხადი —
ადამიანი მთვარეზე დადის,

მე ძილში ჩამყვა ამ დღის დიდება
და როცა ღამემ კალთა დამხურა.
მეგონა, ვიღაც დააბიჯებდა
ჩემი პატარა სახლის სახურავს.

თითქოს უსაზღვროდ ლამაზს და მაღალს
შემოუნგრიეს ლიბო და ფუძე.
თითქოს ძვირფასი დავკარგე რაღაც
და ძილ-ღვიძილში მეწყინა უცებ.

... მამლის ყივილმა გამიფრთხო ძილი,
თვალებს იფშვნეტდა ადამის მოდგმა
და აჩნდა კაცთა ნაბიჯი წყვილი
მთვარეს — ჩემს ღია სარკმელთან მომდგარს...

1969

ᲨᲝᲠᲔᲣᲚ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ...

I

ჩვენ, როგორც ბავშვებს, გვარიდებდნენ ცდუნებას მრავალს.
შიშობდნენ, ვაჰთუ, ვერ გაგვეგო კარგი და ცუდი...
არ აგვრეოდა სხვა ქვეყნებში თვალები ავად,
არ შეგვერცხვინა, მათი აზრით, ნამუსის ქუდი...
და ახლა ასაკმიღწეულად ჩაგვთვალეს, ალბათ, —
თუ გსურთ, წადითო, გაიარეთ, ქვეყანა ნახეთ. —
თან დაგვარიგეს, როგორ უნდა მოვიქცეთ კარგად,
რომ ხალხს ვუჩვენოთ, როგორც გვითხრეს, ჩვენ ჩვენი სახე.
გვირჩიეს: წვერი გავიპარსოთ ჩვენ ყოველ დილით;
კარგი ტონია — დავიჭიროთ ჩანგალი მარცხნივ.
კაპიტალისტთან საუბარში სჯობს ვიყოთ ფრთხილი,
არ მოგვივიდეს უცხოეთში პატარა მარცხიც...
ბოლოს, შევავსეთ ანკეტები, წესია როგორც,
გაფორმდა ვიზაც, აჰა, უკვე მოგვცეს საშვები;
... ო, არ შეგარცხვენთ! დარიგება გვაკმარეთ ოღონდ...
ორმოცი წლის ვართ, ღმერთო ჩემო, არ ვართ ბავშვები!..

II

იქნება მართლაც დაგვავიწყდა ქცევაც და ჩაცმაც,
იქნება მართლაც შემოვივლეთ კედელი დიდი,
იქნება მართლაც სწორი სიტყვა უნდა თქვას კაცმა,
ჩვენს თავს ყველასგან განდეგილად ჩვენ თვითონ ვზრდიდით.
ან იქნებ ამას მხოლოდ დედის სიფრთხილე ჰქვია,
დედის, რომელიც შვილს პირველად ისტუმრებს სადღაც,
რადგან დედები შვილებს მუდამ ბავშვებად გვთვლიან,
გვატანენ რჩევას, ვით საგზაოდ იმედს და საგზალს...
ასე ვფიქრობდი, ატყორცნილი ზეცის ტატნობზე
არა ოცნებით, თვითმფრინავის ფრთებით ძლიერით...
ჩემს ფანჯარაში შემოხედვა სურდათ მნათობებს
და დაბლა ჩანდა ცის და მიწის დასალიერი.

III

ვერც კი გავიგეთ, თვითმფრინავმა ისე გალია
ჩეხეთის მიწა, შვედეთი და შვეიცარია.
ჩვენს დაბლა ბევრი მოგუგუნე ზვირთი ღელავდა...
ჩამოვიტოვეთ თურქეთი და ძველი ელადა.

რა პატარაა დედამიწა — პლანეტა ჩვენი!
ვაქებ თვითმფრინავს და ვჩურჩულებ კიდევ და კიდევ...
გადავუქროლეთ მთელ ევროპას გიჟმაჟი ფრენით,
გავსერეთ ზღვები და აფრიკის მხურვალე კიდე.
რა პატარაა დედამიწა — პლანეტა ჩვენი!
ეცოტავება ჩვენს თვითმფრინავს, ქარიშხლის ფრთიანს...
ჩვენ კი დავყავით ნაჭერ-ნაჭერ, აღვმართეთ ბჭენი
და თითო ნაჭერს სახელმწიფო სახელად ჰქვია.
ზოგს დიდი შეხვდა ეს ნაჭერი, პატარა ზოგსაც,
ზოგს არაფერი, რაცა ჰქონდა, დაჰკარგა ისიც.
დიდს უნდა უფრო დიდი გახდეს, სხვა ყველა მოსრას
და არ ილევა ქვეყანაზე ომი და სისხლი...
გეოგრაფები ვერ ასწრებენ რუკების შეცვლას,
ომი ომს მოსდევს, ცივია, თუ ცხელია იგი...
ომი ომს მოსდევს, როგორც ღამე მოჰყვება დღესა,
ჟამთაცვლის წიგნი იწერება სისხლიან ხელით...
... რა პატარაა დედამიწა — პლანეტა ჩვენი!

1960

* * *

შენ სიყმაწვილის გაზაფხულზე დამტოვე მარტოდ,
გულს მიღონებდა მწუხარების უმანკო ცრემლი.
ასდევდა ჩემი შორი ფიქრი ლურჯი ცის ტატნობს
და ღრუბლებიდან დამყურებდა სიკვდილის ცელი.

ვიდოდი ფიქრით მოღალული და განათელი
და ღამით, როცა დამფარავდა სიზმრების კალთა,
ყმაწვილს ხსოვნაში როგორც დამრჩი სახენათელი,
სანუგეშებლად მოდიოდა ჩემს სასთუმალთან.

წარვლიან წლები და სიბერე ცივი და მკაცრი
ჩამეჩრდილება ჟამთა სრბოლით მოღლილ თვალებში,
მაგრამ მე ისევ, როგორც მაშინ, უმწეო ყმაწვილს,
მომენატრება მშობლიური შენი ალერსი.

1988

ზურაბ ლორთქიფანიძე

საღამოსას

საღამოს ბინდი ხოხვით და ოხვრით
კავკასიონის მწვერვალს მოება,
მოხუცი ბილიკს მიჰყვება ჯოხით
და მოჩანს როგორც დამშვიდობება.

არც საღამო ვარ, აღარც რიჟრაჟი,
დრო ჯერ გიშერში თეთრს ვერ დამითოვს,
თავაღერილი და გულგიჟმაჟი
მე შუადღე ვარ შუა აგვისტოს.

ალპური მთების ზევით ჩენილი,
შუაღამემდე მოვრჩი ხეტიალს,
მამულს დავცქერი ცად შეფრენილი,
ცის თვალებიანს და კლდისმკერდიანს.

მთიდან რიჟრაჟი იღვრება ბაღში,
ბაგეს უნამავს ყვავილთა წყებას.
მწვანე ერდოზე ამორბის ბავშვი
და ჰგავს სიცოცხლის პირველ დაწყებას.

1961

სამჯერ დარეკა

სამჯერ დარეკა საათმა ღამით,
ცაზე ღრუბლები გაჩნდნენ ბელტ-ბელტად,
ჩამესმის ჩემი ნაბიჯის ჩქამი,
თბილისი ისე დაცარიელდა.

ნესტიან ღამეს ბეჭებზე ვისხამ,
გვერდით ელვარებს ნარბენი მტკვარი,
ჩაქრნენ ფანჯრები და ჩაქრობისას
მე გამომწვევად ჩამიკრეს თვალი.

მოსახვევებში გრიგალი ოხრავს
და თქეში რეცხავს ხეების ძირებს...
მე?! სტრიქონებში ჩავიდგამ ქოხმახს,
შევალ, შევასწრებ და გადვიწვიმებ.

1958

საქართველოში ხშირია მუხა

შენს ჩრდილში ვზრდიდი ოცნებას მუდამ,
ბუმბერაზო და ამტანიანო,
ჩვენს დიდ მამულში შენ ხარობ, მუხავ,
და მუხასავით ადამიანო.

გემსგავსებოდე აგრე დაუმცხრალს,
ჩვენ ხომ ერთნაირ მიწაზე ვიშვით!
გაშლილო, მუხავ, დამლოცე, მუხავ, —
შენი მაგარი მოდგმის და ჯიშის.

დროჟამის ტყეებს, გულო, შევებათ
ხვალ — ზეგინდელი დილა გვეხილოს,
მოვიდეს ყველა დღე-ღამეები, —
ტანს ხალათივით შემომეხიოს.

რომ სიყვარულის სიმღერა ვუთხრა
მხარეს ვარდიანს და ტევრებიანს...
შეუდრეკელი ყოფილა მუხა,
ეს მეხიც მიტომ დამტერებია.

მეც ვშრიალებდე შენსავით მუდამ,
ბუმბერაზო და ამტანიანო.
საქართველოში იხარე, მუხავ,
და მუხასავით ადამიანო.

თოვლის ფიფქის საყვედური

ეს თოვლის ფიფქი ჩამოდის თრთოლვით,
ქუჩაში დიდხანს ვეღარ ისვენებს.
ამ უდღეობას ქათქათა თოვლი
აბრალებს მზის სხივს და თბილისელებს.

ფიფქი გამზირს რომ ეცემა და რთავს,
ცას საყვედურით ავსებს ყოველთვის:
— რად ამარიდე ყაზბეგის თეთრ თავს,
მარადისობას მოვიპოვებდი!

1944

ამ კედლებიდან

თეთრ პალატაში, თეთრ სარეცელზე
მოსაწყენია დღეები წოლის,
ქუჩიდან გუშინ ამოვეწერე,
ტახტი დავიდგი ორ კედელს შორის.

გარეთ ფართქალებს ბეცი ღამურა,
გარეთ კაპასობს მწვანე ჭრიჭინა.
დრომ სახურავზე გადიხმაურა,
დრომ ფანჯრებს იქით ჩაიჭიხვინა.

მე მიხარია გარეთ ქარები,
მწვანე ტყეების შუა გამყოფი,
ამ სიჩუმეში მე მიხარია
გრიალი შორი ტრამვაის ბორბლის.

ქუჩის ხმაურზე სიცოცხლეს ვხედავ
და ერთი წამით სული არ ცხრება,
ახლა მომინდა ყველაზე მეტად
ამ კედლებიდან თავის დაღწევა.

აკიჟინებულ ქუჩაზე სხარტად
გადავეხვიო სიცოცხლეს ყელზე,
პირველ შეხვედრილ ადამიანთან
ჭიქა ავწიო ნამცეცა ხემსზე.

თენებამ გასჭრა სივრცე ფხიანად
ყოველ ქუჩიდან, ყოველ ჩიხიდან,
დრომ ზედ სარკმელთან ჩამიგრიალა,
ჩამირბინა და ჩამიჭიხვინა.

გარეთ ინთება დილა ჟინჟღილა,
შემდგარი გზაზე, ბოგირზე, ხიდზე.
დრომ ზედ სარკმელთან ჩამიჭიხვინა,
მინდა მოვახტე და ავყიჟინდე.

1950

გაზაფხულის წინ

ფერდობმა თოვლი აალანქერა,
თეთრი ჩანჩქერი ხეებს ჩაუდით.
ხის ძირში იის თვალთა გახელა
შეგვატყობინა ზეცამ სალუტით...

გზადაბნეული ღრუბელი მიდის,
კლდე შემურულა ნისლის თებოთი.
ამ ერთ რიხიან დაქუხებისთვის,
მეხო, რამდენ ხანს ემზადებოდი?!

1954

კაცი თუ არა...

თითქოს თბილისის ქუჩებს ვუზრდივარ
აქამდე ბალღი ღიმილმჩინარი,
დღეს ყველა ქუჩა მხვდება გულთბილად,
ქუჩა დღედაღამ დაუძინარი.

რომ დავიხურო უეცრად ქუდი,
მოვწყდე, წავიდე, დავტოვო დიდხანს,
კაცი თუ არა (დაუშვათ წუთით),
თბილისში ქუჩა მაინც მიკითხავს.

1960

თბილისი ისევ ზორს იცქირება...

დავტოვებ თბილისს, გავიმარტოვებ,
გავხდები ქარში ღამენათევი,
როგორც ყაზბეგი, მოვნახავ ტოლებს,
თქვენს ძმაკაცობას მივემატები.

ვივლი ლერწმებში, სადაც ტახები
დაწრიალებენ, ფიცხლად დახტიან.
ვივლი ღამეში ვარსკვლავთ თანხლებით,
ჩემთვის ტრამალი ოქროს ტახტია.

რომ ჩემი გული ლხენამ აღავსოს,
რომ გედგეთ ჭირშიც, ლხინშიც ძმობილი,
მეც შევებმები საქმეს სახალხოს,
მამულის ბედზე გულდანდობილი...

ვივლი თქვენსავით მთაში და ბარად,
მდელოს ბიბინი გულს გამიხარებს,
და ნაბიჯებით გავზომავ ჩქარა
მიდამოების სიგრძე-სიგანეს.

მოვალ, ფიქრები ველად ილტვიან,
სადაც წავიდეთ — დავცეთ კარავი
თბილისი მაინც ისე დიდია,
არ მოვაკლდები თვალში არავის.

თბილისი ისე შორს იცქირება,
თვალზე ისეთი ელვა გადაჰკრავს,
რომ დაინახავს კაცის გმირობას
ასი ათასი ქედის გადაღმაც.

1951

ჩემი სიცოცხლე

ჩემზე არავინ არ ფიქრობს, არა?..
არა! სულ ასეც არ არის საქმე:
განა არავის არ ასოვს, განა
ჩემი ფიქრები და ჩემი სახე.

განა ამაყად აზიდულ მთებში
ვერვინ მცნობს თუნდაც უმცირეს მიკრობს?
არა, დღეების ლაბირინთებში
დადის სიკვდილი და ჩემზე ფიქრობს.

ვის შეუქია სიკვდილის ბინდი,
მაგრამ აუგი არ მეხერხება.
ვიდრე მამულში ვალს არ მოვიხდი,
ალბათ, სიკვდილი არ შემეხება...

შემომხვედრია თეთრ პალატაში,
ქუჩაში, ველში, ღრუბლების ჭავლში;

ჩაუხედნია პირდაპირ თვალში
და ჩამალულა დრო-ჟამის ჭაში.

თითქოს აზროვნებს სიკვდილი ჩემი,
სიცოცხლის ველზე მიმიშვა თოკით,
დავდივარ ქვეყნად მქუხარე, ჩუმი,
პურის ნატეხით და ველი დოქით.

ვდივ მდინარეებს ტალღებქაფიანს,
შუბს ცისარტყელას ფერები სარტყლავს,
სიკვდილის თოკი ყელზე მაბია
და მიბმული ვარ სამარეს სადღაც.

მესმის ბალახის, ფოთლების ჩქამი,
მეგობრის სუნთქვა, ფიქრების შეხლაც.
სულგრძელი ხდება სიკვდილი ჩემი
და თითო ნაბიჯს მიგრძელებს ქვეყნად.

1965

მესაზღვრე

ფხიზლად დარაჯობ გაყოფილ ზეცას,
გაყოფილ მთებს და გაყოფილ ნისლებს.
შუაგაჭრილი წყარო შხეფს ხვეწავს
და ჩამოვლილი თეთრ პეშვებს გივსებს.

ჩამოვა ღამე, კუპრის ფერს გაშლის,
მცირე რამ ჩქამი გესობა შუბად
და შენს სამხედრო ხალათში მაშინ
სიკვდილის ლანდი ეხვევა ჩუმად.

ედება მკლავებს ძალა ჩვეული,
კაჟდება გული, ბნელში გამწყრალი.
გრძნობ, შემოგყურებს შეჭიდებული
სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრი საზღვარი.

მე იმ დროს, ალბათ, ქუჩით ხმობილი,
ფიქრს აყვავებულ ცამდე წამოვშლი,
ჩვეულებრივად გამოწყობილი
სამოქალაქო ტანისამოსში.

ვიცი, არ მელის მშობელ მთა-ველში
სულთამხუთავი ბუღი და ხვატი
და მაინც ზოგჯერ ჩემს შავ თვალებში
შავად ჩადგება სიკვდილის ლანდი.

იქნებ მეც ვიყო მესაზღვრე სიტყვის,
ტკივილის,
წუთის,
სივრცის
და სეტყვის.

იქნებ მეც ვიყო ქვეყნის ნაპირზე
შენებრ მესაზღვრე ფხიზლად დამდგარი,
და მელანდება ყოველ ნაბიჯზე
სიკვდილ-სიცოცხლის მძაფრი საზღვარი.

იქნებ, ო, იქნებ, კიდიდან კიდეს
ჩვენ ერთნაირი იღბალით ვხვდებით...
ქვეყნად ვინც ნამდვილ სიცოცხლეს
მისდევს, —
უშიშრად დადის სიკვდილის გვერდით.

1959

შენ — საქართველო!..

არწივის ფრთებით ვინატრებ ფრენას,
ოცნებებს გავფენ ველზე ფარჩებად
წავლენ დღეები და ნელა-ნელა
სიცოცხლე შენზე დამეხარჯება.

ღამისუსტდება მუხლები ძალზე
ჩამეფერფლება შავი თვალები;
მე მაშინ სიოც წამაბარბაცებს,
შენ, საქართველო, ვერც გრიგალები.

1947

ორი სილამაზე

ორ სილამაზეს შევასწარ თვალი:
ქალი ზის, ვეფხვი უდგას მუხლებთან...
ელავდა ვეფხვის მოქნილი ტანი
ქალი ვარსკვლავეთს სარკმელს უღებდა.
დაძაბულია მთელი დარბაზი,
ხალხი დუმილით გადანარაზი,
ქალი ვეფხვივით არის ლამაზი,
ვეფხვი ქალივით არის ლამაზი.
ფერად-ფერადი ფერი ძვირფასი
იწვის თვალებში შუქად დაძრული,
სცენაზე შეხვდა ვეფხვს მისი მსგავსი
მშვენიერება ფხაგაბასრული.
ვეფხვს მიეტმასნა ხავერდის სითბო,
შორეულ ფერთა შრიალმა იხმო,
გარინდულიყო ვეფხვი იმიტომ,
რომ სილამაზე არ შემკრთალიყო.
ქალის თვალებში ცისკარი ღვივის,
ვეფხვის პირისპირ, აი, შემთხვევა,
ვეფხვს შეაშველებს ვარდისფერ ღიმილს
და ძოწეულის ფერში ეხვევა.
არ არის ჩვეულ სიფიცხის მჩენი,
თითქოს სიმორცხვით ყელს იღერს განზე,
აშინებს ხანჯლის პირივით მჭრელი
ქალის სინაზე და სილამაზე.
ორ სილამაზეს შევასწარ თვალი:
ქალი ზის, ვეფხვი უდგას მუხლებთან
ელავდა ვეფხვის მოქნილი ტანი,
ქალი ვარსკვლავეთს სარკმელს უღებდა.

1962

მე რა მაცოცხლებს?..

მე რა მაცოცხლებს?..
რად მწვავს შორი ცა?..
შენ რომ არ გიცნობ
და მოლოდინი ამ გაცნობისა.

მე რა მაცოცხლებს?..
ლევი რომ ახლა ისევ მწვანეა.
იებს რომ ვუცქერ ხის ძირას მორცხვებს
მათი ცქერა რომ არ მომწყენია.

გორით დელგმა რომ მონაღვრიანობს
და ბარში ღელვა შექმნეს ჩქერებმა,
შორი ღრუბელი მონაღვლიანო
რომ იცრემლება.

დილის ცრემლებით დანამულ ბაღში
ნისლის ქულა რომ ტაატით მიდის,
ენაჭიკჭიკა აგერ ის ბავშვი —
ჯერ რომ ბავშვია და არა დიდი.

მე რა მაცოცხლებს?..
ზეცას რად ვუმზერ?..
გულს რად მეხატვის მიდამოს თარგი?..
ჯერ რომ აღმართულ თეთრ იალბუზზე
ფეხი ვერ დავდგი.

1950

ლადო სულაბერიძე

ელვა

ელვა ელვას გაეკიდა, ცას შეატყდა მეხიანს,
თითქოს გაშლილ ცის ბადეში კალმახი გაეხვია,

კავკასიონს ფრთები გაჰკრა, აქ თრიალეთს მოედო,
წააფრინდა შუაღამეს, შავ ფაფარზე მოენთო.

შორს არჩვები დაუფეთა მონადირე ხევსურთა,
მერე ისევ ღრუბლის ტბაში კალმახივით შეცურდა.

როგორც ახლა ქციის ხევში ცამ ზარები დარეკა,
ნეტამც ასე გავხმაურდე ჯავახეთს თუ გარეკახს.

როგორც ელვა ელვას გაჰყვა, ეხვევიან ველებს, მთებს,
ჰოი, ცაო, ერთი წამით ნეტამც გავიელვებდე.

მე და ელვა, მე და ქციას ნაპერწკალი ცქრიალა,
ერთ შუშაში მოგვაქცია, ერთად აგვაბრიალა,

რომ ნათელი სიჭაბუკე მახლდეს მარად მეგობრად,
ერთი წამით გაელვება მთელ სიცოცხლედ მეყოფა.

1947

ჩიტები

ღამეს ათევენ ხეზე ჩიტები,
არ შეარხიო, ქარო, რტოები.
ღამეს ათევენ ხეზე ჩიტები
და ესიზმრებათ უდაბნოები.

და ესიზმრებათ უდაბნოები,
გადაბუგული მზით და თაკარით.
არ შეარხიო, ქარო, რტოები,
არ დაურბიო ჩიტებს სახლ-კარი.

ამაღამ მაინც ნუ გაწვიმდები,
ამაღამ მაინც ნუ გათოვდები,
ჩიტებს არა აქვთ თბილი წინდები,
ჩიტებს არა აქვთ თბილი ოდები.

ჩაბუდრებულან ღამის უბეში
და აფარიათ მწვანე ფოთლები,
გამოხვეულან სიზმრის ღრუბელში,
ღრუბლებო,
ახლა ნუ აღშფოთდებით.

დასველებიათ ნამით ნისკარტი,
დაუხუჭიათ თეთრი ქუთუთო,
აცალეთ ახლა ჩიტებს ცისკრამდი,
გრიგალო,
სუნთქვა არ შეუხუთო.

ბრალია მათი სიზმრის აკლება,
ბრალია ახლა და ნუ ხმაურობთ.
აცალეთ, როგორც ზანზალაკებმა
დილით რტოებზე გაიჟღარუნონ.

ჩასაფრებულან ხევში ქორები,
ხელი მიმინო კლანჭებს ილესავს,
ამაღამ მაინც დაცხრით, ქარებო,
გემუდარებით უმორჩილესად.

ღამეს ათევენ ხეზე ჩიტები.

1967

სანგარი

პატარა ბარით გავჭერი, პატარა სიგრძე-განი აქვს, —
შავი ზღვის გალავანია, ყირიმის გალავანია.
ხან ქარი ღრუბლებს მომაშლის, ხან ციდან თოვლი დამათოვს,
წუხელ რარიგად ჰყინავდა, ამ თხრილმა როგორ გამათბო.
ის მიჯობს, სამარედ მექმნეს, მტერმა ვით გადამითელოს.
აქედან უკან წასულსა მზემ დილა არ გამითენოს.

პატარა ბარით გავჭერი, პატარა სიგრძე-განი აქვს,
აუღებელი რამ არის, ურყევი გალავანია.

იგი მე მიცავს, მე — იმას, ის ჩემი სახლის კარია.
მამულის ფარად მე ვდგავარ, მამული ჩემი ფარია.

1942

ბეგია

მიადგამდა ცეცხლთან ქოთანს,
სულ თუხთუხას და ქოთქოთას,
ჩანაყავდა ქვასანაყით
ნიგოზს, პილპილს, ქინძს და ქონდარს,
ლობიოსთან მას არაყი,
შავი ღვინოც მარად ჰქონდა,

გასახარი დასანახი,
ბოსტანში და ზვარში ჰქროდა,
სულ რაღაცას აპირებდა,
მუდამ ხვალის ჯავრი ჰქონდა.
... მიაუნჯას ნაპირებთან,
ო, რა ტკბილად მომაგონდა.

1950

როსინანტი

მე დამითვლია შენი ნეკნები,
გავაზე აღარ გაჩნდა ბალანიც.
ზურგზე გეყარა ქვეყნის ეკლები
და წუთისოფლის დარდუბალანი.

ზიდე ვრცელ გზებზე
სურვილების მძიმე საპალნე.
ეძებდი კაცთა
კეთილშობილ სულის საფანელს.

მინდორზე ბევრი თივა ავცელე,
გზათა კიდეზე დავდგი ზვინებად.
მარადის კეთილ სულთა დამცველებს
აღანთებს შენი შეჭიხვინება.

უსაზღვრო არის
ლამანჩელი რაინდის ლტოლვა.

ლანდია შენი
კენტავრების ზღაპრული ქროლვა.

შემართულია შუბი და ფარი,
ვინ შეაჩერებს სწრაფვას ჟინიანს?!
ო, ღრუბლისფერი შენი ფაფარი
დაშვენდებოდა თმად დულცინეას.

განა თელავდი ბალახს, —
მკურნალს საპყრის, კეთროვნის,
ცისფერო ფრთაო
გზად დაღლილი ჩემი თეთრონის?!

მას სურს, მოგდევდეს ყიჟინით, ფრენით,—
ღრუბლიან გზებზე დავიქანცენით.
... მრავალ ბედაურს შეშურდა შენი
შუბისტარივით წვრილი კანჭები.

1965

ათი ნაბიჯი სიცოცხლე

მე მიღალატა ძმაკაცმა გუშინ...
ჩვეულებრივი დღე იყო... მშვიდი...
მზე ჩახჩახებდა, ჰყვაოდა ნუში,
იკვირტებოდა ვაშლი და შინდი.

მე მიღალატა ძმაკაცმა გუშინ,
მყის შეიცვალა ცხოვრება ჩემი,
დღე გახდა მღვრიე, მზე გახდა ქუში,
და დაითალხა სითეთრე ტყემლის.

გუშინ ძმაკაცმა ფიცი გატეხა
და ხმელ მჭადივით მიუგდო ძაღლებს,
მე უცებ გავხდი დაჭრილი ტახი,
ეშვებით ვგლეჯდი საკუთარ ძარღვებს.

პირველად შვილმა შემხედა იჭვით
და ჩემი ძალის რწმენაში შეკრთა.
გუშინდელს მერე ძალიან მიჭირს,
გაუჩნდა ბზარი ჩემ კაცურ ბეგთარს.

გულგატეხილი გზად იდგა ბავშვი,
არვის უწვდიდა მოცარულ ცივ ხელს.
ავხედე მთაზე დიდ ციხეს დაშლილს,
ერთხელ ღალატით დაქცეულ ციხეს.

მის თავზე თეთრად ელავდა ნუში,
მან არ იცოდა, მზეში და დარში,
რომ მიღალატა ძმაკაცმა გუშინ
და მიტომ ასე უღონო დავრჩი.

და მერე მთაზე, ბებერ ციხესთან
შევდექი დაშლილ სულით და ხორცით.
უცებ შორიდან ამოიხედა
შენმა ლანდმა და აფეთქდა ბორცვი.

ავარდა შორი ყირიმის ბოლი
და ციხის ნანგრევს მივეყრდენ ბნელში.
მომაწყდა ცხელი ქარ-ცეცხლი ბრძოლის,
ქარი, შორეულ კვნესით და ხვნეშით.

ლახტის წრესავით შეკრული ალყა
ვიწროვდებოდა აზოვის ზღვასთან.
იქიდან შენი სიცოცხლე გამყვა,
არ მიმატოვა მას მერე არსად.

ძმაკაცურ სიტყვას მივანდეთ ბედი:
„დავიჭრე, გიხმობ, დაიჭრე, მიხმე“.
ღამეზე ყვითელ ტყვიებით ვწერდით
ერთგულებისთვის განწირულ სიყრმეს.

ერთი გარბენა და ალყის გარეთ
გველოდებოდა ნაპირთან გემი.
უკანდახეულ, დარბეულ ჯარებს
მიჰქონდათ ლტოლვა შენი და ჩემი.

ათი ნაბიჯი მანძილი რაა
დედამიწისთვის სიგრძით თუ წონით!
ათი ნაბიჯი მანძილი რაა,
მაგრამ ეს იყო სიცოცხლის ფონი.

ათი ნაბიჯი გადმოდგი უკან
და დაჭრილ ძმაკაცს წაავლე ხელი.
ათი ნაბიჯი გადმოდგი უკან
და წამს დახარჯე ცხოვრება მთელი.

შემოახვიე ჭრილობებს ჩემსას
შენი სიცოცხლის ელვარე ბანდი.
ყველა ჭრილობას შენ მიხვევ დღესაც,
და მხარში მიდგას კვლავ შენი ლანდი.

ათი ნაბიჯი მანძილი მიწის
შენ გაიარე ქარ-ცეცხლში სიმწრით.
და ზედ მარადი ცეცხლივით იწვის
გაუტეხელი სიტყვა და ფიცი...

მე მიღალატა ძმაკაცმა გუშინ,
კვირტების სკდომა მესმოდა ხიდან.
მან დამიტოვა ჭრილობა სულში
და მიმატოვა ჩატეხილ ხიდთან.

როცა ღალატით დაქცეულ ციხეს
მივეყრდენი და ისევე გიხმე,
წამომეშველა მე შენი ლანდი
და სულის მძიმე იარას მიხვევს.

და გუშინდელი ძმაკაცი ფლიდი
ამოეფარა ღრუბლების ფარდებს.
მშვიდად სკდებიან კვირტები შინდის
და ვიფენ მკერდზე ნუშების ნათელს.

შენს ლანდს ვეყრდნობი, და ვიშვერ ცამდე
გუშინ ჯიბეში შეკუმშულ მჯიღებს...
და მივდევ გზაზე გარბენილ ლანდებს,
და ვეძებ ხალხში ჩაკარგულ ნიღბებს.

1967

ოცნება

1

რა ვიცი, სად ხარ და რომელ სოფელს.
ან რომელ ქალაქს დაემკვიდრები,
ახლა სკდებიან ატმის კვირტები
და სხვა კვირტებთან უკეთესობენ,
შენ კი არ გესმის მათი ჩურჩული...

ან იქნებ მოდის წვიმა ჟუჟუნა
და უხარიათ იებს, ბალახებს,
იქნება ქარმაც ჩაიზუზუნა,
ელვის ღიმილი შენც მოგანათეს,
შენ კი ჯერ ეგეც არ გიხარია.

ტირი და დედა, „ნუო“, გაწყნარებს,
თითით შეგეხო თოთო ბაგეზე.
გარეთ შრიალი გააქვთ ნაძვნარებს, —
იქნებ სამღერლად გიწვევს, გაქეზებს,
შენ კი არ გესმის მათი შრიალი.

გაიზრდები და ვიცი, გახდები
ატმის ყვავილზე უფრო ნატიფი,
მანდ დაიბადე და დასახლდები
იქ, სადაც ჩემს ვაჟს უცდის სათიბი...
შენ კი ჯერ ამას არ გრძნობ, არ იცი.

2

ჩემი პატარა, ვაჟი, ლამაზო,
უკვე ტოლებთან ქრის და თამაშობს,
სიყვარულის ლექსს სწავლობს, ოდესმე
შენ რომ გიმღეროს მწვანე კორდებზე.
ანბანსა სწავლობს დედა ენისას,
რომ, როცა შენზე სევდა შენისლავს,
როცა მარტოკას მოელანდები,
მოგწეროს რამე გულისნადები.
იქნებ პირისპირ დარცხვეს, ვერა თქვას,
ღამით დაჯდება, დასწერს კანკალით
თავის პატარა გულის ძგერათა
ამბავს, ბეჭთხელი და ტანმაღალი.

ნეტავი შენ რას ეტყვი პასუხად?
... ჯერ თქვენ ამ გზაზე არც კი გასულხართ,
მაგრამ მე ამ გზას ვხედავ, მაწვალებს
შენზე ფიქრებიც, ჩემო ლამაზო!
ჩემი პატარა, შენ გენაცვალე,
გელის, შეგხვდეს და გაგეთამაშოს.

3

შენ გაიზრდები, აგიყვავდება
ნაზი ღაწვები წითელ ვარდებად,
ტანს ზე აიყრი და დამშვენდები,
შეეფეთები, დაჰკრავს ელდები
და გაახელებ ჩემს ვაჟს, ლამაზო!

და არ შეისმენ სხვათა ვედრებას,
იმათი ცეცხლი არ მოგედება,
ივლი და, მოვლო უცხო ქვეყნებიც,
ბოლოს უეცრად მას შეეყრები
და გააგიჟებ ჩემს ვაჟს, ლამაზო!

შემოედება, როგორც ანთება,
შენი მხურვალე ტრფობის სურვილი,
სულ შენი სახე მოელანდება,
შავ-შავი თმებით შემობურვილი,
შენზე ოცნება დაღლის, ლამაზო!

იქნებ იღბალი სხვა ხვედრს აბედებს,
ვინ იცის, იქნებ ისე დაბერდეს,
აღარ აუხდენს ბედი ასახდენს,
შენგან შორს იგი სხვაგან დასახლდეს...
ნუთუ მოხდება ასე, ლამაზო?

4

გზაჯვარედინზე შეგეჩეხება,
წინ გაუქროლებ თეთრი მერდინით,
ინატრებს შენი ლანდის შეხებას
და ის პატარა გზაჯვარედინი,

ამიერიდან იქნება მისი
მთელი ცხოვრების გზაჯვარედინი?..

და მერე, სადაც შეხვდება ნისლი,
მოეჩვენება იმ შენს მერდინად.
ნეტა სად არის, რომელ ადგილას
ის დალოცვილი გზაჯვარედინი?..

5

თუ გაგაჯავრა ხანდახან ვინმემ,
შენს თვალზე ცრემლი გაციმციმებს,
როგორც დილისას ნამი იაზე,
ვერ იგრძნობ, ცრემლიც რომ დაგშვენდება,
იმან თუ გნახა, მოგაჩერდება,
განშორებასაც ვერ მოიაზრებს.

არ დაივიწყებს და, შენთან ყოფნას
თუ მერე ბედი წილად მიაზღვევს,
სულ შენი ცრემლი გაახსენდება,
როცა დილის ცვარს ნახავს იაზე.

6

ის იმ ჭუჩაზე ივლის მარადის,
რომელზეც გავლა შენ გეყვარება,
მოვა იმ შენი სახლის კარამდის,
შინ მობრუნება შეეზარება.

გაელვიძება დედამისს გვიან,
მე გამაღვიძებს, მკითხავს: „სად არი?“
მომაგონდება ყრმობის ჭადარი
და გავიგონებ მე იმის შრიალს.
დარცხვენით მოვა, არ გავჯავრდები,
ღამენათევი შემებრალება,
იქნება კლავდა ღამით დარდები,
შენ დაგეძებდა მოღლილ თვალებით.
ის იმ ჭუჩაზე ივლის მარადის,
რომელზეც გავლა შენ გეყვარება,
მოვა იმ შენი სახლის კარამდის,
შინ მობრუნება შეეზარება.

7

იქნება ასეც მოხდეს: ჩემსავით
ომში წავიდეს და დაიკარგოს,
შინ დარჩეს დედა და ნათესავი
და ყველას მკვდარი ეგონოს, კარგო!
ის კი დაჭრილი ეგდება სადმე
და სიკვდილის წინ შენეულ ჭადრებს
ის მოიგონებს და წამს მოხდება
ასედაც: სული არ აღმოხდება,
მერე ინატრებს ცეცხლთან გათბობას,
წვიმაში ძონძის სადმე გაშრობას,
გაუმწარდება ახალგაზრდობა,-
მოენატრება ისევ ბავშვობა.
სხვა ქვეყანაში დაღლის დარდები
და საქართველო მოენატრება,
სადაც შეხვდება უცხო ჭადრები,
მოეჩვენება იმ შენს ჭადრებად.
მშიერს მოუსწრებს სადმე ქარ-ყინვა,
მას შენი სახე მოელანდება
და შეახურებს ტრფობის ანთება,
ცივი ქარ-ყინვა ვეღარ გაჰყინავს.
შინ ყველას მკვდარი ეგონოს იქნებ
და შესანდობარს დასცლიან ჭიქებს.
ის კი იცოცხლებს სადმე და შენი
თვალების შუქი მოენატრება
და, სადაც უცხო შეხვდება ხენი,
მოეჩვენება იმ შენს ჭადრებად.

8

ამიტომ არ მსურს ომი საზარი,
ამიტომ მინდა ქვეყნად მშვიდობა,
არ დაგენისლოს თვალი მწყაზარი,
არ დაგაშოროთ იმ წყალდიდობამ.
ისე აყვავდეს სამშობლო დიდი,
თქვენ გიხაროდეთ ქვეყნად ცხოვრება,
თქვენ შორის აღარ ჩაინგრეს ხიდი,
მე ვერ ავიტან თქვენს განშორებას.
ამიტომ არ მსურს ომი და ჯანყი,
არ დაგაფეთოს, პატარა ვარდო...

მიწაში ახალ ვენახსაც ჩავყრი,
თქვენს ალალბედზე წამოიზარდოს.
რომ სიყვარულით გული დაღალოთ,
თქვენმა ბაღმა და ზვარმა იხაროს,
ჩემი ოცნების ცაო მაღალო,
ჩემი ოჯახის ნაზო ცისკარო!

9

მე რომ უეცრად მოვკვდე ამაღამ
და ყველაფერი გათავდეს ასე,
ამოვიძახებ სიტყვას ხმამაღალს,
ჩემს ვაჟს დავლოცავ სიცოცხლის გზაზე
და შენი ნახვაც მომენატრება,
მაგრამ სიცოცხლე ჩემი გაქრება,
შენს უნახავად წავალ ქვეყნიდან.

გაიზრდები და შენ გევედრები,
ისმინე მისი გულის ვედრება,
ნუ მიატოვებ ბედის ყვედრებით,
ძნელია კაცის ბედზე ყვედრება.
მე რომ უეცრად მოვკვდე ამაღამ,
ამოვიძახებ სიტყვას ხმამაღალს,
დავტოვებ თქვენზე ლოცვით ქვეყანას.

10

შენ თუ უთხარი ოდესმე „არა“,
შენ თუკი ეტყვი ოდესმე უარს,
გულისტკივილი დატანჯავს მარად
და სიკვდილამდე არ გადაუარს.
შენ თუ გაჰყევი სხვა ვინმეს მერე,
თუ შეიყვარე სხვა ვინმე, სულე,
ვერ გაშორდება მაინც შენს სერებს,
იცოდე მაინც ვერ შეგიძულებს.
შენ თუ უთხარი ოდესმე „არა“,
შენ თუკი ეტყვი ოდესმე უარს,
გულისტკივილი დატანჯავს მარად
და სიკვდილამდე არ გადაუარს.

11

მე კი ვოცნებობ შენზე და მჯერა
ჩემს კარ-მიდამოს არ აცილდები,
შენ გელოდება ეს ჩემი კერა,
ჩემი ვარდები, მარად წითლები.
იხარებს თქვენი დარგული ხენი,
აქ შეერთდება გზები ორ ბედის,
ჩემი ოჯახი იქნება თქვენი
დიდი ოჯახის წინამორბედი.

შენ გაიზარდე, ალვაო ჩემო,
შენა ხარ ჩემი ნაზი ცისკარი,
ამოჰყევ ჩემს ვაჟს ამ გორებს ზემოთ,
ღია დაგხვდება ფართო ჭიშკარი.
სიცოცხლეს ქვეყნად ისე შეგალევთ,
არ წამოგცდებათ მდურება მერე.
ვიხარებ, მამებს თუ დაემგვანეთ,
თუ გააგრძელებთ იმათ სიმღერებს.

ჩემი სურათი გადიდებული
თქვენი მაგიდის ზე ეკიდება,
მოგაჩერდებით გარინდებული,
აღარ ვინატრებ მე სხვა დიდებას.
თქვენი ოჯახი იქნება დიდი
მშობელი ქვეყნის ბურჯი მაგარი.
თქვენთვის მინდოდა ცხოვრება მშვიდი,
ეს არის ჩემი ნაამაგარი.

მიტომ ვოცნებობ მე ჩემს კარავთან,
ამიტომ მინდა ქვეყნად მშვიდობა,
წალეკოს ომი თქვენმა მარადმა
დიდ სიყვარულის დიდ წყალდიდობამ!

1956

შალვა ფორჩხიძე

ნუგეშო ჩემო!

შენ დამიფარე ლურჯი დაფნის ცხოველი ტოტით,
ნუგეშო ჩემო!
მე დაფნის ტოტი გალობის დროს სინათლედ მყოფნის,
და ოდეს ჰანგებს, როგორც ნაყოფს, ვუსინჯავ გემოს,
დაფნის ფოთლებად სალამურში სული ამოდის
და ეფინება სოფლიდან სოფლით...
მე სულს მიმზევებს წითელი მზის საგალობელი,
ვაზის ლერწები შევურჩიე სიმებად ჩონგურს
და ვაზის ჩრდილში, ვაზის ჩრდილში, ვდგავარ, მოგელი,
თავზე დამყურებს ძველთაძველი ციხის ქონგური,
როდის აშენეს?
ხავსი ჰფენია და ატეხილ ჭალებს ამშვენებს!..
მე მოვიტანე შენთან კდემით ზეთისხილის რტო,
ლურჯ მწვერვალებზე გადავფინე ჩრდილები ბზათა.
უსიერ ტყეში დავახვავე მწვანე მუხის რკო,
ჯერ უხილავ ფერს რომ ვეძებდი გარშემო ტბათა —
და სიტყვას მივეც უტკბილესი შარბათის გემო,
ნუგეშო ჩემო!..
მე დამიფარავს ლურჯი დაფნის ცხოველი ტოტი,
მე დაფნის ტოტი გალობის დროს სინათლედ მყოფნის!
დაფნის ფოთლებად სალამურში სული ამოდის
და ეფინება სოფლიდან სოფლით...

1957

* * *

შენი დეპეშა... შორაპანი... წიფა... ხაშური...
და ქართლი, ქართლი, თავთუხები, ქორფა სათიბი.
ქსანი, ბაქანი, თუთა — თითქოს თაფლი ნაჟური,
ხელები თეთრი, ვიღაც ქალის ტანი ნატიფი...

ბაღები — თითქოს გაღებული სამოთხის კარი,
სამთავისის ქვა — ატოტილი თათები ლომის...
და მთები, მთები... უფლისციხე, სამთავრო, ჯვარი.
მთვარე — რძის წვეთი, ღამე — თეთრი ირმის ნახტომი...

ზაპესი, მტკვარი, ტურბინები, სინათლის ჩქერი,
იმედი ხვალის — გამოწვდილი ლენინის ხელი!
მაისის დილა, დიღმის ველი, ვარდების ტევრი...
მერე თბილისი, სიყვარული, ღიმილი, ცრემლი...

ასე მგონია, გუშინ იყო, გუშინ დავტოვე,
ჩანს, არ ბერდება იმედები ყმაწვილი კაცის!
და ვითვლი დღეებს, როგორც ატმის დალეწილ რტოებს,
რა დრო გასულა!..
ჰაუ, თითქმის შუახანს გავცდი!..

1958

წიქარა, მე და მწვანე ვენახი

ჩემი წიქარა ურემში მება
და ცერზე მესვა ჩემი მიმინო...
მივეცემოდი თავდავიწყებას, —
წიქარას თეფშით ვასმევდი ღვინოს!

პურზე მეხატა შენი მტევანი,
წიქარას რქა და ძელქვის გუთანი...
ხან მტერს მივდევდი ცხრა უტევანზე,
ხან ულრან ტყეში ნადირს ვგუდავდი.

მუხლისთავამდე მიწას ვარღვევდი
(ხორბალთან ვთესე სიბრძნის მარცვალი),
შენს ლურჯ ფოთლებში თვალებს ვახელდი
და ვერ მტაცებდა შენს ჩრდილს ალალი!

შენს ფოთოლს ფერი არ გავუხუნე,
ხელში მეჭირა მარჯვედ ბოძალი...
შენით ვაბრუნე და ვაგრუხუნე
მე ჩემი წუთისოფლის ბორბალი...

გამოვირბინე შორი მინდვრები,
გვერდს ჩავუქროლე ნოეს კიდობანს,
მოველ რიონზე და ოფლს ვიდენდი
და საქართველო უფრო დიდობდა.

ჩემი წიქარა ურემში მება,
ცერზე ვუსტვენდი ჩემს თეთრ მიმინოს.
ვერ მოვიშალე თავდავიწყება,
ბალახებს ლოცვით ვამცვრევდი ღვინოს.

ვეფერებოდი მწიფე კუნელებს,
ყოველ ფოთოლში ჩემს მზეს ვხედავდი...
მოვამღერებდით საუკუნეებს
წიქარა, მე და მწვანე ვენახი...

გზაზე შენს ტოტებს დავაყრდნე მხარი,
მე დავიღალე რამეთუ ლოცვით.
შენ დაგიკალი წიქარა ხარი
და მე წიქარას არ ვჭამე ხორცი.

ავტირდი და მზე ვხვრიპე ხაპებით,
გაბრუებული ვიდექ მინდორში.

აღარ მჯეროდა ძველი ზღაპრების,
მე ხოლ წიქარა და შენ მინდოდი!

მე მისი ქედი ვერ დავივიწყე,
მესიზმრებოდი ჯანმოუღლელი,
გადაბღაოდა რიონის რიყეს,
მოჰქონდა ჩემი მძიმე უღელი...

დაიღალა და შენ შემოგწირე,
მე როგორ ვზიდო წიქარას ცოდვა?
ლურჯი ზვირთები ჩემს ცრემლებს ირევს
და მის ნამუხლარ ჭალაკებს ვლოცავ.

ჩემი წიქარა ურემში მება,
ცერზე ტოკავდა ჩემი მიმინო.
მე ვეძლეოდი თავდავიწყებას
და ხარებს თეფშით ვასმევდი ღვინოს...

1968

თუბალი მოდის...

ცა ბრწყინავს, როგორც ტყე ბროწეულის,
დუღს ურაგანი, — ტრამალებზე თუბალი მოდის,
მხარზე გაუდევს — ციდან ხელით ჩამოწეული —
ირმის ნახტომის რძისფერი ტოტი...

ცვივიან ტბებში დაფერფლილი მეტეორები,
აწევს ნისლები ათასწლოვან ციხის გუმბათებს.
თავს დაჰკივიან მიდიელთა თეთრი ქორები
და მთები ჰგვანან ომში დაღლილ მძინარ თუბალებს...

შეჭიხვინებენ ულაყები კაპას ფაშატებს,
თეთრი კვიცების ირევა რემა...
თუ შეხვდათ წყალი:
ცეცხლს ანთებენ,
ნადირს ფატრავენ, —
უშველოთ მზემა...

მოაქვთ კარვები ძველ შუმერთა სანახებიდან,
გზადაგზა კვერით რკინას ხელავენ.

ხან ჭრილობისთვის წამლებს ხდიან ბალახებიდან
და თეთრ იალბუზს სიზმრად ხედავენ...

უკან რჩებიან დამსხვრეული მუზარადები,
დუღს ურაგანი:
მოდის მესხი,
მოდის კოლხი,
მოდის თუბალი....
ვეფხის ტყავებზე ისვენებენ ამპარტავნები,
ვეფხის ტყავისვე აქვთ სასთუმალი...

ეძებენ სიზმრად მხარეს ვაზიანს,
გაიღვიძებენ და ჟრჟოლა უვლით...
მიდი-მოდიან... ამტვერებენ მცირე აზიას,
მოდის ნაპირებმორღვეული თუბალის სული!

მოდიან მძიმედ დატვირთულნი იეროგლიფებით,
გახსენით! — თიხის ფირფიტიდან სიბრძნე იელვებს...
ჰაუ!.. მიხსენით, რა შორეულ ნისლში ვინთქმები!
ვით აოცებდნენ ყოვლისმხილველ ფინიკიელებს...

ცა ბრწყინავს, როგორც ტყე ბროწეულის,
დუღს ურაგანი, —
ტრამალებზე თუბალი მოდის!
მხარზე გაუდევს ციდან ხელით ჩამოწეული, —
ირმის ნახტომის რძისფერი ტოტი...

1960

ჟამი ამზევების

ჟამი მოქცეულა, სულო, დამშვიდების,
ჟამი გაქცეულა ყიჟინის, სულო!
ნუთუ საბობოქროდ ვეღარ ავიშლებით
და თავს ფრინველივით შევაფარებთ სუროს.
არა, სულო ჩემო, უნდა დავფაცურდეთ,
ახლა, სწორედ ახლა, მინდვრად გამაფრინე,
ჯერ ნუ დამანახვებ ატირებულ ღრუბელს,
გულზე მხოლოდ დაფნის ტოტი დამაფინე.

ჭერხო არ ამივსო ხილით უმწიფარით,
თუნდაც სამარეში ცოცხლად ჩამაწვინე.
მე არ დამივიწყებს ჩემი უღლის ცალი,
ოღონდ სიზმრისეულ ხილვებს დამაწინდე.
სიტყვას დააჭარბე ფერი უბიწობის,
მე რომ დავიქცევი, მწამს, შენ აღზევდები.
ჟამი გაქცეულა მხოლოდ უმწიფრობის,
ჟამი მოქცეულა, სულო, ამზევების...

1970

წიფობელა

იმერეთში ბოსტანი მაქვს წყაროს თავზე,
ვენახიც მაქვს და ნუთუ ეს აღარ კმარა?
ერთი კონა თავთუხების ნამით სავსე,
მოსამკალი ყანაც კი მაქვს სულ პატარა.

მე პატარა გულიც მაქვს და საღამოზე
ჩამოვირბენ ამ პატარა მწვანე სერებს,
სველ სურასთან ჩამოგისწრებ ჩვენს წყაროზე,
სურასავით შენ რომ თეთრ ყელს მოიღერებ.

ქარი გულზე დაგაწვეთებს პიტნის სურნელს
და თეთრ კაბას მოგიხატვენ ფრთით პეპლები;
თავზე ჩრდილად წავიფარებთ სუროს ფურცელს
და როს ბინდში ჩაინთქმება თეთრი მთები, —

ჩაუქროლებს კაკლის ხეებს წიფობელა,
შენს წამწამქვეშ დაიყუჩებს წამით ჩიტი,
იმ წამწამქვეშ, მე რომ გული დამიბნელა,
შენი თმების მოშრიალე ჩრდილზე მშვიდი.

წყაროს თავზე, მე შენს სუნთქვას როცა ვისმენ,
ჩამოფრინდი ჩემს ბოსტანში, ვით პეპელა.
ჩიტები ცას მწიფობისთვის ნიშანს მისცემს
და ვენახებს დაგვიმწიფებს წიფობელა.

1944

საწინდარი

ჩვენს სახლის წინ ვაზი გვედგა, ძველი ვაზი,
მას ყურძენი ესხა რტოზე, წითელგვერდა,
მერე, როცა უთვალავი ჟამთა ზარით
ცისქვეშ ვაზი მამასავით დამიბერდა,

მამამ მითხრა: — არ დაგვძრახოს, შვილო, ვინმემ,
მოეფერე, ვაზი ითხოვს ნაწვიმარი;
მოღუნე და თბილ მიწაში ჩააწვინე
ხანდაზმული მწიფე ლერწის საწინდარი!

და როდესაც გადავწინდე ვაზი ფრთხილად,
სამარიდან მომტიროდა სუსტი ლერწი,
და მე მამა მომძახოდა: — შვილო, ფრთხილად,
კვირტებზე არ დააფარო მძიმე ბელტი!

გაზაფხულზე ტოტს იყრიდა საწინდარი
და ზეცაში შრიალებდა ლურჯი ფოთლით;
მამა იდგა საწინდართან მოღიმარი
და მე წესი მაკვირვებდა წუთისოფლის.

ტოტს იყრიდა დამარხული საწინდარი,
ჩვენს ეზოში მეორეჯერ მოვლენილი,
და სოფელი გაზაფხულზე, ნაწვიმარი,
იყო ვაზის ლურჯი რტოთი მოფენილი.

1946

ჩემი სიცოცხლის შუა მინდორში

როგორც ამაყი მოყმე დიდგორის,
სისხლნაწვიმარი და ნათოვარი,
ჩემი სიცოცხლის შუა მინდორში
ვდგავარ, ვისვენებ მე ნაომარი.
შენ მადიდგულე და მაბატონე
და ამიმზევე სული — ღრუბელი,
რაღაც ახალ სხივს დამაპატრონე
და გამიმჩატდა მძიმე უღელი.
მათრობდა სუნი მეხის ნახარშის
(მე ყველას ასე ვემახსოვრები)
ღვთის ნაფეხურებს მწვანე ბალახში,
მეგონა, შენი მადლით ვპოვებდი.
არ მითხრა ახლა, რამდენი დამრჩა
ლურჯ ბილიკებზე საფრენ-სარბენი,
განა მინდვრებში ყაყაჩოდ არ ჩანს
სისხლი გულიდან გადმონადენი.
ჟამის სიმოკლე მე არ მადარდებს,
თავს დამჟივიან მინდვრის ჩიტები,
ვწირავ ხორცსა და სულს შენ გაბარებ,
თითქოს დაჭრილი მკლავზე გიკვდები.
წვიმს ჩემი სისხლი შენს თეთრ ხელებზე
და ბალახებით მიხვევ იარებს,
თითქოს ვიწვოდე საკურთხეველზე,
მანთებ კოცონად და მაბრიალებ.
და კივის ჩემი სულის სამრეკლო,
არ ცხრება ჩემი გული — ებანი,
თუ განწირული ვიყავ სამსხვერპლოდ,
ნეტავი ისევ შენ მოგეკალი.
დრო ზარებიან მარხილით მირბის
და ვიცი, რასაც ვკარგავ და ვიძენ,
სად მიმაქანებ სინათლით მინდვრის
სიკვდილისა და სიცოცხლის ხიდზე.
სულში შენს ნაშენ ფერებს ვინ მიშლის,
მზე წვეთავს ჩემი ვენახის ყურძენს,
მე კი სიცოცხლის შუა მინდორში
ვდგავარ და უცხო ჩიტივით ვუსტვენ.
სხვა მაღამებდა, შენ მათენებდი,
წაიღე სული ამის სანაცვლოდ,
მე შენს უსახო ხატს ვაღმერთებდი
და ღმერთის ხილვა უნდა მაცალო!..

1960

* * *

ტყეების მიღმა ლურჯი ფერის მიდის მდინარე
და თოვლისფერი ყვავილების ამტყდარა ტევრი,
თვალწინ მეხატვის გასაფრენად გზა ვარდისფერი
და ბზის ფოთლებით ავსებული მიდის მდინარე.
მივდივარ იქით, მხიარული მივდივარ იქით,
ან ამ ჩრდილებში ლურჯ ფერებთან ვინაღვლებ რაზე?
ველურ ყვავილთა თეთრი შუქი იფრქვევა გზაზე
და მე მივდივარ მხიარული, მივდივარ იქით...
მივდივარ იქით, ვყნოსავ ვარდებს და მახსენდები —
თეთრი მკლავებით და ჩალისფერ უბრალო კაბით.
და თავს მავიწყებს ბზის ფოთლებში სურნელი შამბის,
მივდივარ იქით, ვყნოსავ ვარდებს და მახსენდები.
მიდის მდინარე, ბზის ფოთლების ფერებით სავსე,
მივდივარ მეც და ახლა მხოლოდ ფიქრებს ვუნდები.
ოდეს ამ ტყეებს, ამ მდინარეს დავუბრუნდებით,
ეს ყვავილები თუ იბრწყინებს ნეტავი ასე?!
მივდივარ იქით მხიარული, მივდივარ იქით,
მაგრამ ვარდები ყვითელ ფურცლებს ჰფანტავენ რაზე?
ნუთუ ბინდდება იდუმალად ვარდისფერ გზაზე
და მე მივდივარ მხიარული, მივდივარ იქით...

1957

მე შენთან მოველ

მე შენთან მოველ, როგორც ლურჯი ცხოველი სვეტი,—
მე აღმოვცენდი მშობლიური მიწის ბელტიდან.
მე შუბლს მისველებს უამრავი ციური წვეთი,
ნუ მეკითხები, ვინა ხარო,
გული მეტკინა!
მე ტაძარი ვარ, დაუხარჯავ ფერთა ტაძარი,
მე სიცოცხლე ვარ — შენს მკლავებზე დასახარჯავი!
მე გავცივდები, როგორც ვაზის ლერწის ნაცარი,
თუ სული ჩემი არ აენთო, როგორც ხანძარი...
მე მწვანე ტყე ვარ, უსიერი და უდაბური,
შენი სიწმინდის და ოცნების თავშესაფარი.
და მდინარეთა კბოდეებთან კლდეთა ნაჟურით
ჩუმად ვმაღლდები, როგორც მთაზე ლურჯი ტაძარი...

შენი თმის ნაცვლად გულზე დაფნის ტოტი მეფინა
და ჭალა-ჭალა გვიმრის ღია ფერებსა ვჭვრეტდი.
რად შემეკითხე, ვინა ხარო?
გული მეტკინა!
მე აღმოვცენდი, როგორც ლურჯი ცხოველი სვეტი,
მწვანე ფოთლებად მშობლიური მიწის ბელტიდან...

1958

***

შევდივარ ხავსით დაფარულ ტყეში,
ვით ძველ ტაძარში მლოცველი მწირი.
სუსტი დაფნის რტო მიჭირავს ხელში
და თვალწინ სველი ფოთლები სტირის...
ფოთლები სტირის და სდუმს მუხები, —
ნედლ ტოტებს ლურჯი წვეთები დასდის.
სადღაც კლდის ძირას დაღლილ მუხლებით
ჩასძინებია ბუნაგში ნადირს. —
და ხეებს შორის, როგორც სულდგმული,
შეუცნობელი სიჩუმე დადის!
სიჩუმე დადის, როგორც სულდგმული
და ხელით დამაქვს რტონი დაფნების.
შემომესმება უცხო ჟღურტული
და ყაჩაღივით ხეს ვეფარები.
მწვანე ფოთლებში ლოცულობს ჩიტი, —
ეს ალბათ სული გალობს მამულის,
დადუმებულა ბუნება მშვიდი
და ფრინველს უსმენს ტყე განაბული.
და ვდგავარ ჩუმად, — ეს მყუდროება,
არ მინდა, მგოსანს რომ დავურღვიო,
მუხის ფოთლებზე ნამი გროვდება
და მე ლურჯ წვეთებს ვსვამ, როგორც
ღვინოს!
მე ვსვამ სიჩუმეს და ნეტარებით
ხავსიან ლოდზე ვწევარ გულაღმა.
ტყეს დაუხრია ლურჯი ფარდები
და ტყე ტაძარი მგონია ახლა...
გალობს საოცრად უცხო ფრინველი
და გულში ვლოცავ ამ მყუდროებას,
იღვრება ჰანგი გასაკვირველი
და ეფინება საწუთროებას...

1958

***

გახედე: მთებს რა შუქი ებურვის,
და მიწას ფეხი დაადგი კდემით...
დაფნის ფოთლებით განათებული —
ეს სამშობლოა, სამშობლო ჩემი!
წადი, იფრინე, შენ გიხმობს შორით
გზა — დაფარული წმინდა რტოებით!
სულს არ დაჩრდილავს ნისლების ტბორი, —
მინდვრად გალობენ ჩიტბატონები...
გაბრწყინებულა ცით ძოწეული
ვაზი და დაფნა, ლეღვები, ბზები,
ცეცხლმოდებული ბროწეულები,
ზეთისხილი და თავთუხის ძნები...
ველებს რძისფერი შუქი ებურვის,
მიწაზე ფეხი დაადგი კდემით.
დაფნის ფოთლებით განათებული —
ეს სამშობლოა, სამშობლო ჩემი!

1958

თეთრი ხელებით მეთხოვება თეთრი აპრილი

თეთრი ხელებით მეთხოვება თეთრი აპრილი,
აფუებულა ნედლი მიწის რძიანი ბელტი...
სხვა ვერაფერი ვერ მიშველის სიმღერის მეტი,
თეთრი ხელებით მეთხოვება თეთრი აპრილი.

სხვა ვერაფერი ვერ მიშველის სიმღერის მეტი,
მაისის წვიმით ამწვანებულს ვეწვევი ჭალებს.
მე ულექსებოდ ავად ვხდები აპრილის დამლევს
სხვა ვერაფერი ვერ მიშველის სიმღერის მეტი.

შორს, როგორც ვაზის ნაწვიმარი წითელი ლერწი,
ღრუბლებში ელვა გახიდულა და გრგვინავს მეხი.
მე ღრუბელივით მთაზე უნდა შევადგა ფეხი
და ცად ავენთო, როგორც ვაზის წითელი ლერწი.

მე სიმღერებად უნდა ვიქცე გაზაფხულისა,
მე ვერ ავიტან მდუმარებას მძიმე საფლავის.
მე თეთრი ღრუბლის უნდა მედგას მთაზე კარავი,
მე სიმღერებად უნდა ვიქცე გაზაფხულისა!..

ციდან ჩამოდის იისფერი სხივთა არილი,
აფუებულა ნედლი მიწის რძიანი ბელტი.
სხვა ვერაფერი ვერ მიშველის, სიმღერის მეტი —
თეთრი ხელებით მეთხოვება თეთრი აპრილი...

1960

დაიძრნენ ქარები შემოდგომის...

დაიძრნენ ქარები შემოდგომის,
დაძრწიან ყვავები დანგრეულ საყდართან.
აგრგვინდა მდინარე ნათოფარ ლომივით,
ჰოი, მოთმინება წამერთვა თანდათან.

დამძიმდნენ ზვინები წვიმით უსაშველოდ,
ჭალები გადათხარეს ტახებმა ეშვებით,
დედა მეხვეწება, ბოსელი ავაშენოთ,
მე წერა მინდა და... ლექსებს ვერ ვეშვები...

დატიტვლდნენ ტირიფები ვენახის ნაპირას, —
კვდებიან ფოთლები ბაღში დაფენილი.
დაგიბრუნდებიო, ახლახან დამპირდა
ჩემი ნაზი წერო, სამხრეთით გაფრენილი.

შევყურებ ნაცნობთა მოწყენილ ეზოებს,
და დავბორიალობ დაცვენილ ფოთლებთან,
საღამოს მოველი მხიარულ მეზობელს,
მარანში ღვინოები უნდა ვსვათ კოპედან.

აღმართზე ტალახში მეღლება მუხლები,
და... ღვინოს ნუ სვამო, ცოლი მედავება.
შორს მთებზე უმიზნოდ ილტვიან ღრუბლები,
ჰოი, ყველაფერი როგორ მეჩქარება!..

ვიღწვი ფიცხი ღვინით ანთებული ეგზომ,
მინდა, განვაახლო ძველი წნელის ღობე,
რომ არ ვათელვინო ფეხით უმიზეზოდ
ბაღში დაფენილი ყვავილები ღორებს.

დაიძრნენ ქარები შემოდგომის,
საბძელთან მშიერი ფრინველი მოფრინდა, —
კარებზე დავკიდე თავთავი ღომის
და გახარებული მოვდივარ სოფლიდან...

1052

კაცხის სვეტი

ხრამსა შიგან აზიდული, სხვა კლდეებზე უფრო მეტი.
სანთელივით ჩამოქნილი — საფირონის კაცხის სვეტი,
ბრძოლის ცეცხლში გაჩარხული, ვით ქართველი ხალხის ბედი,
ქარში რომ არ წაქცეულხარ, ზეცას როგორ შეაბერდი?!

დგახარ, როგორც ნათლის სვეტი საწუთროს და ზეცას შორის,
ჟამთა რისხვით არ იქცევი, წელს გარტყია ნისლის ტბორი.

აზიდულხარ ცის თაღამდის — აფრენილი ირმის ყელი,
ძირს მიწაზე ფეხი გიდგას, მაღლა ლურჯი ზეცა გელის.

გეზიდება ქარი ცისკენ, შენ კი მიწას არ შორდები,
სამშობლოში ფესვგადგმული ჟამთა სრბოლას ეომები.

იქნებ, თვით ხარ საქართველო — გაგიშლია ცაში ფრთები,
შენნაირად ცაში დგანან დარიალის თეთრი მთებიც.
მათი სისხლი ძარღვში გვიდგას, მტერს ვუმსხვრიეთ ზურგის ძვალი.
გორგასალის ნაფეხურზე ჩვენც დავაჭდეთ ჩვენი კვალი.

და მტერმა რომ ვერ დაამხო საქართველოს ხალხის ბედი,
ქარში არც შენ წაქცეულხარ, შენც ქართლის ბედს შეაბერდი.

კვლავ გაშუქებს ჩვენი ხმალი მტერზე ელვად დარხეული,
შენ არასდროს დაიქცევი ხრამში თეთრად ანთებული!

რას დაგაკლებს ქარის სრბოლა, ან საწუთროს გრძელი ჟამი,
შენს თავანზე ჩვენს წინაპრებს შემოუდგამთ ღვინის ჯამი.

ღვინის ჯამში ჩაუწიათ გატეხილი ლუკმაპური,
ლუკმაპურით უცხოვრიათ და დროშების შარიშურით
გაუვლიათ ეს საწუთრო, შეუნახავთ ქართლის ბედი;
დაილოცე, კაცხის სვეტო, ცას რომ თეთრად შეაბერდი!..

1944

შოთა აკობია

გლეხკაცის ხელი

გლეხკაცმა ხელი თუ ჩამოგართვა,
იგრძნობ, ის ხელი სხვა არის მართლაც;
თითქოს ეხები იმ მიწის ძარღვებს,
რომელიც გზრდიდა ბებერი ფესვით.
გლეხკაცის ხელი მიწის გულს არღვევს,
აჩაღებს ცეცხლსაც ტალით და კვესით.
მას შეიძლება უხეშიც ერქვას,
რადგანაც ოდნავ ჩამოჰგავს ძელქვას;
მას შეიძლება ლამაზიც ერქვას —
ის შეეჩვია თოხსა და ერქვანს.
ის მარჯვენაა — ჩამყრელი ფუძის,
იმ თითებს იცნობს მტევნები ყურძნის.
მათ რომ ვეხები, ჩემს ფაქიზ თითებს
უხარის კიდეც, რცხვენია კიდეც...
და ვგრძნობ, გლეხკაცი ხელს როცა მართმევს,
კოჟრიან ხელის ვალი რომ მმართებს.

1961

მაყრული

მაყარი მაყრულს რომ შემოსძახებს,
თითქოს გაადნობს თოშსა და ყინვას,
ჟრჟოლა გაუვლის იმ თბილ ოთახებს,
სადაც ბინდბუნდში ქალწულებს სძინავთ.
გაიგონებენ მაყრულს ბურანში,
სიზმრად ნახავენ უცნობ საქმროებს —
ოდნავ ეტყობა ჭაბუკს ულვაში,
მერანს ეზოში შემოაქროლებს.
— მოველ, უშენოდ რა მაცოცხლებდა,
გამიცანი და შენად მიგულვე...
ტკბილი სიზმარი, ტკბილი ოცნება
ღიმილს დასტყუებს თვალმიბინდულებს.
გაეღიმებათ თოვლიან სერებს,
თითქოს სიმღერამ შუქი დაღვარა...
მაყრულს უსმენენ და შინაბერებს
კვლავ ემატებათ თითო ჭაღარა.

1955

უკანასკნელი მეუნაგირე

ბევრჯერ მოხატა ღვედი ვარსკვლავით,
თასმებს დასწინდა — ქარვის ბაგირებს.
ახლა ხელობას არვის ასწავლის
უკანასკნელი მეუნაგირე.
მუდამ დაზგაზე იყო დახრილი:
წინათ მოცლილი ვინმე ნახავდა?
წმინდა გიორგი კეხზე დახატა,
ხელში მიართვა ელვის მახვილი.
ცხრაას ჩვიდმეტმა როცა იხუვლა,
როცა დროშებმა შეინავარდეს,
გაიღიმა და ასე იხუმრა:
— ჩემი ნისია შერჩათ თავადებს.

სადაც ყოფილა დოღი, თარჩია,
მისი სახელიც გაუგონიათ.
ახლა შეგირდი არ გააჩნია,
თავი უშვილო კაცი ჰგონია.
ყავლი გასვლია რჩეულ ხელობას,
ზის, კრიალოსანს მარცვლავს მდუმარი.
წინათ, როდესაც მუშტარს ელოდა,
მუშტრად მიაჩნდა ყველა სტუმარი.
ზის და იგონებს იმ დროს, როდესაც
იყო ყმაწვილი, იყო არწივი...
და მეჩვენება, ტირის მოხუცი
მზეში დარჩენილ თოვლის კაცივით.

1961

***

წვიმით დანამულ ბილიკებს ხედავ,
წუხელ ვაზნარიც აცრემლდა თითქოს...
არ შეგცივდესო, — მოგძახა დედამ
და შენ უეცრად იგრძენი სითბო.

ერთი დღეც მოვა უავეს ხვედრად,
დაგეკარგება მშობლის ხმა ქარში.
არ შეგცივდესო, — ვერ გეტყვის დედა
და შეგცივდება ნამდვილად მაშინ.

1961

***

ვაზი რომ ტირის ახალგასხლული,
ლერწი რომ ტირის, მე ვამბობ მაშინ:
— ახლა აკვანში წევს გაზაფხული
და იცრემლება, ვით ჩვილი ბავშვი.

გამახსენდება ბაბუა წუთით,
უყვარდა ვაზით ავსილი მხარე.
იქნებ ეს ცრემლი მასაც ეკუთვნის,
ვაზის ლერწმებმა დღეს რომ დაღვარეს!

1956

ალმართზე

მოხუცდა, მუხლებს ამაოდ ენდობა...
— სალამი! — შეაგებეს მთესველებმა.
კაცი დაიბრიყვა პატარა ფერდობმა:
სამჯერ დასჭირდა შესვენება.

და როცა შეისვენა მესამედ,
შერცხვა უდავოდ:
ძებნა დაუწყო ჯიბეში კვეს-აბედს —
აქაოდა ჩიბუხის გაწყობა მსურდაო.

1954

ვასილ გვეტაძე

ვასილ კიკვიძე

გმირთა მოედანს უკვე ღვიძავს და ქარვის ფერით,
უამრავ ფერით შეღებილი ბაღი იღვიძებს.
ამ დროს ყოველთვის მე აქ მხვდება ნაცნობი მზერით
მომცრო კვარცხლბეკზე დანდობილი ვასილ კიკვიძე.

შეხედე თვალო, ყრმობის წლებში ბევრჯერ ნახული
ის ასე დარჩა, მე კი კიდეც გავჭაღარავდი...
ქროლვით მოაგდო გაქაფული ყარაბახული
დონის უდაბურ მინდვრებიდან ქართლის კარამდი.

გამოჩნდა... ბინდებს ფეხაკრეფით აჰყვა დუმილი...
თითქოს ბორცვზეა ბრძოლის ველის გადამხედვარი.
შუქში ჰაერი შეშრიალდა აბრეშუმივით
და მოედანთან ხელხმლიანი დადგა მხედარი.

ქალაქის ბაღში გაუშლია ბოლო კარავი
და იმერული ალვის ტოტი მხრებზე შეხლია.
ამ რუხ ქვაშია სულჩადგმული, თავშემფარავი,
რჩეული ჩემი, საოცნებო ჩემი სეხნია...

და დღე თბილისის თბილი უბით ამონანთები,
გვერდით ჩაუვლის, ვით მეგზური, მასთან მიმსვლელი.

შავ ბრინჯაოში ბუქში გახსნილ ნაბდის კალთებით
ძეგლად დამდგარა ეს ვაჟკაცი ქუთაისელი.

მტრის სისხლს შხეფებად ასხურებდა მდელოს ფარჩიანს,
სანამ ქურდულად ნასროლ ტყვიას არ იპოვიდა.
თავმისადებად მყუდრო დონის უბე არჩია
და აქ კი სიყრმის მოსაგონარ ძეგლად მოვიდა.

მოვიდა... ასე ამთავრებენ გზას რჩეულები...
დგას გამზრდელ მიწის თბილ კალთაზე მკლავმოხვეული
და თითქოს ისევ მტრისკენ იქნევს ხმალს ჩვეულებრივ
ეკლარის ქვაში მომწყვდეული მისი სხეული.

...შენც, ლექსო, ქვეყნად ბედმა ბევრი გახეტიალა..
თვალს აბრჭყვიალებს სანატრელი ფერების ფარჩა.
ახლა იცოდე: ან დამაგდე სადმე ტიალად,
ან დარჩი ისე, როგორც აგერ ეს ძეგლი დარჩა.

1956

ხალხური მოტივებიდან

მიჯნურმა უკვე დროც არი,
ქურანი ამოვაგელვო.
ან მე არა მქნა ცოცხალი,
ან შენ არ ჰგავდე ანგელოზს.

ალვის ხე სანთლად ანთია,
ტოტებს ტოტებზე მიახლის,
იქით გორი და ქართლია,
მორწყული მტკვრით და ლიახვით:

აქეთ ტყის ჟივილ-ხივილით
გაიშრიალა ყანამაც...
... ან სულ არ იყოს ღიმილი,
ან მომკლას ამისთანამა.

ო, ბევრი, ბევრი გელოდე,
წვიმამ ცრა, ქარმა იავა.
ამ გზაზე შემომხვდებოდე,
ან დამაგდებდე იავარ.

დავძახო, დავიღიღინო,
დავცალო სულის სურები.
ან ჩემს ერდოზე გიხილო,
ან დაგივიწყო სრულებით.

თუმც არა მაბადია რა,
სხვად არად შეგეცილები.
დატკბება გულის იარა
მაგ მობდღვრიალე დილებით.

ლოყებზე ცისკრის ალია,
შუქს წურავ შინდის ბაგეთი.
ან მომცა ოქროს გალია,
ანდა არ იყო აგეთი...

ერთი რამ ნატვრა შემარხევს,
ერთი რამ ფიქრი მებურვის:
ჩემს გალიაში მენახე
ჩიტივით დატყვევებული.

1956

მამის სათვალე

ბალიშზე ენთო თოვლივით თეთრი
და შუბლქვეშ ბინა დაედო წკვარამს.
ბალიშზე ენთო თოვლივით თეთრი,
თოვლივით თეთრი და ჩუმი მამა.

ალბათ, ლურჯ ცაზე მოლანდა ნისლი,
ეჭვით გახედა გზის ბოლო მაღლობს,
და მოიშორა სათვალე მისთვის,
რომ დაენახა სიკვდილი ახლოს.

იქნებ სხეული შეძრწუნდა წამით,
ჩრდილმა რომ ჩასჭრა ელამი მინა...
ახლა უმამო სათვალე მამის
ჩვეულებრივად აღარა ბზინავს.

შავგვრემან სახეს თუ ხედავს ისევ
და ენატრება თითები მკრთალი.
ფანჯრის რაფიდან დამყურებს ისე,
როგორც ახლახან ჩამქრალი თვალი.

რად ხდება ასე, ვინ მეტყვის მართალს,
რად არ მასვენებს ღამეში ჯერაც,
ჩუმი ტკივილი და მამის თვალთა
დაბინდულ თვალთა ნაცნობი მზერა?

ფიქრი წააგავს აბეზარ სტრიქონს —
ერთი წავა და მეორე მორბის.
მინდა, დავმალო და თანაც ვფიქრობ,
როგორ დავმალო თვალები მშობლის?!

რამდენი დილა და ღამე ჩაქრა,
რა სასოებით ვფერავ და ვუვლი.
წიგნქვეშ ამოვდო?.. ვერ შევძლებ, რა ვქნა,
დაეჭეჭკება სიმძიმით გული...

და მერე როგორ ვიძინო ღამით,
როგორღა ვზიდო სირცხვილის ალი.
ეს ხომ ნაცნობი მზერაა მამის,
მამის თვალია, ცოცხალი თვალი!

1956

ვახტანგ გორგანელი

დაჭრილი არწივი

დანავარდობს ტრამალ-ტრამალ ნიავქარი,
სდუმს სანგარი და სდუმს ჩემი თოფის ლულა.
ვწევარ, როგორც დაშვებული იალქანი,
სისხლი მდის და თვალებს ვლულავ.

გუშინ ამ დროს იყო ბრძოლა, მტერთა ძლევა,
ვერაგები ჩვენი შიშით დღესაც სწუხან,
მაგრამ ახლა ნატყვიარი ველზე ვწევარ
და იმედად თავს მადგია ერთი მუხა.

იქნებ, ფიქრობთ, გორგანელი მტრების ტყვეა,
მე კი ახლა სისხლში ვცურავ
და ვიტოვებ უკანასკნელ თოფის ტყვიას,
რომ მტერს დავხვდე ვაჟკაცურად.

აიკეცე, მშობლიურო ცაო, კალთა,
ღამევ, ნატვრის ვარსკვლავები დაიბნიე
და, ნიავო, დარიალის რკინის კართან
წადი, უთხარ დედას, მტერი როგორ ვძლიე.

წადი, უთხარ შავთვალება ქართველ ქალებს,
შევასრულე მათ წინაშე ჩემი ფიცი,

რომ სიყვარულს მუდამ გულით დავატარებ
და ყოველთვის იმ პირველი ცეცხლით ვიწვი.

ველზე ვწევარ, ნატყვიარებს სიო მიხვევს,
ტყე ფხიზლობს და მცველებივით მთები დგანან
და ჩახმახზე ღამენათევ ცისკრის სხივებს
მშობლიური ჩანჩქერების მოაქვთ ნანა.

ქარო, ქარო, ჩამოხიე ნისლის ფარდა,
წყალი მასვი, გადიხსენი, ცაო, მკერდი,
არწივების მოფრენამდე, გულის გარდა,
თქვენ მოგანდეთ ჩემი ბედიც.

1942,
სტალინგრადი.

ბრძოლის შემდეგ

ბლინდაჟებში მთვარის შუქზე
მებრძოლები კითხულობენ წერილს.
მე კვლავ ისევ შენს გზას ვუმზერ
და შტაბიდან ფოსტალიონს ველი.

მე შენს ამბავს ნიავს ვკითხავ,
მაგრამ ისიც ხმას არ იღებს, არა!
გაგრძელდება კიდევ დიდხანს?
მდუმარება ნუთუ აღარ კმარა!

ცეცხლით სავსე გული მიცემს,
გადვიხადე ხელჩართული ბრძოლა,
შორს მტრის ტანკი ახლაც ისევ
მიტოვებულ ბუხარივით ბოლავს.

როცა ბრძოლის დაჰკრავს ჟამი,
შენ გიფიცებ, შენ მიგიტან გულთან.
წერილს არ მწერ, მე კი ამით
მეგობრები მახელებენ მუდამ.

ბლინდაჟებში მთვარის შუქზე
მებრძოლები კითხულობენ წერილს,
მე კი ისევ შენს გზას ვუმზერ
და შტაბიდან ფოსტალიონს ველი.

1942,
სტალინგრადი.

ახალი წელი ფრონტზე

ტანგარუჯული ლერწამი ტოკავს,
ნაღმების ხმაზე ზრიალებს ველი,
და ხმლების შუქზე არწივებს მოჰყავთ
ახალი წელი, ახალი წელი!

ჩემს სანგარს თოვლის ფანტელი მოსავს,
გულს — იმედი და ცისკრის თენება;
გავშალოთ, ძმებო, ახალწლის დროშა
მტერზე დაცემულ ცეცხლის ენებად.

რომ დარტყმა იყოს უკანასკნელი,
უკანასკნელად ღამე დნებოდეს
და მომავალი ახალი წელი
მშვიდობის ცისქვეშ გაგვთენებოდეს.

რომ სამშობლოში დღეების მოსვლას
მოსდევდეს მზე და ბედნიერება.
გავშალოთ, ძმებო, ახალწლის დროშა
მტერზე დაცემულ ცეცხლის ენებად.

1943,
სტალინგრადი.

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

რა ბრწყინვალე გამითენდა დილა!
მოვდევ მღერით ამომავალ მნათობს
და დროშებით განათებულ ციდან
გამარჯვების ყვავილები მათოვს.
გულით მომაქვს სტალინგრადის ცეცხლი,
გმირთა ვაშა რომ იცავდა ედემს,
და მოვდივარ ისე, როგორც ვეფხვი
გადაუვლის კავკასიის ქედებს.

ელავს თერგი — მყინვარების დაშნა,
შრიალებენ არწივების ფრთები,
სიხარულით მეგებება ვაჟკაცს
მშობლიური საქართველოს მთები.
რა ბრწყინვალე გამითენდა დილა!
მოვდევ მღერით ამომავალ მნათობს
და დროშებით განათებულ ციდან
გამარჯვების ყვავილები მათოვს.

1944

ᲤᲠᲝᲜᲢᲔᲚ ᲞᲝᲔᲢᲔᲑᲡ

ბევრს მაგიდაზე შეუმშრალი კალამი დარჩა,
ოცნების ბაღი ბულბულივით დასტოვა უცებ.
მდინარესავით მოხეთქილი სიტყვა და განცდა
ვერ გადიტანა, ვერ გაანდო ქათქათა ფურცლებს.

ბევრმა ის იყო შთაგონების იპოვა ფესვი,
დასტოვა ისევ გაზაფხულის ვარდებში რგული,
წავიდა ომში, თან წაიღო უთქმელი ლექსი
და საქართველოს სიყვარულით აღსავსე გული.

ის მიდიოდა, მიიკვლევდა ბილიკებს ფერფლში,
არ იშორებდა დღით და ღამით ღიმილს ბაგეთა.
მკერდში დიდი ხნით დაგროვილი გრძნობა და ცეცხლი
მტერს მოქნეული მახვილივით წინ მიაგება.

ო, ჩემო ხალხო, ჩემი ქვეყნის ცაო და მიწავ,
შენ აღამაღლე მათი სული გრიგალზე მჭროლი,

რომელთა გულმა სიყვარული ლექსით ვერ გითხრა,
მაგრამ იქ, ომში დაგიმტკიცა გმირული ბრძოლით.

რამდენი რისხვა გაგვივლია, რამდენი ღელვა,
ვინ თქვას რამდენჯერ შევუყენეთ ზეცას მხარ-ბეჭი.
ო, მეგობრებო, ჩვენი მკერდის ჭრილობა ყველა
ეს ლექსი არის, პოემაა გადასაბეჭდი.

ხან თუ ჩვენს ხმაში გაიელვებს ხანძრების ბოლი,
ეს იმიტომ, რომ მოვაგონოთ მტერს ხალხის ძალა,
რომ არასოდეს განმეორდეს ქუხილი ომის
და ყველგან, ყველგან იყოს მხოლოდ მშვიდობა მარად.

თებერვალია, წყალი უკვე ჩამდგარა ხეში,
საცაა ბაღში ყვავილები გაშლიან რტოებს.
როგორ იქნება გაზაფხულის სუნთქვა და ეშხი
არ აღელვებდეს გრიგალებში გამოვლილ პოეტს.

სიმღერა, ძმებო! შემოსულა სიმღერის დილა,
ანთებულ ლაჟვარდს გაზაფხულის მაყარი უვლის.
ხედავთ, კვირტებში უხილავად იღვიძებს ფრთხილად
სამშობლოსათვის დაფერფლილი პოეტის გული.

1965

ფშავში დგას ერთი პატარა ქოხი...

ფშავში დგას ერთი პატარა ქოხი,
ქოხი — მთის ძირში მერცხალის ბუდე.
შიგ არ აგია ცისფერი ნოხი,
მაგრამ საძირკვლად სიმღერა უდევს.

მის ჭერქვეშ ვაჟას უცემდა გული,
ლესავდა აზრს და იკლავდა ბოღმას.
დიდი პოეტის მღელვარე სული
ვით დაიტია ნეტავ ამ ქოხმა!

ნეტავ, როდესაც სიმღერის ალმა
გადაუარა ფიქრსა და ლტოლვას,
მაშინ ბუხართან სამფეხა სკამმა,
როგორ გაუძლო დევკაცის თრთოლვას.

ან შიგ რა იდგა სისხლი თუ ნავთი,
სხივი იყო თუ ლექსების შუქი,
რომ არ ქრებოდა ფშავური ჭრაქი
ვაჟა-ფშაველას ფილტვების სუნთქვით?

ფშავში დგას ერთი პატარა ქოხი,
ქოხი — მთის ძირში მერცხალის ბუდე.
შიგ არ აგია ცისფერი ნოხი,
მაგრამ საძირკვლად სიმღერა უდევს.

1946

ძმებო, დავლოცოთ გმირთა მარჯვენა!

როცა ქვეყანა ცეცხლში იწვოდა,
მტერი უტევდა მშობლიურ მხარეს,
ჩვენ მაშინაც კი გვწამდა, ვიცოდით,
რომ შევაღებდით ბერლინის კარებს.

არ ჩაგვიგია მტერთან მახვილი,
გამართლდა ხალხის ფიქრი, მიზანი —
სტალინგრადული ვაშას ძახილით
მტერს შევუნგრიეთ გულის ფიცარი.

მტკვრის და რიონის ელავს ტალღები,
ადგა თბილისი, მცხეთა, მარაბდა...
ძმებო, გააღეთ ყველა კარები,
რომ შემოვიდეს სიტკბო მარადი.

ძმებო, დავლოცოთ გმირთა მარჯვენა,
ვინც აგვამაღლა საქმით, გონებით,
ვინც ქუხდა ქვეყნის გადასარჩენად, —
ჩვენი ვაშა და ვარდის კონები.

1945

შენით დაჭრილი...

რა ხარ არ ვიცი, გულთამხილავი,
თუ სათავე ხარ ჯვარცმის, დარდების.
ხან გადმომხედავ, როგორც ფირალი,
ხან კალმახივით გასრიალდები.

ალშემოვლებულ ჩემს გულს უხარის,
ასე ზოგჯერ რომ მზერას დამახლი,
თუ ხარ ფირალი, ტყე ვარ უღრანი,
ვარ ალაზანი — თუ ხარ კალმახი.

საით გავიქცე შენით დაჭრილი,
საით წავიდე, პასუხს მოველი.
უკან ყინულის მთაა აწვდილი,
წინ — მაგ თვალების ცეცხლის მორევი.

1966

კიბეზე

ჩამოვდიოდი კიბეზე გუშინ,
არ დაგიმალავ, ძვირფასო, გეტყვი;
ქვის საფეხურებს ვითვლიდი გულში
და ვჩურჩულებდი:
— ლუწი თუ კენტი.

ნაბიჯს რომ ვდგამდი,
მეგონა ასე,
შენ ჩაირბინე ეს კიბე უწინ
და სიყვარულით ეგ გულიც სავსე
იმეორებდა:
— კენტი თუ ლუწი.

კიბე ჩათავდა, შევჩერდი ლუწზე,
ვთქვი: — ნუთუ კიდევ დარდი, წვალება...
ამ დროს გაბრწყინდი მაღლიდან უცებ
და შეგვაერთა
შენმა თვალებმა.

1966

ფორე

„იგი იყო ეროვნებით ქართველი, სავარაუდო სახელია „პორე“. დაიღუპა 1944 წლის 3 დეკემბერს. გთხოვთ, დაგვეხმაროთ მისი ნამდვილი ვინაობის დაზუსტებაში“.

იტალიელი კომუნისტი დეპუტატის
ერალდო გასტოხეს წერილიდან.

ქვემომაჩხაანელმა ფორე მოსულიშვილმა ფაშიზმის ტყვეობას თავი დააღწია და იტალიელ პარტიზანებს მხარში ამოუდგა. განსაკუთრებული დამსახურებისათვის, სიკვდილის შემდეგ იტალიის ეროვნული გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

1 შენი კაცობით ამაღლებული

ფორე! მე წუხელ არ დამეძინა!
ფორე! სულ შენი ვაშა მესმოდა.
მკერდზე იმ ბომბის კვამლი მეფინა,
იტალიაში მტერს რომ ესროლე.

მეგონა, შენი სუნთქვა ხალასი
მოჰქონდა ქარს და სულში მაქსოვდა
და ამოჰქონდა ტალღას ალაზნის
ოქროს ფსკერიდან შენი ბავშვობა.

ჯერ უთქმელი და დაუსტამბავი
სიტყვის რამდენი გავჭრა მაღარო,
რომ მზედ მოსული შენი ამბავი
მშობლიურ მთებს და მინდვრებს ვახარო?

რომ საკადრისი სიმღერა შევძლო
შენს გმირობაზე, კაცო პიტალო,
რომ მატარონეს კლდეების ექო
კახეთის ზვრებში გადმოვიტანო.

ტყვედ წაგიყვანეს დამარცხებული,
ვფიქრობ და, ძმაო, სიმწრით ვიცინი.
სიცოცხლისათვის დაბადებული,
შენ არ გამხდარხარ მონა სიკვდილის!

ერთად შუშდება ყველა იარა,
ერთად ვართ შენი დიდების მთქმელი.
შენ მაჩხაანი მარტო კი არა
მოგესალმება სამშობლო მთელი.

ფორე! მე წუხელ არ დამეძინა,
ფორე! მე შენი ვაშა მესმოდა,
შუბლზე იმ ბომბის კვამლი მეფინა,
იტალიაში მტერს რომ ესროლე.

2. ერალდო გასტონეს

ეს ამბავი, ეს მართალი ზღაპარი,
უკვდავების ჩირაღდნებით გამთბარი,
გულში გქონდა ოცდახუთი ზამთარი,
გულში გქონდა
ოცდახუთი აპრილი!

და იცნობდი არა გვარით, სახელით,
მხოლოდ იმით, რომ ის იყო ქართველი,
რომ ის იყო ბნელში ცეცხლის მფანტველი,
ფარი მზის და
დაშნა თავისუფლების!

ის გაექცა რაიხსტაგის ჯალათებს,
რომ კვლავ ისევ მტერს მისი ხმა ზარავდეს
და კიდევაც უკანასკნელ კარამდე
მკერდით ედგა
იტალიის მომავალს.

რომ იყოფდა თქვენს სიტკბოს და სიმწარეს,
უცხო კაცი თქვენ თქვენს კაცად იწამეთ.

სათაყვანო გარიბალდის მიწაზე,
გულს მაყრია იტალიის მიწა მე,

არ ჰქონია ტრფობას დრო და მანძილი...
ჩვენი გულის, ჩვენი სულის ნაწილი —
სამშობლოს ცას დაუბრუნდა არწივი,
მშობელ მიწას
შვილი სახელოვანი!

3. მზის ჩასვლის წინ

ბედისწერავ, დამაცადე, ნუ აავსე გული ბოღმით,
ვენახი მაქვს ალაზანზე გასასხლავი, გასათოხნი.

ბედისწერავ, დამაცადე, რა ბოროტად წუთებს მითვლი,
კიდევ ერთხელ ალაზანზე დამანახე ვაზის კვირტი.

ბედისწერავ, დამაცადე, სიკვდილი რომ მოგყავს ყეფით, —
ვერა ხედავ, ალაზანზე ყურძენი მაქვს მოსაკრეფი.

ბედისწერავ, დამაცადე, ბედისწერავ, რა იქნება,
შემასწარი ალაზანზე მაჭრის კიდევ დაღვინებას.

ბედისწერავ, დამაცადე, ერთადერთი მყვარებია,
საკრფო მელის ალაზანზე, ცაში — მისი თვალებია.

მზე გადადის ალაზანზე, არემარეს წითლად ფერავს.
ბედისწერავ, დამაცადე, დამაცადე, ბედისწერავ...

4. იტალიის გზებზე

სადაც შემხვდა მდინარე, ალაზანი მეგონა,
ზეცა შუქმომფინარე — შირაქის ცა მეგონა.
გადმომდგარი ირემი — გომბორის მთის მეგონა,
შორი მთაგრეხილები — კავკასია მეგონა.
რომ გაიხსნა ცისკარი — ჩემი საკრფო მეგონა,
რომ ვიხილე სიზმარი — თავი სახლში მეგონა.
პური გამომიწოდეს — დედას პური მეგონა,
ქართველი რომ მიწოდეს — საქართველო მეგონა.

მტერი ზღვარს რომ გადასცდა — ქართლს უტევდა მეგონა,
სოფელი რომ გადასწვა — მაჩხაანი მეგონა.
ცა, რომ ცეცხლში გახვია — თბილისის ცა მეგონა,
წყალი რომ აამღვრია — მტკვრის ტალღები მეგონა...
ახლა ვწევარ საფლავში — ირგვლივ მთა და მოლია,
ომი რომ არ გუგუნებს — თავი სახლში მგონია.

5. უკანასკნელი სიმღერა

რა გინდოდა, რას მერჩოდი, ომო!
რად მომწყვიტე სიყრმის სწორებს, ომო!
გუთნისდედად გაჩენილი კაცი,
რისთვის შემრთე სისხლის მორევს, ომო!
საიდან სად გადამტყორცნე, ომო!
დამანატრე მამის კერას, ომო!
დამანატრე ნიშნობებში წასვლას,
ნათლობას და ჯვარისწერას, ომო!
ვინც პირველად მოგიგონა, ომო,
ნუ მოაკლდეს კვლავაც ცრემლი, ომო!
სიცოცხლეში შენ გწყევლიდი, ომო,
სიკვდილშიაც შენა გწყევლი, ომო!..

ეს ომის გზა რა ყოფილა, დედი!
მოვდივარ და ვეღარ მოველ, დედი!
ყანწი სტუმარს მიმიწოდე, დედი!
უყვარდა-თქო ლხინი ფორეს, დედი!
ბადე ძმისწულს ჩამიბარე, დედი!
თევზაობის გიჟი ვიყავ, დედი!
მჭრელი თოხი გამიხარე, დედი,
ვენახში რომ წყალს შეიყვან, დედი!
ჩემი თოფი არ შეჭამოს ჟანგმა,
ჩემი ცელიც გაიცვითოს, დედი!
ჩემი გადაშლილი წიგნი, დედი!
ვარსკვლავებმა წაიკითხონ, დედი!

გულს მაყრია იტალიის მიწა,
ჩემი ბორცვი გადამწვანდა, ხალხო!
მე კახეთის ზეცა ვეღარ ვნახო!
მე სიბერე არ დამცალდა, ხალხო!
ოცდახუთი წლის რომ გავხდი, ხალხო,
აიკეცა ჩემი ბადე, ხალხო!
ჩემი დანარჩენი წლები, ხალხო,
ჩემს სამშობლოს მიუმატე, ხალხო!

1970

ვახტანგ ნადარეიშვილი

* * *

ჰა, მომცრო წიგნი...
დათვლილი ლექსი,
ძუნწი სტრიქონი,
ორიოდ პწკარი...
რა ვქნა, მამულო,
შენს სიყვარულში
მე ამის მეტი
ვერ მოვასწარი.
თუმც იმედი მაქვს
ამ სტრიქონების,
იქნებ ალალი
სიტყვა მეც გითხარ...
მაინც მათ შენი
იმედით ვტოვებ,
რადგანაც მჯერა,
შენ
ჩემს სიყვარულს,
სტრიქონებს შორის
ამოიკითხავ.

1955

* * *

შენ თურმე ისე თეთრი ყოფილხარ,
ღამით გაღვიძებს შენი სითეთრე,
შენს ტუჩზე ვარდი გადაფოთლილა
და, როცა ვარდში ბროლი იფეთქებს,
შენ მაშინ უცბად გაგეღვიძება,
შენ არ გაძინებს შენი სითეთრე.

1951

კვალი სილაზე

გაუტოპიათ გოგონებს ღელე,
კაბა მუხლამდე აუწევიათ,
გაღმა გასულან...
წასულან მერე,
წყალნიც წასულან...
წლებიც წასულან...

მოგონებები ვეღარ დასრულდა.
ხომ არ გინახავთ, გოგონებმა
საით გასტოპეს?
ქვიშაზე კვალი არ დარჩენიათ, —
გულში დასტოვეს...

1956

სექტემბრის დილა

ოთახში აცივდა, გარეთ კი სექტემბრის
მზე ისევ აფიცხებს აივანს,
შენ წაუკითხავი წიგნი რამ გექნება
და ერთი საათით წიგნს გარეთ გაიტან...

თან გაგაქვს ლამბაქით დანა და ატამი
და მხრები გითბება მზეზე,
და ერთი საათით წიგნს გარეთ გატანილს...
ქარი შლის —
ბავშვივით სურათებს ეძებს...

1954

თამარ ქვაში?!.

(თამარ მეფე. ჩახრუხაძე,—ქანდაკებები ნიკოლაძისა)

ქალო, ქალო, ქართლის სძალო,
ქოშწითელა დედოფალო,
თეთრი მარმარილოს ქვა ვარ —
ძეგლად უნდა გაგეთალო...
ბაგე ქვაში,
ღაწვნი ქვაში,
დედოფალის თამარისა?..
მისი თავშლის,
მკლავთა გაშლის,
ან ძუ ლომის ფაფარისა,
ვინ შეიძლოს გაქვავება...
— გაქვავება თამარისა...
ვინ მოსტაცოს ძვალი სპილოს,
— ვარდს კოკორი, სააპრილოს,
წელი მისებრ ვინ აწვრილოს...
ნუქარდინი დაამარცხა,
დაღლილია, მიიძინოს...
დაამარცხა ნუქარდინი,

ქართლის დროშად ის მანდილი — შრიალებდა!..
დაღლილია, მიიძინოს,
პირს ღიმილი დაირბინოს...
ვით გაქვავდეს მოშრიალე ფოჩი დროშის,
ვით მიწყნარდეს მობაკუნე მისი ქოში...
დედოფალის თამარისა —
საქართველოს უჭკნობ შროშნის.
ტაბახმელას მიიძინა,
წამწამები მიიმძივა,
ღაწვნი სპილოსძვალობდა,
ანგელოსი ჰგალობდა...
მცხეთას სამწყსო ჰგალობდა...
დედოფალმა მიიძინა —
გვიდგას ფერიცვალობა...
ტაბახმელას მიიძინა,
ბაგე გაისიფრიფანა,
მცხეთას სამწყსო ჰგალობდა:
„სულთა თანა... სულთა თანა...

აბრეშუმი გადიფარა,
თეთრი მკერდი უსარჩულა,
დედოფალმა მიიძინა,
საყურენი მიაჩუმა...
წკარუნობენ უზანგები,
ქოშს ეძებენ უზანგები —
დედოფალის პაწა ტერფებს,
უზანგებში გამოფიფქულთ —
ვითარც პეპლებს...
წკარუნობენ უზანგები
ლურჯა მერნის ფრთამალისა,
პაწა ტერფებს დაეძებენ
თამარისას... თამარისას...
ვუმზერ ღაწვებს სასპილოსძვლეს,
პირზე დაყრილ ასპიროზებს,
ეგ ბაგები, ეგ ღაწვები,
გადაურჩნენ ვის ოცნებას?..
ქართლში დარჩა შენი სუნთქვა,
თრიალეთზე ისოსნება...
ქართლში დარჩა ეგ ტანწელი,
ოდეს ფიქრთა შესავლებად,
წითელ ქოშთა ვერ ვემთხვიე,
ვერ გადუველ შენსა ნებას...
ქოშის იაგუნდები,
ქოშის მარგალიტები,
ვით გუნდ-გუნდად გვრიტები,
ანუ შროშნის კვირტები —
დამრჩნენ მიუმთხვეველნი,
ვეღარ მივუამბორე,
ბაგით ვეღარ გავბროლე —
ეგ წითელი ქოშები.
... და გულს მოაკლდა შენი სიტკბო რა
გული უშენოდ ამოიტბორა...
თმანაწნავი დაგიშრული,
ბაგე ვარდის ბუჩქიანი,
თამარ მარად სალოცავი —
თამარ მზეა უჩრდილავი...
მზე და... ქვაში...
თამარ ქვაში,
თამარი ქვად გაითალოს?

ღიმი ტუჩზე რომ შეუწყდა —
მარმარილომ დაიმთავროს?
ან გვირგვინს ქვეშ ჩამოთლილი,
გაუთეთრდა თამარს თმა როს?..
დედოფალო თამარ,
ქართლს ნუ მოუღამავ,
მოაბრწყინე ალმასები,
სხმულნი გვირგვინ-ქამარს...
ტკბილ არს ბაგე შენი,
რბილ არს ბაგე შენი,
წამწამებიც ნეტარ გიბიბინებს...
სილბოს მაგ ბაგეთა —
— ქვა ვით გაირბილებს,
ღიმილს მაგ ბაგეთა —
— ქვა ვით გაიღიმებს...
და ოსტატმაც ჩახრუხაძეს
როცა ბაგე ამოუჭრა,
მშვიდ ღიმილად შენი ბაგე შეუფინა,
ისე ნაზად, ისე თბილად,
მნახველთა სთქვეს:
„ჩახრუხაძეს ქება როდი ამოუჭკნა“...
და დარბაზში დინჯად მდგარმა
ქება იწყო თამარისა,
იწყო სიტყვა მოუმცდარმა
და სისველეც უგრძნო თვალმა...
„თამარ წყნარი“...
შერჩა ბაგეს, ვითარც ბაღებს —
ყვავილები...
წარმომიდგა თამარ ქალი,
ქართულ ქვისგან გამოთლილი,
გვირგვინს ესხა მარგალიტი —
მობნეული ქვირითივით.
ნუთუ მტრედი ღუღუნებდა —
ვარდის ძირზე დაშლილ ფრთითა,
ფრთებიც იმის მკლავებს ჰგავდნენ,
ყვავილს ადრე დანათრთვილსა...
და ვინატრე: მისი სახე
რა მარჯვენამ გამოთალოს...
მომიტევე, ქართლის სძალო,
ქოშწითელა დედოფალო...

1964

ზაქარია შერაზადიშვილი

მეტივეები

უწერის თავში ნაბამნი, მთელ ღამეს ნატივტივებნი,
გამთენიისას აუშვეს რიონის პირზე ტივები.
უხედნი ცხენის ზურგივით ტოკვა დაიწყეს მორებმა,
გზას ულოცავენ ტალღები, სხეულზე ეამბორებათ.

ხელახლა აიკარწახეს, მეტად ფრთხილობენ კაცები,
საშიში არის რიონი, ვიდრე მექვენას გასცდები.
წყლის პირს, ტყეებში, აქა-იქ მოჩანს ზღმარტლი და ჯახველი,
— მარჯვედ მოუსვი ორთაყვირს, თორემ კლდეს დავეჯახებით! —
ონის ბოლოზე, გულფიცხად, ერთი უყვირის მეორეს,
მისი ხმიანი ხევებმა ხმამაღლა გაიმეორეს.

ტივების წასვლას ნანობენ ათასწლოვანი ნაძვები,
— ჩვენც წავყოლოდით ნეტავი, თორემ აქ უქმად დავძველდით;
ვდგავართ უხსოვარ დროიდან, ცას კენწეროთი ვეხებით,
მუხლები ვეღარ გაგვიძლებს, კლდეებზე გადვიჩეხებით,
უფსკრულში გადვიჩეხებით და უსარგებლოდ ჩავლპებით;
ჩვენც წაგვიყვანეთ, კაცებო, არა ვართ სხვებზე ნაკლები!

— ნუ დაღონდებით, ნაძვებო, ოცნებას გაგინამდვილებთ... —
ახოებიდან ქალები იქნევენ ჭრელ-ჭრელ მანდილებს.

ვით შემოდგომის ფოთლები — ცაზე ღრუბლები დამჭკნარან,
ვაზები შაბიამანით შეუღებიათ ხვანჭკარას.

ერთი ჭრელკაბა გოგონა ნაპირზე ვეღარ ისვენებს,
მოსდევთ, მოსძახით: „მოკითხვა უთხარით ქუთაისელებს“...
შენ მოფარფატე გოგონი, პეპელა ხარ თუ ფუტკარი
ხვანჭკარელ მეტონიძეებს ჩვენი მოკითხვაც უთხარი;
ჩვენი მოკითხვა უთხარი, არიან ჩვენი მოყვრები,
არ გადმოვარდე, ლამაზო, თორემ შენც ტივზე მოჰყვები...

რტოების ქნევით აცილებს ტყე ასი ათასფურცელა,
მორებს, გუშინ რომ ღვლერჭებით მარდად გათოკეს უწერას.
ჯმუხ მეტივეებს ყოველთვის ძალუძთ რიონის მორევნა.
ვერ შეაშინოთ ჩქერებმა და ვერც ქაფქაფა მორევმა,
ვერც ბებრის კენტი კბილივით ამოშვერილმა ლოდებმა...
ვინ დაითვალოს რამდენი დურგალი მიელოდებათ.

1948

დაწალიკებულ იორში

ყოველი კაცი ჩიოდა,
სამგორის ველზე მიმსვლელი.
ხეც არსა იდგა, ნიკორას რომ წაეფხანა კისერი.

მაგრამ იდიდა იორმა,
დიდი მინდორი დაფარა,
მინდორზე გაინავარდა ვეება ტალღის ფაფარმა.

ფაფარაყრილი ტალღები
ქარმა აქცია შხეფებად,
ბაღ-ბოსტანს გადაასხურა, საზამთრო ხვრიპეს ვეფხვებმა.

სამგორს მოირთვლო ხევსურმა,
ამჟამად სართიჭალელმა,
ღვინო დაიძრა მდინარედ, ღვინო დაიძრა ჭავლებად.

ღვინო შეირგო მგლისმუსლამ,
შეირგო, უფრო გამგელდა,
შლეგად მიმოქრის ბაღებში იორის გადასაგდებლად.

მზემ გაფიცხებას მოუკლო,
როს მოაღწია სამგორთან,
ტოტს მწიფე ვაშლი ჩამოწყდა და თბილისისკენ დაგორდა.

სამგორი სარგო შეიქმნა,
უბანს წაება უბანი,
დაწალიკებულ იორში ჩადგა ბალღების ჭყუმპალი.

რად მიატოვეთ მწყემსობა,
ჰაი, თქვე ტიტლიკანებო.
ძროხები ჩრდილში შესულან, თეძოებს იტლეკავენო.
1954

ანო, ბანო...

ანო, ბანო, უმეცრების დამთრგუნველო სასოებავ,
დიდება მას, ვინც პირველად გამოგთარგათ ასოებად,
ასოებად, სიბრძნისა და ოცნებების ერთგულებად,
იქ გაქვთ ადგილსამყოფელი, სად ცხოვრება გეგულებათ.
ხაზებზე, ვით ქანდარებზე, ჩამომსხდარნო ქედნებივით,
სულზე ტკბილი „დედა ენა“ თქვენგან არის შედგენილი.
გაქვთ სიკეთე, რომ ყოველ კაცს მიუძღვნათ და ანაცვალოთ,
თუ კეთილად დაწყვილდებით, ვეღარავინ დაგაცალოთ.
თუკი ფიქრი მოგაბარეს, გაფრინდებით აგელვებით, —
ერთის ნათქვამს კვლავ იტყვიან ათასების ბაგეები.
არასოდეს იფერფლება ცეცხლი, თქვენგან ნაკვესავი,
მოკეთისთვის მთაფლავნი ხართ, დუშმანთათვის — დამგესლავნი.
ანო, ბანო, არასოდეს გიწერიათ გახუნება,
ხალხისაგან გაჩენილნო, დარჩით ხალხის მსახურებად!
1949

მაშინ იწყება

მზე ამოვა და ზვავებს გაალხობს,
მიწას შემოხსნის ყინვის სალტეებს,
მთის ნაკადული ბორკილს დაამხობს
და მიაშურებს წყალთა სატევებს.
ბავშვებს ციგები მიავიწყდებათ,
დადგება ჟამი რიკის, ტაფელის,
სიცოცხლე, აბა, მაშინ იწყება,
ფუტკრის საფრენი, მერცხლის საფრენი.
იქოჩრებიან ბუდეშურები,
სიცოცხლე ელტვის ჯიქნის ავსებას.
და მეც თუ რამეს არ ვეშურები,
ამ ქვეყანაზე ნურც ვიარსებებ.
1958

ხეორაზე წისქვილი მაქვს...

ძველებური სიმღერა

ხეორაზე წისქვილი მაქვს
პატარა და დალეული,
წყლის მოთრეულ ლოდებს შორის
თავმომწონედ გარეული.

თუ წვიმაა მხიარულობს,
თუ გვალვაა — დაღონდება,
თუ ზამთარი — ითოშება
და ზაფხული აგონდება.

წყალდიდობის ეშინია,
დაენგრევა სათავე და...
იმ ზაფხულზე წისქვილისთვის
ყველაფერი გათავდება.

მაგრამ ახლა ზამთარია,
ჩაყინული, ჩაზაფრული
დგას წისქვილი, ჩემზე უფრო
ენატრება გაზაფხული.

ახალი სიმღერა

მთის სოფლებად დახიზნულნი
რაჭველების ბანაკები
გაჩირაღდნდა, ვხარობთ ჰესით
ჩვენი ხელით ანაგებით.

ახლა, როცა სადგურიდან
ხევის გასწვრივ ვიცქირები,
სირცხვილისგან ღელეებში
ჩამალულან წისქვილები.

1949

ვენახი ნავენახარზე

იმერეთს როგორც ფუტკარმა ხალხმა იყარა ხალისით,
ზოგი ასპინძას დასახლდა, ზოგი ზარზმას და დმანისში,
ქვემო ქართლსა და სამცხეში ტკბილი ქართული გაისმის.

ენძელას ძილი ეძნელა, ხალხს გაზაფხული ახარა,
კლდეს დაეკიდა ჩანჩქერი, დაჰკრა ბუკი და ნაღარა;
სამცხეში, ნავენახარში ჭაბუკმა ვაზი ჩაყარა.

როცა იწვიმა, მიწიდან ვაზმა ბუნების წესებით
გამოაჩინა ყლორტები, მიწას ეძგერა ფესვებით;
ბელტი გააპე, მარცვალო, ჩვენში რომ დაითესები!

გახარებულა ვენახი, ჭაბუკი არის ლხენაში
და როგორც თავის ტოლებში, ისე ჩაივლის ვენახში;
მუხლები დასუსტებიათ ჭიგოებს ვაზთა ხვევნაში.

ვენახის ბოლოს, ღობესთან ყელმოღერილი ცაცხვია,
ფუტკრები შემოხვევიან ცაცხვის ყვავილებს ვარცხნიან.
ყვავილთა ტუჩის ბადაგი მათ სკებში გაუტაცნიათ.

ცაცხვს შეეხვევნენ ლერწები, როდესაც მძლავრად იზარდეს,
და როს ჭაბუკი ვენახში ჩაივლის დილა სისხამზე,
ასე ჰგონია ვენახში ყურძენს ცაცხვის ხეც ისხამდეს.

1955

შენ რომ თუნგი ჩაგივარდა ჭაში...

შენ რომ თუნგი ჩაგივარდა ჭაში,
ჭას რომ ჰქონდა უსაშველო სიღრმე:
ტოლებში რომ ამარჩიე მაშინ,
ამარჩიე და საშველად მიხმე.

მავთული რომ გადავღუნეთ ჩანგლად,
ჩანგალზე რომ თოკის ბოლო შევსკვენ,
ჭის უბეში შენი ლანდი ჩანდა,
დავიხარე ლანდისა თუ შენსკენ.

მე, მანამდე უზრუნველს და ანგალს,
სიყვარულის არაფერი მჭირდა,
მაგრამ მაშინ იმ ბედნიერ ჩანგალს
შენი ლანდიც თან ამოჰყვა ჭიდან.

და მე შემრჩა, ეს რა საქმე მიყავ,
ჯადოა თუ საზღაური შრომის,
რომ მას შემდეგ ყველაფერი მიყვარს
ამ ცასა და დედამიწას შორის.

1954

შემეძინება

შემეძინება თანმიყოლებით
ოთხი ბოკვერი — ლეკვნი მგლისანი,
გადიადდება ჩემი ჯილაგი
და ქვეყანაზე მოსვლის მიზანი.

მათგან მოთხრილი მუხის კუნძებით
სულ იტკაცუნებს ჩემი ბუხარი,
რომ წამოვხარშო მთელი კამეჩი —
ძვალიც არ დაგვრჩეს გამოუხრავი;

არ გადაგვირჩეს პურის ნატეხი,
რათა არ გახმეს და არ გაძვალდეს,
ჩვენს შემომყურე ჩემს დიასახლისს
ენატრებოდეს ღვინო საძმარე.

და მერე, რაკი დავგერგილდებით,
ვეკიდებოდეთ საქმეს მომჭირნედ,
რომ დროზე გახდნენ მამა-ბიძანი,
ოთხივე რიგზე დამიქორწილდეს.

მერე სიკვდილსაც არად ჩავაგდებ,
მოსახდენელი მოხდეს ბარემა,
მხარს შემომიდგამს ჩემი ოთხი ძე,
არ დასჭირდებათ სხვათა გარევა.

და დამიცხრება გული, რომელიც
სიავკაცესთან ომით გასივდა,
მაშინ ცრემლები არ დამჭირდება,
არცა გულწრფელად, არცა ყასიდად.

1957

ფიჭვი

ფიჭვი კლდეზე პიტალოზე
ამოსულა და ტინს ალხობს,
მთელ ქვეყანას ურჩევნია
თავის მწირი სამოსახლო.

ფიჭვი კლდეზე პიტალოზე
დგას სიცოცხლის გამარჯვებად
და გუშაგობს ხეობებში
ალუბლების დამარჯნებას.

ფიჭვი კლდეზე პიტალოზე
ამოსულა და ტინს ალხობს,
მთელ ქვეყანას ურჩევნია
თავის მწირი სამოსახლო.

1954

ანანურო

ანანურო,
ანანურო,
შე სიმკვიდრით თამარულო,
ახლაც თაღებკამარულო.

საგურამოს კაკლის შტოო,
ვაზის რქაო, სამამულო,
ანანურო,
ანანურო!

ანანურო,
სანანურო!
სისხლით, ცრემლით დანამულო!

ერთიც უნდა აგვამღერო,
ისევ გაგვასალამურო!

1957

სიტყვის გამტეხი

შენ ვაჟკაცურად სიტყვა აჰქენი
და მეც მოგენდე, როგორც ნათესავს,
კაცსა კი არა, თვისი საქმენის
ფიქრი აწუხებს ჩიტის მართვესაც.

გამომიწოდე ხელი ვეება,
სიტყვას დაურთე მადლი მარჯვენის,
მე არ ვიცოდი, შენ რა გენება,
და გავხდი უფრო მეტად დამჯერი.

გადამიფინე სიტყვის ედემი,
გადავიქეცით თითქოს მოყვრებად
და მე დაგშორდი დაიმედებით,
რომ სიტყვას მალე საქმეც მოჰყვება.

ისევ შემომხვდი შარშან რთველობას,
პირობას ისევ კვერი დაჰკარი
და მე მეგონა, შენს გულწრფელობას
გაუდიოდა სუფთად კამკამი.

შენ კი გქონია სიტყვა უპირო
და ჭუჭყიანი თურმე მარჯვენი,
თურმე ფლიდურად მოგვერდს უპირებ,
ქვეყნად ვინც კია სიტყვის დამჯერი.

როგორაც სახლი დაუხურავი,
ცა და მიწა რომ დელგმას აღვრიან,
შენი სიკეთით, შენი უნარით
ეგრე დამირჩა საქმე თავღია.

შენ სინიდისი არც კი გაშფოთებს,
თითქოს არც კი ხარ კაცი მდაბალი,
მე ქვეყანაზე ვიყო ნაფოტი,
თუ არ დავტოვო შენი ამბავი.

რომ ხარ პირშავი, არ ხარ ალალი,
მთელ ქვეყანაზე უნდა გიჩივლო,
რომ შენთვის ლუკმა არის არამი,
დეე, იცოდნენ საშვილიშვილოდ.

რომ გაერიდონ შენთან ლაპარაკს,
რომ არ ჩაგთვალონ კაცად არასდროს,
ვერ მოეფარო სინდისს ნაპარავს
და ვეღარავინ დააღალატო.

1958

უცხო გაგიდან

მას, ვინც ქართველად არ გაჩენილა,
მაგრამ უგრძვნია სითბო ქართულის,
მივესალმები, როგორც ჩემიანს,
არის პირველი ჩვენი ნათლული.

ჩვენ სიკეთეთა ვიცით გაგება,
სამაგიეროს მიძღვნა ულევად,
რა სჯობს, ქართული სხვათა ბაგედან
როდესაც მოჰქუხს ნაკადულებად.

მივესალმებით, როგორც ჩვენიანს,
არის პირველი ჩვენი ნათლული,
მას, ვინც ქართველად არ გაჩენილა,
მაგრამ უგრძვნია სიტკბო ქართულის.

1962

მურმან ლებანიძე

* * *

ბერნუში დაგიხატია, ზაზული,
იქვე დაგისვამს მარტო
იმ ნუშქვეშ ფიქრში წასული
დიდედაშენი კატო...

მიხარის შენი ტრფიალი, რად არა!
ფერში მოთხვრილი თითი!
მაგრამ გაფრთხილებ, არ მემეტები, პატარავ,
ძნელია მხატვრის ტვირთი!

შვილო, გახსოვდეს, ცხოვრების ნიჭი ერთია,
სხვაა — ძებნის და ნატვრის,
ხოლო რჩეულთა, მხოლოდ რჩეულთა ხვედრია
ხვედრი ნამდვილი მხატვრის...

გიჟის ხალათი გერჩიოს, თოლიგე,
მხატვრის და მგოსნის ხალათს!
საყვარელ ქალის ღალატი, თოლიგე,
შვიდფერი მუზის ღალატს!

1960

* * *

მოცოცავს, მოცოცავს მთებზე გაზაფხული,
ვაი, მომამტვერა ყვავილის მტვერი...
ჩემი მოსისხლე და სამტროდ გაწაფული,
ჩემი მეგობარი და ჩემი მტერი.

აბასთუმანში ახლა ზამთარია,
თბილისშიც ჯერ შტოზე კვირტი მაქვს დათვლილი.
აპრილი — ნორჩი მხატვარია,
ფანქრები ცუდადა აქვს წათლილი.

მაინც იხატება ქვეყნის კონტურები,
მწვანე აბლაბუდა იბლანდება...
აგერა, ტყემლები თეთრად მორთულები —
ქვეყანა ახლად იბადება...

ღამით ბუტბუტებენ ბნელში ვიღაცები,
„სუ-სუო!“ — ერთმანეთს აჩუმებენ;
მთელ ღამეს უძილობით ვიქანცები,
ეგ თურმე — კვირტები ფაჩუნობენ...

დილით კი სარკმელში ოქროს ნაწნავია —
სენაკს მოაშურებს ნაცნობს,
გაზაფხული — ჩემი წაწალია,
ვაიმე, რარიგად წაწლობს!

მოცოცავს, მოცოცავს მთებზე გაზაფხული,
ვაი, მომამტვერა ყვავილის მტვერი...
ჩემი წაწალი და მოსისხლე გაწაფული,
ჩემი მეგობარი და ჩემი მტერი!

1960

დათვები

მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა —
იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასტა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
ეს გაზაფხული უეცრად გაჩნდა.
მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
მთელ ზამთარს ვლოკე იმედის თათი;
მთელი ზამთარი იმედებით ვიკვებებოდი
და, ჰა, ბუნაგიდან გამოვდივარ დაჭრილი დათვი...

და, ჰა, ბუნაგში დარჩა სადღაც ზამთარი დიდი —
მე ეს აპრილი იქ ვნახე სიზმრად:
მილიონ შტოზე მილიონი ფაჩუნობს კვირტი
და ყველაფერი ჩახჩახებს მზისფრად.
წითელი დისკო შავ მუხნარებს დასცქერის მაღლით,
მზე და ბალახი მახვევენ თავბრუს.
ახალი ხორცით, ახალი ტყავით, ახალი ჯაგრით
მე ვიმოსები და ველი ზაფხულს...
    რარიგ მიყვარდა ჩემი ტყე და ჩემი დათვები!
    მაგრამ, როდესაც გაჩეხილ ბეჭით
    მე დავენარცხე და ძირს ვეგდე დღენი და თვენი,
    გარდა ამისა, მე დაჭრილი შევიქმენ ეჭვით:
    მე მაშინ თოფზე უფრო მეტად ეჭვმა დამთოფა,
    მას შემდეგ ვწყევლი დათვის ძუძუებს —
    შებრუნდა ყველა, შეირცხვინეს ერთხმად დათვობა
    და მწვერვალები გადიძუნძულეს...
მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი,
მოვიდა, ფრთხილად დამადო ლოყა;
მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი,
სისხლიან ბილიკს ჩემამდე მოჰყვა;
აიღო თავი, დათვმა დათვებს გაჰბღავლა რისხვით
და მერე დიდხანს ტირილით მლოკა...
მხოლოდ იმ ერთმა, მხოლოდ ერთმა, რა ნახა სისხლი,
მოვიდა, ფრთხილად დამადო ლოყა...
    მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში მეძინა —
    იქ ცხოვრობს ჩვენი წყეული კასტა.
    მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
    ეს გაზაფხული რა უცებ გაჩნდა!
    მთელი ზამთარი სულ დათოვლილ ტყეში მეძინა —
    მთელ ზამთარს ვლოკე იმედის თათი.
    მთელი ზამთარი იმედებით ვიკვებებოდი
    და, ჰა, ბუნაგიდან გამოვდივარ დაჭრილი დათვი...
გაავებული მე მოვამტვრევ ოცი წლის ჭადრებს!
ვჯეგავ, თუ ჯაგი გადამეღობა!
ვიცი, შევხვდები თავის დროზე უგუნურ დათვებს!
ვიცი, შევხვდები დათვს და მეგობარს!
წითელი დისკო შავ მუხნარებს დაჰღუის მაღლით,
მზე და ბალახი მახვევენ თავბრუს...
ახალი ხორცით, ახალი ტყავით, ახალი ჯაგრით —
მე ვიმოსები და ველი ზაფხულს!

1960

* * *

თამუნია ქავთარაძეს

პირმოღუშული სახითა აქ მრავალს ჩაუვლია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?!

ქალაქი — დიდი იმედის! ქალაქი — ტყუპი მექის!
დადიან ბრძნული ხველებით ვეტერანები ჭლექის...

მთაში ირემი აყვირდა — ტირილი გაურია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?!

სად უცხო ჭალაკი არი და სად ვიწროში ბღავის,
არაგვი — არაგვიანი, იქ უნდა კრეფდე ყვავილს!..

პირმოღუშული სახითა აქ მრავალს ჩაუვლია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?!

ანანურზეით სოფელი... წელში გაჩრილი წალდით
ტყეს წავა მამა მშობელი — მუშტისტოლაა დარდით...

მთაში ირემი აყვირდა — ტირილი გაურია...
შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?!

1960

* * *

ციკლიდან „თეთრი ლექსები ფიქრიას"

მე თუ გავმდიდრდი, გავმდიდრდები შენი გულისთვის!
შენი გულისთვის შემოვივლი ჩინსა და მაჩინს:
ჰინდუსტანიდან ჩამოგიტან ფენჯაბურ სტავრას,
საფრანგეთიდან, შოტლანდიდან — ბროლსა და მუარს.
თვრამეტი წლისას ბიჭვინთაში გიყიდი ვილას,
ცხრამეტი წლისას ერთიანად გათეთრებული.
მწვანე ხავერდის სავარძელში ჩაფლული მძიმედ
დაგიწერ ანდერძს, სკივრს დავადებ ვეება ბოქლომს
და უკანასკნელ საღამოებს დაველოდები...
ჩემო პეპელავ! ოღონდ ერთი ვიცოდე მხოლოდ,
რომ თვეში ერთხელ შეაჩერებ კლავიშზე თითებს,
გამდიდრებისთვის მგოსნის სურათს ახედავ წყენით,
ახედავ წყენით, მაგრამ მაინც იტყვი შენდობით:
კოჭლი სტრიქონი ერჩიაო მთელს იმპერიებს!!!

1959

* * *

გაზაფხული შემოსულა, ლენ,
ბუდეები გაუწყვიათ ჩიტებს...
მე გიყიდი წითელ-ყვითელ ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

მოგანატრე სათიბი და ტყე,
სუნი ქუსლით გასრესილი ანწლის,
შორს გუმბათი ბეთანიის ტაძრის
და ცისფერი, უბორკილო დღე...
მოგანატრე სათიბი და ტყე!

აწი აღარ გაგაჩერებ შინ,
აწი ოჯახს ვერ დაარქმევ „დილეგს“,
მკვირცხლი ბიჭი შეუყენე ბილიკს —
მწევარივით გამიხტუნე წინ,
აწი აღარ გაგაჩერებ შინ!

გაზაფხული შემოსულა, ლენ,
რია-რია გაუმართავთ ჩიტებს...
მე გიყიდი ყვავილიან ჩითებს,
თეთრი ტილო მომიქარგე შენ!
გაზაფხული შემოსულა, ლენ!

1957

მესტვირის სიკვდილი

გამთენიისას ზვარეთს მიცვლილა მესტვირე,
ძილში გაპარულა, ცას რომ უქნია ციაგი...
ჟამსა ცისკრისა შვილებმა მესტვირეს შესტირეს,
გაღმა-გამოღმა ქალებმა შექნეს წიაქი.

ხუთი ღამეა წვიმამ გალესა აყალო, —
გამოეხეტნენ ცაში ღრუბლის ბალდახინები...
ხუთი ღამეა, მთელი სოფელი ყაყანობს,
დგანან მესტვირის ვაჟები თავდახრილები.

ასი წლის კაცი მუხის კუბოში სვენია,
ძმათა ცოლები მორიგეობით სტირიან:
— ვა, ბეჩა, აწ ვინ ჩაბეროს, შე კაცო,
ვიღამ დაუკრას შენი დაკრული სტვირია!

მეშვიდე დილას ცაზე გადმოდგა ციერი,
ახალგაჭრილი სამარხი უნდა იხილოს,
მისწი-მოსწია ფრთხილად კორტოხზე იელი —
აყალოს ბელტზე მწვანე ბაყაყი ყიყინობს.

მთელი სოფელი სერი-სერ გამწკრივებულა,
კუბო ხან მოჩანს, ხან ჭალაში ჩაიკარგება.
მიდის მესტვირე, აპრილი კი გაბრწყინებულა
მალე მაისიც ჩითივით გადიქარგება...

გარდაიქმნება დედა-ბუნება მშობელი,
აღორძინდება წყალი, მიწა და ჰაერი,
ლხინს ვერ მოიშლის, ჩითებს ჩაიცვამს სოფელი —
მესტვირის ნაცვლად კარდაკარ ივლის შაირი.

და, როგორც გახდა „ვეფხის და მოყმის ბალადა“
მიწისმუშების, მეურმეების, მწყემსების,
ისე გახდება ხალხური ანუ მარადი
ლხინში და ჭირში მისგან ნათქვამი ლექსები...

„რაეო, ჩემო დედაო, რაეო,
ქალი ზის წყაროზედაო, რაეო.
ბიჭმა ჩამოუსეირნა, რაეო,
იმ მწვანე მინდორზედაო, რაეო.
— შენ ჩემს ქმარს როგორ ვერ იცნობ, რაეო,
ხელი დაუდევს ხმალზედა, რაეო;
დღისით მიხოცავს ნადირსა, რაეო,
ღამით ვუგორავ მკლავზედა, რაეო...“

1954

* * *

მესამე დღეა მივარღვევთ კახეთს...
ხატად სამოთხის, ედემის სახედ —
ფეხქვეშ მეგები, სამშობლოვ ჩემო...
რა მამულები მქონია აქეთ!
ვაი, სირცხვილო, ახლაღა გნახეთ
თქვენ —
ალავერდო, იყალთოვ, გრემო!

1958

ლადო

კორტოხზე პურის ძნა, ჭალის ყანაში მარტო —
ჩემი უფროსი ძმა, ჩემი ლადო.

სიმინდი იდგა ტყედ — სვრელი გაჰქონდა ფართო,
ყანას თოხნიდა მხნედ — ჩემი ლადო.

სამხარი ჩავუტანე ჩრდილში, ღვინო დაგვიწყნია რადო?
ლექსი წავუკითხე შიშით — ლადოს.

მითხრა: „ბევრი წერსო დღეს! უნდა ოც წელიწადს რანდო!
სახლში წაიძღვანო თხებს!“ — ლადომ.

ცრემლი მომებჯინა ყელში: — ვითომ რატომ?!
შენ ვის დაუწუნე ლექსი, ბიჭო ლადო!

ბექიდან ბელტები ხვდება, კენჭს ეძებს: „შეშლილხარ მთლადო“!
იცინის, სიცილით კვდება — ჩემი ლადო...

სოფლისკენ მივდენი თხებს და პირველ ლექსებზე ვდარდობ;
ჭალიდან თავის სიგრძე ხელს — მიქნევს ლადო...

კორტოხზე პურის ძნა, ჭალის ყანაში მარტო —
ჩემი უფროსი ძმა, ჩემი ლადო.

სიმინდი აუშლია ტყედ, წინ სვრელი მიუძღვის ფართო,
სველ მიწას შემოიყრის ზედ შიშველ ფეხებზე ლადო.

ვაი, შე დიდფეხა, შენ! ვაი, შე დიდგულა ლადო!
რა მიწა გაგაგრილებს შენ, მაგ შენი ფეხების პატრონს!

ოი, შე ქილიკა, შენ! ოი, შე ლექსების ჯადო!
ცოტა გავიზარდო ჯერ, ბიჭო ლადო!

ბარდნალას მივდენი თხებს და ლადოს სიმაღლეს ვნატრობ...
ჭალიდან თავის სიგრძე ხელს მიქნევს და მიცინის ლადო.

1962

მამა

კმარა! დავკეცე აფრები ყველა, აღარ ვგრუხუნებ საომარ ლექსებს,
ძველ ნავსადგურში ვბრუნდები ნელა, სადაც პირველად ავსულვარ გემზე,—

მშობელ ქუჩაზე ვბრუნდები გვიან, როგორც ქარხნიდან დაღლილი მუშა,
წიგნის საწერად, რომელსაც ჰქვია: მამა, ბავშვობა, გოგოლის ქუჩა...

გოგოლის ქუჩავ, ჩაგთვლი სახლსავით, მქუხარე ჩანგი მწუხარს ხმაურობს;
გული მანდ დარჩა — თათრის ძაღლსავით ჩამქრალ საკვამურს უყარაულოს.

უყარაულოს ბავშვობის ცისკარს, ოცდახუთ ზამთარს, ოცდახუთ ზაფხულს,
უყარაულოს ჭრიალა ჭიშკარს, ბნელში ნაცნობი ყავარჯნის კაკუნს.

შვიდი წელია, დავტოვე სახლი, მამის ამაგი, მამის კერია;
შვიდი წელია, ბრძოლებით დაღლილს, ჩემს ძველ სენაკში არ მიწერია.

დაბადებულა მეზობლის ბალღი, ეზოში ვიღაც სარეცხსა ჰკიდებს.
ადი-ჩამოდის კიბეზე ხალხი, ქურდივით ვაღებ ვეება კლიტეს...

ო, არა, მამავ, არა ვარ ქურდი! შენი სენაკის დუმილი მდაღავს;
ჰკიდია ძველი პალტო და ქუდი და გასაქურდი, ძვირფასო, რა გაქვს!

მამა — დაისის მწუხარე ცეცხლი, მამა — ნაღველის გასხივოსნება!
ზოგს დაუტოვეს ოქრო და ვერცხლი, ზოგს — ბორკილივით პატიოსნება.

მაგრამ ამაყი იმით ვარ მაინც — ჭრელი ყვავილით გადამიქარგავს,
არ დამიკარგავს ამაგი მამის, მამის საფლავი არ დამიკარგავს...

მადლობა ყველას, ვინც მიდგა მხარში კუკიისაკენ — მშობელ ქუჩიდან,
ვინც მოიხადა ნოემბრის ქარში ქუდი და სურდოს არ შეუშინდა,

ვინც წაიკითხავს ღარიბულ ნაწერს, იტყვის, უგულოდ დაწერილს არ ჰგავს,
მოსძებნის მიწის დაკარგულ ნაჭერს და ზედ თუმნიან ალვის ხეს დარგავს.

1956

* * *

— ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ — ყინულის ლოგინში!..

ვოი, კალა-უშგული შეკრებილა, ყანას და სათიბს მომცდარა,
მთელი სვანეთი შეკრებილა, მთლად საქართველო შეკრებილა,
შხარასთან ღრუბელივით მომდგარა.
ვოი, შხარა სისხლით შეღებილა — კოხტა თიკანაძე მომკვდარა...

ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში...

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია, რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
საკუთარ ხელით პალო დაუგია, საკუთარ პალოზე მომწყდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია — თოკი ერთადერთი ჩაუბია —
თავი სიმამაცით წაუგია, ვოი-ვო, სიმამაცით მომკვდარა!..

ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
გურამის ნეშტი უპყრიათ ხელში,
ბექნუ ხერგიანს და ბექნუს ლომებს
მშრალი ბურთები გასჩრიათ ყელში...

„ — ხოჩა საკაცე გამითალეთ, დავაწყო ხორცი და ძვალი,
სიკვდილი სიცოცხლედ ჩამითვალეთ, აღმართში კვნესით ამიტანეთ,
ვაკეზე მითხარით ზარი!“.

უშგულში გამოვარდა ივდითი ნიჟარაძე, შეჰკივლა, გაიკაწრა ლოყა;
ფოსტლების ფლატუნით უხნესი დიაცი საკაცეს ფეხდაფეხ მოჰყვა:
„თეთნულდმა რა მოგცა? უშბაზე რა გქონდა? შხარაზე რა გინდოდა, გმირო?
ვო, გურამ, რამხელა ბეჭები დაგქონდა — რამ დაგაპატარავა, შვილო?“

ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და ბეჭზე მიდევს შენი საკაცე...
შენ დაგეუფლა ძილი და დაღლა,
შენ დასახარჯი უკვე დახარჯე...

შენ გაიელვე ღრუბლებზე მაღლა,
შენ საქართველოს ღამე გახაზე...
ასი ცხენოსნით უშგული გახლავს
და მოტივტივებს შენი საკაცე...

ვოი, რა უფერულია სიკვდილი ლოგინში!
ვოი, რა საშინელია სიკვდილი ლოგინში!
ისიც ლოგინში მომკვდარა, ოღონდ — ყინულის ლოგინში!..

გურამ თიკანაძეს შხარა აუღია, რაც მოხდა, დაშვებისას მომხდარა:
თავი სიმამაცით წაუგია, ვოი-ვო, გურამი მომკვდარა...
ცოცხლისგან საყვედური აუგია, ჩაუქი მკვდარიც ჩაუქია —
ვარსკვლავი ვარსკვლავებს მომწყდარა.

1964

მ ა ხ ს ო ვ ს!

ეს ერთი სიტყვა უნდა ავიხირო —
მახსოვს!
შენი დათვისისხლა შავი ღვინო —
მახსოვს!
შენგან მოძღვნილი არყის ბოცო —
მახსოვს!
შენგან მოწვდილი ტახის ხორცი —
მახსოვს!
იორ-მუღანლოში სადილობა —
მახსოვს!
შენ რომ შემაყვარე ნადირობა —
მახსოვს!
შენ რომ ლელიანის კატა მაპოვნინე —
მახსოვს!
შენ არ ესროლე და მე რომ მასროლინე —
მახსოვს!
მე რომ პირველი ხოხბით გავიხარე —
მახსოვს!
შენ რომ დაიხარე და აიყვანე —
მახსოვს!
ივრის ჭალები აქოჩრილი —
მახსოვს!

ეგ მხრები ბრეზენტით გაკოჭილი —
მახსოვს!
მზისგან დამწვარი გორმახები —
მახსოვს!
შენი თათარი ყონაღები —
მახსოვს!
ბოლო ხანებში გვეღლებოდი —
მახსოვს!
მახსოვს, ხელიდან გვეცლებოდი —
მახსოვს!
„მეც ვბერდები და ძაღლიც ბერდებაო“, —
მახსოვს!
„ჰაუ, რანაირად თენდებაო!“ —
მახსოვს!
ლექსებს მიკითხავდი კოცონთან —
მახსოვს!
ეს ოთხი სტრიქონი მოგწონდა —
მახსოვს:
„გახედე: კახეთი! დამსკდარა ატამი,
რა მალე მოვიდა აგვისტოს პირველი.
გარეულ ჭალებში ტრიალებს ქათამი,
ჭაობში იხვია მოწყენით მზირველი“...

1968

ფიქრები

1 * *

საფიქრებელი ბევრია ახლა, — ისევ მოდიან შენთან ფიქრები.
დაჯექ და წერე, შორს შენგან დაღლა, ისიც გეყოფა, რომ არ იქნები!

რომ არ იფიქრო, შენი ნებაა? მოავლე თვალი აწმყოს და წარსულს.
სოფელში ახლა გასვენებაა — ხუთზე მარხავენ ოცი წლის ქალწულს.

ახლა ცოტაა გასახარელი, წაუკითხავენ დეპეშას ყველას,
მაინც, რა ტურფა, რა საყვარელი სახელი ერქვა იმ საწყალს — ლელა!

კურთხეულ იყოს ყოველი მგზავრი,
რომელმაც უნდა განვლოს უღრანები!
მე ექვს შაურად სამძიმარს ვგზავნი:
„მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების!“

2 * *

გამოეხეტა ფიქრების ჯგროდან და ცალკე დადგა ფიქრი მწუხარე:
„ვენახში ორი საფლავი გქონდა, ერთი ალვის ხეც ვერ გაუხარე!“

რა ვუპასუხო უტიფარ ფიქრებს? შევედავები, სჯობია, გაღმა:
„რისი ალვის ხე? არც იცი იქნებ, ოცი წელია ვენახიც გახმა!“

ვენახში ორი საფლავი მიყვარს, ყოველ აგვისტოს შევიარ სოფლად,
მე ჩემი პირმშო ორ ბორცვთან მიმყავს, ზედ თითო ვაზი წახრილა ობლად.

არ დასტრიალებს ბერ ნიგვზებს ქორი, აღარც ბოსტანი და აღარც ბაღჩა!
კი, ადგილზეა საფლავი ორი, მაგრამ ვენახში ვენახი არ ჩანს...

მომელანდება ქალაქში ვაზი,
ხაპი და ხაპთან ყურძენი ხვირით —
არგასაცვლელი სამშობლო სხვაზე —
და სულს ვუხსენებ ნაყიდი ღვინით,

3 * *

მესამე ლექსი წვიმაზე ფიქრობს: ვარ გახირული მარუხის კლდეში,
ჩხრიალებს წვიმა და კოცონს მიქრობს და იხარშება ღამეში ლეში.

ჩემთვის მომხდარა ვერმახტის წინსვლა, ჩემთვის ამტყდარა სოდომი ბრძოლის,
დაბადებიდან ცხრამეტი წლის ვარ, მე უნდა ვჭამო ამაღამ მძორი.

ნაღმებით სავსე მოხსნეს საპალნე, ის ჩაიყვანეს კოდორზე გუშინ,
მჭლე და ართვალი წყალში გაბანეს და ცხელი ტყვია ჩაასხეს ყურში.

გერმანელები გადმოდგნენ თხემზე, თითის დაქნევით გასროლა დაჰგმეს.
უნდა გავტეხოთ ამაღამ ხემსი — უტრიბუნალოდ მოგვარდა საქმე —

მაგრამ წვიმს წვიმა და კოცონს მიქრობს,
ვარ შემწყვდეული მარუხის კლდეში...
ოციწლისწინდელ წვიმაზე ვფიქრობ
და მაძღარი ვარ წითელი ლეშით.

1968

* * *

ვერაფერი გამიგია ცხოვრებაში რა ხდება:
ყველაფერი წამიგია — მეგობრები მაკლდება.

ბრაუნინგით არ მომკვდარან, ვინც დღეს ჩემთვის მკვდარია,
არც ფანჯრიდან გადმომხტარან — მშვენიერად არიან.

უფრო ხშირად ახლა შინ ვარ, წვიმას ვნატრობ შხაპუნას:
შევსვათ! ყველა თავის წვრილმან საზრუნავში ჩაფლულა!

ყველა თავის ნავში სხდება, ყველამ სადღაც გაცურა,
ყველა კვდება, გული მწყდება — წასულან და წასულან!

და დღეები გადის ზანტად, ღამეები გროვდება,
ვიღაც უსაშველო ლანდად მწუხრში მიახლოვდება...

მინდა მთაზე ავირბინო, ზღვის მიქცევა ვიხილო,
თავში ხელი წავიშინო — რაც მომხვდება, ვიყვირო.

1969

სანადიროდ დავდივარ

1

ოცი დღეა, ახალი სიყვარულით ვანთივარ:
შალხენს თოფის ჭახანი, ჯეელი ვარ, მარდი ვარ;
ტყე-ტყე დავეხეტები, თოფიანი ლანდი ვარ...
მენატრება მუხნარები, მელანდება უღრანები,
მიზეზ-მიზეზ სანადიროდ დავდივარ.

და ჰა, დილით ვდგები და სიმინდს ვიღებ კოდიდან,
ყველის ნატეხს — დერგიდან, გამოვდივარ ოდიდან.
მთელ დღეს ვზვერავ სათიბებს, მთელ დღეს ვზვერავ ახოებს,
სერზე ჭადრებს ნატიფებს, საზვრე-სამოსახლოებს.
მთელ დღეს ტყე-ტყე ვგრილდები, მინდორ-მინდორ ვხუნდები,
გვიან თეთრი გვრიტებით და ჩხართვეებით ვბრუნდები...

ოცი დღეა, ახალი სიყვარულით ვანთივარ:
მალხენს თოფის ჭახანი, ჯეელი ვარ, მარდი ვარ,
მაღამდება ჭალებთან, მაღამდება ყანებთან —
ცოლ-შვილს გავეყარე და
საყვარლებთან დავდივარ...

2

ის რა სიხარულია — თუ ვიხარეთ ჯგუფურად?!
ის რა სიყვარულია — თუ ქვეყანამ უყურა?!
ბევრი გამხარებია, უფრო მეტი მწყენია.
ჩემი საყვარლებია: შინდი ფოთოლ-ბწკენია,
ჭადრები ნატიფები, გვირილები ნაზები,
ჭრელკაბა სათიბები, დაგრეხილი ვაზები...
რიყე-რიყე დაყრილან ხავსიანი ტინები,
ტირიფები წახრილან — ჩემი თინათინები.
დაზრდილან ტირიფები — ზილფი გაუშვიათ —
ჩემთვის იაბრეშუმებენ, ზვირთში ჩაუშლიათ...
ჰოი, ტირიფებო, მარტო ხართ და მარტო ვარ,
მე თქვენ არ გიღალატებთ, სიყვარულში სანდო ვარ!
ჰოი, ტირიფებო, პატარა დიაცებო,
თქვენ რომ ფეხი გაგიცივდეთ,
მე ვისთვის ვიარსებო?!

3

მზემ საწოლი დატოვა და მთებს გადმოღმა გადმოვარდა —
გაანათა საძოვართა, ცათა, მთათა სანაპირო...
დღესაც ისევ მარტო ვარ და დღესაც წავალ სანადიროდ...
ტოროლები დამშვიდებით ოქროს ტბაში ბანაობენ.
შვიდი კვირის ნარჩიტები ვერცხლის ნარზე ქანაობენ.
მინდა, თოფი გავისროლო — ჭალას კვამლი დავაფინო,
ეგ სულელი ნარჩიტებიც ოქროს ტბაში ავაფრინო...
ფრრ... აფრინდნენ მაღლა, მაღლა, ჰა, მიმინოც ზევით, ცაში...
სრულყოფილი გახლავს ახლა მზის და ზეცის პეიზაჟი...
მზემ საწოლი დატოვა და მთებს გადმოღმა გადმოვარდა —
გაანათა საძოვართა, ცათა, მთათა სანაპირო...
დღესაც ისევ მარტო ვარ და დღესაც მივალ სანადიროდ.

4

შუადღისკენ იხრება — ელვარე და ბრწყინვალეა,
ციდან ჩქერად იღვრება — მზე არი თუ მდინარეა?!
ცხენოსანი ბურია — ზურგს ისარი დამაყარა,
კალიები ხტუნია გამიხტუნა ყანა-ყანა.
ყველაფერი მზეშია, ჩრდილში — წნელის ხუხულები.
უჩინმაჩინ კვნესიან რცხილიანში გუგულები.
პურში წითლად ღვივის ყაყაჩო და მემალება,
შავი შაშვი ჩივის: — მონადირე მეპარება...
ირგვლივ ყველგან პურია, მზესუმზირაც ხანდახანა.
კალიები ხტუნია მიმიძღვიან ყანა-ყანა.

5

უცებ, სადაც დაღლილი მზეა მაღლა, ვერხვებთან,
კლდიდან ღრუბლის ნახირი ცაზე გამოეხეტა.
გაიბაწრნენ კამეჩებად, ძირს პურები გადაჯეგეს,
მთის გადაღმა გავეშებით ერთმანეთი გადაჩეხეს...
მხოლოდ ერთი ღრუბელი — სხვებზე უფრო ბამბურა —
წამოედო ქედზე საყდარს, ერთიანად გამურა.
ცამ იშიშვლა ფრანგული, ელვა ჭექით მოვარდა.
წვიმამ ასი ჩანგური ყაჩაღურად მომართა:
ზეცა ფეხად იცლება, კვლავ რუმბივით იბერება,
ფოცხები და ფიწლები მიატოვეს მთიბელებმა.
სველდებიან მთიბელები, სველდებიან ფრთოსნები;
მთიბლური სიმღერები, დაუღვლილი მოზვრები,

ტოროლების ფრთები, ნარჩიტების გალობა —
წვიმამ ყველაფერი, ყველაფერი გალუმპა.

6

გაჰქუხს წვიმა ამაყი — ავაზაკად გაჩენილი.
როგორც ქვაზე კალმახი, ტრიალში ვარ გარჩენილი.
ქედანია გამხდარი ჩემი დავლა ღარიბი.
ქედზე ვიცი საყდარი — მივალ, შევეფარები.
გარეული არა ვარ, აქ გაზრდილი ბიჭი ვარ,
გარე ვუვლი გალავანს, თოფი ფრთხილად მიჭირავს.
უცებ მესმის სიმღერა, გალავანში ტკაცუნია —
კოცონია იმხელა, — კენწერომდე ასულია...
ჭინკებს ცეცხლი უნთიათ, ჯაჭვით ქვაბი უკიდიათ,
თუ არიფთა გუნდია, — ხალხს საკლავი უყიდია?!
სალამს აღარ მაცდიან, ძმაკაცურად მიღიმიან,
ჭიქა ღვინოს მაწვდიან — ქეიფი და ღიღინია.
ღელავს ცეცხლი ბრიალა, ღვინოს სმენ და პურდებიან;
ეგ ყაყიტას კი არა, კოლექტივის ქურდებია:
„ყანებს მოვიჯარგალებთ, მერე ზვარშიც გადავძვრებით...“
თან მღერიან, თან ჭამენ, კვახს და ტაროს ხარშავენ
მაცხოვარის თანდასწრებით...
და სდუმს საყდრის გალავანი,
გალავანში — ტალავარი, მსხლებია და ფითრებია...
კვერცხისტოლა საყდარია, ფრესკა წვიმით წამხდარია,
ღვთიშობელი გამხდარია, მარტოდმარტო თითებია.

7

დარმა პირი იბრუნა, მზე ასპარეზს უბრუნდება,
კვლავ გრიალებს მთიბლური, კვლავ ჰოპუნა გუგუნდება...
მაგრამ რაღა დროის! უკვე ძილსაც ეპირება;
ბინდი საღამოის ქედებს წითლად ეფინება.
მზე ჩადის და დაღლილი ეთხოვება მთა-ჭალაკებს,
შარა-შარა ნახირი მოამღერებს ზანზალაკებს.
ვდგავარ, მხარზე თოფით — წითელ დაისს გავღიმივარ,
მშობელ ქვეყნის ტრფობით მაძღარი და დაღლილი ვარ.
მაგრამ დილა მზიანი ისევ ისე იღორძინებს,
დღე ახალი იალებს, მზე მიწასთან იქორწინებს...
ღამესავით გადნება ჩემი ტკბილი დაღლილობა, —
ისევ ისე ჭადრები და მიზეზ-მიზეზ ნადირობა.

1958

* * *

უპირველესად ვაღმერთებ ქართველს,
მას მერე — ვისიც რამდენად მმართებს:
ქურთსა და სომეხს, რუსსა და თათარს —
ამის უფლებას მე ვინ წამართმევს!

სად ყოვლიარი გადატრუსულა
და რუხი ჩაგრავს მხიარულ ფერებს,
— გურუზინ? — თათარი მკითხავს რუსულად
და მიმასწავლის საკურდღლე სერებს.

წყვილ ვაზნას მივცემ ჩემს ახალ ყონაღს —
„ფეშქეშ!“ — და თვალებს მიშტერებს ნდობით,
დატოვებს ცხვარს და გადვივლით გორმახს,
ავუხმაურებ სამშობლოს თოფით...

მინდა, ეს ლელი ლერწმად გავთალო,
სალამურსავით ჩავბერო ყელში...
„ხოშ გელდი!“ ძმა ხარ, ჩემო თათარო!
ერთ ბედქვეშა ვართ აზიის ტყეში!

1970

* * *

ოთხი ათასი წელიწადი მოტანტალებს პატარა ბიჭი —
ვაი, ფეხშიშველს წინ რიყე უდევს, ცხელი რიყე,
მოფენილი მორიელებით...

ვეებერთელა ქვეყნებს შორის,
ხალხებს შორის შენ ვეღარ ივლი
აწ ვეღარცა ხმლით, ვეღარცა სიმხნით,
თუ არა ოდენ:
ჭკუით, ხერხით, გონიერებით!

1966

ანისის აღება

(ეპილოგი)

ბრუნდებოდა, სპა ანისით ბრუნდებოდა,
სად მახვილით სამართალი ვყავით.
ოცდაათი წელიწადი სრულდებოდა,
აზიაში ხმალს იქნევდა დავით.

ღმერთს ჭეშმარიტს და ერთადერთს მსახურებდა:
შავს ჰუნეზე ქვიშისფერი ჩაჩქნით
ჯდა, და ბორცვებს სომხეთისას გაჰყურებდა,
დამძიმებულს საქართველოს ლაშქრით.

ქმნა მართლისა სამართლისა აღგვამაღლებს,
განგვალაღებს ძლევა მტერთა ჩვენთა,
მაგრამ მეფეთ იდუმალი ხმაც განაგებს —
უცბად დავითს მოეძალა სევდა...

სევდა იგი უკვდავი და მარადია,
ნუვინ ჰგონებს — ზადია და ხინჯი!
სევდა იგი პოეტების ტალანტია
და მეფეთა ოდენ დიდთა ნიჭი!

მაგ სევდაში დაღლაა და სიბერეა!
სხვა რა რჩება უკანასკნელ გზამდე?!
უკვე გქონდა ვებერთელა იმპერია
გადაშლილი, დავით, ზღვიდან ზღვამდე!

რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, მტრიანი,
მაგრამ ქრისტედ, აღდგენილად მკვდრეთით,
უკვე გქონდა საქართველო მთლიანი
და მთლიანზეც ბარე ორჯერ მეტი!

დიდს დიდებას მოპოვებულს მახვილით
მათრობელა ბანგი ახლავს ზმირინის;
უკვე გქონდა ხანძარივით სახელი
ჰრომს, აფრიკეთს, ევროპს ხმაგასმენილი!

აღესრულნენ ოცნებანი ფერადნი:
სხვად ათინად და უაღრეს მისად,
უკვე გქონდა, უკვე გქონდა გელათი —
ტაძრად ქვეყნის და საძვალედ თვისად.

არარაის იყავ, დავით, მთხოველი,
უკვე გქონდა წილად უფლისანი
წყალობანი, წყალობანი ყოველნი,
გალობანიც სინანულისანი!

1970

* * *

გადასახდელი გადამხდა, გული დავხარჯე ცხელი,
ხუთ-ექვსგან მაინც გადახტა კლდიდან კლდეს ჩემი ცხენი.

მოდიან, მეკითხებიან: „მოგწონს მავანის ლექსი?“
თუ მომწონს, თავად ვიყვირებ, ცხრაც მომიყენო მწყემსი!

ხუთ-ექვსგან მაინც გადახტა კლდიდან კლდეს ჩემი ცხენი,
გადასახდელი გადამხდა, გული დავხარჯე ცხელი...

და, სანამ არ გაფოთლილა მტკივან ფილტვებში კიბო,
ბეთანს ვარ, ჭრელი ლექსი და ჭრელი ყვავილი ვკრიფო!

1968

გიორგი სალუქვაძე

საღამო... შავი ზღვის სურათი...

მიცურავს ბიჭუნა, მიცურავს მხარულით,
ნელ-ნელა გადუვლის ცას იალ-კიალი,
ნაპირზე ივლისის ტრიალებს ალმური,
შორიდან მოისმის კენჭების ჩხრიალი.
მიცურავს, მიცურავს მკლავშეუსვენებლივ
და მლაშე შხეფები ტუჩებზე აშრება.
პორტისკენ მოდიან დიდრონი გემები,
გემებს ეჩქარებათ ღუზების ჩაშვება.
მიცურავს ჯიუტად, გულდაგულ მიცურავს,
გემამდე რა დარჩა? ოციოდ ადლია.
გემიდან მგზავრები უცქერენ ზღვის სურათს,
მგზავრები ბიჭუნას გულადად ჩათვლიან.
ბიჭი კი მიცურავს, გემისკენ მიცურავს,
ხანდახან ლურჯ ტალღებს ქოჩორზე გადივლებს.
გემიდან გოგონა უღიმის ბიჭუნას
და ესვრის ყვავილებს.

. . .

ხომ გახსოვს საღამო... შავი ზღვის სურათი,
ღიმილი, გემები, სათქმელის მიგნება.
მე თითქოს მაშინაც გემისკენ ვცურავდი,
ხოლო ის გოგონა შენ იყავ, იქნება.

1962

* * *

ისევ გადახუჭუჭდნენ საჭამიის სერები,
ისევ გაცოცხლებულან გაზაფხულის ფერებით.
შუკას თეთრი ხბოები ისევ ისე შვენია,
წიფლის ტოტი ორღობეს ისევ გადაფენია.
გაუშლიათ ბაბილო ჩხავერსა და საფერავს,
ისევ მომნატრებია ხევისწყალზე ჩარბენა.
მისი ჩქარი ჩქერები ჩვენს ცხოვრებას ვადარე,
გახსოვს, გაღმა ნაპირზე ხელით გადაგატარე?
მხოლოდ წუთით შევჩერდით მობიბინე ნაპირთან,
რა ვიცოდი, ის წუთი, ერთი წუთი რად ღირდა...
ისევ გადახუჭუჭდნენ საჭამიის სერები,
ისევ გაცოცხლებულან გაზაფხულის ფერებით.

1962

ომის ღრუბლები, ჩემი გოგონა და ალუბლები

ის უკრავს მოცარტს, ის უკრავს შოპენს,
ის უკრავს, როცა
ქარში ფოთლები შრიალებენ და თამაშობენ,
როდესაც ღვივის ალუბალის მწიფე კუნწულა,
როცა დარია და მოცვივა ცას ოქროს მტვერი,
როდესაც გული ხალისით მღერის,
როდესაც მინდა, ვიოცნებო თვალდახუჭულმა...

მაგრამ, ვით მზეში მეხის გავარდნა,
მომელანდება ომის ღრუბლები,
თითქოს გრიგალმა ჩემს სახლ-კართან გაინავარდა,
მოვიდა ცეცხლი შემმუსვრელი და დამღუპველი,
ზღვაზე ავარდა საზარელი ატომის სოკო,
ქვასა და რკინას მილიონი გრადუსით ადნობს.
მე შეშლილივით მივაშურებ კუდრაჭა გოგოს,
ვერ გავძლებ მარტო.
ის უკრავს მოცარტს, ის უკრავს შოპენს
და მის თვალებში ციცნათელები დათამაშობენ.

იგი იცინის, დაღონებულს როდესაც მხედავს,
იგი იცინის, მეც სიცილი გადამედება.

გარეთ ანათებს ცხრათვალა მზე და
გულში მაისის დილა თენდება.

ჩემს წითელქუდას, ჩემს კუდრაჭას,
რა ტკბილად სძინავს —
ალუბლისფერად უელავს ლოყა,
ტუჩი უღიმის, რამ გააცინა?
სიზმრის ვარდები უგია ნოხად.
იგი არ ნახავს საზარელ სოკოს
და გაიღვიძებს რიჟრაჟზე როცა,
ჩემი პატარა ეშმაკი გოგო
ისევ დაუკრავს შოპენს და მოცარტს.

1962

იძინე მშვიდად!..

ლენინგრადამდე ცოტაღა დარჩა...
ესეც „მალაია ვიშერა“, აგერ!
ახლა გრიგალის კვალი აქ არ ჩანს,
ცა დაუფარავს მტრედების ნამქერს.

მოვედი, მამავ! შენთან მოვედი,
მომნატრებიხარ ბავშვური ჟინით.
ღიმილით შემხვდა დღეს ჩრდილოეთი,
გადასარკული ლაჟვარდის მინით.

ივლისის დღეა... ორმოცდაერთში,
სწორედ ივლისში, სადგურის გვერდით,
როცა მომსვდურებს გულდაგულ ჩეხდი,
მგელკაცის ტყვიამ გაგიპო მკერდი.

მუხლს ვიყრი, მეც მწვავს შენი წყლულები,
თავს ვეღარ ვიღებ, ჯავრით ვილევი
და ჩემ გარშემო აქაურები
მდუმარედ დგანან ქუდმოხდილები.

მე აქ არავინ მკითხა: — ვინა ხარ?
იწვა დუმილი მძიმე ლითონად,
თითქოს ისინი ასჯერ მინახავს
და თითქოს ასჯერ მნახეს თვითონაც.

მამავ! შენს სახელს სათუთად იცავს
შენი მამულის კორდები მწვანე.
იგრძენი განა? ეს მუჭა მიწა
საქართველოდან ჩამოგიტანე.

იძინე, მამავ! იძინე მშვიდად
და თუ ცას ისევ შებურავს ნისლი,
ვფიცავ შენს სახელს, ამ მიწას წმინდას,
ვიყო შენი და ამ მიწის ღირსი!

1955

* * *

ამ კლდიდან ხის ხიდს რომ გადავცქერი,
ასე მგონია, იცელქა ბალღმა, —

წყალზე გაუდევს წალმის ღერი,
რომ ჭიანჭველა გავიდეს გაღმა.

1962

სეინერები

ზღვა გადმოისვრის ქაფიან ტალღას
და ბადესავით ნაპირზე გაშლის,
მიუხარიათ თოლიებს სადღაც —
სეინერები გასულან ზღვაში.

დაისი ზღვაზე კოცონებს ხატავს,
ახანძრებულან მძიმე ზვირთები,
მეთევზეები იღებენ ნადავლს,
ბადეს დასცვივა მარგალიტები.

შემდეგ ენთება ცაზე ვარსკვლავი,
მალე დაისი დახურავს კარებს.
ფრენით მოქანცულ თოლიასავით
მაღალ ანძაზე ისვენებს მთვარე.

1962

* * *

აღარ გრიალებს ქუხილის ეტლი,
ატმის ყვავილი ბალახზე ყრია.
გონიოს ციხის მაღალი კედლის
გაბზარულ ქვაზე მოსულა ია.

მაინც რა დიდი გული ჰქონია.
რა სითამამე ჰქონია გულში.
და მეჩვენება — კეთილ გოლიათს
მხარზე ლურჯთვალა გოგონა უზის.

1968



ალექსანდრე ბეგაშვილი

მგოსნის საწოლთან

არც ოქრო-ვერცხლი, არც ზურმუხტი, არც სპილოს ძვალი...
დრო-ჟამით უღვთოდ გაცრეცილი ნივთები მკრთალი.

აი საათი, დუმს, არ იძვრის დაობლებული...
ვერ გავეცალე სევდიანი, გაოგნებული.

მგოსნის მაგიდა, მგოსნის ტახტი, აკვანი მგოსნის...
მგოსნის აივანს საქართველოს ნიავი ჰკოცნის...

ეს ხომ პოეტის საწოლია — უბრალო რკინა —
უბრალო რკინა, მაგრამ მზერა ზედ მიმეყინა...

აი აქ იწვა, ამ საწოლზე სიბრძნის მთოვარი,
ძილშიაც ღვთისთვის საქართველოს ბედის მთხოვარი.

აი, აქ იწვა... მაგრამ თვალზე არ ჰქონდა რული,
გულს უმდუღრავდა ერის აწმყო, ერის წარსული.

ეზმანებოდა: მტერს ვმუსრავდით დასად და დასად...
იღვენთებოდა სამშობლოსთვის კელაპტრის მსგავსად.

ეს დიდი მგოსნის საწოლია — უბრალო რკინა —
უბრალო რკინა, მაგრამ მზერა ზედ მიმეყინა...

აი, აქ იწვა, ამ საწოლზე მკრთალი, სნეული,
მოხუცს სიკვდილი აქ მოუხტა მუხთლად, წყეული.

კვდებოდა, — თავის საქართველოს ენაცვლებოდა,
მამულის ცრემლი თვალზე მძივად ემარცვლებოდა.

კვდებოდა, — თავის სამშობლოსთვის ცრემლი სდიოდა,
ისე კვდებოდა, ხალხს ეგონა მზე ჩადიოდა.

აი აქ იწვა, ამ საწოლზე, სიბრძნის მთოვარი,
ძილშიაც ღვთისთვის საქართველოს ბედის მთხოვარი.

ილიას უღელს ეწეოდა მოხუცი ცალად,
წამოიჩოქა, აღარ ეყო მუხლებში ძალა,

და ამ საწოლზე შემოენთო სიკვდილის ალი,
დიდმა მგოსანმა ამ საწოლზე დახუჭა თვალი.
ისე დახუჭა,
ცა-ფირუზის არ გაჰყვა ვალი.

1970

კოჭლობა არ დარცხვენოდა...

ნ. ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე

წამოვაყენეთ, ვიყავით
დარდისგან დანაცრებული...
კოჭლობა არ დარცხვენოდა, —
მოგვყავდა ატაცებული!
ვკოცნიდით კოკობ ულვაშებს
(ვაჰ, უფრო ნაულვაშარებს!)
„შეკრბა დიდებეს ლაშქარი,
თამარის დროშა გაშალეს!“
ვკოცნიდით მწყობრთა წამწამთა
(ვაჰ, უფრო ნაწამწამარებს!)

„მთაწმინდა გულში იხუტებს
საშვილიშვილო სამარეს!“
... სამშობლოც ლექსებს უკოცნის.
თავისუფლების მაყარი,
ვინაც აკაკის გულზედაც,
ვაჟას გულზედაც ნაყარი
საუკუნეთა მტვერ-მიწა
მადლიან ხელით აწმინდა...
გალაღდი, გაიღიმილე,
ჩაფიქრებულო მთაწმინდავ!

1948

კვირტებს ვუკოცნი

მინდა ვენახში დიდხანს დარჩენა,
მომენატრება ვაზის ალერსი...
გლეხის ოჯახის იმედს, მარჩენალს,
კვირტებს ვუკოცნი —
ვკოცნი თვალებში!
გულო, უცნაურ შუქით მევსები,
ცვრით რომ ფეხები გამელუმპება.
ღმერთო, ახარე ვაზის ფესვები
თორემ ოჯახი დამეღუპება!
ამ მრუდ ვაზების ძირებს დავლოცავ,
ღმერთო, აშორე სეტყვის ღრუბლები!..
ვხედავ, სჭირდება ჭიგოს გამოცვლა,
შენ, ჩემო ღვთისო, სწორს მეუბნები!..
ზვარს მომიჯნავე შეჰღიმის ხვთისო,
მოვა და მტევანს მჭკნარ მარცვალს აცლის.
შემჩივის, ყურში აღარ მესმისო,
ვაზთან ფუსფუსში დაბერდა კაცი.
ჩრდილში გლეხებთან ვჯდები ხალისით,
ამ მთის, იმ ბარის ამბებს მოვყვები.
ვაზის მწკრივებში მორცხვი ქალივით
წითლად უელავს ატამს ლოყები.
ვენახის თავში ყრია გოდრები,
მზე სხივს მცხუნვარედ გვაჭერს ზევიდან.
შენ, დედაჩემო, ნუ მიღონდები,
ხშირად მოვხედავ მამულს დღეიდან!
ახლავე მოვწნათ გოგრიხა ბევრი,
რა გვაქვს საფიქრალ-სადარდებელი,
კარს მოგვადგება სულ მალე რთველი,
უხვი ჩანს სარჩო-საბადებელი!
მინდა ვენახში დიდხანს დარჩენა,
მომენატრება ვაზის ალერსი...
გლეხის ოჯახის იმედს, მარჩენალს
კვირტებს ვუკოცნი —
ვკოცნი თვალებში!

1968



აკაკი გეწაძე

ციცინათელა სანგრებში

დამუნჯებ·ულა ზაფხულის ღამე,
ვარსკვლავებს მრუმე ღრუბლებში სძინავთ,
სანგრებში სძინავთ ფარაჯიანებს,
მხოლოდ აქა-იქ ღვიძავთ გუშაგებს.
ყველა ლულაში ტყვიასა სძინავს
და სიკვდილს სძინავს ყველა ტყვიაში.
სიკვდილს სანგრებშიც გულმშვიდად სძინავს.
სიწყნარე მეფობს გამოღმაც, გაღმაც,
ახლა მდინარეც წყნარად ლივლივებს,
ეტყობა, კეთილ სიზმარსა ხედავს...
აი სანგრიდან თუ ქვემეხიდან
ამოციმციმდა ციცინათელა,
ციცინათელა კეთილფრთიანი.
სადღაც ანაზდად გავარდა თოფი,
ობოლ სინათლეს ესროლეს ტყვია,
ესროლეს განა ციცინათელას,
ალბათ ჰგონიათ, ვიღაც ეწევა
და პაპიროსის ცეცხლი მოუჩანს.
ტყვიის წივილით აივსო ზეცა
და დენთის სუნით აივსო ღამე,
იქით და აქეთ გაისმა კვნესა:
— მიშველეთ, ვკვდები!
— ვაიმე, დედა!
— ვაიმე, დე... —
და გაშმაგდა ბრძოლა,
გამოეღვიძა ლულაში ტყვიას,
გამოეღვიძა ტყვიაში სიკვდილს,
სიკვდილს სანგრებშიც გამოეღვიძა.
გაწყდა მდინარის სიზმარი ტკბილი,
ავად აუხდა, რაც ძილში ნახა.
მდინარის აქეთ, მდინარის გაღმა
გახშირდა კვნესა:
— ვაიმე, დედა!..
ხოლო კეთილმა ციცინათელამ
წამით გაიფრინ-გაციმციმა
და ბალახებში გაუჩინარდა,
იქნებ ზარბაზნის ლულაშიც შეძვრა.
ოჰ, ეს რა ჰქენი, ციცინათელა,
კეთილფრთიანო ციცინათელა,
ანგელოზივით დაფრინავ ყველგან,
აქ ცოდვის კალო დაატრიალე...
კიდევ კარგი, რომ არა იცი რა.

1968

მოფრინდა მახარობელი —
წინ წამოსული ნიავი:
— მოჰყავთ ლამაზი ხოხობი,
ხოხობი ოქროსფრთიანი.

მოჰყავთო! — გაიხმაურა
ღამენათევმა სოფელმა,
ხალხზე რაღა ვთქვა, გზისაკენ
გადმოიწია ღობემაც.

შარაგზას ცეცხლი მოედო,
მზეს გზაც სჭირდება მზიანი.
ცხენების თქარუნს შემოჰყვა
თვალები ნაპერწკლიანი.

ტკბილი მაყრულის შემოსვლას
შავთვალას ეშხი შემოჰყვა
და ფეხზე მდგარი სოფელი
თვალებში უცქერს დედოფალს...

მაშინ რა ვიყავ: ღობეზე
ვერცკი ავცოცდი ყმაწვილი
და ღობის ძირში მოვძებნე
გამოსაძრომი ადგილი.

შველის პატარა ნუკრივით
გამოვედევნე ცხენოსანს,
მაყარმა ხელი დამტაცა,
დედოფლის ცხენზე შემომსვა.

დედოფლის წრფელი გულივით
არვის სცოდნია გათბობა:
ჩამკოცნა, მერე დამლოცა:
— მოესწარ ათას მაყრობას...

ახლა კი ღობე რა არის,
გადავაბიჯე ბერლინსაც
და ის მაყრობაც სხვა არის,
მე რომ მაყრობა მეღირსა...

რაიხსტაგიდან ლომგულებს
დროშა მოგვქონდა მოსკოვთან,
დროშას მზის ფერი მოსწონდა,
მზეს დროშის ფერი მოსწონდა.

გზა დაგვილოცა მოსკოვმა
დიდებით შემოხატული,
და გამარჯვების მაყრებმა
ისე დავძახეთ მაყრული, —

გულს რაღა გააჩუმებდა,
ქუდზე ვარსკვლავიც ამღერდა...
ცხრა მაისს გაღიმებული
მზე იდგა ზეცის სარკმელთან
და წითელ დროშის მაყრიონს
ღიმილს ვარდებად გვაფენდა.

1948

სულში შრიალებს იმედის ოლე

ჰა, ოცზე მეტი გაფრინდა წელი,
მინდვრად ბალახი ბევრჯერ გადახმა.
ომში დაკარგულს მე ისევ გელი,
გელი, გეძახი, ძმაო, სადა ხარ?

იქნებ ვერ სძლიე სიკვდილის ლახვარს,
ვერც ის გავიგე ცოცხალი თუ ხარ:
ნეტავ რა ცეცხლი უნთია ახლა
მაგ შენი გულის იდუმალ ბუხარს?

შენს ზიარ კერას დღეს ისე ვუვლი,
თითქოს მშველოდეს შენი მარჯვენაც,
ვერ დავარწმუნე ვერაფრით გული,
შენი სიკვდილი, რა ვქნა, არ სჯერა.

ხან დავაქროლებ იმედის მერანს,
ხანაც სევდიანს ცრემლები მახრჩობს.
ვერ გავუკეთებ შენს სურათს, ვერა,
მწიფე მაყვლისფრად შეღებილ ჩარჩოს.

არა, შენ ჩემთვის არა ხარ მკვდარი,
თუმც უამბობა ხშირად მაშინებს.
თუ გზაზე უცხო შევნიშნე მგზავრი,
შენ მელანდები, ძმაო, მაშინვე.

როდესაც ძილში გიხილავ ხოლმე,
ვნატრობ: მიებას სიზმარს სიზმარი.
სულში შრიალებს იმედის ოლე,
ოლეს დანათის თავზე ცისკარი.

ჰო, ცოცხლად მხოლოდ სიზმარში გხედავ
და ეჭვის ფრთაჭრელ ღრუბლებთან ვდაობ.
ტყვიისფერ ნისლად მეხვევა სევდა
და ცას გავსძახი: სადა ხარ, ძმაო?

სულში ირხევა ნუგეშის ფარდა,
ტალღა ეხლება იმედის კიჩოს.
მოდიხარ სიზმრად, მოდიხარ ლანდად,
მაგრამ ნამდვილად სადა ხარ, ბიჭო?

დრო-ჟამმა მთა-ბარს გადაუარა,
მზე ფანტავს ცაზე დაწოლილ ნისლებს...
ამ ქვეყანაზე სხვაგან თუ არა,
ჩემს გულში ხომ ხარ ცოცხალი ისევ.

ზეცა უძირო, ზეცა მოწყალე,
სავსეა ჩემი ფიქრთა ღრუბლებით...
ჩემს გულში მაინც ხომ ხარ ცოცხალი,
ჰოდა, ჩემს გულში გესაუბრები.

ჰა, ოცზე მეტი გავიდა წელი,
მინდვრად ბალახი ბევრჯერ გადახმა,
ომში დაკარგულს მე ისევ გელი,
გელი, გეძახი, ძმაო, სადა ხარ?

1966

მზის გაღვიძება

ჭიშკარს მოადგა შორი სტუმარი...
სტუმარმა გააღვიძა ძაღლი.
აყეფდა ძაღლი და გაიღვიძა მასპინძელმა,
მასპინძელმა გააღვიძა ცოლი,
ცოლმა გააღვიძა ბუხარი,
ბუხრის შუქმა სახლიდან გააგდო ღამე.
მალე ცოლ-ქმარმა გააღვიძა მარანი,
მარანმა გააღვიძა ქვევრი და ორშიმო,
ორშიმომ გააღვიძა კოკა და სურა,
სურამ გააღვიძა სუფრა,
სუფრამ გააღვიძა მადა,
მადამ გააღვიძა სიმღერა,
სიმღერამ — მეზობელი.
სუფრას შემოემატა ხალხი და ხალისი,
მარილი, ეშხი და პურ-ღვინო.
სუფრას მიუდგეს ახალი სუფრა,
დიდმა სუფრამ გააღვიძა გრძელი
მრავალჟამიერი,
მრავალჟამიერმა გააღვიძა ღრუბლებში ღამე,
ღამემ გააღვიძა რიჟრაჟი,
რიჟრაჟმა — მამალი,
მამალმა — მზე...

სუფრაზე ჩამოეძინათ
სტუმრებს და მასპინძლებს.

1968

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ვისლის ღამეები

1. ვისლაზე

ეს სისხლიანი ტალღები ფართო
ვარსკვლავებდაყრილ ფარებსა ჰგვანან,
ცხრა მთას იქიდან წამოსულ ქართველს
სხვა სიამაყე მინდოდა განა?!

ო, რა შორს დარჩა თერგი და დონი! —
მუხლში, მაჯაში ძალამ იათა.
სიამოვნება ასეთი, მგონი,
გამომიცდია მე იშვიათად.

შევჩერდით, დავწვდით პეშვით, კასკებით
ოფლიან მკერდზე შევისხით წყალი
და ეს როდია უკანასკნელი—
გადავალაჯებთ შპრეესაც მალე.

ცეცხლი ედება ცას ჩამელნებულს,
გრგვინვით მისდევენ წამები წამებს,
ციმბირისა და დონის მერნები
ლაღი ფრუტუნით ვისლის წყალს სვამენ.

2. * *

ამ წყნარ ღამეში პატარა ღელე
იგავ-არაკებს გვითხრობს დუდუნით.
მხარზე მეხება მეგობრის ხელი
და გამომიწვდის კვლავ სათუთუნეს.

— ჰა, გააბოლე, — მეტყვის ძმობილი, —
და თუ დარდი გაქვს, გაჰყვება თანა.
გხედავ, ჩუმი ხარ და ჩათხრობილი,
ა, გაგახსენდა შავთვალა, განა?

კაცნი ვართ, ჰოდა, ხანდახან იცის...
(და ეშმაკურად შემართა წარბი),
მაშ, გავაბოლოთ, ხომ ხედავ, ფრიცი
სულმოუთქმელად გარბის და გარბის.

მალე შევანგრევთ ბერლინის კარებს,
მორჩება ომიც ეს უდიდესი
და, ძმაო, მერე... — ილევა მთვარე
და რძე იღვრება ზეცის კიდეზე.

3. * *

შენ, მეგობარო, სულ მღერი მაინც —
სიმღერა გულის მალამოაო,
დეკემბრის თოვლში უმღერი მაისს
და გაზაფხული მალე მოვაო.
უმღერ ვოლგაზე დაღუპულ მამას
და ვისლის დღეთა ცეცხლს ქარიშხლიანს,
უმღერი სადღაც დარჩენილ ლამაზს,
პირველ ამბორს და ვერხვების შრიალს.

გისმენ, მატკობ და მაღელვებ როგორ,
უცხო გრძნობები ფრთებს ლაღად შლიან.
მაგონებ სადღაც დარჩენილ გოგოს,
პირველ ამბორს და ვერხვების შრიალს.
მაგონებ, თითქოს ეს იყო გუშინ
და წეკოს კვამლში ცურავს მიწური.
დაე, ელავდეს სიმღერა გულში,
ხელში — შაშხანა ძმადშეფიცული.

4 რამ მოგიყვანა?!

მიწყნარდა ირგვლივ ყოველივე, ქარი კი არა,
მიწურის კარებს შემოაღებს თვალებცქრიალა
სოფლელი ბიჭი.

დგება კართანვე, გაკვირვებულ თვალებით მიმზერს
და მერცხალივით შემომჯდარი, შაშხანის ქიმზე
ოცნება იწვის.

— რამ მოგიყვანა და რა მუხლმა გადმოგატარა
ამდენი სივრცე, ფეხშიშველა ბავშვობავ ჩემო,
ქართული ცის ქვეშ მოცქრიალე, ბავშვობავ ჩემო?..

ხომ არ დაეძებ ჩიტის ბუდეს, ჩემო პატარავ,
ან თუ გამოჰყევ შავი შაშვის ბარტყს დასაჭერად
და ჯოხის ცხენმა გადმოგაჭენა?

უბეში ფრთხილად შეინახავს შურდულს „არსენა“,
მოეა, ღიმილით მომისინჯავს მკერდს და მარჯვენას.

როდი მოვიდა მორიდებით, კრძალვით და კდემით, —
მეომარ ვაჟკაცს მკლავს მისინჯავს ბავშვობა ჩემი.

5. საუბარი

დიად ტრფობაზე კვლავ მომითხრობს მე ძმა — ვოლგელი,
— ჰო, ასე იყო...—და მიმქრალად ბჟუტავს სანთელი.
კვლავ შემოგვცინებს დღე ლამაზი და უბორგველი,
შეხვედრა ტკბილი, კვლავ ის ჟრჟოლა და ჟრუანტელი.

— ძმაო, მომავლის სისარული რამ დაგვიკარგოს,
დავიღალეო, მაგრამ მაინც გიცდიო, კარგო, —
უკანასკნელად მწერდა იგი იმ თვის მიწურულს.

შეხვედრა ივი!.. ზღვა მეტყველი დადგა დუმილი,
მხოლოდ ღუღუნებს უზრუნველად თიხის ღუმელი,
თამბაქოს კვამლით იღრუბლება ვიწრო მიწური.

1944

გერმანიაში

1 ბერლინისაკენ ვიჩქარი—ვუახლოვდები თბილისს

ის შინდისფერი საღამო, ჭადრის ფოთლების ტაში,
ის ღელვიანი დღეები, ჩემი თბილისი და შენ...

მშვიდობით... ჩამჩურჩულებდი ნაზთა ბაგეთა თრთოლვით,
გული თრთოდა და ლხვებოდა, როგორც აპრილის თოვლი.

მე შენი სუნთქვა მესმოდა და გულისცემა ჩქარი,
ამხელა ვაჟკაცს მმონებდი ასე პატარა ქალი.

მშვიდობით... არ გავიხარო, გიღალატოო თუ მე,
წადიო, გბანდეს ჭრილობებს ჩემი ცრემლები ჩუმი.

შევხვდით და მერე დავშორდით, იყო წუთები მძიმე,
დაგშორდი, რომ კვლავ შემოგხვდე გამარჯვებულის ღიმით.

და ბარდნის თოვლი იანვრის, გრძელია ზამთრის ღამე,
ელი მოქანცულ თვალებით ნეტარ შეხვედრის წამებს.

მე ბერლინისკენ ვიჩქარი — ვუახლოვდები თბილისს,
შორს მივალ, უფრო ახლოა ჩვენი შეხვედრა ტკბილი.

ახლოა თვალი უცრემლო, ჩემი თბილისი და შენ,
და ეგ საღამოც — მიმქრალი ჩემს ლოდინსა და ცდაში.

2. მას რამდენიმე ნაბიჯი დარჩა

ღმერთო, მიხსენი, მშობელ მიწამდე მაინც მივაღწიო....

გერმანელი ოფიცრის ჩანაწერებიდან.

ნახა პარიზი და თერგიც ნახა,
ვერ კი ეღირსა კოლხიდის ვერძებს,
შეაქეს — გმირი ზიგფრიდის ძმა ხარ —
და რკინის ჯვრები დააკრეს მკერდზე.

მაგრად ირბინა და როგორ მერე —
მივაღწიოო დოიჩლანდს მაინც,
იანვრის სიცხემ გემო და ფერი
მთლად წაუხდინა პრუსიელ რაინდს.

ქვემეხის გვერდით აგდია ერთად
ცხენის გავა და იმისი გვამი.
ო, ვერ დაგიხსნათ მიწამ და ღმერთმა,
დადგა განკითხვის მრისხანე ჟამი.

უძლეველობა, შენ რომ იწამე,
უსუსურ ფიფქად ციდან ცვიოდა,
ვერ მიაღწიე მშობელ მიწამდე,
დაგრჩა ნაბიჯი სულ ოციოდე.

3. ოდერიც გადავლახეთ

რუკაზე თითით ვხაზავდი მხოლოდ
ვისლას, დუნაის, ნემანს და ოდერს,
მეგონა, მიწას არ ჰქონდა ბოლო
და უზრუნველად დღეები ქროდნენ.

როგორ მეფიქრა მე, ყმაწვილ ქართველს,
გიჟი იორის ტალღებში მწოლი
თუ ვიხილავდი ოდესმე ბრძოლით
ამ ცას, ამ წყლებს და ამ მიწას ფართეს...

გამოვიჭერით თებერვლის ღამით,
აი, ოდერის შავი ნაპირიც,
მიწა ფერფლით და სისხლით ნაფერი,
მტრის გააფთრება, რისხვა და შხამი.

ოდერი ვრცელი... (დიდხანს მეყოფა
ალბათ ეს ღამე გასახსენებლად),
რა შემზარავი ხმებით მოყეფავს
წყალი, ქცეული ცეცხლის ენებად.

პირველია თუ უკანასკნელი? —
ვართ სიკვდილს მუდამ შეურიგალი.
მკლავით, ნავებით, ფიცრით, კასრებით
გადადიოდა ოდერს გრიგალი.

თენდება. ვძლიეთ და უკვე ბრძოლა
ოდერის გაღმა ჰქუხს ვაჟკაცურად.
... იმ ღამეს, ლექსთა რვეულით, მხოლოდ
ბალტიისაკენ ჩანთამ გასცურა.

4. არა, გამშვს არ ჰკლავს!

დაბლა ვხრი მახვილს, ვშეშდები უცებ
მდგარი სარდაფის კიბეთა ქიმზე. —
შემკრთალი დედის მკერდზე მიკრული
მუშტის ოდენა თვალებით მიმზერს
ბავშვი.
და დედა მოცახცახე და ფერწასული
ებრძვის სიზმარს თუ ჩვენებას მწუხრის

და არიელთა მოდგმის ასული
ქვის იატაკზე ეცემა მუხლით.
თრთის და კანკალებს,
შეუპყრია თითქოს ციებას,
ცრემლად იღვრება,
მთხოვს სიცოცხლეს თუ პატიებას,
რატომ არ გიკვირთ? —

არიელთა მოდგმის ასული
„უმდაბლეს რასის“ ადამიანს მიკოცნის ჩექმებს.
რატომ არ გიკვირთ? —
იმპერიელ მეომრის ცოლი
ვიღაც აზიელს მიკოცნის ჩექმებს...
— ო, ქალბატონო, დამშვიდდით და ადექით ფეხზე,
ჩვენ ბავშვებს არ ვკლავთ, ბავშვის მკვლელი ქმარია თქვენი!
დიახ, ჩვენს დედებს, ჩვენს ქალებსაც უყვარდათ ასე
შვილები, მაგრამ...
რად დაგედოთ სიკვდილის ფერი? —
თქვენი ქმარი და ამ პატარა ყმაწვილის მამა
მოვიდა და ჩვენს ქორფა ბავშვებს ჰკლავდა და სწვავდა,
მოვიდა, შერყვნა ჩვენი ჭერი და წმინდა კერა
და დღემდე ქვეყნად არგაგონილ ცოფიანს ჰგავდა.
არა, ბავშვს არ ჰკლავს ჩემი ბავშვის მშობელი მამა,
ქალის სისხლს არ ღვრის ჩემი ცოლის მებრძოლი ქმარი,
მე მხოლოდ თქვენს ქმარს და ამ ბავშვის მამას დავეძებ,
გესმით? — დარეკა და გუგუნებს განკითხვის ზარი!..

5

რისხვამ, გრიგალმა, ცეცხლმა იათა,
მორჩა! — ჩაენგრა ქაჯეთს კედელი.
ტანჯულ, ნატყვევარ ადამიანთა
დაიძრა ტალღა განუწყვეტელი.

დაიძრა, მოდის, არ უჩანს ბოლო,
ცრემლთა უცნაურ აციმციმებით;
აღმოსავლეთით!.. იქ მზეა მხოლოდ
იქ სიცოცხლეა, ხსნა და იმედი!

დღე უჩვეულო, ღელვა ძლიერი,
მადლობა, ძმებო, ძმებო, მადლობა!
მოდის ფრანგი და ნორვეგიელი,
ათეულ ქვეყნის ახალგაზრდობა.

გაღიმებული, როგორც აპრილი
ადამიანთა ზღვა და ბევრობა.
ფრთებშესხმული და ბორკილგაყრილი
გერმანულ გზებზე მოდის ევროპა.

1945

მშენებელი

ავმაღლდი, დევგმირს ვედრები. — ვარ მშენებელი ამაყი!
ამაღლდნენ სახლის კედლები,
სახლის კედლებო, ამაღლდით!
ამაღლდნენ სახლის კედლები და გულმა რაღა ინატროს, —
ხალხმა თქვას აქ სიხარული, აქ სიყვარული ბინადრობს.
ხალხმა თქვას...
ჭერი ასწიოს ქორწილის ღამის თევამა
და იატაკი გაცვითოს ქართული აკვნის რწევამა.
წლებმა დამთოვლონ...
ხალხმა თქვას — ჭაბუკობს კაცი რა ხნისა,
სიმღერებში რომ ამაღლდა როგორც კედლები სახლისა.
ხალხმა თქვას...
მარად იდიდოს მართალმა სიტყვამ ხალხისა!

1968

ფაჩუჩები

თქვა:
— მომეცითო ფაჩუჩები...
გაწითლდა თანაც,
რა აწითლებდა, რა რცხვენოდა თვალადს და ტანადს...
თითქოს დამალვა უნდოდაო საკუთარ ტანის,
დასამალავი რა ჰქონდა განა!

— ყველაზე მცირე ზომის იყოს, ყველაზე კარგი...
თან დაუმატა — მომეცითო მეორე წყვილიც,
მიუალერსა ორივე წყვილს, გაშალა წარბი,
სახლში კი ალბათ ჯერ არ ელის არცერთი შვილი.

ჩვიდმეტი წლის წინ გაიხდიდა თვითონ ფაჩუჩებს
და დღეს კი მათზე ფიქრი მის გულს აღარ აყუჩებს.

გულში ჩაუკრავს ფაჩუჩები რამე განძივით
და ფართო კაბას უშრიალებს ფრთაანცი ქარი,
წინ უდევს დედის სასახელო გზა და მანძილი
და მსუბუქ ფეხით მიაბიჯებს ფეხმძიმე ქალი.

1954

წითელი კაბა

— რომ გავიზრდები, წითელ კაბას გიყიდი,
დედი,
გიყიდი წითელ კაბას!..

მაგრამ იმგვარად მობრუნდა ბედი,
წავიდნენ წლები,
წავიდნენ ისე სწრაფად,
რომ ვერ შევძელი მე წითელი კაბა მეყიდა,
დედილო, შენთვის...

მე მერხის მერე დავიდაღე ომის მეხითა,
ცეცხლით და დენთით.

მზე წითლად ასჯერ ამომივიდა
შუქით ცივითა.
მიწაც ვიხილე წითელ კაბაში.
წითელი სისხლით დავიდაღე და დავინახე
ირგვლივ სიკვდილი ჰყეფდა კაპასი,
ხანდახან ახლაც რომ მეყურება...

შვილს აპატიე დაპირების ვერშესრულება, —
შენი სისხლია, შენი ღვიძლია...
და ახლა, როცა მე შემიძლია
წითელი კაბის ყიდვა,
შენ იგი უკვე აღარ გჭირდება...

ძნელია ცალი უღელის ზიდვა,
შავ თმაში თეთრი გაგიხშირდება...
კაბა გჭირდება მაგ თმათა ფერი,
შავი, მარტოდენ შავი...
და ჰა, სიქვრივის საჩუქარი მოგართვი, დედი,
და შენს წინ ვდგავარ ვით დამნაშავე.

უფლება არ მაქვს, მკაცრი წესი გულს ეწყლულება, —
სხვა ფერის კაბის ყიდვა უკვე არ შემიძლია...
შვილს აპატიე დაპირების ვერშესრულება, —
შენი სისხლია, შენი ღვიძლია...

შენთან ხანდახან სიცილიც ვერ გამაბედვინონ,
შენი ტკივილით, მამის ჯავრით გული მევსება...
და ჩემი შვილი, შენი შვილიშვილი, დედილო,
ვითარცა მე შენ, თავის დედას ეალერსება.
ტკბილად ღუღუნებს ჩემი ლაღი, გულთეთრა მტრედი:
— რომ გავიზრდები, წითელ კაბას გიყიდი, დედი,
გიყიდი წითელ კაბას...

თვალს შეიმშრალებ უწმინდესი ცრემლებით ნაბანს,
შვილის წინაშე გსურს, დამალო ეგ შავი კაბა,
როგორც ტკივილი, როგორც ჭრილობა.

— დე, აღასრულოს ქვეყნად ყველა შვილმა პირობა!

1959

სიმაღლეები

შუააზიური ჩანაწერებიდან

— ალა-ტოოს მწვერვალებზე თოვლი
მოსულა!
— ამ მთებში როდის არ იყო თოვლი...

სიმაღლეს, როგორც ღმერთს,
რად ვლოცულობთ,
ან რად ვთრთით მათი დალაშქვრის
ლტოლვით?..

მწვერვალმა ზეცის კალთა ჩახია,
მზეში გახვია თოვლის შრეები.
რად გვეძახიან,
რად გვეძახიან,
რად გვეძახიან,
სიმაღლეები?..

მთებმა ლაჟვარდის მდელო მოთელეს,
მზისკენ სწრაფვაში ჰქრიან დღეები.
რად გვაღელვებენ,
რად გვაშფოთებენ,
რად გვიზიდავენ,
სიმაღლეები?..

ჩვენ ყველას ჩვენი სიმაღლე დაგვაქვს,
ზოგს ცოტა მცირე, ზოგს ცოტა მეტი,
ჩვენ ყველას ერთი წყურვილი გვდაგავს,
გვშურს და გვაგიჟებს მწვერვალთა ბედი.

ჩვენ ყველას ერთი სურვილი გვდაღავს,
გვახარებს, გვტანჯავს, გვაფხიზლებს,
გვათრობს,
ჩვენ ყველას ჩვენი სიმაღლე დაგვაქვს
და მწვერვალებად გახდომას ვნატრობთ.

ამ ციცაბოებს რისთვის შევები,
სად გათავდება გზები სავალი?..
შემომბღავიან დაბლით ხევები,
იქ ძირს დავტოვე მყუდრო სავანე.

ყინვას და სიცხეს არ ვემალები,
წამით არ ცხრება გული თავნება;
რად მაბოდებენ ეს მწვერვალები,
გზა მწვერვალისკენ რად არ თავდება?..

— ალა-ტოოს მწვერვალებზე მზე ჩამომჯდარა!
— მზე სულ პირველად მწვერვალთან მიდის!

უფსკერო სივრცე ზღვისებრ მომსკდარა,
ფრთხილად!
არ ჩატყდეს ცისარტყლის ხიდი...

— ალა-ტოოს მწვერვალები დაუთოვლია!
— თოვლიც პირველად მწვერვალზე მოდის!

ბევრი ციცაბო გზები მოვლიე,
იმ მწვერვალამდე მივაღწევ როდის?..

გასწი, იჩქარე!
გასწი, იჩქარე!
რადგან ქარივით ჰქრიან დღეები,
ახალ სიმღერის შეხსენ ჭიშკარი!
... არ თავდებიან სიმაღლეები.

1966

ხუტა ბერულავა

ვლადიმერ ლენინს

დასაბამიდან ამგვარად ხდება:

ადამიანი როდესაც კვდება,
ორი თარიღი დარჩება საფლავს:
ერთი აღნიშნავს მის დაბადებას,
მეორე — მისი სიკვდილის ამბავს.

დასაბამიდან ამგვარად ხდება.

შენ კი... სიცოცხლის დიად თავდებად
ერთი თარიღი გარგუნა ბედმა,
რადგან სიკვდილი
შენს დაბადებას
გვერდით დადგომას ვერ გაუბედავს!

1951

სიჩქარე

დეკემბერია თუ ხვდები აპრილს,
ღამე დგება თუ ელავს ცისკარი,
ვით სუნთქვა დროის, ჩუმი და მძაფრი,
ჩრდილივით დაგდევს შენი სიჩქარე!
და გეჩვენება, თითქოს გვიანობ,
თითქოს დაჰკარგე სინათლის წილი,
ეს მაშინ, როცა, ადამიანო,
ცოტ-ცოტა მუდამ გაკლია ძილი.
მიხლობით ზომავ გაფრენილ წამებს,
მალიმალ ახელ სიზმრიან თვალებს,
და გენატრება, რომ დადგეს ღამე,
და გენატრება, გათენდეს მალე.
გუშინდელ ჭაბუკს არ გინდობს ჟამი
და გეუბნება: ჭაღარა ხარო...
რადგან სიცოცხლე არ იცდის წამით,
რადგან სიცოცხლე ქარივით ჩქარობს,
გარჯაც, გალობაც, ალერსიც ქალთა,
უნდა მოასწრო ერთად ყოველი,
რომ დაგრჩეს ქვეყნად, ნეკროლოგს გარდა,
შენი პატარა სვეტიცხოველი!

1965

* * *

შენ ხარ შობილი ისეთ ვარსკვლავზე,
სულ იკაშკაშებ ამ ქვეყანაზე, —

არ დაიღლები, არ დაბერდები,
არ მოგწყინდება ჩირაღდნად ენთო,
არ მიაშურებ ზეცას ვედრებით:
„მაპატიე და მიშველე, ღმერთო!“

არ ჩაგიქრება სინათლე სულში,
არც წყაროსთვალი დაგეშრიტება,

სადაც არ იყო, იქნები სულ შინ,
ფიქრებსაც აქცევ მწვანე ჩიტებად.

რომ დაგესიოს დარდივით მუმლი,
არ ჩაგიდგება ნამი გუგებში,
არ გიღალატებს მართალი გული,
არ მოგაკლდება ხალხის ნუგეში!

შენ დაიბადე ისეთ ვარსკვლავზე,
სულ იკაშკაშებ ამ ქვეყანაზე...

1967

* * *

ყოველ გაზაფხულს მგალობელი ჩიტივით ვხვდები,
ყოველ გაზაფხულს მოაქვს ჩემთვის უცნობი ხმები,

უცნობი თრთოლვა ამ ნაცნობი მწვანე ფერების,
უცნობი ხილვა ამ საოცარ მშვენიერების.

სხვა იყო შარშან და შარშანწინ იების ფერი,
სურნელი ვარდთა და ბუბუნი მდინარის ჩქერის.

მგონია ეს გზაც მწვერვალისკენ სხვარიგად უხვევს,
მოდი, უსმინე ამ ალუჩებს, ალვებს და მუხებს.

არ შრიალებენ, დამიჯერეთ, ადრინდელ ხმაზე
და სხვანაირად ითრთოლებენ უთუოდ ხვალ-ზეგ.

შარშანდელს არ ჰგავს ამ ბრიალა აპრილის სუნთქვა,
არ იმეორებს, რაც ოდესმე თვითონვე უთქვამს.

ცვარი რა არის, სხვანაირად ელავს დილ-დილით,
განმეორება ეჯავრება, როგორც სიკვდილი!

ბუნება ბრძენი, გულკეთილი და მწყალობელი,
აღურიცხველ და აღუწერელ განძთა მფლობელი,

გაზაფხულს აძლევს გაუხუნარ ხმებსა და ფერებს:
— აჰა, სიუხვე მიუთვლელი, ხატე და წერე,

დაცხრები ნუღარ, ფუნჯი ხელში გიპყრია ვიდრე!
და წერს, და ხატავს გაზაფხული მთებსა და მინდვრებს.

არც ერთი ბგერა გაგონილი და შარშანდელი!
მაინც სადა აქვს ამ ბედნიერს ძალა ამდენი!

არც იხარჯება, არცა ჰქრება, აღარც ილევა
და დედამიწას ეფინება ვარდ-ყვავილებად.

ზეცის კაბადონს ესხურება მისი ნათელი,
როგორც ვარსკვლავთა იდუმალი კორიანტელი.

კვირტებისა და იმედების დგას ნიაღვარი,
და ყველაფერი, და ყოველი არის სხვაგვარი,

რაღაც ახალი, უნახავი და საოცარი,
თავისებური, საალერსო და სალოცავი...

ყოველ გაზაფხულს მე ჩიტივით ამიტომ ვხვდები,
ყოველ გაზაფხულს მეძახიან უცნობი ხმები!

1962

* * *

ხევსურო მელექსეებო, მე თქვენი განა მაოცებს,
როცა აქედან გავცქერი ამ მთათა მწვანე ნაოჭებს;

როცა აქედან შევხარი ამ თავაწყვეტილ არაგვებს,
რა ვქნა, არა და არ მიკვირს, რა ცეცხლი გალაპარაკებთ.

ამ ცის ქვეშ მეც რომ მამყოფა ზამთარ და ზაფხულ ერთიან,
იქნებ მექუხა ისეთი, გეთქვათ: კაფიის ღმერთია.

მეც დამცდენოდა, ვინ იცის, ისეთი ქება ქედების,
ომშიც და ღრეობის ჟამსაც რომ იმღერებდნენ მხედრები.

იქნებ კი არა, ვაჟებო, ვფიცავ ვაჟაის ხატებს,
ავაელვებდი სიმღერას, ვითარც ხევსურულ სატევარს.

ხარირემივით დავლევდი ხახმატის ძირას მჟავე წყალს,
ჯიხვივით გადავიფრენდი ნასახლარსა და ნამეწყრალს...

დიახაც დავიმშვენებდი თქვენებურ მხედრულ სამოსელს,
ოჩიაურებს შევთხოვდი: — ხალხო, მელექსედ დამლოცე!

რა ვუყოთ, არა ყოფილა არწივი ჩემი მფარველი,
ბარისახოში მოვსულვარ დაბადებიდან ბარელი.

როცა აკვანში ვწოლილვარ, ვით შორეული არაკი,
უგალობნიათ ჩემთვისაც, რომ ქვეყნად არის არაგვი.

ენგურის ძუძუმ გამზარდა და ხობისწყალმა მიმღერა
ის იავნანა ზღაპრული, ახლაც რომ მკერდში მიღელავს.

მეც მათგან მომიტანია ხმა და სალამი მოყვრული,
მეც მათგან შემისწავლია მთათა დიდება კოლხური.

მე თქვენი არა მიკვირს რა, მელექსეებო ხევსურთა,
ეს ერბოსავით ჰაერი მეც რომ თქვენსავით მესუნთქა,

მაშინ ხომ... არა, სწორებო, წინ კი არ გადაგეღობეთ,
მაგრამ იცოდეთ, მეცა ვარ თქვენი საუფლოს მეხოტბე!

1906

* * *

ხარ დაჭიმული, როგორც ზამბარა,
გესმის ჟრიალი საკუთარ ნერვის.
აქ გაგაჩინა შენმა მთა-ბარმა
და მის ხატებას დაუთმობ ვერვის.

აქ დაგიბოხდა ხმა ნაადრევად
და გულუბრყვილო დარჩი აქამდის,
დაგატრიალა ტალღამ რამდენმა
და შურდულივით ცისკენ გაქანდი...

მაინც ვერ მისწვდი ვარსკვლავებს ხელით,
შენ რომ ყრმობისას შუქს გიგზავნიდა,
სიმღერა მწველი, ცხოვრება ძნელი
იწყება ისევ თითქოს თავიდან...

ხარ დაჭიმული, როგორც ზამბარა,
ზამბარასავით გაწყდები უცებ
და რაც გაჩუქა შენმა მთა-ბარმა,
ელვად შერჩება ქაღალდის ფურცლებს!

1906

ისევ: მამა

გაივლის დღე თუ გაივლის წელი,
შევკრთები უცებ და გული მითრთის.
თითქოს ვიღაცამ კოჟრიან ხელით
მხრებზე დამადო ახალი ტვირთი.

განა არ მყოფნის ძველი სიმძიმე,
ვინ არის, მაინც რას მემართლება?
მაშ, ამაღამაც ვერ დავიძინებ,
კვლავ მელოდება ღამის გათევა?

მამა... ის არის! თითქოს ბრუნდება
ოცდაჩვიდმეტში გადაკარგული,
თითქოს ბრუნდება ულან-უდედან,
უღვთოდ ნაწყენი და დაჩაგრული.

მკლავს გამისინჯავს ხალისიანად,
ტვირთს მომიმატებს, მეტყვის, — იარე!..
არ გამიმჟღავნებს თავის იარას
და ჩემს სიხარულს გაიზიარებს.

1966

* * *

როცა ძალიან მოგენატრები
და აყვირდება გული ნატკენი,
წარმოიდგინე, რომ ქვეყნად არ ვარ,
ანაზდად გავხდი სიკვდილის წერა:
მუხლი წამართვა გრიგალმა მძლავრმა
და ხევსურეთში უსულოდ ვწევარ.
თავს დამდგომია მთათა სიწყნარე,
როგორც დობილი ნამტირალევი...

თუ ეს ტკივილიც ვეღარ გიწამლებს,
მოდი, დახუჭე წამით თვალები, —
წარმოიდგინე, რომ არც კი ვიყავ
და მხოლოდ სიზმრად ნანახი გყავდი,
რომ ვიყავ ფიქრი, ფოთოლი, სიტყვა
ან კიდევ — შენი ამაყი დარდი.
და მერე... აღარ მოგენატრები,
მოგიშუშდება გული ნატკენი.

1967

ასტრონომები და პოეტები

ევგენი ხარაძეს

ვარსკვლავეთია სამეფო თქვენი,
ჩვენც ვარსკვლავებთან ჩურჩული გვიყვარს,
თუმცა ვსაუბრობთ სხვადასხვა ენით,
გვესმის მნათობთა ციური სიტყვა.
თქვენ თვითეულის სახელი იცით,
და თუ არ იცით, თვითონვე ნათლავთ,
ჭოგრიტით იჭერთ უხილავ ციმციმს,
ჩვენ კი... ეგ ზეცა რა არის მართლა...

იქ გვიპოვია ჩვენც სარბიელი,
იდუმალი და გასაოცარი,
გვიზიდავს მისი ელვა ძლიერი,
თუმცა მიწიდან ასე შორს არი!
დიახ, ჩვენც ვეძებთ ჯადოსნურ საგნებს
და პლანეტაზე ვეღარ ვეტევით,
ამიტომ ჰგავანან ერთმანეთს აგრე
ასტრონომები და პოეტები.

1969

ეპიტაფია სვეტიცხოვლის აღმშენებლისა

არა მყოლია მეციხოვნენი,
არა ვყოფილვარ მეტის მთხოვნელი,
მე შევქმენ მხოლოდ სვეტიცხოველი!

მარადისობას შეჭიდებული
არვის ვეგონო ძე დიდებულის,
გვარიც არ მქონდა ძველი, ქებული.

არა მწყალობდა ბედი და ღმერთი,
ხან სიხარული დამქონდა მკერდით,
აღვივსებოდი ჟამიჟამ სევდით.

მე თვით უარვყავ ცხოვრება მშვიდი
და მყუდროების სავანე ფლიდი,
ვიდექ: ვძერწავდი, ვჭრიდი და...
ვშლიდი.

სიტკბოებისთვის კარი დავხურე,
ხან ვიშიმშილე, ხან ვიმარხულე
და ღვთის სახელით ხალხს ვემსახურე.

ქმნა კეთილისა ყოფილა ჯვარცმა...
რამდენი ლოდი დავლეწე კაცმა!
რამდენჯერ ვიგრძენ მიმწუხრის განცდა!

რაც კი ძალმედვა, არ დავიშურე,
ქვაზე ჩუქურთმა ვაშარიშურე,
იშვა ტაძარი და... შავი შური.

როგორ შევჩივლო მშობლიურ
ტყე-ველს:
ვისაც მივენდე, ვინც აღვაზევე,
უარმყოფელი გამიხდა მევე.

მანაც დამიგმო ნამოღვაწარი,
ახლა მცხეთაში თქვენს წინ რაც არი,
და მომაყარა თვალში ნაცარი.

თვალებში თვითონ ჰქონია ნისლი,
სიყვარულის წილ ლაჩრული ზიზღი, —
ღმერთმა მიაგოს, ღირსია რისიც.

ჰკიოდა შური რისხვით და მდურვით:
— რომ არ გვასვენებ, რად არ
გვასვენებ,
რომ აღაშენე, რად აღაშენე?!

და... ხალხის თვალწინ მომჭრეს
მარჯვენა!
არცა მეფემ და ქვეყნის გამჩენმა,
არც ვინ იჩქარა გადასარჩენად...

ხუროთმოძღვარი რაა უხელოდ? —
ის, რაც მთიბავი არის უცელოდ,
ძმობილი უძმოდ, სოფელი უგზოდ,

ზეცა უმზეოდ, მამა უძეოდ,
სახლი უკაროდ, ქარი უქაროდ,
ეზო უჭიშკროდ, მშვილდი უისროდ,

ძარღვი უსისხლოდ, მთები უნისლოდ,
ნანა უდროოდ, მუხა ურტოოდ,
სატრფო უცრემლოდ (ანდა უჩემოდ!)...

ქვაში ავანთე ფერი ყოველი.
მე დაგიტოვე სვეტიცხოველი
და არ გეგონო მეტის მთხოვნელი:

ხალხო მშობელო, ბრძენო, მაშვრალო,
თუ გსურს, ამაყად ფრთები გაშალო,
შვილებს ოცნება უნდა აცალო!

უნდა აცალო ფიქრიც და დარდიც!
მადლი ამქვეყნად შუქივით დადის,
არ დაუკარგო ნამცეცა მადლი.

არაკაცს ნუღარ მისცემ არჩევანს.
მაღლა ასწიე ჩემი მარჯვენა
ბევრი მარჯვენის გადასარჩენად!

იკმარე ჩემი მოჭრილი ხელი,
იყავი შვილთა ერთგულთა მცველი,
თორემ ბასრია სიკვდილის ცელი,

და სინანული იქნება გვიან,
და გმინვა გულის იქნება გვიან,
და სიყვარულიც იქნება გვიან!

1966

მეგობრის პორტრეტი

წუთი რა არის, განაღა რჩება
შავი დღისათვის გადასანახად.
სულ ჯაფა, კაფვა და... გადარჩენა,
სულ საყვედური: აბა, სადა ხარ...

როგორც საკუთარ ჭრილობის ძახილს,
წიწამურის გზას დღემდე განიცდის,
და მაგიდასთან თავს როცა დახრის,
თუ ასწევს ისევ, ისიც არ იცის.

როცა იქუხებს მოულოდნელად
და შენივთდება ჯანღი წყეული,
იდუმალ ძალას მოუხმობს ნელა
დაუცხრომლობა მამისეული.

მე იგი წმინდანს მაგონებს მაშინ,
ხელთ რომ უპყრია სიმართლის კვერთხი!
ფოლადის ჟღერა ერევა ხმაში
და მრისხანების ძახილი მკვეთრი —

წყალში კალმახი როცა მცირდება,
მართალს წონაში როცა აკლდება,
ყალბი ღიმილი რომ გახშირდება
და მკერდით არვინ შეეტაკება...

წუთი რა არი, მას არა რჩება
შავი დღისათვის გადასანახად.
სულ მძიმე გარჯა და გამარჯვება!
სულ შეძახილი: აბა, სადა ხარ!

1966

მშობლიური მელოდიები

მე ისევ მამის ეზოში ვდგავარ,
ხმა მშობლიური ველად იღვრება, —
ლბილია, როგორც კოლხეთის ჰავა,
კოლხიდელების ყველა სიმღერა.

ჰანგი შორს მიაქვს ეხოს მთებისას,
ჩაფიქრებულან ვრცელი ველებიც, —
მწველია, როგორც მზე კოლხეთისა,
ყველა სიმღერა კოლხიდელების.

ვარ გათანგული ნაცნობ მოტივით,
როგორც გარშემო ბუნება მთელი,
და ენგურს, მისი მცირე ტოტივით,
ჩემს თვალწინ ერთვის სიმღერა ძველი.

აი, ეს ხმაა, ყველაზე ადრე
რომ დამაფიცა რუსთველის ენა,
უკვდავი სიტყვის მასწავლა ყადრი
და მომანიჭა სიცოცხლის რწმენა.

აი, ეს არის, ყველაზე მეტად
მე საქართველო რომ შემაყვარა,
რომ შემაყვარა მშობელი დედა
და ყველა დედის წმინდა ჭაღარა.

დილა არის თუ ღამის მწუხრია,
ადიდებს ვაჟკაცს და არა მონას.
შალამბერიძეს და სხულუხიას
მამულის ტრფობა მან შთააგონა;

მან შთააგონა ცოტნე დადიანს
ისეთი ძმობა და თავდადება,
რომ ასეული წლები გადიან
და სახე მისი უფრო ნათდება...

მე ისევ მამის ეზოში ვდგავარ,
მგონია, მიწის ძახილიც მესმის,
და შემიძლია ასეთ დროს განა,
ჩემი წინაპრის არ ვიგრძნო ფესვი?

ახლა დუმილიც სიმღერას უდრის,
საამაყოს და ოდნავ დარდიანს,
სითბო მახარებს მშობლიურ ბუდის
და ქვეყანაზე ცოტა მწადია —

არ მომეშალოს ოცნების ფუძე,
მუდმივი თრთოლვა, ღელვა, ძიება
და რაც დამაჭდეს ამ ალალ გულზე
ჩემი კოლხეთის მელოდიებმა.

1950

ეს ოცი წელი და გაოცება

მწვერვალზე ვდგავარ თუ არა ვდგავარ,
ხრამებს ზემოდან მაინც ჩავცქერი,
და ელავს თეთრად, ბინდისფრად, შავად,
დღეთა წარსულთა მძლავრი ჩანჩქერი.

როგორც ლანქერი ნალენტეხარი,
ტალღა ფიქრების ისე ტრიალებს:
ნაცნობი ბიჭის თვალებს შევხარი,
ცრემლიანებს და იმედიანებს.

ისევ ბრიალებს კოცონი ძველი,
კოლხეთის ველზე გაჩაღებული,
ოცი წამია თუ ოცი წელი,
ქარივით მკერდზე დაჯახებული!

თვალანთებული სივრცეს გავყურებ
და ლამის პირჯვარს გარდავისახავ:
— ლექსო პირველო, დამიდასტურე,
ნუთუ შენ უკვე ოცი წლისა ხარ?!

რომ არ მინახავს, რომ არ მიგრძვნია
ამ წელთა მოსვლა და არცა წასვლა,
მაშ, მე პასუხიც არ შემიძლია
ჩუმად გაქცეულ დრო-ჟამის ნაცვლად.

წარვიდა, დაცხრა სიფიცხე ჩვენი,
ვით სიყმაწვილის ძირი და ფესვი?
მაშინ სად არის იდუმალ რწმენით
ნატვრისთვალივით ნაპოვნი ლექსი?

ხედავ და გესმის? — ტოლო და სწორო,
რა მაცდურია მგოსნის ოცნება!
რა შემრჩა ხელში ბოლოს და ბოლოს, —
ეს ოცი წელი და გაოცება!

არც დამოწმება მჭირდება სხვათა,
არცა გულჩვილთა ხმა და ზუზუნი, —
რომ პოეზიის ცხრაკლიტულ კართან
უგასაღებოდ ვარ ატუზული.

სიტყვა უძლური არ ითხოვს დაცვას,
ვგრძნობ, ყოველივე ახლა იწყება,
მაინც შენ მყავხარ, უკვდავო განცდავ,
საამაყოდ და დასაფიცებლად.

არ მავიწყდება შენს მონა-მორჩილს,
რომ შენ ხარ ჩემი ყველაზე ტკბილი,
ყველაზე ძველი, ყველაზე ნორჩი,
ყველაზე უფრო ნანატრი შვილი.

არა მაქვს ძილი, მყუდრო და მშვიდი,
რაც დაიბადე ჩემდა მტანჯველად,
წლებს, როგორც ბავშვი, ჩხირებით
ვთვლიდი
და მაინც, რა ვქნა, მაინც არ მჯერა,

შენი გაჩენა ამ ქვეყანაზე
თუ მოხდა ასე დიდი ხნის წინათ,
როცა გრიგალთა გრგვინვით ამავსე
ალერსიანი ჩურჩულის წილად.

და ბრწყინავ, ბრწყინავ, როგორც შუქურა,
და ნიშანს მაძლევ: იარე ჩქარა,
არ მოგადუნოს ზღვათა გუგუნმა,
გზათა სიშორემ, მრისხანე ქარმა!

არა და არა! მე ისევ მე ვარ
და არასოდეს არ შევიცვლები.
გულის ჩემის და პლანეტის რყევას
ავიტან, დედის ხმას გეფიცები!

ჩემი სიზმრებით, ჩემი ფიქრებით,
ვით ეს მაისი და გაოცება,
შენთან ვიქნები, ჩემთან იქნები,
პირველო ცეცხლო, წვავ და ოცნებავ!

1964

ზამთარი, 1960

ბარდნის და ბარდნის. თბილისსაც უკვირს
მისი ქუჩების ელვა, ქათქათი:
ასეთი თოვა შეეძლო თუკი,
ნეტავ, სად იყო ეს ცა აქამდის?
ცვივა და ცვივა მკვრივი ფანტელი.
შეწყდება, ისევ წამოვა ზვავად.
ჩანს, ეს ციმციმი თუ ჟრუანტელი
გაზაფხულამდე აღარსად წავა!

ეხილამურების მაწვალებს ჯავრი,
გაყინულ ხელებს ფიფქებით ვითბობ.
გურზუს გორაზე მგონია თავი
და ლებერულეს შევყურებ თითქოს.
მთებში მიხილავს ზრიალი ზვავთა,
ასეთი თოვლი არ მახსოვს დღემდე!
ნუ დაივიწყებთ წლევანდელ ზამთარს,
რომ შვილიშვილებს უამბოთ შემდეგ...

1960

ომის დღეები

ამხანაგო მიშაკოვ. ძმაო შალამბერიძევ

დგანან მაღლა ბექობზე,
ბექობს დაბლა ველი ძევს,
ერთგან მიშაკოვია,
სხვა მხრით შალამბერიძე.

ველზე მტრების ურდოა,
ზევით ორი გმირია, —
დიდ მამულის საქმისთვის
თავი გაუწირიათ.
ესმით ქვეყნის ძახილი:
—ჩვენს მარჯვენას ვერვინ სძლევს;
დასცხე, დაჭკა, მიშაკოვ!
სგექე, შალამბერიძევ!

ლომგულს ტყვია ვერ გასტეხს,
ვერც წყლული და იარა,
გმირი ბრძოლით მოკვდება,
უსახელოდ კი არა!
ავისმდომი მუხთალი
ითელება ზედიზედ,
მიშაკოვი ბობოქრობს,
ბორგავს შალამბერიძე.

ტყვიამფრქვევი გრაგანებს,
ტყვიამფრქვევი გუგუნებს,
ცეცხლის მნათი ზოლები
აელვარებს უკუნეთს.
მტერი თუმცა ავგულობს,
სიმაგრისკენ ვერ იწევს,
აქ მიშაკოვს აწყდება,
იქით შალამბერიძეს.

ყუმბარები გრგვინავენ,
ტყვიის დელგმა კვლავ წივის,
დავალება შესრულდა!
... და დაეცნენ არწივნიც.
თვითონ წვანან ბექობზე,
ბექობს დაბლა ველი ძევს,
მიშაკოვი მდუმარებს
და სდუმს შალამბერიძეც.

— უსახელო მაღლობზე
მოიპოვეთ სახელი.
საფლავს არ ჩაგყოლიათ
მტრის ჯავრი და ნაღველი.
უკვდავება თქვენია,
არ ჩაჰქრება თქვენი მზე,
ამხანაგო მიშაკოვ,
ძმაო შალამბერიძევ!

1941

ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი

თბილისს მოვიდა ამბავი:
დაიწვა გული მზიანი,
ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი —
ჭიჭიკო ბენდელიანი.
აცრემლდა დედა მშობელი,
აღარ ჰყავს შვილი ჭკვიანი,
ცის ლაჟვარდების მპყრობელი —
ჭიჭიკო ბენდელიანი.
ჰეი, ნუ სტირით, კარგებო,
ცრემლი ნუ გინდათ ტიალი,
არასდროს დაიკარგება
ჭიჭიკო ბენდელიანი.

1944

ამბავი თბილისის დაბადებისა

I

დიახ, გორგასლის ისარმა მცხეთასთან დასჭრა ფრთოსანი,
სდიეს და ბოლოს იხილეს სურათი გასაოცარი:

თაბორის მთაზე მიწიდან წყარო დიოდა მდუღარი
და ბუბუნებდა გარშემო ტყე უდაბური, უღრანი.

წყაროსპირ თრთოდა ხოხობი — ვახტანგმა დასჭრა დასტურ ეს!
აიყვანეს და როდესაც ცისფერი წყალი ასხურეს,

მიწაზე ჩრდილი დაეცა აფრენილ ხოხბის ფრთებისა.
მონადირეებს აღმოსდათ ძახილი გაოცებისა:

— ან უკვდავების წყალია, ანუ ვიხილეთ სიზმარი! —
ერთურთს შეხედეს და მყისვე გადაისახეს პირჯვარი.

თითქოს პირველად იხილა ესე მიდამო ტყიანი,
შეჩერდა გორგასალი და სიტყვა თქვა გორგასლიანი:

— აი, ეს ციხე თბილისი, მცხეთის გუშაგი რომ არის,
მე ისე მომჩვენებია, როგორც იმედი მომავლის.

ჩემი სატახტო ქალაქი განა იოლად მეთმობა,
მაგრამ დღეიდან თბილისმა უნდა იკისროს მცხეთობა! —

რაშზე ამხედრდა ხელმწიფე, გვირგვინოსანი, მზისდარი,
და ციხისაკენ გაფრინდა, როგორც მისივე ისარი.

II

ვინც ოსტატია ნამდვილი, დურგალია თუ ქვითხურო,
ვინც მისთვის არა შობილა, დაჯდეს და შორით გვიყუროს;

ვინც ქართველია ნამდვილი, ვაჟკაცის ქუდი ახურავს,
ადგეს და გამოეშუროს თბილის-ქალაქის მსახურად! —

ეს მოწოდება ძმათათვის თვით გორგასალმა დაწერა,
განა პირველი ყოფილა წიგნი ამგვარი და წვევა!

ცასა მშობლიურს როდესაც გადაჰფარავდნენ ღრუბლები,
მთელ საქართველოს შეძრავდა ძახილი თავისუფლების.

კაცი კაცს, სოფელი სოფელს და კუთხე კუთხეს უთვლიდა;
მშვიდობის ძილი აღარც ერთს არ ჰქონდა იმავ წუთიდან.

ბედი რომ გაუღიმებდა ჯარსა ქართველთა მეფისას,
კიდით კიდემდე ისმოდა ძახილი გამარჯვებისა.

კაცი კაცს, სოფელი სოფელს და კუთხე კუთხეს უთვლიდა,
რომ ძლიერია ქვეყანა ძმობით, ხმლითა და გუთნითა.

და შეკრბნენ წინანდებურად ოსტატნი სახელდებულნი:
უწვერულვაშო მოყმენი თუ გარჯით გათეთრებულნი.

საომრად როდი უხმობდნენ, არცა ქვეყანას უჭირდა,
და მაინც კერისპირიდან მიწა აიღეს მუჭითა...

III

საუკუნეთა სრბოლაში მკერდშებოლილი მრავალგზის
ზეცისკენ იმზირებოდა ზვიადი ციხე არმაზის.

უცებ სასახლის ბჭისკარი შეირხა ელვის ზოლივით
და მეფის ფეხქვეშ გაიგო ცისარტყელების ქსოვილი.

იღიმებოდა სვიანად მეფე ქართლისა ქებული
და თაყვანს სცემდა მორჩილად დიდოსტატების კრებული.

მტკვარივით ადიდებული ღელავდა მცხეთის ქალაქი:
მდინარის პირას მოჩანდა კახელთა დიდი ბანაკი;

მხოლოდ ნიშანსღა ელოდნენ იმერნი — ლიხის გაღმელნი.
შეკრულნი, შეერთებულნი, როგორც რიონის ტალღები.

რომ შეამჩნია უეცრად ეგრისელების ლაშქარი,
მეფემ სიამით შენიშნა: — მთელი კოლხეთი აქ არი!

— მესხეთიც, რაჭა-თაკვერიც! — დასძინეს დარბაისლებმა.
ბევრი ვაჟკაცი იცავდა მასპინძელ ქართლის ღირსებას.

სატევრებს გადაჰყრდნობოდნენ ხევსურები და სვანები,
მათი მშობელი მთებივით ახოვან-სახოვანები...

სრულიად საქართველოში ისეთი კუთხე არ იყო,
რომლის შვილი და გაზრდილი მეფის წინ არა მდგარიყო.

IV

და ოსტატებმა, როდესაც ქალაქის ფუძე გათხარეს,
მიწა ყოველი კუთხისა შიგ თითო მუჭა ჩაყარეს!

მერე ვახტანგმა დალოცა მზის ქვეშ თბილისის გაჩენა,
უსურვა ქართულ რუკაზე სამარადისო დარჩენა.

ციხეს წაართვა სახელი, ახალ სატახტოს გადასცა, —
ეს უფრო დაშვენდებაო სამეფოს დედაქალაქსა.

როცა გაიგო ყოველი, ასე წარმოთქვა მცხეთამაც:
„მეც ქართლისათვის ვეწამე, თუ მისთვის ვინმე ეწამა.

მეც ჩემი გმირი ხალხისა გამიწევია ჭაპანი,
რაც თავზე გადამხედია, ზოგჯერ მგონია ზღაპარი.

ქარტეხილების წინაშე არ გავტეხილვარ ლაჩრულად,
ბე ხელმა ჩემმა და ხმალმა სიცოცხლე შემინარჩუნა.

ავდრიან დღეთა ბურუსშიც არ ამრევია გზა-კვალი,
არ ჩამქრობია არასდროს სამშობლოს ბედის ვარსკვლავი.

აწ პირველობა შენი თქვეს ხელმწიფემ, ღმერთმა, ქვეყანამ
და წმინდა ლოცვა-კურთხევა აჰა, მიიღე ჩემგანაც“.

V

მე ეს თქმულება კოლხეთში აღმოვაჩინე განძივით,
მაგრამ შენს გულშიც ვიპოვნე იმისი ფესვი და ძირი.

— მართალს იძახის ეს ლექსი? — ვკითხე თელავს და თრიალეთს,
— მართალს იძახის! — შორიდან ერთბაშად დაიგრიალეს.

ნანგრევმა ნარიყალისამ და წამებულმა კრწანისმა,
ერთის ხმით დამიდასტურეს დიდება გორგასალისა.

მითხრეს და განა დავკარგე ნათქვამი ჩემი ერისა,
ავდექ და გავიმეორე ძალ-ღონის შესაფერისად.

შვილმა რომ ხელის გულზედაც კვერცხი მოუწვას დედასო,
ამბობენ, ამაგს იმისას ვერ გადიხდისო ვერასდროს.

დედა-თბილისის ამაგი მეც სიკვდილამდე გამყვება,
დავდივარ, მისი შვილობა მახარებს, მეამაყება.

არვისგან გადაუხდელი, მე ვინ ვარ, გადავიხადო,
თუნდაც რომ მთელი თბილისი ჩემს მკერდში გადავიხატო!

მე მხოლოდ ისღა მწყურია, სულ მისი ზეცა მფარავდეს
და ჩემი ბრძენი ქალაქი არასდროს გაჭაღარავდეს;

მე მ:ოლოდ ისღა მწყურია, როგორც გუგუნი მთებისა,
ისმოდეს ქვეყნად ამბავი თბილისის დაბადებისა!

1961



ნანა გვარიშვილი

ჩადრების ჭიაკოკონა

1928 წელს ჩვენს დედებს საჯაროდ
დაუწვავთ ჩადრები.

ჰეი, დედებო, ნაპერწკლებს მაყრის
თქვენი ჩადრების ჭიაკოკონა.
ახლაც მედება ლოყებზე ალი,
მართლა დაწვავდით, როგორ მეგონა.

ბედის მორჩილებს, გრძნობით სათუთით,
სიმართლისაკენ რა ძალამ გიხმოთ?..
როგორ მეგონა, იმ ცეცხლის შუქი
ჩემი მომავლის სინათლე იყო!

1955

მტკვარს

შენს სანატრელ, მაღალ ალვებს
ჩემს სიცოცხლეს შემოვავლებ —
იცი, დარდში რარიგ მშველი?
მოგდევ, მტკვარის მღვრიე ჩქერო,
მოფერება მინდა შენი,
რა ვქნა, როგორ მოგეფერო?

1969

როცა გულს გთხოვ...

მე რომ გდარდობ —
ისა ხარ,
მე რომ გნატრობ —
ისა ხარ...
როცა ელავ —
მზისა ხარ,
როცა ღელავ —
ზღვისა ხარ,
როცა გულს გთხოვ —
ქვისა ხარ.

1960

მთაწმინდაზე

ალუბლის ტოტზე ყვავილი ბრწყინავს,
უსმობს ჩიტუნებს, ჩემთან დარჩითო...
მოფრინდა ერთი ისე, ვით წინათ...
— ჭიკჭიკს ნუ იწყებ, პატარა ჩიტო,
ჩუ, ჩუმად-მეთქი, ბულბულებს ხძინავთ.

1961

შეხვედრა ქართან

ვერის ხიდზე დამეწია,
შემაჩერა წამით,
მიმახურა-მომახურა,
ლურჯი მოსასხამი.
მერე ყურში ჩამჩურჩულა:
— თმები რა უყავი?!
— ვერის ქარო, ო, შენს შემდეგ
შემხვდა ბევრი ქარი...
მიმიწეწა-მომიწეწა
ჩემი დალალ-კავი.

1968

ნუთუ...

ქარში წივიან წვიმები,
ქუჩებს იკლებენ წვიმები,
ვიცი, დავრჩები უშენოდ,
უშენოდ გავიწირები!
ახლა ხეს ვგავარ უფოთლოს,
ფოთლით ივსება ღარები,
წვიმით გალუმპულ მდელოზე
კისერს იმტვრევენ ქარები,
მინებს იკლებენ წკრიალით
წვიმები, ლურჯი წვიმები...
ნუთუ დავრჩები უშენოდ,
უშენოდ გავიწირები?!

1909

მაყრის მოლოდინში

ზურნის ხმებია, დასრულდა ჭორი,
შემაწყდა გულზე კაეშნის ღილი,
გოგოს მართმევენ მაშხალის სროლით,
წესი მოითხოვს, შევხვდე ღიმილით.

ხოშ გელდით, ყველამ დაჰკარით დოლზე,
ჰეი, მომლხენნო, გაშალეთ ხელი...
მე სადმე კუთხეს ავეკრა უნდა,
ხელებში ჩავრგო ლოყები სველი.

1904



ანა კალანდაძე

საქართველოს ლამაზს

„სხვა საქართველო სად არი?"
გრ. ორბელიანი

ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?"
ცა ვარსკვლავებით ინთება,
ცა — არცა რისი სადარი...
მთვარე რომ ამობრწყინდება,
გული გაფრენად მზად არი...
დიდება, შენი დიდება,
„სხვა საქართველო სად არი?"
მინდვრები, ქართლის მინდვრები,
ქედები მხარგაშლილები...
მთაში — ტყე დანაბინდები,
ტყეში — ქორბუდა ირმები...
ბარად შრიალებს ჭადარი,
მზეს უმღერიან ჩიტები...
მხარევ, მოსილო დიდებით,
„სხვა საქართველო სად არი?"
ლურჯი ბალახი მხარამდი,
მწყერი გოგმანობს ბალახში...
თეთნულდზე — თოვლი მარადი,
ვენახზე — მზე და ბადახში...
სხვა საქართველო ვინ ნახა?
„სხვა საქართველო სად არი?"
როს ვარსკვლავები ხმაურით
აინთებიან ცათანი,
კლდეს მოაწყდება ზღვაური
მეშვიდე ცაზე ატანილს...
კლდეებში ჯიხვი დაფრთხება,
გორში იტირებს ატამი,
ყაყაჩოს გვერდს ვერ აუვლი,
„სხვა საქართველო სად არი?"
აქ დაიბადა „სულიკო",
მზისკენ გაფრინდა „მერანი"...
და თუნდაც გადმოსულიყო
მტერი შმაგი და ვერანი,

მარჯვენს მოსჭრიდა ალუდა,
სით გაუშვებდა ლელაი?
აქ დაიბადა „სულიკო“,
მზისკენ გაფრინდა „მერანი“.
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი,
დაბლა შრიალებს მოლისებრ
ყანაი გაუყელავი,
ფიქრს დაუღლია ონისე,
ბახტრიონს მიდის ლელაი...
მთათ ორბის ფრთები მოისხეს,
ცაში ასულა ძერაი...
ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი...
ძეწნამ ალერსით ამავსო
ეჭვებით ნაავადარი...
საქართველოო ლამაზო,
„სხვა საქართველო სად არი?“

1945

* * *

ბერა საზანდარს როცა მომართავს,
შენ სევდა გიპყრობს გაუგონარი,
ცად აიშლება გუნდი ყორანთა,
ლეშის საძებრად წავა ყორანი...
მგლისფერ ღრუბლებში გმინვა მოისმის
და ქარიშხალმაც მოითქვა სული...
მარტო რად დგახარ, როგორც ონისე,
შეგინებული და შერისხული?
ბერა საზანდარს როცა მომართავს,
სევდა რად გიპყრობს გაუგონარი?
აუ, აფრინდა გუნდი ყორანთა,
ვაი, ვის გულ-მკერდს დაფლეთს ყორანი?

1945

თუთა

ლამის სახლში შემოიჭრეს თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული!.. დამდაგველი, მწველი...
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.

1945

ასეთი დარი თუ იყო მაშინ?

მზე აიწია ფეხის წვერებზე,
მზემ მზის ქალაქში ჩამოიხედა,
იდგა თბილისი, როგორც ერეკლე,
ხმალშემართული ნარის ციხესთან.
ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში
და მიაშურეს ლილისფერ მთათა.
ასეთი დარი თუ იყო მაშინ,
ოდეს თბილისი აიკლეს სპარსთა?

1945

შემოდიოდა ჩვენში კალანდა

და მე ვიგონებ ჩახლართულ ღობეს,
სერებს თოვლიანს...
ხმობდა ქათამი გურიის სოფელს,
ყეფდა თოლია...
იდგა ბერმუხა ღამისმთევარი
თოვლში ნაბდითა...

დილით მისდევდა სერზე მწევარი
ნაკვლევს ნადირთა...
ქარი თვრებოდა ღვინით ნაქებით
გრძნეულ მარანთან...
შემოდიოდა ჩიჩილაკებით
ჩვენში კალანდა...

1945

* * *

შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ...
სამკვიდრო შენს ქვეშ მტრად შემოსულმა
ვერავინ ნახა:
ვერცა ოსმალომ, ვერცა მონღოლმა
და ვერცა სპარსმა...

შენი დიდების მომღერალია
ოშკი და ზარზმა,
ბებერი ტაო...
შენ ისე ღრმა ხარ, ისე ფაქიზი,
ქართულო ცაო...

1945

მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს

ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი,
ვაღმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და მზისკენ მიდის რძისფერი კვამლი...
დღისით ვნადირობ, წვრილ ნადირთა ბუნაგებს ვარბევ
კეტით და მშვილდით...
და, თუ გამოჩნდა ნადირი დიდი,
მყის მივაშურებ ურარტუს ქვაბებს...
ჩამეძინება ათასნაირ მხეცთან ნატოქარს,
მე არ მაწუხებს ხვალისათვის ფიქრი და ჯავრი...
ვარსკვლავთაც ვუჭვრეტ შიშით და მალვით...
უდაბურს ტყეში დაძრწის მარტორქა...
ქარი გუგუნებს ქვაბის კართან თავგანწირული,
ხმა აქვს საზარი...
რათა უმწეოს დამცეს თავზარი,

ქვაბის სიღრმეში წვეთავს ყინული.
ფეხზე მაცვია ირმის ტყავით შეკრული ხამლი,
ვაღმერთებ მზესა,
ვანთებ ცეცხლსა
და ვწირავ მსხვერპლსა...
გრძნეულ ურარტუს ეფინება რძისფერი კვამლი.

1945

მოდიოდა ნინო მთებით

„ხოლო მე დავშთი ეკალთა შინა ვარდისათა,
რამეთუ ვარდი და ნუში ყვაოდა ძას ჟამსა“.
ნინო

ლურჯ მწვერვალებს ქარი რძისფერ ნისლში ჰხვევდა...
და, როდესაც ბარში ვარდნი ჰყვაოდნენ,
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ...
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი.
მოდიოდა, ნინო მთებით მოდიოდა,
და მოჰქონდა სანატრელი ვაზის ჯვარი...
თოვლის მთებით კვირდებოდა უცხო მგზავრი, —
ვის უნახავს ვარდობისას თოვლი მთებზე?
მწყემსსა ჰკითხა: — რომელია ქართლის გზაი?
მწყემსმა უთხრა: — საქართველო არის ესე...
უცხო მიწა... წუთით იგრძნო მშობლის სევდა,
მაგრამ რწმენა ავალებდა რაოდენს?
თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბღაოდნენ.

1945

ჟუჟუნა წვიმა მოვიდა

ჯეჯილში ჩაიშრიალა თვალგახელილმა ყანამა,
მთით მობერილმა ნიავმა, ნარგიზის იავნანამ.
ერთი პაწია ჩიორა მუხიდან მომესალამა...
ია განგებამ დახატა, თუ ფირუზმანის ყალამმა?
ყაყაჩოს „ღვინო სალხინო“ როგორ არ შესვას ანამა?
„ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა“.

1946

ო, მე კი არა, გული ხარხარებს

როცა ნამიან ველზე გავივლი,
ნამი ბალღივით მართობს, მახარებს...
ქარო, მოიტა ატმის ყვავილი,
ქარო, ფოთლებიც შემომაყარე...
და, როგორც გიჟი, ო, როგორც გიჟი,
თმააწეწილი მოლი ხარხარებს...

ხეთ სამკაული მოიხსნეს შიშით
და ხელუკუღმა შემომაყარეს...
და... მეც გავგიჟდი... ო, მე კი არა,
გული ხარხარებს, გული ხარხარებს...
და შენ, ქუჩაში რომ გაიარო,
ფოთლები წაღმა შემომაყარე.

1945

* * *

დუმს მკვდარ დუმილით ველი ვრცეული,
არ ვლენან გზადა
მგზავრნი სოფლისა. შორეულ მთათა
შემოეხვევა ნისლი გრძნეული...
ქორნი ყივილით დაფრენენ ცადა,
საბრალო ბებრის
დაზვერონ მსხვერპლი
და მერე თავზე დაეცნენ რათა...
და, იშვიათად, ველებზე გავლით
მეზობელ სოფლად გადავა მგზავრი...

და როცა გუგუნს მოისმენს ზართა,
გამოდის მგელი
და მარხილს ელის,
განწირულ მგზავრთა,
რათა გადურჩეს დამშეულ ზამთარს
სიკვდილის შიშზე ფიქრს მიცემული...
არ ვლენან გზადა:
იციან მგზავრთა,
რომ მგლისა არის ველი ვრცეული.

1945

რა მოგწონს უფრო?

პატარა ვიოლას

ფუნთუშა ლოყებს დაუგზნიათ ჭიაკოკონა,
ვარდო, გაშლილო დედის ლხენაში!
„დედა ენაში“
რამ მოგხიბლა, ჩემო გოგონავ,
კურდღლის ბაჭიამ, თუ ჩიტების სტვენამ ვენახში?
გრძნობაფაქიზი
დარდს ეძლევი, პაწიავ, დიდსა,
ბარტყებს რად სთხოვსო მელია ჩიტსა?
დიდრონ ასოებს აყოლებ თითსა,
ღუღუნებ ასე: ა-ი ი-ა, ა-ი ნ-ა-რ-გ-ი-ზ-ი...
მზე ჩადის ოდეს ზღვის მხარეში ცეცხლის დასავალს
და ღრუბელი დაბურავს მთათა,

დედას შესჩივლებ:
— რად გააგდეს მჩხავანა კატა? —
მასვე უამბობს სამი კნუტის თავგადასავალს...
ფერად სურათებს უალერსებ, წიგნი მოღალე,
წიგნი მოღალე, ოქროს ენა არ მოგეღალა...
ისწავლე, ჩემო, შენი ქვეყნის მტერი, მოყვარე,
გიყვარდეს მარად შენი ენა, შენი ქვეყანა.
ფაფუკ ლოყებზე დაგეგზნება ჭიაკოკონა,
გესმის, ვიოლა,
წიგნით მერცხლის ჭიკჭიკი გესმის...
რა მოგწონს უფრო, ჩემო გოგონავ,
ჩიტი ჩიორა,
შროშანი, თუ ყაყაჩოს ლექსი?

1946

კარში გამო, ჭია-ჭია მარია

მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები...
მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია
და შენს ქოხთან გუგუნია თელების...
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში...
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ბარბაროსი დაულეწავს ციციშვილს...
უნისლოა, ზეცას გაუდარია,
ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსრვა, აბა, როგორ ინდომეს?
გავიმარჯვეთ, ჭია-ჭია მარია,
ვუგალობოთ სამშობლოის მინდორ-ველს...
შენი მტერი, ჩემი მტერი მკვდარია,
ჩვენი მოსრვა, ან კი, როგორ ინდომეს?
ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია,
დინჯად მისდევს კვალში ძველი გუთანი...
ვერ წაიღებს ხორბალს სულთამხუთავი...
ვრცეულ მინდვრებს ტრაქტორები ფარავენ...
ბაღ-ბოსტნებში თოხნიან და ბარავენ...
ზღვად დარხეულ მინდორს გაუხარია,
ბელტს აბრუნებს — ეს ნიკორა ხარია...
ჩემი გული ვარდფურცლობის დარია,
შრიალებენ, გუგუნებენ თელები:
ჩვენთან მუდამ გათენების დარია,
ჩვენი ხმლის ქვეშ მტერს არ გაეთენების...
კარში გამო, ჭია-ჭია მარია,
მოფრინავენ ცი-ცი-ცინათელები...
ჩემი გული ვარდფურცლობის დარია...
გუ-გუ-გუ-გუ... გუგუნებენ თელები...
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები...
მომახურე, მცივა, ჭია მარია,
გამიცინე, თუ არ მომეფერები...
მზეი დაცხრა, ყვავილების ქარია,
ჩურჩულებენ მოლზე ნაირფერები...

1946

რა ვარ? სტვირი ვარ!

ეს სიხარულის ცრემლებია, როდი ვტირივარ?
ქარი ჩამბერავს, ავმღერდები: მე ხომ სტვირი ვარ,
ქარში გაზრდილი, უგუნურთა
მოჭრილი მერე?
ხმით საამურით მპყრობი გულთა
ვუმღერი ველებს...
ატირებული მპყრობელი ვარ
შენი გულისაც....
იალაღებით მობერილ ვარ
სიყვარულისად...
მხოლოდ შენს გულში მიპოვნია
ვანი სულისად...
მაგრამ... დახედეთ განჩინებას ამა სოფლისას:
მეტყვი, სცდებიო, პატარა ქალო...
შთამბერე, ქარო,
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!

1946

ომი ხომ... დამთავრდა უკვე?!.

ომში დაღუპულთ

ტუნდრა და ტრამალი, მთები და ტყეები...
ნემანი, ვისლა და ბუგი...
მიდიხართ, მიდიხართ კვლავ მტვრიან შარაზე...
ვხედავ თქვენს ოფლიან ზურგებს...
მზე სწვავს თქვენს მხარიღლივ დაგრაგნილ მაზარას,
გული იქ, ჩრდილისკენ იწევს:
წურწურით ჩამოგდით ოფლი, ო, წყალივით
და პილოტურებით იწმენდთ...
მიჰყვებით ქვემეხებს... ასე რომ ჩამდგარან
სიკვდილს და სიცოცხლეს შორის...
მრისხანე ქვემეხებს მიჰყვებით ფეხდაფეხ...
სისხლი კვლავ ჟონავს და ჟონავს...
თქვენ ყოველ გაზაფხულს ამ გზებზე ჩერდებით;
დედასთან წერილებს დაწერთ...

ცას — შავად გამურულს, კვამლიანს, ცეცხლიანს,
ბავშვური ღიმილით ასწევთ
და... მზე კვლავ ამოდის ზამბახის ყვავილით,
(წარსულთაც ამოდის წილად...)
მიდიხართ მტვრიანი, მტვრიანი ჩექმებით
და ვარსკვლავებივით ბრწყინავთ!
მიდიხართ, მიდიხართ — სამშობლო გეძახით:
არცერთი ნაბიჯი უკან!
ო, ძმებო, სად მიხვალთ? დაბრუნდით, დაბრუნდით:
ომი ხომ... დამთავრდა უკვე?

1966

ბოშა ქალი

და რა ქალი?! ხელისგულით სატარები...
რა თვალები?! ელვის ცეცხლის დამჭერი...
ბოშა ქალი, ვარსკვლავების სადარები...
შეხედეს და... შეუკურთხეს გამჩენი...
მეზღვაურებს გამომწვევად გვერდს აუვლის,
ეტყვიან და... ისიც ეტყვის ურიგოს...
ხელგაშლილი გადუდგება მეზღვაური:
— მხოლოდ ერთხელ მაკოცეო, სულიკო!.. —
ეს პაწია, სიყვარულის დოსტაქარი,
განა დარდობს, თვალებს ცრემლით იოსებს?
მხიარული, ფეხშიშველი ბოშა ქალი
სტვენით მიდის პორტის სანაპიროზე...

1946

* * *

— ეჰეი, მებორნეე! — არსაით არავინ...
არა ჩანს მებორნე, არც მისი კარავი...
შორსაა ძეგვი და შორსაა მცხეთა...
შემოვრჩით მე და შენ მდუმარე ველთა...
მთვარეა ნათელი მინდორთა ზედა...
დუმს... მაგრამ... გულში კი... რას ფიქრობს ნეტავ?

1955

* *

ბროლს მოამსხვრევს თეთრახევა,
ბროლს მოამსხვრევს ბროლიანსა,
შხეფს შეაფრქვევს ვარდკაჭაჭას,
ლამაზს, ცისფერთოლიანსა,
— წამო ჩემთან!
— უკაცრავად,
ვერ გაგყვები ცოლიანსა! —

ესალმება ფხოვის ტყეებს,
ტყეებს მწვანე მოლიანსა,
დაჯირას და უკადრისას,
სატყრობელას ჭორიანსა...
არაგვისკენ გზას მიიკვლევს,
გზას ძალიან შორიანსა.

* *

რომ ავყოლოდი გულისთქმას,
ჭკუას არ დავიხმარებდი,
შენთან დავლევდი ჩემს დღეებს,
შენს გულში გავიხარებდი...

ზურგს საფქვავს წამოვიგდებდი,
გზას წისქვილისკენ გავლევდი...
ბატარაც რამე გწყენოდა,
სულს ხოხობივით დავლევდი...

* *

დღეს ქორწილია შუაფხოს,
ლუდი ქვაბით დგას მჩქეფარი...
ლურჯი სუფრები გაშალეს,
ტკბილმოუბარობს მყეფარი...

პატარძლის ლამაზ თვალებში
ცეცხლი ანთია მგზნებარი...
მსურს ჭვრეტა „ახალ ყოილთა“,
მაშხალავ, რისთვის მეფარვი?

რატომ შეშალე გილიკი?

მთას იყავ ცაბარუთობას,
თან წაასხამდი ჯალაბსა,
არწივთა საბოინოდან
ჩამოხედავდი არაგვსა...

განა სოფლის გზას ჩამოჰყევ
ოჩიაურთა კარასა?
სხვა გზით ჩახვედი არაგვზე:
გულს მოუკლავდი ანასა.

ვაჟას

მე ვნახე შენი ლამაზი
ფშავი — ბუმბერაზ მთებითა...
მე ვნახე შენი ფშაველი,
კაფიობს ტკბილი ენითა...
მოშხუის ფშავის არაგვი,
არ დაიღლება დენითა...
ხასხასებს ლურჯი ბალახი,

გულს რო იფენდი ხელითა...
ქუჩი ციხეგორს შემომხვდა,
ეამაყება შენითა...
ჭაფნაგის გორთან გადმოდგნენ
ღვიები ქალამნიანი...
მთავ, ბუმბერაზო, მიიღე
ჩემიც... სალამი გვიანი...

1966

* * *

თოვლი აჭარა-გურიის მთების,
ჩემეულ მთათა...
მცირე წისქვილი გუბაზოულზე
ჩემს ეზოს კართან...

წყავის ფოთოლი, ნამს რომ ფრთხილად ინახავს,
თრთოლვით...
თოვლი აჭარა-გურიის მთების,
ნისლი და თოვლი...

1954

ყაყაჩოსა სიწითლითა

ფრთაგაშლილი მთები არი,
სხივგაშლილი სერებია...
არ ჩურჩულებს ლელიანი,
გული შეუჯერებია...
აქ კორდია მობიბინე,
იქ მზიანი ტევრებია...
რად უსკდება გული ირემს?
გელა გადამტერებია...

თეთრი ნისლი ნისლებს ირევს,
ეს ხომ ლურჯა ცხენებია?
შვიდი ზეცა გადირბინეს,
არსად შეუსვენებიათ...
ამ მშვენიერ მინდორ-ველზე
რა ნაირი ფერებია?!
„ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია“.

1946

* * *

რომელი ჩიტი იშენებს ბუდეს
ძეძვის რტოებზე? რომელი ჩიტი?
და მერე ტოვებს თავის საყოფელს
და ცხრა მთას იქით მიფრინავს, მიდის?

თუ... არად უჩანს თვისი საუფლო,
წარსულიც თვისი უჩანს არაფრად?
რომ დაუგდია მას იგი ვანი
ქვეწარმავალთ და მგელთა ანაბრად?

ქანაობს ბუდე გარეჯის ცის ქვეშ...
მას კატასავით ეპარვის ბინდი...
რომელი ტოვებს თავის სამკვიდროს
ძეძვის რტოებზე? რომელი ჩიტი?

1961

ჰექდა მაზურკა

დედას

შენ გაგითეთრდა თმები მას უკან,
ძვირფას კაბას კი... ერთი ღერო შერჩა სუსამბრის...
დეზთა წკარუნით გაგიწვევდათ ქალწულთ ჰუსარნი
და დიდ დარბაზში ჰექდა მაზურკა...
როკვიდნენ წყვილნი, ვით გედები იისფერ ტბაში...
ბრწყინვა კანდელთა ჰგავდა ბრწყინვას ვარსკვლავთ მირიადთ.
შმაგი სინათლე თვალებს სჭრიდა მკერდზე ბრილიანტს
და იაგუნდი ტიროდა თმაში...
ლამაზი კაბა იასამნის სურნელს აკმევდა...
ეცილებოდი თვით სანთელთაც უბრწყინვალეს შუქს...
მაღალი მხრები იმშვენებდნენ ინდურ აბრეშუმს...
ბრინჯაოს ქალი სულ შიშველი იდგა სარკესთან...

შენ გაგითეთრდა თმები მას უკან
და ძვირფას კაბას ერთი ღერო შერჩა სუსამბრის...

1946

* * *

ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში თამაშობენ ბეღურები...
კორჩიოტას, კორჩიოტას თესლი გალხვა,
ორთქლად მიდის ნესტიანი სუნთქვა მიწის...
ნაკადულის სიმღერებში სძინავს ღალღას...
ლხენით ვისმენ ბეღურების წივ-წივ, წივ-წივს...
ამოდიან, ბალახების სუნთქვა მესმის,
მაგრამ... მაინც გული რისად მეხურება?
ვარდის რტოზე შერჩენილი ხმელი თესლი
აკენკეს და გაიტაცეს ბეღურებმა...
ორი ქვეყნის, ორი ქვეყნის საზღვრად ვდგევარ,
გულო, რისად მეხურები?
სხივმიმკრთალი, სხივმიმკვდარი მკვდართა მზე ვარ,
ჩემს სხივებში ჟივჟივებენ ბეღურები...

1946

ბერდედას — ლელა წიკლაურს

— რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდედავ,
მათს ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?
მიწა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით...
— რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!
— ამღას გაწყვიტეს ბრგე ვაჟკაცები,
ახიელაშიც უზომო ხოცეს...
— რას ამბობ, ქალავ, ვაჟკაცებ იყვნეს!..
— რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს!

1962

* * *

გსასოებ ისევ, დე, კვლავაც მიმცენ
განქიქებათა...
ზოგთა ბანოვანთ თუ გამოვიწვევ
გულთა კლებათა,
იცოდნენ ყოველთ: აღემატები
ჩემთა ნებათა...
ო, გამაბრწყინე, როგორც ღამეებს
ანთებს ჰეკატა,
ანთებს და... ტოვებს...
მაგრამ კვლავ, ისევ მათთა წიაღთა
სამკვიდროდ პოვებს,
მის მაძებართა...
მომძებნე ისევ და ნუ გარდამცემ
დავიწყებათა...

1957

* * *

— თქვი, არჯაკელო ხვიარა,
ქსანზე ვინ ჩამოიარა?
— რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი
და არა გამიგია რა...
— მეც... სხვათა შორის ვიკითხე,
სალაპარაკოდ კი არა.

1954

დამილოცეთ, ძმებო!

აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ქუდმოხდილი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...
აქ — მზით დამწვარ ხელში
ღვინიანი ჭიქა...
იქ — ცარიელ ქვევრში
დამწყვდეული ჭინკა...

პაპის მონაცემი,
მარად საოცნებო,
კარ-მიდამო ჩემი
დამილოცეთ, ძმებო!
აკაციის ტევრი...
წნელის სუსტი ღობე...
ღვინიანი ქვევრი...
ღვინიანი კოპე...

1946

ᲨᲘᲝᲛᲚᲕᲘᲛᲔᲨᲘ

რკინის აივანს, მყუდრო აივანს
იშვიათად თუ ეწვევა კაცი...
სამაგიეროდ ნუშის და ცაცხვის
აქ ფოთოლთცვენა ისე ხშირია...
ნუთუ ამ ფოთლებს ამ მღვიმეების,
ამ მარტოობის არ ეშინიათ?

1954

* * *

მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალჟუჟუნა, წაბლისფერი თმებით...
ერთხელ მტრედმა მოუტანა ფრთები,
დამტოვა და ღრუბლებს გაჰყვა ცადა...
ღრუბლებს გაჰყვა... სად ვეძებო, სადა?
მე ლამაზი მეგობარი მყავდა,
თვალჟუჟუნა, წაბლისფერი თმებით.

1946



ოთარ მამფორია

ცარიელი სკამი

ყველა აქ არი და მაინც კარი
ჰე, მასპინძელო, დატოვე ღია.
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან.
ყველა აქ არი, სიმღერას, ხალისს,
გარედან წვიმა შოლტივით იქნევს,
და ნუ დახურავ იმ კარებს მაინც,
რა იცი, ვინმე მოვიდეს იქნებ?

ყველა აქ არი, ჭიქების წკარუნს
გავანდოთ, ვუთხრათ ვეტრფოდით ვისაც.
ეს გაუმარჯოს პირველ სიყვარულს —
ძველ ჭრილობაში ჩატეხილ ისარს...
ყველა აქ არი და მაინც კარი
ჰე, მასპინძელო, დატოვე ღია.
ცარიელია ეს ერთი სკამი
და იქნებ ვინმე მოვიდეს გვიან...

1957

გაიქცა ბავშვი

მე მათ ვიცნობდი: ვაჟკაცს მკერდგაშლილს,
ქალს ცისფერთვალას, ოქროსთმებიანს,
დღეს კი ცოლ-ქმარი დგანან ჩემს თვალწინ,
როგორც იტყვიან — მეგობრებია.
ქალს ჩაშრეტია თვალში ალმური,
ვაჟკაცს აღარ წვავს ტრფობის ღადარი,
მაგრამ თავდები ძველ სიყვარულის,
შვილი მათ შორის არის ჩამდგარი.

და თითქოს ორ რთულ წინადადებას
იგი აერთებს „და“ კავშირივით,
მოდიან, მოჰყავთ ბავშვი თავნება
და ქუჩას ავსებს მართვეს ყივილი.
მოჰყავთ და სულ წინ ისწრაფვის ბავშვი,
გვერდით მოსდევენ, თითქოს მძევლებად.
გაექცათ ბავშვი, გაიბნა ხალხში,
იმ სიყვარულის გასაგრძელებლად...

1950

წიგნები თოვლში

ქათქათა ფიფქი ცვივა სართულებს,
დილა ქალაქში მოდის, ისწრაფვის
და როგორც სიმზე გაბმულ მავთულზე,
ტრამვაიმ გაჰკრა რკინის მიზრაფი.

პირველ ფანტელებს ფერებ-ფერებით
ქარი მორეკავს და ეანცება
თოვლს მონატრული თბილისელები
ვეღარ მალავენ ამ აღტაცებას...

მაგრამ უეცრად დაიგრიალეს
და იარაღი ყინვას აჰყარეს.
ცისფერ მანქანებს — ხორთუმიანებს
გაჰყავთ ზამთარი შორს — ქალაქგარეთ.

ჭადრები მაინც დგანან ზვიადად,
ფიფქებს — თეთრ ვარდებს მკერდზე იბნევენ.
იქვე წიგნები მაღაზიიდან
მეძახიან და ხელებს მიქნევენ.

რა ნაცნობები ყოფილან ჩემთვის,
წამს მოვიხადე იმათ წინ ქუდი,
ჩანს ათას ცხრაას ორმოცდაერთი
და ცხრა მაისი ორმოცდახუთის.

შრიალებენ და კრთიან წიგნები
მოგონებებით ცამდე ადიან.

ზოგს დამჩნევია სისხლის წინწკლები,
ზოგში დაჭრილის სული ანთია.

სინამდვილეა, აქ რასაც ხედავ,
განა შეთხზული არის ამბავი?! —
აქ დანაღმული სტრიქონი ფეთქავს,
დაუტირები საძმო საფლავი.

დუმს და დუმილში ისევ ღაღადებს
გადათოვლილი ფურცლის აფრები.
გადაშლი? თვალი შემოგანათებს
ქერჩთან დაღუპულ ვინმე ქართველის.

და მწუხარება გულს დაგეხლება,
იგი შორს დარჩა განაწვალები...
და სულში ფერფლი გადაგეყრება
ასე უდროოდ ჩამქრალ თვალების.

გაშლილი წიგნი ვეღარ დავკეცე,
აზავთებული ელვა ფურცლების.
თითქოს ბწკარების ლიანდაგებზე
მოგუგუნებენ შინმოუსვლელნი.

მაგრამ, ო, არა... მე მათზე ფიქრით
მივდივარ, თოვს და შუქი კანკალებს,
და ვით ამ წიგნებს ეს წმინდა ფიქრი,
შორს ასე ათოვს ძმათა საფლავებს...

1956

წიწამური

აქ ქარი კვნესის ყოველთვის მწარედ
და არწივები ფრთებს ჰკეცენ რიდით.
აქ ხომ სისხლია ბალახის ცვარი
და თოფის ბოლი საღამოს ბინდი.
როგორ გაუძლებს არაგვის ღრიალს,
მოდის, აწყდება ხევსა და ბექობს
და მრისხანებით უფსკრულში მიაქვს,
აქ გასროლილი ბერდენის ექო.
ტყე დაბურული ღმუის და ხვნეშის,
ნისლის ფთილები გზადაგზა ყრია
და მე მგონია პატარა კენჭიც
ილიას შუბლში გარტყმული ტყვია.

1967

მეტოქენი

მათი თვალები, როგორც ხანჯლები
ელავდნენ შურით ალესილები
და ვერძებივით ემზადებოდნენ
დასარბევად და დასაჯახებლად.

მაგრამ ის ქალი, ვინაც იმათი
მტრობის და შუღლის მიზეზი იყო,
როგორც მერცხალი გაფრინდა სხვასთან,
სხვის აივანზე ბუდე დაიდო.

ორთავეს გული აღევსოთ ბოღმით
და როცა შემდეგ ხვდებოდნენ გზაში,
საერთო სევდას გრძნობდნენ თვალებში,
სადაც ტყდებოდა შურის ხანჯალი.

გაეცლებოდნენ ერთმანეთს ასე,
უსალმოდ, უხმოდ, ვით ღვიძლი ძმები,
რომელთ იციან, ამაღამ ისევ
სევდის ერთ ჭერქვეშ დაეძინებათ...

1960

მარულა

გადაჰკრეს ცხენებს, იბრუნეს პირი,
გაჰყვნენ, გაიჭრნენ ნიავქარულად.
მათრახის ელვა გაბმულად წივის,
ფლოქვების ბუღში ფეთქავს მარულა.

გადიჯირითეს, გაჰკვეთეს სივრცე,
გადაიქროლეს, გაჰქუსლეს შორით
და შემოვარდნილ ტალღის ზათქისებრ
წინ შურდულივით გაეკრნენ ორნი.

წამით სიჩუმე, სუნთქვა არ ისმის
და მერე ტაში იხუვლებს ისევ.
თითქოსდა ქარში აშლილა ისლი,
ცხენის ფაფარი ზუზუნებს ისე.

ხელის მოჩრდილვით გასცქერის ახლა
და უკანკალებს ჩიბუხი ხელში.
ქედს არ უხრიდა არავის, მაგრამ
ის ცხენზე ჯდომამ მოხარა წელში.

ასწრებდა ისარს ჭაბუკურ ჟინით,
ცაში გაფრენილ მიმინოს ჰგავდა.

დღეს გაგიჟებულ რაშების ჭიდილს,
ვაგლახ, ვერ ხედავს მოხუცი კარგად.

შორით კი, შორით უზანგნი ჟღერენ,
ვით სახსოვარი ნეტარი დღენი.
სურს, მოეფეროს გახვითქულ ცხენებს,
ვით სიჭაბუკეს, შეავლოს ხელი...

აჰა, „იმედას“ დასჭექეს ვაშა,
ყიჟინა მთების გადაღმა მიწყდა...
და ნაომარი ველივით დარჩა
ცხენთა ტორებით დახნული მიწა...

გზაზე შრიალით დაეშვა ბინდი,
ჩაცხრა მოხუცის თვალების თალხში.
ქვეითად მიდის, მარტოკა მიდის
და უღიმილოდ იჩქარის სახლში.

მთვარე კი ისევ გაეკრა ზეცას,
ისევ იქუხა სადღაც მაყრულმა.
და ვფიქრობ: ალბათ დიდ სიცოცხლესთან
ასე მთავრდება ჩვენი მარულაც...

1967

* * *

ქალები ამბებს ჰყვებიან ისევ,
შენც იტყვი რამეს, ქალი ხარ რადგან,
და ჩვენ სიყვარულს ახსენებ ისე,
ვით მგზავრობაში ყურმოკრულ ამბავს,
გულში კი სევდა გაჩნდება ძველი,
რად ვთქვიო, შენს თავს დაჰყვედრი თვითონ,
და კლავიშებზე დახრილი ხელით
გაწყვიტავ სიტყვას, არ გახსოვს თითქოს,
მაგრამ ამბავი განაგრძეს სხვებმა,
ვეღარ დამალე სათქმელი მაინც,
გაგიცივდება ტუჩშეუხებლად
ჩინურ ფინჯანში დასხმული ჩაი...
გვიან კისკისა ქალები წავლენ,
დაირაზება დარბაზის კარი
და მოგონებით ანთებულ თვალებს;
ვით საშიშ ხანძარს, შეხედავს ქმარი.

1958

დაბადების დღე

როცა მოდიან ჩემთან სტუმრები,
ვერც კი მოვასწრებ კარის გაღებას,
უმალ იწყება საყვედურები:
რად აგვიანებ დაოჯახებას!

უმალ იწყება ქალთა ჩურჩული
და გაოცება კვლავინდებურად:
ნუთუ არა ჰყავს ვინმე მიჯნური,
უცოლოდ რატომ გათეთრებულა.

მე მინდა მაინც, რამე ვიხუმრო,
მაგრამ ხუმრობას ვინმე შეგარჩენს?
შვილიშვილი რომ არ ჩაიხუტოს,
ბიჭო, ნუ მოკლავ ისე დედაშენს.

ამბობენ, ციხე ტყდება შიგნიდან,
მე თვით გავაღე სახლის კარები.
დაბადების დღეს რა მომივიდა,
მეჩხუბებიან ნათესავები.

ჯერ ერთი იწყებს, მერე — მეორე,
მე მოკრძალებით ყველას თავს ვუხრი,
რა დაემართათ ამ ჩემს მეგობრებს,
ჩემს ნაცვლად მაინც გასცენ პასუხი.

ვიფიქრე, იქნებ მორჩნენ, შეწყვიტონ,
და მოვიშველე ისევ ლექსები...
მაგრამ ისინიც შემომესიტყვნენ,
ოცდათექვსმეტი, ოცდათექვსმეტი!

დავდუმდი, ხმაც არ ამომიღია
და შორს წასული წლები შევრისხე,
შენ, ჩემო თავო, სად არ გივლია,
მაინც მარტო ხარ დაბადების დღეს.

გაგიფანტია სითბო, ალერსი,
დაგიბურდია გზები ცვრიანი.
რა დაგრჩენია მშობელ მხარეში,
მარტო ლექსები და ხეტიალი.

მართლაც მაკლია ვიღაც ამ წუთში,
ვით მეომარი ვდგავარ უფაროდ.
და ჩემს სუფრაზე ისე დავდუმდი,
როგორც წისქვილი უწყლო, უღარო...

მრავალჟამიერ სჭექეს, შესძახეს
და როცა ბოლოს ყანწი შემივსეს,
ისევ მესმოდა: წყვილად გვენახე
მომავალი წლის დაბადების დღეს!

1960

დრო — მონადირე

გარბის ირემი, როცა გამოსცემს
ხმას მონადირის ტყვია გამწყრალი...
და მეც სახეზე პირველ ნაოჭებს,
ასე გავურბი გულის ფანცქალით.

დრო — მონადირე მეც თავს დამატყდა,
ჭაღარა მისი თოფის ბოლია,
ისე მოვარდა ის ჩემს კარავთან
ფეხის ხმა არც კი გამიგონია.

და დაუნდობლად დამკრა, დამასწრო,
ვერ დავიცავი თავი ვერაფრით.
არც დამეკითხა, უმალ გამაძრო
ტანზე ბავშვობის ლურჯი პერანგი.

წამით დამატკბო შაქარყინულით,
გზაზე გამიხმო, წლებით დამღალა
და სიჭაბუკის ჭექა-ქუხილი
მაისის წვიმას არ შეახალა.

გარბის ირემი, როცა გამოსცემს
ხმას მონადირის ტყვია გამწყრალი...
და მეც სახეზე პირველ ნაოჭებს,
ასე გავურბი გულის ფანცქალით.

მომდევს კვალდაკვალ, ისევ დამეძებს,
ერთხელ ვერ გავხდი მისი მხილველი
და მონადირე — დროს ვით გავექცე, —
ვით გაექცევა ზეცას ფრინველი!

1950

სვანური კოშკები

დგანან და ნისლში ჩაფიქრებულან,
დაუფენიათ მუქი ლანდები,
მაღალ მთის მკერდზე დაკიდებულან,
ვით გაცვეთილი მუზარადები.
ათასი წლის წინ ისრით დახვრეტილ
ძვლებს შეწყვეტია ჯაჭვი დაშლილი,
ჩამოქცეულა ძველი თაღები,
ცეცხლში ჩამწვარა, როგორც ნახშირი.

წამომართულან კოშკნი ახალნი,
მჭექარ „ლილეოს“ ბანით რეკავენ,
შემდგარან ქიმზე, როგორც მაყარნი,
და სვანურ ცერულს ერთად ცეკვავენ.
უშბაც გუგუნებს მთათა ფერხულში,
ქვევით უსმენენ ქვანი დუმილით,
მთვარე კი გდია გიჟმაჟ ენგურში
და ტალღებს მიაქვს სვანის ქუდივით...

1958

კალენდარი

დღე — თვალის ერთი დახამხამება
გარბის და ღამე კარზე მოგასწრებს,
ფურცლები ისე ცვივა კალენდარს,
ვით ხეს ფოთლები შემოდგომაზე.

წარსული მრავალ თარიღს გადაშლის:
ომმა, ვულკანმა სად იგრიალა,
როდის გაბედა ცეცხლთან თამაში
პირველყოფილმა ადამიანმა.

ვინ ამოიცნო შორი ვარსკვლავი,
ვინ იდიადა ზღვათა შემოვლით,
როდის დაიწვა რომის ტაძარი.
ან სად დამარცხდა ნაპოლეონი.

დნება კედელზე ათას ამბებად,
ტოკავს ფურცელი უცხო მოთხრობით,
დღის ბოლოს მაინც ჩამოვარდება,
როგორც დამჭკნარი ვერხვის ფოთოლი.

მხოლოდ ის წუთი ქვეყნად არ ქრება,
ოდეს პირველი ტრფობა მოგასწრებს
და ის დღე რჩება მუდამ კალენდარს
ჩვენი სიცოცხლის შემოდგომაზეც.

1949

ოთარ ჭელიძე

წერილი შვილს პიონერთა ბანაკში

... რაც მოხდა, მოხდა... გულის წვას მარტო
შენ მიმიხვდები ერთი სისხლ-ხორცი,
ვინც შორეული ნუგეშით მათბობ —
ცეცხლი და რწმენა ჩემი სიცოცხლის.
თუ რამე კარგი ბოგინობს ჩემში,
ალბათ, ბავშვობის დღეებიდან მაქვს,
მეც პიონერის საყვირით ხელში
სწორედ შენსავით ვუხმობდი ბანაკს.
არც მე ვარცხვენდი ყელსახვევს წითელს,
ახლა დავდივარ თმაშეკერცხლილი,
ცოტაც მოიცა, მერე გამკიცხე,
თუ შენს წინაშე ვარ შერცხვენილი.
რა ვუყოთ, მიდგას ნაღველი თვალში,
ამომღარვია შუბლზე ღარები,
პიონერულად გედგები მხარში,
ცოტა ჩემსავით თუ გეყვარები.
ერთად ავივლით ბილიკით კლდეზე,
მთებზე, რომელიც მარტმა დათოვა,
მერე ცხოვრების დაქსაქსულ გზებზე
დაგტოვებ, როგორც მამამ დამტოვა.
შენ სკოლის ზარის ხმას იცნობ მხოლოდ,
არის სხვა ზარის გარდუვალობაც...
დაგიძახებენ მარტოხელს, ობოლს,
თუ იგრძნობ გლოვას და უმამობას.
რა საჭიროა ფიქრი ამაზე,
წერილის წერას უნდა უხშირო,
ხშირად მაცნობე, რომ ქვეყანაზე
არ ვარ მარტოკა, არ ვარ უშვილო.
ბანაკში თქვენთან მინდა, მოვიდე,
როგორც მშობელი და ამხანაგი,
შენ თუ იდგები კართან მორიგედ,
ყოფილ პიონერს მომეც პატაკი,
მომეც პატაკი, რომ ხარ გულწრფელი,
აყვავებული, როგორც აპრილი,
მეგობრობაში წმინდა, უცვლელი,
სათნო, კეთილი და პირდაპირი.
მომეც პატაკი, როგორ გასცურე
მოდიდებული წყალი მხარულით.
უკანასკნელად მინდა, დავრწმუნდე,
რომ ხარ მშვენება ჩემი მამულის
და ჩემზე კარგად რომ შეგეძლება
ქვეყნის შენება და სიყვარული.

1967

ძველი რექვიემი

ძველი რექვიემი კვნესის
ნიშნად თაობათა შეცვლის.
ზარით იუწყება სკოლა განა გაკვეთილზე შესვლას,
მოდი, სჭირდებაო მოვლა ყოფილ მასწავლებელს შენსას.
ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.

ზარს ხმა უმძლავრდება უფრო, როცა აიტაცებს მაღლა
ყვითელ ფოთოლივით კუბოს, ყოფილ მოწაფეთა ტალღა.
ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.
და მეც მეუფლება ღელვა, უტყვი სინანული მკაწრავს,
ერთად დავუბივართ ყველა სიმწარის უჩინმაჩინ ბაწარს.

ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.
და ღრმად გაჭრილია, ალბათ, მწვანე დედამიწის ბურთი,
სადაც ვიძირებით სწრაფად, როგორც ჟამთასვლაში წუთი.
ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.

ამ გზით წამიღებენ ასე, მაგრამ მასწავლებელს ჩემსას
მიაქვს საწყაული სავსე, ხსოვნას უკვდავებად შესვამს.
მე რას გავიყოლებ საგზლად, გარდა შაურიან ლექსის.
ჩვენი ბედისწერის მსგავსად ძველი რექვიემი კვნესის.

მიდის პროცესია დინჯად, კუბოს მორიდებით მივდევ-
ვნატრობ: მოწყურებულ ბიჭად სკოლას მოვევლინო კიდევ.
ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.

სხვა გზას დავადგები, სულ სხვას, დღეის სიმძიმილით სავსე.
ჩემგან განსწავლულთა ნუსხას რკინით ამოკვეთენ ქვაზე.

ხმა, შორს დარეკილი ზარის, თითქოს ცხედარისგან მესმის:
— ასმაგ ურთულესი არის — ქვაზე ამოკვეთა ლექსის.
ძველი რექვიემი კვნესის
ნიშნად თაობათა შეცვლის.

რაღაც საოცარი განცდა ცივი გარემოცვით მგესლავს,
თითქოს მასწავლებლის ნაცვლად ყრმობას მივასვენებ ჩემსას.
ძველი რექვიემი კვნესის
ნიშნად თაობათა შეცვლის.

მე ვინც უძველესი ქვეყნის წრფელად შემაყვარა მიწა,
წევს და სიკვდილითაც ჩემთვის ერთგულ მასწავლებლად იქცა.
ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.

და მეც ვუერთდები ყველას, მწარე სინანული მკაწრავს,
მთელი პროცესია თელავს ჩემი სიგარეტის ნამწვავს.
ძველი რექვიემი კვნესის,
ნიშნად თაობათა შეცვლის.

1956

ქიტესა

რად არ დამარქვა დედამ ქიტესა —
ძველი ქართველი გლეხის სახელი,
სად ჩაიკირა, სად ჩაითესა
გავერანებულ ქვეყნის ნაღველი.

ბრძნული სახელი ბრძნულ სიმღერებში
ვერ იქნა, კარგად ვერ გაილექსა,
ვინ დაითვალოს, გუთნისდედებში
სახელად რამდენს ერქვა ქიტესა.

ვინ დაითვალოს, მეცხოვნეთა
რაზმში ქიტესა იყო რამდენი!
არ დამარხულან სვეტიცხოველთან,
თითოს ეღირსა თითო სანთელი.

გადავიწყებას ბევრი მიეცა,
თუმც მეფეებზე მაგრად იომეს,
სამ ჯარისკაცში თითო ქიტესა
ჰყავდათ გვაროვან ბაგრატიონებს.

ზოგს ქუხილივით გადაუვლია,
ზოგი ჩუქურთმის ჭრაში გათავდა,
ზოგი სპარსეთში დაკარგულია,
ზოგის სამარხი არის მარაბდა.

არ უნატრიათ გადიდკაცება
და გლეხკაცები — ქართლის ფესვები —
ჩაწვნენ მიწაში, ერის დამცველად,
რომ დაზრდილიყვნენ სხვა ქიტესები.

არც სახელისთვის, არც დიდებისთვის
არა სჩვეოდათ ხმის დაბოხება,
მათი აწმყო და მათი მერმისი
იყო მიზანში მტრის ამოღება.

ეჰე, მამულმა განა დაკარგა,
ვინც დაიტია ქვეყნის ნაღველი,
დედამ ქიტესა რად არ დამარქვა,
ძველი ქართველი გლეხის სახელი.

1950

ჯაჭვის ხიდი

ჯაჭვის ხიდი, ჩვენი ხიდი,
ჯაჭვი რაჭა-იმერეთის,
ზედ სიცოცხლე ცეკვით მიდის
ბალღობიდან — სიბერემდის.

მის ქვეშ ახლა მეტივეთა
მეტივური აღარ ისმის,
ნეტავ ლექსიც მეტი მეთქვა
მეტივეთა საკადრისი.

ამ ხიდიდან გავჩნდებოდი
ათი კაცის საფარავში,
რიონს ზურგზე ვახტებოდი,
როგორც ლურჯას ფაფარაშლილს.

წლები მდორედ არ წამსვლია
და ვერც ახლა გავხდი დინჯი.
წყალს ვტაცებდი აბაზიანს,
ვით მყვინთავი ზანგის ბიჭი.

ვიღაც მიხმობს, გადახტიო,
— წყალი როგორ გაკრთობს, კაცო!
გადახტიო, ყაჩაღ რიონს
რომ ბალღობაც გამოსტაცო.

ჯაჭვის ხიდი, ჩვენი ხიდი,
ჯაჭვი რაჭა-იმერეთის,
ზედ სიცოცხლე ცეკვით მიდის
ბალღობიდან — სიბერემდის.

1959

დაუპყროგელი მწვერვალი

ქვების ფხოჭნით გაშავდებით, როგორც რკინის კაუჭები
და, თითებო, გაშმაგდებით კლდეებს ჩაებღაუჭებით!
ვინ გამკიცხოს, ვინ დამძრახოს, ჩემი ზრახვა წმინდა არის,
უფრო ახლოს მინდა, ვნახო სამოსახლო მზის და შთვარის,
ფრჩხილებიდან სისხლის დენით, ტანში გამცრელ ცივ დუმილით,
თქვენ, თითებო, იწრიტებით მოსასხლეტი ყინულივით.
განა ბედისწერა მიტანს, მაქვს ძალ-ღონე, მაქვს მოთმენა,
ვიცი, ჰქვია მწვერვალიდან გადმოვარდნას გადმოფრენა.
თქვენი სიმწრით გამაჟრჟოლებს, ლამის გავტყდე კაცი ურჩი,
როცა სისხლის ყაყაჩოებს ქვაზე ხატავთ ათი ფუნჯით,
და სიცოცხლეს გეფიცებით: ჩემი ხვედრით და წუხილით,
ჩემი მრწამსით, ჩემი ძვლებით გეჭიდებით მარწუხივით.
თქვენ ხართ ღირსნი, ლამაზისთვის სოსანს წყვეტდეთ ტკბილსაყნოსავს,
თეთრ კლავიშებს აკვნესებდეთ ერთი ფორტეპიანოსას,
მე ვმღეროდე: „ჩემი ბედის ვარსკვლავს გიხმობ მხოლოდ შენ ერთს,
მხოლოდ შენ ერთს, რაც რომ ჩემთვის მოუცია მაღლიდან ღმერთს“.
მაგრამ ახლა მესვრის ღიმილს ცალი თვალი სამყაროსი
და მებნევა ყელზე სხივით მზე — ვეება ავგაროზი.

შორს გრუხუნებს ხმა უფსკრულის და გზის არ ჩანს დასასრული —
ჩვენი რთული საუკუნის ფიქრთა მსგავსად დაქსაქსული.
ძირს ჰგავს ხალხი ჭიანჭველებს, მოაქვთ ტვირთი პაწაწინა,
ალბათ წუთით შეაჩერებს მგზავრებს ჩემი თავგანწირვა.
თუ ჯობია მგოსანთ ბაღში ვიჯდე, სიცხე მასუსტებდეს
და ვუცდიდე, ვიდრე შაშვი არტისტულად დაუსტვენდეს.
ფრჩხილებიდან სისხლის დენით, ტანში გამცრელ ცივ დუმილით,
თქვენ, თითებო, იწრიტებით მოსასხლეტი ყინულივით,
ვინ გამკიცხოს, ვინ დამძრახოს, ჩემი ზრახვა წმინდა არის,
უფრო ახლოს მინდა, ვნახო სამოსახლო მზის და მთვარის.
ქვების ფხოჭნით, ხოხვით, ცოცვით, მაგრამ მაინც წინ და მაღლა.
მთელი ჩემი სისხლით, ხორცით მთის დაპყრობა მინდა ახლა.
ცეცხლის ღმერთი ვხდები წუთით, ძახილს მაღლა ვატან ნიავს,
რომ მწვერვალმა თეთრი ქუდი, მომიხადოს ადამიანს.

1958

ბეშტაუს ბალადა

ხეტიალი არ მიყვარდა მტვრიან გზათა ბუღში,
მაგრამ მაინც დამიღამდა ბეშტაუსთან გუშინ.
აულები, სტანიცები მწუხრში როცა იწვნენ,
ვთქვი: თუ წავალ, წავიქცევი, ჯანის დაღლა ვიგრძენ.

ტრიალ სტეპზე წამოვწექი, ვარსკვლავები ვთვალე.
ვიღაც მიხმობს: — წამოდექი, წამო-მეთქი, მალე!
დამცქეროდა ორბის ცქერით ცეცხლი ანათრთოლი,
უცებ ვიცან ოფიცერი, წლებით ჩემი ტოლი.

— არ ვინდომე, ძმაო, სხვები! — გადმომძახა სხარტად, —
— აჰა, ცხენი, წამომყვები მთებში სეკუნდანტად.
გამეღვიძა, წამოვდექი და ჩემს ადგომამდე
წასულიყო იგი ერთი საუკუნით ადრე,
წასულიყო და დუელში დამწვარიყო ნაცრად,
ჩარჩენოდა საგულეში ტყვია გულის ნაცვლად.

ასი წლის წინ დაცემული მთაგრეხილის ძირას
ლერმონტოვი — მთადქცეული ღრუბლებს წვდება რძიანს.
უნდა ისევ დაიქუხოს, ოხრავს უხმო ნატვრად,
ყველა ნამდვილ პოეტს უხმობს ძმად და სეკუნდანტად.

1959

ვეფხის ბალადა

შეიშმუშნა ზღვის ნაპირის უდაბური მხარე;
ლერწმებიდან ნადირივით გამოვარდა მთვარე.

ჩამუქებულ შამბნარებში გაიღვიძა მხეცმა,
გაიღვიძა და თვალებში თითქოს ცეცხლი ეცა.

დაიქუხა, დაიჭექა, გაიელვა ჭრელად,
ზე ასწია თათი ვეფხმა მთვარის დასაჭერად.

სისხლისფერი მნათი მშვიდად როცა დაჯდა მთაზე,
ახტა ვეფხი, გაეკიდა მრისხანებით სავსე.

მთვარემ ისევ გადინაცვლა, სხვა მწვერვალზე დაჯდა,
ვეფხიც განა დაიქანცა, მთაგრეხილთან გაჩნდა.

ბედუინთა ცხელი მხარე უკან დარჩა მდევარს,
არ დაეძებს არც ცხვრის ფარებს, არც ცხენების რემას.

ხრამებს, ჩქერებს გადალახავს, მთვარეს შორით უცქერს,
შვლების ჯოგებს სადაც ნახავს, გვერდს შორიდან უქცევს.

მთელი ღამე ასე სდია მოელვარე მთვარეს,
და წააწყდა მთების ძირას სიზმრად ნახულ მხარეს.

რას შეხედა... ვეფხი შედგა, დაატყვევა მიწამ,
დაავიწყდა, მაღალ მთებთან რისთვის გამოიქცა.

შედგა, თითქოს ქანდაკებად გააქვავა მეხმა,
ხელმეორედ დაბადება თუ ინატრა ვეფხმა!

გადახედა ვერხვნარს, ბაღნარს, იალაღებს, არაგვს,
შედგა ვეფხი, არა, სხვაგან წასასველი არ აქვს.

დიდხანს იდგა, სანამ დილით არ ახალეს ტყვია,
ძირს დაეცა და სიკვდილი არც კი შეუტყვია.

გაწვა ვეფხი ტიალ გზაზე, მიწას უწყო ლოკვა;
საქართველოს სილამაზემ ასე ბევრი მოკლა.

1959

შაურიანი წვიმა

ახლა, ღრუბლებიდან არ ცრის,
მაგრამ შეწყვეტილი წვიმა
წუხელ გალუმპული ცაცხვის
სველი შტოებიდან ცვივა...

წამლის წვეთებივით ჩემში
კირავს, აკოწიწებს ბზარებს,
წვეთებს გავუწოდე პეშვი,
როგორც წუთისოფლის მგზავრებს.

წარბის შეურხევლად, წყნარად
ვდგავარ გაშვერილი ხელით,
სველი შტოებიდან წამლად
წვეთის ჩამოვარდნას ველი.

ხეზე მოდარაჯე ელდა
უცებ ააფეთქებს კვირტებს,
ვიღაც მოქალაქე დგება,
ხელში შაურიანს მიგდებს.

თითქოს გადმომასხეს წყალი,
თვალი გავახილე მაშინ...
ასე იაფია წამით
თავის დავიწყება ხალხში?

1960

ევა

თვალი გავადევნე შუაღამით,
გამოცნაურება მომერიდა,
მთვარედავსებული, შუბლმაღალი
ევა მოდიოდა ოპერიდან.

კაბის ერხეოდა იალქანი
და ჩემს ოცნებაში აშიშვლებდა,
ფეხქვეშ დათოვლილი ფილაქანი
ფილებს უკვნესებდა კლავიშებად.

განზე გამოხედვით განმერიდა
ხვედრი უდაბნოში წაქცეულის,
დამრჩა ბიბლიური თვალებიდან
შუქი უთვალავი ასწლეულის.

მისი მოსასხამი დაფოთლილი
შრიალს საგალობლად გამოსცემდა...
და მე ვზეიმობდი კმაყოფილი —
კვლავ რომ შემძლებია გაოცება.

1967

ბუბა

შორიდანვე შეგნიშნავენ,
ბუბავ, შავო ქედო,
დავიბადე და სიშავეც
შენგან გადმომედო.
ნუ მიცქერი, მთაო, შავად,
ნიშნად შავი ბედის,
ჯერ ადრეა, ჯერ შორსაა
პირშავ სამარემდის,
წელი ხომ არ შეგეშალა
ჩემი დაბადების?..

1955

ჟუჟა ალმაში

ცეკვავს ჟუჟა ალმაში
და გასარკულ ყინულზეა,
როგორც ხალას ალმასში.
მზის და ცეცხლის ილუზია.
ტაშის ხმაში არ ესმის
ბეწვის ხიდზე გადამავალს,
რომ ციგურებს ალესილს
მალე სკივრში გადამალავს.
მახსოვს, სიზმრის ნაირად
ჩვენს ეზოზე გადიარა,
აჟღრიალა დაირა
მისმა დარმა მადიარმა.
დღეს ორკესტრი რას უკრავს:
ტარანტელას, კაპრიჩიოს
პოლონეზს თუ მაზურკას...
ვის რა უნდა — აირჩიოს.
მე სხვა ჰანგი ხილული
რიტმს მიჟღერებს წვივებისას,
ჰიმნს მიმღერის — ყინულის
ცეცხლთან დაქორწინებისას.
აღელვებულ დარბაზში.
ველურ ფერთა მარეკივით
ასი ჟუჟა ალმაში
სარკეზეა არეკლილი...
ერთი ჩემსკენ გამორბის
და უპირებს გაცოცხლებას
ციგურების გალობით
ყმაწვილკაცურ ნაოცნებარს.
თითქოს იცნო პირიმზემ
ჩემი მზერა დარცხვენილი,
უბედობის ბილიკზე
როგორ ვეგდე ნაცემივით.
მაგრამ რა გაეწყობა —
ხვედრს ვერავინ გადამალავს,
ჩემი სახე ეცნობა
ბეწვის ხიდზე გადამავალს.
როკავს ჟუჟა ალმაში
და გასარკულ ყინულზეა,
როგორც ხალას ალმასში
მზის და ცეცხლის ილუზია.

1969

დამშვიდება

ახალგაზრდა ქალი თავშლით,
შუბლქვეშ შავი სევდის ჩრდილით,
შუაღამით აფთიაქში
შევარდება შეშლილივით.
ქრება ელდა წამიერი
და სარკმლიდან ღამის ქუჩა
გამოჩნდება ცარიელი,
როგორც მწვანე წამლის შუშა.
მოეშვება გულზე დედას,
შიში ვეღარ დააფეთებს,
დამშვიდდება, რომ შეხედავს
წამლის რიგში ჩამდგარ დედებს.

1952

ბორის პასტერნაკს

ციდან საქართველოს დანახვისას
გითქვამს, აწეწილი ლოგინია,
სადაც სულიერი გადახიზვნა
ჟამმა სიზმარეულ მოგივლინა.
და ჰა, განმეორდა სასწაული —
ჩვეულებრიობის უკუმგდები,
ბრძენი ფაუსტივით განსწავლული
ანბანს ყმაწვილივით უბრუნდები.
როგორც ნამთვრალევზე მარახოში
ღვინით გარდასულის გაღვიძება,
უცხო სახეების სამყაროში
ვაზის სურნელება გაგიძღვება.
აგნებ განძეულის აკიდოებს,
და სხვა პოეტთაგან განსხვავებით
პწკარში გამოკეტილ ცხრაკლიტულებს
აღებ ვიოლინოს გასაღებით.
და გრძნობ — მუსიკაზე გულწრფელია
გულის ფიცარივით გამბურღავი,
ძმათა აუკინძავ ფურცლებიდან
ცივად გამოცრილი სამდურავი.
სისხლში გიტრიალებს ქარბორბალას,
განცდა თაობათა მიმოქცევის,
დაგდის იეღოვას შთამომავალს
ცრემლი ბიბლიური იოსების.
და წრე ჯადოსნურად ირკალება,
ვეღარ გაქცევიხარ ვეღარსაით,
გთანგავს სიმძიმილის მიკარება
ზართა გამუდმებულ რეკვასავით.
ძველი საქართველოს ჭრილობები
ტანზე სახადივით გეფოთლება,
მიხვალ უსასრულო ჩრდილოეთის
მიწას დამჩნევია შეშფოთება.
ციდან საქართველოს დანახვისას
იტყვი, აწეწილი ლოგინია,
სადაც სულიერი გადახიზვნა
ჟამმა სასწაულად მოგივლინა.

1909

ბერიკაცებო!

ბერიკაცებო, ჭრელი კურტნებით
მთელი დუნია შემოგივლიათ,
დაკორძებულა თქვენი კუნთები,
თქვენი ფილტვები შებოლილია.
ყავის, კაკაოს პლანტაციები,
ზღვები, ჯუნგლები რა არ გინახავთ,
ძმები — უცხოეთს გარდაცვლილები,
უჭირისუფლოდ არ დაგიმარხავთ.
გარდა ჭლექისა, გარდა ციების,
გარდა ცეცხლისა, გულს რომ ეკიდა,
გარდა ცემისა და დამცირების
რა წამოიღეთ უცხოეთიდან?
— სანამ ჩონჩხები აქ დაგვრჩებაო,
მჭადი გვერჩიოს კვლავ ჩვენებური! —
თქვით და წამოდით, დაგხვდათ ჭრებალო
თქვენი დანახვით აცრემლებული.
ბერიკაცებო, ჭრელი კურტნებით
მთელი მსოფლიო შემოგივლიათ,
დაკორძებულა თქვენი კუნთები.
თქვენი ფილტვები შებოლილია.
ვინ გადიხადა მეტი ვაება —
წაუჩოქებლად, შეუჩერებლად.
დახვალთ რაჭაში მეტივეებად,
მესტვირეებად, მეჭურჭლეებად.
რაჭულ ჭურების ნახოს სისავსე,
ვისაც მოუნდეს თქვენი გაცნობა,
რომ მეგულებით დედამიწაზე,
თქვენ დაგელოცოთ ბერიკაცობა.

1940

კუმურდოს ტაძარი

უდაბურ ზეგანზე სადგურდება
ნგრევის და არყოფნის ნატერფალი,
ინთქმება, იქცევა, ნადგურდება
კუმურდოს უმრევლო კათედრალი.
დრო ლოდებს აგორებს ყომარივით,
გარშემო ნამსხვრევთა შრაპნელია,
და ჯვარი, აქშეულ ყორანივით,
საფლავის ბალახში ჩაფრენილა.
ნაგები ზეკაცურ რუდუნებით
იშლება ტაძარი ნახანძრალი,
ბავშვები ისვრიან შურდულებით
აწმყოდან წარსულში გადამძვრალი.
ღვთისგან და კაცისგან მიგდებული
თვალებში ჩამცქერის მგლოვიარე,
პორტალი მანიშნებს დიდებული:
მომხედე, მიშველე, მომიარე,
გამთანგველ გოდებას ვუჩუმდები
და სულში გუბდება ქარტეხილი,
კამარის იყრება ჩუქურთმები —
სამოთხის ვაზებად დაგრეხილი.
ინთქმება, მიწაში ითესება,
სვეტები ემხობა თავდაყირა,
რაც ოფლი დაღვარეს ქიტესებმა
ფრეზებზე მარილად გადაჰყრია.
თაღის წილ ლაჟვარდის ნახევია,
სიწმინდე ლივლივებს ქალწულური,
ქვის მტევნებს ტბებივით გახელია
მარცვლები — ცრემლებად დაწურული.
უდაბნოს დუმილი სადგურდება
ბზარებში ამოჩრილ ბალახივით.
კურთხეულ ოსტატთა საკუთრება
ქარს მიაქვს უჩინარ ბალდახინით,
და თითქოს ზარები დაირეკა,
წკარუნი ჩამესმა ღამურული.
მიმწუხრის ჩრდილებად აირეკლა
ფრესკები — წაშლილი, გამურული.
ვიღაცამ ყვედრებით წამომძახა:
— ნანგრევზე ვალალი გვიანია;
უკვდავის მოკვდავად წარმოსახვა,
ვინ უწყის რაოდენ გვინანია.
უდაბურ ზეგანზე ბანაკდება
უთაღო, უმრევლო ნატაძრალი,
დაქცეულ სიცოცხლის ქანდაკებად
მაინც დგას ქვითკირის პატარძალი.
უებრო ლაზათი შეუცვლია
და როგორც გაფანტვა წვრილმანების,
კუმურდოს აროდეს შეუძლია,
დაკარგვა ყოფილი ბრწყინვალების.
რადგან მან ხარკივით ჩააბარა
საწუთროს მშვენება გარდასული
და ყოფნა-არყოფნის ანაბარა
არ უცდის უკვალო დასასრული.
ფესვებით სამარხთა ბორცვებზეა,
წმინდაა კაცთანაც, უფალთანაც
და თეთრი ლოდების პროცესია
უგალობს ამაო სულთათანას.
ჟამთასვლა მოკვდავებს უმკლავდება,
ტაძარი ვერასგზით წაუშლია,
რამეთუ კუმურდოს უკვდავება
გასცლია და უკვე წარსულშია.

1969

ორი მარაგდელი

მხედარს ცხენმა გაურჩება გაუბედა გარდაბანთან,
უცებ გზაზე გამოჩნდება ცხენოსანი შავნაბადა.

რაშს მკერდიდან ორთქლი ასდის, ორთქლი ღრუბლად აჰქრის ცაში,
გახვითქულა გოლიათის სიმძიმისგან შავი რაში.

ცხენი ლახტით გადარია, მოჰქრის, გზიდან ბუღი ასდის.
ალბათ ვინმე თათარია, მაგრამ თათარს — ქუდი ნაბდის?

ჩრდილი ხევთან ითალხება, აღვირს სტაცებს პატრონს რაში,
მხედარს მკერდზე ცისარტყელად შემოურტყამს პატრონტაში.

ნაბადს ქარი ისე არსევს, თითქოს ტყდება შავი ტალღა,
მაღლით ცა და ძირს ბალახი ფლოქვთა მტვერში ჩაითალხა.

ლურჯი ნისლი იალაღის შიშნაკრავი ადის მაღლა,
— დაყარეო იარაღი! — ცხენოსანმა დაიძახა.

დგება შავი რაში ყალყზე, ლაგმიანი ტანჯავს ყბები,
— არ ველოდი, განჯის გზაზეც გაჩენილან ყაჩაღები.

თოფი მქონდეს, სად გავცრუვდი, გავცემდიო პასუხს თოფით.
— განზე გადექ, რაღას უცდი! — გადმოჰყივლებს კვლავ უცნობი. —

— ჩამითვალე შენის ხელით, ღარიბს დამჭირდება ფული.
ეგ ხანჯალიც შეიხსენი, — ყვირის ხირიმშემართული.

— ფული? — ჩაიცინებს გულში, ტატოს შიში გაეფანტა.
ვალის გარდა საფულეში ერთი გროშიც არ ებადა.

ძველი ხანჯლის ჩამოხსნისას ჩაეღიმა ბარათაშვილს,
ყაჩაღს იცნობს, ბალღობისას შეხვედრია მარაბდაში.

უცხოც შეხვდა მას ღიმილით, შეყოყმანდა წამით ასე
და ნაბადი მან ჩრდილივით გადააგდო მწვანიანზე.

ბოლოს, თავქვე ჩამოსვლისას, მოაბრუნა მარდად რაში,
ტატოს ჰკითხა: — ბალღობისას თუ ყოფილხარ მარაბდაში?

ჩვენსოფლელი ვეღარ გიცან, რა კაცი ვარ, რა ქართველი.
ნუ წახვალო, ჯერ დაიცა, — თხოვს მარაბდელს მარაბდელი.

უარის თქმა იყო ფუჭი, შეტრიალდა წაღმა ჩარსი.
უნაგირზე მოვლემარ ხურჯინს გადაუხსნის თავს ყაჩაღი.

გზის ნაპირას ნაბადს გაშლის, გაგორდება ყანწი გრძელი.
თავპირველად ბარათაშვილს აწვდის, როგორც მასპინძელი.

დაცალეო ერთი ყანწიც, თვალები რომ დაგვეცრემლოს,
ეს იყოსო გლეხიკაცის, ღარიბ კაცის სადღეგრძელო.

ვეხეტები გზიდან გზაზე, რაც მებადა, წამართვესა,
მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ, ღმერთი როგორ წამახდენსა.

გზის ნაპირას ისხდნენ ასე, დასდგომოდათ თავს ნათელი,
ხვედრის უსამართლობაზე ბჭობდა ორი მარაბდელი.

როგორც დედინაცვალს გულქვას, გაქცევია ორივ ყოფას.
გზა ორივეს არაგვს უგავს, ქედით ორად რომ იყოფა.

ერთი ღატაკს ესარჩლება, მდიდარს გზაზე დაუხვდება,
გადმოხდომა ემარჯვება, რიხიანად დაქუხება.

მეორესთვის ეს საწუთრო უფსკრულია, მარად ბნელი,
თუ ამხედრდა, ვერ გაუსწრებს ვერც არსენა მარაბდელი.

ვერც სიკვდილი დაეწევა, ვერც ძახილი მუხთალ დღეთა,
ხვედრს მეხივით დაეცემა, თუ აჯანყდა, თუ ამხედრდა.

გზის ნაპირას დიდხანს ისხდნენ, ჯანში არყის ჩადგა ეშხი,
წუთიერმა სიხალისემ გაიელვა მათ თვალებში.

ადგა არსენ მარაბდელი, სადღეგრძელო რაღა დარჩა...
ვერცხლისფერად დანაფერი ფიცხლად იძრო მან დამბაჩა.

ცივი ლულა გადუკოცნა, კაცი ღმერთკაცს ჰგავდა მაშინ,
ყანწის დარად გადულოცა იარაღი ბარათაშვილს.

— გქონდეს, ამით დაგახსომდეს ჩვენი კარგი პურ-მარილი,
სადაც შემხვდე, არასოდეს არ დამიხვდე სტუმარივით.

განდევნილი დავალთ სოფლად, მე ყაჩაღი, შენ მგოსანი! —
თქვა არსენამ და გაშორდა ერთურთს ორი ცხენოსანი.

1959

ოთარ კუპრავა

სამი ოთარი

სამნი ვიყავით — სამი ოთარი
და სამ ბეღურას ვგავდით წვიმაში,
გვქონდა ბალღობა ტკბილი და წყნარი,
ფესვებგადგმული სოფლის წიაღში.

რამ გამახსენა დღეს ის ბალღობა!
რად დავუბრუნდი ოცნებას მშფოთვარს!
რა ქარს ამოჰყვა წელთა გაღმიდან
სამი დედის ხმა: „სადა ხარ, ოთარ?..“

მსურს, ვუპასუხო, ხმა არ მომყვება,
გულიღა შფოთავს, ყვირის: „აქა ვარ!..“
იქნებ დაულბათ ცრემლით ლოყები
და დაეფინათ თმებზე ჭაღარა!

როგორ ეყოფა სამ დედას ეს ხმა,
დაილევიან ლოდინში, მჯერა.
ერთ ოთარს ზღვაზე ხიფათი შეხვდა,
ომში იყო და არა ჩანს ჯერაც.

მას ზღვა უყვარდა ვრცელი და შლეგი,
დავბრუნდებიო, მახსოვს, დამპირდა...
შემომეხარჯა თმების გიშერი,
ვგავარ დაღუპულ გემის კაპიტანს.

მეორე ოთარს დავეძებ ახლა,
მერცხალს ჰგავდა და გაქრა მერცხლადვე...
— სადა ხარ, ბიჭო, შენ მაინც მნახე
ან ძილში მაინც გამომეცხადე!

შენ ცა გიყვარდა, ლომგულო ძმაო,
შენც ხომ დამპირდი, დაბრუნდებოდი...
ცაში გეძიოთ? ზღვაში გეძიოთ?
ვით მოვიხადო ვალი მეგობრის?

მე ერთმა ისე როგორ ვიღელვო,
რომ სიყვარული მზემდე ავწიო!
მე ერთმა ისე როგორ ვიმღერო,
რომ სამმა დედამ გაინაწილოს!

უკვე რამდენი წელი გავიდა,
მე დავრჩი სამი დედის წინაშე.
სამნი ვიყავით სულ ხომ თავიდან
და სამ ბეღურას ვგავდით წვიმაში.

1962

ნატო ვაჩნაძის ხსოვნას

ალბათ ვარსკვლავმა ეშხი გაგიყო,
ეცილებოდი მას ხომ ტოლივით.
ნუთუ თბილისი ღირსი არ იყო,
ენახე ნაზად თმებდათოვლილი!
— სადა ხარ, ნატო! — ქვითინად ისმის,
ყველა ჩვენგანის ცრემლის დენა ხარ...
ნუთუ თბილისი არ იყო ღირსი,
შენი ახდილი კუბო ენახა!..
ცრემლი ამ წუხილს როგორ წარეცხავს,
ვისა აქვს გული დარდის დამტევი?!
ყველა ჩვენგანის მკერდზე დაეცა
მაგ შენი ფერფლის თითო ფანტელი.
ცაში დაიწვა ვაჩნაძის ეშხი
და ფრინველების შეწყდა გალობა...

შუქურ-ვარსკვლავო, ცის ვარსკვლავებში
დაგიწყებს ძებნას შთამომავლობა.
რა ელვამ გაჰკრა სიცოცხლის სიმებს,
ნუთუ არა გვყავს ნატო ვაჩნაძე!
ნუთუ სცენიდან არ გაიღიმებს
ხალხის ძახილზე, ხალხის ვაშაზე!
არ დაიჯეროთ! გულს ხომ არ სჯერა!
ის თვითმფრინავი აგერ მოფრინავს,
მოულოდნელი ხანძრის გაჩენა
კინო-სურათის კადრი ყოფილა!..
ვაგლახ! ფოლადი არ ჰყოფნის სიტყვას,
მწველ სინამდვილეს გული განიცდის...
შენ სილამაზის ვარსკვლავი იყავ
და ვარსკვლავივით ცაში დაიწვი!

1958

ორი ხმა

ეს ჩემი გული ორია,
ერთში სწვიმს, ერთში დარია...
ხ ა ლ ხ უ რ ი

შენ დაიბადე, როგორც ვარდობა
შვიდი მაისის შრიალა თქეშით.
შენ დაიბადე ფუძის მნათობად,
ამღერებული კვირტების ხელში.

დაბადებითვე სიმშვიდე მოგყვა,
ვერ გრძნობ, რა ჯაფაც მოგელის მერე,
ჯერ ვერ ანსხვავებ სიცილს და ოხვრას
და, როგორც კვირტში ჩამალულ ფერებს,
შენს გულში სძინავს მდუმარე ორ ხმას.

ენას აიდგამ, გაირბენ ჩქარა
და აიდგამენ ენას ისინიც,
და გაიყოფენ შენს ნორჩ გულს ორად,
და მათი აზრი, ჩუმი ნისლივით,
მხოლოდ შენს სმენას მისწვდება მარად.

... პირველად გასულს უსაზღვრო გზაზე
ეგება მარცხიც შეგხვდეს ავბედად,
ერთ გულს ენდობი? დარდი აგავსებს,
მეორე გაგხდის გმირს და გამბედავს...

... ღმერთმა მეგობარს ნუ დაგანატროს,
ჭირში გამტანს და ერთგულს ლხინშიაც;
იქნება ბედმა მას უღალატოს,
შენ კი უსმენდე მშვიდად ტყის შრიალს.

ერთი ხმა გეტყვის: — თვით არა გიჭირს,
ნუ აიკიდებ უცხო კაცს ტვირთად!..
მეორე ხმა კი მოგძახის დინჯი:
— ძმას ჭირში უძმო, წესია გმირთა,
არ გააკარო სიყვარულს ხინჯი!

... ოჯახის ძალას შეიგრძნობ თავად,
დრო გავა ზღაპრულ სინეტარეში;
იქნება ცოლთან მოგიხდეს დავაც,
ვის უცხოვრია ამის გარეშე!

და მაშინ გული მოგძახებს ერთი:
— თვალი შეავლე სხვა ქალთა იერს,
ვინ იცის, იქნებ სხვა უფრო გეტრფის,
შიენდე, აჰყევ გრძნობებს წამიერს!
— ოჯახს ნუ დაგმობ! — მეორე გეტყვის.

... ვიცი ეწვევი ყინწვისს და გელათს,
ბეთლემისა თუ ვარძიის ქვაბებს.
შემოგასხივებს სტრიქონთა ელვას
წარსულის მზე და შუქს შემოგაფენს.

ერთი ხმა გეტყვის: — რას ეხეტები,
რას ეფერები უსულო ლოდებს?..
მაშინ მეორე ხმა გამეხებით
აგაჟრიალებს და დაგაჩოქებს...

... იქნებ ფოთლებად ადრე შეგვაჭკნეს
დღეები მშობლებს — მე და დედაშენს,
დარჩები კერის უფროს მესაჭედ
და მინდა ცრემლი, მალე შეგაშრეს,
ოღონდ ჩემს სახნისს ჟანგს ნუ შეაჭმევ.

შემოგიჩნდება ერთი ხმა ჭიად:
— რად გინდა მშობლის სახლ-კარი ძველი!
გამოეთხოვე ამ ჭიშკრის ჭრიალს,
შორს უკეთესი ცხოვრება გელის!

მაშინ მეორე ხმა აღენთება,
გეტყვის: — გიყვარდეს ფუძე წინაპრის,
მოგზაურობაც, ცის ამღერებაც,
მთებში გაცვეთა რკინის წრიაპის
და ისევ ძველი ჭიშკრის შეღება!

... ბოლოს მიაღწევ თმებდათოვლილი
სიცოცხლის დღეთა ჩამოზამთრებას,
ყველა განცდა და აზრთა ჭიდილი
შენს გულში სიბრძნედ ჩამოზვავდება.

და ასე ივლი გაჩენის დღიდან,
და არ დაგტოვებს კუბოს კარამდის
თეთრი და შავი, მღვრიე და წმინდა,
ორი ხმა, როგორც ორი არაგვი.

და თუ ყოველთვის ამ ორი ხმიდან
ამოაშუქებ კეთილს, მიწიერს, —
ახალგაზრდობის მძლავრ გზად და ხიდად
სახელი შენი მარად იბრწყინებს.

ჯერ კი ვერ არჩევ სიცილს და ოხვრას
და, როგორც კვირტში ჩამალულ ფერებს,
შენს გულში სძინავს მდუმარე ორ ხმას...

1966

დაჭრილი ხევსური

ფეხი შეგვიცდა ჯაბუშანურთან,
შემოგვეგება დინჯი ხევსური,
გაჩნდა კოკურა,
გაიწყო სუფრა
და თბილი სიტყვაც გაჩნდა ხემსივით.
ეჯახებოდნენ ჭიქებს ჭიქები,
თითქოს სიონის ზარები რეკდნენ.
მერე შეგვასხდნენ მხრებზე ჭინკები,
სულიდან ლექსის ხმაც ამოვკენკეთ...
იმ სიყვარულის ნათელი მომდევს,
ის გახსენება მიღირს ცხოვრებად.
ნეტავ, ო, ნეტავ შეიძლებოდეს
დღის იმნაირის განმეორება!
ნეტავ ვისმინო ისევ ის ზარი,
მოძმის დაკარგვით დღეს გულმოკლულმა...
... გვერდულად აჩნდა პატარა ბზარი
და დაჭრილ ხევსურს ჰგავდა კოკურა.

1960



შოთა ლომსაძე

მთები

იდგნენ და ელოდნენ..
ვ ა ჟ ა

I

საქართველოს მთებს, საქართველოს მთებს,
როგორც ციურ გზებს ვერ გაექცევი.
იქ არის თეთრი უმანკოება,
უსპეტაკესი არის შრიალი,
სადაც მეუფებს მხოლოდ სიმშვიდე
და დგას დუმილი ქარიშხლიანი.
საქართველოს მთებს, საქართველოს მთებს,
იმ ზეციურ ხმებს ვინ სად მიუხვდეს?
დგანან ამაყნი, მომზირალნი, დაფიქრებულნი
და, რომ ეს ტრფობა აქ ზოგს ეღირსა,
მგონია, არის ეს ყველაფერი
დაქორწინება ცის და ქვეყნისა...
მე ამ მთებს, როგორც ზეციურ საყდრებს
და ხატად ქცეულ იდუმალებას,
შევცქერი ყოველ განთიადისას
და გულში ვლოცავ...
იბადებიან აქ მთვარეები თეთრი აკვნებით
და ხეობათა არის ხველება...
გვფარავდეს, მთანო, გვფარავდეს, მთანო,
თქვენთა სიზმართა საკვირველება.

2

რომ ჩვენი ბარი დაკრულიყო სხვა უდაბნოში
და საქართველო შექმნილიყო უცხო მხარეში,
ასე მგონია, ყველა ეს მთები
აიყრებოდნენ და მოერტყმოდნენ იმ საქართველოს.
თუმც დღეს პატარა ჩვენ გვაქვს ქვეყანა,
მაგრამ, თუ გაშლი ამ ბუმბერაზ მთებს,
გადაუწვდება იგი სივრცეებს...
და შეკუმშული არის იმიტომ,
რომ ლაპარაკობს მაღლა ხმებთანა.
შევყურებ, შევტრფი მე ამ მაღალ მთებს,
რომელიც თავის თავში გვიერთებს
და მოგვიწოდებს მწვერვალებისკენ...
სამშობლოვ ჩემო, ვიცი, შევიგრძენ,
მაგ სიმაღლეთა მკრთალად ჩვენება;
გვფარავდეს, მთანო, გვფარავდეს, მთანო,
თქვენთა სიზმართა საკვირველება.

3

ვახტანგ მეფე რომ შედგა იალბუზს
და ჩამოესმა რეკვა ციდანა;
ეს ყველაფერი იმას გვიამბობს,
რომ მან ციური ხმა მოიტანა,
და იდუმალი რაღაც ძაფებით
იმ სიმაღლეებს დავეწაფენით.
და, მთანო, თქვენდა სახებად, ფერად,
ოდეს წამოდგა ვინმე რუსთველად,
ვინც თქვენთა ზემო მიმოიმღერა
მწველი ვნებანი ამქვეყნიური,
ხომ არ დაირღვა სიჩუმე სრული?
და ხომ არ შეწყდა ეგ მყუდროება,
თეთრი დუმილით გარემოცული?

4

დგანან ამაყნი, ასვეტილნი და აზიდულნი
მთანი მაღალი საქართველოსი,
სად სადგურებენ გვიანნი სხივნი
და იზრდებიან თეთრი მთვარენი.
დგანან და დგანან,

ვითარც საზღვარნი ცისა და მიწის,
და თავზე დასდით სული ღვთიური,
და აქ შორდება ერთიმეორეს
ეს მიწიერი და ზეციური.

1961

სადღეგრძელო

სუფრავ. მცირე ხნის დაშლილო,
აღსდექ ერთობით, ვაშადა.
ლატიფშავ ბარათაშვილო,
შენ გნიშნავ ტოლუმბაშადა!
ნახეთ, შეკრიბეთ ყანწები,
ნე ვარ სიმღერის დამწყები.
მე ვმღერი თქვენდა იმედად
ხან ეს მიტაცებს, ხან ისა.
ამყევით, მომლოდინე ვარ
ასი ათასი ბანისა,
იმ დაუვიწყარ სუფრულის
და წმინდა იავნანისა.
ორჯონიკიძევ მაადინ,
ერთხელ ჩვენს ტაბლას, ისანთან,
შენ რომ გვირგვინად დაადგი,
ახლა მეც მინდა ისა ვთქვა:
— ეს იყოს ჩვენი ძმობისა,
სულის და სისხლის ცნობისა...

1968

* * *

ხანდო, ხერთვისი, სეოთი,
ალვის ხედ მოირხეოდი;
ვნატრობდი ბალახად ქცევას,
ფეხებზე შემოგხვეოდი.
თმები მეკოცნა, ხელებზე
დასაფიცავად გმთხვეოდი.
ვიჯექ და დიდხანს გიცდიდი,
ვსვამდი, ვყვიროდი, ვღრეობდი;
ვებრძოდი ციხე-კოშკებსა
წინ მივიწევდი, ვმხნეობდი;
მომყიჟინებდნენ, მომდევდნენ;
ხანდო, ხერთვისი, ხეოთი...
ღმერთო, მეც გამმარჯვებოდეს,
ღმერთო, ნუ დავიქცეოდი!

1958

* * *

იქით ბადელა,
აქეთ არალი.
შუა გამწყდარი ჰარი-არალი.
იქით ქვითინი, ტრფობა ფარული,
აქეთ სიმღერა და სიხარული.
ვაი, სიბნელეში ფრთხილად მლოცავო,
და სიყვარულო,
ჩემთვის მომცდარო.

1950

სილოვან ნარიმანიძე

მე გავიგონე ძახილი შენი

ის კაცი მე ვარ,
შენ რომ უძახდი მთვარიან ღამეს,
მე მივდიოდი მაშინ ჩემთვის გულჩათხრობილი,
გავიგონე რა ძახილი შენი,
ვეღარ შევიძელ დაბრუნება და შენდობას გთხოვ...
შენი ძახილი შორს წამყვა თან და შემაწუხა!..
მე გავიგონე შენი ხმა, მაგრამ
ვეღარ შევძელი დაბრუნება
და შენდობას გთხოვ!

1964

ჰეი, ნაკადულო!..

ნაკადულო, ჰეი, ნაკადულო,
მე არ წამოვალ იქით,
საითაც შენ მიექანები...
მე ზევით მინდა გაჭრა, მაღლა,
საითაც ა, ის თეთრი მთა მოჩანს,
შენ კი, შენ, კარგო,
მიედინები, საითაც გზას იპოვი, იქით...
მშვიდობით, ნაკადულო,
სალამი წაუღე ველებს,
მე მივდივარ აღმა!..

1965

რა გზებს, რა ხიდებს

დღეო,
საით რას შემახვედრებ, ეს როდი ვიცი!..
რა გზებს, რა ხიდებს, —
ბეწვის ხიდებს სად გამატარებ!..
საით დამკარგავ მე ამ გზებზე,
სად რას მაჩვენებ!..
სად გამომაჩენ სამზეოზე,
სად გამაჩერებ!..

რომელ ხესთან და რომელ ჩრდილში,
სად დამასვენებ!..
ვის დამავიწყებ,
უფრო მეტად ვის გამახსენებ!..
სად ამატირებ მღელვარებით,
სად გამაცინებ!..
დღეო, საით რას შემახვედრებ,
ეს როდი ვიცი!..

1966

ისევ იგალობებს უსიერ ტყეში

ისევ ჩამოიქროლებთ
ჰეი, ნიაღვრებო,
ისევ მოხერგავთ, ჩვენი ეზოს ნაპირთან ნარიყს,
ადიდდები შენც, მაჭარეულო!..
ისევ გადმოივლით, შავ-შავო ღრუბლებო,
ისევ გაწუწავთ ტყეებს წვიმით და გასწევთ თქვენთვის!..
შენს სანახავად კვლავ შეკაზმავს იორღას გაგა,
(იმ ბავშვურ დღეთა, ახლაც მახსოვს სიმორცხვის ფერი).
კვლავ აკიაფდება მტვრის კორიანტელით
და სოფელს სტუმრებით გაახარებს გზა.
ტურაანთ სანდალავ,
შენც ალბათ წარაფში
კვლავ დაეწაფები ანკარა წყაროს წყალს,
და დილა ადრიან ჩემი ძმა თაღლაურში
დაჰბერს საბერველს და გაკვერავს ნამგალს.
ჰეი, გაზაფხულო, შენც კვლავ იბიბინებ,
მდელოებს, ხავერდებს მოაგებ მთას,
უსიერ ტყეში კი იგალობებს ჩიტი,
ისევ ნაღვლიანად, მარტოდ და ობლად.
ისევ აბღავლდება შუაფხოს ხევებში
ირემი დაჭრილი ფხოველის ტყვიით,
ისევ იდიადებს ჩემი საქართველო,
დიდი მზით, დიდი მთვარით,
დიდი მთით, დიდი ზვრით...

1968

გაბედულება, გულო ჩემო!

გაბედულება,
სიტყვავ ჩემო, გაბედულება,
მე სხვა დიდება სამზეოზე არ მეგულება!
ქარტეხილებში შეუმოწმე ხმას ერთგულება,
ადიდე ქვეყნად სიცოცხლე და დედა ბუნება!

აქ თოხარიკთა ხმას უსმინეს
ვრცელმა ველებმა,
ყიჟინა შორეთს გაიტაცეს შლეგმა ცხენებმა,
აქ გაწყდა სიმი,
უნაზესი თრთოლვით რომ ჟღერდა,
აქ აღმოითქვა: სამყაროო, დიდება
შენდა!..
აქ იავნანა ირხეოდა ძილისპირული,
აქ ზღაპარს ჰგავდა ღამე თვითონ
პირდაბურული,
აქ გაზაფხულზე სულ პირველად
ატირდა ვაზი,
აქვე დაედო ჩვენს ცხოვრებას
საძირკვლად აზრი.

გაბედულება,
სიტყვავ ჩემო, გაბედულება,
მე სხვა დიდება სამზეოზე არ მეგულება!

აქ ახლაც რეკენ შემოდგომის ხმებით
ზარები!
აქ დიდ ცხოვრებას ამაღლებდნენ
ოპიზარები!
ლოცვა-კურთხევა სიკეთის ჰანგს
გაუტანია,
სიმაღლე დიდი და სიმშვიდე,
იქ ალავერდი, აქ ბეთანია!..

გაბედულება,
ლექსო ჩემო, გაბედულება,
მე სხვა დიდება სამზეოზე
არ მეგულება,

ახლა გულს უნდა გატოლება,
ხმათა მაღალთა,
ვინ იცის ეს დღე, რომ გათენდა,
ვისთვის დაღამდა,
ვის მოუხმობენ ზენაარით ზარზმის ზარები,
მელოდიები ზამბახების ნაზი ზმანებით,

გაბედულება,
გულო ჩემო, გაბედულება,
მე სხვა დიდება სამზეოზე არ მეგულება.

ჰანგო, დასძარი,
რაც კი დღემდე არ აღმოითქვა,
ამ დიდ სამყაროს გაუტოლე
სიტყვა და რითმა,
ადიდე ქვეყნად რაც კარგია, რაც მარადია,
მახვილად ექეც, თუ შენს გვერდით
მოღალატეა!
ყველა დიდ საქმეს მიესალმე,
ყველა დიდ სიტყვას.
ჰანგო, დასძარი, რაც კი დღემდე
არ აღმოითქვა.

გაბედულება,
ლექსო ჩემო, გაბედულება,
მე სხვა დიდება სამზეოზე,
არ მეგულება!..

1960

მიხეილ ქვლივიძე

* * *

უჩემოდ ქვეყნად რაღაცა ხდება —
ვიღაცა ჩნდება, ვიღაცა კვდება.

სადღაც ომია, სადღაც მშვიდობა,
სადღაც ხანძარი თუ წყალდიდობა...

სადღაც თოვს, სადღაც საოცრად ყინავს.
სადღაც ზღვის ფსკერზე ნიჟარა ბრწყინავს
და „თანამგზავრი“ სივრცეში მიჰქრის...,

განთიადიდან დაღამებამდე,
ტრამალებიდან მაღალ მთებამდე,
გადაჭიმულა ქვეყანა ვრცელი...

სად მიმიწვდება მე, უძლურს, ხელი —
დავიმორჩილო ჟამი და სივრცე,
ვნახო ყოველი, ყველაფერს მივწვდე
და მონაწილე გავხდე ყველაფრის...

უჩემოდ ქვეყნად რაღაცა ხდება...
ო, როგორ მტანჯავს ამის შეგნება!

1961

დახვრეტა

სოფლის შარაზე მტრის ჯარისკაცებს
მიჰყავდათ კაცი... შუადღე იყო
და შორეული ქვემეხთა გრგვინვა
ქუხილსა ჰგავდა გაზაფხულისას...
ტყვე ძლივს ადგამდა მიწაზე ფეხებს,
არც რამე სურდა, არც რას ელოდა,
არც არაფერზე ფიქრობდა, მხოლოდ
თვალები ჰქონდა მას გახელილი
და რასაც იგი ხედავდა ამ დროს,
ანუგეშებდა უკვე განწირულს...
ხედავდა იგი: კრამიტებს იქით
პატარა ღრუბელს ეთერში მცურავს,

პატარა გოგოს კალათით ხელში,
სამჭედლოს კართან დაგდებულ გუთანს —
დაჟანგებულს და მიწაში ჩაფლულს,
ხედავდა მთებს და... ამ წუთას კაცში
ისეთი მძლავრი და უძლეველი
იყო სურვილი ხედვის და ნახვის,
რომ, როცა სროლის ბრძანება გასცეს
და მიწას დასცეს გულგანგმირული, —
კაცს გახელილი დარჩა თვალები,
თითქოს სიცოცხლის მიჯნასთან მისულს
მას თვით სიკვდილის დანახვაც სურდა..

1900

უშბა

შენ ჩაგეძინა და შუქი დაგრჩა
ჩაუქრობელი. საწოლთან, იქვე
გაშლილი წიგნი გდია და ფარდებს
ღია ფანჯრებზე ატოკებს ქარი.
გარეთ ღამეა — ვრცელი და წყნარი.
დადუმდა ქუჩა და მხოლოდ ზოგჯერ
გვიანი ავტო თუ ჩაიქროლებს,
ან კენტი მგზავრის ნაბიჯი ჩქარი
დაარღვევს დუმილს...
შენ ახლა გძინავს,
სძინავს შენს ქუჩას, სძინავს ქალაქსაც —
მას დღიურ ზრუნვით დაღლილი თავი
მამადავითის კალთაში უდევს
და სძინავს ისე, ვით მონადირეს —
მოუსვენარი, ფხიზელი ძილით.

მაღლით კი ყველას: შენც, შენს ქუჩასაც,
ქალაქს და ქედებს მის გარეშემო,
ქედების იქით — გზებს და სადგურებს,
მინდვრებს და ჭალებს, და ალვის ხეებს,
ლიანდაგების გასწვრივ დარგულებს,
სოფლებს, ქალაქებს, მთელ საქართველოს —
კავკასიონის მკლავებზე მძინარს, —
დასცქერის ზეცა უზარმაზარი,
ვით ჩემი ზრუნვა... და იგი ხედავს
ყველაფერს, ჩემო, მაგრამ არაფერს
არ იმახსოვრებს და ალბათ მიტომ
არ იცის რაა — დრო და სიბერე...
შენ ახლა გძინავს.

შორს შენგან, ძლიერ
შორს, შენი ვიწრო ოთახის იქით,
მაღლა, სულ მაღლა, სვანეთის მთებში,
კავკასიონის მწვერვალთა შორის,
ამაყი უშბაც ძილს მისცემია
და მის კალთებზე გულშემზარავი
დუმილი სუფევს. შეუბღალავი
და უცოდველი თოვლია ირგვლივ
და ვარსკვლავები ამ თოვლის შიშით
ახამხამებენ უგულო თვალებს.
თოვლია ყველგან და ნაპრალების
მშიერი ხახა სავსეა თოვლით,
და რომ არ იყოს ეს თოვლი, ალბათ,
ვერ აიტანდნენ სიჩუმეს ქვები
და შეჰბღავლებდნენ ცას ნაპრალები,
დუმილის შიშით ზარდაცემულნი...

თოვლია, თოვლი... და არსაიდან
არ ისმის ხმა ან გამოძახილი...
მაგრამ შეხედე: ვარსკვლავთა შუქზე
თოვლში დაყრილი საკენკის მსგავსად
ჩანს ვიღაც მგზავრის ნაფეხურები.
ვერც ზვავმა შთანთქა და ვერც გრიგალმა
ვერ ამოშალა იმათი კვალი.
ვეებერთელა ღამეულ ცისქვეშ
ნაფეხურების კვალია მხოლოდ,
როგორც წარწერა ასომთავრული
და მისი არ ჩანს არც დასაწყისი,
არც დასასრული...

შენ ახლა გძინავს.
                    შენს ახლო იქვე
სძინავს შენს ბავშვსაც, პატარა დ ე ა ს.
შენი სიზმარი არის ნათელი,
ვით სიყვარული შენი — მისდამი,
და შენი სული უშბას თოვლივით
არი სპეტაკი და ხელუხლები.
მაგრამ შეხედე: ვარსკვლავთა შუქზე
თოვლზე დაყრილი საკენკის მსგავსად
შენს სულშიც მოჩანს ნაფეხურები
მტკიცე ნაბიჯით გავლილი კაცის.

ვერც ზვავმა შთანთქა და ვერც გრიგალმა
ვერ ამოშალა იმათი კვალი.
სდუმს შენი სულის თეთრი სამეფო.
ნაფეხურების კვალია მხოლოდ,
როგორც წარწერა ასომთავრული,
და მისი არ ჩანს — არც დასაწყისი,
არც დასასრული...

გვერდით ოთახში წევს შენი ქმარი.
იგი სრულებით არა ჰგავს იმას,
ვინც მწვერვალებზე სიარულს ბედავს.

1949

ზ ღ ვ ა

ამდენი ცდა და ამდენი მარცხი!
გულს რომ არ იტეხ, მე ის მაკვირვებს...
მე შენ მაგონებ ჯიუტ მოკრივეს,
რომ დაეცემა, ისევ ადგება
და კვლავ აწყდება მოპირდაპირეს
და ურტყამს ძალთა გაასკეცებით.

გიცქერ და მიკვირს: დგები, ეცემი,
ისევ დგები და ისევ ეცემი,
და დაცემული კვლავ გამხეცებით
თავს ახლი რკინა-ბეტონის ლოდებს,
თითქოს ათასი სიცოცხლე გქონდეს...

მე ვიცი, ზღვაო, ვიცი და მჯერა,
რომ ვერაფერი ვერ გაგტეხს, ვერა!
ასე თამამად ჟინს რომ აცხადებ
და შეუპოვრად ნაპირს აწყდები, —
შენ შეიძლება მხოლოდ დაწყნარდე,
მაგრამ არასდროს არ დამარცხდები!

1967

უკანასკნელი ბრძოლა

ზღვა დამშრალია... ჰაერი ბოლავს...
მიწა ზანზარებს და იღუნება...
უთანასწორო თავდება ბრძოლა, —
ბრძოლის ველიდან გარბის ბუნება!
ხახაგამშრალი ხრიალებს ხევი,
ჯვნესის წიაღი ნაგვემ-ნაცემი
და ზეზეურად კვდებიან ხენი —
ბუნების ჩუმი ჯარისკაცები...
გარბის ბუნება, სტოვებს ბრძოლის ველს,
რომელიც ახლა — ცეცხლის კალოა.

შთამომავლობა ვეღარ მოისმენს
იადონის და შაშვის გალობას.
გაჰქრნენ უკვალოდ, როგორც მირაჟი,
შვლები,
                ირმები,
                ნიამორები
და უკანასკნელ ვეფხვს, ტაიგაში,
ყელზე ჰკიდია თითბრის ნომერი!..
ვერ გაექცევა განაჩენს ვერსად
ულამაზესი ბუნების ფერი:

დასაღუპავად განწირულ დესანტს
ჰგავს თვითეული ქალაქის სკვერი.
სათბურები და სამხეცეები —
სამხედრო ტყვეთა ბანაკებია...
მიწა სადღაა? არის ცემენტი!
და სკვერიც... მალე ასაღებია!

გასაოცარი მოვიგეთ ომი:
დამარცხებული ბუნება — დედა
ქუდმოგლეჯილი გარბის და სტოვებს
საომარ ველზე უთვალავ ცხედარს,
გაჩეხილ ტყეებს, გადათხრილ მინდვრებს,
მაზუთით სავსე ტბებს და გუბეებს...
„ვაშას“ ძახილით გაქცეულს მივდევთ,
სანამ მზეს სულ მთლად
არ დავუბნელებთ!

1970

* * *

ის ქალიშვილი ირმისფეხება,
დღეს რომ მეტროში შემთხვევით ვნახე,
მე არასოდეს აღარ შემხვდება.
მას თავის გზა აქვს, მე — ჩემი ბედი.
ვწუხვარ რატომღაც, არ ვიცი რატომ...

როგორც მდინარემ — მინდვრის ყვავილი,
იგი წაიღო ესკალატორმა,
მე კი, შემკრთალი, საბაზრე ჩანთით,
დავრჩი ბაქანზე, როგორც ზვარაკი,
ოჯახზე ზრუნვის ჯვარზე გაკრული.

1967

* * *

მესიზმრებოდა: შენ დამიბრუნდი
და სიხარულის ცრემლით ვტიროდი...
ამ დროს უეცრად გამომაღვიძეს,
მე ტელეფონში შენი ხმა ვიცან, —

გაანჩხლებული რაღაცას მთხოვდი,
მაძაგებდი და მემუქრებოდი...
ნამძინარევმა თანხმობა გითხარ
და მივაშურე ისევ ჩემს საწოლს,
რომ დასასრული მენახა სიზმრის.

1967

ქალი

ზღვისპირს მოადგა უცნობი ქალი...
(ვაჟმა იფიქრა „კარგი რამ არი!“),
ქალმა ჯერ ფეხით მოსინჯა წყალი,
მერე შეიხსნა წელზე ქამარი.

ქალს კაბა მხრებზე გადმოეღვარა
(ვაჟი უცქერდა პირდაბჩენილი),
და იყო ქალი, როგორც ქვეყანა,
კოლუმბის მიერ აღმოჩენილი!

1960

გათენებაა თუ საღამო? ვერას გაიგებ...
აწვიმს მოედანს, აწვიმს ხეთა ყვითელ პარიკებს.
ქარი წივის და
გეგონება
იგდებს საცინლად
აეროპორტის განათებულ დეკორაციას...

იქით კი, ბნელში —
გაწოლილა ვეება ველი...
მესამე დღეა თვითმფრინავის გაფრენას ველი.
მესამე დღეა — უზარმაზარ სარკმელში ვხედავ:
თვითმფრინავები მოედანზე უძრავად სხედან,
აეროპორტის მსახურები მათ გარს უვლიან...
უამინდობის გამო ფრენა აკრძალულია!

მაღალჭერიან მოსაცდელში ჩახჩახებს შუქი,
მთელ კედელს ფარავს სარეისო მაკეტი რუკის,
თვალს იტაცებენ წარწერები „SAS"-ი,
„SABENA",
შეძლებულ მგზავრებს შეუძლიათ ყველგან
გაფრენა,
მაგრამ ამჟამად... მოითმინოს, ვისაც ფული აქვს:
უამინდობის გამო ფრენა აკრძალულია!
მგზავრები თვლემენ, კითხულობენ გაზეთებს, წიგნებს
(წიგნის კითხვაში მოლოდინი შემოკლდეს იქნებ),
გაბეზრებული მფრინავები დროს უქმად ჰკლავენ,
აეროპორტის რესტორანში კონიაკს სვამენ
და მათთან ერთად, არცთუ მათზე უარესები,
კონიაკს სვამენ ტანწერწეტა სტუარდესები...
და მოლოდინი — არც ერთ მათგანს არ სწყინს სრულიად,
უამინდობის გამო ფრენა აკრძალულია!

გათენებაა თუ საღამო? ვერას გაიგებ...
აწვიმს მოედანს, აწვიმს ხეთა ყვითელ პარიკებს.
ქარი წივის და
გეგონება
იგდებს საცინლად
აეროპორტის განათებულ დეკორაციას...

1964

ტიუ

ესტონელ გოგონას

მას ერქვა ტიუ... გამთენიისას
ბაღში ისმოდა: „ტიიუ-ტიუ!..
ტიიუ-ტიუ...“ რეკდა ჩიტის ხმა
და ზღვა ფურცლავდა ტალღების დღიურს.

ტიუს დღიური! აქ იყო მთელი
ცხოვრება მისი—სპორტი და სწავლა...
გოგონა მზეში გარუჯულ ხელით
ბურთს გააფრენდა ღრუბლებზე მაღლა.

ან დაჯდებოდა ჩვენთან სილაზე
და დაგვიწყებდა ცურვის სწავლებას...
ქალიშვილობის მორცხვი სინაზე
შვენოდა ადრე მის დაქალებას!

ო, ტიუ! იგი სირინოზს ჰგავდა.
გველივით სხარტი და მოქნეული,
მისი მკლავები ტალღების გამდნარ
ოქროში იყო ამოვლებული.

მის ჩაღამებულ თვალებში თვლემდა
ბოროტი რისხვა მეამბოხეთა,
და უეცარი იყო, ვით ელდა,
ყოველი მისი თქმა თუ მოხედვა...

ზღვას ეცვა თხელი პერანგი ჭავლის,
იშმუშნებოდა და აზმორებდა.
ტიუს მუხლამდე სწვდებოდა წყალი
და წყალი მისთვის იყო ცხოვრება.

ო, ტიუ! მეც იმ ჩიტების მსგავსად
ბაღში გალობის მკლავდა ცდუნება,
მაგრამ ვერ შევძელ, ჭაღარა კაცმა,
ჯიუტი წლების შემობრუნება.

მხოლოდ ვფურცლავდი ტალღების დღიურს
და ვწუხდი იმას, რაც არ მეღირსა...
ბაღში ისმოდა: ტიიუ-ტიუ...“ —
სიმღერა ჩემი შეღამებისა.

1900

* * *

„ის მაინც ბრუნავს!..“ ღმერთმა ნუ ქნას, გიორგი ჩემო,
დავცხრეთ, დავწყნარდეთ და სიცოცხლის დავკარგოთ გემო,
გადავივიწყოთ სიყვარულის ძველი ზღაპარი
და სატრფოს მხრებზე დაფენილი ლომის ფაფარი
არ იყოს ჩვენი შთაგონების თავშესაფარი!..

ღმერთმა გვაშოროს, ღმერთმა ნუ ქნას, ჩემო ძმობილო,
დავცხრეთ, დავწყნარდეთ, აღარ ვიყოთ უკმაყოფილო
საკუთარ ბედით, უბედობით, ნამოღვაწარით,
ყველაფრით — ჩვენში რაც არსებობს, სხვებში რაც არი...
ღვინოს ვსვამდეთ და არ გვათრობდეს ღვინო ალალი,
სათქმელზე უფრო მეტი გვქონდეს დასამალავი,

შეძენის ჟინმა გაგვიქარწყლოს ხარჯვის ხალისი,
საკუთარ სახელს ვამჯობინოთ ყალბი ხარისხი,
ჩვენი სახლები დავამსგავსოთ სოროს ან ბუნაგს
და დავივიწყოთ შეძახილი: „ის მაინც ბრუნავს“!..
ის მაინც ბრუნავს! მაინც ბრუნავს! ბრუნავს ტიალი!
არ მოგვეშალოს ჩვენც ეს ბრუნვა და ხეტიალი,
მუდმივი ქროლვა, არა მალვა, თავის დანდობა,
არა დარდისგან მოდუნება, — დარდიმანდობა,
და მუდამ, მუდამ სიახლისკენ სწრაფვა ველური,
და ჭირსა შიგან გამაგრება რუსთაველური,
და მტკიცე ქედი, ქედი — ძნელად გასაღუნავი,
და გაჭირვების ჟამს სიცილის შნო და უნარი,
და თუ ოდესმე ამ სიცილის დავკარგავთ უნარს, —
სხვამ დაიძახოს ჩვენს მაგივრად:
„ის მაინც ბრუნავს!“

1970

•

ქართული სალამი

ასი წლისაა. მას იცნობს ყველა.
მოხუცს სახელად ეტყვიან — მგელა.
შერჩა მგლის მუხლი,
თვალებიც — ორბის,
და ფერი — მზეში დამწვარი ხორბლის.
იცნობს ბალახებს, ადამიანებს, —
სალამს არავის დაუგვიანებს...

და როცა ვინმე ნამუსის ღალას
აიცდენს, ფიქრით გართული სხვაზე, —
გაუკვირდება მგელას
და სალამს
უმისამართოდ დატოვებს გზაზე.

1946

ს ა მ გ ო რ ი

1

მზესუმზირები. კალო და კევრი.
შარაგზა — მტვერში მზემდე სავალი.
არსად მენახა ესოდენ ბევრი
მზე და ასეთი „მზის მოსავალი“.
სამგორი, სამი უსულო კორძი.
და სიო — სამი ძმის სამდურავი.

მზეში დამწვარი სული და ხორცი
და ყოველივე — მზეში მცურავი.
მახსოვს, პატარას, მეც სამგორივით
გამოუცნობი წყურვილი მკლავდა.
უხმოდ ვიწვოდით მზეში ორივე,
ჩვენი სიცოცხლე მოლოდინს ჰგავდა.

პირველად — ჩემში (იორის ნახვა!)
ტალღამ გატეხა გულის ფიქალი,
სიტყვების კვერთხით გავედი გაღმა,
ვთქვი და წყურვილი მით მოვიკალი!
მიწა კი დიდხანს ელოდა იორს
(შორს იყო მაინც, როგორც სურვილი!)

და მტვრიან შარას ვარცხნიდა სიო,
თათრის ქალივით პირშებურვილი.
ცხელოდა, იყო კალო და კევრი,
შარაგზა — მტვერში მზემდე სავალი...
არსად მენახა ესოდენ ბევრი
მზე და ასეთი „მზის მოსავალი“..

2

მოვიდა კაცი. გახედა გორას.
(სამგორი უცებ გახდა პატარა!)
გაშალა მკლავი. გაჰკვეთა ორად.
იორი მთებზე გადმოატარა.
წამოაყენა, რაც ირგვლივ იწვა,
მზეს საყვედური ღიმილით უთხრა
და მე გავიგე, დასიცხულ მიწამ
როგორ დაიწყო ხალისით სუნთქვა.

ეს იყო მისი ქვეყნად გაჩენა!
სამივე გორას ჩაედგა სული.
წყალი — სნეულის გადასარჩენად
მეგობარივით მთას გადმოსული,
მიჰქროდა ველად, მოიმღეროდა,
ირგვლივ ყველაფერს ეცვალა ფერი...
ვდგავარ სამგორზე, ხეთა ჩეროდან
ადამიანის დიდებას ვმღერი!

1950

* * *

წავიდა მამა... მოკლე და სწრაფი
გამოთხოვება ჰქონდა შვილებთან.
წავიდა დედა... და გაწყდა ძაფი,
მშობელ სახლთან რომ მაკავშირებდა.

მერე სხვა გზებით წავიდნენ სხვები
და მათი კვალი ქარმა წახვეტა...
და ბოლოს იმ გზით, შენ რომ წახვედი,
ჩემთან მოვიდა სასოწარკვეთა.

1968

* * *

რაღაც ხელს მიშლის, რომ გიღალატო —
გადაგივიწყო ანდა გავერთო,
გულისნადები ვინმეს გავანდო;
სხვებთან მოვნახო რამე საერთო.

თითქოს ვიღაცა დამდევს კვალდაკვალ,
წინ მეღობება, ფეხქვეშ მედება...
ვერ გამიგია, ეს თავგადაკვლა,
მისი ასეთი თავგამეტება!

ვინ არი ნეტა, ის უხილავი —
შენი მოსარჩლე, ჩემში რომ სახლობს,
ვინც ამარიდა ყველა ხიფათი,
არ გამაკარა არავინ ახლო,
შემინარჩუნა ოჯახის სითბო,
შუქი მოჰფინა ჩემს ხვედრს, მომავალს?..

იცი, ძვირფასო, მე ზოგჯერ ვფიქრობ,
რომ ის უცნობი... მე თვითონა ვარ!

1950

ტელეფონი

ღამეა. რეკავს ტელეფონი კედლის გადაღმა,
თავდავიწყებით, გაშმაგებით რეკავს და რეკავს.
ჩერდება წამით... მერე უცებ, თითქოს რაღაცა
გაახსენდაო, შეშფოთებით აწკრიალდება,
და ისევ გაბმით, უნუგეშოდ, სასოწარკვეთით,
მოთქმით, მუდარით, ჟინიანად და ჭირვეულად
რეკავს და რეკავს ტელეფონი... თავსხმაა გარეთ!
თავსხმაა გარეთ და ვიღაცა დარბის ქუჩაში
და ავტომატის ჯიხურების კედლებს აწყდება
და სადარბაზო შესასვლელთა ბნელში ინთქმება,
გამორბის ისევ და სველდება და ნერვიული
ხელის ფათურით ჯიბეებში ხურდა ფულს ეძებს...
და რეკავს, რეკავს ტელეფონი კედლის გადაღმა,
ბინაში, სადაც რა ხანია არავინ ცხოვრობს!

1961

* * *

იქნება-მეთქი! გაგრძელება იქნება... მალე,
სულ ახლო ხანში გაგრძელება უწევს ყველაფერს:
დაუმთავრებელ მოგონებას, შეწყვეტილ ალერსს,
ტანჯვით მიგნებულ ფიქრს, უცოდველ ბავშვის რწმენამდე
რომ ვერ ამაღლდა... გაოცებას, და აღმაფრენას
და შთაგონებას, და ხორხიდან ამომსკდარ სიცილს
და დაეჭვებას, და სინანულს, და ნაადრევად
იმედგაწყვეტილ მოლოდინსაც ექნება, ვიცი,
ვიცი, ექნება გაგრძელება!.. დადგება ჟამი,
ნატვრისთვალივით გაცხადდება შვილში მშობელი,
დროის ყამირზე კვალს გაიტანს გუთანი კალმის
და შეცნობილად გადიქცევა შეუცნობელი
და მიეზღვება საკადრისი კეთილს და ბოროტს
და მოეღება ბოლო ყოყმანს და გაორებას
და საკმარისი აღმოჩნდება სტრიქონი მხოლოდ,
ერთი მართალი,
გაბედული
სტრიქონი მხოლოდ,
რომ გამართლება მოენახოს კაცის ცხოვრებას!

1970

ფრიდონ ხალვაში

დროშა

ვინ იცის, დროშა დაკეცილი რას ელოდება —
წითელი, როგორც ალიონი ივნისის თვეში,
აბრეშუმია, თუ დამუჭავ, სულ ერთი პეშვი,
მაგრამ, თუ გაშლი,
ქარებს ცეცხლად წაეკიდება.
ჩემი დღეებიც დაკეცილა,როგორც დროშები,
უფრო მაწვება ჯავრი ქვეყნის და სახლ-კარისა.
რომელ ავდარში ნეტავ კიდევ გავითოშები,
ან სად გამათბობს ჩახუტება დროშის ტარისა?
მწუხრით მწუხრამდე,
რიჟრაჟიდან გარიჟრაჟამდე,
ნდობას,
მშვიდობას,
ძმობას,
ტრფობას მინდა ვკაჟავდე.
ცაო ნათელო,
არ გვიმუხთლო, აღარ გაშავდე.
ვინ იცის, დროშა დაკეცილი რას ელოდება —
წითელი, როგორც ალიონი ივნისის თვეში,
აბრეშუმია, თუ დამუჭავ, სულ ერთი პეშვი,
მაგრამ, თუ გაშლი,
ქარებს ცეცხლად წაეკიდება.

1966

მითხარ, როგორაა მემლექეთი!

მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო?!
რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამრთელო.

მითხარ, როგორაა მემლექეთი? მე სულ მასზე ფიქრით დავდიოდი,
ახლად დავიბადე, თბილისიდან ხმა რომ დავიჭირე რადიოთი.

კაი მექართულე ვეღარა ვარ, მაგრამ სული მიდუღს იმოდენა,
რომ შიგ საქართველო მშობლიური, როგორც გაზაფხული იტოტება.

მითხარ, როგორაა მემლექეთი — მცხეთა, ქობულეთი, კახაბერი?
იგი ნიადაგ თუ არ ვახსენე, მაშინ ერთი წუთიც დამაბერებს.

ლუკმა არ მაკლია, მართალია, მაგრამ სამშობლოთი ღარიბი ვარ,
აი, ამნაირად, უსიცოცხლოდ, მთელმა სიცოცხლემა გაირბინა.

მითხარ, როგორაა მემლექეთი? აქ ჩვენ არ გეგონოთ ჩამქრალები,
იზმითს, ეგეოსის ნაპირებზეც ვაგეთ საქართველოს სახლ-კარები.

მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო?
რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამრთელო.

1968

მ ა მ ი დ ა

ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ პირველად,
ბევრის თქმა გვსურდა და ვერ ვამბობდით,
მხოლოდ მრავალი წლის შენახული
მერგო მდუღარე მისი ამბორი.

ფოტოგრაფის წინ ერთად დავსხედით:
მიწას დახედა მამიდაჩემმა,
გულთან რომ უფრო ახლოს ვყოლოდი,
მხარზე დაიდო ჩემი მარჯვენა.

თრთოდა, ბორგავდა, ვერ ისვენებდა,
სურდა ხსენება იმ შორეულის,
სადაც დატოვა ხე მშობლიური,
ნაყოფმწიფე და არმოლეული.

მისთვის რა უნდა მეთქვა იმედად,
ხელსღა ვუქნევდი მარტოდ დარჩენილს...
ბურსას გადაღმა, ველზე ხე იდგა —
მოხრილი, როგორც მამიდაჩემი.

1968

თავისუფლება

შენი ძრავალი მოსისხლე მტერი
სახრჩობელაზე გაგზავნეს, მაგრამ
შენი ნათელი და შენი ფერი
ღელვაში მაინც კინაღამ გაქრა.

იყავ ღარიბი, გედგა კარავი,
მაგრამ მეგზური ბედნიერ ბედის,
მუშის ხალათით, გლეხის ქალამნით
სასახლეებში ამაყად შედი.

ასე აღსდექი, გატეხე ციხე,
ვერავინ მოგკლა, არავის ეყმე.
მიდიხარ, ბრძოლით ქალაქებს იღებ
და სამფლობელოდ იტოვებ ქვეყნებს.

ვიცი: შენ ლაშქარს იქაც შეიყვან,
სადაც დიდი ხნის ნატვრა მოგელის,
თავისუფლებავ, მხოლოდ შენ იყავ
ყველაზე მკაცრი და დამპყრობელი!

1962

* * *

მინდორში იდგა პატარა სახლი,
პატარა სარკმლით, პატარა ბუხრით,
ვეება მუხას ჟამთასვლით დაღლილს
იმის კედელზე მიედო მუხლი.

მინდორში იდგა პატარა სახლი
და ქარი ქროდა ტყეების მხრიდან.

და შემოდგომა ცივი ცახცახით
მოყვითლო ფოთლებს ეზოში ყრიდა.

პატარა სახლზე იჯდა არწივი,
პატარა ჩრდილი მიჰქონდა ღელეს...
და ბერი მუხა ბერიკაცივით
იისფერ კვამლზე ითბობდა ხელებს.

1956

საუბარი მეგობართან

ისეთი ძნელი და რთული გზებით
ამ ცხოვრებაში, ძმებო, გავედით,
რომ სიკეთეშიც არ შეგვიძლია,
არ ვანაწყენოთ ჩვენ ერთმანეთი.

არ შეიძლება ამდენ საქმეში,
არ გავიკაწროთ გული რამეთი,
მივუახლოვდეთ ერთიმეორეს
და მოვარჩინოთ ჩვენ ერთმანეთი.

საყვედურს ხშირად მეტყვის ისეთი,
სასაყვედურო ვისაც არ ეთქმის,
მე ღიმილითაც რომ გავამტყუნო,
უნდა დავკარგოთ ჩვენ ერთმანეთი.

ვიცი, რა ძნელი ასატანია
მარტო სიმართლე, როგორც ასეთი,
მაგრამ მართალი სიტყვის გარეშე
რით შევიყვაროთ ჩვენ ერთმანეთი?

1966

მე არ ვიქნები შენი სტუმარი

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი...
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი!

ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,
რომ უშენობა მწვავდა ასწლობით,
შვილი მშობელთან ვეღარ მივიდა,
ვეღარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.

მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,
ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული
და შენი სიტყვის გადასარჩენად
ილეწებოდა ჩემი სხეული.

რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი,
ჭოროხს მეწამულ ფერში უვლია,
საქართველოში, ალბათ, კალმახი
მიტომ სისხლისფრად დაწინწკლულია.

გამომივლია ჭირი ყოველი,
ღიმილიც ვიცი, დარდის მოთმენაც...
მე ჭოროხგაღმა ორი სოფელი
დამრჩა ნახევარ ქართლის ოდენა.

ის უშენობა დედამ იტირა
და შენი წიგნი ხელში ეჭირა.
მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ
და შენი მიწის ერთი კენჭი ვარ.

მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,
მე საქართველოს დიდი სიმღერა
გულში ჩავინთე, ვით ნაკვერცხალი.

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი...
შენი შვილი ვარ, შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი!..

1957

* * *

შანდორ პეტეფის

იქ, ჭაობიდან აფრინდა ყანჩა,
კაცის სხეულზე წაიქცა ისლი...
ჰაერში თოფის ცივი ხმა ჩარჩა,
ჩალაზე წვეთავს მდუღარე სისხლი.

შენ იცი კარგად კვნესაა ვისი.
სხვა ფიქრობს — ყანჩას აფრენას
დარდობ...
რა ფერისაა სამშობლოს სისხლი —
შენ კარგად იცი,
ძვირფასო შანდორ!

1962

ია

მე მაგონდება ყრმობა,
ტყე-ველი
როცა მოიფენს იებს სამოსად.
„ია“ — ამ ორი მარცვლით შევძელი
წიგნში პირველი სიტყვის ამოხსნა.

როცა ნამიან კორდებს ავივლი
და ორთქლს მომახვევს ყანა დამბალი,
მგონია, მინდვრის თითო ყვავილი
არის ბუნების თითო ანბანი.

აქ გაზაფხული დგება პირსავსე,
მე მოზეიმე ველებს გავცქერი
და სიყვარულით მშობელ მიწაზე
აპრილს ვკითხულობ იით დაწერილს.

1955

მამალი დიდ ქალაქში

(სურათი)

დიდი ქალაქის უდაბნოში ყივის მამალი,
ყივის მამალი, ყურს არ უგდებს მამალს არავინ...

ყივის მამალი მარტოდმარტო და თავის ექოს
თვითონვე უსმენს გაოცებით და შეშფოთებით,
ბოლოს და ბოლოს მოთმინება სანამდე ეყოს, —
ხმას არ იღებენ
ეზოები,
გზები,
ფოთლები.
ყივის მამალი, გარშემო კი კვამლით შებურვილ
სახლებს არ ესმით არაფერი... ყველგან დაყრუვდნენ?
მაგრამ მზე აღსდგა...
და მამალი თვალანთებული
საკუთარი ხმით გაჩაღებულ
ხანძარს გაჰყურებს.

1967

მურმან ქოიავა

ოკეანენი ვერ გადავსერე...

ოკეანენი ვერ გადავსერე
და მათი ღელვა არ განმიცდია.
ამიტომ მუდამ შავ ზღვას ვახსენებ,
ეს მეგობრებმაც კარგად იციან.

შავი ზღვა თითქოს სულში იღვრება,
მისი მარილიც ბლომად ვიგემე,
თუ ვერ შევუწყე ზვირთებს სიმღერა,
გულისხმას მაინც ხომ გამიგებენ?

სწორედ ამიტომ შავ ზღვას მივენდე,
შავიო? ხშირად იისფერს ჯაბნის,
აქ ჩემს ოცნებებს და ჩემს იმედებს
არ ეკარება ნისლი და ჯანღი.

შავ ზღვას ევლება ჩემი ფიქრები,
არ გაიოცოთ, ზღვა რომ მიყვარდეს,
და თუ გამწირავს, მისი ზვირთები
ისევ კოლხეთში გამომრიყავენ.

შავ ზღვას გავანდობ, რაც გულს მაკლია,
ლაზურ ნავივით იელვებს ზვირთი,
შავი ზღვა... თითქოს დიდი სარკეა
და შიგ უამრავ ვარსკვლავებს ვითვლი.

ზღვაზე მხრის გაშლა ისევ მწყურია,
როცა ელავენ თვალწინ აფრები,
თითქოს ამოდის დიოსკურია,
ჩემი ფაზისი და წინაპრები.

თითქოს და ზვირთი ყივის ორბივით
და მეცხრე ტალღის ქარი უბერავს,
მე გზას ვულოცავ ხელაპყრობილი
დაბადებულებს მეზღვაურებად!

— ღმერთმა აშოროთ ბედის სიშავე...
და ზუზუნებენ ცივად ქარები.
ცაზე ვარსკვლავებს გამოთიშავენ
და ბნელ ფსკერისკენ მიაქანებენ.

შავ ზღვას ვევლები მუდამ ფიქრებით,
არ გაიოცოთ, ზღვა რომ მიყვარდეს
და თუ გამწირეს მისმა ზვირთებმა,
ისევ კოლხეთში გამომრიყავენ.

1966

ზღვა მღერის ახლა

ზღვა დღეს საოცრად მაგონებს ვულკანს,
ზვირთები თეთრად აშლილან ცისკენ,
თითქოს საოცარ მუსიკას უკრავს
და ზღვის იდუმალ გულისხმას ვისმენ.

ზღვა ძველებურად ფაფარს აიშლის,
ზღვა — უსასრულო სიგრძე-სიგანით,
ზვირთები ჰგვანან დიდრონ კლავიშებს
და კლავიშებზე დაქრის გრიგალი.

მუხლებს დაენდე, დადექ, გამაგრდი,
გაშალე მხრები, გასწვდი ნაპირებს
და სიმღერაში გაუთამამდი
ზვირთებს — ზედიზედ წამოგრაგნილებს.

ზღვა მღერის ახლა და ხარბად ვსუნთქავ,
მე — ბინადარი ამ დედამიწის,
ზღვას უდიდესი დუმილი უყვარს
და უნაზესი სიმღერაც იცის.

ზღვა მღერის ახლა და ზღვა დამიპყრობს,
ზვირთი აშლილა თითქოს ცათამდე,
ჩემი სიმღერა ზღვაზე დაიწყო
და მინდა იგი, ზღვაზე გათავდეს.

ზღვა კი... საოცრად მაგონებს ვულკანს,
ზვირთები თეთრად აშლილან ცისკენ,
თითქოს საოცარ მუსიკას უკრავს
და ზღვის იდუმალ გულისხმას ვისმენ.

1966

ქალი, რომელიც ნაპირზე დარჩა

მეზღვაურები ტოვებენ ყურეს,
მეგზურად უძღვით კეთილი ქარი,
შორეულ გზებზე... ძნელია თურმე,
რომ დაგავიწყდეს მიწა და ქალი.

სურვილი იწვის ტროპიკულ მზეზე
და უსაშველოდ გიფეთქავს მაჯა.
არა და არ ჩანს, შორეულ გზებზე
ქალი, რომელიც ნაპირზე დარჩა.

მეზღვაურები ებრძვიან ზვირთებს,
ზღვის შვილები და განა სტუმრები:
„გადაირიოს“ მშვიდი ზღვა იქნებ...
და ხარხარებენ მეზღვაურები.

სიცილში ქრება შიში და საფრთხე,
ზვირთები ფრენენ — დიდი პეპლები,
ზღვა ემსგავსება ჯადოსნურ მახეს,
არ იცი, როდის, სად გაებმები.

ზღვაური აშლის ღრუბლებს ვარდებად,
მზე ჩამავალი გვირგვინად იწნავს,
სულში გრიგალად შემოვარდება
შორეულ გზებზე ქალი და მიწა.

თითქოს უდაბნომ გაკმინდა სუნთქვა,
უსაზღვრო ცის ქვეშ თვალები დაშრა
და გემბანს მიღმა, ამოდის შუქად
ქალი, რომელიც ნაპირზე დარჩა.

გემს არ ეშვება კეთილი ქარი
და ცისარტყელებს შლის და უქარგავს,
მეზღვაურებმა დაკარგეს ქალი,
თორემ ხმელეთი არ დაუკარგავთ.

შორეულ გზებზე დღეები გარბის
და თოლიები ტოვებენ ანძას,
მეზღვაურებს კი ერთი აქვთ დარდი,
ქალი, რომელიც ნაპირზე დარჩა.

არად აგდებენ ავდარს და ამინდს,
მიაბოტებენ ზვირთებზე თითქოს
და არ ასვენებთ შორეთში მაინც
მიწა და ქალის თვალების სითბო.

მზე ცისკიდურზე დაანთებს კოცონს,
ფერფლავს მარგალიტს, ოქროს და მარჯანს
და ყველას გულში იდუმალ ცოცხლობს
ქალი, რომელიც ნაპირზე დარჩა.

და არ თავდება მძიმე გამოცდა,
ღამეა... გემზე ჩურჩული მიწყდა.
და მთელ ეკიპაჟს, ასე საოცრად
თავისკენ უხმობს ქალი და მიწა.

1967

შვილს არასოდეს არ დაუბრუნებს

იქნებ გგონიათ, რომ პური შია,
არა აქვს ჭერი, თავშესაფარი?
არა!
სიცოცხლე ზღვას შეალია,
ზღვა იყო მისი ტკბილი ზღაპარი.

იქნებ ჩათვალოთ ჭკუანაღრძობად
ან ასაგდები იყოს აბუჩად?
არა!
ზღვამ მისცა ენაც, კაცობაც
და მერე ისევ ზღვამ დაამუნჯა.

ან მათხოვარი გგონიათ იქნებ,
დაკონკილი და ჩამოფლეთილი?
არა!
ზღვამ მისცა ნამდვილი სიბრძნე
და ზღვამ დაუსვა ისევ წერტილი.

არა, არ არის, თქვენ რომ იცოდეთ,
უპატრონო და კარჩაკეტილი.
ზღვამ გამოსტაცა დიდი სიცოცხლე
და კაცი მაინც დარჩა კეთილი.

ათას ენაზე ბუტბუტებს ზვირთი,
მოხუცს მოღლის და თავგზას აუბნევს,
ზის და ვარსკვლავებს ითვლის და ითვლის
და მერე ზღვასთან წაისაუბრებს.

შუქურას ნათელს თვალს გაადევნებს,
გადაქცევია გული აბედად:
— ამხელა ზღვაზე რა გაათენებს,
ამ გულში ერთხელ რომ არ გათენდა?!

დგას ლოდინის და გულის ამარა
და უღრმავდება დაჭრილს იარა,
მოდგმის ფესვები მიწამ ახარა
და ზღვამ გაუხმო მარილიანმა.

დუმს თავდახრილი მოხუცი ბნელში
და ხის ტოტივით შრიალებს ტალღა.
ზღვა იყო მისი რწმენა და ეშხი
და... სასაფლაოდ ქცეულა ახლა.

ცივად აჟრჟოლებს ღილვის მოვარდნა
და ისმის, ისმის რასაც ბუბუნებს:
ზღვამ ერთადერთი შვილი მოსტაცა
და არასოდეს არ დაუბრუნებს.

1967

ნოდარ გურეშიძე

* * *

ეს გაუმარჯოს
ჩვენს მხიარულ განწყობილებას,
ეს გაუმარჯოს
კაცის კაცთან დაძმობილებას.
ეს გაუმარჯოს
შეუბღალავ სინდისს და ნამუსს,
ჩვენს დასაფიცარს,
ჩვენს სიცოცხლეს, ოცნებას — მამულს.
ეს გაუმარჯოს
ახალ რუსთავს და ბებერ მცხეთას,
საქმეს დღევანდელს
და განზრახვებს მომავალ დღეთა.

ეს გაუმარჯოს
ჩვენს ძალას და ჩვენს გამძაფრებას,
ჩვენი აზრის და
ნაფიქრალის მზისკენ გაფრენას.
ეს გაუმარჯოს
გლეხის გარჯას, მუშის მარჯვენას,
შექმნას, შენებას
და ყოველი ახლის გაჩენას.
ხალხო ძლიერო,
ბრძენო ხალხო,
შენ რა გეძნელოს?!
დაძლევ ყველაფერს,
შენი იყოს ეს სადღეგრძელო!

1987

ჩვენი საუკუნე

ამ ჩვენს შფოთიან და საოცარ საუკუნეში,
როდესაც ომის გრიგალები დაძრწიან რისხვით,
როცა ვარდს თელავს ტანკი უხეში
და ბალახებზე იღვრება სისხლი,

როცა მინდვრები იბუგება ცეცხლში და კვამლში,
როცა დაჭრილი სიცხით ბოდავს ძვირფასის სახელს,
როცა მშიერი დატანტალებს ობოლი ბავშვი,
როცა თვალები ღიად რჩებათ დაფერფლილ სახლებს,
მთელი არსებით,
მთელი გრძნობით,
სხეულით მთელით
ვყვირით,
ვღრიალებთ:
გადატეხეთ სიკვდილის ცელი!
როცა იღვიძებს ლამაზი დილა
და სამშვიდობოდ მიმოაფრქვევს მზე თავის სხივებს,
ხმამოჭიკჭიკე ჩიტუნები ფრთებს შლიან ფრთხილად,
როცა ყვავილის სურნელებაც გინერგავს იმედს;
დილის შუქივით რომ გიღიმის სატრფო გულისა,
წინ გეგებება მეგობარი გამოწვდილ ხელით,
როდესაც სულში ხე ყვავილობს სიხარულისა,
გატკბობს კარგი დღე
და ხვალ უფრო უკეთესს ელი;
ბედნიერების, სიყვარულის ბადაგი გვავსებს
და ჩვენ ვსაუბრობთ,
ჩვენ ვჩურჩულებთ ალერსის ხმაზე...
... ამ ჩვენს შფოთიან,
ამ ჩვენს ლამაზ საუკუნეში,
ჩვენი ლექსები ხან ნაზია და ხან უხეში.

1957

მე დავიბადე გემის კაპიტნად

მე დავიბადე გემის კაპიტნად...
მე ზღვასთან ყოფნა ახლო მერჩივნა,
უნდა ახალი კუნძულები აღმომეჩინა,
შევბრძოლებოდი ფიცხელ ომში საშიშ პირატებს,
დავდევნებოდი უცხო ხომალდს თვით ნაპირამდე.

მშფოთვარე ზღვათა, მეჩხერ წყალთა გადამლახველი,
დიდრონ რუკებზე იქნებოდა ჩემი სახელი.
მრავალი გული გამყვებოდა, ალბათ, ოცნებით,
უცხო ყივილით გამართობდნენ ალბატროსები.

პოლინეზიის, ჰონოლულუს, ტაიტის ახლოს,
გადავძახებდი: გამარჯობა, უცნობო ხალხო!
გადავსერავდი ოკეანეს აღმა და დაღმა,
და არც ვიგრძნობდი არაფრით დაღლას,
უცხო კუნძულზე, რუკაზე რომ ახლა არ მოჩანს,
დიდი ზეიმით აღვმართავდი სამშობლოს დროშას...

მერე ხალისით და არა დარდით,
ხელში ნანატრი ცისფერი ვარდით,
ვეახლებოდი მონატრებულ გულისსწორს ჩემსას,
ვამჯობინებდი მის მწველ თვალებს უცხო ცის მზესა,
სადმე სოხუმთან დავუშვებდი აფრას გემისას
და ჟამსა ჩემის დახანებისას
ჩემთა გარდასულ ამბავთ მრავლობას
მოვუყვებოდი შთამომავლობას...

მე დავიბადე გემის კაპიტნად...
ოცნებასავით იფანტება ცაზე ღრუბლები...

1954

იმერული მგზავრული

შარა-შარა,
შუკა-შუკა,
ჩქარა-ჩქარა,
უკან-უკან
რჩება გზები და სოფლები,
მოყვრები და მეზობლები.

მზე ლაჟვარდზე ამოსულა,
ხან მთა, ხანაც ვაკე არი,
გზად ოდები გამოსულან
წითელფაფანაკიანი.

უცაბედად ალაგეზე
თითქოს დაგიდარაჯდება,
თითქოს გელის ან დაგეძებს,
გლეხი გეტყვის გამარჯვებას.

და არც უნდა გაიოცო,
ერთხელ უნდა დაულოცო
სახლის ფუძე, ეზო-კარი,
ცოლ-შვილი თუ მეგობარი.

შორი გზა გვაქვს გასავლელი,
სუფრა აღარ გაგვიგრძელო,
სხვაგანაც გვაქვს დასალევი,
გვაპატიე, მაინძელო.

მიმაჩქარებს ზურგის ქარი,
აღარ დაიგვიანოო,
შემოგევლოს ჩემი თავი,
ჩემო კარგო იმანოო.

მდინარის ხმაც შემოგვძახებს
უფრო მაგრად იმღერეთო,

ზვარს გახედეთ, ყანა ნახეთ,
თან ყელი მოიღერეთო.
შენს ყანებს და შენს ვენახებს
გაუმარჯოს, იმერეთო.

შუკა-შუკა,
შარა-შარა,
უკან-უკან,
ჩქარა-ჩქარა,
რჩება გზები და სოფლები,
მოყვრები და მეზობლები.

ხევში ნისლი წვება სწრაფად,
მზეს გაურბის მღიმარესა,
გოგო, შენი თეთრი კაბა
წყალს მიჰქონდა მდინარესა.

გოგო, გოგო,
ატმის ხეო,
გოგო თვალებმაყვლიანო,
მითხარ, რატომ გამრისხეო,
რატომ დამანაღვლიანე.

გეფიცები, განგებ განა?
მინდა, ერთი ბუდე გვქონდეს,
სულ არ მოვალ ამ ქვეყანას,
შენ რომ არ მეგულებოდე.

შუკა-შუკა,
შარა-შარა,
ჩქარა,
ჩქარა,
ჩქარა,
ჩქარა,
მხვდება გზები და სოფლები,
მოყვრები და მეზობლები.

მსვდება მზით თუ სიგრილეთი
ჩემი ყრმობის სიმღერეთი,
ყვავილეთი, ღიმილეთი,
იმერეთი,
იმერეთი.

1963

საქართველო

ნართლაც ბევრი ქვეყანაა
საოცნებოდ დახატული,
ზოგან ტყეა,
ზოგან ზღვაა,
ზოგან მოსჩქეფს ნაკადული.

ზოგან კუშტად დგანან მთები,
ზოგს ამშვენებს ნარინჯები,
ზოგან თეთრად ანანთები
თოვლი უყვართ გაგიჟებით.

ზოგს მზის სხივიც არ უგრძვნია,
ზოგი მუდამ გამთბარია,
ზოგან მუდამ ზაფხულია,
ზოგან მუდამ ზამთარია.

ზოგის ნახვა ნატვრად მექცა,
ზოგი თვითონ მოვიარე...
მაგრამ სხვაა ჩვენი ზეცა,
მაგრამ სხვაა ჩვენი მხარე.

სხვაა ჩვენთა წინაპართა
ვაჟკაცობა წინანდელი,
სხვაა ჩვენი მიწის კალთა,
მისი აწმყო სხივნათელი.

ზღვიანიც და მთებიანიც,
თბილიც, თოვლისვერცხლიანიც,
მართლაც სანატრელი არი
მხარე ბულბულ-მერცხლიანი.

ბევრ ჭირ-ვარამს რომ გადარჩა,
მტერს ლხინი რომ არ აჩვენა,
იგი მისთა შვილთა გარჯამ
კიდევ უფრო დაამშვენა.

ძველთაძველიც და ახალიც,
დედამიწის ცისარტყელა,
საოცნებო ჩვენი მხარე
მოკაშკაშე შუქში ელავს.

ხალხთა ძმობის ეშხი გვამკობს,
ვჭედთ მომავლის განთიადებს,
ზეცას ვწვდებით...
და ვამაყობ,
რომ ქართველად დავიბადე.

1964

ბავშვები

სიცილ-კისკისით, ათამაშებით,
ამღერებულნი, დახატულები,
ბაღში დარბიან კარგი ბავშვები,
როგორც პატარა ნაკადულები.

სახეზე ვარდის ფერი ედებათ,
თითქოს ცოცხალი ყვავილებია —
იქვე შფოთავენ, სწუხან დედები:
— გაცივდებიან, დაიღლებიან!..

ცა არის მართლაც ფირუზისფერი,
ირგვლივ ჩრდილს ღვრიან მწვანე ხეები,
ასე თამაშით ასე სიმღერით
მათი ბავშვობის ჰყვავის დღეები.

თვალებში უდგათ სხივები მზისა,
აგერ, ლამაზი გოგონა მორბის...
— მოქალაქენო, იყავით ფხიზლად,
ქვეყნად არსებობს ატომის ბომბი!

1956

ლომის სიკვდილი

ის გამოჰყავდათ ყოველდღე ცირკში
და შეეჩვია ამგვარ წამებას,
რაღაც მხეცური ძრწოლვით თუ შიშით
უსმენდა მწვრთნელის ყველა ბრძანებას.

დააბიჯებდა რწევით და ნაზად,
ვით თვინიერი ტურფა ასული,
გაიფიქრებდი — არცა აქვს აზრად
ამ ლომს, ლომური მისი წარსული.

გაიფიქრებდი — დაჰკარგა უკვე,
თვისი ჯილაგი და გვარტომობა,
დააძაბუნა სამადლო ლუკმამ
და აღარც ახსოვს თვისი ლომობა.

ცირკში აწონილ ლეშით მაძღარი,
რიდით და მონურ სიამით სავსე,
როგორც გაწვრთნილი ძაღლი საწყალი,
დაძრწოდა მწვრთნელის მათრახის ხმაზე.

ისე უსმენდა მბრძანებლის ნებას,
ისე გულდაგულ და მონდომებით,
ვფიქრობდი, ლომთა სახელიც ქრება
და მძულდა, მძულდა ქვეყნად ლომები.

ერთ დღეს, როდესაც გაიღო კარი
და დასაწყისის ზარი დარეკეს,
ლომს მოაგონდა თავისი მხარე,
მისი ჯუნგლი და მისი აფრიკა.

იგრძნო, უცნაურ ძალით აზვირთდა,
აღარ შეეძლო ყოფნა მონურად
და სიმწარისგან და სიბრაზისგან
დაიბუბუნა ლომმა ლომურად.

მან იგრძნო, გარდა მისი მთა-ბარის
სხვაგან ჰაერიც არ ისუნთქება,
მას მოენატრა უფრო მთავარი
და უფრო მეტი — თავისუფლება.

იგრძნო, რომ აღარ გასჭრიდა ახლა
მწვრთნელის მუქარა, თხოვნა თუ გარჯა,
სულში წარსული კვლავ ჩაესახლა,
ის ლომი იყო და ლომად დარჩა.

მან მრისხანება ვეღარ დამალა,
თვალთა საშინელ აელვარებით,
უცებ ჰაერში შეჰკრა კამარა
და მწვრთნელს ჩაასო ბასრი ბრჭყალები.

როგორც სამუმი უმხურვალესი
გულს დააყარეს ტყვიების ჯერი,
და მის გაყინულ, მხეცურ თვალებში
ჩანდა აფრიკის ლაჟვარდის ფერი.

მკერდდაგლეჯილი ძირს იწვა მწვრთნელი,
ისმოდა დამფრთხალ ძაღლების ყეფა,
იქვე ზვიადი და საშინელი,
ეგდო ჯუნგლების მრისხანე მეფე.

და მე რატომღაც მომინდა მეთქვა:
ღირსებისათვის ასე რომ ომობ
და მას შესწირე ეგ გულის ფეთქვა —
მადლობა, ლომო, მადლობა, ლომო.

1965

ს ტ უ მ ა რ ი

აჰა, ავყევით მღელვარ გულისთქმას,
ჟინს მოგზაურის რაც ჩაგვნერგია,
გადაშლილია რუკა ტურისტის
და ხელისგულზე მოჩანს ბელგია.

წამოშლილები დილა ადრიან
ვართ ავტობუსის მყარი მკვიდრები,
ჩვენი ქართული ესმის ფლანდრიას
და ტაძრებს — ძეგლებს მისი დიდების.

გზა გასავლელი წინა გვაქვს დიდი,
ტურისტის თვალიც არ დაიღლება,
ენამჭევრობას იჩემებს გიდი
და აქაურთა ადათს გვიყვება:

ძველი წესია აქაურ მკვიდრთა, —
ყოველწლიურად არის ერთი დღე,
ვისთანაც გინდათ,
ან სადაც გინდათ,
სტუმარს ნება აქვს ყველგან შევიდეს.

ო, არ ვაჭარბებ, იცოდეთ, ამას,
თუ დაქანცული ყავას ნატრობდით,
სტუმრად მოსულებს ერთ ჭიქა ყავას
არ დაგამადლით სახლის პატრონი.

თუმც ძველთაგანვე ყოფილა ასე,
სხვა დროის ვხდებით ახლა მოწმენი,
ავიწყდებათო ეს კარგი წესი, —
ჩაიჩურჩულა გიდმა მოწყენით.

კრიალა გზაზე მანქანა მიჰქრის,
თეთრი ღრუბლები დამძიმდნენ ზემოთ,
ამ ცხრა მთას იქით ეს ჩემი ფიქრი
შენ დაგტრიალებს, სამშობლოვ ჩემო.

ქვეყნად სად არის სხვა შენი ცალი,
სტუმრისთვის ზღაპრულ სუფრას რომ
გაშლი,
მუდამ ჭიშკრისკენ გიჭირავს თვალი
და გზაზე გამვლელს პატიჟობ სახლში.

სიხარულია შენთვის სტუმარი
ღვთის მოვლენილი და ნაბოძები,
მისთვის კეთილ გულს, სითბოს,
პურ-მარილს
ქვას გააპობ და მაინც მოძებნი.

მინდა, ვიყვირო, მინდა, გავძახო
აქედან შენსკენ მობერილ ნიავს, —
შენ გენაცვალე, ქართველო ხალხო,
სტუმრისთვის კარი მუდამ გაქვს ღია.

1964

ნაცნობი დუმილი

რეკავს ტელეფონი,
ავიღე ყურმილი,
ალო!
მე გისმენთ!
პასუხი არ არის...
ძვირფასო, ვიცანი
მე შენი დუმილი.

შენგვარი დუმილი
არ იცის არავინ.
კვლავ რეკს ტელეფონი
ალო!
მე გისმენთ!
ალო!
მე გისმენთ!

ჩავძახი გარკვევით...
ძვირფასო,
ძვირფასო,
შენ დუმხარ ისევ
და ამით ყველაფერს
მელაპარაკები.

1966

ქართველი მეომრის საფლავი ლვოვში

ის აქ იბრძოდა... უკრაინიდან
რა ახლო არი საქართველომდე.
სახლში სიკვდილის მაცნე მივიდა
და მაინც,
მაინც დიდხანს ელოდნენ.
რისხვით ზარავდა მომხდურს გარეწარს,
ელავდა ხმალი მაღლა აწვდილი,
და უკრაინის ველზე დაეცა
ის —
საქართველოს ერთი ნაწილი.

ჩამოწვა ღამე შავი და მრუმე
დაქვრივდა ქალი თვალგიშრიანი...
და სასაფლაოს მწუხარე დუმილს
არღვევს ყვავილთა ნაზი შრიალი.
მზემ ღრუბლის სქელი ფარდა გახია,
აქაც ლამაზი მთა და მდელოა...
სადაც ქართველი კაცი მარხია,
ყველგან პატარა საქართველოა.

1969

გივი ძნელაძე

ზამთარი

თოვს...
თოვს...
თოვს...
თოვს...
მესამე დღე არის თოვს,
სუროზე მოფრინდნენ მშიერი შაშვები —
ამინდი დაუდგა თოფს.
ბუხართან ბაბუა აბოლებს ყალიონს,
ბებია საწინდეს რთავს...
— შეხედე!
— შეხედე!
რა დიდი თოვლია,
რა კარგი ზამთარი გვაქვს.
ჰქრის...
ჰქრის...
ჰქრის...
ჰქრის...
ტოტები ემტვრევა ხეს,
მხიარულ სოფელში გაჩაღდა სტუმრობა—
სტუმრები გვეწვივნენ ჩვენც...
ვუყურებ თოვას და...
მგონია:
მაღლიდან
ჩანჩქერი იღვრება რძის...
ცრის...
ცრის...
ცრის...
ცრის...
ცა ფეხად ჩამოდის ძირს.
თოვს...
თოვს...
თოვს...
თოვს...
თეთრია მინდორი, მთა;
გორაკზე ბავშვებმა წამოდგეს ბაბუა,
რომელიც თეთრია მთლად.
ნამდვილი ბაბუა ბუხართან ყალიონს
აბოლებს — თან იქნევს თავს...
— ჰო...
— ჰო...
— ჰო...
— ჰო...
— რა დიდი ზამთარი გვაქვს!

1952

* * *

წარსულზე ფიქრი —
მართლაც სულ სხვაა:
გზები —
წამებში გადასაფრენი...

იქედან აქეთ —
რამხელა გზაა!
აქედან იქეთ —
აღარაფერი!..

1969

ფიცი

დაბადებამდე რომ ვერ გხედავდი —
ამაზე მწყდება ძალიან გული!
სიკვდილის შემდეგ რომ ვეღარ გნახავ —
ამაზე როგორ არ დამწყდეს გული!

შენს ახალ დღეებს და მაღალ სახელს
არვის დავუთმობთ სიცოცხლის ფასად,
მხარზე დამარტყი, სამშობლოვ, ხელი
და მეც ჩამთვალე შენს ერთგულ კაცად!

1965

მრწამსი

ეჰა, სამშობლოვ! —
სიცოცხლე ჩემი
და სილამაზე შენა ხარ სრული;
მე შემიძლია, შენი გულისთვის,
დაუნანებლად დავლიო სული!

მე ვარ ქართველი,
შენ — საქართველო!
ამაზე თბილად ვერაფერს გეტყვი,
ვარ შინაარსი შენი სახელის
და სიამაყე არ მინდა მეტი!..

ცხოვრებამ ზოგჯერ დატკბობა იცის, —
დაგავიწყდება მტრობა და შური;
ცხოვრებას ამ დროს სურნელი ასდის
თონიდან ახლად ამოყრილ პურის.

ამ დროს არ გინდა დამძიმდეს გული,
ამ დროს არ გინდა სიკვდილზე ფიქრი,
ოცნება ამ დროს მზით განათებულ
თბილ ლაჟვარდებში მსუბუქად მიჰქრის...

ისე ხარ ამ დროს —
თითქოს გაბრუებს
ნედლი ბალახის სუნი და სითბო,
და ისე გარწევს ხალისის ფრთენი, —
არც არსებობდეს სიკვდილი ვითომ!

მაგრამ, ვაი, რომ არსებობს იგი!
დიახ! —
არსებობს სიკვდილი ქვეყნად!..
მიწაში ჩახვალ? —
იქაც მოგძებნის,
თუნდაც ასმაგი ჯავშანი გერტყას...

— მერე ეს მთები?
მერე ეს წყარო?
მერე ეს ქალი?

მერე ეს მთვარე?
მერე ეს ბიჭი? —
— მერე ამ ბიჭის
იქნება ჩემი სამშობლო მხარე!

მაშინ ამქვეყნად
აშრიალდება
ახალთახალი ჭადრების ჩერო!..
მე ვარ მოკვდავი,
შენ კი — უკვდავი!
მე ეს მახარებს,
სამშობლოვ ჩემო!..

მაშინ ეს ცელქი,
შავტუხა ბიჭი
იქნება შენზე მზრუნველი კაცი,
უფრო თუ არა, —
ჩემსავით მაინც
ეცოდინება სამშობლოს ფასი!

ახლა კი...
შენ ხარ სიცოცხლე ჩემი
და სიხალისეც შენა ხარ სრული, —
მე შემიძლია, შენი გულისთვის,
დაუნანებლად დავლიო სული!

1959

ნაცნობ ადგილთა სანახავად...

ფერთა ლივლივი ალამაზებს
მთებსა და მინდორს;
ჩემს გარეშემო დიდებულად
ანთია სივრცე...
ისე ვარ ახლა —
კაცთა ბედი ჩემს ხელთ რომ იყოს,
თვითეულ მათგანს
ათასი წლის სიცოცხლეს მივცემ.
გაღმით მოჩანან
ატყორცნილი ცათამდე მთები,
გამოღმით დგანან
საყვარელი ჭადრები გუნდად...
ისე ვარ ახლა —
მე მგონია
და, თუ არ ვცდები,
ამ სიხარულმაც
ჟამთა დენას გაუძლოს უნდა!
თბილი ღიმილით შარაგზაზე
გლეხკაცი მხვდება,
ღიმილი იგი
საათიან საუბარს უდრის...
თითქოს ხმა გამცა გარდასულმა
ბავშვობის დღემა, —

ნაცნობ სიმღერად
გზიდან ისმის
ჭრიალი ურმის...
მე ვერ ვხედავდი
შენს ველ-მინდვრებს
ასი წლის წინათ;
ვერც შენს ლამაზ მთებს
დავინახავ
ასი წლის მერე.
ახლა მაქვს დრო და...
ახლა მინდა, მშობელო მიწავ,
ვისიყვარულო
შენს მთას, შენს მზეს,
შენს ზღვას, შენს ღელეს...
ამ ღელის პირას
მე ვიხილე ნათელი პირველ,
აქ აღმიმართავს
ოცნებათა კიბენი ცადა...
— კარგია წესი:
სანახავად
კაცნი რომ მივლენ
იმა ადგილთა —
გაატარეს ბავშვობა სადაც!..

1955

სიცოცხლე

იყო შუადღე... ცაცხვის ჩრდილში ვიწექი მოლზე,
ვფიქრობდი:
ზღვებზე,
ვარსკვლავებზე,
მინდვრებზე,
ტყეზე,
ადამიანზე,
წყაროებზე,
ჰაერზე,
მზეზე
და...
მძაფრად ვგრძნობდი სამყაროის პირისპირ დგომას;
რა არ ვიფიქრე კაცის ბედზე — კარგიც და ავიც.
მერე —
ათასგვარ ფიქრში ჩაფლულს —
ჩამთვლიმა წუთით
და ეს ცასა და მიწას შორის მსუნთქავი სივრცე
თვალდახელშუა გამიქრა სადღაც...

... უცებ
ყრუ გრგვინვა ჩამესმა და გავაღე თვალი.
ვხედავ:
გამორბის ორღობეში მეზობლის ბიჭი,
გადაუგდია თოფი მხარზე...
ბამბურა ძაღლი
ხან წინ გაუსწრებს,
ხან უკან რჩება...
ბიჭს პაწაწინა მკვდარი ჩიტი უჭირავს ხელში —
აკვირდება და გულუბრყვილო ღიმილით სინჯავს!..

... იმ ხმამ,
რომელმაც მე გამაღვიძა,
სამარადისოდ დააძინა არსება ერთი!..
მე კვლავ ვხედავდი:
მდინარეებს, ვარსკვლავებს, ტყეებს...
და ყურს ვუგდებდი
სხვა ჩიტების გულწრფელ გალობას!

1956

გული

თუ კაცი მღერის —
ეს არის გული!
თუ კაცი ტირის —
ეს არის გული!
გული, ჰო, გული!
გული, ჰო, გული!
გასაოცარი,
მფეთქავი გული!

ადამიანში პირველი არი
გული და გული!
გული და გული!
ჯერ გული კვდება
და მერე კაცი!
პირველად — გული!
პირველად — გული!..

გული ჩანს ყველგან! —
არ არის ქვეყნად
სიტყვა და ბგერა
გულის გარეშე,
და
როგორც მთვარე
ანკარა წყალში, —
ისე ჩანს გული
კაცის თვალებშიც.

ვით აფრას გემი
მღელვარე ზღვაში, —
გულს ასე კაციც
მიწაზე დაჰყავს...
და გულის ლტოლვას,
თრთოლვას და ქროლვას
სულდგმულთა შორის
ბადალი არ ჰყავს...

მოიღლება და
მოითენთება
საწყალი გული
ამდენი ჯაფით,
ერთ მშვენიერ დღეს
თავს იგრძნობ ცუდად
და ყველაფერი
მორჩება ამით...

უთქმელ სიტყვაში
დარჩება გული
და არ შეწყდება
იმისი ფეთქვა;
გული იცოცხლებს
და გული იტყვის
სიკვდილის შემდეგ
რაც უნდა გეთქვა...

უკვე სხვაგვარად
წავიდა საქმე:
უნდა შევცვალო
პირველად თქმული, —
ჯერ
კაცი კვდება
და...
მერე — გული!

1967

ხათრი

როგორც ღრუბლიან ამინდში არ ჩანს
მზე,
მაგრამ — ვიცით: ცაშია იგი, —
ჩემი ბავშვობაც ასევე დარჩა
ჩემში და არა სადღაც — ჩემს იქით...

უფრო მარტივად:
ვით მაღალ ხეში
იგულისხმება პაწია ნერგი, —
ასევე ცოცხლობს ბავშვობა ჩემში,
თვისი ხალისით და ენერგიით.

და თუ სიცოცხლე მწადია დიდხანს,
თუ ზოგჯერ წუხილს არაფრად არ ვთვლი —
ასე მგონია, მართალი გითხრათ,
მხოლოდ და მხოლოდ — ბავშვობის ხათრით;

მინდა — მოხუცდეს ბავშვობა ჩემი,
მინდა — ნავარდით ავარდეს მზემდე, —
ცოტა ხანს მაინც,
ცოტა ხანს მაინც —
იცოცხლოს ჩემი სიკვდილის შემდეგ!..

1961

გზა

კაკლის აკვანში ჟღურტულებს ტკბილად,
უმანკო სხივი უბრწყინავს თვალში,
ჯერ ლაფაროში გაივლის ფრთხილად,
მერე ეზოში გამოვა ბავშვი.
დახედავს მიწას, ახედავს ზეცას,
მოეწონება ღიმილი მზისი,
თვალს გააყოლებს გულთეთრა მერცხალს,
აუმღერდება ძარღვებში სისხლი...
მოუმწიფდება თანდათან აზრი,
დღეს თეთრად ჩასთვლის და ღამეს შავად,
მერე ეზოდან გადავა გზაზე,
გზიდან ცხოვრების გრიალში გავა.
ღიმილი, ცრემლი, ნაღველი, თქეში,
მზე, სისხლი, ყინვა, ქარები მკაცრი, —
აითქვიფება ერთმანეთში და
გაოცებული დარჩება კაცი.
დიდხანს იფიქრებს ეშმაკზეც, ღმერთზეც.
თეთრად გაათევს უამრავ ღამეს;
ვერ შეძლებს? შეძლებს?
ვერ შეძლებს? შეძლებს?..
ო, უპასუხეთ, უთხარით რამე! —
ვინ შეიყვაროს, ვინ შეიძულოს,
ვის მორჩილებდეს ან რომელ ადათს?
ვის შეეგუოს, ვინ შეითვისოს,
გამოსავალი სად არი, სადა?!
ეს კითხვა დიდხანს ექნება დარდად,
გზა ხსნისა ერთი დარჩება მხოლოდ:
აწონ-დაწონის ყველაფერს კარგად
და... ადამიანს იწამებს ბოლოს!

1962

* * *

ეს ზეცა და ეს მინდორი, ეს ღელე და მთა —
მე არც მომიტანია და ვერც წავიღებ თან!..

ამ დალოცვილ მიწაზე ყველაფერი თავდება,
რამე თუ არ იწამე უკვდავების თავდებად.

ო, რა ჩქარა თენდება!.. ო, რა ჩქარა ღამდება!..

ვიწამე და... ტკივილი თანდათან მიამდება...
გაიხედე, თუ ძმა ხარ, თენდება თუ ღამდება?!

1970

* * *

მე — დრო ვარ,
ჩემი წუთები
ანთია მძაფრი ფიქრებით...
წესია,
თანდათანობით
მივნელდები და მივქრები:

დიდი თუ არა —
დამრჩება
პატარ-პატარა წიგნები...
შენ თუ არ გემახსოვრები,
მე მაინც შენთან ვიქნები!..

1970



ემელიან ქურდიანი

შემოგგუგუნეგ, ჩემო ღვთაეგავ!

მსურს, სიკვდილამდე ერთად ვიაროთ,
შენს სადიდებელს ქვეყნად ვღაღადებ.
მარად იქა ვარ, სადაც მზიანობს
ჩემი ფიქრი და ჩემი სახატე.

მარაოსაებრ გზებსაც დავკეცავ
და სულში მაშინ შევა ედემი.
მე საქართველოს მზესა და ზეცას
და მის სიყვარულს შევაბერდები!

გზის დასასრულზე, გაღიმებული,
შემოგგუგუნეგ, ჩემო ღვთაეგავ,
რაკი საცისკროდ გამიღე გული,
ვერ შემაღონებს შემოღამება.

მანამდე შენს გზებს გულში ჩავკეცავ
და მაშინ სულში შევა ედემი...
მე საქართველოს მზესა და ზეცას
და მის სიყვარულს შევაბერდები!

1960

როცა გიგონეგ

ფიქრები მოჰგავს წაშლილ სტრიქონებს,
წაშლილს უჩინარ ხელით...
როდესაც ვმღერი, მაშინ გიგონებ,
როცა გიგონებ — ვმღერი.

გკითხე: ჰო, მეთქი?! — პასუხი: არა!
შემდეგ... განშორდნენ გზები.
შენ სიყვარულის უძლეველ ძალას
ცამდე აჰყევი გზნებით.

ამგვარად გახდი სხვისი ერთგული
და ბედნიერიც, ვიცი.
მეც სხვასთანა ვარ ფიცით შეკრული,
წმინდა, მეგობრულ ფიცით.

ხსოვნას ჟამთა სვლის აწევს სიმძიმე,
მომაგონდები თუკი,
ჩემთვის ბურუსშიც გაიციმციმებს
შენი თვალების შუქი.

ფიქრები მოჰგავს წაშლილ სტრიქონებს
წაშლილს უღმერთო ხელით...
როდესაც ვმღერი, მაშინ გიგონებ
როცა გიგონებ — ვმღერი.

1956

ნადირობისას

დასწყევლოს ღმერთმა, ვესროლე, ჰოდა,
წაიმუხლა და ვეღარ გაქანდა.
წაწვა და მარჯნის მძივებს ჰკარგავდა,
ისეთი ნაზი თვალები ჰქონდა,
დასწყევლოს ღმერთმა...
ტყიურს არ ჰგავდა.

შორით ბღაოდა რემა ირმისა,
მიწის შვილები ხმობდნენ მიწიერს.
უფსკრულთან თვალთა მზერამ ინისლა,
ალბათ, ამ ირმის ცოდვამ მიწია.

ფრიალოს ძირში წელი გახევდა,
მარჯვე მარჯვენაც ჩამომივარდა...
მოვიდა კაცი, ერთი დამხედა,
მიზურგა, ასე ჩამომივაკა,

მონადირისგან მსურდა შექება,
ვთქვი, მიქებს მიზანს, ანდა ქველობას.
ზამთრის ვარსკვლავის თვალით შეხედა
ჩემს მარჯვენას და ქალაქელობას.

მადლობა-მეთქი! მომხედა მშვიდად,
ღიმი მოჰგვარა ჩემმა ქართულმა.
სადღაც ისეთი გუგუნი იდგა,
დაიბუბუნეს მთებმაც გაბმულად.

— ასეა, — მითხრა ექოს გამგებმა, —
ირმის ტოლები მთასა ჰყვირიან,
ტყიური ტყიურს ექომაგება,
კაცისგან შველა გასაკვირია?

1965

ნაზი კილასონია

მარჯორი უორდროპი

მარჯორი —
მარჯანი
ბაგეზე,
ღაწვებზე,
მარჯორი —
ფაიფურის ქალი.
მარჯორი!
ჭლექია, გულზე რომ გაწვება
და სევდა არაგვის ქარის.
მარჯორი!
მცხეთაში ვაშლის ხე აფეთქდა,
ბულბულმა გატეხა ქნარი.
მარჯორი თითებით
იკავებს საფეთქლებს
და ტირის
ფაიფურის ქალი.
ლექსები, ლექსები,
თვალები უძილო.
ნესტანის გამწყდარი პწკარი.
ლონდონი,
გემები,
ნისლების კუნძული
და ჭლექი
ჩქარი!
ჩქარი!..
მარჯორი
დამდნარა,
ჰაერს
უერთდება.
სარკმელზე
წვიმების ღვარი.
მარჯორის
უყვარდა ყინულთა ბეთლემი,
მცხეთა და ჯვარი.
მარჯორი —
მარჯანი
ბაგეზე,
ღაწვებზე,
მარჯორი —
ფაიფურის ქალი,
ჭლექიან მკერდზე რომ
დარდად აწვება
ნესტანის გამწყდარი პწკარი...

1957

გიო

(შვილს, რომელიც ჯერ არ მყავს)

და ვიდრე მართლა მოხვალ ამქვეყნად,
ჯერ უნდა მხოლოდ სიზმრებში მდიო.
მე სევდიანად გპირდები ეხლაც:
მოხვალ,
სიცოცხლეს გაჩუქებ, გიო!
გიო!
თვალები ღამეებს ათევს...
გიო!
ხელები ლოდინით დაჭკნა.
შენ უნდა ნახო მზიანი ქართლი,
შენ უნდა ნახო მთიანი რაჭა.
შენ უნდა გქონდეს მამის თვალები,
შენ უნდა გქონდეს,
შუბლი მამისა...

მე შენს სიცოცხლეს მივეძალები
და გულისკოვზთან თრთოლვით ჩაგისვამ,
რათა შენს მაჯას მივცე სათავე.
რაა მიწიერ ტანჯვის ატანა?
არარაობის ქარში ტანტალი
კმარა! გეყოფა, ჩემო პატარა...
ვარ დედა —
ვდგავარ საწუთროს გზებზე:
ხარ შვილი —
მმართებს მარადის გდიო:
თვალებს ვიჩრდილებ,
გიხმობ და
გეძებ:
გიო!
გიოო!..

1960

პატარძალი

თალხი თავსაფარი,
თვალი მოცინარი,
მას ქვეყნის სამოთხე
ოდიშში ეგულვის.
ეზოში დედამთილივით დგას ოწინარი:
ნანა!
ნანა!
პატარძალმა არ იცის მეგრული!..
პატარძალს მოწყინდა
სევდიანი წვიმები,
ხეებზე შემოდგომის ხანძარი,
ჟრიალებენ ჩონგურის წკირები,
რიალებს კოპიტის ნაცარი.
დედამთილი ასწავლის
ოდიშის სიბრძნეს,
არ წამისვაო ნახშირი,

კაცი ღმერთიაო —
მოწიწება იგრძენ,
არ შესცინოო ქმარს ხშირად.
ყავარი გრიალებს,
ოჩოკოჩი გაჯიქდა,
დამაცა!
დამაცა
თხაწვერა!
მივნაყო, მოვნაყო აჯიკა,
დავჯდე და ლექსები დავწერო.
თორემ პატარძალს
მობეზრდა წვიმები,
ხურმებზე შემოდგომის ხანძარი.
ჟრიალებენ ჩონგურის წკირები,
რიალებს კოპიტის ნაცარი.

1960

ოჩოკოჩი

ოჩოკოჩი ბაკუნობს თხის ჩლიქებით,
ოჩოკოჩს უჭირავს სტვირი.
იარა,
იარა,
დაქელა ჩირგვები,
ახოსთან წაიქცა და ტირის.
ოჩოკოჩო,
ჰეი,
ოჩოკოჩო!
ჩაჰბერე,
დაუკარ სტვირი!

ოჩოკოჩი ხეტიალობს ნაურმალ შარაზე,—
კაცი ვარო და
სისხლი მიდუღს,
მეგრელმა ქალებმა კარები ჩარაზეს
— დიიდუ!

ფაცხაში ბავშვებმა უმატეს ტირილს,
ფაცხაში ვარსკვლავები ცვივა.
ოჩოკოჩო, ჩაჰბერე,
დაუკარ სტვირი,
ცივა...

ოჩოკოჩი წყევლის
ღამეებს მთვარიანს,
ხეყვარულს ღარიბს,
მარტოობას მდიდრულს.
ოჩოკოჩი ტყეში დადის და
ოჩოკოჩი მთვრალია,
დიდუ!..

1958

მე რომ წავიდე...

მე რომ წავიდე:
ვინ უნდა გამოუცვალოს იებს წყალი;
მე რომ წავიდე:
ვინ უნდა დაგანახოს
სარკმლიდან მთვარე მცხრალი;
მე რომ წავიდე:
— ვინ უნდა შემოუშვას ოთახში ქარი;
მე რომ წავიდე,
ვინ უნდა წაგიკითხოს
ლექსების პწკარი...
და სხვაც რომ დავტოვოთ,
ჩემო ბატონო,
ვიზედ უნდა ბრძანდებოდეთ
ყოველდღე მწყრალი?

1960

ვუგალოგ ჰარალეს — დოვლათის ღმერთს

ხარებს რქებზე უნთიათ
კელაპტრები,
ჰარალე!
ჰაი,
ხელი ვიჩრდილე და
ხნულში მელანდები,
ჰარალე!
გუთანს ხელი ვუშვი და
მიწას ვცემ თაყვანსა,
ჰარალე!

მიწასა —
ჩემი სიცოცხლის და
სიკვდილის აკვანსა,
ჰარალე!
ჩემს ბედზედაც დააბრუნე
წისქვილის დოლაბი,
ჰარალე!
ჩემი თონიდანაც ამოყარე
დოვლათი,
ჰარალე!
მკათათვის ფერი ხარ და
ყანებში იწვები,
ჰარალე!
არ გამომილიო კალოზე
კევრი და
ფიწლები,
ჰარალე!
არა, არ ჩამიქრო ხარის რქებზე
კელაპტრები,
ჰარალე!
მინდვრებში შემოდგომის
ფერადები,
ჰარალე!
გეყმე, სანამ დავიღლები და
დავდუღდები,
ჰარალე!
მერე ქვის საფლავში ჩამატანონ
თავთუხები, —
შენი გვირგვინის თავთუხები,
ჰარალე!
რათა მწედა მყავდე და
იყო ჩემთანა,
ჰარალე!
მთვარეს ვეახლები, თუ მივალ
მზესთანა,
ჰარალე!
ხიი, მო, გამიწით, ხარებო,
გენაცვლებით,
ჰარალე!
ნურც ჩამქრობია თქვენი რქის
კელაპტრები,
ჰარალე,
ჰარალე!..

1958

მ ა მ ა

შენ თურმე
იმისათვის გამაჩინე,
მამა,
რომ თაყვანს გცემდე და
არასდროს გიხდიდე
ამაგს.
შენ თურმე
იმისთვის გამაჩინე,
თვალის ჩინო,
მამა,
რომ სული გატკინო და
მაინც არ დაიმჩნიო,
მამა!..

ვაიმე, ახლოვდება
საღამოს ლანდი და
ხმები,
მამა.
საყვედურივით დამდევს
შენი პატარა,
საცოდავი მხრები,
მამა!..

ვაიმე:
შენ ეწევი იაფ,
სულ იაფ სიგარებს,
მამა,

მათ მყრალი სუნი აქვთ
და
აღარ მიკარებ,
მამა!..

ვაიმე:
უშენოდ
სიცოცხლის ხე ვარ და
ვხმები,
მამა!
მინდა:
ავწიო და
პატიოსან ქვეყანას ვუჩვენო
შენი ნაჯაფარი მხრები,
მამა!

1959

საგალობელი სიყვარულისა

ეშმაკმა დალახვროს,
მაინც რა ყოფილხარ,
თოლიგე,
არა, შენ ისეთი არა ხარ,
როგორიც მეგონე,
ისეთი არა ხარ,
თოლიგე.
შენ სურნელი აგდის
მიწის და კაცისა,
თოლიგე,
და თუ დაგჭირდა,
ყვავილსაც გასრისავ,
თოლიგე.
მე ზეცით მევსება
თვალები ორივე,
თოლიგე.
მაგრამ შენ — მიწას
ვერაფრით გეხსნები,
თოლიგე.
რადგან მე ფერფლი ვარ
შენი ნეკნისა,
თოლიგე,
ვიწვები —
შენი ცეცხლი მეღირსა,
თოლიგე.
ციცაბოდან დავცურდი
კლდეების ყვავილით,
თოლიგე.
მესმა ნეკერის ტკაცანი,
ხარირმის ხავილი,
თოლიგე,
გაზაფხულით მევსება
თვალები ორივე,
თოლიგე.
არა, ვერ დაგეხსნები,
თოლიგე,
თოლიგე,
და ასე ტყედატყე
მოვდევ შენს ნაკვალევს,
თოლიგე,
აუ, ხელებს გიწვდი
და თვალებს საყვარელს,
თოლიგე,
რომ ღმერთად ვიწამო
თვით ჩემი არსებაც,
თოლიგე,
რადგან მე მიწა ვარ
და შენით სავსე ვარ,
თოლიგე!

1958

მუხრან მაჭავარიანი

ვითარცა მტკვარი

მზე ამოდიოდა, მთვარე ჩადიოდა,
მამალი ყიოდა, კვამლი ადიოდა,
ვიღაცა ტიროდა, ვიღაცა ჩიოდა,
ვიღაცას შიოდა, ვიღაცას სციოდა
და დრო გადიოდა.

ვითარცა ღვინო — ქვევრიდან ხაპში —
ხაპიდან დოქში — დოქიდან ჯამში —
ქართული სისხლი, ქართული სული,
ქართული სიტყვა, ქართული გული
გადადიოდა კაციდან კაცში...

გადადიოდა, გადადიოდა,
გადადიოდა — და მოდიოდა,
და მოდიოდა, და მოდიოდა,
და მოდიოდა, ვითარცა მტკვარი...

გზადაგზა სვამდნენ, ამღვრევდნენ, ღვრიდნენ,
უღმერთოდ რყვნიდნენ, უგულოდ ყიდდნენ
და...
მიუხედავად ამისა, მაინც —
გამოიარა რუსთველის გული,

გამოიარა ვახტანგის გული,
გამოიარა თამარის გული,
გამოიარა სულხანის გული...

და დღეს — შოთაის ნაქონი სისხლით,
და დღეს — ვახტანგის ნაქონი სისხლით,
და დღეს — სულხანის ნაქონი სისხლით —
თბილისის ფართო ქუჩებში დადის:
ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი,
ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი.

და...
იარონ! იარონ! იარონ! ამინ!

1961

მიდის... მიდის...

ტყე-ტყე მიდის...: ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
იმღერს ლექსთა საბრალოთა... მიდის... მიდის...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
ჭკნება ტურფა საბაღნარო... სწყდება ზეცას მეტეორი...
— მოშაირე არა ჰქვია, თუ სადმე თქვას ერთი ორი!
ერთი...
ორი...
და იცვლება საუკუნე საუკუნით...
მაინც მღერის,
მაინც სტირის,
ვით სტიროდა გული...

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
იმღერს ლექსთა საბრალოთა... მიდის... მიდის...
— ღმერთო ერთო!
— ღმერთო ერთო!
თრთის სხეული... თრთის ბაგენი...
რუსნი,
        სპარსნი,
                მოფრანგენი —
ისმენდიან, — გაჰკვირდიან, რა ატირდის, — ატირდიან...
— რა პატარა ქვეყნიდანა... რა დიდია!

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
მიდის... მიდის... წვება ბინდი...
ვარსკვლავები...
კვლავ დილა!..
— ავთანდილი?!
— რუსთველია!
— რამ გააავთანდილა!..

ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მიდის... ინდი მინდი ფერად შინდი...
1950

ტ ი რ ი ფ ე ბ ი

დაისტვინა ტოროლამა განთიადის მახარობლად;
სიხარული ვერ დამალა მცენარეთა სამყარომა...
ტირიფები მეძახიან ჩვენი ღელის გაღმიდანა;
სიხარულმა ამაფეთქა, სიხარულმა აღმიტანა.
— ვისუნთქო და ვიღორძინო წყაროიან-ბორცვიანა;
გავიჟღინთო დედამიწით სულიანა, ხორციანა!
1949

ს ა ბ ა

ორბელიანი ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან
ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა...

ცამეტი ლუდოვიკო კედლიდან იყურება;
ციცას ეფერება ლუი მეთოთხმეტე;
ხალხს ხმა დაუკარგა მეფის სიყრუემა,
მეფეს ხალხზე უფრო კატა ეცოდება.

ხელმწიფემ საბას ნაუბარი მოისმინა რა:
— ოჰ... ოჰ... ოჰ... ოჰო... — თქვა და თითქოს კიდეც ინანა.

მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა
(საბას ხმა როდი წააგავდა კნავილს კატისას);
რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა
იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ.

— წვიმა არ არი!
საბას კაბა დაუსველა რამ?!
— თოვლი არ არი!
საბას თავი გაუთეთრა რამ?!
— ყინვა არ არი!
სულხან-საბას აკანკალებს რა?!
— რამ დაასველა?!
— რამ დათეთრა?!
— რა აკანკალებს?!
საქართველოა მისთვის
წვიმაც,
თოვლიც და ყინვაც!..

... მზე ეთხოვება, ალბათ, ახლა ტურფა ტანძიას...
ეს სიცხადეა, სულხან-საბავ, თუ ფანტაზია?!

დედის ცრემლები ყაყაჩოს და ბალახებს აწვიმს,
ალვის ჩეროში სტირის დედა შვილს მოტაცებულს,
სტამბოლში შვილი დედას სტირის, — ჰყიდიან ყმაწვილს,
(სჭვრეტენ ჯვარის წინ წმიდა ნინოს, მუხლზე დაცემულს).

— რამდენს აფასებ მაგ პატარას? — ჰკითხა სპარსულად
საბამ სპარსელს და მოუთმენლად ელოდა პასუხს.
— უი, ქართველი მეგონა და სპარსი ყოფილა, —
წარმოთქვა ბალღმა, ყური მიჰკრა რა საბას სპარსულს.

— არა, პატარავ, ქართველი ვარ, ქართველი, გესმის?
— უი, დედასთან წამიყვანე, წამიყვან, ძია?.. —
საბას ცრემლები მოეძალა, ატირდა კაცი, —
თავის ბალღობა გაახსენდა, თავის ტანძია.

ვით ეს ყმაწვილი — საქართველოც ასე მცირეა,
საქართველოსაც, ვით ამ ყმაწვილს, ასე ჰყიდიან;
საფრანგეთს ვთხოვოთ: გვიშველისო, — სასაცილოა!
შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია.

ასე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი;
მხარდამხარ საბას ის პაწია ბიჭი მოსდევდა...
— მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო, ყიალი?! —
— გულს ნუ გაიტეხ, — მუხა კვლავაც შეიმოსება!

1949

არგვეთის წვიმა

ჩვენს აივანზე მერცხალი გალობს, —
ყმაწვილს მწყურია მერცხლის ალერსი...
ცა იყოს თითქოს მართალი კალო,
როგორც ხორბალი, კევრის ნალეწი,
წვეთები წვიმის
ცვივა ციდანა...
სველდება ველი გადაცელილი;
ვხედავ სიმინდის დაულვაშებას;
გადაათეთრა მშვიდად წერილი;
გამოიტანა ზალიდან სკამი;
დაჯდა,
ცხამისკენ გაექცა თვალი, —
და...
გააბოლა ბაბუაჩემმა.

ლელვის ფოთლებზე თქარუნებს წვიმა;
წაბლის იატაკს მერცხალი დამზერს;
ჩემს პატარა დას ცრემლები სცვივა.
ვზივარ ბაბუას საყვარელ სკამზე...

სასაფლაოზე ლაშურის გაღმა,
მარხია ჩვენი ბაბუა ახლა.

ჟუჟუნა წვიმა იკარებს უცებ, —
აღფრთოვანდება უეცრად ყველა;
სხვადასხვა ფერის სხვადასხვა ბუზებს
დაედევნება მერცხალი ველად.

— ირბინე! — უხმოდ გეძახის ველი;
— იფრინე! — უხმოდ გეძახის ზეცა.
ფრინველებივით გალობენ ხენი;
დიდება მიწას! დიდება მზესა!

1950

* * *

რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.
რომ მეთოხნა და შემესარა მხოლოდ ვენახი.
დიდი ქალაქი რომ არ მენახა! —

მეყოლებოდა ახლა ხარები.
შემოდგომაზე მთიდან შეშას ჩამოვიტანდი.
არ ვიქნებოდი აღარც ღარიბი,
აღარც მდიდარი.

ცოლი ყოველ დღე თიხის კეცებს გაახურებდა,
ცივ სოხანეზე გადმოდგამდა ლობიოს ქოთნით.

მეყვარებოდა როგორც მიყვარს მინდვრის ყურება —
აიზლაზნება მინდვრებიდან როდესაც ორთქლი.

პარასკეობით საჩხერეში გავყიდდი სიმინდს;
მეუღლეს ჩემსას ჩითის კაბას ვუყიდდი იმით.
სოფლის სკოლაში ორი ბავშვი ჩემიც ივლიდა;
ბიჭს ალბათ ვანო ერქმეოდა,
გოგოს ივლიტა,
რომ არ ამეღო ხელში წიგნი, თოხი მჭეროდა.
რომ არ გამედგა ფეხი ჩვენი კაკლის ჩეროდან.

1961

ზ ე მ ო დ გ ო მ ა

მთებზე გადმოდგნენ ზამთრის ჯარები, —
გადმოათეთრეს მთათა წვერები,
დაფრთხენ ვაზები, დაფრთხენ ჭალები,
დაფრთხენ ყანები,
დაფრთხენ ველები.

— თავს უშველეთო! — იჭექა ვერხვმა...
და რაც კი იყო იმჟამად ხილი:
უნაბი, კომში, ატამი, ლეღვი, —
ყველამ ბეღლისკენ იბრუნა პირი.

კაკლები მაღლიდან ხტებიან კანკალით,
ჯდებიან გოდრებში... გარბიან ბეღლისკენ...
თავპირისმტვრევით ცვივა კაკალი,
ხელებს იფარებს თავზე ლეღვის ხე.

სიმინდის ტეხვა და აჩეხვაც გახურდა...
ძარებში დიდრონი ტარონი სხდებიან;
კიდობნის ახდას და კიდობნის დახურვას,
ღმერთმანი, ვეღარ აუდის ბებია.

ყურძენი ვენახიდან გამორბის კოდებით;
მარანში საწნახლები ივსება ხელად...
ვაშლებმა სასწრაფოდ დაცალეს ტოტები
და სახლისთავზე მოთავსდა ყველა.

ღრუბლებმა დაფარეს ცის ლურჯი კამარა.
ურმებმა ამოავსეს შარა.
წელზე შემოირტყა სასწრაფოდ ქამარი —
ყანიდან გაიქცა ჩალა.

და...
დარჩა საქონელს ბურთი და მოედანი...

ბუხრის ყელიდან მტრედისფერი ამოდის კვამლი...
წიწილებივით გაფანტვია ძეწნას ფოთლები...
-- დამიბრუნდითო! — საცოდავი უმწეოდ კნავის,
ამაოდ უხმობს გაქსუებულთ... შავი ტოტებით.

ბუხრის ყელიდან მტრედისფერი ამოდის კვამლი...
კითხულობს გაზეთს დერეფანში შუახნის კაცი;
იქვე ხელამოდ აუთოვებს თეთრეულს ქალი,
თავი ჩაურგავს შორიახლო წიგნებში ყმაწვილს...

და...
სოფელს უსიტყვოდ დაჰქათქათებს მთვარე მკაფიო.
დედამიწაზე ისახება ჩრდილები ხეთა.
მდუმარეაა...
და — ვინ იცის, მთვარე რას ფიქრობს!
— ეს მთვარე ახლა ქვეყანას ხედავს!

1951

მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელეხი

ასწლოვან მუხებში გაშლილია მდიდარი სუფრა:
გარდაიცვალა ცნობილი თავადი ფრიდონ!..
— ჩინებული აღაპია!
ღატაკი აზნაური — კოწია — თავაზიანობს ნამეტანს:
— კარტოფილს არ მიირთმევთ, ქალბატონო აგრაფინა?!
მანდილოსანმა გადმოიღო მცირედი ულუფა —
ღიმილით ნაზით...
მამაკაცები ეწაფებიან უშველებელ ყანწებს...
კოწია — არწივი ბახტრიონის,
აგრაფინა — ვარდი შირაზის,
ეარშიყებიან ურთიერთს;
მოდგენ ხასიათზე —
რაღაი გაძღენ...

(ო... ეს კი აღარ ვარგა):
კოწიამ ყელი მოიღერა სამღერლად;
დაიჟინა — ქორწილში ვართო!
არწმუნებს აგრაფინას: — მე... ვარ იადონი...
და დღეს შენზე ვიწერ ჯვარს, ქორფა ვარდო!
— სირცხვილი არ გვაჭამო, თუ ძმა ხარ, კოწია!
— კაცო, ქელეხია! რამ გააქორწილა! —
აღშფოთდნენ კოწიას სახლიკაცები;
მიწი-მოწიეს მძიმე ყანწები...
წამოაყენეს კოწია,
გაიყვანეს გვერდზე...
კოწია ბალახში ქუდს ეძებს...
წაქცევაზეა — მუხლები ეკეცება...
რაღა ექუდება!
რაღა ეძებნება!
ხითხითებს აგრაფინა...
— და... ეს თუ აღაპია,
ამასაც ვიკითხავ — ცხარობს გარსევანი...
— ხალხს თვალი უჭირავს
ძღომაზე! გაქცევაზე!..
მერე
წითელი კუბო ორღობით მიაქვთ...
მერე...
საფლავზე ამოდის ია...
მერე...
იმ მიწას, სადაც ბალახია,
ფრიდონ წერეთელის საფლავი ჰქვია...
და...
რა თქმა უნდა,
ტირიფიც იქვეა...

1950

დიალოგებიდან

*

— გამარჯობა, როგორა ხარ?
— როგორც დაგიბარებია...
— სოფელში რა ამბავია?
— მშვენიერი დარებია.
— სხვას რას მეტყვი?
— სხვა რა გითხრა...
ვახტანგი ღმერთს ჰყვარებია!
— ვინ ვახტანგი?
— აღარ გახსოვს, —
შენთან დაუმთავრებია...

— მერე?
— ბიჭი შეეძინა —
საცრისტოლა თვალები აქვს...
— ბიჭი?!
მართლა?!
აი, მესმის!..
აბა, მე არ მგვანებია...
— რავა, შენ რა?
— რაღა, რავა, —
კაცი ჯავრით აღარა ვარ, —
სამი შვილის მამა ვარ და...
სამივენი ქალებია...

*

გარეთ ხმაურობს წვიმა...
ოთახს ანათებს ლამპა...

— პეტუშა გახსოვს?
— იმე!
— რა ბიჭი იყო!..
— აპა!

*

— არაყი?
— ლუდი!
— ერთი?
— ერთი!
— ინებეთ!..
— გმადლობთ! —
ვჯდები კუთხეში...
გარეთ წვიმს...
. . .
გნატრობ...

1961

ვახტანგ მეფის ნანადირევი

ნედლი კვალი დარჩენია ირმის ნუკრის ფეფებს, —
ცეროდენა ნატერფალებს დააჩერდა მეფე...
დააჩერდა...
გაეღიმა...
გადაჰხედა იქ მყოფთ,
ისე, თითქოს ეს იმათი ნატერფალი იყო.

ვახტანგ ნადირს არ გასდევნის, არ გასდევნის, არა! —
თუ ნადირის ნატერფალი მეფის ტერფს არ ტოლობს;
და სტუმარი, იმერელი, ეუბნება ვახტანგს:
— ვერაფერი მოგვიკლავს და... ეგ არი, ბატონო!..

გაიარეს...
გაიარეს...
ტირიფებთან შესდგენ;
თითონ?! თითონ ტირიფები წყლის ნაპირზე იდგენ...
— ნადირითა?! ნადირითა მდიდარია ეს ტყე!
მაგრამ, მაგრამ... ფრინველითა უბადლოა ის ტყე...

მღვრიე წყალი გადალახეს, შეჰყვნენ რიყე-რიყე...
(მეფე იყო და მეფესთან მარეკები იყვნენ).
მიდიოდნენ! მიდიოდნენ! მეფე მიდის პირველიო!
აუფრინდათ!.. აუფრინდათ!..
— ხოხობია!.. ხოხობია!..
— ხო ყოფილა!
— ხო ყოფილა
ამ ტყეშიაც ფრინველიო!

ხოხობს ქორი მიუსიეს, მიუსიეს, მიუსიეს, —
ამ უღრან ტყეს გადასცილდნენ, შეეფარნენ იმ უსიერს...
დაედევნენ... დაედევნენ...

და... ჩავიდნენ თბილისში.
1949

* * *

ტა, ტა, ტა, ტა! — რანაირად ბრდღვინავს არაგვი!
ხო, ხო, ხო, ხო! — ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს,
თვარა, — კი!..
სხვა როცა მე შემომნატრის,
მე მივბაძო სხვას?!

მე — პატრონმა, მე — პატრონმა ამისთანა ზღვის,
მე — პატრონმა, მე — პატრონმა ამისთანა ცის, —
თუ ღმერთი გწამს,
თუ კაცი ხარ, —
სხვას მივბაძო, ვის?!

რა გინდა, რომ აქ არ იყოს, ენა იტყვის რას!
სიტყვა გინდა?! — მარტო წვიმას აქვს სახელი ცხრა.
მე შენ გეტყვი — არ გეყოფა სიტყვის მარაგი...
არა!
სხვისი მისაბაძი
რა მჭირს,
თვარა, — კი!
1981

* * *

ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...
გაივლის ქარელს... გაივლის შინდისს...
ხან ხიდზე გადის, ხან მიდის მინდვრით...
ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...

შენ გზა მითხარი, ის გზა, რომელიც...

ეს გზა, მეც ვიცი, საითკენ მიდის...
1961

ჭადარს ეტყვის ჭადარი

გორის ციხეს ახლოს მდგარი ჭადარს ეტყვის ჭადარი:
— აქ რომ ბიჭი თამაშობდა, ნეტავ ახლა სად არი?!

— შენც ხომ გახსოვს მისი სახე და მაყვალა თვალები...
ეჰ... მას უკან სულ აქ ვდგავართ და არ დავიღალენით!

— გახსოვს?! ნუთუ აღარ გახსოვს მისი „შავო მერცხალო?!"
ნუთუ ჩვენ მას ვეღარ ვნახავთ ვერც დღესა და ვერც ხვალო?!

— როგორ არა... ნახავთ! ნახავთ! — ამბობს სიო შრიალა, —
ის გეწვევათ, მე მგონია, მაგრამ სოსოდ კი არა, —

ისე, როგორც ცისარტყელა — ციდან ჩამოტანილი...
და თქვენს ჩრდილში სოსოობას მოიგონებს სტალინი.
1947

არსენას ლექსი

უღმერთო უსამართლობამ ტყეში მისროლა სახლიდან...
ო... როგორ მინდა ცხოვრება დამაწყებინა ახლიდან;
თუნდ ერთხელ, ოღონდ ურმული მამღერა ხელში სახრითა.
1962

* * *

თენდება ნელა,
ღამდება ნელა,
და პასუხს ელის
გარშემო ყველა.
და ვისღა ვკითხო,
რაც უნდა ვკითხო,
რა უნდა მითხრას,
კიდეც რომ ვკითხო, —
იმ კითხვის პასუხს
თვით როცა ითხოვს!

1905

* * *

ხორცი მასესხა მიწამ,
სული მასესხა ზეცამ;
თხემით ტერფამდე სესხმა,
რა უნდა გავცე სესხად.
კარზე მადგია მიწა,
კარზე მადგია ზეცა,
მომკლა მუდამდღე ხვეწნამ:
— მადროვეთ, თქვენსა მზესა!

1902

* * *

«Дай мне маленькое независимое состояние, я бы сейчас оставил и свет и людей с их ненасытностью».

ნ. ბარათაშვილი

ხორცის სიმძიმე მაიძულებს დავეშვა დაბლა,
ცაში ვიფრენდი, რა თქმა უნდა, იგი რომ არა,
სიტყვას ვიტყოდი, რა თქმა უნდა, უფრორე მძაფრად,
იგი რომ არა.

ხარ ხორციელი, — სიდიადეს ვინ დაგიჯერებს! —
სხეული შენი შენ უღმერთოდ გაპატარავებს.
ღმერთიც რომ იყო, — სიტყვას შენსას შორს დაიჭერენ!
— პატივს გცემს ვინმე?
— გიცნობს ვინმე?
— ალბათ, არავინ!

რას წარმოადგენს თავისთავად შენი ცხოვრება?
— მუდამ, ყოველდღე — იმედების გაბედითებას!

— რა გელოდება?
— არა ერთხელ ჩაიქოლები!
— კიდევ რა გელის?
— ჯვარცმა!
— მერე?
— მერე... დიდება! —
ოდეს ხორცისგან განიტვირთები.

1961

* * *

ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, —
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი,
ბოღმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად“.
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

აი, ის იყო კაცი მართლა ჯიგრიანი;
ფართო მკერდი ჰქონდა და მკლავები ღონიერი.
დარიალის ხეობაში თერგივით იღრიალა;
ორბელიანი იყო და... სიმძლავრე ორი ერის; —

სიმძლავრე პეტერბურღის — ვითარცა ღენერალი;
ვითარცა პოეტი — სიმძლავრე ქართველთა, —
იმ სისხლით „სადღეგრძელოს“ სწერდა აუღელვებარი,
იმ სისხლით — დაღესტანში ლეკებს რომ ადენდა.

ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, —
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი,
ბოღმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად“,
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

1048

* * *

მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები იდგნენ...
არაფრის გამო ვით გავიხარე —
თუ არ გინახავს, ვერ წარმოიდგენ.

მატარებლიდან მოვკარი თვალი:
მუხლამდე წყალში ბიჭები დგანან...
ჭიდან წყალს იღებს ვიღაცა ქალი...
— რა ლამაზია ჩვენი ქვეყანა!..

1961

ბიჭები

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი.
პირველი:—თვალი რაც უფრო გიჭრის,—
გაქვს უფრო მეტი სიბრმავის ნიჭი.
მეორე: — ენა რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი დუმილის ნიჭი.
მესამე: — ჭკუა რაც უფრო გიჭრის, —
გაქვს უფრო მეტი სიბრიყვის ნიჭი.

ქუჩაში სამი საუბრობს ბიჭი.

1962

ჩემს პატარა ნანას

პაწია ქვაბი ცხელია ვითომ,
ცხადია, იცი, არაა ცხელი,
და მაინც ხელში იმარჯვებ ტილოს,
რომ არ დაგეწვას ხელი.
ანდა, თოჯინას სასტიკად სტუქსავ,
საბანს უსწორებ, უწყრები თითით,
ძალიან კარგად იცი შენ თუმცა,
თოჯინა საბანს ვერ გადაიხდის.
მალე,
სულ მალე,
ოდეს აღარ იქნები ბავშვი,
და კაბის ჩაცმა არა ერთხელ მოგიწევს შავის;
მაშინაც თუ არ მოიტყუე ასევე თავი,
ასევე თუ არ მოიტყუე მაშინაც თავი, —
ვაი, შენ მაშინ!

1968

* * *

იქ დაბრუნდები ციდანა — ცაში ასულხარ სიდანაც;
მიწა რომ არა —
წვიმაც კი
ვერ მოვიდოდა ციდანა...
არის კარგი,
თუ ავია,
თუ რაიმეა —
მიწაა...

ვიტყვი, ცოცხალი რომ იყოს — შოთა იტყოდა ვითარცა;
— მიწა არ ყველა მიწაა,
მიწაც არის და მიწაცა.

მეც მეხარბება, ვითარცა შეხარბებია ბარე ორს:
— დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო.

1962

ვიდრე შენთვის ღმერთი სიკვდილს გაიმეტებს, —
ხომ უნდა შეიქციოთ თავი რაიმეთი!
ხოდა...
ან გამყიდე,
ან ცოლი წამგვარე,
ან დანა დამარტყი,
ან... რაღაც ამგვარი.

თვარა, ხომ იცი, ღმერთი რავარია! —
ვინ იცის, სიკვდილს როდის გაიმეტებს!
რა გააძლებინებს ისე ადამიანს, —
ხომ უნდა შეიქციო თავი რაიმეთი!

1962

* * *

იმდენი კარგი ვაჟკაცი მოკვდა,
იმათზე კარგი ვინ უნდა მოკვდეს!
მაგრამ მე მაინც სევდას მგვრის ახლა —
არც ისე იგი, რაც უკვე მოხდა,
როგორც ის — აწი რაც უნდა მოხდეს!

1961

* * *

ფართო ნაბიჯით მივდივარ გზაზე,
ქუჩაში დიდი ხეები დგანან.
სივრცე იმხელა გასაქანს მაძლევს!
იმხელა მთვარე დაჰყურებს ქალაქს!

ისე კარგია მაისის ღამე!
ქუჩაც ისეთი კარგია ახლა!
ასე მგონია, ვაბიჯებ ჰაერს
და
ნელა-ნელა ავდივარ მაღლა.

1951

* * *

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი
ხანდახან გულში ღიმილით ვიტყვი: —

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! —

რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

პასუხად მყისვე, ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგვლივ, —
იხუვლებს ხოლმე, იხუვლებს ერთხმად: —
ღალატიაო მაგგვარი ფიქრი!

1968

* * *

შენ, სისხლო ჩემო,—სად არ დაღვრილო...
შენ — სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს, რომ გაგაკვირვოს, —
ნადიდგორალი, ნაშამქორალი.

შენ, სისხლო ჩემო, — შენი ღვაწლია,
რამაც აქამდეც კი მოაღწია;
სვეტიცხოველი... ხანძთა... ვარძია
და ისიც — რაც მტერს წარუტაცნია...

შენ, სისხლო ჩემო, — შენი დინება
„ვეფხისტყაოსნით“ ხშირად მიგრძვნია...
სიტყვა, რომელიც გეჩოთირება —
ვცდილობ, გაშორო, რაც შემიძლია...

შენ, სისხლო ჩემო, — სისხლო ხნიერო,
დაუცხრომელო და უცნაურო...
საბედნიეროდ, საბედნიეროდ, —
ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმაურობ!

1961



შოთა ნიშნიანიძე

ბიჭო გოგია!

ჭალაში აპრილს ირემივით ჩაუჩოქია...
და რქებით მოაქვს გაზაფხული, ბიჭო გოგია.

რაც მომელიან მოხუცები, ოცი წელია.
შენ კი არ ჩანხარ, არც წერილი მოგიწერია.

შენი ჭის წყალი არ შეგისვამს, ოცი წელია,
შავი ჩიტლეღვა კაკვით აღარ მოგიწევია.

ოცი წელია დაკარგულა შენი ღიმილი
სატრფოს კაბაზე ოცი წლის წინ ამწყდარ ღილივით...

შენი საფლავი ტრამალებში სადღაც ქერჩშია,
შენ კი ჩვენებურ ხვილიფებში წოლა გერჩია.

ნუთუ ღრუბელი ჯავრიანი და მოწყენილი
არ დაგფენია სამარეზე მამის წვერივით?

ნუთუ საფლავზე ცხელი წვეთი არ დაგცემია, —
ბიჭო, ის წვეთი დედის ცრემლი, სატრფოს ცრემლია.

ნუთუ ნიავმა გადმოსულმა საქართველოდან
არ მოგიტანა სურნელება ქართულ მდელოთა?

თუ მოგიტანა, როგორ დარჩი, როგორ გასძელი,
ღონე როგორ არ მოიკრიფე უკანასკნელი,

არ გამოტეხე ეგ ტიალი ცივი საფლავი,
არ მოგვიტანე ზღაპარივით შენი ამბავი.

მოლაღურივით იმ იდუმალ მარტოობიდან,
ბიჭო გოგია, შენი სული ხომ არ მოფრინდა?

ჯადო მარცვლებად ხომ არ კენკავს ოც წელს სანუკველს,
ხომ არ აღვიძებს შენს ბავშვობას და სიჭაბუკეს?..

ჭალაში აპრილს თეთრ მუხლებით ჩაუჩოქია,
მოლაღურები დაგეძებენ, ბიჭო გოგია...

1962

იმერეთი ... გიორგობისთვე

I

გიორგობის თვეში
ნუნუა წვიმს ჩვენში.
გალეშილი ოჩოკოჩი დაჩინდრიკობს ტყეში,
გარბიან და გამორბიან გზები ალთაბალთას
და ღლაბუცობს ოჩოკოჩი ოქროსთმიან ალთან.
რა ხანია არღნის ხმები აღარ ესმის იმერეთს,
დოლ-გარმონით აფიცხებენ მაჭახელა სიმღერებს.

ეჰ, არღანო, ჩემო „კუკლა“, ვინ ოხერმა გიყელა,
მო, შურთხივით ამიფრინე მოკრიახე სიმღერა.

თქვენი ძველი პატრონები, თითქოს არაფერია,
გადიდებულ სურათიდან ჩუმად გადმოგვცქერიან...

მაშ, არღანო, ძველებური ჰანგი დასხლიტე,
გაიხსენე სახლიკაცთა ომში წასვლის დღე...

გიორგობის თვეში გულს გაუდის რეჩხი,
გინდ ყოფილხარ იმერეთში, გინდა — სამოთხეში.

II

იმ დღეს ღვინო მოიწყურა ნაღვლიანმა გლეხკაცმა,
მერე არღანს ეკურკურა და ცხენივით შეკაზმა.

გადავარდა... სოფელ-სოფელ დაიარა მოყვრები,
იქეიფა, მოიოხა გული მოსაოხები.

არ დაღლილა არც სიმღერით, არც ხუმრობა-ხარხარით,
აჭახჭახა, აზლუქუნა, აღრიალა არღანი.

(სანამ ტყვია დაცხრილავდეს ჯარისკაცის ფარაჯას...)
თავის წილი სიხარული იმ ორ დღეში დახარჯა.

ჰკოცნიდა და ეხვეოდა ვაზის რქას თუ ხარის რქას,
სიმინდს ფეხზე აყენებდა, წამოჩოქილს ქარისგან.

მაღლარსა და გუდა ლეღვებს შეჰხაროდა ქვემოდან,
ალბათ, ტანი თუ უგრძნობდა — ვეღარ დაბრუნდებოდა...

. .

ეჰ, არღანო, ახლა ვხვდები, თურმე რანაირი ხარ,
ეს რა მოგდის, შე ბებერო, მღერიხარ თუ ტირიხარ?

. . .

გიორგობის თვეში გულს გაუდის რეჩხი,
გინდ ჩასულხარ იმერეთში, გინდა — სამოთხეში...

1968

* * *

წამოდუღდი, სულო, იმღერე, სულო,
კუდით ქვა ასროლინე სიბერეს, სულო.
მამყოფინე, სულო, სიმუნჯე შენი,
გამოფინე, სულო, საუნჯე შენი.
გაზაფხულზე ქვეყანა ლამაზია ძლიერ,
სულო, სულო, აფეთქდი და სიჩუმეს სძლიე.
იმერეთის აპრილივით აბოლდი, სულო,
რიონივით ნაპირებს გადმოდი, სულო.
მღერიხარ თუ ტირიხარ, რა მოგდის, სულო,
რა გიყურებს ირიბად: დაფნა თუ სურო?

1966

ციხე-ტაძართა საგალობელი

1

ნეტა ამ ხედებს ქვეყანაზე რა შეედრება —
ციხე-ტაძრები ცად ასულან ლოცვა-ვედრებად.
წევს ვეფხვის ტყავზე საქართველო — მზის წილხვდომილი,
თავს დადგომია იალბუზი ხელაპყრობილი.
თითქოს ლოცულობს, ცად აღავლენს ხმათა ხავერდებს
და საქართველოს დღეგრძელობას გამჩენს ავედრებს.
თრთის ვენახები... თრთის ყანები... თრთის გალავნები...
თრთის საფლავები წმინდანების და ფალავნების...
თრთის ლეგენდებში ვაზის ჯვარი, თმები ქალწულის,
თრთის ჩუქურთმებში სასწაულად მთვარე ჩაწნული.

2

ზოგი ციხეა — შეკივლება, ზოგი — გაფრენა.
ზოგს აუშვია ხომალდივით ნისლი აფრებად.
ზოგი მუშტია, მუქარაა, ზოგი — გინება,
ალაყაფებით, ქონგურებით რომ იკბინება!
ზოგი ამაყი ლილეოა, ზოგი — გასროლა,
ზოგიც შორიდან ცის და მიწის მოჩანს სასწორად.
წლებმა იხუვლა, იხვართქლა და ციხეს შეება:
ხავსად, დუმილად, ჭილყვავებად და ბუდეებად.
ქვებზე დგაფუნებს სხივჩაშლილი მოჩანჩქარე მზე.
ო, ამ გოდლების, ქონგურების საჩეჩელებზე
მრავალი ზეცა დაიჩეჩა, დროშაც მრავალი,
საქართველოზე ღრუბელივით გადმომავალი.
თითონაც მთელი საქართველო ერთი ციხეა,
დაგილეწია, მტერო, მაგრამ ვერ აგიღია.
ერთი ციხეა საქართველო, ციხე ქებული,
მხოლოდ სტუმრისგან აღებული, კარგაღებული.
ვინაც პირველად დაიმღერა „ვეფხი და მოყმე“,
იმ გუთნისდედას მზადა ვარ, ვეყმო.
კირითხურონო, კალატოზნო, ოსტატ-შეგირდნო,
თუ სადმე რამე ცოდვა გქონდეთ, ღმერთმა შეგინდოთ!

3

მე აქ ვბინადრობ, აქა მძინავს ცხრა საუკუნე,
სათოფურებში ჩემი სუნთქვის ექო გუგუნებს.

გადამთიელი აქ ავჩეხე მეზვრემ, მეხრემა,
აქ ჩავეგლისე გადამსხვრეულ ციხის ხერხემალს.
და ჟღალი ჩოხა, წვიმებმა რომ ამიტალახა, —
მე გავიხადე და ჩავაცვი ციხეს ბალახად.
აქ ჩავინაცრე... ამ გალავნებს შამბად შემოვრჩი,
„შავო მერცხალო“ რომ ემღერათ საქართველოში.
დღეს სული ჩემი დასტრიალებს ციხის დირესა
და ქონგურებზე არწივივით კლანჭებს ილესავს.
ვარ ისტორია, ჩაკირული ციხის ქვაკუთხედს...
შთამომავალო, მეციხოვნის სული აკურთხე...

4

ო, ციხის ნისლო — სუნთქვავ ჩემო და ფიქრო ჩემო,
ციხის ნაჟურო — ჩემო სისხლო და ჩემო ცრემლო.
ო, ციხის ლოდო, — ჩამოშლილო, ჩამომსხვრეულო —
შენ, ძვალო ჩემო, გატანჯულო ჩემო სხეულო.
ო, გოდოლ-ბურჯნო, გალავნებო, ნაგებო მკვრივად,
ნაბზარი რაა, ყველა თქვენი ნაკაწრიც მტკივა.
შენ, ჩემო ნიჭო, სიამაყევ, ჩემო სინდისო,
ჩემი წარსული მე უთქვენოდ ვერ შევითვისო.
დიდება შენდა, ციხე-კოშკო, ზღუდე-გუმბათო,
ზეშთაგონების, წიგნის, ისრის ბუდევ უბადლო,
გამისკდეს მიწა, თუ შეგბღალო, თუ გივერაგო —
შენ — საქართველოს ფარ-აბჯარო, ჯაჭვის პერანგო,
ეჰეი, სიმღერით ყელს იღადრავს შენი მგოსანი.
ვაზით და ფრესკით ჩემი მხარე მარად იცნობა
და საქართველოს ციხეებზე მზის შუბოსანი
დგას მეციხოვნედ მარადისობა!..

1962

ჯუჯა ხე

ხეები ჰგვანან იგავ-არაკებს,
მიწის ლოცვებს და მწვანე სიმღერებს,
რამდენიც გინდა ელაპარაკე,
საიდუმლოს კი არ გაგიმხელენ.
სიცოცხლეს მუდამ ახლად იწყებენ
და ინახავენ ძველს და შორებელს.

რასაც კვირტები დაივიწყებენ,
იმას ფესვები იმახსოვრებენ.
მაგრამ ეს ჯუჯა სადაურია,
მინდორში რომ ჩანს ოჩან ცხენივით,
განმარტოებით მდგარი სრულიად,
ბერწი და ფოთლებჩამოცვენილი.

ხანდახან ღამით აჭიხვინდება
ოდესაც დიდი ტყის ნაშიერი.
ალბათ საცოდავს თუ ესიზმრება
აჩეხილ ხეთა მოდგმა ძლიერი.

უძლებს წლების და ქარების გვემას,
ნუთუ ის ძველად ტყე იყო ჩვენი?!
თითქოს წარსულში მონღოლურ რემას
ჩამორჩენია ბეხრეკა ცხენი...

1967

ვ ე ფ ხ ვ ი

ნუთუ არ გქონდა სურვილი შეყრის,
საით გაგირბის მზერა ელამად.
შენ ხომ არა ხარ ნეტა ის ვეფხვი,
მოყმემ რომ დასცა, პირტიტველამა.

სდუმხარ და თითქოს მაინც ღრიალებ,
დგახარ და მაინც აკეთებ ნახტომს,
გაოგნებული და ნაღვლიანი
ალბათ შამბნარში ხეტიალს ნატრობ.

აღტაცება და შიში ამიტანს
სტრიქონებივით მიჯრილ ზოლების
და მოთახთახე შენი ტანიდან
დგება აზიის სიცხე ზმორებით.

მზის ბიბინია ბეწვი მდიდრული
თუ ტრამალების ფერისცვალება,
და ინარჩუნებს შენი ფიტულიც
შიშს, აღტაცებას და მოკრძალებას.

არვინ გამცირებს და რად გრცხვენია,
შენს სიბეჩავეს რად აზვიადებ,
შენ სიკვდილშიაც შემოგრჩენია
ეგ მზვაობრობა და სიდიადე.

ჩემი ბწკარების ლერწმოვანებში
ვეფხვივით ჩუმად დადის წარსული
და ციხეების ტევრი ნალესი
აქვს ბწკალებივით ტორზე ასხმული.

სივრცე კი არა, ჟამი მაშორებს
ჩემს დიდ ჭრილობებს, განუკურნებელს.
ეს მის ბდღვინვაზე ცივად აჟრჟოლებს
სიზმრად გადასულ საუკუნეებს.

თუ არა ჟამი, რა დამაშორებს
მას, რაც ჩემია და ლამაზია.
ეს მის ბდღვინვაზე ტანში აჟრჟოლებს
სიზმრად გადასულ წინა აზიას.

ხოლო წარსული თუ შემიქია,
მის ჩრდილებს მაინც არ ვეხიზნები,
ოთახში ვეფხვის ტყავად მიგია
და ღამე მძინავს ვეფხვის სიზმრებით...

1962

ხ ე ვ ს უ რ ი

1

ზაფხულში, არაგვზე, სალუდე დუქანთან,
უკრავდა დაირა და დათვი ბუქნავდა.

ფიცხობდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად.

ღრეობდნენ ხევსურნი... და ზორბა ხინკლები
პეშვიდან სხლტებოდნენ, როგორც თხის ჯიქნები.

დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეფინათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.

გზაზე კი სურათი კაცს ღიმილს მოჰგვრიდა:
ერთ ახმახს იაბო დაუფრთხა ბოგირთან,

რაც ვნახე, როგორ ვთქვა, ან როგორ გიამბოთ, —
გოლიათს ლაჯებში მოეხრჩო იაბო.

ჩამოხტა დევკაცი და ცხენი მშიშარა
ვეება იღლიის ქვეშ ამოიჩარა.

გადმოვლო ბოგირი და მთვრალი ხევსურნი
შემოხვდნენ ყიჟინით, აზარტში შესულნი.

ჩამოსვეს —
მაგიდა ჩასცილდა მუხლისთავს,
ჯამში აშიშინდა თვალები ბუღისა.

რაც იყო სუფრაზე — ერთიან მოხოცა,
დათვიც კი დააფრთხო იმისმა ხორხოცმა.

დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეკიდათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.

ერთურთს ხანჯლებივით უღერდნენ ტაეპებს
და ჰგავდნენ ლანდები წარმართულ ღვთაებებს.

ფიცხობდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად.

ცხენს გადაახუხა ხევსურმა არაყი,
დეზი ჰკრა და... ფეხით გასტოპა არაგვი.

დათვს რომ ჩაუარა, ახლაც და მაშინაც, —
დათვი ვებერთელა ჩრდილმა შეაშინა,

2

როდესაც სიკვდილი იქ, ბარში, მოყვრებთან,
ვენახებს მოხრავდა და მტკვრის წყალს მოხვრეპდა.

მთიდან ჩამორბოდნენ ხარები ბარადა
და რქებით ჩხვერავდნენ კრწანისს თუ მარაბდას!

მთიდან ჩამორბოდნენ, მტრის ჟლეტა ნებავდათ
და ბარში რჩებოდნენ სამარის ჯვრებადა.

ბარში მოდიოდნენ „ვოჟები“ კერკეტა —
მთაში ბრუნდებოდნენ ზღაპრად და ლეგენდად.

და სიკვდილს, სიმწრისგან ყელზე რომ დაადგა,
ხევსურის ფარია სხვა მრავალ ფართაგან.

ე მაგის სისხლია, ე მაგის ძვლებია,
ჩვენს ქართულ ციხეებს რომ ჩაფიცხებია.

ე მაგის სისხლია, ე მაგის სინდისი,
ომში რომ არ წავხდით სიკვდილთან პირისპირ.

მის გორდას მამულის გზა გაუკაფია,
გორდასებრ ჩინჩხლებს ყრის ე მაგის კაფია.

მოდის საქართველო ე მაგის ჯიშისა,
რომ მტერი ვერაგი კვდებოდეს შიშისგან!

1962

მიტოვებული ბუდეები

კურთხეულ იყოს ადამის ძე, თუ ვისმე სდევდა
მიტოვებული ბუდეების ნაცნობი სევდა.
ერთ დროს პეშვივით ამ ბებერ ხეს ეკავა ბუდე
და ცას შესთხოვდა გროშებივით სიცოცხლის წუთებს.
პატარა ბუდე სიხარულით იყო გაზრდილი —
ბუდეში ბარტყი გაფაჩუნდა, გაჩნდა აზრივით.
ცასა და მიწას აერთებდა პატარა ფრთები,
მაგრამ იმ დღიდან ფოთლებივით დაცვივდნენ წლები.
... მოწყენილ ბუდეს ქარი არწევს მჩუტე თხილივით
და ესიზმრება გარდასული ჟივილ-ხივილი.
და რაღაც უთქმელ გაოგნებით შიგ იყურება
ნაცრისფერი ცის უდაბურება...

1961

* * *

საით გაგექცეთ ღელის ტირიფებს,
სად დაგემალო ზვარო, ჭალაკო?
ნუ ამაცეტებთ, თქვენი ჭირიმე,
ნუ გამხდით ქვეყნის სალაპარაკოდ.
რამ დაგამგვანა მაინც ალიონს,
ტურფა ვენახო,
ტურფა თითაო,
თავი არ მომჭრათ, არ გადამრიოთ,
არ დაგერიოთ სულ სათითაოდ!
დავიღუპები, მორჩა, იმწამსვე
გაუმართლდებათ ეჭვი მალული —
მეტიც, არ უნდათ ჩემს სახლიკაცებს,
გადააქნევენ თავს სინანულით.
ნუღარ, ო, ნუღარ მელამაზებით
ხვავით, ბარაქით, ათინათებით,
მე ერთი ვარ და თქვენ ათასები,
ვაი რომ ვეღარ აგითავდებით...
მაინც რათა ხართ ასე კარგები
დაუნდობელად მოგიზგიზენო.
უჰ, გაგექცევით, დავიკარგები
ცოტა ხნით მაინც რომ მოვისვენო.
თბილისში მაინც არ ჩამომდიოთ,
თბილისში მაინც არ მომაკითხოთ,
არ დამაწიოთ ნისლი ნოტიო,
არ მომიგზავნოთ ღვინო, აკიდო.
შემეშვით, ჭკუა არ ამირიოთ,
საქმე არ მიქნათ სამამაძაღლო —
თბილისში სახლი არ დამინგრიოთ,
აქ სამუდამოდ არ დამასახლოთ!

1968

ამორძალები

მამრი უარყვეს...
და ხედნიან ველურ ულაყებს...

მამრი უარყვეს...

ნანადირევის ტყავეული აცვიათ ჯუბად,
ფაზისს უწვდინეს თერმოდონტზე ნასროლი შუბი.
ვახშმად სხდებიან კოცონებთან... ხარს ატყავებენ
და მსხვერპლს სწირავენ იდუმალ და საშიშ ღვთაებებს.
სკვითიაში თუ თრაკიაში კვალი ირევა,
მეომარ ტომებს მიჰკივიან თავგამეტებით
და უნაგირებს გადაჰკიდეს ნანადირევად
მცირე აზიის ღამეები და ლეგენდები.
... თრთის ამორძალის ძუძუსავით ტრამალის მთვარე
და ერთი ღამის სარეცელი განცხრომით მთვრალი.
თითქოს აგვისტოს ხვატიანი მზე შეუსუტავთ, —
ველური ვნება იღვენთება ცალი ძუძუდან...
ჰგავს სარეცლები ცხელი ქარით მოთენთილ კუნძულთ
და ამორძალებს კვლავ ეზრდებათ მოჭრილი ძუძუ...

1966

ხარი

აგრემც ვალმოხდილ, ნაჯაფარ ბებერ ქედს ვენაცვალები,
სულ ნაღვლიანი რადა გაქვს ჯიღა, საცერა თვალები!

წარმართმა გხატე კლდეებზე ათას მისნური ქარაგმით
და ხარი ღმერთად გიწამე, გწირე და გწირე ზვარაკი.

შენ გთხოვდა კაცის შენახვას უფალი ღმერთი იესო
და შენაც ერჩოლებოდი შიმშილს და სიღარიბესო.

ურმულით, გუთნისდედურით სულს ლევდნენ მამა-პაპანი
და მათთან ერთად შენც სწიე ქართლის ცხოვრების ჭაპანი.

აშენე ციხე-ქალაქი, ააგე ბევრი საყდარი,
რომ ქართველს, აბჯარგაუხდელს, მტერი ჰყოლოდა წამხდარი.

სისხლს ღვრიდნენ გუთნისდედები, ოფლს ღვრიდნენ მეციხოვნენი,
გუთნის ტარი და ხმლის ტარი საჭეა ქართლის ცხოვრების.

ჩემო ერთგულო წიქარა, ჩემო უთქმელო ღვინია,
უხსოვარ დროდან თქვენს პატრონს მიქვითინ-მიღიღინია.

აღზევანს წაველ მარილზე, უფსკრულმა დამიტანაო,
საწყალობელად ბღაოდი, როგორც მოხუცი მამაო.

ცხადში ხომ მყავდი მეგობრად, შემშველებიხარ ზღაპარშიც,
ოფლში და პაპანებაში ერთად ვართ გამონახარში.

ფეხზე მაცმევდი ქალამანს, ყანწს მომაწვდიდი ნადიმში,
დაგკლავდით დიდ ზამთრობისას — მაძღრად გვყოლოდა ბადიში.

ძეობა იყო — გლეხკაცი ისევ შენ გდებდა იმედებს,
ღრეობა იყო, ვაიმე, ისევ შენ გამოგიმეტეთ.

ქორწილი იყო... ვაიმე, მტკიოდა გული საღადრე,
წამოგაქციეთ ნაჯაფი და ყელი გამოგაღადრეთ.

ცხედარიც მიპატიოსნე აღაპ-ქელეხის წესებით...
დავჯექ და ჩემს მარჩენალზე ტირილით ვწერე ლექსები...

გვიმრავლოს საქართველოში მიწის და მზის მოხარკედა,
ხარივით მსმელი ვაჟკაცი — ხარითვალა და ხარქედა.

ნეტავი, ღმერთო, მეც მომცა ჯანი და მადა ხარისა,
სიტყვა — ხარივით გამწევი, მამულის გასახარისად.

ვიყო ხარივით ამტანი, ვიყო ხარივით მომთმენი,
ჩემი პატარა ქვეყნისთვის მეც შევძლო ხარისოდენი.

1968

მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი

მაჩაბლის ქუჩაზე კვლავ შევხვდით ერთმანეთს
ცოტა კი შევცბუნდი და წავხდი, ღმერთმანი!

მე ის სიცხადეში უთქმელად მიყვარდა,
უთქმელი, ალალი და თან მიამიტი.
— ბატონო გიორგი, ო, რა გამიხარდა,
ცოცხალი ყოფილხართ-მეთქი... — და ავტირდი...

რას აღარ ვუყვები... თანაც მეეჭვება —
იქნება სხვა არი... მეშლება-მეთქი...
არა, არაფრით არ შემეშლება
ხარის თვალები და ხარის ქედი!

შენი სიტყვა და საქმენი გვახსოვს,
სადმე ჭირია, ან თუ ლხინია.
ჩვენო უთქმელო, კეთილო კაცო,
გადაჩეხილო ჩვენო ღვინია.

ვიცი, მწარეა ამაო გარჯა,
ვიცი, ცეცხლისგან დარჩა ნაცარი,
ვაითუ, ისევ ურჯულოდ დარჩა —
ჰაბოს განათვლა ვერ მოასწარი.

შენ ახლა წლები არ გემატება,
ეს მე მტვირთავენ წლები — ზოდები,
დრო გადის, მაგრამ კი არ გშორდები —
უფრო და უფრო გიახლოვდები...

მკვდრის მზე ჰორიზონტს მუჭაში იმწყვდევს,
უკვე ნელდება ქალაქის სიცხე...
ქუჩას კი არა, თავის ბწკარს გაჰყვა...
გავიდა ყოფის, სიკვდილის გაღმა.
ხნულივით დარჩა კვალი ნაცნობი,
კვალი კი არა, შარა ნამდვილი
და მკვდრის მზე, როგორც ნათელკაცობა,
მხრებზე დაადგა შარავანდივით.

. . .

და ეს სიზმარი, როგორც სურვილი,
დღემდე რომ ვეღარ მომითოკია,
გამიფრინდება მოლაღურივით
და ატირდება: „ბიჭო, გოგია“...
„ბიჭო, გოგია“...

1965

ჩემი ქართულის მასწავლებელი

იოსებ ჭარელიშვილს

მარტში მამღვრევდა ფერისცვალება
და ხეტიალის ჟინი მივლიდა.
მზე საყელოში ხელს ჩამავლებდა
და გამიყვანდა გაკვეთილიდან.
ლექსის და ნუშის ნაფერთალებით
იფიფქებოდა ზეცა მიწამდე,
ჩიტებს მიჰქონდათ ჩემი ბწკარები.
და ბუდეებად ხეზე იწნავდნენ.
თურმე იმ კაცსაც სენი ბურღავდა,
მგოსნობის სენი — უიმედო რამ,
თურმე თუშეთში მოყმე გულადი
ვაჟა-ფშაველას ლექსს დაეტორა.
ისიც გვიხსნიდა ჯერ დამშვიდებით,
მერე თრთოლვით და ხელების ქნევით...
ხელში შვლის ნუკრით, მხრებზე ჩიტებით
მერხზე ჯდებოდა შაირის დევი.
თმაზე ეყარა ყვავილი ტყემლის,
მტვერი ვარსკვლავთა და მეტეორთა.
ცალი თვალიდან სდიოდა ცრემლი
და ცრემლში, — ღმერთო! — მზე ეტეოდა.

თურმე რამხელა ცრემლი ყოფილა
და რა უძირო უსაშველოდა! —
მთელი ქვეყნით და მზით გაჭოლვილი
მზეს რომ უძლებდა და არ შრებოდა!!.
არც ხათრი გვქონდა, აღარც დანდობა,
არც მორიდება მოზრდილ ყმაწვილებს —
მოვტაცეთ იმ კაცს ახალგაზრდობა
და ერთმანეთში დავინაწილეთ.
მან ბევრი ხურო და მშენებელი,
ბევრი ბულბული ციხე-ტაძართა
გაზარდა, როგორც მამულს შეჰფერის,
არაგველების სულით გაზარდა.
და, როგორც ანდერძს, ხშირად ვისმენდით:
„მხოლოდ ის არის სწავლის მიზანი,
რომ დაიზარდოთ სწორედ ისეთნი,
როგორც ალგეთზე ლეკვნი მგლისანი!“

კეთილო კაცო, დამნაშავე ხარ —
რად მომიწონე ლექსი პირველი?
რად შემაჩეჩე ვაჟა-ფშაველას,
როგორც ქარიშხალს, სუსტი ფრინველი.
ახლა მე მომდგა შაირის დევი,
ბეჭებზე მირტყამს ტორივით სტრიქონს,
ფშავ-ხევსურეთში ავყავარ ზევით
და ქაჯთა სიბრძნეს ფიცისქვეშ მიყოფს...
გაგვიძეხ, ჩვენო ბერო მინდიავ,
თუშო, იარე წელგამართული,
შენი ამაგი მართლაც დიდია,
შენ შეგვასწავლე კარგი ქართული.
დაე, იცოდნენ, ჩვენს საქართველოს
ისევ სჭირდება შენისთანები,
შენით ვამაყობ, ჩემო გამზრდელო,
შენს ქართველობას ვეთაყვანები.
ირემო, ბარად ჩამოვარდნილო,
თუ მოგეწევა ჟამთა ისარი, —
აყმუვლდებიან შენი დაზრდილნი,
როგორც ალგეთზე ლეკვნი მგლისანი!..

1967

ბროწეულა

წუხელ სიზმარი ვნახე, მზეზე ეგდო ხვითო,
ბროწეულას სადგური აღარ იყო ვითომ,
ვითომ ჩვენი სახლ-კარი იყო... აღარც იყო...
შეჰფენოდა ჭილყვავი ღობის სარს და ჭიგოს.
ცხრა ღელე და რიონი გადავლახე ცურვით,
ვერ ვიცანი მიდამო... ამომიჯდა გული.
არსად იყვნენ მოყვრები... მეზობლებიც არსად,
ვიღაც უცხო კაცები არ მიღებდნენ კარსა.
ვაი, სადაც დავბერდი, ვეღარავინ ვიცან,
დასაკლავი ხარივით ჩავბღაოდი მიწას.
ხავსიანი ჭიშკრები ჩაეკეტათ მაგრა...

ღმერთო, მე ეს სიზმარი ამიხდინე კარგად!

1962

* * *

მაფშალია მომკვდარა... მგალობელი მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის, ანგელოსი გამშრალია.
მარტო ერთიც ჯაბნიდა ბულბულების ქოროს,
მე კი მასთან სულ უბრალო შაშვი ვიყავ მხოლოდ.
მახსენდება, რაც ერთმანეთს ვაწყენინეთ როსმე,
მაგრამ გულით რომ მიყვარდა, თითონ ცაა მოწმე.
მე ვარ მისი ერთადერთი და უღირსი მეგობარი.
ვაი მე ვარ დამნაშავე... ვაი იგი მე მოვკალი...
მაფშალია მომკვდარა... მგალობელი მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის... ანგელოსი გამშრალია.

1968

ჩიტები

ზის გალიაში ღაბუა ჩიტი,
პირს არ აკარებს მორთმეულ საკენკს,
მობეზრებია ცხოვრება მშვიდი,
გული მიუწევს ტყეებისაკენ.

მეორე ჩიტი კი ტყეში სახლობს,
თავი როგორღაც გააქვს წვალებით,
მიგოგმანდება გალიის ახლოს
და საკენკს ხარბად კენკავს... თვალებით...

1966

* * *

„მცხეთის ქალაქს მირონი დუღს“, მზის და ვაზის მირონი,
ბებერ ქვებში ღაღადებენ საქმენი საგმირონი.

იღაღადეთ ფუძის ქვანო, ქვანო საგუმბათონო,
მცხეთას ხომ არ მიბრძანდებით, კონსტანტინე ბატონო.

ბულბულს როგორ არ ესტვინა
იბერიის ბაღთათვის,
არ მოევლო პალესტინა,
კილიკია, ბაღდათი.

მოიარე საქართველო მეროჭიკე ბერივით,
მოიძიე მონასტრები, ჟამით გადაბელილი.

გაწოლილა ქვაში ხავსად
ჟამი ნააღაპარი,
ხომ არ ამხელს ხვაშიადსა
ქვის გრძნეული ზღაპარი?..

მკათათვეში თრიალეთზე ცაა უკაბადონო,
იქნებ კვეტარს ესტუმრებით, კონსტანტინე ბატონო!

ვით დაჭრილი მეციხოვნე ჭირის ოფლგადასხმული,
შენი სიტყვის მალამოთი გაამრთელე წარსული.

გადმოდგება ქართულ მთებზე დილა საიადონო
და ქუდს გიხდის საქართველო, კონსტანტინე ბატონო.

1961

უ ნ ა პ ი რ ო ბ ა

„ნუ დაიღლები, შვილო, ოღონდაც...“ —
ამბობ დედური შიშით და თრთოლვით —
ჩვენს შორის მოხტის ჩვენი გოგონა,
როგორც ბინული ნაპირებს შორის.

ჩვენც ბინულები ვიყავით ერთ დროს,
როცა გვიდუღდა ტანში აპრილი...
შენ გამიზარდე ეს გოგო, ღმერთო,
აღირსე: ისიც გახდეს ნაპირი.

1968

* * *

ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჭიხვინე რიონო,
როცა დავბერდები, სიბერესთან უნდა შენებურად ვიომო.
შენა ხარ ბავშვური სიხარულის ჯერაც აუხსნელი იგავი,
შენთან ბედნიერი (უფრო მეტიც!) შენთან უდარდელი ვიყავი...
ჭინკებმა გამტყვრალი მეწისქვილე დაიჭირეს და გაპარსეს,
მისი წისქვილი და ყაბალახი ცხენებს გამოაბეს ფაფარზე.
ნიკორა ბოსტნიდან მომაბღავლებს, ჩემი წარღვნამდელი ღვთაება
გუთანს ეწევა და მიბუღრაობს დევების წარმოთქმულ ტაეპად.
მისი გუშინდელი გუთნისდედა, მისი გუშინდელი მეხრე ვარ
და ჩემი ბავშვობის ბილიკები რქებზე ბაწარივით ეხვევა.
ქანაობს პატარა სამწყემსური ნიკორას რქებზე და თხის კუდზე.
ალი ნაწნავებით აბრიალებს წყალში მოჭყუმპალე ხის კუნძებს.
არღნიდან ჭირვეულ მაყარივით გადმობარბაცდება სიმღერა,
გზაზე შემხვდება და გადამკოცნის, სიყვარული იცის იმხელა.
ადგილის დედაო, შემიფარე... მომე ბედნიერი სიბერე,
ამ მხარეს წყალობას ნუ მოაკლებ, ნურცა მშვიდობას და სიმღერებს.
ადგილის დედაო, დამიფარე, გული დამიყენე საგულეს,
შენი ჭირნახული მიწილადე, შენი მყუდროება მარგუნე.
ჩემო საყვარელო ადგილებო, ჩემო მოჭიხვინე რიონო,
როცა დავბერდები — სიბერესთან უნდა შენებურად ვიომო...

1968

ჯანსუღ ნიქაბაძე

* * *

აღმართულა ცამდე, იქნებ უფრო ზემოთ,
მიწა ზღვიდან ზღვამდე — ერთი მუხის ჩერო.
წელიწადში ცხრა თვე ცხრათვალა მზეს უმზერს
და თვითეულ ქართველს ახატია გულზე:
მისი მზე და მთვარე, მისი ზღვა და ხმელი,
მისი არემარე, მისი მთა და ველი,
ვარძია და მცხეთა, ცხრაკარა და გრემი —
საქართველო — დედა, რესპუბლიკა ჩემი.

1967

* * *

პატარა ქუჩა მიჰყვება აღმართს
და ეხუთება ასფალტში სული,
პატარა ქუჩა მიიწევს მაღლა,
პატარა ქუჩა ჰგავს ლამაზ სურვილს...
მეც თითქოს შენკენ მოვდივარ ახლა
და უმალ მტოვებს სიმშვიდე სრული...
პატარა ქუჩა მიჰყვება აღმართს
და ეხუთება ასფალტში სული.

1967

ორი ტრიოლეტი

1

წახველ და სული წარიტანე, გულიც წამართვი,
ჩამოეფარა თვალთა ჩემთა სიბნელის ფარდა,
გადამივიწყე, აღარ მომდის შენი ბარათი,
წახველ და სული წარიტანე, გულიც წამართვი,
ცოდვილ მიწაზე დავბოგინებ, როგორც წარმართი,
გიხმობ, გეძახი: ცისიერო, სადა ხარ, სადა!
წახველ და სული წარიტანე, გულიც წამართვი,
ჩამოეფარა თვალთა ჩემთა სიბნელის ფარდა.

2

ისევ შენთან ვარ შემოდგომის ამ მწველ ღამეში
და ვეფერები შენს პატარა, საყვარელ ხელებს.
მე ფასკუნჯივით შენი სულის ფსკერზე დავეშვი,
ისევ შენთან ვარ შემოდგომის ამ მწველ ღამეში,
როს სუნთქვა შენი აღორძინებს ზღვასა და ხმელეთს.
ვინა თქვა, გული თითქოს სავსე არი კაეშნით,
ისევ შენთან ვარ შემოდგომის ამ მწველ ღამეში
და იმედივით ვეფერები საყვარელ ხელებს.

1966

ჩემი ზღვაური

აპრილია და... დედამიწა ბარბაცებს თითქოს,
აპრილია და... დაქრის სიო დაფეთებითა.
ახლა ყოველი უზენაეს სიყვარულს ითხოვს,
სიცოცხლის წვენი ჟონავს ზეცის საფეთქლებიდან.
მთებს ზვავად მომსკდარ სიხარულით დასხმია რეტი,
ლამის მეც მთიდან ელვასავით გადმოვენთები.
ჰა, მოგრიალებს გაზაფხულის ცისფერი ეტლი
და ზღვის სარკეში წკრიალებენ წვიმის წვეთები.
— ნავსადგურისკენ! — ისევ მიხმობს ჩემი ზღვაური,
ზღვას უნაპიროს შიშნეულად არ ვაკვირდები.
აპრილია და... გულში სიყრმის სისხლი ხმაურობს,
აფეთქებულან სულის ჩემის თეთრი კვირტები.

1966



ზურაბ კუხიანიძე

* * *

სამოთხის ბაღი...
ლამაზი ევა...
პირველი კოცნა,
ლეღვის ხის ქვეშ ღამეთა თევა.

იყო უზადო პენელოპა, იყო ლაურა,
იყო ღვთიური ბეატრიჩე, იყო ლეილი;
ბევრმა ლამაზმა დუნიაზე გაიხმაურა
და თან დატოვა
ბევრის გული
დაღდაჩენილი.

ზოგი ჩაუქრობ ტრფიალებით თვითონ იწვოდა,
ზოგმა ტრფობის წილ განუწონა ბევრ ვაჟს ლახვარი...
იყო კრიმჰილდა,
იყო ვისი,
იყო იზოლდა,
სხვადასხვა ქვეყნის ათასგვარი მზეთუნახავი.

თვალების ეშხით, ჯადოქრობით და ათინათით
საუკუნეებს ჩარჩენიათ მკერდში ნესტარი...

იყო მზისდარი საროსტანი ქალი თინათინ
და მზეზე უფრო მომხიბვლელი
ტურფა ნესტანი.

ლამაზ ქალისთვის რაინდები იხდიდნენ ომებს,
მისთვის ასულან უშბაზე და აილამაზე...
შენ ერთგულება, ერთგულება მითხარი, თორემ
ახლაც ბევრია
ქვეყანაზე ქალი ლამაზი.

1965

ბ უ ხ ა რ თ ა ნ

კვამლი მგონია ფაფარი მერნის,
ბუხარში ნედლი რცხილა გასწივის...
„მთებზე დათოვა“, — ვიტყვი და მერე
ამოვიხვნეშებ ბერიკაცივით.

სამფეხა სკამზე ბუხრის კუთხეში
ზის კაფანდარა ჩემი ბებია.

კოხტად უჭირავს საქსოვი ხელში,
წინდის ჩხირები ალზე კრთებიან.

შვილებზე ხშირად ღამენათევი,
წუხს, შვილიშვილი არ ქორწინდება...
თუ დაიბერტყა კაბის კალთები,
ტკბილი ზღაპრები გადმოცვივდება.

1967

* * *

ციცქნა სოფელო, მთახ მიმალულო,
შენზე ფიქრებმა გული დასერეს...
დიდი ბრძოლებით არ ხარ განთქმული,
ჭურის თავზე კი ხშირად გახსენებთ.

შემოდგომაზე შენი შუკები
დაშაშრულია ნაურმალებით...

მარტში ალერსით სულს აშუქებენ
შენი იების მორცხვი თვალები.

დამშვიდდი, სოფლის ბედი რთულია,
ვისთვის ფეხმარდობს, ვისთვის ოჩნდება:
ვინც დღეს წყნარ ჩრდილში მიმალულია,
მზის სინათლეზე ხვალ გამოჩნდება.

1950

ნოდარ შამანაძე

დედას ლევანა

თუ ვისმეს უთქვამს, ვმღერი მეცაო,
ის ცხონებული იტყოდა ჩვენში.
შილდას რომ ჰქუხდა „შავო მერცხალო“,
ფეხზე ამდგარნი უსმენდნენ გრემში.
სუფრასთან სუნთქვით ლამპას აქრობდა
თუ დასჭექავდა — სახლს ჭერს აცლიდა;
ვიღას ახსოვდა ბერიკაცობა,
რომ დასძახებდა „ბერიკაცი ვარ“;
მისთვის არ იყო კიდე და ზღუდე,
ცას გვაერთებდა შემოძახილით;
მის მხრებზე ჰქონდათ ბულბულებს ბუდე,
მის ხმას მისდევდა გზაზე ნახირი.
ხან გვატირებდა, ხან ცრემლს გვტაცებდა,
ჰანგთა ნიაღვრით ყინვას ალღობდა...
ვზივართ კახეთში ბერიკაცებთან,
გაკვირვებული გვისმენს ბალღობა.
გულზე ხალისის ცეცხლი მედება
და მეხატება თვალწინ ფრთებგაშლილს —
როგორ იქცევა კაცი ლეგენდად,
როგორ გადადის უკვდავებაში.

1968

* * *

ჩვეულებრივ მუდამ არის ასე,
ახსენდებათ სოფლის ხსენებაზე:
ვენახები... ვაზი ჯიქნებსავსე,
ახსენდებათ მოშრიალე ყანა,
ორშარები, დაბინდული ხილით,
გლეხიკაცი ასუფთავებს მარანს,
სიტყვა მოსდის მაჭარივით ტკბილი.
ჩვეულებრივ მუდამ არის ასე,
მე პირველად სოფლის ხსენებაზე
მახსენდება: დედა მიდის წყალზე,
მხარზე უდგას შეკვამლული კოკა,
უბარივით თავდახრილი მიდის,
ჩუმი ცრემლით ჟსველდება ლოყა,
თვალებში აქვს ნაადრევი ბინდი.
მე მის უკან მივცუნცულებ ჩუმად,
როგორც ჩვენი კუდბუთქუნა მურა...
მიდის დედა, მიდის ცრემლის ყლაპვით,
რატომ ტირის, ვერ მივმხვდარვარ ღლაპი.
აგერ, წყალზე წავიდოდა სანამ,
გვიცინოდა, მოგივათო მამა.
მღეროდა და გვამღერებდა ბალღებს,
ომის ქარი ჩადგებაო მალე...
— ჩვეულებრივ მუდამ არის ასე,
მე პირველად სოფლის ხსენებაზე
მახსენდება: დედა მიდის წყალზე...

1951

* * *

ის როგორ იყო: ზედ იალაღზე
ღვთის რისხვასავით დაგვატყდა თქეში,
თითქოს ვეშაპი ჩვენს ბრიალა მზეს
სადღაც, მთის იქით ყლაპავდა ხვნეშით.

ზეცა ქვევრს ჰგავდა, პირქვე დამხობილს,
იბზარებოდა დროდადრო ელვით,
ფარას მოსდევდი ჩვეულ ლაღობით,
ვერ შეგამჩნიე ნასახი ღელვის.

მე გადარების მრევდა სურვილი,
მაკანკალებდა მეხი და თქეში
და ღმერთისათვის შეწირულივით
კოჭლი ბატკანი მეჭირა ხელში.

1956

* * *

ჩემს წინაპრებს

ბაძულა, ბარძიმ, ქიტესა...
რაც გერქვათ, ეს სულ ერთია!
ბევრი გიხნავთ და გითესავთ,
ოფლი მდინარეს შერთვია.
სადაც დაგიკრავთ ზანზარით,
გასულხართ, გაგიტანიათ,
მხარზე შეგიდგამთ ტაძარი,
მთის წვერზე აგიტანიათ.
ფოლადის გქონდათ წელი და
ხარულად გაგიწევიათ,
მაგრამ არც სადმე წერიხართ,
არცა რა დაგიწერიათ.

უკალმოდ როგორ დაბერდით,
ჭკუაც გიჭრიდათ, თვალიცა,
ვეფხვის წიგნს თუ ვერ დაწერდით,
გადაგეწერათ მაინცა.
თავქარაშვილმა გაჯობათ?!
ის ბევრჯერ მხარზეც შეგისვამთ,
მის გადაწერილ ხელნაწერს
ფასი აქვს მთელი ქვეყნისა.

მაგრამ რის წერა, რა წერა,
ვაჰ, თქვენსა ბედისწერასა!
ცეცხლი გეკიდათ დამწველი,
ვინ მოგაცლიდათ წერასა?!
ცეცხლი მწვავს, ცეცხლი დამწველი,
ბაძულა, ბარძიმ, ქიტესა...
მსურს, ისე კარგად დავწერო,
თქვენ რომ გიხნავთ და გითესავთ!

1967

* * *

ბევრი დღე წუთისოფლისა
გაფრინდა, გაიცისმარა
და, უპირველეს ყოვლისა,
მე რაც მინდოდა, ის არ ვარ!
ვერ შევძელ, მსურდა რაიცა,
ვერ მივწვდი ზეცის ალმასებს,

ოცნების თასი დაიქცა,
ვავსებ და ვეღარ ავავსე...
მაინც უტეხად მივდივარ,
მივდევ და მივდევ მზის სავალს,
რა ვუყო: ის ვარ, რაცა ვარ,
რაც უნდა ვიყო, ის არ ვარ!

1961

უცნობ სოფელში

საღათას ძილით მკირე სოფელს ეძინა თითქოს,
ხმამ მანქანისამ წამორეკა ჯარი ბავშვების,
გამოეფინენ ეზოებს დიდრონს,
გამოგვედევნენ ჟრიამულით,
ჯოხის რაშებით.
მივქრით,
მივდივართ.
უკვე ხევში ვართ,
ვიგონებთ, მაგრამ ვერ ვიხსენებთ რა ჰქვია სოფელს...
ჰეი, ბავშვებო, იქნებ თქვენშია,
მაგ სოფლის სახელს
ვინც ქვეყნად მოჰფენს?!

1965



მორის ფოცხიშვილი

ნადირობა

ჭალაში ბალანაშლილი
თეთრი სეტერი ქრის...
მწყერი ბალახში წრიალებს,
აფრინდება და...
ფრრი...
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს.
ვაიმე, ჩემი სიცოცხლეც
იქნებ ასეა დღეს.
ვიდრე მიწაზე დავდივარ,
ყველა სიკეთეს მგვრის, —
ავფრინდები და...
ვაიმე...
ავფრინდები და ფრრი...
ტყვიაც იწივლებს შურისა,
მთლად მიმიმსხვრევენ ფრთებს,
სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს.
შავი საფანტი ირევა...
თეთრი სეტერი ქრის...
მე მაინც უნდა ავფრინდე, —
ავფრინდები და...
ფრრი...

1967

* * *

მე ის პატარა ნაკადული ვარ,
შენ რომ ამღვრევ და ასე ათრთოლებ.
შენ რომ ცრემლები წყალს გააყოლე,
მე ის პატარა ნაკადული ვარ.

მე ის პატარა სიყვარული ვარ,
რატომღაც შენ რომ აღარ ახსენებ,
შენ რომ არასდროს არ მოგასვენებს,
მე ის პატარა სიყვარული ვარ.

1952

ვინც ამ გოგოს გააცინებს

შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინც მისწვდება — მისია.
ვინც ამ გოგოს გააცინებს,
გოგოს გული მისია...
ეს ცხოვრება ასე არის,
ის ცხოვრება ისეა.
— ეს მანდილი ვისი არი?
— ეს ჩანგური ვისია?
— ეს ხომ ჩემი დისი არი...
— ეს ხომ ჩემი ძმისია!
ვკისკისებდით მალხაზები,
დარდი გვქონდა რისია?!

თურმე დასასრული იყო,
მე ვთქვი — დასაწყისია.
როგორ გაჰქრა სიყმაწვილე,
ვეღარ ამომიხსნია.
შტოზე ვაშლი გარჩენილა,
ვინ გაიგოს, ვისია?
ბაღში გოგო დაგოგმანებს,
გოგოა თუ ნისლია?!
ვინც გაიგებს, ვინც დაიჭერს,
ვინც აკოცებს — მისია.
ეს ცხოვრება ასე არი,
ის ცხოვრება ისეა.

1956

* * *

მინდა,
საწუთრო დაგავიწყო, —
თქვა: „რა საკვირველი ყოფილხარ!“

მინდა,
მდინარედ მოგივარდე,
თქვა: „რა გულგოროზი ყოფილხარ!“

მინდა,
ვიეშმაკო აშკარად,
თქვა: „რა სასაცილო ყოფილხარ!“

მინდა,
გადაგკიდო სუყველა,
თქვა: „რა საძაგელი ყოფილხარ!“

მინდა,
აგირიო ცხოვრება,
თქვა: „გადარეული ყოფილხარ!“

მერე
გაგექცე და დაგეკარგო,
თქვა: „რა საყვარელი ყოფილხარ!“

1005

გ ა ქ ც ე ვ ა

ხანდახან გინდა განმარტოვდე,
წახვიდე შორს,
გაექცე ქვეყნის სამართალს, ჭორს,
იყო და იფიქრო, რაზედაც გინდა,
ან არ იფიქრო საერთოდ სულ, —

იჯდე ხის კუნძზე და მზესუმზირად
აქუცმაცებდე უბრალოდ დროს...
ხანდახან გინდა განმარტოვდე,
წახვიდე შორს.

და გაურბიხარ მეგობრებს, მტრებს,
ეჭვს და სიძულვილს, სიყვარულს, წლებს,
უბრალოდ გინდა მარტო დარჩენა,
რატომღაც მარტო დარჩენა გსურს,
რატომღაც გინდა, წახვიდე სადღაც,
გაექცე ნდობას, ზეიმ-ზარს, შურს...

საქმიან კაცის თვინიერ ნიღბით
ქალაქს ტოვებ და მიდიხარ სოფლად,
მერე სოფლიდან მირბიხარ მთებში,
თახვის თათებით შედიხარ ტყეში,
შედიხარ ტყეში, უსიერ ტყეში,
უკაცურ ტყეში შედიხარ მშვიდად
და, რომ გგონია,
მარტო ხარ თითქოს, —
ხე რომ ხე არის,
ხე ენას იდგამს,
ხე ენას იდგამს და პასუხს ითხოვს.

ხე ენას იდგამს და პასუხს ითხოვს,
ყველაფრისათვის,
რაც ჰქმენ, რაც იყავ,
რაც არ იყავ ან რაც აიტანე.
ხანდახან გინდა განმარტოვდე,
წახვიდე შორს
და... უბრუნდები ადამიანებს.

1968

კვირა დღეს ზოოლოგიურ პარკში

რა აღმუილებთ, რა გუგუნია...
ვიღაც გალიის დამსხვრევას ცდილობს.
— მამა, ლომები ყველგან ღმუიან?
— ყველგან ღმუიან ლომები, შვილო.

მაიმუნები ჭერზე არბიან
და ნიანგები ნატრობენ ნილოსს...
— მამა, პეპლები აქ არ არიან?
— პეპლები მინდვრად დაფრენენ, შვილო.

ბავშვი გარბის და... ბედნიერია
ჩიტი, რომელიც იპოვის გრილოს...
— მამა, ჩიტები მუდამ მღერიან?
— არა, ხანდახან ტირიან, შვილო.

ბავშვს უნდა, სახლში დაბრუნდეს ჩქარა,
მაგრამ უეცრად ეცვლება კილო:
— მგელს ჩვენს ქუჩაზეც შევხვდებით, მამა?
— მგელს ჩვენს ქუჩაზე რა უნდა, შვილო?!

მერე ღამდება და სულს ამძიმებს
სევდა, როს გული ოცნებას ცდილობს...
— მამა, ლომებსაც დედა აძინებს?
— დედა აძინებს სუყველას, შვილო.

1962

ალაზანთან

ალაზანთან დუქანია,
ხინკალია ცხელი,
დახლს აქეთკენ თუშის გოგო
დაჰქრის, როგორც შველი,
დახლს იქით კი მზარეული
ცომს ბუტბუტით მუშტავს, —
ცხელი კერძის მოლოდინში
სული მისდის მუშტარს.

ორთქლი ასდის მარილწყალში
ლოქოსა და ჭანარს,
ხითხითია, ხინკალია
და თითების ჭამა...

დაგოგმანებს თუშის გოგო
თეთრი სინით ხელში,
ზოგს არაყით აბრუებს და
ზოგს თვალების ეშხით.
მეც აღმაგზნო, მეც აღმანთო,
ვეღარ დავდექ ჩემთვის,
მიველ, ვუთხარ, ლექსად ვუთხარ,
რა კარგი ხარ-მეთქი...

დახლს იქითკენ მზარეული
აწიწმატდა უცებ,
ურისავით მსხვილი მჯიღი
დაიტაფა გულზე.
ორლესულად ამომხედა,
გადმომხედა ცერად, —
ვერ გავუძელ მის მომდურავ
და ნაღვლიან მზერას...

ზედ თვალებზე ავიფარე
ფარფლიანი ქუდი, —
დახლზე დამრჩა მინანქარი
ავსებული ლუდით;
დახლზე დამრჩა ცხელი კერძი
იმ ვაჟივით ცხარე,
მივატოვე ალაზანი,
ჯეირნების მხარე.

ალაზნელი თუშის გოგო
ლამაზია ძლიერ,
კიდევ კარგი, მისი ეშხის
ცდუნებას რომ ვძლიე.
მე რა მრჯიდა, რა მინდოდა,
მე და ჩემი ღმერთი, —
თუშის გოგოს ისე ვუთხარ,
რა კარგი ხარ-მეთქი!

ახლაც ალბათ ალაზანთან
დუქანია ერთი,
დუქანია, დუქანია
ხინკალივით თეთრი...
დაგოგმანებს თუშის გოგო
თეთრი სინით ხელში,
ზოგს არაყით აბრუებს და
ზოგს თვალების ეშხით.
არეული მზარეული
ცომს ბუტბუტით მუშტავს,
მუშტარს ელის, მაგრამ მაინც
ყველას უმზერს კუშტად...

ჰოდა, ქორწილს ველოდებით
დროზე, თორემ გზნებით
ალაზანზე ხოხბებივით
კრიახობენ წლები.
დრო დადგება, იმ თუშელას
არ დასთმობენ სხვები, —
ნახავენ და წაიყვანენ
საცალფეხო გზებით.

1956

ლაზიერის გამგიტი

ჭადრაკის დაფად ქცეულ მიწაზე
არა აქვს დიდი სიცოცხლე პაიკს,
არა აქვს დიდი სიცოცხლე პაიკს,
მაგრამ პაიკი ოცნებობს მაინც.

დამუხტულია კეთილი სიბრძნით,
ემორჩილება დედოფლის კდემას, —
ყველა პაიკი მეფისთვის იბრძვის,
ყველა პაიკი მეფისთვის კვდება.

მაგრამ, ო, მაგრამ, ადრე თუ გვიან
მეფეს და პაიკს ერთ ყუთში ჰყრიან.
ერთ მცირე ყუთში ერთად თავსდება
აზრი,
ოცნება,
სიმართლე,
ჭორი...

არის უთუოდ რაღაც მსგავსება
ამ ჭადრაკსა და იმ ჭადრაკს შორის,
ჩვენ რომ ვთამაშობთ
ყოველთვის, ყველგან
გულდაჯერებით და გამძაფრებით, —
დაფაზე რჩება პატარა სევდა,
პაიკის სევდა, სხვა არაფერი.

1960

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

„როცა ვიტყვი „ი“,
მაშინ გაბო...დი!“
ბ ა ლ ღ უ რ ი

თითქოს გუშინ დასრულდა
შინ და გარეთ, შინ,
ჭრელკაბიან ასულთან
თა...მა...ში...

„ენკი, ბენკი, სიკლისა“,
ენკი, ბენკი, და, —
დღენი სიყმაწვილისა
გა...ვი...და.

მოველ შენს ფანჯარასთან
და ვდუდუნებ, „ი“,
შენ კი, შენ კი, არა და
არ გა...მოხვე...დი.

როგორ დაგვიწყებია
„ენკი, ბენკის“ ხმა,
რა ხანია, გძებნი და
ვერ მი...პოვი...ხარ...

მოდი, მოდი, დამბუგე,
მოდი, როგორც გსურს,
თორემ ვინ რას გაუგებს
გაგი... ჟებულ გულს...

„ენკი, ბენკი, სიკლისა,
ენკი, ბენკი, და...“
არა თქვან:
სიჭაბუკეც
გა...ვი...და...

1950

კოსმიური ულლება

სიცოცხლის ხე ისევ ისხვლება,
ბედს უნდა ერთმანეთს გაგვყაროს, —
მე ვხმები,
შენ ხმები,
ის ხმება
და მაინც ყვავილობს სამყარო.

ხმელი ტოტებივით ვიმსხვრევით,
ვიწვით და ღუღუნებს კერია, —
მე ვმღერი,
შენ მღერი,
ის მღერის...
თურმე ნაკვერჩხლები მღერიან.

მღერიან... სიმღერით მკვიდრდება
სული და ვიშუშებთ იარებს, —
მქუხარე მსოფლიო მშვიდდება
და მაინც მსოფლიო ღრიალებს.

და მყარი ოცნების ქვიტკირი
ირღვევა... დუღაბი მწირია...
მე ვტირი,
შენ ტირი,
ის ტირის...
თურმე ტრომბონები სტირიან.

ცივდება ვულკანურ ნოტების
ლავა და... მაესტრო ისჯება...
ფესვებით, ტოტებით, ყლორტებით
მე ვრჩები,
შენ რჩები,
ის რჩება...

და როგორც მშიერი ობობა
ცა იცდის... დიდია ცის ძალა, —
ვიღაცა იცდიდეს ოღონდაც,
მე წავალ,
შენ წახვალ,
ის წავა!

ჩვენ წავალთ... ვარსკვლავებს გავცდებით,
თუმც წასვლა ძალიან ძნელია, —
მე მელის,
შენ გელის,
მას ელის
დიდი გზა... ღმერთები გველიან!

1967

ქვაზე ამოკითხული

ვაი, შენ წუთისოფელო,
დაგცადე ათასფერადა, —
შორით დაგიდექ,
    შორიდან
არა, არ ღირდი ცქერადა,
ახლოს მოველ და
    დამდაგე,
გამხადე დღეთა წერადა,
გავიქეც, გამომეკიდე,
გზა მომიქციე მტვერადა.

ცეცხლად მეკიდე,
    მე კიდევ
დარდი ისედაც მკვერავდა,
ვერ იქნა, გაგსწორებოდი,
ვერ იქნა, აუჰ, ვერა და...
კლდე იყავ,
    კენჭიც არ გქონდა
მოსარყევ-მოსამტვრევადა.

1960

ქარაგმა

წიწილა გამოამტვრევს კვერცხს, როგორც დილეგს,
და ფილტვებს აივსებს აისით, —
აისის
    კვალდაკვალ
        ივლის და
            ირბენს
თავისუფლება და ხალისი...

მე კი ვივიწროვებ ოცნების გარსს,
სასთუმლად ვიფენ ბუმბულივით მსუბუქ არაკებს, —
ჭაობის ყანჩა ცალ ფეხზე დგას
და დირიჟორივით
        ჰორიზონტს განაგებს.

სიცხის საზომივით გატეხილ ღამეს
ვერცხლის წყლის წვეთებად ეფანტება ჩემი ფიქრები, —
ისევ ველოდები უებარ წამლებს
და დღეს, როდესაც ერთად ვიქნებით.

იისფერდება ყორანივით შავი კარსანი,
ლილისფერდება მცხეთის მინდვრები...
შენ, სულო ჩემო, წიწილასავით
მწუხრიდან როდის ამოფრინდები?!

— თენდება! — ჩხრიალებს იმედის ღელე
და თავქვე მიდენის ბატებივით ფარფატა ნისლებს,
მზე ოქროს ნისკარტით მიკენკავს ცრემლებს,
რომ მე გაზაფხული ვინატრო ისევ.

რწმენის ნაჭუჭიდან გავყურებ გზას,
ვხსნი იჭვის ძაფებად დახლართულ ქარაგმებს,
ჭაობის ყანჩა კი
        ცალ ფეხზე დგას
და დირიჟორივით ჰორიზონტს განაგებს.

1969

ჭადრის ხე, რომელიც მანქანამ დაასახიჩრა

მხოლოდ ფესვები გრძნობენ ტკივილებს.
ძველი რვეულიდან.

არ უყვირია, არ უთრთოლია,
ტყე შორს იყო და
იყო უაზრო
კვნესა, გოდება, მოთქმა, ჩივილი.
მხოლოდ უმწეო ჩიტბატონებმა
წუთით შეწყვიტეს ჟივილ-ხივილი
და მერე სულ სხვა ხეს მიაშურეს
და კვლავ ჭიკჭიკი დაიწყეს მშვიდად.

ჰგვის მეეზოვე დამსხვრეულ ჰავას,
ჰგვის და ბუზღუნებს,
ჰგვის და ქაქანებს,
დიდი ქალაქი,
ვით დიდი ძრავა,
კვლავ ამოძრავებს ახალ მანქანებს.
დრო კი წიკწიკებს,
დრო იფურცლება,
წამით ცოცხლდება სული სატანის
და არის რაღაც უხმოდ, უთქმელად
განსაცდელი და გადასატანი.

და დგას ჭადარი
ერთადერთ ფეხზე,
მაინც დგას მწვანე განგების ძალით,
თუმც ტკივილებით დაგრეხილ ფესვებს
ჯერაც ვერ ამჩნევს შემბრალე თვალი.

ო, სულო ჩემო,
სულო ტიტანო,
ყელს რომ ასკდები რისხვით, კივილით,
ჩვენც უხმოდ უნდა გადავიტანოთ
და განვიცადოთ ჩვენი ტკივილი.

გულში — ბუხარში
კუნძივით მშვიდი
რწმენის მზე იწვის,
მზე არ ჩამქრალა, —
მანქანა მოდის, მანქანა მიდის,
მოვა და წავა ყველა მანქანა.

1968

ნოდარ ნარსია

მამავ, ბატონო!

მწერ, თითქოს მოტყდი, თითქოს ბერდები,
თითქოს ქვეყანა უნდა დატოვო...
არა და არა! არ მემეტები,
ეგ, ღმერთმა ნუ ქნას, მამავ, ბატონო!

მწერ, თითქოს წლები ზამთარს რეკავენ,
სოფელში როგორ გავძლო მარტომო...
რამ შეგაშფოთა, რა დროს ეგ არის,
ო, ღმერთმა ნუ ქნას, მამავ, ბატონო!

მერე რა, — თმაში თეთრი გადნება,
ასი ათასჯერ თუნდაც დათოვოს...
შე კაი კაცო, რა გედარდება,
არ გეკადრება, მამავ, ბატონო!

გახსოვს?..
ბრძოლებში სიკვდილს დასდევდი,
რიხით გივლია ბრძოლის ქარშიაც...
ჰოდა, ჭაღარა რაა ასეთი,
როდესაც ცეცხლთან გითამაშია.

რაო? თუ თმაში თოვლი გაცვივა,
ეს, თეთრი ფერის არის ალერსი,
შენ კი რად ამბობ: — ბერიკაცი ვარ,
რამ ჩაგიყენა შიში თვალებში.

ვინ შეარიგა სული მბორგავი,
ასეთ ტანჯვასთან, ასეთ სევდასთან?..
წაღმა ტრიალებს ბედის ბორბალი,
კვლავაც იბრუნებს... ჰაი, დედასა!

თავზე უღრუბლო ზეცა გვახურავს,
და სასიცოცხლოდ გვიწვევს, გვახელებს,
ისე, იმგვარად გაიზაფხულა, —
მამავ, ბატონო ამ მთებს გახედე!..

... მაშ, ნუღარ მომწერ, თითქოს ბერდები,
თითქოს ქვეყანა უნდა დატოვო...
არა და არა! არ მემეტები,
ო, ღმერთმა ნუ ქნას, მამავ, ბატონო!

1959

გამახსენდება...

გამახსენდება თითო-ოროლა
კაცი და... უცებ გულზე მეშვება,
აწკრიალდება სულში ტოროლა,
მიდამო ვარდად გადამეშლება.
გულზე მეცხება შვების მალამო,
სულში მეყრება მათი ყვავილი...
და მიდის მშვიდად დილა-საღამო,
ღვთიური მადლით გამოყვანილი.
იციან, გული სალოცავია
და უხარიათ
და მოგელიან...
და სულ ერთია, სადაც არიან,
ან რა გვარია, ან რომელია.
იციან, კაცის სული თოთოა
და უცებ გრძნობენ სულის მოტირილს...
იციან, თუკი სულში მოთოვა,
იგი გახმება ატმის ტოტივით.
და ამიტომაც და ამიტომაც,
ასი ათასჯერ იმათ მადლობა...
და ამიტომაც და ამიტომაც,
მე შემიძლია მათზე დანდობა.
და ამიტომაც და ამიტომაც,
მათი თვალები სულის სხივია...
და ამიტომაც და ამიტომაც,
მათი მიზანი დალოცვილია.
... გამახსენდება თითო-ოროლა
კაცი და... უცებ გულზე მეშვება...
აწკრიალდება სულში ტოროლა
და ქვეყნად ყოფნა მენუგეშება.

1969

მე რომ გავფრინდე...

მე რომ გავფრინდე სივრცეთა გასწვრივ,
მთვარესთან ახლო, ან მთვარის იქით...
თან მექნებოდა, ისე ვით განძი,
ერთი პატარა, ცისფერი წიგნი.

მოვთავსდებოდი ხომალდში მყუდროდ,
ლექსით დავღლიდი სივრცეთა დარბაზს...
გაჰკვირდებოდნენ ვარსკვლავნი უფრო,
გავაოცებდი ქვეყანას ალბათ.

მე მივიტანდი მთვარეზე სითბოს,
გავაჩაღებდი სიცოცხლის კოცონს...
რას არ იფიქრებს კაცი, და... ვფიქრობ,
თვით ამდაგვარი ფიქრებიც მომწონს.

მომეხვეოდა ციური ნისლი,
მომეხვეოდა ციური ქარი...
ჩემზე იტყოდნენ: — გმირობა მისი,
ძალზე ლამაზი გმირობა არი.

მე რომ მეწვიოს ასეთი ბედი,
მე რომ დავლაშქრო სივრცენი ცისა...
ამაღლდებოდნენ სამშობლოს მთები,
იამაყებდა სამშობლო მიწა.

მე რომ მეწვიოს ასეთი ბედი,
(რა იქნება, რომ მეწვიოს მართლაც!..)
ამაღლდებოდა სიცოცხლე ერთი,
იმ სიშორეზე, ცხადად და ნათლად.

მე მივიტანდი მთვარეზე სითბოს,
გავაჩაღებდი სიცოცხლის კოცონს...
რას არ იფიქრებს კაცი და... ვფიქრობ,
თვით ამდაგვარი ფიქრებიც მომწონს.

1967

* * *

სულგანაბული ვდგავარ და გისმენ,
სულგანაბული და განგებ მწყრალი...:
შენ კი იცინი იმგვარად, ისე
თითქოს კოკიდან იღვრება წყალი.

და ღამის დუმილს სინათლით ავსებ
და მოზღვავებულ სინათლედ გხედავ...
ოღონდაც ასე, ოღონდაც ასე,
ნუმც დამაშოროს ბუნებამ შენთან.

1967

* * *

გაზაფხულს თითქოს სიცილი წასკდა
აი, ამ ლამაზ გოგონას სახით...
და უკვე ვიწყებ საუბარს ცასთან,
უკვე ღრუბლებში დავიდგი სახლი.

ქუჩებში ყრია ოქრო და ქარვა,
ქუჩებში ნელი ქარები ქრიან.
იცინის ის და იტაცებს ქარი
გულუხვად დაღვრილ სიცილის თქრიალს.

დღეს სხვაგვარია სიცილი მისი,
დღეს სხვანაირად ამოდის მთვარე,
იცინის ის და... სიცილი მისი
სიზმრად მიჰყვება საყვარელ ქარებს.

გაზაფხულს თითქოს სიცილი წასკდა
აი, ამ ლამაზ გოგონას სახით...
და უკვე ვიწყებ საუბარს ცასთან,
უკვე ღრუბლებში დავიდგი სახლი.

1966



ჯანსუღ ჩარკვიანი

სადღეგრძელო

მთებზე დახეული ქარი ფრიალებს,
ბრძოლაგამოვლილ დროშად ფრიალებს
და გამარჯვების დროშად ფრიალებს,
მე ცრემლით ვავსებ ყველა ფიალას
და ვსვამ ბრძოლების დიდ სადღეგრძელოს...

ბრძოლებს ვეკუთვნი, რადგან მთლიანად
ჩემი ლექსით და ჩემი შეძლებით,
ვიპოვე, ძმაო, რასაც ვეძებდი,
მაღალი მთების ქარებს ვეძებდი,
ძველს და დახეულ ქარებს ვეძებდი...

მე ვხედავ, მთებზე ქარი ფრიალებს,
ბრძოლაგამოვლილ დროშად ფრიალებს
და გამარჯვების დროშად ფრიალებს...
ბევრი მზით ვავსებ სულის ფიალას.
და ვსვამ ბრძოლების დიდ სადღეგრძელოს.

1961

ბეთანია

ბეთანია—სახლი სათნოებისა და სახლი მორჩილებისა
და სახლი დიდებისა.

საბა.

შენ არ გინახავს ჩემი ხელები,
ჩემი თვალები და ჩემი მხრები —
გადარეული თეთრი ცხენებით
და შორეული ზარების ხმებით.

შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,
თეთრი ქარებით როგორ ივსება
დღეები ლურჯი ქრისტეს ტანივით.

შენ არ გინახავს ფრესკის სიშორე,
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,
მირონის სურნელს როგორ იშრობენ
ჩემი სხეულის ძველი კედლები.

შენ არ გინახავს, მოდი და მნახე,
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია!..
სათნოებისა ვარ შენი სახლი,
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,
შენი სხეულის ვარ ბეთანია!..

1959

ლამაზი სიკვდილი

როცა დაიწყებს წყარო საუბარს,
მზეს რომ მისწვდება ირმის ბღავილი,
შემოასკდება როცა ალუბალს
მუხლზე კაბა და გულზე ყვავილი.
როცა კვირტები აფეთქდებიან,
როცა სიმღერას იტყვი სასურველს,
როცა ირმები დაფეთდებიან,
მზეს შეხედავენ, რქებში ჩაწურვილს.
როცა მერცხალი ზეცას შეუტევს,
როცა მიწაზე მზე და დარი დგას,
ირემი აპრილს კარებს შეუმტვრევს
და ატმის რტოებს რქებად დაიდგამს.
როცა მზე მინდვრებს კალთებს დაუცლის
საგვირილოდ და საენძელოდა,
ირემი ირემს ბალახს გაუწვდის
და რქას მიურტყამს სადღეგრძელოდა.
როცა ძეწნები ატირდებიან
და აკოცებენ ვაზებს ხარდნები,
შევხედავ ზეცას ნატვრისთვლებიანს,
ავტირდები და ავხარხარდები.
მოიგონებენ წარსულს მკვიდრები,
აბუბუნდება ქვეყნად ყველა მთა,
გავდიადდები, გავსულდიდდები
და ავენთები მამულს კელაპტრად,
დავდგები ცერზე, როგორც ავაზა,
ერთს გადავხედავ დღეებს გაფრენილს,
მერე მოვკვდები ისე ლამაზად,
ვით დაიბადა ეს ყველაფერი.

1958

შენი მერანის გზებით...

არც უფიქრია ჩემს სულს დაჭკნობა,
შენგან გადმოსულს, არც უფიქრია
და ჩემი ფრთები ყოველ მაჭრობას
შენი მერანის ფრთებით მიჰქრიან.
შენს არემარეს, შენს მწუხრს მაისის,
რა უხდებოდა შენი წილობა,
შენ თუ ამიხსნი, შენ თუ ამიხსნი
საქართველოს ბედს და უძილობას.
გულთამხილავი, ჟამთა მოწამე,
ყრმათ საყვარელი და სანატრელი...

ავწიე ჯამი და გამოვცალე,
მე ვადღეგრძელე ყველა ქართველი.
„ჰოი, ნაპირნო“, ჰოი, ნაპირნო“,
ამ შეძახილით თუ განვიმსჭვალე,
შენგან გაქცევას მე არ ვაპირებ,
ვენაცვალე შენს ატეხილ ჭალებს.
მეც ცხენს ვაძოვებ და თვალს ვაპურებ
და ვერ ვაშორებ ანანურს მზერას,
შენი ვეება ჩრდილი დამყურებს
და საქართველოს ბედისა მჯერა.

1967

გალობის ზარი

მადლია, მაგრამ ტვირთია დიდი
შენი ციური გალობის ზარი,
სულისკვეთების ირწევა ხიდი,
ხიდი, რომელზეც ქარიშხალს გზავნი,
შენ, საქართველოს გმირი და მკვიდრი
და განწირული ობოლი მგზავრი.
მწირო, ხომ ხედავ, ზედ ტვინში მირტყამს
შენი მერანის მფრინავი ფლოქვი
და ქარიშხალის მყივარი სიტყვა,
ზარით, ღრიალით, ჩემს სულში მოჰქრის,
შენი ჭირიმე, შენს მეტი ვინ მყავს —
მე შენი სულისკვეთება მყოფნის.

*

მიეცით ნიჭსა შარაგზა ფართო,
თაყვანისცემა უნდა ღირსებას,
რომ განწირული არ დარჩეს მარტო
სული, რომელიც ცრემლით ივსება...
ბარათაშვილის მხედრობას ნატრობს
ჩვენი მერნების მარადისობა.

1967

სურა

დაღესტნის მთებზე, ნაცრისფერ მთებზე
მზიანი დღე აქვთ პატარა ბაზრებს,
ჩუმად ჰყიდიან კასპიის თევზებს
და თითო ცხვარი ახურავთ თავზე.
დაღესტნის მთებზე, ნაცრისფერ მთებზე
ცისფერ ნისლებში მზის სხივი ცურავს,
მე შენთვის სურას, მოხატულს, ვეძებ,
აგურისფერ და ნაცრისფერ სურას.
ისე, ვით წყარო შეხვდება მწყურვალს,
ისე დავეძებ პატარა სურას,
წყურვილის სურას, მოხატულ სურას.
ყავრით დახურულ დახლებთან ვეძებ,
სავსე და ტუჩებგაბუტულ სურას
და გხედავ მთებზე, დაღესტნის მთებზე,
ცისფერ ნისლებში მზესავით ცურავ.
მე ვგრძნობ მზესავით აყალოს სურნელს...
დაღესტანს ლურჯი ნისლები რთავენ...
გოგონა ყიდის ნაცრისფერ სურებს
და აბრიალებს მზესავით თვალებს.

1961

თოვლი

თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა,
ქათქათა, შენი თეთრი მკერდივით...
მე, უსასრულო სივრცის მოსურნე,
ვარ მაღალ თოვლში გამოკეტილი.
და მაღლდებიან მთები ზეცამდე,
და მზისკენ იწევს სვეტი სიცივის,
გარეთ სიჩუმე დგას უეცარი
და თოვლზე ხტუნავს შენი სიცილი.
ნახვამდის, ჩემო თეთრო სიზმარო,
მშვიდობით, ჩემო თეთრო გვირილა,
მთელი სიცოცხლე უნდა ვიწვალო,
რომ მოგაწვდინო მთიდან ყვირილი.
თოვლი მოსულა, თოვლი მოსულა,
ქათქათა, შენი თეთრი მკერდივით...
მე, უსასრულო სივრცის მოსურნე —
ვარ მაღალ მთებში გამოკეტილი.

1962

ვაჟა

შატილით მოდიოდა —
დიდი მთებით,
მთვარეს შეხვდებოდა
ჟინვალთან,
მთვარისოდენა ხინკალს
მიირთმევდა —
ეს დიდი ბერმუხა და
მყინვარმთა.
ხელები ჰქონდა, —
წყაროს ამოსცლიდა,
ქვეყნის მაჯისცემას
უგდებდა ყურს,
მერე დაჰყვებოდა, ბალახებს
დაჰკოცნიდა
და შეუკურთხებდა
ციმბირის წყლულს.
ის იყო დიდი და
ის იყო სხვა,
მისი მართალი სულის ცხონებამ,
მერე ცხოვრებას
მოუჭრა გზა
და შორს გაასწრო
თვითონ ცხოვრებას.

1959

ივერია

ივერია, ივერია,
ქვა, ქვა მღერის, ივერია,
ჯერ არასდროს, ქვაო, ქვაო,
ასე არ დაგიმღერია.
ივერია, ივერია
ცაშია და მაღალია,
მისი ფერი, ლურჯი ფერი
ლურჯი ყანის ღაღანია.
მოდის, მოდის რუსთაველი
ავთანდილის ლხენითაო...
— რა მარჯვენა ხელითაო,
— რა მარჯვენა ხელითაო?
თესვითა და მომკითაო...
შრომითა და როკვითაო...
ქვაში ერის სიყვარული,
ქვაში, ერის სილაღეო,
ღმერთო, ღმერთო, შენ შეჰმატე
ივერიას სიმაღლეო.

1967

თოვდა და თოვდა...

თოვდა და თოვდა
და ბრჭყვიალებდნენ
სიზმრებივით გურიის მთები...
ორსართულიან პატარა ოდებს
სამგლოვიარო ავსებდნენ ხმები;
ჩვენ უნაზესი ქალბატონი
მიგვქონდა მხრებით,
თოვდა და თოვდა...
და გამოკეტილ პატარა ოდას
აღარაფერი აღარ ესმოდა...

დიდი სიწყნარე იყო ესოდენ...
სასაფლაოზე პატარა ბიჭი
პატარა გოგოს გუნდას ესროდა.
შვილი თუ დედა, დედა თუ შვილი,
კაცმა არ იცის, ვინ იყო ცოდვა.
მოჰქონდათ ფიფქებს საღათას ძილი,
და განუწყვეტლივ
თოვდა და თოვდა.

1967

1942

თბილისი მუქი,
ჩუმი და წყნარი,
მე ნავთის რიგში მაწერია
სამას ჩვიდმეტი
და ორთავ მხრებზე
ნაფტალინი მაყრია ბლომად...
თბილისი ჩუმი,
ნერვიული ჩემი თბილისი...
თეთრი დოლბანდით
დაჯვარული ფანჯრის მინები
და ჩვენს ამარა დარჩენილი
ხარაძე ნელი...
ცოტა პური და დიდი იმედი,
ლევიტანის ხმა,
მოსკოვი,
კრემლი...
ნერვიული ჩემი თბილისი.

1968

მაღალი თაღი

ბაზრის წინ იდგა მაღალი თაღი
და იწყებოდა შენი უბანი,
შენ დადიოდი თამამი, ლაღი,
ჰყვაოდი ნუში და ალუბალი.
შენი სახლისკენ გამართულ ბილიკს
თან ახლდა შენი თმების სურნელი,
შენი ტანივით დღე იყო თბილი,
ნაზი, მაღალი და სასურველი.
ახლაც იქა დგას მაღალი თაღი,
ახლაც იქ არის შენი უბანი...
შორიდან გიმზერ მზესავით დაღლილს —
მეც დაღლილი და თავისუფალი.

1967

ი მ ე დ ი

თუმცა არავინ არ მეკითხება,
სძინავთ,
არავინ არ მეკითხება,
მე კი მგონია, ღამე ირხევა
და ღამის რუხი ფარდა იხევა.
დრო აღარ არის უკან დახევის,
გადავაბიჯეთ თითქმის ნახევარს
და არ ჩანს ქვეყნად ჩვენი სახელი
ისე, რომ რამეს ერქვას სახელად.
ო, არა, ისე როგორ გაგვწირავს
სიჩუმე სათნო და დაწყევლილი,
იმედი ბრწყინავს,
იმედი ბრწყინავს,
რომ დასაწერი გვიცდის წერილი.

1966

მე წამიყვანენ გრძელი დერეფნით

(გურამ თიკანაძეს)

შენ რაღა გახსოვს, აღარაფერი, არც არაფერი აღარ ახსოვს მეორე გურამს. არაგვის ჭალებს მივყვებოდით და გვიხაროდა. ვაცას ლექსები, მარცხნივ ვსტოვებდით არაბულების სოფელს სახილეს, იქით, არხვატს და არღუნისაკენ მივდიოდით გრძელი დერეფნით. გრძელი დერეფნით მივდივართო. ეს შენ მითხარი...

მე „გრძელ დერეფანს" ვარქმევ ჩემს წიგნს, ჩემს წიგნს, რომელსაც არ უწერია შენი თვალები.

მომეპარება უშბადან მთვარე
და ჩემი ხარი დაიწყებს ბღავილს.
გაუკვირდება დანარჩენ ხარებს,
ძირს დაცემული სვანური ღამე.
დიდი ავდარი იქნება გარეთ,
მე დამაბნევენ ჯიბეზე ყვავილს,
გაეკიდება ნაცრისფერ ქარებს
ფრთამოტეხილი, მშიერი ყვავი.

. . . . . .

მე წამიყვანენ გრძელი დერეფნით.

ტკივილს დამიწყებს დაჭრილი მხარი,
ოჯახის კარი დამრჩება ღია.
ბღავილს დაიწყებს ჭალაში ხარი,
დაბმული ხარი დაიწყებს ღრიალს.
დაიწყებს ღრიალს და მთების იქით,
მთას გაექცევა ლამაზი ღვია,
მე წამიყვანენ და შენზე ფიქრი
გამყვება, როგორც პატარა ტყვია.

. . . . . .

რას ვეძებ ნეტა?

1967

ძიება

თამუნას ბედზე,
მამუკას ბედზე,
ისევ და ისევ,
ისევ თავიდან,
მე ისევ ვეძებ,
მე ისევ ვეძებ,
მე მაინც ვეძებ,
კი, ჭეშმარიტად!
მე ისევ ვეძებ,
მე კვლავაც ვეძებ,
ლოდებს ვაბრუნებ
და ვეძებ ისე,
შენ როგორ ფიქრობ,
ვიპოვი? შევძლებ?
მაგრამ რა არი —
შენც აღარ მისმენ.

. . .

ვინ გაახარა
ანდა ვინ დარგო
იმქვეყნიური
ხილი სხვაგვარი?
რას ვეძებ ნეტა
რა დამიკარგავს?
ანდა რა მქონდა
დასაკარგავი?
თამუნას ბედზე,
მამუკას ბედზე
ისევ და ისევ,
ისევ თავიდან,
მე ისევ ვეძებ,
მე ისევ ვეძებ,
მე მაინც ვეძებ,
კი, ჭეშმარიტად!

1969

უცხო ფრინველი

მთაში ორჯერ მოგვივარდა ამ ბოლო დროს „უცხო ფრინველი“. უცხო ფრინველს შენ ეძახი სიკვდილს. კმარა, ეყოფა. ჩვენ საკმაოდ მივეცით სიკვდილს, არაფერი მისი არ გვმართებს.

თარიგონს მოდგა უცხო ფრინველი,
მოდგა,
ჩვენი მოგონილი,
მიწის მოგონილი
მოდგა,
ბოლოწითელი, ფრთათეერი,
მოდგა...

უცხო ფრინველი ღონიერია
უცხოდ,
სიცოცხლის ძმაა იგი ფრინველი
ღვიძლი,
იმ უცხო ფრინველს ჰქვია, სახელი
ჰქვია...

ამას მე ვამბობ, შენი შვილიშვილი,
შენი,
შენი ჯანსუღი, შენი სისხლის
წითელი ტოტი...

თარიგონს მოდგა უცხო ფრინველი,
მოდგა,
ოი, აბა გვეშინოდეს,
ოი...

იმ უცხო ფრინველს
გაუშალეთ ლამაზი სუფრა,
ახალი ჭური მოუხადეთ,
რადგანაც მოდგა,
გიშერა ხარი დაუკალით,
რადგანაც მოდგა,
ძროხა ცოდვაა — ხარი დაუკალით,
რადგანაც მოდგა.

მჭადი ცოდვაა — პური გამოუცხვეთ,
რადგანაც მოდგა,
ცოცხალი მოზვერი
მიმირთმიეთ,
რადგანაც მოდგა,
შაშვი არ არის ის ფრინველი,
რადგანაც მოდგა,
არც ქედანია ის ფრინველი,
უცხოდ რომ მოდგა,
არც ხოხობია ის ფრინველი,
რადგანაც მოდგა,
უცხო ფრინველი ღონიერია
უცხოდ.

სიცოცხლის ძმაა
იგი ფრინველი
ღვიძლი.
ოი, აბა გვეშინოდეს,
ოი...

უცხო ფრინველი
ფრთას დაიქნევს
და უცხოდ წავა,
შიშით კი არა, შევებრალებით
და ისე წავა.

შავდაყამირას მისი გზები
და ისეც წავა...

აბა, გიხაროდენ,
ეფრემ ჩარკვიანო,
ოთხმოცდათხუთმეტი წლის
ეფრემ ჩარკვიანო.

1967

ლოდინი

ველოდები მზის და მთვარის მოსავალს,
ტირის ჩემი კესანე და სოსანი.
კურთხეულ არს მომავალი, ოსანნა!
კურთხეული ყველაფერი შორს არის.

მხოლოდ,
მხოლოდ დედოფლის ბედს დავნებდეთ,
ისე წავალთ, არვის შევებრალებით,
მე ვაცხადებ ბრძოლას შეუდარებელს
და სხვისი ხმლის ჩრდილს არ შევეფარები.

ცას ღებავენ ღვინისფერად შინდები
და ჩემი მზეც მალე აღმობრწყინდება,
შენ სიყვარულს თუ არ შევუშინდები,
რაში მინდა სიბერე და დიდება.

ველოდები მზის და მთვარის მოსავალს,
ტირის ჩემი კესანე და სოსანი.
კურთხეულ არს მომავალი, ოსანნა!
კურთხეული ყველაფერი შორს არის.

1969

ერთის პიროგით

მწყურვალისათვის
მიმატანინე წყალი,
მევალესათვის
მიმატანინე ვალი,
გზააბნეულისთვის
მასწავლებინე გზები,
შეუწამლავი
შემაწამვლინე ზვრები,

მომაძებნინე
სხვაგან დამარხული ძმები,
ამ ჩემს მამულში
დამამარხვინე ძვლები.
მათქმევინე:
ქვეყნად სიცოცხლე ღირდა,
მერე წამოვალ,
წამოვალ, საცა გინდა.

1968

ჩემი თბილისი

1

რუსთველის ჭადრებს,
ვერცხლისფერ ჭადრებს,
ტაშისცემაზე გატრუნულ ჩიტებს,
ჩემი თბილისის საღამო ვანდე
და მერე გული ვერ დავიმშვიდე.

თეთრი ქარებით მომდევენ მთები
და მე ვაბიჯებ კუზიან მხრებზე,
მაღლა კი, მთების გაშლილი ფრთები —
ქარში დაკარგულ სიყვარულს ეძებს.

ჩემი სახლები მომდევენ უკან,
როგორც შვილები, მომდევენ ისე,
ჰგავს სიყვარული ანთებულ ვულკანს
და ქარში მთების სიმღერას ისმენს.

და სიჭაბუკე აღმართებს მისდევს
შავნაბადას და ქოროღლის მთებით
და ქორებივით გაფრენილ ხიდებს
ოქროს თბილისი უჭირავთ ფრთებით.

2

მოვდივარ შენთან და გეტოლები,
შენი ცისფერი კვამლით გაზრდილი,
დამიტრიალე სულში მორევი
და სიყვარული გამიადვილე...
მხოლოდ შენა ხარ ჩემი მომრევი —
მოდი, სიმღერის ღვარი მადინე.

გამეჯიბრე და ისე დამღალე
და შემასუნთქე მტვერი ყვავილის,
მაჩვენე სახლის ჭერი მაღალი,
მზის ცხელ თონეში გამოყვანილი,
რომ შენი მწვანე ყანის ღაღანი
მესმოდეს, როგორც ირმის ბღავილი.

მე შენს ბოლნისზე მეტი ხნისა ვარ
და შენი სული ხელთა მჭერია,
შენი მთისა ვარ,
შენი ღვთისა ვარ
და შენი მიწის შესაჭმელი ვარ...
და შენს გუმბათზე დროშად ირხევა,
რაც მე ჩაგითქვი და რაც ასრულდა.
ვენახებს უვლის, როგორც სიმღერა —
ჩემი აწმყო და ჩემი წარსული...
შენი კლიტე ვარ,
შენი ციხე ვარ
და შენი ტყე ვარ მზისკენ წასული.

3

ნუ გაამტყუნებ ჩემს წუთისოფელს,
ისევ ჯობია შორიდან გნახო,
არ შემიძლია მე შენთან ყოფნა,
მე შენ დამღალე,
ლამაზო სახლო.

ავალ და გნახავ ოქროყანიდან,
მერე ავალ და წყნეთიდან გნახავ.
რადგანაც სული ვერ აგარიდე,
რადგან სამოთხის ხესავით დგახარ.

4

ლამაზო ფიქრო, გუგუნებს ქარი,
და საუკუნის ცის ფერი ხურავს...
და სიმღერებით სავსეა ღარი,
რომლითაც შენი ბორბალი ბრუნავს.
ჩემი თვალები შენს თვალებს ჰგვანან,
როგორც მეტეხთან
მტკვარსა ჰგავს მტკვარი.
დიღომთან ვდგავარ,
ლილოსთან ვდგავარ,

ვარ გაგრძელება მეტეხის მხარის,
სოღანლუღთან და თელეთთან ვდგავარ,
რომ თბილი გვქონდეს ფუძე და კარი.

მეძახის შენი სინათლის ღვარი,
როგორც მეუღლის მძიმე უღელი.
ვარ შენს უღელში შებმული ხარი
და გრიგალებში ქედმოუხრელი.

1902

თამაზ ჭილაძე

მე მოგიყვები ძველისძველ ამბავს

მე მოგიყვები ძველისძველ ამბავს,
იქნება წვიმაც, მზეც და ღრუბლებიც,
ნელა ისწორებ მუხლებზე კაბას
და კურდღლებივით თრთიან მუხლები.

შენ ზიხარ ჩუმი, თვალებდახრილი,
ვიცი, თვალები მაინც მხედავენ,
შორს მტკვარი მიდის, როგორც დაღლილი,
ჩაძინებული ცხენზე მხედარი...

1956

შუქურა

სადღაც ქალაქის იქით, წყვდიადში,
როგორც ციკლოპი, ცხოვრობს შუქურა.

ანძებს და აფრებს, ჯაჭვებს და ლოდებს
არწევს ცახცახა, ყვითელი ხელით.

ხან გაანათებს ზღვის პირას უცებ
ორს — სიყვარულით ავსებულ სხეულს —
ცეცხლწაკიდებულ ზვინივით ლამაზს.
ხან მოაჯირზე დაყრდნობილ მოხუცს,

მის მძიმე ხელებს,
უძინარ თვალებს.

რა ეჩვენება ბებერ მეზღვაურს?
— მაღალი გემი და თოლიები...
და ხელს გაუწვდის შუქურას კაცი
და მერე ნელა გაქრება ბნელში.

სადღაც შორს, ქარში გადაზნექილი
გაბერილ მკერდით მიიწევს გემი...

1968

დმანისის ქვა...

ფიქრი ტბასავით ცითაა სავსე,
თეთრი ღრუბლები ქედებს ათოვენ,
მე ამ კედელთან ბრმასავით დამსვეს,
წყალი დამიდგეს და მიმატოვეს.

მერე მოფრინდნენ თეთრი ჩიტები,
ფიქრი ფეტვივით უცებ აკენკეს
და გამწარებულ, დაღლილ თითებით
მათი დაჭერა ვერ მოვახერხე.

და აღარ ვფიქრობ, ხავსი მაცვია
და გამოღებულ კარივით ვდუმვარ,
და აღარ ვიცი — იქნებ, არცა ვარ,
რამ გამაჩუმა, ამქვეყნად თუ ვარ?

და აღარ ვფიქრობ... თითქოს ვმშვიდდები,
როგორც კედელთან ძველი ბორბალი.
საით გაფრინდნენ თეთრი ჩიტები,
სად გაქრნენ, თვალიც კი ვერ მოვკარი...

1063

ა რ ა გ ვ ი

ნუთუ პირველად დღეს ამეხილა
თვალი, დღეს ვნახე ეს სილამაზე!
დაიგრუხუნა მთებში მეხივით
გულმა —
ავარდა ალი არაგვზე.

ყური მივუგდე — ეს რა ხმებია,
არაგვია თუ სისხლის თქრიალი!
ცას ზედაზენი შესახლებია
ჩუმი, შემკრთალი და ფიქრიანი.

და მე ვიგრძენი, დრო როგორ გარბის,
მინდა, გავიქცე და გზა მოვუჭრა,
ჩამოწყვეტია საკინძე აპრილს
და ჭორფლიანი ძუძუ მოუჩანს.

1064

ი პ ო დ რ ო მ ი

შენი ფიქრების მაღალ ბალახში
ჭიხვინებს თეთრი ცხენების რემა,
ტკაცუნობს სიცხე ყვითელ ბალახში
და მზე მოისმის, ვით გულისცემა.

მკვეთრი და ბასრი, როგორც ლურსმანი,
დროშების ჩრდილში ქარი შიშინებს,
ვით იპოდრომის იარუსები
სავსე ხარ თრთოლვით, მზით და ყიჟინით.

თითქოს ვიღაცის გესმის ძახილი
და თმას გიწეწავს ქროლვა მარულის,
სტუმრებით სავსე ნათელ სახლივით
ხარ დაძაბული და მხიარული.

თითქოს ვერ მხედავ და შიშველ მხრებზე
აწყნარებ სიცხეს, აწყნარებ ივნისს...
და შენი ჩრდილი თბილისის მთებზე
თვალებახვეულ ცხენივით მირბის.

1060

* * *

სველი ფოთოლი შემოდგომისა,
ანდა უბრალო წვიმის წვეთი
და შორეული ექო სროლისა...

ისვრიან თოფებს და სილაში ეცემა ჩიტი
და ორად ჰყოფენ შემოდგომის მოწყენილ ამინდს
და თოფის კვამლი მდინარის იქით
ნელა ედება ჭორფლიან კრამიტს.

მე მოვალ შენთან...
რაც აქამდე მინდოდა მეთქვა,
ყველაფერს გეტყვი...

სველი ფოთოლი შემოდგომისა
(მე მოვალ შენთან),
ანდა უბრალო წვიმის წვეთი...

და შორეული ექო სროლისა...

1968

მატარებლები მიდიან ნელა

მატარებლები მიდიან ნელა...
ბაქანზე რჩება ჭორფლიანი, მაღალი გოგო
და ნამძინარევ მგზავრების ღიმილს
აგროვებს, როგორც ცარიელ ბოთლებს.

თეთრი ღრუბლები... თეთრი ღრუბლები
მატარებლებზე ჩქარა დადიან...
და თითქოს მუხლის გასამართავად
სადგურზე მძიმედ ჩამოდის წვიმა.

მატარებლები მიდიან ნელა...

მორიგე იხდის
მონომახის ქუდს და იძინებს
და ესიზმრება
აგარაკის მსუქანი მთვარე...

ყველას თავისი ფიქრი აწუხებს...
მატარებლები მიდიან ნელა...

მე ვხედავ შენს გულს
მოფარფატეს ტრიალ მინდვრებზე,
ბოლო ვაგონის წითელ ნათურას...

1967

შენი დაღლილი ღიმილი მაკრთობს,
გაბმული სევდა ამქვეყნიური,
ო, ასე ჩუმად და ასე მარტო
მთებში სხივებზე დნება ყინული.

მე ვერ მოგიტან რტოს იასამნის
და ვერც გაზაფხულს ვერ დაგპირდები.
ჩუმია ზეცა და წვიმასავით
შუბლს უგრილებენ შენი თითები.

1956

* * *

გემები წავლენ განთიადისას
და გააღვიძებს ტალღებს საყვირი,
შეიშმუშნება ძილში ნაპირი,
გემები წავლენ განთიადისას...

სუსხიან დილით, ნაცრისფერ დილით,
კვლავ ცარიელი დაგხვდება პორტი...

ვიღაცა შეწვდა წასვლისას ფოთოლს
და მაგნოლიის ქანაობს ტოტი...

გემები წავლენ განთიადისას,
დაბრუნდებიან, ვინ იცის, როდის...

1955

* * *

ქალაქის თავზე, მოწმენდილ ცაში ბზუის ვერტმფრენი...
უზარმაზარი ლითონის მწერი...

დაბლა, ხიდებზე და მოედნებზე
გადადის ხალხი და ხალხთან ერთად
ვერტმფრენის ჩრდილიც...

ახლა ცაცხვები ყვავიან ყველგან...

და თუ ვერ მნახავ, არ მეძებო, რადგან ჩემს სავალს
და რადგან ჩემს გზას
მე თვითონ ვეძებ.

და შეიფარე, გაზაფხულო, ჩემი ოცნება,
როგორც კარებზე მოგდებული
შიშველი ბავშვი.

1962

* * *

სურ ერთმა ჭიქამ, სულ ერთმა ჭიქამ
დამათრო ასე და მომაგონდი.
აღარსად ჩანდი,
აღარსად იყავ...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე.

ვიფიქრე — წავალ, გავივლი გზაზე,
შემხვდები, ალბათ, ამ ქუჩის ბოლოს,
სხვა ფერის კაბა გეცმევა მხოლოდ...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე.

მერე რამდენი შენ მიგამსგავსე
რხევით, ღიმილით, ხმით და სიცილით!
მომინდა უცებ შენი სიცივეც...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე.

რა იყო მაინც ის ერთი ჭიქა —
ოქტომბრით სავსე და შენით სავსე.
აღარსად ჩანდი,
აღარსად იყავ...
სულ ერთმა ჭიქამ დამათრო ასე!

1962



ანზორ აბულაშვილი

* * *

ლურჯად ხასხასა სერებზე ოდით
დღით — იმერეთის ბრჭყვიალა მზეზე —
წითელ კრამიტით დგანან ოდები
და ჰგვანან ოქროს პაწია თევზებს.

და ამ მზის გულზე — გელათის ფრესკებს,
უკლებლად ყველა მიამიტ შუკას, —
მე მოწიწებით ვახედებ ჩემკენ
და თავს მორჩილად მიწამდე ვუკრავ.

აჯამეთის ტყეს, რიონჰესს, ბაგრატს
და ლურჯ სერებზე გადმომდგარ ოდებს
სალამი ჩემი! თვითეულ მათგანს
მე მინდა, ჩემი იმედი ჰქონდეს.

1967

დ ა მ ე ს ი ზ მ რ ე ბ ა

ასეთ დღეს ჩუმად ველოდი დიდხანს...
დღეს ორთქლი ისე ავარდა კბოდეს,
სითბომ ისეთი რაღაცა მითხრა,
მზე იმდაგვარი სინაზით მომდევს, —

ალბათ ამაღამ, ან იქნებ ახლავ
დამესიზმრება ნატვრა — თბილისი,
დამესიზმრება და ძალზე ცხადად
შემომანათებს ღიმი იმისი.

ვეუცხოები ქუჩებს ასეთი,
გაჩირაღდნებულ, მჩქეფარ დარბაზთა, —
რასაც იქნება არც ვაფასებდი
და რაც ამ ტყეში ასე დაფასდა...

და მოგუგუნე მოვისმენ მათ ხმას,
და კოჯრის გზაზე დავხვდები ნიავს...
დამესიზმრება ეს ყველა ახლავ,
მაგრამ ახდება ძალიან გვიან.

1964

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან

აფრინდა ჩიტი — ქანაობს მზეში
აყვავებული ატმის ხის ტოტი.
წევს ჯარისკაცი და თითქოს კვნესის
თუ მღერის უცხო სიმღერის მოტივს.

პირჩამხობილი წევს ამ ბალახში,
მაგრამ დიდხანს წევს...
მზე კი გადადის
ტყეს, და ჩრდილი სცემს ბალახებს ახლა
მისი სხეულის და მუზარადის...

ბოლოს მიაგნეს, თითქოს ამდენ ხანს
მდუმარედ ყოფნა მტანჯავი — ეყო
და ერთი წუთით კვლავ გახმიანდა,
როგორც იმ მგრგვინავ დღეების ექო...

ანთია ცეცხლი დღითა და ღამით
და ცეცხლს კი არ ჰგავს იგი — არამედ
სისხლში ამოსვრილ გათელილ ყვავილს,
რომელიც იქცა ძეგლად, სამარედ,

იმ დადუმებულ ლეგიონების,
ვინაც ვერ განვლო ბოლომდე ვიწრო
გზა ცეცხლის, სადღაც დაეცა... მერე
მიწად ქცეული ვერავინ იცნო.

ვისაც ბრძანება გრგვინვით და ზათქით
და მძლე ყიჟინით აღარ წამოშლის.
აჩრდილებიღა მოდიან მათი,
წვებიან ამგვარ სასაფლაოში.

შენც აქ ხარ! და შენ გადაიქეცი
ომებისაკენ მოღერილ მუშტად,
რამდენიც ხარობს ყვავილი — ცეცხლი,
გფარავს იმდენი სამარე ზუსტად.

არავინ იცის, როგორ გათავდი,
დაგყვა თუ არა სული მიწამდი,
იდექ თუ იწექ, რა გქონდა დარდად,
თავს შენ ესხმოდი თუ თავს იცავდი.

ჩვენ კი გელოდით... და დედებს ახლაც
ვერ გადუწურავს იმედებს მთლიანს
ვერც ეს საფლავი, რადგან ამ საფლავს
ძალზე საეჭვო საბუთად სთვლიან.

წლები კი მიდის და ისე მალეც,
დღეს სხვა ხმა ავსებს ქუჩებს თუ შუკებს,
და სურათებში შერჩენილ მამებს
ჩვენ გავასწარით ასაკით უკვე.

1004

ბ ა რ ა თ ი

ხელის ფათურით, გუმანით, აზრით.
აი, ამ მთებში, ძალიან მაღლა,
როგორც დაჭიმულ თოკზე ჯამბაზი,
ისე მივყვები ჩემს დღეებს ახლა.

მე ვწევარ ჩემი გზებით დაღლილი,
ვუმზერ ჩემს სიზმრებს უმშვიდეს მზერით.

თუმცა სულ წვრილი ძაფით მახვილი
ჰკიდია ჩემი საწოლის ზევით.

მხოლოდ ნერვები და ნებისყოფა,
და მოთმინების მარადი სიბრძნე —
ყველაზე მეტად, ყველაზე უფრო
მჭირდება, ამ მთებს ვეკუთვნი ვიდრე!..

დაღლილი ვიყავ,
თანდათან სითბოს
მაცლიდა შენი ტალღა თუ ჩქერი
და მე თვალები დავხუჭე თვითონ,
რომ არ ენახა სხვას დაღლა ჩემი.

ვით დამიზნებულ ტყვიას ვგრძნობთ
ზურგთან,
ამ დღეს ჩემს უკან იმგვარად ვგრძნობდი.
ისევ შეხვედრა სჯობია თუმცა
ყველა საშინელ შეხვედრის ლოდინს.

მე ვქანაობდი — არა მზით, ღვინით,
მაინც ვიდექ და ვიკრებდი ძალას
და ვიღიმოდი, თუკი იღიმის
ის, ვინაც ხელში ნაკვერცხალს მალავს.

და მაინც ვიდექ და უზრუნველად
გაღიმებული ვხვდებოდი ყველას
და ვგავდი ამაყ მყვინთავს, რომელიც
იხრჩობა, მაგრამ არ ითხოვს შველას.

ხელის ფათურით, გუმანით, აზრით
აი, ამ მთებში, ძალიან მაღლა, —
როგორც დაჭიმულ თოკზე ჯამბაზი,
ისე მივყვები ჩემს დღეებს ახლა.

მხოლოდ ნერვები და ნებისყოფა,
და მოთმინების მარადი სიბრძნე —
ყველაზე მეტად, ყველაზე უფრო
მჭირდება,
ამ მთებს ვეკუთვნი ვიდრე!..

1964

მ ა გ ე ლ ა ნ ი

ძლიერი სულით მიექანება
უსაზღვრო ზღვებში, როგორც ოდესღაც,
ეს — მან აზიდა მძლე იალქანი
და ჰგავდა ღმერთსაც და კატორღელსაც.

დიდება ქვეყნად დიდ გზათა მძებნელს,
ვინც ნანად თვლიდა ანძების ჭრიალს,
ის ახლაც ჩნდება შუქურად ზღვებზე,
ვისაც ვეღარ ღრღნის ეჭვების ჭია.

ვინაც აუშვა მზისფერი აფრა
და მიცურავდა უთქმელი ტანჯვით,
ის შეედავა ერთად ყველაფერს, —
ღმერთსა თუ მეფეს, გრიგალს თუ მანძილს.

მან იმ სიბნელეს გააწნა სილა
მძლავრი ნებით და გაშლილი აფრით...
ის კვლავ დგას, იძრობს ხელთათმანს ნელა
და სულმოკლეთა სახეში ახლის.

1962

გიორგი კაპანაძე

კოლხეთში

I

იაიების ლურჯი თარეშით ეს გაზაფხული მოსულა, დედა,
ჩემი წყლულები იხსნებიან მყუდრო ფშანებზე,
ბორგავს რიონი, გაზაფხული აწვება რიონს,
დგანან ხეები, სინათლეებს აშრიალებენ.
დედავ, კოლხეთი ჩემში ცოცხლობს მარად ტკივილად,
მიდიან დღენი და მე ვწუხვარ მწვანე რტოებზე,
სერებს ასკდება აჯამეოი ახლა მუხებით,
და ეს მუხები არასოდეს არ დამტოვებენ,
მათ ხომ ქვესკნელი გაანათეს მძლავრი ფესვებით
და კოლხეთს სული შუქით ევსება.

II

წიფობელებით ივსებიან წყნარი დღეები,
კოლხეთის მთები სიმშვიდეში დაითაფლება,
ინთება თხმელა ფშანის პირას უცხო სანთლებად,
ჰორიზონტები ეშვებიან თივის ზვინებთან
და ებრძვის წერო გაზაფხულზე მოწოლილ სევდას.

აქ ჩემი სული დააქვთ ამ ტყეებს
და ორფეოსის ქნარს დაეძებენ,
აქ ჩემი სული დააქვთ ამ ტყეებს
და ოცნებობენ ოქროს ვერძებზე...

აქ ლეგენდები დაფესვიანდა,
აქ ხეებს თითქოს მადლი ჩამოსდის
და მარადისი ცა ფიქრობს, დედა.

1960

ლურჯი ტყეები

მამის მარჯვენა წალდს შეაცივდა,
დარჩა ეწერი გაუკაფავი,
მამის მარჯვენა წალდს შეაცივდა,
სერზე აყვავდა მამის საფლავი.

გალაღებული აპრილის ქარი
არხევს ხეების ახალ სამოსელს.

თითქოს მორბიან ტყეები ლურჯი
იმ დადუმებულ სასაფლაოსკენ...

დედავ, მორბიან ლურჯი ტყეები
და სასაფლაოს წყლულს დაფარავენ.
იშრიალებენ მწვანე ხეები,
არ მომკვდარიყოს თითქოს არავინ...
დედავ, მორბიან ლურჯი ტყეები.

1957

სემირამიდა

ლომივით ყნოსავს შენს ბედს უდაბნო
და ცხელ ტორებს აბჯენს ბაბილონს...
მონათ ტანჯვაზე მოშრიალე ბაღები ჩაქრა
გადალურჯებულ ევფრატის შლამზე...

რა არს ჩვენს შორის?
მზით და ქარით გაცრილი სილა
და უშორესი ყვავილები მოგონებისა,
განათებული
დაღუპული ბაღების სევდით.

1967

* * *

ქალაქში ბავშვის პირველად ყოფნა...
ბაბუაწვერა მიჰყვებოდა მაისის ქარებს
და სიზმარივით ქრებოდა მთვარე.

რამ გამახსენა სოფლის ყანები
ცაცხვების ირგვლივ?!
რა იყო იგი?

ბაბუაწვერა მიჰყვებოდა მაისის ქარებს
და ეხებოდა კედლებს, ქვაფენილს
უმანკო მინდვრით გადმონაფრენი...
დუღდა ქალაქის მშფოთვარე სული,
ბაბუაწვერა ეძებდა მიწას.

1960

* * *

რატომ დამეძებ შემთბარ ხნულში?
ცის სიწყნარეში?
რატომ მახსენებ ასე უსაზღვროდ
გაშმაგებული დედურ ძახილით?
როს კომეტების შმაგი კუდები
ჩემს თავზე ბრუნავს, როგორც მახვილი.

რად მიმაჯაჭვე იმერეთს ასე,
შეყვარებული გულის ძიგძიგით,
როდესაც შმაგი წყურვილი მტანჯავს, —
გადავიხედო ვარსკვლავებს იქით.

1968

ანანური

ანანურიდან ვუცქერი ამ მთებს,
განათებულ მთებს ტყით და ყვავილით.
მდუმარე სულო ერისთავების.
კლდეებზე ჟონავს ვეფხის ხავილი.

ჩემო იმედო, შენ რად მიქრები?
მრეში ზვირთები არღვევენ ღამეს.
თავს მოიყრიან ანანურს მთები
და ლომის კუდებს არაგვს ურტყამენ.

1965

სიზმარი

დამესიზმრება: მოვკვდი და
ჩიტი დამტირის ჭრელი,
ჯოგის ბღავილზე მწვანდება
გახუნებული ველი,

მოდიან, როგორც ლომები,
თათებს მაბჯენენ მთები
და საფლავიდან მეწევა
სურნელი შენი თმების.

1955

* * *

მომკვდარიყო პეპელა გადამთვრალი,
მაღალ მთებზე ფრთებს იქნევდა ზამთარი.

ხუნდებოდა ველი გადათიბული,
კრიახობდა წერო ლაჟვარდს მიბმული.

ქარს მიჰქონდა პეპელა დღეჩამქრალი,
ზვინი ეგდო, როგორც ოქროს ჩაჩქანი.

1960

ოთარ შალამბერიძე

ნაწვიმარი სოფელი

გამოიდარა!
გამოიდარა!
რა სასწაულად გამოიდარა!
კოკორმა — ვარდი,
გოგონამ — მადლი,
ბაბუამ — წალდი გამოიტანა,
რაც მე იმ გოგოს ვეღმერთებოდი,
სულ მის მახლობლად ვეხეტებოდი,
კელაპტარივით ვეღვენთებოდი
და...
არაფერი გამოვიდა რა.

მოხუცს ულვაში გამეჩხრებია, —
ასეა ყველა უწინდელები,
კვირტები თითქოს ნაკვერჩხლებია, —
ზედ ფრთებს ითბობენ გულწითელები.
მზე მოცინარობს!
ნზე მოცინარობს!
აგერ ახლახან პირდაბანილი,
რას მედიდურობს ეს ოწინარიც
შინ დაბრუნებულ გმირთაგანივით?

გამოიდარა!
გამოიდარა!
რა სასწაულად გამოიდარა!
მზეზე ხასხასებს ტყე და მინდორი,
პატარა ბაღჩა და კოინდარი,
ეგ მოხუცი არ მებრალებოდეს,
მოგიტაცებდი, ქალო, ვით არა!..
გამოიდარა!
გამოიდარა!
რა სასწაულად გამოიდარა!

1969

როცა ჰყვავიან მიხაკები...

შენ გიხარია, მიხაკები როცა ჰყვავიან,
დაკრიფე, ჟუჟუ, მიხაკები და გაიხარე!
მიხაკის ფერი ღიმილივით მოსახმარია,
დაკრიფე, ჟუჟუ, მიხაკები და გაიხარე!

კრწანისს გახედე, რანაირი ფერის ჟინია,
აფეთქდებიან სასწაულად მალე კვირტები;
ამ გაზაფხულზე თეთრი კაბის მე მეშინია,
ამ გაზაფხულზე საქორწინოდ ნუ მოირთვები!

დაკრიფე, ჟუჟუ, მიხაკები, ბევრი დაკრიფე,
ასე ლამაზი სიყვარული ნეტა ვინ იცის;
და მაინც ერთ დღეს, თვით სიკვდილსაც გამიადვილებთ,
როცა მენდობით სამუდამოდ შენ და თბილისი.

დიდი სიმწვანის სიმფონიას ალერსით ვუსმენ,
დიდ სიმწვანეში ულამაზეს ლექსად მეგულვი:
ჟუჟუ, თეთრ კაბას ნუ ჩაიცვამ ამ გაზაფხულზე,
ეს — შენი გედი გევედრება ყელწაგდებული.

შენ გიხარია, მიხაკები როცა ჰყვავიან,
უთხარი ამ გულს მიხაკების ალერსი ნუ შურს;
ეს გაზაფხულიც ღიმილივით მოსახმარია,
ღიმილისფერი მიხაკები დაკრიფე, ჟუჟუ!
დაკრიფე, ჟუჟუ, მიხაკები და გაიხარე!

1962

ნათია

მამაშენმა წუხელ
ღამე თეთრად ათია,
ხომ არ შეაწუხე
მამაშენი, ნათია.
თაფლოვანი ტუჩები გაქვს,
თაფლობის თვე ანთია,
ათქვირულან ნუშები და
უთვალთვალე, ნათია.
შენი ათი თითი,
ათი ათინათია,
ეგ თითები,
თითო-თითოდ
ათამაშე, ნათია.
სულერთია ჩემთვის,
ვინ იქნება ნათლია,
ყაყაჩოსფერ კაბას
მეც გიყიდი, ნათია.

1962

* * *

შვილო, სიზმარში გიხილე წუხელ,
ლაღი სიცილით ავსებდი ოთახს;
მაისი იყო, ფერთა სიუხვე
და გული თრთოდა, უმწეოდ თრთოდა.
ვკეტავდი ფანჯრებს... ო, როგორ მსურდა,
რომ დამემწყვდია ძვირფასი ხმები.
იყო ვიღაცა... და მას შეშურდა
შენი სიცოცხლე ხელშეუხები!
გამომეღვიძა სულ მარტოდ შთენილს,
მერე... მთელი დღე სარკმელთან ვიდექ.
სიცილი, ლაღი სიცილი შენი
ტოტიდან ტოტზე დაჰქონდა ჩიტებს!

1957

პატარა გოგო თხოვდება

პატარა გოგო თხოვდება,
ბედი პატარა ბიჭისა.
ღმერთო, ნუმც დაუყოვნდება
თეთრად ნათება ცისკრისა.

იხარონ კეთილ-მოყვრებმა,
არ დაიზარონ ნუგეში,
პატარა გოგო თხოვდება
პატარა სოფლის უბეში.

პატარა გოგო თხოვდება,
მორცხვი და თვალებდახრილი;
პატარა მზითვი მოჰყვება —
პატარა გულის ძახილი.

სადღაც ბავშვობა ღონდება
დაღლილი ასკინკილითა,
პატარა გოგო თხოვდება
გაღიმებულის პირითა.

ჩუმ-ჩუმად ცრემლიც გროვდება
ხშირი წამწამის ჩეროში,
პატარა გოგო თხოვდება
პატარა საქართველოში.

1970

ნავები თოვაში

ნავმისადგომთან ნავები თვლემენ,
ათოვს და ათოვს მიჯაჭვულ ნავებს...
ნავები სიზმრებს ჰგვანან თოვაში
და დაყურსულან სოველი სევდით...

ნავმისადგომთან ნავები ყრია
ვეება ნუშის ნაჭუჭებივით.

ეეთრ, უსასრულო სიმარტოვეში
ათოვს და ათოვს მიჯაჭვულ ნავებს
და ქანაობენ ნავები ოდნავ.

ფიქრობენ: როგორ აიშვან თავი,
ფიქრობენ: როგორ გატეხონ ძილი,
ასე ქანაობს, ასე ქანაობს,
როდესაც ფიქრობს ადამიანი,
სიყვარულით და ბრძოლით დაღლილი...

ათოვს და ათოვს მიჯაჭვულ ნავებს,
ნავი ნავს არწევს და უნანავებს,
ნავები მირაჟს ჰგვანან თოვაში...

1960

ჩ ა ფ ი ქ რ ე ბ ა

ასე გავიგე საწუთროს ძირი
(ოღონდ. არ მახსოვს ვისგან და
როდის), —
გზაზე თავთხელი აგდია ჩრდილი
და ზედ ცხოვრება მიდის და მოდის.

მიდის და მოდის,
მიდის და მოდის

და წყრომით ავსებს
შენს უხმო ლოდინს.
და თითქოს ყურში ჩაგძახის სივრცე,
რომ აზრი არ აქვს დარდსა და გლოვას
და შენს შემდეგაც, შენს ჩამქრალ
ჩრდილზე,
ცხოვრება მაინც წავა და მოვა.

1968

მ ა მ ა დ ა ვ ი თ ზ ე

მარადისობას როგორ აუხელ თვალებს,
კაცთა ბედ-იღბალს იგი უთვალოდ ხედავს;
მამადავითზე ამაღლებულა მწვანედ
შემოღამების ქალწულებრივი სევდა.

ჩუმი წამები როგორ მისდევენ წამებს,
ყოველი წამი ბოლოს გროვდება შენთან:

მამადავითზე გაფენილია მწვანედ
შემოღამების ქალწულებრივი სევდა.

აქ ღამღამობით იის გვირგვინებს წნავენ,
ვისი ხელები, ვისი ხელები ნეტავ?
მამადავითზე აბოლებულა მწვანედ
მარადისობის ქალწულებრივი სევდა.

1966

* * *

მეზმანა:
აკვნის ფერად ღინჭილას
ათამაშებდა ანგელოზი...
თუ,
ჩემი შვილი.
„აღუ“, —
ვუთხარი და გამიღიმა,
ოდნავ გაეპო ტუჩები ჩვილი.
იყო ნიავი...
მწიფე ნაყოფს
გვაყრიდა თუთა
და მოეღერა ბულბულსაც ყელი...
და თვალთა მისთა წყაროსებურთა
მზე დახაროდა სიამის მგვრელი!
გაჰქრა ზმანება.
შრიალი თუთის,
გაჰქრა ბულბულიც ფრთათა კანკალით.
ცარიელ აკვანს დავხედე წუთით,
ამომშრალ წყაროს ჰგავდა აკვანი.

1967

პ ა რ ა ლ ე ლ ი

ქარი ქრის და წვიმა მღერის,
ამას ჰქვია ქარ-წვიმა!
არის მისი პარალელი,
ლექსი და თავგანწირვა.
მე შევყურებ დანანებით
ცას, ღრუბლებით მოფენილს:
არის მისი პარალელიც
ჩვენი წუთისოფელი.

1961

ღამის დარაჯი

შუაღამისას,
ვიტრინასთან მთვლემარე დარაჯს
თავს წაადგები და ეტყვი წყნარად,
რომ ერთი ცალი პაპიროსი
სიცოცხლედ გიღირს.
ხოლო კუთხეში,
ასწლოვანი ჭადრების იქით,
შენს მოლოდინში იკავებს ღიმილს
მაღალ ქუსლებზე
შემდგარი ჩრდილი!...

1968

ვახტანგ ჯავახაძე

* * *

ბევრი რამ ხდება საოცარი ამ ქვეყანაზე
წინადღეს.
შვილიშვილები ენატრებათ მოხუცებულებს
წინადღეს.
უცნაურ სიზმრებს ნახულობენ ქალიშვილები
წინადღეს.
დიდი კოცონი ელანდებათ მოხუცებულებს
წინადღეს.
ტყვიის ქამრებით ვარჯიშობენ ჰოკეისტები
წინადღეს.
მოდიან წითელ მოედანზე კოსმონავტები
წინადღეს.
საჭრისს ლესავდა ოთხმოცი წლის მიქელანჯელო
წინადღეს.
ისევ საფრანგეთს ახსენებდა ნაპოლეონი
წინადღეს.
ენატრებოდა წყაროს წყალი ვაჟა-ფშაველას
წინადღეს.
იყურებოდა მთაწმინდისკენ გალაკტიონი
წინადღეს.
მზეს უცინოდა ხიროსიმა ჩვეულებრივად
წინადღეს.

1968

* * *

ყავარჯნიანი ვაჟკაცის გვერდით
ჩქარი ნაბიჯით მე არ გავივლი...

მგზავრებს, რომლებსაც არ აცილებენ,
თვალს მოვარიდებ, ისე ჩავივლი...

როცა ძალიან მომენატრები,
ყველაზე მაღალ აღმართს ავივლი,
ამოვალ შენთან, ღრუბლების ზემოთ
და ამოგიტან მიწის ყვავილებს.

1961

* * *

შენი სახელი უნდა დავარქვა
ამ დიად დღეს და დიად წელიწადს,
თითქოს ავხსენი ძნელი ქარაგმა,
თითქოს უეცრად გამომეღვიძა.

ცა მიწყრება და მიწა მიწყრება,
და წყალში ვდგავარ, როგორც ლოტოსი,
ჩემს სიხარულს და თავდავიწყებას
ზარები უნდა ქვაზიმოდოსი.

1959

* * *

დედებს იმდენი ხოტბა შეასხეს,
მიჭირს ახალი სიტყვის მიგნება...
მე უკვე ვიცი, ჩემთვის ყველაზე
მძიმე რომელი წუთი იქნება.

დედის თვალებით, დედის ფიქრებით
გაზომილია ჩემი ცხოვრება,
მე უფრო მკაცრი კაცი ვიქნები,
როდესაც დედა არ მეყოლება.

1964

* * *

გულში იზრდება უკვდავ ვენახად,
სულში ანთია უქრობ სანთლებად, —
მე ძველ წერილებს არ ვხევ, ვინახავ,
გამახსენდება — გამიხარდება.
დამძიმებული, წყნარი ხელები,
მონატრებულნი ღრუბლო ამინდს,
ასეთ წერილებს გაიხსენებენ
წვიმიან ღამით, წვიმიან ღამით...
ზოგჯერ წერილებს ხევენ ისინი
და ივიწყებენ წარსულს თანდათან,

როდესაც ბინას გამოიცვლიან
ან იყიდიან ახალ კარადას.
მე კი სტრიქონთა შუქმა დამინდო,
როცა დავკარგე კვალი კინაღამ,
სწორედ ამიტომ, სწორედ ამიტომ
მე ძველ წერილებს არ ვხევ, ვინახავ...
მძიმე წუთებში — დარბაისელი
კაცები ძვირფას წერილებს ხევენ,
მე კი გავივლი და გავიხსენებ
წერილებს, როგორც გამოწვდილ ხელებს.

1960

* * *

ეს არის ომი,
სისხლისმღვრელი, ხანგრძლივი ომი,
სასტიკი, სამკვდრო-სასიცოცხლო, დაუნდობელი.
ერთ მხარეს დგანან: სერვანტესის დედა და დები,
ვან-გოგის ძმა და სააკაძის უმცროსი ბიჭი,
დეკაბრისტების ცოლები და პუშკინის ძიძა,
არმსტრონგისა და გაგარინის ამხანაგები...
მეორე მხარეს ერთსულოვნად ჩასაფრებულან:
ქრისტეს მოწაფე, აბელის ძმა, მეფისტოფელი,
ოძელაშვილის ნათლიმამა, ჰამლეტის ბიძა,
ჰეროსტრატე და
ნერონი და
სალიერი და
ჯორდანო ბრუნოს ჯალათი და ლორკას ჯალათი...
გრძელდება ომი,
სისხლისმღვრელი, სასტიკი ომი.

1960

* * *

წვიმის ტოტებში ქალაქი მოჩანს,
როგორც ძალიან დიდი სოფელი.
მკვდარი ფოთლებით საგსეა ქუჩა.
მე ვარ ფოთლების ჭირისუფალი.
მიწას დიდი ხნის სესხი და ვალი
ცამ დაუბრუნა ერთი ათასად,
ლამაზი არი წვიმა და ქარი,
ფოთოლი კიდევ კვდება ლამაზად.
უკაკუნებენ სულის კარიბჭეს
წვეთები, როგორც ცრემლები ბავშვის...
მე ქუდს მოვიხდი და შევაბიჯებ
წვიმაში, როგორც საკუთარ სახლში.

1961

* * *

რა კარგი იყო, ადრე მენახე.
დღეს ამაოა გარჯა და განსჯა:
როგორც ტრამალზე გასულ მენაღმეს,
ერთი შეცდომის უფლება დამრჩა.
ორი შეცდომის უფლება მქონდა
მანამდე, სანამ დაგინახავდი,
მე მივაშურე სამხრეთის ოთახს,
ძლივს მივიტანე სული ახლამდის...
რა კარგი იყო, ადრე მენახე,
დღეს ამაოა გარჯა და განსჯა,
დაგინახე და, როგორც მენაღმეს,
ერთი შეცდომის უფლება დამრჩა.

1966

* * *

ხელი ყველაზე ახლოა გულთან,
ჩვენ ხშირად ხელში გვიჭირავს გული,
ფოლადს ვადნობთ თუ მივყვებით გუთანს,
ხელებს გულივით ვიცავთ და ვუვლით.
ამაყად ვდგავართ სიცოცხლის ხესთან,
ვგავართ ვეება ხეების ნაფოტს,
ხანდახან გულზე დავიდებთ ხელს და
ყველაზე მართალ სიმართლეს ვამბობთ.

ბედნიერები ვიყავით გუშინ,
არ ვუშინდებით ხვალინდელ ამინდს,
ხანდახან მაგრად ვიხუტებთ გულში
ხელებს და ისე ვიძინებთ ღამით.
მაინც ვერ ვიკლავთ სურვილს და წყურვილს,
მაინც მომავალს ვუმზერთ და ვუსმენთ,
და მხოლოდ მაშინ მშვიდდება გული,
როდესაც ხელებს დავიწყობთ გულზე.

1966

* * *

ხმაურობდა ჩიტების დახურული ბაზარი,
დაყოფილი დახლებად, რიგებად და უბნებად,
გამოკეტილ გალიებს აწყდებოდა ბრმასავით
ჩალის ფასად გასაყიდი ჩიტის თავისუფლება.

უცებ ბიჭი გამოჩნდა, რომელიღაც ჩიხიდან
გამოვიდა ხალხის და მანქანების ხმაურში,
შეირბინა ბაზარში, სამი მტრედი იყიდა,
გამოვიდა ბაზრიდან და სამივე გაუშვა.

1969

* * *

გამოწვდილ ხელებს
შეიძლება, დაუგდო ხურდა,
გამოწვდილ ხელებს
შეიძლება, დაადო ხუნდი,

გამოწვდილ ხელებს
შეიძლება, ეამბორო და
გამოწვდილ ხელებს
შეიძლება, ენდო ბოლომდე.

1969

* * *

ეს დღეც გათენდა: მთვარეს ფეხი დაადგა კაცმა.
აქ კი, ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზე,
სამ-ნახევარი მილიარდი კაცობრიობის
თვალწინ, ეს უკვე მერამდენე საუკუნეა,
ნელა, მზესავით იძირება ოკეანეში
ათას ხუთასი წლის ხომალდი — ვენეცია.

1969

* * *

გადაწყდა: დღესვე მოვემგზავრები,
ხვალ ჩამოვალ და ჩაგეკონები,
ხმას იმაღლებენ ჩემი ზარები,
რეკავენ ჩემი სამრეკლოები.
ისევ შენს ძახილს ვეხმაურები,
შენკენ მოვყვები ქარებს საყვარელს,
ასე ყვირიან მეზღვაურები,
როდესაც მიწას დაინახავენ.
მე გულის პირველ ნათქვამს ვუჯერებ,
არ მავიწყდება სიტყვა ნაფიცი,
ასე მგონია, ქვეყნად უშენოდ
არ გადამიდგამს ერთი ნაბიჯიც.
ეს გაზაფხულიც მალე წავიდა,
რადგან არ იყო სხვაზე ნაკლები,
ასე მგონია, თვალი წამითაც
რომ მოგაშორო, დამეკარგები.
გადაწყდა: დღესვე მოვემგზავრები,
ხვალ ჩამოვალ და ჩაგეკონები,
ხმას იმაღლებენ ჩემი ზარები,
მღერიან ჩემი სამრეკლოები.

1963

* * *

სადღაც აგებენ მძიმე ხომალდებს,
სადღაც წყალქვეშა გემი შენდება,
ასე იწყება ომი ომამდე,
ომი გრძელდება ომის შემდეგაც.
და სიკვდილივით მკაცრი რიცხვები
უდარაჯებენ ერთგულ თავდებად,
ომი ყოველთვის ადრე იწყება,
ომი ყოველთვის გვიან მთავრდება.
გული ბედნიერ თარიღს უმადლის,
თუ ჰპოვა მყუდრო თავშესაფარი,
თავს შეგვახსენებს ზოგჯერ სურათი,
ზოგჯერ წერილი, ზოგჯერ საფლავი.
და დაჭრილებით სავსე დერეფანს,
ღამწვარ სახლებს და აყრილ რკინიგზებს,
ხალხის ფხიზელი მეხსიერება
ივიწყებს, მაგრამ ვეღარ ივიწყებს.
ვერ ივიწყებენ წარსულს დედები,
ვერ უმალავენ ბავშვებს სიმართლეს,
და ყოველი დღე ისე თენდება,
თითქოს დამთავრდა ომი წინადღეს.

1965

* * *

რაც გამაჩნია, ყველაფერს ვყიდი:
უნდა ავაგო პატარა ხიდი.

ხიდზე გაივლის დაღლილი კაცი
და შეამოკლებს შორეულ მანძილს.

გაღმა ცხოვრობს თუ გამოღმა ცხოვრობს,
პატარა ხიდზე გაივლის ბოლოს...

რაც გამაჩნია, ყველაფერს ვყიდი:
უნდა ავაგო პატარა ხიდი.

არა სახლი და სასახლე დიდი —
არამედ ერთი პატარა ხიდი.

თვალებში როგორ შევხედო სიკვდილს,
თუ არ ავაგე პატარა ხიდი?!

1966



ტარიელ ჭანტურია

ბმირები

(პათეტიკური)

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით —
ყოველთვის ვცხონდით!..

სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;
და ისევ — თამარს!
თევდორე ხუცესს;
პაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..

ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
— საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!..

დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და ზადენს;
ზადენს და ჭყონდიდს...
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით —
ყოველთვის ვცხონდით!..

1970

საქართველო

თვალდაშრეტილი დიდი ფშაველის
ცალი ცრემლით ხარ დატირებული.
შუბლკურთხეული დიდი ილიას
წყვილი ცრემლით ხარ დატირებული.

ბალღი კეთილი — ამაყ რუსთაველს
დღემდე მოჰყავხარ ატატებული.
მე ვინ ვარ,
მაგრამ მინდა, იცოდე:
თავი შენთვის მაქვს გადადებული.

1970

სამშვილდე

ამ ლოდებივით — დიდი ცხოვრებაც
ჩაკარგულია ყვითელ ბალახში.
მეც შენი ერთი მეცხოვნე ვარ,
კაცმა არ იცის, როგორ გადავრჩი.

მახსოვს, ვიღაცამ მონად გამყიდა,
მერე ვიღაცამ მონად მიყიდა.

ახლაც ყიჟინა მესმის გაღმიდან,
ცეცხლის შუბები ელავს ციხიდან.

მეწვის სხეული...
უღვთოდ მიკრული
და მითასმული ცხენის ტახტაზე —
მე ვწუხვარ შენზე, ვწუხვარ და ვფიქრობ
შურისგებაზე და გადახდაზე.

1967

* * *

ახლა ყველანი სახლში არიან,
ქარგავს დაიკო ტილოზე კენტავრს,
და ერთად ყოფნის სითბო და სევდა
რეკავს... ეს ზარი — მუნჯი ზარია...

და ყველაფერი, რაც გიხარია,
რად გიხარია — არ იცი თავად.
მე წავალ სადმე... ყველანი წავალთ...
ჯერ კი ყველანი სახლში არიან...

1967

თოვლიანი ზამთარი. სალამო

მიდიხარ თოვლში-თოვლივით კარგი
და კარგი ბიჭის-ერთგული ცოლი,
და სუსტი მხრებით შინ მიგაქვს ხარკი —
ათასი ბიჭის ნასროლი თოვლი.

გამახსოვრდება გაშლილი მხრები...
გაკრთობს ქუჩაში ნაპოვნი ვნება,
მაგრამ ოჯახში იოლად თბები...
და სხვისი თოვლიც... იოლად დნება...

1966

* * *

მეც,
ზურაბივით,
ქართლის
კედელში
ჩაშენებული გყავარ შუამდე.
ნახევრად მაინც რახან გადავრჩი,
ნახევრად მაინც ვიგრძნობ ჟრუანტელს.

გაიჭრიალა მომავლის კარმა,
ჩაესო ურჩხულს ხმალი ვადამდე,
და ვეკითხები ნაომარ არმაზს:
ჩემო ძვირფასო მთებო, სადამდე!..

1967

იური გაგარინი უკვდავების სტარტზე

გაოცებული ვუმზერთ ყველანი
მაღალი ზეცის ჩალეწილ ფანჯრებს...
ირმის ნახტომზე მიჰქრის მერანი.
გეძახი,
ვწუხვარ,
გაღვიძებ,
განჯღრევ...

სდუმან ბავშვები, ჩემი ბავშვები —
როგორ მოგტაცა თვალები რულმა.
ყოჩაღად, ძმაო: მიწის გარშემო
მარადიული იწყება ბრუნვა...

1968

ზოთა რუსთაველი

შესავალი სიმღერა წიგნიდან
„ანდერძი ტარიელისა"

ყოველ ქართველში შენი გენია,
მარად ცოცხალი გენი...
ყოველ ქართველში სული, გენია
და ღიმილია შენი.

სისულელეა — შენს ტვირთს რა ასწევს...
მხრით შენ იმაგრებ ამ თაღს
და უერთდება ცისფერ რვაას წელს
უსასრულობა ჟამთა...

ხმალს არ ეღირსა შენსას ჩაგება!
როგორ ჩაგეგო, ან კი...
ჟღერენ მსოფლიოს დიდი ჩანგები,
მეფედ — შენია ჩანგი!

მგონია, ჩემშიც შენი გენია,
მარად ცოცხალი გენი...
ყოველ ქართველში სული, გენია
და ღიმილია შენი!..

1966

შემოდგომა

ზღვიდან ამოსულ საწვიმარ ღრუბელს
გააფერადებს საღამო ტუშით
და ცისარტყელა, დანსკდარი ტუჩით,
გაქრება სოფლის მთავარი ქუჩით...

და შემოდგომის ფეშხუმის შხეფით,
კაკლების ბერტყვით,
ძაღლების ყეფით
ვანდება ღამე... და „ირმის ნახტომს“
საბნიდან უჩანს ქათქათა ფეფი...

და სადაც სუფსას შეერთვის შუთი,
მეზობლის ზვართან ვყოვნდები წუთით:
მიაქვს ბერიკაცს კვახების აცმა
და ყრმობის სევდა — ათასი ფუთი...

1968

* * *

გადაფრენისას გაყინულ მავთულს
შეასკდა... დაბლა დაეცა მწყერი.
აგდია ახლა ბალახში მარტოდ
და ელანდება სამხრეთის ფერი.

სხვები გაფრინდნენ, ბოძებს და სახლებს
გადაუფრინეს ღამეულ გზებით
და მიიწევენ მაღლა და მაღლა,
უფრო და უფრო
ზევით და ზევით.

1967

თოვლი ღამით

მე გამოვაღე უეცრად თოვლი
და მომელანდა: სუსტი თითებით
უკრავდა ვიღაც, უსმენდა თოვლი
ბნელი სითეთრით და მოწიწებით.

მაბრმავებს სველი ფიფქების ბოლი
და მაგონდება ფიფქების ბოლო
და მენანება: ეს თბილი თოვლი
საფლავებისთვის წვიმაა მხოლოდ...

1967

ზამთარი

... გარეთ ქარბუქი არხევდა ჭადრებს,
ბინებზე ზამთარს ხატავდა თრთვილი,
დედა წვებოდა ყველაზე ადრე,
რომ მე ლოგინი მქონოდა თბილი.

ყველაზე ადრე დგებოდა დილით,
ცოცხით ოთახის სიჩუმეს გვიდა,
ბავშვს ხომ უნდაო საუზმე თბილი,
— სადილი გვინდა... რაღაცა გვინდა...

და მოკვდა იგი, გამრჯე და შემძლე,
მას დარდად წაჰყვა ფიქრები ჩემზე.
არა, აღარ ზის ის საჩეჩელთან,
ათოვს დედის გულს, თოვლივით სუფთას,
ის ადრე მოკვდა, ვინ იცის, ჩემთვის
ცივი სამარის გათბობაც სურდა...

და მუდამ, როცა მერცხლები წავლენ,
ყოველთვის, როცა ფიფქები მოვლენ,
გულო! რამხელა მოწყენას ავლენ,
გულო! რამხელა სინანულს ავლენ,
მე ეს სიცივე მაგონებს დედას,
დედის ჭაღარას მაგონებს თოვლი.

1952

სახლის გადახურვა მთვარიან ღამით

მე გაგახსენებ ნოემბრის ცამეტს,
ღამეს და მთვარეს — ნახევარ მთვარეს.
კრამიტზე ფრთხილად ვაწყობდით
კრამიტს,
ვწუხდით, ვითვლიდით მეზობლის ვალებს.

მე მოგაგონებ შეკრთომას შენსას
და მოწყვეტილი ვარსკვლავის ლოდინს,
საკუთარ ჩრდილებს დასდევდა ძეწნის
ტოტი — მთვარეში გაჩრილი ტოტი...

ვხედავდით ცაზე უცოდველ ბატკანს —
შესაწირავად მიჰყავდათ ზევსთან.
ვაწყობდით კრამიტს და თავზე გვადგა
ირმის ნახტომის ვეება სევდა...

ირმის ნახტომზე მიჰქროდა ცხენი...
და ვერ ვუძლებდით მხედრების კივილს
და გქონდა ლოყა ისეთი ცხელი
და იყო ზეცა ისეთი ცივი...

და მე მეგონა, ამ მაღალ ცასაც
დაიჭერს შენი ცახცახა მკლავი...
შენ უმატებდი ნერვიულ ცახცახს,
სწუხდი — სამსხვერპლოდ მიჰყავდათ
კრავი...

ჰგავდა ჰაერი მოწამლულ ბადაგს,
ვსვამდით და მღვრიე ბურუსში გვხვევდა,
ვაწყობდით კრამიტს და თავზე გვადგა
ირმის ნახტომის ვეება სევდა...

1965

გვიანი შემოდგომა

რამ გამახსენა რკინიგზის პირი,
რკინიგზის პირას — გამხმარი წყავი...
რატომ წვიმს ასე ძლიერ და ხშირად,
საით მიფრინავს ამდენი ყვავი...

აწვიმს და აწვიმს ხეებს და ხეებს,
ნისლი და ნისლი გროვდება მთაში
და შემოდგომის ნაცრისფერ დღეებს
გამოერია ფოთლები თმაში.

მალე ეს ღელე წაიღებს ბოგირს,
გაფრინდებიან მერცხლები მალე,
მაგრამ წვიმაში ჩარჩება ზოგი
და მოუმატებს საზრუნავს ქალებს.

მარტოა ღამით... და დედაჩემთან
რემა შელიას ობოლი დადის
და გაუთხოვარ გოგოს დასჩემდა
გადაუფრენელ მერცხლების დარდი...

1969

* * *

სულელი ბავშვი — მეზობლის ხიდან
რას ჩამოჰქონდა ალუჩა უბით...
გაუძლებელი ტვირთივით ზიდა
ბავშვების გამო დიდების ჩხუბი.

...სიზმარში — ომი... და ომში—სისხლი...
და სისხლში—ფარი... და ფართან—შუბი...
ტკივილი ცრემლის... გატეხილ ფიცის —
დიდების გამო დიდების ჩხუბი...

ძველ დანაშაულს კვლავ იმეორებს
სიკვდილ-სიცოცხლე — უზნეო ტყუპი...
განსაკუთრებით ის — ბრმა... მეორე...
(მომწარო ცრემლის მოზრდილი ყლუპი...)

და ბებრის თვალი წვალებით ამჩნევს,
როგორ ივსება ცრემლებით გუბე...
ბავშვების გამო — ტირილი ბავშვის...
ღმერთების გამო — ღმერთების ჩხუბი...

1969

აგვისტო, სიცხე, ფიქრი!

მთლად მოილია ხუმრალზე ბალი,
ჩალა ზუზუნით გასძახის ჩალას
და ნიავს, როგორც ჟანგბადის ბალიშს,
სუნთქავს ხვატისგან დაჭმული ჭალა,
და დასალიერს, მოთხვრილს პომადით,
თვალებს უკოცნის ირმის ღრუბელი,

მიცურავს ცაზე თეთრი ხომალდი,
და ხომალდს მართავს თეთრი უფალი
და ღალატისგან რეტდასხმულ ბიჭებს
გულ-მუცელს უწვავს მხურვალე ქვები...
მე ვიხდი პერმში შეკერილ პიჯაკს
და ცოტნეს გვერდით თამამად ვწვები.

1966

ბ ო ჩ ო ლ ა

ყასბებმა თეთრი ბოჩოლა დაკლეს,
გაატყავეს და ხელმარჯვედ აქნეს,
აგვისტოს მზეზე გაფინეს ტყავი, —
უძვლო კიდურებს ნიავი აქნევს.

მოაწყდა ხალხი დაბრეცილ ყაფანს,
დადგინდა ფასი ნეკნის და სუკის.
გასისხლულ ჯირკთან ძაღლები ყეფენ
და ძაღლის ყეფა არავის უკვირს.

და გვიმზერს ახლა დახლიდან ყველას
ბოჩოლას ორი ჭკვიანი თვალი,
თითქოს დუმილით ითხოვდეს შველას
სულს გათიშული ხორცი და ძვალი.

და ცხოველური მოგვარა ნერწყვი
ათასი ჯურის ჟუირს და გურმანს
ბოჩოლას მკერდმა, ბოჩოლას ღვიძლმა,
ბოჩოლას ბეჭმა, ბოჩოლას გულმა.

დაინაწილეს მსუყე ნაჭრები,
მე კი სურვილი არა მაქვს დავის, —
დაუფიქრებლად, შეუვაჭრებლად
ავწონეთ თეთრი ბოჩოლას თავი.

და გული შეშლილ ხარივით ყვირის
და ერთი კითხვა აფორიაქებს:
რატომ ღირს, რატომ, სხეული ძვირი,
თავი კი ასე უღვთოდ იაფი!..—

1967

მანეკენი

ნაწნავი — სხვისი.
ღიმილი — სხვისი.
კაბები — სხვისი. სხვისი. სხვისი.
საკუთარი — მხოლოდ მარტოობა.
ფიქრი — საკუთარი.
ეჭვი — საკუთარი.

სხვა ყველაფერი — სხვისი.
მუსიკა — სხვისი.
ტაში — სხვისი.
საკუთარი — მხოლოდ მარტოობა...

1967

ჯვარცმა

თვრამეტი წელი ინახავდა
ძაძებიანი დედინაცვალი
ომში მოკლული ტუხა მოქიას
ერთადერთ პიჯაკს.

ახალმა რძალმა
ბრინჯის ყანაში
გააკრა ჯვარზე საცოლო მაზლის,
უცნობი მაზლის,

ერთადერთ მაზლის ერთადერთი
მოსაგონარი —
ბეღურების საფრთხობელად...

ჩიტები მაინც ვერ მოიშორა:
შემოჯდებიან სახელოზე მოწყენილები,
მშიერ ნისკარტებს აღებენ და
სულს ვაჟკაცისას ეფერებიან...

1969

* * *

მე რომ ვიცოდე: ეს ღამე დამრჩა,
მხოლოდ ზაფხულის
ეს ერთი ღამე!..
ამ ერთ ღამეში

წამსვლელმა კაცმა
როგორ მოვასწრო ამდენი რამე!..
გამოთხოვება!
შეხვედრა!

კოცნა!
შურისძიება!
ანდერძი!
ჭამა! —
ათასი ფიქრით და საზრუნავით
ამავსებს ალბათ ეს ერთი ღამე!..

მე რომ ვიცოდე: ეს ღამე დამრჩა,
ცხელი ივლისის ეს ერთი ღამე, —
დამწდარ ღელეში ჩავაწყობ ფეხებს,
ვუმზერ დილამდე ჩარგელას პანტებს
და კმაყოფილი მოვკვდები ამით!..

1968

* * *

თიქორის წყალი და ანაკლია,
ო, რეზო, სხეულს ისე აკლია!
ფაზისის პირას ჩემი ირაკლიც
სულ სხვა ვაჟკაცი — სხვა ჰერაკლეა!..

ხოლო მდინარე — ძველი, ბერძნული —
როგორც ყვავილი თმაში შეწნული,
დაშვენებია ევქსინის პონტოს,
და სული ცქერით არის შეძრული...

სიცოცხლე! — აი, სამშობლოს ფასი!
სიცოცხლე, ერთი კი არა — ასი!
ნარბენ ბიჭივით ჩავკიდებ ხელს და
უკვდავებისკენ
წავყვები
ფაზისს!..

1969

* * *

შაშვის ჩიჩახვი სავსეა სტვენით,
გალობს და გალობს ბაჯაღლო სთველი.
თქვენი ღიმილი მე ისე მომწონს,
მე ისე მინდა გაცნობა თქვენი!

მე ისე მიყვარს ზვრები და ზვრები,
მაგრამ ვაი რომ იოლად ვთვრები.
მე ახლა ვიცი,
მე უკვე ვიცი,
რატომ ჰყავს ქართველს ამდენი მტრები.

მე ვლოცავ ქართვლის დიდებულ მარანს
და ვიმეორებ მარად და მარად:
— უკვდავებისთვის აქ ჩამოსვლა და
სიღნაღის კართან სიკვდილიც კმარა.

1969

პოეტის ბოლოსიტყვაობა

მოვა და თვალზე ხელს აგვაფარებს,
ჩვენ კი არ ვიცით, ვინ არის იგი...
ასე მთავრდება ყველა ზღაპარი
და იხურება ცისფერი წიგნი.

ნანობს ურჩხული: „სულ ვიცოხნები.
დამწყდა მკლავები. მტკივა კუნთები.
მე დავიღალე — მთელი ცხოვრება
ნაფეხურების წაშლას ვუნდები“...

ყველა ზღაპარი როგორ გასრულდა,
სად მომიყვანა ჩემმა ბილიკმა...
მე ვნახე სულში ამოკაწრული
სიკვდილ-სიცოცხლის რთული ბილინგვ

ღიმილი მოაქვს გოგოს ფშატიდან,
რომელსაც წეღან ნიავი წეწდა,
და თეა ჩემთვის ისე ატირდა,
თითქოს სიცოცხლე საერთოდ შეწყდა.

დგას ობელისკი ცად აზიდული —
სად შემიტყუა ვიწრო ბილიკმა...
ვნახე სიცოცხლეც, ვნახე სიკვდილიც —
მე ორივესი კმაყოფილი ვარ!..

1967

ზაურ ბოლქვაძე

ჩემო მიწავ!

დიდი იყავ... გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს, ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!

და რაც დაგვრჩი, — დაგვრჩი მარად,
დაგვრჩი ხორცად, დაგვრჩი ძვლებად;
დაღუპვისგან დაგვიფარავს
მარტო შენი დასიზმრება.

საქართველოს გეტრფით მთლიანს,
საქართველოს გეტრფით ახალს;
იცოცხლე და, სულ ერთია,
დიდი ხარ თუ პატარა ხარ!

უფრო მეტი დაგებადოს
ერის მშვენი, ენის მშვენი...
არ ჰყოფნიდეს აკვნებადაც
შვილთა შენთა ტყენი შენი!..

დიდი იყავ... გფარეთ მკერდით,
გკვებეთ სისხლით, გალბეთ ოფლით...
დღეს, ერთად რომ მოვკვდეთ შენთვის,
საფლავებად არ გვეყოფი!

1962

უშგა

ფილტვებში ჩაგდის ღრუბლები, უშბავ,
კაცთა ფიქრებით სავსე ღრუბლები...
შეკრულხარ მიწის მრისხანე მუშტად
და გაოცებულ ცას ემუქრები!

მთავ, გევედრები, ვით მამას ბავშვი
შეევედრება ხელში აყვანას:
მომხვიე ხელი, ამწიე ცაში
და საქართველოს მზეს მათაყვანე!

1961

გაჩნდა ხელში გალურსული
ლამაზ ქალიშვილის...
და აკვნესდა სვანურ სულით
სამად-სამი სიმი.

დაიქარგა მწუხარ ხმაზე,
თქმულებები ძველი
და მოადგა მოხუცს თვალზე
ორად-ორი ცრემლი...

ვეღარ ვიგრძნობ აწ მე ვერსად, —
გათავდა და მორჩა! —
იმ სამად-სამ სიმის კვნესას,
იმ ცრემლს ორად-ორსა...

1961

* * *

ვიწრო ოთახში შემოაქვთ კუბო
და ბავშვიანი გააქვთ აკვანი...
დასაფლავების წყნარი დღე დგება
და კუბო ნელა მიაქვს მანქანას.

სასაფლაოდან ჭირისუფალი
დაღონებული უკან ბრუნდება,
ეხება ხალხის ყრუ საუბარი
ჩქარა დაშლასა და დაბუდებას.

ცოლი და ქმარი შედიან სახლში
დიდი და ჩუმი გულისტკივილით,
ოთახში აკვნით შემოჰყავთ ბავშვი
და უხარიათ ბავშვის ტირილი...

1960

* * *

იგი მოხუცდა და ბავშვად იქცა,
აღარ უყეფდნენ სოფლის ძაღლები.
უკაკუნებდა ხელჯოხით მიწას, —
სთხოვდა სამარის კარის გაღებას...

ბოლოს, დაღლილი ამდენი წოლით,
უკანასკნელად მიუჯდა ბუხარს,
უკანასკნელად მოვიდა თოვლი,
მოვიდა თოვლი და... შეგვაწუხა...

1958

* * *

გადაგიხადოთ რითი,
ამაგი, თბილო დღეო,
და მგალობელი ჩიტით
გახარებულო ხეო?

გული თქვენს ნახვას ითხოვს:
ადრე გამხმარო ხეო,
შორს გაფრენილო ჩიტო,
დაღამებულო დღეო!..

1968

* * *

კაცთ მისი სისხლის შესთხოვდა წვეთი,
ევედრებოდნენ თვალები სველი:
„ამაგებინეთ ცხოველი სვეტი,
მერე მომჭერით მარჯვენა ხელი!..

ჯერ მათქმევინეთ სიმღერა ჩემი,
მზიური აზრი მასმინეთ ღმერთის,
მერე გამხადეთ ბოროტი ენის
და სიძულვილის უენო მსხვერპლი!

ჯერ დამაცადეთ, — ავანთო კვარი,
გამათბობინეთ ცივი სხეული,
მერე დამფარეთ ამღვრეულ მტკვარით,
გულს დამაყარეთ მიწა წყეული!

ნუ შემაჩერებთ ნახევარ გზაში,
მაღალ მწვერვალზე მაცალეთ ასვლა,
ჯერ მაგრძნობინეთ სიცოცხლის ფასი,
მერე დამისვით სიცოცხლის ფასად!..

ჯერ ნუ დამიშლით, ვიფრინო ცისკენ,
ციური შუქით ავივსო სული,
ჯერ დავეუფლო უსაზღვრო სივრცეს,
მერე მიმონეთ თქვენს ნება-სურვილს!“

კაცთ მისი სისხლის შესთხოვდა წვეთი,
ევედრებოდნენ თვალები სველი:
„ამაგებინეთ ცხოველი სვეტი,
მერე მომჭერით მარჯვენა ხელი!..“

1961

წ ე რ ო ე ბ ი

მიფრინავენ... ზეცა მოანაღვლიანეს
შემოდგომის მიწურულზე წეროებმა.
დაუღლელი გზისგამკვლევი დაღლიათ და
სამხრეთის ქარს მთელი მწკრივი ეწირება.

მიფრინავენ... ცის სილურჯეს აშავებენ
და ყივილით შველას თხოვენ აღარავის.
ემძიმებათ დანისლული გზა-შარები,
დიდი მთები — მარადისად ჭაღარები.

მიფრინავენ და საფრენი არ ილევა,
აკავებენ ამოვარდნილ გულებს მკერდით,
მიფრინავენ და მიჰყვებათ გაფრხილებად
ჩამორჩენილ წეროს ბედი...

მიფრინავენ... არც იციან: ზეცის გზები
გრძელდებიან, მოკლდებიან?..
შორს კი შავ ზღვას ის წუთები ესიზმრება,
ქარიშხლით რომ წეროები მოკვდებიან...

1958

მთები

მაოცებს მთები — დაჯანღებული
და ცაში მათი ღამის თევანი...
მთა არის მიწა აჯანყებული —
დედამიწაზე დაუტევარი!..

1957

ავტოპორტრეტი

ჩემგან შორსაა არ დავიწყება
და უკვდავების მკრთალი ლანდები,
მე ამ პატარა ლექსში ვიწყები
და ამ პატარა ლექსში ვთავდები!..

უსიმღერობა საშველს არ მომცემს,
გულად იწამა მკერდმა ლექსები...
მე საქართველოს მიწა მაცოცხლებს
და მის სიყვარულს ვერ დავეხსნები!

ბინას ვიპოვნი მე მის მზეგულში, —
დიდი სიცოცხლის მცირე ფანტელი, —
მე საქართველოს მიწას ვეკუთვნი
და მის სიმცირეს მივემატები!..

1958

გივი გეგეჭკორი

ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის

ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის
შუაღამისას დგებიან მხოლოდ
ჩვენი მამების წმინდა ლანდები...

შუაღამისას დგებიან მხოლოდ,
ხელის ცეცებით მოდიან ჩვენსკენ
და ბნელში კედლებს ეჯახებიან...

ძირს ეცემიან, ფეხზე დგებიან
და უთვალავჯერ კვდებიან მერე
ჩამოძენძილი დროშების ჩრდილში.

რომ შემდეგ ისევ შუაღამისას
წამოდგნენ მათი წმინდა ლანდები,
ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის...

1959

ომის შემდეგ

გადათელილნი რკინის ქუსლებით —
კვლავ გვესიზმრება ახალ თაობებს,
ისინი როდი ჩამოუხსნიათ,
ისინი ქარში კვლავ ქანაობენ...
ჩვენ წამებულთა, ვიოლინოთა
და უმამოთა ქვითინში ვიშვით,
როცა ხიშტებზე მზე იცინოდა
და ჩადიოდა დროშების ჩრდილში...

ჩვენი სიზმრების ლურჯი ზღაპრები
დასერილია ტანჯვით და ბრძოლით,
როგორც აპრილი — წვიმის შრაპნელით
და ღამე — მკრთალი რეკლამის ზოლით...
ჩვენ ვხედავთ ბრძოლით მოღლილ
ათასებს,
ბეჭებში მოხრილ მათ სილუეტებს,
რომლებსაც ღამე ვერსად ათავსებს
და გარდასულის წყვდიადს უერთებს.

გადათელილნი რკინის ქუსლებით —
კვლავ გვესიზმრება ახალ თაობებს,
ისინი როდი ჩამოუხსნიათ,
ისინი ქარში კვლავ ქანაობენ...

ჩვენსკენ იწვდიან დაკოჟრილ ხელებს
და მათი მხრების ჩრდილში ვიზრდებით,
და ჩვენი სულის მღვიმეში თვლემენ
ისტორიული კატაკლიზმები...

1960

* * *

ო, თუმცა იგი არაფერი არ არის ჩემი,
მაგრამ ხელს მიქნევს მატარებლიდან
და მიდის სადღაც...
ის მიდის სადღაც და თან მიჰყვება
სხვა, უფრო ნაზი მელოდია შორეულ გზების,
გზების ირიბის და პირდაპირის,
სადაც ერთმანეთს უერთდებიან
და შორდებიან ლიანდაგები...
ის მიდის სადღაც და მიქნევს ხელებს,
და თან მიჰყვება სიბრალული წაქცეულ ზაქის
და რომანტიკა კრამიტიან სახურავების...
ნაკადულების არპეჯიო...
თეთრი ტყემალი...
მოხუცი მწყემსი,
დიდი ძაღლი და ერკემალი...
მეისრის ზურგი...
ჭილის ქუდის ფართო ფარფლები
და სულ პატარა სასაფლაო ალვების მიღმა...
ის მიდის სადღაც და ძიქნევს ხელებს,
მე მიხარია, რომ მიქნევს ხელებს,
და მენანება, რომ მიქნევს ხელებს,
ო, თუმცა იგი არაფერი არ არის ჩემი.

1958

მოხუცი მშვიდი და უცნაური

მოხუცი მშვიდი და უცნაური
თავის სიმორცხვით
და უბიწო ბავშვის თვალებით
თითქოს ეძებდა თანაგრძნობას და
მხარდაჭერას
და იყო ბავშვი, მოხუცი ბავშვი...

მოხუცი მშვიდი და უცნაური
გადაცრეცილი იდაყვებით და უმწეობით,
გახსნილი წარბით,
უწესრიგოდ შეკრულ ღილებით
თითქოს ყოველ დღე ადასტურებდა,
რომ მხოლოდ ერთი ნაბიჯია, ერთი ნაბიჯი,
დიადიდან სასაცილომდე...

მოხუცი მშვიდი და უცნაური —
ჩვენ თითქოს ერთხელ დაგვავიწყდა,
რომ ბავშვი იყო,
და უნებურად ხელი გავუშვით,
იგი დაიბნა და დაიკარგა,
გაუჩინარდა ქუჩის ხმაურში...

და ახლა, როცა საღამოვდება,
დიდი ქალაქი უთვალავი ჩირაღდნით ეძებს...

1959

ტყვიამფრქვევი

შენს ძვირფას სახელს რომ ახსენებენ, კვლავ ტყვიამფრქვევის ისმის კაკანი
და წარმოდგენის პირობითობას ემორჩილება ყველა საგანი.
სადღაც მინდორში დგას ტყვიამფრქვევი და დავიწყების უხილავ ჯებირს
დაძგერებული ჩემთვის კაკანებს... ვერ გაიგებენ ვერასდროს სხვები.
ის მიჯრით ცელავს საფლავის ქვებში დამკვიდრებული დუმილის ბალახს,
გაოგნებული დუმილის ფოთლებს და მერე ყურთან წივის და ფარავს
ძლევამოსილი გონების შფოთვას, ჩიტების ჟივილს, ქალების კისკისს,
მაგრამ ეს მხოლოდ გრძელდება ერთ წამს და ტყვიამფრქვევის იცლება
დისკი...

1968

მარიხი

აღარ არსებობს აღარც მანძილი, აღარც ჟამი და აღარც თარიღი,
შენ არ ხარ ჩემთვის მხოლოდ ვარსკვლავი, შენ არ ხარ ჩემთვის მხოლოდ
მარიხი.
შენ მოხვედ ჩემთან, ხარ მიწიერი, როგორ შრიალებს, გესმის, ნეკერი,
შენ ფეხშიშველი მწყემსი გოგო ხარ, მცხეთის სერებზე თხებს ერეკები...
მაგრამ ჩვენება წამიერია, მიჰყვება ჟამის სრბოლას და შხუილს,
გესმის? გულგრილი უსასრულობა სერზე დაჯდა და მგელივით ყმუის.
შენ გეძებს ჩემი ერთგული მზერა, მაგრამ გულგრილად დამყურებ მაღლით.
მე არ მსურს, არ მსურს, რომ იყოს ერთი, მე გიყურებ თუ ბუჩქები მაყვლის.
უსასრულობით თავბრუდახვეულს, თავბრუდახვეულს შენით და მცხეთით,
ამიციმციმე თვალის კანკელი, მე არაფერი არ მინდა მეტი.
მე ვარ მოკვდავი და ვარსკვლავს ხელი არ მიგიწვდება ჩემს წუხილამდის,
შენი სინათლე სახილველია, მე კი სინათლე მაქვს უხილავი.

1968

აპრილი

გათავდა! გუშინ მზეზე ბრწყინავდა ჩემი ქალაქის ოქროს ტიარა,
ნაცარწაყრილმა სულმა დუმილის გრძელ და უფერულ გზებზე იარა.
მქონდა სურვილი, მაგრამ ბუნდოვანს ყველგან მაღალი დახვდა მესერი.
იგი ჯერ სუსტი მცენარე იყო, ჩემს სულში თრთოდა მისი ფესვები.

მე არავისთვის არ გამიყვია, რაც სითბო მქონდა, იმას მივეცი
და ვამწიფებდი სურვილის ნაყოფს იანვრის თოვლში და სიცივეში.
ის იზრდებოდა, როდესაც ვთვლემდი, ის იზრდებოდა, როცა მათოვდა,
და თოვლი იყო სპეტაკი, როგორც ხელისგულები უსინათლოთა.
ისე ციოდა, ისე ყინავდა, რომ წკმუტუნებდნენ გარეთ ლეკვები,
იყო გონება ისე ცივი და ისე ნათელი, ვით მზე დეკემბრის...
მაგრამ გათავდა! გადნება ჩემი თავშეკავება ამ გაზაფხულში,
ეს ლტოლვა არის და რომ მომელის, ის თრობა არის ჩემი მარყუჟი!..
მე ვიცი, უნდა აპრილი მკერდით ჩემს ფანჯარაზე გადმოიხაროს,
გაოგნებული ისევ კლანჭებში ჩავუვარდები ველურ სიხარულს.
გაწამებული და ნაზამთრალი ვეღარ გაუძლებს წყურვილთან ჭიდილს,
ამღვრეულ ზვირთებს დაეწაფება ღამის წყვდიადში დახრილი ხიდი...
თავბრუდახვეულს ყოველი ლოდი მომეჩვენება ჩაჩოქილ კრავად,
როდის დაგიხვდე კრწანისის ველზე,
მითხარ, აპრილო, მე შენი ძმა ვარ!..

1968

შ ი ნ დ ი

გაღვიძებული ბუნების მზერა ეფინებოდა დაცემულ მინდორს,
ეგ შენ იყავი, შენ იცინოდი, მე დაგინახე, ყვითელო შინდო!..
მიუწვდომელის მოჩვენებითი მოახლოებით და დღის სიახლით,
უბიწოებით და წინათგრძნობით შენ დამიმშვიდე სულის წიაღი.
შენ ვერ გაქრები, აქ უნდა იდგე და ჩანდე, როგორც აქამდე ჩანდი,
ათრთოლებული სულის ბურუსი და სიხარულის ნათელი ლანდი.
შენ ხარ ძლიერი, თუმცა უმწეოს ქარმა ხელები გადაგიგრიხა,
მაგრამ ბუნებას ვერ უღალატე, გაღვიძებული მისი ფიქრი ხარ!..
შენ რომ ჩემს სულში არ ფართხალებდე, არ იცინოდე, არ დაირღვევა
დღისა და ღამის თანმიმდევრობა, მაგრამ შეწყდება ჩემი სიმღერა.
მე შენს კოცონთან როცა მოვდივარ, თავბრუდახვეულს მათრობ და მათბობ
და მე ვარ წმინდა, რადგან წმინდა ხარ და თავდახრილი ბავშვივით სათნო.
მაღლა მიიწევ და იზნიქები გაჩაღებული სულის ღადარი,
შენს აყვავებულ ბუჩქთან იმსხვრევა დღეს ურბანიზმი და მაკადამი.
ვარ ღათრგუნვილი მაგ სიამაყით, მე ვისაც ასე ვნატრობდი, ის ხარ,
შენ გაიღვიძე და ამოხეთქა შენმა სურვილმა და შენმა სისხლმა.
შენ ვერ მიხვდები, შენს აყვავებას როგორ ველოდი, ყვითელო შინდო,
და არის შენი უსიტყვო მზერა ჩემი უგნური ოცნების ჯილდო.

1968

მედეა კახიძე

* * *

ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე
საქართველოს საოცნებო გზები,
გრძელი, როგორც ჩვენი მრავალჟამიერი,
ხვავრიელი, როგორც ჩვენი ძნები.

ვძებნე, ვძებნე, ვერ მოვძებნე,
ოცნებაში დახატული მოყმე,
მინდა, ვიყო თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სადღეგრძელოდ მოვკვდე.

მუმლი მუხას ეხვეოდა,
ყორანივით დაგვყიოდა მტერი,
კაფეს, კაფეს, ვერ გაკაფეს
ეჭვებივით ჩახლართული ტევრი.

ლეწეს, ლეწეს, ვერ დალეწეს,
განა მართლა თავზე ჩამოგვექცა
ვარსკვლავების ჩიხტიკოპით დახურული
საქართველოს მადლიანი ზეცა.

მინდა, ვიყო გმირი თინა წავკისელი,
შორი გზიდან მიყიოდეს მოყმე,
ვიყო მისთვის თავანკარა გაზაფხული,
ჩემი მიწის სიცოცხლისთვის მოვკვდე.

1957

ნიკოლაძის ძუჩა

ნიკოლაძის არბენას ერთი წუთი ვუნდებით,
ბიჭბუჭები დამდგარან დასველებულ გუნდებით...
მოგონებებს ართავენ, პაწაწინა ქუჩები,
მე არ ვიცი, მათ თვალებს როგორ გადავურჩებით.

ვეფერებით ერთმანეთს, სამად სამი დაიკო,
რომ გუნდები სამთავემ თანასწორად გავიყოთ.
დატორტმანობს ჭადარი, თითქოს მთვრალი კაცია,
არც ჩვენა და არც ჭადარს ტან-ფეხზე არ გვაცვია.

: :

როგორც ჩიტი ღაბუა, დრო წლებს გაუტაცია,
როგორც თოვლის ბაბუა, დგას თეთრი აკაცია,
ახლა მე და ჭადრის ხეს მწვანე კაბა გვაცვია!

1968

* * *

რამ დაუმოკლა დედას საფრენი ფრთები?
რად გაუთეთრდა დედას ლამაზი თმები?

მამას სიცოცხლე რატომ დაუჯდა ძვირად,
სად წაიყვანეს ვით დასაკლავი ხარი?..
დედა რად დარჩა ცოცხალ მეუღლის ქვრივად
და სამუდამოდ რისთვის მოტეხეს მხარი?

დედის თვალებში დარდი ჩამოწვა შავი,
გასვენებაზე თუ წავიდოდა მარტო,
დედა არასდროს არა ყოფილა ავი,
უკვირდა, ასე ღმერთმა დასაჯა რატომ.

თუმცა შიშვლები ჩვენ დავდიოდით იმხანს,
სიცივისაგან გვიციმციმებდა თვალი,
მამას შარვლები დედამ უნახა დიდხანს
და მერე დაჭრა, როგორც იმედი ხვალის.

გზად სუყველანი თვალს გვარიდებდნენ თურმე,
მეურმე საფქვავს არ დაუდებდა ურემს.

ძლივს მივათრევდით, წისქვილში საფქვავს ღამით,
დედას ეხურა მხრებზე ნახმარი შალი
და ჩამოსავარდნ ფოთოლივითა თრთოდა,
რადგან ზამთარი იყო ცივი და მშრალი.

შიში მტრედივით უფართხალებდა გულში,
უსველდებოდა ცრემლით თვალები ნუშის,
და დაღუღული ბეღურებივით სამნი,
შინ ვბრუნდებოდით ჩაბნელებული ქუჩით.

დედა აღებდა შიშით ჩარაზულ კარებს
და გვიღიმოდა შიშნეულად და მწარედ,
მერე სინჯავდა ოთახის ყველა კუნჭულს,
ჩვენ ვერ ვბედავდით გაცინებას და ჩურჩულს.

საკუთარ ჩრდილსაც დედა უცქერდა ქეშად,
შეიხედავდა ჩვენი საწოლის ქვეშაც
და, მორჩებოდა როცა ოთახის სინჯვას,
დაღლილი ხელით დედა იწერდა პირჯვარს:

— ღმერთო! მიცოცხლე ორი პატარა მტრედი!.. —
ჩვენ მაშინ სევდას ვერა ვხვდებოდით დედის...
რად დაუმოკლდა დედას საფრენი ფრთები,
რად გაუთეთრდა დედას ლამაზი თმები?..

1958

* * *

უშენოდ სკა ვარ ცარიელი,
უსარგებლო და უნაყოფო,
უშენოდ ბაღი ვარ ცარიელი,
ღმერთმა უშენოდ ნუ მამყოფოს!

უშენოდ სიბერის ყავლი მოდის,
უშენოდ ჩემთვის დღე არ დღეობს,
უშენოდ ვაზი ვარ ყვავილობის,
სადა ხარ, ჩემო მებაღეო!

1962

* * *

ჩემი სიცოცხლე ჩუმი და მკრთალი
პატარა ღელედ მოწანწკარებდა,
მოხვედი ჩემთან მწყურვალი მგზავრი
და შესდექ ჩემი გულის კარებთან.
და როგორც ხელზე გაზრდილ ბოჩოლას
ყელზე შემაბი ჭრელი ბაწარი,

გულმა იმგვარად დაიწყო ჩქროლა,
სიტყვის ამოთქმაც ვერ მოვასწარი.
მინდა, მარწიო, როგორც თავთავი,
მაკმარო კენტად ყოფნა აქამდე
და, როგორც ღელის სიცოცხლე ზღვაში,
ჩემი სიცოცხლე შენში გათავდეს.

1962

* * *

მო, სიყვარული
ჭალად ავტეხოთ,
შიგ ვერ გავიგნოთ
თავი და ბოლო...

ჩემი გულისკენ
გზა საცალფეხო
ქვეყნად შენ ერთმა
იცოდე მხოლოდ.

1962

შენი სახლი

შენი სახლი ცარიელი,
ცივი ცის დასალიერი,
ტვერის ბაღი
ერთი ციდა,
მზე რომ არ ჩანს
არასოდეს,
როგორც არ ჩანს
ღმერთი ციდან.

შენი ერთი გაღიმება,
დარდის ფიქრად გაღვივება.
პაპიროსის
მუქი კვამლი,
წასულა და დაკარგულა,
ვით ნამქერში
კურდღლის კვალი...

1959

უკვე წასულად ჩათვალო უნდა

როცა ქუჩაში დიდთოვლობისას
აღარ გესვრიან ბიჭები გუნდას,
შენ დრო და ჟამი ყვავილობისა
უკვე წასულად ჩათვალო უნდა.

საქართველოში მოფრენა მერცხლის
როცა სულერთი იქნება შენთვის,
თუ თვალხმიერად არავის შეტრფი
გაგხუნებია სიზმრები თეთრი.

ხიდან ჩამოშლას ჩიტის ბუდისას
როდესაც ვეღარ მიიტან გულთან,
შენ სიმღერები სიჭაბუკისა
უკვე წასულად ჩათვალო უნდა!

1968

რადგან სახლში მყავს

გარეთ სიცხეა თუ ზამთარია,
მთვარე ძველია თუ ახალია,
ირგვლივ სიჩუმე თუ ხარხარია,
ჩემთვის სულ ერთია, რა ხანია!

გულში უჩვეულო ხმაურია,
არ ვარ სხვა სიმღერის მონატრული,
რადგან, სახლში მყავს თამუნია,
ჩემი პაწაწინა მოლაღური!

დავთმე ველ-მინდორი გადახნული,
მინდვრის ყვავილები — არნახული,
რადგან სახლში მყავს თამუნია,
ჩემი საკუთარი გაზაფხული!

1968

თუკი კაცივით კვდება ფუტკარი...

ცამ მოიხადა სიბერის ყავლი
და სიმღერები მიწას მიარღვევს,
ბაღში თაფლის სკა ფუტკრებად ჰყვავის
და შორით სკა ჰგავს ციხე-სიმაგრეს.

მზისგან დათაფლულ ქედების ძუძუს
ფუტკრები სწოვდნენ დედის რძესავით,
ვუსმენდი დედა-ბუნების გუგუნს
და სკების ფუსფუსს თვალით ვმწყემსავდი.

უცებ აფრინდა სკიდან ფუტკარი
და წამოვიდა ჩემკენ კისრულით,
გულზე უეცრად შუბი დამარტყა,
ალბათ, ვეგონე სამტროდ მისული

და სკის კარებთან მიწვა ამაყად,
ვით მეცხოვნე გულდაისრული.

ამ პაწაწინა ფუტკრის ამბავმა
მე გამახსენა მამა-პაპანი,
ჩემი სამშობლოც ფუტკრის სკას ჰგავდა,
ჰქონდა ულევი თაფლის მადანი.

დე, ფუტკარივით იყოს პოეტიც,
შუბად ლესავდეს მებრძოლ სტრიქონებს,
თავის ქვეყნისთვის თაფლს აგროვებდეს,
იყოს მგოსანიც და მეცხოვნეც.

1967

ოთარ ჭილაძე

* * *

მინდორში ვდგავარ და ქორებს ვუსტვენ,
მხოლოდ იმიტომ რომ დაგენახო,
ზედაზნის ნისლო, ნაზო და სუსტო,
მდინარის თვალო, ტყევ და ვენახო.

მთაზე უბელო ცხენს მივაჭენებ,
რომ მოგაწონო თავი, ბებერო,
და თუ არ ვიცი, თვითონ მაჩვენე,
როგორ შეგხედო და მოგეფერო.

მე იქნებ, ვჩქარობ და სიჩქარეში,
რაც დღეს მეკუთვნის, იმასაც ვკარგავ,
მაგრამ მე ვიცი, რომ თქვენს გარეშე
ვერასდროს ველარ ვიქნები კარგად.

1966

* * *

როდესაც ასე ახლოა გრემი,
მეც მინდა ვიყო უფრო მაღალი,
რომ დაინახონ ჩემში ან ჩემით
რაღაც ახალი, სულ მთლად ახალი.

და თუმცა გრემი არის ბებერი,
არის დაღლილი და დანგრეული,
მე მაინც მამღვრევს ეს სექტემბერი,
როგორც საყვარელ ქალის სხეული.

მე მაინც კეთილ ფიქრებით მავსებს
სახეგაპობილ კედლის ალმური
და უკვე ვიცი, რად მიყვარს ასე
ვაზიც, ჩუქურთმაც და სალამურიც.

მე ყველაფერი მომწონს და მიყვარს
და ყველაფერი მგონია ჩემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი,
როდესაც ასე ახლოა გრემი!

1969

მონღოლების ბანაკი

(ესკიზი)

კაცი არ დარჩა ამბის მომყოლი...
მზეზე ბრჭყვიალებს მდინარის ზურგი
და ჩემი სისხლით გავსებულ თუნგებს
მიაჟღრიალებს ქვებზე მონღოლი.

თუნგის ჟღრიალით დამფრთხალი ფარა
გადამწვარ ველზე მიდის კანკალით
და შესევია მონღოლის ბანაკს
მტვერი, ყაყანი და ბუზანკალი.

* *

მუქი, ძალიან მუქი ჩრდილები
მტვრითა და სიცხით დაღლილ
მინდვრებზე,
ცით აღტაცებულ ტაძრის გარშემო
და გარინდებულ მდინარის გასწვრივ.

ასე მგონია: გადავდგამ ნაბიჯს,
და წავაწყდები უჩინარ სიმებს,
და მთელ ქვეყანას მოეფინება
იმ უჩინარი სიმების ხმები.

* *

სილაზე იწვა ქალი და კვალი,
ცოცხალი კვალი ქალიდან ზღვამდე.
ყველაფრის ნებას აძლევდნენ თვალებს
მეზღვაურები, რომლებიც სვამდნენ.

მზე ჩადიოდა მრგვალი და სრული
და ბინდში კრთოდა თეთრი ქალაქი,
გაბრუებული ქაფურის სუნით
და თევზის სუნით და ლაპარაკით.

მეზღვაურები ისხდნენ და სვამდნენ,
შეჩვეულები ყოველგვარ ავდარს.
და სველი კვალი ქალიდან ზღვამდე
ოცნებებს, სიზმრებს და ზღაპრებს ჰგავდა.

ხოლო ზღაპრები იწევდნენ მაღლა
და საბოლოოდ ქრებოდნენ ცაში,
ქრებოდნენ სხვა დროს და არა ახლა,
ახლა არავის არ სურდა ცაში.

ის იწვა როგორც სინათლის ზოლი
და ერთდროულად ყველა ჩემობდა.
და მიმავალი გემების ბოლი
უბრუნდებოდა ქალაქს ზემოდან.

მზე ჩადიოდა მრგვალი და სრული
და ბინდში კრთოდა თეთრი ქალაქი,
გაბრუებული ქაფურის სუნით
და თევზის სუნით და ლაპარაკით.

1950

რთველი

გამხმარ ატამზე რქით გამოაბეს
თეთრი ციკანი...
ცხენი ლოკავდა კვიცის თეძოებს...
ჭიგოს ესროდნენ კაკლებს ბავშვები...
ხოლო ყველაფრის ბატონ-პატრონი —
ეკალბარდივით ჯიუტი გლეხი —
თან ვენახისკენ იყურებოდა,
თან ღიღინებდა.

მაშინ კი მართლა დაფრთხა ვენახი,
თუმცა მტანჯველი ვნებით შეძრული.
მზად იყო კაცის ყველა სურვილის
აღსასრულებლად.

და აი, ახლა
მარტოა იგი და ჭრიჭინებიც
ადასტურებენ მის სიმარტოვეს:
თავბრუდახვეულს და გასიებულს
სიამოვნების და სიმწრის ცრემლით.

1967

ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით

ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით,
უცახცახებდა პატარა მხრები.
გარეთ კი თვითონ ბუნების ნებით,
თავგანწირულად დნებოდა თოვლი.

ჩნდებოდა მიწა, სველი და შავი,
როგორც დაწრეტილ მდინარის ფსკერი,
და ხეებს, თუმცა არ ედოთ ფერი,
მაინც ამაყად ეჭირათ თავი.

ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით,
ხოლო მუსიკა ქარივით ლაღი
ჭაღს აწყდებოდა და დიდი ჭაღიც
თრთოდა მუსიკის უცნაურ თრთოლვით

ირგვლივ უძრავად ისხდნენ სტუმრები
და სტუმრებისთვის უხილავ ცაში
მსუბუქი ფრთებით მიჰქროდა ბავშვი
და სხეულს ვეღარ გრძნობდა სრულებით.

1965

შემოდგომის პირველი დღე

დიდი ხნის მერე: დღისით ან ღამით,
სულ ერთი წუთით, ან ერთი წამით,
გაგვახსენდება მთელი სიცხადით,
რასაც ვაქებდით ანდა ვკიცხავდით.
წამოგვეწევა ჩამქრალ კოცონთან,
რაც არ მოგვწონდა ანდა მოგვწონდა,

რასაც ვეძებდით ანდა ვკარგავდით
და რასაც ვგავდით ანდა არ ვგავდით.
მე მეშინია იმ ერთი წამის,
იმ ერთი წვეთი თაფლის თუ შხამის,
მაგრამ ცხოვრება, შლეგიც და მშვიდიც,
ჯერ ისევ მიდის, მიდის და მიდის.

1968

ფედერიკო გარსია ლორკა

გზიდან გადუხვევს მაღალი ბოშა,
ცხენს გამოხსნის და მოიფხანს კეფას.
ჭრიალებს ღერძი. ძაღლები ყეფენ
და შორს გრანადის სამრეკლო მოჩანს.

რა საყვარელი ყოფილა, თურმე,
მდინარის პირას პატარა სერი.
მდინარის პირას ისვენებს სერი
და აჩერებენ ბოშები ურმებს.

და ხელს იჩრდილებს ხესთან ირენე —
(ვიღაც მხედარი ღიღინებს მთაში),
ფორთოხალს ჭამს და იცინის ბავშვი
და ყვირის: ირენე... ირენე...

მდინარე არის მკრთალი და ცივი,
მკრთალი და ცივი და სულ მთლად ღია.
და როგორც მიზანს ამცდარი ტყვია,
მინდვრების ქარი ყურებში წივის.

1957

გაზაფხულის პირველი დღე

რაღაცა ჰქონდა იმ ქარს და წვიმას,
ჯერ განუცდელი და იდუმალი.
მთვარეც მაძლევდა რაღაცის იმედს,
მორიდებული, როგორც სტუმარი.

მართლაც კეთილი აღმოჩნდა ბოლო
და მოვაღწიე დანიშნულ ადგილს,
თუმცა ხელებზე ცეცხლის და ბოლის
და ფერფლის მძაფრი სურნელი ამდის.

და ახლა, როცა ახლოა უკვე
სახლიც და ყველა ნაცნობი სახეც,
გადაჩვეული სითბო და შუქი
ნატკენ თვალივით ნელ-ნელა მახელს.

და რასაც ვხედავ, პირველად ვხედავ,
არ არსებობდა თითქოს აქამდე
არც გზა, რომელიც გვირაბში შედის,
არც ხე, რომელიც უნდა აყვავდეს.

უნდა აყვავდეს, რომ ერთხელ კიდევ
გათბეს, გაბრუვდეს და გათამამდეს,
და დაუბრუნოს ხალისი ჩიტებს,
ვიდრე ბუნება დათვლის სამამდე.

მე კი დავრწმუნდი, რომ შენი ხელი
ჩემს დაღლილ ხელზე შეცდომით იდო,
შეცდომით იდო და ნელა-ნელა
თავის შეცდომას ხვდებოდა თვითონ.

მეც თვითონ მივხვდი, მივხვდი და ვყვები,
რომ დღევანდელი დასრულდეს დღესვე,
ანდა რა უნდა მოთხოვო ვნებებს,
რომლებმაც ყველა სასმისი შესვეს.

შესვეს და დათვრნენ და კვლავ ჰგონიათ,
რომ პირვანდელი ძალით ღელავენ.
მე კი ვერაფრით ვერ მიპოვნია
სიტყვა, რომელიც ახსნის ყველაფერს.

1968

* * *

თავაუღებლად წერდა და წერდა,
თითქოს რაღაცის მოსწრება სურდა
და უკვე აღარ მიჰქონდა გულთან
გარესამყაროს მეხი და ელდა.

ვით დამალული სენი ან სევდა
ტანჯავდა რაღაც და აჩქარებდა.
ჩრდილი ძაღლივით იწვა კარებთან,
ის კი ჯიუტად წერდა და წერდა.

და, როგორც მტვერი გარდასულ წელთა,
ეფინებოდა ნაწერი ოთახს.
გარეთ ციოდა და ქარი ქროდა,
ის კი ჯიუტად წერდა და წერდა.

1967

* * *

რაც დასახარჯი არსებობს — ვხარჯავ.
რაც სანახავი არსებობს — ვნახე.
და, სანამ ქარი მისინჯავს მაჯას,
მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.

ვერ დავარბიე ჩემში ველური,
კანდაშაშრული მზით და მარილით,
ვერ მივაჭედე სულს სახელური,
რომ გამოაღოს ყველამ კარივით.

ყველა ზეიმზე დავიგვიანე,
ყველაზე ადრე მოსულმა დღემდე,
არც მდიდარი ვარ და არც ჭკვიანი,
მაინც ვერავინ ვერ ცხოვრობს ჩემდენს.

მე ყველა სიტყვის წარმოთქმა მტანჯავს,
თვალს ყოველ დილით ტკივილით ვახელ
და სანამ ქარი მისინჯავს მაჯას,
მიშვერილი მაქვს წვიმისთვის სახე.

1966

* * *

ყველა ტკივილი იძინებს ბოლოს,
მაგრამ მე მაინც მინდოდა მეთქვა,
რომ დღემდე შენით ვცხოვრობდი მხოლოდ,
შენ იყავ სუნთქვაც და გულის ფეთქვაც.

გადიან წლები და ფიქრით დაღლილს
გადაუხდელი მრჩება ვალები
და მეკარგება მშობლების სახლი:
აუტანელი და საყვარელი.

მაგრამ ჯერ უნდა მოვიდეს თოვლი,
და გადმოფინოს თეთრი აფრები,
და შენი ნაზი სხეულის თრთოლვით
ათრთოლდეს თოვლიც და ყველაფერი.

მე ვაღებ სარკმელს და ჭადრებს ვითვლი,
ჭადრებს გაქცევა შეეძლოთ თითქოს.
და კვლავ მზადა ვარ უარეს დღისთვის,
თუმცა უკეთეს დღეებზე ვფიქრობ.

1961

თ ო ვ ლ ი

ჩვეულებრივად ვხვდებოდით ღამეს,
ჩვეულებრივად ვხვდებოდით დილას:
სტუმრებს ღიმილით ვაწვდიდით სკამებს,
უცხოსთან თავი გვეჭირა ფრთხილად.

და სწორედ ამ დროს მოვიდა იგი,
და მოეფინა გარინდულ ქუჩებს,
და გაუქმებულ კარების იქით
ახალი სივრცე გაიხსნა უცებ.

და თოვლის ირგვლივ შეგროვდა ხალხი,
და ყველას თოვლი ეკერა პირზე,
და თოვლს, სიმღერით ისედაც დაღლილს,
თხოვდნენ ემღერა ისევ და ისევ.

ის კი მღეროდა თხოვნის გარეშე,
კეთილი სული ცის და მფრინავთა.
და გაოცებულ ხალხის თვალებში
თავგანწირული სიმი ბრწყინავდა.

მე ვუყურებდი დაღლილ მეგობარს,
ხმა კი მესმოდა უფრო ზემოდან.
მე ვუყურებდი და სულ მეგონა,
რომ გადნებოდა და გაქრებოდა.

მართლაც მოვიდა იანვრის დილა,
სულ სხვა ფიქრებით და საქმით სავსე,
და თვითმფრინავის მწუხარე ჩრდილმა
გადაიარა ქალაქის თავზე.

1968

გამოთხოვება

რა მოხდა, თუკი ვეღარ შევხვდებით.
ამქვეყნად რაც კი ხდება შემთხვევით,—
მარადიული ის არის მხოლოდ
და ასეთია ყოველთვის ბოლო
ნამდვილი გრძნობის, განცდის და ვნების
და მეც ამ დიდი კანონის ნებით
მიყვარხარ!
მაგრამ ამ სიტყვას ახლა
იაფი სცენის სურნელიც ახლავს,
რაც არ უხდება და არც ჭირდება,
ამიტომ, ალბათ, გამიჭირდება
მისი წარმოთქმა, მაგრამ გახსოვდეს,
მაგრამ გჯეროდეს, რომ არასოდეს
არ დაგავიწყებ ჩემს ხმას და სახელს,
შენგან მრავალი ტკივილის მნახველს.
და გზა, რომელიც გაიყო ორად
და უკვე იქცა ცოდვად და ჭორად,
იყოს დღეგრძელი, რომ შენი წილი
თავისი ღორღით, მტვრითა და ჩრდილით
ტანჯვის გზად იქცეს და უცხო თვალი:
ყრმის თუ მოხუცის, კაცის თუ ქალის,
გჩედავდეს მხოლოდ ამ გზაზე მავალს,
რადგან დღეიდან მე შენი ხმა ვარ,
რადგან მე უკვე ვიყავი ღმერთი
და მოვიგონე ეს გრძნობა ჩემთვის,
ჩემს დასაცავად და დასაღუპად.
და რისხვა, გულმა რაც დააგუბა,
რაც გულს აქამდე ძალით ეკავა,
წვრილმან გრძნობების წასალეკავად
გასასვლელს ეძებს, რომ დღეის იქით
შენს ნაკვალევზე დიოდეს იგი
და უსასრულოდ, დღისით თუ ღამით,
ან თუნდაც მხოლოდ სულ ერთი წამით
იქცეს კოშმარად ან მოჩვენებად,
დაგიფრთხოს ძილი და მოსვენება,
რომ ფრთებშეკვეცილ ფრინველის მსგავსად
აღარ შეგეძლოს გაფრენა არსად.
მერე რა მოხდა, თუ უცხო თვალი,
ჩვენი უცნაურ სეირით მთვრალი,
ბაგეს გადასცემს დამცინავ ღიმილს
და იმ ღიმილის უხეში ქიმი
გაგვივლის გულში...
შენ კი გახსოვდეს,
რომ ვერ მიაგნებ ხსნას ვერასოდეს,
რომ მე ვარ ჯვარიც და ეშაფოტიც
და ჩემი სულის ყველა ნაფოტი
იმ კოცონისთვის გროვდება ახლა,
რომელზეც შენი სურვილით ახვალ.
მაგრამ იქამდე შენი სახელი,
ვით ჩემი მტრების თანამზრახველი,
ან ვით ურჩხული: ცხრა ხმით, ცხრა ხელით
დამახრჩობს, თუკი ამოძახებას
ვერ შევძლებ უცებ.

1966

თაკო და ზაზა

ჩემი ცხოვრება აეწყო ასე:
ბევრი სურვილი გაქრა თავისით,
ფრთები კი შემრჩა და თითო ფრთაზე
თითო უმწეო ბარტყი დავისვი:

თაკო და ზაზა!
გოგო და ბიჭი!
ხატი და ფიცი!
ხარკი და წვლილი!
თვითონ ბუნების მდიდარი ნიჭით
და სიყვარულით შექმნილი წყვილი.

თაკო გოგოა
და უკვე იცის,
როგორ მიაპყროს ეშმაკი თვალი
უბრალო საგნის ბრწყინვას თუ ციმციმს
და შიგ ჩამალულ შაქარს თუ მარილს.

ზაზა ბიჭია
და მის თვალებში,
ყოველ საღამოს და ყოველ დილით,
მიიზლაზნება, როგორც კამეჩი,
ჯერ გაურკვეველ სურვილის ჩრდილი.

მე არ მეგონა კვალს თუ ვტოვებდი,
არც ის მეგონა თუ ვასხივებდი,
ჩემო სხივებო, ახლა ყოველთვის
და ყველგან გქონდეთ ჩემი იმედი.

მიწა, რომელზეც უნდა იაროთ,
დედაა ჩვენი ამაყი ჯიშის
და იგი თუმცა მალავს იარებს,
ხანდახან მაინც ეხსნება ძილში.

დედის სევდაა ეს ლურჯი ხავსი,
ძუძუებია ის მთები დედის
და ძუძუები რძითაა სავსე,
რძე კი ძარღვებში ფიცივით შედის.

თაკო, ძვირფასო!
შენც დედის მსგავსად
დედად იქცევი და შენი მკერდიც
ატორტმანდება, როგორც მტევანი
და შენი მკერდის დამაწყევარი
განიგმირება ზაზას მახვილით.

თაკო, ძვირფასო!
ღმერთის წყალობით
შენც დაქალდები და გაფრინდები
და როგორც ტაძრის თაღი გალობით
შენც გაივსები მზით და ჩიტებით.

შენც განათდები...
ძალიან მალე
დატრიალდება შენი მორევიც
და მოგაბჯენენ მხურვალე თვალებს
სტადიონები და რესტორნები.

გზა, დაწყებული წინაპრის ქოხთან,
დღეს შენი გზაა და შენთვის მიდის.
შენ არ გეხება, რაც ადრე მოხდა:
დრო მდინარეა, ქალი კი ხიდი.

და შენც გავალებს შენი ქალობა,
რომ შენს ქვეყანას გაუთბო ფიქრი
და შენი დიდი გულის წყალობით
გადაიყვანო მდინარის იქით.

მე კიდევ ბევრი მქონდა სათქმელი,
მაგრამ დღეები უცებ გადიან
და ჩემი სული, როგორც სანთელი,
საკუთარ სხეულს წვავს და ანთია.

თაკოს კი ძინავს და რაც ვუთხარი,
ის ჩაყოლია სიზმარშიც, კეთილს.
თითქოს ყვავილზე ფეთქავს ფუტკარი,
ანდა მიწაზე ციმციმებს წვეთი.

ხოლო ბრიალა ჭადრის რტოებში
ჩიტივით ცხოვრობს გულის ძახილი
და ვინც დაარღვევს ამ მყუდროებას,
განიგმირება ზაზას მახვილით.

ზაზა ბიჭია
და მის თვალებში,
ყოველ საღამოს და ყოველ დილით,
მიიზლაზნება, როგორც კამეჩი,
ჯერ გაურკვეველ სურვილის ჩრდილი.

და ჯერ ხისაა მისი მახვილიც,
თუმცა ზეპირად იცის წარსული:
მის წინ გადენა სპარსმა ნახირი
და მის წინ იდგა თავგაპარსული
და ცხენზე რწევით მთვრალი თათარი
და პაპის ძველთაძველი ღადარიც
მის წინ ჩააქრო მონღოლმა შარდით
და აიფარა თვალებზე ჩადრი
შეშინებულმა დედამ,
შემთხვევით.

ზაზამაც ბევრჯერ იძია შური,
ბევრი თათარი ათრია ყურით,
ბევრი ყორანი ჩაეშვა ხევში,
გაანჩხლებული სისხლით და ლეშით.

და რაკი ერთხელ ჰქონდა ნაკისრი,
გადაიტანა ბევრი ანისი,
ბევრი დმანისი,
ბევრი კრწანისი,
ბევრი ქელეხი და პარაკლისი.

თვითონაც ბევრჯერ დახუჭა თვალი,
ბევრჯერ დაიდგა მკერდზე სანთელი,
მაგრამ საფლავშიც ტანჯავდა ვალი
გადაუხდელი!
გადასახდელი!

და ერთხელ კიდევ დამფრთხალი ბედი
მიშლიგინებდა ბნელში ტახივით
და მგლოვიარე დებსა და დედებს
ხალხში დაჰქონდათ მისი მახვილი.

ის კი უძრავად იწვა,
ძვირფასი...

ტანშეფუთვნილი მშობელი მიწით,
უძრავად იწვა,
მაგრამ სიბრაზე
და უკვე სისხლში გამჯდარი ფიცი
არ ანებებდა დიდი ხნით სიკვდილს.

და ისევ ქუხდა მისი სახელი,
ბევრი მდინარის გადამლახველი,
ბევრჯერ დამწვარი და დამარხული,
დაგლეჯილ დროშის და ხმლის მსახური.

მხოლოდ იმიტომ რომ გაეხარა
ძლივს მოპოვებულ მტვრით და ტალახით,
ის ღამით ფერხთით ეჯდა ქვეყანას
და წიგნებს წერდა ქვეყნის კარნახით.

ჩემო ქვეყანავ!
მაინც მოვედით,
მაინც გადავრჩით ნაადრევ წერტილს
და ვსუნთქავთ ისევ,
რადგან ყოველთვის
იყავი ჩემი და არა ღმერთის.

ჩემო ქვეყანავ!
შენს ქვას და ყვავილს
კვებავდა სისხლი ცეცხლივით ცხელი
და ჩემი ზაზას გულიც და თავიც
მომირთმევია ორივე ხელით.

მექნება რამე თუ არ მექნება
მაინც გაგიზრდი
პურით ან წიგნით.
უკვე აუღეს შენმა ეკლებმა
სისხლის ჭაშნიკი, —
შენია იგი.

მხოლოდ შენია!
და მის თვალებში
ყოველ საღამოს და ყოველ დილით
მიიზლაზნება, როგორც კამეჩი,
ჯერ გაურკვეველ სურვილის ჩრდილი.

1968



ხუტა გაგუა

ტრამალის სევდა

არსად ბუჩქებიც... და უცებ კენტი
ხე აღიმართა თვალწინ — ზვიადი,
ამაღლებული თავისი ბედის
ერთადერთობით და სიდიადით.

თავაწეული იდგა მეფურად,
ცისკრის ნათელი სახეში სცემდა
და მისთვის ძლიერ თავისებურად
ჟღერდა ტრამალის უსაზღვრო სევდა.

მზით კმაყოფილი და ჰორიზონტით,
ის დასცქეროდა ყველას ზემოდან,
მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცოდა,
თუ ქვეყანაზე ტყე არსებობდა.

1962

როგორც თანხმობა

კვლავ განთიადის გრილი ხანძარი,
როგორც ბუნების ხმა იდუმალი,
ბედნიერებას ისე მაძალებს,
თითქოს ოდესმე მეთქვას უარი.

ტყე აბოლებულ შუქში ირწევა
და მერე თვალწინ მწვანდება ჩქარა.
ბედნიერება ორ ნაბიჯზეა,
რომ დაფრთხეს, ხელის განძრევაც კმარა.

მაგრამ განძრევას მე არც კი ვცდილობ,
ვდგავარ, თანდათან იზრდება სივრცე
და მოლზე — ჩემი გამხდარი ჩრდილი
ეცემა მთელი თავისი სიგრძით.

შეფოთლილ ტოტზე ჯდება ფრინველი,
გაოცებული და ოდნავ სველი
და ისე უსტვენს, თითქოს პირველად
დღეს მიანიჭეს უფლება სტვენის,

ან, თითქოს, სივრცე არ აძლევს საშველს
და ლაჟვარდებში ქროლვა გიჟური,
და, ჰა, მსუბუქად აიჭრა ცაში
ვით სული, სხეულს გამოთიშული.

ო, სივრცის გრძნობა და გაქროლება
თავბრუდამხვევი და საკვირველი!..

მგონია, ერთვის უსაზღვროებას
ფიქრები ჩემი, როგორც ფრინველი.

თითქოს ხე ვიყო, ხელებგაშლილი,
ამღერებული ქარში ანაზდად, —
ვდგავარ მიწაზე, როგორც კავშირი,
როგორც თანხმობა მთელ ქვეყანასთან.

1962

მ ე ე ზ ო ვ ე

ადრეა. ქალაქს ჯერ კიდევ სძინავს
და ვიდრე გარეთ გამოხვალ წყნარად,
„ვინ იცის, იქნებ ძალიან ცივა“, —
გაიფიქრებ და გადაჰკრავ არაყს.

ბნელა. მანქანის ფარები ჰკვეთენ
სიბნელეს — მიდის მგზავრი პირველი
და მოსახვევთან ასკდება კედელს
ჩრდილი — ვეება შავი ფრინველი.

ბნელი უბანი თვალწინ ცოცხლდება —
ნაძვს ეტმასნება პატარა ნაძვი
და როგორც დიდი, დიდი ცოცხები,
აპრიალებენ ფარები გამზირს.

შენ კარგად გესმის სიწმინდის ყადრი
და ამიტომაც დაღლა არ იცი
და ცოცხით, თითქოს ფუნჯია მხატვრის,
შენ სისუფთავეს ხატავ ხალისით.

როს დატოვებენ ბუდეს მერცხლები,
კვლავ დაადგები გზას ფეხაკრეფით,
ქუჩის ბოლოში შუქს შეერწყმები
და ამომავალ მზეში გაქრები.

1968

ზაფხულის ეტიუდი

ტყე დუმს,
    დუმს ველი,
        ხმას არ იღებს სოფელი — ცხელა.
სადღაც მამალმა იყივლა და მიყუჩდა უცებ.
მხოლოდ ფერდობზე მადიანად ბალახობს ცხენი
და იგერიებს
        უხალისოდ
            დროდადრო
                ბუზებს.

ცხელა.
სიცხისგან განაბულა ნიავი ფრთხილი,
თვლემა ერევათ ორღობეში მდგარ აკაციებს.
ცაცხვმა
მდელოზე
ნაბადივით დაფინა ჩრდილი,
თითქოს სურს,
იქვე წამოგორდეს დაღლილ კაცივით.

და იმ ცაცხვის ჩრდილს გარე უვლის ზაფხული ცხელი,
ვით საიდუმლოს,
ძირს დაფენილს
უჩინარ ხელით

1962

ბ ი ლ ი კ ი

ის მინდორ-მინდორ,
ხევ-ხევ,
ტყე-ველად
მირბის და ფეხქვეშ თელავს ბალახებს,
სოფლის შუკაში შეუმჩნეველად
ზედ გადევლება მაღალ ალაგეს.

და მირბის ისევ და მირბის ისევ,
მიაძუნძულებს კვალდაკვალ მუხებს.
ტრიალ მინდორზე,
კენტად მდგარ ხისკენ,
ზოგჯერ დაღლილი მგზავრივით უხვევს.

ის ყველგან გვხვდება
და იმედს გვმატებს,
ჩაირბენს დაღმართს, გადაჭრის ახოს,
თუ ჩაიკარგა ბალახში სადმე
და გაწყდა, იქვე გაჩნდება ახლოს.

უახლოვდება უცნობ ადგილებს —
ახალი ეზო, ახალი სახლი!
მასპინძელს უხმოდ კარს მიადგება
ისე, რომ თავსაც არ ასწევს ძაღლი.

არ შეჩერდება ეზოში არსად,
ცვრიან ბალახის იგრძნობს სირბილეს,
ვერ მოახერხებს კიბეზე ასვლას —
გამობრუნდება უკან სირბილით.

არც დასაწყისი, არც ბოლო უჩანს,
სერავს ჭიუხებს, მინდვრებს და ველებს...
შეუერთდება ქალაქის ქუჩას —
ფართო მოედნად იქცევა მერე.

... სად დასრულდება ჩემი შარაგზა?
სად შევისვენებ მგზავრი დაღლილი?
ვხედავ —
ბილიკი ტყესთან
ანაზდად
უხვევს
და გარბის დამფრთხალ ძაღლივით.

1969

ემზარ კვიტაიშვილი

დ ღ ე ს

დახვეულია ცაში გომბორი,
მისდევს მანქანა ნიავის სისინს,
თათებზე უდევს თავი ბომბორას,
ქორი ვერ დაფრენს იმისი შიშით.

სტვენს სალამური გულამოსკვნილი,
არ დააცხრება ფარას აფთარი,
ყოველ ნაბიჯზე იწვის ასკილი,
ასიათასი დგას კელაპტარი...

ჩასაფრებული აქ მყავდა მტერი
და დათვლილ ტყვიებს გულში მახლიდა,
დღეს შენი ძველი სხეული მღერის,
რა ლამაზი ხარ ამ სიმაღლიდან...

1968

* * *

მშობელი მთები მიბრუნებს ძახილს,
დგება წარსული სისხლად, ყვირილად...
შენი მკერდია და შენი სახე —
ამოხეთქილი ათას გვირილად.

გვირგვინის შუქი გეცემა ნეტარს,
შენს ამაყ სულში ვის ჩავახედებ,
შეახე ტერფი...
სიზმარში გხედავს
შენი მესხეთი და ჯავახეთი.

დიდხანს გელოდით როკვით, ლაღობით,
საცაა უნდა იყვიროს ჯიშმა,
ჩაკიდული ხარ ოქროს ნაყოფი,
უკვე წრიალებ,
შენ უნდა იშვა.

რბილი საწოლი გიგია ხავსის,
მდინარეებში გძინავს ქვირითად,
სად ვნახოთ შენი ტოლი და მსგავსი,
მზე იღიმება შენი პირითა...

არ გავაციებთ წინაპრის კერას,
ამ მიწას ვერვინ გადაგვაშოროს,
კვლავაც შეგვრჩება სახე და ფერი
არ დაიშლება გორი ლაშარის.

მაღალი ზეცის იმსხვრევა ბროლი,
დრო არი ცეცხლად გამონათების,
შენ მოლანდება იყავი მხოლოდ,
შენ არ ყოფილხარ,
შენ იბადები.

1968

ჩემი გოგონა

მიდის მდინარე,
იცვლება დღე,
იცვლება რიცხვი,
ნელა იცლება თხელი თასი,
სინათლით სავსე...
დილით პატარა ანგელოზი გალობას
იწყებს,
გაცინებული შემოჯდება
საწოლის თავზე.

მოთმენას მაჩვევს
უცნაური გალობა მისი
და აღარც მახსოვს,
თუ ამქვეყნად ვინმეს ვემდური...
ზოგჯერ პატარა ანგელოზმა
მოწყენა იცის, —
დახრილ თვალებში შიში მოჩანს
და საყვედური.

1968

* * *

ვისიც რა მმართებს, აქეთ მოგროვდით,
ყველაფერს ვიხდი მხოლოდ ოქროთი.

საჩემო გზები გადავიკეტე,
რომ გავისტუმრო ყველა სიკეთე.

სამარის ბჭემდე მათ სახეს ვზიდავ,
ვინც წყალი მასვა, ვინც სიმწრით
მზრდიდა.

ვინც მჭადს მიცხობდა ბებრულ ხელებით,
ვინც სისხლიანი და ყრუ ხველებით

ღამეში ზამთრის კედლებს ბზარავდა,
ვინც დაილია, დაპატარავდა...

მშვიდობა ოფლით დაღარულ ხელებს,
უკაცო სახლებს, დაწრეტილ ღელეს.

მე მახსოვს მისი ყოველი ჭავლი,
მშვიდობა გამვლელს, შემთხვევით
ჩავლილს.

მადლობა, ვინც აქ დარგო ცაცხვები,
მადლობა ყანას, ქარში წაწვენილს,

სახურავიდან დადენილ წვიმას,
ვისაც წვიმაში ვუცდიდი, იმას...

ნუ დაიზარებთ, აქეთ მოგროვდით,
ყველაფერს ვიხდი მხოლოდ ოქროთი.

1970

გ უ რ ი ა

რა გასაოცრად ჰყვავიან ბლები,
ღელემ წაიღო ყინულის ძვლები,
ლურჯად და თეთრად კამკამებს ბინდი,
ნეტა საფლავში რა გულით ძლებენ.

თვალს ვერ გაშორებთ, ცის ბინადარნო,
ცაზე აგანთოთ თქვენ ზესთა ზესმა,
რად აწრიალდით, რად შეკრთით ასე —
იქნება ჩემი ძახილი გესმათ?!

თვალშეუდგამი მაწევს სიშორე,
სიშორე მაწევს მკერდზე და მხუთავს,
თქვენი მორჩილი და მოშიშარი,
თქვენი ერთგული დავრჩები მუდამ...

ქვებზე ნახეხი და დალეწილი
ღელემ წაიღო ყინულის ძვლები...
გაჩერებული ფიფქების მსგავსად,
სამოთხის ფერით ჰყვავიან ბლები.

და მინდა, დიდხანს, ძალიან დიდხანს
ამ მიწას ჩემი ლანდი ეხატოს,
სულს შერჩენოდეს ეს სილამაზე,
ეს სიყვარული გადამეხადოს.

1966

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი

ყველაზე მძაფრი სუნი აქვს მიწას,
ნაწვიმარს, დამბალს...
ყველაზე მძაფრი...
ახლა ყველას და ყველაფერს ღვიძავს,
ამაოდ იცდის ქვესკნელის ძაბრი.

ბალახის ღერო სინათლეს ელტვის, —
წყვდიადში უჭირს თვალის გახელა,
ნეტარ სიგრილეს დასვრეტილ ბელტის
ყველაზე მძაფრად გრძნობს ჭიაყელა.

დუმს საოცრება, ჩემთვის ხილული.
მზესავით სავსე,
მზესავით ცხადი
და ალიონზე, მთლად დათრთვილული,
მაცთურად ბრწყინავს ობობას ბადე.

1968

წინ დიდი გზაა...

დრო ვერას გაკლებს,
შენ ისევ შფოთავ,
გხედავს მამული სიკეთის მთესველს.
გახარებს ყველა ახალი ოდა
და ლოცავ ძელქვის მოუღლელ ფესვებს.

იმედი წუთით არ გადაწურო, —
შენი ხმა ესმის გეგუთს და გელათს,
ნამდვილად ესმის,
კაცო კაცურო,
სიყვარულისთვის გაჭრილო ველად.

შენი ხმა,
შენი სიტყვა მახვილი,
ესმის სამშვილდეს და ახალ რუსთავს,
ბევრის ამტანო, ბევრის მნახველო,
დაუნდობელო ორპირთან, ცრუსთან.

შენ კაჟის გული გიფეთქავს მკერდში,
სავსე სიმართლით და ლეგენდებით,
წინ დიდი გზაა,
მგლის მუხლი გერჩის
და კიდევ დიდხანს, დიდხანს ენთები.

1968

ფიცი

მაშინ ეს გული წაიღონ მძევლად,
ვიარო ქვეყნად ძალისძალათი,
მაშინ ჩემს შვილებს მათხოვრად ევლოთ,
თუ გავიფიქრო შენი ღალატი.

ყველაზე დიდი დამატყდეს რისხვა,
ბნელში ვიყო და გზას ვერ ვიგნებდე.
ქვად მექცეს პური,
წყლად მექცეს სისხლი,
თუ დავივიწყო შენი სიკეთე.

არა ვარ ხარბი და საცოდავი,
მიცანი, სულზე სულით მიწნულო,
არ გამითენდეს, თუ მეცოტავო,
თვალი დამთხროდეს, თუ დაგიწუნო.

1968

რეზო ამაშუკელი

„დიდი სამამულო“

ჩვეულებრივად ქრება სინათლე
და მოლოდინი ეუფლება მდუმარე დარბაზს.
თქვენ ახლა ნახავთ
ჩვენი სისხლით ნაწერ სიმართლეს —
კინოფირებზე
ცოცხალივით შენახულ ამბავს!..

წითელი თოვლით
და გვამებით ივსება სული,
გაყინულ ქარში გადახრილი
ქანაობს ბოძი...
— თითქოს გადმოდის ეკრანიდან მხრჩოლავი სუნი
ადამიანის გახრწნილი ხორცის...

და აჩოჩხილი კოშმარები
ჩრდილებად რბიან...
მერე ინთება:
— რიგებს ძრწოლა დაღივით აზის!..
... გამოდის კაცი დარბაზიდან ყველაზე გვიან
და
ყავარჯნებზე დაყრდნობილი მიყვება გამზირს.

1966

* * *

ყივჩაღ მეგობარს —
ოლჟას სულეიმანოვს

შენ მოგყვა ვრცელი ტრამალის სული,
თავაწყვეტილი ხვატი და ქარი
და გახვითქული ულაყის სუნი,
გარუჯულ ღაწვზე — ნახევარმთვარე.

კვლავ შერჩენია საფეთქლებს შენსას
სისხლი, რომელიც გიხმობს და კივის,
მიტოვებული კარვების სევდა
და ვარსკვლავების სინათლე ცივი.

ისევ წივიან ქარში ისრები
და მოყიჟინებს უკან მდევარი,
გამოღადრული ცხელი კისრები,
ხმალი, ავჟანდი და სატევარი.

მზე ჩანდა, როგორც მოჭრილი თავი
დაგორებული და მეწამული,
ვიწროდ გაჭრილი თვალები შავი
და ავარდნილი გზაზე ალმური.

იღებდი ოქროს, პურსა და ღვინოს,
ერეკებოდი კვიცების რემას,
ბევრჯერ იგემა მახვილი შენი
ბაგრატოვანთა საყდარის მტერმა.

დღეს ჩემს მეგობარს და მეინახეს
გდის სიხარულის ცრემლი კრიალა,
მეწინავეთა თეთრ ბაირაღებს
სულში ისევე გააქვთ ბრიალი.

გადიგრუხუნეს საუკუნეთა
წარღვნით,
მუქარით,
ცეცხლით,
მარულით
და დღეს ამ სუფრით ნაკურთხევს ერთად
გვეძახის ძმობა და სიყვარული.

კვლავ შერჩენია საფეთქლებს შენსას
სისხლი, რომელიც გიხმობს და კივის,
მიტოვებული კარვების სევდა
და ვარსკვლავების სინათლე ცივი.

1968

შ რ ო შ ა

ჩარიგებულა და მუშტარს ელის
ტუჩმოხატული დოქების წყება
და თეთრი ჩაფი
გრილი და სველი,
შროშის შარაზე შიშინით შრება...
... ის გზატკეცილი
და ის ქედები
სამარადისოდ გულში ჩამყვება.

წითელ კრამიტზე ისხდნენ მტრედები
გაღუღუნებულ ლურჯ ჩიჩახვებად.
მოადგა ყორეს ბებერი ბაღი.
და მწიფობისთვის ყვითელი სევდა,
მზე ჩამავალი
გასისხლულ ბაგით
ბროწეულების სინათლეს ხვრეპდა...

1965

მარტოობა

იმ ღამეს თოვდა, თოვდა და თოვდა...
და შენ გეძინა სიცივით დაღლილს,
გარშემო ცივი სინათლე კრთოდა
და ივსებოდა სიჩუმით სახლი.
ვხედავდი ჩემს ლანდს
საწოლთან დახრილს
და ჩრდილი დახრილ კედელზე თრთოდა,
შენ კი გეძინა ყველაფრით დაღლილს,
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა.
და შენი ტანი გრძელი და თხელი
მკვეთრი ხაზებით მოჩანდა ბნელში,
და შენი ხელი, გამხდარი ხელი
მკვდარი ჩიტივით მეჭირა ხელში.
გარეთ კი თოვდა, თოვდა და თოვდა...

1964

ალექსანდრია

თვლემს ცხელ ქვიშაში
უდაბნოს ქარი,
როგორც მარადი წყევლა ბუნების...
და მეჩვენება წკარუნი ზარის
და ქარავანი ბედუინების...

ავტობუსების საყვირის ხმაზე
მიწიდან დგება ჩრდილი ყორნების,
— აჰა,
გამოჩნდა ქალაქი ზღვაზე,
კაზინოებით და რესტორნებით!..

— ისკანდერია,
ისკანდერია!
სულს სულ სხვა სხივი გამოერია...

მაგრამ ფეხდაფეხ მომდევს კაირო,
ცად აზიდული მინარეთებად,
დავტოვე, მაგრამ კიდევ კაი, რომ
დასავიწყებლად არ მემეტება.

თვალ-მარგალიტი,
დახლზე დაყრილი,
ხან-ალ-ხალილის ბაზრის ყაყანი,
მოგონებაში ჩამრჩა გათხრილი,
როგორც თურქული იატაგანი!
ალექსანდრია,
ალექსანდრია!..

ყელი ომებით გამოგღადრია,
აგიზგიზდები
ძველი მითებით,
კატაკომბებით და მიზგითებით...

ამოდის ლანდი
თეთრ ლარნაკიდან
და წვრილ ვარსკვლავებს ურიგებს
თარებს...
აგვისტოს ღამემ გადააკიდა
ცისფერ მეჩეთებს სპილენძის მთვარე...

ჰარამხანით და თრიაქით მთვრალი
მოზიდავს ლაგამს მოჰამედ ალი,
გაიწკრიალებს ქვიშაში ნალი
და სხივს ირეკლავს მშიერი ხმალი...

უცებ გაქრება ჩვენება სადღაც
და ნიავს მოაქვს ტალღების შხეფი...

და ჰგავს მონტაზა მთვარეულ ნახატს —
უბრწყინვალესი სასახლე მეფის...

— ისკანდერია,
ისკანდერია!..
სულს სულ სხვა სხივი გამოერია!..
ფერხთით გიგდია უდაბნოს ხვატი
და გვალვა ქარში მირაჟებს ხვეტავს...
შავებში დადის
ათას წლის დარდი
და გაყიდული მონების სევდა.

ჩრდილოეთისკენ წასულ გალერებს
შორეულ ნისლში შენ ახლაც ხედავ.
— და შავ ღამეში კბილებს აელვებს
აფრიკა — შენი ტანჯული დედა!

— ისკანდერია,
ისკანდერია!
ხმას ჩუმი სევდა გამოერია...

ისე თამამად ვეღარ ვირჯები,
დარდმა ლოდივით დამიტანია
და მენატრება ჩემი ბიჭები,
ჩემი სამადლო და ბეთანია...

... შამფურს აბრუნებს ზანგი მაღალი,
და წითლად ბოლავს ცისქვეშ მაყალი,
და ჩარიგებულს ირგვლივ მაგიდებს
ლეილა ცეკვით ვნებას წაჰკიდებს...

ღამის კაბარე ანთებს ნათურებს
და სულში შიშველ ხელს მიფათურებს...
გადავიკივლებ მაღალ სართულებს
ჩემს აღგზნებულ სულს,
სულს უქართულესს!
ისკანდერია!..
ისკანდერია!..

დღეს შენი მტერი
ჩემი მტერია,
თუ მტერი ბევრჯერ ვერ მოგერია,
იმ სისხლში ჩემი სისხლიც ერია!..

გათენებამდე
კიდევ ადრეა,
ღამე დახრილი შავი ჩადრია,

სივრცეს გაჰყურებს
მთვარის საყურე
და თვლემს ბებერი ალექსანდრია...

1960

ლია სტურუა

* * *

მერე რა, რომ ყველა კარია ღია,
მე გაქცევა მინდა, შენ არ გამიშვა;
გარეთ ცხელი დღეა,
მინატრე და შინდისფერ თმას გავიშლი...
დედა ჯავრობს, ჯავრი რაა მერე,
იჯავრებს და დაყუჩდება მერე,
დაღამდება, გათენდება მერე,
გახუნდება ჩემი თმების ფერი —
უაზრო და შენთვის გამოგონილი...

მხევალივით მე ვიცეკვებ შენთვის
და ჩხრიალით ამევსება მკერდი
და თვალები გამიხდება სველი
და მძივები დამებნევა შენსას...

და თუ წავალ, მომიტევე მე,
ვერ ვიგუე ალბათ მძიმე ჭერი
და სიჭარბე შენი ნაცრისფერის...
იჯავრებ და დაყუჩდები მერე...
მე ხომ ყველა ქალში ვმეორდები
და შენს სახელს უსაშველო თოვლში
ავაფარე შინდისფერი თმები —
ჩემი დიდი მარტოობის დროშა...

1966

მონადირეები

როცა მობეზრდებათ მშვიდი სახლები
და ყოველ კვირას ლუდი და ნარდი,
მშვიდობიანი ოჯახის კაცები
ყავისფერი ძაღლებით მიდიან სანადიროდ.

და დიდი, ცოდვილი, უხეში ტანი
ჯანსაღი მხეცივით მზეზე გამოაქვთ,
მიდიან კაცები ხორცის მოსატანად
ნაღდი განცდების და სისხლის გამო.

და მათ ახარებთ შიშველი კანი,
რომელსაც სიცხე და ოფლი დაწვავს,
რაღაც ოთხკუთხედი და ხორკლიანი
ჩნდება სანადიროდ წასულ კაცებში.

ისინი იცინიან, მღერიან უმიზეზოდ,
ცხოვრობენ ალღოთი და სისხლს აქცევენ
და კურდღლებს კლავენ, როგორც
ბიზონებს,
მშვიდობიანი ოჯახის კაცები.

ისინი იცინიან და მათ ეხერხებათ
ნადირის დევნა, ძნელი და მშიერი,
რომ გაუმაგრდეს სუსტი ხერხემალი
და ხორცის ძალა იგრძნოს ნაშიერმა.

რომ დაკაცებამდე არ შერჩეთ ბავშვებს
ვარდისფერი და თბილი ბუნება...
კაცებს უმწეოდ კეთილ სახლებში
შემოაქვთ სისხლის საშიში სუნი,

ისინი ხმაურობენ და დაბარბაცებენ,
იძენენ ალღოს და კარგავენ სირთულეს
და მერე ოთხკუთხედი ტლანქი კაცები
უხმოდ ასრულებენ ჭამის რიტუალს;

და სადღაც, ქვევით, სახლის ფუძესთან
დიდი, ყავისფერი ძაღლები თვლემენ...

1966

* * *

სულ'ით დაავადებულთა სახლში,
სადაც პატარა ავადმყოფ კაცებს
თავი ჰგონიათ ღმერთები და გენიოსები,
ერთმა ქალმა, ნაწვიმარმა და მგლოვიარემ,
შემომჩივლა, რომ ის ხე არის მსხმოიარე
და აღარ ჰყოფნის ჭიქის წყალი და ფანჯრის მზე.
რადგანაც მის ამწვანებულ თვალებს
და ფოთლებს, — გამოსხმულს მაჯებზე, —
სჭირდებათ მდინარე, გრილი და კეთილი,
და მზე, რომელიც არ იქნება დაფლეთილი
რკინის რიკულებით და კედლებით...
კაცებს კი შურთ მისი ბედი...
როცა ვინმესთან მოაქვთ ვაშლი — მძიმე და მუქი —
ის იღიმება, როგორც ქალი,
რომელსაც ჯანსაღ შვილს უქებენ...
და ყველას უამბობს თავის საიდუმლოს,
მაგრამ მას ხვდებიან ცივი დუმილით,
სველ ზეწარში ახვევენ ბერწი ხელებით...
ის კი, ნაწვიმარი და მარტოხელა,
მაინც ყველაზე ბედნიერია, რადგანაც იცის,
რომ ხე არის მსხმოიარე...

1967

ჩემს სამყაროში დგანან ქალები,
გაბეზრებულნი შვილიანობით,
ხორბალს ხარშავენ თაფლში გარეულს
და ბატკნებისთვის ლესავენ დანებს.
მერე ტირილით,
ზარით, შავებით,
თავ-თავის კაცებს ასაფლავებენ...

იქნება პური და ღვინო ბევრი,
ცაზე იდგება მზე თაფლისფერი,
ქმარს წაიღებენ შავი ცხენებით
და მერე სულში
ბზის ტყეებივით ჩადგება რწმენა...

ქალები წვიმას ვერ დაწყევლიან,
ქალები გვალვას ვერ დაწყევლიან
და პურს, მორჩენილს სადილის მერე,
ეფერებიან უჩვევი ხელით,
რადგან წვიმაც და პურის ნამცეციც
არის ნაწილი მათი კაცების.

რადგან კაცები ნაცრისფერები
მზესაც კი ჰგვანან სიკვდილის მერე,
უძლებენ შუბლზე მიჭედილ ხატებს,
ყოველდღე არყით აღარ თვრებიან
და ატარებენ მხრებს, ამოხატულს
ვაზის მტევნებით და ჩუქურთმებით...

ხოლო ქალები საჭმელს ხარშავენ
და მოლოდინით სავსე ტანებით,
და ნაყოფისგან მძიმე ტანებით
ეფარებიან ხორცის ოხშივარს...
დილით კი ისევ არაფრის სჯერათ,
ჩახლეჩილი ხმით, ზარით, შავებით
ერთხელ კი არა, უკვე რამდენჯერ
თავ-თავის კაცებს ასაფლავებენ...

1967

* * *

თუ ჩემი სული დაბრუნდება ასი წლის შემდეგ,
ის არ იქნება მიწა ან წვიმა,
ის არ გადავა არც ერთ ქალში, რომელიც მე მგავს,
და არც ერთ კაცში,
რომელიც უყვართ ბრმად და მწარედ ჩემნაირ ქალებს.
ის არ გადავა არც ცხენებში ან არწივებში,
რომელთა ხილვა
არ მასვენებდა მთელი სიცოცხლე...
თუ ჩემი სული დაბრუნდება ასი წლის შემდეგ,
ის ჩასახლდება
აკანკალებულ და თბილ კურდღელში,
რომელიც ყვირის, როგორც კაცი,
როდესაც კლავენ...

1966



ბესიკ ხარანაული

თებერვალი. ივრის ჭალები

ჩემს სახეს, ყვითელ ფოთოლზე დახატულს,
შენი ალერსი უნდა, მარინე!
მიბრძანე რამე, ვეებერთელა ლოდები მთაზე ამატანინე,
მარინე!..
ნეტავი ახლა ჩემი ივრის ფსკერზე მეძინოს
და ვარსკვლავები დამყურებდნენ მაღლა ზეციდან,
რა ბედნიერი ვიქნებოდი...
ზემოთ მთვარე,
        მე — მდინარეში
და სოფლის ბოლოს თებერვალი,
        შემძვრალი ხეში...
იწკრიალებდნენ ვარსკვლავები, მარინე!
შენ ჩემი დაჟინებული ფიქრი მოგიყვანს
ჩემთან ამ ღამეში,
მარინე!
დავყურებ ქალაქს, ჩემი თვალები
სახურავს ხდიან სახლებს და ვხედავ
— მხოლოდ მას სძინავს მშვიდად, ვინც იცის,
რომ დღისით უნდა მოიპოვოს ღამის სიმშვიდე.
დავყურებ ქალაქს, როგორც სახინკლე
ქვაბს, და უსახურაოდ მდგარი სახლების
დრტვინვას შემკრთალი ლეკვივით ვუმზერ,

მიშველე რამე, წაქცეული ვარ
და მთვარის შუქი მაბიჯებს გულზე...

ანათებს მთვარე საქართველოს ლურჯ მდინარეებს.

ივრის ჭალებში დადის ცხენი კოჭლი, გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ სამყაროში
ვერავინ ხედავს მას მგლის მეტი...
იწვის ბუხარი
და ვიტანჯებით ერთმანეთის მარტოდენ ჭვრეტით
მარინე,
მინდა ჩავყვინთო შენს ვარდისფერში,
შენს სიცხეში და სიმხურვალეში,
მივირთვა ყვითელ ფოთლების პეშვით
შენი ცრემლების ტკბილი სიმლაშე...
მარინე, შეამკე ჩემი თმები, მარინე...
დათოვონ შენმა ხელებმა ჩემი თმები, მარინე...

ივრის ტალღები განა წყალი არის, მარინე,
იგი ნემსების ნაკადია, მწველი, მსუსხავი
და ვაი იმას, განწირულად ჩათვალოს თავი,
ვინც მას გასტოპავს და წავა ტყისკენ.
ივრის ჭალებში დადის ცხენი კოჭლი, გამხდარი,
და ამ მილიონ... ამ მილიარდ... ამ ყინულეთში
უცებ გაისმის... ხმა კი არა,
არამედ ზარი: „მე აქ ვარ, ძმაო!..“
რა მხნე ხმა არის, ერთი უსმინე,
რა ტკბილი არის: „მე აქ ვარ, ძმაო“.
ტყიდან გამორბის სოფლის გლახაკი
და ყვავილები მოაქვს... მარინე!
რისთვისღა ვსინჯავთ ამ ჯადოსნურ, ღვთაებრივ სიზმრებს,
თუ თვალს გავახელთ
და ქვეყანა ისევ ის არის!
ან რად გაძალებ მე ზანზალაკს, რომ იყო ზარი...
მარინე, ჩამოახიე შენი სამყოფი მანდილი ღამეს
და, როცა მოვკვდე,
ქარში გაფრენილ ყვითელ ფოთოლს
თვალი გააყოლე, როგორც ჩემს ნიღაბს.

1965

გაზრდილა თიანეთი!

გაზრდილა სოფელი, კარგად კი გაზრდილა,
მაგრამ სად ჩამოვსხდეთ, ჭიჭი!
ყველგან სახლები და სახლებია,
ყველგან სახლებია, ჭიჭი!
სადაც ჩვენ დავრბოდით ჩვენს ტკბილ ბალღობაში,
სადაც გვიხაროდა, ჭიჭი!
მხოლოდ თეთრახევის ყელთან დარჩენილა,
კიდევ ხაწირის მთის იქით:
სადაც ჩვენ დავრბოდით ჩვენს ტკბილ ბალღობაში,
სადაც გვიხაროდა, ჭიჭი!
მორქვეშ მოყოლილი გომბეშოებივით,
ჩვენი ნაფეხურები, ჭიჭი!
ჩუმად კრუსუნებენ, ჩუმადა კვნესიან
ჩვენი ნაფეხურები, ჭიჭი!
ყველგან სახლები და სახლებია,
ყველგან სახლებია, ჭიჭი!
მხოლოდ თეთრახევის ყელთან დარჩენილა,
კიდევ ხაწირის მთის იქით:
სადაც ჩვენ დავრბოდით ჩვენს ტკბილ ბალღობაში,
სადაც გვიხაროდა, ჭიჭი!

1967

* * *

მშვიდად,
მშვიდად იარე,
ჩემო ლურჯთვალება მოთმინებავ.

ქალაქს რომ გასცდები,
სოფელი შეგეყრება.

ბედნიერი ხარ,
არაფრისა არ გეშინია,
რადგანაც უკვე დიდი ხანია,
სიზმარი ცხადში აგრევია...

თბილია მტვერი სოფლის შარაზე,
როგორაც ჩვრები ჩვილი ბავშვისა.

აქ გაუვლია ნახირს, წასულა
და ტყისპირებში ძოვს მონდომებით.
მშვიდად, მშვიდად იარე,
ჩემო ლურჯთვალება მოთმინებავ.

ქალაქს რომ გასცდები,
სოფელი შეგეყრება.

1966

გაზაფხულის ძახილზე

ცხენზე შემჯდარა ობოლ-ბერდია.
ჩამოუყრია გრძელი ფეხები
და მიდის გამხვალ ნასიმინდრებში.
და საითაც კი არ გაიხედავს,
მინდვრებისკენ თუ გორაკებისკენ, —
ჩაშავებული ნახნავებისთვის,
გადატრუსული ფერდობებისთვის
წუხელ ვიღაცას
მწვანე ხელი გადაუსვია.
და თითქოს, თითქოს
მიწამ უბიძგა
და საცეკვაო წრეში შეაგდო —
შეკრთა ბერდია, რადგან იხილა
ძალა,
რომელიც არ აძინებდა
გრძელ ღამეებში.
აი, ასეთი ხელი უნდა ობოლ ბერდიას,
ასეთი მწვანე ხელი უნდა
მის დაშაშრულ სულს
და გამხმარ ქოჩორს.

1908

ფშაური მზის ნაბიჯები

I

ისევ აფრინდნენ დედულეთის ნახნავებიდან
ლურჯი ყვავები,
ნისლიანი სივრცეებით გაბეზრებულნი.

დამეხსენი, დამეხსენი, გემუდარები.

დამისხი, ფშავლის დედაკაცო, შენი არაყი
და მითხარი: „შე ჩემთავმკვდარო“...
ამ სიტყვისათვის აქ მოვსულვარ, როგორც წამლისთვის.

დამისხი, ფშავლის დედაკაცო,
ოღონდ ნუ მეტყვი, რომ უცხო ვარ,
რადგანაც იქ, საიდანაც გამოვიქეცი,
ვთქვი, რომ მივდივარ ჩემს მხარეში, ჩემს ქვეყანაში.
დამისხი, ფშავლის დედაკაცო, შენი არაყი
და მითხარი: „შე ჩემთავმკვდარო“...

ვიღაცა ვაშლის ფოთლებსა სწვავს გომურის გვერდით!

გამიშალე, გამიშალე ჩქარა ლოგინი!
მე მინდა მოვკვდე ჩემს ადგილზე, როგორც მებრძოლი.

და ისე, როგორც გუზუმბათზე დაჭრილი ტახი
ეთხოვება წიფლის შიმელებს,
მე მინდა, მინდა ყველა საკრავს შევახო ხელი.

გამიშალე, გამიშალე ჩქარა ლოგინი!

დამისხი, ფშავლის დედაკაცო, შენი არაყი
და მითხარი: „შე ჩემთავმკვდარო“,
ამ სიტყვისათვის აქ მოვსულვარ, როგორც წამლისთვის.
მე ვარ მამალი,
შენ რომ მიმხატე ჭრელ ფარდაგზე,
მომწყინდა და ძირს ჩამოვფრინდი.

II

ისევ აფრინდნენ დედულეთის ნახნავებიდან
ლურჯი ყვავები,
ნისლიანი სივრცეებით გაბეზრებულნი.

დამეხსენი, დამეხსენი, გემუდარები.

სუყველა მაღლა იყურება, მწყალობელ მზისკენ,
ჩვენ კი, ჩვენ ორნი, აქ იმიტომ ვართ,
რომ არ მოკვდეს, არ დაიკარგოს
ნუგეშის სიტყვა მოყვასისთვის: „შე ჩემთავმკვდარო“.

სუყველა მაღლა იყურება, მწყალობელ მზისკენ.
ჩვენ კი, ჩვენ ორნი,
ვდგავართ ხოლმე ხიდის ყურესთან,
დავდივართ ხოლმე მოედნებზე, სავსე ქუჩებში
და ვდუდუნებთ: შე ჩემთავმკვდარო,
შე ჩემთავმკვდარო, შე ჩემთავმკვდარო.

მე ვარ მამალი, შენი ფარდაგიდან გადმოხვეწილი.

III

სულაც არ ვგრძნობდი უცხოობას მე ამ ქალაქში
და მისი მტვერი ჩემთვის მტვერი არა ყოფილა,
მეც მოკლე თოკით,
მოკლე თოკით ვიყავ მიბმული

სამსახურზე და ოჯახზე... ოღონდ
საოცრად, ურცხვად გრძელდებოდა ხოლმე ის თოკი,
როდესაც ვსვამდი,
ანდა როცა ვოცნებობდი განმარტოებით.
მაშინ, მე მაშინ არა მარტო ვუსწორდებოდი
ყველას, არამედ მათ კიდევაც ვაჯილდოებდი.
და მე შენთანაც მოვდიოდი, გვერდს გიჯდებოდი,
მაგრამ მითხარი, მიპასუხე, მაშინ, როდესაც
შინ მიუტანე ცეცხლი სხვებს და
წინ დაურგე აყვავებული ატმის ნერგივით,
ნუთუ იმ ცეცხლის ნაპერწკალიც არ დაიტოვე.

1968

* * *

არა იმიტომ ვამბობ მე „წინ!“
რომ იქ რაღაც აღმოვაჩინე,
არამედ, ღმერთო, მეშინია უკან მიხედვის,
რადგანაც იქ, იმ წარსულში,
იმ თეთრ გორაზე,
თრთვილით დაფარულ ჯაგებს შორის
დამსხდარან ორნი:
მელა — ლამაზი და ცბიერი,
ყელმოხატული
და მგელი, მგელი,
მომლოდინე, როგორც ისარი.

1968

ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია

ბიოგრაფიული ცნობები

ალექსანდრე ბესარიონის ძე აბაშელი (ისაკი ჩოჩია) დაიბადა 1884 წელს აბაშის რაიონის სოფელ საჩოჩიაოში.

1909 წლიდან ალ. აბაშელი იწყებს შემოქმედებით მოღვაწეობას. 1913 წელს გამოდის მისი ლექსების პირველი წიგნი — „მზის სიცილი".

ალ. აბაშელის თხზულებათა კრებული ორ ტომად გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" 1958—1960 წლებში.

ალექსანდრე აბაშელი გარდაიცვალა 1954 წელს.

გიორგი ანდუყაფარის ძე ქუჩიშვილი (ჩხეიძე) დაიბადა 1886 წელს თელავის რაიონის სოფელ მერეში.

გ. ქუჩიშვილმა ლექსების ბეჭდვა დაიწყო 1906 წელს არალეგალურ ჟურნალებში — „ჩვენ ღროსა" და „მახვილში".

ლექსებისა და მოთხრობების პირველი ორი წიგნი გამოსცა 1914 წელს. ლექსების გარდა, გ. ქუჩიშვილი წერდა პოემებს, მოთხრობებს; აქვს საბავშვო ლექსების რამდენიმე კრებულიც.

გიორგი ქუჩიშვილი გარდაიცვალა 1947 წელს.

სანდრო ილიას ძე შანშიაშვილი დაიბადა 1889 წელს სიღნაღის რაიონის სოფ. ჯუგაანში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1906 წელს გაზეთ „ისარში". მისი ლექსების პირველი კრებული („ბაღი სევდისა") გამოვიდა 1909 წელს.

სანდრო შანშიაშვილის პიესები: „ბერდოზმანია", „ანზორი", „გიორგი საკაძე", „არსენა" და სხვა წლების განმავლობაში იდგმებოდა ქართულ თეატრებში. გამოცემულია სანდრო შანშიაშვილის ნაწარმოებთა ოთხტომეული.

იოსებ გრიგოლის ძე გრიშაშვილი (მამულაიშვილი) დაიბადა 1889 წელს თბილისში.

ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1904 წლიდან. 1906—1907 წლებში დაიბეჭდა პირველი წიგნი („ვარდის კონა"). 1944 წელს პოეტის სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა მისი ერთტომეული.

იოსებ გრიშაშვილი ნაყოფიერად მუშაობდა როგორც მთარგმნელი და ლიტერატურის მკვლევარი. აგრეთვე ცნობილია როგორც საბავშვო მწერალი. მისი თხზულებანი გამოცემულია 5 ტომად.

პოეტი გარდაიცვალა 1965 წელს.

ვალერიან ივანეს ძე გაფრინდაშვილი დაიბადა 1889 წელს ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1915 წელს გაზეთ „მეგობარში". 1919 წელს გამოსცა ლირიკული ლექსების პირველი წიგნი — („დაისები"). 1925 წლიდან ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსები გამოვიდა ოთხჯერ. პოეტი საინტერესო კრიტიკული წერილებისა და თარგმანების ავტორიცაა.

ვალერიან გაფრინდაშვილი გარდაიცვალა 1941 წელს.

ნოე ალმასხანის ძე ზომლეთელი (ქურიძე) დაიბადა 1889 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა „კვალში" და „ბრძოლაში". პოეტი ლექსების გარდა წერდა იუმორისტულ-სატირულ მოთხრობებსა და საბავშვო ლექსებს. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე მოთხრობა: „უმუშევრის დღიურიდან", „ამხანაგისათვის თავგანწირვა" და რომანი „უგულო ღამეები". პოეტის „რჩეული" გამოვიდა 1953 წელს.

ნოე ზომლეთელი გარდაიცვალა 1938 წელს

სანდრო ჟიშვარდის ძე ეული (ჟურიძე) დაიბადა 1890 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზომლეთში. 1909 წლიდან პოეტი ბაქოში აქვეყნებს პირველ ლექსებს ქართულ ჟურნალებში „წყარო“ და „ჩვენი წყარო“.

შემდეგ სანდრო ეული-ჟურიძე მოღვაწეობს თბილისის ჟურნალ-გაზეთებში. ლექსების პირველი წიგნი („რეკოლუციის საყვირი“) გამოვიდა 1921 წელს. პოეტის თხზულებათა ორტომეული გამოცემულია 1963 წელს.

სანდრო ეული-ჟურიძე გარდაიცვალა 1965 წელს.

მარიჯან (მარიამ მარკოზის ასული ალექსიძე) დაიბადა 1890 წელს ქალაქ თბილისში. პირველი ლექსები გამოაქვეყნა 1916—17 წლებში. 1969 წელს გამოვიდა მისი „რჩეული“. მარიჯანი ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაში, გამოქვეყნებული აქვს საბავშვო მოთხრობები: „ბედნიერი ოაობა“, „ზღვა ატმის ქალაქში“, „გელა“ და სხვა. პოეტის შემოქმედებაში აღსანიშნავია მთარგმნელობითი მოღვაწეობაც.

კონსტანტინე არჩილის ძე ჭიჭინაძე დაიბადა 1891 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხიმშში. სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1908 წელს. ლექსების პირველი კრებული გამოაქვეყნა 1924 წელს. კ. ჭიჭინაძეს თარგმნილი აქვს უცხოური და რუსული პოეზიის მრავალი ნიმუში.

აღსანიშნავია აგრეთვე პოეტის ლიტერატურული კვლევა-ძიებანი: „ალიტერაცია ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემა“, „რუსთაველის გარშემო“.

კონსტანტინე ჭიჭინაძე გარდაიცვალა 1960 წელს.

გალაკტიონ ვასილის ძე ტაბიძე დაიბადა 1891 წელს ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში. 1908 წელს ჟურნალებში — „ჩვენს კვალსა“ და „ამირანში“ ბეჭდავს პირველ ლექსებს.

1914 წელს გამოდის გ. ტაბიძის ლექსების პირველი კრებული. 1919 წელს აქვეყნებს ლირიკული ლექსების მეორე კრებულს („არტისტულ ყვავილებს“), 1927 წელს კი — ლექსების ერთტომეულს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ ბეჭდავს პოეტის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას თორმეტ ტომად.

გალაკტიონ ტაბიძე გარდაიცვალა 1959 წლის 17 მარტს.

საფო იოსების ასული მგელაძე დაიბადა 1891 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯურუყვეთში. მისი პირველი ლექსი „საქართველო“ დაიბეჭდა 1908 წელს. საფო მგელაძის პირველი წიგნი (პოემა „ბახმარო“) გამოვიდა 1927 წელს. 1932 წელს გამოდის მისი ლექსების კრებული „პოლუდია“ და რომანი „ქარიშხლის ფრთებზე“, 1934 წელს რომანი „ლიანა ლორდია“ და „გზა და გზა“, 1940 წელს „თხზულებანი“, 1968 წელს კი „რჩეული“, რომელშიაც შევიდა მწერლის რომანები და მოთხრობები.

საფო მგელაძე გარდაიცვალა 1936 წელს.

ნესტორ გლახუნას ძე მალაზონია დაიბადა 1892 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში. მისი პირველი ლექსი დაბეჭდა 1921 წელს გაზეთ „გურიის კომუნისტში“. ლექსების პირველი კრებული გამოვიდა ბათუმში 1938 წელს.

სულ გამოცემული აქვს 25 წიგნი. 1955 წელს გამოვიდა ლექსებისა და პოემების „ორტომეული“.

პაოლო ჯიბრაელის ძე იაშვილი დაიბადა 1892 წელს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. პოეტის პირველი ლექსები დაიბეჭდა 1911 წელს გაზეთ „კოლხიდასა“ და 1913 წელს ჟურნალ „ოქროს ვერძში“.

პაოლო იაშვილის პირველი წიგნი („ფერადი ბუშტები“) გამოვიდა 1927 წელს, ლექსების წიგნი კი — პოეტის გარდაცვალების შემდეგ — 1955 წელს. რჩეული ლექსების კრებული — 1961 წელს, ხოლო თხზულებათა სრული კრებული — 1959 წელს.

პოეტს თარგმნილი აქვს ალ. პუშკინის, ვლ. მაიაკოვსკისა და ფრანგი პოეტების ლექსები.

პაოლო იაშვილი გარდაიცვალა 1937 წელს.

ტიციან იუსტინეს ძე ტაბიძე დაიბადა 1893 წელს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში. პოეტმა პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1909 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“. ლექსების პირველი წიგნი გამოსცა 1934 წელს. პოეტი ავტორია რამდენიმე კრიტიკული წერილის, პატარა მოთხრობების და ნარკვევებისა.

1966 წელს გამოდის პოეტის თხზულებათა სამტომეული.

ტიციან ტაბიძე გარდაიცვალა 1937 წელს.

კონსტანტინე სიმონის ძე გამსახურდია დაიბადა 1893 წელს სოფელ აბაშაში. პოეტის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1914 წელს. მას მოჰყვა რამდენიმე მოთხრობა და რომანი. მისი პირველი დიდი რომანია „დიონისეს ღიმილი“. იგი ავტორია ისეთი რომანებისა, როგორიცაა „მთვარის მოტაცება“ და „ვაზის ყვავილობა“. მან დაწერა აგრეთვე ისტორიული რომანები: „დიდოსტატის მარჯვენა“ და „დავით აღმაშენებელი“, მრავალი ნოველა, გამოკვლევა და ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილი.

გრიგოლ მოსეს ძე ცეცხლაძე დაიბადა 1894 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მაიდანში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1914 წელს, ლექსების პირველი წიგნი კი გამოვიდა 1924 წელს.

პოეტის ლექსების წიგნებიდან აღსანიშნავია „ახალი ლექსები“, „სხვადასხვა წლების ლექსები“ და სხვა.

გრიგოლ ცეცხლაძე ნაყოფიერად მუშაობს რუსი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების თარგმანებზე. თარგმნილი აქვს ალ. პუშკინის „ევგენი ონეგინი“, მ. ლერმონტოვის, ნ. ნეკრასოვის, ვლ. მაიაკოვსკის, ს. ესენინისა და სხვათა ლექსები.

შალვა ნიკოლოზის ძე აფხაიძე დაიბადა 1894 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ ძუკნურში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა ქუთაისში, ჟურნალ „მეცნიერ ნიამორეში“ 1918 წელს.

პოეტს ლექსების კრებულების გარდა გამოქვეყნებული აქვს კრიტიკული წერილები ქართველ მწერლებსა და თეატრალურ მოღვაწეებზე. მასვე ეკუთვნის მ. გორკის „დედისა“ და ფურმანოვის „ჩაპაევის“ თარგმანები.

შალვა აფხაიძე გარდაიცვალა 1967 წელს.

სიკო (სვიმონ) ილიას ძე ფაშალიშვილი დაიბადა 1894 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში. მისი პირველი ლექსები 1909 წელს დაიბეჭდა „დროებასა“ და „ივერიაში“.

1921 წლიდან სიკო ფაშალიშვილი სისტემატურად აქვეყნებდა ლექსებს, თარგმანებს, ნარკვევებსა და სატირულ-იუმორისტულ ფელეტონებს.

სიკო ფაშალიშვილის ერთტომეული გამოვიდა 1959 წელს.

პოეტი გარდაიცვალა 1969 წელს.

კოლაუ გალაქტიონის ძე ნადირაძე დაიბადა 1895 წელს ქალაქ ქუთაისში, მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1916 წელს ჟურნალ „ცისფერ ყანწებში“. პოეტის ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1920 წელს ქუთაისში.

ლექსების კრებულებიდან აღსანიშნავია „დიდ გზასთან“, „შემოდგომის ხეივანი“, „რჩეული“ და სხვა.

ლექსების გარდა კ. ნადირაძის კალამს ეკუთვნის მოთხრობები და ნარკვევები. თარგმნილი აქვს ალ. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, თ. ტიუტჩევის, ე. მაიაკოვსკისა და ფრანგი პოეტების ნაწარმოებები.

ხარიტონ ივანეს ძე ვარდოშვილი (ნიკოლაიშვილი) დაიბადა 1895 წელს, მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1915 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1924 წელს.

ხარიტონ ვარდოშვილი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა რუს და უცხოელ პოეტთა თარგმანებზედაც.

პოეტი გარდაიცვალა 1970 წელს.

ვასო ვასილის ძე გორგაძე დაიბადა 1895 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ზედა ილემში. პირველი ლექსი დაბეჭდა 1910 წელს ჟურნალ „ჯეჯილში“. დღემდე გამოქვეყნებული აქვს ლექსების რვა წიგნი. მათ შორის: „შიწა და ფოლადი“, „ორბის სიკაბუკე“ და „ჩემი ცხოვრების გაზაფხული“.

პოეტი ეწევა მთარგმნელობით მუშაობას. მის ნათარგმნ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია: ალ. ბლოკის „თორმეტნი“, ნ. ნეკრასოვის ლექსები და პოემები, ოსური „ნართების“ ეპოსი და სხვა.

ილო ონისიმეს ძე მოსაშვილი დაიბადა 1896 წელს დუშეთის რაიონის სოფელ ჩარგალში. ი. მოსაშვილი სამწერლო მოღვაწეობას იწყებს 1911 წლიდან.

ი. მოსაშვილი ლექსებთან ერთად წერდა მოთხრობებს, ნარკვევებს, კინოსცენარებს. მისი პიესები: „სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“, „მისი ვარსკვლავი“ და „გზა მშვიდობისა“ იდგმებოდა საქართველოს თეატრებში.

პოეტის თხზულებათა ორტომეული გამოვიდა 1969 წელს.

ილო მოსაშვილი გარდაიცვალა 1954 წელს.

ანდრია ივანეს ძე სინაური (სინაურიძე) დაიბადა 1896 წელს ვანის რაიონის სოფელ ონაშოურში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „მუშა და კოლმეურნეში“ 1933 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი („ლექსები“) გამოვიდა 1954 წელს.

პოეტი ავტორია რამდენიმე წიგნისა: „მზე და გული“, „სამშობლოს ყვავილნარში“, „დილიდან ბინდამდე“ და „ფიქრები, ფიქრები“.

ნიკოლო იოსების ძე მიწიშვილი (სირბილაძე) დაიბადა 1896 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ ჯვარისაში.

მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1912 წელს. თანამშრომლობდა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“, მისი ნაწარმოებები სისტემატურად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ნიკოლო მიწიშვილი იყო პოეტი და პროზაიკოსი. მისი რჩეული ნაწერები 1958 წელს გამოსცა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“.

ნიკოლო მიწიშვილი გარდაიცვალა 1937 წელს.

რაჟდენ მათეს ძე გვეტაძე დაიბადა 1897 წელს ქუთაისში, მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1913 წელს. პირველი წიგნი („მთვარის ზღაპარი“) დაიბეჭდა 1916 წელს.

1919 წელს რ. გვეტაძე სცემს ლექსების კრებულს „დაბინდული ქარვები“, მომდევნო წლებში გამოდის „ღამეები“ და „მარულა“.

ლექსების გარდა რ. გვეტაძემ გამოაქვეყნა რომანები და მოთხრობები, მათგან აღსანიშნავია: „თეო“, „ჟიაკოკონა“, „ლაშაური საღამოები“, „ბელორუსული ნოველები“, „მართალი ნოველები“ და „ცხოვრება იწყება თავიდან“.

რაჟდენ გვეტაძე გარდაიცვალა 1952 წელს.

ტერენტი სამსონის ძე გრანელი (კვირკველია) დაიბადა 1897 წელს წალენჯიხაში. პოეტის პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ახალ ნაკადში“ 1919 წელს, წალენჯიხელის ფსევდონიმით. მისი ლექსების პირველი წიგნია „სულიდან საფლავები“, მეორე „memento mori“ და მესამე „ლექსები“. ლექსების გარდა პოეტმა დაწერა რამდენიმე მინიატურაც.

ტერენტი გრანელი გარდაიცვალა 1934 წელს.

გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე დაიბადა 1897 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულში.

გ. ლეონიძემ პირველი ლექსი დაბეჭდა 1911 წელს, გაზეთ „სინათლეში“. ლექსების პირველი წიგნი გამოსცა 1939 წელს.

ლექსების და პოემების გარდა გ. ლეონიძემ დაწერა მოთხრობების წიგნი „ნატვრის ხე“.

გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის მთელი რიგი ლიტერატურული ნარკვევებისა: მამუკა ბარათაშვილის „ჯაშნიკი“, „შაჰნავაზიანი“, „სულხან-საბა ორბელიანი და მისი წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, „ივანე მაჩაბელი“, „საჲათნოვა“, „ბესიკი“, „იოსებ თბილელი“, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და მრავალი სხვა.

გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა 1966 წელს.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჟუთათელი დაიბადა 1898 წელს ქუთაისში. მისი პირველი დრამატული ნაწარმოები „ქალიერ“, რომელიც ჯერ ბეჭდვით მითოსის სიუჟეტზე იყო აგებული, დაიბეჭდა ეურნალ „სახიობაში“ 1923 წელს. პირველი ლექსი „ხალვადრები“ გამოქვეყნდა 1924 წელს ეურნალ „კავკასიონში“. პოეტს კალამს ალუფენენ ალბერ წელიწადს გამოცემული ლექსები და მოთხრობები.

ალ. ჟუთათელი ცალკე ნაწარმოებად იოკლება რომანი „პოლსპარ“. პოეტს თარგმნილი აქვს ესქილეს ტრაგედია „მიჯაჭვული პრომეთე“ და გოეთეს „ფაუსტის“ პირველი წიგნი.

პოლიო ერმილეს ძე აბრამია დაიბადა 1899 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ხორკაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1920 წელს, ეურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“. ლექსების პირველი წიგნი კი გამოვიდა 1937 წელს. 1969 წელს გამოქვეყნდა პოეტის კრებულიული.

პოლიო აბრამიამ დაწერა აგრეთვე რამდენიმე მოთხრობა და საბავშვო ზღაპარი. მას ქართულად თარგმნილი აქვს ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია“, ბ. პოლევოის „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, მაიაკოვსკის „პედაგოგიური პოემა“ და სხვა.

იონა ლუკას ძე ვაკელი (მეგრელიძე) დაიბადა 1900 წელს მახარაძის რაიონის სოფელ ვაკეში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1915 წელს ეურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“.

1921 წლიდან 1968 წლამდე მწერალმა სამჯერ გამოსცა ლექსების კრებული.

იონა ვაკელი რამდენიმე პიესის ავტორია; მისი პიესებიდან ქართულ თეატრებში დაიდგა: „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“, „შამილი“, „შერი“, „გიორგი საკაძე“ და სხვა.

არნო კაციას ძე ონელი (ბურდილაძე) დაიბადა 1901 წელს ონის რაიონის სოფელ მოედანში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა „გალაკტიონ ტაბიძის ეურნალში“ 1923 წელს. ხოლო ლექსების პირველი წიგნი („მთები“) 1927 წელს.

პოეტი ავტორია რამდენიმე წიგნისა: „ასე ვმეეროდი“, „ეკაკიობის საგალობელი“, „ლილის ქება“, „ფრიადოს წვნი“, „ნოდარის ოცნება“ და „გზა დიდი და გზა პატარა“.

ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ჩაჩავა დაიბადა 1901 წელს ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ქუთაისში 1919 წელს, ახალგაზრდების ეურნალ „წინსვლის ემბლემაში“. პოეტის ლექსების პირველი კრებული („სიცოცხლეს ეუმღერი“) გამოვიდა 1948 წელს. მისი ლექსების კრებულებია: „სადაც ეშობილვარ“, „რაც განმიცდია“, „ცისა და მიწის“, „ამ ქვეყანაზე“ და „შენთვის, ადამიანო“.

ნიკოლოზ ჩაჩავა ნაყოფიერად მეშაობს საბავშვო მწერლობაშიც.

დავით ალექსის ძე გაჩეჩილაძე დაიბადა 1902 წელს ხარაგაულის რაიონის სოფელ ღორეშაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1919 წელს ქუთაისში, ახალგაზრდების ეურნალ „წინსვლის ემბლემაში“. ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1941 წელს. პოეტმა დაწერა ორი ტრაგედია: „ბახტრიონი“ (ვაჟა-ფშაველას ამავე სახელწოდების პოემის მოტივებზე) და „ამირანი“. პოეტს თარგმნილი აქვს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“, ჰ. ლერმონტოვის „მასკარადი“, კალდერონის „თავის თავის დარაჯი“ და რუს პოეტთა მრავალი ლექსი.

ვიქტორ იასონის ძე გაბესკირია დაიბადა 1903 წელს ქალაქ ფოთში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1922 წელს, გაზეთ „ბახტრიონში“, ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1929 წელს.

1970 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა ვიქტორ გაბესკირიას ლექსების და პოემების პირველი ტომი. პოეტი წერდა ნარკვევებსა და წერილებს. იგი ავტორია პიესებისა: „ლაქაშებს შორის“, „მათი ამბავი“, „ახალწლის ღამეს“, „გაზაფხულის დილა“, „უფსკრულთან“ და სხვა.

ვიქტორ გაბესკირია გარდაიცვალა 1964 წელს.

ალიო ანდრიას ძე მირცხულავა დაიბადა 1903 წელს ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. მისი პირველი ლექსი „სიმღერა“ დაიბეჭდა 1921 წელს ფოთის საქალაქო გაზეთ „მუშის ხმაში“, ხოლო ლექსების პირველი კრებული („მერეხი“) გამოვიდა 1924 წელს. დღემდე გამოცემულია პოეტის ლექსების ოცდაექვსი კრებული. იგი რამდენიმე პიესის ავტორიცაა.

1969—71 წლებში გამოდის ალიო მირცხულავას თხზულებათა ორტომეული.

სიმონ ივანეს ძე ჩიქოვანი დაიბადა 1903 წელს აბაშის რაიონის სოფელ ნაესაკაოში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ქუთაისში, ახალგაზრდების ეურნალ „წინსვლის ემბლემაში“ 1919 წელს. 1924 წლიდან სისტემატურად იბეჭდება ქართულ პერიოდულ გამოცემებში. 1926 წელს გამოაქვეყნა პირველი წიგნი (პოემა — „ფიქრი მტკვრის პირას“).

პოეტს გამოცემული აქვს თხზულებათა სამტომეული და ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილების კრებული.

სიმონ ჩიქოვანი გარდაიცვალა 1966 წელს.

კალე ფირანის ძე გოგოხიძე დაიბადა 1904 წელს წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯში. პირველი ლექსი დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთ „წითელ ვარსკვლავში“ 1923 წელს. ხოლო ლექსების პირველი კრებული („ინდუსტრიალური ლირიკა“) გამოვიდა 1929 წელს. პოეტი ავტორია მრავალი წიგნისა, მათ შორის: „სიყვარული“, „ლირიკა“, „გამარჯვების სიმღერები“, „სიცოცხლისათვის“, „ერთტომეული“, „რჩეული“, „მეგობრობის ბაღი“, „სიცოცხლის სადღეგრძელო“, „კავკასიონი ქარიშხალში“ და სხვა.

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1905 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. მისი პირველი ლექსი „ბორის ძნელაძე“ დაიბეჭდა 1924 წელს საქართველოს კომკავშირის გაზეთ „სპარტაკში“, პირველი მოთხრობა „სანაბიროზე“ ეროი

წლის შემდეგ ალმანახ „დარიალში“, ხოლო ლექსების პირველი წიგნი („ღიმილი“) გამოვიდა 1926 წელს.

ამ დროიდან მოყოლებული იგი დღემდე აქტიურად მუშაობს ქართულ მწერლობაში.

ვარლამ ნიკოლოზის ძე ეურული დაიბადა 1905 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათში. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1921 წელს გაზეთ „ქუთაისში“. 1924 წლიდან სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ-გაზეთებში. 1934 წ. გამოვიდა მისი ლექსების პირველი კრებული („ვარდის ფურცლობა“). 1938 წელს გამოდის ლექსების ციკლი პოლარულ გმირებზე — „ჩრდილოეთის დაპყრობა“. 1950 წელს იბეჭდება ლექსების კიდევ ერთი კრებული „ჩვენი გაზაფხული“.

ლექსების გარდა პოეტს გამოცემული აქვს ნარკვევების წიგნი ქუთაისის საავტომობილო ქარხანაზე.

ვარლამ ეურული გარდაიცვალა 1965 წელს.

კარლო რაჟდენის ძე კალაძე დაიბადა 1907 წელს ქუთაისში, ცნობილი რევოლუციონერისა და ჟურნალისტის ოჯახში. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1920 წელს გაზეთ „კომუნისტში“.

კარლო კალაძის ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1926 წელს, ამავე წელს—პოემა „ძახილი აღმოსავლეთს“, 1933 წელს—პოემა „უჩარდიონი“, 1935 წელს—„ხერთვისის განთიადები“. 1968 წელს გამოდის პოეტის ორტომეული. 1970 წელს — პოემა „ფიქრები“. ლექსებისა და პოემების გარდა იგი ავტორია რამდენიმე დრამატული ნაწარმოებისა, რომლებიც იდგმებოდა მარჯანიშვილისა და რუსთაველის სახელობის თეატრებში.

გიორგი ვლადიმერის ძე კაპანაძე დაიბადა 1907 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1927 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. 1932 წელს გამოიცა პოეტის ლირიკული ლექსების პირველი წიგნი („ჩემი პირველი უჯრედი“).

დღემდე გამოცემულია გ. კაპანაძის ლირიკული და საბავშვო ლექსების რამდენიმე წიგნი და მონოგრაფიული შრომა „შიო მღვიმელის ცხოვრება და პოეზია“.

ალექსანდრე ილარიონის ძე შანიძე დაიბადა 1907 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ზემო ნოღაში, მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1924 წელს გაზეთ „მოწაფის ხმაში“. ლექსების პირველი წიგნი გამოიცა 1928 წელს, მეორე წიგნი კი — 1930 წელს. პოეტს გამოქვეყნებული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული.

მარიკა გერვასის ასული ბარათაშვილი დაიბადა 1908 წელს ქალაქ ჭიათურაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ჭიათურის მაღაროელში“ 1936 წელს, ლექსების პირველი წიგნი („ყაჩაღანა“) კი 1938 წელს გამოვიდა. პოეტი ავტორია რამდენიმე ლექსთა კრებულისა, მათ შორისაა: „ლექსები“, „საპოვნელა“, „დღე დღეანდელი“, საბავშვო ლექსებიდან აღსანიშნავია „ნანული“, „თინა და ჭიანჭველები“, პიესებიდან „ჭრიჭინა“, „მარინე“, „სართულები“ და სხვა.

. ბონდო კონსტანტინეს ძე კეშელავა დაიბადა 1903 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ_ტალერში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1923 წელს ახალი სენაკის გაზეთ „კომუნაში“, ხოლო ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1950 წელს. პოეტი რამდენიმე წიგნის ავტორია; მათ შორის: „ლექსები“, „გულის პასუხი“, „ჩემი რჩეული“, „ვარდის სტუმარი“, „ნათელი ფიქრი“, „ჩემო კარგო ქვეყანავ“ და „ცაო მაღალო“.

ირაკლი ბესარიონის ძე აბაშიძე დაიბადა 1909 წელს ქალაქ წულუკიძეში.

პოეტის პირველი ლექსები გამოქვეყნდა 1927 — 28 წლებში, ხოლო ლექსთა პირველი კრებული („რამდენიმე ლექსი“) 1932 წელს გამოვიდა. ამ წლებიდან მისი ლექსები, მხატვრული ნარკვევები, წერილები იბეჭდება სისტემატურად.

პოეტის რჩეულ ლექსთა ერთტომეული გამოვიდა 1969 წელს.

მაყვალა ალექსანდრეს ასული მრევლიშვილი დაიბადა 1909 წელს თბილისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ალმანახ „ქართველ მწერალ ქალთა კრებულში“ 1927 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი—1940 წელს.

პოეტი ავტორია მრავალი ლირიკული კრებულისა; მათ შორის: „ჟირნახული პოემა“, „ლექსები“, „გულისა“ და „ლექსების კრებული“, საბავშვო ლექსებიდან: „დილა მშვიდობისა“, „ჩიტო-ჩიტო“, „ყოჩი ავტო“, „ცისარტყელა“, „მე და დედა“, „ჭანჭიკელა“, „კუნწულა“, „კომბლე“ და სხვა.

ილია ეძვთიმეს ძე ხოშტარია დაიბადა 1909 წელს აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1925 წელს ჟურნალ „ლიანდაგში“, ხოლო ლექსების პირველი_წიგნი („რევოლუციის პრელუდია“) 1926 წელს გამოვიდა. ი. ხოშტარიას გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „ლექსები“, „რასაც ვეტრფოდი“, „სათავისაკენ“, პოემა „ისკანდერ გურჯი“ და სხვა.

გიორგი აპოლონის ძე სამხარაძე დაიბადა 1910 წელს მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ფერსათში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1928 წელს, ჟურნალ „აფრაში“, ლექსების პირველი წიგნი („საქართველოს ლაჟვარდები“) 1948 წელს გამოქვეყნდა. პოეტი ავტორია რამდენიმე ლექსთა კრებულისა. მათ შორისაა: „ლექსები“, „სიხარულის ბარათები“, „სიყვარულის თაიგული“, „მწვანე ბილიკები“, „რუსთაველის ჩირაღდნები“ და სხვა.

გიორგი ივანეს ძე შატბერაშვილი დაიბადა 1910 წელს, თბილისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „მოწაფის ხმაში“ 1925 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი 1932 წელს გამოვიდა. პოეტს გამოცემული აქვს თავის ნაწარმოებთა რამდენიმე კრებული. მათ შორისაა: „სამაია“, „აი იმ მთაზე“, „პოეზია, პროზა“ და „ზაფხულის ღამის ქრონიკა“; ცნობილია მისი პიესები: „ფიქრის გორა“, „უცნობი ქალი“, „დუშმანი“, „რკინის ლოგინი“.

გიორგი შატბერაშვილი ავტორია აგრეთვე მრავალი მოთხრობისა და საბავშვო ლექსებისა.

პოეტი გარდაიცვალა 1965 წელს.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე გომიაშვილი დაიბადა 1911 წელს სოფელ ყაზბეგში. მისი პირველი ლექსი „ძმის ბალადა“ გამოქვეყნდა 1929 წელს ჟურნალ „ქართულ ბავშვობაში“, რის შემდეგ პოეტის ლექსები და ბალადები სისტემატურად იბეჭდება პერიოდულ ჟურნალ-გაზეთებში. 1930 წელს გამოვიდა ალ. გომიაშვილის ლექსების პირველი წიგნი („ამხანაგმა მთამ აიღო სიტყვა“). 1931 წელს „ანდეზიტის სიმღერები“, ხოლო ორი წლის შემდეგ ლექსების კრებული და პოემა „ისევ ეძახიან გერმანიას“.

ალ. გომიაშვილის ლექსებისა და ბალადების კრებულებიდან აღსანიშნავია „დარიალი“ (1940 წ.), „ადგილის ლექსი“ (1962 წ.), „ძველები და ალდეები“ (1967 წ.) და „რჩეული“ (1969 წ.).

ანდრო რაჟდენის ძე თევზაძე დაიბადა 1912 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ გომში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1929 წელს გაზეთ „ახალ სოფელში“, ლექსების პირველი წიგნი („პირველი გაზაფხული“) გამოვიდა 1937 წელს. პოეტი ავტორია რამდენიმე ლექსთა კრებულისა: „ეარსკვლავების ღიმილი“, „დიდება გმირებს“, „ლირიკა“, „ლექსები და პოემები“ „რჩეული“. და სხვა.

გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდაძე დაიბადა 1912 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ ძირულაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1934 წელს ჟურნალ „ახალგაზრდა მწერალში“, ლექსების პირველი კრებული კი 1939 წელს გამოვიდა.

დღემდე გამოქვეყნებული აქვს ლექსების რამდენიმე კრებული.

პოეტური შემოქმედების პარალელურად გ. კალანდაძე ეწევა ლიტერატურულ-კვლევით მუშაობას.

სამუელ ისრაელის ძე მოძღვრიშვილი დაიბადა 1913 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კულაშში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1946 წელს „ლიტერატურულ გაზეთში“. სამუელ მოძღვრიშვილის ლექსების პირველი წიგნი 1957 წელს გამოვიდა. ხოლო 1962 და 1969 წლებში — მეორე და მესამე წიგნი.

სევერიან იოსების ძე ისიანი დაიბადა 1913 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ზოგიშში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1930 წელს ქუთაისის გაზეთ „მეშა და კოლმეურნეში“.

1939 წელს დაიბეჭდა სევერიან ისიანის ლექსების პირველი წიგნი, 1957 წელს კი წიგნი „ყველაფერს ვხედავ“.

სევერიან ისიანი 1943 წელს გმირულად დაეღუპა სამამულო ომში.

შაქრო გიორგის ძე სამადაშვილი დაიბადა 1913 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ბაკურციხეში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ 1935 წელს. ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1955 წელს. პირველ წიგნს მოჰყვა შემდეგი წიგნები: „სწორედ ამიტომ“. „ლირიკა“, „მშობლიური ფერები“, „მწიფე ყანა“, „მაისის ღამე“ და „ლია გულით“.

გრიგოლ გრიგოლის ძე აბაშიძე დაიბადა 1914 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ზედა რგანში. ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1938 წელს. იმავე წელს გამოაქვეყნა პირველი პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“. ლექსების რამდენიმე წიგნის გარდა გრ. აბაშიძე ავტორია პოემებისა: „გიორგი VI“, „ძლევის ქედი“, „ზარზმის ზმანება“; პიესებისა: „დედა“, დრამატული პოემა „მოგზაურობა სამ დროში“; რომანებისა: „ლაშარელა“, „დიდი ღამე“ და „ყორნალი“.

გრ. აბაშიძე მუშაობს საბავშვო პოეზიისა და პოეტური თარგმანის დარგშიც.

ალიო კონსტანტინეს ძე ადამია დაიბადა 1914 წელს ბათუმში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1930 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი („რამდენიმე ლექსი“) 1936 წელს გამოვიდა.

ალიო ადამიას ლექსებისა და ბალადების წიგნი რამდენიმეჯერაა გამოცემული, მაგალითად: „ქორწილი კოლხიდაში“, „მესხეთის გაზაფხული“, „ხელალა“, „ლექსები და ბალადები“, „უბის წიგნიდან“, „დედის ზმანება“, „ცისფერი ივანი“, „ჯავახეთის ბილიკები“, „სიყვარულის და სიკვდილის ბალადა“, და დრამატული პოემა „მსახიობის სიკვდილი“.

ვლადიმერ მიხეილის ძე უბილავა დაიბადა 1914 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“ 1934 წელს, ლექსების პირველი წიგნი კი 1955 წელს გამოქვეყნდა.

პოეტის ლექსების წიგნებია: „ღელვას ბობოქარს“, „ბალადა დაკარგული ჯარისკაცისა“, „მამის კერასთან“ და პოემა „ტობა-ვარჩხილი“.

ვლადიმერ უბილავა დაეღუპა სამამულო ომში 1942 წელს.

ალეკო პეტრეს ძე შენგელია დაიბადა 1914 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1938 წელს ჟურნალებში „ჩვენ თაობასა“ და „მნათობში“. პირველი წიგნი გამოვიდა 1940 წელს. გამოცემულია პოეტის ლექსების რამდენიმე კრებული: „ლექსები“, „გაზაფხულის სიმღერა“, „დღეები“. „სიმღერა“, „სიყვარული“, „სიცოცხლე“, „რჩეული“, „ერთტომეული“ და სხვა.

ალეკო შენგელია მუშაობს საბავშვო ლიტერატურაშიც. დაბეჭდილი აქვს საბავშვო ლექსების რამდენიმე წიგნი.

გაბრიელ ლუკას ძე ჯაბუშანური დაიბადა 1914 წელს დუშეთის რაიონის სოფელ არხოტში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1935 წელს, ჟურნალ „ჩვენ თაობაში“. გამოცემული აქვს ლექსებისა და პოემების რამდენიმე წიგნი, მათ შორის: „არაგვიანი“, „ნათელი მთაში“, „პატარა მთიელები“, „ლირიკა“, „მაღალი მთვარე“, „ჩრდილი და მზვარე“, „მზეთა ქვეყანა“ და სხვა.

გაბრიელ ჯაბუშანური გარდაიცვალა 1969 წელს.

არჩილ ალექსანდრეს ძე გურჯიძე დაიბადა 1915 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ბოღაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1935 წელს ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“, ხოლო ლექსების პირველი წიგნი 1955 წელს გამოვიდა.

პოეტს გამოქვეყნებული აქვს ლირიკული ლექსების რამდენიმე წიგნი: „ყველგან ჩემი სახლია“, „ლირიკა“ და „გავთალე ნედლი ლერწამი“.

შალვა ზაქარიას ძე ამისულაშვილი დაიბადა 1916 წელს ქალაქ თელავში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1936 წელს ჟურნალ „ჩვენ თაობაში“. ლექსების პირველი წიგნი გამოაქვეყნა 1940 წელს.

პოეტს დღემდე გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი, მათ შორის: „თალარი“, „ძმადნაფიცები“, „წყურვილი“, „ტაშირი“ და „საუბარი გზაფხულთან“.

რევაზ აკაკის ძე მარგიანი დაიბადა 1916 წელს მესტიის რაიონის სოფელ მულახში. მისი პირველი ლექსი „მირანგულა“ დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“ 1934 წელს. პირველი წიგნი („ლექსები“) გამოვიდა 1940 წელს. მას შემდეგ გამოსცა მრავალი კრებული. პოეტის ძირითადი წიგნებია: „მუმლი მუხასა“, „აქა მშვიდობა“, „მისალმებათა ნაკადი“, „ლექსები, ბალადები“, „მხოლოდ ახალი“, „ლირიკა“, „მთანი მაღალნი“, „ისევ ახალი“, „წლების სახსოვრად“, „ლილე“, „გამოღვიძება“ და „ერთტომეული“.

ალექსანდრე ალექსის ძე საჯაია დაიბადა 1916 წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ ოდიშში, პოეტმა პირველი ლექსი დაბეჭდა ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ 1935 წელს. პირველი წიგნი („ლექსები“) გამოვიდა 1938 წელს. „ზღაპრებისა“ და „რჩეული ლექსების“ კრებული კი 1940 წელს. ალექსანდრე საჯაიას ლექსების, თარგმანებისა და ზღაპრების „რჩეული“ გამოვიდა 1970 წელს.

პოეტი გარდაიცვალა 1944 წელს.

მამია ომარის ძე ვარშანიძე დაიბადა 1916 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ურეხში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1933 წელს, „საბჭოთა აჭარისტანში“, ლექსების პირველი წიგნი („მებრძოლის სიმღერები“) გამოვიდა 1946 წელს. პოეტი რამდენიმე წიგნის ავტორია. მათ შორის: „ჩემი სამშობლო“, „სიცოცხლის წყარო“, „მთის ყვავილები“, „შენს მზეს ვფიცავ“, „ჩემი ტაძარი“ და სხვა.

ლადო მეჭის ძე ასათიანი დაიბადა 1917 წელს ქალაქ ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1936 წელს ქუთაისის გაზეთ „სტალინელში“. ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1940 წელს. ლადო ასათიანის ლექსების წიგნებიდან აღსანიშნავია „რჩეული“, „რჩეული ლექსები“, „ადრე წასული კაცის ფიქრები“ და „ჩვენი ქვეყნის ოქროყანა“.

ლადო ასათიანი გარდაიცვალა 1943 წელს.

მირზა გელდიონის ძე გელოვანი დაიბადა 1917 წელს თიანეთში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1934 წელს. ლექსების პირველი წიგნი კი 1954 წელს. ამ წლებიდან 1960 წლამდე გამოცემულია პოეტის შემდეგი წიგნები: „ლექსები“, „უბის წიგნაკიდან“, „რჩეული ლექსები, ბალადები, პოემა, მოთხრობები, წერილები“, „შავნაბადა“ და „ცხრაკარა“.

მირზა გელოვანი დაიღუპა სამამულო ომში 1944 წელს.

გიორგი ტარასის ძე ნაფეტვარიძე დაიბადა 1918 წელს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1936 წელს გაზეთ „სტალინელში“.

გიორგი ნაფეტვარიძის პირველი წიგნი („გაფრენილი ღუარაჯი“) გამოვიდა 1957 წელს. დღემდე გამოქვეყნებულია მისი ლექსების რამდენიმე წიგნი: „დაუმთავრებელი ბალადა“, „სიყვარული“ და სხვა.

გიორგი ნაფეტვარიძე დაიღუპა 1942 წელს დიდ სამამულო ომში.

იოსებ ელიოზის ძე ნონეშვილი დაიბადა 1918 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1938 წელს ჟურნალ „ჩვენ თაობაში“, ხოლო ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1940 წელს. მის შემდეგ იოსებ ნონეშვილის ლექსები მრავალჯერ გამოიცა ცალკე კრებულებად. პოეტის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პოემა „ამბავი ერთი ქალიშვილისა“.

1968 წელს გამოვიდა პოეტის ერთტომეული.

ზურაბ სამსონის ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1919 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ ჩუნეში. მისი პირველი ლექსი „ჯიხვი და მთვარე“ დაიბეჭდა 1940 წელს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში“, ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1951 წელს. პოეტი ავტორია რამდენიმე კრებულისა, მათ შორის: „ორი სილამაზე“, „ლექსები“, „რჩეულ ლექსთა კრებული“ და სხვა.

ლადო სიმონის ძე სულაბერიძე დაიბადა 1919 წელს ვანის რაიონის სოფელ შუამთაში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1935 წელს „ლიტერატურულ გაზეთსა“ და „ინდუსტრიულ ქუთაისში“. პოეტის პირველი წიგნი („ყირიმის ღამეები“) გამოვიდა 1947 წელს. დღემდე გამოცემული აქვს ლექსების, ბალადებისა და პოემების რამდენიმე კრებული, მათ შორის: „წარწერები კლდეზე“, „ჩემი ბილიკი“, „შუადღის ჩრდილში“, „მეცხრე ტალღა“, „მზე მავთულხლართებში“ და „შემოდგომის დღის ქრონიკა“.

შალვა ივანეს ძე ფორჩხიძე დაიბადა 1919 წელს ჭიათურის რაიონის სოფელ ქვაციხეში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1946 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ და ჟურნალ „მნათობში“. ლექსების პირველი წიგნი გამოსცა 1950 წელს. იგი ლირიკული ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორია. ცალკე წიგნად აქვს გამოცემული სამი პოემა „მთვრალი მზე“, „ჩემი და შენი სიყვარული“ და „გზაჯვარედინზე“. 1970 წელს გამოვიდა პოეტის ერთტომეული „ყამი ამზევებისა“.

ფოთა სოფრომის ძე აკობია დაიბადა 1920 წელს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჭალაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1938 წელს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუ-

თანაში", ხოლო ლექსებია პირველი წიგნი („საშობლოს დილა") გამოსცა 1951 წელს. 1966 წელს გამოვიდა მისი რომანი „თეთრი ჩრდილი", პოეტური ლირიკული „მზეკალა" კი 1968 წელს.

ვასილ მოსეს ძე გვეტაძე დაიბადა 1921 წელს ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1936 წელს გაზეთ „სტალინელში". 1956 წელს გამოვიდა ვასილ გვეტაძის ლექსთა პირველი კრებული („პირველი სიმღერა").

დღემდე გამოქვეყნებულია ვასილ გვეტაძის რამდენიმე წიგნი, მათ შორის: „ქარავანი მიდის", „გზები და ფიქრები", „მთაწმინდის საღამოები", „სახლი ჩემი", „ნაცნობ ველთა შორიალ ვისმენ", „ნარისციხის ბალადა" და სხვა.

ვახტანგ პეტრეს ძე გორგანელი დაიბადა 1921 წელს ქალაქ თბილისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1944 წელს „ლიტერატურულ საქართველოში", ხოლო ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1946 წელს. პოეტს გამოცემული აქვს ლექსების შემდეგი კრებულები: „გზა მთებში", „მთელი გულით", „ცეცხლი და ყვავილი", „მთები და ვარსკვლავები", „დედოფლის მინდორზე" და სხვა.

ვახტანგ კირილეს ძე ნადარეიშვილი დაიბადა 1921 წელს თბილისში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „დროშაში" 1946 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი 1961 წელს.

ვახტანგ ნადარეიშვილი გარდაიცვალა 1960 წელს.

ზაქარია ვასილის ძე შერაზადიშვილი დაიბადა 1921 წელს ქალაქ ონში. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1950 წელს. მას მოჰყვა კრებულები — „საშობლოს გზებზე", „ჩანჩქერები", „სახლიკაცებთან". „ძელქვა". „ჰოიდა, ლიახვო", „ფეხადგმული აკვნები". „უფრო მაღალი" „ქვათა კოდვა" და „ხემსი".

ზაქარია შერაზადიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე საბავშვო ლექსების ოთხი კრებული.

მურმან სილოვანის ძე ლეგანიძე დაიბადა 1922 წელს. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1943 წელს „საბჭოთა მებრძოლში". ლირიკული ლექსების პირველი წიგნი გამოსცა 1950 წელს. პოეტის მთავარი წიგნებია: „რჩეული", „მახსოვს" და „ანისის აღება". ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საბავშვო პოეზიაშიც. თარგმნის მსოფლიო პოეზიის ნიმუშებს: „რუსი მგოსნები", რ. კიპლინგის „ლექსები და ბალადები"; „ძველეგვიპტური ლირიკა" და სხვა.

გიორგი გრიგოლის ძე სალუქვაძე დაიბადა 1922 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ბათუმში გამოცემულ ალმანახში 1938 წელს. ლექსების პირველი წიგნი („ლექსები") კი 1945 წელს გამოვიდა.

პოეტს გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი, მათ შორის: „ლირიკა", „ქალაქი ზღვის პირად", „სანაპიროზე", „ვარსკვლავების ნვიმა", „რა ხანია გათენდა", „ლექსები" და სხვა.

ალექსანდრე ივანეს ძე ბეგაშვილი დაიბადა 1923 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1938 წელს ჟურნალ „პიონერში", ხოლო ლექსების პირველი კრებული 1956 წელს გამოვიდა. პოეტს გამოცემული აქვს ლექსების რამდენიმე წიგნი: „ჩემი სიყვარული", „ლირიკული ფურცლები", „ოცნება, ღამე და თოვა" და სხვა.

აკაკი ისმაილის ძე გენაძე დაიბადა 1923 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ წესში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს ამბროლაურის რაიონულ გაზეთ „კომუნარში". ლექსების პირველი წიგნი („ჩემი ასეული") გამოვიდა 1953 წელს. შემდეგ მწერალმა დაბეჭდა სხვადასხვა ჟანრის რამდენიმე წიგნი: „მდინარის ტოტი", „ცისარტყელა", „თეთრი გემები", „შვილოგოგია", „ყარამან ყანთელაძე", „მხოლოდ ერთი ნაბიჯი", „გაქვავებული მზე", „წმინდანები ჯოჯოხეთში" და სხვა.

თეიმურაზ ალექსანდრეს ძე ჯანგულაშვილი დაიბადა 1923 წელს საგარეჯოში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1937 წელს გაზეთ „ნორჩ ლენინელში". ლექსების პირველი წიგნი („ცხრაას ორმოცდახუთი") გამოვიდა 1948 წელს. მას მოჰყვა „ბალადა მიწის გაცოცხლებისა", „მაისი ოდერზე", „ცხრაას სამოცდაორის ჩანაწერები", „მეოცე საუკუნის გადასარბენზე", „გზა-გზა მოკრეფილი ყვავილები" და „მიწისძვრა, სიმაღლეები, ჯეონი".

ხუტა ბიხეილის ძე ბერულავა დაიბადა 1924 წელს გალში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", ხოლო ლექსების პირველი წიგნი 1944 წელს გამოვიდა.

გარდა ლირიკული ლექსებისა, ხუტა ბერულავას კალამს ეკუთვნის პოემები: „რუსული გული", „სიმღერა ვარსკვლავებზე", „მწვანე ხომალდი", „წინაპრები" და სხვა.

ხუტა ბერულავა დიდ დროს უთმობს საბავშვო ლიტერატურასაც. მისი რჩეული საბავშვო ლექსები და პოემები გაერთიანებულია წიგნში — „წყარის თავგადასავალი". რომელიც 1966 წელს გამოიცა.

ნანა მამედის ასული გვარიშვილი დაიბადა 1924 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში", ხოლო ლექსების პირველი კრებული („ჩემი აჭარა") გამოვიდა 1949 წელს, მას მოჰყვა „მზიური მხარე". „ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები", „ზღვა და სიყვარული", „ნაკადულები", „ლექსები", „ღიღინებს ერთი ღიღილო" და „ზღვა და ქარი". ნანა გვარიშვილი ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაშიც.

ანა პავლეს ასული კალანდაძე დაიბადა 1924 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში" და ჟურნალ „მნათობში" 1946 წელს. 1957 წელს გამოვიდა ლექსების პირველი კრებული. 1960-67 წელს კი გამოიცა პოეტის ლექსთა მესამე და მეოთხე წიგნები.

ოთარ ანტონის ძე მამფორია დაიბადა 1924 წელს ქალაქ ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1940 წელს გაზეთ „ინდუსტრიულ ქუთაისში", ლექსების პირველი წიგნი („ლექსები და პოემა") გამოვიდა 1956 წელს. 1966 წლიდან პოეტი ბეჭდავს ლექსების კრებულებს „ცისკრის ვარსკვლავი", „ცისარტყელა ჩანჩქერებში", „ახალი ლექსები", „ლექსები" და „ეტლი წუთისოფლისა".

ოთარ მამფორია ავტორია რამდენიმე პიესისა.

ოთარ სილოვანის ძე მელიძე დაიბადა 1924 წელს თბილისში. პოეტის პირველი ლექსი დაიბეჭდა 1942 წელს გაზეთ „კომუნისტში". მისი ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1947 წელს. ლექსების რამდენიმე წიგნის გარდა ოთარ ჭელიძე ავტორია პოემებისა: „რაქველები", „ქიტესა", „ორი მარაბდელი", „ბრინჯაოს ჯარისკაცი", „ჯავრი", „უფარაჯო ჯარისკაცი", „ჩემი მაგნიტური არე" და „ამირანმთა".

ოთარ გალაქტიონის ძე კუპრავა დაიბადა 1925 წელს აბაშაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1941 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში", ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1950 წელს. პოეტს გამოცემული აქვს შემდეგი წიგნები: „ორი არაგვი" (ლექსები, პოემა), „ცუდღარის წყალი" (პოემა), „მგზავრული", „ახალი" (ლექსები და პოემები), „მზე შინა და მზე გარეთა". „ნაცრისფერი ყაბახი" (პოემა) და სხვა. მასვე ეკუთვნის რომანი „ლურჯი იების ზღაპარი".

შოთა ვასილის ძე ლომსაძე დაიბადა 1925 წელს ჯავახეთში, სოფელ ჩუნჩხაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში" 1945 წელს, პირველი წიგნი („მესხეთის ბუხრები") გამოვიდა 1957 წელს.

სილოვან ალექსის ძე ნარიმანიძე დაიბადა 1925 წელს ახმეტის რაიონის სოფელ მაღრაანში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1957 წელს ალმანახ „ახალგაზრდობაში", ლექსების პირველი წიგნი („როცა იღვიძებენ ტყეები") 1958 წელს გამოვიდა.

პოეტი ავტორია შემდეგი წიგნებისა: „კაცი, რომელიც მიყვარს", „ნისლებზე მაღლა". „იხმაურე, მდინარეო" და „ქვეყანა დიდია".

მიხეილ გიორგის ძე ძვლიშვილი დაიბადა 1925 წელს ქალაქ თბილისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" 1945 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი („ლექსები") გამოვიდა 1952 წელს. პოეტს გამოცემული აქვს ლექსების რამდენიმე წიგნი, მათ შორის: „მოკითხვამდე", „ლირიკა", „დაბრუნება", „მოვდივარ, დამიხვდი", „გაგრძელება იქნება" და სხვა.

ფრიდონ იუზილის ძე ხალვაში დაიბადა 1925 წელს აჭარის სოფელ გეგელიძეებში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1943 წელს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში", ხოლო ლექსების პირველი წიგნი („მზის ქვეყანაში") 1948 წელს გამოვიდა.

პოეტი ავტორია ლექსების რამდენიმე კრებულისა: „ყველაზე ახლობელი", „მუხა და ქარი", „სიმღერა შენზე", „ფიქრები ჭოროხთან", „ლექსები და პოემები" და „სანუგეშო". მის კალამს ეკუთვნის პიესები: „ხახანის ძახილი", „ვაზის ტირილი", „გადარჩენილი უკვდავება".

მურმან არისტარხოს ძე ქოიავა დაიბადა 1926 წელს აბაშაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა აფხაზეთის საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში" 1949 წელს.

1951 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების პირველი კრებული „მზის სადღეგრძელო".

მურმან ქოიავა რამდენიმე წიგნის ავტორია.

ნოდარ ვასილის ძე გურეშიძე დაიბადა 1927 წელს აბაშის რაიონის სოფელ მარანში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1949 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". ლექსების პირველი წიგნი („ჩვენი გაზაფხული") გამოვიდა 1954 წელს. პოეტი ავტორია ლექსების რამდენიმე კრებულისა: „შინ და გარეთ", „მიწა და ვარსკვლავები", „ლექსები", „მიწა დიდია" და აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნებში მიღებულ შთაბეჭდილებათა წიგნებისა „მეგობრის თვალიდ" და „დღეები და ქალაქები".

გივი ალექსანდრეს ძე ძნელაძე დაიბადა 1927 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბურნათში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1948 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". პოეტის ლირიკული ლექსების პირველი კრებული გამოვიდა 1956 წელს. მომდევნო წლებში გამოსცა წიგნები: „შენი სახელის ჰირიმე", „ადამიანს უყვარს ადამიანი", „მონატრება" და „ვედრება".

ემელიან კაპიტონის ძე ჟურდიანი დაიბადა 1927 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1945 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში". ემელიან ჟურდიანის ლექსების პირველი წიგნი („ვარდობისთვე") გამოქვეყნდა 1949 წელს. მას შემდეგ გამოქვეყნებულია მისი ლექსების, ბალადებისა და პოემების წიგნები: „სიცოცხლის გადარჩენა", „მანანას წიგნი", „თბილისური" და „როცა გიგონებ".

ნაზი გიორგის ასული კილასონია დაიბადა 1928 წელს ქარელის რაიონის სოფელ აბისში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში" 1952 წელს. იმავე წელს „ლიტერატურულ გაზეთში" დაბეჭდა ლექსების ციკლი „ქართლის ზაფხული". პოეტმა პირველი წიგნი გამოსცა 1954 წელს.

ნაზი კილასონია ლექსების რამდენიმე წიგნის ავტორია, მუშაობს ქართულ საბავშვო პოეზიაშიც.

მუხრან ივანეს ძე მაჰავარიანი დაიბადა 1929 წელს საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში" 1952 წელს. ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1955 წელს. პოეტს გამოცემული აქვს შემდეგი წიგნები: „წითელი მზე და მწვანე ბალახი", „უნდა გახაროთ", „გზა და გზა", „იარონ" და სხვა.

ზოთა გიორგის ძე ნიშნიანიძე დაიბადა 1929 წელს თბილისში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ 1950 წელს. ლექსების პირველი წიგნი („მე და შენ“) გამოსცა 1956 წელს. შოთა ნიშნიანიძე ავტორია რამდენიმე წიგნისა, მათ შორის აღსანიშნავია: „ზეთის ხელის რტო“, „კაფე, თესე“, „ბროწეულა“, „ხელვები“, „მზე შუბის ტარზე“ და სხვა.

ჯანსუღ ნოეს ძე ნიჟაბაძე დაიბადა 1929 წელს ზუალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანევში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერის“ ფურცლებზე 1946 წელს, ხოლო ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1957 წელს.

პოეტი ინტენსიურად მუშაობს საბავშვო ლიტერატურაშიაც. გამომცემლობა „ნაკადულმა“ გამოსცა მისი საბავშვო ლექსებისა და პოემების წიგნები: „ჩიტბატონა“, „მომავლის ფრთები“, „მზეწვია“, „ეს ქალაქი ვისია?“ და მოთხრობა „ციხისგორას საიდუმლო“.

ზურაბ ბესარიონის ძე კუხიანიძე დაიბადა 1930 წელს ქალაქ ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1950 წელს გაზეთ „ქუთაისში“. ლექსების პირველი წიგნი გამოსცა 1958 წელს. პოეტს გამოქვეყნებული აქვს ლექსების რამდენიმე წიგნი. მათ შორის: „გაფრენილი წეროები“, „ბროწეულების ცეცხლი“, „გულისცემა“ და სხვა.

ნოდარ შალვას ძე შამანაძე დაიბადა 1930 წელს საჩხერის რაიონის სოფელ მერჯევში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1950 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში“. ლექსების პირველი წიგნი („სიჯაბუკის გზაზე“) გამოვიდა 1957 წელს, მეორე წიგნი „სულმა სულში ჩაიხედა“ 1964 წელს და „იმედის თეთრო ყვავილო“ 1967 წელს. ნოდარ შამანაძეს 1969 წელს გამოცემული აქვს მოთხრობების კრებული „სამახარობლო“.

მორის თომას ძე ფოცხიშვილი დაიბადა 1930 წელს ქალაქ თბილისში. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 1950 წელს, ხოლო პირველი წიგნი („ალუბლები წვიმაში“) 1957 წელს გამოვიდა. პოეტი ლირიკული ლექსების რამდენიმე კრებულის ავტორია. მათ შორისაა: „გული დაეძებს გულს“, „ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი“, „ხმა“, „რწმენა“. პოეტმა გამოაქვეყნა საბავშვო ლექსების რამდენიმე წიგნიც.

თარგმანებიდან აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი ლექსების კრებული „მსოფლიო პოეტები დედას“.

ნოდარ შალვას ძე ნარსია დაიბადა 1931 წელს აბაშის რაიონის სოფელ ძველ აბაშაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1952 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. ლექსების პირველი კრებული („სიმღერის დაბადება“) გამოვიდა 1960 წელს. შემდეგში გამოცემულ იქნა მისი წიგნები: „მზეს გამოჰყვევით“, „ლამაზო დღეო“ და „ლექსები“.

ჯანსუღ ავდიდის ძე ჩარკვიანი დაიბადა 1931 წელს ცაგერის რაიონის სოფელ სურმუშში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1951-52 წლებში ჟურნალ „მნათობსა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში“. 1959 წელს გამოვიდა პოეტის პირველი წიგნი „ერთი ღამის სიჩუმეში“. შემდეგ წლებში გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია: „გრძელი დერეფანი“, „ფერადი მერიდიანები“, „აყვავებული მზე“, „ლირიკული პოემები“, „მუქღვერ—მზე მიდის“, „ჩემი კალენდარი“ და „რწმენის კედელი“. პოეტს გამოცემული აქვს საბავშვო ლექსთა კრებულებიც.

თამაზ ივანეს ძე ჭილაძე დაიბადა 1931 წელს ქ. სიღნაღში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში“. 1956 წელს გამოვიდა პოეტის პირველი წიგნი.

გამოცემული აქვს ლექსების კრებულები: „ღია სარკმელი“, „მზის საათი“ და „ივლისი“.

„გასეირნება პონის ეტლით“ თამაზ ჭილაძის პირველი პროზაული ნაწარმოებია.

1966 წელს გამოქვეყნდა თამაზ ჭილაძის რომანი „აჰა, მიიწურა ზამთარი“. იგი ავტორია პიესა „აქვარიუმისა“.

ანზორ სიმონის ძე აბულაშვილი დაიბადა 1932 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1952 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, ხოლო ლექსების პირველი წიგნი 1961 წელს გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“.

გიორგი სპირიდონის ძე კაპანაძე დაიბადა 1932 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირში. მისი პირველი ლექსების ციკლი დაიბეჭდა ქუთაისის გაზეთებში „სიმართლესა“ და „ქუთაისში“, ხოლო ლექსების პირველი წიგნი 1966 წელს გამოვიდა. პოეტი ავტორია ლირიკული ლექსების ორი კრებულისა „ლურჯი საათები“ და „გაზაფხულის ზარები“.

ოთარ ირაკლის ძე შალამბერიძე დაიბადა 1932 წელს თბილისში. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1950-51 წლებში გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტსა“ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში“. 1957 წელს გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა პოეტის პირველი წიგნი „ლირიკული აპრილი“.

ოთარ შალამბერიძის დღემდე გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია: „ჩემი ოცნების თანამგზავრი“, „სალამური და თეთრი ცისკარი“, „ღია ბარათი“, „ლექსები“ და „სიშორე და სიახლოვე“.

ვახტანგ რომანის ძე ჯავახაძე დაიბადა 1932 წელს ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1947 წელს „ნორჩ ლენინელში“. 1957 წლიდან ვ. ჯავახაძის ლექსები სისტემატურად იბეჭდება ქართულ ლიტერატურულ პრესაში. 1959 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების პირველი კრებული „საყვარელი ქარები“. გამოცემული აქვს აგრეთვე წიგნები: „ნაწვიმარი ქუჩები“, „ფერადი ჩრდილები“, „ათასი მზე“ და „სამხრეთი“.

ტარიელ პროკოფის ძე ჭანტურია დაიბადა 1932 წელს. ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსაში. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა 1952 წელს ჟურნალ „დროშაში“. ავტორია რამდენიმე პოეტური კრებულისა: „ლტოლვა“, „საქანელა“, „ქვა და ომი“, „გაღმა ნაპირი“ და „ახალი მთვარე“. თარგმნილი აქვს რუსული და უცხოური პოეზიის ნიმუშები.

ზაურ ემელიანეს ძე ბოლქვაძე დაიბადა 1933 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ გუთურში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1952 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“, ხოლო ლექსების პირველი წიგნი გამოვიდა 1960 წელს. პოეტი ავტორია ლექსთა კრებულებისა: „მიწის სიმღვანე“, „ლექსები“ და „ვარსკვლავები“.

გივი ილიას ძე გეგეჭკორი დაიბადა 1933 წელს ქალაქ თბილისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში“ 1952 წელს. 1963 წელს გამოვიდა პოეტის ლექსების პირველი წიგნი „მზიანი დღე“. იგი რამდენიმე კრებულის ავტორია.

გივი გეგეჭკორი ამავე დროს მუშაობს თარგმანებზე. 1968 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა მის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი „ფრანგული პოეზია“.

მედეა ილიას ასული კასიძე დაიბადა 1933 წელს ყვარლის რაიონში ახალსოფელში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ 1951 წელს. ლექსების პირველი წიგნი გამოსცა 1955 წელს. პოეტი რამდენიმე კრებულის ავტორია: „განა წყარო ვარ“, „ინდი-მინდი“, „სიყვარულს უშენებია“, „სადა ხარ, ჩემო მებაღეო“ და სხვა.

ოთარ ივანეს ძე ჭილაძე დაიბადა 1933 წელს ქ. სიღნაღში. პირველი ლექსები დაბეჭდა 1952 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის ალმანახ „პირველ სხივში“. 1959 წელს გამოვიდა მისი ლექსების წიგნი „მატარებლები და მგზავრები“.

ოთარ ჭილაძე ავტორია რამდენიმე კრებულისა. გარდა ამისა ცალკე წიგნად გამოვიდა მის მიერ თარგმნილი ედ. ბაგრიცკის ლექსები, ალ. პუშკინის „რუსლანი და ლუდმილა“, და „პოლტავა“, ჰ. ლონგფელოს „სიმღერა ჰაიავათავაზე“ და რასინის „ფედრა“.

ხუტა ლავრენტის ძე გაგუა დაიბადა 1935 წელს გულრიფშის რაიონის სოფელ ბამუშარაში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1957 წელს გაზეთ „ნორჩ ლენინელში“; ხოლო ლექსების პირველი წიგნი („კვირტების ფეთქვა“) 1958 წელს, მეორე წიგნი „ხმა იდუმალი“ — 1964 წელს.

ემზარ დავითის ძე კვიტაიშვილი დაიბადა 1935 წელს თბილისში. მისი პირველი ლექსი გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ 1957 წელს.

ემზარ კვიტაიშვილი ავტორია ლექსების სამი კრებულისა. ესენია „გზაში ნათქვამი სიმღერა“, „მწვანე ფიქრები“ და საბავშვო წიგნი „ქეთინო და თოჯინა“.

რეზო ბიძინას ძე ამაშუკელი დაიბადა 1936 წელს ქალაქ ქუთაისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა 1957 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“. ლექსების პირველი კრებული გამოსცა 1964 წელს. მეორე—1967 წელს, მესამე კი — 1970 წელს.

ლია შალვას ასული სტურუა დაიბადა 1939 წელს თბილისში. მისი პირველი ლექსი დაიბეჭდა ჟურნალ „პიონერში“ 1954 წელს, ხოლო ლექსების პირველი კრებული („ხეები ქალაქში“)—1965 წელს, ლექსების მეორე კრებული „მზე დედაა ჩემი“ — 1968 წელს.

ბესარიონ (ბესიკ) სილიბისტროს ძე ხარანაული დაიბადა 1939 წლის 11 ნოემბერს თიანეთში. პირველი ლექსი დაბეჭდა ჟურნალ „დროშაში“ 1956 წელს. ხოლო ლექსების პირველი წიგნი გამოსცა 1968 წელს.

ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია

სარჩევი

გამომცემლობისაგან 5 6

ალექსანდრე აბაშელი — ახალ საქართველოს . ლენინის ხსოვნას . უცნაური ამბავი . ჩემს კოლეგას . არ მოუშვა, დაჰკარი . მამის სიკვდილი . წერილი ნოე ჩხიკვაძეს . ღვინობისთვეში . აპრილი . ** ბებიაჩემი მოკვდა . . . . . 9—16

გიორგი ქუჩიშვილი — საქართველო . ვინ არის იგი . საყვედურზე საყვედური . მთათა დაპყრობა . ყორნის ჩხავილი . უცაბედი სტრიქონები . ჩემი სოფლიდან . მაინც მარადჟამს . 17—23

სანდრო შანშიაშვილი — ჩემი ბილიკი უნაყოფოდ არ მითელია . მოდი, ვუმღეროთ . მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში . დედისერთა ლენინთან . ახალ საქართველოში . გაზაფხულის სიმღერა . ომგადახდილო ვაჟკაცო . ჩემი სახლი ჯუგაანში . ზღაპარი იყო . როცა თქვენთან აღარ ვიყო, ვაჟებო . . . . . 24—30

იოსებ გრიშაშვილი — სამშობლოსადმი . გამოთხოვება ძველ თბილისთან ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს . ლენინის მოედანი . გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში . „ვეფხისტყაოსანი“ და ჭიაკოკონა . ჩემი აღმართი . აპრილი თბილისში . დავბერდი? არა . გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე . ერთი დღე თბილისში . მეისტორიეს. წიგნი დახურე . კიროვის ბაღში . ნამცვრევი . სადღეგრძელო . 31—40

ვალერიან გაფრინდაშვილი — ისეთი ლექსი . რიონს . საოპერო თეატრის ქანდარიდან . აუქციონი . ძველი პალტო . სოფლისაკენ . თ-ს . ბოლნისის სიონი . ზღვა . . 41—47

ნოე ზომლეთელი — საქართველო . სამჭედლოში . გურია 48—50

სანდრო ეული — სიცოცხლე შემინახოსა . ახალგაზრდობავ, მედგრად, წინ, მაღლა . მრავალჟამიერ . ჩვენი კოშკი . . . . . 51—53

მარიჯან — ბედნიერი ვარ . ** ბუხრის პირად . ჩვენც დავშორდებით . გრიშაშვილი . მოდის სიზერე . . . . . 54—56

კონსტანტინე ჭიჭინაძე — საქართველოში ციხეა ორი . კავკასიონი . ახალგაზრდა დიასახლისი მთაში . აკვარელი . ყანჩის ფიტული . ბარაკონი . ეზოებში . რიონის აპოლოგია 57—65

ბალაკტიონ ტაბიძე — ჩვენ, პოეტები საქართველოსი. პროლოგი 100 ლექსის. რევოლუციურ საქართველოს. ყველას რაიმე აქვს სახსოვარი. სამშობლოს. ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ. ეფემერა. შინდისის ბადრებს. ეს მშობლიური ქარია. ქარი ჰქრის. გახედე: კახეთი. ქარი ქანაობს ქნარად. ბორკილის მეტს ის არაფერს პკარგავს. არიან დღენი. იშლებიან ყანები. რა დროს რომანსეროა. რა ამოძრავებს კიპარისის ტანს. ყანები. მატარებელი. დამწველი თავის სიმშვენიერით. მშობლიური ეფემერა. მივალ, გადავკოცნი. შენ რაღას იტყვი. ყანა. იდეა. ბავშვები კაფეში. ** რიცთვის მაგონებ. მშობლიურო ჩემო მიწავ. ** წყალტუბოდან ქუთაისში. წამყე ბეთანიისაკენ. მე კავკასიის ქედები მთხოვენ. სტანსები. ქალავ. ვწერ ვინმე მესხი მელექსე. ჩანგო, ბევრი კარგი დრო. ქებათა ქება ნიკორწმინდისა. ** შარშან ჩვენი. ** მიდიხარ... ისე. . . . . 66—86

საფო მგელაძე — თერგს. თუშები. იებს ამბორიც გამოპყვა თანა 87—89

ნესტორ მალაზონია — ბარათი. სარძლო. მომავლის ხმა დილა. ქვიშხეთი. ** ეს ცხოვრება. 90—92

პაოლო იაშვილი — პოეზია. ლენინს. ევროპა. თბილისი ელენე დარიანის წერილი ანა ახმატოვას. ლილი მეუნარგიას. როგორც აფრის ტკაცუნი. აფთიაქარი. სოფელში. ზემოური რთველი. ** წმინდაა ზეცა. ლირიკული მისამართიდან. რიონი იცვლის კალაპოტს. დებედაჩაის ღამე კარგი დარი. ბავშვები. შორეული ზამთარი. საკუთარ თავს. . . . . 93—105

ტიციან ტაბიძე — ლექსი მეწყერი. ამოდის ნათდება. ანანურთან. მაშ გ-მარჯობა. მე უაჩაღებმა მომკლეს არაგვზე. მუხრანის ველზე სათქმელი ლექსი. ალავერდობა. ილაიალი. გომბორის მთაზე. იმათი იყოს ეს სადღეგრძელო. სერგეი ესენინს. ოქროყანა. შეხვედრა კონსტანტინე ბალმონტთან მოსკოვის ახლოს ტყის ქალაქში. კახეთში. რია-რია . . . . . 106—116

კონსტანტინე გამსახურდია — ისლის სახლი. ** მე მყავდა დედა. ** ზღვისფერი გაქვს თვალები და. ფარვიზისადმი. ძაბული. დაუკარ სანჯი . . . . . 117—119

გრიგოლ ცეცხლაძე — როგორ არ ვეტრფოდე გურიის მთა-გორებს. წიფინელა ჭრელო. მე სიჭაბუკის მინდა ისევ განმეორება. ჩემი ხნის კაცი როს კვდება . . . . . 120—123

შალვა აფხაიძე. — ** არც ნაღველია. ია-ია. ვარდობა იყო. ** ეს იყო წინათ. ** დღე გაიზარდა 124—126

სიკო ფაშალიშვილი — ჩემს ახალ მზიურ საქართველოში. მოდი, მოდი, გაზაფხულო. მღეროდე. ** კავკასიონო, რიონო. . . . . 127—129

კოლაუ ნადირაძე — მე მიყვარს დილა. თბილისში. დილის სიმღერა. წიწამურიდან საგურამომდე. პოეტს. შენ ჩემში ცოცხლობ. ზღვასთან. შემოდგომის სტუმრობა. ზღვის პირას. ორი ქოჩორა. თოვს. ბევრი არ მითქვამს, მამულო, შენთვის. კოლმეურნე ქალს. იმერეთი . . . . . 130—139

ხარიტონ ვარდოშვილი — ქვის ვარსკვლავები. გურიისადმი. სიმღერა. იისფერი ქალი. ** ზეცამ ჩამოთვალა . . . . . 140—142

ვასო გორგაძე — ოღონდ სამშობლოს ნერგმა იხაროს. შვილიშვილს. ნიავო. ჩუმად. ახალი თბილისი . . . . . 143—145

ილო მოსაშვილი — ცხოვრების გზაზე. უღელტეხილზე. მოგონება. მყინვარებში შეხვედრა. წყევლა ჯიხვისა. ღამე ტყეში. ოქტომბრის თაობას. . . . . 146—152

ანდრია სინაური — მოდი. ჩიტუნავ. საყვედური 153—154

ნიკოლო მიწიშვილი — ათი წელი. გემი „აფხაზეთი". ** არის სიტყვები. ლადო კეცხოველი. პაჯი მურატის მოპრილი თავი. . . . . 155—159

რაჟდენ გვეტაძე — ბავშვობა. ია მოსულა. ჩოჩორი. წვიმიან დღეს. სიმღერა შალამბერიძეზე. მერკვილაძის დები . . . . . 160—164

ტერენტი გრანელი — სულის ცეცხლი. სიცოცხლის გრადაცია. ** მიდის ფერწასული დღე. სიჩუმე და სიმარტოვე. ქალის აგონია. უმიზნო ხეტიალი. ვანო სარაჯიშვილი. ახლა არ ვდარდობ. ** ახლა ეს გრძნობა. ** სადაც სდუმს მთები. ** დადგა სეზონი, ყვავილის. გაზაფხულის საღამო. დამწვა საკუთარ ალმა. შენს მოლოდინში 165—170

გიორგი ლეონიძე — ვუმღერ სამშობლოს. თუკი ეცოცხლობთ—სიმღერების იმედით. სიმღერა პირველი თოვლისა. ივრის პირად. მყვირალობა. ნინოწმინდის ღამე. უჯარმის ნანგრევები. ლამე ივერიისა. ყივჩაღის პაემანი. მე ვკითხულობდი „ქართლის ცხოვრებას". „დედა ენა". „ვეფხისტყაოსანს". ნინო ჭავჭავაძეს. მეტივეები. მაშ. რა ვუყოთ. პოეტებო. ვაჟა ფშაველას. გაზაფხული. არ დაიდარდო. დედაო. ოლე . . 171—185

ალექსანდრე ქუთათელი — ** ცის მნათობების მცნობელი. გაზაფხულის მობრძანება. ატენი. მერცხლები. . . . . 186—190

. პოლიო აბრამია — გულს. შესანდობარი. ნასაკირალი. კაკლის ხეები. ხიდზე ვდგავარ. . 191—193

იონა ვაკელი — სამშობლო. ხელები. ** მზე ამოვიდა. . 194—196

არნო ონელი — რაჯა. ნიავი. ხარები. გვახარებს შენში მეგობრის ცნობა. ღრუბლის ხომალდებს სანამ ლურჯი აფრები შვენით . . . . . 197—199

ნიკოლოზ ჩაჩავა — გული. ეს გაზაფხული უცებ მოვიდა. ჩემი პასუხი მკურნალ ექიმებს. მუსიკის ხმაში. არწივზე მაღლა . . . . . 200—202

დავით გაჩეჩილაძე — ძახილი უკვდავებისა. სიტყვა გენერალ ლესელიძის გარდაცვალებაზე. კრწანისი. სალამური. საწუთროს გზაზე. ძველ სიმღერას როცა ვუსმენ. და გამოვიდა მთესვარი თესვად. რარიგ სხვა იყო . . . . . 203—211

ვიქტორ გაბესკირია — გახსენება ნათესავებისა. მეზობლებისა. ზღვისადმი. გზაზე გაფიქრებული. შენ ხომ ამ ომში პირველი წახველ. ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები. ** კარგი კაცი. ** მე მიხაროდა. სამძიმარზე. ** აქ ეწერია. სიმონა დოლიძე. ის იღიმება. ზამთრის დილა ჩემს სოფელში. ცხრა ძმა ხერხეულიძე. ფიქრიე. მანეკენი. ახალგაზრდა ქვრივი. ისევ ზღვისადმი . . . . . 212—219

ალიო მირცხულავა — სამშობლო. ლენინი. ხორგა. დამკვრელი ბრიგადები. პიმნი სამშობლოს. გაზაფხული. დგას ორი ქალაქი, ორი ძმადნაფიცი. სიმღერა გამარჯვებისა. ძმები. 1945. ჩანგი და მშვილდი. არ გამაგონო. ვერხვი. სამიჯნურო. აკვანი. ხობის პირად. მე და ზაფხული. . . . . 220—231

სიმონ ჩიქოვანი — ვინა თქვა. ირმები კალოზე. აპაა. დედაჩემი. ძველი მცხეთა. ბროწეული. პიტიახშის სამარეზე. მერცხლის ბუდე. მამულს ეუთხრათ გამარჯვება. გამოთხოვება და ომში წასვლა. **არის სიყრმის. მგზავრის სიმღერა. შოპენის საფლავისაკენ. დაბრუნება თბილისში. ** მე მომხვდა. მამელუკები. ხმელი წიფელი. ** არ მშორდება . . . . . 232—241

კალე გოგოხიძე — სამშობლოს. ყორანი. ** ვინ დაინახავს. ბახმაროდან—ბახვისწყალზე. ჩემი ქვეყანა. მითხრა გოგონამ. ოთხი დრო. ** ამ ცას . . . . 242—245

კონსტანტინე ლორთქიფანიძე — ერთი მათგანი. მერის. დედას. ზამთრის პირას. გამოთხოვება . . . . . 246—249

ვარლამ ჟურული — ** უტევს გრიგალი. გაწყვეტილი სიმი. ვაზის მამა. ჩემი მერცხალი. დაკარგული ლექსი . . . . . 250—252

კარლო კალაძე — შავი ზღვის პირად სახლი ავაგე. ** ზღვაში რომ გაეალ. ენგური ქვევრები. სიმღერა. ტოროლა. არაკი ბუხრის წინ. მედოქეები ეტლი გზაზე. ქვა. მამა. . 253—268

გიორგი კაჰახიძე — მეც ჩემებური გუთნისდედა ვარ. მიწის სურნელი. ეზოში ლურჯას სიკვდილი. ** ეს ცელქი ბიჭი. ღამით სოფელში. შემოდგომაა, იმერეთია. სამშობლოს ნათელი. გასწი, გაიდგი ყველგან ფესვები. თქვენ რომ არ იყოთ. სიმღერა ჟაღარაზე . . . . . 269—276

ალექსანდრე შანიძე — ეგავარ რიჟრაჟზე აფრენილ მერცხალს. მგზავრს მთებში შემომაღამდა. დალოცე, მამულო . . . . . 277—278

მარიკა ბარათაშვილი — შენ ოციოდე გაზაფხული იკმარე მხოლოდ. საპოენელა. მომიხვალ. მჯერა. მხოლოდ ია და ქრიზანთემები . . . . . 279—281

გონდო კეშელავა — გუთნისდედაო, ქართველო კაცო. ცაო მაღალო. მომღერალს. ლოდინი. შემოდგომა მთაში. მე და წისქვილი. გაგიგონიათ ყივილი გედის. მოხუცის ფიქრი. სიხარულის დღეები. ** რასაც შენ ეტრფი. . . . . 282—287

ირაკლი აბაშიძე — ** ვერაფერს ქვეყნად. მცხეთა. ჭომა. მამა. კაპიტანი ბუხაიძე. სამი ციხე. პოეტის გული. ** სტრიქონში. მონადირის ღამე. აქ დავსახლდები. ხმა კატამონთან. შემოდგომა. ჰიმნი სიცოცხლეს დედამიწაზე. ** პოეტს არ წყალობს . . . . 288—297

მაყვალა მრევლიშვილი — ** გარმონით. მეუღლენი. პირმშო. ** ქორფა იებმა. ** შეგრძნება. რაღაც. ** ტოტებზე ვერცხლი. ერთი ყუნწმოკლე წითელი ვარდი. მამა. ქვიშხური ეტიუდებიდან. ** არ შეირჩინო . . . . . 298—302

ილია ხოშტარია — იქ გუგუნებს. ** შფოთავდნენ მტკვარი. იხაროს ვაზმა. ** უკვე სამოცი. ** სულ წინ მიჰქრის . . . . . 303—304

გიორგი სამხარაძე — არის წუთები გასაოცარი. საღამო. სავსეა ჭურები. ბეღლები. ძველი ჟადარი. . . . . 305—306

გიორგი შატბერაშვილი — ყვავილის მიწა. დიდ ხელებს. ქართლი. წარწერა მეგობარ პოეტის წიგნზე. სამაია. ა იმ მთაზე თოვლიანზე. ადრეა. ტიციან ტაბიძის გახსენება. ტივის ხე. შუადღე. „ჟამი ესეცა წარვლის“ . . . . . 307—312

ალექსანდრე გომიაშვილი — წუთისოფელი. ადგილის დედა. უკანასკნელი დღე კეცხოველისა. ბაზალეთის ტბა. გუდამაყარი. ხევის პატარძალი. მწყემსის სიმღერა. შავი კლდე. რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა. ჯიხვი. ისევ ეძახიან გერმანიას . . . . 313—325

ანდრო თევზაძე — ადამიანმა დაიპყრო ზეცა. სარფში. ლიხის მთიდან. . 326—328

გიორგი კალანდაძე — თერგდალეული. შადრევანი პუშკინის ბაღში. დე. დაილოცოს. საჯარო ბიბლიოთეკის დარბაზში . . . 329—332

სამუელ მოძღვრიშვილი — ო. ისრაელო. შენს გულთან ახლოს. ფუტკარი ღირდა თუ არა . . 333—335

სევერიან ისიანი — ნახევამდის. გაანადგურე. ჩემს ლურჯას 336—337

შაქრო სამადაშვილი — ნატერა. მამულიშვილს. ** რით, როგორ. ცხრა მაისი. 338—339

ბრიბოლ აბაშიძე — ოქროს ვენახი . გაზაფხული . ლენინი სამგორში . სანაპიროზე სამი ფანჯარა . ყვავილი სანაპიროსი . შვიდასი წელი . ერთი მუდარა . ჯაჭვგაუხდელი . ოცნება უფლისწულისა . ჯიგთახათუნი . ** საწუთრო . თბილისი . სვენწკის ჩვენება . ძევახ პიტიახშს . ნერგები . შემოდგომა . განმეორდება . დედასთან . ** ვდგავარ, ვიგონებ . მინაწერი აკლდამაზე . . . . . 340—349

ალიო ადამია — სიყვარულის და სიკვდილის ბალადა . . 350—353

ვლადიმერ უბილავა — უტუ მიქავა . ნანა . გაიშრიალებს ფრონტზე ფარაჯა . . 354—355

ალეკო შენგელია — ანდერძი . მეოცნებე . შველი . თამარის ციხე . მოველ სავანეთს . ნუკრია . წამოდი ჩემთან . კოლხური შემოდგომა . ჩემს სამ ძმას სამამულო ომის მონაწილეთ . ამწეები . დილის შემოსვლა . ჯარისკაცი ბრუნდებოდა . გაზაფხული და ქალიშვილები . საპატარძლო . ზამთრის ღამე . თეთრი წისქვილი . ზარები . მოგონება . ზღვასთან . შვილიშვილი . იური გაგარინს . . . . . 356—365

გაბრიელ ჯაბუშანური — ვეფხვი . მშვიდობით . მიმწუხრის სიმღერა . ღილღური კატა . ** მე პოეტობა . მოყვასთან შესიტყვება . იცით, მე ვინ ვარ . ყალბი თავმოწონება . ქვა . ** ცას რომ შეეძლოს . . . . . 366—370

არჩილ გურჯიძე — ნეტავ სადა ხარ . ერთი წუთით . . . 371—372

შალვა ამისულაშვილი — ორი ობელისკი . წიწამურის გზაზე . თალარი . ბახტრიონთან . შემოგძახებენ . ჭიდილი სიტყვასთან . . . . . 373—377

რევაზ მარგიანი — მირანგულა . მეწყერი . მე უბით ვატარებ პატარა ბარათს . ჩემი კერა . დერეფანზე ხორბალი მაქვს . მთის კალთაზე სახლი მედგას . შენ გინახავს სვანეთი . არწივები . მარილი . როცა დავმშვიდდე . ჩემს ძველ ბინაში . ნინო ჟღენტს . ჯიხვი . ოია ოიალე . ბიბა . . . . . 378—389

ალექსანდრე საჯაია — წყარო . სამშობლო ჩვენია . ოლეგ კოშევოი . ცისარტყელა . სოფელი ბიჭი . ძველი ჩონგური . ასეთი ტანი . ზამთარი . ბორის ძნელაძის ძეგლთან . თოვლის ქალი . სვანური მოტივებიდან . თოვლი თოვს . . . . . 390—394

მამია ვარშანიძე — ** ვინც მოსჭრა . სოფელი პირიმზე . პატარა ღელე ჩვენს შორის ტირის . . 395—396

ლადო ასათიანი — სალაღობო . კრწანისის ყაყაჩოები . არ ვიცი ასე რამ შემაყვარა . საქართველოში . ქართული . ენა . მანანა ორბელიანის სურათზე . ბარდნალა . ნამკაშურის წისქვილები . ფიროსმანის დუქანი . ცხრა ძმა ხერხეულიძე . ქართლის გზაზე . ** რუსთაველის პროსპექტზე . ** როგორ არ მინდა . ციხის სიზმარი . აბასთუმანი . გულბაათ ჭავჭავაძე . ნადირობის შემდეგ . ** ამ ხეივანში . სარწყული . . . . 397—411

მირზა გელოვანი — ** ქართლის მიწავ . განშორება . მელოდე . გმირობას მისას . მეგობარ პოეტს . ნუ მწერ . ოი, ბავშვობის დღეებო . აონი . ცხრაკარა . . . . 412—417

გიორგი ნაფეტვარიძე — ნახვამდის . უსათაურო ლექსი ფრონტიდან . კერასთან ჩემი პატარა დები . . . . . 418—419

იოსებ ნონეშვილი — ** სატევარი . არის ასეთი ქვეყანა . აი, კახეთი . შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა . ** შენ არა გაქვს . შემოდგომა თბილისში . უკუღმა სონეტი შაჰ-აბასს . გამიგონია, მთვარიან ღამეს . ** ნუ ხატავ . ** რას გიყურებ . ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია . ორი გასაღები . უსახელო ყვავილი . ბევრი იარა, თუ ცოტა იარა . საუბარი ნაძვებთან . ** ადამიანი მთვარეზე დადის . შორეულ გზებზე . შენ სიყმაწვილის . . . . . 420—432

ზურაბ ლორთქიფანიძე — საღამოისას . სამჯერ დარეკა . საქართველოში ხშირია მუხა . თოვლის ფიფქის საყვედური . ამ კედლებიდან . გაზაფხულის წინ . კაცი თუ არა . თბილისი ისე შორს იცქირება . ჩემი სიცოცხლე . მესაზღვრე . შენ—საქართველო . ორი სილამაზე . მე რა მაცოცხლებს . . . . . 433—438

ლადო სულაბერიძე — ელვა . ჩიტები . სანგარი . ბებია . როსინანტი . ათი ნაბიჯი სიცოცხლე . ოცნება . . . . . 439—445

შალვა ფორჩხიძე — ნუგეშო ჩემო . ** შენი დეპეშა . წიქარა, მე და მწვანე ვენახი . თუბალი მოდის . ჟამი ამზევების . წიფობელა . საწინდარი . ჩემი სიცოცხლის შუა მინდორში . ** ტყეების მიღმა . მე შენთან მოვალ . ** შევდივარ ხავსით . ** გახედე . თეთრი ხელებით მეთხოვება თეთრი აპრილი . დაიძრნენ ქარები შემოდგომის . კაცხის სვეტი . . . . . 446—456

შოთა აკობია — გლეხკაცის ხელი . მაყრული . უკანასკნელი მეუნაგირე . ** წვიმით დანამული . ** ვაზი რომ ტირის . აღმართზე . . . . . 457—458

ვასილ გვეტაძე — ვასილ კიკვიძე . ხალხური მოტივებიდან . მამის სათვალე . . 459—461

ვახტანგ გორგანელი — დაჭრილი არწივი . ბრძოლის შემდეგ . ახალი წელი ფრონტზე . დაბრუნება . ფრონტელ პოეტებს . ფშავში დგას ერთი პატარა ქოხი . ძმებო, დავლოცოთ გმირთა მარჯვენა . შენით დაჭრილი . კიბეზე. ფორე . . . . . 462—469

ვახტანგ ნადარეიშვილი — ** პა, მომცრო წიგნი . ** შენ თურმე . კვალი სილაზე . სექტემბრის დილა . თამარ ქვაში . . . . . 470—472

ზაქარია შერაზადიშვილი — მეტივეები . დაწალიკებულ იორში . ანო, ბანო . მაშინ იწყება . ხეორაზე წისქვილი მაქვს . ვენახი ნავენახარზე . შენ რომ თუნგი ჩაგივარდა ჭაში . შემეძინება . ფიჭვი . ანანური . სიტყვის გამტეხი . უცხო ბაგიდან . . . . . 473—479

მურმან ლებანიძე — ** ბერნუში დაგიხატია . ** მოცოცავს . დათვები . ** პირმოღუშული სახითა . ** მე თუ გავმდიდრდი . ** გაზაფხული შემოსულა . მესტვირის სიკვდილი . ** მესამე დღეა . ლადო . მამა . ** —ეოი. რა, მახსოვს . ფიქრები . ** ეფრაფერი გამიგია . სანადიროდ დავდივარ . ** უპირველესად ვაღმერთებ ქართველს .** ოთხი ათასი წელიწადი . ანისის აღება . ** გადასახდელი გადამხდა . . . 480—497

გიორგი სალუქვაძე — საღამო... შავი ზღვის სურათი . ** ისევ გადახუჭუჭდნენ . ომის ღრუბლები, ჩემი გოგონა და ალუბლები . იძინე მშვიდად . ** ამ კლდიდან . სეინერები . ** აღარ გრიალებს . . . . . 498—501

ალექსანდრე ბებაშვილი — მგოსნის საწოლთან . კოჭლობა არ დარცხვენოდა . კვირტებს ვუკოცნი . . . . . 502—504

აკაკი გეწაძე — ციცინათელა სანგრებში . მაყრობა . სულში შრიალებს იმედის ოლე . მზის გაღვიძება . . . . . 505—507

თეიმურაზ ჯანგულაშვილი — ვისლის ღამეები . გერმანიაში . მშენებელი . ფაჩუჩები . წითელი კაბა . სიმაღლეები . . . . . 508—515

ხუტა ბერულავა — ვლადიმერ ლენინს . სიჩქარე . ** შენ ხარ . ** ყოველ გაზაფხულს . ** ხევსურო მელექსეებო . ** ხარ დაჭიმული . ისევ: მამა . ** როცა ძალიან . ასტრონომები და პოეტები . ეპიტაფია სვეტიცხოველის აღმშენებლისა . მეგობრის პორტრეტი . მშობლიური მელოდიები . ეს ოცი წელი და გაოცება . ზამთარი, 1969 . ომის დღეები . ამბავი თბილისის დაბადებისა . . . . . 516—528

ნანა გვარიშვილი — ჩადრების ჰიაკოკონა . მტკვარს . როცა გულს გთხოვ . მთაწმინდაზე . შეხვედრა ქართან . ნუთუ . მაყრის მოლოდინში . . . . . 529—531

ანა კალანდაძე — საქართველოო ლამაზო . ** ბერა საზანდარს . თუთა . ასეთი დარი თუ იყო მაშინ . შემოდიოდა ჩვენში კალანდა . ** შენ ისე . მე მივაშურებ ურარტუს ქვაბებს . მოდიოდა ნინო მთებით . ჟუჟუნა წვიმა მოვიდა . ო, მე კი არა, გული ხარხარებს . ** დუმს მკვდარ დუმილით . რა მომწონს უფრო . კარში გამო ჭია-ჭია მარია . რა ვარ? სტვირი ვარ . ომი ხომ... დამთავრდა უკვე . ბოშა ქალი . ** ეპეი, მებორნეე . ფშავში . ყაყაჩოსა სიწითლითა . ** რომელი ჩიტი . ჰექდა მაზურკა . ** ორი ქვეყნის . ბერდედას—ლელა წიკლაურს . ** გსასოებ ისევ ** თქვი . დამილოცეთ, ძმებო . შიომღვიმში . ** მე ლამაზი. . . . . 532—544

ოთარ მამფორია — ცარიელი სკამი . გაიქცა ბავშვი . წიგნები თოვლში . წიწამური . მეტოქენი . მარელა . ** ქალები ამბებს . დაბადების დღე . დრო—მონადირე . სვანური კოშკები . კალენდარი . . . . . 545—550

ოთარ ჭელიძე — წერილი შვილს პიონერთა ბანაკში . ძველი რექვიემი . ქიტესა . ჯაჭვის ხიდი . დაუპყრობელი მწვერვალი . ბეშტაუს ბალადა . ვეფხის ბალადა . შაურიანი წვიმა . ევა . ბუბა . ჟუჟა ალმაში . დამშვიდება . ბორის პასტერნაკს . ბერიკაცებო . კუმორდოს ტაძარი . ორი მარაბდელი . . . . . 551—562

ოთარ კუპარავა — სამი ოთარი . ნატო ვაჩნაძის ხსოვნას . ორი ხმა . დაჭრილი ხევსური . . 563—565

შოთა ლომსაძე — მთები . სადღეგრძელო . ** ხანდო . ** იქით ბადელა . . . . 566—568

სილოვან ნარიმანიძე — მე გავიგონე ძახილი შენი . ეეი, ნაკადულო . რა გზებს, რა ხიდებს . ისევ იგალობებს უსიერ ტყეში . გაბედულება, გულო ჩემო . . . . . 569—571

მიხეილ ქვლივიძე — ** უჩემოდ ქვეყნად . დახვრეტა . უშბა . ზღვა . უკანასკნელი ბრძოლა . ** ის ქალიშვილი . ** მესიზმრებოდა . ქალი . აეროპორტი . ტიუ . ** ის მაინც ბრუნავს . ქართული სალამი . სამგორი . ** წავიდა მამა . ** რაღაც ხელს მიშლის . ტელეფონი . ** იქნება-მეთქი . . . . . 572—580

ფრიდონ ხალვაში — დროშა . მითხარ, როგორაა მემლექეთი . მამიდა . თავისუფლება . ** მინდორში იდგა . საუბარი მეგობართან . მე არ ვიქნები შენი სტუმარი . ** იქ ჭაობიდან . ია . მამალი დიდ ქალაქში . . . . . 581—585

მურმან ქოიავა — ოკეანენი ვერ გადავსერე ზღვა მღერის ახლა . ქალი. რომელიც ნაპირზე დარჩა . შვილს არასოდეს არ დაუბრუნებს . 586—588

ნოდარ გურეშიძე — ** ეს გაუმარჯოს . ჩვენი საუკუნე . მე დავიბადე გემის კაპიტნად . იმერული მგზავრული . საქართველო . ბავშვები . ლომის სიკვდილი . სტუმარი . ნაცნობი დუმილი . ქართველი მეომრის საფლავი ლეოვში . . . . . 589—595

გივი ძნელაძე — ზამთარი . ** წარსულზე ფიქრი . ფიცი . მრწამსი . ნაცნობ ადგილთა სანახავად . სიცოცხლე . გული . ხათრი . გზა . ** ეს ზეცა და ეს მინდორი . ** . მე — დრო ვარ. . . . . 596—601

ემილიან ქურდიანი — შემოგბუბუნებ, ჩემო ღვთაებავ . როცა გიგონებ . ნადირობისას . . 602—603

ნაზი ჭილასონია — მარჯორი უორდროპი . გიო . პატარძალი . ოჩოკოჩი . მე რომ წავიდე . ვუგალიზ ბარადეს — დოელათის ღმერთს . მამა . საგალობელი სიყვარულისა . . . . 604—608

მუხრან მაჭავარიანი — ვითარცა მტკვარი . მიდის... მიდის . ტირიფები . საბა . არგვეთის წვიმა . ** რომ არ ამეღო . შემოდგომა . მიწურული მეცხრამეტე საუკუნისა ანუ იმერული ქელეხი . დიალოგებიდან . ვახტანგ მეფის ნანადირევი . ** ტა, ტა . ** ეს გზა, მეც ვიცი . ჭადარს ეტყვის ჭადარი . არსენას ლექსი . ** თენდება ნელა . ** ხორცი მასესხა მიწამ . ** ხორცის სიმძიმე . ** ცივი ქუჩები . ** მატარებლიდან . ბიჭები . ჩემს პატარა ნანას . ** იქ დაბრუნდები . იუმორესკა . ** იმდენი კარგი . ** ფართო ნაბიჯით . ** საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე . შენ. სისხლო ჩემო . . 609—624

შოთა ნიშნიანიძე — ბიჭო გოგია . იმერეთი... გიორგობისთვე . ** წამოდეღდი . ციხე-ტაძართა საგალობელი . ჯუჯა ხე . ვეფხვი . ხევსური . მიტოვებული ბუდეები . ** საით გაგექცეთ . ამორძალები . ხარი . მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი . ჩემი ქართულის მასწავლებელი . ბროწეულა . ** მაფშალია მომკვდარა . ჩიტები . ** მცხეთის ქალაქს . უნაპირობა . ** ჩემო საყვარელო ადგილებო . . . 625—640

ჯანსუღ ნიქაბაძე — ** აღმართულა ცამდე . ** პატარა ქუჩა . ორი ტრიოლეტი . ჩემი ზღვაური . 641—642

ზურაბ კუხიანიძე — ** სამოთხის ბაღი . ბუხართან . ** ციცქნა სოფელო . . 643—644

ნოდარ შამანაძე — დედას ლევანა . ** ჩვეულებრივ . ** ის როგორ იყო . ** ბაძულა . ** ბევრი დღე . უცნობ სოფელში . . . . . 645—647

მორის ფოცხიშვილი — ნადირობა . ** მე ის პატარა . ვინც ამ გოგოს გააცინებს . ** მიწდა . გაქცევა . კვირა დღეს ზოოლოგიურ პარკში . ალაზანთან . ლაზიერის გამბიტი . გახსენება . კოსმიური უღლება . ქვაზე ამოკითხული . ქარაგმა . ჭადრის ხე, რომელიც მანქანამ დაასახიჩრა . . . . . 648—655

ნოდარ ნარსია — მამავ, ბატონო . გამახსენდება . მე რომ გავფრინდე . ** სულგანაბული ედგავარ . ** გაზაფხულს თითქოს . . . . . 656—658

ჯანსუღ ჩარკვიანი — სადღეგრძელო . ბეთანია . ლამაზი სიკვდილი . შენი მერანის გზებით . გალობის ზარი . სურა . თოვლი . ვაჟა . ივერია . თოვდა და თოვდა . 1942 . მაღალი თაღი . იმედი . მე წამიყვანენ გრძელი დერეფნით . ძიება . უცხო ფრინველი . ლოდინი . ერთის პირობით . ჩემი თბილისი . . . . . 659—667

თამაზ ჭილაძე — მე მოგიყვეპი ძველისძველ ამბავს . შუქურა . დმანისის ქვა . არაგვი . იპოდრომი . ** სველი ფოთოლი . მატარებლები მიდიან ნელა . ყინწვისი . ** გემები წავლენ . ** ქალაქის თავზე . ** სულ ერთმა ჭიქამ . . . . . 668—672

ანზორ აბულაშვილი — ** ლურჯად ხასხასა . დამესიზმრება . უცნობი ჯარისკაცის საფლავთან . ბარათი . მაგელანი . . . . . 673—675

გიორგი კაკანაძე — კოლხეთში . ლურჯი ტყეები . სემირამიდა . ** ქალაქში . ** რატომ დამეძებ. ანანური . სიზმარი . ** მომკვდარიყავი . . . . . 676—678

ოთარ შალამბერიძე — ნაწვიმარი სოფელში . როცა პყეავიან მიხაკები . ნათია . ** შვილო . პატარა გოგო თხოვდება . ნავები თოვაში . ჩაფიქრება . მამადავითზე . ** მეზმანა . პარალელი . ღამის დარაჯი . . . . . 679—683

ვახტანგ ჯავახაძე — ** ბევრი რამ ხდება . ** ყავარჯნიანი . ** შენი სახელი . ** დედებს ** გულში იზრდება . ** ეს არის ომი . ** წვიმის ტოტებში . ** რა კარგი იყო . ** ხელი ყველაზე . ** ხმაურობდა . ** გამოწყდილ ხელებს . ** ეს დღეც . ** გადაწყდა . ** სადღაც აგებენ . ** რაც გამაჩნია . . . . . 684—688

ტარიელ ჰანტურია — გმირები . საქართველო . სამშვილდე . ** ახლა ყველანი . თოვლიანი ზამთარი. საღამო . ** მეც . იური გაგარინი უკვდავების სტარტზე . შოთა რუსთაველი . შემოდგომა . ** გადაფრენისას . თოვლიანი ღამით . ზამთარი . სახლის გადახურვა მთვარიან ღამით . გვიანი შემოდგომა . აგვისტო, სიცხე. ფიქრი . ბოჩოლა . მანეკენი . ჯვარცმა . ** მე რომ ვიცოდე . ** თიქორის წყალი . ** შაშვის ჩიჩახვი . პოეტის ბოლოსიტყვაობა . . . . . 689—697

ზაურ ბოლქვაძე — ჩემო მიწავ . უშბა . ჭუნირი . ** ვიწრო ოთახში . ** იგი მოხუცდა . ** გადაგიხადოთ რითი . ** კაცთ მისი . წეროები . მთები . ავტოპორტრეტი . . . . 698—701

გივი გეგეჭკორი — ლეგენდებისთვის და ბავშვებისთვის . ომის შემდეგ . ** ო, თუმცა . მოხუცი მშვიდი და უცნაური . ტყვიამფრქვევი . მარიხი . აპრილი . შინდი . . . . . 702—705

მედეა კახიძე — ** ვაეცე. ვაეცე . ნიკოლაძის ქუჩა . ** რამ დაუმოკლა . ** უშენოდ სკა ვარ . ** ჩემი სიცოცხლე . ** მო. სიყვარული . შენი სახლი . უკვე წასულად ჩათვალო უნდა . რადგან სახლში მყავს . თუკი .აციკვით კვდება ფუტკარი . . . . . 706—710

ოთარ ჭილაძე — ** მინდორში ვდგავარ . ** როდესაც ასე ახლოა გრემი . მონღოლების ბანაკი . რთველი . ბავშვი უკრავდა სტუმრების თხოვნით . შემოდგომის პირველი დღე . ფედერიკო გარსია ლორკა . გაზაფხულის პირველი დღე . ** თავაუღებლად . ** რაც დასახარჯი . ** ყველა ტკივილი . თოვლი . გამოთხოვება . თაკო და ზაზა . . . . 711—718

ხუტა გაგუა — ტრამალის სევდა . როგორც თანხმობა . მეეზოვე . ზაფხულის ეტიუდი . ბილიკი . . 719—721

ემზარ კვიტაიშვილი — დღეს . ** მშობელი მთები . ჩემი გოგონა . ** ვისიც . გურია . გაზაფხული . წინ დიდი გზაა . ფიცი . . . . . 722—725

რეზო ამაშუკელი — „დიდი სამამულო“ . ** შენ მოგყვა . შროშა . მარტოობა . ალექსანდრია . . 726—729

ლია სტურუა — ** მერე რა . მონადირეები ** სულით დაავადებულთა . ქვრივები . ** თუ ჩემი . 730—732

გესიკ ხარანაული — თებერვალი, ივრის ჭალები . გაზრდილა თიანეთი . ** მშვიდად . გაზაფხულის ძახილზე . ფშაური მზის ნაბიჯები . . . . . 733—738

ბიოგრაფიული ცნობები . . 739—749

გამომცემლობის რედაქტორი ციალა ქაროსანიძე
მხატვრული რედაქტორი ოთარ ჯიშკარიანი
პასუხისმგებელი გამოშვებისათვის შალვა დემეტრაძე

ტექნიკური რედაქტორები:
რევაზ იმნაიშვილი, ოთარ პირველი
კორექტორი გულიკო წერეთელი
გამომშვები ეუეუნა გოგოლაძე

◆

პორტრეტები შესრულებულია
ზურაბ ნიჟარაძის და თენგიზ მირზაშვილის მიერ
გრაფიკული გაფორმება
დავით დუნდუასი და ოთარ ჯიშკარიანისა

◆

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XII-70 წ. ქაღალდის
ზომა 60×90 1/8, ნაბეჭდი თაბახი 95, სააღრიცხვო-საგა-
მომცემლო თაბახი 45,26.
უე 00271 ტირაჟი 15.000 შეკვეთა № 1167

ფასი 10 მანეთი

გამომცემლობა „მერანი"
რუსთაველის 42, თბილისი, 1971

Г
899.962.1—1
Ф 279
7—4—3

Антология грузинской советской поэзии

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
Руставели 42. Тбилиси 1971

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати,
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.